ნინო წულუკიძე



ბედის ოინბაზობა

4Love.Ge

ნინო წულუკიძე

ბედის ტორეადორი

მე ცინიკოსი მეოცნებე ვარ... ადამიანი, რომელსაც ცალი ფეხი ცხოვრების იმ ნაწილში უდგას, რომელშიც ხშირად სიბნელეა, ხოლო მეორე – მზით განათებულში. მოკლედ, გაჩაჩხული ვარ, რა... გამბედაობა არ მყოფნის, ან ერთ მხარეს გადავიდე, ან მეორე მხარეს. ვაღიარებ, ლაჩარი გამოვდექი, მაგრამ ყველა გმირი ვერ იქნება. არც მე ვარ გმირი და, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამოცანად დარჩება ჩემთვის, რომელ მხარეს ყოფნა უკეთესია...

ნიკუშამ სიგარეტის ბოლი ჭერისკენ გაუშვა და ნატუკას დახედა. გოგოს მის მკლავზე ედო თავი. თვალებმილულული იწვა და გრძელი, ლამაზი თითებით თავის შიშველ მკერდს ეფერებოდა. თითქოს არც უსმენდა კაცის ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს. უცებ თვალები გაახილა და იდაყვებზე წამოიწია.

– რა იყო? – ჰკითხა ნიკუშამ. დაიხარა და მკერდზე აკოცა.

– შენ რომ გისმენ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წიგნს ვკითხულობ, ოღონდ ძალიან ძველს. თანაც ფურცლებამოხეულს.

– ფურცლებამოხეულს რატომ?

– იმიტომ, რომ არც თავი აქვს და არც ბოლო.

– გინდოდა, გეთქვა, რომ არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი, – შეუსწორა ნიკუშამ და მოიღუშა.

– ჰო, თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

– აქვს. შეიძლება, შენთვის არა... მაგრამ, გეშლება, დასასრული ყველაფერს აქვს. იმასაც კი, რასაც დასაწყისი არ ჰქონია.

– ეგ რაღაც ვერ გავიგე.

– ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და გაიგებ, – დასცინა ნიკუშამ და ცხვირის წვერზე ნაზად წაარტყა თითი. გოგომ ხელი აუკრა.

– ვერ ვიტან, როცა კაცი თავს ისულელებს.

– არც მიფიქრია, – შეცბა ნიკუშა, არ ელოდა ნატასგან ასეთ აგრესიას.

– არ უფიქრია, – გამოაჯავრა ნატამ, – თუ პატარა ვარ, გვერდით რატომ მიწვები, პედოფილი ხარ?

ნიკუშა წამოჭარხლდა. ნატა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა.

– ჰო, კარგი, ნუ იბერები. ეს ისე ვთქვი, შენს გასაბრაზებლად. არ მიყვარს, როცა ენას მიჩლექენ და მეთამაშებიან. ძალიან დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვიღებ. ასე რომ, უკვე გავიზარდე.

– მე არ ვიცი, როგორი იყავი პატარა. ასე რომ, მეპატიება, – თავი „გაიმართლა“ ნიკუშამ, – მაგარი ხეპრე ვარ, არა? რა ვქნა, ცხოვრებას ჩამოვრჩი. შენნაირ გოგოებთან ურთიერთობის გამოცდილება არ მაქვს.

ნატამ ტანზე ზეწარი შემოიხვია და წამოჯდა:

– სიგარეტი მომაწევინე.

– აი, გამომართვი, ახლა მოვუკიდე. ისე, არ მომწონს, ქალი ლოგინში რომ ეწევა.

ნატუკამ თვალები მოჭუტა და ჩაიცინა. სიგარეტიანი ხელი ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ მოწევა გადაიფიქრა და სიგარეტი ისევ უკან დაუბრუნა.

– ნახე, როგორი მორჩილი გოგო ვარ! მაგრამ, მხოლოდ მაშინ, როცა ეს მე თვითონ მინდა. კიდევ მითხარი, რა, რამე...

ნიკუშას გაეღიმა მის გულუბრყვილო თხოვნაზე.

– რა გითხრა?

– კიდევ მითხარი რამე, ბრძნული და უცნაური. ძალიან მართობ. ყველას ასე ვერ დაელაპარაკები.

– ხომ გითხარი, იშვიათი ექსპონატი ვარ-მეთქი. სამუზეუმე. როგორც კი კარგ ფასს შემომთავაზებენ, მაშინვე მივალ და ვიტრინის მინის ქვეშ დავწვები.

– ჯერჯერობით აქ წევხარ, ჩემთან, – შეახსენა ნატუკამ, – ჰო, მართლა, რატომ დამირეკე?

– იმიტომ, რომ ტელეფონის ნომერი დამიტოვე. ხომ უნდა მესარგებლა? თანაც, მაინტერესებდა, მატყუებდი თუ არა.

ნატუკას გაეღიმა.

– მე არასოდეს ვიტყუები. თუ ვინმესთან ურთიერთობა არ მინდა, პირდაპირ ვეუბნები და ტელეფონის ნომერსაც არ ვუტოვებ.

– ესე იგი, შემეშალა. ბოდიშს გიხდი.

– არა უშავს. სხვა დროისთვის გეცოდინება. რას ამბობდი წეღან, როგორი ვარო?

– ცინიკოსი მეოცნებე-მეთქი.

– არა, არა, გაფშეკილიო... ცალი ფეხით – აქეთ, მეორე – იქით...

– გაფშეკილი კი არა, გაჩაჩხული. არ იცი, ეგ რა არის? თუმცა, შენ როგორ არ გეცოდინება,

– შეურაცხყოფას რატომ მაყენებ, დავაშავე, რომ მოვედი?

– ნუ გწყინს. ზოგჯერ ასე იდიოტურად ვხუმრობ ხოლმე. ცივილიზებული ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ისე, ცივილიზაცია მაგარი რამაა. არანაირი რისკი და სიგიჟე, მხოლოდ სტაბილურობა და სიმშვიდე... მაგრამ, მე რომ სწორედ ეს სიგიჟე მინდა? აი, რატომ ვარ გაჩაჩხული. აი, რითი განვსხვავდებით ერთმანეთისგან. შენს შემთხვევაში გაჩაჩხვა

მომგებიანია, ჩემს შემთხვევაში – წამგებიანი. ოღონდ, ისევ არ გაიბუსხო. ეს ისე, უბრალოდ, ვმსჯელობ.

– იმსჯელე, იმსჯელე... თუმცა, მერჩივნა, ყავა მაინც მოგედუღებინა ჩემთვის.

– პირველად რომ იყავი აქ, მშვენივრად გაართვი თავი მაგ საქმეს. ასე რომ, ახლაც მოახერხებ რაღაცას.

– მოკლედ, შენს მოსამსახურედ მაქციე...– აბუზღუნდა გოგო, – შენს მაისურს ავიღებ..

– ნუ ადგები, არ მინდა ყავა, ეს ისე გითხარი.

– მე მინდა, ჩემთვის უნდა მოვიდუღო.

– მაშინ, მოიცადე, მეც გამოგყვები. სამზარეულოში ისეთი უწესრიგობაა, მეც კი მრცხვენია.

ნიკუშამ თავისი მაისური გოგოს გადაუგდო. თვითონ მხოლოდ შარვალი ამოიცვა და ნატას სამზარეულოსკენ გაუძღვა. დერეფანში დაწინაურდა და სამზარეულოში შესულმა, მაგიდაზე თუ თაროებზე უწესრიგოდ მიმოფანტული ნაგვის მოგროვება და პარკში ჩატენვა დაიწყო.

ნატუკა სიბრალულით უყურებდა მის საქმიანობას.

– შენ, გეტყობა, მართლა არავინ გყავს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ სამზარეულოში დიდი ხანია, ქალი იშვიათი და უცხო ხილია.

– უცხო ხილისა რა მოგახსენო, მაგრამ აქაურობა მართლა არავის დაულაგებია დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. თუმცა, არა. ვიღაც-ვიღაცეებს ჰქონდათ მცდელობა, მაგრამ მე არ მიყვარს, როცა უცხო ადამიანი ხელოვნურ მზრუნველობას იჩენს, ვითომდა უანგაროდ გემსახურება, სინამდვილეში კი საკმაოდ შორს მიმავალი და სერიოზული მიზნები აქვს.

– მე? – ჰკითხა ნატამ და თვალები მოწკურა.

– რა, შენ?

– მე რა მიზნები მაქვს?

– შენ?! – ნიკუშა ყასიდად ჩაფიქრდა, მერე შეკითხვის დაკონკრეტება სცადა: – ჩემთან დაკავშირებით თუ საერთოდ?

– საერთოდ რა მიზნები მაქვს, მაგას შენ კი არა, გამოცდილი ექსპერტ-ფსიქოლოგიც ვერ იტყვის. მართლა სულელი ხომ არ გგონივარ? შენთან დაკავშირებით რა მიზნები შეიძლება მქონდეს-მეთქი.

– ჰოო, საინტერესო შეკითხვაა, – ნიკუშამ წინსაფარი აიფარა და დასარეცხი ჭურჭელი ონკანის ნიჟარაში ჩააწყო. ნატას გაეცინა.

– რა გაცინებს? – გაუკვირდა კაცს.

– პროფესიონალ ჭურჭლის მრეცხავს ჰგავხარ. წინსაფარი ძალიან გიხდება.

– წესით, ამას შენ უნდა აკეთებდე, მაგრამ ვერ გაკადრებ, ისეთ საქმეში ხარ პროფესიონალი, რომ ჭურჭლის რეცხვამ, შეიძლება, რეიტინგებში ქვემოთ დაგწიოს.

– საშინელი ვინმე ხარ, – ენა გამოუყო გოგომ, – მაგრამ ძალიან ვერთობი შენთან.

– აი, ხედავ, შენს შეკითხვასაც თავად გაეცი პასუხი, – გაუხარდა ნიკუშას.

– რომელ შეკითხვას.

– ხომ მკითხე, შენთან დაკავშირებით რა მიზნები შეიძლება მქონდესო. ერთობი ჩემთან, მიზანი არ არსებობს. იცი, რომ ამ ურთიერთობიდან სახეიროს სხვას ვერაფერს გამოადნობ.

– და, შენ ფიქრობ, რომ მე გართობისთვის მცალია? – ნატუკამ ფრთხილად დაასხა ყავა ფინჯნებში და კაცს მიაშტერდა.

– რატომაც არა, მე შენთვის ერთგვარი განტვირთვა ვარ. საინტერესო ექსპონატი. ორიგინალურიც. ესეც საჭიროა, მარტო ფულით დიდხანს ვერ შეიქცევ თავს.

– ჰო, ფული ნამდვილად არ გაქვს. სიმართლე რომ გითხრა, მიკვირს. შენ ხომ ლევანის მეგობარი ხარ. თანაც, როგორც მე ვიცი, ბავშვობის მეგობარი.

– მერე რა, შენ გგონია, ლევანი ამისთვის ხელფასს მიხდის?

– მაგდენს მეც ვხვდები, მაგრამ ხომ შეუძლია, კარგი სამსახური გიშოვოს?

– ალბათ, შეუძლია, – ნიკუშამ ყავა მოსვა, – იმ დღეს უკეთესი გამოგივიდა.

– რა? – ვერ მიხვდა გოგო.

– ყავა... თორემ „იმ“ საქმეში ხუთიანს გიწერ. თუმცა, ახლა ხუთოსნებს ათიანებს უწერენ. ეე, მაგრად ჩამოვრჩი ამ ცხოვრებას.

– ეგეც უფულობის ბრალია?! – თანაუგრძნო ნატამ.

– არა, მარტო უფულობის არა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

– იმიტომ, რომ არ მენდობი?

– იმიტომ, რომ მეზარება. აქ ინტელექტუალური საუბრებისთვის არ მომიყვანიხარ. ყავას დავლევთ და სამწყობრო ნაბიჯით საწოლისკენ იარ!

– ამის მერე კიდევ იტყვი, ორიგინალური ვარო... – თავი გადააქნია გოგომ.

– ვა, აბა, რა უნდა ვქნათ, წინ მთელი ღამეა. ჯოკერს ხომ არ გეთამაშები?

– ვინ გითხრა, რომ შენთან მთელი ღამე ვაპირებ დარჩენას? – გამოაჯავრა ნატამ, – ახლა ყავას დავლევ, ტაქსის გამოვიძახებ და წავალ.

– სად წახვალ? ვინ გიშვებს? – ნიკუშა ხელზე მოეფერა გოგოს, – არ მინდა, რომ წახვიდე, მართლა...

– არ უნდა, რომ წავიდე, – გამოაჯავრა ნატამ, – თავის შეცოდება კარგად გამოგდის.

– მე გაცოდებ თავს? – გაიკვირვა კაცმა, – მე?!

– დიახ, შენ და გაოცებას ნუ თამაშობ, ცუდი მსახიობი ხარ. რატომ თქვი, დედა მკვდარი მყავსო?

– იმიტომ, რომ მართლა მკვდარი მყავს.

– დედა კი არა, მამა გყავს მკვდარი.

– დედაც და მამაც... მოიცა, შენ ლევანმა მოგაწოდა ჩემზე დაზუსტებული ინფორმაცია?

– ლევანს არაფერი უთქვამს, თავად მივხვდი.

– ოჰო?!

– ოჰო! დიახ, ოჰო! გეუბნები, სულელი არ ვარ-მეთქი და არ გჯერა.

– ნელ-ნელა ვიჯერებ. მაინც, როგორ მიხვდი?

– სხვათა შორის, საკმაოდ მარტივად. ჯერ ერთი, დედაშენს რაღაცნაირი ფარული ბოღმითა და აგრესიით ახსენებ. გარდაცვლილებზე ასე არ ლაპარაკობენ. მტერიც რომ იყოს, მაშინაც კი.

– ვაა, მაოცებ, პატარავ, – ნიკუშა უხერხულად აწრიალდა.

– მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია. როცა მამაშენი ახსენე, ისეთი სევდა ვიგრძენი, გული შემეკუმშა. მზერაც ისეთი გქონდა, ვიფიქრე, სადაც არის ატირდება-მეთქი. სამაგიეროდ, დედის ხსენებაზე ისე გამომხედე, შემეშინდა. და, კიდევ, სურათი.

– რა სურათი?

– დედაშენის სურათი ვერ დავინახე ვერსად. ეს უცნაურად არ გეჩვენება?

– აი, აქ ცოტა გეშლება. სურათი არაფერ შუაშია, – ნაძალადევად გაიღიმა ნიკუშამ.

– არაფერიც არ მეშლება, – ნიშნი მოუგო გოგომ, – გარდაცვლილის სურათების გამოფენის წინააღმდეგი რომ იყო, მაშინ არც მამაშენის სურათს დადებდი კომოდზე. იმას ხომ ვერ იტყვი, რომ დედაშენის სურათი არ გაქვს?

– ნატუკა, არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

– აჰა, ესე იგი, ყველაფერს სწორად მივმხვდარვარ.

– არ მინდა-მეთქი ამაზე ლაპარაკი! – მოიღუშა ნიკუშა, – თუმცა, გილოცავ, ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხარ, ოღონდ, კაბაში.

– ეგ ვინღაა? – გულწრფელი გაოცებით იკითხა ნატამ.

ნიკუშამ ხელები გაშალა აღშფოთების ნიშნად და თავი სინანულით გადააქნია.

– როგორ ვთქვა, უტვინო ხარ-მეთქი, როცა ამ წუთში გავხდი მოწმე შენი დედუქციური უნარის ამოფრქვევისა, მაგრამ... შერლოკ ჰოლმსი არ იცი, გოგო?!

– ჰო. არ ვიცი. უნდა ვიცოდე?

– ალბათ, არა, – ამოიოხრა ნიკუშამ, – მე რომ ვიცი, რა, მერე?! არ გჭირდება, შენ მართლა არ გჭირდება. უამისოდაც მშვენივრად აიწყობ ცხოვრებას, რაც მე ვერ შევძელი...

კარი ისე უხმაუროდ გაიღო, რომ ლევანს კაბინეტში სტუმრის შესვლა არ გაუგია. მხოლოდ მაშინ ასწია თავი, როცა ბატონმა ზურაბმა სავარძელში მოიკალათა და ოთახი კმაყოფილი, თავდაჯერებული კაცის მზერით შეათვალიერა.

– კარგად მოწყობილხარ, ვერაფერს იტყვი. ამ ხელისუფლებას რაც ნამდვილად არ ეშლება, საკუთარი თავის პატივისცემაა.

ლევანმა კომპიუტერი გამორთო და სიმამრს ირონიული ღიმილით დაუქნია თავი:

– აჯობებდა, გეთქვათ, რომ კარგი მასწავლებლები გვყავდა და ჩვენც არ გამოვდექით ცუდი მოსწავლეები.

– ჰმ! – ბატონმა ზურაბმა მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე თითები აათამაშა. სიძის უტიფარი, გამომწვევი ტონი ნერვებს უშლიდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მასთან დაყვავება იყო საჭირო. გაჯიუტებულ ლევანთან ლაპარაკი შეუძლებელი ხდებოდა.

– სხვათა შორის, იმას, ვინც ამ კაბინეტში შენამდე იჯდა, მეტი რიდი და პატივისცემა ჰქონდა ჩემი.

ლევანს ჩაეცინა.

– აქ ამის სათქმელად მობრძანდით? ბატონო ზურაბ, სენტიმენტალური გამხდარხართ, სიბერე ხომ არ შემოგეპარათ?

ბატონი ზურაბი ყაყაჩოსავით გაწითლდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა სიძესთან ჩხუბის დაწყება. ლევანს არ გამოჰპარვია სიმამრის საფეთქელთან ამობერილი, ძულუმად მფეთქავი ძარღვი და მისი კბილების ღრჭიალიც გაიგონა. ნეტარებდა, როცა სიმამრს პატარ-პატარა შეტაკებებს უგებდა.

– საქმეზე მოვედი. სახლში შენ ვერ გნახავს ადამიანი, ჩემმა შვილმაც არ იცის, სად ხარ.

– ბატონო ზურაბ, შვილის ადვოკატობა იკისრეთ? თქვენმა მეუღლემ ყოველთვის იცოდა თქვენი ადგილსამყოფელი? გინდათ, იმაში დამდოთ ბრალი, რაშიც თავად იყავით დახელოვნებული?

– არაფერი არ მინდა. თქვენი ურთიერთობა თქვენი ურთიერთობაა. საქმეზე მოვედი-მეთქი!

– ჰოო, მე რომ არ მიყვარს, როცა პირად საქმეზე კაბინეტში მაკითხავენ?! საერთოდ, როგორ შემოხვედით? ჩემი მდივანი სად ბრძანდება?

– მდივანმა იცის, ვინ უნდა შემოუშვას შენთან და ვინ – არა, მის დასჯას აზრი არ აქვს.

– მაგას მე გადავწყვეტ, – ლევანმა მაცივრიდან მინერალური წყალი გამოიღო და ჭიქები შეავსო, – კარგი. რამ შეგაწუხათ, ბატონო ზურაბ? ხომ გითხარით, თუ რამე ახალი ინფორმაცია მექნება, დაგიკავშირდებით-მეთქი. ჯერჯერობით, სიტუაცია უცვლელია.

– ასეც ვიცოდი, – ბატონმა ზურაბმა ერთ ყლუპად გამოცალა ჭიქა და შუბლზე მოისვა ხელი.

– რა იცოდით? – მოთმინება დაეკარგა ლევანს.

– წუხელ ტელევიზორისთვის არ გიყურებია?

– სერიალების მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, ეს პენსიონერების საქმეა.

ბატონმა ზურაბმა ისევ გადაყლაპა წყენა:

– მე საინფორმაციო გამოშვებას ვგულისხმობდი.

– რა მოხდა? თქვენი ბაბუ ხომ არ ბრუნდება? – დასცინა ლევანმა და ზურაბმაც იფეთქა.

– გეყოფა, თორემ შენს მინისტრობასაც ფეხებზე დავიკიდებ და გასწავლი, უფროსებს როგორ უნდა ელაპარაკო! ისე იქცევი, თითქოს ჩემთვის მინდოდეს ის ფული. საფლავში თან ხომ არ წავიღებ. ორმილიონიანი კუბოთი ჯერ არავინ დაუმარხავთ და არც მე მოგთხოვთ ამას. თინიკო ჩემი ერთადერთი შვილია, შენ კი, მისი ქმარი ხარ. ისე მეჯიბრები, თითქოს მტერი ვიყო თქვენი.

– „თქვენი“ არა, ჩემი! – წარბი შეიკრა ლევანმა, კომპიუტერი ჩართო და ინტერნეტი გახსნა, – რომელ არხს ვუყურო?

– რომელსაც გინდა, – ზურაბმა მაგიდიდან საფერფლე აიღო, – სავარძელში გადაჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

ლევანმა მალე მიაგნო იმას, რასაც ეძებდა. სიუჟეტს ჩუმად უყურა და თვითონაც სიგარეტს მოუკიდა.

– ხედავ? რას გეუბნებოდი? კიდევ გაქვს რამე ეჭვი?

ლევანმა მაშინვე არ უპასუხა.

– ორ მილიონ ევროზეა ლაპარაკი, ორ მილიონზე!..

– ეგ მხოლოდ ვარაუდია, – ჩაილაპარაკა ლევანმა.

– რას ნიშნავს – „ვარაუდია“? – გაცხარდა ზურაბი, – სიუჟეტს ხომ უყურე?

– რომ ვუყურე, იმიტომაც ვამბობ. ექსპერტები ჯერ მხოლოდ ვარაუდობენ.

– სულელი ჟურნალისტების ინტერპრეტირებული კომენტარის გჯერა და ჩემი არა? მე თავიდანვე ვიცოდი, რასთან მქონდა საქმე.

– ჰოო?! იცოდით და მაინც გააჩუქეთ? ისეთი კეთილიც რომ არ ხართ, ხელგაშლით არიგებდეთ მილიონებს?! თუ, ვნებამ დაგიხშოთ გონება?

– წესიერად მელაპარაკე, ლაწირაკო! ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

– ბატონო ზურაბ, ხომ არ დაგავიწყდათ, სად იმყოფებით?

– არა.

– მაშინ, კეთილი ინებეთ და უფრო კორექტული იყავით. მით უმეტეს, რომ ხვდებით, მართალი ვარ. ორ მილიონ ევროდ შეფასებული ნახატი გააჩუქეთ და კიდევ ჩემზე ბრაზობთ? უცნაური ხალხი ხართ. ცდილობთ, სხვებს გადააბრალოთ საკუთარი დანაშაული. ჩვენი არაფერი მოგწონთ, იმიტომ რომ, თქვენგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის გრძნობა გვაქვს. საინტერესოა, მაშინ რაზე ფიქრობდით?

ზურაბმა პერანგის ღილი შეიხსნა და საყელო მოიღეღა:

– შენ არაფერი იცი, აბსოლუტურად არაფერი...

– რაც ვიცი, ისიც საკმარისია. ესე იგი, იმან უკვე იცის, რა განძის პატრონიც აღმოჩნდა, თქვენი წყალობით. სიტუაცია გართულდა.

– რა თქმა უნდა, გართულდა, იმიტომაც გაჩქარებდი. შენ კიდევ ვერ წარმოგიდგენია, რა სირთულეებს წარმოქმნის ეგ სიუჟეტი. ახლა ეცდებიან, იმ ქალბატონს დაუკავშირდნენ, ინტერვიუები ჩაწერონ მასთან. შეიძლება, დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღონ.

– გეშინიათ, რომ ქალბატონი დიანა გაიგებს თქვენი წარსული ცოდვების ამბავს?

– ქალბატონი დიანა არაფერ შუაშია. მე იმის მეშინია, რომ შენ და ჩემი შვილი მილიონებს დაკარგავთ, თანაც, როგორ მილიონებს – კანონიერს, გათეთრება რომ არ სჭირდება!

– ფულზე გაგიჟებული არასოდეს ვყოფილვარ.

– ჩემთან თამაში საჭირო არ არის. გითხარი, ეგ ფული ჩემთვის არ მინდა-მეთქი.

ლევანმა შუბლი მოისრისა:

– მაინც არ მესმის, მე რატომ გამრიეთ ამაში. ხომ შეგეძლოთ, სხვა საშუალება გამოგენახათ?

– მაგალითად?

– მაგალითად, მიგემართათ კრიმინალური სამყაროსთვის, რომლებთანაც ძველი მეგობრობა და სიმპათიები გაკავშირებთ. დარწმუნებული ვარ, არ გაუჭირდებოდათ ერთი ნახატის მოპარვა.

– დატოვეთ ვინმე? – შეიჭმუხნა ზურაბი.

– თავს ნუ მაცოდებთ. კავშირები რომ ისევ გაქვთ, სხვამ თუ არა, მე მაინც ვიცი.

– მეც ვიფიქრე ამაზე, მაგრამ არ გამოვა. ეს ოჯახური საქმეა და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს.

– თუ სწორად მივხვდი, არ გინდა, ვინმე წილში ჩაგიჯდეს. იცი შენი მეგობრების ამბავი და შიშობ, რომ იმაზე მეტს წაგღლეტენ ვიდრე შენ დაგრჩება.

– ესეც არის, რატომ უნდა მივცეთ ვიღაც ქურდს ფული, როცა საქმის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია?

– ადრე, როგორც ვიცი, ამის პრობლემა არ გქონია. მშვენივრად იყოფდით ფულს ერთმანეთში ისე, რომ არც კი ჩხუბობდით.

– ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რა იყო. მით უმეტეს, რომ ამას ჩვენს საქმესთან კავშირი არ აქვს.

– მაშინ, დანარჩენზე სახლში ვილაპარაკოთ.

– აქ რა გვიშლის ხელს?

– ჩვევად არა მაქვს პირადულზე სამსახურში ლაპარაკი. თანაც ერთ საათში ჟურნალისტი უნდა მოვიდეს ინტერვიუზე, მერე მთავრობის სხდომაა დანიშნული.

– ესე იგი, შუაღამემდე ვერ მოიცლი...

– რა ვქნა, ბატონო ზურაბ. აქ კი არ ვთამაშობ, – ხელები გაშალა ლევანმა. ზურაბმა მის მზერაში ირონია შენიშნა, მაგრამ აღარ შედავებია.

– კარგი, წყნეთში ამოდი.

– ჯერ სახლში უნდა გავიარო, თორემ თინიკო ყოველდღე ეჭვიანობის სცენებს მიწყობს. ხომ არ ჩაგვეყენებინა საქმის კურსში?

– გაგიჟდი? თინიკოღა მაკლია თავისი იდიოტური შეკითხვებით.

ლევანმა ჩაიცინა.

***

თინიკოს არ გაჰკვირვებია ნათიას დანახვა, ელოდა კიდეც მის ვიზიტს. დარწმუნებული იყო, რომ ქმრის მეგობრის ცოლი აუცილებლად მასთან მივიდოდა რჩევის საკითხავად. ღიმილით მიეგება და ოთახში შეუძღვა. მანამდე კი გულდასმით შეათვალიერა.

– არაჩვეულებრივად გამოიყურები, საყვარელო! დათომ მითხრა ახალი ამბავი და ძალიან მიხარია. ბავშვი თქვენს ცხოვრებას მთლიანად შეცვლის.

– ჰო, ვიცი – ნათიას მოწყენილი ხმა ჰქონდა.

– საყვარელო, მოხდა რამე? ხომ არ იჩხუბეთ? დათო ხომ არ გაბრაზებს?

– სწორედ მაგაზე სალაპარაკოდ მოვედი შენთან. მაგრამ, ჯერ ის მითხარი, აქ რა მოხდა?

– რაზე მეკითხები? – ვითომ ვერ მიხვდა თინიკო.

– მართლა აუზში ჩავარდა?

– აა, ჰოო... ჩავარდა. დაულევიათ და ვეღარ შენიშნა, აუზში წყალი რომ არ ესხა. იმ დილით დავცალე უნდა გაეწმინდათ.

– ანუ, შენ სახლში არ იყავი? არ გინახავს, მართლა მოხდა ეს, თუ არა? – ნათია აფშლუკუნდა, – მე კი ვიფიქრე, შენ მაინც გამიფანტავდი ეჭვს. ლამის გადავირიო. ძალიან ვნერვიულობ. სამი დღე, ზედიზედ, გამთენიისას მოვიდა სახლში. ნიკუშაზე სალაპარაკოდ შევიკრიბეთ ბიჭები და ვეღარ შევნიშნე, დრო როგორ გავიდაო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, მაგრამ აღარაფერი ვუთხარი, ვიფიქრე, სინდისი შეაწუხებს და ჭკუას მოუხმობს-მეთქი, მაგრამ უარესი არ გააკეთა?! ნაცემ-ნაბეგვი მომადგა სახლში. მაშინვე მინდოდა, შენთვის დამერეკა, მაგრამ იმდენი იწუწუნა და იკვნესა, იმდენი იფიცა და მეფერა, რომ... მოკლედ, რა ვუყო ამ კაცს აღარ ვიცი. სადღაც წაუკითხავს, რომ ფეხმძიმე ქალს, შეიძლება, აკვიატებული იდეები და

ჰალუცინაციებიც კი ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, რამე რომ ვუთხრა, მაშინვე ჩემს ორსულობას დააბრალებს ყველაფერს და შეიძლება, ექიმთანაც გამაქანოს. შენ რას მირჩევ?

თინიკომ პასუხად ალერსიანად გაუღიმა:

– მოდი, ჯერ წვენს მოგიტან და ჩინური რესტორნიდან რამე გემრიელს ამოვატანინებ, გუნება რომ გამოგიკეთო და ცოტა გაგამხიარულო. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

– არ მშია, მადა საერთოდ არ მაქვს. ძალიან ვნერვიულობ. დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაც კახპას გამო იჩხუბა და მიმალავს.

– რა სისულელეა! დათო ისეთი არ არის, რომ კახპას გამო იჩხუბოს. ვახოზე რომ გეთქვა, კიდევ დავიჯერებდი, მაგას ნამდვილად აქვს მიდრეკილება უზნეობისკენ.

– ჰო, მეც ვფიქრობ, რომ საერთოდაც, ვახო ახდენს ცუდ გავლენას ჩვენს ქმრებზე. სამი ცოლი გამოიცვალა და სამს კიდევ მოასწრებს, ისეთი ტემპი აქვს აღებული. საწყალ ნიკუშას კი ერთიც ვერ მოუყვანია.

თინიკო რაღაცაზე ჩაფიქრდა.

– ისე, ძალიან საეჭვოდ გაუცხოველდათ პასუხისმგებლობის გრძნობა ნიკუშას მიმართ, – ჩაილაპარაკა ხმადაბლა, უფრო საკუთარი ფიქრების პასუხად.

– საეჭვოდ რატომ? დათო ყოველთვის განიცდიდა მის ამბავს. ყოველკვირა მიდიოდა და ფულს უტოვებდა. ამაში საეჭვოს ვერაფერს ვხედავ, – მხრები აიჩეჩა ნათიამ.

– აბა, აუზის ამბავს ნუ განიცდი. არ გატყუებს.

– ასეთი დარწმუნებული როგორ ხარ, საკუთარი თვალით ხომ არ გინახავს?

– როგორ ჩავარდა, ის არ მინახავს, თორემ ყინული და სველი საფენი ჩემი ხელით დავადე სახეზე. ისე, სწორს შვრები, რომ არ ენდობი. ყურადღება არ უნდა მოადუნო, სულ გაძვრომაზე უჭირავთ თვალი. თანაც, ერთმანეთს ხელს აფარებენ... საზიზღრები!

– ჰო, საზიზღრები! – მაშინვე დაეთანხმა ნათია, – მე უნდა ვიწვალო, ცხრა თვე მუცლით უნდა ვატარო მისი შვილი. სულ მალე, რას დავემსგავსები ხომ წარმოგიდგენია? მერე უნდა გავაჩინო, გავზარდო... რა ენაღვლება, თვითონ რესტორანში დაჯდება და ჩვენს სადღეგრძელოს დალევს. მერე, პირნათელი კაცივით, თავისი ვალი ღირსეულად რომ შეასრულა, მოვა და ყვავილებსაც მომიტანს.

– რას იზამ, შენ გამონაკლისი არ ხარ. როგორ გგონია, რატომ არ ვაჩენ შვილს? იმიტომ, რომ ჩემი ქმარი ჯერ არ იმსახურებს ჩემგან ასეთ საჩუქარს.

– მე კი მეგონა, რომ...

თინიკომ მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი:

– ვიცი, რაც გეგონა – რომ შვილი არ მიჩნდება. არა, ჩემო კარგო. მე რომ შვილის გაჩენა შემიძლია, ეს რვა წლის წინ დავამტკიცე. მართალია, ზუკაკოს მამა ლევანი არ არის, მაგრამ მით უარესი მისთვის. ფაქტია, რომ მე არ ვარ უშვილო.

ნათიამ შეკრული წარბი გახსნა:

– ცოტათი გულზე მომეშვა, არც შენ ხარ ჩემზე უკეთეს დღეში.

– მეე?! რას ამბობ! მე ვცდილობ, იმას შევუქმნა დისკომფორტი და დავანახვო, როგორ გაუმართლა, რომ მე ვარ მისი ცოლი.

– ამას როგორ ახერხებ?

– არ არის ძნელი. თუ გინდა, გასწავლი. ისიც ვიცი, კაცს ნერვები ისე როგორ უნდა მოუშალო, რომ ვერაფერში დაგადანაშაულოს. არაჩვეულებრივი მეთოდი მაქვს ამისთვის.

– ლევანზე ნაცადი გაქვს ეგ მეთოდი? – გამოცოცხლდა ნათია.

– აბა, რა! ყოველთვის ჭრის. ერთი ეს მითხარი, საყიდლებზე მარტო ხომ დადიხარ?

ნათიამ თავი დაუქნია.

– ძალიან კარგი. – გაიცინა თინიკომ, – ფულს გაძლევს ხოლმე თუ მისი საკრედიტო ბარათით სარგებლობ?

– ხან როგორ და ხან – როგორ, გააჩნია, რა მაქვს საყიდელი. რატომ მეკითხები?

– ვერაფერს მიხვდი? – თინიკომ ეშმაკურად მოწკურა თვალები, – ვერც ახლა?

– ვერა. მითხარი, რა?!

– შენს ქმარს ბევრი ფული უნდა დაახარჯვინო, რაც შეიძლება ბევრი. ჭკუიდან უნდა შეშალო შენი ხელგაშლილობით. ეს ისეთი თერაპიაა, რომელიც ყოველთვის ამართლებს. მით უმეტეს, რომ მიზეზიც მშვენიერი გაქვს, – თინიკომ ოდნავ გამობზეკილ მუცელზე მიუთითა. – ხმასაც ვერ გაგცემს, თუ ყველაფერს პატარასთვის შეიძენ. თან, ბავშვის ტანსაცმელი და ნივთები, ისეთი ძვირი ღირს...

– წინასწარ ყიდვა რომ არ ვარგა? თანაც, ვერ ვხვდები, რა დააკლდება დათოს იმით, რომ მე ფულს დავხარჯავ? ძუნწი სულაც არ არის. მეხვეწება ხოლმე, მითხარი, რა გიყიდო, რომ გამიღიმოო. არა, ეგ მეთოდი ჩემს ქმართან არ გაჭრის, რამე სხვა უნდა მოვიფიქროთ.

– მერე როგორ გაჭრის! შენ მე დამიჯერე. წარმოიდგინე, ჯიბეში ფულს რომ არ დაუტოვებ, სადღა წავა, უფულო ვის რაში სჭირდება, ვინ გადაირევა მისთვის?! მაგრამ ბევრი უნდა დახარჯო, ძალიან ბევრი. თუ გინდა, ამაშიც დაგეხმარები – გაგყვები მაღაზიებში და ნახავ, რა მალე აკრუსუნდება შენი ქმარი.

ეს სიტყვები თინიკომ ისეთი ღვარძლით წარმოთქვა, რომ ნათიას შეეცოდა კიდეც ქმარი. მაგრამ თინიკოს აღარ შეკამათებია. მოსამსახურის მოტანილი, ვაშლის ახალგამოწურული წვენი დალია და მუცელზე ფრთხილად მოისვა ხელი.

– ესე, იგი, მართლა აუზში ჩავარდა?

– შენ ისევ მაგაზე ფიქრობ? საყვარელო, არც ერთი კაცი არ ღირს იმად, რომ თავი აიტკივო მასზე ფიქრით. გითხრა – ჩავვარდიო, რატომ არ უნდა დაუჯერო?

– იმიტომ, რომ, შეიძლება, ტყუილი იყოს.

– მით უარესი დათოსთვის. მაგრამ მე ვიცი, რომ არ გატყუებს. აი, ჩემი ქმარი კი რაღაც ძალიან სერიოზულს მიმალავს და აუცილებლად უნდა გავიგო, რას. ეჭვი მაქვს, დათოც საქმის კურსშია.

– ჩემი დათო?

– დიახ, შენი დათო და ჩემი მეთოდის გამოყენების შემდეგ უფრო დამყოლი რომ გახდება, შენ მომიპოვებ საჭირო ინფორმაციას.

ნათიამ თავი დაუქნია, თუმცა წესიერად ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა მისი მასპინძელი.

იამ იცოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო უხილავი თაყვანისმცემელი. ქალი ყოველთვის გრძნობს მამაკაცის ყურადღებას. უფრო მეტიც, ის თავად კაცზე ადრე ხვდება რაღაცის დასაწყისს. იმ უხილავ ძაფებსაც პირველი ხედავს, რომლებიც ქალსა და კაცს შორის იბმება ხოლმე. ჯერ კიდევ სკოლაში შენიშნა, როგორი გადაჭარბებული თავაზიანობით ეპყრობოდა ლევანი, მაგრამ იცოდა, რომ ბიჭი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამდა წინ. ნიკუშამ თავისი არჩევანით სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით შეაფერხა მათი ურთიერთობის სხვა ფაზაში გადასვლა. ია დიდად არ წუხდა ამაზე. მას ნიკუშა მოსწონდა, ლევანით კი, ალბათ, კარგად გაერთობოდა, ნიკუშას მეგობარი რომ არ ყოფილიყო. ია დარწმუნებული იყო – დაამთავრებდა სკოლას და გათხოვდებოდა. ამიტომ სწავლითაც დიდად თავს არ იკლავდა. რისთვის მჭირდება, ნიკუშას მამა რძალს უმაღლესის გარეშე მაინც არ დატოვებსო. მხოლოდ დამამთავრებელ კლასში შეეპარა ეჭვი. უნდოდა კი, საერთოდ, ნიკას მისი ცოლად შერთვა?! თუ, ეს მისი, ქარაფშუტა გოგოს წარმოსახვა იყო და სხვა არაფერი? საქმე ისაა, რომ ნიკას იასთვის სიყვარული არ აუხსნია, ოფიციალურად არ აუხსნია, თორემ, სკოლაშიც და ნახევარ

ქალაქშიც ყველამ იცოდა, რომ ია „მისი გოგო“ იყო. ია ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა ბიჭის იდუმალ მფარველობას. თუ სადმე წავიდოდა ნიკუშას მეგობრებიდან რომელიმე აუცილებლად „შემთხვევით“ შეხვდებოდა და გააცილებდა. მარტო, ფაქტობრივად, არასდროს ტოვებდნენ. ძალიანაც რომ მოენდომებინა, ნიკუშას „ჯაშუშები“ ყველგან იყვნენ. დაბადების დღეზე ან დღესასწაულებზე ყვავილები და საჩუქარიც ხვდებოდა კართან, მაგრამ თავად ნიკუშას არასდროს მიურთმევია საყვარელი გოგონასთვის ერთი ყვავილიც კი. ია ბევრს ფიქრობდა, მაგრამ მის საქციელს ვერაფრით ხსნიდა. ზოგჯერ შინაგანი პროტესტი სერიოზულად უმწვავდებოდა და ასეთ წუთებში მზად იყო, ნიკუშასთვის ყველაფერი პირში მიეხალა, ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა, მაგრამ გამბედაობა ერთხელაც არ ეყო ამის გასაკეთებლად. შეიძლება იმიტომ, რომ ნიკუშა უყვარდა. თუმცა, ის ხომ ყველას უყვარდა სწორედ იმ უცნაურობების, აუხსნელი ხასიათის გამო.

***

ქალმა შეუმჩნევლად დაქაჩა სახელოზე. კაცმა უკმაყოფილოდ გაუქნია ხელი.

– ნუ იბღვირები, ყველა შენ გიყურებს, – ჩასჩურჩულა ცოლმა, – რა ლამაზი ქალია, არა?

– არაფერი განსაკუთრებული. ჩვეულებრივი ქალია, ოღონდ, ეტყობა, იცის, თავს როგორ მოუაროს. უცნაური ის არის, რომ შენი ყურადღება მიიქცია.

– მარტო ჩემი? ვერ ამჩნევ, კაცები როგორ პირდაღებულები შესცქერიან? კარგი გემოვნება ჰქონია...

– ვის? – კაცი აშკარად არ უსმენდა ცოლის ლაქლაქს.

– გაუშვი ხელი მაგ ჩანგალს, რა გემართება? ისეთი სახე გაქვს...

– როგორი? ჰო, როგორი სახე მაქვს? გეუბნებოდი, არ წამოვსულიყავით, მაგრამ მაინც შენი გაიტანე. ყოველთვის ასეა, ჩემს სიტყვას ფასი არ აქვს!

– რა დაგემართა, ვერ ვხვდები, – ქალი შეეცადა, არაფერი შეემჩნია. გვერდით მჯდომ მამაკაცს გაუღიმა და ქმარს მაგიდის ქვეშ ფეხი წაჰკრა, თან თავისთვის ჩაილაპარაკა, – აუტანელი ხარ...

– წავიდეთ, – თქვა კაცმა და ასადგომად წამოიწია, მაგრამ მასპინძლის მზერამ და თითქოს მბრძანებლურად ნათქვამმა პატარა ფრაზამ, განზრახვაზე ხელი ააღებინა:

– ჩემი პარტნიორები ყველა საქმეში ბოლომდე ჩემთან არიან.

ქალმა ნიშნისმოგებით ჩაიცინა.

– აი, ეს გინდოდა. ვეღარ მიხვდი, რომ ჩაყოლა გაცილებით ჯობს ჩათრევას? დღევანდელ საღამოზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. გუშინ არ ამბობდი ამას?

– არ შეგიძლია, გაჩუმდე? – შეიჭმუხნა კაცი და გაიფიქრა, რომ მისი ცოლი, ყველა სიკეთესთან ერთად, სულელიც ყოფილა, მისი ფიქრის პასუხად ქალმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– შეიძლება, სულელი გგონივარ, მაგრამ თუ გინდა, ცხოვრებაში რამეს მიაღწიო, საჭირო დროს გაღიმება უნდა ისწავლო, მით უმეტეს, რომ ეს ძნელი გასაკეთებელი სულაც არ არის.

კაცმა უსიტყვოდ გადაყლაპა ცოლის მორიგი „ბრძნული“ რეპლიკა და მალულად გაიხედა იქით, სადაც მასპინძლის მეუღლე სტუმრებს გაბადრული სახით რაღაცას უხსნიდა. ქალის გადატკეცილ სახეს მშვიდი ღიმილი არანორმალურად შვენოდა და მიუწვდომლობის განცდა კიდევ უფრო სასურველს ხდიდა მას. კაცმა თავი ცუდად იგრძნო. იმ წუთში ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ იქ არ მჯდარიყო. მდუღარე კუპრში უკეთესად იგრძნობდა თავს, ვიდრე გაშლილ სუფრასთან. სულშეხუთულმა პერანგის ღილი შეიხსნა და საყელო მოიღეღა. „იდიოტი ვარ, ნამდვილი იდიოტი“, – ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ ცოლმა მაინც გაიგონა მისი სიტყვები.

– რა თქმა უნდა, ამას არ გეუბნებოდი?

– დიანა, ძალიან გთხოვ, წამოდი სახლში. ცუდად ვარ...

– ისე, მართლა ცუდი ფერი გაქვს. კარგი, წავიდეთ, რომ არ ჩააშხამო ადამიანს, ხომ არ შეგიძლია...

***

ტელეფონის ზარი შუაღამისას გაისმა... ქალს არ ეძინა. თვალებდახუჭული იწვა. თითქოს ელოდა ამ ზარს... გვერდით მწოლ მამაკაცს დახედა, რომელმაც მხოლოდ გვერდი იცვალა... ადგა, ტელეფონის აპარატი აიღო და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში... ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა.

– გისმენთ.

– მე ვარ...

– მივხვდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ დარეკავდი, თუმცა, ვერ ვხვდები, ეს რისთვის გჭირდება.

– როგორ... როგორ ვერ ხვდები... რატომ არ მითხარი, თუ... თუ ... – კაცს ისევ შეეხუთა სული.

– თუ სერგოს მივყვებოდი ცოლად? ამას შენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა? სათქმელი გასაგებად მითხარი... ორი თვის განმავლობაში ერთხელაც არ დაგირეკავს. მაინც რას ითხოვ ჩემგან? სახლში უნდა ვმჯდარიყავი და შენს გამოჩენას მზის ამოსვლასავით დავლოდებოდი? რატომ ხარ ასეთი ეგოისტი?

– ეგოიზმი არაფერ შუაშია... – კაცმა ამოიოხრა, – მიყვარხარ...

– რას მეუბნები?! – დასცინა ქალმა, – მართლა გიყვარვარ?

კაცმა ყურადღება არ მიაქცია მის ხმაში გარეულ გესლს.

– რაღაც მოვიფიქროთ. მე არ შემიძლია ასე... მართლა...

– რა არ შეგიძლია? არ მესმის, რას გულისხმობ. მგონი, ყველაფერი კარგად არის.

– დამცინი? თუმცა, შენ ეს შეგიძლია. ახლა უკვე ყველაფრის უფლება გაქვს.

– რა თქმა უნდა, მაგრამ არ ვაპირებ ჩემი უფლებების ბოროტად გამოყენებას. შეგიძლია, მშვიდად იყო.

– მე მარტო უშენობის მეშინია.

ქალმა გაიცინა:

– საიდან ასეთი რომანტიზმი? მაოცებ, ძვირფასო. შენ შენი არჩევანი გააკეთე, ასე რომ...

– ჰო, მე ცოლი შევირთე, შენ გათხოვდი.

– კარგად დაიწყე: „მე ცოლი შევირთე“ და „შენ გათხოვდი“. გმადლობ, რომ ქრონოლოგია არ დაარღვიე. რაინდული, ღირსეული საქციელია.

– ელენე, გთხოვ... დამინდე. დღეს გიყურებდი და მივხვდი, რომ სისულელე გავაკეთე. უშენოდ არ შემიძლია, უნდა გნახო...

– ძალიან კარგად შეგიძლია. შენ ახლა ბოღმა გკლავს. ყველაფერს წარმოიდგენდი იმის გარდა, რომ სერგოს გავყვებოდი ცოლად, კაცს, რომელზეც შენი კარიერა და მომავალია დამოკიდებული. გული ნუ გისკდება, გითხარი, ჩემი უფლებების ბოროტად გამოყენებას არ ვაპირებ-მეთქი. შეგიძლია, მშვიდად დაიძინო.

– ელენე, ნუ იქნები ასეთი სასტიკი... – კაცი მუდარაზე გადავიდა.

– იცი, რომელი საათია? სადაც არის, გათენდება. მეძინება...

– ელენე, ნუთუ სულ პატარა შანსსაც არ დამიტოვებ?

– ნუ მაცინებ. რა შანსზე ლაპარაკობ? ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა.

– ამას ნუ ამბობ. ხელს რა გვიშლის, რომ...

– გაგიჟდი? შენ გგონია, საყვარლად დაგიჯდები? რა დიდი წარმოდგენის ყოფილხარ საკუთარ თავზე!.. მე მიყვარს სერგო. ცოლობა მთხოვა, იმიტომ, რომ მასაც ვუყვარვარ. დარწმუნებული ვარ, ერთად დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვრებთ. კიდევ რა გითხრა... ჰო, გადაწყვეტილი მაქვს, შვილიც გავუჩინო. თანაც, ერთი კი არა, რამდენიმე. ასე რომ, შეგიძლია, გულდამშვიდებული მიუწვე შენს ცოლს. სხვათა შორის, მომეწონა, კარგი ქალი ჩანს, თუ შენ არ მოწამლავ და გადარევ...

– ელენე...

– აღარ დამირეკო. ამას ისევ შენთვის ვამბობ.

– თორემ ყველაფერს შენს ქმარს ეტყვი?

– საცოდავი არარაობა ხარ და მებრალები...

ქალმა ყურმილი დაკიდა... კაცი კიდევ დიდხანს იჯდა ტელეფონის აპარატით ხელში და ფიქრობდა. იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, თამაშის ახალი წესებითა და დაუნდობელი რეალობით...

***

ვახომ თვითონ დარეკა. არ დალოდებია ნიკუშას მისვლას.

– პირობა ხომ არ დაგავიწყდა?

ნიკუშამ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა:

– არ დამვიწყებია, მაგრამ ჯერ ძალიან ადრეა, არც კი ავმდგარვარ.

– მერე, ადექი! რა გაკავებს ლოგინში? შენც, საყვარელი ქალი არ გეწვეს გვერდით.

ნიკუშამ ნატას დახედა. ეს გოგო არაფრით ჰგავდა იას.

– საყვარელი ქალი რა შუაშია, მძინავს.

– ხომ გაგაღვიძე, ჩაიცვი და წამოდი!

– ამ დილაუთენია? რა მეჩქარება!

– ბიჭო, ხომ მოვილაპარაკეთ, – აღშფოთდა ვახო, – ხომ დამპირდი, რომ დღეიდან ახალ ცხოვრებას დაიწყებდი. მუშაობას იწყებ. ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის, შენს უსაქმურობასაც.

– ღმერთო, ყველას ერთად რატომ გაწუხებთ ჩემი უმუშევრობა?

– მორჩი ლაქლაქს და წამოდი. იცოდე, ნახევარ საათში იქ უნდა იყო.

– ვერ მოვასწრებ. ერთი საათი მაინც დამჭირდება, სულ მინიმუმ.

ვახომ ამოიოხრა.

– კარგი. ერთი საათი იყოს. ყავა არ დალიო. აქ დაგალევინებ, ჩემთან. ერთად ვისაუზმოთ.

– ჰო, კარგი... კარგი...

ნატამ ზანტად გაახილა თვალები...

– ვინ გირეკავს ამ დილაუთენია? არსად ვმუშაობო, ხომ მითხარი?

– გითხარი, მაგრამ ჩემი ძმაკაცები მეტისმეტად შევაწუხე ამით. უნდათ, რომ მეც მათსავით „ვიპახავო“.

– ლევანი იყო? – ნატამ იდაყვებზე წამოიწია. ნიკუშა გვერდით მიუჯდა, შიშველ მხრებზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

– შენ სულ ლევანი ნუ გელანდება. იცი, როგორი დისკომფორტი მაქვს, როცა ვფიქრობ, რომ ძმაკაცის ქალთან ვწევარ?

ნატამ უხეშად მოიშორა მისი ხელი და უკმეხად მიუგო:

– მე ლევანის ქალი არ ვარ.

– აბა, ვისი ხარ, პატარავ?

– ენას ნუ მიჩლექ, ვერ ვიტან. ტელევიზორი ჩართე, საინფორმაციო გამოშვებას უნდა ვუყურო.

ნიკუშას გაეცინა:

– მართლა?

– ჰო, რა იყო, რატომ გაგიკვირდა?

– ისე. მეგონა, შენი ინტერესის სფერო ბრაზილიური და არგენტინული ტელესერიალები იყო.

– შენი უბედურება ის არის, რომ თავი ყველაფრის მცოდნე გგონია. ტელესერიალებს საერთოდ არ ვუყურებ და, სხვათა შორის, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტსაც ვამთავრებ. ამას ისე გეუბნები.

ნიკუშამ წაუსტვინა:

– ეტყობა, მართლა მაგრად ჩამოვრჩი ცხოვრებას. ახლა თურმე კახპებსაც კი მეორე პროფესია აქვთ.

– სიამოვნებით გაგარტყამდი სახეში, ნამდვილად იმსახურებ და ამას მარტო იმიტომ არ გავაკეთებ, რომ ამ ორი დღის განმავლობაში შენი ნამდვილი სახე დავინახე.

– და... ფსიქოლოგიური ანალიზის გაკეთებაც მოასწარი. აბა, როგორია ჩემი ფსიქოპორტრეტი?

გოგოს გაეღიმა.

– რადგან იღიმები, ეს იმას ნიშნავს, არც ისე ცუდად მქონია საქმე.

– ტყუილად გიხარია. კომპლექსებით ხარ დახუნძლული. ჩართე ტელევიზორი.

ნიკუშამ ტელევიზორი ჩართო და სააბაზანოში გავიდა. როცა დაბრუნდა, ლოგინში ფეხმორთხმით მჯდარი ნატა სიგარეტს ეწეოდა.

– აბა, აკრიფე საჭირო ინფორმაცია, ქალბატონო ფსიქოლოგო?

ნატამ სიგარეტის კვამლი ჭერისკენ მიმართა და ნიკუშას დაძაბული მზერა მიაპყრო:

– რატომ ხდება, რომ ფულს და განძს ხშირად ისინი პოულობენ, ვისაც ის არაფერში სჭირდება?

– მაგაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ რადგან შენ ამბობ, ეტყობა, ასეა. რატომ გაგახსენდა?

– ძალიან ცნობილი ფრანგი მხატვრის უცნობი ტილო აღმოაჩინეს. უბრალო ჩარჩოთი, ძალიან მდიდარ ოჯახში ეკიდა, სასადილო ოთახში და ოჯახის უფროსს მისი გადაგდებაც ნდომებია. არადა, ორ მილიონ ევროდ შეაფასეს ექსპერტებმა. წარმოგიდგენია? ნეტავი, რას გრძნობ, როცა იცი, რომ ორი მილიონი ევრო გაქვს?

ნიკუშას სახიდან ღიმილის კვალიც კი გაქრა. წარბშეკრულმა ჯინსი ამოიცვა და ქამარი შეიკრა.

– მგონი, შენც სადღაც იყავი წასასვლელი.

– რა დაგემართა? – გაუკვირდა გოგოს.

– არაფერი, არ მსიამოვნებს სხვის მილიონებზე ლაპარაკი.

ნატამ მხრები აიჩეჩა:

– უნდა გესიამოვნოს ან მე მსიამოვნებს-მეთქი, არ მითქვამს. უბრალოდ, ამ თემაზე ორი დღის წინაც იყო სიუჟეტი და დღესაც. მგონი, ნახატს საქართველოსთან უნდა ჰქონდეს რაღაც კავშირი.

– არ მაინტერესებს, – მოუჭრა ნიკუშამ და მაისურს დასწვდა, – მართლა ძალიან მეჩქარება, დროზე რომ არ მივიდე, ვახოს ამბავი რომ ვიცი, თვითონ დამადგება თავზე, არ მინდა, ერთად გვნახოს.

– გასაგებია, – ირონიულად ჩაილაპარაკა გოგომ, – კაბა მომაწოდე!

– არაფერიც არ არის გასაგები. შენ საერთოდ არაფერი იცი. დაგირეკავ.

***

ლევანი რომ სახლში მივიდა, ნათია უკვე წასვლას აპირებდა თინიკოს ემშვიდობებოდა და მხარზე ჩანთაგადაკიდებული, რაღაცაზე უთანხმდებოდა. ლევანი რომ დაინახა, მაშინვე გაჩუმდა. ლევანს თავიდანვე არ მოეწონა მეგობრის არჩევანი და ახლაც მიაჩნდა, რომ დათოს გაცილებით უკეთესი ცოლის მოყვანა შეეძლო. ნათიას მარტო გარეგნობა კი არა, აზრებიც პროვინციული ჰქონდა, ეჭვიანიც იყო და ინტელექტიც აკლდა. ეს, რა თქმა უნდა, ლევანის აზრით. მასთან საერთო ენის გამონახვა უჭირდა და გაუკვირდა, როცა ნაცნობ-მეგობრების არჩევაში განსაკუთრებით პრეტენზიულმა თინიკომ ადვილად დაიახლოვა ეს გოგო. ხშირად ეპატიჟებოდა სხვადასხვა გასართობ ადგილებში და საყიდლებზეც კი დადიოდნენ ერთად. მათი „იდილია“ დროებით შეწყვიტა ნათიას ორსულობამ. ქალი სახლში არჩევდა ყოფნას და ქმარს გულს უწყალებდა ჭირვეულობით. ლევანი თავაზიანი, მეგობრული ღიმილით მიესალმა.

– ოო, სტუმარი გვყოლია. უკვე მიდიხარ? რატომ? დარჩი კიდევ ცოტა ხანს, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ...

ნათია აიმრიზა:

– დავრჩებოდი, მაგრამ ჩემი ექიმი მირჩევს, უარყოფით ემოციებს და იმ ადამიანებს მოვერიდო, რომლებიც ნერვებს მიშლიან. ასე რომ, მირჩევნია წავიდე, – ნათიამ შეკრული წარბი მხოლოდ მაშინ გახსნა, როცა თინიკოსკენ შებრუნდა.

– გმადლობ, საყვარელო, ძალიან დამეხმარე. აუცილებლად გავითვალისწინებ შენს რჩევას და ყოველთვის შენი იმედი მექნება.

თინიკომ ნაზად შეახო გაწვდილ ლოყაზე ტუჩები.

– მძღოლს ვეტყვი და წაგიყვანს. – გამოიჩინა ინიციატივა ლევანმა.

– გმადლობ, არ არის საჭირო. ტაქსი უკვე მელოდება. კარგად იყავით, – ნათიამ კიდევ ერთხელ დაუქნია თინიკოს ხელი და შეთქმულივით გაუღიმა.

ლევანმა ფეხსაცმელები პირდაპირ შემოსასვლელში მიყარა და წინდებისამარა შეტანტალდა ოთახში. ზუსტად იცოდა, როგორ გაეღიზიანებინა ცოლი და ასე მისი ჯიბრით იქცეოდა. მაგრამ ამჯერად ქალი არ წამოეგო მის პროვოკაციაზე. უშფოთველი გამომეტყველებით ჩაეშვა სავარძელში და მშვიდად მოუკიდა სიგარეტს. ლევანმა საქმეში „მძიმე ტექნიკა“ ჩართო:

– აბა, რა ქენით, გააფორმეთ საუკუნის შეთქმულება? – ჰკითხა ირონიით.

– ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ პერსონაზე. რატომღაც, გგონია, რომ დღე და ღამე მარტო შენ მყავხარ სადარდებელ-საზრუნავი. ნათიამ კონსულტაციისთვის შემომიარა.

კაცმა თავი დაუქნია:

– რა თქმა უნდა, კონსულტაციისთვის. ვიცი თქვენი კონსულტაციები. დარწმუნებული ვარ, მეც და დათოც, ორივე კარგად დაგვამუშავეთ. მაგ მდედრობითი სქესის ოტელოს კიდევ შენი გადარევა უნდა, ისედაც თავფეხიანი გიჟია?! შეჭმული ჰყავს ბიჭი.

– წესიერად ილაპარაკე. დათოს კი შენი ადვოკატობა არაფერში სჭირდება. ისედაც მშვენივრად ახერხებს თავის დაცვას. სულ არ ეცოდება, საწყალი გოგო, თითქოს სხვის შვილზე იყოს ფეხმძიმედ. არა, კაცები საზიზღარი და უგულო არსებები ხართ. არანაირი პროგრესი არ დაგეტყოთ. თქვენი ინტელექტი და შეგნება ისევ პირველყოფილ დონეზეა. მარტო ინსტინქტები გამოძრავებთ.

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

– რა გითხრა. შეიძლება, მართალიც ხარ. რა ქენი, იცი?! მაინც არაფერს აკეთებ და, იქნებ სერიოზულად მოგეკიდა ხელი ამ თემისათვის?

– რაა?! თინიკო ეჭვით მიაჩერდა ქმარს.

– ჰო, თუ არ ვცდები, ჯერ ამ სფეროში სრულფასოვანი კვლევა არავის ჩაუტარებია. რა გინდა, ცდის ობიექტებიც აგერ გყავართ – მე და ჩემი ძმაკაცები. თანაც, ერთმანეთისგანაც განვსხვავდებით. დამიჯერე, შენს ნაშრომს დიდი წარმატება ექნება. შეიძლება, ნობელის პრემიაც მოგცენ. საყოველთაო აღიარება და მსოფლიოს ფემინისტი ქალების სიყვარული ხომ გარანტირებული გაქვს.

– დამცინი, არა?! კარგი, ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს. – ნიშნის მოგებით გადააქნია თავი ქალმა, – ზოგჯერ ისეთი აუტანელი ხარ, სურვილი მიპყრობს, რამე მძიმე ნივთს დავავლო ხელი და პირდაპირ თავზე დაგიშვა.

– საკუთარ სურვილებზე ყოველთვის უარის თქმა სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს – ფობიებს, მანიაკალურ გადახრებს და ათას პათოლოგიას.

– იდიოტი ხარ!

– აი, ხომ ვამბობ! დროა, იფიქრო ამაზე!

– ლევან, გეყოფა, თორემ მართლა გამომტყუებ რაღაცას. შენი ატანა დღითიდღე შეუძლებელი ხდება. ან გამთენიისას მოდიხარ სახლში და მაშინვე იძინებ, ან მოდიხარ იმიტომ, რომ ნერვები მომიშალო. პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

ლევანმა ცოლს შეხედა. სახეაწითლებულ ქალს თითები უკანკალებდა. შეეცოდა. თინიკო არ იყო დამნაშავე იმაში, რომ ვერაფრით ვერ შეძლო იას დავიწყება.

– კარგი. მოდი, შევრიგდეთ. ბავშვი სად არის?

თინიკომ გაოცება ვერ დამალა:

– ბავშვი? ზურაზე მეკითხები?

– აბა, სხვა ბავშვი ჯერ არ მაღირსე, – გახუმრება სცადა ლევანმა, მაგრამ მის ხუმრობას ცოლის ისეთი რეაქცია მოჰყვა, ინანა, საერთოდ რომ ამოიღო ხმა.

– არც გეღირსება! – მიახალა თინიკომ და თვალები აუცრემლდა, – უსინდისო ხარ. ჩემი სუსტი წერტილი იცი და ამაზე თამაშობ. მე არ გაღირსე, ხომ? შენ მითხარი, რომ ჩემგან შვილი გინდა და მე არ გაგიჩინე? არ გრცხვენია, ამას რომ მეუბნები?

– რა ვთქვი ისეთი, ასე რომ გადაირიე? მე უნდა გითხრა, შვილი რომ გააჩინო? ან, რა შემატყვე, რომ ბავშვი არ მინდა?

– შეგატყვე. მართლა სულელი ხომ არ გგონივარ? ისედაც ვერაფრით მოგაწონე თავი და ფეხმძიმეს ხომ საერთოდ შემიძულებ. წარმომიდგენია, როგორ დაიღრიჯები ჩემი გაბერილი მუცლის დანახვაზე.

– ეგ ყველაფერი შენი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. – გაბრაზდა ლევანი, – შენ გააჩინე და ნახავ, როგორი მამა ვიქნები!

– ექსპერიმენტი ჩავატარო? არა, გმადლობ, ვერ წავალ რისკზე. შენ რა გენაღვლება, თავის გასამართლებლად ჩემი ორსულობა გჭირდება, რომ თავისუფლად იარო კახპებში. არ მოგცემ ამის საშუალებას.

– დროა, ფსიქოლოგს მიაკითხო, – ამოიოხრა ლევანმა, – სანამ კიდევ უფრო დაგმძიმებია მდგომარეობა. მერე შეიძლება, გვიან იყოს.

– ჩემი ფსიქიკა სრულ წესრიგშია და მორჩი ამ პროვოკაციას. ძალიან კარგად მახსოვს, როცა პირველად წამოვიწყეთ ბავშვზე ლაპარაკი, რა მითხარი.

ლევანმა მეხსიერება დაძაბა. შეიძლება, როდესღაც მართლა წამოსცდა ხმამაღლა ის, რასაც ამ საკითხზე ფიქრობდა.

– ვერ გაიხსენე? – სარკასტული ღიმილით ჩაეკითხა ცოლი, – ვის ჰქონია ფსიქოლოგიური პრობლემები?! გინდა, დაგეხმარო? ოჯახში ერთი ბავშვი სრულიად საკმარისია, ყოველ შემთხვევაში, თანაცხოვრების პირველ ეტაპზეო და არც მეორე ეტაპის დაწყება არ გამოგიცხადებია.

– არც შენ გაგიგიჟებია თავი, შვილის გაჩენა მინდაო...

– გელოდებოდი, მაინტერესებდა, როდის მეტყოდი, დროა, შვილზე ვიფიქროთო. ზურა შენი შვილი არ არის, მას სხვა გვარი აქვს. მართალია, შვიდი წელია, შენთან იზრდება და ვერც იმას ვიტყვი, რომ არ ზრუნავ მასზე, მაგრამ საკუთარი შვილის ყოლა მაინც ძალიან მნიშვნელოვანია მამაკაცისთვის.

– რადგან ის მაინც თქვი, რომ ზურაზე ვზრუნავ, ესე იგი, მთლად გადასაგდები არ ვყოფილვარ, – ჩაილაპარაკა ლევანმა, – შენ იცი, რა არ გესმის? რომ მე უამრავი საქმე მაქვს. აღარ მრჩება დრო, რომ შენს საფიქრალზეც მე ვიფიქრო. გინდა, შეგეხვეწო, რომ შვილი გამიჩინო? კარგი, შეგეხვეწები: საყვარელო, გევედრები, დაორსულდი. ძალიან მინდა შვილი!..

– მასხარა ხარ. როგორ შეგიძლია, ასეთ მნიშვნელოვან თემაზეც კი ცინიზმით ილაპარაკო?

– აბა, რა ვქნა? შენ რომ აგყვე და, რასაც მეუბნები, სერიოზულად მივიღო, გავგიჟდები. ისედაც არ მაკლია პრობლემები.

– ხომ ვერ იტყვი, რომ მე ვარ შენი პრობლემა?

– სამაგიეროდ, მამაშენმა მოახერხა იმდენი, რომ თავის ასატკიებელი არ გამომელიოს.

– იმ კაცისგან მაინც რაღა გინდა, რას ერჩი? რაც აქვს, ჩვენთვის აქვს. თავისთვის დაბუნჩულობს. აღარ იცის, როგორ დაგვეხმაროს. შენც პატივს გცემს, მაგრამ ცხვირს თავად უბზუებ. იმიტომ, რომ შენნაირად ვერ აზროვნებს. რას იზამ, სხვა დროში გაიზარდა და სხვა იდეალები აქვს.

– ჰმ, სხვა იდეალები, – ჩაიცინა ლევანმა – მამაშენს მხოლოდ ერთი იდეალი აქვს – ფული. ყველა დროში და ყველა სიტუაციაში, ამაზე მნიშვნელოვანი მისთვის არაფერი არსებობს, შენზე მეტადაც კი უყვარს.

– გეყოფა, მეტისმეტი მოგდის! მამაჩემს რომ ვუყვარვარ, ამაში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება. ისღა გაკლია, ახლა მას გადამამტერო. ფულზე კი არავინ ამბობს უარს. მარტო ის ამტკიცებს,

ფული საზიზღრობაა და არ მჭირდებაო, ვისაც მთელი ცხოვრება პათოლოგიურად არ უმართლებს და ფულის ქრონიკული დეფიციტი აქვს. მაგისთანები უფრო ემონებიან ფულის ძალას. მამაჩემს იმდენი ყოველთვის ჰქონდა, რომ თავი მათხოვრად არ ეგრძნო. არც არასრულფასოვნების კომპლექსს შეუწუხებია ოდესმე.

– იმიტომაც არ მოგწონვარ, ასეთი სუპერმენი მამიკოს პატრონს. არასრულფასოვნების კომპლექსი კი, მაგას რომ აქვს, ისეთი უნდა დღემდე ყოვლისშემძლე ჰგონია თავი.

– რა გინდა, ლევან, რამდენი უნდა მანერვიულო? ყველაფერს აკეთებ იმისთვის, რომ სიცოცხლე აღარ მიხაროდეს და ვინატრო, სახლში საერთოდ არ მოხვიდე!..

– რა სისულელა, ეს არც მიფიქრია. უბრალოდ, მინდა გაიგო, რომ მამაშენი სულაც არ არის ისეთი ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი, როგორადაც თავი მოაქვს. ძალიან ბევრ საიდუმლოს მალავს.

– მამაჩემი თუ რამეს მალავს, მხოლოდ თავის შემთხვევით რომანებს და, წესით, შენ ეს არ უნდა გაწუხებდეს.

ლევანმა თავი გადააქნია:

– დავიჯერო, მართლა ასეთი გულუბრყვილო ხარ, თუ, ჩემთან თამაშობ? რა შუაშია, შემთხვევითი რომანები? როგორ მიაღწია ამდენს, ვისი განადგურება და გზიდან ჩამოცილება დასჭირდა საკუთარი კეთილდღეობისთვის?

– ამას შენ ამბობ?

– ჰო, რატომაც არა? მე არავისზე გადავლით არ მივსულვარ კაბინეტამდე.

– არც მამაჩემია კრიმინალი, თორემ გაუხსენებდით ძველ ცოდვებს. თქვენ ხომ შინაურის და გარეულის გარჩევა არ იცით.

ლევანი ცოლს მიაშტერდა.

– რატომ მიყურებ, სიმართლეს არ ვამბობ? შენი სიმამრობა ვერ უშველიდა და კარგადაც დაფერთხავდით.

– მამაშენს ჰკითხე, მე რა გავაკეთე მისთვის და ის გიპასუხებს. დღესაც ჩემს კაბინეტში იჯდა.

– მამაჩემი?

– დიახ, მამაშენი. მოვიდა და იქაურობის ბატონ-პატრონივით იქცეოდა. ჭკუა დამარიგა, როგორ უნდა ვიცხოვრო. უცნაურია. ამ თაობას რატომღაც მიაჩნია, რომ სწორად იცხოვრა და ახლა ჩვენ გვმოძღვრავს. მაგათი დაშვებული შეცდომებით დაგვექცა ეს ქვეყანა თავზე. მაგრამ შენ ამის დაჯერება არ გინდა. იმიტომ, რომ საკუთარი ცხვირის იქით არ იხედები.

– მამაჩემისთვის უნდა მეთქვა, სიღარიბეში მინდა ცხოვრება-მეთქი? – ტუჩი აიბზუა თინიკომ, – სრულ ჭკუაზე ხარ? მაშინ ყველა იპარავდა რაღაცას, სისტემა იყო ასეთი. შენი ძმაკაცის მამა, ყველანი რომ მისტირით და ლამის წმიდანად შერაცხოთ, უარესს აკეთებდა. ნიკუშას მამაზე მოგახსენებ. ბოლოს თუ აურია და რაც იშოვა, ყველაფერი ქარს გაატანა, ამაში მამაჩემი არ არის დამნაშავე.

ლევანმა არაფერი უპასუხა ცოლს. ნიკუშას ხსენებამ, რაღაც მოაგონა...

***

ოთახში შესულ ჟანს ცოლი ისევ სავარძელში მჯდომარე დაუხვდა. არაფრისმთქმელი მზერა ნახატზე ჰქონდა მიშტერებული.

– საყვარელო, არ ჩაიცვამ? გველოდებიან.

ქალი შეიჭმურხნა:

– აუცილებელია ჩემი წამოსვლა? სიმართლე რომ გითხრა, არ მაქვს სახლიდან გასვლის სურვილი.

კაცი ცოლთან ახლოს მივიდა და თვალებში ჩახედა:

– მარტო მე ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას. რომ არ მოგეწონოს? ორი თვეა, ამ ცხენის ჩამოყვანას ველოდებით. ლორდ ჩარლტონსაც ძალიან უნდა მისი ყიდვა, მაგრამ ჯერ ჩვენ გვაჩვენებენ. ამბობენ, შეუდარებელი რამეა და აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო.

– შენ წადი და თუ ასეთი კარგია, იყიდე, – უხალისოდ ჩაილაპარაკა ქალმა.

– საყვარელო, ცხენები შენი სფეროა. მე შენთვის მინდა, მაინტერესებს, როგორ მოუხდებით ერთმანეთს. მთლიანად შავიაო.

– ჟან, ახლა არ შემიძლია, რამეზე ვიფიქრო.

– მგონი, ნანობ, ინტერვიუ რომ არ მიეცი. შეგვიძლია, დავურეკოთ იმ ჟურნალისტს და ვუთხრათ, რომ გადაიფიქრე.

– არა, არ არის საჭირო.

– მაშინ, ნუ ხარ ასეთი მოწყენილი. ცუდად მოვიქეცი, ამ სურათის ამბავი რომ გავარკვიე. არ იყო ამისი აუცილებლობა. გინდა, გავყიდოთ?

ქალმა ისე შეხედა, რომ კაცი მაშინვე მიხვდა თავისი ნათქვამის უაზრობას.

– შენ ფიქრობ, რომ ეს ახალი ამბავი თქვენს ურთიერთობაზე იმოქმედებს? იქნებ მიხვდეს, რომ შენთან მტრობას მეგობრობა ჯობია. მით უმეტეს ახლა, როცა რამდენიმე მილიონის პატრონი შეუძლია გახდეს. ორი მილიონი ევროც კი არ არის პატარა თანხა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

– მას ფული არ აინტერესებს, – ჩაილაპარაკა ქალმა

– შეუძლებელია. ფული ყველას აინტერესებს.

– ის სხვებს არ ჰგავს, სხვანაირია, უცნაური. არასოდეს მაპატიებს.

– მე ასე არ ვფიქრობ. დედა მაინც დედაა. უბრალოდ, პატარა ბიძგი უნდა. შენ არაფერს აკეთებ სიტუაციის შესაცვლელად.

– მე აღარ ვარსებობ მისთვის. საერთოდ აღარ ვარსებობ, გესმის? – ქალს ხმა აუთრთოლდა.

– არა, არ მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ. მაპატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ თუ მართლა არ უნდა შენი ნახვა, ძალიან, ძალიან ცუდი ადამიანი ყოფილა, – მოიღუშა კაცი და უნებლიეთ ნახატს ახედა.

– ნეტავი, ის ვინც ეს გაჩუქა, ახლა რას ფიქრობს? ალბათ, ძალიან ნანობს, თუკი უკვე იცის, რა განძი გაუშვა ხელიდან...

... კარი ღია იყო. თუმცა, უფრო შეღებული ეთქმოდა. სამაგიეროდ, ხმები ისმოდა გარკვევით და, შესაბამისად – საუბარიც...

ბიჭმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ფერს ნელ-ნელა კარგავდა...

– გეუბნები, არაფერი ყოფილა-მეთქი. ეგ ჩავლილი ამბავია, – უკვე მერამდენედ იმეორებდა ქალი.

– არ მჯერა, არ მჯერა შენი! მაშინ, რატომ დამიმალე, რატომ თავიდანვე არ მითხარი?!

– რა უნდა მეთქვა? წარსულში რისთვის დამეწყო ქექვა? შენ ფიქრობ, მე მსიამოვნებდა იმ შეცდომის გახსენება, რომელიც არ უნდა დამეშვა? ყველაფერი გავაკეთე, ჩემი ცხოვრების ეგ ფურცელი რომ გადამეშალა.

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ გრცხვენია საკუთარი საქციელის, – ხმას აუწია კაცმა.

– ნუ ყვირი, ბავშვი გაიგონებს... – ქალი ჩურჩულზე გადავიდა.

– ბავშვი?!.. ჰო, ბავშვი... ვინ იცის, იქნებ მაგაშიც მომატყუე, იქნებ, არც ეგ არის ჩემი!..

– რას ამბობ?! – შეჰყვირა ქალმა, – როგორ შეგიძლია, ეჭვი შეიტანო იმაში, რაც ყველაზე წმინდაა ჩემთვის?! ნუთუ, ისეთი ზნედაცემული გგონივარ, რომ მზად ხარ, ჩემზე ყველანაირი სისაძაგლე დაიჯერო?

– არ ვიცი... მართლა არ ვიცი, რისი უნდა მჯეროდეს... – კაცის ხმაში სასოწარკვეთა გაჩნდა, – ამდენი წლის განმავლობაში მატყუებდი, მიმალავდი იმას, რომ... არა, არა, არ მჯერა, არ მჯერა, რომ თქვენ შორის არაფერი ყოფილა!

– საყვარელო, მე შენ გამოგყევი ცოლად, ესე იგი, არჩევანი შენ სასარგებლოდ გავაკეთე. ხომ მიცნობ, არ მივეკუთვნები იმ ქალების კატეგორიას, მამაკაცს ყველაფერს რომ პატიობენ. არც ერთდროულად რამდენიმე კაცთან ურთიერთობაა ჩემი სტიქია... მე სხვებს არ ვგავარ. ხომ ამიტომაც შეგიყვარდი?!

– რისთვის შემიყვარდი, ამაზე სულ ვფიქრობ, მაგრამ მე სხვა რამეზე გელაპარაკები – რატომ მომატყუე-მეთქი?

– არ მომიტყუებიხარ. ღმერთო, რამდენჯერ გაგიმეორო ერთი და იგივე?

– მომატყუე! სიმართლე დამიმალე, ეს ტყუილი არ არის?

– შენ არ გიკითხავს ჩემთვის, ვისთან ვცხოვრობდი შენამდე, რატომ უნდა მომეყოლა?

– ჰო, მაგრამ, მე ხომ ვერ წარმოვიდგენდი იმას, რომ... ელენე, ოდნავ თუ მაინც წარმოგიდგენია, რა მდგომარეობაში ჩამაგდე? ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელე... როგორ უნდა ვიცხოვრო ამ ყველაფრის შემდეგ, როგორ?

– დამშვიდდი. არაფრისგან ქმნი ტრაგედიას, დამიჯერე...

– არა, შენ არ გესმის, ან, არ გინდა, რომ გაიგო. როგორ ვიცხოვრო იმ განცდით, რომ „ის“ ყოველდღე მხვდება, „გამარჯობას“ მეუბნება, თვალებში მიყურებს, გუნებაში კი დამცინის. ჰო, დამცინის. რა, არ ვარ დასაცინი?!

– სერგი, ძალიან გთხოვ... – ქალი აცრემლდა.

– რას მთხოვ... აბა, მითხარი, რას? თვრამეტი წელი ჭურში მაცხოვრე. თვრამეტი წლის განმავლობაში ყოველდღე ჰქონდა ჩემი დაცინვის საშუალება იმ ნაძირალას. თან მის წინსვლასაც რომ ვუწყობდი ხელს...

– სერგი, უნდა დამშვიდდე, აუცილებლად უნდა დამშვიდდე, ბიჭის გამო მაინც! უკვე კაცია და არ არის საჭირო, ჩვენ შორის არსებული გაუგებრობის შესახებ იცოდეს.

– გაუგებრობის? შენ ფიქრობ, რომ ეს გაუგებრობაა? დამცინი?

– არა, ამას როგორ მეუბნები, რას ნიშნავს, დაგცინი? მე ყოველთვის შენი ერთგული ვიყავი.

– გაჩუმდი! ახლავე გაჩუმდი, ჭკუიდან არ შემშალო! შენ ლაპარაკობ ერთგულებაზე, შენ?! – კაცს ხმა ჩაუწყდა. ბიჭმა თითქოს იგრძნო, რაღაც საშინელი რომ ხდებოდა, ვეღარ გაუძლო, კარს ხელი ჰკრა და ოთახში იმ დროს შევარდა, მკერდზე ხელმიდებული მამამისი იატაკზე რომ ჩაიკეცა. ბიჭმა მთელი ხმით იბღავლა და კაცს მივარდა:

– მამა! რა გემართება, მამა...

იქვე მდგარი ქალი მისმა ხმამ გამოარკვია, დამფრთხალი მზერა მიაპყრო ქმარ-შვილს და წაიბუტბუტა:

– სასწრაფო.... სასწრაფო გვჭირდება... დარეკე, ნიკუშა...

– მამა! მამა! – ნიკუშამ მხრებში ჩასჭიდა ხელი გაფითრებულ, თვალებდახუჭულ კაცს და ნჯღრევა დაუწყო.

– ფანჯარა გავაღოთ... ჰაერი სჭირდება...

ბიჭმა ერთბაშად იფეთქა:

– აქედან გადი... გადი-მეთქი!

– ნიკუშა, შვილო!..

– გადიი! – ბიჭს კისრის ძარღვები დაებერა... ქალი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა...

სასწრაფომ დააგვიანა. იქნებ არც დააგვიანა, მაგრამ, უფრო ადრე მოსვლაც შეეძლო. ზოგჯერ ხომ წამებსაც აქვს მნიშვნელობა... თუმცა ამ შემთხვევაში, ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. იმ კაცის ბედი იყო გადაწყვეტილი, რომელიც შვილს უსიტყვოდ, მხოლოდ მზერით დაემშვიდობა, სინანულნარევი მზერით, თითქოს პატიებასაც სთხოვდა...

– მითხარი, ვინ არის მამაჩემი... – დედა-შვილს შორის საუბარი დაკრძალვის მეორე დღეს შედგა. ბინაში ჯერ ისევ მძიმე, სპეციფიკური სუნი იდგა, ალბათ, ყვავილების...

– ქალის მზერაში შეშფოთება გაკრთა. გული უსიამოვნოდ მოეწურა..

– რა სისულელეს მეკითხები?

– შეიძლება, სულაც არ არის სისულელე, – ბიჭი თავისი შეუვალი, მკაცრი გამომეტყველებით, თითქოს რაღაცაში ადანაშაულებდა.

– შეიძლება, სულაც არ არის სისულელე-მეთქი. გააჩნია, ამ საკითხს როგორ მივუდგებით. სიმართლე არ იმალება. ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც დადგება დღე, როცა ყველაფერს ფარდა აეხდება. ეს ყოველთვის ასე ხდება. არ გირჩევ ჩემ მტრად გადაკიდებას.

ქალი მიტკალივით გაფითრდა.

– მემუქრები? მე? საკუთარ დედას?

– ძალიან მინდა, დაგემუქრო და მერე ეს მუქარა ავასრულო, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დედაჩემი ხარ, საკუთარ სურვილებზე უარის თქმა მიწევს. იქნებ იმასაც მეტყვი, რომ მისი სიკვდილი შენს სინდისზე არ არის.

– მე არაფერ შუაში ვარ. ტყუილად მადანაშაულებ. მამაშენი მიყვარდა, – შეჰყვირა ქალმა და შვილისკენ მუდარით გაიწოდა ხელები.

– მამაჩემი შეიძლება, გიყვარდა კიდეც, მაგრამ საკითხავია, სერგი თუ იყო მამაჩემი... – კბილები გააღრჭიალა ნიკუშამ.

ქალმა მერე ვეღარ გაიხსენა, როგორ გაიქნია გაშლილი ხელი... ბიჭმა თავის გაწევა ვერ მოასწრო და გვარიანმა ალიყურმა ლოყა აუწვა. დარტყმის ძალა ისეთი დიდი იყო, რომ ნიკუშამ ძლივს შეიკავა თავი, რომ იატაკზე არ ჩაკეცილიყო. ელენემ შეწითლებულ თითებზე დაიხედა...

– მაპატიე, შვილო. მეც არ ვიცი, ეს რატომ გავაკეთე...

– სამაგიეროდ, მე ვიცი, – ნიკუშას თვალები აუელვარდა, – არასოდეს გაპატიებ იმას, რომ მამა მომიკალი... იმ ნაძირალას ვინაობას კი შენ დაუხმარებლადაც გავიგებ... გავიგებ და ანგარიშსაც გავუსწორებ.

***

ვახო მარტო იყო. კაბინეტში იჯდა და საუზმობდა. ნიკუშას დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა.

– ჯიგარი ხარ, სერგეევიჩ. ვიცოდი, რომ არ გადამაგდებდი. გშია?

ნიკუშამ თავი გააქნია უარყოფის ნიშნად.

– მეც გკითხე, რაა... რა თქმა უნდა, გეშიება. აბა, ვინ გაჭმევდა?! მაგარ ჩაის დაგალევინებ, ომლეტსაც ახლავე შევაწვევინებ... თუ ჩემი საფირმო კარტოფილი გირჩევნია?

– მადა არ მაქვს. მარტო ჩაის დავლევ.

– მადა ჭამაში მოდის. არ გაგიგია მაინც?! ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი. შენთვის სერიოზული რაღაც მოვიფიქრე. მართლა მძღოლად კი არ გიშვებ.

– მძღოლადაც ვიმუშავებ. არ მაქვს პრობლემა.

– ვიცი, ვიცი შენი თავმდაბლობის ამბავი. მაგრამ მე გამიტყდება, ძმაკაცი მძღოლად ვამუშაო. სავაჭრო ცენტრში რომ კაფე მაქვს, ხომ იცი? იქ მჭირდება მენეჯერი. აქამდე ვინც მუშაობდა, გათხოვდა და ქმარი აღარ უშვებს. ეჭვიანია.

ნიკუშას გაეღიმა. ვახომ იწყინა.

– რა გეცინება, ტო?! ხომ არ გგონია, ვეთომარებოდი? ღმერთმა დამიფაროს! თანამშრომლებთან ეგეთი რამეებისგან ძალიან შორს ვარ. პროსტო, მაგარი შებერტყილი ტიპია. კაფეში მოდიოდა ხოლმე, ჩვეულებრივი კლიენტი იყო, რა... იქ გაიცნო. ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება, ქალი პატიოსანი იყოს და მუშაობდეს. ჰო აზრზე ხარ, ტიპს როგორ აკლია.

– რატომ აკლია. მე, მაგალითად, მესმის მისი. ქალი სანდო არ არის. არ შეიძლება მაგათი ნებაზე მიშვება. მუჭში უნდა გყავდნენ გამომწყვდეულები და ხანდახან, ისიც ცოტა ხნით, მისცე თავისუფლად სუნთქვის საშუალება.

– შენ ამბობ მაგას? – ლუკმა გაეჩხირა ვახოს, – ვაა, მგონი, აზრები შეგეცვალა. რაც სახლში ზიხარ, უსაქმოდ, სტრანნი გახდი.

– ჰოო? უკვე მერამდენედ მესმის ეგ სიტყვა ჩემი მისამართით. რას ნიშნავს სტრანნი გავხდი? რაში გამოიხატება ჩემი სტრანნობა? რქები ამომივიდა და კუდი გამომება თუ რაშია საქმე.

– შენ რა, გეწყინა, რომ ავარდი?! – განცვიფრდა ვახო, – კუდი და რქები რა შუაშია, ტო?! უბრალოდ, აქამდე სხვანაირად ფიქრობდი.

– იმიტომ, რომ იდიოტი ვიყავი. ყველა ქალი კახპაა. რა, არ იცოდი?

– გეყოფა, თუ ძმა ხარ. რა ჯანდაბა დაგემართა? მე ქალების ფსიქოლოგიის ექსპერტად არ გამოვდგები და არც მაქვს პრეტენზია. მაგათი რომ რამე მესმოდეს, სამ ცოლს კი არ გამოვიცვლიდი.

– სამს თუ ოთხს?! – შეახსენა ნიკუშამ.

– რა მნიშვნელობა აქვს. ერთს რომ ასცდება, ბევრია უკვე. მოკლედ, რას იტყვი, იმუშავებ მენეჯერად?

– სიმართლე გითხრა, არ ვიცი, – ამოიოხრა ნიკუშამ.

ვახო გაშრა.

– ეე, ახლა მოიცა! აბა, აქ რისთვის მოხვედი, ტო?! რას ნიშნავს, არ იცი. აბა, რა იცი? სამუშაო ხომ გჭირდება?

– მჭირდება, მაგრამ სამუშაოზე მეტად სხვა რამე მჭირდება.

– მართალი ხარ. ვატყობ, გუშინ რომ რეცეპტი გამოგიწერე წამლად, არ აგცდება. ერთს მაგრად შეგაჯანჯღარებ და ეგ იქნება. დაგილაგდება ეგ არეული აზრები.

– ნეტავი, მართლა ეგ მიშველიდეს. ძალიან ცუდად ვარ. ოცდასამი წელია, ვიტანჯები და ვგრძნობ, მეტს ვეღარ გავუძლებ.

ვახომ შუბლი მოისრისა.

– მოიცა, მაგდენი რომ არ გამოდის, – იკითხა გულუბრყვილო გაოცებით.

– რა არ გამოდის? – ვერ მიხვდა ნიკუშა.

– დავითვალე და რვა წელზე მეტი, არაფრით გამოვიდა.

– გააჩნია, რა დაითვალე. გეუბნები, ოცდასამი წელია, ვიტანჯები-მეთქი.

– მერე, რატომ იტანჯები? მორჩი, მაგ ბუტიაობას და დაამთავრე!

ნიკუშამ არაფრად ჩააგდო მეგობრის „ბრძნული“ რჩევა.

– ოცდასამი წელია, რაც მამაჩემი მოკვდა. მე კი, ისიც ვერ შევძელი, მთავარ კითხვაზე მეპოვა პასუხი. ვინ ვარ მე, ამის შემდეგ?

– რომელ კითხვაზე? წესიერად ამიხსენი, რაზე ლაპარაკობ?

– ამაზე უკეთესად ვერ აგიხსნი, იმიტომ რომ პასუხი მე თვითონაც არ ვიცი. არადა, ჩემ გარდა სხვა ვერავინ იპოვის პასუხს.

ვახომ ეჭვით შეხედა მეგობარს და შუბლზე მიადო ხელი.

– სიცხე გაქვს? – ჰკითხა თანაგრძნობით.

– რა სიცხე? მომეშვი! არაფერი გესმის...

– რაღაცას აბდა-უბდა ლაპარაკობ მზედაკრულივით და კიდევ მე არ მესმის არაფერი?! – მხრები აიჩეჩა ვახომ, – შენ, მგონი, მართლა ცუდად ხარ. გინდა, დედაჩემს დავურეკავ და მივიდეთ.

– დედაშენი რად მინდა. ჯერ არ გავგიჟებულვარ. ფსიქიატრის გასასინჯი რა მჭირს.

– გიჟი ხარ-მეთქი, არ მითქვამს, მაგრამ დაელაპარაკებოდი. რაღაცას გირჩევდა...

– შენ ვერ გაიგე, რა ვთქვი?! ვერავინ ვერაფერს მირჩევს. ვერც დამეხმარება. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი შველა შეუძლია, მე ვარ.

– მერე, თუ მაგდენი იცი, გულხელდაკრეფილი რას ზიხარ? გაინძერი!

– ნიკუშამ თავი ასწია.

– მართალი ხარ. არ უნდა ვიჯდე გულხელდაკრეფილი. არ მაქვს ამის უფლება.

– მე კი ვერაფერი გავიგე, მაგრამ ვხედავ, რომ შენში რაღაც სასიკეთო ხდება. თუ გინდა, ნურაფერს მეტყვი. ხომ იცი, მე ყველანაირად გვერდით დაგიდგები.

– გმადლობ. ისე, მაგარი იდიოტი ვარ.

– თვითკრიტიკა შესანიშნავი თვისებაა, – გაიღიმა ვახომ, – გეტყობა, გუშინ კარგი სიზმარი ნახე.

– ჰო. ხილვა მქონდა. ზოგჯერ ინტუიციას უნდა ენდო, რადგან ლოგიკა ცუდი მრჩეველია.

– მგონი, მართალს ამბობ. მაგრამ მე, ხომ იცი, როგორი ტიპი ვარ. დღევანდელი დღით ვცხოვრობ და კმაყოფილი ვარ ამით. ფიქრით თავს ვერ ავიტკივებ. წამოხვალ კაფეში?

– კაფეში?!

– ნიკუშ, გინდა, ჭკუიდან შემშალო? ახლა არ მითხარი, თანახმა ვარო?

– თანახმა ვარ, მაგრამ მუშაობა, რა, დღესვე უნდა დავიწყო?

– აბა, რაღას უნდა ვუცადოთ? მე კი არ ვთამაშობ, დავიღალე წინ და უკან სირბილით. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, ვეღარ ავუდივარ.

– ნიკუშამ თავი გადააქნია.

– მეეჭვება, მე გამოგადგე მაგ საქმეში, მაგრამ კარგი. წავიდეთ.

– ახლა გეყოფა, თორემ ავფეთქდები!

– ხომ გითხარი, წავიდეთ-მეთქი. დანარჩენს კი, დრო გვიჩვენებს.

***

ლევანს ყოველთვის აცოფებდნენ უაზროდ ჯიუტი და უზრდელი ადამიანები. ჟურნალისტი კი ზუსტად ასეთი ჩანდა. დიქტოფონმომარჯვებული კართან იყო ჩასაფრებული და გამოსვლა არ დააცადა, მაშინვე ეცა.

– ახლა მაინც დამითმობთ რამდენიმე წუთს? იცოდეთ, უარს არ მივიღებ!

ლევანი შეიჭმუხნა და „მოძალადე“ მუშტრის თვალით შეათვალიერა.

– გარეთ რა ხდება? – ჰკითხა მოულოდნელად, იმ მიზნით, რომ ჯიქურ მომზირალ გოგოს დააბნევდა.

– არაფერიც არ ხდება. მიტინგია, მაგრამ ამას ჩვენი საუბრის თემასთან კავშირი არ აქვს.

– რას მელაპარაკები?! – ყასიდად შეიცხადა ლევანმა, – ხომ გითხარით, დრო არ მაქვს-მეთქი. მგონი, საკმაოდ გარკვევით გაგაგებინეთ ჩემი სათქმელი.

– ჰო, მაგრამ ახლა ხომ გცალიათ. სამუშაო დღე დამთავრდა, სახლში მიბრძანდებით?

– ვინ გითხრათ, რომ ჩემი სამუშაო დღე უკვე დამთავრდა, საიდან მოიტანეთ? ეს რა თავხედობაა.

– მეც ვმუშაობ, ბატონო ლევან. თუ თქვენ სხვა ადამიანების პროფესიას პატივს არ სცემთ?

– ეს უკვე პროვოკაციაა, გოგონი. ძალიან გთხოვთ, წახვიდეთ აქედან და სხვა საქმე გამონახოთ.

– ეს არის ჩემი საქმე. უკვე ორი კვირაა, მაწვალებთ, ბატონო ლევან. ძალიან მჭირდება თქვენი ინტერვიუ.

– მე არ მჭირდება. სრული უფლება მაქვს, არ მოგცეთ ინტერვიუ.

– არა. არ გაქვთ უფლება. თქვენ საჯარო პირი ბრძანდებით და...

– ო, ღმერთო... – ჭერისკენ მიმართა მზერა ლევანმა, – კარგი, რა გაინტერესებთ, რა ინფორმაციის მიღება გინდათ?

– ბატონო ლევან, დამცინით. ინტერვიუ უნდა ჩავწეროთ.

– გოგონი, თქვენ ყოველთვის ასეთი ჯიუტი და მიმწოლი ხართ? ასე შუბლით გაგაქვთ ყველაფერი?

– ბატონო ლევან, რატომ მეჩხუბებით? ეს ჩემი სამსახურია. იმას ვაკეთებ, რაც დამავალეს. სხვათა შორის, თქვენი მეუღლე დამთანხმდა ინტერვიუზე.

ლევანი გველნაკბენივით შეხტა.

– რა?

– დიახ. ქალბატონ თინათინს უარი არ უთქვამს. პირიქით, მკითხა, როგორ გირჩევნიათ, თქვენ მოხვალთ ჩვენთან თუ სადმე შეგხვდეთო.

ლევანი ნელ-ნელა კარგავდა წონასწორობას.

– აი, რა, ჩემო კარგო. ჩემი მეუღლის ტელეფონის ნომერი დაივიწყე და რაც ამ ინტერვიუში უნდა გადაგიხადონ, მე მოგცემ. მითხარი, რამდენი გაქვს ჰონორარი.

გოგონამ თვალები მოწკურა.

– ჟურნალისტის მოსყიდვას ცდილობთ? ბატონო ლევან, იცით, რომ ეს დანაშაულია?

ლევანმა იგრძნო, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა, ისე მოუნდა გოგოსთვის თმაში ჩაევლო ხელი და იქაურობისთვის კინწისკვრით მოეცილებინა, რომ ხელისგულიც კი აექავა. არაადამიანური ძალისხმევით მოახერხა თავის შეკავება და გაიღიმა კიდეც.

– მოდი, ასე შევთანხმდეთ. შენი ტელეფონის ნომერი დამიტოვე. სახლში მივალ, მეუღლეს დაველაპარაკები და დაგირეკავ.

გოგონამ ეჭვით შეხედა. ცოტა ხანს ყოყმანობდა. ლევანი ალალად უღიმოდა.

– კარგი. გენდობით, აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. არ გირჩევთ ჩემს მოტყუებას!

ლევანმა შვებით ამოისუნთქა. ახლა ერთი სული ჰქონდა, სახლამდე დროზე მიეღწია...

ცოლს აუზთან მიაგნო. ქალი ჩალის სარწეველა სავარძელში იჯდა. კოქტეილს წრუპავდა და ღიმილით ადევნებდა თვალს ათიოდე წლის ბიჭის ცურვას. ქმარს მშვიდად ახედა.

– მოხვედი, საყვარელო?

– ჰო. მოვედი. სერიოზულად უნდა გელაპარაკო.

– რამე მოხდა? რა სახე გაქვს? – თინიკოს არ მოეწონა ქმრის გამომეტყველება.

ლევანმა ბავშვს გახედა. გერთან სკანდალის ატეხას ყოველთვის გაურობდა.

– სახლში შევიდეთ, იქ გეტყვი.

ქალმა მხრები აიჩეჩა. მაგრამ ქმრის ნებას დაჰყვა. სასტუმრო ოთახში შევიდნენ. თინიკო ხავერდის დიდ სავარძელში ჩაეშვა. ფეხი ფეხზე გადაიდო და კაცს ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო.

– გელოდები, საყვარელო. ისეთი სახე გაქვს, თითქოს ყური უნდა ამიწიო. დავაშავე რამე?

ლევანმა მაშინვე არ უპასუხა. ბართან მივიდა, ვისკი დაისხა და ჭიქა სანახევროდ გამოსცალა.

– დღეს შენ ვინმემ დაგირეკა?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

– უცნაური შეკითხვაა. ტელეფონი იმიტომ მაქვს, რომ ვიღაცამ დამირეკოს. რა ხდება, ხომ არ ეჭვიანობ?

– ვეჭვიანობ კი არა, ძალიან ვარ გაბრაზებული. რატომ შეუთანხმდი ჟურნალისტს ინტერვიუზე ისე, რომ მე არაფერი მკითხე?

– აა, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. შენგან უნდა ამეღო ნებართვა? არ ვიცოდი, მაგრამ რატომ? იმ ადამიანს მე ვაინტერესებ. სრულწლოვანი ვარ და მგონი, მაქვს უფლება, გადაწყვეტილებები თავად მივიღო.

– თავს ნუ ისულელებ. ძალიან კარგად იცი, რაზე ვლაპარაკობ. იმ ადამიანს შენ კი არა, მე ვაინტერესებ. იმიტომ დაგირეკა, რომ ჩემი ცოლი ხარ. ყურადღების ეპიცენტრში მე ვარ და არა შენ. უფლება არ გქონდა, ჩემთან შეუთანხმებლად, ინტერვიუზე დათანხმებოდი.

– ისღა მაკლია, დებილი ბავშვივით ყველაფერზე ნებართვა გთხოვო, – გაბრაზდა თინიკო, – ბარემ აკრძალვების სია ჩამომიწერე, რომ ვიცოდე, რისი გაკეთების უფლება არ მაქვს. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ჟურნალისტი ჩემით დაინტერესდა. მაღალი წრის ქალი ვარ. ჩვენი ცხოვრება ყოველთვის აინტერესებს საზოგადოებას.

ლევანმა ცოლს შეხედა და როცა მიხვდა, ამას სერიოზულად ამბობდა, სიცილი აუტყდა. თინიკომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

– რა გაცინებს?

– როგორ არ ვიცინო, როცა ასეთ საინტერესო რაღაცას ამბობ. მაღალი წრის ქალი ვარო, რომ გაიძახი, სად არის ეს წრე. ან რა ცხოვრება გაქვთ შენ და შენნაირებს? უსაქმურობისგან აღარ იცით, რა გააკეთოთ. ენის ძარღვები გაქვთ მოდუნებული ჭორაობით. ამ ჟურნალისტს რაც შეეხება, მაგარი თავხედი ჩანს. არ მინდა, ჩვენს ცხოვრებაში შემოვაყოფინო თავის მეტიჩარა ცხვირი.

– მით უმეტეს, არ უნდა ვუთხრათ უარი ინტერვიუზე, თუ ასეთი თავხედია, არ ვარგა ჟურნალისტების გადაკიდება. რა გინდა? შევხვდები, დაველაპარაკები, დასამალი რა მაქვს?

– შეიძლება, დასამალი არაფერი გვაქვს, მაგრამ არ მინდა, მთელმა ქალაქმა იმაზე ილაპარაკოს, როგორ შეგირთე ცოლად და რა გამოგატანა მამაშენმა მზითევში.

– რა პრობლემაა?

– პრობლემა ის არის, რომ არ მინდა, გესმის? არ მინდა! ის ქალბატონი კიდევ რომ დაგირეკავს, ეტყვი, რომ...

– ჰო, რას ვეტყვი... მაინტერესებს, რას მოიფიქრებ მისი თავიდან მოსაცილებლად.

– არაფერსაც არ ეტყვი. არ უპასუხებ მის ზარს და ის იქნება. დანარჩენს მე მივხედავ. თუ ძალიან გამიწყალებს გულს, მის რედაქტორს დავურეკავ. თუ ძალიან უნდათ, სამინისტროს და ჩემი საქმიანობის შესახებ დაველაპარაკები. ერთი სიტყვით, მოვიფიქრებ რაღაცას. მთავარია, შენ არ იტლიკინო იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა.

– ლევან, როდის მიხვდები, რომ იდიოტი არ ვარ. სულ შეურაცხყოფას მაყენებ, დაუსრულებლად. თანაც ისე, რომ სინდისიც არ გაწუხებს. მე კი... მოკლედ, ჩემს რკინისებურ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. თუ იმის მიღწევა გინდა, რომ სახლიდან მე თვითონ გაგაგდო, ვერ ეღირსები. თუ წასვლა გინდა, წადი, არ გიჭერ!

ლევანმა სინდისის ქენჯნა იგრძნო.

– შენთან ჩხუბი არ მინდა. შეურაცხყოფის მოყენებაც არ მიფიქრია. უბრალოდ, ნერვები მაქვს მოშლილი და... ის თავხედი გოგო დღეს ლამის კაბინეტში შემომივარდა.

– რას იზამ? მაგათი პროფესია თავხედობასაც ითვალისწინებს. ამასთან შეგუება მოგიწევს. მიეცი ინტერვიუ და ამით მორჩება ყველაფერი. მოვიდეს სახლში და ველაპარაკოთ ორივე, შენც და მეც. ნუ გეშინია, მაგათთან ურთიერთობის გამოცდილება მაქვს. მამაჩემის წყალობით, მე და დედა ხშირად ვაძლევდით ინტერვიუებს.

სიმამრის ხსენებაზე ლევანი შეიჭმუხნა.

– მამაშენს ნუ შემადარებ, ძალიან გთხოვ. იმ გოგოსთან შეხვედრისგანაც თავი შევიკავოთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, მერე ვნახოთ...

თინიკომ მხრები აიჩეჩა.

– კარგი. როგორც გინდა, მაგრამ რაც მალე მორჩები მაგ საქმეს, უკეთესია. გეუბნები, მაინც ვერ მოიშორებ თავიდან-მეთქი.

ლევანი ცოლთან მივიდა და თმაზე მოეფერა.

– მიდი, ჩაიცვი. ზურასაც უთხარი, ჩაიცვას. წავიდეთ სადმე.

ქალმა უნდობლად შეხედა ქმარს.

– ჰო, რა იყო? არ გინდა, სადმე გავისეირნოთ, რესტორანში ვივახშმოთ.

თინიკო მიხვდა, რომ ლევანი არ ხუმრობდა. გახალისდა და სავარძლიდან წამოფრინდა.

– დათოს და ნათიასაც დავურეკოთ.

– რისთვის? – შეიჭმუხნა ლევანი.

– ერთად უკეთესად გავერთობით.

– როგორც გინდა. თუმცა, მე მერჩივნა, მარტო ოჯახის წევრები ვყოფილიყავით.

თინიკოს სახე გაუბრწყინდა.

– მართლა? მართლა ასე გირჩევნია?

ლევანმა თავი დაუქნია. თინიკოს მაშინვე დაავიწყდა ყველა წყენა.

– რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ...

– ვიცი... – გაეღიმა კაცს და მობილური გამორთო, – მორჩა, გასული ვარ მომსახურების ზონიდან. შენი მანქანით წავიდეთ...

მთაწმინდაზე გრილოდა. თბილისური სიცხე აქ არ იგრძნობოდა. რაღაცნაირი, სხვანაირი სიმშვიდე იყო ირგვლივ. თინიკომ ხელები გაშალა და პატარა გოგოსავით ფეხის წვერებზე შემოტრიალდა.

– რა კარგია... კარუსელებზეც ხომ ვიკატავებთ!

– კარუსელები მეტისმეტია. ვინმემ რომ დამინახოს, მეტი კი არ უნდათ, ისედაც ჩიტირეკიებს გვეძახიან.

– რა სისულელეა... ადამიანი ყველა ასაკში ბავშვად რჩება, რაღაცა დოზით. ამაში ცუდი არაფერია.

– ეგ იმათ უთხარი, ჩემს ოპონენტებს, – ლევანმა გაიცინა. ჯიბიდან საფულე ამოიღო და ზურას ორი ორმოცდაათლარიანი გაუწოდა, – გაერთე. მე და დედაშენი კაფეში დავსხდებით. როცა მოგწყინდება, გვიპოვე.

– არ მინდა, ფული. მაქვს, – ბაბუამ მომცა.

– ჰმ, ვიცი, ვიცი, მაგრამ ესეც გქონდეს.

ზურამ აკოცა და გაიქცა.

– უყვარხარ, იცი? – თინიკომ შვილს გახედა.

– კარგი ბავშვია, მამაშენი რომ არ აგიჟებდეს.

– რას ნიშნავს, აგიჟებს. ბაბუაა და ანებივრებს. ვინ ჰყავს მაგაზე უკეთესი.

– არავინ, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტი მოსდის. დღემდე არ მესმის, რატომ გადაიყვანა ბავშვი თავის გვარზე. ეტარებინა მამამისის გვარი, რა მოხდებოდა?

– ეგ შენი საქმე არ არის.

– რატომ არ არის ჩემი საქმე. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა, ჩემი გვარი ეტარებინა. ოფიციალურად ვიშვილებდი და ასე გაცილებით უკეთესიც იქნებოდა. შვილი რომ გვეყოლება, რატომ უნდა ჰქონდეთ ბავშვებს სხვადასხვა გვარი?

– მოდი, ამაზე სხვა დროს და სხვა ადგილზე ვილაპარაკოთ. ნუ ჩამაშხამებ ამ ბედნიერ საღამოს.

ლევანი გაჩუმდა. ცოლს მხარზე მოხვია ხელი და პარკის სიღრმისკენ გაემართნენ. უცებ ქალის კისკისი შემოესმა. ძალიან ნაცნობი და საყვარელი. სხეულზე თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადაავლეს. კანი დაუბუსუსდა. ნელა მიაბრუნა თავი და გაშეშდა... ის იყო, თხელ, სიფრიფანა სარაფანას ქარი უფრიალებდა და გარუჯული მუხლისთავები მთლიანად უჩანდა. კარუსელი ხან უახლოვდებოდა, ხან შორდებოდა. მისი გამოსახულებაც კინოკადრივით დიდდებოდა და პატარავდებოდა. ლევანმა ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ შეძლო. თინიკომ მკლავზე მოქაჩა.

– წავიდეთ, რა დაგემართა? ვის უყურებ?

– არავის. იცი, რა ვიფიქრე, სადმე, უფრო მყუდრო ადგილას ხომ არ წავსულიყავით?!

ქალი ყურადღებით ჩააშტერდა სახეში.

– რა მოხდა, ლევან?

– არაფერი-მეთქი, არ გესმის? ცოტა აგრილდა. შენ კი ჟაკეტიც არ წამოგიღია.

– დღეს ვერ გცნობ. დიდი ხანია, ასეთი ყურადღებიანი არ ყოფილხარ. ისეთი ყურადღებიანი, რომ მეშინია კიდეც.

– ნუ დაიწყე. უბრალოდ, არ მიყვარს ხალხმრავალი ადგილები. გთხოვ, ზურა მოძებნე და წავიდეთ. ბავშვი წყნეთში ავიყვანოთ, ჩვენ რომელიმე სასტუმროში ნომერი ავიღოთ და პატარა დღესასწაული მოვიწყოთ.

– მე უკვე სერიოზულად მეშინია. მირჩევნია, აქ ვიყოთ. ზურაც ცოდოა. ამოვიყვანეთ და ხუთ წუთში უკან წავიყვანოთ? კარგი შემოთავაზებაა, მაგრამ მოდი, სხვა დროისთვის გადავდოთ.

ლევანმა ამოიოხრა. ქალის კისკისი გუნებას უშხამავდა, მაგრამ თინიკოსაც ვეღარ გაუწია წინააღმდეგობა. თუმცა, ფეხები ლოდებივით ჰქონდა დამძიმებული. თითქოს ძარღვებში გამდნარი ტყვია ჩაასხეს... თინიკომ თითქმის ძალით წაათრია კაფეს მხარეს...

***

დათო ნახევრად თვალებდახუჭული უყურებდა ტელევიზორს. ცოლი სასთუმალთან უჯდა და თავზე ალერსით უსვამდა ხელს. მათი იდილია ტელეეკრანზე გამოჩენილმა კადრმა დაარღვია. ქალის სახემ წუთით იელვა და ოპერატორის კამერა ისევ ნახატზე გადავიდა. დათო წამოხტა.

– ეე, რა ხდება, – უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა ნათია.

– რა ხდება და მომეცი პულტი. მომეცი, ჩქარა! ან ტელევიზორს ხმა მოუმატე, სწრაფად!..

– გადაირიე თუ რა დაგემართა... – აბუზღუნდა ნათია, მაგრამ ტელევიზორთან მაინც მივიდა.

დათო დაძაბული უსმენდა ჟურნალისტის კომენტარებს და დროდადრო შუბლს ისრესდა... სიუჟეტი რომ დასრულდა, გაიღიმა... გაშტერებულ ცოლს მხარზე მოხვია ხელი და მხიარულად ჩაუკრა თვალი.

– ვაა, ეს რა მაგარი ამბავი გავიგე... კონიაკი გვაქვს სახლში?

– არ ვიცი. ვნახო?

– არ გინდა. უკეთესი რაღაც მოვიფიქრე, ჩაიცვი და რესტორანში წავიდეთ, დღეს ისეთ მაგარ გუნებაზე ვარ, კარგად უნდა მოვილხინო.

დათომ განცვიფრებული ცოლი ჰაერში აიტაცა და დააბზრიალა...

ბოღმა არ შეიძლება იყოს უწყინარი, არც დროებითი. თუ ერთხელ ჩაგავლო კლანჭი, მორჩა, მერე მისგან თავის დახსნა ადვილი არ არის. ისე, ჩემთვის ვარ დაბოღმილი და სხვას არ ვერჩიო, ამის თქმა გულუბრყვილობაა, საკუთარი თავის მოტყუება და მეტი არაფერი. ბოღმა იმაზე გაცილებით საშიშია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ექიმები დიაგნოზს ვერ დაგისვამენ, ისე შემოგეჩვევა უძილობა, თავის ტკივილი, უგუნებობა და, ერთი სიტყვით, ყველაფერი ცუდი. არავინ თქვას, ცხოვრებამ დამბოღმაო. ესეც სისულელეა. ან ხარ ბუნებით ასეთი, ან – არა, სხვა ალბათობა, უბრალოდ, არ არსებობს. ერთი სიტყვით, თუ თქვენი ახლობელი გეუბნებათ, რომ ცხოვრებამ გააბრაზა და მისი ბოღმაც აქედან მოდის, ნუ დაუჯერებთ. ის ბავშვობაშიც ბოღმიანი იქნებოდა. მაგრამ, ძალიანაც ნუ ინერვიულებთ, ყველაზე მეტად საკუთარ თავს დააზარალებს. უძილობა-თავის ტკივილზე უკვე ვილაპარაკეთ...

***

დათო პირველად განაცვიფრა ცოლის მადამ. ნათიამ ყველაზე ძვირიანი კერძები შეუკვეთა და ბოლოს ისეთ ძვირფას ღვინოს დაადო თითი, რომ კაცმა თავი ვეღარ შეიკავა:

– შენთვის რომ დალევა არ შეიძლება?!

ქალმა მხრები აიჩეჩა:

– ვინ გითხრა, რომ არ შეიძლება? დათრობას კი არ ვაპირებ. ერთი ჭიქა კი არც მე მაწყენს, არც ბავშვს. დანარჩენს შენ დალევ.

– ჰო, მაგრამ... – დათო შეყოყმანდა.

– რა „მაგრამ“, – ტუჩები გაბუსხა ნათიამ, – ხომ არ გეძვირა? იქნებ, დაგენანა? ძლივს რესტორანში წამოყვანა მაღირსე და ახლა არ დამიწყო... სხვათა შორის, შენი იდეა იყო. შენ გამოიჩინე ინიციატივა. ზეიმი მინდა მოვიწყოო, არ თქვი? ჰოდა, მაზეიმე. არ იწუწუნო და არ ჩამაშხამო ეს მშვენიერი საღამო.

– არა. არ ვწუწუნებ. უბრალოდ, ცოტა გაკვირვებული ვარ, ამდენი როგორ უნდა შეჭამო.

– რასაც ვერ შევჭამ, დაგიტოვებ, – თვალის დაუხამხამებლად მიუგო ნათიამ და ეშმაკურად ჩაიღიმა: თინიკოს რჩევის მიხედვით მოქმედებდა და ქმრის ბიუჯეტს საგრძნობი დარტყმა მიაყენა. იქნებ, შედეგი ისეთი ვერც მიეღო, მაგრამ დათოს სახის გამომეტყველებამ უკვე მიანიჭა სიამოვნება.

– ხვალ საყიდლებზე მინდა წასვლა. მოიცლი?

– მოვიცლი?! – დათომ ღვინო მოსვა და მოიღუშა. ძუნწი არ იყო, მაგრამ ერთ ბოთლ ღვინოში ამდენი ფულის გადახდა მაინც დაენანა, – ჰო, რა მკითხე? რისთვის უნდა მოვიცალო?

– საყიდლებზე მინდა წასვლა-მეთქი. ბავშვისთვის იმდენი რამე გვჭირდება. მე კი ჯერ არაფერი შემიძენია.

– რომელი ბავშვისთვის? – დათომ მაშინვე ვერ გააცნობიერა ცოლის ნათქვამი.

– რას ნიშნავს, რომელი ბავშვისთვის? დაგავიწყდა, ფეხმძიმედ რომ ვარ? – ეწყინა ნათიას და ქმარს საყვედურით შეხედა.

– მაგას რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ ცოტა ადრეა. აუცილებლად ხვალ რატომ უნდა წავიდეთ საყიდლებზე? მოვასწრებთ.

– შენი გადამკიდე, ვერაფერსაც ვერ მოვასწრებთ. ჯერ ერთი, ჩემს შვილს ბაზრობაზე ნაყიდ ტანსაცმელს არ ჩავაცმევ. მეორე, ვინ გითხრა, რომ ხუთი თვე გვაქვს წინ, შვიდთვიანი რომ დაიბადოს? მერე რაღას იზამ, მითხარი, რას იზამ?

– შვიდთვიანი რატომ უნდა დაიბადოს? – გაეღიმა დათოს ცოლის ახირებაზე.

– ტყუილად იცინი. ხომ არ გგონია, ცხრა თვის ორსული ვირბენ მაღაზიებში! საერთოდ არ ფიქრობ ჩემზე. შენს მეგობრებზე უარესი ხარ. ეგოისტი. საკუთარი თავის გარდა არავინ გიყვარს.

– ტყუილად მიბრაზდები, – დათომ სცადა, ცოლისთვის ხელზე ეკოცნა, მაგრამ ნათიამ მაშინვე გამოსტაცა ხელი და გულმოსულმა შესძახა:

– თავი დამანებე! არ გიყვარვარ, საერთოდ არ გიყვარვარ!

– პირიქით, ძალიან მიყვარხარ და არ მინდა, ტყუილუბრალოდ ინერვიულო. მე თვითონ წავალ და ყველაფერს ვუყიდი, რაც საჭირო იქნება.

– უყიდი, როგორ არა, შენ თუ მოგანდე ეგ საქმე...

დათომ ამოიოხრა:

– კარგი. წავიდეთ ხვალ საყიდლებზე. სიმართლე გითხრა, ამის გაკეთება თვის ბოლოს მერჩივნა, მაგრამ, ისეთი რა უნდა იყიდო, რომ ფული არ მეყოს?

– ვნახოთ, – ნათია ისევ გახალისდა, – შეიძლება, არ გეყოს კიდეც. საბავშვო ეტლი მინდა, საწოლი, აბაზანა, ტანსაცმელი...

– საწოლი და აბაზანა გასაგებია, მაგრამ ეტლი მერეც შეიძლება, ვუყიდოთ. უცხოეთში წავალ და იქიდან ჩამოვუტან საუკეთესო ეტლს. იცი, რა აჯობებს? თვის ბოლოს მე და შენ იტალიაში ან გერმანიაში წავიდეთ. ბავშვისთვის ყველაფერი ვიყიდოთ, ჩვენც დავისვენოთ და ჩამოვიდეთ.

ნათიას ქმრის სიტყვები ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ თანხმობა მაინც არ უთქვამს – ჯერ თიკასთვის უნდა ეკითხა და ამიტომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– ვნახოთ, მოვიფიქრებ. შეიძლება, მართალი ხარ. ჩემს ექიმს დავურეკავ და შევეკითხები. მგონი, თვითმფრინავი არაფერს მავნებს.

– რა უნდა გავნოს, მშვენივრად ხარ, არაფერი გაწუხებს.

– მშვენივრად იმიტომ ვარ, რომ არ ვწუწუნებ? – ხმა გაიმკაცრა ნათიამ, – შენ კი მაინც არ მითხარი, რატომ ხარ ასეთ კარგ გუნებაზე, რას ვზეიმობთ. მეც მინდა, ვიცოდე.

– ისეთს არაფერს. ძველი ამბავია და შენ არ გეხება. რაღაც გავიგე, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

– ძველი შეყვარებული ხომ არ გასცილდა ქმარს? – გესლიანი ღიმილით დაინტერესდა გოგო. მის გულში ეჭვმა ახალი ძალით იფეთქა.

– ვინ ძველი შეყვარებული, რა ქმარი... რატომ ხარ ასეთი ეჭვიანი? – გაიცინა დათომ, – მორჩა ეგ ამბები, მორჩა და ფიქრით თავს ნუღარ დაიღლი. ისე, შენამდე სერიოზულად არავინ მყვარებია. მართლა არ ვყოფილვარ შეყვარებული.

– არ მჯერა.

– რატომ? დასამალი რა მაქვს. ვინმე რომ მყვარებოდა, ოცდაჩვიდმეტი წლის კი არ დავოჯახდებოდი.

– ჩემი დამსახურებაა, საერთოდ რომ დაოჯახდი, – დააყვედრა ცოლმა. დათოს არ სწყენია:

– ჰო, შენი დამსახურებაა. იმიტომაც გითხარი, სერიოზული გრძნობა შენამდე არ მქონია- მეთქი, ნიკუშასა და ლევანისგან განსხვავებით...

ნათიამ ყურადღება დაძაბა:

– ოო, ეს უკვე საინტერესოა. რა თქვი, ლევანისგან და ნიკუშასგან განსხვავებითო?! მათი ყველა სასიყვარულო ისტორია იცი?

– ვიცი, – თავი დაუქნია დათომ, – არც იმდენი ჰქონიათ, შენ რომ გგონია. ნიკუშა საერთოდ მძიმე შემთხვევაა. მოჯადოებულივით არის, ქვრივი ქალის დაწყევლილივით და, მგონი, ლევანსაც გადასდო, – წამოსცდა დათოს და ცოლს შეცბუნებულმა შეხედა. მიხვდა, ზედმეტი რომ წამოროშა. ნათია წარბშეუხრელად განაგრძობდა სალათის ჭამას, თითქოს არც გაუგონია, რა თქვა დათომ. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა ღვინით სავსე ბოკალი მიიტანა ტუჩებთან და ქმარს ალალად შეჰღიმა.

– მომიყევი, რაა!.. ვგიჟდები სასიყვარულო ისტორიებზე. მით უმეტეს, თუ რაღაც განსაკუთრებულია. მიდი, მიდი, ცოტას გავერთობით.

დათო შეყოყმანდა:

– თიკას ხომ არაფერს ეტყვი?

– რა თქმა უნდა, არა, – ასე ცუდად მიცნობ? – იწყინა ნათიამ.

– რა ვიცი, აბა, ქალებს ცოტა გრძელი ენები გაქვთ. რომ წამოგცდეს?!

– თუ არ გინდა, ნუ მეტყვი, – გაიბუსხა გოგო, – სულელი ვარ. არ უნდა წამოგყოლოდი.

– აუ, ნათი, არ გამიბრაზდე, რა... შენი წყენინება არც მიფიქრია. უბრალოდ, თიკას ხომ იცნობ, არა მაქვს მაგის ისტერიკების თავი.

– გითხარი, არ ვეტყვი-მეთქი. რად გინდა ისეთი ცოლი, რომელსაც არ ენდობი?

– მართალი ხარ. მოკლედ, ცოტათი ჩახლართული ამბავია. ნიკუშას და ლევანს ჩვენი კლასელი უყვარდათ და, მგონი, ახლაც უყვართ. ნიკუშას რომ ახლაც უყვარს, ზუსტად ვიცი.

– მერე?

– რა „მერე“?! – დათომ ისევ გაიცინა, – „შორით წვა და შორით დაგვაო“, არ გაგიგია? ნიკუშას კი უყვარს, მაგრამ ცოლად ვერ ირთავს.

– რატომ ვერ ირთავს?

– უფრო სწორად, არ ირთავს.

– რატომ-მეთქი?..

– იმიტომ, რომ იდიოტია. ლევანმა კი ბოღმა ჩაიდო გულში. საყვარელ ქალზე მეგობრის გამო თქვა უარი, იმ მეგობარმა კი ცოლად არ შეირთო და, ფაქტობრივად, მსხვერპლი უაზრო გამოუვიდა.

– მოიცა, მოიცა! თუ ლევანს სხვა უყვარდა, ცოლად თიკა რატომ შეირთო?

– უცოლოდ რომ არ დარჩენილიყო.

– რატომ დასცინი მეგობარს? ვერაფერს ვხედავ ამ ამბავში სამხიარულოს. პირიქით, ძალიან უსიამოვნო რაღაც გავიგე. ლევანს რომ თიკა არ უყვარდა, ვგრძნობდი, მაგრამ, ალბათ, საშინელებაა წვებოდე ერთ ქალთან და მეორეზე ფიქრობდე. საცოდავია ეგ შენი ძმაკაცი.

დათო შეიჭმუხნა:

– მაგაზე არ მიფიქრია. უცნაურია, რომ შენ ასე სწრაფად მიხვდი ამას.

– არ სჭირდება განსაკუთრებული მიხვედრილობა, – ნათიამ ფრთხილად დაუსვა გაპრიალებულ დანას თითები, – საწყალი თიკა... საწყალი ლევანი... ის გოგოც ცოდოა... აი, ნიკუშა კი არ მეცოდება.

– ეჰ, შენ ყველაფერი არ იცი. ის რომ იცოდე, რაც მე ვიცი, დამიჯერე, ნიკუშასაც შეიბრალებდი, თანაც გულწრფელად.

– ვითომ? – დაეჭვებულმა გადააქნია თავი ნათიამ, – არ მიყვარს პესიმისტი მამაკაცები. ვცოფდები, როცა კაცი ცდილობს, თავი შეგაცოდოს. ამით მარტო საკუთარ პიროვნებას კი არა, მთელ სქესს აყენებს შეურაცხყოფას.

– არ ვიცი, ეგ ცოტა რთული საკითხია. ნიკუშა ძალიან შეიცვალა მამამისის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, თითქოს სიცოცხლის ინტერესი დაკარგა.

– იმიტომ, რომ უზრუნველ ცხოვრებას იყო შეჩვეული. არ უნდა, ფული საკუთარი შრომით იშოვოს. უფრო სწორად, ფული უნდა, ხელის განძრევა კი – არა.

– არა ხარ მართალი, შენ არ იცნობ ნიკუშას. ფული ფეხებზე ჰკიდია. ასე რომ არ იყოს, დიდი ხნის წინ შეურიგდებოდა დედამისს. იცი, როგორი მდიდარია?

– ჰო, შენ მეუბნებოდი, ვიღაც ფრანგ მილიონერს გაჰყვა ცოლადო.

– მარტო ეგ არ არის. დღეს ისეთი რაღაც გავიგე, რომ, თუ ეს სიმართლეა, მისი ქმრის მილიონებს მისი პირადი მილიონებიც დაემატება. წარმოგიდგენია?! და ეს ყველაფერი, შეიძლება, ნიკუშას დარჩეს, თუ, რა თქმა უნდა, აჯობებს თავის სიჯიუტეს და დედამისს შეურიგდება.

– არ შეურიგდება და იქნება ჯიბეგამოფხეკილი. იცი, მე არ მესმის მაგ შენი ძმაკაცის, არც თქვენი. რატომ არ ეუბნებით, რომ იმ ქალს განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია. ქმარი მოუკვდა და გათხოვდა, მერე რა...

– ეს შენ ფიქრობ ასე. ნიკუშამ მტკივნეულად განიცადა დედის გათხოვება. ქალებისთვის ძნელი გასაგებია, მაგრამ მე ვხვდები, რა ხდება მის გულში. თუმცა, ამ ახალმა ამბავმა, შეიძლება, სიტუაცია შეცვალოს. ია კი მართლა ცოდოა. ისეთი კარგი გოგოა, ნიკუშამ კი გაუთხოვარი დატოვა.

– და... შენ ძალიან განიცდი ამას? – წარბი შეიკრა ნათიამ, – გინდა, მაეჭვიანო?

– ეე, ხომ გითხარი, ნიკუშას და ლევანს უყვარდათ-მეთქი. მე და ვახო არაფერ შუაში ვართ.

– ვახოზე საერთოდ ნუ მელაპარაკები, მოახერხა და სამი ცოლი გამოიცვალა. როგორ ფიქრობ, მშვიდად ვიქნები, როცა ვიცი, რომ ასეთი მრჩევლები გყავს?

– ნათი, გეყოფა, რა შუაშია მრჩევლები, ამას რატომ ამბობ, რა შემამჩნიე საამისო? უშენოდ არსად დავდივარ, ფეხსაც არ ვდგამ სახლიდან შენთან შეუთანხმებლად.

– ოჰ, ოჰ, ნუ მოისაწყლე თავი! ვიღაც რომ გისმენდეს, იფიქრებს, მუჭში მყავხარ გამომწყვდეული. არ არის ასე? – ყასიდად შეიცხადა ნათიამ და ერთბაშად დასერიოზულდა. იცი რა, ახლა კიდევ უფრო ვბრაზობ ნიკუშაზე. მოეყვანა, რა, ცოლად ის ქალი და ლევანიც იძულებული გახდებოდა, ცოლი შეეყვარებინა.

– ნათი, ნათი... – თავი გადააქნია დათომ, – იძულებით სიყვარული შეიძლება?!

– თქვენთვის, კაცებისთვის ყველაფერი შეიძლება. ყველანი ერთნაირები ხართ. ნეტავი, თიკამ იცის იმ ქალის არსებობის შესახებ?

– იმ ქალის არსებობის შესახებ ყველამ იცის, იმიტომ, რომ ჩვენი თანაკლასელი იყო. აი, შენ კი არ გირჩევ, თიკას საქმის კურსში ჩაყენებას, არ არის საჭირო. მიხედავენ საკუთარ ურთიერთობებს როგორმე. მით უმეტეს, რომ ლევანს იასთან საერთო არაფერი აქვს.

– რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული? ლევანი შენ არ ჩაგაბარებდა ანგარიშს.

– იმიტომ ვარ ასეთი დარწმუნებული, რომ იასაც ვიცნობ და ლევანსაც. ჩემი მეგობარი არაფერს გააკეთებს ისეთს, რაც მის წინსვლას ხელს შეუშლის – ახლა უკვე ზუსტად ვიცი ეს.

– რას გულისხმობ?

– ისეთს არაფერს. კიდევ რამეს ხომ არ ინებებს ჩემი პრინცესა?

– ინებებს. პირობა უნდა მომცე, რომ არასოდეს მომატყუებ.

– არ მოგატყუებ, საყვარელო, არა... – დათო ცოლისკენ გადაიხარა და ლოყაზე აკოცა. ქალმა ხელისგულით გაიწმინდა ნაკოცნი ადგილი.

– მაკოცე-მეთქი, არ მითხოვია.

– მაგას თხოვნა რად უნდა, საყვარელო. ხომ იცი, რომ ჩემი მთავარი სისუსტე ხარ, ჭკუიდან შემშალე ამხელა კაცი.

– ნუ იგონებ. დიდი ოხერი ვინმე ხარ, არაფრიდან არ შეიშლები. იმ შენს ძმაკაცებს უთხარი, გონს მოეგონ. შერთეთ ნიკუშას ცოლი, შეარიგეთ დედამისთან და ყველა მოისვენებს.

– რა კარგად თქვი – ყველა მოისვენებსო... შენ ამის გაკეთება ადვილი გგონია?! ნიკუშა ვირზე ჯიუტია. თანაც, მე რა უფლება მაქვს, მის პირად ცხოვრებაში ჩავერიო?

– ხომ ეხმარებით?! შენ კი არაფერს მეუბნები, მაგრამ სულელი არ ვარ, ვერ ვხვდებოდე, რომ ფაქტობრივად, თქვენ არჩენთ.

– ნიკუშამ მუშაობა დაიწყო, ვახოსთან, – ჩაილაპარაკა დათომ.

ნათიამ გაიცინა:

– ნეტავ შენ, თუ მართლა გჯერა, რომ ნიკუშა როდისმე სერიოზულად მოჰკიდებს საქმეს ხელს. პირადად მე ეჭვი მეპარება ამაში.

დათომ არ უპასუხა და ნათიამ გადაწყვიტა, რომ მის ქმარს სათქმელი არაფერი ჰქონდა...

***

ამჯერად თაიგულთან ერთად ძვირფასი სუნამო იყო. იამ ვერ მოასწრო, კურიერისთვის უკან გაეტანებინა საჩუქარი. ბიჭმა, რომელმაც ყვავილები და ლამაზად შეფუთული კოლოფი მოიტანა, შეიძლება, არც იცოდა გამომგზავნის ვინაობა. მან დავალება შეასრულა, რაშიც ფული გადაუხადეს, მორჩა და გათავდა! ქალი მიხვდა, რომ მალე ნერვები უმტყუნებდა. ძალიან დაღალა ამ სულელურმა, ბავშვურმა თამაშმა. მობილური აიღო და ცნობარში ნომერი მოძებნა. დიდხანს არავინ უპასუხა, მერე ქალის ხმა გაიგონა.

– ალო... გისმენთ!

იამ ტელეფონი გათიშა. „ჯანდაბა. ცოლისთვის მიუცია თავისი ნომერი ან, შეიძლება, საყვარლისთვის... თუმცა, რატომ ვმკითხაობ, რაში მაინტერესებს მისი პირადული ამბები. მთავარია, მე დამანებოს თავი, სანამ ჭკუიდან შევშლილვარ... დარწმუნებული ვარ, ეგ არის. ალბათ, ფიქრობს, რადგან თანამდებობას მიაღწია, ჩემთანაც ყველაფერი გამოუვა... ვახო უნდა ვნახო...“

ქალმა ხალათი სავარძელზე მიაგდო და სააბაზანოსკენ შიშველი გაემართა. შხაპის ქვეშ მდგარი ფიქრს განაგრძობდა. საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობდა, რომ ნიკუშას მიმართ გრძნობა არ ჰქონდა, მაგრამ გულის სიღრმეში ხვდებოდა ამ მცდელობის უაზრობას. წყლის ხმაურში ძლივს გაიგონა ზარის ხმა. გაუკვირდა. არავის ელოდა. დედამისი დასთან იყო წასული და კიდევ კარგა ხანს არ ჩამოვიდოდა. სველ ტანზე პირსახოცის ხალათი მოიცვა და ფეხშიშველი გაემართა კარის გასაღებად. გააღო და გაშეშდა. გაოგნებულს, დაუპატიჟებელი სტუმრის შინ შეპატიჟებაც არ გახსენებია, პირდაპირ ზღურბლთან დაუწყო ჩხუბი.

– შენ აქ რა ჯანდაბა გინდა?

კაცმა შეშფოთებით მიმოიხედა:

– ნუ ყვირი, ძალიან გთხოვ. სახლში შევიდეთ.

იამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გზა დაუთმო, მაგრამ ტონი არ შეუცვლია.

– სულ ტყუილად შეიწუხე თავი აქ მობრძანებით. შენი გამოგზავნილი ყვავილებიც მომიტანეს. ასე რომ, ძვირფას დროს ნუ დაკარგავ, არ ვღირვარ ამად.

– არ შეგიძლია, ამოისუნთქო და ორი წუთით მაინც მომცე საშუალება, ჩემი მოსვლის მიზეზი გითხრა?

– ისედაც ვიცი, არაფრის თქმა არ მჭირდება!

– ია, გეყოფა, რამ გაგაკაპასა, ასე? მოდი, რა, დამშვიდდი. დავსხდეთ, ყავა დამალევინე. მახსოვს, ძალიან გემრიელ ყავას ხარშავდი.

ია ცოტა დაცხრა. ნაცრისფერი თვალები ოდნავ მოჭუტა და კაცი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა:

– გასუქებულხარ, ვაჟბატონო, ღიპი დაგდებია...

– აი, ეს უკვე სხვა ლაპარაკია. როგორ ხარ, საყვარელო?

– შენი „ფრეზენთების“ გადამკიდე, არაჩვეულებრივად. იმედია, მეტყვი, რამ გაგახსენა ჩემი თავი. წესით, ძალიან ბევრი საქმე უნდა გქონდეს.

– მაქვს კიდეც, – კაცმა ოთახში მიმოიხედა და სავარძელზე ჩამოჯდა, – აქ არაფერი შეცვლილა.

– ჰო, მარტო მე შევიცვალე, – ორაზროვნად ჩაიღიმა ქალმა, – ასაკი მომემატა.

– არაფერიც. ისევ ისეთი ლამაზი ხარ, როგორიც იყავი. თუმცა, არა, კიდევ უფრო გალამაზდი. სველი თმით და მაგ ხალათით წყლის ფერიას ჰგავხარ.

– შეგეშალა, სირინოზს... – „შეუსწორა“ იამ და ხალათზე დაიხედა, – წავალ, ჩავიცვამ. ყავასაც მოგიდუღებ.

– არ ჩაიცვა. მე ასე უფრო მომწონხარ.

– გეყოფა მაიმუნობა, არ გეკადრება მინისტრ კაცს, – დასცინა ქალმა, – საფერფლე საწერ მაგიდაზეა, კომპიუტერთან.

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა. საფერფლეს მართლაც კომპიუტერის გვერდით მიაგნო. იქვე, ხის ორიგინალურ ჩარჩოში ჩასმული ფოტოც დაინახა. ხელში აიღო და დააშტერდა. სურათზე ხუთივენი იყვნენ გამოსახული: ვახო, ნიკუშა, დათო, ლევანი და ია. გოგო ვახოს ეჯდა კალთაში. ფეხები დათოსა და ლევანის მუხლებზე ეწყო და მკლავით ნიკუშას მუხლისთავს ეყრდნობოდა. ოთხივეს ბედნიერი და მხიარული სახეები ჰქონდათ. ოთხივეს იმიტომ, რომ მხოლოდ ლევანს ჩამოსტიროდა თავ-პირი სრულიად გასაგები მიზეზის გამო: მაშინ დარწმუნებული იყო, რომ იას საბოლოოდ კარგავდა. ორი დღის შემდეგ სკოლას ამთავრებდნენ. ნიკუშას გადაწყვეტილი ჰქონდა, ბანკეტის ღამეს აეხსნა იასთვის სიყვარული და ცოლობაც ეთხოვა. ბიჭებში წაიტრაბახა, ბეჭედი უკვე შეკვეთილი მაქვს უზარმაზარი ბრილიანტით. ია შოკში უნდა ჩავაგდოო... ბანკეტის დღეს კი მოხდა ის, რამაც თავდაყირა დააყენა ყველაფერი, სამას სამოცი გრადუსით მოაბრუნა ბედისწერის ისარი, თანაც, ნიკუშას სასარგებლოდ არა... ლევანმა მაშინ შანსი გაუშვა ხელიდან. გაუშვა შეგნებულად. და ამას კაცური გადაწყვეტილება უწოდა...

– გახსოვს, როგორი ბედნიერები ვიყავით? მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო...

– იამ ფოტოსურათი გამოართვა:

– ზოგჯერ ისე მეშლება ნერვები...

– ნიკუშა ისევ გიყვარს... ხომ მართალია?

იამ სიგარეტს მოუკიდა და ლევანს წყენით შეხედა:

– აქ ამის გასარკვევად მოხვედი? ამდენი წლის შემდეგ ისევ აქტუალურია შენთვის ეს შეკითხვა? უცნაურია, ძალიან უცნაური...

– რატომ არის უცნაური? შენ ხომ იცი, რომ ჩემთვის სულერთი არასდროს ყოფილხარ.

– არ გინდა, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, – იამ სურათი საწერი მაგიდის უჯრაში ჩააგდო და შემობრუნდა:

– მაშ ასე, რატომ ცდილობს ბატონი მინისტრი ჩემი ყურადღების მიპყრობას, რაშია საქმე? გიცნობ და ვიცი, სერიოზული მიზეზი რომ არ გქონდეს, ასე არ დაიხარჯებოდი. დავიღალე შენი თაიგულების უკან დაბრუნებით.

– ესე იგი, იცოდი, ვინ გიგზავნიდა ყვავილებს და მაინც უკან მიბრუნებდი... საცურაო აუზის აბონემენტზე მაინც რატომ თქვი უარი, ცურვა ხომ ძალიან გიყვარს?

– ვერ ხვდები, რატომ? უფრო მიხვედრილი მეგონე.

– ქალების ყოველთვის ცუდად მესმოდა, – თავი მოისაწყლა ლევანმა.

იამ ჩაიცინა:

– ეშმაკობა არასოდეს გაკლდა. მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. რადგან სახლში მეახლე და შენ ხარ ამ საუბრის ინიციატორი, დამალობანას თამაშს რაღა აზრი აქვს.

– გეთანხმები.

– ჰოდა, თუ მეთანხმები, მითხარი, რატომ გახდი ერთბაშად ასეთი ყურადღებიანი. ოღონდ, არ თქვა, რომ მონატრებამ შეგაწუხა ან ძველი სიყვარული გაგახსენდა. ძალიან ბანალურია და შენ არ გეკადრება.

– იცი, რომ მიყვარდი?

– ლევან, გუშინ ხომ არ გაგიცანი, რა უნდოდა მაგის მიხვედრას? თუ ქალი ამბობს, რომ ვერ ხვდება, რას გრძნობს მის მიმართ მამაკაცი, იტყუება. ის კი არა, ველოდი კიდეც, რომ სიყვარულს ამიხსნიდი.

– და ახლა გგონია, მაგიტომ მოვედი შენთან?

– არა, ეს არ მგონია. რომ მგონებოდა, სახლში არ შემოგიშვებდი...

– ჰოო?! – ლევანმა ყავა მოსვა და დაიჭყანა, – გაცივებულა. ესე იგი, სახლში არ შემომიშვებდი...

– რატომ უნდა შემომეშვი?

– კარი ისე გამიღე, არც გიკითხავს, ვინ ვიყავი...

– შეცდომა მომივიდა, მაგაში მართალი ხარ, ბატონო მინისტრო, მაგრამ იქნებ, დროულად მითხრათ სათქმელი და მიბრძანდეთ აქედან? წასასვლელი ვარ.

– ცოტა გვიან ხომ არ გაგახსენდა ეგ ამბავი?

– როცა საჭიროა, მაშინ გამახსენდა. მითხარი, რა გინდა ჩემგან!

– ყოველ შემთხვევაში, ის არა, რასაც ფიქრობ.

– შენ რა იცი, მე რას ვფიქრობ? – მოიღუშა ია.

– ვიცი, – მოუჭრა კაცმა და დაჟინებით მიაშტერდა. ქალმა უხერხულობა იგრძნო:

– ასე ნუ მიყურებ, ძალიან გთხოვ!

– გუშინ მთაწმინდაზე გნახე...

ია შეცბა.

– მართლა? არ მეგონა, მინისტრებიც თუ ერთობოდნენ ჩვეულებრივი მოკვდავებივით.

– მინისტრობა არაფერ შუაშია და შენ ეს კარგად იცი. ცოლთან ერთად ვიყავი.

– მერე, რა უთხარი შენს ცოლს, ვინ არისო?..

– არაფერიც არ მითქვამს და, საერთოდ, მე ძალიან ბევრს ვფიქრობ შენზე.

იას მღელვარება დაეტყო:

– ლევან, მომეშვი, რა!.. რას გადამეკიდე... პრობლემები საკმარისზე მეტი მაქვს, რომ შენ არ დამემატო შენი საფიქრალით.

– დამაცადე. ადვილი არ ყოფილა ჩემთვის აქ მოსვლა. დროც ძალიან ცოტა მაქვს. თიკასთან ტყუილის თქმა მომიწევს...

– მერე, რატომ იწუხებ თავს, ადექი და წადი!

– ღმერთო, როგორი ძნელია შენთან ლაპარაკი! ია, ძალიან სერიოზულ საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ. თუ შევთანხმდებით, ყველასთვის კარგი იქნება.

– ვინ ყველასთვის, იქნებ, დააკონკრეტო?..

– ყველასთვის, – ჯიუტად გაიმეორა კაცმა და ქალს თვალებში შეხედა. ია გაწითლდა, მის მზერას ვერ გაუძლო და თავი დახარა...

***

ვიღაცა ჯიუტად არ იღებდა ხელს ზარის ღილაკიდან. ნიკუშას არავის დანახვა არ უნდოდა, მაგრამ წკრიალმა ძალიან გააღიზიანა.

– ოჰ, გოგიჩ, შენ რა გითხარი! – უკმაყოფილოდ დაიჭყანა მეზობლის დანახვაზე.

– ვაა, გეძინა, ტო?! დღეს ოთხჯერ მაინც ამოვასკდი ამ კიბეებს. სად იყავი?

– რას დარბოდი ზევით-ქვევით, ლიფტში ვერ შეხვედი?!

– ეგ ლიფტი ზაკრიტი პრასტრანსტვაა და ვერ ვიტან, ცუდად ვხდები, სხვა ზაკრიტ პრასტრანსტვას მაგონებს, – დაიღრიჯა გოგიჩა, – მართლა სად იყავი, ჰა?

– რა გინდა, გოგიჩ, ჩემი ძიძა ხარ? – შენ უნდა ჩაგაბარო ანგარიში? მუშაობა დავიწყე.

– რაა?! მუშაობა დაიწყე? მოიცა, დავჯდე! ხუმრობ თუ მართალს მეუბნები? ვერ ვიჯერებ.

– რატომ ვერ იჯერებ? არ შეიძლება, მეც ვიმუშავო?

– კარგი, რა, ტო! არ გიცნობდე მაინც... – ახითხითდა გოგიჩა, – ჯერ მითხარი, სად მუშაობ.

– არ არის შენი საქმე. მაგრამ, ძალიან დავიღალე და კარგი იქნება, თავს თუ დამანებებ. უნდა დავისვენო. ხვალ ადრე ვარ ასადგომი.

– ნიკუშ, მაბოლებ? რა მუშაობა აგიტყდა, როცა შეგიძლია, თითის გაუნძრევლად გახდე მილიონერი?!

ნიკუშა მეზობელს ჩააშტერდა. არ მოეწონა მისი ორაზროვანი ხითხითი.

– გოგიჩ, ძალიან ცუდად იცინი!.. – თითი გამაფრთხილებლად დაუქნია მოღუშულმა.

– ცუდად კი არა, კარგად ვიცინი, – გოგიჩამ ოთახში გაიარ-გამოიარა. კომოდთან მივიდა და, რატომღაც, კედელს შეხედა, თან თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა.

– გოგიჩ... არ გესმის, რას გეუბნები?

– ჰო, ნამდვილად აქ ეკიდა, ამ კომოდის ზემოთ. მე კარგი მეხსიერება მაქვს. მერე რა, რომ ცოტ-ცოტას ჩემთვის ვკაიფობ. ეს ამ საქმეს ხელს არ უშლის. პირიქით, ამბობენ, რომ სუფთა წამალი ტვინს წმენდს.

– ტვინის წმენდის რა გითხრა, მაგრამ შენ, აი ახლა, ტვინს ბურღავ, – ამოიოხრა ნიკუშამ, – წადი, რა, თავი დამანებე!

გოგიჩას ვითომ არც კი გაუგია მისი ნათქვამი, სავარძელში მოკალათდა და ისევ ახითხითდა:

– ვა�ა... მაშ, მუშაობ, არა?! მაგარი ტიპი ხარ. შენ სხვა დააბოლე, ძმაო, გოგიჩას ვერაფერს გამოაპარებ!

– რა გინდა, ბოლოს და ბოლოს, რას ბოდიალობ? გაიჩხირე და მეკაიფები?

– დამცინი? სადღაა გასაჩხერი? ვინ რას მოგცემს, თუ ძმა ხარ! მოკვდა ეგ დრო. გასაჩხერს ვინ ჩივის, მოსაწევიც აღარ არის...

– გოგიჩ, იცოდე, ფული არ მაქვს... – გააფრთხილა ნიკუშამ.

– ფულის სათხოვნელად რომ არ მოვსულვარ?

– არც გასაჩხერი მაქვს და არც მოსაწევი.

– ვიცი. როდის გქონდა, რო?..

– აბა, რა გინდა? არ მითხრა, ჩაი დამალევინეო, თორემ მოგკლავ!

გოგიჩამ თითები გაატკაცუნა.

– ჩაის კი დალევდა კაცი, მაგრამ, არა უშავს, სახლში დავლევ.

– გოგიჩ! – ისე იბღავლა ნიკუშამ, ყელის ძარღვები დაებერა...

– მოიცა, ტო!.. რა გაბღავლებს! შენა, ისა... ტელევიზორი გაქვს?

ნიკუშამ ხელები გაშალა:

– ეს დამცინის... დამცინი, ხო... იდიოტო?

– ჯერ კითხვაზე მიპასუხე: ტელევიზორი ხომ გაქვს?

– დავუშვათ, მაქვს, მერე?!

– მერე ისა, რომ ზოგჯერ უნდა ჩართო და უყურო. ფულიც გექნება და მუშაობაც არ დაგჭირდება.

– მორჩა, მეტი აღარ შემიძლია, უკვე ნერვებზე თამაშობ!..

– ვაა, დაჯექი, რა!.. იქნებ, რას გეუბნები, რომ აფეთქდი. აი, მე... ამ ბოლო დროს, რა... სულ ვუყურებ ტელევიზორს და მაგარი ახალი ამბებიც გავჩითე... ძალიან მაგარი...

– გოგიიჩ! – ნიკუშამ ხელები მომუშტა...

იამ სიგარეტის კოლოფს დახედა, თითქმის ნახევარი მოეწია. თითებშორის გაჩრილი სიგარეტი ტუჩებთან მიიტანა და ისე ხარბად მოქაჩა, თითქოს რამდენიმედღიანი თავშეკავების შემდეგ, პირველად მოეწიოს.

– დამშვიდდი. ძალიან ნერვიულობ, – შენიშნა ლევანმა.

– ფსიქოლოგიაშიც გარკვეულხარ... – ჩაიცინა ქალმა, – კიდევ რა გასწავლა მინისტრობამ.

– ის, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მქონდეს, – ლევანმა საათს დახედა, – როგორ დამაგვიანდა?! ძალიან ბევრი დრო დავკარგე. იმედი მაქვს, ყველაფერი სწორად გაიგე.

ქალმა თავი გადააქნია.

– სიმართლე რომ გითხრა, ვერაფერიც ვერ გავიგე.

ლევანმა წარბი შეიკრა.

– რას ნიშნავს, ვერ გაიგე, პატარა ხომ არ ხარ?!

– ჰო. ვერ გავიგე. შენ რა შუაში ხარ ამ ყველაფერთან, – იამ თვალები მოწკურა და ლევანს უნდოდ შეხედა, – იცი, არ მჯერა, რომ ასე ნიკუშას კეთილდღეობისთვის იღვწი. მართლა არ მჯერა.

– რატომ? შენ ფიქრობ, რომ ჩემთვის ნიკუშა არაფერს ნიშნავს?

– ეგ არ მითქვამს.

– მაგრამ იგულისხმე. ია, მე შეიძლება, ბევრი შემეშალა და ალბათ, კიდევ შემეშლება, მაგრამ კაცობაში არ ჩავიჭრები.

– მაგიტომ თქვი ჩემს სიყვარულზე უარი?

ლევანი გაფითრდა. ქალი მიხვდა, რომ მტკივნეულ ადგილას ჩაავლო.

– რა იყო? ოღონდ არ მითხრა, რომ არ გყვარებივარ...

– მაგაზე სალაპარაკოდ რომ არ მოვსულვარ შენთან?! ჯერ ნიკუშას ბედი წყდება. მეგობრები იმიტომ ვართ, რომ დავეხმაროთ. წარმოიდგინე, რა მოხდება, თუკი თავისებურად გაჯიუტდება და ამ შანსს ხელიდან გაუშვებს. მხოლოდ შენ შეგიძლია მისი ჭკუაზე მოყვანა.

– ბიჭებმა იციან?

ლევანი შეყოყმანდა.

– არ იციან, – დაასკვნა იამ, – ასეც ვიცოდი. შენ პირდაპირ ჩემთან მოხვედი.

– ჰო. პირდაპირ შენთან მოვედი. იმიტომ რომ, ვიცი შენი შესაძლებლობები. რა აზრი აქვს დათოს, ან თუნდაც ვახოს სიტყვებს ნიკუშასთვის. დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვა იქნება და სხვა არაფერი. დრო კი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია. ია, შენ ჭკვიანი გოგო ხარ. დაფიქრდი და მიხვდები, რომ ნიკასთან სხვა შანსი აღარ გექნება. ნიკას შანსი შენი შანსიც არის. ხომ გინდა, მასთან ყოფნა. ხომ გინდა, რომ შენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდეს...

– შენი საქმე არ არის, მე რა მინდა, – გაცხარდა ია და ტუჩები აუკანკალდა, – ყოველთვის უსინდისო იყავი და საერთოდ არ შეცვლილხარ. მოხვედი ჩემთან და ჩემს გრძნობებზე თამაშობ. ღირსეული მამაკაცები ასე არ იქცევიან. თუმცა, შენ რა იცი, ღირსება რა არის...

– ოჰ, ოჰ, ეს უკვე მეტისმეტია. შეურაცხყოფა არ დამიმსახურებია. სულელი არ ხარ, ვერ ხვდებოდე, რა უშლის ხელს შენი და ნიკუშას ერთად ყოფნას.

– ყოველ შემთხვევაში, ის არა, რაც შენ გგონია.

ლევანს გაეღიმა.

– რა გაცინებს? – შეუტია ქალმა.

– შენი ბავშვური გულუბრყვილობა. ტყუილად ფიქრობ, რომ მაგ უნიჭო თამაშით შეძლებ ჩემს მოტყუებას. რა უცნაურები ხართ. რატომ ფიქრობთ, რომ ჩემზე მარტო იმით ხართ უკეთესები, რომ ყალბ პატიოსნებაზე დებთ თავს და ამით რაღაც უპირატესობის განცდა გიჩნდებათ?

– მრავლობით რიცხვში რატომ ლაპარაკობ, ვის გულისხმობ უნიჭო მოთამაშეებში.

– ვიღაც-ვიღაცეებს, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლევანმა და ისევ საათს დახედა.

– იქნებ დამიკონკრეტო, თორემ რაღაც ვერ დამრჩა შენზე ჯანსაღი შთაბეჭდილება.

– საყვარლობა რომ შემომეთავაზებინა, მაშინ ხომ დაგრჩებოდა ჯანსაღი შთაბეჭდილება, – მოურიდებლად მიახალა კაცმა და ქალის რეაქციას დაელოდა. იას ფერი ეცვალა. ლოყები გაუხურდა და მზერაში ბოროტი ნაპერწკალი აუკიაფდა, – გამოტყდი, რომ სწორედ ამას ელოდებოდი ჩემგან, – ბოლომდე „მიაწვა“ ლევანი.

– იდიოტი ხარ! ახლავე ადექი და წადი აქედან!

– გეწყინა, საყვარელო? ასეა, სიმართლე მწარეა. მწარე და უსიამოვნო. ერთი-ორჯერ ყვავილები გამოგიგზავნე და შენც იფიქრე, რომ გაბამდი. რა მიამიტები ხართ ქალები. რა ადვილია თქვენი მოტყუება.

– ეგ შენ ფიქრობ ასე. იმიტომ, რომ შენი პრიმიტიული გონება მეტს ვერ სწვდება.

– რას მეუბნები?! თქვენ ხომ გაქვთ ნათელი „გონებანი“. პირდაპირ მაოცებს თქვენი წესიერება. სინამდვილეში ზუსტად ისეთივე მერკანტილური აზრები და მიდრეკილებები გაქვთ, როგორიც ყველა ადამიანს.

– შენთან კამათს არ ვაპირებ, მით უმეტეს, მორალის საკითხებზე. შენი დანახვაც კი აღარ მინდა, – იამ გულზე ხელები დაიკრიფა და კაცს ზურგი შეაქცია.

– ვატყობ, გერჩივნა, საყვარლობა შემომეთავაზებინა, – ჩაიცინა ლევანმა და მოხვდა კიდეც თავში სიგარეტის კოლოფი.

– გაეთრიე! – იკივლა იამ...

ლევანმა მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა. სიგარეტს დაუწყო ძებნა. ვერ იპოვა და შეიგინა.

– კრეტინი ვარ. უნდა მცემოს კაცმა, მაგრამ ვინ მყავს პატრონი. დღეს მე იას სრული იდიოტიზმის თვალსაჩინო მაგალითი ვუჩვენე. რატომ? – იმიტომ, რომ შტერი ვარ. ეს ქალი მიყვარს. როგორც იქნა, გავბედე მასთან მისვლა და რაზე ველაპარაკე! მისი და ნიკუშას ურთიერთობაზე. თითქოს წინასწარ არ ვიცოდი, რა პასუხს მივიღებდი. ოხ, ზურაბ... შენი... – ლევანმა სიმამრის მისამართით უწმაწური სიტყვების კორიანტელი „გაუშვა“ და შუბლით საჭეს დაეყრდნო. მობილურმა ტელეფონმა თავი მოიკლა რეკვით. ზარი ეცნო, თუმცა ერთბაშად მაინც ვერ გააცნობიერა, ვინ ურეკავდა და როცა მიხვდა, გადარეულივით ეცა გასაღებს. მოტორი აამუშავა და მანქანა ბღუილით მოსწყდა ადგილს...

ნიკუშამ ჩაით სავსე ჭიქა წინ დაუდგა გოგიჩას და საშაქრეც მიუჩოჩა.

– აი, შენ, რამდენი კოვზიც გინდა, იმდენი ჩაყარე.

გოგიჩამ თავი გააქნია.

– საერთოდ არ მინდა შაქარი. ესე იგი, აღარ მიბრაზდები?

– რა აზრი აქვს, – ამოიოხრა ნიკუშამ, – გოგიჩა გულახდილად მითხარი, მართლა ნახე თუ ვიღაცის მოყოლილს მიმეორებ უნიჭო თუთიყუშივით.

– თუთიყუში? როგორ, ტო... მე და ჭორები, ხომ იცი, შორს ვართ. ერთად ვერ ვძოვთ, რა... ჭორიკანა ტიპებიც მაგრა არ მევასება.

– გოგიჩ, ეგ რაში მაინტერესებს. შენ ის მითხარი, საღ გონებაზე იყავი? იქნებ, ჰალუცინაცია იყო.

– ჰალუცინაცია და „ბელაია გარიაჩკა“ არ ვიცი მე! – ეწყინა გოგიჩას – შენ რა, სულელი გგონივარ? ლოთი კი არ ვარ.

– ოჰ, ოჰ, ისე შეიცხადე, ლოთი ხომ არ ვარო, რომ... – ნიკუშას გაეღიმა.

– რო, რა... ნუ იჭყანები, თუ ძმა ხარ. სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარ. შენზე ვზრუნავ, თორემ, მე რა მომეხახვება აქედან.

– ჰო, კარგი. ვაღიარებ, რომ არ უნდა დამეცინა. ხომ შეიძლება, მართლა მოხდეს სასწაული და შენგანაც გამოდნეს რამე. მოდი, მოყევი, ოღონდ არ მიედ-მოედო, დალაგებულად, მოკლედ და კონკრეტულად იმეტყველე...

თინიკო მაშინვე მიხვდა, ქმარი გუნებაზე რომ არ ბრძანდებოდა და მომზადებული საყვედური სხვა, უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადადო. გამოცდილებით იცოდა, რომ გაბრაზებულ ლევანთან საერთოდ არ ღირდა ლაპარაკი. ამიტომ მხოლოდ გაუღიმა და ყავას ხომ არ დალევო, ჰკითხა.

– ძალიან დაღლილი ვარ, მირჩევნია, ცოტა დავიძინო. ხვალ პარიზში მივფრინავ. ჩემი პერანგები წესრიგშია?

პარიზის ხსენებაზე თიკას სახე გაუნათდა.

– მართლა? რა კარგია? რამდენი დღით?

– ტყუილად გიხარია. მარტო მე მივდივარ, – ცივი წყალი გადაასხა მის აღფრთოვანებას ლევანმა, – პერანგებზე გეკითხებოდი.

ნირწამხდარმა თიკამ მხრები აიჩეჩა.

– ალბათ, წესრიგშია. ხომ იცი, რომ პერანგებს მაკა აწესრიგებს. როდის არ დაუუთოებია. ხვალ დილით ვკითხავ.

– ცხვირი ნუ ჩამოუშვი. გასართობად არ მივდივარ. სამთავრობო დელეგაცია მიდის. სულ შეხვედრები და მოლაპარაკებები გვაქვს. ძალიან დავიღლები.

– თავს რატომ იმართლებ. ხომ ხედავ, არაფერს გეკითხები. არც გსაყვედურობ.

– თავის მართლება რა შუაშია, უბრალოდ, სიტუაციას გიხსნი.

– გმადლობ. მამაჩემმა დარეკა. საქმე მაქვს. ვურეკავ და ტელეფონი გამორთული აქვსო.

– თათბირზე ვიყავი.

– რა თქმა უნდა, სულ დამავიწყდა, რომ თათბირები გაქვს. მაგრამ, ეტყობა, შენს მდივანსაც დაავიწყდა და მითხრა, გავიდაო.

ლევანმა გამომცდელი მზერა მიაპყრო ცოლს.

– მაგით რისი თქმა გინდა?

თიკამ სიგარეტი გააბოლა. დამცინავად გამობუშტა ტუჩები და ცხვირი აიბზიკა. ისედაც ნერვებმოშლილი ლევანი გააღიზიანა ცოლის უადგილო ირონიამ.

– გესმის? რისი თქმა გინდა-მეთქი.

– იმის, რომ დროა, მდივანი გამოცვალო, თორემ რეპუტაციას გილახავს.

– დაიწყო! – ამოიოხრა ლევანმა, – ერთი საღამო იყოს ისეთი, რომ არ იჩხუბო, მერე კიდევ გიკვირს, სახლში მოსვლა რამ შეაძულაო.

– მე არ გეჩხუბები. ნუ ცდილობ, ჩემს პროვოცირებას, მაინც არაფერი გამოგივა. არ გეჩხუბები. რა აზრი აქვს. უკვე მივხვდი, რომ ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვაზარალებ. ნერვიულობა კი უარყოფითად აისახება ჩემს სახის კანზე. რატომ მიყურებ. გგონია, ვხუმრობ? სულაც არა. რომელ საათზე მიდიხარ?

– ხვალ, გვიან ღამით. უფრო სწორად, ზეგ გამთენიისას. გინდა, გამაცილო?

თიკამ გაოცებით ასწია წარბები.

– შენ გინდა?!

– რა ვიცი. უმჯობესი იქნება, თუ დამხვდები, წაყვანით სერგო წამიყვანს და გამაცილებს კიდეც. მაინც საქმიანი ვიზიტია და უხერხულია, ცოლი მაცილებდეს.

– მეც ამას ვფიქრობდი. რამდენი დღით მიდიხარ?

– ჯერ არ ვიცი. ალბათ, დიდი ხნით არა. მაქსიმუმ – ერთი კვირით. შენ რას გააკეთებ?

– რას ნიშნავს, რას გავაკეთებ. რასაც ყოველდღე ვაკეთებ. შეიძლება, სამსახურშიც მივიდე. შევივლი. დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

– ჰმ, ვერაფერს იტყვი, მაგარი სამსახური გაქვს. თვეში ერთხელ თუ შეივლი, ხელფასს კი გიხდიან. თანაც, არც ისე ცოტას.

– ვერ გამიგია, შენ რატომ სწუხარ ამაზე. სამსახური შენ არ გიშოვია ჩემთვის. ვერც იმას იტყვი, რომ მამაჩემს მიუძღვის ამაში წვლილი. საბედნიეროდ, უნიჭოც არ ვარ. ჩემს საქმეს თვეში ერთხელ მისვლითაც ძალიან კარგად ვაკეთებ. ასე რომ, დამშვიდდი. ჩემ გამო, საყვედურს არავინ გეტყვის.

– იმედი მაქვს. მამაშენი რატომ მირეკავდა, რა უნდოდა?

– არ ვიცი. რაღაც საქმე მაქვს და ლევანმა იცის. რატომ მემალებაო.

– მე ვემალები? მამაშენს?.. მიხედეთ მაგ კაცს. ვერ ატყობთ, პრობლემები რომ აქვს? აუცილებლად სულით ავადმყოფებისთვის განკუთვნილ კლინიკაში უნდა დაამთავროს სიცოცხლე?

– შენც ეგ არ გინდა?! ოცნებობ ამაზე. ხომ მართალია? – ვეღარ მოითმინა თიკამ. მისი ნერვები კიდევ არ იყო სათანადოდ გამოწრთობილი.

– რომ მინდოდეს, არ გეტყოდი, მიხედეთ-მეთქი. მარტივი ლოგიკაა.

– შეგეძლო, უბრალოდ, აგეღო ტელეფონის ყურმილი და დაგერეკა მისთვის.

– სიამოვნებით გავაკეთებდი ამას, საყვარელო, მაგრამ შეხედე, რომელი საათია? მამაშენი ახლა მეორე პირ სიზმარს მაინც ხედავს და დარწმუნებული ვარ, რომ გააღვიძო, ძალიან არ მოეწონება.

– ყოველთვის, ყველაფერზე გაქვს არგუმენტი. ვერც კი შეგედავება ადამიანი.

– ჰო. მინისტრადაც სწორედ ამ იშვიათი ნიჭის წყალობით დამნიშნეს. არ იცოდი?

– დაღლილი იყავი. დასვენება გინდოდა, – შეახსენა ცოლმა.

– ჰო. ვიყავი, მაგრამ შენ დაასვენებ კაცს? როგორც უნდა ვეცადო, ნერვები არ ავიშალო, მაინც მოახერხებ ხოლმე და მიაღწევ შენსას.

– უკვე გითხარი, ჩემი მიზანი ეგ არ ყოფილა-მეთქი. მართლა ძალიან დავიღალე და დასვენება მჭირდება. მგონი, უკეთესიც არის, მარტო რომ მიდიხარ. წეღან მკითხე, რას გააკეთებ ამ დღეების განმავლობაშიო. ახლა უკვე ვიცი, რასაც გავაკეთებ.

ლევანმა თავი დაუქნია.

– კარგია. მოკიდე შენს შვილს ხელი და სადმე გაემგზავრე. მაგალითად, პრაღაში ან რომში. დრეზდენშიც შეიძლება. გამოფენას დაათვალიერებს ბიჭი.

– შენი საქმე არ არის, სად გავემგზავრები. ისე, რატომ მაინცდამაინც პრაღაში.

– იმიტომ, რომ ამერიკა შორს არის.

– ნეტავი ეგ ირონია არ გქონდეს. იქნებ, ურთიერთობა უკეთესად გამოგვსვლოდა, – სინანულით ჩაილაპარაკა თიკამ, – მე ყავა უნდა დავლიო. შენთვისაც მოვადუღო?

– ჰო. დავლევ. თიკა, მამაშენს არ უთხრა, რომ პარიზში ვიქნები.

ქალმა გაოცებით შეხედა და მოულოდნელად გადაიკისკისა.

– რა გაცინებს. ასეთი რა გითხარი?

– ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვი ხოლმე... მამაჩემი სულელი კი არ არის. თუ მართლა სამთავრობო დელეგაციას მიჰყვები, ჩართავს ტელევიზორს და დაგინახავს. მერე კიდევ იტყვი, არ ვემალებიო... იცი, მე რაღაცას ვხვდები, ოღონდ ბოლომდე ვერა. ძალიან უცნაურად იქცევით შენც და მამაჩემიც.

– უცნაურად, არა?! საიდან ანალიზის ასეთი ღრმა უნარი. პირდაპირ მაოცებს შენი დედუქციური მონაცემები. უბრალოდ, მამაშენს ამბიცია კლავს, რომ ყველაფრის ავანჩავანი ისევ თვითონ არ არის. გიჟდება, ჩრდილში რომ მოუწია გადასვლა. ცდილობს, იქ ჩაყოს ცხვირი, სადაც არაფერი ესაქმება. მომკლა მაგისმა ჭკუის სწავლებამ. თავი ისევ მმართველი გუნდის წევრი ჰგონია.

– რა ქნას, შეჩვეული არ არის უსაქმოდ ყოფნას.

– მერე, ვინ უშლის საქმის კეთებას? – ჩაიბურტყუნა ლევანმა, – იმხელა მიწები რომ მიიზომა წყნეთში, მოკიდოს ბარს და თოხს ხელი.

– ნუ დასცინი მამაჩემს, – შეიჭმუხნა თიკა, – არ არის ზრდილობა, მოხუცებული კაცის დაცინვა.

– არ დავცინი, ბატონო, არა! – ლევანმა ხელები გაშალა, – შენ მაინც ნუ ეტყვი, სად ვარ.

თიკამ მხრები აიჩეჩა.

– კარგი, ბატონო, არ ვეტყვი...

***

ნატუკამ ჩანთა გაქექილ დივანზე მიაგდო. ამ სახლის ავეჯი და მთელი ინტერიერი, ძველისძველ, შავ-თეთრ ფოტოსურათს აგონებდა. ალაგ-ალაგ გაცრეცილსა და გახუნებულს. თუმცა, ძალიან ნაცნობს და მშობლიურს... გოგიჩამ აღფრთოვანებული მზერა ვერ მოაცილა ნატოს აშოლტილ ტანს და მოღეღილ მკერდს.

– აქ, ახლოს ვიყავი და შემოვიარე, – ნატუკამ ლოყაზე აკოცა ნიკას. გოგიჩა საერთოდ არ ჩაუთვლია ყურადღების ღირსად.

– კარგია. მეც მინდოდა შენი ნახვა, – ნიკუშას სიხარული არ გამოუხატავს. მის სახეს არანაირი ემოცია არ ეტყობოდა. გოგიჩამ ვეღარ მოითმინა. ხელი ამოჩაჩული პერანგის კალთაზე გაიწმინდა და გოგოს მოწიწებით გაუწოდა.

– გოგიჩა... თქვენი სილამაზით მოხიბლული და კუბოს ფიცრამდე თქვენი ერთგული.

ნატუკას გაეცინა.

– ეს კლიენტი ვინ არის? ერთობი, ნიკი? ძალიან მხიარული ვინმე ჩანს.

– ჩემი მეზობელია. გოგიჩ, არ გინდა, გაისეირნო? – ნიკუშამ კარისკენ მიანიშნა გაშტერებულ გოგიჩას. იმან პროტესტის ნიშნად ხელები აიქნია და ორივე ხელით ყელი გამოიგლიჯა, აქაოდა, მაყურებინე კიდევ ცოტა ხანს ამ სილამაზისთვის.

– გოგიჩ, მე და ნატოს საქმე გვაქვს.

– საქმე? ჰო, აბა, რა, საქმე გაქვთ, როგორ არა... – ახითხითდა გოგიჩა, – ვგიჟდები თქვენნაირ საქმიან ხალხზე.

ნატო ისევ აკისკისდა.

– ხომ ვთქვი, კლოუნია-მეთქი. იყოს რა, ნიკი... ცოტას გაგვართობს.

– ხედავ?! მოვეწონე! – გაიბადრა გოგიჩა, – აბა, რა... ვიცი, ქალის გული როგორ უნდა მოვიგო, თანაც ასეთი ქალის. შენთვის ვინმეს უთქვამს, რომ ძალიან ლამაზი ხარ?! ისეთი ლამაზი, რომ მზად ვარ, ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპებზეც კი უარი ვთქვა, თუ მეცოდინება, რომ ეს ფერია ჩემთვის იღიმება.

– გოგიჩ, ერთი წუთით აქეთ გამოდი... – ნიკუშა მოიღუშა. მეზობელს პერანგის სახელოში ჩაავლო ხელი და თითქმის ძალით გაათრია ჰოლში. გოგიჩა გაუძალიანდა.

– რა გინდა, ტო... ხომ ხედავ, მოვეწონე... სად მიმათრევ? ვიქნები, რა, ცოტა ხანს. მარტო ვუყურებ, თითს არ დავაკარებ.

– ვინ დაგაკარებინებს, თორემ არ იტყოდი უარს... – ჩაიცინა ნიკუშამ, – მიდი, მიდი... შენ რომ გგონია, ისე არ არის საქმე.

– კიდევ მე მგონია რამე?! ვაა, გამაგიჟებ მე შენ, ტო... ცოტა გაკლია, ხო იცი?! – ხელები გაშალა გოგიჩამ, – აზრზე არა ხარ, როგორ გიმართლებს და მაინც ბედის უკმაყოფილო ხარ. არა! ცოტა კი არა, ბევრი გაკლია... სერიოზულად ბევრი...

– გოგიჩ, ოღონდ ახლა აქედან წადი და გეფიცები ყველაზე მაგარ ნაშას გაგაცნობ.

– მატყუებ. თავიდან გინდა, მომიშორო.

– როგორ მიხვდი?! არც ისეთი სულელი ყოფილხარ, როგორიც მეგონე, მაგრამ არ გატყუებ, მოგიძებნი ვინმეს.

– ეგ როდის, მემკვიდრეობას რომ მიიღებ? – აქირქილდა გოგიჩა და ნიკუშას თვალი ჩაუკრა.

– თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი. ნუღარ ვილაპარაკებთ მაგაზე. მით უმეტეს, რომ ჯერ ყველაფერი ვარაუდის დონეზეა.

– ვხვდები. ჩემი არ გჯერა. ფიქრობ, რომ რაღაც მეშლება, ნიკუშ, მე შეიძლება ვკაიფობ და ცოტა აზროვნებაშიც მეჭედება, მაგრამ მეხსიერებას არ ვუჩივი და არც ადამიანების ცნობა მეშლება.

ნიკუშა მოიღუშა. გოგიჩას სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. მეხსიერებას მართლა არ უჩიოდა. ისეთი წვრილმანები შეუხსენებია მისთვის, თანაც ისეთ დროს, რომ გაუოცებია.

– კარგი, გოგიჩ, მადლობის მეტი რა მეთქმის. ოღონდ, ახლა მართლა უნდა წახვიდე. მერე დაგირეკავ.

გოგიჩამ მხრები აიჩეჩა და უხალისოდ გადააბიჯა ზღურბლს... ოთახში შესულ ნიკუშას ნატუკა დივანზე წამოწოლილი დახვდა. შარვალი გაეხადა და გრძელი, ლამაზი ფეხები დივანის საზურგეზე ჰქონდა შემოწყობილი. ქვის უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ამ ცდუნებისთვის გაეძლო. ნიკუშა კი ქვის არ იყო... ნატუკა გულაღმა ამობრუნდა და კაცს მკერდზე დაადო თავი. ნიკუშამ კიდევ ერთხელ ჩაახშო გაღვიძებული სინდისის ხმა და გოგოს შიშველი სხეულის სურნელი ხარბად შეისუნთქა.

– იცი, ძალიან მიკვირს, შენთან მოსვლის სურვილი რომ მიჩნდება. მგონი, შეგეჩვიე.

– არ მითხრა, შემიყვარდიო, პატარავ. მე არ მჯერა სიყვარულის.

– მართლა? არადა, რომანტიკოსი მეგონე.

– რატომ?

ნატუკამ ლამაზი, მრგვალი მხრები აიჩეჩა.

– რა ვიცი, აბა?! ჰგავხარ რომანტიკოსს. თანაც სენტიმენტალურ რომანტიკოსს.

– რითი – გამოხედვა მაქვს რომანტიკული თუ გულაჩუყებული ვსლუკუნებ სექსის მერე?!

ნატუკა აკისკისდა.

– აუ, ეგ რა მაგარი თქვი!.. მართლა ტირის ზოგიერთი კაცი სექსის შემდეგ?

– აბა, რა გითხრა. ეგ შენ უკეთესად უნდა იცოდე.

ნატუკას სახიდან ღიმილი გაქრა და მისი გადატკეცილი შუბლი ორი გრძელი ნაოჭით დაიღარა. ნიკუშა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა. ამიტომ თვითონვე სცადა დაშვებული შეცდომის გამოსწორება. გოგოს ყელზე აკოცა და დამნაშავესავით გაუღიმა.

– ვირი ვარ. ვაღიარებ. უნდა მაპატიო. ზოგჯერ ვჭედავ ხოლმე.

– კარგი. დავივიწყებ, თუ სანაცვლოდ რაღაცას დამპირდები.

– საერთოდ, პირობის მიცემა, დაპირება, დაფიცება და მსგავსი მაზოხისტური რაღაცეები ძალიან არ მიყვარს, მაგრამ ერთხელ გამონაკლისს დავუშვებ. რა უნდა გავაკეთო?

– განსაკუთრებული არაფერი. საღამოს ბარში უნდა წამომყვე საცეკვაოდ.

– არავითარ შემთხვევაში. ოღონდ, ეგ არა. ხომ არ გაგიჟდი. ბოლოს როდის ვიცეკვე, აღარ მახსოვს.

– მით უმეტეს, მით უმეტეს უნდა წამოხვიდე. აუ, რა მაგარი იქნება, რამდენს ვიხალისებ...

– ჰო. სწორედაც რომ იხალისებ. მე კი რა გამოვალ – ის კლოუნი, წეღან გოგიჩას რომ უწოდე. არ გამოვა ეგ ამბავი, სხვა რამე მთხოვე.

– მაშინ... – ნატუკამ თვალები მოჭუტა... – მაშინ რამე მაჩუქე, რაღაც ისეთი, რაც შენს თავს ყოველთვის კარგად გამახსენებს.

– ეგ თხოვნაა თუ მოთხოვნა?

– როგორც გინდა, ისე გაიგე. არა, მე არაფერს გაძალებ, მაგრამ გამიხარდება, თუ ჩვენი ურთიერთობის მოსაგონრად რამე დამრჩებოდა.

ნიკუშა ჩაფიქრდა.

– სასტუმრო ოთახში ვიტრინიანი კარადა დგას. მიდი, გამოაღე და რაც მოგეწონება აიღე. ყველა ნივთი ღირებულია. ერთი კოლექციონერი საკმაოდ დიდ თანხას მაძლევდა მაგ ფიგურებში.

გოგომ თავი გააქნია.

– მე ფაიფურის ბალერინების მოყვარული არ ვარ. თანაც ეგ ჩემთვის განკუთვნილი ნივთები არ არის. შენიც კი არ არის.

– რას ნიშანვს, ჩემი არ არის. აბა, ვისია?!

– შენ ვერ გამიგე. მე მინდა, რასაც მაჩუქებ, თავიდანვე ჩემთვის იყოს არჩეული და ნაყიდი. ყველა ნივთს თავისი აურა აქვს და არ მინდა, მაგ ნივთების ჭეშმარიტი მფლობელის აურა ჩემზე გადმოვიდეს.

– რა სისულელეა. ასეთი რაღაცეების რატომ გჯერა. შენ ისეთი ახალგაზრდა ხარ და ბებიაჩემივით კი აზროვნებ.

– ბებიაშენს მოეშვი და მითხარი, რას იტყვი ჩემს თხოვნაზე?

– რა უნდა ვთქვა. რადგან საცეკვაოდ არ მოგყვები, საჩუქარი მაინც უნდა გიყიდო. მით უმეტეს, რომ მეკუთვნის კიდეც.

– როდის?

– რა როდის?

– როდის მიყიდი?

– როცა ფული მექნება.

ნატუკამ წაუსტვინა.

– რა იყო?

– ის, რომ არავინ იცის, შენ ფული როდის გექნება.

– არც ასეა საქმე. მუშაობა დავიწყე, ჩემს მეგობართან. ასე რომ, ხელფასს რომ მომცემენ, მთლიანად შენს საჩუქარში დავხარჯავ.

– მართლა დაიწყე მუშაობა თუ მეხუმრები?

– არა. არ გეხუმრები. მართლა დავიწყე. ვახოს რამდენიმე კაფე აქვს, სადაც საფირმო კერძს ამზადებენ. გამოძახებითაც მიაქვთ კლიენტებთან. ერთი სიტყვით, სამუშაო არის. მე კიდევ უქმად ყოფნა მომწყინდა.

– ლევანმა იცის? – წამოსცდა ნატუკას და მაშინვე ენაზე იკბინა.

– ლევანი რა შუაშია?! მე მას ანგარიშს არ ვაბარებ. მართლა, სულ მინდოდა მეკითხა, შენ ლევანის... ისა... მოკლედ, ლევანთანაც ხარ?

– მე ანგარიშს არავის ვაბარებ. ჩემი ცხოვრება ჩემი ცხოვრებაა.

– რა თქმა უნდა. უბრალოდ, ცოტა უხერხულობას ვგრძნობ. ლევანი ჩემი ძმაკაცია, რაც უნდა იყოს...

ნატუკამ საწოლის ქვეშ ხელი მოაფათურა და სიგარეტის კოლოფი მოძებნა. ერთი ღერი პირში ჩაიდო და ნიკუშას მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა.

– მე თქვენ შორის ჩადგომას არ ვაპირებ. ისე, თუ გინდა აღარ მოვალ.

ნიკუშა ფიქრობდა. ნატამ ეს იგრძნო და ასადგომად წამოიწია.

– ახლავე წავალ.

კაცმა მაჯაში წაავლო ხელი.

– არსადაც არ წახვალ. ჩემთან იქნები. მომწონს შენ გვერდით ყოფნა. რაღაც-რაღაცეებზე აღარ ვფიქრობ. ვერ მოგატყუებ, რომ საერთოდ აღარ ვფიქრობ მაგ რაღაცეებზე, მაგრამ ის რამდენიმე წუთიც დიდი შვებაა.

– წარსულის დავიწყება გინდა, არა?! – ნატუკამ მოკიდებული სიგარეტი გაუწოდა კაცს და მზრუნველი ცოლივით საფერფლეც შეაშველა.

– მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

– ჰო. ვიცი. უჭკუო გგონივარ და ფიქრობ, ჩემთან მარტო ლოგინში კოტრიალი შეიძლება. ძალიან ცუდი. შემეძლო, შენთვის სასარგებლო რჩევაც მომეცა.

– შენი რჩევა ჩემს პრობლემებს ვერაფერს უშველის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უჭკუო ხარ. საქმე შენს გონებრივ შესაძლებლობებში არ არის. ეს გრძელი და უსიამოვნებებით გაჯერებული ამბავია. თანაც მარტო მე მეხება. სხვას არავის.

– არ შეიძლება, ამბავი მარტო ერთ ადამიანს ეხებოდეს. მაგრამ რადგან არ გინდა, ნუ მომიყვები. შეგიძლია, ცივი წყალი მომიტანო?

ნიკუშა შარვალს მისწვდა.

– ონკანის წყალს უნდა დასჯერდე. ჩემი მაცივარი ცუდად ყინავს.

პასუხად ნატუკამ მხოლოდ გაუღიმა, მაგრამ ნიკუშამ კარი გაიხურა თუ არა მობილურს ეცა და სწრაფად აკრიფა ნომერი.

– მე ვარ. ჰო, ნატუკა ვარ. იმიტომ დაგირეკე, რომ საქმე მაქვს. ვიცი, შენი გაფრთხილებაც მახსოვს, მაგრამ სასწრაფოდ უნდა მეთქვა რაღაც. ფული არაფერ შუაშია. ახალი ამბავი გავიგე და ვიფიქრე, დაინტერესდებოდი. სწორედ იმას ეხება, ვისზეც ვმუშაობ. ახლა მასთან ვარ. იცი, რომ მუშაობა დაიწყო? ჰო. არ მეშლება. რაღაცას ამბობდა თქვენს ძმაკაცზე, კაფეებზე და საფირმო კერძზე... ვახო? შეიძლება. არა, სახელი არ უხსენებია... მორჩა, მოდის, უნდა გავთიშო. ვინ მოდის და შენი ძმაკაცი მოდის...

თიკამ ქმრის პერანგები საკიდიანად ჩაკეცა ჩემოდანში და ლევანს ეჭვით სავსე მზერა შეავლო.

– ჰალსტუხებიც ჩადე. დამჭირდება, – ლევანმა მობილური გათიშა და ჩუმად ამოიოხრა.

– ვინ იყო? – თინიკო შეეცადა, შეკითხვა ძალდაუტანებელი და „სხვათა შორისი“ ყოფილიყო, მაგრამ არ გამოუვიდა.

– ეკა, – მიუგო ლევანმა და მობილური საწოლზე მიაგდო.

– ეკა, შენი მდივანი?

– ჰო. ეკა, ჩემი მდივანი, – გაღიზიანდა კაცი, – რატომ მამეორებინებ ერთსა და იმავეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელივით.

– მდივანს ელაპარაკებოდი ფულზე და ვახოზე? საინტერესოა, რაზე გააფრთხილე.

– იმაზე, რომ ჩემთვის არ დაერეკა. ხომ იცი, როცა წასასვლელად ვემზადები, უაზრო კითხვები ძალიან მაღიზიანებს. ნერვებმოშლილი კი ცუდად ვიმგზავრებ.

თიკამ მხრები აიჩეჩა.

– მით უმეტეს, უნდა გააგდო და სხვა მდივანი მოძებნო. მგონი, ვახოც ახსენე. ოღონდ არ მითხრა, რომ ვახოს ეკა მოსწონს და შენ ხარ შუამავალი.

– თიკა, ნუ აფრენ, ძალიან გთხოვ. რატომ მაიძულებ, თავი გავიმართლო, ეს რა უბედურებაა?! პირი შეკარით თუ რაშია საქმე. გასაგები ენით გიხსნი და იმედი მაქვს, მეტი შეკითხვა აღარ გაგიჩნდება, – ერთ ადამიანს ნიკუშასთვის სამსახურის მოძებნა დავავალე და ეკას ვთხოვე, ამ საქმისთვის მიეხედა. ახლა ეკამ მითხრა, რომ ნიკუშას ვახოსთან დაუწყია მუშაობა და ჩვენი დახმარება მას აღარ სჭირდება. გასაგებად აგიხსენი ყველაფერი.

თიკამ თავი დაუქნია.

– ისევ ნიკუშა და ვახო... რაღაც მოჯადოებული წრესავით... მაგრამ არ გეკამათები, აი, შენი ჰალსტუხები. კიდევ რა გჭირდება?

– მიდიხარ?

– ცოტა ხნით სამზარეულოში ჩავალ. წყალს დავლევ. ყავა ზედმეტად ტკბილი გამომივიდა. პირი მიშრება.

თიკამ კარი გაიხურა, მაგრამ სამზარეულოში არ ჩასულა. ჰოლში, სადაფით მოპირკეთებული მაგიდიდან ტელეფონის აპარატი აიღო და სადღაც დარეკა.

– დედა... ჰო, მე ვარ. გაგაღვიძე? არა, დილამდე ვერ მოვიცდიდი. ნუ გეშინია, მშვიდობაა. ხვალ ზუკა არ გამოუშვა. იყოს შენთან რამდენიმე დღე. მე რაღაც მნიშვნელოვანი საქმე გამომიჩნდა და უნდა გავემგზავრო. არა, არა. ხომ გითხარი, მშვიდობაა-მეთქი. ლევანიც მიემგზავრება... ერთად, ცალ-ცალკე, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ აქ არ ვიქნები. კარგი? შენი იმედი მაქვს... მამაჩემს რა უნდა ვუთხრა, ბავშვი კი არ ვარ, ნებართვა ვითხოვო... კარგი. ზუკას აკოცე. უთხარი, რომ მიყვარს.

თიკას დედის ბუზღუნით ნათქვამი ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია. ყურმილი დაკიდა და ახლა სხვა ნომერი აკრიფა...

– გამარჯობა. ბილეთის დაჯავშნა მინდოდა პარიზისკენ მიმავალ რეისზე. დიახ, იყოს ვენის გავლით. ხვალ დილის შვიდ საათზე? შესანიშნავია. იყოს ეკონომკლასი... ჩაიწერეთ გვარი...

„ჭეშმარიტი ტორეადორი არენაზე კვდება", – არ ვიცი, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, მაგრამ როცა გავეშებულ ხარს ცხვირწინ წითელ ქსოვილს უფრიალებ და უეცრად აგიჟებ, იმისთვისაც უნდა იყო მზად, რომ ადრე, თუ გვიან, რქებზეც წამოგაგებს. პირადად მე, კორიდა აბსოლუტურ უაზრობად და რაღაც ველურ გადმონაშთად მიმაჩნია. შეიძლება იმიტომ, რომ არასოდეს მინახავს. ტელეეპიზოდები ანგარიშში ჩასაგდები არ არის. ვინ იცის, თუკი სტადიონზე, ერთხელ მეც აღმოვჩნდები და ხალხით სავსე ტრიბუნიდან გადარეულ ხარსა და სიკვდილთან მოთამაშე ტორეადორს ყიჟინით გავამხნევებ, იქნებ, აზრი შემეცვალოს კიდეც. იქნებ, იმ ტორეადორსაც გავუგო და აღარ მივიჩნიო თვითმკვლელად. ალბათ, მთამსვლელებს უკეთ ესმით ტორეადორების. ჩვეულებრივი, ყოფითი პრობლემებით გარემოცული ადამიანისთვის კი, რომელსაც შხარას სიმაღლეზე მეტად გაზის გაძვირებული ტარიფი აშფოთებს, ეს ყველაფერი ძნელი გასაგებია. ნუ მოსთხოვთ მას, გაითავისოს თავგანწირვის სიტკბოება. მით უმეტეს, ვერ მიხვდება, რატომ უნდა გაირთულო ცხოვრება, როცა შეიძლება მარტივად იცხოვრო.

... ვახომ ნამძინარევი სახე მეგობრისკენ მიაბრუნა და დაამთქნარა. აშკარად არ იყო მისი ვიზიტით აღფრთოვანებული. ბედნიერი და ცხოვრებით კმაყოფილი არც ნიკუშა ჩანდა. ვახოს მოურიდებლად მოკიდა მხარეზე ხელი და შეანჯღრია.

– ვაა, შენ ვინა ხარ, ტო... მოიცადე რა, თვალი გავახილო, – აბუზღუნდა ვახო.

– რით ვერ გამოფხიზლდი. თხუთმეტი წუთია აქ ვარ.

– კარგი რა, ტო... როდის აქეთ აქვს შენთვის დროს მნიშვნელობა. დალოცვილო, დილაუთენია რომ მივარდები სახლში, არ უნდა იკითხო, სტუმრების მისაღებად მზად ვარ, თუ არა?!

– მე სტუმარი ვარ, შე დებილო?

– ოჯახის წევრიც რომ არა ხარ, ფაქტია. ფაქტს რა წონა და დატვირთვაც აქვს, ესეც მოგეხსენება, – ნიშნის მოგებით ჩაიცინა ვახომ, მაგრამ ნიკუშას მოჟამულ სახეს რომ შეხედა, ამოიოხრა, – ჰო კარგი. წავალ, პირს ცივი წყლით დავიბან. ისე, ქალი რომ მყოლოდა, რას აპირებდი, ქალთან ერთად რომ დაგხვედროდი?

– წადი, წადი. მართლა არ გაწყენს ცივი შხაპი, – ხელი იქითკენ გაიშვირა ნიკუშამ, საითაც აბაზანა ეგულებოდა.

– ჭკუასაც რომ მასწავლის, რა გინდა, ტო, ბოლო უნდა მომიღო?! გუშინ არ გნახე? თუ მართლა საქმე გქონდა, ვერ მითხარი? ან ოთხი-ხუთი საათიც მოგეცადა და მოვეთრეოდი სამსახურში. მოეთრეოდი შენც და იქ მეტყოდი, რა ცეცხლის წაკიდება გჭირს ამისთანა.

– გეყოფა წუწუნი. ვიცოდი, რომ მარტო იქნებოდი.

ვახომ ხელები გაშალა.

– ვაიმე, ამას ვის გადავეყარე. გოგო მაინც იყო, გიშვილებდი.

ნიკუშას გაეცინა.

– ვითომ გოგო რა არის? რითია ბიჭზე უკეთესი?!

– რა ვიცი, აბა, – მხრები აიჩეჩა ვახომ, – გოგოს გაზრდა უფრო ადვილი მგონია. თან ერთი უკვე მყავს.

– გეხვეწები, ნუ ბუზღუნებ. ძალიან გთხოვ. სერიოზულ საქმეზე მოვედი, ვერც წარმოიდგენ, ისეთ სერიოზულ საქმეზე.

– შენ და სერიოზული საქმე?! – ამოიხვნეშა ვახომ და სიგარეტის კოლოფს დაუწყო ძებნა, – მოვწევ, თორემ ისეთი სახე გაქვს, ვიცი, კიდევ რაღაც სისულელეს მეტყვი და გამაგიჟებ.

– გეუბნები, სერიოზულ საქმეზე მოვედი-მეთქი. მგონი რაღაც ხდება.

– ჰო, „რაღაც” ნამდვილად ხდება, შენ ტვინი გაქვს არეული და მეც გინდა, ამირიო.

– არ შეგიძლია დაჯდე და ჩუმად მომისმინო?! ძლივს გავათენე. მეგონა, მზე აღარასოდეს ამოვიდოდა.

– ეე, შენ მაგრად აურიე... სიყვარული დაგიმჟავდა და გაგირთულდა. რაც დრო გავა, კიდევ უფრო მაგრად გაჭედავ. აქ კი არ უნდა მოსულიყავი, იქ უნდა წასულიყავი, სადაც შენს უბედურებას უშველიდნენ.

– რას გულისხმობ?!

– რას ვგულისხმობ და იას. იასთან უნდა მისულიყავი. მარტო ის თუ განგკურნავს და დაგაბრუნებს დედამიწაზე. სანამ კიდევ შეიძლება შენი ამქვეყნად მობრუნება, თორემ მალე გვიან იქნება.

– გაჩუმდი, რა... – გაბრაზდა ნიკუშა, – მეც მაგარი სულელი ვარ, შენ რომ მოგადექი. ტვინი უკუღმა გაქვს ჩადებული, მაგ გასიებულ თავში.

– შეურაცხყოფის გარეშე, თუ შეიძლება, – ვახომ თავზე გადაისვა ხელი და შეუმჩნევლად ვიტრინის სარკეში ჩაიხედა, – შენ რა, ჩემზე პატარა თავი გაქვს. იმდენი გაგიხმეს ეგ თავი! – მიაწყევლა მეგობარს წყევლაში გაწაფული დედაბერივით.

ნიკუშამ ხელი ჩაიქნია.

– ვიცოდი რა, ვიცოდი, რომ ტყუილად მოვდიოდი. ჩემმა მტერმა გიყურა შენ ახალგაღვიძებულს, ბოდიში, რომ გამოძინების საშუალება არ მოგეცი. მეტად აღარ შეგაწუხებ.

– დაეგდე! – ვახომ სიგარეტს მოუკიდა, – მართალი ხარ. ახლაგაღვიძებული მაგარი „მყრალი” როჟა ვარ. შეიძლება ამიტომაც ვერ მიძლებენ ცოლები, პანტა-პუნტით რომ გამირბიან. მაგრამ, უკვე გამოვფხიზლდი და მზად ვარ, ყველაზე დიდი სისულელეც კი მოვისმინო. თუ შენ ამით რამე გეშველება.

ნიკუშამ შუბლი მოისრისა.

– რაღას უცდი, გისმენ.

– არ ვიცი, საიდან დავიწყო, – ყოყმანით ჩაილაპარაკა ნიკუშამ, ვახოს სიგარეტის ბოლი გადასცდა.

– გიჟი ხარ, რა! – თქვა, როცა ხველას მორჩა და ცოტა სული მოითქვა, – ნამდვილი გიჟი. სანამ დილაუთენია, უხეირო ტოროლასავით თავზე დამატყდებოდი და გულს გამიხეთქავდი, ვერ დაჯექი და ვერ მოიფიქრე, აქ მოსულს რა უნდა გეთქვა?!

– ვიცი, რაც უნდა ვთქვა. ვიცი, – შეუბღვირა ნიკუშამ და წარბშეკრული დაემუქრა, ვახო, თუ ყოველ წუთში შემაწყვეტინებ, მაგ უაზრო კომენტარებით, იცოდე, ღამემდე აქ დავრჩები და არც დაძინების საშუალებას მოგცემ.

მუქარამ გაჭრა. ვახომ ხელები გაშალა დანებების ნიშნად და ამოიოხრა.

– ღმერთო, შენ ყველაფერს ხედავ. რა შეგცოდე ამისთანა, სხვა სასჯელი მაინც დაგედო ჩემთვის.

– შენ ჩვენი სახლი გახსოვს? – ჰკითხა ნიკუშამ მოულოდნელად, ისე, რომ მისი გოდებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ვახოსთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ეს შეკითხვა და ისე გაუკვირდა, ერთბაშად ვერაფერი უპასუხა.

– იცი, რას გეკითხები, ჩვენი ძველი სახლი თუ გახსოვს?

– აურიე? რა ძველი სახლი. რას ბოდავ. სულ მაგ სახლში არ ცხოვრობ?

– ვახო, ცოტა ძალა დააატანე გონებას და მიხვდები, რას გეკითხები, გაღიზიანდა ნიკუშა.

– ვერ ვხვდები და ინკვიზიტორივით ნუ მიყურებ. რა ვქნა, არა ვარ შენნაირი გამჭრიახი. თან სერიოზული საქმე მაქვსო...

– მაქვს. შემიძლია, მილიონი ვიშოვო. თანაც ორი, ორი მილიონი.

– ვაა! რას მეუბნები, ტო, ჰოო! ეს მართლა სერიოზულია, დოლარი თუ ლარი.

– დოლარი, შეიძლება ევროც. ორი მილიონიც პირობითად ვთქვი. შეიძლება, მეტიც იყოს. ვახომ ხელები მომუშტა. დახედა. მერე გაშალა და ხელისგულებს ჩააშტერდა.

– ორი მილიონი დოლარი, ან ევრო, ეგ პირობითად რას ნიშნავს, კარგად ვერ გავიგე, მაგრამ დაახლოებით იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ორჯერ მეტის შანსიც არსებობს.

– ჰო, არსებობს.

– მდა, ორ მილიონ ევროდ ნამდვილად ღირდა ჩემი გაღვიძება. გმადლობ, ჩემი გახარებისთვის. ისე, სიზმარშიც ამას ვხედავდი.

– რას? – დაეჭვდა ნიკუშა.

– როგორ ვბანაობდი ფულში.

– შენ რა, დამცინი?

– მე კი არა, შენ დამცინი. რა მილიონები აგიტყდა ამ დილაუთენია. ვინ გაძლევს.

– ჯერ არავინ, მაგრამ „იმას” აქვს.

– ვის „იმას”? – ვერ მიხვდა ვახო.

– „იმას” ერთ დროს დედაჩემად რომ იწოდებოდა.

– ახალი ამბავი. შენს მამინაცვალს ფული თავზე საყრელად რომ აქვს, დიდი ხანია შენც იცი და მეც. თუ მაგის შეხსენება გინდოდა, ტელეფონი აგეღო და დაგერეკა. რაღას მორბოდი.

– არ შეგიძლია, ორი წუთით მაინც გაჩუმდე?! – გაცხარდა ნიკუშა. ვახომ პირზე აიფარა ორივე ხელისგული. აქაოდა, მორჩა, ხმას აღარ ამოვიღებო.

– მოკლედ, გოგიჩამ მითხრა, რომ დედაჩემზე მთელი სიუჟეტი ყოფილა ტელევიზორში.

– რა ყოფილა? – თვალები გაუფართოვდა ვახოს.

– სიუჟეტი. წარმოგიდგენია?! ტელევარსკვლავობაღა აკლდა. არაფრით მანებებს თავს. ეტყობა, ამ კოშმარიდან ვერასოდეს გამოვალ, – ნიკუშამ სიგარეტის კოლოფისკენ გაიწოდა ხელი. ვახომ სანთებელა გადაუგდო.

– გეუბნებოდი, არ შეიძლება ისე მოქცევა, როგორც შენ იქცევი-მეთქი. რატომ უნდა დარჩეს ამხელა ქონება, ვიღაც ფრანგის ნაბიჭვრებს.

– ვინ ნაბიჭვრებს? იმ ფრანგს შვილები არ ჰყავს.

– მით უმეტეს. ვაა! გამაგიჟებ მე შენ, გამაგიჟებ. ხომ იცი, რომ წარსულს ვერ შეცვლი. ამის გაკეთება შენ არ შეგიძლია. მამაშენი ცოცხალი რომ ყოფილიყო, სხვა საქმეა, მაგრამ აღარ არის ის კაცი და, რა გინდა, რომ ქნა?!

– მერე, რატომ აღარ არის? – იფეთქა ნიკუამ. ვახო გაშრა.

– რა ვიცი, ტო, ვინ რატომ კვდება, მაგას მე ვინ მეტყვის? საიქიოს საკითხების ექსპერტი კი არ ვარ.

– ვერ ვხვდები, როგორ შეგიძლია, ყველაფერზე იმაიმუნო. ერთხელ მაინც იყავი სერიოზული. ვერ ხედავ, როგორ ვნერვიულობ?

– ვხედავ და მინდა, როგორმე გაგამხნევო. მართლა რომ იფიქრო სიტუაციის მოგვარებაზე, არ იქნებოდა ცუდი. კანონით, ყველაფერი შენ გეკუთვნის.

– ფეხებზე მკიდია კანონი! მაგ ქალის არაფერი მჭირდება. საერთოდ არაფერი. მაგრამ ის ნახატი სხვა რაღაცაა. შენ ამას ვერ გაიგებ. გაგიჭირდება გაგება, ჯერ მეც ვერ გავერკვიე წესიერად.

– ნიკუშ, სრულ ჭკუაზე ხარ? ვერ ატყობ, რომ ბოდავ. გამაგებინე, რა ხდება შენს თავს?

– ის ხდება, რომ... ნიკუშამ ხელი ჩაიქნია...

სახლი არეული იყო. იატაკზე წებოვანი, შესაფუთი ქაღალდის ნაგლეჯები ეყარა. სავარძელზე კი ცარიელი საკიდები. ელენე ფანჯარასთან, სარწეველა სავარძელში იჯდა. ნელა ირწეოდა და თვალმოჭუტული კედელზე დაკიდებულ ნახატზე იყო მიშტერებული... ნიკუშას შესვლა არ გაუგია... ბიჭი ცარცივით იყო გაფითრებული. აკანკალებულ ხელებს ზურგისაკენ მალავდა. ეგონა, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, მაგრამ ერთბაშად მიხვდა, რომ ეს ქალი, ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის. იმდენად ბევრს, რომ შეეშინდა, მოზღვავებულ გრძნობას ნაპირი არ გადმოელახა და არ ატირებულიყო. ელენემ შვილი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ბიჭმა ოთახიდან გასვლა გადაწყვიტა და კარისკენ შებრუნდა.

– ნიკოლოზ, არ წახვიდე! რაღაც უნდა გითხრა. აუცილებლად უნდა გითხრა... სხვანაირად ამ ტვირთით ვერ ვიცხოვრებ.

ბიჭის მზერაში ირონია გაჩნდა.

– კარგია, ნიკოლოზი, რომ დამიძახე. აღარაფერი დარჩა.

– ნუ ამბობ ამას. ნუ ამბობ. მე დედაშენი ვარ და ყოველთვის დავრჩები შენს დედად.

– მხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით. ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც ვერსად წავუვალთ, მაგრამ ცხოველი არ ვარ, რომ ინსტინქტებით ვიცხოვრო. ის დამაკავშირებელი ძაფი გაწყდა, რომელსაც ერთმანეთთან უნდა დავეკავშირებინეთ. მე ვერ დამაბრალებ ამას.

– ვერც მე დავიბრალებ. არ ვამბობ, რომ ანგელოზი ვარ, მაგრამ ცხოვრებას ვერ შევებრძოლებით. საამისოდ ძალა არ გვეყოფა.

– მე არაფერი მაქვს ცხოვრებასთან საბრძოლველი. შენ კი, საკუთარ გრძნობებს ვერ გაუმკლავდი. როგორ არ გრცხვენია. ნუთუ, წმინდა აღარაფერი შეგრჩა.

– შვილო! – ქალი წამოდგა და ბიჭისკენ გაიწია.

ნიკუშა მოიღუშა და ზიზღით შეაჟრჟოლა... ქალი დააფრთხო იმ სიცივემ, რომელიც მისი მზერიდან მოდიოდა.

– შენ გძულვარ?! – შესძახა შეძრწუნებულმა, – კი, მაგრამ ასეთი რა დავაშავე?

– არ მინდა, ამ კითხვაზე არ გიპასუხებ. შენს თავთან იყავი მართალი. იმიტომ რომ, ჩემთვის ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. დღეს გაემგზავრები და ამით ყველაფერი მორჩება.

– არა. არ მორჩება. არ შეიძლება დამთავრდეს. ნუ ფიქრობ, რომ ადვილია ჩემთვის, შენგან შორს ყოფნა.

– მაგრამ მაინც მიდიხარ...

– რა აზრი აქვს, ჩემს დარჩენას. მითხარი, რომ გჭირდები. მითხარი და ახლავე უარს ვიტყვი ყველაფერზე. ძაძებს ჩავიცვამ და მამაშენის სურათთან დავჯდები.

ნიკუშამ გაიცინა.

– რა ფარისეველი ხარ. ძაძების ჩაცმის სურვილი გულიდან უნდა მოდიოდეს... მამაჩემის სურათთან დაჯდები, რომ ახლა მისი სული შეურაცხყო? გგონია, ამის უფლებას მოგცემ? ის არ გყოფნის, რაც ცოცხალს გაუკეთე?

– ისევ იმას იმეორებ. რა გავაკეთე, მითხარი, რა გავაკეთე?!

– მომეშვი, თუ არ გინდა, რომ შეურაცხყოფა მოგაყენო.

– შეურაცხყოფაც უნდა მომაყენო?! – ქალს ხმა აუთრთოლდა და თვალები ცრემლებით აევსო, – ნუთუ, კარგი არაფერი გამიკეთებია შენთვის.

– რაც გაგიკეთებია, ყველაფერს დიდი, წითელი ხაზი გადაუსვი. ორივესთვის, შენთვისაც და ჩემთვისაც, იდეალური ვარიანტი იქნება, თუკი გაემგზავრები, თანაც, რაც შეიძლება შორს.

– მერე, შენ? – საცოდავად წამოიძახა ელენემ.

– მე აქ დავრჩები.

– ფულს ყოველთვე გამოგიგზავნი.

– არ მჭირდება. შეგიძლია, არ შეწუხდე. შენი ფული შენვე მოიხმარე. ეგ არის, რაც მართლა გიყვარს.

– შენც მიყვარხარ. ძალიან მიყვარხარ.

– რომ გყვარებოდი, ცხოვრებას არ დამინგრევდი. შენთვის ეგ ნახატი უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი შვილი. ისეთი სიყვარულით უყურებდი, ჩემთვის ასე არასოდეს შემოგიხედავს.

– ეს... ეს... უსამართლო ბრალდებაა. უბრალოდ, ვფიქრობდი წამეღო, თუ აქ დამეტოვებინა.

– ყველაფერი წაიღე, ყველაფერი... რაც შენს თავს გამახსენებს. იმიტომ, რომ მინდა საერთოდ წაგშალო ჩემი ცხოვრებიდან... – მთელი ხმით იბღავლა ნიკუშამ და კარი გაიჯახუნა...

ბატონი ზურაბი ბოლთას სცემდა სასტუმრო ოთახში და ფიქრობდა, ვისზე ამოენთხია დაგროვილი ბოღმა. ცოლი ამ საქმისთვის არ გამოადგებოდა. დიანა თავისი უემოციობით და სიმშვიდით, უარესად აუშლიდა ნერვებს. საერთოდ ჭკუიდან გადაჰყავდა.

– გშია? ტოლმა გვაქვს, არ შეჭამ?

– რა დროს ტოლმაა. ერთხელ მაინც მიხვდი, რას ვგრძნობ და რას განვიცდი. დღეს გამიცანი, თუ რაშია საქმე?! რისთვის სჭირდება კაცს ცოლი. დაფიქრდი, ხომ შეიძლება?! ქათმის ტვინი გაქვს, თუ რა უბედურებაა.

– რატომ ნერვიულობ, ძვირფასო. ისევ წნევა აგიწევს. ცუდად გახდები...

– გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. რატომ არ მითხარი, ბავშვი პარიზში რომ მიდიოდა. რამდენჯერ გაგაფრთხილე, არაფერი დამიმალო-მეთქი.

– არც დამიმალავს. დილით გითხარი.

– დიანა, გაჩუმდი! რომელ საათზე მითხარი, ქალო! თვითმფრინავი ჰაერში იყო უკვე!

– როცა გაიღვიძე, მაშინ გითხარი. თინიკომ რომ დარეკა, შენ გეძინა და ხომ არ გაგაღვიძებდი.

– წნევა ამიწევდა, ხო?! – სიბრაზისგან გაწითლდა კაცი, – კარგი, და შენი აზრით, ახლა რა უნდა ვქნა. გულზე ხელები დავიკრიფო და მშვიდად დაველოდო, როდის მოსწყინდება შენს ქალ-სიძეს პარიზის ღირსშესანიშნაობებით ტკბობა და დაბრუნებას ინებებენ!

– ვერ გამიგია, რატომ ბრაზობ, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – ჩამოვლენ, იქ ხომ არ დარჩებიან. ბავშვი ჩვენთან არის. მართლა, მძღოლი მივიდოდა უკვე, სკოლაში არ დააგვიანდეს...

დიანა მშვიდი სახით გავიდა ოთახიდან, ზურაბმა გამეტებით დაჰკრა მუშტი მაგიდის ზედაპირს. „როგორ მოვტყუვდი, როგორ შევცდი, რომ ეს უტვინო შევირთე ცოლად. მაშინ მეგონა, სწორ ნაბიჯს ვდგამდი. არასოდეს არ უნდა თქვა უარი იმაზე, რისკენაც გული მიგიწევს. ეს სასჯელია ჩემი დაუფიქრებლობისათვის. ნეტავ, რამდენი წელი უნდა გავიდეს კიდევ, რომ სინანულმა არ შემაწუხოს. მეყოფა კი დრო? რამდენ ხანს ვიცოცხლებ?! ჩემს სიძეს ჰგონია, საფლავში წავიღებ მილიონებს. ამბიცია კლავს, რომ ჩემზე მაგარია. ცხვირმოუხოცავი ღლაპი. ეს ჩემი შვილი კი, ნამდვილი შტერია. სულ დედამისს დაემსგავსა. საკუთარი ცხვირის წინ ვერაფერს ხედავს. ვაჟბატონი გამეპარა. მიხვდა, რომ დავმოძღვრავდი და აორთქლდა. ქალბატონიც უკან დაეკიდა. ჩერჩეტი. რომ დავურეკო, რა ვუთხრა. რა აზრი აქვს...

– დიანა! დიანა! – დაუძახა ცოლს.

– რა გაყვირებს, ძვირფასო. ზუკას ვასაუზმებ.

– თინიკო რომ დარეკავს, მაშინვე დამალაპარაკე. არ დაგავიწყდეს, იცოდე.

– თუ გინდა, რომ რამე ჩამოგიტანოს, მე მითხარი და გადავცემ. თორემ, შეიძლება, ისეთ დროს დარეკოს...

– დიანა, გაჩუმდი და რასაც გთხოვ, ის გააკეთე. რაც მეტს ლაპარაკობ, მეტ სისულელეს ამბობ. წადი, წადი, ბავშვს მიხედე. მაგის აღზრდასაც მე თუ არ მოვკიდე ხელი, ისეთ ბოთეს გაზრდით, როგორიც მამამისი იყო. მით უმეტეს, რომ არც მამინაცვალი ბრწყინავს. დედაზე ხომ საერთოდ აღარ ღირს ლაპარაკი. ოჰ, ზურაბ, რა მაგრად შეგეშალა, რა მაგრად...

– რაზე ამბობ, ძვირფასო? რა შეცდომა დაუშვი? რამე მოხდა?!

– დიანა, გეხვეწები, გადი და მიხედე საქმეს. ჭკუიდან არ გადამიყვანო!

ქალმა ისევ მშვიდად გაიხურა კარი. ზურაბმა ამოიოხრა. კომოდთან მივიდა და უჯრაში გადამალული სიგარეტი ამოიღო... ქალი იმაზე ჯიუტი გამოდგა, ვიდრე წარმოიდგენდა. ვერ ხვდებოდა, სჯიდა ამ სიჯიუტით, თუ პრინციპულად აღარ უნდოდა მასთან ურთიერთობა. ზარებს არ პასუხობდა. სცადა და რამდენჯერმე სხვა ნომრიდან დაურეკა. როგორც კი, მისი ხმა გაიგო, მაშინვე გაუთიშა. პატარა ბიჭივით, უკან ხომ არ დაუწყებდა დევნას. თუმცა, პატარა ბიჭივით უძგერდა გული და ადგილს ვერ პოულობდა. ნელ-ნელა დაიბოღმა და მთელი აგრესია, რომელიც დაუკმაყოფილებელმა სურვილმა დაუგროვა, მეტოქის წინააღმდეგ მიმართა. დასანახად ვეღარ იტანდა. გალიაში გამომწყვდეული მხეცივით ბრდღვინავდა, როცა მის მითითებებს ისმენდა. მოთმინების ძაფი მაშინ გაუწყდა, როცა ცოლისთვის მძღოლის შერჩევა დაავალა, უფრო სწორად, მასწავლებლის, რომელიც მანქანის მართვას ასწავლიდა.

– ვინმე სანდო მინდა, ხომ გესმის. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ყველაფერს გამადიდებელი შუშით უნდა დააკვირდე. კი არ ვეჭვიანობ. უბრალოდ, მეშინია, ვინმემ ბოროტად არ ისარგებლოს: რომ წარმოვიდგენ, შეიძლება ელენე მოიტაცონ, ძარღვებში სისხლი მეყინება.

ზურაბმა ოფლით დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და პერანგის საყელო მოიღეღა. სული ეხუთებოდა.

– ფანჯარას გავაღებ, რა ნიკოლოზოვიჩ! ძალიან ცხელა.

– გააღე. ცხელა? არ შემიმჩნევია. ჰო, რას გეუბნებოდი?! მეშინია-მეთქი. ხალხს ჰგონია, რომ მილიონერი ვარ. მანქანაც და ცოლიც ერთად ვის ვანდო. არადა, ძალიან უნდა საჭესთან დაჯდომა. მეც მინდა. მოუხდება მანქანა, ძალიან გამიმართლა, ელენე რომ გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. აღარც კი მახსოვს, რას ვაკეთებდი, როცა ის არ მყავდა.

ზურაბს გაღებულმა ფანჯარამაც ვერ მოჰგვარა შვება. ცხვირსახოცი გასაწური გაუხდა. ოფლმა პერანგი დაუსველა.

– კარგად ხარ? – სერგიმ შეშფოთებულმა შეხედა თავის მოადგილეს, – ცუდი ფერი გაქვს.

– ზაფხული საშინლად არ მიყვარს. სიცხეში სუნთქვა მიჭირს, – ამოიზლუქუნა ზურაბმა, – რა ვიცი, მე ხომ არ მესწავლებინა. დრო მაქვს. პრაქტიკა უკვე გავიარე. ვერ ვიტყვი, რომ რამე გამომივა ამ საქმიდან, მაგრამ თქვენი ცოლი თუ მოინდომებს.

– შეენ? – მერე შეძლებ? სამსახურშიც ამდენი საქმე გვაქვს.

– დილაობით ვამეცადინებ.

– არ გამოვა. დილის ძილს ვერ შეელევა, გაეცინა სერგის! არა, არა, შენ ასე ვერ დაგავალებ. ბიჭებიდან უთხარი რომელიმეს. მაგრამ, ძალიან ახალგაზრდა ნუ იქნება.

– წავალ, წყალს დავლევ, პირი მიშრება, – მოიმიზეზა ზურაბმა.

– მაცივარში ბორჯომი მაქვს. ეკას დავურეკავ და შემოგიტანს.

– არ მინდა, ჰაერზე გავივლი. ნახევარ საათში დავბრუნდები.

– წადი, წადი. თუ გინდა, დღეს ნუღარც მოხვალ. მიხედე თავს.

ზურაბი დიდხანს იჯდა მანქანის საჭესთან გაშტერებული. მერე თვითონაც ვეღარ გაიხსენა, როგორ მივიდა იმ სახლთან. ავიდა კიბეზე და ზარი დარეკა. კარი საშუალო ასაკის სიმპათიურმა ქალმა გაუღო.

– ვინ გნებავთ? – განცვიფრებით და უნდობლად შეათვალიერა ზღურბლზე აღმართული უცნობი, რომელსაც ცოტათი შეშლილის გამოხედვა ჰქონდა.

– ქალბატონ ელენესთან ვარ. მისმა მეუღლემ გამომგზავნა... მანქანის მართვის მასწავლებელი... – ძლივს მოაბა სათქმელს თავი კაცმა.

– აა, ერთი წუთით დამელოდეთ, – ქალი კარს მიღმა გაუჩინარდა. კაცს ესმოდა, როგორ უცემდა მკერდში გული. რამდენიმე წუთში კარი ისევ გაიღო და ამჯერად ფართოდ.

– აქ დაელოდეთ. ქალბატონი ელენე ახლავე მოვა.

მორჩილი ბავშვივით ჩამოჯდა მითითებულ სკამზე და გაოფლიანებული ხელისგულები მუხლისთავებზე დაიწყო.

ქალის სახეზე სიხარული ჯერ გაკვირვებამ, მერე გაბრაზებამ შეცვალა.

– შენ აქ რას აკეთებ?

– სერგიმ მითხრა, რომ მასწავლებელი გჭირდება.

ელენემ გაოცებით ასწია წარბები.

– მასწავლებელი? რაღაც გეშლება. იმაში, რისი სწავლაც მე მინდა, შენ ვერ გამომადგები. ახლავე წადი აქედან. ჩემს ქმარს კი, მე დაველაპარაკები. შენი თავხედობა უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდა. არ ვაპირებ, სიმშვიდე დავირღვიო და ცხოვრება ავირიო მარტო იმიტომ, რომ შენ ვერ ახერხებ, საკუთარ ინსტინქტებთან გამკლავებას.

– ელენე, მოიცადე. შენს მოსამსახურეს ვუთხარი, მასწავლებელი ვარ-მეთქი, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, სერგიმ კი მართლა მთხოვა, შენთვის მასწავლებლის მოძებნაში დავეხმარო.

– უპოვია იმასაც გულშემატკივარი. არ გვჭირდება შენი დახმარება. წადი.

ელენე ადგა. თხელ, სიფრიფანა ქსოვილში, ოდნავ წამოზრდილი მუცელი გამოეკვეთა. ზურაბმა გულთან ტკივილი იგრძნო.

– ბავშვს ელოდები? სერგისგან?

– ნამდვილი იდიოტი ხარ. გაეთრიე, ჩემი სახლიდან.

– რატომ მექცევი ასე მკაცრად. მე შენთვის არაფერი დამიშავებია. მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს.

– ამაში კი მართალი ხარ. დავშორდით. შენ შენი არჩევანი გააკეთე. რა გინდა, ვეღარ გავიგე.

– არ შემიძლია უშენობა.

– რას მეუბნები?! – შეიცხადა ქალმა, – მე შემიძლია, მეტსაც გეტყვი. ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა მინდა გითხრა, ჩემი ცხოვრება ასე რომ შეცვალე. ახლა ვხვდები, რომ შენ არ იყავი ის კაცი, ვინც მე მჭირდებოდა.

– რატომ გინდა, მტრად გადამიკიდო.

ქალმა გაოცებით შეხედა და ხმამაღლა გაიცინა.

– მემუქრები? დაგავიწყდა, ვინ არის ჩემი ქმარი?

– არა. მაგიტომაც გაფრთხილებ, ორივესთვის აჯობებს, თუ საერთო ენას გამოვნახავთ.

– ახლავე გაეთრიე... ჩემი სახლიდან, – დამარცვლით გაიმეორა ქალმა და ოთახში ისე მიმოიხედა, კაცი მიხვდა, რაღაცას ეძებდა, მისთვის ჩასარტყმელად.

– წავალ, მაგრამ არ ინანო.

– ჰა, ჰა, ჰა... ვინანო? შენმა ცოლმა ინანოს, მას ამისთვის ყველაფერი აქვს. გამიმართლა, რომ მის ადგილას არ აღმოვჩნდი. მორჩა, უკვე ყველაფერი გითხარი. არ გირჩევ, ინიციატივის კიდევ ერთხელ გამოჩენას.

ზურაბმა ნახატი გასვლისას დაინახა. ტყავის სამეულს გადმოჰყურებდა თავზე. აღარაფერი უთქვამს. ელენეს მომრგვალებულმა და წამოზრდილმა მუცელმა თავზარი დასცა. „გოგო მაინც ეყოლოსო", – გაიფიქრა ანგარიშმიუცემლად. ბიჭი დაიბადა!..

ვახო ხელებში თავჩარგული იჯდა.

– აუ... ეს რა მითხარი, ტო... ის ნახატი?! ორი მილიონი?! ვა�ა, შოკში ვარ. ბიჭო, მილიონები გეკიდა კედელზე და არ იცოდი? რატომ გაატანე, ტო?!

– ეე, მაინც ვერაფერს მიხვდი. მე ნახატიც და მილიონებიც ფეხებზე მკიდია. სხვა რამე მაწუხებს. ჩამოვა, აქ ჩამოვა, გესმის? მე კი სახლიდან ვერ გავაგდებ. არ მაქვს, ამის უფლება. იურიდიულად არ მაქვს.

– რას ნიშნავს, მილიონები ფეხებზე გკიდია, – გადაირია ვახო, – მე არ მკიდია, ტოო. არც შენ გკიდია. ვაა. ეგ ვინ ყოფილა! იცოდა, როცა მიჰქონდა?!

– არ ვიცი. მაშინ ეგ პრობლემა ნაკლებად მაინტერესებდა, მაგრამ რადგან ყველაფერი დატოვა და მარტო ეგ წაიღო, ესე იგი, მისთვის რაღაცას ნიშნავს.

– ჰმ, რა თქმა უნდა, ნიშნავს, ორი მილიონი ხუმრობა საქმეა?! მდა, ბიჭო, რომ გაყიდოს?

– გაყიდოს, მერე. აქ ნუ ჩამოვა და რაც უნდა, ის ქნას. ფეხებზე მკიდია-მეთქი, ვერ გაიგე, რა გითხარი?

– გაჩუმდი. გაჩუმდი, თორემ დაგახრჩობ! მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ. ნიკუშა უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა.

– ეე, ახლა არ დაიწყო. მოგიყევი, იმიტომ რომ გული არ გამხეთქოდა. არაფერს არ გავაკეთებთ. აბსოლუტურად არაფერს, არც ის ნახატია ჩემი და შესაბამისად, არც მილიონები.

– დედა? დედა ხომ არის შენი?! არა, ნიკუშ! სისულელის ჩადენის უფლებას არ მოგცემ. ამჯერად, ვეღარ გააჭენებ შენსას.

– რის გაკეთებას აპირებ?

– ბიჭებს დავურეკავ. შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, ნახატი როგორ დაიბრუნო.

– არავითარ შემთხვევაში. რა დავიბრუნო. ის, რაც ჩემი არასოდეს ყოფილა. გეუბნები, დამშვიდდი და ისე მომისმინე. ჩემთვის მთავარია, ეს ამბავი ქალბატონმა ელენემ ჩემთან შესარიგებლად არ გამოიყენოს.

– ჰმ, ახლა გეყოფა, ბევრს ნუღარ გაატრაკებ. შეურიგდები, კი არა, თუ საჭირო გახდება. მასთანაც გაემგზავრები, საფრანგეთში. ორმილიონიანი ნახატები ქუჩაში არ ყრია.

– მე კი გეუბნები, მობილურს ხელი გაუშვი. არსად არ დარეკავ, – წამოხტა ნიკუშა და მეგობარს ტელეფონის წართმევა დაუპირა.

– მომეშვი, გადარეულო. ვიღაც მირეკავს. უნდა ვუპასუხო, – ვახომ ხელი ჰკრა ნიკას და მწვანე ღილაკს თითი დააჭირა.

– ვახო ვარ... არა? ვერაო ვერ გიცანიო... ვაა! მართლა, შენა ხარ?! – ვახო ნიკუშასკენ მიბრუნდა და ჩურჩულით გადაულაპარაკა.

– იაა, ტო... შენი ნახვა უნდა. ვუთხრა, რომ მოვიდეს?!...

ზურაბი ბოლთას სცემდა. კოლოფში სიგარეტი აღარ დარჩა. თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ მოსწია ერთმანეთის მიყოლებით ათი ღერი. ოთახი კვამლით გაჯერდა და თითქოს ჰაერიც დამძიმდა. დიანა მაშინვე ფანჯარას მივარდა და გამოაღო. ქმრისთვის მერე მოიცალა.

– რა ხდება, თავს იკლავ? რამდენი მოგიწევია...

– რატომ შემოხვედი, მე ხომ არ დამიძახია?

– რას ნიშნავს, რატომ შემოვედი? ხომ არ დაგავიწყდა, რომ ამ სახლში მეც ვცხოვრობ და, საერთოდ, შენი ცოლი ვარ?!

– სამწუხაროდ, კარგი მეხსიერება მაქვს, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა კაცმა.

ქალმა მისი მზერაც შენიშნა და არც მისი სახის გამომეტყველება გამოჰპარვია.

– იმედი მაქვს, შენი გულისწყრომის მიზეზი მე არ ვარ.

– იმედი არაჩვეულებრივი რამეა, მაგრამ მე ამ ფუფუნებას მოკლებული ვარ. დიანა, მომეშვი. ხომ ხედავ, ლაპარაკის ხალისი არ მაქვს. თუ გინდა, რამით დამეხმარო, სიგარეტი მომიტანე.

ქალმა თავი გადააქნია.

– იქნებ მითხრა, რა დაგემართა?

– ლაპარაკის გუნებაზე არ ვარ-მეთქი. მომიტანე სიგარეტი... თუმცა, არა, არ მინდა. მე თვითონ მოვიტან, – ზურაბი სკამის საზურგეზე გადაკიდებულ პიჯაკს დასწვდა.

– კარგი, მოგიტან სიგარეტს. ისეთი სახე გაქვს, მეშინია, ქუჩაში ვინმეს არ ეჩხუბო. სამსახურში გაქვს პრობლემა?

– ჰო, – უხალისოდ დაუქნია კაცმა თავი.

– გინდა, მამაჩემს ვუთხრა და სერგისთან ურთიერთობა მოგიგვაროს?

– არა! – იყვირა კაცმა. დიანა მოულოდნელობისგან შეხტა.

– რა გაყვირებს? ვერ ვიტან, როცა მიყვირი, – თვალები აეცრემლა ქალს, – მე შენთვის არაფერი დამიშავებია..

ზურაბმა მყისიერად გააცნობიერა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ცოლთან სერიოზულ კონფლიქტს, მით უმეტეს, თუ ის ყველაფერს მამამისს მოუყვებოდა და სწრაფად დაიხია უკან:

– მაპატიე. არ მინდოდა. მართლა ძალიან ვარ გაღიზიანებული. საშინელებაა, როცა ვიღაც მუდმივად ჭკუას გასწავლის და მბრძანებლობს. სერგი ცუდი პიროვნება არ არის, მაგრამ ის მაინც უფროსია. მამაკაცისთვის, თუ ის საკუთარ თავს პატივს სცემს, ხელქვეითის როლში ყოფნა ძალიან დამთრგუნველია.

დიანა მოლბა. ქმართან მივიდა და მხარზე მიეხუტა.

– ცოტა ხანსაც მოითმინე, საყვარელო. მამას აუცილებლად ვეტყვი და დაგეხმარება.

– ვიცი. ვიცი, რომ დამეხმარება, მაგრამ მე თავად მინდა, რაღაცას მივაღწიო. ვითრგუნები, როცა მამაშენი თავისი ფრთის ქვეშ ჩვენს შეფარებას ცდილობს.

დიანას არ მოეწონა ქმრის სიტყვებში შეფარული ირონია.

– რა უსამართლო ხარ! მამაჩემს უნდა, რომ კარგად ვიყოთ და გზას გაგიკვალავს. რა არის ამაში ცუდი?

– ცუდია-მეთქი, არ მითქვამს, მაგრამ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.

– მაშინ, შენ თვითონ მოიკალი თავი მუშაობით, შეასრულე სერგის მითითებები და ნუღარც წუწუნებ.

– არ ვწუწუნებ, უბრალოდ, ცუდ გუნებაზე ვარ, მაგრამ შენ ამის გაგება არ გინდა.

ქალმა მხრები აიჩეჩა:

– არ ვიცი, არ ვიცი... მართლაც სხვა რაღაც მგონია ამ ყველაფრის მიზეზი.

– რა სისულელეა! რა გინდა მაგით რომ თქვა?

– არაფერი. არაფრის თქმა არ მინდა, მაგრამ...

– მაგრამ, რა... – გაღიზიანდა კაცი.

– არაფერი, – დიანა შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. ზურაბმა შეკრული წარბების ქვემოდან გახედა ცოლს და რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა. ხელი ტელეფონის ყურმილისკენ გაიწოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა ელენესთან დარეკვას. „ესე იგი, აღარაფერში ვჭირდები... რა თქმა უნდა, ქმარი თანამდებობის პირი ჰყავს, არც ფული აკლია. მე რით მოვხიბლავ? თანაც, ბოღმა აქვს – უნდა, სამაგიერო გადამიხადოს, ცოლად რომ არ შევირთე. რომ მყვარებოდა, ალბათ, შევირთავდი. ჩემი გრძნობა ძლიერი არ აღმოჩნდა და დიანაც იმიტომ გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. გასაკვირი არაფერია: ქორწინება ან საქმიანი გარიგება უნდა იყოს, ან არანორმალური სიყვარულის დაგვირგვინება. მაგრამ, პირველი ვარიანტი გაცილებით ჯობია. გრძნობა, როგორი ძლიერიც უნდა იყოს, დროს მაინც ვერ გაუძლებს და აუცილებლად გაქრება. კარგად გათვლილი საქმიანი გარიგება კი, ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანია. ასე რომ, საკუთარ თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ, ნამდვილად სწორი არჩევანი გავაკეთე. აი, ქალბატონი ელენე კი აუცილებლად ინანებს, ძაღლივით რომ მომექცა. ჰმ, დავიჯერო, სერგი ისეთი მამაკაცია, რომ ყველაფერი დაავიწყდა?!“ – ზურაბმა ცარიელი კოლოფი მოჭმუჭნა და კედელს ესროლა...

***

ლევანმა მხოლოდ მეორე დღეს გამოძებნა რამდენიმე თავისუფალი წუთი და აქტიურად შეუდგა საჭირო ტელეფონის ნომრის მოძიებას. არ გასჭირვებია – ცნობილი ოჯახი ქალაქის გარეუბანში, ძალიან პრესტიჟულ ადგილას ცხოვრობდა. ლევანმა სამთავრობო ჯგუფთან ერთად ვახშამზე უარი თქვა, თავის ტკივილი მოიმიზეზა და ნომერში დარჩა. ტელევიზორის

წინ იჯდა პულტით ხელში და ფიქრობდა, ღირდა თუ არა მეგობრის დედის მონახულება. თინიკოს სიჩუმეც აწუხებდა. არა, კი არ აწუხებდა, დისკომფორტს უქმნიდა. ჩვეულებრივ, ცოლი ყოველ სამ საათში ურეკავდა ხოლმე, ან მესიჯებს უგზავნიდა. რა თქმა უნდა, შეეძლო, თვითონ დაერეკა, მაგრამ, რატომღაც, არ ჩქარობდა. ადგა, მაცივართან მივიდა, ვისკის ბოთლი გამოიღო და დაისხა. ორი-სამი ყლუპის შემდეგ მოთმინებამ უმტყუნა. მობილური აიღო და თიკას დაურეკა, კიდევ ერთი უცნაურობა: ქალს ტელეფონი გამორთული ჰქონდა. „ესღა მაკლდა. მირჩევნია, გულს მიწყალებდეს თავისი ზარებით, ვიდრე ასე ჩუმად იყოს. მობილურს ღამითაც არ თიშავს და ახლა რა უნდა მომხდარიყო ამისთანა“... ლევანი აფორიაქდა. ყოველთვის უჭირდა ერთდროულად რამდენიმე საკითხზე ფიქრი – ეს სისუსტე ბავშვობიდან ჰქონდა. თუ კითხულობდა, არაფერი ესმოდა; თუ უსმენდა, ვერ ფიქრობდა; თუ ფიქრობდა, ბრმა და ყრუ ერთდროულად ხდებოდა... ერთი სიტყვით, უკვე დაგეგმილი ვიზიტი ერთბაშად მეორეხარისხოვანი გახდა. მერე ფეხით გავლა მოუნდა. სურვილი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ყველა სხვა გრძნობა დაჯაბნა. პიჯაკი აიღო და პარიზის განათებულ ქუჩებში გავიდა. პირველად არ ეჩქარებოდა არსად. დიდი ხანია, თავი ასე თავისუფლად არ უგრძვნია. აქ არსად იყვნენ „კუდები“, – ანუ ჟურნალისტები. თავატკიებული მინისტრის უკან დევნას მათ გემრიელი ვახშამი ერჩივნათ და ლევანსაც შეეძლო, უბრალოდ, ეხეტიალა. ცნობილი ბრენდების განათებულ საფირმო მაღაზიებს ჩაუარა და უნებლიეთ გაეღიმა. ცოლთან ერთად რომ ყოფილიყო, თიკას შეიარაღებული რაზმი ვერ გამოიყვანდა იქიდან. ანგარიშმიუცემლად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და საიუველირო სალონის კარი შეაღო. უყურადღებოდ, მექანიკურად ათვალიერებდა აელვარებულ ვიტრინებს. ერთ-ერთთან შეჩერდა და მინის ქვეშ გამოფენილ ყელსაბამებს ჩააშტერდა. ოქროს წვრილ სიმზე წამოცმულ კულონს იის ფორმა და ფერი ჰქონდა, ძალიან ლამაზი იყო – პატარა და დახვეწილი. ლევანს შეკრული წარბები გაეხსნა...

***

გოგომ ლამაზი, ოდნავ აპრეხილი ცხვირი შეიჭმუხნა და ბიჭს მსუბუქად წაარტყა წკიპურტი შუბლზე:

– აბა, აბა, ნუ იტყუები! ნამდვილ ცრუპენტელად იქეცი. ძალიან კარგად ვიცი, ჩემი სახელი არაფრით რომ არ არის სახარბიელო. დედაჩემს თითქმის ყოველდღე ვსაყვედურობ. აბა, ია რა დასარქმევი იყო. სულ ორი ბგერაა – „ი“ და „ა“. სასაცილომდე პრიმიტიულია.

– რას ამბობ! შენს სახელს გლობალურ-ეროვნული დატვირთვა აქვს, – არ დაეთანხმა ბიჭი.

გოგომ თვალები მოწკურა.

– მაინც?

– ყველა პირველკლასელი, გესმის? ყველა, – საჩვენებელი თითი შემართა ლევანმა, – შენი სახელით იწყებს წერა-კითხვის სწავლას!

– ვაა, რა მაგარი ხარ, ტო! – ტაში დაუკრა ვახომ, – როგორ მოიფიქრე. მე მაგდენს ვერ მოვტვინავდი. ნახე, რა გითხრა?!

გოგო აკისკისდა.

– რამ გაგამხიარულათ? შეიძლება მეც გავიგო? – ნიკუშამ ეჭვით შეათვალიერა სიცილისგან ჩაბჟირებული ბიჭები და აკისკისებული ია.

– ლევანმა დამიმტკიცა, რომ ჩემს სახელს გლობალური მნიშვნელობა აქვს.

– მართლა? – ნიკუშამ პირქუშად გახედა მეგობარს. ლევანმაც ჯიქურ გაუსწორა თვალი.

– ჰო, მართლა, შენთვის რაღაცის თქმა მინდოდა... წამოდი, ეზოში გავიდეთ, – თქვა უცებ ნიკუშამ. ვახომ მაშინვე „მოწვა“.

– ეეე, მოიცადე, რა დაგემართა, ტო... რა ინდაურივით იფხორები. ხომ იცი, ეგეთ რაღაცეებს ვერ ვიტან. თუ მართლა სათქმელი გაქვს რამე, აქ უთხარი.

– არა, გავიდეთ, არ არის პრობლემა, – ლევანმა ვახოს მხარზე დაარტყა ხელი...

ეზოში გავიდნენ. ლევანმა დაასწრო და სანამ ნიკუშა რამეს იტყოდა, დაიწყო:

– ვიცი, რაც უნდა თქვა. ეჭვიანობ. სულ ტყუილად, მე ია მიყვარს, მაგრამ ისე არა, როგორც შენ გგონია.

– შენ რა იცი, მე რა მგონია? – ჩაიღრინა ნიკუშამ.

– ვიცი და არ გინდა... მე ასეთი რაღაცეები არ მეშლება, ამ მხრივ, შეგიძლია, მშვიდად იყო.

– ია ჩემია, – მესაკუთრის ტონით ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– ნუ იბღვირები, თუ ძმა ხარ. არავინ გართმევს.

– ვერც წამართმევს! – დაიქადნა ნიკუშამ.

– შენ ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე? – გაღიმება სცადა ლევანმა, – მარცხენა ფეხზე ხარ ამდგარი? რას ნიშნავს – „ია ჩემია“? თუ სიმართლე გინდა, ია არავისიც არ არის. შეგეძლო, გეთქვა, ერთმანეთი გვიყვარსო და უფრო გასაგები იქნებოდა.

– მე შენთან ჩხუბს არ ვაპირებ.

– ვიცი, მეგობრებთან არ ჩხუბობენ, მაგრამ, თუ არ გიყვარს, რატომ არ ეტყვი?

ნიკუშა გახევდა. ერთბაშად ვერაფერი უპასუხა. ლევანი მიხვდა, რომ სუსტი ადგილი მოუძებნა და გათამამდა:

– ჰო, რატომ არ ეუბნები? რას ელოდები? თუ, უთქმელადაც შენია?

– ლევან, გითხარი, შენთან ჩხუბი არ მინდა-მეთქი!

– ჰოდა, ნურც მეჩხუბები!

– რომ მიწვევ?! შენ სულელი გგონივარ? დიდი ხანია, რაღაცას გამჩნევ. არ მოსულა ჩვენში ესეთები.

– ვიცი, არ მჭირდება შეხსენება. იას კი მეტი ყურადღება სჭირდება.

– რა, შემოგჩივლა, ყურადღება მაკლიაო? – დამცინავად ჩაილაპარაკა ნიკუშამ, რომელსაც ხმაში უკვე აღარ ჰქონდა პირვანდელი რიხი.

– არ სჭირდება შეჩივლება, ისედაც ეტყობა, ბრმა კი არ ვარ.

– გეყოფა, არავის დაუვალებია შენთვის იაზე ზრუნვა!

– მართალია. არავის დაუვალებია, მაგრამ...

– ჰოდა, თუ „მაგრამ“, შენს საქმეს მიხედე. მე ჩემი გეგმები მაქვს, ყველაფერს ხომ არ გეტყვი. არ შემიძლია ყვავილებით სირბილი და ვერც ასფალტზე დავუწერდი დიდი ასოებით, მიყვარხარ-მეთქი. ბანკეტზე ხელს ვთხოვ და მორჩება ამით.

ლევანი გაშრა, მაგრამ არ შეიმჩნია. მიხვდა, რომ ნიკუშას, მასში მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებაც არ გამოეპარებოდა.

– ძალიან კარგი, – ჩაილაპარაკა ნაძალადევი ღიმილით და წასასვლელად შებრუნდა.

– მოიცადე! ნიკუშამ მხარზე დაადო ხელი. ლევანი ნელა შემოტრიალდა, მეგობრისთვის სახეზე არ შეუხედავს.

– წყენა არ ჩაიდო. მეგობრები ვართ?!

ლევანმა თავი დაუქნია.

ბანკეტს განაჩენივით ელოდა. არ უნდოდა იმის წარმოდგენა, რომ იას სამუდამოდ დაკარგავდა. ვერც ნიკას ზეიმის ყურებას შეძლებდა მშვიდად და უემოციოდ. ბოლოს გადაწყვიტა, საერთოდ არ წასულიყო ბანკეტზე, მაგრამ ბიჭებისთვის არაფერი უთქვამს. პირიქით, საღამოს დათოსაც დაურეკა და ვახოსაც, ორივე გააფრთხილა, არ დაიგვიანოთო. ამიტომ ძალიან გაუკვირდა, როცა დილაუთენია აქოშინებულმა ვახომ მოირბინა.

– რა გინდა, ბიჭო, რა სახე გაქვს? გთხოვე, გამომიარე-მეთქი?! საღამომდე ვერ მოიცადე?

– საღამომდე? – ვახო ხვნეშით ჩაჯდა სავარძელში და ოფლით დასველებული შუბლი მოიწმინდა, – შენ არაფერი გაგიგია? ჩვენს ქეიფს დედა მოუკვდა. მორჩა, მაგარი ცუდი ამბავი მოხდა!

– მერე, თქვი, რა ღობე-ყორეს ედები!..

– კაროჩე, ნიკუშას მამას ინფარქტი მოუვიდა, რა... წუხელის თუ გამთენიისას, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ნიკუშას საქმე წასულია. მორჩა! იცი, ნიკუშა რა დღეშია?! დათო იქ დავტოვე და გადარეულივით გამოვიქეცი. დროზე წამოდი. იმისი მარტო დატოვება არ შეიძლება.

– მოიცა, წესიერად გამაგებინე, დამშვიდდი და ისე. ვისი დატოვება არ შეიძლება მარტო ან სერგი ბიძია როგორ არის?

– სერგი ბიძია მოკვდა. ვაა, ხომ გითხარი, ინფარქტი მოუვიდა-მეთქი! შენ რა, არ მისმენ? სად დაფრინავ, ბიჭო? ნიკუშა კი მორგშია.

– მორგში? – ლევანმა იგრძნო, როგორ დაუარა მთელ სხეულში სიცივის ტალღამ, – ნიკუშა მორგშია?

– ჰო, აბა, სად უნდა იყოს? კარდიოლოგიური განყოფილების მორგში. სერგი ბიძია იქა ჰყავთ. რა ვერ გაიგე, ტო?!.

– მოიცა, – ლევანის გონებამდე ნელ-ნელა მიაღწია ვახოს სიტყვების შინაარსმა მთელი სისრულით, – მერე, ია?! დღეს ნიკუშას მისთვის ცოლობა უნდა ეთხოვა.

– შენ გაუბერე? – წაუსტვინა ვახომ, – რა დროს ცოლია, ტო, კაცს მამა მოუკვდა, მერე როგორი მამა! რა ეშველება ნიკუშას, არ ვიცი. რა ცოლის თავი აქვს! ნახა ამანაც დრო! აზრზე მოდი, რა!..

– ჰო, მართალი ხარ. არა აქვს ცოლის თავი, რა დროს ცოლია. არც ნიკას მარტო დატოვება შეიძლება. წავიდეთ, ახლავე ჩავიცვამ...

საავადმყოფოს დერეფანში შესულმა ლევანმა ფანჯარასთან მდგარ თანაკლასელებს შორის ია შენიშნა და უნებლიეთ სიხარული იგრძნო. ეს ისე ბუნებრივად, ანგარიშმიუცემლად მოხდა, რომ მერე საკუთარი თავის შერცხვა, მაგრამ ამით რეალობას ვერ შეცვლიდა. ნიკუშას ტრაგედია არ იყო მისთვის სულერთი, მაგრამ იმასაც ვერ უარყოფდა, რომ ამ ტრაგედიამ იასკენ გზა გაუხსნა. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთისთვის ეჭვი არ ეპარებოდა საკუთარ გამარჯვებაში. მაშინ ვერც იფიქრებდა, რომ იასთან ყოფნაში ხელს ნიკუშა კი არა, საკუთარი ამბიციები შეუშლიდა...

ფიქრებში გართულმა ვერ გაიგო, როგორ მიუახლოვდა ზურგიდან ვიღაც. ნაცნობი ხმის გაგონებამ დააფრთხო. მაშინვე ვერ მიხვდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ვერ მიხვდა იმიტომ, რომ ვერ წარმოედგინა ცოლის იქ ყოფნა. თინიკომ ქმარს უხეშად ჰკრა ხელი და გვერდზე მიაგდო. მერე ლევანის ხელში შერჩენილ ყელსაბამს ჩააშტერდა.

– ახლა არ მითხრა, რომ ამას ჩემთვის ყიდულობ, იმიტომ, რომ მაინც არ დაგიჯერებ!

ლევანი ნელ-ნელა მოეგო გონს და გაოცება მრისხანებით შეეცვალა:

– შენ აქ რა ჯანდაბას აკეთებ? შენ გეკითხები, რა გინდა აქ?

– ის, რაც შენ, – არ შეეპუა ქალი, – აბა, რა გეგონა, საშუალებას მოგცემდი, აქ შენს კახპასთან ერთად გეგრიალა?!

ლევანმა მიმოიხედა. ცოლთან კამათისთვის ძალიან შეუფერებელი ადგილი იყო, მით უმეტეს, პრესტიჟულ საიუველირო სალონში მასთან ჩხუბს ვერ დაიწყებდა. ამიტომ თავს ძალა დაატანა, ნერვები მოთოკა და ნაძალადევი სიმშვიდით ჩაილაპარაკა:

– წამოდი, ჩემს ნომერში ავიდეთ, დავილაპარაკოთ!

– შენს ნომერში? მერე, ის კახპა? კარადაში დამალავ თუ გააგდებ?

– თიკა, არ გინდა, აქ ისტერიკას ნუ ატეხ, სირცხვილია.

– ჰოო? შენ ლაპარაკობ სირცხვილზე? შენ? უსინდისო!

ლევანი იძულებული გახდა, ცოლისთვის მკლავში მოეკიდა ხელი და მაღაზიიდან ძალით გაეყვანა. ქუჩაში ხმას ცოტა აუწია:

– რა დღეში ხარ! უკან გამომედევნე? როგორ გაბედე? გინდა, ყველასთან თავი მომჭრა და სასაცილო გამხადო? იცი, აქ რამდენი ჟურნალისტია? ეს სკანდალი მჭირდება? როგორ გგონია, მჭირდება?

– ხელი გამიშვი, მეტკინა და ნუ ღრიალებ! სკანდალს შენ აწყობ. ცოლს რომ ღალატობ, ეს არის სკანდალი და არა ის, რომ მე აქ ვარ, ჩემი კანონიერი ქმრის გვერდით. გამოტყდი. შემომხედე და ისე მითხარი, იმისთვის არჩევდი, ხომ საჩუქარს?

– ნამდვილი გიჟი ხარ, არანორმალური! – ლევანს ხელისგულიც კი აექავა, ისე მოუნდა ცოლისთვის სახეში გაერტყა. ეს სურვილი რომ დაეძლია, ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაიტენა და ქალს შეუბღვირა, – თუ კიდევ შეგრჩა სულ ცოტა ტვინი მაინც, გაანძრიე და მიხვდები, რომ სამთავრობო მივლინებაში საყვარელთან ერთად ვერ წამოვიდოდი!

– მე არ მჯერა, რომ მივლინებაში ხარ. ვინ დამარწმუნებს ამაში?

– არა, შენ ექიმი გჭირდება. ავად ხარ, თანაც სერიოზულად ავად. შენს ავადმყოფობას მანიაკალური შიზოფრენია ჰქვია. ვიდრე გავგიჟებულვარ, წამოეთრიე და სანამ სასტუმროს ნომერში არ შევალთ, შენი ხმა არ გავიგონო.

თინიკომ ქმრის ხმაში ისეთი სუსხი იგრძნო, რომ სიტყვაც აღარ უთქვამს, მხოლოდ თავისთვის ჩაიბურტყუნა რაღაც გაურკვევლად და ქმარს მორჩილად აედევნა უკან. ლევანი გუნებაში სასტუმრომდე დარჩენილ მანძილს ითვლიდა. თინიკომ ყველა ზღვარი გადალახა. ნერვებს აქამდეც ხშირად უშლიდა, მაგრამ მივლინებაში წასულს რომ ჩუმად უკან გაჰკიდებოდა, ამას კაცი ყველაზე უარეს სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. ტაქსი გააჩერა, თიკა თითქმის ხელის კვრით ჩასვა შიგ და სასტუმრომდე ხმა არ ამოუღია. ნომრის კარი მიხურა თუ არა, ცოლს რისხვად დაატყდა თავს:

– არა, როგორ გაბედე! როგორ გაბედე-მეთქი! ყველაფერს ვითმენდი შენგან, მაგრამ ეს უკვე სისულელე აღარ არის. ეს სისულელეზე მეტია და მართლა აღარ ვიცი, რა გიყო, რა მოგიხერხო!

თიკა ქმრის აპარტამენტების თვალიერებას მორჩა, დივანზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

– სხვა ნომერი აიღე, არა?! პრინციპში, სწორად მოქცეულხარ. ასე გაცილებით უსაფრთხოა. მე კი მართლა სულელი ვარ, რომ შენ გამო ნერვებს ვიშლი. ნამდვილად არ ღირხარ ამად, თვალთმაქც და უსინდისო მამაკაცს ვთხოვ ერთგულებას – ეს იგივეა, ქათამს რომ ფრენა მოსთხოვო.

– გაჩუმდი! – მაგიდის ზედაპირს ხელი დაარტყა ლევანმა, მერე კი, ხმას დაუწია, – გაჩუმდი, თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, იცოდე!

– ჰოო?! მაინც, რას მიზამ, მცემ? მერე, რას მიაღწევ ამით, „გამომასწორებ“? – რანაირად? მე არ ვარ შენი საკუთრება და ვერც აქ ჩამოსვლას ამიკრძალავდა ვინმე. მივხვდი: ამ სასტუმროში არ არის, მაგრამ სადმე, ახლოს ნამდვილად გეყოლება. მეტყვი, ვინ არის, თუ, ესეც მე გამოვიძიო?

– ხმა ჩაიწყვიტე! – ნერვებმა უმტყუნა ლევანს, – ახლა აეროპორტში დავრეკავ და პირველივე რეისით უკან გაფრინდები. სანამ ჟურნალისტებს სუნი აუღიათ და საქვეყნო სალაპარაკოდ გაუხდიათ შენი სიგიჟის ამბავი.

– არსადაც არ წავალ. ჩემი რეისი ხუთი დღის შემდეგ არის. ასე რომ, არსად მეჩქარება, აქ ვრჩები.

ლევანი გაწითლდა:

– თინიკო, ცეცხლს ეთამაშები, ასეთი თამაში კი ძალიან ცუდად შეიძლება დამთავრდეს! გაემგზავრები, რამდენიმე დღეში მეც დავბრუნდები და სახლში გავარკვიოთ ჩვენი ურთიერთობა.

– გასარკვევი არაფერი გვაქვს. შენ მე მღალატობ, ამაში უკვე დავრწმუნდი, ფაქტზე დაგიჭირე!

– რა ფაქტზე, სულ გააფრინე?! რა იყო ფაქტი, ის, რომ ხელში უბადრუკი ყელსაბამი მეჭირა?! შენ ნორმალური ხარ? უბრალოდ, ვათვალიერებდი, ისე ვათვალიერებდი, გესმის?! ისე, უბრალოდ! ლამაზი იყო და მომეწონა!

ქალმა გაიცინა:

– როგორ არა, მოგეწონა! რაღაც აქამდე არ შემინიშნავს ყელსაბამებით შენი გატაცება. მახსოვს, საქორწინო ბეჭედი ვერ აარჩიე... საიდან ასეთი სენტიმენტალიზმი? ამას გირჩევნია, მითხრა, ვინ არის ის კახპა, რატომღაც, მგონია, რომ მე ვიცნობ.

– ავადმყოფი ხარ! – ლევანმა ცოლს პირიდან სიგარეტი გამოაცალა და გააფთრებით დასრისა საფერფლეზე, – თუ გინდა, გაპატიო ეს სიგიჟე, დამიჯერებ და თბილისში დაბრუნდები!

– არა!

ლევანმა ამოიოხრა:

– თიკა, მომისმინე! აქ ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე ვარ. გეფიცები, სახლში რომ დარჩენილიყავი და ტელევიზორისთვის გეყურებინა, ნახავდი, უკვე რამდენი შეხვედრა მქონდა!

– მერე რა, ეგ იმ საქმეს ხელს არ უშლის, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – მე არ მითქვამს, რომ უსაქმური ხარ. თბილისშიც ბევრს მუშაობდი, მაგრამ საყვარლის მონახულებას მაინც ახერხებდი.

– გეუბნები, შიზოფრენია გაქვს! რა საყვარელი, რას ლაპარაკობ? თუ სიმართლე გინდა, ყველაფრის მიზეზი მამაშენია!

– მამაჩემი? მამაჩემი რა შუაშია? იშვიათი ნიჭი გაქვს, ყველა უბედურება მამაჩემს მიაწერო. შენ რომ სულ სადღაც დაფრინავ, მამაჩემის ბრალია?

– გეუბნები, მამაშენია-მეთქი დამნაშავე, მაგისი გაფუჭებული საქმის გამოსწორებას ვცდილობ!

– მატყუებ!

– არ გატყუებ, მართლა ასეა. მოგიყვებოდი ყველაფერს, მაგრამ შენი ისტერიკების ამბავი რომ ვიცი, არ მომისმენ და კუდს მაინც ისე გამოაბამ, როგორც შენ გაწყობს.

თიკა გაფაციცდა:

– აბა, მომიყევი!

კაცმა ინანა, რომ საიდუმლო გაამჟღავნა.

– თიკა, იცოდე, არავინ არ უნდა გაიგოს!

– არავინ გაიგებს. ვგიჟდები საიდუმლოებებზე, მაგრამ ჩემს მოტყუებას ნუ ეცდები, თავს ვერ დაიძვრენ. თუ რაღაც იაფფასიანი ხრიკი გაქვს ჩაფიქრებული, მაშინვე მივხვდები.

ლევანი შეიჭმუხნა:

– საშინელებაა იმ ადამიანთან ლაპარაკი, რომელსაც შენი არ სჯერა. შენ თუ არ მენდობი, მე როგორღა გენდო? იცი, ცოლი რისთვის არის საჭირო? – შენი თანამზრახველი რომ იყოს. მე კი ამას მოკლებული ვარ.

თინას ენიშნა ქმრის სიტყვები, მაგრამ მაინც იქით შეუტია:

– საკუთარ თავს დააბრალე! შენს ნაჭუჭში ხარ ჩაკეტილი და შიგნით არ მიშვებ. როდის მითხარი, რომ ჩემი თანადგომა გჭირდება და უარი მიიღე? მიდი, დაიწყე, გელოდები! ვერ ვითმენ, ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებ, მამაჩემს რა პრობლემა აქვს ისეთი, შენ რომ განდო მისი მოგვარება!

– დაიფიცე, რომ დედაშენსაც არ ეტყვი, არც არავის ეტყვი, საერთოდ არავის. ისე მოიქცევი, თითქოს არაფერი იცი.

– გეყოფა! რა უბედურებაა ამდენი ინტრიგა, საკუთარი თავის მტერი კი არ ვარ...

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა...

***

... პარიზი იმ ქალაქების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის ერთხელ ნახვა საკმარისი არ არის. არც ერთხელ და არც სამჯერ... ვერ იტყვი, დავათვალიერე და მორჩაო. მნიშვნელობა არა აქვს, იქ ერთ კვირას დარჩები, ერთ თვეს თუ მთელ წელიწადს გაატარებ. პარიზი უნდა შეიგრძნო, ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარო მისი ყოველი ქუჩა თუ შესახვევი. ას წელზე მეტი ხნის წინ გენიალურმა კომპოზიტორმა შოპენმა არაჩვეულებრივად ჩამოაყალიბა ამ უნიკალური მეგაპოლისის ფორმულირება: „პარიზი – ეს ყველაფერია, ყველაფერი, რასაც კი ინატრებ“. ის ყველასია და, იმავდროულად – არავისი. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრები ამ ქალაქს „ქალწულ-მეძავს“ ეძახდნენ, ყველას რომ ატკბობს თავისი სხეულით, მაგრამ მაინც ქალწულად რჩება. პარიზს საკუთარი სუნიც აქვს. ეს იმ ყავის სუნია, რომელსაც პაწაწინა კაფეში დალევთ, რომელიმე პატარა ქუჩაზე. კიდევ სენის სუნი აქვს. მდინარე სენა დიდიც არის და პატარაც, თბილიც და ცივიც... თბილია იმ უიმედოდ შეყვარებული ადამიანისთვის, რომელიც პირდაპირ თავით ხტება მის ტალღებში... თუმცა, არ გვინდა ასეთ სევდიან ამბებზე საუბარი. პარიზი ხომ განსაკუთრებით მხიარულია და „ცელქი“... მწვანე ხეივნები და

მაცდურად აბრჭყვიალებული ვიტრინები ის ჯადოსნური მოზაიკაა, რომელიც გხიბლავს და გაიძულებს, საკუთარი, განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარო ამ ქალაქთან...

არსებობს კლასიკური და თანამედროვე პარიზი. დღემდე ვერ გადაწყდა – ეიფელის კოშკი კლასიკურია თუ თანამედროვე. ინჟინერ ეიფელის ეს „ხუჭუჭა“ ქმნილება, რომელიც თავიდან დროებით ნაგებობად იყო ჩაფიქრებული, პარიზის მთავარ სიმბოლოდ იქცა. თუმცა პარიზი მაინც არ არის ეიფელის კოშკი. არც ტრიუმფალური თაღი და არც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. ის ცოცხალი სხეულია, რომელიც სუნთქავს, იზრდება, ვითარდება, მაგრამ პირველყოფილ მშვენიერებასაც არ კარგავს...

ფანჯარასთან მდგარი ქალი ნელა შეირხა. ფარდა გადასწია და თავის თლილ თითებს ჩააშტერდა. არათითზე უზარმაზარი ბეჭედი ეკეთა, მძიმე და მასიური, მაგრამ ნატიფი ხვეულებით... კაცი ზურგიდან მიუახლოვდა და მხრებზე მოხვია ხელი.

– წავიდეთ... ვივახშმოთ... რესტორანი ერთი კვირის წინ დავჯავშნეთ. უხერხულია, თუ ჩვენი მაგიდა ცარიელი აღმოჩნდება.

ქალი გაღიზიანდა:

– რა არის უხერხული... ის, რომ არ მშია? ან, რატომ უნდა შეგვეკვეთა ვახშამი ერთი კვირით ადრე, რა უბედურებაა?... ერთ კვირაში იმდენი რამე შეიძლება მოხდეს...

კაცმა გაიღიმა და ყელზე აკოცა:

– ეს გურმანების ქალაქია, საყვარელო. ფრანგები ღორმუცელები ვართ და ამ ნაკლს ვერაფერს უშველი.

– ჰო, ღორმუცელები ხართ... არ მინდა, არ მშია. ყავას დავლევ...

– ელენ, ძალიან გთხოვ... მე ვიცი, რამაც შეგაშფოთა – იმ სატელეფონო ზარმა... მაშინვე შეგეტყო, რომ ანერვიულდი.

– მართალი ხარ... ძალიან ვნერვიულობ, – გამოტყდა ქალი, – რა აზრი აქვს ამის უარყოფას... იქნებ... იქნებ... არც ღირდა... ჰა?!

პასუხად კაცმა მისი ხელი აიღო, აკოცა და ლოყაზე მიიხუტა...

კაცი ნაზად უსვამდა ხელს წამოზრდილ მუცელზე ცოლს და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ქალს უკმაყოფილო სახე ჰქონდა და ჭირვეულობდა.

– შენ უკეთესს იმსახურებ-მეთქი, – ისევ გაიმეორა პრეტენზიული ხმით, – შენც და ჩვენი შვილიც. ვერ ავიტან, რამე მოაკლდეს.

– არაფერი მოაკლდება. ნუ გეშინია, ამას მე თვითონაც არ დავუშვებ.

– რანაირად, როცა ასეთი შანსი გაუშვი ხელიდან? რომ წარმოვიდგენ, ნერვები მეშლება და, ლამის არის, ავფეთქდე. რატომ, გეკითხები, რატომ?!

– საყვარელო, ძალიან აზვიადებ. მისი დაწინაურება ჩემს დაჩაგვრას არ ნიშნავს. რა მოხდა, რატომ განიცდი ასე?

– რას ნიშნავს, რატომ განვიცდი? ის შენი ხელქვეითი იყო... ხელ-ქვე-ი-თი! ჯერ კიდევ გუშინ, შენს მითითებებს ასრულებდა. დღეს მინისტრია და მის კაბინეტში შესასვლელად ნებართვა დაგჭირდება. ახლა მაინც ხვდები, რა მაცოფებს?

კაცმა გაიღიმა, ცოლს მუცელზე აკოცა და ენა მოუჩლიქა:

– კარგი იქნება, თუ ჩვენი პატარაც დედასავით პატივმოყვარე არ გვეყოლება.

– პირიქით, თუ შენ დაგემსგავსა, საშინელება იქნება. ყველა დაჩაგრავს და ცხოვრებაც ისე გადაქელავს, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებს.

– მე რისთვის ვყავარ? მე გავუკვლევ გზას. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მისთვის ცხოვრება ადვილი და ბუმბულივით მსუბუქი იყოს.

– ამას შენ ამბობ? – ირონიულად გაიღიმა ქალმა, – შენ, რომელსაც საკუთარი მოადგილე ისე გადაგახტა თავზე, წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც არ გაგჩენია?

– ელენე, საყვარელო, ისე არ არის, როგორც შენ ფიქრობ.

– არა, ზუსტად ისეა, როგორც მე ვფიქრობ და ძალიან ვარ გაბრაზებული!

– სულ ტყუილად. ჩემთვის ეს ამბავი არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, რომ ჩემს უფროსად არ დაუნიშნავთ.

– სამაგიეროდ, გაგითანაბრეს და, თუ იმ სფეროს მნიშვნელობას გაითვალისწინებ, რომელსაც ის განკარგავს, მიხვდები, რომ ძალიან ჩამოგიტოვა უკან.

სერგი შეიჭმუხნა, ცოლს მოსცილდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

– არ მეგონა, ასე თუ გაინტერესებდა ჩემი სოციალური სტატუსი.

– რა თქმა უნდა, მაინტერესებს. ეჭვი რატომ გეპარებოდა ამაში? შენ გაცილებით მეტს იმსახურებ. შენს ყოფილ მოადგილეზე კი, რბილად რომ ვთქვათ, დიდი წარმოდგენის არ ვარ. ვგიჟდები, როცა წარმოვიდგენ, რომ ამიერიდან მისმა ცოლმა თანასწორივით უნდა მიყუროს!

სერგიმ გაკვირვებით შეხედა ცოლს და ხმამაღლა გაიცინა.

– იცინე, იცინე! სულაც არ გაქვს საქმე სასაცილოდ და სამხიარულოდ. მალე მიხვდები ამას, მაგრამ გვიან იქნება!

– იცი, მე მაინც მგონია, რომ შენი ჭირვეულობა ორსულობის ბრალია.

ელენე გაცხარდა:

– რომელი ჭირვეულობა? შენ გგონია, ამას ისე ვამბობ? რომ ეს მხოლოდ ჩემი ახირებაა? კარგი, მაგასაც ნახავ!

კაცმა შუბლზე მოისვა ხელი.

– რატომ გძულს ასე ძალიან ზურაბი? ვერც მის ცოლს იტან. რა დაგიშავა ან ერთმა, ან მეორემ, ადრეც ხომ არ იცნობდი რომელიმეს?

ელენე შეკრთა, მაგრამ თავი აიძულა, არაფერი შეემჩნია და მოჩვენებითი გულგრილობით აიჩეჩა მხრები:

– რა სისულელეა?! ჩემს ნაცნობებს შორის ასეთი ტიპები არასდროს ყოფილან.

– „ასეთი“ რას ნიშნავს? – ისევ გაეღიმა კაცს.

– პლებეები არიან და რაც უნდა ბევრი ფული იშოვონ, მაინც პლებეებად დარჩებიან. შენ სხვანაირი ხარ. ხვდები, რასაც ვგულისხმობ? მაგათი ადგილი ჩვენ გვერდით არ არის.

– ასე მსჯელობა არ შეიძლება, საყვარელო.

– რა ვქნა, ეს არის რეალობა. ვინ მოვატყუო, საკუთარი თავი? თუმცა, მის დაწინაურებას ერთი პლუსი მაინც აქვს: ჩვენი შეხვედრების აუცილებლობა აღარ იარსებებს.

– ზურაბი არც ისეთი ცუდი ადამიანია, როგორი შთაბეჭდილებაც შენ შეიქმენი მასზე, – ყოფილი მოადგილის გამართლება სცადა სერგიმ.

– მე ადამიანებს კარგად ვიცნობ და, ჩვეულებრივ, არ ვცდები ხოლმე მათ შეფასებებში. ასე რომ, გაითვალისწინე, რაც გითხარი.

– რა საყვარელი ხარ, როცა ბრძნულად მარიგებ ჭკუას, – სერგი ცოლთან მივიდა, მისი სახე ხელისგულებში მოიქცია და შუბლზე ფრთხილად შეახო ტუჩები. ქალი გაუძალიანდა.

– ჩერჩეტი და ქარაფშუტა გგონივარ, არა?! სულ ტყუილად, ნახავ, თუ არ ინანებ, რომ არ დამიჯერე!

***

... კარზე დააკაკუნეს. თიკა დაიძაბა და მაშინვე ქმარს შეხედა!

– ოფიციანტია, ჩემი შეკვეთა მოიტანა. გეუბნები, სამკურნალო ხარ-მეთქი, – ხელი ჩაიქნია ლევანმა და კარის გასაღებად გაემართა. ნომერში მართლაც ოფიციანტმა შემოაგორა მაგიდა. ყველაფერი ლამაზად დაალაგა, კუთვნილი გასამრჯელო მიიღო და წავიდა.

– შენ მართლა არავინ გყავს? – დამნაშავის ღიმილით ჩაილაპარაკა თიკამ და სუფრას ინტერესით დახედა:

– ჩემი საყვარელი სალათა?! კიდევ „კრუასანი“. გმადლობ, რომ გახსოვს.

– შენ რომ ნერვებს არ მიშლიდე, კიდევ ბევრი რამე მემახსოვრება. რა ჯანდაბა დაგემართა, რატომ გამომეკიდე უკან? იცი, რომ მუშაობაში ხელს მიშლი? რატომ მარცხვენ, რატომ ცდილობ ჩემი იმიჯის შელახვას? პატარა არა ხარ, რომ ვერ ხვდებოდე ამ ვიზიტის მნიშვნელობას. მე გარეთ ჩემი ქვეყნის სახე ვარ. რას იტყვიან, როცა ნახავენ, რომ ცოლი ერთ ნაბიჯზეც არ მენდობა? მე ახლა დავრეკავ, ბილეთს შევუკვეთავ და თბილისში გაგისტუმრებ. დანარჩენზე სახლში დავილაპარაკებთ.

– არ წავალ! – ჯიუტად გადააქნია თავი ქალმა.

– ახლა ნუ მაგიჟებ. ისევ თავიდან იწყებ? – ლევანმა ცოლს თვალები დაუბრიალა, – იცოდე, ვინმემ რომ გაიგოს ამ შენი იდიოტური ექსპრომტის შესახებ, მით უმეტეს – პრესამ, ვერ გადამირჩები!

თიკა შეყოყმანდა:

– შეიძლება, მართლა ვიჩქარე დასკვნების გამოტანა, მაგრამ ძალიან ვინერვიულე. ასე რომ, გამართლება მეც მაქვს.

– შენ ტყუილად ნერვიულობას დაეჩვიე. არაფრის გამო მიმართავ ისტერიკებს. რა გინდა, მეც აგყვე და ორივემ ერთად გავაფრინოთ? მითხარი, ეს გინდა?

– არა.

– ჰოდა, თუ არა, ხმისამოუღებლად გაემგზავრები და ნუ მიყურებ დამნაშავე ლეკვის თვალებით.

– ლევან, დავრჩები, რა! გეფიცები, არ შეგაწუხებ. ჩემთვის ვივლი საყიდლებზე.

კაცმა ამოიოხრა და ხელები გაშალა:

– თიკა! სულელი არ ხარ და თავს რატომ ისულელებ? მითხარი, ასეთი ძნელი გასაგებია, რასაც გელაპარაკები?! არ მინდა, ჩემი ცოლი ჟურნალისტების კამერის ობიექტივში მოხვდეს, მით უფრო – ნავაჭრით დატვირთული და მით უფრო მაშინ, როცა მე აქ სამთავრობო შეხვედრებს ვმართავ. არ იცი, ამას ჩემი ოპონენტები როგორ გააფიარებენ? რაღა პარიზში მოგინდა საყიდლებზე სიარული და, თანაც, მაინცდამაინც ახლა, როცა ყველა ტელევიზია უკან დაგვდევს? რომელი ერთი გავაკონტროლო? აქ საქმე მაქვს საკეთებელი და ხელს შემიშლი.

თიკა დუმდა. ლევანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქალი საერთოდ არ უსმენდა. გააღიზიანა მისმა არაფრისმთქმელმა გამოხედვამ.

– მითხარი, რაზე ფიქრობ? თუ, ისევ უარს ამბობ წასვლაზე?..

– არა, წავალ, რადგან ეს შენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ რატომ მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რაღაცას მიმალავ?

– რას გიმალავ, ეს რაღა მოიგონე?

– ბუნებრივია, სახელმწიფო საიდუმლოებას არ ვგულისხმობ. მინდა, ვიცოდე, რით ხარ ასე აფორიაქებული.

ლევანმა ცოლს შეხედა და პირველად იფიქრა, რომ თიკას უნდა სცოდნოდა მამამისის მაქინაციების შესახებ. „ნეტავი, რას ვუმალავ? იცოდეს, მამამისის შავბნელი წარსულის ამბავი. რატომაც არა! მერე იქნებ ნაკლებადაც გააღმერთოს, ყოვლისშემძლე რომ ჰგონია. გაიგოს, როგორ შესწირა მილიონები თავის აღვირახსნილობას.“

– კარგი, გეტყვი, რადგან ასე გინდა. მეც ვფიქრობ, რომ უნდა იცოდე, რა ხდება. მით უმეტეს, რომ საქმე მამაშენს ეხება.

– მამაჩემს? – თიკამ წამწამები დაახამხამა, – მამაჩემი რა შუაშია?

– ჰმ, შუაში კი არა, თავშია. მაგის გამოა, ჩემს საქმეებზე რომ ვეღარ ვფიქრობ. თავის დაკარგულ მილიონებს ვერ ივიწყებს და მთხოვს, რომ მათ დაბრუნებაში დავეხმარო.

– მოიცა, რა მილიონები, დამცინი? – გაეღიმა ქალს. ლევანმა სერიოზულად გააქნია თავი. თიკას სახეზე ღიმილი გაოცებამ შეცვალა.

– ნორმალურად ამიხსენი, გამაგებინე, რას გულისხმობ!

– ცოტა გრძელი ისტორიაა. ასე სწრაფად ყველაფრის მოყოლას ვერ მოვასწრებ. თანაც ძალიან მოულოდნელი იქნება შენთვის, თითქმის დაუჯერებელი.

– ლევან, ჩემს მოთმინებას ცდი თუ სამაგიეროს მიხდი, ასე მოულოდნელად რომ გამოგეცხადე? არ გამოგივა, ცოტა უკეთესი რამე მოიგონე!

– არაფერს არ ვიგონებ. გაინტერესებს? – მომისმინე. დრო ცოტა მაქვს – უნდა დავიძინო, დილით ძალიან ადრე ვარ ასადგომი.

– რომ არ შეგხვედროდი, ახლაც პარიზის ქუჩებში ისეირნებდი, – საყვედურით ჩაილაპარაკა თიკამ და ხელი სიგარეტის კოლოფისკენ გაიწოდა.

– რამდენს ეწევი, რა უბედურებაა! – ხელიდან გამოგლიჯა სიგარეტი ლევანმა, გადატეხა და საფერფლეში ჩააგდო, – მოკლედ, ასე: მამაშენს საყვარელი ჰყავდა. ჰო, რას მიყურებ, ვერ წარმოგიდგენია, მამაშენს საყვარელი რომ ჰყოლოდა?! ანგელოზი თუ გგონია, ძალიან ცდები. მამაშენი დიდი ნაძირალაა.

– ლევან! – თიკამ ხმას აუწია და ქმარს კიდევ ერთხელ შემოუძახა, – ლევან!

– მაპატიე, კინაღამ დამავიწყდა, რომ მამაშენზე ვლაპარაკობ. დიახ, საყვარელო, მამაშენსაც აქვს ცოდვები. მერედა, როგორი ცოდვები, შენ რომ ვერ წარმოიდგენ, ისეთი. შეიძლება, დედაშენიც რომ ვერ წარმოიდგენს.

– დედაჩემს მაინც დაანებე თავი!

– კარგი, კარგი. დედაშენი ღირსეული ქალია და მე მასთან საქმე არ მაქვს. ზოგჯერ მეცოდება კიდეც და მიკვირს, როგორ ცხოვრობს მამაშენთან ამდენი წლის განმავლობაში.

– მგონი, მართლა უნდა გავემგზავრო, თანაც, რაც შეიძლება, მალე. შენი ხასიათი რომ ვიცი, გულს გამიხეთქავ, ისე მომშხამავ.

– ვერაფერი გავიგე, ხომ გინდოდა, გცოდნოდა, რას გიმალავ? გეუბნები, შენ კი არ მაცლი. ამიხსენი, რა გავაკეთო, რომ შენ კმაყოფილი დარჩე?

– სიმართლე მითხარი!

– სიმართლეს გეუბნები. მამაშენმა თავის საყვარელს ორმილიონიანი სურათი აჩუქა. ახლა ნანობს და მე მთხოვს, როგორმე უკან დავუბრუნო.

თიკამ ეჭვით შეხედა ქმარს:

– ვითომ შენ რატომ გთხოვს, რა გესაქმება მის საყვარელთან?

– საქმეც მაგაშია, რომ მესაქმება.

– ნუ იცინი, მე სერიოზულად გეკითხები!

– მეც სერიოზულად გპასუხობ: ვიცნობ იმ ქალს, თანაც, ძალიან კარგად ვიცნობ.

– შენი საყვარელიც ხომ არ იყო? – ვეღარ მოითმინა ქალმა. ლევანმა შეუბღვირა:

– შენზეა ნათქვამი, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. სხვათა შორის, შენც იცნობ.

– ვის?

– ვის და იმ ქალს, მამაშენის ყოფილ საყვარელს. არ გინახავს, მაგრამ გსმენია მის შესახებ, შვილს კი ძალიან ხშირად შეხვედრიხარ.

– ნუ მაწვალებ, მითხარი!

– ჯერ დამპირდი, რომ გაემგზავრები თბილისში.

ქალი შეყოყმანდა.

– თიკა, არ გამაგიჟო!

– ჰო, კარგი, წავალ, წავალ!..

– ნიკუშას დედაზე ვლაპარაკობ.

– ნიკუშა? ვინ ნიკუშა?..

– თიკა, რა დაგემართა, არ იცი, ვინ არის ნიკუშა?

– ღმერთო, ახლა გადავირევი, ნამდვილად გადავირევი, – რამდენიმეწუთიანი გაოგნების შემდეგ აღმოხდა ქალს. ლევანმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– აჰა! გაგინათდა გონება?! ახლა ხვდები, რა საპატიო მისია დამაკისრა მამაშენმა? თავის „ბინძურ თეთრეულში“ მარევინებს ხელებს. როგორ ფიქრობ, თავს როგორ უნდა ვგრძნობდე ამ ყველაფრის შემდეგ?

– ღმერთო... ღმერთო... ესე იგი, მამაჩემი და ნიკუშას დედა... არა, არა, შეუძლებელია, წარმოუდგენელი!..

– შეუძლებელი და წარმოუდგენელი მხოლოდ ის არის, რომ მეც ვარ ამ სულელურ ქსელში გახლართული. მე, რომელსაც გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს თავზე საყრელად.

– ლევან, შენ გინდა დამარწმუნო, რომ მამაჩემს მილიონად შეფასებული რაღაც სურათი ჰქონდა, ეს იცოდა და თავის საყვარელს აჩუქა?

– ჯერ ერთი, ეს რაღაც სურათი არ არის, სერიოზული შედევრია. მერე, მეორე – ერთი კი არა, სულ ცოტა, ორი მილიონი ღირს, და, მთავარი: მამაშენს არ იცნობ? არ იცოდა, რას სჩუქნიდა, თორემ მაგის ჩიტია, მილიონები გაეჩუქებინა?!

– და... დედაჩემს წარმოდგენა არა აქვს არაფერზე? – ამოიოხრა თიკამ.

– დედაშენი ძალიან ჭკვიანი ქალია. არაფერს ამბობს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამე იცის. თუმცა ახლა დედაშენის პრობლემები ნაკლებად მაინტერესებს, საკუთარი გასაჭირი მაქვს და ის უფრო მადარდებს, რა უნდა ველაპარაკო იმ ქალს, არ ვიცი.

– ვინ ქალს? – გაფაციცდა თიკა.

– შენ რომ ფიქრობ და გგონია, ისე არ არის საქმე. ნიკუშას დედასთან უნდა მივიდე, მაგრამ, როდის ან როგორ, ჯერ არ ვიცი. დრო ხომ უნდა გამოვნახო? თანაც, მართლა არ ვიცი, რას ვეტყვი.

თიკამ ქმრის მიმართ სიბრალული იგრძნო:

– ჩემი საწყალი... მით უმეტეს გჭირდები, ერთად რაღაცას მოვიფიქრებთ.

– ტყუილად მაბამ. შენ უნდა გაემგზავრო.

– კარგი. რადგან ასე ჯიუტობ... – ქალი შეიჭმუხნა.

არა, შენ არ გესმის. მე კი არ ვჯიუტობ, ასეა საჭირო.

თიკამ სიგარეტის კოლოფზე ანიშნა ქმარსდა ყელი ორი თითით გამოიწია.

– ერთ ღერს მოვწევ, რა... ძალიან ავნერვიულდი.

– ჯანდაბა, მოსწიე! ესე იგი, შევთანხმდით, ვუკვეთავ ბილეთს.

თიკამ მორჩილად დაუქნია თავი ქმარს.

– მაგრამ, ლევან...

– აჰა! ისევ? არავითარი „მაგრამ“... თავიდან არ დაიწყო!

– არა, არა, არაფერს ვიწყებ. უბრალოდ, ვკვდები ინტერესით, თან ვფიქრობ, მე რა უნდა ვქნა ახლა.

– რა უნდა ქნა?! რა უნდა ქნა და ისე მოიქცევი, თითქოს არაფერი იცი, აბსოლუტურად არაფერი.

– რატომ? – გააპროტესტა თიკამ, – საქმე ჩემს ოჯახს ეხება. რატომ არ უნდა ვუთხრა მამაჩემს, რომ ყველაფერი ვიცი? მე მაქვს ამის უფლება.

– რა უფლებებზე ლაპარაკობ, ხომ არ გაგიჟდი? ხმა არ ამოიღო, იცოდე! ყოველ შემთხვევაში, სანამ მე არ დავბრუნდები. მერე ვნახოთ.

– აუუ, ნიკუშას რა ტუზი დასცემია?! – წაუსტვინა თიკამ, – დედამისს, მგონი, ისედაც არ აკლდა მილიონები.

– რა გამოვიდა, მერე?! ვირივით ჯიუტია და არაფრით არ უნდა, ამ ქალს დაურეკოს მაინც.

– მერე, რას აპირებ?

– არ ვიცი, მართლა არ ვიცი... კი არ ვხუმრობ, მართლა არ მაქვს წარმოდგენა, როგორ უნდა დაბრუნდეს ის ნახატი ჯერ თბილისში, მერე – მამაშენთან.

თიკამ ტუჩი მოიწიწკნა.

– მამაჩემს რა გეგმა აქვს?

– მაგას მე ვინ მეტყვის? მამაშენს უნდა, რომ ნახატი ნიკუშასთან აღმოჩნდეს, მერე რას გააკეთებს, არ ვიცი. ალბათ, მოაპარინებს ვინმეს.

– რა-ა?!

– ჰო, რა გაიოცე? მაგისთანები არ უჭირს მამაშენს.

– მამაჩემი, შეიძლება, სახელმწიფოს ჰპარავდა რაღაცას, მაგრამ ქურდი არ არის, – მაინც ეწყინა თიკას მამის აუგად ხსენება.

– აბა რა! სახელმწიფოს გაქურდვა არ ითვლება, – დასცინა ლევანმა, – იმიტომაც ცხოვრობდი და ცხოვრობ ფუფუნებაში.

– მერე, რა არის ამაში ცუდი?

– არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ეს ფუფუნება სხვების ხარჯზე მიიღწევა. მამაშენი მაგ ფულს ხალხს ჰპარავდა.

თიკა შეიჭმუხნა და ტუჩი აიბზუა.

– არ გინდა ლოზუნგები! ეგ ლექციები მორალის ზოგად საკითხებზე შენს თანამშრომლებს წაუკითხე. ვითომ შენ არ მოგწონს ფუფუნება და კარგი ცხოვრება!

– მე ვშრომობ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მქონდეს, თანაც, მუხლჩაუხრელად ვშრომობ. სხვისი არაფერი მჭირდება.

თიკამ ჯერ სერიოზული სახით შეხედა ქმარს, მერე სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებს?

– შენი შემართება და პათოსი. აფსუს, რატომ არ არიან ახლა აქ ჟურნალისტები?!

– პათოსი რა შუაშია! შენ ამას ვერ გაიგებ. მამაშენის მენტალიტეტით ხარ გაზრდილი.

– ამ მენტალიტეტში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მე და შენ არაფრით განვსხვავდებით ერთმანეთისგან, გარდა ერთისა – შენ ცდილობ, თავი იმაზე უკეთ მოგვაჩვენო, ვიდრე სინამდვილეში ხარ.

– თიკა, ტყუილად ცდილობ, დამიმტკიცო, მამაშენთან ჩემი მსგავსება. ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ.

– მაგრამ ამან ხელი არ შეგიშალა, მასთან შეკრულიყავი. რატომ დასთანხმდი, სურათის დასაბრუნებლად ერთად გებრძოლათ?

– იმიტომ, რომ საქმე ჩემს მეგობარს ეხება.

– არ მითხრა, რომ ნიკუშას მილიონებზე შეგტკივა გული, არ გამაცინო!

– რატომაც არა! ჩვენ მთელი ბავშვობა ერთად გავატარეთ. შენ კიდევ არ იცი, როგორი ურთიერთობა გვქონდა.

– ჰო, გქონდათ, ეს ძალიან სწორად თქვი. მერე კი რაღაც-რაღაცეები მოხდა.

– ცდები. მე ნიკუშა ისევ ისე მიყვარს. ვერც იმას დავივიწყებ, რაც მამამისმა ჩემთვის გააკეთა.

– არ ვიცი, არ ვიცი... – მხრები აიჩეჩა თიკამ და თავი დაეჭვებულმა გადააქნია.

– არ გჯერა ჩემი?

– იცი? მინდა, რომ მჯეროდეს, მაგრამ...

– მაგრამ არ გჯერა. არ მიკვირს. შენ მე არ მენდობი. ფიქრობ, მამაშენს იმიტომ შევეკარი, ფული მინდა ვიშოვო...

თიკა დაეჭვდა.

– შენთან კამათს არ ვაპირებ, ვხვდები, რომ აზრი არ აქვს. მე ჩამოვალ თბილისში და იქ კიდევ ბევრი რამე გაირკვევა. მანამდე კი ქალბატონ ელენეს მოვინახულებ. ნეტავი, ისევ ისეთი ლამაზია?..

– ანუ, ლამაზი იყო...

– ძალიან, ძალიან... ბიჭებს ყოველთვის სილამაზის ეტალონად გვყავდა. ეგეთი ქალი მართლა აღარ მინახავს, მიკვირს, როგორ დათმო მამაშენმა.

თიკამ ავად გახედა ქმარს. ლევანი მიხვდა:

– ტყუილად ეჭვიანობ. სიმამრის ყოფილ საყვარელს „სხვა“ თვალით არასოდეს შევხედავ. მით უმეტეს, როცა ის ჩემი მეგობრის დედაა. სულ რომ ვნება მკლავდეს და მაჟრჟოლებდეს, ანუ დორბლიც რომ ჩამომდიოდეს, მაინც იმით დავკმაყოფილდები, რაც ხელის გაწვდენაზე მაქვს.

– დებილო! – გაბრაზდა თიკა.

– ეჰ, საყვარელო, ასეთია ცხოვრება! ელენე კი, მართლა ძალიან ლამაზი იყო, – ოცნებით ჩაილაპარაკა კაცმა.

– დამშვიდდი, კარგი ცხოვრება ქალს არ აფუჭებს. ისევ მოგეწონება... თუ უკვეთავ ბილეთს, შეუკვეთე. აეროპორტამდე კი ჩემს სასტუმროში უნდა გამატარო. იქ მაქვს ბარგი.

– მე ვერ გამოგყვები, ტაქსის გამოვიძახებ. ოღონდ, პირობა უნდა მომცე, რომ ბუმერანგივით უკან არ მობრუნდები.

– შეიძლება, არ შეგინიშნავს, მაგრამ მე არასდროს მომიტყუებიხარ.

– ჰოო?! ამას ვინ ამბობს! ჩუმად რომ გამომყევი უკან, ეს რა იყო?

– შენ არ გიკითხავს ჩემთვის, მოვდიოდი თუ ვრჩებოდი, – ეშმაკურად ჩაიცინა ქალმა, – თანაც, ხომ მაპატიე?!

– კარგი, კარგი, გაპატიე. წამოდი, სასტუმროს ბარში ჩავიდეთ და რამე დავლიოთ. ჯანდაბას, დილის რეისით გაგიშვებ.

გახარებულმა თიკამ ხელი ხელს შემოჰკრა. ქმარს კისერზე ჩამოეკიდა და ლოყები დაუკოცნა.

***

... ნიკუშას ნატას შიშველ მუცელზე ედო თავი და თვალებდახუჭული იაზე ფიქრობდა. ვახოს სიტყვები გულში ჩარჩა – მართალი იყო, როცა ამბობდა, მარტო შენი კი არა, იმ გოგოს ცხოვრებაც დაამახინჯეო. ნიკუშა აწრიალდა და თვალები გაახილა.

– რა მოხდა? – ძილ-ღვიძილში უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნატამ, – უკვე გათენდა?

– გათენდა? მალე დაღამდება, მაგრამ შენ დაიძინე, დაიძინე... თუკი, რა თქმა უნდა, არსად გეჩქარება.

– შენთან ვაპირებ დარჩენას, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ოღონდ, რამე უნდა მაჭამო, რამე ძალიან გემრიელი.

– პური მაქვს. მაცივარში ყველიც უნდა იყოს... – ნიკუშა ლოგინში წამოჯდა.

ნატა საბოლოოდ გამოფხიზლდა.

– პური და ყველი? შენ, მგონი, დამცინი. პურს საერთოდ არ ვჭამ. მით უმეტეს, მჟავე დროჟით მოზელილს, უმარილოს და უგემურს.

– ჰო, ჰო, ვიცი, რომ კარგი გემოვნება გაქვს. მაშინ, დავრეკავ და პიცას შევუკვეთავ.

– ფული გაქვს? – გაუხარდა ნატას.

– არა, მაგრამ არ არის პრობლემა, ვახოს კაფეში დავრეკავ. ბოლოს და ბოლოს, მაგათი თანამშრომელი ვარ. არაფერი დაუშავდებათ, თუ ჩემს კვებაზე იზრუნებენ.

– კარგი აზრია, მომწონს. ნელ-ნელა აზრზე მოდიხარ. მაშინ, პიცა არ მინდა, ის საფირმო კერძი შეუკვეთე, შენმა ძმაკაცმა რომ მოიგონა, სასაცილო სახელი რომ ჰქვია. ვგიჟდები, ისე მომწონს.

– ჩემზე, ჩემზე არ გიჟდები? – გაიცინა ნიკუშამ.

– როგორ არა. აბა, შენს ლოგინში რა მინდა?! წარმოუდგენელი სიგიჟეა უფულო და უპერსპექტივო კაცთან კოტრიალი, მით უმეტეს, სექსი, თუ მასზე არ გიჟდები – ნატამ მხარზე უკბინა კაცს და ველური კატასავით გაიზმორა. ნიკუშამ სიამოვნებისგან გაიცინა, შიშველ სხეულზე ზეწარი შემოიხვია, ადგა და ტელეფონს დაუწყო ძებნა.

– სად არის აპარატი, იატაკზე არ იდო?

ნატამ მხრები აიჩეჩა და შიშველი მკერდი გამომწვევად გაბზიკა. ნიკუშამ მზერა მოარიდა – ეს გოგო ჰიპნოზივით მოქმედებდა მასზე და თავისი ველური ვნებიანობით თავგზას უბნევდა... – ზარმა სასტუმრო ოთახთან მოუსწრო. წაუყრუა.

– ვიღაც მოვიდა! – საძინებლიდან გამოსძახა ნატამ.

– მე არავის ველოდები, – ჩაიბურტყუნა ნიკუშამ.

ზარი განმეორდა.

– არ გესმის? ვიღაც მოვიდა-მეთქი!

– ეს გოგიჩაა, შემომაკვდება ნამდვილად! – დაიქადნა ნიკუშამ და წელზევით შიშველი, თეძოებზე ზეწარშემოხვეული, შემოსასვლელში გავიდა. დარწმუნებულმა იმაში, რომ ზღურბლზე ნამდვილად გოგიჩა დახვდებოდა, კარი ერთბაშად გამოაღო საჩხუბრად შემართულმა და გაშრა... მოულოდნელობამ გააშეშა. სხეული ერთბაშად დაუმძიმდა, თითქოს ძარღვებში სისხლის ნაცვლად გამდნარი ტყვია ჩაუსხეს...

– გამარჯობა, – ქალმა უხერხულად გაიცინა და გაწითლდა, – მგონი, ცუდ დროს მოვედი...

– შენ?! აქ?!.. არ გელოდებოდი... მართლა... – ნიკუშამ უმწეოდ მიმოიხედა.

– რა სულელი ვარ. ალბათ, ჯერ უნდა დამერეკა. გაგაღვიძე. გეტყობა, ლოგინიდან წამოგაგდო ჩემმა ზარმა...

– მე... ისა... ჰო. მართალია... არავის ველოდი, საქმეც არ მქონდა და ვიფიქრე, დავწვები-მეთქი... შენ... ისა, აქეთ იყავი?

– ჰო. რაღაც მაგდაგვარია... შეიძლება, შემოვიდე? მარტო ხარ?

ნიკუშამ სისუსტე იგრძნო. შუბლი ოფლის წვეთებით დაეფარა.

– შემოხვიდე?.. ჩემთან?.. რა თქმა უნდა, შეიძლება. ჰო... შეიძლება, აბა, რა... მარტო? ჰო, მარტო ვარ... მაგრამ, ხომ ხვდები... ცოტა მერიდება... ჩემთან უწესრიგობაა...

– ვხვდები... ნიკუშ... რა პრობლემაა. არეული ბინით უნდა გამაკვირვო?.. – იას გაეღიმა... – შენ სულ არ შეცვლილხარ.

– ჰოო?.. არც შენ... თუმცა, რას ვბოდავ... ძალიან გალამაზებულხარ. ვახომ კი მითხრა, ძალიან მაგარ ფორმაშიაო, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... იცი, რა ვქნათ?.. შენ აქ დამელოდე, მე შევალ, ჩავიცვამ და სადმე წავიდეთ.

– შემოვიდოდი... სულ ცოტა ხნით... – იამ ფეხის წვერებზე წამოიწია, მაგრამ ნიკუშამ ფეხის წინ წადგმის საშუალება არ მისცა.

– ახლავე... ახლავე ჩავიცვამ, – ზეწრის კალთა მაგრად ჩაბღუჯა და შებრუნდა.

ნატა პირველად იამ დაინახა. გოგოს მხოლოდ ბიკინი ეცვა და კართან მოლაპარაკე წყვილს დაუფარავი ინტერესით უყურებდა. ნიკუშას არასოდეს უგრძვნია მსგავსი რამ: სირცხვილი, ბრაზი, შეძრწუნება და ტკივილი ერთმანეთში აირია. ლაპარაკის უნარი წაერთვა, პირი გაუშრა და საცოდავად აბლუკუნდა:

– მე... მე... ია... იცი...

– ოღონდ, არ მითხრა, რომ ეს ის არაა, რაც მე ვიფიქრე. შენი ბრალი არ არის, ეს მე ვარ სულელი, ნამდვილი იდიოტი... უნდა მცოდნოდა... მაგრამ, ეტყობა, ისევ ბავშვობაში ჩავრჩი... კარგად იყავი... ბოდიში, რომ ხელი შეგიშალეთ... – იამ ცრემლით სველი ღაწვები ხელისგულით მოიწმინდა და თავდახრილმა ჩაირბინა კიბე.

ნიკუშას ძალიან უნდოდა გამოჰკიდებოდა, გულში ჩაეკრა და ეთქვა, რომ ისევ ძველებურად უყვარდა, მაგრამ დროზე მიხვდა ამის უაზრობას, ნატასკენ შებრუნდა და კბილების ღრჭიალით გამოსცრა:

– რა ჯანდაბად გამოხვედი ოთახიდან? საწოლში ვერ დაეტიე? ტანზე მაინც ჩაგეცვა, შიშველ-ტიტველი რომ წამომადექი თავზე!

– ვინ იყო? – ნატამ არაფრად ჩააგდო ნიკუშას გაბრაზება და სიცილით აიჩეჩა მრგვალი, ლამაზი მხრები.

– შენი საქმე არ არის! წარმოდგენა არ გაქვს, რა გააკეთე! ის აქ აღარ მოვა, არასდროს აღარ მოვა! ის კი არა, მე ვარ იდიოტი, – ნიკუშა კართან მივიდა და ჩაკეტა, – სახლში წადი, რა... მარტო მინდა, დავრჩე.

– თუ გინდა, გავეკიდები და მოვაბრუნებ. ვიტყვი, გაუგებრობა მოხდა, შენს შეყვარებულთან საერთო არაფერი მაქვს-მეთქი.

– და შიშველი იმიტომ ვიყავი, რომ მცხელოდაო? გაჩუმდი, რა... შენ არაფერი იცი! ერთი ჩერჩეტი გოგო ხარ, თანაც უზნეო...

– ჰო. უზნეო ვარ, ჩერჩეტიც, მაგრამ ზოგიერთივით ღრუბლებში არ დავფრინავ. შიშველი მნახა? – მერე, რა მოხდა, დღეს ეს ვის უკვირს? ახლა არ მითხრა, რომ ქალიშვილია...

– გაჩუმდი, რა! – იფეთქა ნიკუშამ, – ისიც საკმარისია, რომ ყველაფერი გააფუჭე, მაგრამ, ჩემი ბრალია, შენ რა შუაში ხარ. ვახო მართალია, ბრიყვი ვარ, ნამდვილი კრეტინი!..

– არ გინდა! მორჩი საკუთარი თავის ლანძღვას! – ნატა ნიკუშას მიუახლოვდა და მკერდზე შიშველი მკერდით მიეკრა. ნიკას წინააღმდეგობა არ გაუწევია. არც მისი მოცილება უცდია. თვალწინ იას ცრემლიანი თვალები ედგა და თავბედს იწყევლიდა...

ია კი გარბოდა... ანგარიშმიუცემლად, თვითონაც არ იცოდა, საით და თან ტიროდა. ცრემლები ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა და პერანგის საყელოს უსველებდა... ქალისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. ყველა ოცნება, მითი ერთ წამში დაიმსხვრა და რეალობამ ცხვირის წვერი აუწვა. „არა, რას ველოდი... რომ ჩემს სურათზე მიშტერებული დაჯდებოდა და კალამმომარჯვებული ლექსებს დამიწერდა? ყველა ერთნაირია, ყველა კაცი... არ ვყვარებივარ. არასოდეს ვყვარებივარ. ადრე უნდა მივმხვდარიყავი ამას. რატომ გამოვდექი ასეთი სულელი და რატომ მივეცი უფლება, ჩემი თავმოყვარეობა ფეხქვეშ გაეთელა? არასდროს არავის დავუმცირებივარ ასე. კი არ უნდა გამოვქცეულიყავი, თვალები უნდა ამომეკაწრა იმ კახპასთვის. მაგრამ, იმას რას ვერჩი, ის რა შუაშია... ჩემგან განსხვავებით, იცის, რა სჭირდება კაცისგან და მოქმედებს კიდეც... ნიკუშა... ერთგული და სხვანაირი... ნიკუშა, რომელიც არავის ჰგავდა და ყველა კაცზე უარესად მოიქცა დამამცირა და გამანადგურა... რატომ მივედი, რატომ?.. რომ ვყვარებოდი, ჩემი ნახვა რომ ნდომოდა, ერთხელ მაინც დამირეკავდა. ვახომ გამაბრიყვა, მოვკლავ... მაგაზე მაინც ვიყრი ჯავრს...“ – იამ პირველივე ტაქსი გააჩერა. მძღოლმა განცვიფრებით შეხედა აწითლებულ ქალს, სახე კოსმეტიკით რომ ჰქონდა

მოთხუპნული, მაგრამ არაფერი უკითხავს. მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მანქანა ნელა დაძრა ადგილიდან...

***

ლევანმა ცოლის ხელჩანთები საკუთარი ხელით ჩააწყო ტაქსის საბარგულში და თიკას კიდევ ერთხელ შეახსენა თავისი პირობა:

– იცოდე, ჩაფრინდები თუ არა, დამირეკავ. მამაშენს არაფერს ეტყვი და, საერთოდ, გაცილებით აჯობებს, თუ ჩემს ჩამოსვლამდე საერთოდ არ მიხვალ მასთან.

– კარგი. მოიფიქრე რამე? რას ეტყვი იმ... იმ ქალს? – თიკამ შეგნებულად არ წარმოთქვა მისი სახელი.

– ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ ნახატი არ გაუყიდია. მერე მოვიფიქრებ, რას მოვიმოქმედებ. არც ნიკუშასთან დარეკო. მპირდები?

– გპირდები... – თიკა შეყოყმანდა.

– რა მოხდა კიდევ? – აფორიაქდა ლევანი.

– არაფერი. კარგად იყავი! – ქალმა ლოყაზე აკოცა ქმარს და მანქანაში ჩაჯდა. ლევანს არ მოეწონა მისი ორაზროვანი გამოხედვა და ეჭვით გულდამძიმებულმა დაუქნია ხელი...

მატადორი ხარს უახლოვდება... ცხოველი დაღლილია, მძიმედ სუნთქავს... ნესტოები დაბერვია და უთრთის... ერთი შეხედვით, დამარცხებულია და განადგურებული. თითქოს ყველაფერი დამთავრდა... თითქოს ცოტაც და ადამიანი იზეიმებს გამარჯვებას... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე, ისიც ტრიბუნებზე მჯდომი მაყურებლისთვის... წამიერი პაუზა, რომელიც ხარს სულისმოსათქმელად სჭირდება, მატადორისთვის საბედისწეროდ შეიძლება დასრულდეს, მით უფრო, თუ მატადორი გამოუცდელია, ხარი კი – ვერაგი. მაგრამ, მასაც უნდა გაუგოთ. ის ხომ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის და არა დიდებისთვის...

ვახომ თვალები მოიფშვნიტა. ნამძინარევი, მაშინვე ვერ მიხვდა, რა უნდოდა ქალს მისგან, ან საიდან გაჩნდა ასე მოულოდნელად. იამ ხომ სულის მოთქმა არ დააცადა. მაშინვე საყვედურებით აიკლო. თან თავშეუკავებლად ყვიროდა.

– შენც იმისთანა ნაძირალა ხარ. არაფრით განსხვავდები. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რატომ გაგექცნენ ცოლები. ალბათ, ზუსტად ისე ექცეოდი, როგორც შენი კრეტინი ძმაკაცი მომექცა. ვერ გიტანთ! რომ იცოდე, როგორ ვერ გიტანთ! რომ შემეძლოს, თვალებს დაგთხრიდით ორივეს.

– ეე... მოიცა, რა... რას გაუბერე... ცოტა სული მომათქმევინე, თავზე რომ დამესხი დილაუთენია და მლანძღავ, მითხარი მაინც, რა დავაშავე!

– არ იცი, არა?! არ იცი... მაგ მიამიტი, გულუბრყვილო სახისთვის უფრო მეზიზღები. თუმცა, შენ რას გერჩი... იდიოტი მე ვარ. ამდენ ხანს რატომ ვერ მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. მეზიზღება... საკუთარი თავიც მეზიზღება... – ია აღრიალდა.

– მოიცადე-მეთქი, ხომ გეუბნები, მოდი, ჩამეხუტე, დამშვიდდი და მითხარი, რა მოხდა, რამ გაქცია კაცთმოძულე ამორძალად, – ვახომ დააპირა, მხრებზე მოხვეოდა ქალს, მაგრამ ია ხელიდან დაუსხლტა და მუშტები გამეტებით დაუშინა მკერდზე.

– არამზადა ხარ... არამზადა... რატომ არ მითხარი!

– რა არ გითხარი, ია, საყვარელო? დამშვიდდი და გამაგებინე, რა მოხდა, რამ გადაგრია.

– არ იცი, არა?

– არა, არ ვიცი. ბავშვს გეფიცები, წარმოდგენა არ მაქვს. თუ არ მეტყვი, ვერც გავიგებ. მით უმეტეს, რომ ახალგაღვიძებული ცუდად ვაზროვნებ.

– ახალგაღვიძებული არაფერ შუაშია. თქვენ, ყველანი ერთი ადგილით აზროვნებთ. იმიტომაც სჩადიხართ სისულელეებს.

– ვაა, ვინ გაგაგიჟა ასე? ქმარი რომ გყავდეს, ვიტყოდი, იმასთან მოუვიდა ჩხუბი-მეთქი.

ია მოულოდნელად გაჩერდა, ხელები უღონოდ ჩამოუშვა და აქვითინდა. ვახო უარესად დაიბნა, ცრემლების დანახვა ყოველთვის საშინლად მოქმედებდა მასზე. მით უმეტეს, ვერ იტანდა, როცა მისთვის ძვირფასი ადამიანები ტიროდნენ.

– ეე, კარგი რა... ეგ ტირილი რაღა უბედურებაა. შენი ჭირიმე, ნუ ტირი, თორემ მეც ავბღავლდები და ხომ წარმოგიდგენია, რა სასიამოვნო მოსასმენი იქნება, შეიძლება, დაყრუვდე.

იამ თავი ასწია, საწყალი, უსამართლოდ დასჯილი ბავშვის სახე ჰქონდა.

– მითხარი, ოღონდ გულახდილად, მართლა ასეთი მახინჯი ვარ?

– ვახო გაოგნდა.

– ია, ახლა ნუ გადამრევ! ვინ გითხრა, ქალო, მახინჯი ხარო? მაგიტომ ტირი?! ვაა, ეს ქალები... სარკეში ვერ ჩაიხედე, ქალო, სანამ ჩემთან გამოხვიდოდი და გულს გამიხეთქავდი?! მეც მეგონა, რაღაც უბედურება მოხდა-მეთქი. თურმე, რა ყოფილა. აბა, მითხარი, ვინ გაბედა შენი სილამაზის ხელყოფა?

– თავს ნუ ისულელებ. მე ეგ არ მიგულისხმია. სხვა რამის თქმა მინდოდა.

ვახომ ჭერისკენ აღაპყრო თვალები.

– ღმერთო, რა იქნება, ერთხელ მაინც, მხოლოდ ერთხელ, გამაგებინე ამ სქესის ენა. მომეხმარე, რა მოხდება და პირობას ვდებ, არც მე დაგრჩები ვალში.

– ნუ მკრეხელობ! – ფეხები დააბაკუნა იამ, – რაღაცას მაინც ეცი პატივი. მე რომ გკიდივარ შენც და შენს ძმაკაცსაც, ამას უკვე მივხვდი.

– ვაჰ! თქვი, რა, ვინ ოხერია, ეგ ჩემი ძმაკაცი. იქნებ, შენ გგონია, რომ ძმაკაცია. არ უნდა ვიცოდე, ვის გამო ვიტისკები?!

– ნიკუშამ დამიმტკიცა, რომ არასოდეს ვყვარებივარ. არასოდეს! მხოლოდ თამაშობდა ჩემით. მთელი ამ წლების განმავლობაში თავს ვიტყუებდი. დროს ტყუილუბრალოდ ვკარგავდი და მაგ იდიოტს საშუალებას ვაძლევდი, დაეცინა ჩემთვის. თან, რომ ვიცოდებდი კიდეც. ვფიქრობდი, უჭირს ახლა და მეც რატომ უნდა გავურთულო ცხოვრება უარესად-მეთქი. გარყვნილი, გარყვნილი ნაძირალაა, მაგრამ შენ ხარ დამნაშავე. რატომ ერთხელ მაინც არ მითხარი, სახლში ბორდელი რომ ჰქონდა მოწყობილი.

– ბორდელი ჰქონდა? ვის, ნიკუშას? ვინ გითხრა, ტო?! ვინ მოგატყუა.

– არავის მოვუტყუებივარ. საკუთარი თვალით ვნახე, ჩემი თვალით ვნახე... მე თვითონ და დარწმუნებული იყავი, არ მომლანდებია.

ვახომ სახეზე მოისვა ხელები, ჯერ კიდევ გაოგნებული იყო მოსმენილით.

– შენ ნიკასთან იყავი და იქ რამე ცუდი ნახე?

– ნუ მიყურებ მთვარიდან ჩამოვარდნილივით. რომ იტყვიან, ზედ ფაქტზე წავასწარი. ის გოგო საერთოდ დედიშობილა იყო, ტიტველი იყო, გესმის?

– მერე? – ამოიოხრა ვახომ.

– რა, მერე? შენს ძმაკაცს, საერთოდ, ზეწარი ჰქონდა შემოხვეული. რატომ ფეხი არ მომტყდა, რისთვის მივეთრიე იქ, მაგრამ შენ გამაბრიყვე... შენ!

– მე? რანაირად, ტო...

– ტო და ჯანდაბა შენ! რატომ მირევდი თავგზას, ისევ უყვარხარო. რა დანაშაული ჩავიდინე შენ წინაშე ისეთი, რომ ასე გამიმეტე. მე კიდევ შენი იმედი მქონდა. ვფიქრობდი, გული შეგტკიოდა ჩემზე.

– ჰო. ასეა. შემტკივა, შენ ჩემი და ხარ. ამაში ეჭვი არ შეგეპაროს.

– გაჩუმდი, უსინდისო! იცი, რა ვიგრძენი, ისინი რომ დავინახე? მაგრამ შენ ამას ვერასოდეს გაიგებ, იმიტომ რომ თავადაც გარყვნილი ხარ. ერთი ისეთი კახპა შენც გეყოლება სადმე გადამალული. მითხარი, სად მალავ – სააბაზანოში თუ საძინებელში, კარადაში უკარი თავი?! – ია წამოხტა და ოთახში წინ და უკან სირბილს მოჰყვა.

ვახოს გონებამდე ნელ-ნელა მიაღწია რეალობამ. როგორც იქნა, ჩასწვდა იას სიტყვების არსს და იმასაც მიხვდა, ვინ შეიძლებოდა, იას ნიკუშას ბინაში შიშველი ენახა.

– ჰოო, ეგ ის არის... მოკლედ, არ დაიჯერებ, მაგრამ, ეგ გოგო, უბრალოდ, ნაცნობია, მეტი არაფერი.

– ისეთი ნაცნობი, რომ აღარაფრის ერიდება და თქვენ წინაშე ტიტველი დარბის?! – ზიზღნარევი ირონიით წარმოთქვა იამ, – სადამდე დაეცით ერთიც და მეორეც. შეიძლება, მესამეც და მეოთხეც... უკვე აღარაფრის მჯერა.

ვახო შეიჭმუხნა.

– ია, მომისმინე, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, უბრალო ადამიანები. ჰო, ნიკუშას რაღაც შეიძლება ჰქონდა იმ გოგოსთან, მაგრამ ეს თქვენს სიყვარულთან კავშირში არ არის.

– რას მელაპარაკები?! – ყასიდად შეიცხადა ქალმა, – აი, თურმე რა ყოფილა. მე კი რა ცუდი რაღაც ვიფიქრე. გმადლობ, ძვირფასო, ჭეშმარიტების გზაზე რომ დამაყენე. ახლა დამშვიდებული სინდისით დავწვები ვინმესთან და მერე ვიტყვი, ამას ჩემს სიყვარულთან კავშირი არა აქვს-მეთქი. გენიალურია! რატომ მე თავად ვერ მივხვდი ამას.

– ნიკუშას უყვარხარ.

– გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ, თუ ვიფეთქე, ვეღარ გადამირჩები! – გააფრთხილა იამ, – მე ველოდებოდი, ვიცდიდი, მორჩილად ვიჯექი სახლში და საკუთარ თავს სხვა კაცზე ფიქრის

უფლებასაც კი არ ვაძლევდი. მრცხვენოდა. გესმის შენ? მრცხვენოდა. ვერ ხვდები, ხომ, რისი შეიძლება რცხვენოდეს ან რატომ უნდა რცხვენოდეს ზრდასრულ, ჯანმრთელ ქალს, ეს ხომ ორგანიზმის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

– ია, გეყოფა...

– მე? მე მეყოფა? მე მეუბნები, გეყოფაო? თქვენ, თქვენ რატომ არ გყოფნით? აი, შენ, ოთხი ცოლი გყავდა და ოთხჯერ მეტი საყვარელი.

– სამი ცოლი მყავდა, რატომ მიმატებ?

– სამი, რა, ცოტაა? იქნებ, საყვარლების რაოდენობაც არ ვიცი ზუსტად?

– გააჩნია, შენ რას ეძახი საყვარელს, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ვახომ.

– იმას, რასაც შენ. თუმცა, ალბათ, ფიქრობ, რომ რადგან ისევ უცოლო ხარ, საყვარელიც არ შეიძლება გყავდეს. კარგი, ნაშები დავარქვათ. ასე გაწყობს?

– გეხვეწები, დამშვიდდი, რა... რად გინდა ასეთი რაღაცეები. აჯობებს, ის მითხრა, ნიკუშასთან მისვლა რატომ გადაწყვიტე, ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ?!

– ჰო, ვილაპარაკეთ.

– მერე, მე ის გითხარი, ახლავე, სასწრაფოდ ნიკუშასთან გაიქეცი-მეთქი?! თუ შეგახსენე, რომ არსებობს კაცი, რომელსაც უყვარხარ.

– ვნახე მისი სიყვარული, ვნახე. რა უნდა თქვა ისეთი, რომ ეს ჩემი მეხსიერებიდან ამოშალოთ. ჩემი ბრალია. ყველაფერი ჩემი ბრალია. მაგას არასდროს ვყვარებივარ. ეგოისტია ეგ შენი ძმაკაცი. საკუთარი პერსონის მეტი არავინ უყვარს. გამდიდრდა ბიჭი და რაღაში ვჭირდები, არა?! ყველაფერი გასაგებია. ახლა უკვე ვიცი, როგორც უნდა ვიცხოვრო. მაგ უსინდისო, ეგოისტის ლოდინში, მგონი, ის ადამიანი დავკარგე, რომელსაც მართლა ვუყვარვარ. მაგრამ არა უშავს, ჯერ კიდევ შეიძლება სიტუაციის შეცვლა.

– რას გულისხმობ? – დაეჭვდა ვახო, რომელსაც ძალიან არ მოეწონა ქალის ორაზროვანი, სარკასტული ღიმილი.

– გინდოდა, გეკითხა, ვის ვგულისხმობ?! – ბოროტად ჩაიცინა იამ, – აი, ეგ უკვე შენი საქმე აღარ არის, ყველა დაინახავთ, როცა დრო მოვა.

– სისულელე არ ჩაიდინო, იცოდე! – თითი გამაფრთხილებლად დაუქნია ვახომ.

– გააჩნია, თქვენ რას ეძახით სისულელეს. სულელი მაშინ ვიყავი, მაგის სიყვარულის რომ მჯეროდა. ასეთ შეცდომას ნამდვილად აღარ დავუშვებ. იშოვა ბიჭმა მილიონები და უკვე აღარ ვჭირდები? ვნახოთ, თუ არ ინანებს ამას.

– რა მილიონები, გოგო, რას ლაპარაკობ?

– ლევანმა ყველაფერი მითხრა. ვიცი, დედამისის მილიონების ამბავი. რა იყო, შენ ხომ არ გაქვს იმედი, რომ ტორტის პატარა ნაჭერი შეგხვდება. რა საცოდავი ხარ, საცოდავი არარაობა, მატლი, ჭიაყელა, რომელსაც სიამოვნებით გავსრესდი.

– ეე, შენ მაგრად გაუბერე. აბა, მორჩი! რა გინდა იმ ბიჭისგან. ქმარია და გიღალატა თუ რაშია საქმე?! კაცია, ტო... აბა, რა ქნას? პატარა ხომ არ ხარ, რომ ვერ მიხვდე ეგეთ რაღაცეებს. თანაც საკმაოდ ჭკვიანი ქალი მგონიხარ.

– იმდენად ჭკვიანი, რომ ამ შეურაცხყოფასაც გადავყლაპავ და მორჩილად დავიცდი, კიდევ რამდენიმე წელიწადს. არა, მე შეიძლება, სულელი ვიყო, მაგრამ იდიოტი ნამდვილად არ ვარ, არა! კარგად ბრძანდებოდეთ შენც და შენი „უცოდველი“ ძმაკაციც. შეგიძლია, მოახსენო, აქ რომ ვიყავი. მისი დანახვაც კი აღარ მინდა! – ია წამოხტა და კარისკენ გაიქცა. ვახოც უკან მიჰყვა. უნდოდა მისი შეჩერება, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა. ქალი რომ წავიდა, საკიდიდან ქურთუკი ჩამოიღო, ხელი მანქანის გასაღებს დაავლო და კარი გაიკეტა...

... მატადორი მარტო მამაცი კი არა, ცოტათი შეშლილიც უნდა იყოს. სულით ავანტიურისტი, რისკიანი და იმავდროულად არისტოკრატიც. როგორ გგონიათ, ადვილია ერთდროულად შეშლილიც იყო და არისტოკრატიც?! თუმცა ყველა არისტოკრატი ხომ ცოტათი შეშლილია...

მაგრამ არისტოკრატები არენაზე ხართან საბრძოლველად არ ჩადიან. სამაგიეროდ, ბედს ებრძვიან. ზოგჯერ თავგამოდებით, ზოგჯერ – შეუცნობლად. ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდებიან. ვერც იმას ამჩნევენ, როგორი გაფაციცებით შესცქერის ამ ბრძოლას მაყურებელი. ისე კი, ბედთან ბრძოლა ყველას შეუძლია, მაგრამ მარტო არისტოკრატები აკეთებენ ამას ავანტიურისტული მომხიბვლელობით.

***

ელენემ ხელის გრაციოზული მოძრაობით დააფერფლა სიგარეტი და მოპირდაპირედ მჯდარ ახალგაზრდა კაცს სევდიანად გაუღიმა.

– ესე იგი, არ შევცვლილვარ, არა?! ძალიან სასიამოვნოა, შენი მხრიდან ამის აღიარება. თუ ეს კომპლიმენტი არ არის. თუმცა, კომპლიმენტიც სასიამოვნოა, როცა ასეთ ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცისგან ისმის.

ლევანი შეიშმუშნა. უხერხულობა იგრძნო და მალულად გახედა გრაფს.

– ჩემს მეუღლეს მოსწონს, როცა ჩემს სილამაზეს აშკარად აქებენ. ეჭვიანობაც არ ახასიათებს, – მიუხვდა ქალი.

– არა, მე იმის თქმა მინდოდა, რომ ვიცრუე. იმაზე გაცილებით მშვენიერი ხართ, ვიდრე მახსოვდით, – ლევანი ქალის ხელს მისწვდა და თლილ თითებზე ეამბორა. ელენემ გადაიკისკისა.

– ლევანი და მინისტრის სავარძელი... თურმე ყველაფერი შეიძლება მოხდეს ქვეყანაზე.

ლევანს დიდად არ ესიამოვნა „კომპლიმენტი“, მაგრამ არ შეიმჩნია. შეეცადა, ღირსეულად გამომძვრალიყო სიტუაციიდან.

– დიახ. სიმართლეს ბრძანებთ, მინისტრის სავარძელში ნიკუშა უფრო მოიაზრებოდა, მაგრამ...

ელენეს მღელვარება დაეტყო, მაგრამ არ შეიმჩნია. მხოლოდ ნაძალადევმა ღიმილმა გასცა და ოდნავ ათრთოლებულმა ქვედა ტუჩმა, თუმცა ეს მარტო გრაფმა შეამჩნია.

– ნიკუშა... ჰო. ჩემმა შვილმა ბევრს გაგვიცრუა იმედები. უპირველესად კი, საკუთარ თავს. მე მინდა დავეხმარო, ძალიან მინდა, მაგრამ სიახლოვეს არ მიკარებს. წარმოგიდგენია?! მე აქ ვარ, ის – იქ. არც კი ვიცი, რას ჭამს, რას სვამს. ფულს გავუგზავნიდი, მაგრამ ისეთი თავმოყვარეა, ხელს არ მოკიდებს. ურთიერთობა კი უარესად გაგვიფუჭდება. შენი ნახვაც ამიტომ მინდოდა, ვფიქრობდი, დამერეკა, ვერ წარმოვიდგენდი, აქ თუ შეგხვდებოდი.

მეც ნიკუშას გამო დავრეკე. ძალიან განვიცდით მის ამბავს, – ლევანმა ჩაის ფინჯანი თავისკენ გააჩოჩა, მაგრამ დალევა არც უფიქრია, – ნირწამხდარი იყო და იმედგაცრუებული. ელენესთან სახლში უნდოდა მისვლა. როცა დაურეკა, დარწმუნებული იყო, ქალი თავის ფეშენებელურ, მდიდრულ აპარტამენტებში მიიპატიჟებდა, როგორც ძველ მეგობარს, მაგრამ მან შეხვედრა პატარა, თუმცა საკმაოდ ძვირად ღირებულ და პრესტიჟულ რესტორანში დაუნიშნა. თან დაუმატა, მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის აქ ვსაუზმობთ და გამეხარდება, თუ შემოგვიერთდებიო. ლევანს შეხვედრის დრო აწყობდა. რამდენიმე თავისუფალი საათი ჰქონდა და ისიც შეძლო, ჟურნალისტებს დასძვრომოდა. ელაპარაკებოდა მეგობრის დედას და სულ ნახატზე ფიქრობდა. არ იცოდა, როგორ წამოეწყო მასზე საუბარი.

– იქნებ, ჩამოსულიყავით თბილისში... – ლევანმა გაციებული ჩაი მოსვა. ელენემ ახალი სიგარეტი ჩაამაგრა სადაფის მუნდშტუკში და ქმარს ანიშნა, მომიკიდეო. გრაფი მოიღუშა, მაგრამ არაფერი უთქვამს. აშკარად არ ერეოდა ცოლის და სტუმრის საუბარში.

– მე ჩამოვიდე თბილისში? – ქალმა უკმაყოფილოდ ასწია წარბები და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, – თბილისი... არა. თბილისთან ბევრი ცუდი მოგონება მაკავშირებს და არ მინდა, მოგონებები გავაღვიძო. მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ შვილთან ურთიერთობის მოგვარება ძალიან გამიჭიანურდა. მეშინია, სულ არ დავკარგო. მომიყევი, როგორ ცხოვრობს. მუშაობს?

– არა, – წამოსცდა ლევანს, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, – უბრალოდ, ახლა არ მუშაობს. დროებით. თუმცა, მგონი, ვახომ უკვე მოაგვარა ეს პრობლემა.

– სულ მგონია, რომ ვიღაცამ ძალიან მოინდომა ჩვენი დაშორება. ვიღაც ჩაერია და ჩემი შვილის ნდობა და სიყვარული დამაკარგვინა.

ლევანმა ლამის უთხრა, ვიღაც რა შუაშია, შენმა შვილმა ის არ გაპატია, ამ გაპრანჭულ ფრანტს რომ ჩამოეკიდე კისერზეო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

– არ ვიცი, ქალბატონო ელენე, რას გულისხმობთ, მაგრამ მეც და ბიჭებიც ცდას არ ვაკლებთ. ძალიან ვართ მონდომებულები. თქვენი შერიგებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

– მართლა? – ქალმა ბუნებრივად გრძელი, ლამაზი წამწამები დააფახულა. იმ წუთში პატარა ბავშვს ჰგავდა. რაღაცით ძალიან გაოცებულს და გახარებულს. ლევანს გრაფი შეეცოდა. თუმცა, თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ.

– ჩვენ გვიყვარს ნიკუშა. გული გვტკივა, როცა ვხედავთ, როგორ კარგავს ცხოვრების ინტერესს. ახლა ძალიან ცოტა დრო მაქვს. გამიგებთ, ალბათ.

– რა თქმა უნდა. მადლობის მეტი რა მეთქმის. იმასაც არ ველოდი, რომ ჩემთან შესახვედრად მოიცლიდი. შენ ცოლი გყავს? – ჰკითხა მოულოდნელად ქალმა. ლევანი არ ელოდა ამ შეკითხვას და დაიბნა.

– მე? დიახ. ოთხი წლის წინ შევირთე. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია. ბავშვიც ჰყავს, პირველი ქორწინებიდან, – ბეჯითი მოსწავლესავით მოყვა თავისი ოჯახის ამბავი ლევანმა და გაწითლდა. ეს ისე ანგარიშმიუცემლად გააკეთა, რომ გაბრაზდა კიდეც საკუთარ თავზე უაზრო გულახდილობისთვის.

– მართლა? რა საინტერესოა? ესე იგი, თბილისში არაფერი შეცვლილა, – გაიცინა ქალმა და მეუღლეს ფრანგულად გადაულაპარაკა, – ხომ არ დაიღალე, შერი. მირჩევნია, ქართულად ველაპარაკო. ასე უფრო მიადვილდება.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ძვირფასო, – გრაფმა კოცნით გაამხნევა ცოლი, – პირიქით, ძალიან მომწონს, როცა ქართულად ლაპარაკობ. ისეთი სხვანაირი და სასურველი ხარ ამ დროს... ცოტათი შორეულიც...

ელენემ ისევ გაიცინა. ლევანმა გაიფიქრა, ეს ქალი ნებისმიერს აურევს თავგზას. ჩემი ყეყეჩი სიმამრი საერთოდ რისთვის სჭირდებოდაო.

– მე ვერ გავიგე, რა იგულისხმეთ, როცა თქვით, თბილისში არაფერი შეცვლილაო, ან როგორ მიხვდით ამას?

– მივხვდი, საყვარელო, შენმა სიტყვებმა მიმახვედრა. ისე თქვი, ცოლი ჩემზე უფროსია, თან შვილი ჰყავსო, რომ ყველაფერი გასაგები გახდა. ეგ ქალაქი ისევ ძველი პრობლემებით და სტერეოტიპებით ცხოვრობს. ალბათ, ძალიან გიყვარს, რადგან დაბრკოლებებმა ვერ შეგაშინა.

ლევანმა არ უპასუხა. თიკა დაუდგა თვალწინ და გულზე მოეშვა, როცა იფიქრა, რომ ის ახლა აქედან ძალიან შორს იყო...

თიკამ ბარგი აიღო, ბოლო წუთს გადაიფიქრა ის, რისი გაკეთებაც მთელი გზა უნდოდა. იმიტომ არა, რომ ქმრის შეეშინდა ან გამბედაობა არ ეყო. უბრალოდ, ქალურმა ინტუიციამ უკარნახა, რომ იმ ეტაპზე დათმობა ჯობდა. თან ქმარზე მეტად საკუთარ მამაზე იყო გაცეცხლებული. ზურაბის მექალთანობის ამბავი არ გაკვირვებია. გრძნობდა, კაცი ერთგულების ნიღაბს უნიჭოდ რომ ირგებდა. ყოველთვის გრძნობდა ამას, მაგრამ ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებდა. აკმაყოფილებდა ის გარემო, რომელიც მშობლებმა შეუქმნეს. დედამისი ჩუმად იყო. ესე იგი, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. რატომ უნდა ჩაეყო ცხვირი იქ, სადაც შესაძლოა, უსიამოვნო სუნს ცხვირის ნესტოები აეწვა. თიკა არ იყო სულელი. თუმცა ქმრის გულახდილობამ მიახვედრა, რომ მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ეტაპი, როცა არჩევანი უნდა გაეკეთებინა და მიეღო გადაწყვეტილება, ვის მხარეს აჯობებდა დგომა – ქმრის თუ მამის. ისევ ინტუიცია კარნახობდა, რომ ქმრის მოკავშირეობა გაცილებით მომგებიანი იქნებოდა მისთვის. მთელი გზა იმდენი იფიქრა, რომ ბოლოს თავიც ასტკივდა. ასე ცუდად არასოდეს უმგზავრია. სახლში მისულმა შხაპი მიიღო და მაშინვე ლოგინში ჩაწვა. თავის ტკივილმა გაუარა. დაძინებას ვერ შეძლებდა. ჯერ გადაწყვიტა, ქმრისთვის დაერეკა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა. სახლში მშობლებთან ვერ დარეკავდა. არც ჰქონდა ამის სურვილი. ჯერ კიდევ ტაქსიში მობილურიდან დაფარული ნომრით დედას დაურეკა და ბავშვის ამბავი იკითხა. ისიც უთხრა, ორ-სამ დღეს კიდევ ვერ ჩამოვალო და სანამ ქალი დაკითხვას მოუწყობდა, ტელეფონი გაუთიშა.

თიკას არასოდეს უცდია ქმრის მეგობრებთან დაახლოება. ყველას კარგად იცნობდა, მაგრამ ის ძაფი, რომელიც ახლობელ ადამიანებს შორის იბმება ხოლმე, ამ შემთხვევაში, არ გაბმულა. თიკას დათო მოსწონდა. ვახოს დასცინოდა. ნიკას კი, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იტანდა. მისი ცინიზმი აღიზიანებდა და ნერვებს უშლიდა. თანაც ისე, რომ ზოგჯერ თითქმის აცოფებდა. ხელმოცარული, უფულო და უპერსპექტივო ნიკუშა მაინც მაღლა იდგა მასზე, თავისი განათლებით, აღზრდით, შინაგანი კულტურით. თიკა გრძნობდა ამას და მასთან შეხვედრას ყოველთვის გაურბოდა.

ნიკუშას დიდი სიხარული არ გამოუხატავს ვახოს დანახვის გამო, მაგრამ ოთახში მაინც შეიპატიჟა. იას წასვლის შემდეგ მარტო ის მოახერხა, რომ შარვალი ჩაიცვა. ნატუკასაც დაეფარა შიშველი სხეული მეტ-ნაკლებად. ნიკუშას პერანგი, მისი საშინაო ფეხსაცმელი და კოლგოტი ეცვა. გაშლილი თმა სარეცხის დასამაგრებელი „შპილკით“ ჰქონდა შეკრული, სავარძელში ნებივრად მიწოლილიყო და არხეინად ეწეოდა სიგარეტს. ვახომ ბრაზით გახედა გოგოს და ნიკუშას მოურიდებლად მიახალა.

– ეს ისევ აქ არის? ვერ ეტყვი, რომ სახლში წავიდეს?

– შუაღამისას ხომ არ გავაგდებ ქუჩაში. გათენდება და წავა, – ჩაიბურტყუნა ნიკუშამ, ისე, რომ გოგოსთვის ზედ არ შეუხედავს.

– შუაღამისას, თორემ მაგასაც სიბნელის არ შეეშინდეს. საერთოდ, რა ჯანდაბას აკეთებს აქ. რა, შენი საყვარელია? ცოლად ხომ არ მოიყვანე?

– ვახო, მომეშვი, არ ვარ შენს გუნებაზე. ისედაც ნერვები მაქვს მოშლილი, – ჩაიღრინა ნიკუშამ.

– მე არ ვარ, შენი ნერვების მოშლის მიზეზი. ეეე, სულ არ გქონია ჭკუა, ერთი მისხალიც კი, რა უნდა გელაპარაკო.

– გამაგებინე, რატომ ილანძღები. რა დაგიშავე?

– მიზეზი არ იცის ბიჭმა, – ვახომ უკმაყოფილოდ აიქნია ხელები, – ამასთან ერთად გინდა, რომ გითხრა? კარგი, ია იყო ჩემთან.

ნიკუშა გაფითრდა.

– რაო, გეცვალა ფერი? – ნიშნისმოგებით ჩაიცინა ვახომ, – მცოდნია თუ არა, შენი ვაჟკაცობის ამბავი.

– მე მაგისთვის ერთგულების ფიცი არ მიმიცია.

– მშვენიერი არგუმენტია, მამაკაცური. თავის მართლება საჭირო არ არის. მეც ზუსტად ეგ ვუთხარი იას. იმიტომ, რომ ორივე კაცები ვართ და ერთმანეთს გასვრილი ერთი ადგილი უნდა მოვწმინდოთ. მაგრამ ახლა გეტყვი, სინამდვილეში რას ვფიქრობ შენზე.

– არ გინდა, ნუ მეტყვი, – ჩაიბურტყუნა ნიკუშამ და ნატუკას გახედა. გოგო ისევ მშვიდად იჯდა. ფეხი ფეხზე შემოედო და ისეთი უშფოთველი სახით ეწეოდა სიგარეტს, თითქოს კაცების საუბარი მას საერთოდ არ ეხებოდა.

ვახომ პროტესტის ნიშნად ენერგიულად გადააქნია თავი.

– არა, გეტყვი. ფეხებზე მკიდია შენი უგუნებობა. ია მართალია. ეგოისტი ხარ. თანაც იდიოტი. ხვდები, რომ ის გოგო საერთოდ დაკარგე?! სამუდამოდ. არ გაპატიებს ამას.

ნიკუშამ ხელი ჩაიქნია.

– ბოლოს და ბოლოს, მე თავისუფალი კაცი ვარ და ვისთანაც მინდა, იმასთან დავწვები, თუნდაც ქუჩის კახპასთან.

– რა თქმა უნდა. მაგრამ ქუჩის კახპა სახლში არ უნდა მოიყვანო და დიასახლისივით არ უნდა წამოასკუპო სავარძელში! – ვალში არ დარჩა ვახო.

ნატუკამ ტაში შემოჰკრა და ხმამაღლა გაიცინა.

– ბრავო! მშვენიერია, მშვენიერი, მაგრამ ჯენტლმენებო, რატომ დაგავიწყდათ, რომ „ქუჩის კახპამ“ ყველაფერი გაიგონა. ძვირფასო რომეო, – მიუბრუნდა ნიკუშას, – ჩვენს დროში შექსპირული ვნებები, როცა ისედაც გართულდა ცხოვრება, მეტისმეტია.

– შენ გაჩუმდი! – გოგოს მიუბრუნდა ნიკუშა, მაგრამ მის ხმაში აგრესია ან ბრაზი არ იგრძნობოდა.

– კი ბატონო, გავჩუმდები. რა მენაღვლება. უბრალოდ, ჩემი მოსაზრება გამოვთქვი.

– არ გინდა, ნუ ჩაერევი ჩვენს საუბარში.

– აჯობებს, ტაქსის ფული მისცე და გაუშვა.

– ეგ მარტო ჩემი გადასაწყვეტია, – არ დათმო ნიკუშამ, – ვინ მიკითხავს მორალს, ცნობილი დონ ჟუანი, სამცოლგამოცვლილი ლოველასი, უპასუხისმგებლო და არასერიოზული, თავქარიანი მოგულავე...

– განაგრძე, განაგრძე... საინტერესოა, კიდევ რას იტყვი ჩემზე.

– იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა, რაც ისედაც იცი. ია ჩემი ცოლი არ არის. ამიტომ, მის წინაშე პასუხისმგებლობასაც არ ვგრძნობ.

– თვალებში მიყურე და ისე გაიმეორე, რაც ახლა მითხარი.

ნიკუშამ ხელი აიქნია.

– რას გადამეკიდე. შენ, რა, საქმე არა გაქვს? წადი, რა, სახლში. დაწექი და დაიძინე.

– ანუ, ხელს გიშლი?

– ჰო. რაღაც მაგდაგვარია. დავიღალე, ამდენი ჭკუის სწავლებით. პატარა აღარ ვარ და ვიცი, რასაც ვაკეთებ.

– ჰმ, პატარა აღარ არის ბიჭი. პატარა რომ იყო, კარგად გაგასილაქებდი, ყურს აგიწევდი და კუთხეშიც დაგაყენებდი.

– გეყოფა, არც შენ მყავხარ სანიმუშო მოსწავლე! – იყვირა ნიკუშამ.

ვახო გაჩუმდა. რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღია. ნიკუშა უარესად გააღიზიანა მისმა სიჩუმემ.

– აუ, წადი, რა, აქედან, ხვალ ვილაპარაკოთ...

– მე შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს. არც ხვალ, არც ზეგ და საერთოდ, შემეშვი, რა...

– მე შეგეშვა? დაგავიწყდა, სად ხარ? შენ მომეჭერი სახლში.

– ჰოდა, ბოდიშს გიხდი და მივდივარ. აქ აღარაფერი მესაქმება. ამიერიდან საერთოდ აღარაფერს გეტყვი. ვეღარც მნახავ. სამსახურში შეგიძლია იარო. ხელფასს ჩვეულებრივად მოგცემენ. რატომ ვიტკიებ აუტკივარ თავს, გაუგებარია. ან აქამდე რატომ არ ვიქცეოდი ასე. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და თუ ვინმეს კისრის მოტეხვა უნდა, ხელი არ უნდა შეუშალო. კარგად ბრძანდებოდე!

ვახომ ოთახის კარი გაიჯახუნა. ნიკუშამ ტუჩი მოიკვნიტა. წამოხტა და მეგობარს უკან გაედევნა.

– მოიცადე!

– რა გინდა, რას მომდევ? უკვე ყველაფერი გავარკვიეთ. გირჩევნია, იმას მიხედო, არ გაგექცეს. ეგეთ ჩიტუნიებს უყურადღებობა არ უყვართ. რა უნდა გელაპარაკო. იმაზე იდიოტი გამოდექი, ვიდრე მეგონა. მე ხომ ვარ ბედის საჩუქარი, მაგრამ შენ მეც კი მაჯობე იდიოტობაში.

– მოიცადე-მეთქი! რაღაც მინდა გკითხო.

– რა უნდა მკითხო. იამ რა მითხრა თუ ის, მე რა ვუპასუხე.

– მეც არ ვიცი, როგორ მოხდა. რას წარმოვიდგენდი, თუ აქ მოვიდოდა?! – ნიკუშამ შუბლი მოისრისა. ვახოს შეეცოდა ძმაკაცი და ერთბაშად მოლბა.

– ვერც მე წარმოვიდგენდი, მაგრამ მოვიდა. უყვარხარ, კრეტინო და ერთხელაც ასე მოხდებოდა.

– მერე, რაღა დღეს მოხდა. ეგ მაგიჟებს და მაცოფებს, რაღა დღეს! გადავალ ჭკუიდან. ჩაცმულები მაინც ვყოფილიყავით.

– ვაა, მაგარი რაღაც დაგემართა.

– მომისმინე, ძალიან ნერვიულობდა?

– ვინ?

– ვინ და ბებიაჩემი, ია, რა თქმა უნდა. ისეთი გავარდა, მინდოდა გამოვკიდებოდი, მაგრამ...

– მაგრამ მიხვდი, თავს რომ გაგიტეხდა, ხომ მართალია?

– შეიძლება. მაგრამ შენ ამით რა გემატება, ვერ ვხვდები, – შეუბღვირა ნიკუშამ გაბადრულ ვახოს.

– მეე? – გაიოცა იმან.

– ჰო, შენ, შენ. რა სახე გაქვს. გიხარია, რომ გულზე ვსკდები?

– არა, ტო, რა მიხარია, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. რატომ მომატყუე, ის გოგო უბრალოდ მეგობარიაო. აი, შენი უბრალოდ მეგობრობა. ვერ გაგიქცია საცოლე?

ნიკუშამ ხელი ჩაიქნია.

– საცოლე... რომელი საცოლე?! შეიძლება, ასე უკეთესიც იყოს. მე და ია დიდი ხნის წინ აღმოვჩნდით სხვადასხვა პოლუსზე. უბრალოდ, ამის აღიარება არც ერთს არ გვინდოდა. ახლა ზუსტად ვიცით, რომ ერთად ვეღარ ვიქნებით.

– იმიტომ, რომ ეს პატარა კახპა ჩაიწვინე ლოგინში? – აღშფოთდა ვახო, – ახლა შენ ტვინი გაქვს?

– გეხვეწები, ნატუკაზე ასე ნუ ლაპარაკობ, ეგ არაფერ შუაშია.

– შუაში რაც არის, კარგად ვიცი. მართლა ხომ არ შეგიყვარდა, ბიჭო? – შეიცხადა ვახომ, – აი, ეგღა გაკლდა, სრული ბედნიერებისთვის. სულ აშენდები და დამშვენდები.

– მორჩი სისულელეებს! სიყვარულზე საერთოდ აღარ ვფიქრობ, მეტისმეტი ფუფუნებაა ჩემთვის. იცი, რას ვიზამ? საერთოდ წავალ აქედან!

– საიდან აქედან, ამ სახლიდან?

– არა, საქართველოდან. საქართველოდან წავალ!

– ვაა, ეგ უკვე მაგარია! არ არის ცუდი აზრი, მაგრამ სად წახვალ – დედაშენთან? – ვახომ ეს სიტყვები შიშით წარმოთქვა. ნიკუშას მძაფრ რეაქციას ელოდა, მაგრამ შეცდა. ნიკუშა პირველად შეხვდა დედის ხსენებას მშვიდად. მეგობარს გამომწვევად შეხედა და დაუფარავი გესლით ჩაილაპარაკა.

– რატომაც არა. თქვენგან მაინც დავისვენებ. ფულიც მექნება.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო. ვისაც შეშურდეს, იმის კეთილებიც!

– შენ რა, მართლა დაიჯერე, რომ დედაჩემთან გავიქცევი? კალთაში ავუტირდები და დახმარებას ვთხოვ? არა, რა, მაგარი ბავშვი ხარ, მაგრამ აქედან გაქცევა მართლა მინდა. გავიქცევი კიდეც, აუცილებლად გავიქცევი...

თიკამ ყავა მოიდუღა. ტანზე არც ჩაუცვამს. აბრეშუმის მოკლე პერანგისა და ტრუსის ამარა, ფეხშიშველა გატანტალდა სასტუმრო ოთახში და პირდაპირ იატაკზე, ხალიჩაზე მოიკეცა. ყავას ნელა სვამდა, დაგემოვნებით და ფიქრობდა. ცდილობდა, ნიკუშას სახე აღედგინა მეხსიერებაში. ხვდებოდა, რომ მასსა და ნიკას შორის არანაირი ნათესაური კავშირი არ არსებობდა. ის, რომ მამამისი დედამისის საყვარელი იყო, არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავდა, მაგრამ შეგრძნება მაინც ისეთი ჰქონდა, როგორც ძალიან ახლობელ ადამიანზე ფიქრისას. სურვილი გაუჩნდა, ენახა და დალაპარაკებოდა, ნიკუშას ბინის ტელეფონის ნომერი იცოდა, მაგრამ დარეკვას ჯერ არ ჩქარობდა. ფინჯანი დაცარიელდა. შუაღამე გადავიდა. თიკა კი იჯდა და ფიქრობდა. „იქნებ, ჩემი ძმაა.. თუმცა, რა სისულელეს ვამბობ. მამაჩემი არ მისცემდა შვილის გაჩენის უფლებას ქალს, რომელიც სხვა კაცის ცოლი იყო. მაგრამ თუ მამაჩემს არაფერი ჰკითხა, თუ საერთოდ ამ ფეხმძიმობის დასამალად გათხოვდა? მათ შორის სიყვარული რომ არ ყოფილიყო, მამაჩემი იმ ძვირფას ნახატს არ აჩუქებდა. თუმცა, მაშინ ნახატის ღირებულება მისთვის უცნობი იყო და შეიძლება ასე მოიცილა თავიდან მობეზრებული სიყვარული. ძალიან დახლართული ამბავია და თან ცუდი სუნიც ასდის. სიმართლე მარტო ერთმა ადამიანმა შეიძლება იცოდეს – ელენემ“...

ყველაფერი ერთ წუთში შეიძლება შეიცვალოს. არა, წუთი ბევრია, წამიც საკმარისია, რომ მოხდეს ის, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდი: ახდეს ყველაზე სანუკვარი ოცნება, რეალობად იქცეს სასწაული, რეალობა კი მიუწვდომელ ლეგენდად გარდაისახოს. დიახ, ყველაფერი ერთ წამში ხდება, იმიტომ, რომ ზოგჯერ ჩვენი ცხოვრებაც ეტევა ერთ წამში...

***

გრაფი უკმაყოფილო ჩანდა. ყოველთვის მშვიდ სახეზე რამდენჯერმე გამოესახა გრიმასა, რომელიც შეუიარაღებელი თვალისთვისაც ადვილად დასანახი და შესამჩნევი იყო. არც ელენეს დარჩებოდა შეუნიშნავი, ქმრისთვის ერთხელ მაინც რომ შეეხედა, მაგრამ, ისე იყო საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, მისკენ საერთოდ არ გაუხედავს. სარწეველა სავარძელში მჯდარი, თითებით მარგალიტის მძივს ათამაშებდა და ნერვიულად იკვნეტდა ტუჩებს.

– არ მომწონს, ასე რომ ნერვიულობ, – გრაფმა ცოლს მხარზე დაადო ხელი, – არც ის ჩვენი სტუმარი მომეწონა.

– რატომ? ლევანი კარგი ბიჭია, – დაიცვა ქალმა შვილის მეგობარი.

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა. კატასავით ფრთხილად ეპარებოდა ჩიტს. ოღონდ, ამ შემთხვევაში ჩიტი სწორედ შენ იყავი.

– ეს რა ეჭვებია, საყვარელო? ლევანს მსგავსი ვერაფერი შევნიშნე. პირიქით, ისეთი მოწიწებით მიყურებდა...

– საეჭვო მოწიწებით... – შეაწყვეტინა წარბშეკრულმა გრაფმა. ელენე მოიღუშა.

– არ მომწონს, ჩემი შვილის მეგობარზე ასე რომ ლაპარაკობ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ნიკუშას გაუგებ.

– წინასწარ ვერაფერს გეტყვი. მე ის არასდროს მინახავს, თვითონ არ მოინდომა ჩემთან შეხვედრა. ერთადერთი, რისი პირობაც შემიძლია მოგცე, ის არის, რომ ყველაფერს გავაკეთებ, მას რომ დავუმეგობრდე.

– რანაირად?

– მე გადაწყვეტილება მივიღე. წავალ თბილისში...

ელენემ ქმარს შეხედა:

– წახვალ? შენ?

– ჰო, მე, რადგან შენ სუბიექტური მიზეზის გამო ამბობ უარს გამგზავრებაზე. არც იმის შანსი არსებობს, რომ ის ჩამოვიყვანოთ აქ, სხვა გამოსავალს კი ვერ ვხედავ. აღარ მინდა, ასეთს გიყურო.

ელენემ ოდნავ გაიღიმა:

– არ მჯერა, ამას რომ ამბობ.

– ძალიან ცუდი, რომ არ გჯერა, ამით ჩემს სიყვარულში შეგაქვს ეჭვი. საწყენია.

– არა, არა, ეგ არ მიგულისხმია. უბრალოდ, ეს ისეთი გმირობაა შენი მხრიდან. მართლა შეგიძლია, წახვიდე?

– რა თქმა უნდა. თუნდაც ხვალვე.

ქალი გამოცოცხლდა, ადგა და ქმარს სიყვარულით ჩამოეკიდა მკლავზე:

– საყვარელო, რომ იცოდე, როგორი მადლიერი ვარ შენი!..

– ჯერ სამადლობელი არაფერია. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს. არ ვიცი, შევძლებ თუ არა შენი შვილის დარწმუნებას. მაგრამ მე ის აქამდეც უნდა მენახა. მოდი, ერთად გადავწყვიტოთ, როდის წავალ. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, შენი მარტო დატოვებაა. რა უნდა ქნა უჩემოდ?

– მოვიწყენ და დაგელოდები, – ელენემ ნაზად აკოცა ქმარს ლოყაზე.

– სწორედ ეგ არ მინდა. არ მინდა, რომ მოიწყინო. რამით გაერთე, კარგი? მოდი, კანში გაემგზავრე და მეც იქ ჩამოვალ!

ელენემ თავი გადააქნია:

– მიუხედავად იმისა, რომ ზღვაზე ვგიჟდები და მისი ყურებაც კი ძალიან მამშვიდებს, ამჯერად აქ დარჩენა მირჩევნია. უნდა დამპირდე, რომ დღეში რამდენჯერმე დამირეკავ.

– ესე იგი, თანახმა ხარ, რომ წავიდე?

– ჰო. თუმცა, ვშიშობ, ცოტა გაგიჭირდება. მეგზური ხომ მაინც გჭირდება!

კაცმა გაიცინა:

– ნუ გეშინია, არ დავიკარგები.

– ლევანს დავურეკავ. ვეტყვი, რომ დაგხვდეს, ნიკუშასთანაც მიგიყვანოს და, საერთოდ, დაგეხმაროს.

– არა, მირჩევნია, არავინ იცოდეს საქართველოში ჩემი ჩასვლის შესახებ, მით უფრო, ლევანმა და ამ საკითხზე ნუღარ ვიდავებთ.

კაცის ხმა ისე მკაცრად ჟღერდა, რომ ელენე აღარ შეკამათებია. ინტუიციურად გრძნობდა, რომ ამჯერად ქმარს უნდა დამორჩილებოდა. მოგვიანებით, როცა ვახშმობდნენ, მოაგონდა ის, რაც გრაფმა ლევანზე თქვა და შეეცადა, შვილის მეგობართან თავისი საუბრის დეტალები აღედგინა.

– როგორ თქვი, კატასავით გეპარებოდაო? – ჩაილაპარაკა ფიქრიანად.

– რაო? – მაშინვე ვერ მიხვდა კაცი.

– ლევანზე ვამბობ. მართლა ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩა?

– ჰო. თითქოს რაღაცის კითხვა უნდოდა... რაღაც ინფორმაციის მიღება და ვერ გაბედა. არადა, არც გაუბედავს ჰგავდა. პირიქით, საკმაოდ თავხედური გამოხედვაც ჰქონდა.

– ჟან, რა უცნაურია. მე არც შემინიშნავს, თუ ასე უარყოფითად განეწყვე მის მიმართ.

– არ ვიცი, შეიძლება, ნაჩქარევი დასკვნები გავაკეთე, მაგრამ, თუ შევცდები, ბოდიშს მოვიხდი.

ელენეს მზერაში უცნაური სხივი გაკრთა.

– ნიკუშას უყვარდა ლევანი. ჩემს შვილს ბევრი მეგობარი არ ჰყოლია. ლევანი იმ სამ პიროვნებას შორის არის, რომელთაც ის განსაკუთრებით ენდობა.

– განსაკუთრებით ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს შეიძლება ენდოს. ზოგჯერ კი – მასაც არა, – ჟანმა შუბლი მოისრისა.

– დღეს უჩვეულოდ მკაცრი ხარ, საყვარელო. იმდენად უჩვეულოდ, რომ ცოტათი მეშინია კიდეც.

– ჰოო? სულ ტყუილად. უბრალოდ, აქამდე არ ყოფილა იმის აუცილებლობა, რომ ადამიანების ცნობის ნიჭი გამომემჟღავნებინა. არ დამჭირვებია, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, არც შეცდომის აღიარების მეშინია. მოკლედ, ორ-სამ დღეში გავემგზავრები. ჰო, მართლა, უკვე მოიფიქრე, რას უზამ ნახატს?

ელენემ მხრები აიჩეჩა:

– არა. ჯერ სერიოზულად არ მიფიქრია მაგაზე. ჯერჯერობით მუზეუმს გადავცემ გამოსაფენად სამი-ოთხი თვით, მერე ვნახოთ. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ არ გავყიდი.

– ჰო. ამის საჭიროება ნამდვილად არ გვაქვს. თანაც, ნახატი შენია და მისი ბედიც შენზეა დამოკიდებული.

– მართალი ხარ, ჩემია. – ელენემ უცნაურად გაიღიმა, – ბედისწერა ზოგჯერ ძალიან მოულოდნელ სიურპრიზებს გვიწყობს, ისეთ მოულოდნელს, რომ თვადაც არ იცი, შენს საქციელს როდის ინანებ.

– ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა გინდა, – გაოცება ვერ დამალა ჟანმა.

– არაფრის. უბრალოდ, მაგ ნახატმა რაღაც გამახსენა...

***

... ქალმა ყურმილს უხალისოდ მოკიდა ხელი. ძალიან არ უყვარდა, როცა ტელეფონს თვითონ პასუხობდა. კაცის ხმა მაშინვე იცნო.

– ნომერი შეგეშალათ!..

– არ შემშლია. ელენე, უნდა შემხვდე, აუცილებლად! ეს შენ უფრო გჭირდება, ვიდრე მე!

– შენზე უკეთ ვიცი, რა მჭირდება. აქ აღარ დამირეკო, გაფრთხილებ, თორემ ცუდად დაამთავრებ!

– ჰოო? შენს ქმარს ეტყვი? იცი ახალი ამბავი?

– არ მაინტერესებს-მეთქი! მორჩა, ვკიდებ ყურმილს!

– საყვარელო, გირჩევ, მომისმინო! ეტყობა, მართლა არაფერი იცი. შენი ქმრით ვეღარ შემაშინებ. იქნებ, ინანო კიდეც, საყვარლობაზე უარი რომ მითხარი!

– ვკიდებ ყურმილს! – ხმას აუწია ელენემ.

– მინისტრად დამნიშნეს. გესმის? ახლა შენი მეუღლეა ჩემზე დამოკიდებული და არა პირიქით!

– მაინც არაფერი გიშველის! ფეხებზე მკიდიხართ შენც და შენი ახალი თანამდებობაც! – ქალმა ყურმილი დაახეთქა. გაბრაზებულმა ოთახში შესული ქმარი მაშინვე ვერც შენიშნა.

– რა მოხდა, ბავშვი ხომ კარგად არის? რა სახე გაქვს?

– ნიკუშა ეზოშია ძიძასთან ერთად. უკვე მოხვედი? რომელი საათია?

– დღეს ადრე წამოვედი, დავიღალე. ამოიყვანოს ძიძამ ბავშვი და სამივემ სადმე გავისეირნოთ.

– დაღლილი რომ ხარ?

– მერე რა, საჭესთან შენ დაჯდები.

ელენემ ქმარს ყურადღებით შეხედა:

– შენც არ გაქვს შუბლი გახსნილი და აშკარად, გუნებაზე ვერ უნდა იყო. სამსახურში ყველაფერი წესრიგშია?

– ჰო, შეიძლება ითქვას!

– ეგ რა პასუხია?!

– უბრალოდ, ისეთი ვიღაც დანიშნეს მინისტრად, არ ვიცი, ეს ამბავი უნდა გამიხარდეს თუ უნდა მეწყინოს.

ელენე დაიძაბა. იცოდა, ვის გულისხმობდა კაცი, მაგრამ ბოლომდე ითამაშა თავისი როლი.

– მე ვიცნობ?

– უნდა იცნობდე. აქ, ჩვენთან, ნამყოფია. მათთანაც ვიყავით სტუმრად. ზურაბი გახსოვს?

ქალი „ჩაფიქრდა“.

– შენი ერთ-ერთი მოადგილე? გამახსენდა. ცოლს, მგონი, დიანა ჰქვია, არა?

– ჰო. სიმამრი დაეხმარა.

– მეგონა, შენ დაგნიშნავდნენ მაგ თანამდებობაზე.

– მეც ასე მეგონა, – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა კაცმა, – ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდი, რომ დავიმსახურე.

ელენე ქმარს მხარზე მიეხუტა. კაცმა ხელი მოხვია, გაუღიმა და ყელზე აკოცა.

– სამაგიეროდ, შენ მყავხარ. ეს მინისტრობაზე გაცილებით მეტია.

– მოიცადე, – გაუძალიანდა ქალი, – შენს სამმართველოს რამე ხომ არ ემუქრება? ოღონდ, არ მომატყუო, სიმართლე მითხარი!

– წესით, არაფერი. მე ვიცი ჩემი საქმე. თანაც, ზურაბისთვის ცუდი უფროსი ნამდვილად არ ვყოფილვარ.

– იცი, როგორ ამბობ ამას? თითქოს რაღაცას ეჭვობ, რაღაცის გეშინია...

– არ მინდა ამაზე ლაპარაკი, არ არის საჭირო, ცოლთან სამსახურის საქმეები ვარჩიო.

– პირიქით, სწორედ ჩემთან უნდა გაარჩიო. სერგი, მე უნდა ვიცოდე, რა შეიძლება, მოხდეს.

– რა უნდა მოხდეს, საყვარელო, რამ შეგაშინა? ისეთი დამფრთხალი სახე გაქვს... დამშვიდდი, სანამ ცოცხალი ვარ, არაფერი მოგაკლდება, მნიშვნელობა არ აქვს, სად ვიმუშავებ.

ელენე შეიჭმუხნა. ქმარს თვალებში ჩახედა და ნელა, დამარცვლით ჩაილაპარაკა:

– შენ... მე... ახლა... ძალიან მატკინე გული... ძალიან...

– რატომ, საყვარელო, რატომ?

– იმიტომ, რომ ფიქრობ, ჩემთვის მარტო ფულს აქვს მნიშვნელობა. კეთილდღეობა და ფუფუნება ძალიან კარგია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მე მშვიდად მაშინ ვიქნები, თუ მეცოდინება, რომ საფრთხე არ გემუქრება.

– საფრთხე?

– ჰო, საფრთხე. რამე ისეთი ხომ არ გაქვს გაკეთებული მაგ ახალ მინისტრთან ერთად, რამე ისეთი, რაც... მოკლედ, თავადაც ხვდები...

– საყვარელო, – გაღიმება სცადა კაცმა, – იცი, რა კარგი ხარ, როცა ასე ზრუნავ ჩემზე? მზად ვარ, ბანკიც კი გავძარცვო, თუ შენ ასე ინერვიულებ ჩემ გამო...

ელენე გაცხარდა:

– რას ბავშვობ და რა ენას მიჩლექ? ვერ ვიტან, როცა ასე მექცევი. სხვათა შორის, ადამიანების ცნობა არ მეშლება და მაგ შენ ყოფილ მოადგილეზე სულაც არ დამრჩა კარგი შთაბეჭდილება. თანამდებობაზე „მომჯდარი“ რაებს იზამს, წარმომიდგენია. სერგი, თუ რამე გაქვს გაკეთებული ისეთი, რაშიც ეჭვი გეპარება და მიგაჩნია, რომ შეიძლება, სერიოზულ პრობლემად გექცეს....

სერგიმ დაფიქრებული სახით შეხედა ცოლს. ელენემ ნიშნისმოგებით დაუქნია თავი:

– ტყუილად მიყურებ ასე. მშვენივრად ხვდები, რომ მართალი ვარ.

– კარგი, ვაღიარებ, რომ მართალი ხარ. ახლა რა ვქნა?

– სერგი, შენ ჩემი არ გესმის. მე შენგან აღიარება კი არ მჭირდება, მინდა, მეტი სიფრთხილე გამოიჩინო. ძალიან უნდა დაუკვირდე ყველაფერს და სულ უნდა გახსოვდეს, რომ ზურგსუკან მტერი გყავს ჩასაფრებული.

– ღმერთო, ელენე, ისეთ მუქ ფერებში დამიხატე რეალობა, რომ ლამის ახლავე დავწერო განცხადება და წამოვიდე სამსახურიდან.

– ტყუილად იცინი. ძალიან მინდა, ჩემი სიტყვები არ გამართლდეს, მაგრამ, აჯობებს, უბედურებას მომზადებული დახვდე.

– ელენე, გეყოფა, ახლა მართლა შემაშინე, – კაცი ბოლთის ცემას მოჰყვა, – შენს თავს გეფიცები, უკვე დავფიქრდი.

– ძალიან კარგი. უნდა დაფიქრდე. სერიოზულად უნდა დაფიქრდე, – ჩაილაპარაკა ელენემ უჩვეულოდ მკაცრად და მზერა როიალის ზემოთ ჩამოკიდებულ ნახატს გაუშტერა...

***

– ნატუკამ თითო-თითოდ გამოიტანა ჩაის ფინჯნები და როიალზე დააწყო.

– მანდ ნუ დგამ, ცხელია და ზედაპირს გააფუჭებს! – შენიშნა ნიკუშამ.

ნატუკამ ტუჩაბზუებით მიიხედ-მოიხედა ოთახში.

– აბა, რა ვქნა, დავჯდე და კალთაში ჩავიწყო? – იკითხა განაწყენებული ტონით.

– ხელსახოცები მაინც ამოუდე ქვემოდან ან ლამბაქები გამოიტანე სამზარეულოდან.

– მოიცა, რა! ამ როიალს ამაზე უარესი მოუვა რამე? შეხედე, როგორ არის გაქუცული. ისე, რამდენი წლის არის, ასის თუ უფრო მეტის? ვერ ვიტან ძველ ნივთებს, სიძველის, შმორის

სუნი აქვს და ცუდად მხდის. როგორ მხიარულ განწყობაზეც უნდა ვიყო, მაშინვე მოვიშხამები ხოლმე და დეპრესია მეწყება.

– შენი აზრი არავის აინტერესებს, – შუბლი შეიკრა ნიკუშამ და გოგოს ბრაზით შეხედა, – რასაც გეუბნები, გააკეთე!

– ნატუკამ უკმაყოფილოდ აიქნია ხელი და ზანტი ნაბიჯით სამზარეულოსკენ გაემართა. ვახომ თავი გადააქნია:

– მოკლედ, ცოლად გყავს, რა!..

– ნუ სულელობ, რა ცოლად, აურიე?

– მე ავურიე, ტო? აქ დიასახლისივით მიდი-მოდის და კიდევ მე ავურიე? არა, არ უნდა დამეჯერებინა შენთვის და არ უნდა მოვბრუნებულიყავი. შენ უკვე გადაწყვეტილი გაქვს ყველაფერი და ახლა გინდა, რომ დამაბოლო.

– რა მაქვს ბიჭო, გადაწყვეტილი? ერთი სიკვდილი გავათავე, კარი რომ გავაღე და ია დავინახე. მერჩივნა, მიწა გამხეთქოდა.

– მერე, რას აღებდი იმ უპატრონო კარს. ან ტანზე მაინც ჩაგეცვა, რომ გააგიჟე გოგო!

– მეგონა, გოგიჩა იყო.

– ეგრე რომ გგონია რაღაც-რაღაცეები, იმიტომაც მიგდის საქმე კარგად. მგონი, მართლა აჯობებს, თუ დაახვევ აქედან.

– აბა, რა! ყველანი ერთად მოისვენებთ, – გამოსცრა ნიკუშამ, – სად უნდა წავიდე, ამაზე გიფიქრია?

– მე კი არა, შენ უნდა იფიქრო, ტო! გამაგიჟებ, მე შენ...

– ნატა! – ნიკუშა სამზარეულოს მხარეს შეტრიალდა და მთელი ხმით იყვირა: – ნატა! სად ხარ, გოგო, თუ დაიწვა და გაფუჭდა ეს ოხერი, მერე რაღად მინდა!

ნატა არ გამოპასუხებია. ნიკუშა წამოხტა. ვახომ პერანგის კალთაზე მოკიდა ხელი და მაგრად ჩამოქაჩა:

– დაჯექი, რა გაყვირებს? ახლა გაგიჟდი მაგ როიალზე? დაგავიწყდა, ზედ რამდენჯერ გიცეკვია? როიალს კი არა, შენი მილიონების პატრონი ორღანს დაიდგამ სახლში.

– დამცინი?

– მე? მე დაგცინი? აქეთ დაგვცინი ყველას. ძველბიჭობ და რაღაც პოზა გიჭირავს. მოდი, რა ვქნათ, იცი? მე შენ პარიზის ბილეთს აგიღებ და დედაშენთან გაგამგზავრებ. ერთი თვის შემდეგ კი სტუმრად ჩამოვალ.

– გეყოფა, ვახო, გირჩევნია, დამეხმარო.

– ვაა, დახმარება რომ მინდა, იმიტომაც გეუბნები, – აგიღებ პარიზის ბილეთს, აეროპორტშიც გაგიყვან და ხელსაც დაგიქნევ, მეტი რა ვქნა?

– იას დაელაპარაკე!

– ია დაივიწყე, ეგ მოთავებული ამბავია. სხვათა შორის, შენი წყალობით. არ გაპატიებს. ქალების ამბავი მე მკითხე...

ნიკუშამ ამოიოხრა. ოთახში ნატო შემოვიდა ლამბაქებით.

– ძლივს ვიპოვე, – საყვედურით მიმართა ნიკუშას, – მერე გავრეცხე. ისეთი მტვრიანები იყო...

– ჩაი უკვე გაცივდა...

– რა ვუყო, ჩემი ბრალი არ არის. ჭურჭელს სახლში არ ვრეცხავ. დროზე თუ არ გავასწარი, იატაკსაც მომახეხინებ.

ვახომ მოწონებით გაატკაცუნა თითები.

– ყოჩაღ, ნელ-ნელა აზრზე მოდიხარ! მეც ეგ არ გითხარი? წაცუნცულდი, რა, სახლში, გვაცალე კაცებს ლაპარაკი!

– ნიკუშ, წავიდე?! – ნატუკამ თეძოების გამომწვევი რხევით ცხვირწინ აუარ-ჩაუარა ნიკას და თავხედურად გაიღიმა. ნიკუშამ არ უპასუხა. გოგომ ნიშნისმოგებით გახედა ვახოს და ხელები ისე გაშალა, აქაოდა, რა ვქნა, ხომ ხედავ, არ მიშვებსო.

– სხვა ოთახში მაინც გადი, სერიოზულ თემაზე ველაპარაკები ჩემს მეგობარს!

– მეე? მე მეუბნები?

– დიახ, შენ გეუბნები! ამ სახლში კიდევ ოთხი ოთახია, თუ სააბაზანოსა და სამზარეულოს არ ჩავთვლით.

– ჰო, კარგი ბინაა, – მშვიდად დაეთანხმა ნატუკა, – ოღონდ, ძველმოდური რემონტით და ძველმანებით სავსე.

– არა, რა, ნიკუშ, არ მინდა ეგ ჩაი, წავალ მე. ამისი ატანა შეუძლებელია. ხვალ ჩემთან გამოხვალ და მერე ვილაპარაკოთ!

– ნატა ახლა გაჩუმდება და საძინებელშიც გავა, – ბრძანების კილოთი თქვა ნიკუშამ. ნატა უსიტყვოდ ადგა და გავიდა.

– გეუბნები, ცოლია-მეთქი, რა... – წაუსტვინა გოგოს საქციელით გაოცებულმა ვახომ.

– მორჩი, თორემ სერიოზულად გავბრაზდები, – ნიკუშამ აწკრიალებული ტელეფონის აპარატისკენ გაიწოდა ხელი, – ვინ რეკავს ამ შუაღამისას...

– ნომერი შეეშლებოდათ, – აზრი გამოთქვა ვახომ, როიალიდან ფინჯანი აიღო და მოსვა, მაგრამ ნიკუშას გაოცებულ სახეს რომ შეხედა, დაეჭვდა, – რა იყო, ბიჭო, ვინ არის?

ნიკუშამ არ უპასუხა. ყურმილი ყურზე ჰქონდა მიბჯენილი და ვიღაცას გაოგნებული უსმენდა.

– ჰო... რა თქმა უნდა. შევხვდეთ. რადგან ასე გინდა... თუმცა, ვერ ვხვდები... კარგი, აღარ შეგაწყვეტინებ... უბრალოდ, ცოტა გამიკვირდა... ჰოოო? არა, არ ვიცოდი... ჩემთან? როგორ არ შეიძლება... უბრალოდ გკითხე... არ შეიძლება, გავიგო, რა მოხდა? კარგი... რა თქმა უნდა... დაგელოდები, ვის? ლევანს?.. რადგან მთხოვ, არ ვეტყვი. სულაც არ არის გვიან. ტყუილად მებოდიშები... ნახვამდის...

ნიკუშას ყურმილი ხელში შერჩა. ვახომ ადროვა, მაგრამ, რომ მიხვდა, მისი მეგობარი არაფრის თქმას არ აპირებდა, მოთმინებამ უმტყუნა:

– ჰა, აღარ იტყვი, ვინ იყო?

– რა აზრი აქვს, მაინც არ დაიჯერებ.

– არ მითხრა, რომ იამ, თორემ, ვიტყვი, რომ ქალების არაფერი მცოდნია.

– თინიკო იყო. მითხრა, შენი ნახვა მინდაო.

– ვინ? – ერთბაშად ვერ მიხვდა ვახო.

– თინიკო, ლევანის ცოლი, ჩვენი მეგობარი ლევანის... – დაუმატა ნიკუშამ, – გაგიკვირდა? მეც გამიკვირდა. ისე გამიკვირდა, რომ არ ვიცი, რა ვიფიქრო.

– მოიცა, რა მინდაო?

– ხომ გითხარი. უნდა გნახოო, თანაც ლევანს არ უთხრაო.

– მოიცა, ეგ თიკამ გითხრა?! თინიკომ?

– არა, მე ვუთხარი და იმას ვაბრალებ, – გაღიზიანდა ნიკუშა, – რამ გამოგაშტერა?

– შენს ხელში კიდევ კარგ ჭკუაზე ვარ, – ამოიოხრა ვახომ, – ვა, თინიკოს რაღა უნდა შენგან? ყველა ქალი ერთად გაგიჟდა თუ რაშია საქმე?

– აბა, მე რა ვიცი? მოვა და გავიგებ!

– აქ უნდა მოვიდეს?

– ჰო.

– ახლა? – პირი დააღო ვახომ.

– არა, ზეგ. ჰო, ახლა, ახლა!.. ჰოდა, მეცი პატივი და ნატუკა სახლში წაიყვანე.

– ტაქსის ვერ გამოიძახებ? – აიმრიზა ვახო.

– ტაქსის ფული უნდა, ჭკუათმყოფელო და, რატომ არ მეკითხები, მაქვს ფული?

– გამოიძახე და მე გადავიხდი.

– შენ რომ წაიყვანო, ვითომ რა მოხდება?

– ნუ გეშინია, არ შევჭამ, – გამომწვევად გაიცინა ოთახში შემოსულმა ნატუკამ, – მამაკაცების ჭამა ჩვევად არა მაქვს.

– ოღონდ წასვლამდე აქაურობა ცოტა მიალაგე. გულს ვერ გავუხეთქავ იმ გოგოს.

– ხედავ, რა დღეში ვარ? – შესჩივლა ნატუკამ ვახოს, – სახლსაც მე მალაგებინებს.

– რა გეგონა, ამ მათხოვართან საქმეს რომ იჭერდი?! წადი, რა, მონახე ვინმე ფულიანი ბაბუა, შენისთანების ფასი რომ იციან, ისეთი. ეგზოტიკის მოყვარული ხარ თუ მაზოხისტი!

– მე საკუთარი თავისტი ვარ და ეს ცხოვრებაში საუკეთესო ვარიანტია, – გაიცინა ნატუკამ, – ისე, შეიძლება, გავიგო, ვის ელოდები? ეტყობა, ძალიან მნიშვნელოვანი ვინმეა, ბინის გარეგნულმა იერსახემ რომ შეგაწუხა.

ნიკუშამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა გოგოს გესლით ნათქვამი სიტყვები და ვახოს მიუბრუნდა:

– მომისმინე. ჯერჯერობით არავის უთხრა, თინიკო ჩემთან რომ აპირებს მოსვლას.

– ვის უნდა ვუთხრა? – მხრები აიჩეჩა ვახომ, – ან დასამალი რა არის? დიდი ამბავი, ძმაკაცის ცოლი სტუმრად მოდის. ეტყობა, თავის ქმარზე უნდა გეჭორავოს.

– ასეა თუ ისე, შენ მაინც ენას კბილი დააჭირე. მოსულა?

– მოსულა, – თავი დაუქნია ვახომ და ნატას გასძახა, – აღარ მოდიხარ? ნუ მოიკლავ ახლა თავს, მაინც უცოლო კაცის ბინაა და განსაკუთრებულ დისონანსს ნუ შეიტანთ.

– რას ნუ შევიტან? – გაშტერდა ნატა.

– ეე, სანამ მაგ სიტყვის მნიშვნელობას აგიხსნი და მიგახვედრებ, გათენდება. ჩვენ კი ამდენი დრო არ გვაქვს. როგორმე სხვა დროს გაგანათლებ.

ნატუკამ ენა გამოუყო. ნიკუშასთან მივიდა და ლოყაზე აკოცა.

– როცა მოგენატრები, დამირეკე.

– რომ არ მოენატრო? – ჩაიცინა ვახომ.

– მოვენატრები... მოვენატრები... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ნატუკამ და ვახოს გამარჯვებულივით გადახედა.

– წამოდი, წამოდი, მაგარი შებერტყილი ვინმე ხარ. შენ კიდევ, სტუმარს რომ გააცილებ, მაშინვე დამირეკე.

მანქანაში ნატუკა გამომწვევად კისკისებდა, ცქმუტავდა და ისედაც მოკლე კაბა, ლამის თავზე წამოიფარა. ვახო ორივე ხელით ჩააფრინდა საჭეს და შეეცადა გოგოსკენ საერთოდ არ გაეხედა. ნატუკამ ვერ მოისვენა. ახლა სიგარეტს მოუკიდა და სახეში მიაბოლა.

– ცოტა წესიერად მოიქეცი, რა დღეში ხარ? – ვეღარ მოითმინა ვახომ.

– რატომ ღიზიანდები?

– ვღიზიანდები კი არა, დავიმტვრევით. ვერ ხედავ, რა სიჩქარით მივდივარ?

– მერე, დაუკელი სიჩქარეს, სად გეჩქარება? სახლში ნამდვილად არ მაგვიანდება. დედაჩემი შეჩვეულია. ადრე რომ მივიდე, ის უფრო გაუკვირდება.

– შენ დედა გყავს? – გულწრფელად გაიოცა ვახომ, – მეგონა, უპატრონო იყავი.

– უპატრონო შენ თვითონ ხარ! – გაბრაზდა ნატა, – უპატრონოო... ერთი ამას უყურე?! მე რომ პატრონები მყავს, შენ არც დაგესიზმრება.

– მაშინ, ერთმა მაინც მოგხედოს, შიშველ-ტიტველი რომ დაიარები. ხან იმასთან ხარ, ხან – ამასთან...

– ეგ შენი საქმე არ არის. ისე, თუ გინდა, შენთანაც ვიქნები, – გოგო კაცისკენ გადაიხარა და ცხვირი საყელოში ჩაუყო. ვახომ მოასწრო და მუხრუჭის სატერფულს დაარტყა ფეხი. ნატუკამ თავი ვეღარ შეიმაგრა, გვერდზე გადავარდა და კარის მინას შუბლით მიასკდა.

– გაგიჟდი? არანორმალური ხარ!..

– გაგაფრთხილე, წესიერად მჯდარიყავი, ასე რომ, საკუთარ თავს დააბრალე!

– ნამდვილი სულელი ხარ. არც იცი, უარს რაზე ამბობ.

– იცი, რას გეტყვი? ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით, ყოველთვის ყველაფერი ზუსტად ვიცი. თანაც, მე საზოგადოებრივი ტუალეტიც კი მეჯავრება, ქალზე ხომ, საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

ნატა გვიან ჩაწვდა ნათქვამის შინაარსს და ვახოს ავად შეხედა:

– თავი ჭკუით გატენილი გგონია. ამ დროს, შენც ისეთივე საცოდავი არარაობა ხარ, როგორც სხვები!

– შეიძლება. მაგრამ მე სერიოზული, პრაქტიკული გამოცდილება მივიღე. ასე რომ, ჩიტუნიავ, ჩემ ახლოს ფრენას არ გირჩევ, თუ არ გინდა, ეგ ლამაზი ბუმბული შეგეტრუსოს.

ნატუკამ შეიგინა. ვახომ გაიცინა და მანქანა ნელა დაძრა ადგილიდან...

***

თინიკომ გაუბედავად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ოთახი ცნობისმოყვარედ მოათვალიერა.

– რამდენი ხანია, აქ არ ვყოფილვარ!

– მოდი, მოდი, დაჯექი! გინდა, ყავას მოგიდუღებ? – დაფაცურდა ნიკუშა.

– ხომ მარტო ხარ? – ჰკითხა თინიკომ და მზერა სავარძელზე შემთხვევით დარჩენილ ქალის თმის სამაგრს მიაშტერა. ნიკა დაიბნა:

– ჰო, ისა... მოკლედ, აქ ერთი გოგო მოდის ხოლმე... უფრო სწორად, ჩემთან კი არ მოდის... ისა, დალაგების პონტში... მე ხომ მარტო ვცხოვრობ, მაგრამ სახლს დალაგება მაინც სჭირდება და...

– ტყუილად მიბოდიშებ. ეს ჩემი საქმე არ არის. შენი ცხოვრება შენი ცხოვრებაა და აქ იმის გასარკვევად არ მოვსულვარ, ვინმე გყავს თუ არა. ისე, შენს დამლაგებელს გემოვნებას ვერ დაუწუნებ. ეტყობა, ფულიც არ უჭირს. დამლაგებლებს ასე კარგად თუ უხდიდნენ, თანაც საქართველოში, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, – გაიცინა თინიკომ. ნიკუშამ უხერხულად გაშალა ხელები.

– „მაკდონალდსთან“ გამოვიარე და ყავა წამოვიღე. შოკოლადიანი კექსიც არის. მე ძალიან მიყვარს შოკოლადიანი კექსი.

– მეც. ვგიჟდები, – დაეთანხმა ნიკუშა, – ახლავე თეფშებს მოვიტან.

– არ გვინდა, პირდაპირ ხელსახოცებზე ვჭამოთ.

თინიკომ ქაღალდის ჩანთა გახსნა და პატარა შეკრულები ამოალაგა. ნიკუშა ჩუმად ადევნებდა თვალს მის საქციელს. უჭკუო არ იყო, რომ ვერ მიმხვდარიყო, – თიკას რაღაც უნდოდა, სხვანაირად აქ არ მოვიდოდა. ქალისგან ყოველთვის მოდიოდა სიცივე. ერთი-ორჯერ სცადა, დაახლოებოდა მეგობრის ცოლს: ეუბნებოდა კომპლიმენტებს, ანეკდოტებსაც კი უყვებოდა,

მაგრამ თინიკომ ზღარბივით ეკლები დაანახვა და მიახვედრა, რომ ხელმოცარული უიღბლოს საზოგადოება დიდად არ სიამოვნებდა. ნიკუშასაც აღიზიანებდა. უფრო სწორად, თავმოყვარეობას ულახავდა მისი ქედმაღლური ღიმილი და დამცინავი გამოხედვა. მაგრამ ამჯერად ნიკუშა სხვა თიკას ხედავდა, სითბოთი სავსე მზერით, გახსნილი შუბლითა და მეგობრული ღიმილით. ისე უყურებდა, როგორც ძვირფას, ახლობელ ადამიანს. ნიკუშამ იგრძნო, რომ ასეთი სახეშეცვლილი თინიკო უფრო აშფოთებდა.

– კარგი ყავაა. გასინჯე? საინტერესოა, რომელი ყავით ამზადებენ. სულ ვცდილობ, გავიგო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ისე, შენთვის ორმაგი ჩიზბურგერიც უნდა წამომეღო. რა სულელი ვარ, როგორ ვერ მივხვდი!

– თინიკო... – ვეღარ მოითმინა ნიკუშამ, – იცი? რომ დამირეკე, მას შემდეგ სულ ვფიქრობ და ვერაფრით მივმხვდარვარ...

– რატომ მოვედი, არა? გაგიკვირდება, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი.

– მოიცა, რას ნიშნავს, არ იცი, ეს როგორ გავიგო?

თინიკომ შუბლი მოისრისა:

– საქმე ისაა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეები მოხდა. უფრო სწორად, რაღაც ისეთი გავიგე, რამაც, შესაძლოა, ჩემი ცხოვრება შეცვალოს. მარტო ჩემი კი არა, შენიც, ოღონდ, არ ვიცი, როგორ ვთქვა და...

– არ გინდა. შენი ქმრის პირადი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცი. არ მაინტერესებს და არაფერს ვკითხულობ. თუ გაინტერესებს, ლევანს საყვარელი ჰყავს თუ არა, ვინმე სხვას უნდა ჰკითხო.

– მოიცადე! ლევანი არაფერ შუაშია, აქაც კი არ არის. არ ჩამოსულა ჯერ პარიზიდან. ჩვენზე გავიგე რაღაც.

ნიკუშა უარესად გადაირია:

– რა?! თინიკო, შენ ცუდად ხარ! ეტყობა, სიცხე გაქვს. ახლავე ვნახავ, აფთიაქში ხომ არ მაქვს რამე, რაც გიშველის.

– მოიცადე-მეთქი! ეს ის არ არის, რაც იგულისხმე. უბრალოდ, სათქმელს თავს ვერ ვაბამ და ცოტა მაცალე.

ნიკუშამ ამოიოხრა:

– ღმერთო, რა საშინელი დღეა. რისთვის ვისჯები ასე? თან, რომ აღარც დამთავრდა?!..

მატადორს ერთადერთი შანსი აქვს – გადარჩენის შანსი, მოუსმინოს ინტუიციას და ერთი წამითაც არ მოადუნოს ყურადღება. მას უსიტყვოდ უნდა ესმოდეს ხარისაც. სხვანაირად არათუ წარმატება იქნება შეუძლებელი, სულ მცირე უყურადღებობაც კი, შეიძლება, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. ხალხს კი სანახაობა სჭირდება. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ სანახაობას ხარისა და მატადორის ტანდემი უზრუნველყოფს, ანუ, ისინი რაღაც მომენტში თანამზრახველებად უნდა იქცნენ. თამაში, რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაგრძელდეს. არავის აინტერესებს არც მატადორის და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ხარის პირადი გრძნობები. ეს მათია და მათთან უნდა დარჩეს, მთავარია, სანახაობა შედგეს. ბილეთებში ხომ ფულია გადახდილი! ეს იცის მატადორმა, მაგრამ არ იცის ხარმა. მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: როგორმე რქებზე წამოაცვას საძულველი არსება, რომელმაც მას სიმშვიდე დაურღვია. რას ერჩი, ხარია და მისი ლოგიკაც მარტივია. სხვა საქმეა მატადორი, რომელმაც ზუსტად იცის, რაზე მიდის, როცა გავეშებულ ხარს ცხვირწინ ქსოვილის ნაჭერს უფრიალებს. პირუტყვს სწორედ ეს ფრიალი აღიზიანებს და არა ქსოვილის ფერი, იმიტომ, რომ დალტონიკია. სულერთია მისთვის შავი, წითელი თუ მწვანე, მაგრამ სულერთი არ არის გაუგონარი თავხედობა მატადორისა...

***

ლევანმა დაიგმინა და ხელები გაშალა:

– სულ გაგიჟდი? ეტყობა ფრენამ გაწყინა. რამ მოგაფიქრა, გოგო, ეგ სისულელე?

– სისულელე რატომ არის? – არ შეეპუა ცოლი, – შენ არ მითხარი, მამაშენი დედამისის საყვარელი იყოო?

– მერე რა, რომ გითხარი?

– მერე ის, რომ ალბათობა არსებობს.

– რისი ალბათობა, სრულ ჭკუაზე ხარ? გეკითხები, სრულ ჭკუაზე ხარ-მეთქი?!

– ნუ ყვირი. ისედაც კარგად მესმის. ვიცი, რომ ეს ველაფერი რაღაც აბსურდულ სიზმარს ჰგავს, მაგრამ მე ჩემი უნდა ვცადო.

– რა უნდა სცადო, გოგო? – ლევანმა კბილები გააღრჭიალა, – სწორედ ისღა მაკლდა, ნიკუშასთან შენი ნათესაური კავშირები გეძებნა. რაში გჭირდება ეს, გამაგებინე!

თიკამ საყვედურით შეხედა ქმარს.

– გეტყოდი, მაგრამ მაინც ვერ გაიგებ.

– რატომ? ასეთი შეუგნებელი გგონივარ? რატომ ვერ გავიგებ?

– იმიტომ! – მოუჭრა ქალმა.

– თინიკო, მოთმინება არ დამაკარგვინო, ისედაც თავზე საყრელი მაქვს პრობლემები. გადავწყვიტე, ამ საქმეს საერთოდ შევეშვა.

– რა საქმეს?

– სურათის, სურათის საქმეს! კისერი უტეხია მამაშენსაც, ქალბატონ ელენესაც, ნიკუშასაც და საერთოდ, ყველას. არ მჭირდება საეჭვო მილიონები, რომლებიც, სხვათა შორის, მამაშენმა გააჩუქა.

– მამაჩემმა გითხრა, ნახატის დაბრუნებაში დამეხმარეო? – თიკამ სიგარეტს მოუკიდა.

– დიახ, სწორედ მან, შენმა კეთილშობილმა მამიკომ. აბა, რა გეგონა, ეს ამბავი სიზმარში ვნახე? ეგ ოხერი ნახატი, რაც თავი მახსოვს, სულ როიალის ზემოთ ეკიდა, ნიკუშას სახლში, სასტუმრო ოთახში. რას წარმოვიდგენდი, მილიონები თუ ღირდა.

– რომ გცოდნოდა, ამით რამე შეიცვლებოდა? – მოულოდნელად ჰკითხა თიკამ და ფიქრიანი მზერა ქმარს მიაპყრო.

ლევანმა უხერხულობა იგრძნო.

– ასე რატომ მიყურებ? ხომ არ ფიქრობ, რომ შემეძლო, მომეპარა? ამის თქმა გინდა?

– არა, უბრალოდ, ყოველთვის მინდოდა, ძმა მყოლოდა, – ჩაილაპარაკა ქალმა.

– თიკა, ამოიგდე თავიდან ეს სულელური აზრი, ძალიან გთხოვ, თორემ უკვე მაშინებ.

– გაშინებ? კარგი რა, ნუ იგონებ. შეგიძლია, მითხრა, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ნიკუშა შენი ძმა არ არისო?

– ასი პროცენტით არაფერში ვარ დარწმუნებული.

– ჰოდა, მაგაშია საქმე

– ღმერთო, ეს რა შარს გადამკიდე! – თავზე იტაცა ხელები ლევანმა, – შეშალე ხომ, ის ბიჭი ჭკუიდან?

– ვინ, ნიკუშა? მე მისთვის არაფერი მითქვამს.

– კიდევ კარგი, რომ საამისოდ მაინც გეყო ჭკუა.

– უბრალოდ, ვერ გავბედე, – თიკას თვალები აუცრემლდა, – ვერ შევძელი, შემეცოდა.

– ვინ, ნიკუშა თუ საკუთარი თავი?

ქალმა საყვედურით შეხედა:

– ხომ გითხარი, ვერ გამიგებ-მეთქი!

– რა უნდა გავიგო, ის, რომ ჩემი ცოლი მეტისმეტი სენტიმენტებისგან ჭკუაზე შეიშალა? მოდი, რა, ნუღარ იფიქრებ ამაზე. დაივიწყე, კარგი?

– არ შემიძლია, – ჯიუტად გააქნია თავი თიკამ.

– რა არ შეგიძლია, რას ნიშნავს, არ შეგიძლია? აბა, ნიკუშას ჰკითხე, სჭირდება და? თანაც შენნაირი და?

– „შენნაირ დაში“ რას გულისხმობ, იქნებ უკეთესად ამიხსნა?

– იმას არა, რაც შენ იფიქრე, – ამოიოხრა ლევანმა, – საცოდავ ნიკუშას უშენოდაც თავგზა აქვს არეული.

– მივხვდი, ვიღაც ჰყავს, მაგრამ ეს ჩემთან რა კავშირშია? – მხრები აიჩეჩა თინიკომ, – მის ცოლობაზე კი არ მაქვს პრეტენზია.

– მორჩა! შენთან სალაპარაკოდ დრო აღარ მრჩება, სხდომაზე ვერ დავიგვიანებ. მოგვიანებით განვაგრძოთ საუბარი. პირობა მომეცი, რომ ჩემ მოსვლამდე ნიკუშასთან კიდევ ერთ ვიზიტს არ მოაწყობ. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც ისე მოიქცე, როგორც მე მინდა?

– მე ყოველთვის ასე ვიქცევი.

– ძალიან მინდა, მაგის მჯეროდეს, მაგრამ ფაქტებს რა ვუყო, – ამოიოხრა ლევანმა, – ასეა თუ ისე, რადგან ნიკუშას შენი ვარაუდი არ გაუზიარე, ჯერჯერობით არაფერი გვიჭირს. გადარჩენილები ვართ, თანაც – ბეწვზე.

– ნუ დამცინი, – ტუჩი აიბზუა თიკამ.

– რას ამბობ, მაგას როგორ გავბედავ? კიდევ რა სისულელე ჩაიდინე, მამაშენთანაც ხომ არ დაგირეკავს?

– არა, და, ნუ ამბობ, რომ ნიკუშასთან ჩემი ურთიერთობა სისულელეა.

– აბა, რა არის? – გაცხარდა კაცი, – მაგრამ, მართლა ძალიან მეჩქარება. მე, ალბათ, გვიანობამდე ვერ დავბრუნდები. ძალიან გთხოვ, კარს რომ გავიხურავ, ნიკუშასთან არ გავარდე.

– ბარემ ისიც მითხარი, რისი გაკეთების უფლება მაქვს.

– თქვენებთან წადი და ბავშვი წამოიყვანე. ხომ არ დაგავიწყდა, შვილი რომ გყავს, როდემდე უნდა იყოს დედაშენთან?

– რომ არ მომშხამო, არ შეგიძლია! ვითომ არ იცი, ზუკა დედაჩემთან რატომ დავტოვე, – წყენა ვერ დამალა თიკამ.

– მე არ მითხოვია შენთვის, უკან გამომყევი-მეთქი. ბავშვი მინდაო, რომ გაიძახი, ერთისთვის ვერ მოგივლია ნორმალურად და ორს მიხედავ, მით უმეტეს, ჩვილს?

– შენ მოახერხე და დამაორსულე, მერე ვნახოთ, როგორ მოვუვლი! – უყვირა გამწარებულმა თიკამ.

– საკუთარ შვილზე ექსპერიმენტს ვერ ჩავატარებ, – შეუბრალებლად უპასუხა ლევანმა და ასლუკუნებულ ქალს ზურგი შეაქცია.

– უსინდისო ხარ და საერთოდ არ გიყვარვარ! – მიაძახა ცოლმა, – მეტსაც გეტყვი: შენ წარმოდგენა არ გაქვს, რას ნიშნავს ეს გრძნობა!

ლევანმა მხრები აიჩეჩა და ოთახიდან გავიდა.

***

... ქალი ვერანდაზე იდგა და ჩამავალ მზეს უყურებდა, დაძაბული, დაჟინებული მზერა ჰქონდა, თითქოს აინტერესებდა, მოასწრებდა მზე ჩასვლას თუ მატყლის ფთილებივით ფაფუკ ღრუბლებში გაეხვეოდა. სახლიდან ხმაური მოისმა. ვერანდის კარი გაიღო და მამაკაცი გამოჩნდა. ორივე ხელში ოხშივარავარდნილი ფინჯანი ეჭირა. ერთი ქალს გაუწოდა.

– დადგი სადმე, ძალიან ცხელია, პირს დავიწვავ, – უთხრა ქალმა ისე, რომ მზისთვის თვალი არ მოუშორებია. კაცმა აივნის მოაჯირზე დადგა ჭიქა. მოაჯირი ფართო იყო და გლუვი. ქალი დუმდა. კაცი მიხვდა, უფრო იგრძნო, რომ ის ახლა შორს იყო... მოგონებებში ჩაძირული, ფიქრებით სხვაგან ქროდა. გამომეტყველება იმის მიხედვით ეცვლებოდა, რომელი მოგონება ამოტივტივდებოდა მეხსიერების ზედაპირზე.

– სევდიანი განსაკუთრებით მშვენიერი ხარ, – წასჩურჩულა კაცმა, – ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სევდაც შეიძლება იყოს მშვენიერი.

– არ გინდა, ჟან... ჭიქა მომაწოდე, – ქალს ისევ არ შეუხედავს მისთვის.

– ნერვიულობ, რომ მივდივარ?

– ცოტა... ვფიქრობ, გონივრულია თუ არა შენი განზრახვა.

– ნუ ფიქრობ, მაინც ვერ გადამაფიქრებინებ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

– ვიცი, როგორი ჯიუტიც ხარ. სწორედ ახლა ვიხსენებდი, როგორ დამითანხმე, ცოლად გამოგყოლოდი.

კაცმა მისი ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა.

– ეს სიყვარული იყო, ელენე, სიჯიუტე არაფერ შუაშია.

ქალმა თვალებში ჩახედა ქმარს:

– ზოგჯერ მეჩვენება, რომ მთელი ჩემი წარსული ცხოვრება სიზმარი იყო. რეალურად მხოლოდ შენ გვერდით გავცოცხლდი. ნიკუშა რომ არა, შეიძლება, ეჭვი არც შემპარვოდა ამაში.

– თუ შევძლებ, ნიკუშა ჩვენთან ჩამოსვლის აუცილებლობაში დავარწმუნო, მაშინ შენს სახეზეც წაიშლება სევდის კვალი.

– გეყოფა. არ გვინდა ამაზე... – ელენემ ყავა მოსვა.

– რატომ, არ გჯერა, რომ შევძლებ ნიკუშასთან საერთო ენის გამონახვას?

ქალმა უპასუხოდ დატოვა მისი შეკითხვა. კაცი მიხვდა:

– მართალი ხარ, ეს გაცილებით ადრე უნდა გამეკეთებინა, მინიმუმ ათი წლის წინ.

– მაგრამ მე არ მოგეცი ამის საშუალება. ამის თქმა გინდა, ხომ? – შეიჭმუხნა ქალი, – საქმე ისაა, რომ ნიკუშასთან ჩემი ურთიერთობა იმაზე გაცილებით ადრე გაფუჭდა, ვიდრე შენ გამოჩნდებოდი.

– ამას არა აქვს მნიშვნელობა.

– ჩემთვის აქვს. ესე იგი, მიდიხარ. რომელ საათზეა რეისი?

– გამთენიისას ვიქნები თბილისში.

– მაინც ვფიქრობ, რომ ჯობდა, ლევანისთვის დაგვერეკა.

– ელენე, მომეცი საშუალება, ისე ვიმოქმედო, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ, კარგი?

– კარგი. უკვე ვიცი, რომ გამიჭირდება.

– უჩემობა? – კაცმა მხარზე მოჰხვია ხელი.

– უშენობაც და ისიც, რომ მე იქ არ ვიქნები.

– ყოველდღე დაგირეკავ.

– ყოველდღე?! დღეში რამდენჯერმე. დამპირდი, რომ სულ საქმის კურსში გეყოლები.

– რა თქმა უნდა, საყვარელო. მე თვითონაც ვერ გავძლებ, შენი ხმა რომ არ გავიგონო.

– მერჩივნა, მეც შენთან ერთად ვყოფილიყავი.

– მერე, წამოდი. ახლავე დავრეკავ და მეორე ბილეთსაც შევუკვეთავ, კიდევ მოვასწრებთ.

– არა, არა, ნუღარ მელაპარაკები, ეგ გადაწყვეტილი საქმეა, – ელენემ ჭიქა ისევ მოაჯირზე დადგა და სახლში შევიდა.

***

ნიკუშა ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. გაბმული ზარი იყო. მჭახე და უსიამოვნო. თვალის გაუხილავად მისწვდა ყურმილს და ყურზე მიიდო.

– გისმენთ!.. ალო, რომელი ხარ?.. ხმა ამოიღე, რას მეთამაშები ამ დილაუთენია, მეტი საქმე არ გაქვს?.. შენი დედაც!.. – ყურმილი აპარატზე დაახეთქა და ისევ შეიგინა. საათი მოშორებით იდგა და ზემოდან მაისური ედო. ეტყობა, დაუდევრად რომ მიაგდო, მაშინ გადაეფარა. ადგომა ეზარებოდა, მაგრამ საშინლად არ უყვარდა გაღვიძებულს ლოგინში კოტრიალი. თავი სტკიოდა. არ ახსოვდა, როდის გაიხადა და დაწვა. თიკას წასვლის მერე დალია, სამზარეულოში იპოვა ვისკის ბოთლი და ბოლომდე გამოცალა, ახლა კი თავი უსკდებოდა. საფეთქლები ისე უხურდა, თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი შიგ გავარვარებულ შანთებს უყრიდა. „ვერ გავიგე, რისთვის მოვიდა. მაინც, რა საშინელი დღე იყო გუშინ: ჯერ ნატუკა და ია, მერე – თინიკო... ოხ, ეს ქალები... ნატუკა კიდევ ყველაზე ნაკლებად მიქმნის პრობლემებს. არის თავისთვის. დავურეკავ – მოვა, არ დავურეკავ – არ მოვა! – ნიკუშა სააბაზანოში გავიდა. ონკანი მოუშვა და სარკეში ჩაიხედა. პირგაუპარსავი, თვალებდასისხლიანებული მამაკაცი უმზერდა. ერთი კი გაიფიქრა, რას ვგავარო და პირში კბილების ჯაგრისი გაირჭო. არაფერზე არ უნდოდა ფიქრი. სიამოვნებით დაიძინებდა კიდევ ორ-სამ საათს. გუნებაში კიდევ ერთხელ გაუგზავნა „სართულებიანი მოკითხვა“ სატელეფონო ზარის ავტორს და სააბაზანოდან ისე გამოვიდა, სარკისკენ აღარ გაუხედავს. ოთახებში უსაქმოდ ბორიალიც მალე მობეზრდა. ისევ ვახოსთან წასვლა გადაწყვიტა. ჯინსის ჯიბეები მოიჩხრიკა და დაჭმუჭნულ ხუთლარიანს მიაგნო, – კარგია, ტაქსით წავალ. არ მაქვს მარშრუტკაში ჯაყჯაყის ნერვები, – გაიფიქრა და სახლიდან გავიდა.

ვახო კაფეში არ დახვდა რეკლამის საქმეებზე იყო გასული. მენეჯერმა გოგონამ მაგარი ყავა მოუდუღა და შთამბეჭდავი ზომის ბუტერბროდთან ერთად წინ დაუდო.

– ვახო მალე მოვა?

– არ ვიცი, ბატონო ნიკა, არაფერი დაუბარებია.

– გოგო, რამდენჯერ უნდა გითხრა, ბატონობით ნუ მომმართავ-მეთქი. თავი ბებერი მგონია.

– რა ვქნა, ბატონი ვახტანგის მოთხოვნაა, სამსახურში ოფიციალურ ურთიერთობებს ითხოვს.

– ძალიან კი დაუშინებიხართ, – გაიცინა ნიკუშამ.

გოგონამ პასუხად მხოლოდ გაუღიმა.

– ერთი შენ ვერ დაგაშინე ვერაფრით, – ვახო მძიმედ დაეშვა სკამზე და მეგობარს შეუბღვირა, – გუშინ მინდოდა, მომეკალი. დღეს მეცოდები.

– ვითომ რატომ შეიცვალე აზრი?

– ვერ ხვდები? – ვახომ ფეხი არხეინად შემოიდო ფეხზე და მეგობარს ირონიული მზერა შეავლო. ნიკუშამ ჯიუტად გააქნია თავი.

– სარკეში თუ ჩაიხედე ამ დილით?

– ჩავიხედე, მერე?

– მერე, როგორ მოგეწონა ის, რაც დაინახე?

ნიკუშა შეიჭმუხნა.

– არ გინდა, რა!.. არც შენ ხარ ხოლმე უკეთესი სანახავი პახმელიაზე.

– პახმელიაზე? – განცვიფრდა ვახო, – სადღა მოასწარი, ტო!.. არ მითხრა, რომ თიკა დასალევად მოვიდა შენთან, თორემ გავგიჟდები! რაო, „საბუტილნიკი“ არ მყავს და შენ უნდა მიშველოო?

– რა გენაღვლება, მიდი, მემასხრე! სხვა მაინც არაფერი შეგიძლია, – ნიკუშამ ბუტერბროდი ჩაკბიჩა. ვახო მაშინვე დასერიოზულდა.

– ჰო, კარგი, ნუ იბერები. მართლა მაინტერესებს, სად დალიე. თინიკოს არ ელოდებოდი? სადღა წახვედი.

– არსადაც არ წავსულვარ. სახლში დავლიე. თუ, სახლში რომ ვინმეს დაელიოს, არ გაგიგია?! – იფეთქა ნიკუშამ, – რას მიტრაკებ, ტო... მე ჩემიც მყოფნის!

– ნუ ავარდი. რას ნიშნავს – „გიტრაკებ“? – გაცხარდა ვახოც. ეგ რომ მინდოდეს, მოგკიდებდი ხელს და ერთი-ორჯერ ისე დაგიქნევდი, მაგ იდიოტურ აზრებს თავიდან გამოგიფერთხავდი. ჯერ მარტო ის კახპა რად ღირს.

– რომელი კახპა? – ნიკუშა მაშინვე ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა ვახო.

– ვინ და ვისთანაც ჩახუტებულიც გნახა იამ. ოღონდ, არ მითხრა, რომ კახპა არ არის!

ნიკუშამ დანანებით გადააქნია თავი.

– რას აკანტურებ მაგ თავს დაბოლილი თხასავით, – დასცინა ვახომ, – ლოგინში რომ ჩაიწვინე, მაგაზე არაფერს ვამბობ თავისუფალი კაცი ხარ და, ვისთანაც გაგისწორდება, იმასთან დაწვები, მაგრამ სახლში რაღას ჩაისახლე, ტო?!

– არ არის ეგ გოგო კახპა, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნიკუშამ.

ვახომ ხელები გაშალა:

– ვიცოდი, რა, ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი! ცირკთან რომ არ დგას და „მომსახურებაში“ ხუთ ლარს არ იღებს, იმიტომ პატიოსანია?! რა უნდა გელაპარაკო, ბერდები კაცი და ჭკუა მაინც არ მოგეცა.

– დედაბერივით რომ მმოძღვრავ, შენ თვითონ რამდენი ქალი გყავდა?

– მე მეკითხები ამას? – გადაირია ვახო.

– დიახ, შენ გეკითხები, შენ!

– რას მეკითხები, ტო... მე კაცი ვარ.

– მერე რა? ეს პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლებს.

– შენ, მგონი, აურიე, ხო იცი?! რა დალიე, ბიჭო, ამისთანა?

– ვისკი. სხვათა შორის, შენი მოტანილი.

– ეტყობა, ძველი იყო, – გაიკრიჭა ვახო. მერე ისევ სერიოზულად განაგრძო, – ნუ ატრაკებ, რა... თუ, არ იცი, ბოზი რას ნიშნავს? გინდა, აგიხსნა?

– არა. მე აგიხსნი რაღაცას, თუ შენი ტვინის უჯრედები შეძლებენ გაიგონ, რასაც ახლა გეტყვი: ჩვენ, რატომღაც, ორმაგი სტანდარტებით ცხოვრებას შევეჩვიეთ და მოგვწონს ეს.

– რა-ა?!

– ჰო. თანაც ეს ორმაგი სტანდარტები მამაკაცების წისქვილზე ასხამს წყალს. მომისმინე და ნუ იჯღანები. თუ ქალი პირველივე შემხვედრს უწვება ლოგინში, კახპაა და გარყვნილი...

– აბა, რა არის, ტო?.. – ვერ მოითმინა ვახომ.

– დამაცადე, ნუ მაწყვეტინებ. მოკლედ, ქალი უწესოა, მაგრამ რა ჰქვია კაცს, რომელიც ქალებით ერთობა და ყოველკვირა იცვლის პარტნიორებს?! მაგარი ტიპი, სუპერმენი, – არ არის ასე?

– მერე რა, რომ ასეა? ასეც უნდა იყოს, ტო... შენ ხომ არ აურიე? უწესო ქალების დამცველად რომ მომევლინე, სხვა პრობლემა არა გაქვს? მე ფეხებზე მკიდია, ვის რა ჰქვია. ნატოზე გელაპარაკები, შეეშვი-მეთქი. შარს გადაეკიდები, იცოდე, მაგისთანების მეტი რა მინახავს.

– რას ერჩი, თავისთვის არის.

– ვინ არის თავისთვის? ია ხომ დაგაკარგვინა? ჯერ სად ხარ. შეეშვი-მეთქი.

ნიკუშა მეგობარს მიაშტერდა:

– შენ რაღაცას ბოლომდე არ ამბობ.

– ბოლომდე არ ვამბობ? მეტი რაღა გითხრა, გეუბნები, დაგღუპავს-მეთქი.

– მოეშვი ნატას. მე რაში ვჭირდები, როცა ნებისმიერ დროს იპოვის ისეთ საყვარელს, რომელიც ხელისგულზე ატარებს და არც ეჭვიანი, აზიატი ძმაკაცები ეყოლება.

– მე გაგაფრთხილე!

– გმადლობ, რომ ზრუნავ ჩემზე, მაგრამ მე თიკამ უფრო ჩამაგდო საგონებელში.

– ჰო, მართლა! ეგ ამბავი სულ დამავიწყდა. რა უნდოდა? თუმცა, დაახლოებით ვხვდები. ალბათ, ლევანზე ეჭვიანობს და შენგან უნდოდა, რამე გაეგო. ეტყობა, ფიქრობს, რომ შენს ბინაში აწყობს ორგიებს.

– თუ სიცილს თავს არ დაანებებ და არ მომისმენ, ერთ სიტყვასაც არ გეტყვი და წავალ, – დაემუქრა ნიკუშა, – როგორ გგონია, რატომ გამოვთვერი მარტოდმარტო, ლოთი ვარ?

– ჯერ არა, – „დაამშვიდა“ ვახომ, – მაგრამ ერთი ნაბიჯი გადადგმული გაქვს მაგ გზაზე. სამეზობლოც გყავს შესაფერისი... ასე რომ...

– ასე რომ, მივდივარ. აღარ ღირს შენთან ლაპარაკი, – ნიკუშა წამოდგა. მაგრამ ვახომ ხელი მოჰკიდა და თითქმის ძალით დასვა სკამზე.

– გისმენ. მართლა მაინტერესებს, რატომ მოვიდა.

– რაღაც არ გეტყობა, რომ გაინტერესებდეს, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– მაინტერესებს, მაინტერესებს! მიდი, მიდი, მოყევი!

– რა მოვყვე? ვერაფერი გავიგე, მიედო და მოედო რაღაცეებს. შენთან დაახლოება მინდაო...

– რა პონტში, ტო... – გაშტერდა ვახო. ნიკუშა გაბრაზდა.

– პირი ნუ დააღე. მეგობრულ პონტში, მეგობრულშიო! შენ მიმართ რაღაც გაუგებარი პრეტენზიები მქონდა და, მოდი, ეს ამბავი დავივიწყოთო. ლევანმა არ იცის, აქ რომ მოვედიო. თუმცა, შეიძლება, ვუთხრაო...

– გაუფრენია მაგ ქალს, – წაუსტვინა ვახომ.

– არ ვიცი, ვახო, არ ვიცი! რაღაც ხდება ჩემს ირგვლივ, მაგრამ ვერ ვხვდები – რა.

– მდაა! მართლა უცნაური ამბავია, – პირი გააწკლაპუნა ვახომ, – მილიონების სუნი ხომ არ ეცათ, ჰა?!

– იმ ნახატს გულისხმობ? რა სიგიჟეა! მე აქ ვარ და მაგასთან არაფერი მაქვს საერთო.

– ვინ მოგახსენა! საერთო როგორ არ გაქვს, როცა დედაშენს შენ გარდა სხვა არავინ ჰყავს?

– არც მე ვყავარ! – მოუჭრა ნიკუშამ.

– აჰა! ისევ ატრაკებ. ფაქტს უარყოფ? ფაქტი ის არის, რომ შენ ხარ იმ ქალის შვილი, რომელსაც ორ მილიონად შეფასებული სურათი აქვს. თანაც, ერთადერთი შვილი.

– მერე, როგორ წარმოგიდგენია, მე, რომელიც თითქმის ოცი წელია, დედაჩემს არ ველაპარაკები, მივალ მასთან და ვეტყვი – დედიკო, მომეცი შენი მილიონები-მეთქი?! – ნიკუშა შეშლილივით წამოხტა ფეხზე და ჭარხალივით გაწითლებული წინ და უკან სირბილს მოჰყვა.

– დაწყნარდი, მე ეგ არ მითქვამს.

– რა დამაწყნარებს, როცა ყველა და ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ არის? ეგ ქალი თავისი არსებობითაც მშხამავს და ასეთ შორ მანძილზე მყოფი ცხოვრებას მინგრევს.

– პირიქით, სწორედ მას შეუძლია, შენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. მით უმეტეს, რომ გასაკეთებელი ბევრიც არაფერი გაქვს. უბრალოდ, უნდა დაელაპარაკო ადამიანურად. ჩახუტებას და სიყვარულის ახნას არავინ გთხოვს.

– ნებისმიერ შემთხვევაში მათხოვარი ვიქნები, ყველაზე დიდი მათხოვარი მათხოვართა შორის.

– ახლა რა ხარ? – მშვიდად ჰკითხა ვახომ. ნიკუშას თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. ვახოს სიტყვები მეხის გავარდნასავით ჩაესმა და გაშეშდა. ვახომაც ისარგებლა ამით და შეუტია.

– აა, არ მოგეწონა სიმართლე?! რას იზამ, ასეა, სიმართლე არავის სიამოვნებს. არა, თუ გინდა, მოგატყუებ, არ არის პრობლემა.

ნიკუშას სიბრაზე ერთბაშად ჩაცხრა. მისი მრისხანებისგან კვალიც აღარ დარჩა. ახლა დანაშაულზე წასწრებულ ბავშვს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზრდასრულ მამაკაცს და ვახოც ბოლომდე „მიაწვა“.

– არ მოგბეზრდა მაინც?! აბა, მითხარი, რა არის შენი ცხოვრება? ჰო, კარგი ტიპი ხარ. ამას ვერ უარვყოფ, მაგრამ მაგის იქით რა გაქვს? – არაფერი! ლევანს მაინც შეხედე, ტო! მინისტრია. აზრზე ხარ? დროშა მაინც გჭეროდა ხელში, ეგენი აქეთ-იქით რომ დარბოდნენ. ეგეც არ იკადრე.

– შენი აზრით, უნდა მერბინა?

– არა. თუმცა, არ ვიცი. მარტო ის ვიცი, რომ რაღაც ფუნქცია უნდა გქონდეს.

– შენ მეუბნები მაგას?

– ჰო. მე შვილი მყავს, შვილი და ეს უკვე ამართლებს ჩემს არსებობას. ამაზე არ გიფიქრია?

– შენ რომ შვილი გყავს, ასე შვილს მეც ვიყოლიებ, თანაც, სულ ცოტა, ოთხს მაინც.

– ვითომ, რა გინდა მაგით, თქვა – მე ცუდი მამა ვარ?

– ცუდი მამა შეიძლება არ ხარ, მაგრამ მასთან ერთად არ ცხოვრობ. არ იცი, როგორ იძინებს, როგორ იღვიძებს. რა ურჩევნია საუზმეზე. რომელი ზღაპარი მოსწონს. მამობა მარტო ყოველთვე ფულის რეგულარულად გაგზავნა არ არის. მე არ მინდა, ასეთი მამა ვიყო „პო პრაზდნიკამ“. გესმის შენ?

ვახო შეიჭმუხნა:

– მაშინ, ისეთი მამა იყავი, როგორიც შენ გინდა, რომ იყო. თუმცა, ვერ დაგეთანხმები იმაში, რომ ჩემს მდგომარეობას შენი მდგომარეობა რამით სჯობია.

ნიკუშამ შუბლი მოისრისა:

– რა ვიცი, არ ვიცი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოცდაათ წელს გადაცილებული ასე ვიქნებოდი, უცოლოდ, უშვილოდ...

– ჰო. შენი გეგმის მიხედვით რომ წასულიყო ყველაფერი, ახლა ოცი წლის შვილი გეყოლებოდა. შენი კი ის გოგოც გაუთხოვარი დატოვე.

– ია, ალბათ, სამუდამოდ დავკარგე.

– ალბათ. მილიონებს მაინც ნუ დაკარგავ. შენს ადგილას ლევანს ვეტყოდი, დაერეკა დედაშენისთვის. ის ვიზას და ბილეთს გამოგიგზავნიდა და „დაახვევდი“ აქედან.

– აქ მაინც „პრასვეტი“ აღარ მაქვს, არა?!

ვახომ თავი დაუქნია.

– შენ თვითონაც ხომ ხვდები, რომ ასეა?

– მე ამას არ გავაკეთებ.

– არ არის პრობლემა, მე გავაკეთებ, მე ვეტყვი ლევანს.

ნიკუშას არაფერი უთქვამს და ვახომ მისი სიჩუმე თანხმობად მიიჩნია...

***

ზურაბმა გაზეთები გვერდზე გადადო და ცოლისა და შვილის საუბარს ყურადღებით მიუგდო ყური. თინიკო რაღაცას ყვებოდა ემოციითა და ხმამაღლა სიცილით. ზურაბს მოეჩვენა, რომ თიკა ამ მოჩვენებითი ხალისით თავისი ჭეშმარიტი განწყობის დამალვას

ცდილობდა. მისი გამოხედვაც არ მოეწონა. შეხვედრისას ოდნავ შეახო ლოყაზე ტუჩები და მაშინვე გაეცალა.

ზურაბი სამზარეულოში შევიდა.

– რას მიმზადებთ, გოგონებო? – ჰკითხა სიცილით და შვილს მხარზე მოჰხვია ხელი.

– ნელა, ყავა არ დამაღვრევინო! – თიკამ უხეშად მოიშორა მისი ხელი.

ზურაბს ისევ ცუდად ენიშნა შვილის უჩვეულო სიცივე.

– დიანა, რა სჭირს ამას? – მიუბრუნდა ცოლს.

– ვის?

– ვის და შენს შვილს, ქმარმა გააბრაზა?

– რა ვიცი, სანამ შენ შემოხვიდოდი, მშვენიერ გუნებაზე იყო.

– ესე იგი, მე ვყოფილვარ მიზეზი. ასეა, თიკა?

– მამა, რა გინდა? ვინ გითხრა, რომ რამის მიზეზი ხარ? პირიქით, საერთოდ არაფერ შუაში არ არის შენი შემოსვლა და, საერთოდ, საიდან მოიტანე, რომ მე და ლევანი ვჩხუბობთ?

– არა? არ ჩხუბობთ?

– მომეშვი, რა!.. – თიკამ ყავის ჭიქა აიღო და სამზარეულოდან გასვლა დააპირა.

ზურაბი კარში ჩადგა და არ მისცა ამის საშუალება.

– ესე იგი, ქმართან ყველაფერი კარგად გაქვს?

– დიახ! – გამომწვევი ტონით მიუგო თინიკომ.

– მაშინ, რატომ არ წაგიყვანა პარიზში, თუ, იყავი და მიმალავ?

– არაფერს არ გიმალავ. იმიტომ არ წამიყვანა, რომ საქმიანი მივლინება იყო.

– აჰა, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე! თავს ნუ იტყუებ, შვილო. ვიცი მაგათი საქმიანი მივლინებები. ვხედავ...

– ხედავ თუ საკუთარი გამოცდილებით ლაპარაკობ? შენ ნამდვილად გაქვს ასეთი „მივლინებების“ დიდი გამოცდილება, თანაც, ძალიან, ძალიან დიდი, – გესლიანად მიახალა თიკამ და მამამისს თვალებში მიაშტერდა. ზურაბმა გაუძლო გამოცდას.

– გული რომ შემტკივა შენზე, ამიტომ უნდა ამიმხედრდე? ხედავ, დიანა, როგორ მიხდის მადლობას? რა პრეტენზია აქვს ჩემთან, გაუგებარია!..

დიანას არც შეუხედავს ქმრისთვის, მშვიდად ჭრიდა ბორშჩისთვის ბოსტნეულს.

– ეს ქალი გამაგიჟებს. ასეთი უემოციო როგორ ხარ? ვერ გრძნობ, რომ შენი შვილის თავს რაღაც ხდება? დედა არ ხარ, რატომ არაფერს ეკითხები? – ცოლის სიმშვიდემ წონასწორობა დააკარგვინა ზურაბს.

– პრობლემა რომ ჰქონდეს, მეტყოდა, – ოდნავაც არ აღელვებულა ქალი ქმრის რეაქციაზე, – სულ ტყუილად ნერვიულობ.

– არა, მე კი არ ვნერვიულობ, შენ გკიდია ფეხებზე ყველაფერი! – აყვირდა ზურაბი და გარეთ გავარდა.

– მიხვდი რამეს? – ჰკითხა დიანამ შვილს.

თინიკომ მხრები აიჩეჩა:

– მგონი, იმაზეა გაცოფებული, ლევანმა მასთან რომ არ შეათანხმა თავისი ვიზიტი.

– სულ გადაირია ეს კაცი, – ამოიოხრა დიანამ.

– ნეტავი, ნორმალური როდის იყო! მაგრამ მაშინ სხვაგან „უშვებდა ორთქლს“. უფრო სწორად, სხვასთან, – თქვა თიკამ და დედას შეხედა – აინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა მის ამ სიტყვებზე.

არავის უნდა ბედთან ბრძოლა. მიზეზი მარტივია: დასაწყისშივე იცი, რომ ამ ბრძოლას ნებისმიერ შემთხვევაში წააგებ. ავანტიურისტობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სულ ცოტა, ექსტრიმის მოყვარული მაინც უნდა იყო, რომ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ჩაება, მაგრამ გამონაკლისები ყოველთვის არსებობდნენ და, მადლობა ღმერთს, კიდევ დიდხანს იარსებებენ; მადლობა ღმერთს, რომ მათ გარეშე ძალიან მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება. სწორედ ეს გამონაკლისები აფერადებენ ყოველდღიურ ერთფეროვნებას, ამსხვრევენ რუტინას... ეს ისეთი რომანტიკული, მომხიბვლელია... მით უმეტეს, როცა იცი, რომ ბრძოლაში თავად არ ხარ ჩაბმული...

***

ლევანმა პიჯაკი გაიხადა და სავარძელზე დაუდევრად მიაგდო. შიოდა, მაგრამ სამზარეულოში გასვლა არც უფიქრია. იცოდა, თინიკო სახლში არ იყო, დაურეკა, მამაჩემთან ვაპირებ ასვლას წყნეთში და, თუ გინდა, იქ მომაკითხეო. ეს „თუ გინდა“ ისე სასაცილოდ ჟღერდა, რომ ლევანი კარგად გაერთო. მაგრამ თიკასთვის არ უკითხავს, შენი აზრით, მამაშენის დემაგოგიური „გამოხტომების“ მოსმენა რატომ უნდა მინდოდესო. მიხვდა, რომ თიკა არ იყო დამნაშავე მშობლებს ხომ არ ირჩევენ! ყავამ და სიგარეტმა შიმშილის გრძნობა უფრო გაუმძაფრა. მაცივარში ლორი, ყველი და ბოსტნეულის სალათის ნარჩენები იპოვა და ყველაფერი ერთ დიდ თეფშზე დააწყო. ნელა ჭამდა. ზანტად ღეჭავდა და ფიქრობდა. ფიქრი ერთი პრობლემიდან მეორეზე გადადიოდა, აზრის კონცენტრაცია უჭირდა, რაღაც უშლიდა ხელს. საკუთარ თავს არ უტყდებოდა, რომ ეს „რაღაც“ მის სამგზავრო ჩანთაში, უფრო სწორად, ჩანთის ფსკერზე მიმალული კოლოფი იყო; უფრო სწორად, ის პიროვნება, ვისთვისაც ეს კოლოფი იყო განკუთვნილი. სწორედ ახლა იყო ყველაზე შესაფერისი მომენტი.

ლევანი გრძნობდა, რომ ქალი ელოდა მის ზარს. ლევანი მისთვის ის ხავსი იქნებოდა, რომელსაც, ალბათ, სიხარულით მოეჭიდებოდა...

სიჩუმე კარის მიჯახუნების ხმამ დაარღვია.

– ვინ არის? – ლევანმა თეფში მისწია და, როცა წამოდგა, მხოლოდ მაშინ მიხვდა შეკითხვის უაზრობას თიკას მეტს არავის შეეძლო კარის გაღება, თუ, რა თქმა უნდა, მოსამსახურეს არ მოუნდა უეცრად, ღამის თორმეტის ნახევარზე გამოცხადება.

– ლევან, სამზარეულოში ხარ? – გაიგონა ცოლის ხმა.

– ჰო, – გასძახა უხალისოდ.

თმაგაწეწილი და გაწითლებული თიკა სამზარეულოში შემოვიდა და სკამზე მოწყვეტით დაუშვა.

– რა იყო, რა სახე გაქვს? – კაცს შეუმჩნეველი არ დარჩენია ცოლის უცნაური გამომეტყველება.

– ვერ ვიტან, ვეღარ ვიტან!.. – თიკამ სახე ხელისგულებში ჩარგო.

– ვის, ვის ვეღარ იტან?

– ვერც ერთს, ვერც ერთს ვერ ვიტან! მზად ვარ, ყველაფერი პირდაპირ მივახალო და გავთავისუფლდე ამ ბოღმისგან!

– გასაგებია, – ამოიოხრა ლევანმა, – მამაშენზე ხარ აღრენილი. კარგი, რა თიკა, პატარა ხომ არ ხარ!

– პატარა რომ აღარ ვარ, იმიტომაც ვეღარ ვიტან ვერც ერთს. დედაჩემიც ნერვებს მიშლის თავისი იდიოტური სიმშვიდით და მონური მორჩილებით. მგონი, ეგ იმაზე უარესია.

– ვისზე, ვისზეა უარესი?

– თავის ქმარზე. როგორ შეეძლო ამდენი წელი მის გვერდით ეცხოვრა?

– ჩვეულებრივად, – მშვიდად ჩაილაპარაკა ლევანმა, – ჰო, რას მიყურებ, ჩვეულებრივად და მარტივად. დედაშენი ჭკვიანი ქალია. დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ყველაფერი იცოდა, მაგრამ ჩუმად იყო. შეეძლო, სკანდალი აეტეხა, მაგრამ ამით მხოლოდ წააგებდა. მისი გულგრილობა მოჩვენებითია, სიმშვიდე – ხელოვნური. თამაშობს, თანაც, ძალიან ოსტატურად.

– სისულელეა. დედაჩემი ისე დამიხატე, თითქოს გაქნილი დიპლომატი იყოს, ინტრიგების დიდოსტატი და ყოვლისშემძლე, ორსახიანი ურჩხული!..

ლევანმა წარბი შეიკრა:

– აუუ, რა მაგრად აფრენ! რაებს ლაპარაკობ, გოგო, სულ აურიე?

– შენი სიტყვებიდან ეგ დასკვნა გავაკეთე.

– მოეშვი მაგ დასკვნების კეთებას, თორემ რაღაც სერიოზულ ხიფათს გადაეყრები და მეც შარში გამხვევ.

– რა?!

– რა და, ჯერ ისიც მეყოფა მოსანელებლად, რომ აიხირე, შეიძლება, ნიკუშა ჩემი ძმაო და შუაღამისას სახლში მიადექი. მთელი დღეა, ვფიქრობ და ვერაფერი მოვიფიქრე, რა უნდა ვუთხრა, რომ მკითხოს, ხომ არ იცი, შენს ცოლს ჩემგან რა უნდოდაო?

თინიკო გაბრაზდა:

– იცი, რას გეტყვი? შეიძლება, დედაჩემს კიდევაც მოსწონს, სირაქლემასავით ქვიშაში თავწაყოფილი რომ ცხოვრობს, მაგრამ მე გაურკვევლობას წონასწორობიდან გამოვყავარ, მაგიჟებს. ვერ მოვისვენებ, სანამ ყველაფერს არ გავარკვევ.

– მე კიდევ, ვერ მოვისვენებ, სანამ შენ ჭკუას არ მოუხმობ და ისე არ მოიქცევი, როგორც ჩემს ცოლს ეკადრება.

თიკამ თვალები მოჭუტა:

– ბოლო სიტყვები რაღაც კარგად ვერ გავიგე, კიდევ ერთხელ გამიმეორე...

– რა გაგიმეორო? – მოიღუშა ლევანი.

– როგორც ჩემს ცოლს ეკადრებაო, ანუ, როგორც მინისტრის ცოლს ეკადრება თუ როგორც ლევან ძნელაძისას?

– თიკა, გეყოფა, მშვენივრად მიხვდი, რაც ვიგულისხმე.

– არა, ვერ მივხვდი და გთხოვ, რომ დამიკონკრეტო. მე ხომ სულელი ვარ, კიდევ არაფერი ავურიო.

– ზოგჯერ ისეთი აუტანელი ხარ, მინდა, რომ... – ლევანმა აღარ დაასრულა სათქმელი.

– გინდა, რომ მცემო, არა?! თქვი, რისი გერიდება! არ მითხრა, რომ შეგრცხვა, სულ ერთია, მაინც არ დაგიჯერებ, – დასცინა თიკამ და გამომწვევად გააწკლაპუნა ენა. ლევანმა ერთხანს უყურა ცოლს, მერე დანანებით გადააქნია თავი:

– ხანდახან მგონია, რომ შენ მაგათი შვილი არ ხარ.

– რაა? – ცოტათი დაიბნა თიკა.

– ჰო, მეეჭვება, რომ მათი, შვილი ხარ. აყვანილს უფრო ჰგავხარ.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ შეუძლებელია, ზურასნაირ კაცს შენნაირი შვილი ჰყავდეს.

– რას მეუბნები? მაინც, როგორი? – ყასიდად დაინტერესდა თიკა.

– ბენტერა, – მიახალა ლევანმა, – სამწუხაროდ, უკეთესი არაფერი მახსენდება შენს შესამკობად. ბენტერა ხარ და მარტო საკუთარ თავს კი არა, მეც მიქმნი პრობლემებს, იმის ნაცვლად, რომ მომეხმარო.

– რაში უნდა მოგეხმარო – სამინისტროში გამოგყვე და თათბირი შენ მაგივრად მე ჩავატარო თუ ნიკუშას დედისთვის სურათის „დაწერაში“ გაგიწიო ღირსეული პარტნიორობა?

– მაგიტომაც ხარ ბენტერა, ამას რომ ამბობ. რომელი „დამწერი“ მე ვარ. საიდან მოიტანე, რომ მაგის გაკეთებას ვაპირებ?

– ჯერ ერთი, შენ თვითონ მითხარი; მეორეც, შეიძლება, ბენტერა ვარ, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს მაინც ვხვდები. თან იმაზე კარგად გიცნობ, ვიდრე შენ წარმოგიდგენია.

ლევანმა თეფში მისწია და წამოდგა.

– არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ხვალვე მივალ მამაშენთან და ვეტყვი, რომ თამაშიდან გავდივარ. რაც უნდა, ის ქნას. ეს მე უკვე აღარ მაინტერესებს.

თიკამ თვალები მოჭუტა.

– შენ იტყვი ორ მილიონზე უარს? შენ? კარგი ერთი, ნუ მაცინებ! ისეთი ტყუილი თქვი, რომ დაგიჯერო.

– აჰა, შენ ფიქრობ, რომ მე ვიტყუები? კარგი, ძალიან მალე ნახავ, რომ სრული სიმართლე მოგახსენე. არაფერში მჭირდება სხვისი მილიონები. მით უმეტეს, რომ ეს სხვა ჩემი ბავშვობის მეგობარია.

– კარგ დროს გაგახსენდა ეს პატარა დეტალი. მეგონა, ამაზე საერთოდ აღარ ფიქრობდი.

– ვინ მოგახსენა! მე ჩემს მეგობრებზე სულ ვფიქრობ და მათი ცხოვრებაც ძალიან მაინტერესებს, – ლევანს ნატუკა გაახსენდა და გაიფიქრა: „ისე მაინტერესებს, რომ ზოგიერთის ინტიმურ კომფორტზეც ვზრუნავ“.

– არ მჯერა შენი არც ერთი სიტყვის, არ მჯერა!..

– ცოლს ქმრის უნდა სჯეროდეს. თუ ეს ასე არ არის, ძალიან ცუდია.

– ჰო, დღეს იმდენ სიბრძნეს აფრქვევ, რომ, პირდაპირ გამაოგნე. აღარ ვიცი, რომელი ერთი დავიხსომო. იმასაც ვფიქრობ, საერთოდ, ხომ არ ჩავიწერო.

– ვხედავ, ცდილობ, ნერვები მომიშალო, მაგრამ არ აგყვები, არ მიღირს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი მაქვს.

– ვიცი, მთელი სახელმწიფო შენზე დგას, – დასცინა თიკამ.

ლევანმა შუბლზე მოისვა ხელი. ერთბაშად იგრძნო, რომ ცოლთან კინკლაობამ დაღალა. შეიძლება, პირველად ახლა გააცნობიერა ასეთი ცხოვრების უაზრობა. იმასაც მიხვდა, რომ ენერგიის უდიდეს ნაწილს ამ უაზრობას ახმარდა და ახლა საკუთარ თავზე გაბრაზდა.

– ბავშვი წამოიყვანე? – ჰკითხა უცებ ცოლს. თიკა ამ კითხვას არ ელოდა და დაიბნა.

– ბავშვი?!

– დიახ, ზუკა მოიყვანე?

– არა...

– რატომ? ხომ გითხარი, ბავშვი შენ გვერდით უნდა იზრდებოდეს-მეთქი?

– როცა მოვდიოდი, უკვე ეძინა, – თავის გამართლება სცადა ქალმა. ლევანის ირონიით სავსე გამოხედვამ მიახვედრა, რომ არგუმენტი საკმაოდ სუსტი იყო, – ჰო, ეძინა და დედაჩემმა აღარ გამომატანა, – მაინც აღარ დაიხია უკან.

– თიკა, რამდენი წლის ხარ? – ლევანმა ცოლს მხარზე დაადო ხელი. ამ ჟესტით იმის თქმა უნდოდა, რომ ომი მორჩა, დროა, დავზავდეთო.

ქალმა ამოიოხრა და ქმარს მოეხვია:

– აუ, ლევან, იცი, როგორ დავიღალე? მეტი სითბო მჭირდება, მეტი ყურადღება. შენ სულ იშვიათად მეფერები. მენატრები... იცი? ძალიან მენატრები...

ლევანმა ამოიოხრა, ცოლი მკერდზე მიიკრა და სახე მის თმაში ჩამალა...

***

რამდენიმე დღემ მშვიდად ჩაიარა. ეს მოჩვენებითი სიმშვიდე იყო, ისევე, როგორც ბუნება გაყუჩდება ხოლმე მოსალოდნელი ქარიშხლის წინ. ყველა რაღაცას ელოდა, მაგრამ კონკრეტულად რა იყო ეს „რაღაც“, არც ერთმა არ იცოდა. ნიკუშა სახლში იყო და საღამოობით ვახოსთან ერთად სვამდა ლუდს. ლევანი მთლიანად სამინისტროს საქმეებში ჩაეფლო ან თავს აჩვენებდა, რომ სულის მოთქმის დრო არ ჰქონდა. თინიკომ უღალატა ჩვეულებას და ზურას დასდევდა სკოლაში თუ საცურაო აუზზე. ერთი სიტყვით, ცხოვრება თითქოს ჩადგა ჩვეულ რიტმში, მაგრამ ქვეცნობიერად ყველა გრძნობდა ჩართული მექანიზმის წიკწიკს. ყველა ხვდებოდა, რომ „ნაღმი“ აუცილებლად აფეთქდებოდა...

ლოგინზე მიწოლილ ნიკუშას ფიქრი ზარის გაბმულმა ხმამ შეაწყვეტინა. ზანტად წამოჯდა და კარს უკმაყოფილოდ გახედა. ზარი განმეორდა ვიღაცას ჯიუტად არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ, შეიძლებოდა, ნიკუშა სახლში არ ყოფილიყო. ნიკუშამ გულის სიღრმეში ინატრა, რა იქნებოდა, ყრუ მაინც ვყოფილიყავიო და ფეხათრეული გაემართა კარის გასაღებად.

– აი, ვიცოდი, რა! ვიცოდი, რომ შენ იქნებოდი! – დაიღრიჯა გოგიჩას დანახვაზე და მეზობელს შეუტია, – იცი, რომელი საათია?

გოგიჩამ გაოცებით შეხედა:

– შენ რა გჭირს, ტო, ვაგზლის მეისრესავით, რა სულ საათს კითხულობ: „იცი, რომელი საათია?! იცი, რომელი საათია?!“ – არ ვიცი! აჰა, მოისვენე?! საერთოდ არ ვიცი საათის ცნობა, არაფერში მჭირდება და იმიტომ. ვაა, როგორი მყრალი ვინმე გახდი, არადა, რა კარგი ტიპი იყავი! დედას გეფიცები, სხვა მგონიხარ. ვახო მართალია, რაც იმ „ნაშამ“ აქ სიარული დაიწყო, გადიდების მანია დაგემართა.

– გადიდების კი არა, განდიდების. შენი სიბრძნე გამაოგნებელია.

– რა არის? – ვერ მიხვდა გოგიჩა.

– არაფერი. ჰო, მყრალი ვინმე გავხდი და, სანამ უარესად ავყროლებულვარ, მითხარი, რა გინდა.

– მე რა მინდა?! – გაფშეკილი ცერა თითი მკერდზე იტაკა გოგიჩამ, – მე – არაფერი, მაგრამ ერთი ტიპია და იმას კი ნამდვილად უნდა რაღაც.

– რას ბოდიალობ? ვინ ტიპიო... არ შეგიძლია, ადამიანური ენით ილაპარაკო?

– ადამიანური ენით გეუბნები, ტო, აბა, ვყეფავ?

– ვყეფავ კი არა, ვყეფ! სკოლაში რა გასწავლეს?

– რა მასწავლეს და, რა ვიცი, ტო... ისიც არ მახსოვს, როდის დავამთავრე სწავლა-განათლება. გამაგიჟებ, ტო, შენ ჩემი ბაზარი გაინტერესებს და ის არა, ვინ გეძებს?

– მე მეძებს ვინმე?

გოგიჩამ საფეთქელთან მიიდო საჩვენებელი თითი და ნელა დაატრიალა:

– ვაა, აბა, რაზე ვლაპარაკობ ამდენს! გეძებს და მეც ჯერ ამოვედი, რომ გკითხო, მოვიყვანო თუ...

– გოგიჩ, ნუ ამომართვი სული! – იყვირა ნიკუშამ, – ბოლო დროს ჩემს კოშმარად იქეცი. რომ გხედავ, ჟრუანტელი მივლის. ან მითხარი, რა ხდება, ან წადი აქედან და თვალით აღარ დამენახვო!

– ნუ გადაირიე, აი... დამშვიდდი და მომისმინე, შემომხედე... ხომ აღარ ბრაზობ?..

ნიკუშამ ძლივს მოთოკა ნერვები და კბილების ღრჭიალით უპასუხა:

– არა!

– კარგია. ახლა გეუბნები, რომ ეზოში ვიღაც ტიპი შენ გკითხულობს, იქ არის, რა! მანქანით მოვიდა. ბიჭებმა მითხრეს, მიდი, შენ ადი ნიკუშასთან და გააფრთხილეო. იქნებ, საერთოდ არ უნდა გამოჩენაო, – ხომ ხვდები. პრინციპში, მართალია, რა!..

ნიკუშამ პირით ჩაისუნთქა ჰაერი:

– ღმერთო, რა დავაშავე! წამოეთრიე, ეზოში ჩამოვალ და მანახვე ერთი, ვინ ტიპია.

– შენ რატომ უნდა ჩამოხვიდე, მე ჩავალ და ამოვიყვან. შენ მანამდე მიალაგე. „ფირმა“ ტიპია მაინც და უხერხულია.

– რაო? – ნიკუშა გაშეშდა, – „ფირმა“ ტიპიაო? ესე იგი, უცხოელია?

– ჰო, უცხოელია. ისე იღიმება, მაგათ რომ იციან ყველა კბილი ერთად უჩანს. ეჰ, აქვს მაგარი კბილები და რა ენაღვლება! აბა, ჩემსავით იყოს! – გოგიჩამ შემოსასვლელში ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და გაიკრიჭა.

ნიკუშა აღარ უსმენდა. გაშტერებული ათვალიერებდა საკუთარ თითებს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაილაპარაკა:

– ჩადი და უთხარი, რომ სახლში არ დაგხვდი. შეგიძლია, ისიც უთხრა, რომ სადმე გავემგზავრე, ბინა კი გავაქირავე.

– ეე, მაგდენი ინგლისური არ ვიცი. „კაროჩე“, ამოვიყვან და შენ მიხედე!

– არა-მეთქი! არა! არა! წადი და, რასაც გეუბნები, ის გააკეთე! – ნიკუშამ გოგიჩას კარისკენ უბიძგა, მაგრამ ზღურბლზე უკვე იდგა ვიღაც, ვინც მათ გზა გადაუღობა მაღალი, ძალიან სიმპათიური, უზადოდ ჩაცმული მამაკაცი დაჟინებით მიაშტერდა ნიკუშას და გაუღიმა.

– ნიკოლოზი, – თქვა მკვეთრი უცხოური აქცენტით, – შენ ხარ ნიკოლოზი. შეიძლება, შემოვიდე?

– უკვე შემოხვედით. ასე რომ, ნებართვის თხოვნა ცოტა დაგვიანებულია. უნდა გაგაფრთხილოთ, მე არ ვიცი უცხო ენა, არც ერთი, – იცრუა ნიკუშამ.

– არა უშავს, მე ვიცი ქართული, ცოტა გავუგებთ ერთმანეთს.

გოგიჩამ ნიკუშას მამაკაცის ზურგსუკან რაღაც ანიშნა გაფშეკილი ცერა თითით და უსიტყვოდ გაიძურწა.

მოსულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ნიკუშამ კარი დაკეტა და შემობრუნდა. სტუმარი ისევ უყურებდა და უღიმოდა.

– ქუჩაშიც გიცნობდით, ძალიან ჰგავხართ.

– ჰოო? – ნიკუშამ არ იცოდა, უხერხულობისგან რა ექნა. ხელები ხან შარვლის ჯიბეებში ჩაიტენა, ხან დოინჯით დადგა, ბოლოს ისევ სიგარეტი მოიძია.

– აი, ერთმანეთიც გავიცანით, – ჟანი სკამთან მივიდა და დაჯდა. დღეს დილით ჩამოვფრინდი. სასტუმროშიც დავბინავდი და მაშინვე თქვენკენ გამოვწიე.

– მშვენივრად მეტყველებთ ქართულად, – ნიკუშამ სიგარეტს მოუკიდა.

– რა ბრძანეთ?

– კარგად გისწავლიათ-მეთქი ქართული.

– ჰო, ვცდილობ, – გაიღიმა ჟანმა. მართლა ძალიან ლამაზი კბილები ჰქონდა. ნიკუშას შეაჟრჟოლა.

– თქვენც ხომ არ მოსწევთ?

– მერსი. მე მარტო სიგარას ვეწევი.

– რა თქმა უნდა, თქვენ ხომ გრაფი ხართ. რით დავიმსახურე თქვენი მაღალი ყურადღება მე, უბრალო მოკვდავმა?

– გეტყვი. აქ ელენეს გამო ვარ. დასამალი რა არის, იმას უნდოდა და მეც ჩამოვედი.

– ოო, ესე იგი, კურიერი ხართ, ბატონო გრაფო, ძალიან გამიცრუეთ იმედი! არ მეგონა, არისტოკრატებიც თუ მუშაობდნენ ხელის ბიჭებად.

ჟანს ღიმილი არ მოსცილებია, ისევ ისე იჯდა და მშვიდი, ნათელი სახით შესცქეროდა ნიკუშას, რომელსაც სულ უფრო ეტყობოდა მღელვარება.

– მე ვიცოდი, რომ ჩვენი შეხვედრა მარტივი არ იქნებოდა, ამიტომ შესაბამისად მოვემზადე. ასე ადვილად არ დავთმობ.

– მართლა? ესე იგი, „მან“ გითხრა, რომ მე აუტანელი ვარ?

ჟანი არ გაბრაზებულა, როგორც ამას ნიკუშა ელოდა. მისმა აგდებული ტონით ნათქვამმა სიტყვებმა ის შედეგი არ გამოიღო, რისი იმედიც ჰქონდა. გაღიზიანებულმა ნიკუშამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა:

– კიდევ რა იცით ჩემ შესახებ?

– ოო, რაღაც-რაღაცეები ნამდვილად ვიცი.

– მაგალითად?

– მაგალითად ის, რომ ინგლისურს და ფრანგულს ხუთი წლიდან გასწავლიდნენ, ცოტა ესპანურიც უნდა იცოდე.

– ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა. რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, – ხელები გაშალა ნიკუშამ, – „სე ლა ვი“, ბატონო გრაფო, „სე ლა ვი“...

– ტყუილად გგონია, რომ მოთმინებიდან გამომიყვან. ნუ გექნება იმის იმედი, რომ წამოვხტები და გავიქცევი. საკმაოდ დიდი გზა გამოვიარე იმისთვის, რომ აქედან ხელცარიელი არ წავიდე.

– ჰმ, მაინც რა გგონიათ, რომ თქვენ კანფეტს დამანახვებთ და მეც ტკბილეულზე გაგიჟებული ბავშვივით უკან გამოგეკიდებით? სულ ტყუილად. მე ტკბილი არ მიყვარს.

– გავიგე, – თავი დაუქნია ჟანმა, – მაგრამ მე არსად მეჩქარება. ნერვებიც წესრიგში მაქვს. ასე რომ, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დავრჩები.

ნიკუშამ იგრძნო, რომ სტუმრის ოლიმპიური სიმშვიდე აცოფებდა და მალე, ალბათ, აყვირდებოდა, მაგრამ ძალიან არ უნდოდა, ჟანს მისი სისუსტე დაენახა. ამიტომ ისევ ირონიას მიმართა:

– მაშინ, იქნებ, სასტუმროდან აქ გადმობარგდეთ? ერთ ჭერქვეშ რომ ვიქნებით და ერთი და იმავე ჰაერით ვისუნთქებთ, იქნებ, უფრო მალე გავამართლო თქვენი იმედები.

– არაჩვეულებრივი აზრია, – ჟანმა მოწიწებით დაუქნია თავი, – მე მინდოდა, მეთხოვა, მასპინძლობა გაგეწია, თუმცა, არ ვიცოდი, როგორ. გმადლობ, რომ საჭირო სიტყვების მოძებნას ამარიდე, ახლავე დავრეკავ სასტუმროში და ვთხოვ, ჩემი ბარგი აქ მოიტანონ, მერე კი სადმე წავიდეთ, ვივახშმოთ.

ნიკუშა ჭარხალივით გაწითლდა. მიხვდა, ბრძოლას აგებდა. მაგრამ კაპიტულაციამდე კიდევ სცადა გადამწყვეტი დარტყმის მიყენება და აკრძალულ ხერხს მიმართა:

– გასაგებია, რომ გიყვართ, მაგრამ დამიჯერეთ, „ის“ ასეთ მსხვერპლს არ იმსახურებს. არ ღირს იმად, რომ თქვენისთანა ღირსეულმა მამაკაცმა თავი დაიმციროს. სულერთია, მაინც არ დაგინახავთ და, თუ მოუნდება, პირველივე შემხვედრზე გაგცვლით.

ჟანმა წარბშეუხრელად მოისმინა ბოღმითა და გესლით სავსე სიტყვები, მერე ადგა, ნიკუშასთან მივიდა და მოულოდნელად სილა გააწნა. ნიკუშა გაშრა.

– ეს ჩემი მეუღლის შეურაცხყოფისთვის, – თქვა მშვიდად მან, – ახლა კი ჭკუას დაგარიგებ.

– თქვენ... შენ... მე... – ნიკუშა იმ დაბნეულ ბიჭს ჰგავდა, რომელიც მამამ ცუდი საქციელის გამო გაასილაქა.

– ჰო, გაგარტყი. ოღონდ, არ მითხრა, რომ ამის უფლება არ მქონდა. შენ მამაკაცი ხარ და უნდა გესმოდეს, რომ სწორედ ასე უნდა მოვქცეულიყავი. ის სიტყვები, რაც თქვი, მაფიქრებინებს, რომ დედაშენს საერთოდ არ იცნობ. ცუდია, რომ რაღაც გაუგებარმა მიზეზმა ამდენი ბოღმა დაგიგროვა. საშინელებაა ბოღმით ცხოვრება. პატიებით, უპირველესად, საკუთარ თავს ანიჭებ ბედნიერებას. ეს შენთვის არის აუცილებელი და არა იმისთვის, ვისაც პატიობ.

ნიკუშას ჯერ ისევ ლოყაზე ედო ხელისგული და ისე უსმენდა. ეს კაცი ნელ-ნელა სულ უფრო მოსწონდა. გულის სიღრმეში ისიც აღიარა, რომ სილა დამსახურებულად მიიღო, მაგრამ სიჯიუტემ ამისი ხმამაღლა თქმის საშუალება არ მისცა.

ჟანმა გაუღიმა. საფულიდან სასტუმროს სავიზიტო ბარათი ამოიღო და ოთახი მოათვალიერა.

– ტელეფონი სად არის? უნდა დავრეკო.

ნიკუშას წინააღმდეგობის გაწევის სურვილი გაუქრა და ხელით ტელეფონის აპარატზე ანიშნა.

– სანამ დავრეკავ, შენ ჩაიცვი. ძალიან მშია. ტაქსიც გამოვიძახოთ და რესტორანში წავიდეთ. ფრანგებს ბევრის ატანა შეუძლიათ, მაგრამ შიმშილის – არა და სიყვარულის გარეშეც ვერც ერთი ჭეშმარიტი ფრანგი დიდხანს ვერ გაძლებს.

ნიკუშა აღარ შეკამათებია. უსიტყვოდ შებრუნდა და საძინებელში შევიდა. ჟანმა მობილურზე ნომერი აკრიფა.

– როგორ ხარ, საყვარელო? არა, სასტუმროში არ ვარ, შენს სახლში მოვედი. აქ არის. დიახ, ყველაფერი კარგად არის! აქ არის, რა თქმა უნდა! ხომ იცი, რომ არასდროს ვიტყუები. ძვირფასო, ვიცი, რასაც ვაკეთებ და გპირდები, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ძალიან

კარგად. მალე ისევ დაგირეკავ. ახლა მე და ნიკოლოზი სავახშმოდ მივდივართ... – ჟანმა ხმამაღლა გაიცინა, – მინდა გითხრა, რომ შენი შვილი ძალიან მომწონს...

***

შვილთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ ზურაბს სულ მოეშხამა გუნება. შუბლშეკრული, ბურტყუნ-ბურტყუნით დადიოდა ოთახებში და ცოლს ზედ არ უყურებდა. დიანას ერთხელაც არ გამოუჩენია ინიციატივა, გამოლაპარაკებოდა ქმარს. თავისთვის, ჩუმად აკეთებდა საქმეს. ზურაბმა შვილთან რამდენჯერმე სცადა დარეკვა, მაგრამ თინიკო არ პასუხობდა. გაცოფებულმა ჯავრი ისევ ცოლზე იყარა:

– არ შეგიძლია, ყურადღება მომაქციო? ხომ ხედავ, ვნერვიულობ! თუ, ფეხებზე გკიდია, მე რას განვიცდი?

ქალმა მშვიდი სახით გადადო თეფში და ქმარს შეხედა:

– შენ ნერვიულობ? რაზე?

– ფეხსაცმელი მიჭერს!.. შენ ან გიჟი ხარ, ან სულელი, ან რაღაც სერიოზული უბედურება გჭირს. შემომხედე, ქალო! ბრმა ხარ? არ იცი, რაზე ვნერვიულობ?

– არა, – დიანას სახეზე ერთი ნაკვთი არ შერხევია.

– შენმა შვილმა შეურაცხყოფა რომ მომაყენა და გამლანძღა, ახლა რომ ტელეფონს არ ეკარება, იმიტომ რომ, იცის, მე ვურეკავ, ვერც ამას ხვდები?

– თინიკოს შენთვის არაფერი დაუშავებია. თვითონ გადარიე ბავშვი, თუ სიმართლე გინდა.

ზურაბი წამოჭარხლდა. სახე ლაქებით აუჭრელდა და მუშტი გამეტებით დაჰკრა მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირს.

– არ მეშინია შენი, ასე რომ, დამშვიდდი. მუშტებით რომ ვერაფერს მიაღწევ, ესეც მშვენივრად მოგეხსენება. ვერც თვალების ბრიალით გახდები რამეს. ამ ოთახში არ არის ადამიანი, რომელსაც შენ წინაშე რამე ბრალი შეიძლება მიუძღოდეს. გესმის?! ვერც თინიკო, ვერც მე და, შენ წარმოიდგინე, ვერც ლევანი, ვერაფერს დავაშავებთ ისეთს, რომ ათჯერ უარესი თავად არ გქონდეს გაკეთებული. ჩუმად რომ ვარ, არ ნიშნავს იმას, რომ ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის და, საერთოდაც, დებილი ვარ. ბოროტად ნუ ისარგებლებ ჩემი მოთმინებითა და სიმშვიდით. გინდ გაფრთხილებად მიიღე, გინდ – მუქარად, მაგრამ, თუ ერთხელ კიდევ გაბედავ, ჩვენთან ხმა ამოიღო, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ. ემოციების გადმოფრქვევას კი ბაღში გირჩევ. გაბრძანდი და, თუ გინდა, ფილტვების დახეთქვამდე იღრიალე, – ამ სიტყვებით დიანა შებრუნდა და მშვიდად განაგრძო გარეცხილი ხილის თეფშზე დალაგება. ზურაბი გაოგნებული შესცქეროდა ცოლს. ოცდათხუთმეტწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში პირველად ხედავდა ასეთს. ქალის სიტყვებში იმდენი სუსხი იყო, რომ შეეშინდა. შებრუნდა და ბაღში გავიდა.

***

ვახომ რამდენჯერმე დააპირა ნიკუშასთვის დაერეკა, მაგრამ ხან ბუღალტერმა ჰკითხა რაღაც, ხან ოფიციანტებს გამოელაპარაკა და გადაავიწყდა. მაშინღა გაახსენდა, როცა კაფეში შებოდიალებულ გოგიჩას მოჰკრა თვალი.

– ამას რაღა უნდა აქ! ნანიკო, მიდი, რა, მიხედე იმ კაცს. თუ შია, აჭამე. ფულს თუ გთხოვს, ოცი ლარის მეტი არ მისცე და გაისტუმრე! – დაავალა ოფიციანტ გოგონას და დააპირა, თავის კაბინეტში ისე შეპარულიყო, რომ გოგიჩას არ დაენახა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. გოგიჩა შემობრუნდა, ვიტრინის მიღმა მისი მასიური ფიგურა დაინახა და ხმამაღლა დაუძახა:

– ვახო, ძმა! ეიი, საქმეზე მოვედი!

ვახომ ამოიოხრა და დარბაზში გავიდა.

– გოგიჩ, აქ რას აკეთებ, ფული გჭირდება? – ჰკითხა ნაძალადევი ღიმილით და ჯიბეზე გაიკრა ხელი, საფულის ამოსაღებად.

– ფული ვის არ სჭირდება, ტო... – გაიკრიჭა გოგიჩა, – მაგრამ მაგისთვის არ მოვსულვარ. ნიკუშას გამო მოგაკითხე.

– ნიკუშამ გამოგგზავნა? თვითონ რატომ არ მობრძანდა? სად გდია, მთელი დღე. გამოთვრა და სძინავს თუ ისევ პახმელიის რეციდივმა შემოუტია?

– არა, ტო... არ დაულევია.

– აბა, მოწია?

– ეე, რა მოწია... როდის იყო, ეწეოდა... მოიცადე, რა... მათქმევინე... მგონი, რაღაც უჭირს.

– ნიკუშას?

– აბა, ჩემს გასაჭირს შენ ვერ უშველი, – ხელი ჩაიქნია გოგიჩამ, – შენ რა მიუხვედრელი ყოფილხარ, ტო... ნიკუშასთან უნდა წამოხვიდე. მგონი, შენი დახმარება სჭირდება.

– რა ეტაკა?

– ვიღაც ტიპი ჰყავს სახლში.

– რაა? ვინ ტიპი? – ვახო აშკარად უყურადღებოდ უსმენდა გოგიჩას ლაპარაკს.

– ვერ გაიგე? ტიპი მოვიდა, სად ცხოვრობსო, გვკითხა ბიჭებს და მერე, პირდაპირ თავზე არ დაგვადგა?! მაგარი ნასტირნი ვინმე ჩანს, თანაც ინაზემნია.

– ინაზემნი რაღა უბედურებაა? – ვახო მიხვდა, რომ ნიკუშას თავს მართლა რაღაცა ხდებოდა.

– ნუ, ზაგრანიჩნი, რა!.. ნიკუშას სახეზე რომ შევხედე, ეგრევე მივხვდი, რო არ ესიამოვნა. წამოდი, რა, არ იჩხუბოს! ისედაც რამდენიმე დღეა, იზმენებშია. პატრული და ვიდეოიანი პოლიციელები უნდა კიდევ? ეგრევე ტელევიზორში გამოაჭენებენ. ეგენი, ხო იცი, სუნით იგებენ ასეთ რაღაცეებს.

– მოიცა, ეეე... რას გაუტიე! გაჩუმდი და საშუალება მომეცი, ვიფიქრო. რაღაც კარგად ვერ გავიგე. ნიკუშას უცხოელი სტუმარი ჰყავს? კაცია თუ ქალი?

– ჰო. ქალს ხომ არ სცემს, ტო... კაცია. წამო, რა, თუ მოდიხარ!

– მოვდივარ... ღმერთო, ჩემი გაჩენილი მაინც იყოს ეგ ოხერი, რომ ვთქვა, ვალდებული ვარ და უნდა მოვუარო-მეთქი, – ვახომ ქურთუკს მოჰკიდა ხელი, – დათოსაც დავურეკავ. თუ ეგ ის ტიპია, ვისაც მე ვფიქრობ, მისი დახმარება დამჭირდება.

– ალო, დათო ხარ? არაფერი მკითხო. ახლავე ადექი და ნიკუშასთან წამოდი, ოღონდ მალე! არა, ბიჭო, რა დალევის პონტი, სერიოზული საქმეა! მალე! – ვახომ მობილური ჯიბეში ჩატენა, – ოხ, ნიკუშ, ნიკუშ... თუ ახლაც გაჯიუტდები, საკუთარი ხელით მიგახრჩობ...

***

აუზის წყალი ჩვეულებრივზე ცივი მოეჩვენა, მაგრამ ესიამოვნა. მთელი სხეული უხურდა. რამდენჯერმე მაგრად მოუსვა მკლავი და ჩაყვინთა. წყლის ქვეშ გამეფებული სიჩუმე ესიამოვნა. თვალები გაახილა. საკუთარი სხეული სხვანაირი მოეჩვენა, თითქოს გამჭვირვალე და უცებ გული დასწყდა დაკარგული, მოლოდინში გატარებული წლების გამო... მოგვიანებით, როცა აუზის კაფეში იჯდა და ყავას სვამდა, იხსენებდა ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც ცხოვრებაში გადადგა და ცდილობდა, მიმხვდარიყო, სად დაუშვა შეცდომა... მექანიკურად აიღო ხელში მობილური და დარეკა...

***

... ლევანი სამთავრობო სხდომაზე შესასვლელად ემზადებოდა, როცა მისი მობილური აწკრიალდა. ისე, რომ ეკრანისთვის არ დაუხედავს, მდივან ქალს გაუწოდა და უთხრა:

– თუ ჩემი ცოლია, უთხარი, რომ არ მცალია და დღეს დამაგვიანდება.

ქალმა მობილური გამოართვა. ლევანმა ფეხი აითრია.

– დიახ. არა, ბატონი ლევანი არ გახლავთ. შეგიძლიათ, მე მითხრათ და გადავცემ. არა, ქალბატონო... მალე ვერ გათავისუფლდება...

ლევანი მიხვდა, თინიკო რომ არ ურეკავდა და მდივანს მობილური თითქმის წაგლიჯა ხელიდან.

– ჰო, მე ვარ, ლევანი ვარ. რა?! მერე აგიხსნი. ჩემი ნახვა გინდა? რა კარგია, მეც მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ ჯერ არ მცალია. ჰო, სახლში გამოგივლი... აუცილებლად...

ლევანი სტვენით გავიდა კაბინეტიდან. მდივანმა გაოცებული მზერა გააყოლა...

ხალხს სანახაობა ყოველთვის ყველაფერს ერჩივნა, მაშინაც კი, როცა ადამიანები ჯერ კიდევ გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. მართალია, არ არსებობს მოწმე, ვინც ამ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნებდა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანები, იმ უხსოვარი დროიდან მოყოლებული, დიდად არ შეცვლილან, სიტყვაზე უნდა გვენდოთ...

***

– სახლში არავინ არის, – აღმოხდა ნირწამხდარ ვახოს და დათოს შიშით გადახედა, – მართლა ხომ არაფერი მოხდა, ბიჭო?

დათომ შუბლი მოისრისა:

– ჯერ წესიერად გამაგებინე, რაშია საქმე. ტელეფონზე ისეთი სისულელეები იბურდღუნე, ნათია მივაგდე და გიჟივით აქეთ გამოვიქეცი. თუ რაღაცას მაიმუნობ, მოგკლავ! იმიტომ, რომ ნათია ცოცხლად შემჭამს, – გაცხარდა დათო.

– შენს ცოლს მეტისმეტი მოსდის, შენ კი ყველაფერს უთმენ, – ვახო მობილურზე ნომერს კრეფდა და მეგობრისთვის არ შეუხედავს, – მაგრამ ახლა ის უფრო მაინტერესებს, სად არის ნიკუშა. გოგიჩ, რას მომშტერებიხარ? მიდექ-მოდექი, გაიგე რა, აქ რა მოხდა!

– ახლავე, ვახო, ახლავე... – გოგიჩა კორპუსთან ბორდიურზე ჩამომსხდარი ბიჭებისკენ გაიქცა.

ვახომ გახედა და უკმაყოფილო თავის ქნევით თქვა:

– აი, უყურე, უყურე და დატკბი. დებილია ეს ჩემისა... დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გაიგებს.

– რა უნდა გაიგოს, რატომ ეძებ ნიკუშას? მერე რა, რომ სახლში არ დაგვხვდა, ავადმყოფი ხომ არ არის, სულ სახლში რომ იჯდეს, რა განგაში ატეხე?

– ნიკუშა მარტო არ არის, აი, რაშია საქმე მარტო არ არის!

– მოიცა, რას ნიშნავს, მარტო არ არის! აბა, ვისთან ერთად არის? აა, მივხვდი, ალბათ, იმ ნატუკამ გამოუარა და გეშინია, სადმე შარში არ გაყოს თავი. კი მაგრამ, მე რაღა შუაში ვარ? სახლში რომ ყოფილიყო, თავზე უნდა დავდგომოდით?

– დათო, მორჩი, რა... რა ნატუკა, რის ნატუკა, ეგღა მაკლია, ბოზებს ვდიო უკან... ჰა, გოგიჩ, რაო, არაფერი დაგვინახავსო?

– ერთი საათის წინ, ტაქსით სადღაც წავიდნენო. კაროჩე, ტაქსი მოვიდაო... არა, ჯერ მანქანა მოვიდა და ბარგი მოიტანაო, მერე ტაქსიც მოვიდა. ერთად ჩასხდნენ და წავიდნენო.

– სად წავიდნენო?

გოგიჩამ გაოცებით გაშალა ხელები:

– რა ვიცი, ტო... მე კი არ ვიყავი იმ ტაქსის შოფერი.

– არ მეტყვი, რას შერლოკ ჰოლმსობ? – მოთმინება დაკარგა დათომ.

– კაროჩე, ასეთი საქმეა. თუ სწორად მგონია, ნიკუშას მამინაცვალმა ჩამოაკითხა.

– ვინ მამინაცვალმა? – ვერ მიხვდა დათო.

– ვინ და დედამისის ქმარმა. ზოგჯერ შენც როგორ გამოიშტერებ ხოლმე თავს. ნუ მიყურებ მთვარიდან ჩამოვარდნილივით, ბიჭო, დედამისის ქმარი ჩამოვიდა პარიზიდან. ახლა მიხვდი?

– ვაა, შენ რა იცი?

– ვიცი. აი, გოგიჩა ამბობს, უცხოელი იყო და მისი ამბავი იკითხაო. მერე სახლში მივუყვანე და ნიკუშა მაგრად დაფეთდაო.

– არა, ტო... ეგრე არ იყო... – გააპროტესტა გოგიჩამ, – ნიკუშასთან ჯერ მე ავედი. ვიფიქრე, იქნებ რა-მეთქი... სტრანნი ვიღაც იყო... გაპრანჭული, თან სულ იცინოდა, ტო... მოწეულივით...

– გოგიჩ, მორჩი, რა... რამდენჯერ უნდა მოყვე. აღარ მაინტერესებს!

– შენ არ გაინტერესებს და არც გიყვები, დათომ არ იცის, ვა! – თავი გამოიდო გოგიჩამ, – ხომ ხედავ, აზრზე არ არის. დათუჩ, მომისმინე...

ვახომ ხელი აიქნია და დათოს მიუბრუნდა:

– მოიფიქრე, ჩვენ რა ვქნათ ახლა!

დათომ მხრები აიჩეჩა:

– რა უნდა ვქნათ. პატარა ბავშვი ხომ არ არის, სადმე დაიკარგოს, ქუჩა-ქუჩა ძებნას ხომ არ დავუწყებთ. საერთოდ, არ მესმის, რა განერვიულებს. ჩამოვიდა – ჩამოვიდა, რა, მერე? დაილაპარაკებენ და წავა.

– ჰო, მაგაშია საქმე. მეც სწორედ მაგისი მეშინია. წავა და მორჩა! ის დებილი შენი ძმაკაცი უკანასკნელ შანსს გაუშვებს ხელიდან. სწორედ ეს აღარ უნდა დავუშვათ, გესმის?

– ჩვენ რა შეგვიძლია?

– რას ნიშნავს, რა შეგვიძლია? უპირველესად, უნდა მოვძებნოთ და ნიკუშას საშუალება არ მივცეთ, იმ კაცს შეურაცხყოფა მიაყენოს. რადგან ჩამოვიდა, ესე იგი, ან ნიკუშას წაყვანა უნდა, ან უნდა, რომ სერიოზულად დაეხმაროს. მის უკან ვინც დგას, ხომ ხვდები?

– მაგას რა მიხვედრა უნდა, დედაა, ბოლოს და ბოლოს. მე ისიც მიკვირდა, აქამდე რომ ითმენდა და არ ჩამოდიოდა.

– ვერ ჩამოდიოდა. ამან ისეთ დღეში ჩააგდო, რომ გადარია ქალი. გამოგზავნილი ფული რამდენჯერმე უკან გაუგზავნა. კაროჩე, მანქანაში ჯდომით და აქ დგომით ვერაფერს გავაკეთებთ, უნდა ვიმოქმედოთ.

– რანაირად? პირადად მე წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლება იყვნენ.

– არც მე. ლევანთან ხომ არ დაგვერეკა?

– წეღან მას არ ურეკავდი?

– ჰო, მაგრამ არ მიპასუხა.

– ეტყობა, არ სცალია. მინისტრია, ბოლოს და ბოლოს, კიდევ კარგად იცლის ჩვენთვის. ახლა რომ დაურეკო და უთხრა, ნიკუშა მომაძებნინეო, გააფრენს, – გაიცინა დათომ და ერთბაშად გონება გაუნათდა. ლევანთან დაკავშირებული ის ამბავი გაახსენდა, რომელიც ნიკუშას დედას მისი ინტერესის სფეროში აქცევდა.

– მართალი ხარ. ლევანმაც უნდა იცოდეს იმ ტიპის ჩამოსვლის შესახებ, – თქვა უცებ და ვახოს გაოცებულ სახეს რომ შეხედა, მაშინვე დაუმატა, – თუ ერთად ვართ, ერთად უნდა ვიყოთ, ასე არ არის?

ვახომ თავი დაუქნია და ლევანის ნომერი კიდევ ერთხელ აკრიფა:

– ისევ არ პასუხობს. რა ვქნა, ამას ველოდო?

– მესიჯი მისწერე.

– მესიჯი არა, ეპისტოლე! ნახავს ჩემს ნომერს და დამირეკავს, თუ საჭიროდ ჩათვლის. მოდი, დაქოქე მანქანა და გამომყევი!

– სად?

– რესტორნები ჩამოვიაროთ. არც ისეთი უზრდელია ეგ ჩვენი ძმაკაცი, რომ სტუმარმასპინძლობის წესები დაივიწყოს. ყოველ შემთხვევაში, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

– იცი, რამდენი რესტორანია თბილისში? – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დათომ, მაგრამ მაინც შებრუნდა და მანქანისკენ გაემართა. გოგიჩა ვახოს „ჯიპის“ კარს დაეჯაჯგურა.

– შენ სადღა მოდიხარ?

– როგორ თუ სად... – ეწყინა გოგიჩას, – ნიკუშა არ მოვძებნოთ?

– შენ აქ დარჩი. რომ მოვიდნენ, ხომ უნდა გაგვაგებინოს ვინმემ? შენ გარდა ვერავის ვენდობი, – ვახომ მხარზე ხელის დაკვრით გაამხნევა გოგიჩა და თვალი ჩაუკრა. გოგიჩამაც შეიფერა ნდობა და თავი ისეთი ღირსებით დაუქნია, რომ ვახომ სიცილი ძლივს შეიკავა.

***

იამ ფრთხილად დადგა ლანგარი პატარა მაგიდაზე.

– მართლა არ გშია? იცოდე, არ მოგერიდოს.

კაცმა ღიმილით გააქნია თავი:

– არა, გეფიცები. მართლა არაფერი მინდა. აი, ყავას სიამოვნებით დავლევ. ვგიჟდები, ისე მიყვარს შენი მოდუღებული ყავა.

– კარგი, ერთი, რას მეპირფერები, ყავას ყველა ადუღებს.

– ყველა ადუღებს, – დაეთანხმა ლევანი, – მაგრამ, ასეთს რაღაცნაირად სქელს და გემრიელს – მხოლოდ შენ

– მერე, ვის სჭირდება? არავის, აბსოლუტურად არავის, – ამოიოხრა იამ და ლევანს გვერდით მიუჯდა. მან ქალს უცნაური სევდით შეხედა.

– რომ გითხრა, მე-მეთქი, დამიჯერებ? – წარმოთქვა ხმადაბლა.

– არ გინდა, ლევან, არ არის საჭირო. მე ვიცი, ამას რატომაც ამბობ, მაგრამ თანაგრძნობა არ მჭირდება.

ლევანი გაწითლდა.

– თანაგრძნობა არაფერ შუაშია, კარგად ვერ გამიგე.

– ძალიან კარგად გაგიგე. ყველანი ერთნაირები ხართ. თუმცა, პრინციპში, შენ რა შუაში ხარ, შენ არაფერი დაგიშავებია, რას გერჩი!..

– ია... რატომ გგონია, რომ მე ვერაფერს ვგრძნობ და, საერთოდაც, უგულო ვარ?

– რა ვიცი. მართლა, უკვე აღარაფერი ვიცი, მინდა, არაფერზე აღარ ვიფიქრო და ცხოვრების თავიდან დაწყება ვცადო. სინამდვილეშიც ხომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. რა უფლებით ვითხოვდი მისგან ერთგულებას? კანონიერ ცოლებს ღალატობენ და სინდისი ოდნავაც არ აწუხებთ. თუ ვინმეა დამნაშავე, მხოლოდ მე, მხოლოდ მე და სხვა არავინ!

– ამას ნუ ამბობ!

– რატომ? არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ ვერ მივხვდე, რა ხდება ჩემ გარშემო.

– მეც დამნაშავე ვარ, – ლევანმა ფინჯანი დადგა და ქალს თვალებში ჩააშტერდა, – ჰო, დამნაშავე ვარ და ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავექცევი. უნდა მეთქვა შენთვის ნიკუშას ამბავი, მაგრამ, არ მეგონა, ასეთი სერიოზული ურთიერთობა თუ ექნებოდა იმ ქალთან.

– ვახო კი მიმტკიცებდა, ყველაფერი შემთხვევით მოხდაო.

– მესმის, ეს რატომ გითხრა. ვახოსთვის მთავარია, ნიკუშა ყველა საშუალებით დაიცვას.

– შენთვის, შენთვის რა არის მთავარი?.. – ქალს ხმა აუთრთოლდა.

ლევანმა არ უპასუხა. ადგა, პიჯაკის შიდა ჯიბიდან შეფუთული კოლოფი ამოიღო და იას წინ დაუდო.

– ეს რა არის? – შეკრთა ქალი.

– გახსენი.

– ლევან... მე... არ მინდა, რომ...

– არაფრის თქმა არ არის საჭირო უბრალოდ, გახსენი, – სათქმელი აღარ დაასრულებინა კაცმა და ღიმილით გაამხნევა: – მიდი, მიდი, გახსენი! ერთი სული მაქვს, გავიგო, მოგეწონება თუ არა.

იამ ნელა შემოაცალა შესაფუთი ქაღალდი შავ კოლოფს და თავსახური ახადა.

– ღმერთო! ეს რა არის? – აღმოხდა აღფრთოვანებულს, – ლევან... ეს, ალბათ, ძალიან ძვირი ღირს, მე ამას ვერ ავიღებ.

– აიღებ, იმიტომ რომ, საგანგებოდ შენთვის ვიყიდე პარიზში.

– ჩემთვის? კი მაგრამ, რისთვის?

– არ ვიცი. უბრალოდ, მომინდა. გეფიცები. იმ წუთში სხვა არანაირი ემოცია არ მქონია. მართლა მომინდა, რომ გულსაბნევი შენი ყოფილიყო. შეხედე, ეს ხომ იაა!

ქალს თვალები აუცრემლდა:

– დაუჯერებელია. პარიზში იყავი და ჩემზე ფიქრობდი?..

– ჰო, და ამაში გასაკვირი არაფერია. მე ხშირად ვფიქრობ შენზე. ვიცი, რომ ამის უფლება არ მაქვს. ერთხელ გარკვევით მითხარი, ყვავილებსაც ნუ გამომიგზავნიო, მაგრამ, არსებობს რაღაც, რისი აკრძალვაც, უბრალოდ, შეუძლებელია.

– ახლა რა უნდა ვქნა? – საცოდავად ჩაილაპარაკა ქალმა.

– ალბათ, უნდა ამოიღო ეგ გულსაბნევი კოლოფიდან და კაბაზე დაიმაგრო, – გაიცინა ლევანმა.

– მშვენივრად მივხვდი, რაც იგულისხმე: საერთოდ რა უნდა გავაკეთო?

– არაფერი ისეთი, რისი გაკეთებაც თავად არ მოგინდება. ია, ძალიან გთხოვ, მომისმინე, ოღონდ, შეეცადე, ბოლომდე მათქმევინო და არ გამაწყვეტინო, თორემ, შეიძლება,

გამბედაობამ მიმტყუნოს და ვერასდროს ვთქვა ის, რაც ამდენი წლის განმავლობაში გულში მაქვს.

– იქნებ ჯობია, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის?

– არა, არ ჯობია, – ლევანმა მუჭში მოიქცია ქალის თხელი თითები და ფრთხილად მოეფერა. იას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მისმა სიჩუმემ კაცი გაათამამა, ქალს მოეხვია. მკერდზე მიიკრა, თავი გადაუწია და თვალებში ჩახედა. ქალი ისევ დუმდა. წამწამები ცრემლით ჰქონდა დანამული. ლევანი ნელა დაიხარა მისი ტუჩებისკენ... კიდევ ცოტაც და, მათი ტუჩები ერთმანეთს შეეხებოდა და მერე არავინ იცის, საით წაიღებდა ორივეს ვნების ტალღა, მაგრამ თავდავიწყება მობილურის ზარმა არ დააცადათ. ლევანის უპატრონოდ მიტოვებულმა ტელეფონმა „იწყინა“, ასე როგორ მიმაგდესო და გამაყრუებელი ხმით აწკრიალდა. იას თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გველნაკბენივით შეხტა და ლევანი ხელისკვრით მოიშორა.

– ღმერთო, ეს რა იყო?.. ლევან, წადი და ჩემთან აღარასოდეს მოხვიდე, ძალიან გთხოვ!

ლევანიც ნირწამხდარი იდგა. მობილური ისევ რეკავდა, მაგრამ მას თითქოს არ ესმოდა. გუნებაში ტელეფონსაც სწყევლიდა და იმასაც, ვინც დაურეკა. მაინც გაბედა და სიტუაციის გამოსწორება სცადა:

– ია, მომისმინე, შენ არ იფიქრო, რომ მე... უკვე ძალიან დიდი ხანია... ძალიან დიდი, რაც...

– ხომ გთხოვე, წადი-მეთქი! ამ წუთში არაფრის მოსმენა არ მინდა. მე ვეცდები, რომ დავივიწყო, რაც მოხდა.

– რატომ? რატომ უნდა დაივიწყო, გამაგებინე! ნიკუშას არ სჭირდები. საკუთარი თვალით ნახე და დარწმუნდი! მთელი ეს წლები მოთმინებით ელოდი, ელოდი... მეც ვდუმდი, იმიტომ, რომ პატივს ვცემდი შენს არჩევანს.

– ლევან, გაჩუმდი! ხომ არ გავიწყდება, რომ ცოლი გყავს?

– არა, მახსოვს, მაგის დავიწყება როგორ შემიძლია, როცა ჩემი ოჯახის შექმნაც შენი დამსახურებაა?

– მომეშვი, საკმარისია! მე ნუ მომაწებეთ განტევების ვაცის იარლიყი და ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც ცხოვრებაში არასწორად გადაგიდგამთ, მე ნუ დამაბრალებთ! ეს რა უბედურებაა?! რა დავაშავე, რა ცოდვა მაქვს ამისთანა?!

– შენ რა ცოდვა უნდა გქონდეს... – ლევანმა შუბლი მოისრისა, – რა ჯანდაბაა! ეს ტელეფონი აღარ უნდა გაჩერდეს? სიამოვნებით მივაფშვნიდი კედელზე!..

– უპასუხე!

– არ მინდა, არავისთან არ მინდა ლაპარაკი! რეკონ! მოსწყინდებათ და გაჩერდებიან!

– ლევან, წადი აქედან!

– არა, ჯერ მომისმენ!

– უკვე ყველაფერი ნათქვამია. ეს გულსაბნევიც წაიღე, – იამ ცრემლს ხელისგული შეაშველა.

– შენ ყველაფერი არასწორად გაიგე. შენ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავ და მინდა, ეს იცოდე.

– ვიცი. ნიკუშასთვისაც ძალიან ბევრს ვნიშნავდი, ძალიან ბევრს და იმიტომაც დამამცირა ასე, მადლობა გადამიხადა ერთგულებისთვის. შენც არაფრით განსხვავდები მისგან!

– ია, დამშვიდდი, ძალიან გთხოვ...

– დავმშვიდდე? იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, დავმშვიდდე? შენ წარმოდგენა არ გაქვს, რას ვგრძნობ ახლა. თავი უკანასკნელი მეძავი მგონია. თუმცა, რა სისულელეს ვამბობ, მეძავი ჩემზე გაცილებით უფრო დაფასებულია, ნიკუშამ უკვე დამარწმუნა ამაში!

– ნიკუშა! ისევ ნიკუშა! ყველგან და ყოველთვის ნიკუშა! – იყვირა ლევანმა, – არ შეგიძლია, სულ ცოტა ხნით არ იფიქრო მასზე? მით უმეტეს, ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, შევძელი იმის თქმა, რისი თქმის სურვილიც სულ მქონდა ამ წლების განმავლობაში?

– არ იყო საჭირო.

– იყო. იყო და ტყუილად ჯიუტობ. შენ მე გჭირდები. შეგიძლია, არ დამეთანხმო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ასეა. ეს იდიოტური მობილური რომ არა...

– ეგ იდიოტური მობილური რომ არა, ახლა გაცილებით ცუდად ვიქნებოდი. მადლობელი ვარ იმ ადამიანის, ვინც დაგირეკა და გამოუსწორებელი სისულელის ჩადენის უფლება არ მომცა.

– შენ მართლა ასე ფიქრობ? – ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა ლევანმა.

– ჰო. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ასე ვფიქრობდე. გეხვეწები, თავი დამანებე და ნუღარ მტანჯავ. წადი, წადი, მარტო ყოფნა მინდა!

– მეგონა, დაიღალე მარტო ყოფნით.

– ტყუილად გეგონა. არიან ადამიანები, რომლებიც მარტოობისთვის იბადებიან. ეტყობა, მეც ერთი იმათგანი ვარ.

– არ გინდა, ამას ნუ ამბობ! შენ მეტს იმსახურებ.

– მაინც, რას? შენს საყვარლობას? – იამ სიმწრით გაიცინა.

– „საყვარელი“ – რა საშინელი სიტყვაა. არადა, რა იდეალური ურთიერთობის გამომხატველი უნდა იყოს. არასოდეს დაფიქრებულხარ იმაზე, რომ, შეიძლება, მართლა მიყვარხარ?

– არა. არ მინდა მაგაზე ფიქრი. საერთოდ აღარაფერი აღარ მინდა, გარდა ერთისა – კარი გააღო და აქედან წახვიდე.

ლევანმა ამოიოხრა:

– კარგი. წავალ. ვხედავ, რაც არ უნდა ვთქვა, ყველაფერს არასწორად გაიგებ. ყელსაბამი კი დაიტოვე. მართლა იმიტომ გიყიდე, რომ ძალიან მომინდა ამის გაკეთება, გეფიცები, ყოველგვარი ქვენა გრძნობების ან რამე კონკრეტული მიზნის გარეშე...

ლევანის წასვლის შემდეგ იამ გულსაბნევი ხელისგულზე დაიდო და დიდხანს დაჟინებით უყურა, მერე კი მწარედ ატირდა...

... რა თქმა უნდა, სანახაობა მთავარია. რა აზრი ექნებოდა ამის გარეშე ჩვენს ცხოვრებას? „პური ჩვენი არსობისაც“ გვავიწყდება, თუ კარგი სანახაობით ვტკბებით. აბა, შიმშილი რა სალაპარაკოა, როცა საშუალება გვაქვს, თვალყური ვადევნოთ, როგორ ცხოვრობენ სხვები; როგორ უყვართ, როგორ თამაშობენ ერთგულებას და თან ღალატობენ; როგორ ცდილობენ სხვის ტყავში შეძრომას; როგორ სძულთ, მაგრამ ცდილობენ, საპირისპირო დაამტკიცონ... ერთი სიტყვით, მშვენივრად შეიძლება გართობა, როცა საქმე სხვის ცხოვრებას ეხება...

ლევანმა მხოლოდ მანქანაში ჩაჯდომის მერე მოიძია მობილური და უპასუხო ზარები მოძებნა.

– ალო! ჰო, მე ვარ! მივხვდი, რომ შენ რეკავდი, უფრო სწორად, ახლა ვნახე, რომ დაგირეკავს. რა მოხდა, ხომ მშვიდობაა?.. რას ნიშნავს, რატომ არ ვპასუხობდი, შენც რა თინიკოსავით მეკითხები! იმიტომ რომ, არ შემეძლო! მითხარი, რა გინდა... მორჩი სისულელეებს! ხელი შემიშალე, რას ნიშნავს, მაგით რისი თქმა გინდა? ვმუშაობდი-მეთქი... ვახო, შენ ახლა გატრაკებას თავი დაანებე... საკუთარი კაფე კი არ მაქვს, შენსავით. თქვი, რა მოხდა! რა?! ვის ეძებთ? რა სჭირს მოსაძებნი? მერე რა, რომ სახლში არ არის? პატარაა და გზა აებნევა თუ რა!.. რას ამბობ? როდის? ეგ ცვლის საქმის ვითარებას. სად? კარგი, მოვდივარ...

ლევანმა მობილური გვერდით სავარძელზე დადო და ჩაფიქრდა. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღო. ის, რაც ვახომ თქვა, მართლა ყველაფერს ცვლიდა. მაგრამ, თუ ჟანი თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, ელენემ რატომ არ უთხრა, არ ენდო? – შეიძლება. იქნებ, ეს გადაწყვეტილება მერე მიიღეს, ლევანის სტუმრობის შემდეგ. რა უთხრა მათ ისეთი, რომ

ელენე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და შვილთან მოსალაპარაკებლად ქმარი გამოგზავნა? „ჯანდაბა, ჯანდაბა“!.. ლევანმა ორივე ხელი გამეტებით დაჰკრა საჭეს. „რა ვთქვი ამ ქალთან ისეთი, რომ დედობრივი გრძნობები ავუფეთქე? თუ ნიკუშა და ჟანი შეთანხმდებიან, აღარაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენს მილიონებსაც სამუდამოდ დავუქნევთ ხელს. „ჩვენს მილიონებს“... ჰმ, საინტერესოა, ვის ვგულისხმობ „ჩვენში“ საკუთარ თავს, თინიკოს, მამამისს თუ მარტო მე და თიკას? ზურაბი, ალბათ, გაგიჟდება, ამას რომ გაიგებს“... – ლევანმა გაცოფებული სიმამრის ჭარხალივით გაწითლებული სახე წარმოიდგინა და სიამოვნებისგან გაიღიმა. „ერთი სასიამოვნო მომენტი მაინც ახლავს ამ უსიამოვნო ამბავს. ზურაბს გვარიანად მოეშლება ნერვები და მეც რომ არ ვზარალდებოდე, კარგად გავერთობოდი... პირდაპირ მასთან ხომ არ წავიდე და მოვახსენო საქმის ვითარება? ისეთ გუნებაზე ვარ, მარტო ეს თუ გამამხიარულებს, მაგრამ, ჟანიც ხომ უნდა ვნახო? ეშმაკმა უწყის, რა აზრი მოუვა ნიკუშას თავში. არ მინდა, სიტუაციის კონტროლის საშუალება მოვისპო... მაგრამ, ვახოსავით რესტორან-რესტორან და ქუჩა-ქუჩა ვერ ვივლი, თავს ვერ მოვიჭრი“... – ლევანმა ისევ დარეკა.

– მე ვარ, ჰო... მომისმინე და ნუ ბღავი! აქ რაღაც საქმეები მაქვს და ჯერჯერობით გამოსვლას ვერ ვახერხებ. არ მცალია-მეთქი, ბიჭო, რა არის ამაში გაუგებარი! მარტო ხარ?.. ჰოდა, ძალიან კარგი. დათო და შენ ხელათ იპოვით და მეც მაშინვე დამირეკეთ. მოვალ, აბა, რას ვიზამ. აბა, შენ იცი, სულ არ გააგიჟოთ ის ადამიანი. ძალიან კარგი კაცია და... – უცებ ლევანი გაჩუმდა, – არა. საიდან უნდა ვიცნობდე? ისე ვიცი. მორჩა, ამდენი დრო აღარ მაქვს, ველოდები თქვენს ზარს!

***

თინიკო ზუკასთან ერთად ვახშმობდა, ლევანმა რომ დაურეკა.

– ჩავიცვა და წყნეთში ავიდე? რატომ? – გააოცა მისმა მოთხოვნამ, – ბავშვი? ბავშვი აქ არის. მომეშვი, რა, ლევან, არავითარი სურვილი არ მაქვს, მამაჩემს კიდევ ვეჩხუბო! რა ამბავი... რას ნიშნავს, ჯერ ვერ მეტყვი. აბა, როდის მეტყვი?.. არ მინდა-მეთქი, არ გესმის? არ მინდა! შენ რაღა გინდა იქ?.. თუ ღმერთი გწამს, სახლში მოდი. არა, არ წამოვალ. რას ნიშნავს, ვინანებ? რატომ უნდა ვინანო? მიდი, რა, მე ნუ ჩამრევთ ამაში! არა, არ მჭირდება. ჰო, აღარ მაინტერესებს... დავიღალე, ლევან, მომბეზრდა... არ მაინტერესებს. არც ეგ აღარ მაინტერესებს.. ჯანდაბა, ვინანო! ჰო, ეს არის ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება... რა? მამაჩემთან პირისპირ მარტო ნუ დაგტოვებ? რა სისულელეა! დიდი ხანია, მისი გეშინია? ოჰ, ლევან... – ქალს ყოყმანი დაეტყო, – კარგი, მოვდივარ... ორმოც წუთში მანდ ვიქნები. ზუკას რა ვუყო?.. კარგი, კარგი, მაკასთან დავტოვებ. იმედია, დიდხანს არ გავჩერდებით... – თიკამ ტელეფონი გათიშა, მაგიდაზე დადო და დამხმარე ქალს მიმართა:

– მაკა, შეგიძლია, დღეს გვიანობამდე დარჩე? ლევანს უნდა გავყვე სადღაც. არ ვიცი, რამდენი ხანი დაგვაგვიანდება. ყურადღება მიაქციე, კომპიუტერთან დიდხანს არ იჯდეს და 11 საათზე დაიძინოს.

– ბაბუასთან მიდიხარ? – ზუკამ საყვედურით შეხედა დედას, – მეც წამოვალ, რა!

– ბაბუასთან არ მივდივარ. ლევანს მივყვები საქმეზე.

– მატყუებ. ამ ბოლო დროს სულ მატყუებ. შენ გგონია, ისევ პატარა ვარ და ვერაფერს ვხვდები? ისიც ვიცი, პარიზში რომ იყავი და არაფერი ჩამომიტანე.

თინიკო შეცბა:

– ვინ გითხრა, რომ პარიზში ვიყავი, ბებომ?

– არავისაც არ უთქვამს, ჩემით მივხვდი. კიდევ ბევრ რამეს ვხვდები, მაგრამ არ გეტყვი. სულერთია, მაინც არაფერი გაინტერესებს შენი ლევანის გარდა.

თიკა შეძრწუნდა. შვილთან მივიდა და თავზე დაადო ხელი. ბავშვი გაჭირვეულდა.

– წადი, წადი, ჩქარა, არ დაგაგვიანდეს, თორემ მერე იჩხუბებთ! საერთოდ რატომ წამომიყვანე? მირჩევნია, სულ ბებოსთან ვიცხოვრო, მარტო იმას ვუყვარვარ!

– შვილო, რას ამბობ! – ქალს გული შეეკუმშა, – საიდან მოიტანე, რომ არ მიყვარხარ? მეც ძალიან მიყვარხარ, ლევანსაც...

– ტყუილია! ბაბუმ თქვა... გავიგონე, ბებოს ეუბნებოდა, ახლა ხომ ფეხებზე ჰკიდიათ ეს ბავშვი, საკუთარს რომ გააჩენენ, შენ მერე ნახე, საერთოდ ზედ აღარ შეხედავენო. ისევ მე უნდა ვიწვალო, რომ პურის ფული სანატრელი არ ჰქონდესო, – სლუკუნ-სლუკუნით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

თიკა გაფითრდა. შვილის თავი მკერდზე მიიკრა და კოცნა დაუწყო, თან ეჩურჩულებოდა:

– შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. ბაბუაშენს რაღაც შეეშალა. გავაბრაზე და სისულელეებს ლაპარაკობს. ხომ იცი, როცა ბრაზობს, როგორია. როდისმე სადმე წავსულვარ და შენთვის საჩუქრები არ ჩამომიტანია? ლევანსაც სულ ჩამოაქვს საჩუქრები. ძმა კი შენ თვითონ გვთხოვე. გახსოვს, რომ გვითხარი, პატარა ძმა მიყიდეთო... მაგრამ მე არავინ მინდა შენ გარდა. ჩემი ერთადერთი შვილი ხარ და ყოველთვის ასე იქნება. სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, შვილო და, თუ ყოველთვის შენ გვერდით არ ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსებს სხვა საქმეებიც გვაქვს.

– ენას ნუ მიჩლექ! პატარა აღარ ვარ, გავიზარდე და ჩვეულებრივად დამელაპარაკე!

თიკამ ყურადღებით შეხედა შვილს და ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ზრდასრული მამაკაცი უყურებდა. მისმა მზერამ შეაცბუნა.

– ჰო, შენ მართალი ხარ, უკვე გაიზარდე, თანაც ძალიან. მაშინ, მოდი, ისე ვილაპარაკოთ, როგორც თანატოლებმა. რადგან დიდი ხარ, უნდა გამიგო კიდეც. ცხოვრება ადვილი არ არის. უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. იმდენი, რომ ზოგჯერ ყველაზე ახლობელი ადამიანები გვრჩება ყურადღების გარეშე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად გვიყვარს. ლევანი მინისტრია. შენ ხომ იცი, რამდენი საქმე აქვთ მინისტრებს?

ზუკამ თავი დაუქნია.

– ბაბუ ახლაა მოცლილი, თორემ, შენხელა რომ ვიყავი, კვირაში ერთხელ ხან ორჯერ თუ ვნახავდი. ზოგჯერ ღამითაც არ მოდიოდა სახლში. ეტყობა, დაავიწყდა ეს ყველაფერი.

– ბაბუმ მითხრა, რომ წყნეთის სახლი ჩემია და კიდევ ბევრი რამ, რის ფასსაც ახლა ვერ მივხვდები.

– ცუდია, ბაბუ ასეთ რაღაცეებზე რომ გელაპარაკება, მაგრამ უყვარხარ და ამიტომაც ეპატიება. იცი, რა მოვიფიქრე? მოდი, ახალ წელს იტალიაში შევხვდეთ, მე, შენ და ლევანი, რომში...

– რატომ მაინცდამაინც იტალიაში, იმიტომ რომ იქ ბევრი ტანსაცმლის მაღაზიებია?

თინიკო ძალიან იყო გაბრაზებული, მაგრამ მაინც გაეცინა:

– რა მაიმუნი ხარ! კარგი, შენ ამოირჩიე ქვეყანა და იქ შევხვდეთ ახალ წელს.

– მე სახლშიც კარგად ვიქნები, თუ შარშანდელივით მარტო არ დამტოვებთ და თქვენ რესტორანში არ გაიპარებით.

თინიკოს ცხვირში რაღაც აეწვა. შვილისკენ დაიხარა და ლოყაზე აკოცა:

– გპირდები. ახლა წავალ, კარგი? მაგრამ, მალე დავბრუნდები.

– წადი. დე, ბაბუას არ ეჩხუბო, კარგი? შენ ხომ თქვი, უყვარხარ და ეპატიებაო. ვაპატიოთ.

თიკამ ყელში გაჩხერილი ბურთი გადაყლაპა და შვილს ნაძალადევად გაუღიმა...

***

ჟანმა ხელსახოცი ოდნავ მიიდო ტუჩებთან. ნიკუშა თვალს არ აცილებდა „ციდან ჩამოვარდნილ“ მამინაცვალს, რომელიც მადიანად მიირთმევდა ნიგვზიან ბადრიჯანს და თავს მოწონებით იქნევდა:

– შესანიშნავია, ფანტასტიკური... ელენეს ასეთი არ გამოსდის. ეტყობა, აქაურ ნიგოზსაც სხვა გემო აქვს და ბადრიჯანსაც.

– აქ ამ აღმოჩენის გასაკეთებლად ჩამოხვედით?

– არა, მარტო ამისთვის არა. კიდევ გავაკეთე ერთი აღმოჩენა, მაგრამ ამის შესახებ ელენეს ვეტყვი.

– შეიძლება, მეც გავიგო?

ჟანმა ჩანგალი დადო და ნიკუშას შეხედა.

– შეიძლება, – თქვა სერიოზულად, – შეიძლება. ისეთი არ ყოფილხარ, როგორიც მას ჰგონიხარ.

– მართლა? მაინც როგორი არ ვყოფილვარ. თუმცა, ვიცი. ალბათ, გითხრათ, რომ გაუთლელ ხეპრესთან გექნებოდა საქმე. ხომ ასეა?

– არა, ცდები. თუმცა, ვაღიარებ, მთლად ანგელოზად არ დაუხასიათებიხარ. გამაფრთხილა, მასთან ურთიერთობაში პრობლემები გექნებაო.

– მერე?!

– მერე ის, რომ ელენეს სრული უფლება აქვს, საკუთარი აზრი ჰქონდეს.

ნიკუშამ ღვინო მოსვა.

– იმედი გაქვთ, რომ პარიზში ჩასვლასა და დედაჩემთან შეხვედრაზე დამითანხმებთ?

– არ ვაპირებ, რამეზე დაგითანხმო. ფრანგები თავისუფლებისმოყვარე ხალხი ვართ და სხვის თავისუფლებასაც პატივს ვცემთ. გადაწყვეტილებას შენ მიიღებ.

– ჰმ, საინტერესოა. მაშინ, საერთოდ აღარ მესმის, რისთვის ჩამოხვედით.

ჟანმა პასუხი დააყოვნა. ლუკმა გადაყლაპა და ნიკუშას უცნაურად შეხედა:

– გაინტერესებს? მართლა?

– რა თქმა უნდა, ოღონდ, არ მითხრათ, რომ მართლა ბადრიჯნისა და ნიგვზის გემო გაინტერესებდათ.

– მამაშენის საფლავზე მინდა მისვლა.

ნიკუშა გაშტერდა.

– რა?

– ჰო, ძალიან მინდა და უარს ნუ მეტყვი. მე, შეიძლება, ვერ მივაგნო.

– მივაგნო? – ნიკუშამ ყურებს არ დაუჯერა, – ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ადრეც ხართ ნამყოფი?

– ჰო. დედაშენი იქ გავიცანი. არ იცოდი?

ნიკუშას სუნთქვა შეეკრა.

– აარა! ელენეს ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამს. თუმცა... – ნიკუშამ აღარ თქვა, რომ დედამისს მამის სიკვდილის შემდეგ საერთოდ არაფერზე დალაპარაკებია...

***

... ელენემ თხელი შარფი მოიხსნა. ფეხსაცმელები გაიხადა, უხმაუროდ მიუახლოვდა სავარძელში მჯდარ შვილს და მხარზე დაადო ხელი. ნიკუშამ უხეშად მოიშორა.

– შვილო, დამელაპარაკე... ძალიან გთხოვ.

– მე შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, აბსოლუტურად არაფერი.

– ნიკა, არ შეიძლება ასე. არ შეიძლება... სიკვდილმისჯილებსაც კი აძლევენ უკანასკნელი სიტყვის თქმის უფლებას.

– მე არ გამისამართლებიხარ. უბრალოდ, შენთან ურთიერთობა აღარ მინდა.

– კი მაგრამ, რატომ? რის გამო, ასეთი რა დავაშავე?

– იფიქრე, იფიქრე და მიხვდები.

– აღარ მაქვს დრო. შეიძლება, აქედან მალე გავემგზავრო.

– არ მაინტერესებს, გაემგზავრე. ჩვენ უკვე აღარაფერი გვაქვს საერთო.

– ამას ნუ ამბობ, მე დედაშენი ვარ...

– ვიცი და, სწორედ ამიტომ, კიდევ უფრო მძულხარ.

– მე კი, არავინ მყავს შენზე ძვირფასი.

– თავი დამანებე, სანამ ამ სახლში ცხოვრობ, ეცადე, ნაკლები ურთიერთობა გქონდეს ჩემთან.

ელენეს ნიკაპი აუკანკალდა.

– იცი, რას მეუბნები?

– ვიცი.

– რაში მადანაშაულებ, ეს ხომ მაინც უნდა ვიცოდე?

– მე უკვე გითხარი!

– ნიკა, მე ძალიან მიყვარდა მამაშენი.

– მით უარესი შენთვის, – ნიკუშამ გულგრილად აიჩეჩა მხრები. დედა უხეშად ჩამოიშორა გზიდან. ოთახიდან გავიდა და კარი ხმაურით გაიხურა.

ნიკუშამ პირველად იფიქრა, რომ არც ისე მართალი იყო დედამისის წინაშე, როგორც თვითონ ეგონა. პირველად დაეჭვდა საკუთარი საქციელის გამო და ცოტათი შერცხვა კიდეც. მაგრამ, მამინაცვლისთვის ამის ჩვენება, არც უფიქრია. იმიტომ არა, რომ ეს შეურაცხყოფად მიაჩნდა. მიზეზი სხვა იყო. ნიკუშამ არ იცოდა, რა ინფორმაცია ჰქონდა ამ მოღიმარ კაცს, მისი და დედამისის ურთიერთობის შესახებ.

– ესე იგი, დედაჩემს უნდა, რომ მე პარიზში ჩამოვიდე? – ჰკითხა, უფრო სიჩუმის დასარღვევად.

– ჰო, უნდა. მგონი, ამაში არაბუნებრივი არაფერია. ის დედაშენია და უნდა, რომ შვილი გვერდით ჰყავდეს. ერთადერთი შვილი.

– აი, თურმე საქმე რაში ყოფილა. ერთადერთი რომ ვარ და განუმეორებელი, იმიტომაც ვყოფილვარ ასეთი მოსაფრთხილებელი. როგორც სამუზეუმე ექსპონატი, არა?!

– არ ვიცი. მე შვილი არ მყავს, ამიტომ ამ საქმეში ექსპერტი ვერ ვიქნები. მაგრამ, მე ვხედავ, როგორ ნერვიულობს ელენე. ეს კი ძალიან არ მომწონს. ძალიან...

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– არა, არ არის გასაგები. არაფერი არ არის გასაგები. მე მიყვარს ჩემი ცოლი, ამიტომ ძალიან მაღიზიანებენ ის ადამიანები, რომლებიც მას გულს ტკენენ, ეს რბილად რომ ვთქვათ. ისე კი, ვცოფდები მათზე და არ მიჭირს თავ-პირი დავუნაყო.

ნიკუშამ უნებლიეთ, სიმპათია იგრძნო ამ მოღიმარი მამაკაცის მიმართ, იმასაც მიხვდა, რომ ნელ-ნელა სულ უფრო მოსწონდა.

– კარგი. ესე იგი, ჩემი ცემის სურვილი გაქვთ. სწორად მივხვდი?

– დიახ. თუმცა, ნაწილობრივ, ანუ აუცილებლად გცემდი, ელენეს შვილი რომ არ იყო და დარწმუნებული არ ვიყო იმაში, ამით უფრო დიდ ტკივილს მივაყენებ. ახლა უკვე ყველაფერი გითხარი, რისი თქმაც მინდოდა.

– გარდა ერთისა, როგორ აპირებთ, დედაჩემთან ჩემს ჩაყვანას?!

– მე მაგაზეც გიპასუხე – გადაწყვეტილებას თავად მივიღებ-მეთქი. ელენეს შეუძლია, ძალიან ბევრი გაგიკეთოს და ამით თავისი დედობრივი ვალი მოიხადოს.

– ანუ, სინდისი დაიმშვიდოს თქვენი ფულით. მართალია?

– არა. არ არის მართალი. ჩემი ფული არაფერ შუაშია. დედაშენს თავისი ფული აქვს.

– იმ სურათს გულისხმობთ? უკვე გაყიდა? – აგდებით წარმოთქვა ნიკუშამ.

– არა. ჯერ არ გაუყიდია. ესე იგი, იცი მის შესახებ?

– რა თქმა უნდა. ასეთი ამბები სწრაფად ვრცელდება. მით უმეტეს, როცა საქმეში მედია ერევა. არა, მე პირადად, არ მინახავს სიუჟეტი, მაგრამ ვინც ნახა, მისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემთან გამოქცეულიყო და პირადად ეხარებინა დედაჩემის მილიონები.

– მერე?

– მერე ის, რომ ჩემზე ფული ვერასოდეს ახდენდა შთაბეჭდილებას.

– ჰო. ეს ვიცი. მივხვდი. იმასაც გეტყვი, რომ ამან კიდევ უფრო გაამძაფრა პროტესტი შენში. ამდენი ხნის განმავლობაში არ გინდოდა დედასთან ურთიერთობა და ახლა, უცებ რომ აღდგეს კავშირი, რას იტყვიან ის ადამიანები, შენი სიჯიუტე რომ ხიბლავდათ. მე არ ვამბობ, პრინციპულობა-მეთქი, იმიტომ, რომ პრინციპულობა სხვა რამეა. ამას სიჯიუტე ჰქვია.

– თუნდაც, მაგრამ მე საკუთარ თავთან უნდა ვიყო მართალი.

– მერე, ხარ საკუთარ თავთან მართალი?

ნიკუშამ არ უპასუხა. დაფიქრებული ნელა ატრიალებდა ცარიელ ჭიქას ხელში. ჟანმა გამომცდელი მზერა შეავლო.

– თუ ასე გინდა, ნურაფერს მეტყვი. არ არის აუცილებელი. მთავარი სხვა რამეა. მე მინდა, შენ ერთი ჭეშმარიტება გაიგო. ჩვენ, მე და დედაშენი, ერთი ოჯახი ვართ. ეს არის რეალობა, მოგწონს თუ არა, ამით არაფერი შეიცვლება.

ნიკუშა უსმენდა და იმასაც ხვდებოდა, რომ ჟანი სიმართლეს ამბობდა. როგორც უნდა ეცადა, როგორ ჯიუტადაც უნდა ემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, ელენესთან აღარაფერი მაკავშირებსო, ის მაინც დედამისად რჩებოდა. სწორედ ეს იყო ის, რაც ნორმალურად ცხოვრების, მშვიდად დაძინების საშუალებას არ აძლევდა.

– ესე იგი, ერთმანეთი მამაჩემის საფლავზე გაიცანით და თქვენც მაშინვე გაგიჩნდათ უნუგეშო ქვრივზე ზრუნვის სურვილი, – საუბრის სხვა თემაზე გადატანა სცადა ნიკუშამ.

– შენთვის ეს ასე ძნელი წარმოსადგენია?

– არა. არ ვიცი. ამის პრაქტიკული გამოცდილება არ მაქვს. ქვრივები ჩემი სფერო არ არის.

ჟანს გაეღიმა.

– ისევ თავის დაძვრენას ცდილობ. მოეშვი. ნუ იძაბები. უკვე გითხარი, აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რამე გაიძულო.

– მაშინ, იმ ორი მილიონის ჩემთვის ჩუქებას აპირებთ, რომელსაც ნახატის გაყიდვით მიიღებთ? – სცადა ხუმრობა ნიკუშამ.

– ის ნახატი მე არ მეკუთვნის. შესაბამისად, ვერავის ვერაფერს ვაჩუქებ. ელენე თვითონ გადაწყვეტს, სურათი მისია. მაგრამ, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მის გაყიდვას არ აპირებს. თუმცა, შესაძლოა, შენთან ლაპარაკის შემდეგ, აზრი შეიცვალოს.

– რატომ გგონიათ, რომ მოვინდომებ მასთან დალაპარაკებას?

– მოდი, ნურაფერს ვივარაუდებთ. უბრალოდ, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. მე რამდენიმე დღე დავრჩები. თუ შეგაწუხებს ჩემი საზოგადოება, ისევ სასტუმროში გადავალ.

– ვფიქრობ, რომ არ შემაწუხებთ, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ თქვა ნიკუშამ, – იმედია, ორმაგ თამაშს არ წამოიწყებთ.

ჟანმა მხრები აიჩეჩა.

– მე? საერთოდ არ უნდა გეთქვათ ასეთი რაღაც. თამაში რომ მდომებოდა, ასე არ მოვიქცეოდი.

ნიკუშა მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა.

– ბოდიში. ცოტა ვნერვიულობ.

– გასაგებია. მესმის შენი. კიდევ ხომ არაფერი ავიღოთ? რამე დესერტი შევუკვეთოთ.

– თქვენ შეუკვეთეთ. მე ცოტა ხნით გავალ, გარეთ სიგარეტს მოვწევ.

ჟანმა თავი დაუქნია. ნიკუშამ სიგარეტის კოლოფი აიღო და გავიდა. ჟანმაც ისარგებლა იმით, რომ მარტო დარჩა, ცოლს დაურეკა და მისი ხმის გაგონებისთანავე, სანამ ქალი საყვედურებით აიკლებდა, სულმოუთქმელად მიაყარა.

– ვიცი, ვიცი, ცუდად მოვიქეცი, რომ პირობა დავარღვიე და ამდენ ხანს არ დაგირეკე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. ვერ შევძელი. მართლა. არა, არ დამვიწყებია. საყვარელო, სულ ტყუილად მადანაშაულებ. ყველაფერი კარგად არის. სასტუმროდან წამოვედი და ალბათ, შენს შვილთან ვიცხოვრებ. რისი გეშინია? ღმერთო, რა ბავშვი ხარ... რატომ უნდა ვიჩხუბოთ. არა, არანაირი პრობლემა არ არსებობს. კარგად გავუგეთ ერთმანეთს. რატომ უნდა მოგატყუო. ნამდვილად ისეა, როგორც მე ვამბობ. რა თქმა უნდა. მიყვარხარ... იცი? თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მე ვფქრობ, შენც შეძლებ აქ ჩამოსვლას, თუ შენ თვითონ მოგინდება, რა თქმა უნდა. კარგი. მეც ეგ მიმაჩნია უკეთეს ვარიანტად. ახლა? ახლა ჯერ ისევ რესტორანში ვართ. ვვახშმობთ და მინდა გითხრა, აქ ძალიან მომწონს.

რესტორნის წინ, ხესთან მდგარი ნიკუშა ხარბად ეწეოდა სიგარეტს. გაჩერებული მანქანა ვერ შენიშნა. ვახო ლამის გადმოხტა იქიდან და ჩაფიქრებულ ნიკუშას ეცა.

– აჰა, აი, თურმე, სად ბრძანდება ვაჟბატონი. ხომ გითხარი, ამ რესტორანში იქნებიან-მეთქი. ვიცი, რა, ვიცი ფრანგული ღორმუცელობის ამბავი. ამასაც ვიცნობ... ბიჭო, რა უყავი იმ კაცს, შენ გეკითხები, რა უყავი-მეთქი შენს მამინაცვალს? გადარიე და გააქციე, ხომ?

ამასობაში დათომაც მოაყენა მანქანა და გადმოვიდა. ნიკუშა დაბნეული და გაოცებული მიაჩერდა ორივეს.

– რას გვიყურებ, ბიჭო? სულ შენ უნდა იყო სადევნელი? აბა, სად არის შენი სტუმარი?

– მე მეძებდით? რატომ? – ნიკუშამ სიგარეტის ნამწვი გადააგდო.

ვახომ ხელები გაშალა და დათოსკენ შებრუნდა.

– უყურე ამას?! რატომ მეძებდითო. ეცი ამისთანას პატივი. რა ღირსი ხარ, საერთოდ, ასე რომ ვზრუნავთ შენზე. რატომ არ დაგვირეკე. ამას ვიმსახურებთ შენგან? გოგიჩა რომ არა, საერთოდ ვერაფერს გავიგებდით.

– მოიცა, მოიცა, ესე იგი, გოგიჩამ შეგყარათ? რაო, მაინც რა გითხრათ ამისთანა, რომ გამოცვივდით?

– შენ ჯერ ჩემს კითხვას გაეცი პასუხი, – გაბრაზდა ვახო, – რატომ არ დამირეკე, ბიჭო, ის კაცი თუ ჩამოვიდა?

– არ მივიჩნიე საჭიროდ.

– ვაჰ, არ მიიჩნია საჭიროდ! – გამოაჯავრა ვახომ, – დიდი ხანია, ასეთი დახვეწილი ფრაზებით მეტყველებ? დაგავიწყდა, რომ ერთი გუნდი ვართ?

– არა. არ დამვიწყებია, მახსოვს. მაგრამ, ისიც ვიცი, რომ არსებობს პირადი საქმეები, რომლებიც მარტო მე უნდა გადავწყვიტო.

– მოვკლავ ამას, – ვახომ ისევ დათოს შეხედა.

– მორჩით! ახლა ჩხუბის დრო არ არის. ნიკუშ, გაგვიძეხი და გაგვაცანი შენი მამინაცვალი.

ნიკუშა გაწითლდა.

– მამინაცვალი არა, იხვის ტოლმა.

– ეე, შენ გინდა თუ არა, ის კაცი მაინც შენი მამინაცვალია. ერთი სული მაქვს, სანამ გავიცნობ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მომეწონება, – ვახომ ხელები მოიფშვნიტა.

– მოდი, ხვალისთვის გადავდოთ თქვენი წარდგენა.

– ხვალისთვის, რატომ? ბარემ რესტორანში მოვსულვართ, სუფრა იდეალური ადგილია ნაცნობობისთვის.

– ჰო, მაგრამ არ დამაცდით, ჯერ მე თვითონ გავიცნო ის კაცი?

დათომ საათზე დაიხედა.

– რას გეტყვი, იცი? შენ დრო გქონდა მის გასაცნობად. ახლა ჩვენი ჯერია. წადი, უხერხულია, მარტოა ის კაცი.

– იქნებ, მოასწრო უკვე და დაცოფა, – შეუბღვირა ვახომ.

– აუუ, კარგი რა! ჩემიც მეყოფა. ლამის გული გამისკდეს. თქვენ რა გენაღვლებათ, ყველაფერზე ღადაობთ.

– ბიჭო, ვინ ღადაობს, რა უმადური ვინმე ხარ. საღადაოდ მოვირბინეთ ნახევარი ქალაქი? შენზე ნაკლებად ვნერვიულობთ, გგონია? იცოდე, არაფერი მიჰქარო, თორემ შემომაკვდები!

– კარგი, რა, ვახო... – ნიკუშამ ხელი ჩაიქნია.

– მოიცა, ბიჭო. იმ შენს ნატუკასთან ერთად ხომ არ ხარ. ვაიმე, ეგრევე გავგიჟდები! – თქვა უცებ ვახომ.

– არა, ტო, რა ნატუკა?! ჯანდაბა, წამოდით, გაგაცნობთ, მაგრამ, ვახო, არ დაიწყო შენებური. დათოს იმედი მაქვს. ეს ზედმეტს არაფერს წამოროშავს, მაგრამ შენ ზოგჯერ „ურევ„ და მართლა არ მინდა იმ კაცთან გამაბანძო.

ვახოს სახე მოექცა.

– მე ვურევ და მე გაგაბანძებ? მე?! აუ, ეს ჯერ პარიზში არ წასულა და რა დღეშია. მერე რაღას იზამს. გამარჯობას აღარ გვეტყვის, მით უმეტეს, თუ დედამისის მილიონებიც ამას დარჩა.

– კიდევ ერთი სიტყვაც და ცხვირ-პირს დაგინაყავ! – გაიქაჩა ნიკუშა, დათომ იმარჯვა და მეგობრებს შორის ჩადგა.

– ეე, გეყოფათ! ჩხუბის დროა? ბავშვებივით ნუ იქცევით. ნუ ფახიფუხობ, ბიჭო, მიუბრუნდა ნიკუშას, – თუ იმდენს ვერ ხვდები, რომ აქ შენ გამო ვართ, კარგად ყოფილა შენი საქმე და საერთოდ, ეს არ უნდა იყოს სალაპარაკო. ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის სამაგალითო იყო და არ მინდა, რამე შეიცვალოს.

– ჰოო? არც მე მინდა, მაგრამ დედაჩემის მილიონების ხსენება, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისობაა.

– მე ვარ, ბიჭო, უსინდისო? მე?! – ვახო გაფითრდა, – ეს მართლა უმადური ყოფილა.

– მორჩით, რა! ნიკუშ, მარტოა იქ ის კაცი?

– ჰო! – უხალისოდ ჩაიბურტყუნა ნიკუშამ.

– შევედით მაშინ და მორჩეს ეს უაზრო კამათი, – დათომ მკაცრად შეხედა ორივეს და რესტორნის შემინული კარი გააღო. ვახო და ნიკუშა მორჩილად მიჰყვნენ უკან.

***

ზურაბი არ ელოდა სიძე-ქალიშვილის გამოჩენას. რაც ლევანს თავისი საიდუმლო გაუმხილა, ყოველთვის თვითონ ურეკავდა და შეხვედრას სთხოვდა. ლევანს ერთხელაც არ გამოუჩენია ინიციატივა. ამიტომ გაუკვირდა, როცა ლევანმა მისი საძინებლის კარი შეაღო.

– ვიცი, რომ არ გძინავთ. ამიტომაც დიანასთვის არაფერი მითქვამს. თუ საერთოდ არ გავაღვიძებთ, კარგი იქნება, – უთხრა სიმამრს და ხალათი გაუწოდა. ქვემოთ ჩავიდეთ, ბიბლიოთეკაში. თიკაც აქ არის და ჩაის გვიმზადებს. იქ მშვიდად დავილაპარაკებთ. ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის.

ზურაბმა გაოცება ვერ დამალა. კომოდიდან სათვალე აიღო და საათს ჩააშტერდა.

– თორმეტის ნახევარია, – სწრაფად მიუგო ლევანმა, – გეთანხმებით, ცოტა გვიანია, მაგრამ დილამდე ვერ დავიცდიდი. თქვენვე არ მოგეწონებოდათ, ეს საუბარი ხვალისთვის რომ გადამედო.

– ამისთანა რა უნდა მითხრა? – როგორც იქნა, გონზე მოეგო ზურაბი და სიძეს ეჭვით შეხედა.

– სერიოზული სალაპარაკო გაქვს და თიკაც აქ არის? კი მაგრამ, თიკას ამ ამბავთან რა კავშირი აქვს?

– პირდაპირი, ბატონო ზურაბ, პირდაპირი. ყველაფერი იცის.

ბატონი ზურაბი გაშრა. ლევანმა დაუფარავი ირონიით გაუღიმა.

– დიახ. ყველაფერი მოვუყევი.

– კი მაგრამ, რატომ?

– გირჩევთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ნერვებსაც გაუფრთხილდით. დაგჭირდებათ, – იმავე ტონში გააგრძელა ლევანმა.

– რა თავხედი ხარ, მაგრამ ჩემი ბრალია. მე მოგეცი იმის საშუალება, რომ ასე გელაპარაკა ჩემთან. რატომ მოუყევი თინიკოს ყველაფერი, გინდა, შვილი დამაკარგვინო?

– დაგაკარგვინო? რას ამბობთ. ეგ არც მიფიქრია. თინიკო ჩემი ცოლია, ცოლს და ქმარს შორის კი, დაფარული არაფერი უნდა იყოს.

ზურაბი გააცოფა სიძის უტიფარმა ღიმილმა.

– ესე იგი, შვილი დამიპირისპირე... აქაც ამის სათქმელად მოხვედი, დილამდეც იმიტომ არ მოიცადე. გინდა, რომ ცხოვრება გამიმწარო, მაგრამ მინდა, გაგაფრთხილო, ამით ვერაფერს მიაღწევ.

– თქვენ გეჩვენებათ, ბატონო ზურაბ. არაფრის მიღწევას არ ვცდილობ. იმას ნუ დამაბრალებთ, რაც არ ჩამიდენია.

– ოჰ, როგორ გამომიჭირე... მაგრამ არა უშავს. თუ ფიქრობ, რომ ჩემი დრო უკვე წავიდა, ძალიან ცდები.

– ბატონო ზურაბ, ასე რატომ ნერვიულობთ, საყვარელი ვის არ ჰყოლია?! რა საჭიროა, ასეთი ემოციები. ან, იქნებ გგონიათ, რომ თქვენს შვილს თქვენი უმწიკვლობის სჯერა?!

ზურაბმა კბილები გააღრჭიალა.

– ფრთხილად, ლევან! ჩემთან ასეთი თამაში შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს შენთვის.

– ჰო. ვიცი. ჯერ ისევ ბასრი კლანჭები გაქვთ, მაგრამ რატომღაც არ მეშინია. ნეტავი, რატომ?!

ზურაბს აღარაფერი უთქვამს. ამოიოხრა და ლევანს გაბოროტებულმა შეხედა. ლევანმა მხოლოდ გაიღიმა.

თინიკომ ისე დაალაგა ჩაით სავსე ფინჯნები პატარა მაგიდაზე, მამამისისთვის არც შეუხედავს. მერე მოშორებით მდგარ სავარძელზე ჩამოჯდა და აშკარად შეეტყო, რომ მოსასმენად მოემზადა. ზურაბმა ისევ ვერ შეიკავა თავი.

– მე ასე არ შემიძლია. ეს რა უბედურებაა, დაკითხვაზე ვარ? თიკა ან აქეთ დაჯექი და ნორმალურად დამელაპარაკე, ან საერთოდ გადი ოთახიდან.

– მირჩევნია, ასე ვიჯდე. სხვათა შორის, შენთვისაც ეს არის უკეთესი.

– სასამართლოს მიწყობთ თუ რაშია საქმე. თუ მე ვინმესთან რამე მქონდა, ეს შენს დაბადებამდე იყო, ვალდებული არ ვარ, თავი გავიმართლო.

– მერე, გთხოვ, თავი გაიმართლე-მეთქი? – თიკამ მკაცრად მოკუმა ტუჩები. ზურაბმა იცოდა, რას ნიშნავდა შვილის ეს ჟესტი. თინიკო საშინლად იყო გაბრაზებული. ისიც იცოდა, რომ ასეთ დროს უკანდახევა უფრო იყო გამოსავალი, რადგან შვილის ფეთქებადი ხასიათიდან გამომდინარე, ყველაზე მოულოდნელისთვის უნდა ყოფილიყო მზად.

– თინიკო, შვილო, შენ ხომ იცი, რომ არასოდეს გიღალატებდი?!

თიკამ ჩაიცინა. ზურაბმა კიდევ სცადა...

– მეტსაც გეტყვი, მე არც დედაშენისთვის მიღალატია. ის რაც იყო, ადრე იყო, გეფიცები, მაშინ ცოლი არ მყავდა. ბუნებრივია, შენც არ მყავდი.

– სულ ტყუილად ლაპარაკობ იმაზე, რაც საერთოდ არ მაინტერესებს. ღალატზეც განსხვავებული წარმოდგენა გვაქვს, ამიტომ გირჩევ, ლევანს მოუსმინო. აქ შენთან საჩხუბრად არ მოვსულვარ, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული მიზეზი მაქვს საამისოდ, ძალიან სერიოზული.

ზურაბი დაიძაბა.

– სერიოზული მიზეზი? ესე იგი, იმის გამო, რომ მე შენი ქმრის მეგობრის დედასთან რაღაც მქონდა, არ მიბრაზდები?

– როგორ თქვი? – შენი ქმრის მეგობრის დედასთანო... – ჩაიცინა თიკამ, – რა გულისამრევია. რომ ვფიქრობ, ცუდად ვხდები. საკუთარი თავი მძულს, რადგან შენთან ერთად ვზივარ ამ წუმპეში.

– თინიკო, ეს ჩემი წარსულია, მაშინ არც ნიკუშა იყო დაბადებული და არც შენ?

– მართლა? – ეჭვით იკითხა თინიკომ, – მერე, ჯერ ნიკუშა გაჩნდა, მერე – მე. ნიკუშა, მგონი, ცოტათი უფროსია ჩემზე. თუ მე ვარ მასზე უფროსი. შენ როგორ იცი?

ზურაბმა სიძეს გადახედა. ლევანი დუმდა.

– გამაგებინეთ, რისთვის მოხვედით. რა გინდათ ჩემგან?

– ჟანი ჩამოვიდა, – ლევანმა სიგარეტს მოუკიდა.

– ვინ? – მაშინვე ვერ მიხვდა ზურაბი.

– შენი ყოფილი საყვარლის ქმარი. იმ საყვარლის, ორ მილიონად შეფასებული ნახატი რომ გაატანე მზითევში და კიდევ იტყვი, ოჯახისთვის არ მიღალატიაო?!

– არ ვიცოდი, ის დაწყევლილი ნახატი ასე ძვირი თუ ღირდა. არ ვიცოდი, თორემ არ ვაჩუქებდი! – იყვირა ზურაბმა, – არ ვიცოდი, არა! წარმოდგენა არ მქონდა!

– მჯერა, – მშვიდად დაეთანხმა თინიკო, – მხატვრობაში ყოველთვის ცუდად ერკვეოდი. ეს არ არის პრობლემა. პრობლემა ის არის, რომ იმ სურათით ის ქალი თავიდან მოიშორე. ყოველ შემთხვევაში, სცადე, რომ მოგეშორებინა. ესე იგი, თავს დამნაშავედ გრძნობდი მის წინაშე. საინტერესოა, ასეთი რა დაუშავე.

– ცოლად არ შევირთე, სულ ეს არის ჩემი დანაშაული. სხვა არაფერი ჩამიდენია, – ზურაბს ხელები აუკანკალდა, – რომელ კაცს არ გაუკეთებია იგივე. მითხარი, შენი ქმარი უცოდველია და შენ გარდა ქალი არ ჰყოლია? ეს რა უბედურებაა, რა თქვენი საქმეა, ვისთან ვიწექი?!

– ბატონო ზურაბ, ნუ ყვირით. ქალბატონ დიანას გააღვიძებთ და ეს საუბარი გაცილებით უსიამოვნო იქნება, – მშვიდად გააფრთხილა ლევანმა სიმამრი, – თქვენ ვერ გაგვიგეთ. ჩვენ თქვენი მტრები არ ვართ. პირიქით, გვინდა, რომ დაგეხმაროთ.

– ჰო. რა თქმა უნდა, უნდა დამეხმაროთ. იმიტომ, რომ თქვენს ფულზეა ლაპარაკი. მე იმ ასაკში ვარ, მილიონებიც რომ აღარ ხიბლავთ. მით უმეტეს, რომ საკმარისი ქონება მაქვს,

უზრუნველი სიბერე რომ მოვიწყო. ელენემ არ მაპატია, რომ მის თავს დიანა ვამჯობინე. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ დამნაშავედ ნამდვილად არ ვგრძნობ თავს. მე ის გავაკეთე, რაც ჩემი მომავლისთვის უკეთესად მივიჩნიე. ეს რომ არ მექნა, ახლა სხვანაირად ილაპარაკებდით. შენც სხვანაირად ილაპარაკებდი, ქალბატონო თინათინ. მაშინ აღარ მომადგებოდი და არ მეტყოდი, რომ უღირსი საქციელი ჩავიდინე. ელენე იყო ჩემი საყვარელი, მაგრამ ეს – წარსულში. ძალიან ვნანობ, რომ მაინცდამაინც ის ნახატი ვაჩუქე. ვაღიარებ, ვნანობ!

– კიდევ, კიდევ რას ნანობ? – დაჟინებით მიაშტერდა თინიკო.

– იმას, რომ შენთვის ამდენი გავაკეთე. იმიტომ გაქვს ჩემ მიმართ ასეთი პრეტენზიები.

– შვილსაც მაგიტომ ხომ არ მიმხედრებ?! – ვეღარ მოითმინა თინიკომ. ლევანის საყვედურით სავსე გამოხედვა არაფრად ჩააგდო, წამოხტა და მამამისს წინ დაუდგა. რა სისულელეები ელაპარაკე ზუკას.

ზურაბი არ ელოდა ასეთ თავდასხმას.

– რას ამბობ?

– ოღონდ, არ მითხრა, რომ არ იცი, რაზე გელაპარაკები. გადარეული იყო ბავშვი. მაგრამ, რა მიკვირს, შენ ხომ ყველა, შვილიშვილიც კი, საკუთარი ბინძური გეგმების განსახორციელებლად გჭირდება. მამა, იცოდე, ზუკას ვეღარასდროს ნახავ! არ მოგცემ საშუალებას, შვილი მტრად გადამკიდო!

– ოო, ეს არ ვიცოდი, – თითები გაატკაცუნა ლევანმა, – ბატონო ზურაბ, ორმაგ თამაშს თამაშობთ? არ იცით, რომ არასრულწლოვანებზე მორალური ზემოქმედება კანონით ისჯება? თინიკო, ხომ გეუბნებოდი, ბავშვს მამაშენთან ნუ ტოვებ-მეთქი.

– ეს შანტაჟია. პირი შეკარით... იცით, ზუკა ყველაზე და ყველაფერზე მეტად რომ მიყვარს და ამით მანიპულირებთ. ოღონდ, არ მესმის, ამით რისი მიღწევა გინდათ, – ზურაბმა მკერდზე მიიდო ხელი.

– გული რომ გაგისკდეთ, ეს ნამდვილად არ გვინდა. თინიკოსა და თქვენს საქმეში მე არ ჩავერევი, მაგრამ, თუ ის, რაც ჩემმა ცოლმა თქვა, მართალია, საქციელს ვერ მოგიწონებთ. მოკლედ ასე, ის ფრანგი აქ არის, – გადავიდეთ ძირითად საქმეზე.

– ელენეს ქმარი ჩამოვიდა? რისთვის? თუმცა, გასაგებია, ალბათ, დედა-შვილის შერიგება უნდა, – ზურაბი განადგურებული იყო. ის ჯერ კიდევ თინიკოს სიტყვებზე ფიქრობდა.

– მეც ასე მეგონა, ერთი სიტყვით, ჩვენი შანსები სურათის დასაბრუნებლად დღითი დღე მცირდება. თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არ გაქვთ გადამალული სახელოში მთავარი კარტი.

– რა კარტი, რა სახელო? – ზურაბმა ხალათის საყელო მოიღეღა.

– სიმართლე უნდა გვითხრათ, ბატონო ზურაბ. აი, თქვენი ქალიშვილიც აქ არის და ჩემზე მეტად აინტერესებს ეს ამბავი...

– რა ამბავი? თქვი, ვიხრჩობი, ჰაერი აღარ მყოფნის, – ჩურჩულზე გადავიდა ზურაბი.

– კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, შეიძლება, ნიკუშა თქვენი შვილი იყოს?! და კიდევ, რაიმე კავშირი ხომ არ გაქვთ იმ საცოდავი კაცის, ელენეს ყოფილი ქმრის სიკვდილთან? – უკანასკნელი სიტყვები ლევანმა ნელა, დამარცვლით წარმოთქვა და ცოლს გახედა. თინიკო წარბშეკრული იჯდა და მამამისს გამომცდელ, მკაცრ მზერას არ აცილებდა... ზურაბს ჰაერი აღარ ეყო.

***

კაბინეტში მხოლოდ ერთი, მაგიდის ნათურა ენთო და ოთახს მისი სუსტი შუქი სანახევროდ ანათებდა. მაგიდასთან ორი კაცი იჯდა. ერთმანეთის პირისპირ. ერთი ნერვიულად ათამაშებდა თითებს მაგიდის ზედაპირზე, მეორეს გამარჯვებული მოთამაშის ღიმილი ჰქონდა სახეზე, მაგრამ ბინდში არ ჩანდა.

– მე ამ საბუთებს ხელს არ მოვაწერ, – თქვა იმან, რომელიც ნერვიულობდა. მეორემ არ უპასუხა.

– გესმის? მე ვიცი, ეს რაც არის და ვერ მაიძულებ ის გავაკეთო, რაც ამ ქვეყანას დააზარალებს.

– დააზარალებს? ამას ვინ ამბობს? არ მითხრა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში პატიოსნად მუშაობდი, სულერთია, მაინც არ დაგიჯერებ.

– შეგიძლია, არ დამიჯერო, მაგრამ ისეთი მართლა არაფერი ჩამიდენია, რომ საკუთარი თავის მრცხვენოდეს.

– ვითომ? – ზურაბი ადგა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. სერგი დაძაბული ადევნებდა თვალს მის ყოველ ნაბიჯს.

– არ გჯერა?

– არა. არ მჯერა და იცი, რატომ? შენს ცოლს ვიცნობ კარგად.

სერგო გაქვავდა.

– არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ იძულებული გამხადე. რად გინდოდა, პატიოსნების თამაში. მე ხომ ყველაფერი ვიცი. წარმოუდგენელია, ელენეს გვერდით იცხოვრო, იმ ჰაერით ისუნთქო, რომლითაც ის სუნთქავს და თქვა, რომ პატიოსანი ხარ.

– შენ... შენ როგორ ბედავ ჩემს ცოლზე ამ სიბინძურეების ლაპარაკს... – ამოიხრიალა სერგიმ. ზურაბმა შეხედა და მაშინვე წყლიან გრაფინს მოჰკიდა ხელი.

– აი, გამომართვი და დალიე, ცუდად არ გახდე. ხომ გითხარი, არ მინდოდა-მეთქი, მაგრამ შენი ბრალია, სხვა გამოსავალი არ დამიტოვე. დალიე, დალიე, არაფერში მჭირდება შენი სიკვდილი.

– ნაძირალა ხარ! – წყლიან ჭიქას ხელი ჰკრა სერგიმ, – არაკაცი! მითხარი, რა იცი ჩემს ცოლზე. რა იცი ელენეზე. მითხარი, ახლავე მითხარი, თორემ ჩემი ხელით მიგახრჩობ! – სერგიმ მისკენ გაიწია.

– დამშვიდდი. ხომ არ გგონია, ჩემსავე კაბინეტში ამის გაკეთების უფლებას მოგცემ. ახლავე გამოვუძახებ დაცვას. ისევ შენი ხელქვეითი ხომ არ გგონივარ. რა ვიცი ელენეზე? ისეთი არაფერი, რომ ასეთ გაგიჟებად ღირდეს. მით უმეტეს, რომ წარსული მაინც წარსულია. იცი, რა, დავივიწყოთ, რაც აქ, ამ კაბინეტში მოხდა. მოაწერე ხელი ამ საბუთებს და მოვრჩეთ საქმეს. შვილზე, ოჯახზე იფიქრე.

– ახლა ვიფიქრო შვილზე და ოჯახზე?.. – სერგიმ ხმაურით გამოსწია სკამი, – მე მივდივარ. ელენეს ვაიძულებ, სიმართლე მითხრას, რა აკავშირებს შენნაირ ბინძურ ღორთან. მერე კი დავბრუნდები და ყველაფერზე პასუხს გაგებინებ!

– ნუ მემუქრები. კარგად იცი. აი, აქ მიზიხარ, ხელისგულზე, – ზურაბმა გაშლილი ხელისგული დაანახვა, – საკმარისია, სულ ოდნავ მოვუჭირო, თითები მოვხარო, რომ... რაც შეეხება ელენეს, ეჭვი მეპარება, სიმართლე გითხრას. ერთი ჩვეულებრივი ძუკნაა და მეტი არაფერი. კიდევ შენ გცემდი პატივს და ხმას არ ვიღებდი. ეტყობა, ჯეროვნად ვერ დააფასა ჩემი კაცური ჟესტი.

– ნაძირალა! – სერგიმ ზურაბისკენ გაიწია. ზურაბი მოემზადა კიდეც თავდასხმისთვის, ხელიც კი წაიღო ყურმილისკენ, მაგრამ მოულოდნელად სერგი შებრუნდა და კაბინეტიდან გავარდა...

***

– „წყალი მოუტანე მამაშენს. მგონი, ცუდად არის„, – ჩაესმა ზურაბს სიძის ირონიული ხმა და გამოერკვა.

– არ მინდა, კარგად ვარ. უბრალოდ, ჩავფიქრდი.

– გენიშნათ ჩემი სიტყვების?

– რა სისულელეა. მე მსგავსი აბსურდი არასოდეს მომისმენია. თქვენ არაფერი იცით ჩემი და სერგის ურთიერთობის შესახებ. ძალიან განვიცადე მისი სიკვდილი. ფაქტობრივად, საკუთარ ძმად მიმაჩნდა. თუ დღეს რამეს წარმოვადგენ, მისი დამსახურებაა.

ლევანმა თავი გადააქნია.

– საკუთარ სიმამრს რატომ უკარგავთ დამსახურებებს. ვიცი, რომ ბევრი გააკეთა თქვენთვის, მის ხსოვნას მაინც ეცით პატივი.

– ლევანი მართალია. ყველამ იცის, რომ თანამდებობას ბაბუაჩემის წყალობით მიაღწიე, – ქმარს მხარი აუბა თიკამაც, – მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, რა კავშირია ჩემსა და ნიკუშას შორის?

– არაფერი. რატომ არ გესმით, არაფერი. ჩემსა და ელენეს შორის იქამდე იყო რომანი, სანამ ოჯახებს შევქმნიდით. მორჩით, ამაზე ლაპარაკს, საკმარისია!

– არ მჯერა, – წამოიყვირა თიკამ, – შენი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. ელენეს უნდა ვკითხო.

– ჰკითხე, მერე, აღარ დაუთმო ზურაბმაც, – ხომ იყავი პარიზში, ხომ შეხვდი ელენეს, რატომ არ ჰკითხე, რამ შეგიშალა ხელი?

– მე, მე შევუშალე, – საუბარში ჩაერთო ლევანი, – დიახ. თინიკო იქ საერთოდ არ ყოფილა. მე შევხვდი ელენეს, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია, რომ ქმრის ნიკუშასთან გამოგზავნას აპირებდა. მორჩა, მე გავდივარ ამ საქმიდან!

– მოიცა, მოიცა, სად გადიხარ? ესე იგი, მარტო მე მადარდებს ის მილიონები?

– ეს უკვე თქვენი პრობლემაა. თინიკო, წავიდეთ!

– ესე იგი, აქ ამის სათქმელად მოხვედით?! – ზურაბს ფერი აღარ ედო სახეზე.

– რა, გიკვირთ? ზუსტად იმიტომ მოვედით, რომ საქმის კურსში ჩაგაყენოთ: ვიხსნი პასუხისმგებლობას და თინიკოსაც არ მივცემ უფლებას, ამ საქმეში ჩაერიოს.

– ესე იგი, მარტო მტოვებთ...

ლევანმა მხრები აიჩეჩა.

– რაც გინდათ, ის იფიქრეთ. ოღონდ არ გეგონოთ, რომ ჯიბრს გიწევთ, იმიტომ რომ ოდესღაც ჩემი ძმაკაცის დედასთან იწექით.

– ღმერთო, რა დავაშავე ასეთი! – ამოიოხრა ზურაბმა, – მე რას გავაკეთებ მარტო. გამოდის, იმ ორ მილიონზე უარი უნდა ვთქვათ.

– არც ისეთი უსუსური ხართ, როგორც თავს მაჩვენებთ. დარწმუნებული ვარ, რაღაცას მოიფიქრებთ. შემიძლია, ელენეს პარიზის სახლის მობილური მოგცეთ.

– ლევან, არ მჯერა, რომ ამხელა ფულზე უარს ამბობ, არ მჯერა...

– თქვენი ნებაა. გნებავთ, დაიჯერეთ, გნებავთ – არა. ფაქტია, რომ აღარ ვაპირებ ამ თამაშში მონაწილეობის მიღებას. თინიკო, წავიდეთ. ბავშვი მარტოა, ცოდოა.

თინიკო ადგა და ქმრის გამოწვდილ ხელს თავისი მიაგება.

– მე არაფერს ვეტყვი დედაჩემს. იმიტომ არა, რომ შენ მეცოდები. დედაჩემს არ ავუშლი ნერვებს. ამად ნამდვილად არ ღირხარ.

შვილის და სიძის წასვლის შემდეგ, ზურაბმა დამამშვიდებელი ტაბლეტები მოძებნა და სამი ცალი ერთად დალია.

ბედს არ უყვარს დამარცხებულები. დამარცხებულები არც ადამიანებს უყვართ. მართალია, ჭკუას არც გამარჯვებულებზე კარგავენ, მაგრამ მათი რიდი აქვთ, კიდევ შიში და ცოტაც – შური. თუმცა შური მაინც პირადულია და მისი რაოდენობისა და ხარისხის დადგენა ცოტა

ჭირს. ყოველ შემთხვევაში, თუ გინდა, ცხოვრებაში რამეს მიაღწიო და, საერთოდ, რამეს წარმოადგენდე, უნდა გარისკო. ისიც ხომ არის საყოველთაოდ ცნობილი, რომ, ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს სვამს. მაგრამ, რისკიც არის და რისკიც... ბედი არც ქარის წისქვილებთან მებრძოლებს სწყალობთ მაინცდამაინც...

***

ვახომ კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი ჟანს, მანქანამდე მიაცილა და გამომშვიდობების ნიშნად ერთმანეთზე გადაჭდობილი ორივე ხელი მაღლა ასწია.

– მაგარი კაცია. ძალიან მომეწონა, – მიუბრუნდა დათოს, რომელიც აშკარად არ იზიარებდა მის აღფრთოვანებას, სიგარეტს ეწეოდა და ჩაფიქრებული ათამაშებდა ხელში სანთებელას. ვახოს არ მოეწონა მისი სიჩუმე.

– შენ არ მისმენ? მაგარი კაცია-მეთქი.

– შენ ყველა მოგწონს, – მოკლედ მოუჭრა დათომ და თავი გადააქნია.

– მოიცა, ტო... რა, ცუდი ტიპია? რამე შეეშალა? – გაცხარდა ვახო.

– ახლა შენთან ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ისეთი აჟიტირებული ხარ, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიგებ. მოგვიანებით აგიხსნი...

– არა, მოგვიანებით გვიან იქნება. ახლა მოგიწევს, ამიხსნა. ხომ იცი, რა მოუთმენელი ვარ. ვერ მოვიცდი. თქვი, რა შეეშალა!

– თუნდაც ის, რომ მანქანაში არ ჩაგვიჯდა, – ნიშნისმოგებით ჩაიცინა დათომ.

– რა? – გაუკვირდა ვახოს.

– რა და, რატომ არ ჩაგვიჯდა მანქანაში არც მე და არც შენ, ტაქსი რატომ გამოაძახებინა ოფიციანტს? შენ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევ.

– იმიტომ რომ, არც ღირს ამად. რას ხედავ განსაკუთრებულს და არაჩვეულებრივს იმაში, რომ ნიკუშასთან პირისპირ უნდოდა დარჩენა! ცოტა ხომ არა აქვთ სალაპარაკო?

– ჰო?! შენ ასე ფიქრობ?

– რა თქმა უნდა, – დარწმუნებით თქვა ვახომ.

– მე პირიქით მგონია. რაც ჰქონდათ სალაპარაკო, უკვე ილაპარაკეს ჩვენს მოსვლამდე. ეგ ჟანი საერთოდ არ იცნობს ნიკუშას, დღეს პირველად ნახა.

– სწორედ მაგიტომ, რომ დღეს ნახა პირველად, ბევრი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი, – უპასუხა ვახომ და ერთბაშად გაცხარდა: – შენ რა მიტოვებული საყვარელივით ეჭვიანობ, ტო! პირიქით, უნდა გვიხაროდეს, რომ ბოლოს და ბოლოს, ნიკუშას პატრონი გამოუჩნდა. იქნებ ეშველოს რამე!

– უნდა გვიხაროდეს და ცას უნდა ვწვდებოდეთ ბედნიერებისგან, ოღონდ, თუ დარწმუნებულები ვიქნებით, რომ მოვლენები ნიკუშას სასარგებლოდ განვითარდება.

– აბა, ვის სასარგებლოდ უნდა განვითარდეს, ტო?.. – გადაირია ვახო, – შენი ჭირიმე, ხომ იცი, რებუსებზე რა მემართება! პირდაპირ მითხარი, რას გულისხმობ?

დათომ ცხვირი შეიჭმუხნა:

– შენ იცი იმ ნახატის შესახებ, ხომ მართალია?

– მოიცა, რომელი ნახატის... მილიონი რომ ღირს?.. რა არის, იცი? მეეჭვება, ის რაღაც ნაჯღაბნი მაგხელა თანხად გაიყიდოს. მე მასში ამ ფასის მეათედსაც არ გადავიხდიდი.

– ჯერ ერთი, ის სურათი ორ მილიონზე მეტი ღირს. ყოველ შემთხვევაში, ასე თქვეს. მეორეც, შენთვის, შეიძლება, ნაჯღაბნია, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც ასეთ შედევრებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს – მათ შეძენაში ხედავენ თავიანთი ცხოვრების აზრს.

– რა გამოლევს ამ ქვეყანაზე გიჟებს... – ჩაიბურტყუნა ვახომ.

– მომისმინე. საქმე ის არ არის, ვინ იყიდის იმ სურათს და, მით უმეტეს, ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს იმ ტიპის ფსიქიკური მდგომარეობა.

– აბა, რა გინდა? ხომ გთხოვე, გარკვევით გელაპარაკა!

– მაცდი? სამჯერ მაინც გამაწყვეტინე სათქმელი, – მოთმინება დაკარგა დათომ, – მოკლედ, ასე, მე მაგ ჟანის კეთილ ზრახვებში ეჭვი მეპარება.

– მოიცა, რას ნიშნავს, ეჭვი გეპარება?

– ზუსტად იმას, რაც გაიგე. ეჭვი მეპარება, რომ მაგ ტიპს ნიკუშასთვის სიკეთე უნდოდეს, – დათომ სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა.

– აბა, რისთვის ჩამოვიდა, ტო? – ხელები გაშალა ვახომ, – გამაგიჟებთ მე თქვენ!

– იმისთვის, რომ ჩვენს მიამიტ და გულუბრყვილო ძმაკაცს დედამისთან საბოლოოდ გაუფუჭოს საქმე და ერთადერთი მემკვიდრე გზიდან ჩამოიშოროს.

– ნიკუშას ფულები უნდა? არა, ტო... რაში სჭირდება, გრაფია...

– შენც მაგარი ბოთე ხარ ზოგჯერ! – გაცხარდა დათო, – გრაფი რა შუაშია! გრაფებმა ფულის ცნობა არ იციან თუ რაშია საქმე? დაფიქრდი, სანამ რამეს იტყოდე. ეგ არგუმენტი მის გასამართლებლად არ გამოდგება.

– ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ მაგ ფრანგს იმ ფულის ხელში ჩაგდება უნდა?

– აბა, რა! სჭირდება ვიღაც ნიკუშა, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში საერთოდ არ იცნობდა? ორი მილიონი ცოტა არ არის, ორი მილიონი დოლარი, შეიძლება, ცოტა მეტიც, თანაც, სრულიად უშრომლად, თითის განძრევაც რომ არ დაგჭირდება, ისე აიღებ და ჯიბეში ჩაიდებ – ვინ იტყვის ამაზე უარს? მე ასეთს არავის ვიცნობ. შენ? აი, რატომ ცდილობს ჩვენთან დისტანციაზე ყოფნას... – ვახომ შუბლი მოისრისა.

– არც ისეთი სულელი ხარ, როგორიც ზოგჯერ მგონიხარ.

– ჰმ! – თავი უკმაყოფილოდ გადააქნია დათომ, – ვინ არის სულელი! ეგ შენი სუბიექტური აზრია.

– მოიცა, თუ ის, რაც შენ ახლა თქვი, სიმართლეა, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

– ჯერ არ ვიცი.

– ბიჭო, რომ მოკლას, ტო... – ნერვიულობა დაეტყო ვახოს და აწრიალდა, – ხომ არ გავყვეთ უკან, ჰა?!

– არა, მოკვლით არ მოკლეს. ეგ უკვე მეტისმეტია. რაში სჭირდება? თანაც, ზედმეტად ბანალური სიუჟეტია: საფრანგეთიდან ჩამოსული მამინაცვალი კლავს გერს მისი ქონების ხელში ჩასაგდებად... რა სისულელეა! უბრალოდ, ცოტას „დაამუშავებს“ და ეგ იქნება. ისე, რომ დედამისისკენ აღარასოდეს გაიხედოს, იმან კი – ამისკენ.

– ვინ იმან?

– ელენემ არ გამოიხედოს შვილისკენ. ეგ ჟანი ამას მოახერხებს.

– ისე ხომ თავს იკლავდა შვილზე ზრუნვით... – ხელი ჩაიქნია ვახომ, – გათხოვდა, წავიდა. ერთხელაც აღარ გახსენებია ნიკუშა.

– უსამართლო ნუ იქნები. როგორ არ გაახსენდა. სულ რეკავდა და ფულსაც სისტემატურად უგზავნიდა. ერთი ეგ იყო, არ ჩამოსულა.

– სამაგიეროდ, „მაცნე“ გამოგზავნა.

– ან გამოგზავნა, ან თავისი ინიციატივით ჩამოვიდა. ასეა თუ ისე, ნიკუშა უნდა გავაფრთხილოთ.

– და, რა ვუთხრათ, ფრთხილად იყავი, შენი მამინაცვალი მშრალზე დასმას გიპირებსო?

– დიახ. დროა, ყურები შეიბერტყოს და ცოტა აზრზე მოვიდეს. მილიონები ქუჩაში არ ყრია. მის სიტუაციაში საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ბილეთს აიღებს და თავის დედიკოსთან გაფრინდება.

ვახომ თავი გადააქნია:

– ვირივით ჯიუტია. ამას არ გააკეთებს.

– უნდა დავარწმუნოთ, რომ თავისი სიჯიუტით ვიღაც ფრანგის წისქვილზე დაასხამს წყალს. მაგას რატომ უნდა დარჩეს ის, რაც კანონით ნიკუშას ეკუთვნის, რა დამსახურებისთვის?

– მართალი ხარ. მაგრამ, ბიჭო, რა არის, იცი? ხომ შეიძლება, ვცდებოდეთ? ხომ მოგვეჭრა თავი სტუმართან?

დათოს გაეცინა:

– მაგარი სანერვიულო იპოვე, ხომ იცი! შენ მაგაზე ნუ იფიქრებ, როგორმე გადავიტანთ მაგ სირცხვილს.

– მაშინ, წავიდეთ!

– სად?

ვახოს გაუკვირდა:

– როგორ თუ სად? ნიკუშასთან. რაღას უნდა დაველოდოთ? მაგის დამუშავებას რა უნდა, ისედაც გულზე არ ეხატება დედამისი, – ვახომ მანქანის გასაღები შეათამაშა ხელში.

– მოიცა, ასე არ გამოვა. რა უნდა ვუთხრათ, ნიკუშას ამბავი არ იცი? გაგიჟდება, რას დამდევთ უკან, რას მამოწმებთო.

– აბა, რა ვქნათ?

– ჯერ ლევანს ხომ არ დაველაპარაკოთ? ვნახოთ, რას გვირჩევს.

ვახოს აშკარად არ მოეწონა ლევანის ასეთი „გაფიარება“.

– გვირჩევს, თორემ, მაგასაც ჭკუა უჟონავს ყურებიდან. რადგან მინისტრია, ვითომ, იმიტომ არის ბრძენი და ყველაფრის მცოდნე? თუ აინტერესებდა ეს ამბავი, დავურეკე და მობრძანებულიყო. იმას ხომ ვერ იტყვის, არავის გავუფრთხილებივარო?

– ეტყობა, არ ეცალა.

– ჰო. რა თქმა უნდა, მაგას არასდროს სცალია. ერთი ეგ არის, მისი გაკეთებული ვერაფერი ვნახე.

– რა გინდა, რას ერჩი ლევანს, რას აშავებს?

– არაფერს, რას უნდა აშავებდეს. პირიქით, ზოგჯერ ზომაზე მეტად ათეთრებს და ეგ სიქათქათე თვალს მჭრის. ლევანი რა, რას ეტყვის ნიკუშას იმაზე მეტს, რაც მე შემიძლია ვუთხრა? ხომ იცი, რომ ჩვენ სამს შორის, ნიკუშას ყველაზე მეტად მე ვუყვარვარ, – წაიტრაბახა ვახომ და საათზე დაიხედა.

– ე, იცი, რომელი საათია? ლევანს დღეს ვეღარ ვნახავთ. რა დღეს, ტო... ოთხ საათში გათენდება. დარწმუნებული ვარ, სახლშია და სძინავს. დილამდე მოგვიწევს მოცდა. პრინციპში, ამაღამ რა უნდა მოხდეს იმისთანა?

– ბიჭო, შენ არ თქვი წეღან, ერთი საათიც ეყოფა ნიკუშას დამუშავებასო? – გაეღიმა დათოს.

– ეე, გააჩნია, ვინ დაამუშავებს, მაგ ფრანგმა იმდენი დალია, თვითონ არის „დამუშავებული“. ვერ ნახე, როგორ უბრჭყვიალებდა თვალები და ქინდრავდა თავს? ახლა ეგენი დაიძინებენ, დილით კი მივადგეთ.

დათო შეყოყმანდა, თუმცა, ბოლოს მაინც დასთანხმდა:

– კარგი, მეც სახლში წავალ, ცოდოა ნათია. ასეთი ჩვევა აქვს სანამ სახლში არ მივალ, არ წვება. ვერაფრით ვერ გადავაჩვიე.

– არა უშავს. ჯერ ახალია, გადაეჩვევა,– ხელი დარდიმანდულად ჩაიქნია ვახომ, – სანამ კარგად არ გამოგიჭერენ, ყველა ეგეთი ანგელოზია: მზრუნველი, ყურადღებიანი და უწყინარი, კნუტივით. ბრჭყალებს მოგვიანებით აჩენენ. გასაქცევ-წასასვლელი რომ აღარსად გაქვს.

– ამას ვინ ამბობს? ბიჭო, ოთხ ცოლს გაექეცი, ოთხს!

– ოთხს არა, ხუთს! – სამი ცოლი მყავდა, სამი! მეოთხეს რაღას მიმატებთ, სამი რა, ცოტაა? მეოთხეს თუ მოვიყვან როდისმე, ალბათ, აღარც გავეყრები.

– რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული?

– იმიტომ, რომ „სიჩქარეში“ ისე ვეღარ „ვაგდებ“, – გაიცინა ვახომ, – ამიტომ, „დატორმუზება“ მომიწევს. ყველა ქალი ერთნაირია, რა – ერთი, რა – სამი...

– არა, არა, ნათია სხვანაირია, – თავი გამოიდო დათომ.

– ჰო. სხვანაირია. სხვა გვარი აქვს, – დაეთანხმა ვახო და მეგობარს მხარზე მოუთათუნა ხელი, – კარგი, კარგი, ნათია კარგი გოგოა, გაგიმართლა. ოღონდ, მართლა. რაც მთავარია, უყვარხარ. დილით სახლიდან გამოსვლის წინ მაინც დამირეკე.

– არ მითხრა, რომ დაგავიწყდება.

– არ დამავიწყდება, მაგრამ შენ მაინც დამირეკე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის...

***

ნათიას მართლა არ ეძინა. სავარძელში მოკალათებულს, თხელი პლედი ჰქონდა მიფარებული და თვლემდა. დათოს ოთახში შესვლა მაშინვე გაიგო. თვალები გაახილა და იდაყვებზე წამოიწია.

– მოხვედი? მადლობა ღმერთს. მოვკვდი ნერვიულობით, – ჩაილაპარაკა საყვედურის კილოთი.

დათომ ნაზად გადაუსვა თმაზე ხელი:

– ხომ იცოდი, სადაც ვიყავი, რაღა განერვიულებდა?

– ჰმ, სწორედ იმიტომაც ვნერვიულობდი, რომ ვიცოდი, სადაც იყავი. ეგ შენი ძმაკაცები გამაგიჟებენ, არც ერთს არ ვენდობი.

– ნათი, გეყოფა, ასე რატომ ლაპარაკობ? ბიჭები შენ პატივს გცემენ და ყველას უყვარხარ.

– კი, როგორ არა. პატივს რომ მცემდნენ, შუაღამისას აქეთ-იქით არ გარბენინებდნენ და თავს დაგანებებდნენ. ხომ იციან, რომ ფეხმძიმედ ვარ!

– ნათი, ფეხმძიმედ ხარ, ავად ხომ არა? თანაც, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გვქონდა, დამიჯერე. რატომ არ დაიძინე? მოვიდოდი, იქ ხომ არ დავრჩებოდი?

– ჰო, მოხვიდოდი, მაგრამ მანამდე რას გააფუჭებდი, არავინ იცის.

– რა უნდა გავაფუჭო, რას ამბობ? თუ ეჭვიანობ, მინდა გითხრა, რომ სულ ტყუილად, მე მარტო შენ მიყვარხარ.

– არ ვიცი, არ ვიცი... როგორ უნდა დაგიჯერო, როცა საქმით საპირისპიროს ამტკიცებ? ერთხელაც არ დაგირეკავს და არ გიკითხავს ჩემი ამბავი. იმიტომ, რომ კარის ზღურბლს გადააბიჯებ თუ არა, აღარ გახსოვვარ.

– მნიშვნელოვანი საქმე მქონდა-მეთქი, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი. ვერ შევძელი, დამერეკა. რატომ ჭირვეულობ პატარა ბავშვივით? – დათოს შეწუხებული, გაღიზიანებული ხმა ჰქონდა.

– რაო, უკვე მოგბეზრდი? – ტუჩები სატირლად გაბუსხა ნათიამ, – ხომ ვამბობდი, შენი მეგობრები შენზე ცუდ გავლენას ახდენენ-მეთქი!

დათომ ამოიოხრა:

– ნათი, იცი, როგორ მეძინება? ხვალ სამსახურშიც ხომ უნდა წავიდე? კიდევ უამრავი საქმე მაქვს. შენც ხომ დაიღალე, წამოდი, დავიძინოთ.

– ახლა რაღა დამაძინებს, სადაცაა, გათენდება.

– თუ შენი ეს ჭირვეულობა ორსულობის ბრალია, გავუძლებ როგორმე, – დათოს ნერვებმა უმტყუნა, – თვითონ არ იცი, რა გინდა.

– რა მინდა? მე რა მინდა? – ასლუკუნდა გოგო, – მე მინდა, გვერდით ისევ ის კაცი მყავდეს, რომელსაც ცოლად გავყევი. ვერ ატყობ, როგორ შეიცვალე? ჩემთან ყოფნა აღარ გინდა, თვალი სულ გაძრომაზე გიჭირავს.

– უსამართლოდ მდებ ბრალს იმაში, რაც არ დამიშავებია. კარგი. დავჯდები შენ გვერდით, სახლიდან ფეხს აღარ გავადგამ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ესეც არ მოგეწონება. სულ გადაირევი, ფული რომ აღარ მექნება.

– მე სახლში ჯდომას არ გთხოვ. მშვენივრად იცი, რა მინდა შენგან და ნუ ცდილობ, თავი იმაზე სულელად მომაჩვენო, ვიდრე სინამდვილეში ხარ. სულ ცოტა ყურადღება მჭირდება. გავგიჟდები ამდენი სიმარტოვით, ლამის კედლებს დავუწყო ლაპარაკი, – ნათია ასლუკუნდა.

დათოს გული აუჩვილდა, ცოლს მოეხვია და ბავშვივთ დაუწყო მოფერება.

– ჩემი პატარა, სულელი გოგო... მერე, რატომ ხარ მარტო? დედაშენს დაურეკე და მოვიდეს.

– დედაჩემს თავისი ოჯახი აქვს და მთელი ჯარი ჰყავს მისახედი. რა ვუთხრა, მაგათ თავი დაანებე, აქ მოდი და მე გამართე-მეთქი?!

– კარგი, კარგი, გეყოფა ტირილი. ხომ იცი, შენ რომ ტირი, ჩვენი პატარაც ტირის და ცოდოა.

– რამდენი გცოდნია?! მერე, რატომ მატირებ და მანერვიულებ? საერთოდ, რატომ მომიყვანე ცოლად, ხომ გყავდა ეგ მეგობრები? უჩემოდაც მშვენივრად ხარ ხოლმე მათთან.

– ოღონდ ახლა დამშვიდდი და გპირდები, ერთი კვირით სადმე წაგიყვან და იქ გვერდიდან არ მოგცილდები.

– კი, როგორ არა! შენ სულ ასე მატყუებ! უკვე მერამდენედ მპირდები.

– არ გატყუებ, უბრალოდ, ვერ მოვიცალე, ჩვენი და ჩვენი შვილის მომავლისთვის ვზრუნავ. მინდა, რომ ყველაფერი საუკეთესო ჰქონდეს. იცი, ახლა რას ვიზამ?

ნათიამ ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა და ღიმილით გააქნია თავი.

– ხელში აგიყვან და ისე წაგაბრძანებ საძინებელში.

– ძირს არ დამაგდებ? რომ ვერ მომერიო?

– აბა, რას ამბობ, საყვარელო! ისე ვერასდროს დამძიმდები, რომ ვერ მოგერიო!

დათომ ცოლს წელზე მოხვია ცალი ხელი და, ის იყო, ასაყვანად დაიხარა, რომ ჯერ მობილურმა დარეკა. ნათიას სახიდან ღიმილი მაშინვე გაქრა.

– აჰა! ახლა ვინღა რეკავს, ეს რა უბედურებაა?!

– ეტყობა, ვიღაცას ნომერი შეეშალა, – დათოსაც არ ესიამოვნა მოულოდნელი ზარი.

– არ უპასუხო. რეკოს, რამდენიც უნდა. ან, საერთოდ გამორთე. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს?!

– მართალია. გამოვრთავ! – დათომ მობილური აიღო, მაგრამ, ეკრანს დახედა თუ არა, სახე შეეცვალა და გამორთვის ნაცვლად საპასუხო ღილაკს დააჭირა თითი.

– გისმენ, ლევან! სად უნდა ვიყო, სახლში ვარ. ახლა ვაპირებდი დაძინებას... ნათია?.. არა, არა, ჯერ არ დავწოლილვართ. არ იქნება უხერხული. მოდი... – დათომ ტელეფონი გათიშა და ცოლს დამნაშავესავით გახედა.

– რას მიყურებ? ასეც ვიცოდი. ისევ შენი ძმაკაცები... ესე იგი, ვათენებთ.

– არა. შენ დაწექი და დაიძინე, მე და ლევანს სალაპარაკო გვაქვს.

– არც მთხოვო. ფეხს არ მოვიცვლი აქედან. უნდა გავიგო, რა საქმე გაქვს ამისთანა.

დათოს გულს შემოეყარა. კარგად იცოდა თავისი ცოლის ჯიუტი ხასიათის ამბავი. მით უფრო მაშინ, როცა ასე იყო გაღიზიანებული. აუცილებლად უნდა მოეფიქრებინა რამე, რაც ნათიას დაყოლიებაში დაეხმარებოდა. თუ ოთახიდან ვერ გაიყვანდა, მაშინ ვერც ლევანთან საუბარს შეძლებდა. ნათია მკაცრად წარბშეკრული იჯდა და აშკარად არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას.

***

ლევანმა მანქანა გააჩერა და ცოლს გამომცდელი მზერა მიაპყრო.

– მართლა არ გინდა, რომ წამოხვიდე?

– არა, – თავი გააქნია თინიკომ. შევცდი, ჩემი მანქანით უნდა წამოვსულიყავი. რად მინდოდა ტაქსი?

– სახლში მიგიყვან. ეს არ არის პრობლემა. უბრალოდ, მინდოდა, ჩვენს საუბარს შენც დასწრებოდი.

– რისთვის? მირჩევნია, შორს ვიყო ამ სიბინძურისგან.

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმის, რომ ეს ყველაფერი უკვე გულს მირევს.

– მოიცა, რა გამოდის, მე სიბინძურეში ვიქექები? – ლევანი თინიკოსკენ მიტრიალდა და თვალებში ჩახედა, – თიკა, შენ ფიქრობ, რომ ამ საქმიდან სარგებლის ნახვა მინდა?

– არაფერს არ ვფიქრობ, ლევან, გეფიცები. ძალიან დავიღალე და, რაც ნაკლებს ვიფიქრებ, უკეთესი იქნება ჩემთვის.

ლევანმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

– შენ ხომ იცი, ისეთს არაფერს ჩავიდენ, რაც მე არ მეკადრება.

– ვიცი, – მოკლედ მიუგო ქალმა, მაგრამ ლევანი არ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა.

– ჩემში ეჭვი გეპარება?

– ლევან, ხომ იცი, რომელი საათია? სახლში მიმიყვანე და მოვრჩეთ ამ თემაზე ლაპარაკს.

– შენ ფიქრობ, რომ იმ მილიონების ხელში ჩაგდება მინდა?

– არაფერს არ ვფიქრობ-მეთქი, უკვე გითხარი და არ გატყუებ. ერთადერთი, რაც ახლა მინდა, ჩემს შვილთან ყოფნაა.

ლევანმა სიგარეტის ნამწვი ფანჯრიდან გადააგდო და მანქანა დაძრა...

***

... ნიკუშა გულაღმა იწვა. ფართოდ გახელილი თვალები ჭერზე ჰქონდა მიშტერებული. უნდოდა, დაეძინა, მაგრამ ფიქრებს თავს ვერ უყრიდა, ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ გვერდით ოთახში ეძინა კაცს, რომელთანაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აკავშირებდა რაღაც და ეს „რაღაც“ დედამისი იყო. რესტორანში ყოფნისას კიდევ ვერ აცნობიერებდა იმას, რომ გადაწყვეტილება ჰქონდა მისაღები. უცებ სასტუმრო ოთახიდან ხმაური მოესმა. ადგა, შარვალი სწრაფად ამოიცვა და გავიდა. ჟანი წიგნების თაროებთან იდგა და ათვალიერებდა. ფეხის ხმაზე შემობრუნდა.

– შენც არ გძინავს?

– მეძინა და გამეღვიძა, – იცრუა ნიკუშამ.

– ფხიზელი ძილი გცოდნია. შევეცადე, არ მეხმაურა, – გაიღიმა ჟანმა. ნიკუშამ იგრძნო, რომ ტყუილს მიუხვდნენ და გაწითლდა.

– არ მეძინა. ვაპირებდი ჩაძინებას და ხმაური შემომესმა. ჩვენი ბიბლიოთეკით დაინტერესდით?

– ჰო. ფრანგი ავტორები ორიგინალში? – ჟანმა ნიკუშას გადახედა, – კითხულობდი ფრანგულად?

– ჰო. იყო დრო, როცა მარტო ფრანგულად ვკითხულობდი.

– ახლა?

ნიკუშამ მხრები აიჩეჩა:

– ახლა? არ ვიცი. უნდა დავფიქრდე, რომ გავიხსენო, ბოლოს რა წავიკითხე.

ჟანმა წიგნი დახურა და თაროზე დადო.

– კარგი მეგობრები გყოლია.

– ჰო. კარგები არიან, – ნიკუშამ გაიღიმა, – განსაკუთრებით, ვახო. თუმცა, არა, ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ. ეგენი რომ არ ყოფილიყვნენ, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ლევანი რატომ არ მოვიდა, არ ვიცი. ეტყობა, არ ეცალა. არა უშავს, მოგვიანებით გაგაცნობ.

– მე ვიცნობ ლევანს.

ნიკუშა გაოცდა:

– ლევანს? საიდან?

– თუ შენს მინისტრ მეგობარს გულისხმობ, მე მას პარიზში შევხვდი. მე, მან და ელენემ ერთად ვივახშმეთ.

– არ ვიცოდი, – თავი გადააქნია ნიკუშამ და მოიღუშა, – ეს ვიზიტი მისი სამინისტროს საქმიანობასთან რომ არ იქნებოდა დაკავშირებული, ფაქტია.

– არა, რა თქმა უნდა. ელენეს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა.

– მართლა? – ნიკუშა დაიძაბა.

ჟანმა თავი დაუქნია.

– შეიძლება გავიგო, რაზე ისაუბრეთ?

– შენზე. ოღონდ, ყველაფერი ვერ გავიგე. ქართულად ლაპარაკობდნენ.

– თქვენ ქართული საკმაოდ კარგად იცით, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– ეს კომპლიმენტია, – არ წამოეგო მის ანკესს ჟანი, – ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, უბრალოდ, მოინახულა. ძველი რაღაცეები გაიხსენეს. ელენეს ძალიან გაუხარდა მისი ნახვა, შენც გახსენებდნენ.

ნიკუშამ ეჭვით შეხედა მამინაცვალს. ჟანი ისევ უღიმოდა და ნიკუშა ვერ მიხვდა, რას მალავდა ამ ღიმილის მიღმა ეს უცნაური ფრანგი...

***

დათომ კარი გააღო და ლევანს გზა დაუთმო.

– შემოდი, შემოდი... მარტო ხარ?

– ჰო. თიკა არ წამოვიდა და სახლში მივიყვანე. ამიტომაც შემაგვიანდა.

დათომ მხრები აიჩეჩა:

– არ წამოვიდა? მოგყავდა?

– რატომ მეკითხები? რატომ არ უნდა წამომეყვანა.

– რა ვიცი, მეგონა, თიკას უმალავდი ამ ამბავს.

– რა ამბავს? დათო, შენ რაზე მელაპარაკები? – გაცხარდა მოულოდნელად ლევანი.

– შემოდი, შემოდი, დავსხდეთ და ისე ვილაპარაკოთ.

– ნათია სად არის? – ლევანმა ოთახი მოათვალიერა.

– ძლივს დავითანხმე, დაწოლილიყო. ამ ბოლო დროს სულ უფრო მიჭირს მასთან ლაპარაკი, ყველაფერზე წუწუნებს და ჭირვეულობს.

– ჰმ, აბა, რა გეგონა, ცოლად თვრამეტი წლით უმცროს ბავშვს რომ ირთავდი?! თავიდანვე მზად უნდა ყოფილიყავი ამისთვის. ჯერ სად ხარ. შვილი გაგიჩინოს!..

დათომ საყვედურით შეხედა მეგობარს და ბართან მივიდა:

– დალევ რამეს?

– დავლევ და დასალევიც მოვიტანე, – ლევანმა საფირმო პარკი გაუწოდა.

– რად გინდოდა, სასმელის მეტი რა მაქვს?

– ასეთი არ გექნება. საფრანგეთიდან ჩამოვიტანე. ასეთი შამპანური გასინჯულიც არ გექნება.

– ქალბატონმა ელენემ ხომ არ გამოგატანა? – ჩაიცინა დათომ.

– შენი ირონია უადგილოა, – ლევანმა ჭიქა გამოართვა, – რა ქენით, შეხვდით?

– შევხვდით და სწორედ მაგიტომაც უნდა მენახე დღესვე.

– რაო, იჩხუბეს? გააფრინა ჩვენმა ძმაკაცმა და გააგიჟა ის უწყინარი, ღიმილიანი კაცი?

– შენ რა იცი, როგორია? – დათომ პირთან მიტანილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ლევანს ეჭვით გადახედა.

– ვიცი. პარიზში ყოფნისას შევხვდი.

დათომ ჩაიცინა.

– რა გაცინებს?

– მერე კიდევ იტყვი, რომ იმ სურათის ბედი არ გაინტერესებს. მე გაცილებით ადრე მივხვდი ამას.

ლევანი შეიჭმუხნა:

– მართლა? მაინც როდის?

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ ვიცი, რაც ჩაიფიქრე.

– არაფერიც არ იცი... – ლევანმა სცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ ნელ-ნელა მოთმინებას კარგავდა.

– როგორ არ ვიცი, სახეზე გაწერია ყველაფერი.

– დათო... მეტისმეტი ხომ არ მოგდის? ძმაკაცი კი ხარ, მაგრამ ასეთი ტონით ჩემთან ლაპარაკს არ გირჩევ. ვერც იმას ავიტან, რაღაც სულელური ფრაზებით ცდილობდე ჩემგან ინფორმაციის მიღებას. რას მეთამაშები?

– კარგი, პირდაპირ გეტყვი: მე ვიცი, რატომ მიხვედი პარიზში ელენესთან. მე ვიცი, რატომ ცდილობ, არ გამოგეპაროს არც ერთი ნაბიჯი, რომელსაც ნიკუშა გადადგამს და ბოზიც კი მიუჩინე ამისთვის...

– დათო, გეყოფა! ჩემს მოთმინებას ნუ სცდი. არ გირჩევ!.. – ლევანი აწრიალდა.

– მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია. ორი მილიონი დოლარი ცოტა ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, როცა მისი შოვნა მარტივად შეიძლება.

– შენ ასე გგონია?

– დარწმუნებული ვარ. გასაკეთებელი ბევრი არაფერია. მთავარია, ნიკუშა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს ფული მხოლოდ მას ეკუთვნის და – მორჩა.

ლევანი ჭიქას ჩააშტერდა:

– ესე იგი, შენი აზრით, მთავარი ნიკუშას დარწმუნებაა.

– პირველ ეტაპზე – კი. მერე საქმე გაცილებით ადვილია. ორ მილიონს ორ დღეში და ორ კვირაში ვერ დახარჯავს. მოინდომებს, სადმე დააბანდოს და ამაში ჩვენ დავეხმარებით.

ლევანმა თვალები მოჭუტა:

– შენ, გეტყობა, სერიოზულად გიფიქრია ამაზე.

– შენ არა? – ირონიულად ჩაეკითხა დათო და ჭიქები ისე შეავსო, – ეს შამპანურიც ხომ იმიტომ მოიტანე, ჩვენი მომავალი გამარჯვების სადღეგრძელო რომ დავლიოთ?

ლევანმა მაშინვე არ უპასუხა, შამპანური ნელა მოსვა და ხმადაბლა ჰკითხა:

– შენ მართლა ფიქრობ, რომ მე ისეთი ნაძირალა ვარ, ბავშვობის მეგობარს ფულს ავახევ? სერიოზულად მაინტერესებს. მართლა ასეთი წარმოდგენის ხარ ჩემზე?

დათომ მხრები აიჩეჩა:

– ნაძირალა რა შუაშია? ჩვენ ხომ უცხოები არ ვართ. როცა შენს მეგობარს მოულოდნელად მილიონები აცვივა თავზე, გვერდზე ხომ არ გადგები?

– გაგიჭირდა, დათო? არ გყოფნის ბენზინიდან შემოსული ფული?

– არც იმდენი შემომდის, შენ რომ გგონია. მინისტრის ხელფასზე მეტი ნამდვილად არ იქნება. არ გინდა, ლევან, ორივემ ვიცით ფულის ფასი. ხომ მართალია?

– არა, არ არის მართალი. მე სხვისი არაფერი მჭირდება, მით უმეტეს, ის რაც ჩემი ძმაკაცის საკუთრებაა. მაგრამ იმ სურათთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა. ყველაფერს ვერ მოგიყვები,

იმიტომ, რომ ეს საიდუმლო მარტო მე არ მეკუთვნის, მაგრამ, დამიჯერე, ნიკუშას მილიონებზე ნამდვილად არ ვნადირობ.

– აბა, რა გინდოდა პარიზში?

– საქმიანი მივლინება მქონდა.

– ვისთან, ელენესთან? – ჩაიცინა დათომ.

– ტყუილად იცინი, ელენე ისე მოვინახულე, შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ ნიკუშაზე სალაპარაკოდ მივედი. არ მინდა, ეგ სულელი ყველაფრის გარეშე დარჩეს.

დათომ თითები გაატკაცუნა:

– ჰოო? მაშინ ჩემს ეჭვს აქვს საფუძველი.

– რას გულისხმობ? თუ კიდევ იმაზე იწყებ ლაპარაკს, რომ ნიკუშას ფულები ჩვენიც არის, ვდგები და მივდივარ.

– არა, არა, სხვა პრობლემაა. მაგრამ ესეც ნიკუშას ეხება.

– რა მოხდა, ჟანი უკან ხომ არ გაამგზავრა უარით?

– სწორედ მაგ ჟანის აქ ჩამოსვლა მაღელვებს.

– რატომ?

– ვერ ვენდობი. მით უფრო, იმის შემდეგ, რაც ახლა მითხარი.

ლევანი დაფიქრდა და თავი გადააქნია:

– ვერაფერი გავიგე.

– გაუგებარი რა არის? ეგ ჟანი კარგი საქმისთვის არ უნდა იყოს ჩამოსული. რა გარანტია გვაქვს, რომ ყველაფერს უკუღმა არ დაატრიალებს? ვერ დავიჯერებ, რომ ნიკუშაზე შესტკივა გული. აბა, დაფიქრდი: ახალგაზრდა კაცი, ფრანგი, წარჩინებული, ჯირითსა და დროსტარებას გადაყოლილი, ფუფუნებას შეჩვეული. რატომ მოინდომებს მილიონები სხვას დაუთმოს, მით უმეტეს, თავის გერს? არ ვარ მართალი? ნიკუშა ელენეს ერთადერთი შვილია. ამ ჟანს შვილი საერთოდ არ ჰყავს. სამაგიეროდ, ჰყავს ცოლი, რომელსაც ორ მილიონ დოლარად შეფასებული სურათი აქვს. გეკითხები, უნდა უნდოდეს ჟანს, რომ ეს სურათი სხვისი საკუთრება გახდეს? შენ რომ იყო მის ადგილას, გენდომებოდა?

– ძალიან გთხოვ, კონკრეტულად ჟანზე ვილაპარაკოთ, – არ ესიამოვნა ლევანს დათოს არგუმენტი, – ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ჟანი ხელს შეუშლის ნიკუშას დედამისთან შერიგებას?

– კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ ამაში.

– და... ძალიან ნერვიულობ.

– ჰო, და, მგონი, ამაში არაფერია გასაკვირი.

– რა თქმა უნდა. ასეთი შორს მიმავალი გეგმები გქონია, ნიკუშას მილიონებთან დაკავშირებით, რომ... – ლევანმა ჭიქა გამოცალა და ადგა. დათომ უკმაყოფილოდ ახედა მეგობარს.

– რას მიყურებ? შენ იცი, რომ მაგ გრაფს ფული თავზე საყრელად აქვს და ცოლზე გიჟდება? ორი მილიონი... ორი მილიონი დოლარი მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

– სამაგიეროდ, ნიკუშასთვის ნიშნავს და არ უნდა დავუშვათ, რომ ისევ მათხოვრად დარჩეს. უნდა ვიცოდე, ჩვენთან ხარ თუ არა.

ლევანმა თმა შეისწორა:

– რა გინდა, რომ გავაკეთო?

– მგონი, ამ ჟანს სერიოზულად უნდა დაელაპარაკო.

– და, რა ვუთხრათ, არ გაბედო, ჩვენს ძმაკაცს ფული არ დააწეროო-მეთქი? თუ, თითი დავუქნიოთ, ზედმეტი არაფერი გაბედოო?!

– ესე იგი, ჩვენთან არ ხარ, – დაასკვნა დათომ.

– სისულელეა, რასაც შენ ფიქრობ, დიდი სისულელე.

– ვახოს ასე არ მიაჩნია. პირიქით, ისიც კი თქვა, შესაძლოა, ნიკუშას ლიკვიდაციის საფრთხეც არსებობდესო.

– რაო? ლიკვიდაციის საფრთხე? ჰა, ჰა, ჰა... – ლევანმა ხმამაღლა გაიცინა, – ეტყობა, ვახო ბოლო დროს, დეტექტიურმა სერიალებმა გაიტაცა. კარგი, რა... მორჩით ამ სისულელეს და საქმეს მოჰკიდეთ ხელი. მე არ ვარ თქვენსავით მოცლილი, პრობლემები თავზე საყრელად მაქვს. ვერ ხედავთ, რა ხდება ქვეყანაში? ხვალ კიდევ რა იქნება, არავინ იცის.

– ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ამ საქმესთან კავშირი არა აქვს, – გესლიანად გამოსცრა დათომ.

– სამაგიეროდ, ჩემთან აქვს საქმე. მოკლედ, წავედი და, თქვენ იცით, როგორ უმასპინძლებთ სტუმარს. არ არის ცუდი კაცი, დამიჯერეთ. ისე, თუ კიდევ გაგიჩნდებათ რამე სერიოზული არგუმენტი მის თაღლითობასთან დაკავშირებით, დამირეკეთ...

თვითონაც უკვირდა, რომ შურისძიების გრძნობა არ გასჩენია. ყველა საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რომ კაცი სძულებოდა და სძულდა კიდეც. მაგრამ შურისძიების სურვილი კიდევ სხვა იყო – ის, რაც მოქმედებისკენ უბიძგებდა. აქტიურობისკენ... ქალი დარწმუნებული იყო, რომ საკმაოდ ადვილად შეძლებდა იმ ადამიანის განადგურებას, რომელმაც მისი ბედნიერება დაანგრია. ზოგჯერ არ ესმოდა, რატომ არ გააკეთა არაფერი, ბედისწერას რატომ მიანდო,

საკადრისი მიეზღო მისთვის. შეიძლება, შვილის გამო. ქვეცნობიერად ეშინოდა თავისი შურისძიების მოსალოდნელი შედეგების. წინასწარ არავინ იცის, როგორ შემოუბრუნდება ჩადენილი ბოროტება. შურისძიებაც ხომ ბოროტებაა, დაგროვილი ნეგატიური ენერგია, რომელსაც შურისმაძიებლის განადგურებაც ისევე შეუძლია, როგორც იმ ადამიანის, რომლისკენაც ის არის მიმართული.

ელენეს ძალიან უყვარდა შვილი და ამ სიყვარულმა განაიარაღა. ამ სიყვარულმავე არ მისცა საშუალება, აქტიური წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მის წინაშე თავს დამნაშავედ არ გრძნობდა, მორჩილად დაუთმო და ნიკუშას ცხოვრებიდან დროებით გაუჩინარება არჩია. დროებით, იმიტომ რომ, შვილზე უარის თქმა აზრადაც არ მოსვლია. ნიკუშა მისი იყო, მისი სულის, სხეულის ნაწილი; არსება, რომელმაც სხვა თვალით დაანახვა სამყარო. შვილს რომ ეთხოვა, პირად ბედნიერებაზეც უარს იტყოდა. ჟანი არ იყო მისთვის ცხოვრების მამაკაცი, სიყვარული, რომლისთვისაც დაუფიქრებლად გაწირავდა თავს. იმ მომენტში ჟანი ის მაშველი რგოლი აღმოჩნდა, რომელსაც სასოწარკვეთილი ქალი მოებღაუჭა. მაშინ მოეჩვენა, რომ ეს კაცი, თავისი თბილი ღიმილითა და უანგარო გრძნობით, თავად ბედმა გამოუგზავნა. ამიტომ ბევრი არც უფიქრია, ისე დასთანხმდა ცოლობაზე...

ელენემ სიგარეტი საფერფლეზე ჩააქრო და ნახატის წინ გაჩერდა. როგორ უნდოდა, მეხსიერებიდან წაეშალა ყველაფერი, რაც ამ სურათთან იყო დაკავშირებული. ყოველთვის სჯეროდა, რომ საჭირო მომენტში გულს ადვილად დაუმორჩილებდა გონებას, მაგრამ ცხოვრებამ საპირისპიროში დაარწმუნა. ელენემ შუბლი მოისრისა. თითქოს მტანჯველი ფიქრების მოშორება სურდა. მერე ისევ ნახატს ახედა. ნეტავი შეცვლიდა თუ არა რამეს, ამ ნივთის ჭეშმარიტი ღირებულება ცოტა ადრე რომ სცოდნოდა? ფული ყველაფერი არ არის, მაგრამ მას ბევრი შეუძლია, ძალიან ბევრი... ნიკუშასაც თუ მოატრიალებს დედისკენ, მაშინ ელენეს იმის თქმის უფლება ექნება, რომ მისი გაღებული მსხვერპლი ამად ღირდა. იქნებ, სწორედ ეს სურათი იყო ის დაგვიანებული შურისძიება, რომელზეც ქალმა უარი თქვა? ბედისწერა თვითონ გამოვიდა მსაჯულის როლში, მაგრამ, ჰქონდა თუ არა საბოლოო ვერდიქტი გამოტანილი, ეს ელენემ არ იცოდა...

... ქალი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მოხდა, თანაც, ძალიან ცუდი, გამოუსწორებელი... ის, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში თითქმის ყოველდღე ელოდა, ქმრის სახეზე ამოიკითხა... არა, უფრო გულმა უგრძნო, ინტუიციამ უკარნახა... ხელები გაეყინა მღელვარებისგან, მაგრამ მაინც სცადა გაეღიმა.

– საყვარელო, კარგად ხარ? – ჰკითხა უფრო მოვალეობის გამო, რადგან პასუხი ისედაც იცოდა.

სერგიმ პიჯაკი დაუდევრად მიაგდო სკამზე. პიჯაკი დაცურდა და იატაკზე ჩამოვარდა, მაგრამ კაცს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. არც წარბი გაუხსნია და არც ცოლისთვის შეუხედავს.

– ნიკუშა სად არის? – ჰკითხა დაღლილი, გაღიზიანებული ხმით.

– საყვარელო, კარგად ხარ? – ელენე მიხვდა, რომ კაცს სიმივით ჰქონდა დაჭიმული ნერვები.

– ჩემი შვილი სად არის? – გაიმეორა სერგიმ.

– დღეს ბანკეტი აქვს. ბიჭებთან ერთად წავიდა, მაგრამ დაბრუნდება, ტანსაცმელს გამოიცვლის.

– ესე იგი, სახლში მარტონი ვართ – მე და შენ. კარგია...

– რა უცნაურად ამბობ, თითქოს ამით რაღაცის თქმა გინდა, – გაღიმება სცადა ქალმა.

– ჰო, მინდა და, როცა გეტყვი, სასაცილოდ ნამდვილად არ გექნება საქმე.

– კი, მაგრამ... საყვარელო, – ელენემ ქმრისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

– საყვარელოს ნუ მეძახი და, მირჩევნია, მანდ იჯდე. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მეც აღმოვჩნდებოდი ამ რეალობის წინაშე.

– ვერ გავიგე, რა რეალობას გულისხმობ. რამე მოხდა?

– ჰო, მოხდა!.. – სერგიმ სიგარეტს მოუკიდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, – ერთ შეკითხვას დაგისვამ და შენთვისვე იქნება უკეთესი, თუ...

– ეს რა, დაკითხვაა? რა ტონით მელაპარაკები? ვფიქრობ, ასეთი მოპყრობა არ დამიმსახურებია! – თავის დაცვა შეტევით სცადა ელენემ.

– არ დაგიმსახურებია? – ზიზღნარევი ირონიით გაიმეორა კაცმა, – მე ვიცი, რაც დაიმსახურე, მაგრამ ჯერ მაინტერესებს, ჩემს კითხვაზე რა პასუხს მივიღებ...

– მკითხე. მე შენთვის არასდროს არაფერი დამიმალავს.

– უკვე მატყუებ. კარგი, გეკითხები: რა გაკავშირებს ზურაბთან?

– რომელ ზურაბთან?

– ელენე, არ გინდა, ჩემს მოთმინებას ნუ გამოსცდი. ხომ ხედავ, როგორ ვცდილობ, ნერვები მოვთოკო და დროზე ადრე არ ავფეთქდე!

– თუ ნერვები სამსახურში მოგიშალეს, მე გიწინასწარმეტყველებდი ამას და არ არის საჭირო, დამნაშავე ჩემში ეძებო.

– მე არაფერს ვეძებ. მე მარტო ერთი რამ მაინტერესებს: რა გაკავშირებს ზურაბთან?

ელენემ ამოიოხრა:

– არაფერი. უფრო სწორად, აღარაფერი.

სერგი გაფითრდა და ტუჩის კუთხეებით რაღაც გრიმასა გამოხატა:

– შეიძლება ვიგულისხმო, რომ მისი საყვარელი იყავი?

– არა, შეყვარებული, – ელენემ თავი გააქნია, – ჰო, მისი შეყვარებული ვიყავი. შეყვარებული და არა საყვარელი. შეიძლება, შენ ფიქრობ, რომ საყვარელსა და შეყვარებულს შორის განსხვავება არ არის, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია.

– ფეხებზე მკიდია, რა მიგაჩნია. შენ მე რქები დამადგი, რქები! რატომ გააკეთე ეს, რისთვის?..

– მე შენთვის არ მიღალატია, არასოდეს. ცოლად რომ მოგყვებოდი, არ დამიმალავს, რომ ჩემი პირველი მამაკაცი არ იყავი.

– ჰო, ვიცოდი. ვიცოდი, ვიღაც რომ გყავდა, მაგრამ თუ ეს ზურაბი იყო... რატომ დამიმალე? ელენე, რატომ დამიმალე-მეთქი, ერთმანეთს თუ ხვდებოდით!

– იმიტომ, რომ ეს ჩემი წარსულია, მხოლოდ ჩემი და, მინდოდა, სამუდამოდ წარსულში დამეტოვებინა. ამისი ახსნა ძნელია. უნდა იგრძნო, ისე ვერ გაიგებ.

– ჩემს გაბრუებას ნუ ცდილობ. რაც აქამდე მასულელე, ისიც გეყოფა!

– მე არ გასულელებ. უნდა მენდო, სხვანაირად, შენ გვერდით არ ვიქნებოდი. შენ იცი, რომ...

– მე მარტო ის ვიცი, რომ ზურაბის საყვარელი იყავი და, მგონი, ახლაც ხარ!..

– არა, არა, არა! – შეჰკივლა ელენემ.

– მე შენთვის არასდროს მიღალატია, გესმის? არა! ეს აბსურდია! ჩემი ტრაგედიაა ის, რომ ეგ ნაძირალა შენი ნაცნობი გამოდგა.

– ნაცნობი? ზურაა ჩემი ნაცნობი? – სერგიმ სიგარეტი ხელში მოსრისა, – თქვენ ყველაფერი წინასწარ დაგეგმეთ, ერთმანეთს შეეკარით და ჩემი განადგურება გადაწყვიტეთ!

– ღმერთო, საიდან მოიტანე ეს სისულელე? მე არ გაფრთხილებდი, ზურაბთან შორს დაგეჭირა საქმე? მე არ გთხოვდი, მე არ გირჩევდი, მასთან საერთო არაფერი გქონოდა? ნუ დამადანაშაულებ იმაში, რაც არ ჩამიდენია.

– შენ მისი საყვარელი იყავი.

– ღმერთო! არ ვყოფილვარ-მეთქი. რატომ არ გჯერა? – ელენეს ხმა აუკანკალდა, – მე ასე არ დავიმცირებდი თავს. თანაც, შენ მიყვარხარ. რატომ უნდა მეღალატა?

– იმიტომ, რომ მოღალატე ხარ! ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მატყუებდი. ალბათ, პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისას გარბოდი და ლოგინში უწვებოდი! ამის წარმოდგენა ჭკუაზე მშლის. არ ვიცი, შენ უნდა მოგკლა თუ ის! იქნებ, ორივე ერთად?

სერგი გაჩერდა. ოთახში მიმოიხედა. ელენე გაფითრდა და იგრძნო, როგორ გაეყინა ხელები.

– ძალიან გთხოვ, სისულელე არ ჩაიდინო, – თქვა ხმადაბლა და ქმარს შიშით შეხედა.

– ჰოო?! ხვდები, რომ ზღვარზე ვარ?! რომ მოგკლა, არავინ გამამტყუნებს.

– კარგი, თუ გინდა, მომკალი, მაგრამ იცოდე, რომ ამით ძალიან სერიოზულ შეცდომას დაუშვებ, წარსულს კი ვეღარ დააბრუნებ. მომისმინე... სერგი, გთხოვ, გემუდარები, კარგად მომისმინე და მერე გამომიტანე განაჩენი. შენ ვიღაცამ გაგაგიჟა.

– გამაგიჟა? როგორი უსირცხვილო ხარ, ამას რომ ამბობ. კი არ გამაგიჟა, შენმა საყვარელმა სიმართლე მითხრა. იმიტომ არა, რომ სინდისმა შეაწუხა. არა, ზურაბისნაირ ადამიანებს სინდისის ცნებაც არა აქვთ. ფეხქვეშ უნდოდა რომ გავეთელე. ასეთივე ხარ შენც! რა ბრმა ვიყავი, როგორ მოგეცით ჩემი გასულელების საშუალება? ნიკუშას რა ვუყო, თორემ მართლაც მოგკლავდი. მაგრამ... – სერგის ერთბაშად სახე დაუგრძელდა და ფერი დაკარგა, – იქნებ, ნიკუშაც... ნიკუშაც... – სერგიმ მკერდზე მიიდო ხელი და დაბარბაცდა, – შენ მე მიღალატე და, შეგიძლია, იზეიმო. ახლა უკვე აღარაფერი შეგიშლის ხელს. შენს საყვარელს მაშინ შეხვდები, როცა მოგინდება. შეგიძლია, ჩემს დაკრძალვასაც არ დაელოდო!

– სერგი...– ელენემ სცადა ხელი მოეხვია ქმრისთვის, მაგრამ კაცმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ზიზღით მოიშორა, – მძულხარ! სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ გული მწყდება, რომ შენ და იმ ღორს ამით ბედნიერებას მოგანიჭებთ... – სერგი ნელა ჩაიკეცა. ელენემ შეჰკივლა და უგონოდ მყოფი ქმრის წინ დაიჩოქა.

– სერგი! არა!

– მამა! – ნიკუშა შეშლილივით შევარდა ოთახში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დედამისს უყვირა: – მოსცილდი, შენი ბრალია! ყველაფერი შენი ბრალია! მძულხარ და, თუ მოკვდება, შენც მასთან ერთად მოკვდები ჩემთვის!..

***

... ქალები მამაკაცებზე სამჯერ უფრო პრეტენზიულები არიან და სამჯერ უფრო ხშირადაც აკითხავენ მათ სხვადასხვა მოთხოვნებით. რა თქმა უნდა, საუბარია ზრდასრულ ასაკზე და არა იმ პერიოდზე, როცა პატარა ბიჭები დედის კალთას არიან ჩაბღაუჭებული. ამ შემთხვევაში ისინი სულაც არ ავლენენ ძლიერი სქესისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

სოციალურ კიბეზე ქალბატონების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოიკიდა ფეხი მყარად. დანარჩენების შემოსავალი გაცილებით დაბალია მამაკაცებისაზე. ამიტომ მათი მხრიდან იმის მოთხოვნა, რომ კაცმა არჩინოს, რაღაცწილად სამართლიანიც არის. თუ მამაკაცის ინტელექტის დონე ნორმალურ სიმაღლეზეა, მაშინ საგანგაშოც არაფერია. მას ესმის, რას ითხოვს მისგან ქალბატონი და არც ღიზიანდება...

დათო ფეხაკრეფით შევიდა საძინებელში და ნელა შეუდგა ტანსაცმლის გახდას. ცდილობდა, არ ეხმაურა. ნათიამ თვალი მაშინ გაახილა, როცა დათომ იფიქრა, კარგია, ასე ღრმად რომ სძინავსო.

– შენ უკვე დგები? – დამცინავად ჰკითხა ქმარს და იდაყვებზე წამოიწია. დათოს ნირი წაუხდა.

– დაწოლას ვაპირებდი, – ჩაიბურტყუნა უხალისოდ.

– მართლა?! ლევანმა დაგრთო ნება? აღარ სჭირდები? წავიდა თუ თვითონ სასტუმრო ოთახში გელოდება და წაძინების უფლება მოგცა?

– ნათი, იცი, როგორ დავიღალე? ცოტას დავიძინებ, რა! – შეეხვეწა დათო.

გოგომ მხრები აიჩეჩა:

– კი ბატონო, დაიძინე, ვინ გიშლის, მაგრამ, გაითვალისწინე, რომ უკვე შვიდის ნახევარია.

– მერე რა, დილით ადრე ხომ არ ვარ ასადგომი, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ საათზე მივალ სამსახურში? უფროსი მე არ მყავს, რომ გამიბრაზდეს...

– ჰო, უფროსი არ გყავს, მაგრამ ის თუ გახსოვს, ცოლი რომ გყავს?

–კარგი, რა, საყვარელო, ეგ როგორ არ მახსოვს.

ნათიამ მაცდურად გაიღიმა:

– ჰოდა, თუ გახსოვს, ხვალ 10 საათზე ექიმთან უნდა ვიყოთ.

დათომ ამოიოხრა:

– ჰო, მომაგონდა. არა უშავს, ავდგები.

– არა, თუ გეზარება, ტაქსით წავალ, – განაგრძობდა ნერვებზე თამაშს ქალი.

– ავდგები-მეთქი, ჯანდაბას! რა დაგემართა, სულ რატომ ცდილობ, გამაღიზიანო? – ნერვებმა უმტყუნა დათოს, – ისედაც არა მაქვს მშვიდი ცხოვრება.

– მერედა, რატომ? ნიკუშას მილიონებმა აგირია ჭკუა?

დათომ პირი დააღო მოულოდნელობისგან. ნათიამ ნიშნისმოგებით ჩაიცინა:

– დიახ. არ მეძინა. გისმენდით და ყველაფერი გავიგონე. ასე ნუ მიყურებ, კრიმინალი არ ჩამიდენია. უბრალოდ, საკუთარ თავს ზედმეტის უფლება მივეცი. რა ვქნა? ცოტათი მრცხვენია, მაგრამ ახლა უკვე ვიცი, რა არის ჩემი საყვარელი ქმარუკას შეცვლის მიზეზი. ჩემი საწყალი ბიჭი... ისე, ორი მილიონი კარგი ფულია, არა?!

დათომ საყვედურით შეხედა ცოლს:

– ნათო, ძალიან ცუდად მოიქეცი, მაგრამ გაპატიებ, თუკი ამაზე აღარ ვილაპარაკებთ.

– რას ამბობ? სწორედ ამაზე მინდა შენთან ლაპარაკი. ვკვდები, ისე მაინტერესებს, რის გაკეთებას აპირებ.

– რის გაკეთებას უნდა ვაპირებდე, რა სისულელეს ამბობ?

– გგონია, დავიჯერებ? – ჩაიცინა ნათიამ და უფრო მოხერხებულად მოეწყო, – ორი მილიონი დოლარი ერთ ნახატში... რა მაგარია! თან, როცა არაფრის გაკეთება არ არის საჭირო, მაკლერის პოვნაც კი. იტყვი, ვყიდიო და მაშინვე გაიყიდება. შეიძლება, მეტიც გადაგიხადონ, ანუ, კი არ გევაჭრებიან, ცოტა დაგვიკელითო. ოღონდ მე მომყიდე და ორი მილიონი რა სალაპარაკოა, სამი მილიონი ინებეო...

– ეეე!.. გეყოფა, რა ამბავია! – დათომ მხარში მოჰკიდა ცოლს ხელი და მსუბუქად შეანჯღრია, – მორჩა. დაივიწყე! არც ის ნახატია ჩვენი და არც მასში გადახდილი მილიონები.

– დათო, ხომ გითხარი, ყველაფერი გავიგონე-მეთქი. რად გინდა, რომ მატყუებ?

– რას გატყუებ! კარგი, რა, ნათი, მართლა გგონია, რომ ნიკუშას ფულის ხელში ჩაგდებას ვეცდები?

ნათიამ მხრები აიჩეჩა.

– თუ არ ეცდები, დიდ შეცდომას დაუშვებ. აბა, რად უნდა ნიკუშას ამდენი ფული? საყვარელიც კი არ ჰყავს, რომ მას დაახარჯოს.

– ჰყავს.

– რა თქვი? – გაიცინა ნათიამ.

– რა ვთქვი და ჰყავს საყვარელი-მეთქი. შეყვარებულიც ჰყავს, რომელიც, ფაქტობრივად, მისი საცოლეა.

– რას ამბობ, მართალია? მე რომ არაფერი ვიცოდი ამის შესახებ?

– შენ რატომ უნდა გცოდნოდა?

– რატომ არ უნდა მცოდნოდა? – გამოაჯავრა ნათიამ, – იცი, შენი პრობლემა რაშია? პატარა, სულელი გოგო გგონივარ და ფიქრობ, რომ ისევ შენს ჭკუაზე იცხოვრებ. არ გამოვა ეს ამბავი. მე ვახოს რომელიმე ყოფილი ცოლი არა ვარ, რომ ასეთი რაღაცეები ავიტანო.

– რა შუაშია ვახო და მისი ყოფილი ცოლები? მე ვიცი, რომ მყავს ცოლი და ის შენ ხარ. გპირდები, სხვა ცოლზე არ ვიფიქრებ, – გახუმრება სცადა დათომ, მაგრამ ნათია დათმობას არ აპირებდა.

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე სრულ იდიოტიზმად მიმაჩნია ასეთი შანსის ხელიდან გაშვება. ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ნიკუშამ შენ განდოს ეგ ფული. თუ არა, სხვა რაღაცის მოფიქრებაც შეიძლება. იცი, ჩემი ბიძაშვილი პარიზში ცხოვრობს.

– ფრანგია? – აგდებით იკითხა დათომ.

– რა ფრანგი, არალეგალია, მაგრამ მაგარი ტიპია. თუ გინდა, დავურეკავ.

დათო შეიჭმუხნა.

– ნათია, ძალიან გთხოვ, ჩემი და ჩემი მეგობრების საქმეებში ნუ ჩაერევი.

– აჰა, ისევ დაიწყე. ეს რა მესაკუთრული გამოხდომებია! შენ გყავს ცოლი და, შესაბამისად, სიტყვა „ჩემი“, უნდა დაივიწყო. „ჩვენი“, დათუნი, „ჩვენი“!

დათომ ამოიოხრა. ცოლი აშკარად ნერვებს უშლიდა, მაგრამ მასთან ჩხუბი არ უნდოდა ისევ და ისევ მისი მდგომარეობის გამო.

– კარგი, შევთანხმდით. ნაბიჯსაც არ გადავდგამ, სანამ შენ არ შეგეკითხები... ოღონდ, ახლა დავიძინოთ. კარგი? სულ ცოტა ხნით...

– ექიმთან ერთად მივდივართ?

– რა თქმა უნდა, აუცილებლად, – დათომ ბალიშში ჩარგო თავი და საბანი წაიფარა.

***

... ზურაბმა მოსვენება დაკარგა. ლევანისგან ყველაფერს ელოდა, მაგრამ ასეთ კვანტს თუ გამოსდებდა, თანაც ყველაზე შეუფერებელ მომენტში, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა.

„ლაწირაკი! შეხედე, ერთი, რა რიხზეა?! ის ქალბატონიც რომ აიყოლია?! რა უნდა ველაპარაკო! მოდი და, გაზარდე შვილი... გველის წიწილი! სულ დედამისს დაემსგავსა. არაფერში არ ვარგა. იმასაც ვერ ხვდება, რომ ამ მილიონებს საფლავში არ წავიღებ. მაგრამ, თუ მეთამაშებიან და ჩემი გვერდის ავლით უნდათ ყველაფერი ხელში ჩაიგდონ, არ გამოუვათ. ვერ ვიტან, როცა თავზე მახტებიან. ელენე ვალშია ჩემთან... რა სულელი ვიყავი, რა სულელი!.. ჩემი საკუთარი ხელით მივართვი მილიონები. ზოგჯერ ჩვენი სიძუნწე ძალიან ძვირად გვიჯდება ხოლმე. მერჩივნა, ბრილიანტები მეყიდა მისთვის, თუნდაც მანქანა. რატომ მაინცდამაინც ის სურათი?.. ვერ დავიჯერებ, რომ ელენემ მისი ჭეშმარიტი ღირებულება

იცოდა, ეს აბსურდია. ყველაფერი შემთხვევით მოხდა და სწორედ ეს შემთხვევითობაა ჩემი მთავარი მტერი. მაგრამ, ასე ადვილად არ დავნებდები.

ფრენას რომ ვიტანდე, მე თვითონ ჩავიდოდი პარიზში, მაგრამ ასეთ რისკზე ვერ წავალ. თუმცა... – ზურაბი სავარძლიდან ადგა, კაბინეტში გავიდა და საწერი მაგიდის უჯრაში რაღაცას დაუწყო ძებნა. ნახევარი საათის შემდეგ მიაგნო სასურველ ნივთს. კარი შიგნიდან ჩაკეტა. პატარა ტყავის ბლოკნოტი გადაშალა და ტელეფონის აპარატს მიუჯდა... საკმაოდ დიდხანს რეკავდა. აბონენტი არ პასუხობდა. მაინც განაგრძო რეკვა, ჯიუტად, მოთმინებით...

***

ვახომ ოფიციანტს ორი ყავა შეუკვეთა და სთხოვა, „ის“ კაბინეტში მიეტანათ. დათოს დაღლილი და რაღაცით უკმაყოფილო სახე ჰქონდა.

– რა იყო, წუხელ არ გძინებია? – ჰკითხა მეგობარს.

– როგორ გამოიცანი? – დათომ სახე ხელისგულებით მოისრისა, – უჰ, სიამოვნებით დავიძინებდი, მაგრამ სახლში მისვლა არ მინდა.

– რატომ?

– ოჰ, არ მკითხო. მალე, ალბათ, გავაფრენ, – დათომ ხარბად მოსვა ცხელი ყავა, – იქნებ ამან მაინც მიშველოს.

– აგირია ცოლმა? – ჩაიცინა ვახომ, – მიდი, მიდი, მოყევი. ხომ იცი, ცოლქმრულ საკითხებში სპეციალისტი ვარ.

– დამცინე, დამცინე, რა გენაღვლება, თავი ქუდში გაქვს!

– ეგ ვითომ რატომ, რადგან ამ ეტაპზე ცოლი არ მყავს? ეჰ, არც მარტოსულობაშია ბედნიერება... – პათეტიკა მოეძალა ვახოს ხმაში.

– კარგი, რა! ტვინს მაინც არავინ გიბურღავს.

– შენც, ნუ გააბურღვინებ, რა პრობლემაა?

– პრობლემა ის არის, რომ ვერ ვახერხებ. რა ვუყო, ხომ იცი, ორსულად არის. რა ვქნა, ვუთმენ.

– ბიჭო, ამხელა კაცი ხარ, ამ თითის სიგრძე გოგოს როგორ ვერ უნდა აჯობო...

– ორსულს ვეომო? შენ გიჟი ხომ არ გგონივარ?

– გიჟის რა მოგახსენო, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მამაკაცი ნამდვილად ხარ, – ჩაიხითხითა ვახომ, – ომი საერთოდ არც ერთ ქალთან არ არის მომგებიანი ვარიანტი.

– სუსტი ნებისყოფის? ჰმ!

– დიახ. ისიც გრძნობს და ამაზე თამაშობს. ჭკუით გჯობნის, რა! აი, მომისმინე: როცა მამაკაცი პირდაპირ ამბობს „არა“, ეს ნებისმიერ ქალს, ორსულსაც და არაორსულსაც, სხვათა შორის, სერიოზულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უქმნის. ამიტომ, გესმის? ამიტომ, თუკი ბედნიერი და ჰარმონიული ურთიერთობის მომხრე ხარ, ჯერ ეს სიტყვა უნდა დაივიწყო, მერე კი ისწავლო, როგორ უთხრა უარი ქალს ისე, რომ კმაყოფილიც დარჩეს.

– ატყობ, რომ ბოდავ? – გაღიზიანდა დათო, – რას მეღადავები, თუ ძმა ხარ. მე მგონი, ლევანი მართალია, მთავარი პრობლემა ასაკია.

– რა? ლევანმა გითხრა, ცოლად ასეთი პატარა არ უნდა მოგეყვანაო?! ვაა! ლევანა „გლეჯავს“, ტო... თვითონ რომ დაძვრება თოთო ნაშებში, მაშინ რატომ არ ფიქრობს ასაკზე?!

– კარგი ერთი, რა დაძვრება. მაგისი დრო აქვს? – დათოს ლევანთან თავისი წუხანდელი საუბარი გაახსენდა და უკმაყოფილოდ დაიღრიჯა, – მარტო შენ შეგიძლია, ნაშებზე იფიქრო იმ დროს, როცა ასეთი სერიოზული საკითხი წყდება.

– ვაა, ახლა აქეთ მომდგა საყვედურებით! შენ არ იყავი, ცოტა ხნის წინ რომ წუწუნებდი?

– მერე რა, რომ ვწუწუნებდი! აბა, ძმაკაცი რისთვის მინდა? ვიღაცას ზოგჯერ მაინც ხომ უნდა შევჩივლო ის, რაც მაწუხებს?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მეც დაგეხმარები და ერთ რჩევას მოგცემ ჩემი „ოქროს ფონდიდან“: ქალს ყველაფერს უნდა დაჰპირდე, მაგრამ არაფერი შეუსრულო. სულ თავი უნდა უქნიო: „დიახ, საყვარელო“, „რა თქმა უნდა, გიყიდი, საყვარელო!“, „წავიდეთ, კი, მინდა“... მერე კი გულმავიწყ ტიპს ითამაშებ და მორჩა. ხომ არ მოგკლავს ამისთვის. სკლეროზიანი ბებერი ყველას ეცოდება, – ვახო ახარხარდა.

– აუტანელი ხარ! – გაბრაზდა დათო, – მაგრამ ეს ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ნიკუშას ხომ არ დაურეკავს შენთვის?

– არა. მობილური სულ ჩართული მაქვს, ღამითაც კი, მაგრამ არავის დაურეკავს. არც ლევანს შეუწუხებია თავი მაინცდამაინც. არადა, უნდა მოსულიყო.

– ლევანი ჩემთან იყო.

– ვა, როდის, უთენია?

– შეიძლება ასეც ითქვას. პრინციპში, უფრო ეგ არის ჩემი უძილობის მიზეზი.

– თუ „სხადნიაკი“ გქონდათ, მე რატომ არ დამირეკე?

– რა „სხადნიაკი“, რას ამბობ! უბრალოდ, როცა მოიცალა, მაშინ შემომიარა. ნიკუშას ამბავი აინტერესებდა.

– მერე, რაო, ბატონმა მინისტრმა? გეშინოდეთ მაგ კაცისო?

დათომ თავი გააქნია.

– არაო, შიშის საფუძველი არა გაქვთო... კარგი ტიპიაო.

ვახოს თვალები გაუბრწყინდა.

– ხომ გეუბნებოდი, კარგი ტიპია-მეთქი.

– მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ. არ მივიდეთ მათთან? არ გავიგოთ, რა ხდება?

ვახომ მხრები აიწურა:

– რა ვიცი, აბა?! სანამ შენ მოხვიდოდი, ზუსტად მაგაზე ვფიქრობდი. პახმელიაზე მაინც ხომ უნდა გამოვიყვანოთ ის კაცი?!

– ორ საათზე რაღა დროს პახმელიაა, ბიჭო! თან, რა პახმელია უნდა ჰქონდეს, სამი ჭიქის მეტი არ დაულევია.

– ჰო, არ სვამდა. კარგი, მაგრამ ჭამა ხომ მაინც უნდათ?! ნიკუშასაც მაცივარი არ ჰქონდეს გამოტენილი ნაირ-ნაირებით. იცი, რა ვქნათ? მე ახლა გოგოებს ვეტყვი, რაღაც-რაღაცეები გაგვიმზადონ, სუპერმარკეტშიც შევიაროთ და მივადგეთ.

– ჯერ დაგვერეკა. სახლში იქნებიან?

– აბა, სად წავიდოდნენ, ექსკურსიაზე ბოტანიკურ ბაღში?

– მე მაინც დავრეკავ, – დათომ მობილური აიღო, მაგრამ ნომრის აკრეფა ვერ მოასწრო, რომ ტელეფონმა დარეკა.

– ჰო, ლევან, გისმენ! ვახოსთან ვარ. არა, ჯერ არ დაურეკავს. ახლა სწორედ მაგაზე ვლაპარაკობდი... ექვსი საათისთვის? კარგი. კარგი, მერე, შეძლებ? მესმის... მოვალთ! – დათომ მობილური გათიშა და ვახოს შეხედა.

– რაო, ბატონმა მინისტრმა, თავისთან ხომ არ გვიბარებს თათბირზე?

– არა. 4 საათზე რესტორანში გველოდება, ნიკუშასაც თავისი მამინაცვლიანად.

– ჰოო? ნიკუშას ჩვენ უნდა გავუაროთ?

– არა. მისთვის უკვე დაურეკავს, – დათომ საათზე დაიხედა, – მაშინ მე ახლა სახლში წავალ და ორი საათით მაინც წავიძინებ, თორემ სუფრაზე ჩამომეყვინთება. თან ნათიასაც ვეტყვი, რომ გაემზადოს.

– ესე იგი, საყოველთაო შეკრება გვაქვს. შენ და ბატონი ლევანი შემადგენლობებით იქნებით, ნიკუშას მამინაცვალი დაუმშვენებს გვერდს. მე რა ვქნა, მარტო ვიჯდე და თქვენ გიყუროთ?

– მარტო რატომ უნდა იჯდე? თავს ნუ დაიჩაგრავ. ქალი გაგიჭირდა? ბოლოს და ბოლოს, ყოფილებიდან გააბედნიერე რომელიმე. მე შენ გეტყვი, უარს გეტყვიან. ერთი ის მაცოდინა, შენზე და ნიკუშაზე ქალები ასე რატომ ირევიან, რა იცით მაგისთანა?

– ნიკუშაზე მარტო ქალები კი არა, კაცებიც ირევიან. რაღაცნაირი სუფთაა, ხომ გესმის, მე, მაგალითად, ძმასავით მიყვარს.

– მე, მე არ გიყვარვარ? – ირონიულად ჰკითხა დათომ.

– შენც მიყვარხარ, ლევანიც, ოღონდ თქვენ ცოტათი „ჩათლახები“ ხართ, სულ ცოტათი. ნიკუშა კი სხვანაირია, – ვახომ ძმაკაცს თვალი ჩაუკრა და ნებივრად გაიზმორა, – ესე იგი, „სვეტსკი“ ვახშამი გველის. საღამომდე ქალი უნდა ვიშოვო. კარგი, რაღაცას მოვიფიქრებ.

***

ლევანმა პიჯაკი ჩაიცვა და ცოლს გახედა. თინიკო ჩუმად სვამდა ყავას და მისკენ არ იყურებოდა. კაცს ნერვებმა უმტყუნა.

– რა გადაწყვიტე?

ქალმა მხრები აიჩეჩა:

– ჯერ არაფერი.

– თინი, რა დაგემართა, პირველად ხომ არ მივდივართ რესტორანში ბიჭებთან ერთად?

– პირველად არ მივდივართ, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, – წყნარად ჩაილაპარაკა ქალმა, – გული მიგრძნობს, რომ ჩემი იქ ყოფნა საჭირო არ არის.

ლევანმა ამოიოხრა, ცოლს მხრებზე დაადო ხელები და ლოყით ლოყაზე მიეხუტა:

– სულ ტყუილად ნერვიულობ, დამიჯერე!

– და, თუ ნიკუშა მართლა ჩემი ძმაა? – საცოდავად იკითხა თიკამ. ლევანი ქალს მოსცილდა და შეწუხებულმა ხელები გაშალა.

– გამაგიჟებ მე შენ! რა გინდა, რატომ ვერ ისვენებ? რატომ დასდევ კატას ბნელ ოთახში, მაშინ, როცა ის იქ საერთოდ არ არის? იცი, რას გეტყვი? ნიკუშა აზრზე არაა, ვისთან ადგამდა მისი საყვარელი დედიკო მამამისს რქებს და არ გირჩევ, შენ მიაწოდო ამის შესახებ ინფორმაცია.

– სიმართლე არასოდეს იმალება. ადრე თუ გვიან, ნიკუშა აუცილებლად გაიგებს, ვინ იყო დედამისის საყვარელი.

– გაიგოს, მაგრამ არა ახლა და არა ჩემი ცოლისგან, ამას ვერ დავუშვებ, არც იფიქრო!

– არ მესმის შენი. ეს ყველაფერი მარტო მე და ნიკუშას გვეხება. შენ საერთოდ არაფერ შუაში ხარ.

– რას მეუბნები? – ყასიდად შეიცხადა ნიკუშამ, – შენ იცი, როგორ მოკვდა ნიკუშას მამა? რას მიყურებ, სერგი იყო მამამისი და ყოველთვის ასე იქნება. მოკლედ, გული გაუსკდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანს. როგორ ფიქრობ, რამ გაუხეთქა გული?

– არ ვიცი.

– სამაგიეროდ, მე ვიცი. ეჭვი მაქვს, რომ მამაშენისა და თავისი ცოლის რომანის ამბავი გაიგო. გესმის? ახლა შენ თვითონ გაანძრიე ტვინი, თუ საერთოდ გაქვს ტვინი, როგორ შეხვდება ნიკუშა იმ კაცის ქალიშვილს, რომელმაც მამა მოუკლა – ხელებს გაშლის და გულში ჩაიკრავს? ამიტომაც, გირჩევ, ენას კბილი დააჭირე და პრობლემებს ნუ შემიქმნი.

– მამაჩემი თუ მკვლელია, ელენე ვინღაა? – ცრემლი გამოერია ხმაში თიკას.

– ისიც მკვლელია, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, თინიკო, არ არის ჩვენი საქმე! ახლა ადექი და ჩაიცვი. მინდა, ამ საღამოს განსაკუთრებით ლამაზი უნდა იყო. ბატონ გრაფს კარგი გემოვნება აქვს და არ მინდა, თქვას, ქართველ მინისტრს საკუთარი ცოლისთვის ვერ მიუხედავსო.

თინიკო ჩუმად იჯდა და თავის თითებს ჩაშტერებული, რაღაცაზე ფიქრობდა. თავი რომ ასწია, წამწამები ცრემლებით ჰქონდა სველი.

– ლევან, შეგიძლია, რაღაც მითხრა? ოღონდ, არ მომატყუო.

ქმარმა თავი დაუქნია.

– შენ ცოლად იმიტომ შემირთე, რომ ზურაბის შვილი ვიყავი?

ლევანი შეიჭმუხნა:

– თუ იმას გულისხმობ, რომ მამაშენისა და ნიკუშას დედის ამბავი ჩვენს შეუღლებამდე ვიცოდი, არ არის ასე, ეს არც ისე დიდი ხნის წინ გავიგე – მაშინ, როცა მამაშენმა მითხრა, გეფიცები. ის სურათი რომ არა, ვერასდროს გავიგებდი სიმართლეს.

ქალს შეუძლია, გულით დაინახოს ის, რაც თვალით შეუმჩნეველია. ინტუიცია ყოველთვის მამაკაცზე მეტად აქვს განვითარებული. სხვა საქმეა, ვინ როგორ უყურებს ამ ნიჭს. მაგრამ რაღაც მომენტში ის თვითონ იჩენს თავს, თანაც ისე, რომ მისი ჩახშობა შეუძლებელია. ასეთ დროს, უბრალოდ, უნდა ენდო შინაგან ხმას და გააკეთო ის, რასაც ის გკარნახობს.

ნატუკას ნელ-ნელა აღიზიანებდა ლევანის სიჩუმე. რამდენიმე კვირის განმავლობაში არ დაურეკავს და არ შეხვედრია. კიდევ უფრო ცუდი იყო ის, რომ არც ნიკუშასთან შეხვედრა დაუვალებია. ნატუკა თავისუფალი იყო და შეეძლო, ადვილად მოეძებნა გამრთობი, მაგრამ გრძნობდა, რომ ამის სურვილი არ ჰქონდა. ღამის კლუბებში სიარულსაც უკლო, თავის ქარაფშუტა დაქალების გასაოცრად. თვითონ არ უკვირდა საკუთარ თავში მომხდარი ცვლილება. ლევანთან ურთიერთობამ სერიოზული ამბიცია გაუჩინა – ცხოვრებისგან მეტის მიღების სურვილი. მხოლოდ ფული ვეღარ დააკმაყოფილებდა. „რატომ არა?! მე ყველაფერს საუკეთესოს ვიმსახურებ და რაც მთავარია, დროა, აღარავისზე ვიყო დამოკიდებული. თანამდებობა მჭირდება, შტერი არ ვარ. ჩემზე უტვინოებმა გაიკეთეს კარიერა და მეც შევძლებ. ლევანთან სერიოზული ლაპარაკი მომიწევს. მისი მოწყალება არაფერში მჭირდება. მთავარია, კიბის პირველ საფეხურებზე ასვლაში დამეხმაროს, დანარჩენს თავად მოვახერხებ. როგორ მომწონს საქმიანი ქალები, თავდაჯერებული იერით და პრინციპული გამოხედვით. არ მომიხდება თუ რა...“ – ნატუკა სავარძლიდან ჩამოხტა, მაგიდიდან მამამისის სათვალე აიღო და სარკესთან მივიდა. „თმას ასე შევიკრავ... სადა ვარცხნილობა... სადა, მაგრამ ძვირფასი კოსტიუმი. ვიწრო ქვედაბოლოთი... მინიმალიზმი ჩაცმულობაში და მაქსიმალიზმი მოთხოვნებში... მაგარია! რა თქმა უნდა, ეს სათვალე არაფრად ვარგა, მაგრამ შესაფერისის შერჩევა არ გამიჭირდება. ახალი ტანსაცმელიც მჭირდება. ბატონ მინისტრთან მიღებაზე რომ მივალ, სასურველია, შესაფერისად გამოვიყურებოდე. რაც მალე მნახავს და შემეჩვევა, მით უკეთესი. შეიძლება, ერთი ჩერჩეტი, უწიგნური გოგო ვგონივარ, რომელმაც ლოგინში კოტრიალის მეტი არაფერი იცის, მაგრამ ძალიან მალე დავუმტკიცებ, რომ ცდება“, – ნატუკამ სათვალე მოიხსნა და საკუთარ გამოსახულებას ენა გამოუყო. მერე სიცილი აუტყდა: „ნეტავი, როგორი სახე ექნება ლევანს, როცა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვამცნობ? აბა, რა ეგონა? ნიკუშას კი დავუმტკიცებ, რომ ამ ცხოვრებაში მეც რაღაცას წარმოვადგენ. ნეტავ, ის ქალი სად მუშაობს, მაშინ თავზე რომ წამოგვადგა. ეტყობა, ძალიან მოაქვს თავი, მაგრამ ზრდილობა აშკარად აკლია. უცოლო კაცთან რომ მიდიხარ სახლში, წინასწარ თუ არ აფრთხილებ ტელეფონით, კარზე ზარი მაინც უნდა დარეკო“, – ნატუკამ ისევ გაიცინა. გუნება აშკარად გამოუკეთდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა სამოქმედო გეგმა ჰქონდა და მოსაწყენადაც ვერ მოიცლიდა.

***

თინიკომ დარბაზი მოათვალიერა და შუბლზე ჩამოშლილი თმა შეისწორა. ლევანმა ფრთხილად მოუჭირა მკლავზე ხელი და გაამხნევა.

– ტყუილად ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება...

– შენ იცი, მე რაზეც ვნერვიულობ, ყველაზე ნაკლებად ნიკუშასთან შეხვედრა მინდა.

– მაგაზე ჯობია, საერთოდ არ იფიქრო. მოდი, რა ვქნათ, იცი?! უბრალოდ გავერთოთ. ცოტა დავლიოთ და თუ გინდა, ვიცეკვოთ კიდეც.

თინიკომ უნდობლად შეხედა ქმარს.

– შენ მეუბნები ამას?

– ჰო. მე გეუბნები. რა იყო, არ გჯერა? – გაუღიმა ლევანმა.

– რა ვიცი, იმდენი ხანია, ჩემთან აღარ გიცეკვია, დამავიწყდა კიდეც, ეგ ბოლოს როდის იყო.

– სხვასთანაც არ მიცეკვია, თუკი ეს ცოტათი მაინც დაგამშვიდებს. როდემდე ვაპირებთ აქ დგომას? მივიდეთ, სირცხვილია. მგონი, უკვე შეგვნიშნეს კიდეც. დათო ხელს გვიქნევს.

– ვახოს ვერ ვხედავ, – მაგიდასთან მსხდომებს დააკვირდა თიკა.

– მაგისი ამბავი არ იცი? მოვა, დაშლას რომ დავაპირებთ, – ლევანმა მხარზე მოხვია ხელი ცოლს და მაგიდისკენ წაიყვანა. თიკამ ნათიას აკოცა, ნიკუშას კი რაღაცნაირად, საწყლად გაუღიმა. უხერხულობა რომ დაემალა, მისკენ მოწიწებით გაწვდილ ჟანის ხელს თავისი მიაგება და მისკენ ოდნავ გადაიხარა.

– კარგი გემოვნება ჰქონია ბატონ მინისტრს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში.

– პირველად როდის აღმოაჩინეთ მისი დახვეწილი გემოვნება? – ჰკითხა ნიკუშამ მამინაცვალს და მეგობარს ორაზროვნად გახედა.

ლევანმა არ შეიმჩნია.

– პარიზში, – თქვა ღიმილით, – როცა ელენემ, უკაცრავად, ქალბატონმა ელენემ და ბატონმა ჟანმა ვახშმად დამპატიჟეს.

– ისეთი კერძები შეუკვეთა და ისეთი სასმელიც შეუხამა, რომ გავოცდი, – დაუდასტურა ჟანმა, თანაც ჩვენ დაუხმარებლად. ნიკუშამ მითხრა, რომ ეს რესტორანიც თქვენ შეარჩიეთ.

– თბილისში კარგი რესტორნის პრობლემა აღარ არის. გემრიელი კერძების ჭამა ბევრგან შეიძლება, – აღნიშნა დათომ და მაშინვე დაამატა, – გემრიელი ქართული კერძების.

– გემრიელი კერძებით ფრანგს ვერ გააკვირვებ, – გაეღიმა ლევანს, – მით უმეტეს, ისეთ გურმანს, როგორიც ბატონი გრაფია, თანაც მე მიმაჩნია, რომ ქართული სამზარეულო ძალიან ჩამორჩა ფრანგულს.

– ეგ სადავო საკითხია, – გააპროტესტა დათომ, – ჩვენს ხინკალზე მსოფლიო გიჟდება.

– ჰო, მაგრამ მეტისმეტად პრიმიტიულია. ფრანგებს ხელოვნების დონეზე აქვთ კულინარია. ჩვენ ამაშიც კი ვავლენთ სიზარმაცეს. ხინკალი ხომ გვაქვს, ხაჭაპური ხომ გვაქვს, საკმარისია, რომ ყველა გადავრიოთ. შვეიცარიასა და ჰოლანდიაში მარტო ყველია ასზე მეტი სახეობის, მაგრამ მაინც არა აქვთ იმის პრეტენზია, რომ ყველაზე მაგრები არიან მსოფლიოში.

– ბატონო ლევან, არც ასეა საქმე, – ჟანმა ნიკუშას გაუღიმა, – დიახ. არც ასეა საქმე. მე მიმაჩნია, რომ მარტო ნიგვზიანი ბადრიჯანი გეყოფოდათ აღიარებისთვის.

– მართლა? – მხრები აიჩეჩა ნათიამ, – მე საერთოდ არ მიყვარს ნიგვზიანი ბადრიჯანი.

– სხვათა შორის, თქვენი ხინკალი არ გამისინჯავს.

– მართლა? არა უშავს. მაგას გამოვასწორებთ. იმედია, კიდევ რამდენიმე დღე დარჩებით თბილისში.

– სავარაუდოდ, ასეა. ვიზისა და საბუთების მომზადებას დრო დასჭირდება.

ლევანმა თავი ასწია. ნიკუშამ გამომწვევად გაუღიმა და თავი დაუქნია.

– დიახ. ასეა. ჟანმა დამითანხმა, მივდივარ საფრანგეთში.

დათომ შეშფოთებით გადახედა ლევანს, რომელსაც წარბი არ შეუხრია, ისე მოისმინა ნიკუშას ნიშნისმოგებით ნათქვამი სიტყვები. ღვინო მოსვა და თავი ისე დააქნია, ვერ გაიგებდი, რისი თქმა უნდოდა ამით. სამაგიეროდ, თიკას აუკანკალდა ხელები, – მიდიხარ? მართლა? შენ ფიქრობ, რომ ასე გაცილებით უკეთესად იქნები?

ლევანმა შეუმჩნევლად წაცხო ცოლს მაგიდის ქვეშ მუხლი.

– რა თქმა უნდა, უკეთესად იქნება. დედა მაინც დედაა. თანაც ისეთი დედა, როგორიც ქალბატონი ელენეა. პარიზსაც სხვა ხიბლი აქვს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდი. სწორად იქცევი.

– სწორად ვიქცევი თუ არა, ეს, როცა ჩავალ, იქ გამოჩნდება, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– მე შეკითხვა მაქვს, რომელზე პასუხიც მხოლოდ ერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს.

თინიკო გაფითრდა, თავი დახარა და სუფრის კუთხეს დაუწყო წვალება. გრძნობდა, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა, მაგრამ ადგომა და დარბაზიდან გასვლა ვერ გაბედა. შეიძლება იმიტომ, რომ ლევანის ხელისგული ჯერ კიდევ მის კალთაზე იდო.

– მოკლედ, გავემგზავრები და ვნახავ, – თქვა ნიკუშამ და რატომღაც თიკას შეხედა.

– რა კარგია?! – ნათიამ აღფრთოვანება ვერ დამალა, – პარიზში იცხოვრებ. შესანიშნავია! ყოველთვის ვოცნებობდი პარიზზე. ახლა მაინც ვეღარ მეტყვის უარს დათო და წამომიყვანს. სტუმრად ხომ მიგვიღებ?

– ნათი, ჯერ მოიცადე, ჩავიდეს და მიიხედ-მოიხედოს, იქნებ ორ დღეში უკან გამორბის, – უშნოდ იხუმრა დათომ.

– რას ამბობ, რატომ უნდა გამოიქცეს? სამუშაოდ ხომ არ მიდის. გრაფის სასახლეში იცხოვრებს. ყველას ხომ არ ჰყავს მილიონერი დედიკო, – გადაიკისკისა ნათიამ და მისმა დაუფიქრებლად წამოსროლილმა სიტყვებმა დათო ჭარხალივით გააწითლა.

– გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! – ხმადაბლა გადაულაპარაკა ცოლს, – ვერ ხედავ, რომ სისულელეებს ლაპარაკობ?

ნათიამ ქმარს შეუბღვირა და ახლა თიკას მიუბრუნდა.

– შენ იცნობ ნიკუშას დედას? მართლა ისეთი ლამაზია, როგორც ამბობენ?

– არ ვიცი. არასოდეს მინახავს, – ჩაიბურტყუნა თიკამ.

– პარიზში რომ იყავით, ლევანმა მასთან ვახშამზე არ წაგიყვანა?

ლევანმა დათოს ისე გახედა, დათომ ცოლს სწრაფად მოჰკიდა იდაყვში ხელი და თითქმის ძალით ააყენა სკამიდან, თან ნაძალადევად უღიმოდა.

– წამოდი, ძვირფასო, ცოტა ხნით აივანზე გავიდეთ. აქ ისეთი ბოლია, მეშინია, ცუდად არ გახდე. ვერ ვიგებ, რატომ არ აკრძალავენ ამ დარბაზში მოწევას.

დათომ ცოლი აივნისკენ წაათრია.

– მე არ ვიცოდი, პარიზში მეუღლეს თქვენც თუ ახლდით, უხერხულად გამოვიდა.

– არა, არა. ნათიას შეეშალა. მე არ ვყოფილვარ პარიზში. უფრო სწორად, იმ დღეს არ ვყოფილვარ, – სიტუაციის განეიტრალება სცადა თინიკომ. თან ცდილობდა, ნიკუშასკენ არ გაეხედა. მისი მზერა შუბლს უწვავდა.

***

ვახომ რამდენჯერმე დახედა საათს. ლოდინი ჭკუიდან შლიდა. ქალებში ყველაზე მეტად ის სძულდა, დროის შეგრძნება რომ არ ჰქონდათ და როცა ხედავდა, რამდენ ხანს შეეძლოთ სარკის წინ ტრიალი, მაშინ, როცა თვითონ გასაქცევად იყო მზად, ბრაზისგან ნაპერწკლებს ჰყრიდა.

– კარგი, რა, გეყოფა, საათზე მეტია, ირთვები. დაგვაგვიანდა!

– არა უშავს, მოიცდიან. შენი ბრალია, ცოტა ადრე უნდა გაგეფრთხილებინე. ერთი საათით ადრე რომ მომადექი, ასეთი სისწრაფით ჯარისკაცი თუ გაემზადება. ვერ გადამიწყვეტია, რა ჩავიცვა.

ვახომ ხელები გაშალა.

– აუუ, გავგიჟდები ნამდვილად! ასე წამოდი, რაც გაცვია. იცი, როგორ გიხდება?

– ნუ ეშმაკობ, მაინც არ დაგიჯერებ! მე უკეთ ვიცი, როგორ გამოვიყურები. თანაც შენ გემოვნება არასოდეს გივარგოდა.

– მე? ეე, ახლა „გატეხე“. რას ამბობ, ტო? მე არ მივარგა გემოვნება? შენ ჩემს ცოლებს ხომ იცნობდი – სამივე ერთმანეთზე უკეთესი იყო.

– თუ ასეთი კარგები იყვნენ, რაღატომ ეყრებოდი? – ნიშნისმოგებით დაუქნია თითი ქალმა.

– სწორედ მაგიტომ, რომ ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, – გადაიხარხარა ვახომ, – ისე ხომ მაგარი ვარ, მიდი, მიდი, აღიარე!

– მაგარი ის არის, ვინც ერთ ცოლს შეაბერდება. მე ასე მესმის მაგარი კაცობა. თუმცა, შეიძლება, ჩამოვრჩი ცხოვრებას.

– აშკარად ჩამორჩი. აბა, შენისთანა ქალი გაუთხოვარი უნდა იყოს? მისჩერებიხარ იმ ბრიყვს და...

იამ წარბი შეიკრა და გამაფრთხილებლად შემართა ხელი.

– მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. თორემ საერთოდ არ წამოვალ!

– ჰო, კარგი. ბოდიში. შენ ოღონდ წამოსვლა არ გადაიფიქრო და ხმას საერთოდ არ ამოვიღებ.

– იცი, ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობდი.

– რაზე, არ გადამრიო?

– ღირს ჩემი წამოსვლა თუ არა.

– ვითომ რატომ არ ღირს? მე ლევანმა მითხრა, მარტო არ მოხვიდეო. ასე რომ, არჩევნის უფლება გამოვიყენე და შენი წაყვანა გადავწყვიტე.

იამ ამოიოხრა. თვალწინ ლევანთან მომხდარი ინციდენტი მოაგონდა და სინანულით ჩაილაპარაკა.

– მგონი, მარტო შენ ხარ ჩემი მეგობარი და წამოვალ. წამოვალ აუცილებლად. ჩემი დროც მოვიდა. კიდევ რამდენიმე წუთი და მზად ვიქნები.

ვახომ ყელი „გამოიგლიჯა“.

– დაუჩქარე, რა, გეხვეწები!

– ჰო, კარგი, ვეცდები, რადგან ასეთ საპასუხისმგებლო წვეულებაზე მიწევს მიბრძანება, ისე უნდა გამოვიყურებოდე, ყველა შოკში ჩავაგდო. ხომ გითხარი, ჩემი დროც მოვიდა-მეთქი.

ვახო ცოტათი შეშფოთდა.

– ეე, მოიცა, ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართ. რა ჩაიფიქრე?

– არაფერი, საყვარელო, არაფერი... ასე ნუ მიყურებ, უბრალოდ, ვიხუმრე. უბრალოდ, ნიკუშასთან ჩემი შეხვედრა გრანდიოზული უნდა იყოს, იმ ჩვენი ბოლო პაემნის შემდეგ. არ მეთანხმები?

– მზად ვარ, ყველაფერზე დაგეთანხმო, ოღონდ დროზე ჩაიცვი, დაგვაგვიანდა! – იყვირა მოთმინებადაკარგულმა ვახომ.

იამ გაუღიმა და მშვიდად გაემართა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

***

კიდევ ერთი შეტაკება, ხარისა და ადამიანისა, ადამიანის გამარჯვებით დასრულდა. როცა ყველაფერი მთავრდება, ძნელია, გაარკვიო, ხარი აღმოჩნდა სუსტი და ადამიანი – ძლიერი, თუ უბრალო შემთხვევითობამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. თუმცა, როგორ შეიძლება, შემთხვევა უბრალო იყოს, როცა, ფაქტობრივად, ის არის ბედისწერის ჭეშმარიტი სახე. კარგად შენიღბულ-შეფარული და ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუცნობელი. თუმცა, მთავარი მაინც შედეგია, თანაც, მარტო მატადორისთვის კი არა, ხარისთვისაც...

თინიკომ ფეხსაცმელები გაიხადა, გამეტებით ესროლა კედელს.

– მძულხარ! რომ იცოდე, როგორ მძულხარ! – მთელი ხმით უყვირა ქმარს. ლევანმა პიჯაკი გაიხადა და სკამის საზურგეზე გადაკიდა.

– ნუ ყვირი, – თქვა საკმაოდ მშვიდად, – ბავშვს გააღვიძებ.

– ბავშვი ჩემია და თუ მინდა, გავაღვიძებ. ეს არ არის შენი პრობლემა.

– ჩემი პრობლემაც არის. ამიტომ გეუბნები, ნუ ყვირი-მეთქი. შეგვიძლია, წყნარად დავილაპარაკოთ.

თინიკო შეშლილივით წამოხტა სავარძლიდან და გაკაპასებულმა ორივე ხელი ქმარს ცხვირწინ აუქნია.

– მაინც, რაზე? ჰო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ მე და შენ იმ ყველაფრის შემდეგ, რაც დღეს რესტორანში მოხდა.

– დღეს რესტორანში არაფერი მომხდარა, – კაცმა არაადამიანური ძალისხმევით სცადა სიმშვიდის შენარჩუნება.

– შენთვის არ მომხდარა არაფერი, ახლა მე მკითხე? არ ვიცი, როგორ შევიკავე თავი, რომ იქვე არ მოგიწყვე სკანდალი. ჭურჭელი უნდა დამემტვრია და საქვეყნოდ მომეჭრა შენთვის თავი.

– ამით მხოლოდ იმას დაამტკიცებდი, რომ გიჟი ხარ.

– შენ გინდა, რომ გიჟი ვიყო. მაშინ, დამშვიდებული სინდისით მიმატოვებდი და იმ ქალბატონთან გაიქცეოდი.

ლევანმა სიმწრით გააღრჭიალა კბილები.

– როგორი სულელი ხარ! დაფიქრდი მაინც, რას ამბობ? თითქოს არ იცოდე, „ის ქალი“, როგორც შენ მას უწოდე, ნიკუშას საცოლე რომ არის.

– მე მარტო ერთი რამ ვიცი, იმ ქალს შენი ნაჩუქარი გულსაბნევი ეკეთა, უსინდისო! იქაც მომატყუე და საერთოდ, სულ მატყუებ. ნაძირალა ხარ! არასოდეს გყვარებივარ! სიყვარულს ვინ ჩივის, პატივსაც არ მცემ. რისთვის მიმათრიე იმ რესტორანში, გული რომ მოგეკლა ჩემთვის და კიდევ ერთხელ გეთქვა, არარაობა ხარო? მითხარი, ეს გინდოდა?

– გაჩუმდი, თინიკო, საკმარისია! მე საერთოდ არ ვიცოდი, იას თუ მოიყვანდა ვახო, წარმოდგენა არ მქონდა. ეგ იდიოტი, ეგა! სიამოვნებით დავუნაყავდი ცხვირ-პირს, ამის შესაძლებლობა რომ მქონდეს.

– რატომ დაუნაყავდი? შენი ბინძური საცვალი რომ არ დამალა და სააშკარაოზე გამოიტანა? ვახოს, შენგან განსხვავებით, ეშმაკობა არ ჰყოფნის. იმ გულსაბნევის ამბავი კი, შეიძლება, საერთოდ არ იცის. რა თქმა უნდა, არ ეცოდინება. შენ ხომ ძმაკაცის საცოლესთან დაძვრები?! მშვენიერი ალიბია! აბა, ვის შეეპარება ეჭვი შენს პატიოსან დამოკიდებულებაში მეგობრის საცოლესთან? მერე რა, თუ ეს ურთიერთობა დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. ამაზე ლაპარაკიც არ არის. ორმა უზნეომ ბინძური თამაში წამოიწყო და ვინ უშლით ხელს? – გიჟი, ეჭვიანი ცოლი.

– გეყოფა-მეთქი! ნუ ლანძღავ საკუთარ თავს და ნუ იქცევი ისე, რომ შენთან საუბრის სურვილიც კი გამიქრეს.

– თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. არ მიკვირს, ასე გააფთრებით რომ იცავ საკუთარ ღირსებას, მაგრამ ერთი რაღაც დაგავიწყდა. ღირსება რომ დაიცვა, ჯერ ის უნდა გქონდეს. ამაზე არ გიფიქრია?

ლევანმა ბოლთის ცემას თავი ანება და ცოლს გამანადგურებელი მზერა მიაპყრო.

– თიკა, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! – გამოსცრა მუქარანარევი ტონით.

– რას მეუბნები? – დასცინა ქალმა, – მერე, რას მიზამ, შენი მოთმინება მაგ ზღვარს რომ გადალახავს, მცემ?

– იცი, რომ მაგის გამკეთებელი არ ვარ. არ მივეკუთვნები იმ მამაკაცთა კატეგორიას, დილით რომ ცოლს სცემენ, საღამოს კი, გვერდით მიუწვებიან ხოლმე.

– სამაგიეროდ, ძმაკაცის საცოლესთან წევხარ და მისთვის ძვირფას საჩუქრებსაც კი ყიდულობ, თანაც პირდაპირ პარიზიდან ჩამოგაქვს.

– შენ ცუდად ხარ, უკვე რაღაცეები გელანდება.

– სხვა რა გაქვს სათქმელი, თავი რით უნდა გაიმართლო, ნაძირალა... როგორც კი გამომისტუმრე, მაშინვე მიბრუნდი და უყიდე. რომ მახსენდება, როგორ მომატყუე, ბრაზისგან თვალებში მიბნელდება. მზად ვარ, ფრჩხილებით სახე დაგიკაწრო, – თინიკო ქმარს მივარდა და სცადა, მისთვის სახე ჩამოეკაწრა. ლევანმა სწრაფად დაუჭირა ხელები და მაგრად შეანჯღრია.

– ნუ აფრენ! გესმის? დროა, დამშვიდდე. შენი ნაბოდვარის მოსმენას აღარ ვაპირებ. დამშვიდდი, დამშვიდდი-მეთქი და ნუ მეწინააღმდეგები. არ მინდა, რამე გატკინო...

– შენ მე უკვე მატკინე, ისე მატკინე, რომ სიკვდილი მინდა, მძულხარ!.. მძულხარ, მაგრამ შენზე უფრო მეტად საკუთარი თავი მძულს, ხომ ვიცოდი, რომ მატყუებდი, რატომ, რატომ მოგეცი საშუალება, კიდევ ერთხელ გაგებრიყვებინე?!

ლევანი მიხვდა, თიკა ისტერიკის ზღვარზე რომ იყო. სავარძლამდე თითქმის ძალით მიათრია. დასვა, მერე ბართან მივიდა, ჭიქაში ცოტა კონიაკი ჩაასხა და ქალს ტუჩებთან მიუტანა. თიკამ თავის გაწევა სცადა, მაგრამ ლევანს მაგრად ეჭირა.

– ხომ გითხარი, არ მინდა, რამე გატკინო-მეთქი. დალიე, დალიე და დამშვიდდი. შენ ეს გჭირდება. ახლა კი შეეცადე, კარგად მომისმინო. ია ჩემი მეგობარია, მხოლოდ მეგობარი და ჩვენ შორის არაფერია. არც შეიძლება იყოს, გესმის? არჩევ სიტყვებს თუ გაგიმეორო. ყელსაბამის შესახებ კი არაფერი ვიცი. თუ სიმართლე გაინტერესებს, არც შემინიშნავს, რა ეკეთა. ეს შენი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია.

თიკამ ჯიუტად გააქნია თავი.

– ვეღარ მომატყუებ! მეხსიერებას არ ვუჩივი, ზუსტად ის გულსაბნევი ეკეთა, რომელიც პარიზში ვნახე. მაღაზიაში რომ შემოვედი, ხელში გეჭირა და ათვალიერებდი. ლევან, არ გინდა, ამ ყველაფერს წერტილი დავუსვათ? არ დაიღალე, ამდენი ტყუილებით? მოგწონს, როცა უნიჭოდ თამაშობ უცოდველი, ერთგული ქმრის როლს? ვერ დავიჯერებ, რომ შენ გინდა ასეთი ცხოვრება. მიდი, მითხარი სიმართლე. თქვი, რომ ის ქალი გირჩევნია ოჯახს და მოვრჩეთ ამით. ნუ გეშინია, გრანდიოზულ სკანდალს არ მოვაწყობ. მშვიდად გაგეყრები. აქამდე კიდევ მქონდა ბრძოლის თავი და სურვილი, მაგრამ ახლა აღარ მინდა. არ მიღირს...

– გეუბნები, ტყუილად ნერვიულობ და მეც მაღიზიანებ. როგორ დაგარწმუნო, რომ იასთან არაფერი მქონია, თუ გინდა, ხატზე დაგიფიცებ.

– მასხარა ხარ შენ, – ცრემლი ვერ შეიკავა თიკამ, – აღარაფრის გერიდება... არც ხატის გეშინია და არც დემონის. ნუთუ, სულ დაკარგე ნამუსი. ვაჟკაცობა მაინც არ გყოფნის, რომ აღიარო შენი დანაშაული.

– რა დანაშაული, საკმარისია, ბოლოს და ბოლოს! ჭკუიდან არ შემშალო! – აყვირდა მოთმინებადაკარგული ლევანი. მე არ ვამბობ, რომ ანგელოზი ვარ, მაგრამ იმ ქალთან შენთვის არ მიღალატია. არადა, ახლა გინდ დაიჯერე, გინდ არა. რაც გინდა, ის ქენი! მე მივდივარ, უნდა დავიძინო...

– კაბინეტში, დივანზე მოგიწევს დაძინება. საძინებელში შემოსვლას გიკრძალავ. ყველაფერი შემიძლია გაპატიო, მაგრამ კიდევ რომ ცდილობ ჩემს მოტყუებას, ეს მეტისმეტია!

ლევანმა დაიგმინა.

– მეტი აღარ შემიძლია. არაფრის გაგება არ გინდა. დავიძინებ კაბინეტში. იქნებ შენთვის ჯობდეს კიდეც, ცოტა ხნით მარტო რომ დარჩე. დაფიქრდები და მიხვდები, ჩემთან დამნაშავე რომ ხარ.

– მე ვარ დამნაშავე, მე? – თიკამ გულზე დაიდო გაშლილი ხელი.

– დიახ, შენ! სულ რაღაც აკვიატებული იდეების ტყვეობაში ხარ. ხან რა სისულელეს მოიგონებ, ხან რას და მერე შენი გამოგონებული აბდა-უბდის თვითონვე გჯერა. ახლახან ნიკუშა ჩემი ძმაო, მიმტკიცებდი.

– შეიძლება-მეთქი და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოჩვენებები მაქვს. შენ თვითონაც წამოგცდა, რომ არც ისეთი არარეალურია.

– იქნებ წამომცდა, მგაგრამ ამას ჩემთვის საღად აზროვნებაში ხელი არ შეუშლია. რასაც შენზე ვერ ვიტყვი.

– არ ვარ გიჟი და ტყუილად ცდილობ, საპირისპიროში დამარწმუნო.

– არა, გიჟი ნამდვილად არ ხარ. ამას შენზე ვერავინ იტყვის, მაგრამ იცი, რა გჭირს? იმისი გჯერა, რისი დაჯერებაც გინდა. შენ პარიზში მაღაზიაში თავზე რომ წამომადექი, დაიჯერე, რომ საყვარლისთვის საჩუქარს ვყიდულობდი, დარწმუნდი ამაში და დღეს იმ საცოდავი ქალის რაღაც ბროშზე გადაირიე.

– საცოდავი არა?.. საცოდავს რა უგავს. დავინახე, როგორ გიბრიალებდა თვალებს, თუ ესეც მომეჩვენა.

– არ ვიცი, ვინ რას აკეთებდა იმ მაგიდასთან, მე სხვა პრობლემა მქონდა და იმაზე ვფიქრობდი, მაგრამ შენ მარტო შენი ეგოისტური „ეგო“ გაღელვებს.

– ეგოისტი შენ ხარ. გული გაგისკდა, როცა გაიგე, რომ ნიკუშა საფრანგეთში მიდის. გიფრინდება მილიონები...

ლევანმა ირონიულად ჩაიცინა და თავი გადააქნია.

– ჰმ, მე გამიფრინდა, არა?! სხვათა შორის, ის მილიონები მამაშენის საკუთრება იყო.

– იყო. დიახ, იყო. თვითონვე გააჩუქა და ალბათ, ისევ მისთვის იქნება უკეთესი თუ დაივიწყებს ამას.

– ორი მილიონი ასეთი ადვილი დასავიწყებელია?

– რატომაც არა. მით უმეტეს, როცა მას საყვარელ ქალს ჩუქნი. ეს შენ უკეთ უნდა იცოდე და თუ იქაც იძუნწე და უბრალო ბიჟუტერია იყიდე? თუმცა, არა, იქ, სადაც შენ საჩუქარს არჩევდი, ბიჟუტერია არ იყიდება.

– ისევ დაიწყე... მორჩა, მე აღარ მოგისმენ. დასაძინებლად მივდივარ, ხვალ მძიმე დღე მაქვს. შენ რა გენაღვლება. თავი მხოლოდ სისულელეებით გაქვს გამოტენილი.

– რატომ წამიყვანე იმ რესტორანში... – აქვითინდა თიკა.

ლევანმა ხელი ჩაიქნია.

– ექიმი გჭირდება. კარგი იქნება, თუ ამაზე სერიოზულად იფიქრებ.

– მე ვიცი, რასაც გავაკეთებ, – თქვა უცებ თიკამ და ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა.

ლევანმა ეჭვით გადახედა ცოლს.

– იცოდე, რამე სიგიჟე არ ჩაიდინო. ბავშვზე იფიქრე. გახსოვდეს, რომ შვილი გყავს...

თინიკოს გაეცინა.

– შენ გგონია, თავს მოვიკლავ? ჰმ, რა ცუდად მიცნობ?! ეგ არც მიფიქრია. მართლა გიჟი კი არ ვარ. მივალ მაგ შენს კლასელთან და ჩემი ეჭვების შესახებ მოვუყვები. ვნახოთ, რას მიპასუხებს.

ლევანი გაფითრდა.

– ესღა მაკლდა. სწორედ ეს მაკლდა, კარდაკარ გევლო და ჩემი ამბები გამოგეკითხა. მგონი, დაგავიწყდა, ვისი ცოლი ხარ. სულ არ გაქვს თავმოყვარეობა? ან რისი იმედი გაქვს, ია გეტყვის, შენი ქმრის საყვარელი ვარო? იმას რომ ისევ უყვარს ნიკა, იცი?! თუ ეს საერთოდ არ გაინტერესებს.

– შეიძლება, უყვარს. მე ამას არ უარვყოფ, მაგრამ ერთი მეორეს ხელს არ უშლის. იქნებ დაიღალა ის ქალი ნიკუშას ლოდინით. გაბრაზდა კიდეც მასზე და შურისძიება გადაწყვიტა. გამორიცხული არაფერია. ყოველ შემთხვევაში, თუ ვნახავ და დაველაპარაკები, არაფერი დაშავდება.

– რატომ არ გინდა გაიგო, რომ თავს მჭრი. ჩემი სულ არ გესმის.

– შენ გესმის ჩემი? არა! უკვე დავრწმუნდი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ ცოტათი მაინც ხომ უნდა მცემდე პატივს.

ლევანი ცოლთან მივიდა და შეეცადა, მისთვის მხარზე მოეხვია ხელი, მაგრამ ქალი გაუძალიანდა.

– აღარაფერი გიშველის, ვეღარ გაპატიებ! უკვე კარგად გაგიცანი, კარგად და საბოლოოდ. მივალ იასთან და ვეტყვი, თუ ასე სჭირდები, დავუთმობ შენს თავს. ლევანმა წამით გაიაზრა, რა შეიძლებოდა მოყოლოდა იასთან თინიკოს ვიზიტს. საფრთხე არც ისე დიდი იყო, მაგრამ მოსალოდნელი გართულებები არაფერში აწყობდა.

– მე არ მინდა, ჩემმა ცოლმა თავი დაიმციროს, მით უმეტეს, რომ ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. შენ სხვებზე მაღლა უნდა დადგე, ყველაფრით სხვაზე მეტი ხარ და იმიტომ.

– შენ ეს ხელს არ გიშლის, რომ მიღალატო. საერთოდ, რაზე მელაპარაკები? ჩემს ცხოვრებაში ორმა ყველაზე საყვარელმა მამაკაცმა ყველაზე მეტად მატკინა გული. ერთი მამაჩემია, მეორე – შენ, მაგრამ არა უშავს, ორივე ინანებთ.

– თინი, დამშვიდდი, ძალიან გთხოვ. ნეტავი, ფეხი მომტეხოდა და იმ მაღაზიაში საერთოდ არ შევსულიყავი. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ არ მენდობი. აბა, რისთვის გამომეკიდე უკან, პარიზში. ეს რომ არ გექნა, ახლა ორივე მშვიდად ვიქნებოდით.

– ეს რომ არ მექნა, კიდევ დიდხანს გამასულელებდი. ფეხი მე უნდა მომტეხოდა, საერთოდ არ უნდა გამეცანი.

– ახლა გვიანაა, ამაზე ფიქრი და რადგან ერთად ვართ, გავიტანოთ უნდა კიდეც ერთმანეთი.

– მე ვეღარ ვითამაშებ ბედნიერი ქალის როლს. აღარ მინდა, – თინიკომ ჩანთა აიღო და ადგა.

– ესე იგი, აქამდე თამაშობდი? გამოდის, არ გყვარებივარ და შენც მატყუებდი.

– შენ შეგიძლია ასე იფიქრო, მოკლედ, წადი და დაიძინე! მართალი ხარ, ორივესთვის აჯობებს, მარტო ვიყოთ.

– მაცადე, სად მიდიხარ, – მხარზე ხელი მოჰკიდა ცოლს ლევანმა.

– კაბინეტში. არ გაბედო და არ სცადო ჩემი შეწუხება. დღეიდან, უბრალოდ ვცხოვრობთ ერთ სახლში, როგორც ორი შემთხვევითი ადამიანი. არაფერს გკითხავ და შენც ნურაფერს მეტყვი. ნურც ჩემი ამბებით დაინტერესდები. თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ სასტუმროში გადადი საცხოვრებლად. მე წავიდოდი, მაგრამ ეს სახლი, შენდა სამწუხაროდ, ჩემია. ასე რომ, არჩევანი შენზეა. ან ჩემს პირობებს მიიღებ და დარჩები, ან ახლავე შემიძლია, ბარგი შეგიკრა.

ლევანმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ოთახიდან გავარდა.

ადამიანი სამყაროს პატარა მოდელია, მისი ტვინი – დღემდე ამოუცნობი ფენომენი. ეს არსება კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს თავისი შესაძლებლობებით, რომელიც ზოგჯერ შეუცნობელის ზღვარს სცილდება. ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან მარტივია: თავი, ორი თვალი, ორი ყური, ცხვირი... – ტიპური ანატომიური პორტრეტი. მაგრამ, თითოეული ჩვენგანი, თავის მხრივ, სასწაულია, რომლის შესახებაც თითქოს არაფერი ვიცით. იქნებ იმიტომ, რომ, უბრალოდ, ზარმაცები ვართ, ვკმაყოფილდებით იმით, რაზეც ხელი მიგვიწვდება. ცხოვრება კი გადის. დრო ჩვენზე აშკარად არ მუშაობს, თუმცა, ერთეულები ყოველთვის მოიძებნებიან ყველგან და ყველა დროში. მაგრამ მასას ისინი არ უყვარს. „მასა“... – რა საშინელი სიტყვაა, მაგრამ ზუსტად შეეფერება მათ, ვინც არაფერში გამოიყენა თავისი ბუნებრივი სიდიადე...

***

ვახომ ზანტად გაახილა თვალი, სახე ხელისგულებით მოისრისა და ოთახში ნელა მიმოიხედა. გარემო ეუცხოვა. დაბნეულმა გონებამ მაინც აღიქვა განსხვავება. ლოგინში წამოჯდა და გაოცებული მიაშტერდა უცხო ნივთებს. ეს არ იყო მისი საწოლი და, საერთოდ, არც იყო საწოლი. ტყავის დივანზე იწვა, ფაქტობრივად, ჩაცმული, მარტო ფეხსაცმელები ეყარა იატაკზე და, კიდევ ქამარი. შარვლისა და პერანგის ღილები შეხსნილი ჰქონდა. ჯიბეში ჩაიყო ხელი – საფულე და საბუთები ადგილზე აღმოჩნდა. საათიც მაჯაზე ეკეთა, მხოლოდ მობილური არ ჩანდა.

– ჯანდაბა! – ჩაიბურტყუნა და შარვალი შეიკრა, – ნეტავი, ვისთან ვარ... 12 საათია. ჰმ, როგორმე უნდა გავიხსენო. წუხელ, მგონი, რესტორანში ვიყავი... მგონი კი არა, ნამდვილად ვიყავი... მერე? ჰო, აი, „მერეში“ უკვე ვიჭედები. ეს მობილური მაინც სად წავიღე...

– ამას ხომ არ ეძებ, ძვირფასო? – ოთახში ქალმა ერთდროულად შემოყო თავი და ხელი. ვახომ თავისი მობილურიც იცნო, რომელიც ქალს ხელში ეჭირა და სახლის დიასახლისიც.

– შენთან მეძინა, ტო? რანაირად?

– რანაირად და იმნაირად, რომ საკუთარ სახლამდე ვეღარ მიაღწიე. თავი გაიგიჟე, მე უნდა წაგიყვანოო და საჭესთან ჩაგეძინა. გული გამიხეთქე, ძლივს მოვაღწიეთ აქამდე. სადღა გაგიშვებდი?! როგორც იქნა, შიგნით შემოგათრიე და ამ დივანზე წამოგაწვინე. ისე გავწამდი, შენი დახრჩობა მინდოდა.

– ვაა! – ვახომ ფეხსაცმელები ჩაიცვა, – ამდენი დავლიე?

– უჰ, არ მკითხო, – გაიცინა იამ, – გააგიჟე ის საცოდავი ფრანგი. თუმცა, ვერ მივხვდი, ამით რისი დამტკიცება გინდოდა.

– არ ვიცი, – ვახომ თავი გააქნია, – რა დებილი ვარ, შენთან როგორ დავრჩი?

– რა მოხდა მერე?! – მხრები აიჩეჩა იამ, – მახსოვს, ერთხელ შენც, ნიკუშაც და ლევანიც, ყველანი აქ დარჩით. მგონი, დათოც იყო. ჩემს დაბადების დღეზე დალიეთ და სახლში

მისვლის შეგეშინდათ. ოღონდ, მაშინ იატაკზე გეძინა, – იამ ლოყებზე შემოიწყო ხელისგულები და ჩუმად ამოიოხრა. ვახო მიუხვდა, მივიდა და თმაზე გადაუსვა ხელი.

– რა ცუდი ვინმე ვარ, ეგოისტი. ახლა შენზე უნდა ვფიქრობდე, მე კი გამოვთვერი და პრობლემა მოგიმატე.

– შენ არ შეიძლება იყო ჩემი პრობლემა, – სევდიანად ჩაილაპარაკა იამ, – ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ შეძლებ ამას. შენ არაფერ შუაში ხარ, მე არ უნდა წამოვსულიყავი. მგონი, სერიოზული შეცდომა დავუშვი.

– კარგი რა, შეცდომა არა, დანაშაული! უცხო ხომ არ ხარ. ძმა ხარ ჩვენი და ერთად რესტორანში დავსხედით. მაშინდელ ამბავზე კი არ იფიქრო, რად გინდა...

– მე მინდოდა, სამაგიერო გადამეხადა მათთვის, მაგრამ, მგონი, საკუთარი თავი უფრო დავაზიანე.

– მოიცა, რა... – ვახო გვიან ჩასწვდა ქალის სიტყვების აზრს და უცებ წამოიძახა, – მათ? მოიცა, შენ ვის გულისხმობ?

– არავის, ყურადღებას ნუ მომაქცევ, – ხელი ჩაიქნია იამ, – წამოდი, ყავა მოვადუღე, მოგიხდება.

– ყავა – პახმელიაზე? არა, არა, ლიმონიანი ჩაი კიდევ, ჰო. ყავა მეტისმეტია! ნეტავი ის კაცი მანახა, ყავით რომ გამოდის პახმელიაზე. სანაძლეოს ჩამოვალ, პედერასტი იქნება.

– პედერასტები იმდენს არ სვამენ, რომ პახმელია ჰქონდეთ.

– ეგრე გეგონოს, – ნიშნისმოგებით გაიცინა ვახომ და მაშინვე ზიზღით მობრიცა ტუჩები, – ფუჰ, რაზე მალაპარაკებ, თემა შევცვალოთ, რა! სამაგიეროს გადახდა მინდოდაო. იცი, რას გეტყვი? ნიკუშა ძალიან ნანობს მომხდარს და, მე თუ მკითხავ, არ არის დამნაშავე.

– ჰო, რა თქმა უნდა, არ არის დამნაშავე, – მექანიკურად გაიმეორა იამ, – მე ვარ დამნაშავე, ის კაცი რომ მიყვარდა, რომელიც ამას არ იმსახურებს. ახლა წავა, საფრანგეთში გაემგზავრება და ამით მორჩება ყველაფერი. სულელი ვარ, აბა, რა ვარ! იცი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? დრო არ უნდა დამეკარგა. ჩამელაგებინა ჩემი ტანსაცმელი და სახლში მივდგომოდი ვაჟბატონს. რატომ დაველოდე, როდის მიიღებდა გადაწყვეტილებას? იფიქრა, იფიქრა და, ხომ ნახე, რაც მოიფიქრა. ახლა, მით უმეტეს, არაფერში დავჭირდები. მოაჯდება დედამისის მილიონებს და ერთ ფრანგ კახპასაც არ გაუშვებს ხელიდან.

ვახო შეიჭმუხნა:

– არ გინდა, ძალიან გთხოვ! საშინლად არ მომწონს, როცა ასე ლაპარაკობ.

– ჰო, ვიცი, არ მიხდება. მე ხომ განსაკუთრებული ვარ, – ირონიულად ჩაიცინა ქალმა, – სწორედ ამ განსაკუთრებულობის მითმა დამღუპა. მერჩივნა, ჩვეულებრივი ვყოფილიყავი და ჩემ მიმართ ადამიანური გრძნობები ჰქონოდა შენს ძვირფას მეგობარს. ღირსეული ქალის იმიჯმა მხოლოდ მაზარალა. იქნებ, მინდოდა, მეც იმ გოგოსავით მომქცეოდა? ყველა ქალი ხომ მაინც კახპაა! უბრალოდ, ზოგს ამის გამოსავლენად სიტუაცია არ უწყობს ხელს.

– იცი მაინც, რა სისულელეს ამბობ? – მოიღუშა ვახო, – ნატას როგორ ედრები, შენც პახმელიაზე ხომ არ ხარ?

– იმ დღის შემდეგ პახმელია ჩემი თანამდევი მდგომარეობაა, – ხელი ჩაიქნია იამ, – ესე იგი, შენც იცნობ...

– ვის? – გაიკვირვა ვახომ.

– იმ პატარა კახპას. თუმცა, იმას რას ვერჩი, ის რა შუაშია. დიდი ხანია, რომანი აქვთ?

– ვის, ნატას და ნიკუშას? რომანი არა, იხვის ტოლმა. ნაშაა, რა!

– იცი, თქვენი, მამაკაცების, რა მიკვირს და მაღიზიანებს? ქალთან დადიხართ, ლოგინში იწვენთ, ეფერებით, კოცნით, ნაცნობ-მეგობრებში „ნაშას“ ეძახით, მასზე აგდებით

ლაპარაკობთ, ცდილობთ, ყველა მიახვედროთ, რომ არაფრად გიღირთ... მერე კი ზუსტად იმ „ნაშას“ ცოლად ირთავთ და მის ჭკუაზე დახტიხართ.

ვახოს ენიშნა იას სიტყვები და გაისუსა.

ქალი არ გაჩერდა:

– რაო, მიხვდი, რომ სიმართლეს ვამბობ? რატომ აღარ მეკამათები?

– ვფიქრობ.

– მართლა? კარგია, იფიქრე, მაგრამ, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?

– ია, რას მერჩი? ჩემი სამი ცოლიდან მხოლოდ ერთი იყო ეგეთი. შენც ხომ იცი, რომ ასეა?

– შენ მეოთხესაც ასეთს მოიყვან, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდ არჩევანს გააკეთებ. პირიქით, მე შენ მხარეს ვარ. აბა, ჩემნაირ ქალთან ცხოვრებაში რა ყრია, სულ არ არის საინტერესო.

– მდაა, აშკარად მარცხენა ფეხზე ხარ ამდგარი. მოდი, მე წავალ. ჩაიც არ მინდა, ჩემთან, კაფეში დავლევ, – ვახომ მობილური ჩართო.

– ხედავ? შენც გარბიხარ. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს ჩემი სიტყვების სისწორეში. თუმცა, ამით არაფერი შეიცვლება.

ვახო თან უსმენდა, თან ტელეფონზე შემოსულ უპასუხო ზარებს ამოწმებდა. ბოლოს წაუსტვინა:

– ლევანს დაურეკავს, თანაც, რამდენჯერმე. რა ჯანდაბაა! ტელეფონი რაღატომ გამოვრთე?

ია შეკრთა:

– ლევანი რეკავდა? ჰო, მე გამოვრთე. არ მომასვენა მაგისმა წკრიალმა, არც დამიხედავს ეკრანისთვის.

ვახომ ნომერი აკრიფა:

– რა მოხდა, ლევან, მშვიდობაა? არა, წუხელ სახლში არ ვყოფილვარ. იასთან დავრჩი. ჩვენს იასთან, აბა, სხვა იას მე არ ვიცნობ. მოიცა, რა გაყვირებს. მე თავისუფალი ადამიანი ვარ და, სადაც მინდა, იქ დავრჩები. კარგი, შეგხვდები, ოღონდ ნუ ღრიალებ!

ვახომ უკმაყოფილოდ აიქნია ხელები:

– ეს სულ გაგიჟდა, ხომ იცი! რა აბღავლებდა, ვერ მივხვდი.

იას გაეღიმა:

– მგონი, მე მივხვდი, მაგრამ, არ გვინდა ამაზე, ნახავ და თვითონ გეტყვის.

– გამაგიჟებთ მე თქვენ! არ შემიძლია, რებუსებით ლაპარაკს ვერ ვიგებ, დავიტანჯე! შენ მაინც მითხარი რამე ადამიანურ ენაზე.

– რაც სათქმელი მქონდა, უკვე გითხარი. წადი, წადი, თორემ ბატონ მინისტრთან შეხვედრაზე დაგაგვიანდება და გააბრაზებ, დიდი კაცის წყენინება კი არ შეიძლება.

– მე მაგის მინისტრობა ფეხებზე მკიდია... თორემ, მიცნობ, – ვახომ მობილური ჯიბეში ჩაიტენა. ქალთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი:

– იაკო, გინდა, ნიკუშას დაველაპარაკები და შეხვდი, თვითონ მოვა შენთან...

– არ მინდა, – გამოაჯავრა იამ, – რას მიყურებ გაოცებული? ჰო, არ მინდა. აღარაფერში მჭირდება ეგ თქვენი ნიკუშა. აქამდე მინდოდა, ახლა აღარ მინდა. რა არის ამაში გაუგებარი? შენი ძმაკაცით არ იწყება და, მით უმეტეს, არ მთავრდება ყველაფერი. წავიდეს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს თავისი მილიონები! მე არ დავიკარგები...

ვახომ სინანულით შეხედა ქალს და გულდაწყვეტილმა თავი გადააქნია:

– რა დაგვემართა ყველას, ასე რამ შეგვცვალა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ დრო ასე იმუშავებდა ჩვენზე.

– დრო არაფერ შუაშია. არც ადამიანები იცვლებიან. უბრალოდ, ზოგჯერ სიტუაცია ჩვენი ნამდვილი სახის გამოვლინებას უწყობს ხელს, სულ ეს არის, – დაასკვნა იამ და ვახოს სევდიანად გაუღიმა, – შენ წადი, ნუ გეშინია, მე არაფერი მომივა. მინის არ ვარ, რომ დავიმსხვრე.

– მოგვიანებით დაგირეკავ, – დაჰპირდა ვახო.

– ნუ შეწუხდები. ხომ გითხარი, კარგად ვიქნები-მეთქი.

– დაგირეკავ, – ჯიუტად გაიმეორა ვახომ და ქალს ლოყაზე აკოცა.

***

ნიკუშა რაღაცის ძალიან სასიამოვნო სურნელმა გააღვიძა და ამ სუნმა ცოტა ხნით წარსულში, ბავშვობაში დააბრუნა. მაღვიძარაზე უკეთ ეს გემრიელი და თითქოს მშობლიური სურნელი აფხიზლებდა. აღმერთებდა კვერცხსა და რძეში შემწვარ თონის პურს. შარვალი სწრაფად ჩაიცვა და ფეხშიშველი გავიდა სამზარეულოში. გაზქურასთან წინსაფარაფარებული ჟანი იდგა, ტაფაზე რაღაცას წვავდა და ხმადაბლა ღიღინებდა. ფეხის ხმაზე შემობრუნდა. ნიკუშას თითქოს იმედი გაუცრუა მისმა დანახვამ.

– თქვენ ხართ? მე კი ვიფიქრე, რომ... უფრო სწორად, მომეჩვენა... თუმცა, ამაზე არ გვინდა... – ნიკუშა გაზქურას მიუახლოვდა.

– საუზმისთვის ამზადებთ?

– მე 8 საათზე ვსაუზმობ ყველის ნაჭრით და ყავით, უკვე ჩვევად მექცა. ოღონდ, აუცილებლად ფრანგული ყველი უნდა იყოს, ტკბილი; საოცარი გემო აქვს და ყავის არომატსაც კიდევ უფრო ამძაფრებს. შენ გეძინა და ყავა მარტომ დავლიე. ახლა კი ჩაი მირჩევნია. ჩაი შემწვარ პურთან ერთად.

ნიკუშას გაეცინა.

– არაჩვეულებრივია. ძალიან მიყვარს. ზუსტად ასე მიწვავდა პურს დედა, – ნიკუშა უცებ გაჩუმდა.

– რა თქვი? ვერ გავიგე, – ჟანმა შემწვარი პურები თეფშზე დააწყო.

– არაფერი. შეგვეძლო, რესტორანში ან კაფეში გვესაუზმა.

– მართალია, შეგვეძლო. მაგრამ მე ძველმოდური ადამიანი ვარ და სახლი ძალიან მიყვარს. გიკვირს?

– არა, რატომ უნდა მიკვირდეს? – მხრები აიჩეჩა ნიკუშამ, – მეც ასეთი ვარ. უბრალოდ, მე არავინ მყავს ისეთი, ვისთვისაც გემრიელი საუზმის მომზადების სურვილი გამიჩნდებოდა.

ჟანმა ორ ფინჯანში ლიმონის ნაჭრები ჩადო და ჩაიდნიდან წყალი დაასხა.

– შაქრით გირჩევნია თუ უშაქროდ?

– უშაქროდ იყოს, – ნიკუშამ ჭიქა ახლოს მიიჩოჩა. ჟანმა გაზქურა ჩააქრო და გვერდით მიუჯდა.

– ძალიან მომეწონა ის ქალბატონი. შეიძლება, შენს საქმეში არ უნდა ვერეოდე, მაგრამ ამას გულწრფელად ვამბობ.

– ჰო, ია კარგი გოგოა. მართლა ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ...

– მაგრამ რა, არ უყვარხარ? მე მგონი, ცდები. ისე გიყურებდა, რომ...

– არა, არა, ეგ არაფერ შუაშია. უბრალოდ, მე ვარ სულელი... – ნიკუშამ ჩაი მოსვა, – წარსულზე ლაპარაკი აღარ მინდა.

– რატომ, წარსულზე. იქნებ კიდევ გაქვს შანსი?

– არ ვიცი. რომც მქონდეს, ალბათ, აღარც ვეცდები მის გამოყენებას.

– რატომ?

ნიკუშამ მხრები აიჩეჩა.

– როცა კაცი ამბობს, შანსი მაქვს, მაგრამ მისი გამოყენების სურვილი – არაო, ესე იგი, მის ცხოვრებაში სხვა ქალი გაჩნდა.

– ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით, ბატონო ჟან.

ჟანმა გაიცინა:

– ამის მიხვედრას განსაკუთრებული ჭკუა არ სჭირდება, სულ ცოტა დაკვირვებაა საჭირო. შეიძლება, გავიგო, ის მეორე ვინ არის?

– არავინ. ერთი ჩვეულებრივი გოგოა, მასზე საერთოდ არ ვფიქრობ.

– კარგი. ვხედავ, რომ ამაზე ლაპარაკი არ გსიამოვნებს. აღარაფერს გკითხავ. ჩვენ როდის გავემგზავროთ?

– თქვენ როდისთვის გაქვთ უკან დასაბრუნებელი ბილეთი?

– ბილეთი თავისუფალი გრაფიკით მაქვს ნაყიდი. რიცხვის არჩევა მე თვითონ შემიძლია. უბრალოდ, ორი დღით ადრე უნდა ვაცნობო ავიაკომპანიას. დღეს საელჩოში მივიდეთ, შენი ვიზის ამბავი მოვაგვაროთ.

– ალბათ, რამდენიმე კვირა დაგვჭირდება.

– არა, რატომ რამდენიმე კვირა? მე არ გამიჭირდება, რომ ერთ დღეში მოვაგვარო ეს საქმე.

– ძალიან კარგი. მაშინ, ნუღარ დავაყოვნებთ. ერთი სული მაქვს, ჩემს კითხვაზე პასუხი მივიღო. იმედი მაქვს, პირობას შეასრულებთ.

– რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, – თავი დაუქნია ჟანმა.

ნიკუშა წამოენთო.

– თქვენ მე დამპირდით!

– დიახ, სწორედ ამიტომაც გითხარი, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული-მეთქი. თუმცა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ მივიღებთ.

– მე თქვენ გენდობით და პასუხსაც თქვენ მოგთხოვთ.

– მესმის და პასუხისმგებლობისთვისაც მზად ვარ. სხვანაირად აქ არ ჩამოვიდოდი...

***

ვახომ გამარჯობის თქმაც ვერ მოასწრო, დაინახა, როგორ მოიქნია ლევანმა გაშლილი ხელი და გვერდზე გახტა.

– ეე, ხომ არ გაგიჟდი, რას აკეთებ, ტო?!

– რას ვაკეთებ? რას ვაკეთებ? მოგკლავ, შენი... – „გაიქაჩა“ ლევანი.

– ბიჭო, რა დღეში ხარ! – აფეთქდა ვახოც, – შენ ღონე ხომ არ გატყუებს? რა გინდა, ტო?!

– ნაბიჭვარივით მოიქეცი და კიდევ მეკითხები? ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ შენ თუ ამაზე იყავი სპასობნი... რატომ გააკეთე ეს, ბიჭო, რატომ?

– ჯერ დამშვიდდი. ყვირილსაც მორჩი, თორემ კისრის ძარღვები დაგეჭიმება. რა გაღრიალებს? ხომ არ გგონია, რომ ამით შემაშინებ? მე ის ტიპი არ ვარ, შენისთანები რომ აშინებენ. შენს მინისტრობასაც ფეხებზე დავიკიდებ და ცხვირ-პირს დაგინაყავ!

ლევანი ცოტათი დაცხრა. შეიძლება, იმ ველურმა ნაპერწკალმა დააფრთხო, ვახოს თვალებში რომ გაკრთა.

– შენგან ნამდვილად არ მოველოდი ამას. ყველაზე შემეძლო მეფიქრა, მაგრამ...

– რა უნდა გეფიქრა ყველაზე და რა გავაკეთე ისეთი, ნაბიჭვარს რომ მეძახი? ან ამ დილაუთენია საქმე არ გაქვს, ბატონო მინისტრო, აქ ქუჩის ბიჭივით რომ მირჩევ საქმეს? ეს რომ თქვენი სტილი არ არის?! – დასცინა ვახომ.

– ბიჭო, გეყოფა-მეთქი! – ისევ წამოენთო ლევანი და ხმასაც აუწია.

– მეც გეუბნები, ნუ ყვირი, თორემ მთავრობის სხდომაზე თვალჩალურჯებული რომ მიხვალ, მერე აუხსენი ჟურნალისტებს, ვინ გცემა, – მშვიდად ჩაიყო შარვლის ჯიბეებში ხელი ვახომ და გაცეცხლებულ ლევანს გამომწვევად გაუღიმა.

– როგორ მინდა, დაგარტყა... – კბილები გააღრჭიალა ლევანმა.

– მოდი, მერე! აგერ ვარ, ოღონდ, იცოდე, გულზე ხელებდაკრეფილი არ ვიდგები.

ლევანმა ამოიოხრა.

– ყველამ გამწირეთ. მეგონა, ჩემი წარმატება გიხაროდათ, სინამდვილეში...

– „სინამდვილეში“ რას გულისხმობ და, საერთოდაც, რა ბზიკმა გიკბინა? როდის იყო, ვინმესი რამე მშურდა? ან მითქვამს შენთვის, თანამდებობა მინდა-მეთქი? მე რაც მინდა, მაქვს კიდეც. შენ საერთოდ არაფერ შუაში ხარ ჩემს სურვილებთან. არც შენ და არც არავინ.

– ჰო, უკვე მივხვდი. იასთან ერთად რომ დაგინახე, მაშინვე უნდა მეფიქრა, მაგრამ ასე სწრაფად თუ აღმოვჩნდებოდი ფაქტის წინაშე, მართლა ვერ წარმოვიდგენდი. რომ მითხარი, ღამე იასთან დავრჩიო, მეგონა, მომესმა.

– ჰო. დავრჩი. მთვრალი ვიყავი. მერე, რა?! – ისეთივე სიმშვიდით ჩაილაპარაკა ვახომ და სიგარეტს მოუკიდა.

ლევანი გაფითრდა.

– ესე იგი, არ უარყოფ...

– რას, გუშინ იასთან რომ დავრჩი? არა, რატომ უნდა უარვყო, ჩემი ცოლი ხომ არ ხარ, რომ დაგიმალო?

– მაგიტომაც ხარ ნაბიჭვარი. მორჩა, მე შენთან აღარაფერი მაქვს სალაპარაკო, – გამოსცრა ლევანმა და მანქანის კარი გამოაღო.

– მოიცადე, სად მიდიხარ. მაგის სათქმელად მიბარებდი?

– ჰო! ნაბიჭვარი ხარ!

– ბიჭო, გეყოფა. გეყოფა-მეთქი, თორემ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! შენ ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე, ტო. რა დაგეტაკა? პახმელიაზე გამომიყვანე.

ლევანი მანქანაში ჩაჯდა და შუბლი საჭეზე ჩამოდო. ვახო რაღაცას მიხვდა, უფრო ინტუიციამ უკარნახა. მივიდა და ფრთხილად დაადო მხარზე ხელი.

– ლევან, შენ რა, ტირი?

– მომეშვი. ტირილი რომ შემეძლოს, ასე საზიზღრად აღარ ვიგრძნობდი თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სულში ჩამაფურთხეს. ახლა უკვე აზრი აღარ აქვს ჩვენს საუბარს. არანაირი აზრი არ აქვს, ყველაფერი ისედაც ნათელია. ყოჩაღ, მაგარი ყოფილხარ!

– ჯერ ნაბიჭვარი ვიყავი, ახლა მაგარი ვარ... შენ რაღაც გჭირს, ლევან. რაღაც პრობლემა გაქვს. მითხარი, რა საქმე გქონდა.

– ხომ გითხარი, აღარ აქვს აზრი-მეთქი. ეცადე, იმ გოგოს შენ მაინც არ ატკინო გული, – ლევანმა კარი მიიჯახუნა და მანქანა გიჟივით მოსწყვიტა ადგილს. ვახომ მზერა გააყოლა და მხრები აიჩეჩა.

***

... ყველა ადამიანშია ბოროტებაც და სიკეთეც. არავინ თქვას, ბოროტების გაკეთება არ შემიძლიაო. ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ დაძლიო შენში ბოროტების საწყისი, რომელიც შესაფერის გარემოში ელვის სისწრაფით იწყებს გაღვივებას და თავადაც ვერ შეამჩნევ, როგორ მოგედება სარეველასავით...

ნათიამ საღამურზე ხალათი შემოიცვა და საძინებლიდან კაბინეტში გავიდა. დათო არც იქ იყო. ბოლოს სამზარეულოში მიაგნო. ფანჯარასთან იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. დაღლილი სახე ჰქონდა, გამოუძინებელი. თვალები – ჩაწითლებული, უპეები – ჩამუქებული. წინ ნამწვებით სავსე საფერფლე ედგა.

– შენ რა, მთელი ღამე აქ იჯექი და სიგარეტს ეწეოდი? გაგიჟდი? ჩემზე სულ არ ფიქრობ?

– შენზე რომ ვფიქრობ, იმიტომაც გამოვედი აქ და ოთახი არ გაგიბოლე, – უხეშად მიუგო დათომ, ისე, რომ ცოლისთვის არ შეუხედავს. ნათია მიხვდა, რომ ახლა არ უნდა გაჭირვეულებულიყო.

– რამე მოხდა? იცი, რა სახე გაქვს?

– ნათი, დამტოვე, რა, ცოტა ხნით. ფანჯარა ღიაა, გაცივდები.

– დაგტოვო, რომ ორი კოლოფი სიგარეტი კიდევ მოსწიო? არავითარ შემთხვევაში! მე შენი ცოლი ვარ და თავის მოკვლის საშუალებას არ მოგცემ.

– საიდან მოიტანე, რომ თავს ვიკლავ? უბრალოდ, ცოტას ვნერვიულობ და ვფიქრობ.

– ვიცი, რაზეც ნერვიულობ. ის ნახატია შენი თავის ტკივილის მიზეზი. თანაც, მგონი, მარტო შენი კი არა, ლევანსაც. გუშინ სუფრასთან ორივეს გაკვირდებოდით და მივხვდი. არც ისეთი ჩერჩეტი ვარ, როგორიც გგონივარ, მაგრამ პერსპექტივას ვერ ვხედავ.

– ძალიან გთხოვ, გაჩუმდი. არ მინდა, შენი მოსაზრებები ვისმინო. მით უმეტეს, რომ ვერაფერსაც ვერ მიხვდი.

ნათიამ გაიცინა:

– რატომ მატყუებ? არც ბრმა ვარ და არც ყრუ. ნიკუშას დედამისთან გამგზავრების ამბავმა შოკში ჩაგაგდოთ. ცუდია, რომ არ მენდობი, იქნებ მერჩია რამე.

– რა უნდა გერჩია? მორჩა ყველაფერი.

– მე ასე არ ვფიქრობ. შენ და ლევანი დიდი ხანია ერთად ხართ?

– მერე, რა უნდა გავაკეთოთ ერთად? – გაღიზიანდა დათო.

– ამას ერთად მოიფიქრებთ. უბრალოდ, ცოტა უნდა მოინდომოთ.

დათომ თავი გააქნია.

– ლევანს ერთხელ უკვე ვუთხარი ამის შესახებ და შორს დაიჭირა თავი. ეტყობა, თავისი ანგარიშები აქვს.

– შეიძლება, მაგრამ შენ უნდა დაარწმუნო, რომ მარტო ძალიან გაუჭირდება იმ ფულთან მიახლოება. არ იცი, ნიკუშას დედასთან როგორ აღმოჩნდა ის ნახატი? ასეთი შედევრები ქუჩაში არ ყრია.

დათომ ცოლს შეხედა და მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი და, სიმართლე რომ გითხრა, არც დავინტერესებულვარ. რომც ვიცოდე, რაში გამომადგება? ან მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

– რატომ? მნიშვნელობა ნამდვილად აქვს. იცი, რას გეტყვი? აქ ჯდომითა და ნერვიულობით ვერაფერს გახდები, უნდა იმოქმედო.

– კარგი, ვიმოქმედებ, მაგრამ, რომ არ ვიცი, რა გავაკეთო? მთელი ღამე სწორედ მაგაზე ვფიქრობდი.

ნათიამ თმა შეისწორა.

– არ გშია? მოდი, რამე ვჭამოთ და ისე მოვიფიქროთ. როცა მშია, თავი მტკივდება და აზრებიც სადღაც გამირბის.

დათოს ახლაღა გაახსენდა, წინ ყავით სავსე ფინჯანი რომ ედგა.

– აი, მოვადუღე. უნდა დამელია, მაგრამ გაცივებულა.

– გადავაქცევ და ახალს მოგიდუღებ. დათუნი, შენ ხომ ჭკვიანი ხარ, ძალიან ჭკვიანი... – თავზე მოეფერა ცოლი დათოს და თვალებში ჩააშტერდა, – თუ მოინდომებ, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ნიკუშას ტორტიდან მოზრდილი ნაჭერი ჩვენც შეგვხვდება.

დათოს გაეღიმა:

– დაგაკელი რამე? ასე გიყვარს ფული?

– ფული ყველას უყვარს, თანაც მალე შვილი გვეყოლება, ბავშვს კი იმდენი სჭირდება! ჩემს შვილს ყველაფერი განსაკუთრებული უნდა ჰქონდეს – ტანსაცმელიც, ნივთებიც... ძიძასაც ხომ უნდა გადავუხადოთ. მერე, მისი სკოლა რამდენი დაგვიჯდება... ამაზე არ ფიქრობ?

– მე საკმაოდ კარგი ბიზნესი მაქვს, არ გაგვიჭირდება.

– ამას ნუ იტყვი, – წარბი შემართა ნათიამ, – მე არ ვარ პრეტენზიული, თორემ, ნახავდი, რაშიც გვეყოფოდა შენი ბიზნესიდან შემოსული ფული, თანაც, არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. ნავთობის ბაზარზე არასტაბილური სიტუაციაა.

დათოს ხმამაღლა გაეცინა ცოლის მსჯელობაზე, წელზე ხელი შემოხვია და მუხლებზე დაისვა.

– ვგიჟდები, შენ რომ ასე ლაპარაკობ ბიზნესზე, ნავთობის ფასზე... ჩემი საყვარელი გოგო... გამოტყდი: მე უფრო გიყვარვარ თუ ჩემი ფული?

ნათიამ ტუჩები გაბუსხა და შეეცადა, ქმრის მუხლებიდან ჩამომხტარიყო. მაგრამ დათომ არ გაუშვა.

– კარგი, კარგი. ოღონდ ნუ გაიბუტები. ვიცი, რომ გიყვარვარ, თანაც – ძალიან, ისიც აღიარე, რომ მართალი ვარ.

– რა თქმა უნდა, მართალი ხარ, – დათომ მოღერებულ ყელზე აკოცა ცოლს და ფრთხილად მიეფერა წამოზრდილ მუცელზე, – ჰო, მართალი ხარ. ბავშვის მომავალზე ახლავე უნდა ვიფიქროთ.

ნათიამ თავი დაუქნია:

– აბა რა! ჭკვიანი კაცი ყოველთვის ცოლს უჯერებს. მით უმეტეს, რომ კრიმინალისკენ არ გიბიძგებ. რა არის იმაში ცუდი, თუ მეგობარს ფულის სწორად დახარჯვაში დაეხმარები? რატომ უნდა დაახარჯოს კახპებს?

– თვითონ ნიკუშას ხომ არ დაველაპარაკო? პირდაპირ მივალ და ვეტყვი, ჩემი იმედი ჰქონდეს. რას იტყვი?!

– შენ ფიქრობ, რომ ეგ კარგი აზრია? იქნებ, ნიკუშამ არც გაყიდოს ის სურათი.

– აბა, რაში სჭირდება? რომელი შედევრებზე გაგიჟებული ეგ მყავს! დედამისი კი ისეა გადარეული შვილთან შერიგებაზე, რომ ყველაფრის უფლებას მისცემს. აუცილებლად გაყიდის. თუნდაც იმიტომ, რომ იასთან „გაიმარიაჟოს“. დაანახვოს, რომ მასაც შეძლებია რაღაც.

– ია... ვახოს რომ ახლდა, ხომ? ისე, მე გამიკვირდა, ერთად რომ მოვიდნენ. ახლა მაგასთან არის?

დათოს სახე შეეცვალა:

– რა სისულელეს ამბობ? ვახოს იაკო დასავით უყვარს.

– შენ?

– რა, მე?

– შენც დასავით გიყვარს?

– რა თქმა უნდა! შენ ხომ არ ეჭვიანობ? არ გადამრიო!

– არა, იაზე ნამდვილად ვერ ვიეჭვიანებ, მაგრამ იქ, სუფრაზე, ისეთი სიტუაცია იყო, რომ...

– რა სიტუაცია იყო? განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა.

– ასე იმიტომ ამბობ, რომ ქალი არ ხარ. მე, მაგალითად, შევამჩნიე, იქ ვიღაც-ვიღაცეები როგორ განერვიულდნენ მის დანახვაზე.

– ნიკუშა სულ ნერვიულობს, როცა იას ხედავს.

– მე ნიკუშა არ მიგულისხმია. თინიკოს ვერაფერი შენიშნე? ისე უყურებდა, თითქოს მისი გადაყლაპვა უნდოდა.

– ოო, რა ხართ ეს ქალები! სულ ცდილობთ, საჭორაო თემა არ მოგაკლდეთ და, თუ არ გაქვთ, ცუდად ხდებით, თვითონ გამოიგონებთ ხოლმე.

– მე არაფერს ვიგონებ. ნამდვილად რაღაც ხდება. ყოველ შემთხვევაში, თავს დავდებ, რომ თინიკოს ია სძულს.

დათომ მხრები აიჩეჩა:

– იცი, საერთოდ არ მაინტერესებს, ვინ სძულს და ვინ უყვარს თინიკოს. წეღან საჭმელს მთავაზობდი, რატომ გადაიფიქრე?

– არ გადავიფიქრე, ახლავე ყველაფერი იქნება.

კარზე ზარი დარეკეს. ნათიამ ყელი გამოუწია ქმარს.

– მიდი რა, გააღე! ალბათ, დედაჩემია, გუშინ მითხრა, მოვალო.

დათოს არ ესიამოვნა სიდედრის ნახვის პერსპექტივა, მაგრამ კარის გასაღებად მაინც წავიდა. ვახო რომ დაინახა, სახე გაუბრწყინდა:

– შენ ხარ? შემოდი, შემოდი... რა კარგია, რომ მოხვედი. ნათია, ვახო მოვიდა! სუფრა სამ კაცზე გააწყვე!..

– არა, არ მშია. ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, შენთან მოვსულიყავი.

– მოხდა რამე? – დათომ ყურადღებით შეათვალიერა მეგობარი.

– ბიჭო, მგონი, ლევანმა აურია. ყოველ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემა აქვს.

– რატომ გგონია?

– იმიტომ მგონია, რომ მომივარდა და გამლანძღა.

სამზარეულოდან ნათია გამოვიდა და სმენად იქცა. დათოს გაეღიმა.

– რა გაცინებს, ტო?! გეუბნები, რაღაც უბედურება სჭირს-მეთქი. ნაბიჭვარი ხარო და შენგან ამას არ ველოდიო. კიდევ სულში ჩამაფურთხეო...

– რა?! ლევანმა გითხრა ეს ყველაფერი? ამისთანა რა დაუშავე?

– ვიცი? ამიტომაც მოვედი შენთან. მეგონა, შენ მაინც მეტყოდი რამეს.

დათომ ხელები გაშალა:

– წარმოდგენა არ მაქვს. გუშინ რესტორნიდან რომ წამოვედით, იმის შემდეგ არ მინახავს, თვითონაც არ დაურეკავს.

– ჰმ! გეუბნები, აურია, რა! ან, მინისტრობა აუვარდა თავში. ჯერ დამირეკა, შენი ნახვა მინდა, სასწრაფო საქმე მაქვსო, როცა შევხვდი გამლანძღა.

დათომ ნათიას გახედა. გოგო ყურადღებით უსმენდა და ქმრის მზერა არ შეუნიშნავს.

– ალბათ, რაღაც მოხდა, – ყოყმანით ჩაილაპარაკა დათომ, – მაგრამ მართლა არაფერი ვიცი...

რა არის ჭორი – ბოროტი გამონაგონი, რომელიც საგანგებოდ არის მიმართული ვიღაცის გასანადგურებლად? სულაც არა, ეს დაუზუსტებელი ინფორმაცია გახლავთ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ინტერესგაღვივებული, საღერღელაშლილი ტვინის პროდუქტია, რომელმაც ცნობისმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილა. მგონი, ძალიან რთულად ავხსენი, არადა, ძალიან მარტივია: ჭორი დამახინჯებული ინფორმაციაა, სულ ეს არის. ჩვენ კი ამისგან ტრაგედიას ვქმნით და, პრობლემას, რომ იტყვიან, თითიდან „ვწოვთ“. ყურადღებას თუ არ მიაქცევ, ჭორი არსებობას შეწყვეტს. აღშფოთდები და მის განხილვას დაიწყებ თუ არა, ხანგრძლივად არსებობას შეუწყობ ხელს. ჭორს უყვარს ის, ვისაც უყვარს ჭორი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი ჭორს შენზე ბატონობის საშუალებას მისცემ, ვეღარასოდეს გათავისუფლდები მისგან. თუმცა, იმასაც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო. მაგრამ, ცეცხლსაც გააჩნია...

***

დათო გაოცებას ვარ მალავდა. ვახოს სიტყვები მისთვის სიურპრიზი იყო. ვერაფრით წარმოედგინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი, რაც ლევანს ვახოს წინააღმდეგ განაწყობდა. ვახო ერთადერთი იყო, ვისზეც ვერასოდეს გაბრაზდებოდი.

– შეგიძლია, ერთხელ კიდევ გამიმეორო, რა მოხდა თქვენ შორის? – ჰკითხა წარბშეკრულმა დათომ, როცა დარწმუნდა, რომ თავისით ამას ვერ მიხვდებოდა.

– ჩვენ შორის მოხდაო, მთლად ასეც ვერ იტყვი. ვინ ამომაღებინა ხმა? გეუბნები, ისე მიმალანძღა, ვერ გავიგე, რაში ვიყავი დამნაშავე.

დათომ შუბლი მოისრისა.

– რატომ დგახარ? დაჯექი. ნათი, აქ გამომიტანე, რა, ჩემი ჭიქა და ბუტერბროდი, – სთხოვა ცოლს. ნათიამ ფეხი აითრია, აშკარად არ უნდოდა, კაცების საუბრიდან რამე გამორჩენოდა.

– თქვენ საუზმობდით, არა? მეც სამზარეულოში წამოვალ, იქ დავილაპარაკოთ, – ვახო მასპინძლის თანხმობას არ დალოდებია, ისე გაემართა სამზარეულოსკენ. დათოც უკან გაჰყვა. ცოლს რომ მიუახლოვდა, ნათიამ შეუმჩნევლად წაჰკრა მხარი. ვახომ ფანჯრის რაფაზე სიგარეტის ნამწვით სავსე საფერფლე შენიშნა.

– ეს სულ შენ მოსწიე? შენც ვერ უნდა იყო კარგად.

დათომ ხელი აიქნია:

– უბრალოდ, არ მეძინებოდა. შენი და ლევანის ამბავი გააგრძელე. ესე იგი, არ უთქვამს, რას გერჩოდა? საერთოდ მინიშნებაც არ ჰქონია?

– სულელი ხომ არ ვარ? რომ ეთქვა, გავიგებდი. როგორც კი მობილურში მისი ზარები ვნახე, მაშინვე დავურეკე, მთელი დილა ურეკია, იას კი მობილური გამოურთავს.

– ვის გამოურთავს მობილური? – ყურებს არ დაუჯერა დათომ. ნათია ქმარს მოუახლოვდა და მხარზე დაადო ხელი.

– იას. რეკავდა და ძილს არ მაცდიდაო.

ნათიამ ხელი მოუჭირა. დათო მიხვდა, რას ანიშნებდა ცოლი, თუმცა კიდევ ვერ დაიჯერა.

– მოიცა, ერთი კარგად გამაგებინე, იას რატომ არ აძინებდა შენი მობილური? ვახო, რა მოხდა წუხელ?

– კარგი, რა! რა უნდა მომხდარიყო? მთვრალი ვიყავი და იასთან დავრჩი.

– რაღაც კარგად ვერ გავიგე?! – დათომ ფრთხილად მოიშორა ცოლის ხელი და სამზარეულოში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ვახოს არ აცილებდა დაჟინებულ მზერას.

ვახო გააღიზიანა მისმა გამომცდელმა გამოხედვამ.

– რანაირად მიყურებ, ტო?! მთვრალი ვიყავი-მეთქი, არ გესმის? არაფერი მახსოვს. იამ მითხრა, შემეშინდა, საჭესთან არ დაგძინებოდა და აღარ გაგიშვიო. მე მართლა არ მახსოვს არაფერი.

– და, ლევანმა ეს გაიგო...

– რა, იასთან რომ დავრჩი? რა თქმა უნდა! დასამალი რა მქონდა? რა გჭირთ, ხალხო. უცხო ხომ არ არის ის გოგო, რატომ არ უნდა დავრჩენილიყავი, რა დაშავდა ამით?

– ესე იგი, დაშავებულა, – ჩაილაპარაკა დათომ, – დაახლოებით ვხვდები, რამაც გააბრაზა ლევანი, თუმცა, მთლად დარწმუნებული არ ვარ. ყოველ შემთხვევაში, მართალი არა ხარ, იმ გოგოსთან არ უნდა დარჩენილიყავი. რესტორანშიც რა პონტში მოიყვანე?

ვახო არ ელოდა დათოს ასეთ საყვედურს და გაბრაზდა.

– რას ნიშნავს, რა პონტში მოვიყვანე? შენც ხომ არ აურიე? რა სიგარეტი მოწიე ამისთანა? დაბოლდი თუ რაშია საქმე? ია ჩვენიანია, ტო! რამდენი წელია, ვმეგობრობთ, ამას მეგობრობაც აღარ ჰქვია. მინდოდა, ჩვენ გვერდით ყოფილიყო და წამოვიყვანე.

– „მინდოდა, ჩვენ გვერდით ყოფილიყო“... – გამოაჯავრა დათომ, – ვიცი, რაც გინდოდა – ნიკუშას გადარევა! კარგი ოხერი ხარ, გიცნობ, რა მაიმუნიც ხარ, ან, იას უწყობ საქმეს, რომ ის იდიოტი აზრზე მოიყვანო. შეშინდა გოგო, წავა პარიზში და აღარ გავახსენდებიო. პრინციპში, მართალია, დიდი შანსია, რომ სულაც დაივიწყოს თავისი სიყვარული.

ვახო მოიღუშა.

– ატრაკებ, იცი? – თქვა ბრაზით.

– ბიჭო, ნათიას ვერ ხედავ აქ?

– ნათიას რომ ვხედავ, კიდევ მაგიტომ ვიკავებ თავს და იმას არ გეუბნები, რისი ღირსიც ხარ. რა სისულელე იფიქრე? კრეტინი ხარ, ტო!

– მე არაფერი მიფიქრია, უბრალოდ, იასთვის სასიამოვნო არ იქნებოდა იმ სუფრასთან ჯდომა, – ნათქვამის გამოსწორება სცადა დათომ.

– იამ იცოდა, სადაც მიმყავდა. რომ არ ნდომოდა, არც წამომყვებოდა. ნიკუშა კი იდიოტია. საერთოდ, რაღაც გვჭირს ჩვენ, ყველას, რაღაც საშინელება. საკუთარ თავებს აღარ ვგავართ. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ძალიან მაწუხებს. აქ იმიტომ მოვედი, ვფიქრობდი, ერთად რაღაც ლოგიკურ დასკვნამდე მივიდოდით, ამ ყველაფრის მიზეზს გავარკვევდით, მაგრამ ვხედავ, რომ დრო ტყუილად დავკარგე. კარგად იყავი! – ვახო ადგა, – ნათია, მაპატიე, თუ რამე ზედმეტი ვთქვი.

– მოიცა, არ წახვიდე, – დათო უხერხულად შეიშმუშნა, – მეც რაღაც აფორიაქებული ვარ. ნიკუშას გადაწყვეტილება მაფიქრებს. შეიძლება, შეცდომაა მისი დედამისთან გაშვება.

– რატომ? დედამისია, ბოლოს და ბოლოს...

– დაგავიწყდა, მისი დანახვაც რომ არ უნდოდა?!

– ამას ჩვენს დასანახავად ამბობდა. არც მე და არც შენ არ ვიცით, რას ფიქრობდა გულის სიღრმეში.

– რამე რომ მოხდეს იქ?

– რა უნდა მოხდეს?

– რა ვიცი. მე არც იმ ფრანგს ვენდობი მაინცდამაინც.

– ნიკუშას მამინაცვალზე რასაც ფიქრობ, ერთხელ უკვე მითხარი, მაგრამ, მგონი, ცდები. მან ძალიან მოკლე დროში შეძლო ის, რაც ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში ვერ მოვახერხეთ.

– რა?

– მისი დაყოლიება, შეხვედროდა დედამისს. კარგად იყავით...

ვახო წავიდა. დათომ უსიტყვოდ მიაცილა კარამდე და სამზარეულოში დაბრუნდა. ნათია ჭურჭელს ალაგებდა მაგიდიდან. ქმარი რომ დაინახა, გაჩერდა და კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– რას ფიქრობ ამ ყველაფერზე? – ჰკითხა დათომ.

ქალმა მხრები აიჩეჩა:

– შენ გგონია, ვახოს და იას შორის მართლა რაღაც ხდება?

– არ ვიცი. შენს ძმაკაცს შენ უკეთ უნდა იცნობდე. უნდა ხვდებოდე, როდის ტყუის და როდის სიმართლეს ამბობს.

– ვახოს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ, რაღაც, არ მახსენდება, როდისმე მოვეტყუებინე.

– მაშინ, რატომღა ეჭვობ? სანერვიულოც არაფერი გქონია.

– მართალი ხარ, მაგრამ ადამიანები იცვლებიან. მე ისიც არ ვიცი, ხვალ რას მოვიმოქმედებ.

– სამაგიეროდ, მე ვიცი, – გაუღიმა ნათიამ, – მთელ დღეს ჩემთან ერთად გაატარებ, სასეირნოდ წამიყვან და შენს მეგობრებზეც არ იფიქრებ.

– ჰო, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“. ძალიან დავიღალე შენი მეგობრების პრობლემებით. თანაც, თუ ერთი დღე ამ ყველაფერზე არ იფიქრებ, მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგება, უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ.

– შეიძლება, მართალი ხარ, – ამოიოხრა დათომ.

– შეიძლება კი არა, მართალი ვარ და უნდა დამიჯერო, – ნათიამ ისევ გაიცინა და ქმარს მიეხუტა.

***

ლევანმა შენიშნა მდივნის გაოცებული მზერა და უნებლიეთ პერანგის საყელო შეიხსნა.

– რატომ მიყურებ, რა ხდება? პირველად მოვდივარ ამ დროს? უფრო ადრე არ შემეძლო, ბევრი საქმე მქონდა. პირი ნუ დაგიღია, საქმე გააკეთე! ყავა მომიდუღე და კაბინეტში შემომიტანე! ტკივილგამაყუჩებელიც მოაყოლე, თავი მისკდება!

ქალმა მორჩილად დაუქნია თავი, მაგრამ მზერა ისევ გაოცებული და ცოტათი დაბნეული ჰქონდა.

კაბინეტში შესულმა ლევანმა პიჯაკი გაიხადა, სკამზე მიაგდო, ტუალეტში გავიდა და სარკეში ჩაიხედა. სარკიდან უცხო მამაკაცი უმზერდა, ჩაშავებული უპეებით და აჭრელებული, ალაგ-ალაგ წითელი ლაქებით დაფარული სახით. „ჯანდაბა, აი, თურმე, რატომ მიყურებდა გაოცებული. რას ვგავარ? უნდა მეცემა ის კრეტინი! სულერთია, მაინც ვერ მოვისვენებ. იას კი, იას... არა, ეტყობა, ქალების არაფერი მესმის, აბსოლუტურად არაფერი. საკუთარ ცოლსაც არ ვიცნობ წესიერად და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მჭირს, ჩემი ბრალია ჩემი, და არა სხვისი. თავიდანვე უამრავი შეცდომა დავუშვი. თინიკოსთანაც დამნაშავე ვარ. რას ვერჩი, რატომ უნდა ისჯებოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვუყვარვარ? ჯობდა, გამეგო მისთვის და ცოტათი მაინც მეცადა, შემყვარებოდა. მაშინ უამრავ პრობლემას ავიცილებდი თავიდან. ამდენი წელი მიყვარდა ქალი, რომელსაც ეს სიყვარული არაფერში სჭირდებოდა და, როგორც კი მოახერხა, მაშინვე დამიმტკიცა ეს, თანაც, ყველაზე საზიზღარი ფორმით. ია და ვახო... ფუჰ, რა საშინელებაა! გულისამრევია და ამაზრზენი ეს ყველაფერი... ნეტავი, ნიკუშამ თუ იცის? თუმცა, საიდან უნდა იცოდეს, ახლა ისეა თავისი მამინაცვლით აღფრთოვანებული და მომავალი გამგზავრებით აფორიაქებული, ია ნაკლებად აინტერესებს. თანაც იმ ფაქტმაც ბევრი რაღაც შეცვალა. იამ გადაწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა ყოფილი შეყვარებულისთვის, მაგრამ, რატომ ვახო? რატომ?.. მე იქ არ ვყავდი?.. არა, მართლა არაფერი მესმის ქალების...“ – ლევანმა ამოიოხრა, სავარძელში ჩაჯდა და სახე ხელისგულებში ჩამალა. თავი რომ ასწია, დაინახა, რომ ოთახში მარტო არ იყო. გაოცებისგან და აღშფოთებისგან სუნთქვა შეეკრა, პერანგის საყელო მოიღეღა და წამოხტა.

– აქ როგორ შემოხვედი, რა ჯანდაბა გინდა აქ? არ გესმის? შენ გეკითხები, როგორ შემოხვედი-მეთქი! იმან როგორ შემოგიშვა? რატომ არ მპასუხობ? ახლავე დამეკარგე აქედან!..

***

ნათიამ ქმარი კარამდე მიაცილა. ფეხის წვერებზე წამოიწია და ლოყაზე ტუჩები შეახო.

– შენ ამას შეძლებ. ჭკვიანი ბიჭი ხარ, მიხვდები, რა უნდა გააკეთო.

– ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, – ჩაიბურტყუნა დათომ, – შენ დედაშენთან წახვალ?

– ალბათ. სახლში მარტოს მომწყინდება, მაგრამ, შენ თუ წინააღმდეგი ხარ, დავრჩები.

– არა, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო? წადი, მერე დამირეკე და მოგაკითხავ.

– ტაქსით წამოვალ, შენ ბევრი საქმე გაქვს. ბავშვს რომ გავაჩენ, მანქანას ხომ მიყიდი? – თავი მოისაწყლა ნათიამ.

– აუცილებლად. ხომ დაგპირდი? მე ახლაც გიყიდდი, მაგრამ დედაშენმა ისეთი ამბავი ატეხა, თითქოს მასზე ნაკლებად მიყვარდე. მართლა არაფერი მოხდეს და სანანებლად არ გამიხდეს საქმე.

– ჰო, საყვარელო, მაგრამ მერე ძალიან, ძალიან კარგი მანქანა უნდა მყავდეს, იმაზე უკეთესი, თინიკოს რომ ჰყავს.

დათომ წაუსტვინა:

– თინიკოს ქმარი მინისტრია, მამა – ყოფილი მინისტრი... ჩემს შემთხვევაში სიტუაცია ცოტა სხვანაირად არის.

ნათიამ ტუჩი აიბზუა.

– ნუ მაფიქრებინებ, რომ ცოლად სუსტ მამაკაცს გავყევი. კარგი?

– კარგი, – თავი მორჩილად დაუქნია დათომ...

***

ლევანმა მხარში მოკიდა დაუპატიჟებელ სტუმარს ხელი და შეანჯღრია.

– როგორ გაბედე აქ მოსვლა? თუ მეხსიერება არ მღალატობს, არ დამიბარებიხარ.

– თუ შეიძლება, დამშვიდდი, თანამდებობის პირს ასე მოქცევა არ ეკადრება, – გოგომ კაბინეტი მოათვალიერა და თავი მოწონებით დააქნია, – მშვენიერი გემოვნება გქონია. შენი დამსახურებაა, თუ წინამორბედმა დაგიტოვა?

– ნატა, შენ ყრუ ხარ? – ლევანმა გააფთრებით მოჭმუჭნა სიგარეტის კოლოფი, – რატომ მოეთრიე-მეთქი? აქ შენი მოსვლა არ შეიძლებოდა!

– დაწყნარდით, დაწყნარდით, ბატონო მინისტრო და კარგად შემომხედეთ. ნახეთ, როგორი რესპექტაბელური იმიჯი მაქვს. მაქსიმალურად ვეცადე, სადად და მოკრძალებულად ჩამეცვა, თქვენი რეპუტაცია ეჭვქვეშ რომ არ დამეყენებინა. გამიწიეთ მასპინძლობა, ბატონო მინისტრო. ნუ გეშინიათ, ბევრ დროს არ წაგართმევთ. პატარა საქმე მაქვს, დაგელაპარაკებით და წავალ.

– ფული გინდა? შეგეძლო, დაგერეკა და გამოგიგზავნიდი. აქ მოსვლა რა აუცილებელი იყო! – ლევანმა შარვლის უკანა ჯიბიდან ტყავის საფულე ამოიღო.

ნატამ გაიცინა და თითები გაატკაცუნა:

– არა, ბატონო მინისტრო, ცდებით, ფულისთვის ნამდვილად არ მოვსულვარ. ჯერ ისიც არ დამიხარჯავს, ჩვენი ბოლო შეხვედრისას რომ მომეცით. ხომ გახსოვთ, ის მშვენიერი ღამე, სასტუმროში რომ გავატარეთ?

ლევანმა ოთახში მიმოიხედა და ხელი ტუჩებზე მიადო ნატას.

– ჩუმად! დაგავიწყდა, სად ხარ? ყოველ წუთს შეიძლება, ვინმემ შემოიხედოს. მაგალითად, ჩემმა მდივანმა, რომელსაც ძალიან ცუდი დღე დაადგება, როგორც კი შენ აქედან მიგაბრძანებ.

– თუ იმას გულისხმობ, რომ შენი ნებართვის გარეშე შემომიშვა, ის არ არის დამნაშავე. შემოვიპარე, საერთოდ არ დავუნახივარ, არც იცის, აქ რომ ვარ.

– რანაირად? – გაუკვირდა ლევანს.

– ეს ჩემი საიდუმლოა და შენთვის ნაკლებად საინტერესო. მგონი, ის უფრო უნდა გაინტერესებდეს, აქ რისთვის მოვედი. როგორც უკვე გითხარი, ფული არ მინდა.

– ნატა, შენთან სათამაშოდ არ მცალია. თავზე საყრელად მაქვს საქმე.

– ვგიჟდები საქმიან მამაკაცებზე, – ნატა ტყავის სავარძელში ჩაჯდა, ფეხი გამომწვევად შემოიდო ფეხზე და პატარა ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

– მოწევა შეიძლება?

– ნატა, შენით წახვალ თუ მე გაგაგდო?

– გმადლობ. ესე იგი, შეიძლება... – ფეხი შეინაცვლა გოგომ და სიგარეტს მოუკიდა, – საფერფლე მომაწოდე, საყვარელო.

– რა საფერფლე? ახლავე ადექი და წადი აქედან!

– ბატონო მინისტრო, ნუ ცხარობთ. გაუფრთხილდით დროსა და ნერვებს. რაც მალე მომისმენთ, მით სწრაფად გათავისუფლდებით ჩემგან.

– რაღაც ძალიან ჭკვიანურად ლაპარაკობ. რა ხდება, დიდხანს ივარჯიშე?

– არც ისე. უბრალოდ, შენ რომ გგონია, ისეთი სულელი არ ვარ.

– ჰმ! – ლევანმა სიგარეტი ნატას კოლოფიდან ამოიღო და მოუკიდა, – საინტერესო განაცხადია. უნდა გამიხარდეს?

ნატამ მხრები აიჩეჩა და ტუჩიდან სიგარეტის ფერფლი ფრჩხილით მოიშორა.

– რომ დავაფასო, რა უნდა ვქნა?

– უნდა მომისმინო და, რასაც გეტყვი, იმაზე სერიოზულად დაფიქრდე.

– ჩემი ცოლობა ხომ არ გინდა? – ნაძალადევად იხუმრა ლევანმა.

ნატამ მხრები აიჩეჩა:

– არც ეგ იქნებოდა ცუდი, მაგრამ ჯერჯერობით ოჯახის შესაქმნელად მზად არ ვარ.

– შენ რა, დამცინი?

– არა. სულაც არა. პირიქით, იშვიათად ვარ ხოლმე ასეთი სერიოზული. ეს ჩემი ჩვეულებრივი მდგომარეობა არ არის. შენც ჩერჩეტი გგონივარ, სულელი გოგო, რომელსაც ფული მხოლოდ გართობისთვის სჭირდება და, თუ ამ ფულს მისცემ, რაც მოგინდება, იმას გააკეთებს. ბატონო მინისტრო, იცი, რომ ანგარიშში შეცდით? არც ისეა საქმე, როგორც თქვენ გგონიათ.

– ახლა ხელს მოგკიდებ და გარეთ გაგაგდებ!

– შენ არ გააკეთებ ამას. იმიტომ კი არა, რომ არ გაქვს ამისი სურვილი, უბრალოდ, იცი, რა შეიძლება, ამას მოჰყვეს. მეც არ გირჩევ ასე მომექცე.

ლევანმა ტუჩზე იკბინა.

– მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ ახლა წადი, საღამოს დაგირეკავ და შევხვდეთ.

ნატამ თავი გააქნია.

– ეგ რას ნიშნავს, – გაწითლდა ლევანი,– თავს რატომ აქნევ?

– იმიტომ, რომ არ მოვტყუვდები.

– მერე, ვინ ცდილობს, მოგატყუოს? თვითონაც ხვდები, რომ ჩემი კაბინეტი ინტიმური საუბრებისთვის შეუფერებელი ადგილია. მე აქ სერიოზული საქმეებით ვარ დაკავებული.

ნატუკამ გაიღიმა და საკუთარი მოვლილი თითები მოწონებით შეათვალიერა.

– მერე, ვინ გითხრა, რომ აქ ინტიმური საუბრებისთვის მოვედი? მე შენი „სექსი ტელეფონით“ კი არ ვარ, მეც სერიოზული საქმე მაქვს. რაღაც გადაწყვეტილება მივიღე და მინდა, შენთან შევათანხმო.

– ჩქარა თქვი და წადი!

– ასე არ ჯობია? ახლა უკვე მზად ხარ, მომისმინო, – ნატუკა ადგა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა, – მოკლედ ასე: მე ვიფიქრე, ვიფიქრე და მივხვდი, რომ ასე ცხოვრება აღარ გამომადგება.

ლევანს ნერვებმა უმტყუნა. ძლივს შეიკავა თავი, არ მივარდნოდა და მართლა კინწისკვრით არ გაეგდო ოთახიდან ეს უტიფრად მოღიმარი, ცხვირაბზეკილი არსება. ნატა თითქოს მიუხვდა ფარულ სურვილს.

– მოთმინებით აღიჭურვეთ, ბატონო მინისტრო, ხომ გითხარით, ჩემში რაღაც ცვლილება მოხდა-მეთქი. მეც რაღაც ვისწავლე, ყოველ შემთხვევაში, იმას მივხვდი, რომ ახლა მაქვს შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვა.

– რა შანსზე ლაპარაკობ, გოგო? დამაწყდა ნერვები... – კბილები გააღრჭიალა ლევანმა და ნატუკას შეუბღვირა, – მორჩა, მეტის ატანა არ შემიძლია, გაეთრიე ახლავე და კისერიც გიტეხია! დაცვას ვურეკავ!

– კარგი, წავალ, – ნატუკამ შეურაცხყოფილი სახე მიიღო და ნელი ნაბიჯით კარისკენ გაემართა, – მაგრამ მერე ნურაფერს მისაყვედურებ. შენ იქნები დამნაშავე იმაში, რომ შენს ცოლთან მივალ და ვეტყვი.

– ეტყვი? რას ეტყვი?

– იმას, რომ ფეხმძიმედ ვარ!..

ლევანს ნომრის ასაკრეფად მომარჯვებული მობილური გაუვარდა ხელიდან და მოწყვეტით დაეშვა სავარძელზე...

***

ტელეფონმა რომ დარეკა, თიკას ჩანთა ეჭირა ხელში და კარს აღებდა. უკმაყოფილო ბუზღუნით ამოიღო მობილური და ეკრანს დახედა. ნომერი ვერ იცნო, ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მაინც უპასუხა.

– ნათია ხარ? როგორ არა, გიცანი, დათოს მეუღლე! ახლა მივდიოდი. არა, განსაკუთრებული არაფერი, ბავშვისთვის ტანსაცმელი უნდა მეყიდა, მაგრამ არ არის საჩქარო, ხვალ წავალ. რა თქმა უნდა, შეგიძლია, მოხვიდე.

თინიკომ ჩანთა დადო და ქურთუკი გაიხადა. ინტუიციამ უკარნახა, რომ ნათიას რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი. საშინაო ფეხსაცმელი რომ ჩაიცვა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ გამასპინძლება იყო საჭირო. სამზარეულოში გავიდა და ჯერ კარადა გამოაღო, მერე მაცივარი. დამხმარე ქალი გააკვირვა მისმა დანახვამ.

– აღარ წაბრძანდით? მე დიდი ხნის წასული მგონიხართ.

– არა, გადავიფიქრე. სტუმარს ველოდები. ნამცხვარი არ გვაქვს?

– არა. არ გითქვამთ, თორემ ვიყიდდი. ხაჭაპურიც ზურას ვაჭამე ცურვაზე წასვლამდე. გინდათ, მარკეტში ჩავიდე?

– მინდა. ნატურალური წვენები ამოიტანე, ეგზოტიკური ხილი, ხაჭაპური და ნამცხვარი. კიდევ გვინდა რამე?

– ბაზარში ხვალ უნდა წავიდე საყიდლებზე. რაც ჩამოვწერე, უნდა ვიყიდო. თქვენ თუ მეტყვით, ახლა რა უნდა ვიყიდო, ვიყიდი.

თიკა დაფიქრდა.

– არა, მეტი არაფერი გვინდა. მალე ამოდი!

თინიკო მაგიდასთან ჩამოჯდა და შუბლით ხელისგულს დაეყრდნო. ქმართან გუშინდელი ჩხუბის შემდეგ თავს საზიზღრად გრძნობდა. „არ ვაპატიებ, მორჩა! სულელად მივაჩნივარ და ჰგონია, რომ უფლებას მივცემ, ჩემ ცხვირწინ იმ ქალთან რომანი ჰქონდეს. იქაც მომატყუა, რა თქმა უნდა! მისთვის საჩუქრის საყიდლად შევიდა იმ მაღაზიაში. ეტყობა, არ იცის, როგორი მეხსიერება მაქვს. ფაქტობრივად, იდეალური. დავინახე, თუ არა, მაშინვე ვიცანი და ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ სხვა გულსაბნევში შემეშალა. ჩემმა საყვარელმა მეუღლემ არც კი იცის, რისი გაკეთება შემიძლია. მივალ და ყველაფერს ნიკუშას ვეტყვი. ჩემი ეჭვების შესახებაც მოვუყვები. ახლა, როცა საშუალება აქვს, დედამისს დაელაპარაკოს, სიმართლის დადგენაც არ გაუჭირდება. ლევანმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, რომელსაც ადვილად ვეღარ გამოასწორებს. რადგან უნდა, ის ქალი ჰყავდეს. მე ხელს არ შევუშლი. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რას მოვიმოქმედებ. ჯერ ნათია მოვიდეს. გავიგებ, რა აქვს სათქმელი. ნიკუშას ნახვას კიდევ მოვასწრებ...“

ნათია ღიმილით მიუახლოვდა მასპინძელს და ლოყაზე აკოცა. თიკამ ფრთხილად მოუსვა მუცელზე ხელი:

– გიხდება ფეხმძიმობა.

ნათიამ ქსუტუნით შეისუნთქა ჰაერი:

– რა ვიცი, აბა! მე კი მგონია, რომ საშინლად გამოვიყურები.

– რას ამბობ? ამაზე არც იფიქრო! ჯერ ერთი, ფეხმძიმე ქალი ყველა ლამაზია. შენ კი მართლა ლამაზი ხარ, – გაიღიმა თიკამ და შეწუხებულმა გაიფიქრა: „ეს თუ აქ იმიტომ მოვიდა, რომ დეპრესიიდან გამოვიყვანო, ნამდვილად შევიშლები. ეს რომ მცოდნოდა, ტელეფონს ხელს საერთოდ არ მოვკიდებდი. ჩემს მდგომარეობაში ვის დამშვიდებას შევძლებ, რა აბსურდია. თანაც, ამ გოგოს ფსიქიატრი სჭირდება, საშინლად ეჭვიანია და ჭირვეული. თუმცა, იქნებ, ასე ჯობდეს. დათო ისე ჰყავს შეშინებული, გვერდზე ვერ იხედება. მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ლევანი დათო არ არის და არც მე ვარ ნათია. ამ გოგოს კოზირი მისი ასაკია. მე კი... მე... – თინიკომ ჰოლის დიდ სარკეში ჩაიხედა და თვალებთან გაჩენილ ნაოჭებს გულდაწყვეტილმა ხელი შეახო – ეს არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ, მე სხვა ღირსებები მაქვს. თანაც, არც ის ქალბატონია თოთო, ლევანი აუცილებლად ინანებს თავის საქციელს“...

ნათია თიკას მოეხვია და ორაზროვნად გაეცინა.

– რომ იცოდე, რა უნდა მოგიყვე! ოღონდ, ხომ ნამდვილად გცალია, რამე მნიშვნელოვან საქმეს ხომ არ მოგწყვიტე?

– არა, არა, მოდი. მე გაგიმასპინძლდები, შენ კი მომიყევი, რა მოხდა. ისევ დათოსთან გაქვს პრობლემები? ჩემი რჩევები არ გაითვალისწინე?

– როგორ არა. სხვათა შორის, კარგად იცნობ მამაკაცებს.

– არც ისე. მაგალითად, საკუთარ ქმარს საერთოდ არ ვიცნობ, მგონი, – ამოიოხრა თიკამ და სტუმარს ბიბლიოთეკაში შეუძღვა:

– აქ ჩვენთვის ვიქნებით. არავინ შეგვაწუხებს და მშვიდად დავილაპარაკებთ. საყვარელო, შენ ახლა ისეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში ხარ, ამ მდგომარეობიდან ბევრი სარგებელი უნდა ნახო, თუ ჭკუით მოიქცევი, რა თქმა უნდა.

– ვიცი და ვცდილობ კიდეც, მაგრამ დღეს შენთან სულ სხვა რამის სათქმელად მოვედი. რომ იცოდე, რა მოხდა! ვერაფრით დაიჯერებ, რომ მოგიყვები. მე თვითონაც შოკში ვარ, – ნათიას თვალები აუელვარდა.

– ასეთი რა უნდა მოყვე? – თინიკომ კიდევ არ გაიზიარა მისი აღფრთოვანება.

– დათოსთვის არც მითქვამს, აქ რომ მოვდიოდი. ვუთხარი, დედაჩემთან წავალ-მეთქი და ისიც დამთანხმდა.

– როცა ასეთ ტყუილს ამბობ, თადარიგიც უნდა დაიჭირო. რომ შეგამოწმოს შენმა ქმარმა?

– მაგაზე უკვე ვიფიქრე, – გაიცინა ნათიამ, – დედაჩემთან დავრეკე და გავაფრთხილე. რაღაც-რაღაცეები მეც ვისწავლე, ასე კი არ არის!

– კარგია, თორემ, მამაკაცების ნდობა არაფრით არ შეიძლება. თითქმის ყოველდღე ვრწმუნდები ამაში, – თიკას ისევ ქმარი და იას მკერდზე აბრჭყვიალებული გულსაბნევი დაუდგა თვალწინ.

– რა მოხდა, ქმარმა გაგაბრაზა? – მიხვდა ნათია.

– არ მინდა მაგაზე ლაპარაკი. ჯობია, შენი ახალი ამბავი მომიყვე.

– ოო, მოემზადე სენსაციის მოსასმენად, – ნათიამ წვენი მოსვა, თითი ტუჩებთან მიიდო და ხმადაბლა, დამარცვლით წარმოთქვა, – ის ია, იცი, ვისი საყვარელია?

თიკა გაფითრდა, უცებ იგრძნო, რომ ჰაერი აღარ ეყო. ხელი შუბლზე მოისვა და ნაძალადევად გაიღიმა:

– ვიცი, ნიკუშასი.

– ჰმ, მეც ასე მეგონა. შეიძლება, ყველას ასე ეგონა, მაგრამ სინამდვილეში... თუმცა, მგონი ურთიერთობა ახალი დაწყებული აქვთ, ყოველ შემთხვევაში, წუხანდელი ღამე ერთად გაატარეს.

თიკა ადგა. აკანკალებული ხელით სიგარეტის კოლოფი გახსნა, მაგრამ სანთებელა ვერ იპოვა. იდგა, სიგარეტს სრესდა და ტუჩებს იკვნეტდა. თითქმის აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ ნათია

მისი ეჭვის დასადასტურებლად გამოეცხადა და ახლა იტყოდა, იამ ღამე შენს ქმართან, ლევანთან გაატარაო...

– ნამცხვარი გადაიღე, ძალიან გემრიელია, – სცადა, ცოტათი მაინც გადაედო ის საშინელი წუთი, როცა ნათია ამ სიტყვებს წარმოთქვამდა.

– გმადლობ, ვგიჟდები ჟოლოიან „ტარტალეტკებზე“... მოკლედ, მეც ვეჭვობდი, მაგრამ დათოს რომ ვუთხარი, არ დაიჯერა. გადაირია, ჭორს ნუ იგონებო. მაგრამ თვითონ ვახომ თქვა. სწორედ იმ დროს მოვიდა, ჩვენ რომ ამაზე ვლაპარაკობდით.

– ვახომაც იცის? – თიკა სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, უკვე ვეღარ მალავდა მღელვარებას.

– რა თქმა უნდა, იცის, როგორ არ ეცოდინება. შენ წარმოიდგენდი ასეთ რამეს?

თიკამ ძლივს გააქნია თავი:

– აბა? რა პატიოსანი ქალის შეხედულება აქვს. თან ცოტათი მეცოდებოდა კიდეც, ნიკუშამ ასე რომ გააწვალა.

– ნათია, ზოგჯერ გარეგნობა მატყუარაა, ძალიან მატყუარა, მაგრამ პრობლემა ეს არ არის. ძალიან ცუდია, რომ მე შენგან ვიგებ ამას.

– შენ ფიქრობ, ლევანი გეტყოდა? – ჩაიცინა ნათიამ, – არ გეტყოდა. კაცების ამბავი არ იცი? გეუბნები, ვახო რომ არ მოსულიყო, დათო ჯიუტად იმეორებდა, გამორიცხულია, გამორიცხულიაო.

– ესე იგი, ვახოა ყველაფრის ავან-ჩავანი? მაგის ბრალი იქნება ყველაფერი. თან, ერთადაც რომ მოვიდნენ, მაშინვე უნდა მეფიქრა.

– ჰო, აბა?! მეც ეჭვი შემეპარა. შენ როგორ გგონია, ნიკუშას ჯიბრით აკეთებს ამას? თუ ასეა, შეიძლება, კიდევ რაღაც გამართლება მოვუძებნოთ მის საქციელს. ისე, კიდევ კარგი, რომ შენი ან ჩემი ქმარი არ ამოარჩია შურისძიების იარაღად.

თინიკო გვიან ჩასწვდა მისი სიტყვების აზრს და სტუმარს გაოცებით შეხედა:

– რა თქვი?

– რა და, კიდევ კარგი, რომ შენს ან ჩემს ქმარს არ ჩაუწვა-მეთქი ლოგინში. ეგ თუ ასე ადვილად აბამს კაცებს, სულაც არ გაუჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ ყველა ერთნაირად მეგობრობდა მასთან, ნიკუშას გამოკლებით, რა თქმა უნდა.

– მოიცა, მოიცა, – პაწაწინა იმედს ჩაებღაუჭა თინიკო, – შენ იმის თქმა გინდა, რომ ია ვახოს საყვარელია?

– ჰო. წუხელ ღამე ერთად გაატარეს, თვითონ ვახომ თქვა.

– შეუძლებელია, – აღმოხდა თიკას, – დაუჯერებელია.

– შენც დათოსავით ამბობ. გეუბნები, წუხელ ერთად ყოფილან. მეც იქ ვიყავი, ვახო დათოს რომ ეუბნებოდა რა მექნა, მთვრალი ვიყავიო. თითქოს თავს იმართლებდა.

თინიკო პატარა ბართან მივიდა, კონიაკი გამოიღო. ყავის ჭიქაში ჩაისხა და დალია.

ნათია აკისკისდა:

– ასე აგაღელვა ამ ამბავმა? დათომაც ძალიან ინერვიულა. ლევანს კი, მგონი, საცემად გაუწევია.

– ვახოს საცემად? – თიკამ მეორე ჭიქაც შეავსო, – ღმერთო, გავგიჟდები! ესეც ვახომ თქვა?

– ჰო, მომვარდაო. დათოსთან სწორედ ამიტომ მოვიდა. ლევანს დაელაპარაკე, ვერ გავიგე, რა უნდოდაო. ერთი სიტყვით, დიდი ამბებია.

– დათო სად არის ახლა, ლევანთან წავიდა? – ჰკითხა თიკამ, მეორე ჭიქაც რომ გამოსცალა.

ნათია შეცბა.

– არ ვიცი, მგონი, არა. არ მიკითხავს. როგორ გგონია, ნიკუშამ ეს იცის?

– მთავარია, რომ ლევანმა იცის, – თიკამ ჭიქა დადგა და ნათიას უცნაურად შეხედა, – შენ მართალი ხარ, დიდი ამბები ხდება...

ლევანი დარწმუნებული იყო, რომ, რადგან ფორტუნა ერთხელ თავის სასარგებლოდ განაწყო, აღარასოდეს შეაქცევდა ზურგს. ერთხელ სადღაც წაიკითხა და მოეწონა: „ბედი ფაფარაშლილი ცხენივით არის, ბედაურივით, რომელიც ფინიშზე ყოველთვის პირველი მიდის. შენ უნდა იმარჯვო. მოახტე გავაზე, ფაფარში მაგრად ჩასჭიდო ხელი და, თუ ვერ გადმოგაგდო, ჩათვალე, რომ გაიმარჯვე!“ ლევანი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სწორედ ამ გამარჯვებას ზეიმობდა. ფიქრობდა, რომ მყარად იყო ფაფარს ჩაბღაუჭებული. იმისიც სჯეროდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დაბრკოლება უკვე გადალახა. თავისი წარმატების ხარისხს საკუთარ სიმამრზე ამოწმებდა. როცა თიკას მამის ხმაში პირველად იგრძნო მოკრძალებული ტონი და მზერაც ძველებურად მბრძანებლური აღარ ჰქონდა, ესეც თავის მიღწევად ჩათვალა. ესე იგი, იგრძნეს მისი ძალა და შესაძლებლობები, ზურაბმა უკან დაიხია ღირსეული მოწინააღმდეგის წინაშე. ეს ლევანისთვის ბევრს ნიშნავდა. ახლა კი...

გაცოფებულმა სკამი ხმაურით მიაგდო გვერდზე. ნატუკას ეცა, მხრებში ჩაავლო ხელი და მაგრად შეანჯღრია.

– მითხარი, რომ ტყუილი თქვი. მომატყუე, ხომ?

ნატუკამ მშვიდად დაახამხამა შეღებილი წამწამები და ასეთივე სიმშვიდით გასცა პასუხი კითხვაზე:

– არა!

– მოგკლავ, გესმის? ამას არ გაპატიებ! – გამოსცრა ლევანმა.

– ნუ მემუქრები! რა გინდა, მითხრა, რომ სპეციალურად დავორსულდი? შენც ხომ იცი, რომ ასე არ არის. აბა, რა გეგონა, რომ მეტაკე?

– გაჩუმდი! – ლევანმა თავზე იტაცა ხელები, – უნდა მცოდნოდა, უნდა მცოდნოდა, ვისთან მქონდა საქმე საშინელებაა უტვინო ქალი, ნამდვილი კატასტროფაა. ჭკვიანი თუ გავნებს, ჭკვიანურად გააკეთებს ამას. შენ კი, შე პატარა ბოზო!..

ნატუკამ გაიბრძოლა, რომ მხარზე შემოსალტული მისი თითები მოეცილებინა.

– ნუ მტკენ! შეიძლება, ბოზი ვარ, მაგრამ, ამას ხელი არ შეუშლია შენთვის, ლოგინში ჩამწოლოდი და, კიდევ – არც ისეთი უტვინო ვარ, ეს ერთხელ უკვე გითხარი. მოკლედ, მომისმენ თუ წავიდე?

ლევანმა კბილები გააღრჭიალა.

– სიამოვნებით მოგიგრეხდი მაგ თავხედ კისერს. ჯანდაბა!.. – ლევანი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ბოლოს ნატუკას წინ გაჩერდა და მიაშტერდა. ისე უყურებდა, რომ ნატუკა დაფრთხა.

– შენ რა, მართლა მოკვლას ხომ არ მიპირებ? ვინმეს ხომ არ დაავალებ, შენი ცხოვრებიდან გამაქროს?

– არ იქნებოდა ცუდი, მაგრამ შენ გამო ჩემს კარიერას სასწორზე ვერ დავდებ. საკუთარ ცხოვრებას საფრთხეს ვერ შევუქმნი, ამად ნამდვილად არ ღირხარ. ახლა ადგები, აქედან წახვალ და სახლში დამელოდები. დაგირეკავ.

– არა! – თქვა გოგომ.

– რას ნიშნავს, „არა“?! – წამოენთო ლევანი.

– იმას, რომ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. შენ გინდა, თავიდან მომიშორო. აქედან გავალ თუ არა, აღარ დამირეკავ!

– ხომ ვამბობ, უტვინო ხარ-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვს, აქ ვილაპარაკებთ თუ სხვაგან? მე ხომ მაგ შენი ორსულობის ამბავს სეიფში ვერ ჩავკეტავ. ყოველ წუთს შეიძლება, ჩემს ცოლთან მიხვიდე და მოუყვე, რაც ჩვენ შორის მოხდა. მე კი ეს არ მინდა. ამიტომ დაგირეკავ.

– ახლა რომ ვილაპარაკოთ?

– ახლა არ მცალია. შენ გარდა სხვა საქმეც მაქვს. თან, ყოველ წუთს შეიძლება, ვიღაც შემოვიდეს. არ გეყო, რა პრობლემებიც შემიქმენი? თუ აქ სკანდალის მოწყობას ეცდები, გესმის? თუ ეცდები-მეთქი, მერე რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალე!

ნატუკა შეყოყმანდა.

– კარგი, – თქვა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, – წავალ, მაგრამ დიდხანს ვერ მოვიცდი, დღესვე უნა დამირეკო.

– დაგირეკავ, დაგირეკავ, – ლევანმა გოგოს ხელი მოჰკიდა და თითქმის მიათრია კარამდე, – მოიცადე, ფეხი არ გამოდგა ოთახიდან, სანამ მე არ გეტყვი! არ მინდა, ჩემმა მდივანმა გნახოს...

ლევანი ორიოდე წუთში უკანვე შებრუნდა.

– მორჩა, ახლა შეგიძლია, მიბრძანდე. ოღონდ, ჩქარა და ენას კბილი დააჭირე! ეგ ამბავი, რაც მე მითხარი, არავინ არ უნდა გაიგოს, გესმის?

ნატუკამ ჩაიცინა, მაგრამ ლევანს თავი მაინც დაუქნია.

***

თინიკო ჩუმად ეწეოდა სიგარეტს. ნათიას ნათქვამ ფრაზებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ბუნდოვნად აღიქვამდა მისი სმენა. ცდილობდა, ყველაფერი იმისგან, რაც მოისმინა, დასკვნა გამოეტანა. ერთი შეხედვით, ამოცანა არ იყო რთული. განსახილველი ჰქონდა ორი ვარიანტი: პირველი – ლევანს მართლა არაფერი ჰქონია იასთან. ვახოს კი იმიტომ მიუვარდა, რომ მისი საქციელი პირად შეურაცხყოფად ნიკუშას გამო მიიჩნია. იყო მეორე ალბათობაც: ლევანიც იას საყვარელი იყო და ვახოც. ქალი ვერ გაიყვეს და იჩხუბეს. თინიკოს პირველი ვარიანტი უფრო აწყობდა. მეორეზე ფიქრი გულს ურევდა, გაბრაზებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

– ნუთუ ის ქალი ასეთი კახპაა? არ მეგონა, – თქვა ხმამაღლა.

ნათიამ წვენი მოსვა და მხრები აიჩეჩა:

– რა ვიცი. მეც ძნელად წარმომედგინა, მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ ღამე ერთად გაატარეს?! კარტს ხომ არ ითამაშებდნენ დილამდე! ისე, მე არასდროს მჯეროდა ქალისა და კაცის მეგობრობის. რა სისულელეა! დათო რომ ამბობდა, ია ჩვენი ძმაო, მეცინებოდა. ასეთი დამოკიდებულება ძალიან სასაცილოა. ვინ უნდა იყოს ისეთი გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს, თითქოს ქალსა და კაცს შორის არაფერი ხდება, როცა ისინი ღამით მარტონი რჩებიან?!

თიკამ სიგარეტი ჩააქრო. საფერფლეს დახედა და უცებ მიხვდა, რომ ძალიან ბევრი მოსწია.

– ბოდიში, ნათია, საყვარელო. რამდენი მომიწევია. შენ კი აქ ზიხარ და ამ ბოლს ყლაპავ. რატომ არ მითხარი?

– იმიტომ, რომ არ შევუწუხებივარ. პირიქით, მსიამოვნებს თამბაქოს სუნი.

– არა, არა, არ შეიძლება, – თიკა ფანჯარასთან მივიდა და გააღო. უცებ ლევანის მანქანა შენიშნა.

– ლევანი მოვიდა. რა უცნაურია, ასე ადრე არასდროს მოდის ხოლმე. ეტყობა, რაღაც მოხდა.

– მართლა? ნეტავი წასვლა მომესწრო, არ მინდოდა, აქ ვენახე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ დათოს ეტყვის და გამოვა, რომ ქმარი მოვატყუე. მოდი, წავალ.

– ახლა ვეღარ მოასწრებ, მანქანას აყენებს უკვე. მაინც შეხვდებით ერთმანეთს. აჯობებს, აქ იყო. ლევანი კაბინეტში არ შემოვა. თავის ოთახში ავა და მაშინ შეძლებ წასვლას.

– დარწმუნებული ხარ?

თიკამ თავი დაუქნია და მიაყურადა. გაიგონა, როგორ გაჯახუნდა შემოსასვლელი კარი. რამდენიმე წუთი გავიდა.

– გავალ, ვნახავ, რა ხდება. კარს კი გარედან ჩავკეტავ, ნუ გეშინია, შევძლებ შეუმჩნევლად გაგიყვანო.

თიკას მოლოდინმა არ გაამართლა. ლევანი სასტუმრო ოთახში დაუხვდა, ბართან იჯდა და სვამდა. ცოლი რომ დაინახა, სახე გაუბრწყინდა:

– სახლში ხარ? რა კარგია, მოდი, ერთად დავლიოთ.

– ეტყობა, რაღაც ცუდი მოხდა, რადგან გვიანობამდე სამსახურში არ დარჩი, მოხვედი და სვამ.

– ჰო, რამდენიმე დღეა, აშკარად არ მიმართლებს. ერთმანეთს აეწყო უსიამოვნებები. შენც ტყუილუბრალოდ მეჩხუბე.

– მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ, არ ღირს. მე შენი აღარ მჯერა. ყველაფერი გარკვეულია. მით უმეტეს, ისიც ვიცი, რაც დილით ვახოსთან შეგემთხვა.

ლევანმა თავი ასწია:

– რა-ა?!

თიკას გაეღიმა:

– ჰო, რა იყო? იქნებ, თქვა, ვიღაცამ მომიგონაო? თუმცა, გულახდილად გეტყვი: ფეხებზე მკიდია, რას იტყვი.

ლევანმა სულმოუთქმელად გამოსცალა ვისკით სავსე ჭიქა.

– თინიკო, მე შენი მხარდაჭერა მჭირდება, ძალიან მჭირდება, გეფიცები! არ არის ისე, შენ რომ გგონია. თუ ახლა ვერ შეძლებ, რომ გამიგო და ზურგს შემაქცევ, ყველაფერი დამთავრდება, გესმის? მე კი, ეს არ მინდა!

– როდისმე თუ გიკითხავს, მე რა მინდა?

– თინიკო, ხომ გითხარი, ახლა ძალიან მიჭირს-მეთქი. ასე ძნელია, გამიგო?

– ძნელია, ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ სურვილი არ მაქვს.

ლევანმა თავი დააქნია:

– ჰო, მართალი ხარ. არ ვარ ისეთი ქმარი, შენ რომ გჭირდება. ყურადღებით არ განებივრებ, ზოგჯერ შენი არსებობაც მავიწყდება, მაგრამ ჩემებურად მაინც მიყვარხარ.

ქალმა გაიცინა:

– „ჩემებურად სიყვარული“ რას ნიშნავს? იქნებ დამიკონკრეტო, თორემ, ცოტა დავიბენი.

– ახლა არ შემიძლია. მართლა, მოდი, რა, დალიე ჩემთან ერთად, – ლევანმა მეორე ჭიქაც შეავსო ვისკით.

– ვახოს რატომ ეჩხუბე?

– იმიტომ.

– მაინც?

– ვინც ჩხუბის ამბავი გითხრა, მიზეზი დაგიმალა?

– არა, არ დაუმალავს, მაგრამ მე შენგან მინდა, მოვისმინო.

– გეტყვი, ოღონდ, მინდა, სწორად გაიგო. იასთან აქვს რაღაც. ამის გამო ვეჩხუბე. მინდოდა, მეცემა კიდეც. არ ვიცი, როგორ მოვახერხე და შევიკავე თავი.

– ჰმ, დამცველიც ჰყავს ქალბატონს, აწყობილი აქვს ცხოვრება!

– ხომ გთხოვე, სწორად გაგეგო! ია აქ არაფერ შუაშია, საერთოდ არაფერში. ეს კაცური საქმეა. არ შემეძლო, სხვანაირად მოვქცეულიყავი.

– ჰო, რა თქმა უნდა, არ შეგეძლო. შენ ხომ ნიკუშას მეგობარი ხარ და მისი საცოლის ღირსების დაცვა შენი პირდაპირი მოვალეობაა.

– შენი ირონია უადგილოა. იცი ჩვენი ურთიერთობის ამბავი და ამას არ უნდა ამბობდე.

– არ უნდა ვამბობდე? – თინიკომ ვისკი მოწრუპა, – ჩვენ ბევრ რამეს არ უნდა ვაკეთებდეთ და კიდევ უფრო ბევრი არ უნდა გაგვეკეთებინა... ესე იგი, ვახო იას საყვარელია?

ლევანი გაწითლდა:

– აღარ მინდა მაგაზე ფიქრი. რას შვრები, არ სვამ?

– ვსვამ. გინდა, დავთვრე?

– ჰო, მინდა, ძალიან მაგრად უნდა დავთვრე, რომ აღარაფერზე ვიფიქრო. მერე კი, იქნებ ჭკვიანური მოვიფიქრო რამე.

თინიკო ადგა.

– სად მიდიხარ, მოდი, აქ, – ხელში სწვდა ლევანი.

– ლიმონს მოვიტან. მალე დავბრუნდები...

კაცმა მოწონებით დააქნია თავი:

– კარგია. მიდი, მოიტანე. კიდევ რა გაქვს სახლში? მომშივდა.

– მოვძებნი რამეს...

თინიკომ უხმოდ გააღო კაბინეტის კარი.

– კარგია, რომ მოხვედი, – გახარებული წამოხტა ნათია, – ისე მომეწყინა აქ...

– ჩქარა წამოდი, გაგაცილებ. ლევანი სასტუმრო ოთახშია, მაგრამ, თუ არ იხმაურებ, შეუმჩნევლად გაგიყვან.

– ვაიმე, როგორ მაინტერესებს, რას გეტყვის ლევანი. უკვე ჰკითხე, რატომ იჩხუბეს?

– არაფერი მიკითხავს. მთვრალია და ახლა მასთან ამაზე ლაპარაკი არ მინდა. თუ არ იჩქარებ, შეუმჩნევლად ვერ გახვალ, – შეაშინა თიკამ. ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა ლევანთან.

... ლევანმა ლიმონის ნაჭერი ენის ქვეშ დაიდო და თვალები სიამოვნებისგან მოჭუტა.

– მმ... მაგარია, გენიოსი ხარ!

თინიკომ მწყრალად შეხედა ქმარს. ლევანმა შემრიგებლურად გაუღიმა.

– ტყუილად იცინი. სულ არ მეცოდები. რთული პერიოდი მაქვსო, ამბობ, მაგრამ იმას რატომ აღარ აღიარებ, რომ ყველაფერში თავად ხარ დამნაშავე? საყვარელმა გიღალატა და მეგობრის მილიონები ხელიდან გეცლება. აი, შენი მთავარი პრობლემები... და, მთხოვ, გვერდით დაგიდგე? მაინც რა უნდა გავაკეთო? მივიდე იასთან და ვთხოვო, რომ ვახოსთან ყოფნას შენთან ყოფნა არჩიოს? ნიკუშას კი შეევედრო, ის მილიონები შენ დაგითმოს? გადაჭარბებით ხომ არ აფასებ ჩემს შესაძლებლობებს?

– შენ მე ვერასოდეს გამიგებ, – ხელი ჩაიქნია ლევანმა, – იმიტომ, რომ არ გინდა.

– ცდები, მინდა, მაგრამ, არ ვიცი, როგორ გაგიგო. შენ გთხოვ რჩევას, თუნდაც პირდაპირ მითითებას – მითხარი და, გპირდები, რასაც შენ ჩათვლი საჭიროდ, იმას გავაკეთებ.

– იას მოეშვი... ამას მართლა გთხოვ.

– შენ რატომ არ ეშვები? ძვირფასი საჩუქარი ჩამოუტანე, მაგრამ მადლობა იმით გადაგიხადა, რომ შენს ძმაკაცს ჩაუწვა ლოგინში. შენც მიუვარდი ვახოს და ეჩხუბე. სულ არ გრცხვენია, ჩვიდმეტი წლის ბიჭივით იქცევი. მე რომ არ მერიდები, გასაგებია, მაგრამ ხალხის მაინც შეგრცხვეს! მინისტრი ხარ, თავი მოგეჭრება, მთელი ქალაქი შენზე დაიწყებს ლაპარაკს!

– სისულელე გავაკეთე, – ჩაილაპარაკა ლევანმა, – ვახოსთან არ უნდა მივსულიყავი, მაგრამ, კიდევ გავიმეორებ, ეს ღირსების საკითხი იყო. თუ, ნიკუშასთვის უნდა დამერეკა და მეთქვა, რაც მოხდა?

– ნიკუშას ეს არ აღელვებს. ყოველ შემთხვევაში, მე რესტორანში მსგავსი არაფერი შემინიშნავს. სულაც არ აუღელვებია იმას, რომ ვახო იასთან ერთად მივიდა.

ლევანმა თავი გადააქნია:

– ფეხებზე მკიდია ორივე... არა, სამივე... ნიკუშაც არ იმსახურებს ჩემს თანადგომას. ყველაფერი ტყუილი ყოფილა, მეგობრობა ყოფილა ტყუილი!..

– და, შენ ეს აქამდე არ იცოდი? – ჩაიცინა თინიკომ, – შენ რომ ასეთი მიამიტი არ ხარ? რატომ გგონია, რომ მოვტყუვდები? რაღაც სხვა უბედურება გჭირს და ბარემ ბოლომდე მითხარი ყველაფერი.

– მე ყველაფერს გეუბნები, – ლევანმა სცადა, გულწრფელი ყოფილიყო.

თინიკომ თავი გადააქნია:

– არ გამოგდის, არ გამოგდის ეგ ხელოვნური გულახდილობა. მორჩი ეს ფარსი, დაამთავრე, ან, მე თვითონ დავამთავრებ!

– არ დამტოვო, – აღმოხდა ლევანს, – მარტო შენ მჭირდები, მართლა!

– იმიტომ, რომ ჩემზე სულელი ვერავინ იპოვე?

– არა. იმიტომ, რომ სხვა არც არავინ მიძებნია.

ქალი ქმრისკენ გადაიხარა და თვალებში ჩააშტერდა:

– როგორ მინდა, მჯეროდეს. როგორ მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ ვახოსთან ეჭვიანობის გამო არ გიჩხუბია.

– რა თქმა უნდა!..

– არ ვიცი, არ ვიცი...

– თინი, გეფიცები...

– მაშინ... მიდი ნიკუშასთან და უთხარი!

– რა ვუთხრა ნიკუშას?

– რაც მოხდა.

– არა.

– არა? რატომ?

– იმიტომ, რომ ეს ადამიანები და ისიც, რაც მათ შორის მოხდება, აღარ მაინტერესებს. ნიკუშა გაიგებს ამას თუ არ გაიგებს, ჩემი პრობლემა აღარაა.

– ესე იგი, იყო შენი პრობლემა.

– არა, თიკა, არა! აი, იმ სურათის შესახებ კი გადავიფიქრე.

– ამით რისი თქმა გინდა?

– ფული მჭირდება. მამაშენს კი არა, თუ საჭირო გახდება, ეშმაკსაც კი შევეკვრები და იმ ნახატს ხელში ჩავიგდებ. ბოლოს და ბოლოს, ეს არც ისეთი უსამართლობა იქნება.

– არ მიკვირს, ამას რომ ამბობ. უფრო მიკვირდა, რომ მიმტკიცებდი, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ის მილიონებიო.

– ჰო. ეტყობა, მაშინ საკუთარი თავის მოტყუებას ვცდილობდი.

– კარგი. ჩემგან რას მოითხოვ?

– მინდა, გჯეროდეს ჩემი.

– ეს ასეთი ადვილი არ არის, ნდობას დამსახურება სჭირდება, – თინიკო ჩაფიქრდა, – მართლა არაფერი ყოფილა შენსა და იას შორის?

ლევანმა ჭიქა დადგა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა:

– მითხარი, როგორ დაგიმტკიცო.

– დაიფიცე, იას რომ გულსაბნევი ეკეთა, შენ არ გიჩუქებია.

– გეფიცები, – ლევანმა ისე იცრუა, ხმა არ აჰკანკალებია.

თინიკო ლოყით მხარზე მიეხუტა ქმარს:

– რამდენი ვინერვიულე...

– ჩემი ბრალიც არის. მაპატიე, საყვარელო, ყოველთვის ყველაფერს გეტყვი. შენც პირობა უნდა მომცე, რომ რაღაც სისულელეებზე აღარ იეჭვიანებ.

– არ ვიეჭვიანებ.

ლევანს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აწკრიალებულმა მობილურმა ამის საშუალება არ მისცა. ეკრანს დახედა და ტელეფონი მაშინვე გამორთო.

– რატომ არ უპასუხე?

– იმიტომ, რომ ვიცი, ვინც მირეკავს და რატომ. უნდა წავიდე, „ის“ მიბარებს.

– ნასვამი? იქნებ უთხრა, რომ შეუძლოდ ხარ?

– არა. ორი ჭიქა დავლიე. ეს არაფერია. გზაში გამოვფხიზლდები.

თიკა კართან მისულ ქმარს დაეწია, შემოაბრუნა და თვალებში ჩააშტერდა.

ლევანი შეაწუხა მისმა გამომცდელმა მზერამ და, სანამ ქალი რამეს ჰკითხავდა, დაასწრო:

– ასე ნუ მიყურებ. შეეცადე, ჩემდამი ნდობა დაგიბრუნდეს. სხვანაირად, ორივეს ძალიან გაგვიჭირდება. შენ ჩემი ცოლი ხარ და ძალიან მჭირდები აი, ამაზე იფიქრე.

– ვეცდები. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ.

– რაში არ ხარ დარწმუნებული – იმაში, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ, თუ, იმაში, რომ მჭირდები? – გახუმრება სცადა ლევანმა. ქალს წარბი არ გაუხსნია. ლევანმა აკოცა. მერე კიდევ, კიდევ... თიკა არ განძრეულა. ლევანი მის ყურთან დაიხარა და ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

– სახლში რომ დავბრუნდები, ვეცდები, დაგიმტკიცო. ახლა კი წავალ, არ მინდა, კიდევ ერთხელ დამირეკონ. ისედაც უამრავი ადამიანია ჩასაფრებული და ელოდებიან, როდის გადამიბრუნდება ფეხი.

***

საუბარი ისევ ხანმოკლე იყო, რამდენიმესიტყვიანი, მხოლოდ მათთვის გასაგები ფრაზებით. ზურაბი ელოდა ამ ზარს. როგორც კი ტელეფონმა დარეკა, მაშინვე კაბინეტში შეიკეტა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

– კარგია... მე მქონდა შენი იმედი. არა, არ ვიცოდი. ეს არაფერს ცვლის... ჰო... არც თქვენთვის და, ალბათ, არც ჩემთვის, მაგრამ, თუ მოასწრებთ, კარგი იქნება. ნახევარი ლიმონი... არ არის ცოტა. ბევრი სიმჟავე მავნებელია... არა. მანდ დარჩება. ამას მე ვწყვეტ... გამორიცხულია... უნდა მენდო. არ არის სხვა არჩევანი. ერთი ვარიანტით მოგიწევს მუშაობა, მეორე ვარიანტი არ არსებობს... შენ მე მიცნობ. ისე იქნება, როგორც შევთანხმდით... ძალიან მალე... მაგასაც შენ მოძებნი... კარგი... მერე ვნახოთ... პროცენტები?.. ვიფიქრებ მაგაზე...

ზურაბმა ტელეფონი გათიშა და სახეზე კმაყოფილებით მოისვა ხელი. გაეღიმა და გახალისებული სამზარეულოში შევიდა.

– მშია, მაჭამე რამე! – ბრძანების ტონით უთხრა ჩალის სარწეველა სავარძელში მჯდარ ცოლს. ქალი ნელა წამოდგა.

– ასეთი სახე მაშინ გაქვს ხოლმე, როცა რამე ბოროტებას სჩადიხარ. ამჯერად რა ჩაიფიქრე? – ჰკითხა ქმარს დიანამ.

– ბოროტება ჩავიფიქრე? მე? დიანა, შენ ძალიან ბევრ სერიალს უყურებ. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ უკვე ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობ და არა რეალურში. მომშივდა და საჭმელად შემოვედი, რომელ ბოროტებაზე მელაპარაკები? მიყურებ თითქოს ურჩხული ვიყო. მე ერთი უწყინარი კაცი ვარ.

ქალს ღიმილი გამოესახა სახეზე.

– მაშინ, ვკითხავ ჩემს „უწყინარ“ ქმარს: რა მოხდა შენსა და ლევანს შორის ისეთი, რომ აღარც თვითონ მოდის და თინიკოსაც კი არ უშვებს ჩვენთან? ზუკაც სულ წაიყვანეს.

ზურაბმა მხრები აიჩეჩა:

– ეგ შენს უჯიშო სიძეს უნდა ჰკითხო. ვერ უპატიებია, რომ მე უკეთესად გამოვიყენე ჩემი თანამდებობა, ვიდრე თვითონ. თითქოს ჩემი ბრალი იყოს, ეს ქვეყანა თავდაყირა რომ დააყენეს. არა, ძალიან შურიანი და ცხოვრებაზე დაბოღმილი თაობა მოვიდა. შენი სიძეც ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც სხვისი კეთილდღეობა მშვიდად დაძინების საშუალებას არ აძლევს.

– ამას შენ ამბობ?

– ჰო, რა იყო, არ არის მართალი? ბევრი ფული რომ ვიშოვე, ეს მარტო ჩემი დამსახურებაა. დახმარება არავისთვის მითხოვია. მით უფრო, მაგ ლაწირაკისთვის. მომადგება ხოლმე და მიკითხავს ლექციებს მორალზე, თითქოს თვითონ სპეტაკი და ანგელოზი იყოს. მაგრამ, შურს ჩემი.

– რა შეიძლება შურდეს ლევანს შენი?

– შეიძლება, შეიძლება... იცის, რომ, თუ მოვინდომებ, კიდევ შევძლებ ერთ იმდენს, რაც მიკეთებია.

– ლევანს კი შეუძლია, ერთ დღეში ყველაფერი დაგაკარგვინოს. ნუ დაგავიწყდება, რომ მას უნდა უმადლოდე, რაც ამ წლების განმავლობაში ქვეყანა ძარცვე, ბოლომდე რომ შეგარჩინეს.

ზურაბი ჭარხალივით გაწითლდა:

– რას მიედ-მოედები, ქალო? რა ნაძარცვი? დაფიქრდი, სანამ რამეს იტყოდე. შენი აზრით, მე ქურდი ვარ?

– არა, როგორ გეკადრება! შენ ქურდი არ ხარ, აბა, რას ამბობ?! ჯიბეში ხელი არასოდეს არავისთვის ჩაგიყვია და სინდისიც ამიტომ არ გაწუხებს, თუკი საერთოდ გაქვს სინდისი.

– აბა, ახლა კი გეყოფა! რაღაც, არ მახსენდება, შენს სინდისს ხმა ამოეღო, როცა ჩემი „დახშული სინდისით“ შენთვის ბრილიანტები მომქონდა. რამე შეიცვალა მას შემდეგ?

– ის ბრილიანტები ისევ შენ გჭირდებოდა თავის მოსაწონებლად, ისევ შენ, თორემ მე არასოდეს არაფერი მომითხოვია.

– რატომ მოითხოვდი, როცა ყველაფერი გქონდა?! – ყვირილზე გადავიდა კაცი.

– ნუ მიყვირი! მეყოფა! მთელი ცხოვრება შენი აჩრდილი ვიყავი. მართალი ხარ, არაფერი მაკლდა, არასდროს არაფერი, გარდა მთავარისა – სიყვარული არ მქონია არასოდეს, მაგრამ ეს შენთვის ისეთი უმნიშვნელო წვრილმანია, სალაპარაკოდ არ ღირს.

– სიყვარული!.. სიყვარული მოუნდა სამოცდახუთი წლის ასაკში. გეუბნები, სერიალები დაგღუპავს-მეთქი!

– ძალიან გინდა, უფრო სწორად, გაწყობს, რომ ასე იყოს, მაგრამ, მშვენივრად იცი, რომ ასე არ არის.

ზურაბმა ამოიოხრა:

– მთელი ცხოვრება კატორღელივით ვიშრომე და შედეგად მშვიდი სიბერეც არ მეღირსა: უმადური ცოლი, უმადური შვილი და დაბოღმილი, შურით აღსავსე სიძე – მაგარი ოჯახი მაქვს, ვერაფერს იტყვი!

– იქნებ, ეს შენი შეცდომის გამოა? იქნებ, ის არ უნდა მოგეყვანა ცოლად, ვინც მოიყვანე და ახლა ამის გამო უნდა ზღო? – მშვიდად თქვა ქალმა. კაცი გაშრა. ის უფრო ცოლის სიმშვიდემ გააოცა, ვიდრე მისმა სიტყვებმა. თითქოს რაღაც ენიშნა, მაგრამ უკან დახევა არც უფიქრია.

– შენს ასაკში, უფრო სწორად, ჩვენს ასაკში, ამაზე აღარ ლაპარაკობენ.

– მართალია, ცოტა ადრე უნდა გველაპარაკა ამაზე, მე ხომ ყოველთვის ვხვდებოდი, რომ ჩვენს ურთიერთობაში გრძნობა არ იყო.

– ყოჩაღ! იმაზე მიხვედრილი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა.

– ჰო, ისეთი მიხვედრილი, რომ ყოველთვის ვიცოდი, ჩემი ქმრის ნამდვილი სიყვარულის შესახებ.

ზურაბმა ცოლს შეხედა.

– გეყოფა, დიანა!

– მეყოფა? მე მეყოფა? თუმცა, შენს სინდისზე უკვე ვილაპარაკეთ. სამწუხაროა, რომ არ მიცნობ, საერთოდ არ მიცნობ. ოცდათხუთმეტი წელი იცხოვრო ქალთან ისე, რომ მას საერთოდ არ იცნობდე ეს მარტო შენ შეგიძლია. ყოველაფერთან ერთად კი, მშიშარაც ხარ, ნამდვილი ლაჩარი. თავი დიდ რაინდად მოგაქვს, ყოვლისშემძლედ, სინამდვილეში, არარაობა ხარ.

– დიანა, აღარაფერი თქვა, ისევ შენთვის იქნება უკეთესი!

– მე ვიცი, რა იქნება ჩემთვის უკეთესი. სამწუხაროდ, ძალიან გვიან მივხვდი ამას. მაგრამ, რა არის, იცი? ახლა ვფიქრობ, რომ შენ არც ის გყვარებია და არც არავინ გყვარებია, საერთოდ, საკუთარი თავის გარდა.

ზურაბმა პირველად დაინახა ცოლში პიროვნება. დიანა ყოველვის უპრეტენზიო, მშვიდი, ცოტათი სულელიც კი ეგონა. ძირითადად, ასეთები არიან მკაცრი, მომთხოვნი მამების გაზრდილი ქალიშვილები, რომლებსაც ყველაფერი აქვთ, გარდა პირადი ინტერესებისა. ისინი ისე ეჩვევიან ამას, რომ პრეტენზიასაც არ გამოთქვამენ, საკუთარი აზრის გამოთქმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აი, ასეთი ეგონა ყოველთვის ცოლი. მაგრამ ახლა დიანა მის წინ ნამდვილი ჟანა დარკივით იდგა და ორთაბრძოლაში იწვევდა.

– ერთხელ მაინც რატომ არ თქვი, რატომ არ მაგრძნობინე, რომ ყველაფერი იცოდი?

– რა შეიცვლებოდა ამით? შემიყვარებდი?

– არ ვიცი, – თავი გააქნია კაცმა.

– ხედავ? იცი, რატომ არასდროს ვეჭვიანობდი შენს საყვარლებზე? იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდი, შენთვის ისინი არაფერს წარმოადგენდნენ და, როგორ შეიძლება, არაფერზე იეჭვიანო? მეც ჩუმად ვიყავი, ხელს არაფერში გიშლიდი. მაგრამ, ახლა გაფრთხილებ: თუ რამე ისეთი გაქვს ჩაფიქრებული, რაც ჩემს შვილსა და მის ქმარს ზიანს მიაყენებს, სულ ცოტათი მაინც ავნებს ან დააზარალებს, არ დაგინდობ. მაშინ ნახავ, რა შემიძლია! – დიანამ უკანასკნელი სიტყვები დაუფარავი მუქარით წარმოთქვა, დანა, რომლითაც პურს ჭრიდა და რომელიც ისევ ხელში ეჭირა, წვერით ხის საჭრელ დაფაზე დაარჭო და სამზარეულოდან გავიდა. კაცმა პირველად იგრძნო შიში...

***

ლევანმა კარი ჩაკეტა და შემობრუნდა. ნატუკა საწოლის კიდეზე იჯდა.

– როგორი რომანტიკული ხარ, საყვარელო. ვგიჟდები შენნაირ მამაკაცებზე! აქ წამომიყვანე, ქალაქიდან მოშორებით, ულამაზეს სასტუმროში, რომ ჩემთვის გეთქვა, როგორი ძვირფასი ვარ შენთვის:

– გეყოფა, მორჩი ამ სისულელეებს! აქ იმიტომ წამოგიყვანე, რომ არ მინდოდა, ჩვენი შეხვედრის შესახებ ვინმეს გაეგო. შენ რა გენაღვლება, მე კი ყველა მცნობს!

– მერე, რა ჯობია ამას? არაჩვეულებრივია, ფანტასტიკური. მეც მინდა, რომ მცნობდნენ. როგორ გგონია, თუ ცოლად შემირთავ, ამის შანსი მექნება?

– მაგაზე არც იფიქრო, – ბოროტად ჩაილაპარაკა ლევანმა, – მირჩევნია, ყველაფერი დავკარგო, რაც მაქვს, შენ კი მოგკლავ...

– ჰმ, – ნატუკამ საწოლზე ფეხი მოირთხა და მხრები აიწურა, – არც მე მინდა შენი ცოლის როლში ყოფნა. ეს ისე ვთქვი, მხოლოდ ვივარაუდე.

– გირჩევ, ასეთი ვარაუდებისგან თავი შეიკავო, თორემ, შეიძლება, ნერვებმა მიმტყუნოს! – ლევანი საწოლის მოპირდაპირედ მდგარ სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

– ჯერ მაინტერესებს, მართლა ფეხმძიმედ ხარ თუ ესეც შენი ფანტაზიის ნაყოფია? – ჰკითხა გამომცდელად.

– არა, არ არის ფანტაზიის ნაყოფი. მართლა ვარ ფეხმძიმედ და, მინდა, იცოდე, რომ ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა.

– ჩემსაში – მით უმეტეს. ახლა, მეორე: რა იცი, რომ ჩემგან ხარ ფეხმძიმედ?

– ვიცი, – თავი ჯიუტად დააქნია ნატამ, – ამაზე ნუ ვიდავებთ. ქალმა ყოველთვის იცის, ვინ არის მისი შვილის მამა.

– შენისთანა ქალმაც კი?

– დიახ, ჩემისთანამაც კი. მაგრამ შენ ადგილზე მე შეურაცხყოფისგან თავს შევიკავებდი. არ იცი, რომ ფეხმძიმე ქალის ნერვიულობა არ შეიძლება?

– ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, რაღაც არ მჯერა შენი.

– დამიკონკრეტე, რისი არ გჯერა – შენგან რომ ვარ ფეხმძიმედ თუ საერთოდ ფეხმძიმედ რომ ვარ?

– მომისმინე, პატარა უტიფარო! იცი, რამდენიმე წელია, ცოლი მყავს, მაგრამ ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა ფეხმძიმედ.

– ეგ თქვენი პრობლემაა და ჩემს ორსულობასთან კავშირი არ აქვს.

– რაღაც კავშირი აქვს. მაგრამ, ახლა სხვა რამის სათქმელად მოგიყვანე. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ შეიძლება, არც ისეთი ცუდია ეგ ამბავი.

– აბა, რა! შვილი გეყოლება!

– მოკეტე! შენ ბავშვს არ გააჩენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემგან.

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმის, რაც გაიგონე. ჩემგან არ გააჩენ. ფეხებზე მკიდია, ვისგან ხარ ორსულად. ასეთივე წარმატებით ნიკასთვისაც შეგეძლო, ეს ამბავი „შეგეტენა“. მაგრამ ნიკუშას ვერაფერს გამორჩები. შენ გგონია, რომ ვერ გამორჩები და ამიტომ მე ამომირჩიე.

– რა სისულელეა!

– სისულელე შენ ხარ, მთელი შენი ფსიქოლოგია-ფიზიოლოგიით, მაგრამ მე ამას ვერ ვუშველი. თუ დამიჯერებ, მიიღებ იმას, რის მისაღებადაც კაბინეტში გამომეცხადე.

– შენ რა იცი, რისი მიღება მინდა?

– ვიცი. შენისთანებს კარგად ვიცნობ. გინდა, რომ უზრუნველი მომავალი შეიქმნა. მიხვდი, რომ რაღაც იმაზე მეტის მიღება შეიძლებოდა ჩემგან, ვიდრე ის ძონძებია, რომლის საყიდელ ფულსაც ასე გულუხვად გაძლევდი.

– მართალი ხარ. მაგრამ, რა არის ამაში ცუდი?

– არაფერი, იმის გარდა, რომ მეწველი ძროხის როლში მე გამოგყავარ.

ნატუკამ მკერდზე მიიდო ხელი, თითქოს ეუბნებოდა, შენ თვითონ გააკეთე ჩემზე არჩევანიო.

– ნიკუშას უნდა უთხრა, რომ მისგან ხარ ფეხმძიმედ! – გადაჭრით თქვა ლევანმა.

– რაა?!

– რაც გაიგონე. ნიკუშას ეტყვი, რომ მისგან ბავშვს ელოდები!

გამოსავალი ყოველთვის არსებობს. მთავარია, ცოტა მოინდომო და მას აუცილებლად იპოვი. სულ ცოტა მონდომება – აბა, ეს სალაპარაკოდ ღირს?! ადამიანს, რომელსაც ღმერთმა ყველაფერი მისცა, ანუ, არც ხელი დააკლო, არც ფეხი, არც ყური, არც თვალი და ცხოველისგანაც იმით განასხვავა, რომ აზროვნება შეუძლია, მაინცდამაინც ის რატომ უნდა იფიქროს, რომ ცხოვრება მხოლოდ მუქი ფერებით არის სავსე?! მზე შენთვისაც ამოდის. ზუსტად ისე, როგორც იმ ადამიანისთვის, რომელიც შენ ცხვირწინ ორმოცდაათიათასდოლარიან მანქანაში ჯდება... ნუ შეგშურდება მისი. შეიძლება, შენ მასზე გაცილებით ბედნიერი ხარ...

***

ელენეს მარტოობა არ უყვარდა. არც ჟანი უყვარდა, მაგრამ მის გვერდით თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობდა. ხშირად უფიქრია იმაზე, შვილიც გვერდით რომ ჰყოლოდა, შეიძლებოდა, ბედნიერიც კი ყოფილიყო. ჟანის გამგზავრების შემდეგ, იმასაც მიხვდა, რომ ეს ადამიანი მისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე აქამდე ეგონა. „არ შეიძლება, ასეთი გრძნობა არ დავაფასო. მან ყველაფერი გააკეთა ჩემთვის. მერამდენედ დამიმტკიცა, რომ ვუყვარვარ. როდის უნდა გავთავისუფლდე წარსულის ტყვეობისგან? ამდენი წელია, მხოლოდ თავს ვიტყუებ, რომ ყველაფერი დამთავრდა; რომ, იმას, რაც ჩემს ცხოვრებაში ჟანამდე იყო, სამუდამოდ დავემშვიდობე. ეს უნიჭო ტყუილი მხოლოდ მირთულებდა ცხოვრებას. ნიკუშას გარეშე ვერაფრით შევძლებ, ცხოვრება ათვლის ახალი წერტილიდან დავიწყო. ჩვენ ეს ერთად უნდა გავაკეთოთ. ის მალე აქ იქნება, მაგრამ, მოინდომებს კი, მხარში ამომიდგეს?! თუ ისევ სჯერა, რომ მე ვარ მამამისის სიკვდილის მიზეზი, მაშინ?... რა მოხდება მაშინ? ამის გაფიქრებაც კი მზარავს“... – ელენეს თითები აუკანკალდა, ანთებული სიგარეტი ჩაცურდა და იატაკზე დაგებულ ძვირფას ხალიჩაზე დაეცა. ქალმა ხმადაბლა შეჰკივლა, მის ხმაზე კარი გაიღო და ოთახში შეშინებულმა მოახლემ შემოჰყო თავი:

– მადამ, კარგად ხართ?

ელენემ თავი დაუქნია და სიგარეტის ასაღებად დაიხარა.

– კარგად ვარ, კარგად. თუმცა, მგონი, ხალიჩა გავაფუჭე. რაღაცაზე ჩავფიქრდი და სიგარეტი გამივარდა.

– რამეს მიბრძანებთ, მადამ?

– დიახ. მინდა, ხალიჩა დღესვე შეცვალო. არ მინდა, ჩემმა ქმარმა ნახოს, რაიმე მსგავსი შეარჩიეთ!

მოახლე შეყოყმანდა:

– კი, მაგრამ, მადამ...

– რა ხდება, ძალიან რთულია ამის გაკეთება? – გაღიზიანდა ელენე.

– მადამ, როგორც ვიცი, ეს ხალიჩა საკმაოდ იშვიათია და ძვირფასი.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? მგონი, ერთი ხალიჩის გამოცვლა, როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს, ჩვენ არ გაგვიჭირდება.

– დიახ, მადამ, გავიგე... ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ.

ელენე ამომწვარ ხალიჩას ჩააშტერდა. თეთრი შალის ხალიჩას მოზრდილ შავ წერტილად აჩნდა სიგარეტის კვალი. ელენემ ხმადაბლა შეიგინა.

მოახლე ისევ შემობრუნდა. ელენემ ჭირვეული ბავშვივით აიქნია ხელები:

– არ მითხრა, რომ ეს ხალიჩა შეუცვლელია, თორემ გავგიჟდები!

– არა, მადამ. ტელეფონზე გთხოვენ, დაელაპარაკებით თუ ვუთხრა, რომ ისვენებთ?

– ჟანია?

– არა, მუსიე ჟანს დღეს არ დაურეკავს. ამ ბატონს თავისი ვინაობა არ დაუსახელებია. მაგრამ, მითხრა, აუცილებლად უნდა ველაპარაკოო.

– ისევ აუქციონიდან იქნებიან. ისევ უნდათ დამარწმუნონ, რომ ჩემი ნახატი გასაყიდად გავიტანო. რა უცნაური ხალხია, რატომ ვერ ხვდებიან, რომ გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ? ყოველ შემთხვევაში, ახლა არა, საამისო არაფერი მჭირს. რა სისულელეა! ისედაც არაჩვეულებრივი ფინანსური მდგომარეობა მაქვს. გადარეულია ის ვიღაც კოლექციონერი, მოსვენება აღარ მაქვს მათგან. უთხარით, რომ მე ამაზე ლაპარაკს აღარ ვაპირებ, ნუღარ დამირეკავენ.

მოახლე ჩუმად იდგა და აშკარად არ აპირებდა ოთახიდან გასვლას.

– ვერ გაიგე, რა გითხარი? კიდევ გინდა, რამე?

– მადამ, ვფიქრობ, აუქციონიდან არ უნდა რეკავდნენ.

ელენემ ხელები გაშალა:

– შენ რას ფიქრობ, არ მაინტერესებს. მიდი და, რაც გითხარი, ის გააკეთე!

მოახლე უკმაყოფილო სახით გაბრუნდა. ელენე აივანზე გავიდა. სარწეველა სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და თვალები მილულა. შვილთან მოსალოდნელ შეხვედრაზე უნდოდა ეფიქრა. უნდოდა, ეცადა, წარმოედგინა, როგორი გახდა მისი ვაჟი. რამდენიმე ფოტო ჰქონდა მისი, ვახომ გამოუგზავნა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთიც არ იყო. ელენეს უცებ შეეშინდა კიდეც: შეიძლებოდა, სრულიად უცხო ადამიანი აღმოჩენილიყო მის წინაშე?! ქალმა ვიღაცის მზერა იგრძნო და თვალები გაახილა.

– ისევ შენ ხარ? ამჯერად რა მოხდა?

– ისევ გირეკავენ, მადამ. ძალიან დაჟინებით ითხოვენ თქვენთან საუბარს. მე კი ვუთხარი, რომ არ გცალიათ, მაგრამ, მითხრა, მანამდე დავიცდი, სანამ არ დამელაპარაკებაო.

ელენემ ამოიოხრა:

– კარგი. მომიტანე ტელეფონი და მაგარი ჩაიც, ლიმონით.

მოახლემ თავი დაუქნია და რამდენიმე წუთში ჩაითა და ყურმილით ხელში დაბრუნდა. ელენემ ჩაი მოსვა, ყურმილი ყურთან მიიდო და, რა თქმა უნდა, ფრანგულად გასცა პასუხი.

– ქალბატონი გრაფინია? – გაიგონა ქართულად და შეკრთა.

– დიახ. ვინ მელაპარაკება?

– ადამიანი თქვენი წარსულიდან.

ელენემ მუხლებში სისუსტე იგრძნო. რომ არ გავარდნოდა, ჩაით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ხმა ეცნაურა, თუმცა ბოლომდე ვერ ენდო საკუთარ მეხსიერებას.

– მე გრაფინია ვარ და გისმენთ, – შეეცადა ხმისთვის მკაცრი ტონალობა მიეცა და ფრაზაც ფრანგულად წარმოთქვა.

– ელენე, არ მჯერა, რომ ქართული დაგავიწყდა. შეიძლება, გინდა, აღარ გახსოვდეს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერს გაიგებ, რასაც გეტყვი, სამწუხაროდ, მე ფრანგული არ ვიცი. არ ვიცოდი, როდისმე შენთან ურთიერთობისთვის თუ დამჭირდებოდა, თორემ აუცილებლად ვისწავლიდი.

– ვინ ხარ? – ელენემ ფერი დაკარგა.

– ადამიანი შენი წარსულიდან.

– მე ყურმილს ვკიდებ და გთხოვთ, აღარ დამირეკოთ.

– არ გირჩევ ამის გაკეთებას. ეს შენთვის ძალიან, ძალიან ცუდი იქნება. არ გაშინებ, იმას გეუბნები, რაც რეალურად მოხდება. ყველაფერი ვიცი შენზე. მე ახლა შორს ვიმყოფები, მაგრამ ახლოსაც ვარ და შენს ყოველ ნაბიჯს ვაკონტროლებ.

– ვინ ხარ და რა გინდა ჩემგან? – დაიგმინა ელენემ. მას თითქოს ეჭვიც აღარ ეპარებოდა იმ ადამიანის ვინაობაში, ვისი ხმაც ახლა გუნებას და სმენას უშხამავდა...

***

ლევანი პიჯაკს დასწვდა.

– მაშ ასე, მგონი, ყველაფერი გაიგე. მქონდეს შენი იმედი?

ნატუკა ისევ საწოლზე იჯდა და თვალებმოჭუტული იწიწკნიდა ტუჩს.

– არ გესმის? შენ გელაპარაკები! თავიდან ნუ დამაწყებინებ იმის ახსნას, რა მოჰყვება შენს უაზრო სიჯიუტეს!

– არა, გაჯიუტებას აზრი არა აქვს, ამას უკვე მივხვდი.

– კარგია, – მოწონებით დაუქნია თავი ლევანმა, – ასე გაცილებით უკეთესია. თუ შევთანხმდებით, ორივე ვისარგებლებთ – შენც და მეც. მაგრამ, თუ ისევ შეეცდები, შენი მოკლე ჭკუით იმოქმედო, თავს წააგებ. ხომ იცი, რომ არ გაშინებ...

– ვიცი, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“! ეგ სიტყვა საერთოდ დაივიწყე. დღეიდან მითითებებს მე ვიძლევი. შენ კი ამ მითითებებს სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებ!

– ნიკუშა არ დამიჯერებს.

– ეგ შენი პრობლემაა. უნდა დააჯერო, ისევ შენს სასიკეთოდ. ამას გულწრფელად გეუბნები.

ნატუკას გაეღიმა.

– შენ რამეს აკეთებ გულწრფელად? ვერ დავიჯერებ.

– ეგ შენი საქმე არ არის. მოკლედ, ახლა წახვალ და მიხედავ საქმეს!

ნატუკა ადგა, ლევანთან მივიდა. მის წინ გაჩერდა და თვალებში ჩააშტერდა.

– რა გინდა? მე მოვრჩი შენთან ლაპარაკს. უკვე ყველაფერი გავარკვიეთ.

– არა, ყველაფერი არ გაგვირკვევია.

ლევანი შეიჭმუხნა:

– ნატუკა, თავიდან ნუ იწყებ, ეს ამბავი გადაწყვეტილია და არაფერი შეიცვლება!

– ეგ გავიგე, მაგრამ, არ გითქვამს, რას მივიღებ სანაცვლოდ.

– ნიკუშა იზრუნებს თავის შვილზეც და შენზეც. მეტი რა გინდა? – დამცინავად ჩაილაპარაკა ლევანმა.

ნატუკა მოიღუშა:

– ჯეროვნად არ აფასებ ჩემს პიროვნებას. ცუდია, ძალიან ცუდია. შენ გგონია, რომ ნიკუშასთანა ქმარზე ვოცნებობ? ან ჩემი შვილის მამად მისნაირი მამაკაცი მჭირდება?

– ფეხებზე მკიდია, შენ რა გჭირდება, – უკმეხად მიუგდო ლევანმა და პიჯაკი ჩაიცვა, – მივდივარ და ჭკუით იყავი! იცოდე, თვალს არ მოგაცილებ, ნუ მაიძულებ, რადიკალურ ზომებს მივმართო!

– ჰოო?! ნუ გავიწყდება, რომ მეც მაქვს რაღაც-რაღაც უპირატესობები. უფრო უკეთ რომ ვთქვათ – კოზირები.

– მერე, რისთვის გინდა, მაინც ვერაფერში გამოიყენებ.

– მთლად დარწმუნებულიც ნუ იქნები, – ტუჩები გაბუსხა ნატამ. ლევანს ნერვებმა უმტყუნა. პიჯაკი სკამზე მიაგდო, გოგოს მხრებში სწვდა და შეანჯღრია:

– ცეცხლს ეთამაშები, გესმის? ნუ სცდი ჩემს მოთმინებას, რამდენჯერ უნდა გითხრა?

ნატუკას თვალიც არ დაუხამხამებია მის ყვირილზე, უტიფრად შესცქეროდა სახეში თავისი ნაცრისფერი თვალებით და მშვიდად იღიმებოდა.

– ნუ სცდი ჩემს მოთმინებას! – გაიმეორა ლევანმა.

– მე? არც მიფიქრია. უბრალოდ, თუ შენ ითხოვ რაღაც-რაღაცეებს და ეს რაღაც-რაღაცეები ჩემი წყალობით უნდა მიიღო, მე რატომ უნდა დავრჩე ცარიელი ჯიბით?

– არ დარჩები-მეთქი, ხომ გითხარი?

– მითხარი, რომ მივიღებ იდიოტ ნიკუშას მზრუნველის როლში. მგონი, გააფრინე. რაში მჭირდება ეგ მათხოვარი?

ლევანმა ნატუკა სავარძელთან მიიყვანა, დასვა და წინ დაუჯდა:

– ახლა მომისმინე, გოგო, კარგად მომისმინე! თუ ნიკუშა ცოლად მოგიყვანს, ჩათვალე, რომ დიდი კუში მოხსენი, ძალიან დიდი!

– ძველმანებით გამოტენილი ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, – გააწყვეტინა ნატუკამ, – არა, გმადლობ, ასეთი იაფფასიანიც არ ვარ. შენი საყვარლობა მირჩევნია, მით უმეტეს, თუ ბავშვს გვარსაც მისცემ.

ლევანი ჭარხალივით გაწითლდა:

– დამამთავრებინე სათქმელი! რაც შეეხება ბავშვს, ეგ აღარ გაიმეორო. არასოდეს, არსად!

– კარგი, მაგრამ არც შენ სცადო ჩემი თავიდან მოშორება იაფფასიანი საშუალებით.

– ნუ გეშინია, არ იქნება იაფფასიანი. თუ მოახერხებ და ოფიციალურად გახდები ნიკუშას ცოლი, სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იქნები.

– რანაირად?

– ნიკუშა მალე დიდ მემკვიდრეობას მიიღებს და ტიტულსაც, სხვათა შორის.

– ტიტულს? – გაიცინა ნატამ, – პრინცია და მალავს?

– თითქმის.

– კარგი ერთი! რას მეუბნები, რომელი ქვეყნის?

– მე სერიოზულად ვამბობ. დედამისი გრაფინიაა.

– რაღაც არავინ ვიცი თბილისში, ამ ტიტულს რომ ატარებდეს და არც არავინ მინახავს, თეთრცხენებშებმული ეტლით ჩაექროლოს ქუჩაში.

– ნუ ხარ შტერი. რა ვერ გაიგე? ნიკუშას დედა გათხოვდა საფრანგეთში, გრაფზე, რომელსაც რამდენიმე ციხე-კოშკი და ძალიან ბევრი ფული აქვს, საგვარეულო ძვირფასეულობა და კიდევ უამრავი სიკეთე.

– მერე?

– რა „მერე“? თუ პათოლოგიურად სულელი არ ხარ, უნდა მიხვდე, რას ნიშნავს, იყო გრაფის ერთადერთი მემკვიდრის ცოლი. შეეცადე, წარმოიდგინო, როგორი ცხოვრება გელოდება პარიზში. აი, სად გაშლი ფრთებს!

ნატუკა ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ლევანი ჩუმად ადევნებდა თვალს. აცდიდა, სანამ გოგო ამ ყველაფერს „დაალაგებდა“.

– აბა, მოტვინე, რა ქერის ორმოში გიპირებ ჩაგდებას?!

– მოიცა, მოიცა, ჯერ კარგად ვერ გავიგე. თუ ასეთი დედა ჰყავს, მშიერი რატომ კვდება?!

– ჯერ ერთი, მშიერი არ კვდება. მეორეც არის რაღაცეები, რასაც შენ ვერ აგიხსნი. თავიდანვე, როცა ნიკუშასთან გიშვებდი, ხომ გითხარი, რომ უბრალო კლიენტთან არ გექნებოდა საქმე?!

– მე საერთოდ არ მყავს „უბრალო“ კლიენტები, მაგრამ, ნიკუშა რითია განსაკუთრებული?

– ვერ გაიგე? გრაფის ერთადერთი მემკვიდრეა-მეთქი და კიდევ არის რაღაც.

– რა?! თუ პარტნიორები ვართ, ჩვენ შორის დამალული არაფერი უნდა იყოს. ერთ თამაშს ვთამაშობთ. ხომ შეიძლება შემთხვევით, საკუთარ კარში რომ დავარტყა?!

– ნიკუშას დედას ერთი ნახატი აქვს, რომელიც ძალიან ძვირი ღირს.

ნატუკამ გაოცებით ასწია წარბები.

– ეე, რა ნახატი? მშვენივრად დაიწყე, ციხე-დარბაზებით, ძვირფასეულობით, ფულით, ანტიკვარებით... ახლა კიდევ – ნახატი. არა, შენ დამცინი... ნუ დაგავიწყდება, რომ შენი შვილის მომავალზეც არის ლაპარაკი.

ლევანი წამოდგა. გოგოს მაჯაში სტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა. ნატუკამ შეჰკივლა:

– ნელა, ეე... მეტკინა!

– ენა დაიმოკლე და არ გეტკინება! მე შენგან შვილი არ მეყოლება, არასოდეს!

– კარგი, კარგი, ნუ აფეთქდი. არ გეყოლება. რა თქმა უნდა, არ გეყოლება. რა ღირს ის შენი ნახატი?

– სამწუხაროდ, არ არის ჩემი. სულ ცოტა – ორი მილიონი.

ნატუკამ პირი დააღო:

– რა?! დოლარი თუ ლარი?

– მანეთი... – ჩაიღრინა ლევანმა, – დოლარი, დოლარი! სერიოზული ხალხი ლარებზე დიდი ხანია, აღარ ლაპარაკობს, ჩემო ძვირფასო!

– შენ თქვი, სულ ცოტა ორი მილიონიო, – ახლა სხვა რამის დაზუსტებას შეეცადა აფორიაქებული გოგო, – ეს როგორ გავიგო?

– ისე, როგორც გესმის. შედევრზეა ლაპარაკი. ასეთი ნივთის გასაყიდ ფასზე წინასწარ ვერასოდეს იტყვი, რამდენად გაიყიდება.

– ღმერთო....

– დიახ! ხედავ, როგორ ვზრუნავ შენზე, შენ კი ამაგს არ მიფასებ. ჯიუტი ხარ და, კიდევ – სულელი. ჯერ კარგად უნდა მოისმინო, რას გთავაზობენ და მერე გაიგიჟო თავი.

– ანუ, თუ მოვინდომებ...

– სწორად მიხვდი. მგონი, ნელ-ნელა გილხვება გაყინული ტვინი.

– ღმერთო! – ნატას თვალები დაუმრგვალდა, – ორი მილიონი... რა მაგარია!..

***

ელენე ყოყმანობდა. ვერ გადაეწყვიტა ყურმილის გათიშვა. უფრო სწორად, ვერ ბედავდა. რაღაცის გაურკვეველმა შიშმა აიტანა. მიხვდა, რომ ორივე შემთხვევაში – დაკიდებდა ყურმილს თუ ამ ადამიანთან ლაპარაკს გააგრძელებდა, სიმშვიდეს უნდა დამშვიდობებოდა. „ადამიანი წარსულიდან“ აშკარად არ იყო სამეგობროდ განწყობილი. ელენემ ერთბაშად იგრძნო, რომ სულ ტყუილად სჯეროდა „პატარა ბედნიერების“. მისი პრობლემები ახლა იწყებოდა.

– ქალბატონო გრაფინია, ცხუდად ხომ არ ხარ? – „ხმა“ უკვე დასცინოდა.

– ვინ ხარ და რა გინდა?

– ვინ ვარ, უკვე მიხვდი, ამიტომ, ამაზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. თქვენ დრო, ალბათ, ძალიან ძვირად გიღირთ, ამიტომ, ასე დიდხანს ვერ შევაწუხებ თქვენს ბრწყინვალებას.

– რა გინდა, რატომ გაგახსენდი? – ელენეს ხმა ჩაუწყდა. გამშრალი ტუჩები აღარ ემორჩილებოდა.

– გამახსენდი? მე სულ მახსოვდი, ძვირფასო, სულ, მაგრამ ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებდი. არც არასოდეს შეგახსენებდი თავს, ერთი პატარა დეტალი რომ არა: თქვენ ჩემი ვალი გაქვთ, გრაფინია!

– ვალი? რა სისულელეა! რა ვალზე ლაპარაკობ? ეს შენზე დარჩა ვალი, მაგრამ მე არაფერი მჭირდება. შურისძიებაზეც აღარ ვფიქრობ, დავივიწყე ყველაფერი. შენც გირჩევ, იგივე გააკეთო. მე ის დაუცველი და სუსტი ელენე აღარ ვარ, რომელსაც იცნობდი!

– ვიცი. მაგრამ მე რისთვისაც ვრეკავ, იმას შენს ტიტულოვან ქმართან კავშირი არ აქვს. ვალი გაქვს-მეთქი, გითხარი და არ ვხუმრობ. ამიტომაც შევაწუხე თქვენი ბრწყინვალება.

ქალმა ისე მაგრად მოუჭირა ყურმილს ხელი, რომ ფრჩხილები გაუთეთრდა, სწორედ ამ დროს მისმა მობილურმაც დარეკა.

– ცოტა ხანს დამიცადე, მობილურს უნდა ვუპასუხო!

– რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალებავ!

ელენემ ყურმილი დადო და მობილური აიღო.

– შერი? ყველაფერი კარგად არის, – ჟანი აშკარად ბედნიერი იყო, – ყველაფერი მოგვარდა. ბილეთებს ავიღებთ და მოვფრინავთ. ორი დღეც და – შენთან ვიქნებით. ხომ გეუბნებოდი, რომ გამომივიდოდა. მოემზადე შვილთან შესახვედრად!

– ძალიან კარგია, საყვარელო, მიხარია.

– მხოლოდ გიხარია და მეტი არაფერი? – ჟანი აშკარად უფრო დიდ ემოციას ელოდა.

– დანარჩენი – აქ. ხომ იცი, არ მიყვარს, ჩემი გრძნობების ტელეფონით საუბრისას გამოხატვა.

– კარგი, შერი! მიყვარხარ.

ელენემ ამოიოხრა, მობილური გათიშა და ტელეფონის ყურმილი აიღო ხელში.

– შენს ქმარს ყვარებიხარ. ქმრებში გიმართლებს, ვერაფერს იტყვი!

– ეს შენი საქმე არ არის! – ქალს ყინულივით ცივი ხმა ჰქონდა.

– ჰო, ალბათ. თუმცა, მეც მქონდა შანსი, ეგ ტიტული მეტარებინა.

– რაღაც ვალზე მელაპარაკებოდი. სწრაფად და კონკრეტულად მითხარი, რა გინდა.

– ცოტათი უხერხულობას ვგრძნობ – ეს ხომ ჩემი გამოსამშვიდობებელი საჩუქარი იყო, მაგრამ უსამართლოდ მომექეცი, როცა არ მითხარი, რას ითხოვდი.

ელენეს გონება გაუნათდა:

– როგორ ვერ მივხვდი! არაფერი შეცვლილა შენში. ისევ ისეთი ნაძირალა ხარ, როგორიც იყავი! არა, კიდევ უფრო უარესი!

– რომ მომატყუე, მაინც? იცოდი, რას ითხოვდი. იმაზე გაცილებით ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე.

ელენეს გაეცინა:

– პირდაპირ მითხარი, რომ მოსვენება დაკარგე, რაც ამ ნახატის ამბავი გაიგე. მე მართლა არ ვიცოდი, რას მჩუქნიდი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს, შენ მაინც არ დამიჯერებ.

– მთავარი ის არ არის, რისი მჯერა. მთავარია, რისი მინდა, რომ მჯეროდეს. მოდი, როგორც ორმა ძველმა მეგობარმა, ისე ვისაუბროთ.

– ჩვენ? მეგობრები? – გაიკვირვა ელენემ.

– კარგი ნაცნობები ხომ მაინც ვართ?

– არა. ფული გინდა? ასე გაგიჭირდა?

– არა, მაგრამ მილიონი არავის აწყენს.

– მე ის არ გამიყიდია.

– ვიცი. მაგრამ, ხომ შეგიძლია, გაყიდო? ამას ძალიან სწრაფად და ადვილად შეძლებ. ფულს შუაზე გავიყოფთ. მგონი, პატიოსანი გარიგებაა.

– იქნებოდა პატიოსანი, შენ რომ არ იყო უპატიოსნო და ნაძირალა.

– ცდილობ, რომ ნერვები მომიშალო?

– არა, ვცდილობ, რომ აგიხსნა. ეს ნახატი ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მილიონები.

– გრაფინიას შესაფერისი პასუხია, მაგრამ მე თავადური წარმოშობის არ ვარ, ძვირფასო. ამიტომ ფული მირჩევნია. იმედი მაქვს, კეთილ ნებას გამოიჩენთ და ჩემს თხოვნას მალე შეასრულებთ.

– მილიონი გჭირდება? რომ არ მოგცე?

– ქალბატონო გრაფინია. ეს უკვე ვაჭრობაა, რაც ნამდვილად არ გეკადრებათ. რადგან ასეა, გადავიფიქრე – ფულს მთლიანად ავიღებ – ბოლო დოლარამდე.

ელენეს გადატკეცილ შუბლზე ორი გრძელი ღარი გაუჩნდა.

– უნდა მცოდნოდა, რომ ამას გააკეთებდი. ალბათ, ტელევიზორში ნახე.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ნახატის ოფიციალური მეპატრონე მე ვარ. ძალიან მთხოვე და მოგეცი, მაგრამ ახლა უკან ვიბრუნებ. ძვირფასო გრაფინია, – „ხმა“ ცოტა ხნით გაჩუმდა და ელენეს მოეჩვენა, რომ სიჩუმე უსასრულოდ გაგრძელდა... – მე შემიძლია, შენს ვაჟს სიმართლე ვუთხრა.

– სიმართლე? რომელი სიმართლე?

– სიმართლე მამამისის შესახებ.

– მხოლოდ ერთი სიმართლე არსებობს, – ელენეს ხმა „გაებზარა“, – მამამისი მკვდარია.

– ეგ შენი სიმართლეა. მე შემიძლია, საპირისპირო დავამტკიცო!

– მგონი, გაგიჟდი, შეიშალე! მაგას ვინ დაგიჯერებს?

– ვნახოთ, შეიძლება, ვიღაცამ დაიჯეროს. მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდი საყვარელ მეუღლეს. ისიც ვიცი, რომ მალე სასიამოვნო შეხვედრა გელის და ნუ გაიფუჭებ ამ შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებას.

– ნაძირალა ხარ! ყოველთვის უბედურება მოგაქვს ჩემთვის...

– სულაც არა, ყოველი ჩემი გამოჩენის შემდეგ შენს ცხოვრებაში ახალი, კიდევ უფრო წარმატებული ეტაპი იწყება, რასაც ჩემზე ვერ იტყვი. ბედნიერი ნამდვილად არ ვარ, თუ ამის მოსმენა გაგახარებს. ჰო, არ ვარ და ალბათ, აღარც ვიქნები. შენ კი უკვე გაქვს ეს ბედნიერება და ფული აღარაფერში გჭირდება. ხომ სამართლიანი იქნება, თუ მას მე მივიღებ?

– არა. ნახატი ჩემია და ჩემთან დარჩება.

– ისევ ისეთი ჯიუტი ხარ. კარგი, ვნახოთ. ვის სიმართლეს დაიჯერებენ. თუმცა, ჯერ ცოტა დროს მოგცემ. იფიქრე. ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე და დამიკავშირდი. დაგელოდები.

ელენემ მექანიკურად, გონებაში გაიმეორა ციფრები, ყურმილი დაკიდა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ეს, ალბათ, ცუდი სიზმარი იყო, კოშმარი, რომლიდან გამოსვლაც ძალიან გაუჭირდებოდა. კაცს კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, ფულისთვის რისი გაკეთება შეეძლო. უნდა დაეთმო, თუ საკუთარი სიმშვიდის გადარჩენა სურდა. დათმობა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ქალისთვის ნახატმა მხოლოდ ახლა შეიძინა ის ღირებულება, რომელიც რეალურად ჰქონდა. აქამდე ის მხოლოდ სახსოვარი იყო, გაუგებარი სახსოვარი იმ ადამიანისგან, რომლის დავიწყებაც უნდოდა. წარსული ისევ დაბრუნდა მასთან, თანაც სწორედ ახლა, როცა ნახევარი ნაბიჯი რჩებოდა ბედნიერებამდე. რა უნდა ეთქვა ჟანისთვის ან ნიკუშასთვის. ნახატი მას არაფერში სჭირდებოდა. დიდი ხანია, ფულმა მისთვის აზრი დაკარგა, მაგრამ ნიკუშას შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირად იყო. თუ შვილის სიყვარულის ყიდვა იქნებოდა აუცილებელი, უნდა ეყიდა. ელენემ თვალები გაახილა, ხელები სახეზე მოისვა და მზერა ნახატს გაუშტერა. გადაწყვეტილება სწრაფად იყო მისაღები. „სიმართლე“, რომლის გამხელითაც კაცი დაემუქრა, არ იყო ჭეშმარიტება, მაგრამ ამას ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან სიმართლე, რომელშიც ეჭვი შეაქვთ და რომლის დაცვაც აუცილებელი ხდება, უკვე აღარ არის სიმართლე...

***

ნატუკა ჯერ კიდევ ეჭვით უყურებდა მოღიმარ ლევანს. ლამაზი თითი პირში ედო და სათუთად მოვლილ ფრჩხილს იკვნეტდა.

– მორჩი ფრჩხილის კვნეტას! რა უბედურებაა! არ იცი, რომ კარგად აღზრდილი გოგონები ფრჩხილებს არ იკვნეტენ? ახლავე უნდა დაიწყო, კარგი მანერები შეისწავლო. წინ სერიოზული გამოცდა გელის.

– შენ ფიქრობ, რომ ეს გამომივა?

– რატომაც არა! ნიკუშა მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასეთი – ცოტათი უხეში და გულგრილი, სინამდვილეში კი სავსეა სენტიმენტებით. ბავშვის ამბავი მის სიჯიუტეს წერტილს დაუსვამს. იმდენ ხანს იყო მარტო, რომ ამას ღვთის სასწაულად მიიჩნევს, მით უმეტეს, ახლა, როცა დედამისს ურიგდება და წინ პერსპექტივების სერიოზული არეალი ეშლება. საფრანგეთი... საგვარეულო მამულები... მილიონები...

– სხვა მილიონებიც აქვს?

– სავარაუდოდ, მისი მამინაცვალი ძალიან მდიდარია. მაგრამ არც ის ორი მილიონია ცოტა. თანაც რეალურია. ორმოცი-სამოცზე გავიყოფთ და ორივენი კმაყოფილები დავრჩებით.

– ორმოცი-სამოცზე რას ნიშნავს?

ლევანმა ამოიგმინა:

– ღმერთო, ელემენტარული მათემატიკა არ იცი! იმ ფულიდან ორმოც პროცენტს იღებ შენ, სამოცს – მე.

– ოჰო, ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერი მე მოვიფიქრე.

– სამაგიეროდ, ორსულად მე ვარ და ბავშვი მე უნდა გავაჩინო. მერე კი უნდა გავზარდო. ორი ადამიანის სამყოფი თანხა მჭირდება.

ლევანი მიხვდა, რომ საქმე ღირსეულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა – ეს მისთვის აღმოჩენა იყო, თუმცა საკმაოდ უსიამოვნო.

– შენ ნელ-ნელა ჭკვიანდები, მაგრამ მეტისმეტიც ნუ მოგივა, თორემ, არ მიყვარს, ქალი თავის გონებრივ შესაძლებლობას რომ აფრქვევს. დაკმაყოფილდი იმით, რასაც მიიღებ. დამიჯერე, ცოტა ნამდვილად არ იქნება. მე მწვანე შუქი აგინთე, იმ ოჯახში შესასვლელად. დანარჩენი შენს მოხერხებასა და ამბიციაზე იქნება დამოკიდებული.

ნატუკა შეიჭმუხნა:

– დიახ, მხოლოდ ჩემზე იქნება დამოკიდებული, ამაში გეთანხმები. მაგრამ, შენ რა შუაში ხარ. წარმოგიდგენია მაინც, რამდენი შრომა მომიწევს, რომ ნიკუშა ჩემკენ შემოვატრიალო. როგორც ვიცი, ჩემი სიყვარულით არ კვდება. კიდევ უარესი – სხვა ქალი უყვარს. ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ შეხვდება ჩემი ორსულობის ამბავს. სულაც ფეხებზე რომ დამიკიდოს?!

იას გახსენებამ ლევანს გუნება მოუშხამა.

– იმ ქალზე შეგიძლია აღარ იდარდო, – ჩაილაპარაკა პირქუშად, – ის გზაზე ვეღარ გადაგეღობება. გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, რომელსაც ვაღარაფრით გამოასწორებს. ნიკუშა მისკენ აღარ გაიხედავს, ამას მე გპირდები.

ნატუკამ ცნობისმოყვარედ შეხედა ლევანს, რომელმაც ბრაზით მოსრისა სიგარეტი და საფერფლეზე დააგდო.

– შენც ხომ არ მოგწონს ის ქალი? რაღაც, საეჭვოდ გაცხარდი. ჰა, რა ხდება ბატონო მინისტრო, სამეგობროს სენია, ძმაკაცებს გჭირთ რამე ახალი კომპლექსი თუ მარტო შენ და ნიკუშას შეგეყარათ უიმედო სიყვარული? ყოჩაღ! ჩემზე კი დაკომპლექსებული შინაბერას შთაბეჭდილება დატოვა. ეტყობა, ვერ შევაფასე ჯეროვნად.

ლევანმა კბილები გააღრჭიალა და ნატას დაუფარავი სიძულვილით შეხედა:

– რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირს ნუ ჩაყოფ, თორემ, შეიძლება, ეგ მეტიჩარა ცხვირი მოიტეხო კიდეც!

ნატუკამ გადაიკისკისა:

– რაც შევამჩნიე, ის ვთქვი, მხოლოდ ჩემი ვარაუდი გამოვთქვი. ნამდვილად არ მენაღვლება, რამდენს გეყვარებათ ის ქალი – ერთს, ორს, თუ ოთხივეს ერთად.

– ჰოდა, ასე. საქმე ძალიან ბევრი გაქვს და, ჯობია, იმაზე იფიქრო, ნიკუშას როგორ ვუთხრათ ახალი „სასიხარულო“ ამბავი. ეს ძალიან ეფექტურად უნდა გააკეთო – შოკური თერაპიის მეთოდი ყოველთვის ფანტასტიკურად მოქმედებს.

– რა პრობლემაა! მივალ და ვეტყვი, რომ ფეხმძიმედ ვარ. რომ ძალიან გამიმართლა სწორედ მისგან რომ დავორსულდი და რომ ბავშვი უკვე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. კიდევ რა არის საჭირო? ნიკუშას კარგად ვიცნობ, ჰო, კიდევ ვეტყვი, რომ ბავშვს აუცილებლად გავაჩენ, თუნდაც მამამისმა მასზე უარი თქვას... და ამ ყველაფერს ცრემლებით გავალამაზებ.

– როდის აპირებ მაგის გაკეთებას?

– ხვალვე. რაღას ვუცადო?

ლევანმა თავი გააქნია:

– არა, რა! მაინც ვერაფერი ისწავლე. ახლა რომ უთხრა, ყველაფერს გააფუჭებ. ჯერ ამის დრო არ დამდგარა, ჯერ ნიკუშა დედამისთან უნდა წავიდეს და იქ პოზიციები გაიმყაროს. დედიკოც რომ ჩაეხუტება და ბედნიერი ოჯახი სიმშვიდით გაბრწყინდება, აი, მაშინ გამოჩნდება სცენაზე ჩვენი პატარა დედიკო, ანუ შენ.

ნატუკამ მხრები აიჩეჩა:

– რატომ ართულებ ყველაფერს. აქ ვეტყვი. პარიზში სად ვდიო?

– არა-მეთქი! შენგან განსხვავებით, ნიკუშას კარგად ვიცნობ. ძალიან დეპრესიულია და პატარა წინააღმდეგობამაც კი, შეიძლება, წელში გატეხოს. ვაცალოთ, ჯერ ერთი გლობალური ცვლილება გადახარშოს. ორს ერთად მისი ფაქიზი არსება ვერ გაუძლებს. გამორიცხული არ არის, ისევ საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტოს. არა, გამოსავალი ამ შემთხვევაშიც გვრჩება, – ბებიის ნაზ გრძნობებზე ვითამაშებთ, მაგრამ, პირველი ვარიანტი გაცილებით მომგებიანია შენთვისაც და ჩემთვისაც. ასე რომ, ახლა შენ სახლში წახვალ და სანიმუშო, წესიერ, დამჯერ ქალიშვილად გადაიქცევი. არ მოსწევ, არ დალევ და კაცებს არ შეხვდები. დღეიდან კეთილშობილ გოგონათა პანსიონის აღსაზრდელივით იცხოვრებ.

– ნუ დამცინი! – ეწყინა ნატუკას.

– ეს უკვე მომწონს, კარგია. რადგან შენმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა, ესე იგი, ყველაფერი გამოგვივა. მეც არ ვიჯდები გულხელდაკრეფილი, ნიადაგს მოგიმზადებ და გეტყვი, შესაფერისი მომენტი, როცა დადგება. მგონი, ყველაფერი გავთვალეთ. შეცდომა არ უნდა დავუშვათ. სცენაზე შენი გამოსვლა ისეთი უნდა იყოს, რომ მაშინვე გამაყრუებელი აპლოდისმენტები დაიმსახურო. თუ დამიჯერებ, წარმატება გარანტირებული გვაქვს...

ლევანმა გაიცინა და ნატუკას თვალი ჩაუკრა.

ადამიანის წესიერების ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა კრიტერიუმით აფასებს მას, ანუ, გააჩნია, ვის რა მიაჩნია წესიერებად. ზოგისთვის ამორალობა ნორმაა, ზოგისთვის კი – პირიქით, სწორედ ნორმაა ამორალობა...

***

ლევანს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ძალიან მალე ყველაფერი შეიცვლებოდა, შეიცვლებოდა უკეთესობისკენ – ნატუკასთან საუბარმა ჩაუსახა ამის იმედი. ერთი შეხედვით სერიოზული პრობლემა სწორედ რომ, სარფიანად მოაგვარა, თან, ერთი წუთითაც არ უფიქრია იმაზე, რომ შეიძლებოდა, გოგო მართლაც მისგან ყოფილიყო ფეხმძიმედ. ამიტომ, „ბავშვზე“ ისე ლაპარაკობდა, როგორც აბსტრაქტულ მოვლენაზე, რომელსაც მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ნატუკას ორსულობა თვითონ არ დაუგეგმავს და, როცა გოგოს ნიკუშასთან გზავნიდა, ამ შესაძლო ვარიანტზე საერთოდ არ უფიქრია. თუმცა მერე, ნატუკას განცხადების შემდეგ, როცა პირველმა შოკმა გაუარა და სიტუაცია საღად შეაფასა, მიხვდა, რომ ეს ისევ მის წისქვილზე დაასხამდა წყალს...

ლევანი ნელა ატრიალებდა საჭეს... „ახლა მთავარია, იმ შტერმა გოგომ არაფერი აურიოს. თუმცა, უნდა ვაღიარო, არც ისეთი შტერი ყოფილა, როგორიც მეგონა. ნეტავი, მართლა ფეხმძიმედ არის? მე ვერ გამიბედავდა, ასეთი ტყუილით ვერ მომადგებოდა და პრეტენზიებს ვერ წამომიყენებდა. მიცნობს და იცის, რა შემიძლია. არა, ბავშვს ნამდვილად ელოდება და, უნდა ვაღიარო, რომ ძალიან დროულია ეს ორსულობა. მორჩა, ნიკუშა უკვე ხელში მყავს, ვეღარსად წამივა. მე არა ვარ კორუმპირებული მინისტრი და, ჩემი სიმამრისგან, ვერასოდეს ვიშოვი ძალიან ბევრ ფულს. ის კი, რაც მაქვს, არ მაკმაყოფილებს. მილიონიც არ არის ბევრი, მაგრამ, არც ცოტაა. ნატუკას ჰგონია, მართლა ჩემი პარტნიორია და ამ საქმიდან ნახევარს მიიღებს. ჰმ, თუ ნიკუშა ცოლად შეირთავს, ჩათვალოს, მაგრად გაუმართლა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემგან ვერაფერს მიიღებს, მაგრამ, ჯობია, ამის შესახებ არაფერი იცოდეს. საერთოდაც, რაც ნაკლები ეცოდინება, მით უკეთესი... ნიკუშა კი ჯერ მე უნდა „დავამუშავო“, ჩემებურად...

ლევანმა საათზე დაიხედა. თიკას ნაჩუქარი ეს აქსესუარი განსაკუთრებით მოსწონდა... არასდროს უკითხავს ცოლისთვის, რამდენი გადაიხადა მასში, მაგრამ, ხვდებოდა, რომ საკმაოდ ძვირფასი იყო. თიკა ყოველთვის ცდილობდა, გაენებივრებინა ქმარი: შოულობდა მისთვის განსაკუთრებულ ტანსაცმელს, ყიდულობდა საუკეთესო პარფიუმერიას, ჰალსტუხებს... ლევანის კარადაში ყოველთვის იდო ორი-სამი წყვილი ჩაუცმელი ფეხსაცმელი... თიკა ამას მალულად აკეთებდა, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, ისე, რომ ლევანს მხოლოდ სიამოვნება მიეღო იმ კომფორტისგან, რომელსაც ცოლი უქმნიდა. მას კი არც ერთხელ არ უთქვამს მისთვის მადლობა... ლევანს უცებ თავისი უმადურობის შერცხვა. თიკა ნამდვილად იმსახურებდა მადლიერებას და სიყვარულსაც, რომელსაც დროდადრო ითხოვდა კიდეც – აგრძნობინებდა ქმარს, რომ სჭირდებოდა ეს სიყვარული. „რა უსინდისო ვარ... ცოლად შევირთე და ახლა ვცდილობ, სამაგიერო გადავუხადო ამისთვის. თუმცა, გაუგებარია, რატომ... ჩემი სისუსტისთვის? თუ ეს ჩემი სისუსტე იყო, მან რატომ უნდა აგოს პასუხი, რა დააშავა? მხოლოდ ის, რომ შემიყვარა?! მე რა მოვიგე ჩემი სიყვარულით? – არაფერი! გამამასხრეს და პირდაპირ მითხრეს, არარაობა ხარო. მერჩივნა, სიტყვებით ეთქვა ეს, ვიდრე იმ იდიოტს ჩასწოლოდა ლოგინში. არა, ნიკუშამ უნდა იცოდეს, ვინ უყვარდა მთელი ცხოვრება. ისე, ეგეც მაგარი იდიოტია, მაგრამ არც მე ვარ მასზე ნაკლები...“ – ლევანმა საჭე მოატრიალა – რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და მისი განხორციელების გადადება არც უფიქრია...

***

ნიკუშამ სპორტული ჩანთა გადმოიღო, კარადის კარი გამოხსნა და თავისი მწირი გარდერობის დანახვაზე გაეღიმა. ძირითადად, ვახოს ნაჩუქარი ტანსაცმელი ჰქონდა – ჯინსები და სპორტული პერანგები. არავის უთხოვია, ვახოს თვითონ მოჰქონდა და ტოვებდა. ნიკუშა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ის დრო გაახსენდა, როცა მისი მეგობრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ კარადიდან ტანსაცმლის დატაცებაში. ყველაზე მოხერხებული და აქტიური დათო იყო. ვახო უფრო მოკრძალებულად სთხოვდა. ლევანს კი არც ერთხელ არაფერი უთხოვია, ნიკუშა თვითონ აძლევდა და უკან არ აბრუნებინებდა. ლევანიც დიდად არ იკლავდა თავს ტანსაცმლის უკან დაბრუნებით. თავი ყოველთვის მაღლა ეჭირა, რაღაცნაირი ჩუმი მედიდურობით, მის მზერაში კი დაფარული შური და ბოღმა მოჩანდა...

ოთახში ჟანი შემოვიდა. ხელში ორი ფინჯანი ეჭირა. ერთი ნიკუშას გაუწოდა, გვერდით მიუჯდა და ჩანთაზე ანიშნა.

– აი, ეს ზედმეტია. ყველაფერს იქ ვიყიდით.

– რა საჭიროა. რაც აუცილებელია, მაქვს. არ ვარ ჩაცმაზე გაგიჟებული.

– მე ეგ არ მითქვამს. უბრალოდ, რატომ უნდა გაწვალდე ჩანთის აქეთ-იქით ტარებით? გაცილებით კომფორტული იქნება, თუკი იქ შეიძენ საჭირო ნივთებს. ახლა ყველა ასე იქცევა.

– ჰო, მდიდრები ასე იქცევიან, – ცუდად დაფარული გაღიზიანებით ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

ჟანმა გაიღიმა:

– მომისმინე, ნიკ! ასე არაფერი გამოვა, გეუბნები. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მოვასწარი შენი გაცნობა და ვიცი, რომ ასეთი არ ხარ.

– როგორი არ ვარ?

– ბოღმიანი... და, ნუ ცდილობ, ასეთად მომაჩვენო თავი. მე ადამიანებს კარგად ვიცნობ, ძალიან კარგად.

ნიკუშამ სცადა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ჟანმა ხელის მკვეთრი აქნევით არ მისცა ამის საშუალება.

– არ გინდა, ნურაფერს იტყვი. მე არ შემიძლია, არ გითხრა ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ. სიმართლე თუ გაინტერესებს, არ მქონდა იმედი, რომ ასე კარგად გავუგებდით ერთმანეთს.

– და... მაინც წამოხვედი?

– ჰო. ეს ელენესთვის უნდა გამეკეთებინა, სხვანაირად არ შეიძლებოდა. მარტო ჩემი სიყვარული მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ელენეს შენ სჭირდები. ძალიან უყვარხარ...

– მე ჯერ კიდევ არაფერი გადამიწყვეტია, არც არაფერს დაგპირებივარ.

– ვიცი, მაგრამ, რადგან მოდიხარ, ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს... ძალიან.

ნიკუშა უხერხულად შეიშმუშნა. ამ კაცის წინაშე თავს პატარა ბიჭივით გრძნობდა, დატუქსული და კუთხეში მიმწყვდეული ბიჭივით. თუმცა სიჯიუტე მაინც სძლევდა და ბოლო მომენტში უკან იხევდა, თავისი „ბუნაგისკენ“, რომ ისევ ღრმად შემძვრალიყო შიგნით და უცხო თვალს დამალვოდა.

ჟანმა მეგობრულად დაადო მხარზე ხელი:

– იცოდე, მე შენკენ ვარ, და ყოველთვის გქონდეს ჩემი იმედი!

– გმადლობ. ძალიან კარგი ადამიანი ხარ.

– არა... მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, განსაკუთრებული ღირსებები არ გამაჩნია. თუმცა, მაქვს პატარა უპირატესობა, მხოლოდ ერთი და, თანაც – პატარა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი – შეყვარებული ვარ.

– გასაგებია, – თავი დაუქნია ნიკუშამ, – ჩემთვის ნაცნობია ეგ გრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ არ გამიმართლა.

– იმ ქალს გულისხმობ, რესტორანში რომ იყო? რატომ არ გაგიმართლა! მე ასე არ ვფიქრობ... ყოველ შემთხვევაში, იქ ეს არ მიგრძნია. უფრო – პირიქით... შეიძლება, ეს არ არის ჩემი საქმე, მაგრამ, მგონი, შენ მიმართ გულგრილი არ უნდა იყოს.

– არ მინდა ამაზე ლაპარაკი, – შეიჭმუხნა ნიკუშა.

– მართალი ხარ, მეც არ უნდა ჩავრეულიყავი შენს საქმეში.

– არა, არა, ეგ არაფერ შუაშია. უბრალოდ, იას თემა ჩემთვის უკვე დაიხურა. ძალიან ვაწყენინე და, არა მგონია, მაპატიოს.

– ქალები ყველაფერს პატიობენ საყვარელ მამაკაცებს. მე ფრანგი ვარ და ასეთ საკითხებში კარგად ვერკვევი, – გაიღიმა ჟანმა.

– შეიძლება. მაგრამ ქართველი ქალები ფრანგ ქალებს არ ჰგვანან. თანაც, – ნიკუშა გაჩუმდა და ცოტა ხანს ფიქრობდა, – თანაც, მეც აღარ ვიცი, მინდა კი ამ ურთიერთობის გაგრძელება?!

– ჰოო! ეს ბევრ რამეს ცვლის!... მაგრამ, არა უშავს, შორს რომ იქნები მისგან, იფიქრებ და რაღაცას მოიფიქრებ, კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიხვალ – აი, კიდევ ერთი მიზეზი, რომ წამოხვიდე.

– მე ისედაც მოვდიოდი.

– ვიცი, მაგრამ, რატომ არ უნდა ისარგებლო და არ მოაგვარო კიდევ ერთი პრობლემა?

– ვნახოთ, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. გააჩნია, რა არის პრობლემა. იქნებ, იქ უფრო დიდი პრობლემა დამხვდეს.

– სიყვარულის გარეშე ცხოვრება, – ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა.

– ჭეშმარიტი ფრანგის სიტყვებია, – ნიკუშამ გაიცინა. სულ უფრო მოსწონდა ეს კაცი.

– ჭეშმარიტი მამაკაცის სიტყვებია, – ღიმილით შეუსწორა ჟანმა.

– მეც ვფიქრობდი ამას. ოღონდ, ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. მერე მივხვდი, რომ მხოლოდ ასეც არ ყოფილა. ჟან, სულ მინდოდა, მეკითხა: რა ხდება იმ სურათთან დაკავშირებით?

– რომელ სურათთან? – ჟანი წამით ჩაფიქრდა, – აა, გამახსენდა! ისეთი არაფერი არ ხდება. დედაშენს განსაკუთრებულად უყვარს და, ალბათ, ვერ შეელევა. არადა, ძალიან მონდომებულები არიან, რომ გაყიდოს.

– ვინ არის მონდომებული? – ნიკუშას მოუსვენრობა დაეტყო.

– კოლექციონერები. ნახატი ავტორის იმ პერიოდს ეკუთვნის, რომელიც ხელოვნებათმცოდნეებს განსაკუთრებით აინტერესებთ. სამწუხაროდ, ფერწერაში ისეთი ძლიერი არ ვარ, როგორც ცხენებში, მაგრამ, ორ-სამ მილიონს რომ მასში თავისუფლად გადაიხდიან, ზუსტად ვიცი.

– ვერაფრით ვიხსენებ, როგორ აღმოჩნდა ეგ სურათი ჩვენს ოჯახში. მგონი, სანამ დავიბადებოდი, მანამდეც გვქონდა.

– ელენემ, ალბათ, ზუსტად იცის, მაგრამ მე მისთვის არაფერი მიკითხავს.

ნიკუშამ კარადის კარი მიხურა და სწორედ ამ დროს გაისმა ზარის ხმა.

– ვიღაც მოვიდა, – თქვა ჟანმა.

– მე არავის ველოდები, – ნიკუშამ მექანიკურად გაიხედა საათისკენ, – საკმაოდ გვიანია.

– მგონი, უნდა ნახო, ვინ არის, – გაიცინა ჟანმა.

– ვახო ან გოგიჩა იქნება. დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა, – გაახსენდა ნიკას მეზობელი და კარის გასაღებად გაემართა.

– შენი ექსტრავაგანტური მეზობელი... – ჟანი უკან გაჰყვა ნიკუშას და ზღურბლზე აღმართულ ლევანს გაოცებულმა შეხედა.

– ეს გოგიჩა არ არის!

– გოგიჩას ელოდით? – ნაძალადევად გაიღიმა ლევანმა, – გადავწყვიტე, შემომევლო. გავიგე, ხვალ მიფრინავთ.

– ხვალ, არა, ზეგ, – შეუსწორა ნიკუშამ, რომელიც ცდილობდა, მეგობრის მოსვლის მიზეზი ამოეცნო.

– ხვალ, ალბათ, ვერ მოვიცლი, დღეს კი მქონდა დრო, მოვსულიყავი... მე მალე წავალ.

– შემოდი, შემოდი... – ნიკუშა გამოერკვა, მეგობარს მხარზე მოხვია ხელი და ოთახში შეუძღვა, – დაჯექი. ჩანთას ვალაგებდი... დალევ რამეს?

– ღვინო მოვიტანე, ცოტა დავლიოთ... სამივემ, – ლევანმა მეგობარს შეხედა, – გაგიკვირდება, მაგრამ, რომ წარმოვიდგინე, შეიძლება, დიდხანს ვერ გნახო, სევდა მომეძალა.

– შენ და – ასეთი სენტიმენტები?! – გაეღიმა ნიკუშას. ლევანს ბოთლი გამოართვა და ჟანს გაუწოდა. ჟანმა ეტიკეტს დახედა.

– ძალიან კარგია. თუ არ ვცდები, ამ ღვინოს ის ყველი მოუხდება, დილით სუპერმარკეტში რომ აღმოვაჩინე. თქვენ ისაუბრეთ... მე ახლავე ყველაფერს მივხედავ.

– კარგი ადამიანია. ძალიან გაგიმართლა, – თქვა ლევანმა, როცა ჟანი გავიდა.

– ჰო, – მოკლედ მიუგო ნიკუშამ, – გამიმართლა.

– რაღაცით უკმაყოფილო ჩანხარ. არ გინდა წასვლა? – ლევანი ცნობისმოყვარედ მიაშტერდა მეგობარს.

– არ მინდა, – ნელა გაიმეორა ნიკუშამ, – მაგრამ, ფაქტია, რომ მივდივარ, – ვიზა მაქვს, ბილეთი ნაყიდია.

– სწორად იქცევი. დედაშენს შენ მეტი არავინ ჰყავს.

– ვიცი, – ნიკუშამ წარბი შეიკრა, – არ მითხრა, რომ აქ ამის სათქმელად მოხვედი.

– არა, ამის სათქმელად არ მოვსულვარ. რა იყო, არ გიხარია ჩემი ნახვა?

– ეგ არაფერ შუაშია, უბრალოდ... – ნიკუშა გაჩუმდა.

– დათო ხომ არ ყოფილა შენთან? – ჰკითხა ლევანმა.

– არა. უნდა მოსულიყო?

– რა ვიცი. რატომღაც, ვიფიქრე, რომ აქ დამხვდებოდა. იმან ჩემზე ადრე იცოდა ის, რის თქმასაც შენთვის ვაპირებ. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ ეს უნდა იცოდე. ახლა გაქვს შანსი, ცხოვრება თავიდან, სუფთა ფურცლიდან დაიწყო და ისევ შენთვის იქნება უკეთესი, თუ ილუზიები არ შეგაწუხებს.

ნიკუშა შეიჭმუხნა.

– არ მიყვარს, როცა „ნამიოკებით“ მელაპარაკები, ნერვები მეშლება და მოსმენის სურვილი მიქრება. პირდაპირ მითხარი, რა მოხდა!

ლევანი ადგა, ნიკუშას წინ გაჩერდა და სახეში ჩააშტერდა:

– ოღონდ, პირობა უნდა მომცე, რომ მშვიდად შეხვდები ამ ამბავს.

– ლევან, თქვი, რისი თქმაც გინდა, ვერაფრის პირობას ვერ მოგცემ! – გაბრაზდა ნიკუშა.

ლევანმა სიგარეტის ღერი თითებით მოსრისა და, ისე, რომ მეგობრისთვის არ შეუხედავს, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– იას ეხება. უნდა დაივიწყო ეგ გოგო...

ნიკუშა გაფითრდა:

– ჰოო? ია ჩემი ცხოვრების გადაშლილი ფურცელია, მაგრამ, შენ რატომ მეუბნები ამას, რამე იცი?

– ჰო, ვიცი.

– ვიღაც ჰყავს, – გაეცინა ნიკუშას, თვითონვე ვერ დაიჯერა, რომ, შეიძლებოდა, იას საყვარელი ჰყოლოდა.

ლევანმა თავი დაუქნია.

– რას მეუბნები! – ისევ გაეცინა ნიკუშას, – და შენ ამ „ვიღაცას“ იცნობ?

– ვიცნობ. შენც იცნობ.

– მართლა? მეტყვი, ვინ არის?

– ვახო, – ლევანმა დაახველა და საფერფლეს დაუწყო ძებნა.

– მოიცა, რა ვახო... ხუმრობ? ვახო საერთოდ რა შუაშია! რადგან ერთად მოვიდნენ, ეგ დასკვნა იმიტომ გააკეთე?

– არანაირი დასკვნა არ გამიკეთებია. დეტალებში ნუ ჩამეძიები. უბრალოდ, სიტყვაზე მენდე. თუმცა, ესეც შენი გადასაწყვეტია – შეგიძლია, არ დამიჯერო!

– რა სისულელეა! ვახო და ია? ნუ მაცინებ!

– როგორც გინდა... იცინე, მაგრამ მაინც იფიქრე იმაზე, რაც გითხარი.

ოთახში ჟანი შემოვიდა. ლანგარზე დაწყობილი თეფშებით ყველი და ზეთისხილი მოჰქონდა.

– ჭიქები სად არის? ვერ მივაგენი. შესაფერის ბოკლებს ვგულისხმობ.

– სასტუმრო ოთახშია, შემინულ კარადაში, – ნიკუშა ცდილობდა, მღელვარება არ შეემჩნია.

ჟანმა მაშინვე შეაფასა სიტუაცია და აჩქარდა:

– ბარემ ბოთლის გასახსნელსაც მოვიტან და ხელსახოცებსაც, – ლანგარი დადგა და გასვლისას კარიც გაიხურა. ლევანმა ცოტა შეიცადა, ნიკუშასთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი:

– კიდევ არის რაღაც...

ნიკუშამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– ნატასთან შენი ურთიერთობა ძალიან შორს ხომ არ წასულა?... არა, ვიცი, რომ ეს მხოლოდ შენი საქმეა, მაგრამ, რაღაც პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ. ბოლოს და ბოლოს, მე გაგაცანი.

– რა პასუხისმგებლობაზე მელაპარაკები, ლევან, გაგიჟდი?

– ნიკუშა, ნატუკა ის ქალი არ არის, შენ რომ გჭირდება.

– ამას რატომ მეუბნები, ცოლად კი არ მომყავს, – გაღიმება სცადა ნიკუშამ.

– რა ვიცი, ისე არ მოხდეს, რომ ჩემი საქციელი ვინანო. იცოდე, ნატუკა იმიტომ გაგაცანი, რომ მინდოდა, ცოტა გული გადაგეყოლებინა. კარგად დაიმახსოვრე.

– ლევან, მოიცა. კარგად გამაგებინე, რა ხდება. ჯერ იაზე დაიწყე ლაპარაკი, ახლა, რატომღაც, ნატუკას გამო შეიძლება ვინანო. პირდაპირ მითხარი, რას გულისხმობ ამ ყველაფერში?

– არაფერს არ ვგულისხმობ იმის გარდა, რაც გითხარი. კარგია, რომ მიდიხარ, ძალიან კარგია.

ნიკუშამ თავი გადააქნია.

– ჯერ კიდევ არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, ამას მარტო მაშინ გავიგებ, როცა იქ ჩავალ. ნატუკაზე კი, შეგიძლია, არ იღელვო. იასი არ იყოს, ეგეც ჩემი ცხოვრების გადაშლილი ფურცელია.

– ჰოდა, ძალიან კარგი, გულზე მომეშვა, – ვითომ შვებით ამოისუნთქა ლევანმა და ხელები მოიფშვნიტა, – ახლა შეგვიძლია, ღვინოც დავლიოთ და ეს მშვენიერი ყველიც მივირთვათ...

***

... თვითმფრინავი სულ უფრო სწრაფად იღებდა სიმაღლეს. ნიკუშამ ქამარი გაიხსნა და სავარძელში უფრო მოხერხებულად მოეწყო. არ უნდოდა ეფიქრა ელენესთან მოსალოდნელ შეხვედრაზე, რომელიც უკვე გარდაუვალიც იყო და შემაშფოთებლად მოახლოებულიც.

– რატომ არ გინდოდა, შენს მეგობრებს გაეცილებინე? – ჰკითხა ჟანმა.

– რა საჭირო იყო! ვერ ვიტან ამ იდიოტურ ტრადიციას – ერთი მიფრინავს და ორმოცდაათი აცილებს. ეს მარტო საქართველოში ხდება. მერე ის ერთი მიდის და აეროპორტის დარბაზიც იცლება. არ არის კრეტინიზმი?!

ჟანმა მხრები აიჩეჩა:

– რა გითხრა, შეიძლება, ამას საკმაოდ ღრმა ფსიქოლოგიური ფესვები ჰქონდეს. ამაზე არ გიფიქრია?

– არა, ფსიქოლოგიასთან ცოტა მწყრალად ვარ, თუმცა, მაინც არ მგონია, გაცილება ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყოს.

– პირიქით, ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანი მაინც მგრძნობიარე არსებაა და მის საქციელს ძირითადად ემოციები განსაზღვრავს. როცა ამდენი ადამიანი გაცილებს, შენში ბუნებრივად ჩნდება და დიდხანს მოტივირებს დაბრუნების სურვილი.

– იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ მე იქ დაბრუნების სურვილი არ გამიჩნდება?

– არაფრის თქმა არ მინდა, მხოლოდ ჩემი ვარაუდი გამოვთქვი, – გაეღიმა ჟანს, – შენ ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა გაქვს დასაძლევი და, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, ძალიან ცუდად იცნობ ცხოვრებას.

– ანუ, არ ვიცნობ?

– ასეც შეიძლება ითქვას.

– მე კი პირიქით მგონია, იმიტომ, რომ ცხოვრებამ უკვე ჩამიტარა რამდენიმე კარგი გაკვეთილი.

– არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ მთავარი გაკვეთილი წინ გაქვს. ახლა კი ბოდიშს მოგიხდი – მგზავრობისას ძილს ვამჯობინებ. შენ შეგიძლია, ისაუზმო ან სასმელი მოითხოვო, აქ დიდი არჩევანი აქვთ.

– გმადლობ. იქნებ, მეც წავუძინო.

– ძილი კარგია. თუ რამე ცუდი უნდა მოხდეს, ჯობია, მას ფხიზელი თვალით არ შეხედო... – თვალი ჩაუკრა ჟანმა და მუხლებზე უჯრულა პლედი გადაიფარა.

***

თქვენ ჯიუტი ხართ? არა?! მაშინ, გაგიჭირდებათ, გაუგოთ ადამიანს, რომელსაც საკუთარ სიჯიუტესთან ბრძოლა უწევს. იმიტომ არა, რომ ეს ძალიან უნდა. იბრძვის იმიტომ, რომ ამის აუცილებლობას გრძნობს. რეალობა აიძულებს, შექმნილი სიტუაცია უბიძგებს ხელის კვრით და კიდევ ერთხელ გაჯიუტების საშუალებას არ აძლევს. ჯიუტი ადამიანი ყოველთვის საკუთარ თავს მეტად აზარალებს, ვიდრე გარშემო მყოფებს. ბუნებრივია, არც ისინი არიან კომფორტში, მაგრამ, სიჯიუტესთან მებრძოლი, ჯიუტის განცდებთან ახლოსაც ვერ მოვა. თუ თქვენ ჯიუტი არ ხართ, ამას ვერ გაიგებთ. ამიტომ, შეგიძლიათ, ეს აბზაცი საერთოდ არ წაიკითხოთ...

***

ნიკუშას ყოველთვის მოჭარბებულად ჰქონდა სიჯიუტე, დედისგან მოსდგამდა მემკვიდრეობით. თვითონაც იცოდა ელენესთან ამ მსგავსების შესახებ და ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა. თვითმფრინავში თვალი არ გაუხელია. დაძინებას ცდილობდა, მაგრამ, ვერ შეძლო. წარსულის კადრები ცოცხლდებოდა, მოკლე-მოკლე ეპიზოდებად... ნიკუშა არასოდეს გამოსტყდომია საკუთარ თავს იმაში, რომ არანორმალურად უყვარდა დედა. ყოველთვის საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობდა. ელენეს აგრძნობინებდა და სიტყვითაც არაერთხელ უთქვამს, რომ მამა უფრო უყვარდა, მაგრამ ეს ფარსი იყო, შირმა, რომლის მიღმაც ბიჭი რეალობას მალავდა. რატომ? – ნიკუშას ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ის პროტესტი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გაუჩნდა, უფრო იმედგაცრუებით იყო გამოწვეული, ვიდრე მშობლის გარდაცვალების ტკივილით. იმედი ელენემ გაუცრუა. ის მითი გაუქარწყლა, რომელიც თვითონ შექმნა დედაზე – ელენე არაფრით აღმოჩნდა სხვაზე უკეთესი. უარესი კი ის იყო, რომ მთლიანად შეურყია წარმოდგენა იმ იდეალზე, რომელიც ქალებზე დედამისის გავლენით შეექმნა. პროტესტი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ საერთოდ უარი თქვა დედაზე. და ახლა, ამ ყველაფრის შემდეგ, დედამისთან შესახვედრად მიდიოდა... იმ ქალთან შესახვედრად, რომელიც ყველასა და ყველაფერზე მეტად უყვარდა...

***

თინიკო არ დაწოლილა. ძილის დასათრგუნავად უკვე მერამდენე ჭიქა მაგარ ყავას სვამდა. ქმართან საუბრის ყველა წვრილმანს იხსენებდა და იმ ეჭვის გაქარწყლებას ცდილობდა, რომელიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სულ თან სდევდა: „ლევანი გულწრფელი იყო. ჰო, იყო გულწრფელი. მითხრა, რომ ვჭირდები და მის გვერდით უნდა ვიყო – ეს არ არის სიყვარულის დადასტურება?! რა თქმა უნდა, არის. პირდაპირ ხომ არ მეტყოდა – „მე შენ მიყვარხარ, თინიკო!“ რა სისულელეა! არც მე ვარ იმ ასაკში და არც ლევანია ის კაცი, რომ ეს გააკეთოს. მაშინ, რატომღა ვნერვიულობ და ვერ ვმშვიდდები? ყველაფერი ჩემი ეჭვიანი ბუნების ბრალია, დროა, გავთავისუფლდე ამ ეჭვისგან და ჩემი ქმრის მიმართ ნდობა

დავიბრუნო – ამის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდება... რატომ ვერ ვწყნარდები?.. ამდენი ყავა არ უნდა დამელია“...

ლევანს არ გაჰკვირვებია სავარძელში მჯდარი ცოლის დანახვა, მაგრამ ამჯერად საყვედურისგან თავი ვერ შეიკავა:

– თინი, უკვე მესამე ღამეა, ასე მხვდები. რატომ არ იძინებ?

– არ ვიცი. არ მეძინება, – გაუღიმა ქალმა.

ლევანმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი:

– ვიცი, რატომაც არ გეძინება! ამჯერად რამდენი ლიტრი ყავა დალიე?

– ლევან, ძალიან ვნერვიულობ.

– ნერვიულობ? კი მაგრამ, რაზე? მე შენთან ვარ, ნიკუშა გაემგზავრა და, წესით, უკვე ჩასული უნდა იყოს.

– რა იცი, შენ გააცილე?

– არა, მე არ გამიცილებია, მაგრამ, ხომ ვიცი, რომელ რეისზე ჰქონდა ბილეთი!

– ესე იგი, ნიკუშა წავიდა. ახლა რა მოხდება?

– ჯერ არაფერი, უნდა დაველოდოთ.

– იცი, მგონი, ცუდად ვიქცევით. რომ გთხოვო, არაფერი გააკეთო-მეთქი, რას იზამ?

– მე არაფერს ვაკეთებ, საყვარელო, აბსოლუტურად არაფერს. შენ ხომ არ გგონია, მკვლელებს მივუგზავნი ან ღამით მათ სახლში შევძვრები და სურათს მოვიპარავ? რა სისულელეა!

– სიმართლეს ამბობ?

– თინი, გეყოფა, უკვე ძალიან მანერვიულებ. მოეშვი ნიკუშაზე დარდს და ჩვენს ოჯახს მიხედე.

„ჩვენი ოჯახი“ თინიკოს სმენას სასიამოვნოდ მოელამუნა. მისი წინააღმდეგობა თოვლივით დადნა და ქმარს მკერდზე მიეხუტა.

– როგორ მინდა, ყველაფერი ჩვეულებრივად გვქონდეს. იცი, სხვა მართლა არაფერი მინდა!

– რას ნიშნავს – „ჩვეულებრივად“ – ლევანს გაეცინა.

– მე ვარ ცოლი, შენ – ქმარი. გვყავს შვილი და ერთმანეთთან ჩვეულებრივი, თბილი, ადამიანური ურთიერთობები გვაქვს, ძალიან, ძალიან ადამიანური... მერე კიდევ გვეყოლება შვილი და იმასთანაც ადამიანური ურთიერთობა გვექნება. არ შეიძლება, ჩვენც ისეთივე პრობლემები გვქონდეს, როგორც სხვებს აქვთ?

– კარგი რა, თინი! იცი, სხვებს როგორი პრობლემები აქვთ? – საღამოს იმაზე დარდით წვებიან ლოგინში, დილით რა ჭამონ, ან ფული სად იშოვონ. იმედი მაქვს, ეს არ გინდა და ამას არ გულისხმობდი.

– ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობდი, – წყენით შეხედა თიკამ ქმარს, – მშვენივრად ხვდები და რატომ ცდილობ, ჩერჩეტად გამომიყვანო? მშვიდი ცხოვრება მინდა, მიყვარხარ და არ მინდა, რამე უსიამოვნება შეგემთხვას.

– რა უსიამოვნება უნდა შემემთხვას? კარგი რა, თიკა, საყვარელო, ბოლოს და ბოლოს, ნიკუშა ჩემი ძმაკაცია, მისთვის ცუდს არ მოვინდომებ.

– ვიცი, მაგრამ, რაღაც გაქვს ჩაფიქრებული, გამოხედვაზე გატყობ.

ლევანმა ნაძალადევად გაიცინა და ცოლს თავზე აკოცა.

– ჩემი ფსიქოლოგი!... გეხვეწები, მოვრჩეთ ამაზე. ნიკუშა წავიდა. თუ მოგვენატრება, შეგვიძლია, მასთან სტუმრად ჩავიდეთ. ოღონდ, ცოტა მოგვიანებით. ჯერ ვაცალოთ დედამისთან შერიგება.

– და... თუ ის მაინც ძმაა? – ყოყმანით ჩაილაპარაკა თიკამ.

– ღმერთო, ეს უკვე რაღაც მანიას ჰგავს! თიკა, არ გინდა, მუშაობა დაიწყო? ფიქრისთვის რომ აღარ გეცლება, იქნება, ეგ სისულელეებიც დაივიწყო.

თიკამ თავი გადააქნია:

– არც შენ და არც მამაჩემი არ მოეშვებით იმ მილიონებს. ორივეს გიცნობთ, თანაც, ძალიან კარგად. სანამ მოხვიდოდი, ვფიქრობდი, ბოლომდე რატომ ვერ ვენდობი ჩემს ქმარს-მეთქი...

– არ მენდობი? კი მაგრამ, ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ? თინიკო, დამშვიდდი და სამსახურზე იფიქრე.

– სამსახურზე ვიფიქრო? კარგი, ვიფიქრებ, მაგრამ, რა უნდა გავაკეთო?

– მშვენიერი პროფესია გაქვს, სამხატვრო აკადემია ტყუილად დაამთავრე? თუ ფული გინდა, მოგცემ და საკუთარი სადიზაინერო სტუდია გახსენი. რა ვიცი, მოიფიქრე რამე...

– შენ გინდა, მუდამ მოუცლელი, საქმიანი ცოლი გყავდეს?

– მე მინდა, ჩემს ცოლს სისულელეებით არ ჰქონდეს თავი გამოტენილი და ტყუილუბრალოდ არ ნერვიულობდეს, – გაღიზიანდა ლევანი.

– მაშინ, ხომ არ აჯობებს, ბავშვი გავაჩინო? – თქვა უცებ თიკამ.

ლევანი შეკრთა:

– რა თქვი?

– ხომ არ აჯობებს, ბავშვი გავაჩინოთ-მეთქი. ძალიან მინდა შენგან შვილი. რამდენი ხანია, ამაზე ვფიქრობ.

– კარგი, გავაჩინოთ, – უხალისოდ დაეთანხმა ლევანი და მაშინვე სულელურად იხუმრა: – ჩემი მარტო ნებართვა გჭირდება თუ სხვა რამეც უნდა გავაკეთო.

– ლევან, რა მოგდის? ექიმთან უნდა მივიდეთ ორივე.

– ორივე რატომ?

– იმიტომ, რომ მარტო ჩემს მისვლას აზრი არ აქვს, ორივე უნდა გამოგვიკვლიონ.

– გამოსაკვლევი არაფერი გვჭირს, ჯანმრთელები ვართ და შვილიც გვეყოლება.

– ჰო, მაგრამ... ძალიან გაგვიჭიანურდა ეგ ამბავი, – გაჭირვეულდა ქალი.

– თიკა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ძალიან დიდხანს სწორედ შენ იკავებდი თავს ბავშვის გაჩენისგან, – გაღიზიანება დაეტყო ლევანს.

– ვიკავებდი, მაგრამ თითქმის ერთი წელია, აღარაფერს ვსვამ.

– საყვარელო, რამდენი ხანია, ჩვენ მხოლოდ გვძინავს ერთად, – ლევანი ცოლისკენ დაიხარა და ტუჩები შუბლზე შეახო, – ყველაფერი კარგად იქნება, შვილიც გვეყოლება, აი, ნახავ, წამოდი, დავიძინოთ...

***

ნიკუშა პირველად არ იყო პარიზში, მაგრამ, მას შემდეგ იმდენი წელი გავიდა, რომ წარსული ახლა ოდესღაც ნანახ სიზმარს ჰგავდა, მეხსიერებაში ბუნდოვნად ჩარჩენილსა და გაფერმკრთალებულს. მიუხედავად უსიამოვნო მოლოდინისა, ქალაქმა მაინც პირველივე წუთიდან მოხიბლა, მაშინვე როგორც კი საფრანგეთის მიწაზე დადგა ფეხი.

აეროპორტში მძღოლი დახვდათ.

– შენ, ალბათ, გერჩივნა, ტაქსით წავსულიყავით. მაგრამ ზოგჯერ, უბრალოდ, მოვალე ვარ, ეტიკეტი დავიცვა, – მოუბოდიშა ნიკუშას ჟანმა, – თანაც, ჩვენი ავტომობილი ძალიან კომფორტულია. თვითონ ნახავ.

– საბოდიშო არაფერია, მიყვარს კომფორტი, – ნიკუშამ მანქანის კარი გამოაღო.

– მოდი, ჯერ საყიდლებზე წავიდეთ. ვიყიდოთ, რაც გჭირდება და სახლში მერე მივიდეთ. ელენეს დავურეკავ და ვეტყვი, რომ ცოტა გვაგვიანდება.

– სიამოვნებით, – ნიკუშა გაახარა იმის გაგებამ, რომ ელენესთან შეხვედრა კიდევ რამდენიმე საათით გადაიდებოდა.

მძღოლმა ჩუმად მოისმინა ჟანის ბრძანება სავაჭრო ცენტრში წასვლის შესახებ.

– ქალბატონი მოუთმენლად გელით, – თქვა, სანამ გასაღებს გადაატრიალებდა.

– ვიცი და ახლავე დავურეკავ.

– კარგი იქნება, – ჩაილაპარაკა მძღოლმა. ჟანი გააკვირვა მისმა შენიშვნამ.

– რამე მოხდა? – იკითხა დაეჭვებულმა.

– არ ვიცი, მესიე. შეიძლება, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ქალბატონი ძალიან აფორიაქებული მომეჩვენა.

მძღოლს წესიერად დამთავრებულიც არ ჰქონდა ფრაზა, რომ ჟანი უკვე ცოლთან რეკავდა. ნიკუშაც უნებლიეთ დაიძაბა.

– საყვარელო, ჩამოვედით. კარგად ხარ? სავაჭრო ცენტრში ვაპირებდით გავლას. რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად არის. ელენე, რა ხდება? გატყობ, რაღაცაზე ნერვიულობ. არა, ახლავე მითხარი! ღმერთო ჩემო, ტირი? რა მოხდა, ელენე? ხომ იცი, ვერ მოვითმენ, სანამ არ მეტყვი!... როგორ? შეუძლებელია! კი მაგრამ, რანაირად?.. არ იტირო... ახლავე მოვალ და ყველაფერს გავარკვევ!.. არ იტირო-მეთქი! არაფერია, გესმის, არაფერი არ მიღირს შენი ცრემლების ფასად... – ჟანმა მობილური გათიშა, – ჩქარა იარე! – უბრძანა მძღოლს.

ნიკუშამ შეშფოთებით შეხედა გაფითრებულ მამინაცვალს.

– რა მოხდა, დედაჩემს რამე მოუვიდა?

– ელენეს – არაფერი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრა. ჩვენი სახლი გაუქურდავთ.

– რა?!

– ჰო, ელენემ მითხრა, გაგვძარცვესო. ჯერ არ ვიცი, რა არის დაკარგული და არც მაინტერესებს, სანამ ელენეს არ დავინახავ. შიშის ჟრუანტელი მივლის, როცა წარმოვიდგენ, რა შეიძლებოდა, შემთხვეოდა.

ნიკუშამ გაუბედავად შეახო ხელი მუხლზე ჟანს, რომელიც წამში შეიცვალა და სხვა ადამიანად იქცა: თვალები ჩაუსისხლიანდა და თითქოს სხეულიც დაეკუნთა. ნიკუშამ მასში უჩვეულო ძალა იგრძნო და, ამ უცნაური კაცის მიმართ უნებლიეთ, უზომო პატივისცემით განიმსჭვალა.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ცხოვრება მოულოდნელობითა და სიურპრიზებით არის სავსე. გარანტიები არ არსებობს არსად და არაფერში. მით უმეტეს, რომ მარადიული არაფერია, აბსოლუტურად არაფერი და აბსოლუტიზმიც მხოლოდ ამ შემთხვევაშია გამართლებული. ადამიანს მხოლოდ ჰგონია, რომ შეუძლია საკუთარი ბედის მართვა. არა, რაღაც-რაღაცეები ნამდვილად არის მასზე დამოკიდებული, მაგრამ ცენტრალური ხაზი თავად ცხოვრებას მიჰყავს თავისი კანონზომიერებით და, თუ ერთ დღეს აღმოაჩენთ, რომ სიტუაციას ვერ მართავთ, დარდს ნუ მიეცემით – განსაკუთრებული და გამონაკლისი ნამდვილად არ ხართ. პირიქით, სწორედ ეს არის ნორმა...

***

ია მიხვდა, რომ სერიოზული შეცდომა დაუშვა, თუმცა, ზუსტად მაინც ვერ განსაზღვრა, როდის აჯობა მასში საღ აზრს ემოციამ. როცა ერთბაშად აღმოაჩინა, რომ მისი ქმედებები ნიკუშას ბინაში ნანახი ეპიზოდით იყო ნაკარნახევ-განპირობებული, საკუთარ თავზე გაბრაზდა, მაგრამ, რა აზრი ჰქონდა ოთხ კედელშუა სირბილს?! ვერც ლანძღვა-გინებით მოიოხებდა გულს, ამიტომ, ერთ საღამოს ვახოს დაადგა თავზე. ვახოს მისი დანახვა არ გაუკვირდა, მაგრამ არც გაუხარდა. კარი მოღუშულმა გაუღო და საყვედურიც არ დააყოვნა:

– უკვე ჩვევად გექცა მამაკაცებზე გაუფრთხილებლად თავდასხმა. დაგერეკა და ისე მოსულიყავი. არ იცი, უცოლო მამაკაცი ფაქტის წინაშე რომ არ უნდა დააყენო? ერთხელ ხომ იწვნიე, მაგრამ, გეტყობა, არ გეყო.

იამ შეუბღვირა და სავარძელზე მოიკალათა.

– შენ მეგობარი ხარ, ჩემი დიდი ხნის მეგობარი და, მგონი, აქვს ამას მნიშვნელობა.

– რა თქმა უნდა, აქვს, – უხალისოდ დაეთანხმა ვახო და ჩაიბურტყუნა: – მაგრამ, ძვირფასო, არ გიფიქრია იმაზე, რომ ამ მეგობრებსაც შეიძლება ჰქონდეთ ბუნებრივი მოთხოვნილებები?

– როგორ არ გრცხვენია! – დაანამუსა იამ.

– კარგი, აგრესორო, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შენ გაიმარჯვე. გინდა რამე? ანუ, იმის თქმა მინდოდა, დალევ რამეს? ჩაი, ან ყავა ხომ არ გინდა?

– დავლევ, ოღონდ, ჩაი და ყავა ვერ მიშველის, რამე უფრო მაგარი შემომთავაზე. ისეთ გუნებაზე ვარ, იქნებ დათრობამ მაინც მიშველოს.

ვახომ შუბლი მოისრისა:

– აჰა, მგონი მივხვდი: ნიკუშა წავიდა, „ჩვენ“ დეპრესია გვაქვს.

– დეპრესია არაფერ შუაშია. უბრალოდ, მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი, თანაც, მგონი, გამოუსწორებელი შეცდომა.

– გააჩნია, რას გულისხმობ.

– იმას ვგულისხმობ, რომ ნიკუშა საბოლოოდ დავკარგე.

– აჰა, რას გეუბნებოდი?! – ნიშნის მოგებით დააკანტურა თავი ვახომ და მუქი ფერის სითხით სანახევროდ შევსებული ჭიქა გაუწოდა, – გამომართვი, უკეთესი არაფერი მაქვს.

– ეს რა არის? მწამლავ? – ეჭვით ჩაიხედა ჭიქაში ქალმა.

– კონიაკია, მაგრამ ბევრი არ დალიო, ძალიან მაგარია და, ცუდად რომ გახდე, ვერ მოგივლი – სად მაქვს ამდენი თავი!

იამ კონიაკი მოწრუპა და დაიჯღანა.

– ფუჰ, მწარეა!

– ტკბილი – კომპოტი მაქვს მაცივარში, მოგიტანო? – გაეხუმრა ვახო, – სხვათა შორის, იმ დღის შემდეგ, შენთან რომ დავრჩი, ლევანს ჩემი დანახვა არ უნდა, მოსისხლე მტრად გადამეკიდა, დათოც ეჭვის თვალით მიყურებს, ნიკუშა კი ისე გაფრინდა, არც გამაგებინა. ვერაფერი გავიგე.

– არა, მაინც, რა ბოთე ხარ! – გაიცინა იამ და თითქმის მაშინვე შეიჭმუხნა, – ესე იგი, საქმე იმაზე უარესად ყოფილა, ვიდრე წარმოვიდგენდი. მაგათ ჰგონიათ, რომ... იეჭვიანეს ღმერთო! ყველა კაცი ერთნაირი რატომ არის?

– რაა? ერთი გაიმეორე, რა თქვი? – ვახო ძლივს ჩასწვდა იას სიტყვების აზრს და გაწითლდა, – რაა?! გაგიჟდნენ ეგ ჩემისები? შეიშალნენ? ეგ როგორ იფიქრეს, ტო!.. ფუუ, მართლა რა ბოთე ვარ, ნამდვილი ბოთე! აქამდე როგორ ვერ მივხვდი, რომ ცხვირ-პირი გამეერთიანებინა მაგ კრეტინებისთვის. ლევანი მაინც, სულ გამოტვინდა?! მოვკლავ და იმ კრეტინ დათოსაც ზედ მივაყოლებ! – ვახო ნელ-ნელა ფეთქდებოდა. წამოხტა და ჭიქა ისე მოიქნია, სითხემ შადრევანივით ამოასხა.

– არა, ამას ვერ ვაპატიებ! ერთიც უნდა ვნახო და მეორეც. რანაირად, ტო! ჩემზე და შენზე?!. ვაა, მაგათ თავი ხომ არ მიარტყეს კედელს!.. შენ კიდევ, რა გაცინებს, გულზე ვსკდები და ჭკუიდან ვიშლები!

– დამშვიდდი. უბრალოდ, ეჭვი გაუჩნდათ.

– რა ეჭვი, ტო... რისი ეჭვი... ესე იგი, მე ავადმყოფი ვარ? შენც ხომ არ აურიე?

– ნუ ყვირი, – მოიღუშა ია, – მე თუ მკითხავ, ახია შენზე. რა გეგონა, რომ მიახალე, წუხელის იასთან დავრჩი, მთვრალი ვიყავი და იმიტომო. ჰოდა, ახლა ნუ გიჟდები. არაფერია, გაირკვევა სიმართლე და შერიგდებით, მაინც ყველანი ერთნაირები ხართ.

– ერთნაირები? ამას მე მეუბნები? მე რა დაგიშავე, ტო, რას მერჩი?!

– რას გერჩი? ვერ ხვდები? ჯერ ერთი, შენი წინდაუხედავი ლაპარაკით, მგონი, ნიკუშა საერთოდ დამაკარგვინე, მაგრამ მთავარი დანაშაული ის არის, რომ ხელს აფარებდი. სწორედ მაგან მიმიყვანა ამ შედეგამდე.

– ვის ვაფარებდი ხელს? რა სისულელეა!

– სისულელე? კარგი. მაშინ, მითხარი, რომ არ იცნობ იმ გოგოს და წარმოდგენა არ გქონდა, ნიკუშა მას რომ ხვდებოდა.

– ამას ვერ გეტყვი!

– აი, ხედავ?! – ნიშნისმოგებით დაუქნია თითი იამ.

ვახომ შუბლი მოისრისა:

– აუ, კარგი, რა... რას უნდა ვხედავდე! რა დაგემართა, რა გჭირს? ვიცნობ ნატუკას, ვიცნობ, მერე რა? იმასაც ვაღიარებ, რომ მისი და ნიკუშას ურთიერთობის შესახებაც ვიცოდი.

– და... ეგეც „მერე რაა“, ხომ?

– ჰო. ნატუკა „ნაშაა“, უბრალოდ, „ნაშა“! ამიტომაც, ეს არაფრად ჩამიგდია.

– თუ ნაშაა, შენ რატომ არ გეკურკურება? ან, შენ რატომ არ წაგიცდა ხელი მისკენ?

– წამიცდა, რა, სექსუალური მანიაკი კი არ ვარ. რაც შეეხება იმას, მეკურკურებოდა თუ არა ნატა, როგორც შენ ბრძანე, თუ ეს დაგამშვიდებს – დიახ, მაგრამ მე აზიატი ვარ და რაღაც სტერეოტიპების ერთგული ვრჩები.

– ნუ მაცინებ! რომელი სტერეოტიპები, ოთხი ცოლი გყავდა!

– ოთხი ცოლი რა შუაშია. მე ძმაკაცის ნაშებთან არ ვწვები.

– ამან მაინც არ გიშველა – ვერ ნახე, რა დაგაბრალეს?! – ნიშნის მოგებით გაუცინა იამ.

ვახო გაწითლდა, თვალები ჩაუსისხლიანდა და კბილები გააღრჭიალა:

– ჩემს ნერვებზე ნუ ითამაშებ! მშვიდი კი ვჩანვარ, მაგრამ ძალიან ცუდი გაბრაზება ვიცი... საშინელი. ხვალვე მივალ ლევანთან და ამ სისაძაგლეს ბოლოს მოვუღებ!

– არა! – თქვა მოულოდნელად იამ. ვახომ თავი ასწია:

– რა?! რაღაც კარგად ვერ გავიგონე!

– არა-მეთქი! მე ვთქვი – არა! შენ ლევანთან არ მიხვალ! – მტკიცედ გაიმეორა ქალმა.

– მოიცადე, ეს რას ნიშნავს, ბრძანებაა? – ვახოს არ ესიამოვნა ქალის კატეგორიული ტონი.

– რომ გითხრა, თხოვნაა-მეთქი, გააკეთებ?

– ია, ძალიან მაბნევ! მაბნევ კი არა, შოკში მაგდებ. ვერ ხვდები, როგორ უხერხულ მდგომარეობაში ვარ? გული მერევა, ისეთი სიბინძურე დამბრალდა უნებლიეთ. ეს რომ არ გავარკვიო ჯერ ლევანთან, მერე – ნიკუშასთან, გავგიჟდები! თუ დამჭირდა, პარიზში ავაკითხავ. თქვენი ურთიერთობა თქვენი პრობლემაა, ეს მე არ მეხება, ამ ბრალდებას კი თავად უნდა მოვუარო.

– რამდენიმე დღით მაინც გადადე ეგ ამბავი.

– რისთვის?

– ჩემთვის, პირადად ჩემთვის!

ვახომ გაოცებით შეხედა გაჯიუტებულ მეგობარს:

– ვერაფერი გავიგე! არ შეგიძლია, უფრო გარკვევით ამიხსნა? რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, როდის გაიგებს ლევანი სიმართლეს? თანაც, ეს მამაკაცური საუბარი იქნება.

– ეგ ვიცი. უბრალოდ, გინდა, რაღაც კითხვას გავცე პასუხი?

ვახომ ყოყმანით გადააქნია თავი:

– რაღაცას ბოლომდე არ მეუბნები. არც კი ვიცი, რა გიპასუხო. მაგარ შარში რომ გავეხვიე, ამას კი ვხვდები. ნეტავი იმ დღეს შენთან საერთოდ არ მოვსულიყავი და არც რესტორანში წამეყვანე. ჩემი ჭკუით, კარგი საქმე მინდოდა გამეკეთებინა, საბოლოოდ კი მაგარი დომხალი გამოვიდა. არ ვიცი, რა კითხვაზე გაქვს პასუხი გასაცემი, მაგრამ ჩემს მდგომარეობაშიც შედი, რა!

– მხოლოდ რამდენიმე დღე – სამი-ოთხი... ძალიან გთხოვ, – იამ ალერსით მოუჩეჩა კაცს თმა. ვახომ ამოიოხრა:

– აუუ! ყველა ქალი ერთნაირი უბედურებაა კაცისთვის, გინდ მეგობარი იყოს, გინდ – ცოლი; ნამდვილი სტიქიური უბედურება! რას მიჩალიჩებ, ია, რა გინდა ჩემგან? დიდი კი ვარ, მაგრამ ძალიან სუსტი გული მაქვს. შემიბრალე, ძალიან გთხოვ!

იამ სატირლად გაბუსხა ტუჩები:

– რადგან ასეა... კარგი, ის გააკეთე, რასაც საჭიროდ ჩათვლი! რატომ მეგონა, რომ შეიძლებოდა, შენი იმედი მქონოდა?

ვახომ საცოდავად შეხედა მეგობარს და ია მიხვდა, რომ გაიმარჯვა.

– კარგი, ორი დღე არ ვნახავ ლევანს.

– სამი, – წაისლუკუნა იამ.

– კარგი, სამი. მაგრამ, მერე აუცილებლად მივალ მასთან და სიმართლეს მოვუყვები.

– კიდევ ერთიც... ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს...

– რა? – იყვირა ვახომ, – გეხვეწები, არაფერი მთხოვო, თორემ გავგიჟდები.

– იმ გოგოს ტელეფონის ნომერი მინდა, – იამ ყურადღება არ მიაქცია ვახოს ბღავილს.

– რომელი გოგოსი, ნატუკასი?

– ჰო.

– რად გინდა?

– მჭირდება.

– ია, გეყოფა, რა!.. შენ ის ქალი არა ხარ, შეყვარებულის ნაშას სცენებს რომ გაუმართავს. თავი არ დაიმცირო!

ია მოიღუშა:

– მაგას მე მეუბნები? მაგან და შენმა ძვირფასმა ძმაკაცმა რომ დამამცირეს, მაგას რა ვუყო? თუმცა, სცენების გამართვას მაინც არ ვაპირებდი, ისე მჭირდება, ჩემთვის.

– „ისე მჭირდება, ჩემთვის“! – გამოაჯავრა ვახომ, – მატყუებ, არა?!

– კარგი, მე თვითონ გავიგებ როგორმე... შენ კი არ დაგავიწყდეს, რასაც დამპირდი.

– არ დამავიწყდება, მაგრამ, მართლა ვერ ვხვდები, ეს სამი დღე რას გიწყვეტს.

იამ გაიცინა:

– ეტყობა, მიწყვეტს რაღაცას, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ.

ვახომ თავი გადააქნია:

– აუ!.. შენც მაგრად „გაჭედე“ უკვე. ნიკუშას რა ვუთხარი, რომ თქვენი ურთიერთობა აქამდე მიიყვანა...

***

ნიკუშა კი შორს იყო... თანაც, მარტო ფიზიკურად არა. დედასთან შეხვედრა იმაზე ემოციური და შთამბეჭდავი გამოდგა, ვიდრე წარმოიდგენდა. ვერ აცნობიერებდა და არც უკითხავს საკუთარი თავისთვის, სიხარული იყო ის, რასაც იმ წუთას გრძნობდა თუ მონატრება. უბრალოდ, შესცქეროდა ქალს, რომელზე ახლობელიც არავინ ჰყავდა და ფიქრობდა, რამდენი დრო დაკარგა ტყუილუბრალოდ. ელენე მისთვის ოდნავაც არ შეიცვალა – ისევ ისეთი მომხიბვლელი იყო, როგორიც მაშინ, როცა ნიკუშა წარმოდგენაში იდეალური ქალის მოდელს ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი მომხდარით ძალიან იყო აფორიაქებული, ტიროდა და ისტერიკას აღარაფერი უკლდა, ნიკუშასთვის მაინც ყველასა და ყველაფერზე ძვირფას არსებად რჩებოდა...

ჟანი ცოლის დამშვიდებას ცდილობდა:

– საყვარელო, გემუდარები, დამშვიდდი, რაც უნდა წაეღოთ, რაც უნდა მოეპარათ, არაფერი მიღირს შენი ერთი ცრემლის ფასადაც კი, თანაც ახლა, როცა შენი შვილიც აქ არის, ჩვენთან.

ელენე შვილისკენ შებრუნდა და გაუბედავად გადადგა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი. ნიკუშა თვალს არ აცილებდა, თუმცა არაფრით, უმნიშვნელო ჟესტითაც კი არ გამოუხატავს მასთან ჩახუტების სურვილი. მხოლოდ უყურებდა, უყურებდა და თითქოს უღიმოდა. ელენე მისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდა და რაღაცნაირი, მუდარანარევი მზერა მიაპყრო – თითქოს რაღაცას სთხოვდა ან ელოდა... და ნიკუშამაც უბრალოდ, ძალდაუტანებლად ჰკითხა:

– რა მოხდა, დედა?..

... ქალში უზარმაზარი პოტენციალია ჩადებული, გამონაკლისი, უბრალოდ, არ არსებობს. ყველა ქალს შეუძლია, შეძლოს შეუძლებელი, თუმცა ამისთვის სტიმული სჭირდება. ყველაზე დიდი სტიმული კი ქალისთვის მისი შვილია. ყველა დედა ნებისმიერ ფასად გააკეთებს ყველაფერს ბიოლოგიური შვილისთვის. შეიძლება, არაბიოლოგიური შვილისთვისაც კი, იმიტომ, რომ მასში დედობრივი ინსტინქტი განსაკუთრებით ძლიერია. რა თქმა უნდა, საუბარი არ არის ბუნების შეცდომაზე, როცა ქალს საკუთარი თავი არ უყვარს. ნუ გამოიწვევთ ორთაბრძოლაში დედას და ნუ დადებთ სასწორის პინაზე მისი შვილის კეთილდღეობას, რადგან, ეს ბრძოლა აუცილებლად თქვენი სრული კრახით დასრულდება. ნუ შეგეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ქალი თქვენზე ძლიერია. არ გაეჯიბროთ მას, უბრალოდ, გიყვარდეთ და ნახავთ, როგორი მორჩილი, ერთგული არსება გეყოლებათ გვერდით...

ჟანმა ხელსახოცი ტუჩებთან მიიდო და ელენეს სიყვარულით შეხედა.

– აი, ახლა შემიძლია, ყველაფერი საღი გონებით გავაანალიზო. ესე იგი, მარტო ნახატი დაიკარგა და სხვა არაფერი!..

ელენემ მხრები აიწურა:

– ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სხვა დანაკარგი არ ჩანს: სამშვენისები, ჩემი სამკაული – ყველაფერი ადგილზეა. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ უნდა შემოსულიყო სახლში.

– ეგ ის სურათია, რომელზე გაკეთებული სიუჟეტიც ყველამ ნახა, ჩემ გარდა? – ღიმილით იკითხა ნიკუშამ. მას ნაკლებად აღელვებდა ნახატის ბედი. მთელი არსებით დედასთან მყოფმა წარმოიდგინა, რომ ისევ პატარა იყო. სიხარულით, მომავლის იმედით, რწმენით სავსე. თან, საკუთარი სიჯიუტე უკვირდა – როგორ შემეძლო, ამდენი წლის განმავლობაში ამ ქალისგან შორს ვყოფილიყავიო.

– რატომ – ახლა, რატომ, როცა ჩემი შვილი უკვე ჩემ გვერდით არის და აღარაფერზე აღარ უნდა მენერვიულა?

– რატომ ნერვიულობ? დიდი რამე ერთი ნახატი! – ანგარიშმიუცემლად წამოიძახა ნიკუშამ.

ჟანმა შეხედა და გაიცინა.

– უცნაურია! რა სწრაფად იცვლებიან ადამიანები! უფრო სწორად, იმის თქმა მინდოდა, რა მალე შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი, თანაც – რა ადვილად.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ელენემ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული და თვალებიც დაწითლებული ჰქონდა ტირილისგან.

– ნიკუშა ძალიან კარგი ადამიანია. არაჩვეულებრივი შვილი გყავს. კიდევ ვის შეუძლია, ორმილიონიან ნახატზე ასე მშვიდად და გულგრილად ილაპარაკოს?

– რას ამბობ, ჟან? – ელენემ ხელები გაასავსავა, – საშინლად განვიცდი ამას. ვერაფრით მოვინელებ ამ ამბავს. სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ!

– პოლიციას დაურეკე?

– არა. ისე დავიბენი... მე ხომ საკმაოდ გვიან აღმოვაჩინე, რომ ნახატი თავის ადგილას აღარ ეკიდა. თქვენც გელოდებოდით და... ერთი სიტყვით, ჯერაც ვერ გამოვედი შოკიდან. ნიკუშა, შვილო, მაპატიე... ამდენი წელი ველოდი ამ დღეს, ისე ველოდი, რომ არ მჯეროდა, ოდესმე თუ დადგებოდა. ახლა ჩემთან ხარ, ჩემზე ბედნიერი არავინ უნდა იყოს. მე კი ცრემლების ფრქვევით დაგხვდი.

– ამასაც არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, მთავარია, რომ ჩამოვედი. ახლა, ყველა ჩემს კითხვას გაეცემა პასუხი.

ელენე შეკრთა, მაგრამ მანამ აიყვანა თავი ხელში, სანამ ნიკუშა რამეს შეამჩნევდა. პრინციპში, სანერვიულო რეალურად ჰქონდა და შეეძლო, ნახატის დაკარგვით გამოწვეული უარყოფითი ემოციისთვის დაებრალებინა თავისი მღელვარება.

– მართლა ორი მილიონი ღირს ის ნახატი? – იკითხა უცებ ნიკუშამ.

– ჰო, – მშვიდად მიუგო ჟანმა, – დიდი შანსია, უფრო მეტადაც გაიყიდოს. აუქციონზე გასატანი პირველადი ფასია ორი მილიონი.

ნიკუშამ წაუსტვინა:

– სერიოზული ქონება ყოფილა! ვერსიები არის?

ჟანი ცოლს მიუბრუნდა:

– საყვარელო, შეგიძლია, დეტალები გაიხსენო?

– ვეცდები... – ელენემ შუბლზე მოისვა ხელი, – პრინციპში, გასახსენებელი არც არაფერია. დილით ავდექი, ვისაუზმე... – ქალი ჩაფიქრდა, – მერე ცოტა გავისეირნე, თქვენს ჩამოსვლამდე დრო ხომ უნდა გამეყვანა როგორმე. დავბრუნდი და... – ელენემ დაცარიელებული კედლისკენ გაიხედა და ამოიოხრა, – ცუდად ვხდები, როცა ვრწმუნდები, რომ იქ აღარ კიდია.

– რამდენ ხანს სეირნობდი? – ჟანმა ყურადღებით შეხედა კედელს.

– არ მახსოვს, შეიძლება, თხუთმეტი-ოცი წუთი. შორს არსად წავსულვარ, აქვე, პარკში ჩავედი.

– გაინტერესებს, რამდენი დრო ჰქონდა ქურდს? – დაინტერესდა ნიკუშაც, – გამოძიება საკმაოდ აზარტული გასართობია. მაგრამ, ხომ არ აჯობებს, ეს საქმე პროფესიონალებს მივანდოთ?

– არავითარ შემთხვევაში, ამის წინააღმდეგი ვარ! – გაცხარდა ელენე, – არ შემიძლია და არ მინდა, პოლიციელები ავიტანო ჩემს სახლში. ამას ვერ გავუძლებ, სიმშვიდე მჭირდება! ჯერ ჩემს შვილს ნორმალურადაც კი არ დავლაპარაკებივარ. თუ აქ პოლიციელებმა შემოყვეს ცხვირი, სიმშვიდეს ვერც ერთი ვეღარ ვეღირსებით. ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდება! მით უმეტეს, რომ ასეთი ცნობილი ოჯახია...

– ჰო, მაგაზე კი აღარ მიფიქრია. კარგია, რომ ჟურნალისტებს ჯერ არ გაუგიათ ეს ამბავი.

– ოი, ღმერთო! ჟურნალისტები საერთოდ არ გამახსენდა. დავიღუპებით, თუ ეგენი შემოგვესევიან. არა, არა, სიმშვიდე ძალიან ძვირი მიღირს!

– როგორი ძვირი – ორი მილიონი დოლარი? – გაიღიმა ნიკუშამ.

– როცა საქმე შენს სიმშვიდესაც ეხება, შვილო, მაშინ ორი მილიონიც, – წარბი არ შეიხარა ელენემ.

ჟანმა ფინჯანი გადადგა და წამოდგა. ჯერ წინ და უკან დადიოდა. მერე ცოლთან მივიდა და თვალებში ალერსით ჩააცქერდა:

– საყვარელო, ხომ ხვდები, რომ ამ ამბავს ასე ვერ დავტოვებთ? იმიტომ არა, რომ ბევრი ფული ჩემთვის რაღაცას ნიშნავს – უკვე გითხარი, რომ შენ გაცილებით მეტად მიღირხარ, მაგრამ, უნდა გავიგო, ვინ იქურდა ჩვენს სახლში. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ამას უცხო არ გააკეთებდა.

ელენე გაფითრდა:

– რისი თქმა გინდა ამით?

– საყვარელო, ხომ ამბობ, სახლიდან ოციოდე წუთით გავედიო?! ქურდს ან ქურდებს ეს დრო ნამდვილად არ ეყოფოდათ, ამ ოთახში შემოეღწიათ და ნახატი მოეპარათ.

– ვერ დაგეთანხმები, – თავი გააქნია ნიკუშამ, – მე ამაში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ, ვფიქრობ, პროფესიონალ ქურდს ოცი წუთი ეყოფოდა კი არა, დროც დარჩებოდა ფინჯანი ყავის დასალევად.

– მით უმეტეს, რომ არ ვიცით, ნახატი ზუსტად როდის მოიპარეს. იქნებ ეს ღამით გააკეთეს? – მხარი აუბა შვილს ელენემ.

– რას ნიშნავს – ღამით?

– იმას, რომ მე დილით კედლისთვის საერთოდ არ შემიხედავს. ამიტომ, არ ვიცი, როცა ავდექი, ნახატი აქ იყო თუ არა. მხოლოდ სეირნობიდან დაბრუნებულმა აღმოვაჩინე.

– ეს საქმეს ართულებს, მაგრამ ქურდი ღამით ხმაურს გამოიწვევდა. ასე არ ფიქრობ? – ჟანი ცდილობდა, ცოლისგან მეტი ინფორმაცია მიეღო.

– ჟან, მომისმინე! ფაქტია, რომ სურათი გაქრა. ერთადერთი, რის თქმაც შემიძლია, არის ის, რომ წინა დღეს აუქციონიდან დამირეკეს. მთხოვეს, არა, კი არ მთხოვეს, მომთხოვეს, სურათი აუქციონზე გამეტანა, მგონი, იმ ვიღაც შეშლილი კოლექციონერის გამო. იქნებ, ეს ყველაფერი იმან მოაწყო?.. ხომ იცი, კოლექციონერების ამბავი!..

– გამორიცხული არაფერია. ამიტომაც არის საჭირო პოლიციის ჩარევა. ელენ, მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ და ნიკუშა ქალაქგარეთ გაემგზავრეთ, ამას კი მე მივხედავ.

– არ გამოვა. პოლიცია ჩემთან შეხვედრასაც მოინდომებს. არ გამოვა სხვანაირად. არ იცი, პოლიციელები როგორები არიან?

– მე გავცემ პასუხებს, მე დაველაპარაკები. ვითომ შენ აქ საერთოდ არ ყოფილხარ.

– არა, რაღაც შეგეშლება და ეჭვი გაუჩნდებათ. დამიჯერე, პრობლემებს შევიქმნით, თანაც, სერიოზულ პრობლემებს.

– მაშ, რა ვქნათ, ხელი ჩავიქნიოთ და ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის? შეველიოთ ნახატს? ეს შენი გადასაწყვეტია, საყვარელო, მხოლოდ შენი, იმიტომ, რომ ნახატი შენ გეკუთვნის.

– მართალია, მაგრამ ძალიან გამიჭირდება იმასთან შეგუება, რომ პოლიციელებმა თავისი კითხვებით უნდა ამომხადონ სული. შენც ხომ არ დაუშვებ ამას?

– მაშინ, ჯანდაბას, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს და ჩვენი გეგმები დავაწყოთ.

– რა ვქნათ, ნიკუშა?

ნიკუშამ ხელები გაშალა:

– იცი, გამიჭირდება რამის თქმა. ცოტა რთულია სხვის მილიონებზე ლაპარაკი.

– რატომ – სხვისი? ყველაფერი, რაც ჩემია, შენიც არის. უფრო მეტიც – სულ შენია, შვილო, მე უკვე აღარაფერი მინდა, შენთან ყოფნის გარდა.

– მაშინ, მეც ჟანს ვეთანხმები იმაში, რომ პოლიციის გარეშე ეს საქმე არ ჩაივლის.

– ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობს?

ჟანმა თავი გადააქნია:

– ვშიშობ, რომ არა. თანაც, რაც მალე დავურეკავ პოლიციას, მით უკეთესი! დრო არ უნდა დავკარგოთ, – ჟანი კარისკენ გაემართა.

– იქნებ, ჟურნალისტები მაინც არ აგეკიდონ! – სიტყვა დააწია ელენემ.

– ვეცდები, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემ. ხომ იცი, ასეთი ამბები როგორი სისწრაფით ვრცელდება? გპირდები, რომ ჩემი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებ, რისი შესაძლებლობაც კი იქნება....

***

... ლევანს შეეძლო, ესარგებლა დროებითი „ტაიმაუტით“ და დაესვენა, ანუ, მხოლოდ თავის საქმეებზე ეფიქრა – სამინისტროს საქმეებზე. პრობლემები აქაც ჰქონდა, მაგრამ ამაზე ნაკლებად ღელავდა: „დიდი-დიდი, მომხსნან, სხვას რას მიზამენ? იმ ფონზე, რაც ქვეყანაში ხდება, ამას როგორმე გადავიტან, მთავარია, ის საქმე გამომივიდეს. რა ყრია ამ ჩემს თანამდებობაში? – არც არაფერი. ზოგს ჰგონია, რომ მილიონებს ვშოულობ. მაგრამ, მე ხომ

ვიცი, რისი პატრონიც ვარ? მგონი, მირჩევნია, იმ მილიონებს მივხედო. არავინ იცის, კიდევ რა მოხდება, იქ კი ვერავინ შემედავება. მით უმეტეს, თუ ნიკუშას ნებით მოხდება ეს ყველაფერი. ჭკვიანურად უნდა ვიმოქმედო. იქნებ, იქაც ჩავფრინდე, მასთან. ვნახოთ. ჯერ ცოტას კიდევ დავიცდი...“

მდივანმა მორიდებით შემოაღო კარი:

– ბატონო ლევან, თქვენი მეუღლეა.

– ჩემი მეუღლე? თიკა? აქ არის?

– დიახ. ჩემს ოთახში გელოდებათ!

– შემოვიდეს, შემოვიდეს...

მდივანი შეყოყმანდა.

– რა მოხდა, რისი თქმა გინდა? – ჩაეკითხა ლევანი.

– ბატონო ლევან, ჟურნალისტიც რომ გელოდებათ? ერთი საათია, აქ არის და ფეხს არ იცვლის. როგორ მოვიქცე?

– ჩემი ცოლი შემოვიდეს, იმ ჟურნალისტს კი უთხარი, რომ არანაირ საკითხზე კომენტარს არ ვიძლევი. პრესაა თუ ტელევიზიიდან არიან?

– მგონი, პრესიდან უნდა იყოს, ზუსტად არ ვიცი.

– რა უნდა მაგის მიხვედრას... – გაბრაზდა ლევანი, – ამდენი ხანია ჟურნალისტებთან გაქვს ურთიერთობა და მაინც ვერაფერი ისწავლე. კამერას ხედავ?

– იცით, ბატონო ლევან...

– „ბატონო ლევან“, „ბატონო ლევან“... რომ მომჩერებიხარ ბატივით! გეკითხები, კამერას ხედავ-მეთქი?

– ააარა! მგონი, ოპერატორი არ ახლავს... – დაიბნა ქალი.

– მიკროფონი თუ უჭირავს ხელში, მიკროფონი? – ხუმრობის გუნებაზე დადგა ლევანი, – ჰო, კარგი, როგორმე მოიშორე, ძალიან გთხოვ! ახლა ინტერვიუს ნერვები არ მაქვს, მით უმეტეს, პირად საკითხებზე. თიკა კი შემოვიდეს.

– თქვენი მეუღლე იმ გოგოს ელაპარაკება...

– ო, ღმერთო! მაინც რა შტერი ხარ. რატომ მიეცი ამის საშუალება, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი როგორ არის? – ლევანმა კარი გააღო, მდივნის ოთახში გავიდა და ცოლს სწორედ იმ მომენტში მიუსწრო, როცა თიკა გააფთრებით იგერიებდა ჟურნალისტის შეტევას.

– აბა, აქ რა ხდება? გოგონა, რატომ შემოიჭერით ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე დაუკითხავად? შემითანხმდით ინტერვიუზე? არ შემთანხმებიხართ. ახლა კი, მიბრძანდით აქედან, ძალიან გთხოვთ და ჩემს მეუღლესთან დალაპარაკების საშუალება მომეცით.

– სწორედ თქვენს მეუღლესთან მინდა ინტერვიუ. უფრო სწორად – ორივესთან და, აქედან მანამ არ წავალ, სანამ თანხმობას არ მივიღებ, – გაჯიუტდა ჟურნალისტი და ლევანს გამომწვევად დაუდგა წინ. ლევანმა წარბშეკვრით შეხედა გაჯიუტებულ გოგოს და უცებ მოლბა.

– კარგი, მოგცემთ ინტერვიუს, ოღონდ, ახლა არა და აქ არა. თქვენ ისეთი თემა გაქვთ, ოჯახური გარემო სჭირდება. ამიტომ, ჩვენთან მობრძანდით, თან ყავას დავლევთ და თან ყველა კითხვაზე გაგცემთ პასუხს.

თიკამ გაოცებით შეხედა ქმარს. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლევანმა ანიშნა, მაცადეო.

– ძალიან კარგი! მეც სახლში მოსვლა მირჩევნია, – გაიბადრა ჟურნალისტი, რომელიც ვერ მიხვდა ლევანის ეშმაკობას. შეიძლება, ვერც წარმოიდგენდა, რომ მინისტრი ასე ბოროტად გაეხუმრებოდა.

– მე მისამართს მოგცემთ. ჩაიწერთ?

ჟურნალისტმა ბლოკნოტი მოიმარჯვა. ლევანმა მისამართი უკარნახა, ისე, რომ ცოლისთვის არ შეუხედავს და გოგონა გასასვლელამდე მიაცილა. უკან მობრუნებულს სახე შეკავებული სიცილისგან ჰქონდა აჭარხლებული.

თინიკო მაშინვე ეცა:

– გაგიჟდი? ვისი მისამართი მიეცი?

– ვისი და ვახოსი. არაფერი დაუშავდება, ცოტას გაართობს, – ლევანი უკვე ხმამაღლა ხარხარებდა.

– ბავშვივით იქცევი! – უსაყვედურა ცოლმა.

– მერე რა, ზოგჯერ ბავშვივით მოქცევა სულაც არ არის საზიანო. პირიქით, რელაქსაციის ერთ-ერთი საშუალებაა. კარგი, რა თინი, რისთვის მსაყვედურობ? აბა, ისე მაგას თავიდან ვერ მოვიშორებდით და, გინდოდა, ინტერვიუს მიცემა?

თინიკომ თავი გადააქნია:

– არა, მაგრამ ასეც არ შეიძლება.

– კარგი, რა! არაფერი მომხდარა, ვახო არ შეჭამს. დიდი-დიდი – გაეთამაშოს. ამ ბოლო დროს ისეთი მუსუსი გახდა, შინაურს და გარეულს აღარ ინდობს. სულ არ გამიკვირდება, თუ მისკენაც წაუცდება ხელი.

– სულაც არ არის სასაცილო, – თინიკომ არ გაიზიარა ქმრის მხიარულება, – რა გამოდის, ვახოს სამაგიერო გადაუხადე თუ რაშია საქმე? თანაც ჟურნალისტების გადაკიდებაც არ არის გონივრული საქციელი.

– გადაკიდებაო, ისე ამბობ, თითქოს ვცემე და ისე გავუშვი. უბრალოდ, ვეხუმრე. თუ ის გოგო აცრილია ხუმრობაზე, ცოტა ეწყინება. თუ არა, მაშინ, პირიქით – გაუხარდება ვახოს გაცნობის შანსი რომ მიეცა.

– იცი, რაღაც ვეღარ გცნობ, – ეჭვით შეხედა ქმარს თინიკომ, – ძალიან ცელქობ. ასეთი რამ ადრე არ გიქნია.

– რას იზამ, ჩემო თინიკო, დრო მიდის და რაღაც-რაღაცეები იცვლება. მაგრამ შენ გულთან ახლოს ნუ მიიტან ამ ამბავს. შენთვის ისევ ის ლევანი ვიქნები.

– ჰოო? მე ცოტა უკეთესის იმედი მქონდა, – ეშმაკური ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა. ლევანი მიუხვდა, ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

– ყველაფერი კარგად იქნება, მე ხომ დაგპირდი!

– იცი, ძალიან მინდა, აქაც არ მუშაობდე. პატარა ბიზნესი გქონდეს და ჩვენთვის, შეუმჩნევლად ვცხოვრობდეთ.

– მეც მინდა. როგორ გგონია, რატომ ვიკლავ იმ ნახატისთვის თავს? მასში აღებული ფული მშვიდად შემიძლია მოვიხმარო და ვერც ვერავინ შემედავება.

– ის ნახატი ჩვენ არ გვეკუთვნის, მამაჩემმა აჩუქა ნიკუშას დედას.

– კარგად თქვი, მამაშენმა აჩუქა. ესე იგი, თავიდან მამაშენის საკუთრება იყო. ამიტომ მისი გაყიდვიდან აღებული თანხის ნახევარი მაინც მას ეკუთვნის, შენ კი მამაშენის მემკვიდრე ხარ. ასე, რომ, ყველაფერი კანონიერად მოხდება.

– ლევან, შენ თვითონ თუ გჯერა ამის?

– მე?! რა თქმა უნდა! მით უმეტეს, თუ მამაშენს იმის მტკიცებულებაც აქვს, რომ სურათი მას ეკუთვნოდა, მაგრამ, მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ნიკუშა თვითონ დამიკავშირდება, როგორც კი სურათი გაიყიდება, აი, ნახავ!

– საერთოდ რომ არ გაყიდოს? – ჰკითხა თიკამ და ქმარს გამომცდელად შეხედა.

– რატომ არ უნდა გაყიდოს, რომელი კოლექციონერი ეგ მყავს, რომ საძინებელში დაიკიდოს და მისი ცქერით დატკბეს? – გაეღიმა ლევანს.

– შენ გავიწყდება, რომ გადაწყვეტილებებს ჯერ კიდევ დედამისი ელენე იღებს. იქნებ, ის ქალი სულაც არ აპირებს სურათთან განშორებას?

– კარგი, რა თინი, რა დროს სენტიმენტებია, როცა ორ მილიონ დოლარზეა ლაპარაკი!

– ამასაც ნუ იტყვი. ზოგჯერ მოგონებები მილიონებზე ძვირფასია.

– აუუ! ახლა არ მითხრა, რომ ელენეს ისევ უყვარს მამაშენი, თორემ, სიცილით ჩავბჟირდები.

– ვითომ რატომ? – ეწყინა თიკას.

ლევანი ცოლს მიეფერა:

– ნუ იბუსხები, რა, საწყენად არ გეუბნები. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მამაშენის შეყვარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

– რას ამბობ, იცი, ახალგაზრდობაში როგორი სიმპათიური იყო?!

ლევანს გაეცინა ცოლის გულუბრყვილობაზე.

– ეგ არაფერ შუაშია. სიმპათიურები არ არიან, მაგრამ, მაინც უყვართ. მამაშენს რაღაც ისეთი აქვს, რაც ადამიანებს აფრთხობს.

– ის მაინც მამაჩემია. – ჩაილაპარაკა თინიკომ და თვალები ცრემლით აევსო.

– ვიცი, ამიტომაც არის წყნეთში, სავარძელში ნებივრად მოკალათებული და ციხეში არ ზის. მარტო შენ უნდა გიმადლოდეს იმასაც, რომ, რაც ეს ქვეყანა ღლიტა, შევარჩინეთ.

თინიკომ იგრძნო, რომ საუბარი სახიფათო მიმართულებას იღებდა და, რადგან ქმართან დამთბარი ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა, უკან დახევა არჩია. ტონი შეცვალა და ქმარს მხარზე მიეხუტა:

– ისე, აქ მამაჩემზე სასაუბროდ არ მოვსულვარ. იმიტომ შემოგიარე, რომ სადმე გაგვევლო. მოდი, ჩვენ საყვარელ რესტორანში წავიდეთ, ან კინოში.

ლევანი დაფიქრდა:

– მე უკეთესი ვარიანტი მაქვს – ჩინური რესტორნიდან სახლში წავიღოთ საჭმელი. კარგი ფილმიც ვიყიდოთ და საღამო მშვიდად გავატაროთ. სიმართლე რომ გითხრა, შენ მეტი არც არავინ მჭირდება.

თინიკომ კმაყოფილებით გაიღიმა:

– ძალიან კარგი, წავიდეთ. მეც შემიყვარდა სახლში ყოფნა.

სუფრა საოჯახო კინოთეატრის წინ, ხალიჩაზე მდგარ დაბალ მაგიდაზე გაშალეს. თინიკომ სანთლებზეც იზრუნა, და, სინათლე რომ ჩააქრო, ოთახს საოცარი სურნელი მოეფინა.

– რა კარგია! – თქვა ლევანმა, – მაგრამ, საყვარელო, ხომ არ გამიბრაზდები, თუ ჯერ საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებ? კიდევ ორმოცი წუთი ამიტანე, სახელმწიფო მოხელის როლში და გპირდები, მერე მოლოდინს არ გაგიცრუებ.

თინიკომ ყასიდად ამოიოხრა:

– რა ვქნა, უარს ვერ გეტყვი. დღეს მეტისმეტად დამთმობი ვარ. ოღონდ, სინათლეს ავანთებ, თორემ საინფორმაციო გამოშვება და სურნელოვანი სანთლები, ერთმანეთთან სრულ კონტრასტშია.

ლევანმა საფერფლე ახლოს მიიჩოჩა, ტელევიზორს ხმა მოუმატა და სიგარეტს მოუკიდა. პირველმა ორმა სიუჟეტმა ნაკლებად დააინტერესა. სამაგიეროდ, უცებ ისეთ რამეს მოჰკრა თვალი, ტუჩებთან მიტანილი სიგარეტიანი ხელი გაუშეშდა და მთელი ხმით იყვირა:

– თინიკო, მოდი აქ, ჩქარა!

სხვა გამოსავალი არ მაქვს, ისევ კორიდას უნდა დავუბრუნდე. ტრიბუნაზე ჩემი ადგილი დავიკავო და არენისკენ მივმართო ჩემი ყურადღება. ტყუილად წუწუნებთ და ყასიდად აქნევთ თავს. ზუსტად ვიცი, რომ ძალიან კმაყოფილები ხართ იმით, სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის შესაძლებლობა რომ მოგეცათ. თუმცა, კორიდას მაინც აქვს განსხვავებული ხიბლი. არენაზე ყველაფერი მაყურებლისთვის კეთდება, რადგან სწორედ მაყურებლის ოვაციებია მატადორის დაფნის გვირგვინი. ამიტომაც მიდის რისკზე, თორემ, გავეშებულ ხარს რომელი ჭკუათმყოფელი აუფრიალებს წითელ ქსოვილს ცხვირწინ და უარესად რომელი სულელი გააგიჟებს – აჰა, მოდი და შენს რქებზე წამომაგეო. ისე კი, გულახდილები რომ ვიყოთ და ერთხელ მაინც, თუნდაც გამონაკლისის სახით, ვაღიაროთ, ჩვენ რა გვამოძრავებს, როცა თავად მის უდიდებულესობა, ბედისწერას ვიწვევთ არენაზე ორთაბრძოლაში, აღმოჩნდება, რომ არაფრით განვსხვავდებით მატადორისგან. ჩვენც ხომ დაფნის გვირგვინისთვის ვდებთ სასწორზე საკუთარ სიცოცხლეს, ზოგჯერ ღირსებასაც კი და სულგანაბულები ველით მაყურებლის ოვაციას...

***

ლევანს მინერალური წყალი გადასცდა და ხველა აუტყდა. ერთი ხელი მკერდზე ჰქონდა მიჭერილი, მეორეს ტელევიზორისკენ იშვერდა და ცოლს რაღაცას ანიშნებდა. თიკაც გაოცებული მიაშტერდა ეკრანს.

– წარმოუდგენელია... ვერ ვიჯერებ! ლევან, შენც იმას ხედავ, რასაც მე, თუ მეჩვენება?

– მიდი, ხმას აუწიე! – ამოიხრიალა ლევანმა, როგორც კი სული მოითქვა.

– პულტი შენ გაქვს და შენ აუწიე! ეს არის ელენე? ლამაზი ქალი ყოფილა, ძალიან ლამაზიც კი...

– რა დროს ეგ არის, გამაგიჟებ შენ მე! ელენეს სილამაზე რა შუაშია, ინფორმაციას უსმინე!.. – ლევანმა ტელევიზორს ხმა მოუმატა...

„ ...დაკარგულია ავტორის ადრეული პერიოდის ტილო, რომლის სავარაუდო ფასად ექსპერტები სამ მილიონ დოლარს ასახელებენ. პოლიცია ვარაუდობს, რომ მძარცველი საგანგებოდ მის მოსაპარავად შევიდა ბინაში. ამ ეტაპზე ეჭვმიტანილი არ არსებობს...“ – ემოციის გარეშე ყვებოდა რეპორტიორი და „მშრალ“ ფაქტებს გადმოსცემდა.

თინიკომ ქმარს შეხედა და შეშფოთდა:

– რა სახე გაქვს, ლევან? ერთიანად გაფითრდი, ცუდად ხომ არ ხარ?

– შენი აზრით, კარგად უნდა ვიყო? ვერ ხვდები, რა მოხდა? ჩვენი ნახატი დაიკარგა, მოიპარეს... გაფრინდა ჩვენი მილიონები! სრულ ჭკუაზე რომ ვარ და არ ვგიჟდები, არ გიკვირს?

თინიკომ ქმრის დამშვიდება სცადა:

– ჯერ ერთი, არც ნახატი და არც მილიონები ჩვენი არ ყოფილა და, საერთოდაც, მიმაჩნია, რომ...

ლევანი შეშლილივით წამოხტა ფეხზე და ქალს უყვირა:

– ფეხებზე მკიდია, შენ რა გგონია! გესმის? საერთოდ არ მაინტერესებს შენი იდიოტური არგუმენტები! ყველაფერი წყალში ჩამეყარა, მთელი გეგმები, იმედები!.. ვცოფდები, ასე მშვიდად რომ ხარ და ისე მიყურებ, თითქოს ეს ამბავი შენ საერთოდ არ გეხებოდეს!

– იქნებ, ასე უკეთესიც იყოს, – ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა თიკამ. ლევანი გაშრა. გაჩუმდა და გაოცებული მიაშტერდა, მერე ერთბაშად იფეთქა:

– რა უნდა იყოს უკეთესი, შენ ხომ არ გაგიჟდი? ჰმ, ცოლიც ამას ჰქვია!.. გესმის, რამდენი ფული დავკარგეთ, გესმის?

– ნუ ყვირი, ყრუ არ ვარ, – მშვიდად თქვა თინიკომ და სახეში შეხედა, – ისე ამბობ, დავკარგეთო, თითქოს იმ მძარცველს ჩვენი სახლიდან მოეპაროს ნახატი. რამე რომ დაკარგო, ის ჯერ უნდა გქონდეს.

– გაჩუმდი, გაჩუმდი, ნერვებს მაინც ნუღარ მიშლი! სამი მილიონი დოლარი... ღმერთო! – ლევანი ისევ ტელევიზორს მიაშტერდა, სადაც უკვე სხვა სიუჟეტი გადიოდა, – კიდევ ერთხელ უნდა მოვუსმინო, მაგრამ როგორ? – საათზე დაიხედა და გადამრთველს მივარდა, – იქნებ აქაც თქვან რამე...

– ძალიან სასაცილო ხარ... – სევდიანად გაიღიმა თიკამ, – ისეთი სასაცილო, რომ ტირილი მინდა.

– ჰო, არა?! ტირილი მაშინ მოგინდება, ფულს თვლას რომ დაუწყებ, – გესლიანი ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა ლევანმა, – შენ ის ქალი არ ხარ, უკანმოუხედავად რომ ხარჯავ ათასებს, თუ, მეშლება? როგორ გგონია, მამაშენის სკივრიდან გაძლევ მწვანე დოლარებს?!

– არ არის პრობლემა, მაგდენს აღარ დავხარჯავ...

– რას მეუბნები?! მართლა აღარ დახარჯავ? – დასცინა კაცმა და სიგარეტს დაუწყო ძებნა, – აღარ დახარჯავს, თურმე... სალონშიც აღარ წახვალ? მასაჟსაც აღარ გაიკეთებ? უცხოეთში დასასვენებლად წასვლაზეც უარს იტყვი? მე სულ მინისტრი კი არ ვიქნები. შვილი გეზრდება, იმაზე მაინც რატომ არ ფიქრობ? თან, კიდევ რომ აპირებ გაჩენას... მაგრამ, სპეციალურად მიშლი ნერვებს! ოღონდ მე მავნო და საკუთარ ინტერესებსაც ფეხებზე იკიდებ. რა უნდა გელაპარაკო, სულ ტყუილად მპირდებოდი, რომ ყოველთვის ყველაფერს გამიგებდი.

– მე მინდა, რომ გაგიგო და ვცდილობ კიდეც ამას. მართლა ვცდილობ, მაგრამ არ შემიძლია ვუყურო, როგორ ემსგავსები იმას! – ცრემლნარევი ხმით შეჰყვირა თიკამ.

– ვის ვემსგავსები, მაგით რისი თქმა გინდა?

– ვის ემსგავსები და მამაჩემს! დიახ, რას მომაშტერდი! მამაჩემივით გაგიჟებს ფული და ამ ფულისთვის ყველაფერზე ხარ წამსვლელი!

ლევანი შედგა:

– მამაშენი... როგორ არ ვიფიქრე... მამაშენი... ჰო, რა თქმა უნდა, ფულისთვის ყველაფერზეა წამსვლელი... როგორ არ გამახსენდა...

თინიკო ვერ მიხვდა, რა იგულისხმა ლევანმა და გაუმეორა:

– დიახ... და შენც ზუსტად მისნაირი ხარ. მე კი ეს არ მინდა, მე სხვანაირი ლევანი შევიყვარე. ან, იქნებ, ყოველთვის ასეთი იყავი და ვცდებოდი?!

მაგრამ ლევანი ცოლს აღარ უსმენდა. სიგარეტი ჩაუქრობლად მიაგდო საფერფლეზე, მობილური ჯიბეში ჩაიტენა და შემოსასვლელში ქურთუკის ასაღებად გაიქცა, თან, გზადაგზა ბურტყუნებდა:

– თუ ეს მისი ჩადენილია, თუ ეს მისი ნახელავია, ვაიძულებ, სიმართლე აღიაროს. ჩემთან თავისი „ნომრები“ არ გაუვა. კიდევ არ იცის, ვისთან აქვს საქმე...

– მოიცადე, სად მიდიხარ? – თინიკომ საკიდიდან პალტო ჩამოგლიჯა და ქმარს გამოედევნა...

***

დათოს ჩვევად ჰქონდა, სჭირდებოდა თუ არ სჭირდებოდა, უყურებდა თუ არ უყურებდა, ტელევიზორი ჩართული უნდა ჰქონოდა, ცოლთან ხშირად მოსვლია დავა ამის გამო ნათიას

განსაკუთრებით რეკლამები აღიზიანებდა, სულ იმას ეჩხუბებოდა ქმარს, ხმას მაინც ჩაუწიეო. დათოსთვის შვება იყო, თუ სახლში იმ დროს შევიდოდა, როცა ნათიას უკვე ეძინა. ტელევიზორის წინ, დივანზე ნებივრად მიწოლილი სიმშვიდით ტკბებოდა. თუ ჩაეძინებოდა, ესეც არ იყო პრობლემა – „ჭკვიანი“, „ერთგული“ ყუთი თვითონ გამორთავდა საკუთარ თავს. იმ საღამოსაც ძილ-ბურანში იყო, როცა ეკრანზე ქალის ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი. ჯერ იფიქრა, ეტყობა, მძინავს და სიზმარს ვხედავო, მერე მიხვდა, რომ თვალებგახელილი სიზმარს ვერ ნახავდა და საბოლოოდ გამოფხიზლებული გადამრთველს ეცა. სიუჟეტის „კუდსღა“ მიუსწრო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ახალი ამბავი მთელი თავისი სისრულით რომ აღექვა. გაოგნებულმა სახე მოიფშვნიტა და, პირველი, რაც გაახსენდა, ტელეფონი იყო. ვახომ რამდენიმე ზარის შემდეგ უპასუხა. ნამძინარევი ხმა ჰქონდა:

– ჰო, რომელი ხარ?

– დათო ვარ. შენ რა, გეძინა? ჯერ თორმეტი საათიც არ არის.

– ვაა, შენ რა გინდა, ტოო!.. როცა „ხოში“ მაქვს, მაშინ მძინავს. ახლა ეგეც ამიკრძალეთ შენ და შენმა იდიოტმა ძმაკაცმა. სინდისი სუფთა მაქვს და მძინავს. ეგ თქვენ ფიქრობთ, რომ ცოდვები არ უნდა მაძინებდეს, მაგრამ, ვერ მოგართვით. ისე არ არის საქმე, თქვენ რომ გგონიათ, არა!

დათომ გაკვირვებით დახედა მობილურის ეკრანს, რომ დარწმუნებულიყო, მართლა იმ ვახოსთან რეკავდა თუ არა.

– რა ცოდვები, რას მიედ-მოედები? მთვრალი ხარ, ტო?!

– მთვრალი არა, ნასვამი! კარგი ქენი, რომ დამირეკე. მაინც მინდოდა შენი ნახვა, – ჩაიღრინა ვახომ.

– მაშინ, მოდი! ეტყობა, არაფერი იცი. მაგარი რაღაც მოხდა.

– რაც ვიცი, ისიც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ თავ-პირი დაგინაყო, მაგრამ საკუთარი ცოლის თვალწინ ვერ გცემ, ამიტომ, მირჩევნია, შენ მოხვიდე.

დათოს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია მეგობრის სიტყვებისთვის. ნამძინარევი ვახო ყოველთვის გამოირჩეოდა აგრესიულობით – ეს მისი ერთ-ერთი უარყოფითი თვისება იყო. ამიტომ მაშინვე დაეთანხმა:

– კარგი, მოვალ. მაგრამ, რომ იცოდე, ნათია არ არის სახლში, დედამისთან დარჩა.

– მით უმეტეს, უფრო არავინ შემიშლის ხელს, – ჩაიღრინა ვახომ.

– რომ გაიგებ, რა მქონდა სათქმელი, აღარ გამიბრაზდები, – გაიცინა დათომ.

– ჰო, კარგი, მოდი და აქ ვილაპარაკოთ, – ვახომ ყურმილი დაკიდა...

***

ლევანი კაბინეტში შეუვარდა სიმამრს და მაგიდაზე დაურტყა მუშტი:

– აჰა! ვიცოდი, რომ ისე არ გაჩერდებოდი, მაგრამ, ამდენს თუ შეძლებდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. გინდოდა, ჩვენ მშრალზე დაგეტოვებინეთ და იფიქრე, რომ ვერაფერს მივხვდებოდი?!

ზურაბი სავარძელში თვლემდა და სიძის შემოჭრამ დააბნია:

– რა, რა მოხდა... რომელი საათია?

– ტკბილი ძილი დაგიფრთხე, არა?! ისე გაქვს სინდისი დამძიმებული, საერთოდ ვერ უნდა იძინებდე, მაგრამ ამას შუბლის ძარღვი სჭირდება, რომელიც შენ არ გაგაჩნია!

ზურაბი ასადგომად წამოიწია.

– რა ამბავში ხარ, ბიჭო. რა უფლება გაქვს, სახლში რომ შემომივარდი და ყვირილსაც მიბედავ? ჩემი შვილის ქმარი ხარ, მაგრამ ამას შვილსაც ვერ ვაპატიებ. ან ტონი შეცვალე, ან წადი აქედან! – ზურაბს უნდოდა ეთქვა, წაეთრიეო, მაგრამ სითამამე არ ეყო, სიძესთან ზღვარს მაინც არ გადავიდა. თუმცა, გამაფრთხილებლად მუშტი მაინც შეკრა და სავარძლის საზურგეს დაეყრდნო.

ლევანმა კბილები გააღრჭიალა:

– შენ მოიპარე, ხომ ასეა?

– რა? რას ამბობ, ვერაფერი გავიგე! – ზურაბს სახეზე განცვიფრება გამოესახა.

– რომ არ გიცნობდე, დავიჯერებ, რომ მართლა არ იცოდი, – ირონიულად ჩაისისინა ლევანმა, – მშვენივრად გეხერხება თამაში. კარგი მსახიობი ხარ, მაგრამ არც მე ვარ შენზე ნაკლები. ვნახე თუ არა სიუჟეტი, მაშინვე ვერა, მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, ვისი ნამოქმედარი შეიძლებოდა ყოფილიყო. ქურდობა შენი ხელობაა – მთელი ცხოვრება ამის მეტს არაფერს აკეთებდი. შენი შვილიც აქ არის, ჩემთან ერთად მოვიდა. მიდი, აუხსენი, რომ ეს მის საკეთილდღეოდ გააკეთე. მოატყუე, თუკი შეძლებ!

– გეყოფა! – ვეღარ მოითმინა ზურაბმა, – გისმენ და ვერაფერი გავიგე, აბსოლუტურად ვერაფერი, რას მიხვდი და რაში მდებ ბრალს, წარმოდგენა არ მაქვს. ჩემთვის მეძინა და შუაღამისას შემომივარდი. თუმცა, ასეთი მუშაობა თქვენი სტილია.

– აი, თქვენ მაინც არაფერი გაქვთ სათქმელი! ჩვენ არ ვქურდობთ მაინც. თქვენ კი ძარცვა-წაგლეჯას დღესაც აგრძელებთ.

– გეყოფა-მეთქი! შეურაცხყოფას მაყენებ ყმაწვილო! – ოფიციალური, მკაცრი ტონით მიმართა ზურაბმა სიძეს, – ეს ჩემი სახლია, ხომ არ გავიწყდება?

– არ მჭირდება შეხსენება. შენ ხომ მარტო „ჩემი“ იცი! საკუთარი შვილისთვისაც კი არაფერი გემეტება. მაინც, როგორ მოახერხეთ, ვის სთხოვე, ვის დაავალე – ვინმე აქაურს თუ საფრანგეთის კრიმინალურ სამყაროსთანაც გაქვს კავშირი?

ზურაბმა ხელები გაშალა:

– ბოლოს და ბოლოს, ამიხსენი, რა ბრალდებას მიყენებ! კაცის მკვლელსაც აქვს თავის დაცვის უფლება.

– მართლა? მერე, ადვოკატი არ დაგჭირდება? თუმცა, რა სისულელეა. შენისთანებს რად უნდა ადვოკატი!

– ლევან, თუ ახლავე არ შეწყვეტ ჩემს დამცირებას, საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ!

– ნუ მემუქრები. ის დრო აღარ არის, ყველას რომ აშინებდით, მით უმეტეს, მე ვერ შემაშინებ. ახლა ის მაინტერესებს, სად უპირებ იმ ნახატს გაყიდვას – კლიენტი რომ უკვე შეგულებული გეყოლება, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ!

– მოიცა, მოიცა! რომელი ნახატი? ვინ კლიენტი? – ზურაბი სიძეს დაჟინებით მიაშტერდა და ფერი ნელ-ნელა დაკარგა.

– აჰ, კიდევ ვერ ხვდები, არა? არ მოგწყინდა გულუბრყვილო ბაბუის როლის თამაში?

– არა, არაფერი მესმის, არაფერი!.. შენ გინდა მითხრა, რომ ნახატი მოიპარეს?.. – ზურაბი სულ გათეთრდა. ლევანი მიხვდა, რომ სიმამრი არ თამაშობდა.

– რა ხდება, ბატონო ზურაბ?..

– ლევან, ნახატი მოიპარეს? არა, შეუძლებელია! ვინ, როდის, რანაირად? შენ ეს საიდან იცი?..

– ტელევიზორს არ უყურეთ? – „თქვენობით“ მიმართვაზე გადავიდა ზურაბი, – ჟურნალისტებმა უკვე მოასწრეს, სამ მილიონ დოლარად შეფასებული ნახატის გაქრობის შესახებ სიუჟეტი მოემზადებინათ. თქვენ რა, მართლა არაფერი იცით?

– ვის, ვის უნდა დაერეკა? – ზურაბმა პერანგის საყელო მოიღეღა და ოთახს უმწეო მზერა მოავლო.

– იმათ, ვინც თქვენი დავალება შეასრულა. ეტყობა, დაავიწყდათ. ან, იქნებ, საქმიდან თქვენი „მოტეხა“ გადაწყვიტეს. მაგრამ, თქვენ რომ ასეთი გამოუცდელი არ ხართ? ვერ დავიჯერებ, რომ პარტნიორი ალალბედზე შეარჩიეთ...

– წყალი დამალევინე... – ზურაბი ნელა ჩაეშვა სავარძელში და სიძეს მაგიდაზე მდგარ ბროლის გრაფინზე ანიშნა.

– ცუდად ხართ? კარგი ერთი, – ჩაიცინა ლევანმა, მაგრამ წყალი მაინც დაუსხა და ჭიქა ახლოს მიუჩოჩა, – გირჩევთ, დრო აღარ დაკარგოთ და სასწრაფოდ დარეკოთ პარიზში, სანამ სულ მშრალზე არ დაუტოვებიხართ.

ზურაბმა წყალი მოსვა:

– შენ რა, მართლა გგონია, რომ ნახატი მე მოვაპარვინე?

– რა თქმა უნდა! კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ, თანაც, ასი პროცენტით.

– რომ გითხრა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი-მეთქი?

– არ დავიჯერებ, – მოუჭრა ლევანმა, – იცოდით, ნიკუშა დედამისს რომ შეურიგდა. ისიც გაიგეთ, მასთან რომ გაფრინდა და გადაწყვიტეთ, რომ რისკზე არ წასულიყავით. ნახატის მოპარვა საუკეთესო ვარიანტია, თანაც, თქვენთვის აბსოლუტურად ადვილად განსახორციელებელი.

– მე არავისთვის არაფერი შემიკვეთავს. არ დაგიმალავ, ვიფიქრე ამაზე, მაგრამ, მხოლოდ ვიფიქრე.

– ჰოდა, თქვენი ნაფიქრი ვიღაცას ბრძანებად გაუგია, – ხუმრობა სცადა ლევანმა წარბის გაუხსნელად, – აჯობებს, თავად მითხრათ, ვინ არის ქურდი!

– არ ვიცი. არ ვიცი-მეთქი! – ხელები აიქნია ზურაბმა და უცებ იკითხა: – თინიკო სად არის?

– ქვემოთ, დედამისთან ლაპარაკობს.

– იმანაც იცის? – შეშფოთებით იკითხა ზურაბმა.

– ვინ, თინიკომ? რა თქმა უნდა! სიუჟეტს ერთად ვუყურეთ. თქვენმა მეუღლემ რა იცის ამ ნახატის შესახებ, ეს თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ. სიმართლე გითხრათ, ოდნავაც არ მაინტერესებს.

– უნდა დავრეკო! – ზურაბმა ჭიქა ბოლომდე გამოცალა. ლევანმა მოწონებით დაუქნია თავი:

– მეც ამას გიმტკიცებთ. თანაც, რაც შეიძლება, ჩქარა. მით უმეტეს, თუ ქურდობის შესახებ მართლა არაფერი იცით.

– არ ვიცი-მეთქი, არაფერი არ ვიცი! – ზურაბმა ტელეფონს სტაცა ხელი, მაგრამ ერთბაშად გაახსენდა, მარტო რომ არ იყო და შედგა, – მოიცა, ტელეფონი რად მინდა, სად ვრეკავ, ვისთან?

ლევანმა ირონიულად გადააქნია თავი:

– მეც სწორედ ეგ მაინტერესებს, სად რეკავთ და ვისთან. ძალიან მაინტერესებს, აქ ვიჯდები და ფეხს არ მოვიცვლი, სანამ სიმართლეს არ გავიგებ.

– რა სიმართლეზე მელაპარაკები? რა გინდა ჩემგან ბოლოს და ბოლოს?

– რა მინდა? მე რა მინდა? ლევანმა გამომწვევად გაატკაცუნა თითები, – ახლავე მოგახსენებთ, ბატონო ზურაბ. მოგახსენებთ, რადგან ჯიუტად არ ტყდებით იმაში, რომ საქმიდან ჩემი „მოტეხვა“ და გადაგდება გინდოდათ, იძულებული ვარ, არასასიამოვნო მეთოდებს

მივმართო. მერწმუნეთ, სულაც არ მსიამოვნებს, მაგრამ სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ვხედავ.

– შეურაცხყოფას მაყენებ. მე ამას არ ვიმსახურებ.

– თქვენ პირობა გატეხეთ. ჩემს ზურგს უკან დაიწყეთ მოქმედება. ამიტომ, ისევ თქვენთვის აჯობებს, გაამხილოთ, ნახატთან დაკავშირებით რა მაქინაციებში გაეხვიეთ, თორემ, ისეთი პირი უჩანს, თქვენც ვერაფერს მიიღებთ.

ზურაბმა ცოტა იყოყმანა. მერე თითქოს მოლბა:

– კარგი, ვაღიარებ, რომ პარიზში ვიღაც-ვიღაცეებს მართლა დავუკავშირდი, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მითხარი, ეგ ფული აღარ მაინტერესებსო.

– აა! აი, თურმე, რა ყოფილა!.. მე კი ლამის უსინდისობაში დაგდეთ ბრალი. ეს მე ამინთია თქვენთვის „მწვანე შუქი“, მაგრამ ძარცვა რომ მაინც დანაშაულია?!

– რომელი ძარცვა? რა სისულელეა, ხომ არ გაგიჟდი?

– დიახ. არ იცით, რომ „საქმის მიმცემიც“ ისჯება? მე გასწავლოთ? – ლევანმა მხრები აიჩეჩა, – მოკლედ, ბატონო ზურაბ, ხომ ხვდებით, რომ ერთადერთი გამოსავალი გაქვთ, – გულახდილობა. მე არ ვარ ცუდი მოკავშირე, მაგრამ პატიოსანი თამაშის მომხრე ვარ.

– მეც, მაგრამ, შენ პირველმა დაარღვიე ეს წესები.

– იმით, რომ გითხარით, მაგ ფულზე უარს ვამბობ-მეთქი? ბატონო ზურაბ, თინიკოსი მაინც არ გრცხვენიათ? თქვენს შვილს რაღას ერჩოდით? მე რომ ასე ოპერატიულად არ მივმხვდარიყავი თქვენი საქციელის მთელ ვერაგობას, ხომ დატოვებდით შვილს და შვილიშვილს მშრალზე?

– არავითარ შემთხვევაში! – გააპროტესტა ზურაბმა, – მე თიკას და ზურიკოს მეტი არავინ მყავს. საფლავში ხომ არ წავიღებ იმ მილიონებს?

– ვერც წაიღებთ. იმიტომ, რომ არავის წაუღია. დროს ვკარგავთ, ბატონო ზურაბ, დროს ვკარგავთ. სანამ ჩვენ აქ ვმსჯელობთ მორალის საკითხებზე, მილიონები გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდება. მოჰკიდეთ ხელი ყურმილს, ბატონო ზურაბ, და დარეკეთ იმ თქვენს კრიმინალთან.

– კარგი, დავრეკავ, – საბოლოოდ გატყდა ზურაბი, – მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რამეს ვაღიარებ. ბუნებრივია, ვცდილობ, ჩემი „არხების“ ამოქმედებას და ნახატამდე მისვლას, მაგრამ, იმიტომ არა, რომ თქვენი მშრალზე დატოვება მინდოდა. მერე აუცილებლად გეტყოდი. გეფიცები, ზუკას გეფიცები...

– სიმართლე გითხრათ, არ მჯერა არც თქვენი ფიცის და არც ერთი სიტყვის. მაგრამ ახლა უკვე აღარ აქვს ამას მნიშვნელობა, ჯერ დარეკეთ და მერე ვილაპარაკოთ.

ზურაბმა ამოიოხრა და ყურმილი აიღო...

***

დათოს წარბშეკრული ვახოს დანახვაზე გუნება ცოტათი გაუფუჭდა. მაგრამ არ შეიმჩნია და მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი:

– ვერ გამოფხიზლდი? არა უშავს, ისეთ რამეს გეტყვი, მაშინვე გამოფხიზლდები. შენ, გეტყობა, ტელევიზორისთვის არ გიყურებია. გამო...ლევდები, ისეთ რამეს გეტყვი.

– ჯერ შემოდი და ვნახოთ, ვინ პირველი გამო...ლევდება, შე, იდიოტო!

– რა გჭირს, ტო? კარგი, რა... გაგაღვიძე, რა მოხდა, მერე? ხომ არ შემჭამ ახლა ამისთვის? ერთ დღესაც შენ გამაღვიძებ და გავსწორდებით.

– ესე იგი, გავსწორდებით, არა?! – ჩაიღრინა ვახომ და მოქნეული მუშტი პირდაპირ სახეში დაატაკა მშვიდად მდგარ დათოს. დათო გადაქანდა და კედელს მიეჯახა.

– გაგიჟდი, ტო?! აურიე? რას მერჩი?

– რას გერჩი კი არა, მოგკლავ, რაც მიჰქარე, იმას თუ არ გამოასწორებ, თანაც, რაც შეიძლება, მალე!

– ვერ გავიგე, რას გულისხმობ? – დათომ ნატკენი ყბა თითებით მოისინჯა, – ხომ არ მომტეხე, ტო?

– ღირსი კი იქნებოდი, მე და ჩემმა ღმერთმა... ეგ რა დამაბრალე, ბიჭო? მე იასთან ვიწექი? როგორ წარმოიდგინე ამისთანა იდიოტობა? გინდა, თავ-პირი დაგინგრიო? ჭორებს მიგორებ, შე ჩემა?!

დათო გაფითრდა:

– რა ჭორებს? მე მაგისი არაფერი ვიცი, შენ თვითონ არ უთხარი ლევანს, რომ იასთან იყავი მთელი ღამე?

– მერე რა, რომ ვიყავი? ჩემი მეგობარია, ჩვენი მეგობარია... ძმაა ჩვენი. რა, არ იცი? შენც დარჩენილხარ მასთან ღამით, მეც, ნიკუშაც, ლევანიც და, რა, მერე? გამოდის ყველანი ვწევართ მასთან? ახი არ არის, ავდგე და თავი მაგ კედელზე გარტყმევინო, რომ სისულელეები ერთხელ და საბოლოოდ გამოგიფერთხო?

– მე არაფერ შუაში ვარ, ლევანმა მითხრა...

– რა გითხრა, ვახო იას საყვარელიაო? – ვახოს თვალებში ველური ნაპერწკალი აუკიაფდა. – ორივე შეიშალეთ თუ პირი შეკარით? ახლა რა გინდა, ის უბედური თავისივე კაბინეტში ვცემო? ხომ იცი, რომ არც ეგ გამიჭირდება?

– ვახო, მომისმინე. იცი, რაშია საქმე?

– არ ვიცი. არ ვიცი და არც მაინტერესებს, – აიფოფრა ვახო, – რამდენი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ? გეკითხები!

– ბევრი, – ყოყმანით უთხრა დათომ.

– ბევრი რა უბედურებაა, დააკონკრეტე!

დათომ შუბლზე მიიდო ხელი:

– ვახო, გეხვეწები, ნუ მტანჯავ, გეთანხმები, დავაშავე, შევცდი... მართლა რა მომივიდა, არ ვიცი, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ერთმანეთს დაემთხვა და...

– გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ, გეფიცები შემომაკვდები! ესე იგი, ლევანმა თქვა და შენც გაიმეორე... ყოჩაღ!

– აუუ, გეხვეწები, ნუ გაჭედავ, რა! გემუდარები, ძალიან გთხოვ... ძალიან, ბოდიში მოგიხადო? – დათომ ორი თითით ყელი გამოიწია.

– ბოდიში მე კი არა, იას მოუხადე, კრეტინო! – ცოტათი მოლბა ვახო, – ჰო, კიდევ, ნიკუშას. თუ, იმასაც აურიეთ ტვინი?

– სწორედ მაგაზე მინდოდა მელაპარაკა.

ვახომ კბილები გააღრჭიალა:

– ცოტა გამიარა გაბრაზებამ და, გირჩევ, არ გამახსენო.

– არა, არა, სხვა რამეა, – გამოცოცხლდა დათო, რადგან მიხვდა, რომ საფრთხემ გაიარა, – ტელევიზორს არ უყურე, ხო?!

– მეძინა-მეთქი, კრეტინო!

– მოკლედ, ამ ჩვენს ნიკუშას არაფერში არ უმართლებს, რა!.. კაროჩე, ის მილიონებიანი ნახატი მოპარეს.

ვახოს ემოცია არ გამოუხატავს. დათოს გაუკვირდა:

– ვერ გავიგე, რა თქვი? ის ნახატი მოპარეს-მეთქი.

– ჰო, კარგი. ცოტა ხმადაბლა მითხარი, რა გაღრიალებს, ყრუ კი არ ვარ. რა ნახატი?

– ნიკუშას დედას რომ ჰქონდა. როგორ არ გახსოვს, ტო... ეგეც ხომ აჩვენეს ტელევიზორში. შენ არ იყავი, რომ მეუბნებოდი, ამ ტიპმა, მამინაცვალმა ჩვენი ნიკუშა არ „მოტეხოსო“?!

– მე კი არა, შენ ამბობდი მაგას!

დათოს გაეღიმა, მაგრამ მაშინვე ნატკენ ყბაზე მიიდო ხელი.

– ნამდვილი დათვი ხარ, ველური!.. ესე იგი, გახსოვს.

– დათვი ვარ? მადლობა მითხარი, მშვიდი რომ ვარ და მალე გამინელდა სიბრაზე, თორემ, კიდევ უფრო მაგრად გცემდი. ვინ გითხრა, რომ ნახატი მოიპარეს?

– მაგას არ გეუბნები? ტელევიზორში აჩვენეს.

– ვინ, ნიკუშა?

– ნიკუშა არა, ტო... ის ტიპი, მამინაცვალი და საფრანგეთის პოლიცია. ჩასვლა ვერ მოასწრო და – უკვე ეგეთი ამბავი!.. გეუბნები, უიღბლოა, რა, ეს ჩვენი ნიკუშა, მაგარი უიღბლო...

– მით უმეტეს, რომ სამი ძმაკაციდან ორი სრული კრეტინი ჰყავს, – ნიშნისმოგებით დაუქნია თავი ვახომ. დათომ უსიტყვოდ „გადაყლაპა“ წყენა.

– ახლა ჩვენ რა უნდა ვქნათ, არ დავეხმაროთ?

– ჩვენ? – ვახომ მკერდზე იტაკა გაფშეკილი ცერა თითი, – მე?

– ჰო, რა ვერ გაიგე?

– რით უნდა დავეხმაროთ, რომელი შერლოკ ჰოლმსი და – დოქტორი ვატსონი ჩვენ ვართ? გამოძიებას ვერ გავქაჩავთ. ჩემი „დედუქცია“ მაგდენს ვერ სწვდება. თანაგრძნობით კი, რა პონტია, ტო... პანაშვიდს ხომ არ მოვუწყობთ?

– უბრალო ამბავი ხომ არ არის, სამ მილიონზეა ლაპარაკი. „დახატავდა“ ნიკუშას.

– ჰო, მაგრამ ჩვენ რას შევცვლით? უშველიან როგორმე, იპოვიან.

– ისე, როგორ არ უმართლებს, არა?

– იდიოტია და იმიტომ არ უმართლებს! – მოულოდნელად იფეთქა ვახომ, – რას ერჩოდა იას, მოეყვანა ცოლად და მორჩებოდა ყველაფერი. ახლა კი ლევანთან უნდა გავარჩიო საქმე...

დათომ საცოდავად შეხედა:

– სცემ?

– არა, ბიჭო, მოვეფერები. იასთან უნდა მივათრიო და ბოდიში უნდა მოვახდევინო. იმედი მაქვს, შენ ნებით წამოხვალ...

დათომ მორჩილად გაშალა ხელები.

***

ელენე შვილის წინ იჯდა და თვალს არ აშორებდა. მის მზერაში იყო რაღაც ისეთი, რაც ნიკუშას სითბოდ ეღვრებოდა სხეულში, თან, იმავდროულად, აშფოთებდა კიდეც, თუმცა დუმილის დარღვევას არ ჩქარობდა. ელენესაც სიჩუმე უფრო სიამოვნებდა. ტუჩის კუთხეებით თითქოს უღიმოდა კიდეც შვილს, მაგრამ სახეზე სევდის კვალი აჩნდა, სევდის და სინანულის. სევდაც და სინანულიც აუხსნელი იყო და ამიტომაც არ ჩქარობდა რამის თქმას. ისევ ნიკუშამ ვეღარ გაუძლო.

– ჟანი კარგი ადამიანია, მომეწონა.

ელენემ ოდნავ დაუქნია თავი, მაგრამ ისევ არაფერი უთქვამს. ნიკუშა აწრიალდა:

– ეტყობა, უყვარხარ.

– ჰო, ეტყობა... – ჩუმად დაეთანხმა ქალი.

– კარგია, რომ ქმარში მაინც გამიმართლა.

– ამას რატომ ამბობ? მე შვილშიც ძალიან გამიმართლა. ერთი წუთით არ შემპარვია შენში ეჭვი. დარწმუნებული ვიყავი, რომ, ადრე თუ გვიან, მოხვიდოდი ჩემთან.

– ჰოო? მოვიდოდი, იმიტომ რომ უშენოდ არსებობას ვეღარ შევძლებდი? – ირონიულად ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – იცი, მშიერი არ ვყოფილვარ.

– ეგ არაფერ შუაშია. შიმშილით რომ არ მოკვდებოდი, ამაში ეჭვი არ შემპარვია. მე სხვა რამე ვიგულისხმე – ის, რაც უხილავია, რაც დედას შვილთან აკავშირებს და რასაც სახელი არა აქვს. შენ მაინც მოხვიდოდი ჩემთან, – ელენეს თავდაჯერებულობამ ნიკუშა ცოტათი გააღიზიანა.

– თუ ასეა, რატომ აქამდე არ გამომიგზავნე მედიატორად საკუთარი ქმარი?

– მე არ გამომიგზავნია. მე კიდევ დავიცდიდი, მან თვითონ მოინდომა შენთან ჩამოსვლა და უარი არ მითქვამს. ამ წლების განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, შენზე არ მეფიქროს. იმედი არ დამიკარგავს, რომ ოდესმე ჩვენ აი, ასე ვისხდებოდით ერთმანეთის გვერდით... და მე შევძლებდი შენთვის იმის თქმას, რომ ძალიან მიყვარხარ.

– მართლა? – ნიკუშა შეეცადა, ირონიით დაეფარა დედის სიტყვებით გამოწვეული მღელვარება.

ელენეს გაეღიმა:

– ნუთუ ეჭვი გეპარება ამაში? პატარაც ასეთი ეჭვიანი იყავი. დღეში რამდენჯერმე მთხოვდი შენთვის სიყვარულის დამტკიცებას. მეტი შვილი სწორედ იმიტომაც არ გავაჩინე, რომ შემეშინდა...

– რისი შეგეშინდა? – ნიკუშას ტუჩები აუთრთოლდა.

– შემეშინდა, შენ არ დამეკარგე, – ხმადაბლა, დამარცვლით ჩაილაპარაკა ელენემ და ნიკუშამ ყელში ჩაჩხერილი ცრემლის გემო იგრძნო...

– ისეთი ბედნიერი ვარ, აქ რომ გხედავ, ჩემ გვერდით...

– მიუხედავად იმისა, რომ კარგი ფეხი ნამდვილად არ მქონია...

– რას გულისხმობ? – მაშინვე ვერ მიხვდა ელენე.

– შენს დანაკარგს. ასეთი ძვირფასი ნივთი... ალბათ, ძალიან განიცდი.

– შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ საერთოდ არ განვიცდი, – ელენეს გადატკეცილ სახეზე ერთი ნაკვთი არ შერხეულა, – ჰო, არ განვიცდი. შენი აქ ყოფნა გაცილებით მეტად მიღირს... და თუ ეს დანაკარგი შენი პოვნის საფასურია, მზად ვარ, ერთი ამდენი კიდევ გადავიხადო.

– სიგარეტი მომაწოდე, – სთხოვა ელენემ. ნიკუშამ კოლოფი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი სანთებელა მიაწოდა.

– ბევრს ხომ არ ეწევი? თუ, მე რომ არ ვეწევი, იმიტომაც მეჩვენება ასე?

– ჟანიც სულ მთხოვს, თავი დავანებო მოწევას და, რადგან შენი სახით სერიოზული მოკავშირე შეიძინა, ეტყობა, მომიწევს ამ სიამოვნებაზე უარის თქმა.

ნიკუშა დედასთან მივიდა და სავარძელთან ჩამოუჯდა:

– მართლა არ გაღელვებს ნახატის ამბავი?

– არა. ჟანზე უფრო ვღელავ, ასე რომ განიცდის ამას.

– ასეთი დარწმუნებული ხარ, რომ იპოვიან?

– ეგ არაფერ შუაშია. რომც ვერ იპოვონ, მაინც არ ვინერვიულებ.

– უცნაურია. ძალიან დიდი ფული ღირს. ასეთ დანაკარგზე რომ არ ინერვიულო, ათი მაგდენი მაინც უნდა გქონდეს.

– არსებობს დანაკარგი, რომელიც შეუფასებელია. მე მქონდა პერიოდი, როცა ღმერთმა დამანახვა, რა ღირს ნერვიულობად. არ უარვყოფ, ნახატი ძალიან ძვირად ღირებულია, მაგრამ, გული არ დაგწყდეს. ჟანს არავინ ჰყავს და, მზად არის, ყველაფერი შენ დაგიტოვოს, გვარიც მოგცეს თავისი და ტიტულიც.

ნიკუშამ ხმამაღლა გაიცინა:

– მე – გრაფი?! რა სისულელეა! ჩემი გვარიც ძალიან მომწონს. თან, იმ ასაკში ვარ, როცა შვილად აყვანა დაგვიანებულია. აქ ამისთვის არ ჩამოვსულვარ.

ელენე შეკრთა:

– ჰო, ვიცი, ჩემთან ჩამოხვედი.

– მართალია, შენთან ჩამოვედი, მაგრამ, იმიტომ არა, რომ მონატრებას ვეღარ გავუძელი.

– შვილო, ძალიან გთხოვ... – ხმა „გაუტყდა“ ელენეს და სიგარეტიანი ხელი აუკანკალდა.

– არა, არა, იმის თქმა არ მინდა, რომ არ მომნატრებიხარ, მაგრამ აქ უფრო იმიტომ ჩამოვედი, რომ პასუხი გამცე კითხვაზე, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ნორმალურ ცხოვრებაში მიშლის ხელს. ამ კითხვამ სიცოცხლე გამიმწარა, პირადი ცხოვრების მოწყობის საშუალება არ მომცა. არ ვიცი, შეიძლება, ძალიან ეგოისტი ვარ, შეიძლება, მართლა საკუთარი „ეგოს“ მეტი არაფერი მაინტერესებს, მაგრამ ვერ მოვერიე საკუთარ თავს. ეჭვით ცხოვრება საშინელებაა და, სანამ მისგან არ გავთავისუფლდები, ვერც შენ სიყვარულს შევძლებ...

– ნიკოლოზ, ძალიან გთხოვ... – შვილის გაჩუმება სცადა ელენემ, მაგრამ ნიკუშამ მისკენ გაწვდილი ხელები აირიდა, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. რამდენიმე წუთი წინ და უკან დადიოდა. ელენე შეშფოთებული ადევნებდა თვალს.

– მომისმინე, ჩემი გული ეჭვითაა სავსე და მასში სიყვარულის ადგილი არ არის. ამ ეჭვისგან უნდა გავთავისუფლდე, აუცილებლად უნდა გავთავისუფლდე... დედა... გთხოვ...

ელენე გაფითრდა. ამდენი წლის შემდეგ ნიკუშამ ისევ დაუძახა „დედა“...

– მკითხე, რა გაინტერესებს!

– მიპასუხებ? გულახდილად მიპასუხებ და არ მომატყუებ?

– არა. შენს სიცოცხლეს ვფიცავ, როგორი მძიმეც უნდა იყოს ჩემთვის ეგ შეკითხვა, მაინც სიმართლეს გეტყვი!

ელენეს ცრემლით სველმა სახემ ნიკუშა მიახვედრა, რომ ქალი ტყუილის თქმას ვერ შესძლებდა...

– მიპასუხე ახლა და საბოლოოდ – ვინ არის მამაჩემი?!

რაც კანონზომიერია, ის გარდაუვალიც არის. ადრე თუ გვიან, წრედი შეიკვრება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ბედისწერის შეცვლა, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ და მათი ხვედრი ხშირად სულაც არ არის სახარბიელო. თუ ჯორდანო ბრუნოს ამბავს გავიხსენებთ, უფრო გასაგები გახდება, რა ხვედრზეა საუბარი. არა, ყველა გამორჩეულს ჯორდანოსავით კოცონზე არ წვავენ, მაგრამ, „თეთრი ყვავი“ გულზე მაინც არავის ეხატება, რატომ?! იმიტომ, რომ თეთრია და ამით ყველაფერია ნათქვამი. იყო ისეთი, როგორიც ყველაა – გაცილებით ადვილია, თუმცა, ნაკლებად სასიამოვნო. მაგრამ, რა დროს სიამოვნებაზე ფიქრია, როცა სასწორზე, შეიძლება, შენი სიცოცხლე აღმოჩნდეს დადებული...

***

ზურაბმა ყურმილი დაკიდა და სიძეს შეხედა:

– ჩემი ვარიანტი გამოირიცხა. თავს დავდებ, რომ ამ საქმეში მისი ხელი არ ურევია.

ლევანმა უნდობლად გადაიქნია თავი:

– რატომ უნდა დაგიჯეროთ?

– იმიტომ, რომ სიმართლეა. როდისღა უნდა დაიჯერო, რომ არ გატყუებ? ეს არ შედის ჩემს ინტრიგებში.

– ნებისმიერ შემთხვევაში, სხვა პასუხს თქვენგან არ ველოდი.

– ეგ რას ნიშნავს?

– იმას, რომ, თქვენი მოპარულია სურათი თუ არ არის თქვენი მოპარული, თავს ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავთ. აუცილებლად შეძლებთ, გამართლება მოუძებნოთ თქვენს ყველა მოქმედებას. მე რა ვქნა, ასე ბრმად დავიჯერო?

– ლევან, ჩვენ პრობლემები გვაქვს, სერიოზული პრობლემები. ვიღაცამ ცხვირწინ აგვაცალა ის, რაც ყველა კანონზომიერებით ჩვენი უნდა ყოფილიყო!

– კანონზომიერებებზე ნუ ვილაპარაკებთ, – ლევანმა ხელი ჩაიქნია, – რა არასერიოზულობაა!

– რა არის არასერიოზული, ლევან, ჭკუიდან მშლი? – ზურაბმა თავში იტაცა ხელები.

– რა კანონზომიერებებზეა ლაპარაკი? პრობლემა გაცილებით რეალური გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, მე უკვე ვხვდები, რომ მარტოს მომიწევს მოქმედება.

– არავითარ შემთხვევაში! მაშინ, წავაგებთ!..

– რას წავაგებთ? უკვე წაგებულ ბრძოლას, თანაც, მე არავის ვებრძვი. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ მიმაჩნდა, რომ ვებრძოდი. უბრალოდ, იმის დაბრუნებაში გეხმარებოდით, რაც თქვენი საკუთრება იყო.

– არა, რა თქმა უნდა, არის კიდეც ჩემი საკუთრება! დიახ, ვაჩუქე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

ლევანი შეიჭმუხნა:

– გულუბრყვილო, მიამიტი კაცის როლს ნუ თამაშობთ, ძალიან არ გიხდებათ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არ გამოგადგებათ. მოკლედ, მივხვდი, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა და ტყუილუბრალოდ დრო აღარ უნდა დავკარგო.

– ამას იმიტომ ამბობ, რომ არ მენდობი?

– მართალია, არ გენდობით. რატომ უნდა მოგატყუოთ? მე საერთოდ არავის ვენდობი, მაგრამ თქვენ – განსაკუთრებით.

– ლევან, ჩვენ კიდევ გვაქვს ნახატის დაბრუნების შანსი, – ზურაბს შეწუხებული, დათრგუნული სახე ჰქონდა, – ჰო, შანსი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთად ვიქნებით და ერთადაც ვიმოქმედებთ. ალბათ, ხვდები, რას ვგულისხმობ.

– არ ვიცი, არ ვიცი... – თავი გადააქნია ლევანმა.

– რა არ იცი, შეიძლება თუ არა ჩემი ნდობა?! სინჯე, დასაკარგავი მაინც არაფერია.

– აი, ეგ კი ზუსტად თქვით. დასაკარგავი მაინც არაფერია. აღარაფერი! მაგრამ, თუ სასწაული მოხდება და ნახატი გამოჩნდება, მაშინ...

ზურაბი თითქოს გამოცოცხლდა:

– ისე, არაფერია გამორიცხული. იმიტომაც გეუბნები, ერთი გუნდი უნდა ვიყოთ-მეთქი. საფრანგეთის პოლიცია, ალბათ, უკვე მუშაობს. აბა, გულხელდაკრეფილები ხომ არ ისხდებიან! ჩვენც ხომ არ წავაშველოთ ხელი?

– რას ნიშნავს, წავაშველოთ? – აიმრიზა ლევანი, – ისღა მაკლია, მინისტრმა კაცმა ბაცაცებს დავუწყო დევნა. შემიძლია, ნიკუშას დავურეკო და ვკითხო, რა ხდება – სულ ეს არის.

– კარგი, დავურეკოთ, რაღაცას მაინც გავიგებთ. ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნას, ეს გაცილებით ჯობია.

– დავურეკოთ, არა? მე დავურეკავ, ის ჩემი მეგობარია, თქვენი არსებობის შესახებ კი, უმჯობესია არაფერი იცოდეს. გირჩევნიათ, ისევ ჩემს სიმამრად დარჩეთ მისთვის, ვიდრე... – ლევანმა მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ცოლის მამას. ზურაბი გაფითრდა. მაშინვე მიხვდა, რისი თქმა უნდოდა სიძეს და, არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რას ნიშნავდა ლევანის გამოხედვა.

– შენ ხომ არ გგონია, რომ მე... – თქვა დამარცვლით.

– მე არაფერი არ მგონია, აბსოლუტურად არაფერი! აი, თქვენი ქალიშვილი კი, დიდი ხანია, სერიოზულად ფიქრობს ამაზე და ეჭვიც აწვალებს.

– რა ეჭვი, რა სისულელეა?! მე მხოლოდ ერთი შვილი მყავს, თინიკო! ის, რაც ჩემსა და ელენეს შორის იყო...

ლევანმა ხელის აქნევით შეაჩერა აღსარების არასათქმელად შემართული სიმამრი:

– არ მაინტერესებს. სერიოზულად გეუბნებით, ეს არ არის ჩემი პრობლემა და, თუ თქვენ არ მოინდომებთ, გპირდებით, არც გახდება.

– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ, თუკი მოინდომებ, ყოველთვის შეძლებ, დამაშანტაჟო?

– დაგაშანტაჟოთ? თქვენ? – ლევანმა გაიცინა, – პატივცემულო სიმამრო, კიდევ ვერ გამიცანით. ყველაფერს თქვენი საზომით ჭრით და კერავთ. ეს თქვენი ხელობაა – ინტრიგები და შანტაჟები. ამიტომაც, ნუ გიკვირთ, რომ არ მჯერა თქვენი მოჩვენებითი გულახდილობის. თვალს არ მოგაშორებთ, თქვენი თითოეული ნაბიჯი მეცოდინება.

– ლევან, ნახატი ჩემგან დამოუკიდებლად გაქრა. დამიჯერე. თუმცა, შეიძლება, მეც მატყუებენ.

– ჰმ, სად პოულობთ მაინც ასეთ ნაძირალებს? წესიერ ხალხთან ურთიერთობა არ გიცდიათ?

– წესიერი ხალხი ძვირფას ნახატებს არ იპარავს, – პირქუშად შეეპასუხა ზურაბი.

– გეთანხმებით, მაგრამ წესიერი ქურდებიც არსებობენ.

– ორი მილიონი ძალიან ბევრია. ცდუნება დიდია, ვერავის დავუდგები თავდებად.

– ჰო, მართალია. მაშინ, მითხარით, რის გაკეთებას აპირებთ?

– ჯერ არ ვიცი. ერთად მოვიფიქროთ სამოქმედო გეგმა.

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

– რა გითხრათ. მე არ ვიცნობ იმ ადამიანს, ვისაც ეს საქმე დაავალეთ.

– მე გეტყვი მის ვინაობას. შენ პარიზში გადაფრინდები და ყველაფერს გადაამოწმებ.

– ჰმ, მშვენივრად მოგიფიქრებიათ, ვერაფერს იტყვი. მოცლილი გგონივართ? ხომ არ გავიწყდებათ, სამინისტროში რამდენი საქმე მაქვს? არა, ამისთვის ვერ მოვიცლი.

– მაშინ, ნახატზე აღარ უნდა ვიფიქროთ, – ხელი ჩაიქნია ზურაბმა, – და ბედს შევეგუოთ. მე რა, ცხოვრების ნახევარზე მეტი გავლილი მაქვს. თქვენთვის მინდოდა უზრუნველი მომავალი.

– მამა ხართ და თინიკოზე უნდა ფიქრობდეთ კიდეც, ეს თქვენი მოვალეობაა, მაგრამ, ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი გამდიდრებისთვის მოიკლავთ თავს.

– არ გინდა ასეთი ღვარძლი. შენ თიკას ქმარი ხარ და არც ის არის ისეთი ცოლი, შენგან რამე ჰქონდეს დამალული. მე ორივეზე ვზრუნავ.

– მაშინ, წადით საფრანგეთში.

– მე წავიდე? – განცვიფრდა ზურაბი.

– ჰო. ვითომ, რა გიჭირთ?! ამ საქმესაც გაარკვევთ და ძველ სიყვარულსაც გაიხსენებთ.

– არ გინდა ეს ირონია. მგზავრობას ვერ ვიტან. გულით ავადმყოფი ვარ და ფრენას ვერ გავუძლებ, მართლა. თუ არ გჯერა, ჩემს ექიმს ჰკითხე.

– კარგი. თუ დაიფიცებთ, რომ ნახატი თქვენ არ მოიპარეთ, მაშინ, ვეცდები, რამე მოვახერხო.

– ეს უკვე მეტისმეტია. მე ვთქვი, ვაპირებდი ამის გაკეთებას, მაგრამ ვიღაცამ დაგვასწრო. მეტად აღარ გავიმეორებ. შენმა უნდობლობამ და ეჭვიანმა მზერამ ძალიან დამღალა.

– კარგი. მე წავალ, – ლევანი დაფიქრდა და თითები მაგიდის ზედაპირზე აათამაშა, – შემთხვევით, ელენესთან ხომ არ გილაპარაკიათ პარიზში?

ზურაბი შეცბა და ხმადაბლა ჩაიბურტყუნა:

– არა. რატომ მეკითხები?

– ისე, უბრალოდ, დავინტერესდი. კიდევ ერთი რჩევაც: თქვენს ადგილას მე აუცილებლად დაველაპარაკებოდი თინიკოს და სიმართლეს ვეტყოდი.

– რა სიმართლეს?

– იმ სიმართლეს, რომლის მოსმენაც თქვენგან უნდა. კარგად ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

– შენ რომ აუხსნა, რომ ცდება? – ზურაბი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია შვილთან საუბრის პერსპექტივას.

– მე უკვე ავუხსენი, მაგრამ მე მამამისი არ ვარ, ამიტომაც, დამაჯერებელი ვერ ვიქნები. მით უმეტეს, რომ დიდად არც მე მჯერა. კარგად ბრძანდებოდეთ. თუ რამე ახალს შევიტყობ, დაგირეკავთ და თქვენც იმავეს გირჩევთ.

ლევანის წასვლის შემდეგ ზურაბი დიდხანს იჯდა ჩუმად, ერთ უხილავ წერტილს მიშტერებული. ფიქრობდა. მერე საწერი მაგიდის უჯრაში გადამალული სიგარა ამოიღო და

მოუკიდა. რამდენიმე წუთი ყოყმანობდა, დაერეკა თუ არა. ხარბად ისუნთქავდა სიგარის არომატულ კვამლს. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ტელეფონის აპარატი თავისკენ მიიჩოჩა და ნომერი აკრიფა...

***

ჟანმა გაიღიმა და ნიკუშას თვალი ჩაუკრა:

– იცი, რა მინდა გითხრა, ჩემო მეგობარო: – ხომ გირჩევნია, ასე მოგმართო? – დედაშენის ქმარი ვარ და, წესით, მამობა უნდა გაგიწიო, მაგრამ თავს ვერც ერთი ვერ მოვიტყუებთ – ჩემნაირი მამა შენ არაფერში გჭირდება.

– თქვენ კი ჩემნაირი შვილი არ გჭირდებათ, – ვალში არ დარჩა ნიკუშა.

ჟანს პასუხად გაეღიმა:

– არა, საქმე ეს არ არის. მე ათი წელი მარტო ვცხოვრობდი პირველ და მეორე ქორწინებას შორის და ამ ხნის განმავლობაში რაღაც-რაღაცეები მეც ვისწავლე.

– ბევრი ვერაფერი, – დასცინა ელენემ და ჩაი მოსვა, – ასე რომ არ იყოს, მეორედ აღარ დაქორწინდებოდი, მით უმეტეს – ჩემზე.

– ელენ, მამაკაცების საუბარში ნუ ერევი, – ყასიდად გაუბრაზდა ქმარი, – მინდა, ნიკუშას ჩემი გამოცდილება გავუზიარო. ჩემი თავისუფლების ათი წელი, მე ვიტყოდი, ჩემი ფსევდო-თავისუფლების ათი წელი, რომელიც ძირითადად მსუბუქი ყოფაქცევის გოგონებს მივუძღვენი, დაკარგულად მიმაჩნია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ აქ ელენე ზის. მარტონიც რომ ვიყოთ, მაინც ამას ვიტყოდი. მამაკაცი არსად ისე კარგად, დაცულად და მშვიდად არ გრძნობს თავს, როგორც საკუთარ ოჯახში. ყველა მამაკაცს მხოლოდ ერთი ქალი სჭირდება სრული ბედნიერებისთვის, მხოლოდ ერთი. ისევე, როგორც ქალისთვის არის საკმარისი ერთი მამაკაცი.

ელენეს რომ შევხვდი, მაშინ ვიგრძენი, როგორ მენატრებოდა ოჯახი, როგორ მინდოდა, ჩემი მარტოობისთვის ბოლო მომეღო და როგორ უნიჭოდ ვიტყუებდი თავს.

– გინდათ, დამიმტკიცოთ, რომ მამაკაცები ისევე მიილტვიან ქორწინებისკენ, როგორც ქალები? – უფრო საუბარში ასაყოლად ჰკითხა ნიკუშამ.

– რა თქმა უნდა! ამაში ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი. მამაკაცები ზუსტად ისევე ოცნებობენ ბედნიერ ქორწინებაზე, როგორც ქალები. უბრალოდ, ამის ხმამაღლა თქმის რცხვენიათ. სულ ეს არის.

– იქნებ, ჯობდა, წიგნი დაგეწერა ამაზე?! – გაეხუმრა ელენე.

– ძვირფასო, წიგნი რა შუაშია! მე მინდა, ნიკუშა მივახვედრო, რომ მისი ოცნების ასრულების დროც მოვიდა, – ჟანმა ცოლს ხელზე აკოცა. მონ ამი, შენ ხომ გინდა, რომ ნიკუშამ ცოლი მოიყვანოს?

– მე მინდა, რომ ნიკუშა ბედნიერი იყოს, – თქვა ელენემ და შვილს თვალებში შეხედა, – ძალიან ბედნიერი. ამიტომ, ყველაფერში მხარს დავუჭერ, მის ყველა გადაწყვეტილებას მოვიწონებ.

– მე თბილისში მშვენიერი ქალი გავიცანი... – ჟანს მხიარულად აუციმციმდა თვალები.

– მართლა, ია როგორ არის? – ელენეს შუბლი გაეხსნა, – არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, გკითხო, რა ხდება თქვენ შორის?

ნიკუშამ ნიკაპი მოისრისა:

– არაფერი, არაფერი არ ხდება. გავაწვალე და ამით ყველაფერი დამთავრდა, რომ მკითხო, როდისმე მიყვარდა თუ არა, გიპასუხებ, მიყვარდა-მეთქი, მაგრამ, ახლა არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი. ია ძალიან კარგი გოგოა. არაჩვეულებრივი, ფანტასტიკური ცოლი და დედა იქნებოდა, მაგრამ...

– მაგრამ? – ელენემ ქმარს გადახედა.

– ჩვენ დროსა და სივრცეში ავცდით ერთმანეთს. თურმე, ასეთი რამეც ხდება. ყოველ შემთხვევაში, არ გამოვიდა ჩვენგან წყვილი და ეს არავის ბრალი არ არის.

– მარტოა?

– არ ვიცი.

– შენ გინდა, რომ ის ქალი შენ გვერდით იყოს?

– მე? – ნიკუშამ გაურკვევლად აიჩეჩა მხრები, – არ ვიცი. მარტო იასთან დაკავშირებით კი არა, საერთოდ არ ვიცი, რა მინდა. აი, ჩამოვედი – მერე?

– მერე, ჩვენ ერთად ვართ.

ნიკუშა შეიჭმუხნა.

– არა, შენ ვერ გამიგე. მე საკუთარი ადგილის პოვნა მინდა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ უკვე ძალიან გვიან არის.

– სულაც არა. მოიფიქრე, რისი გაკეთება გინდა აქ ან თბილისში, სულერთია, მაგრამ, ჯერ დაისვენე.

– იმდენი წელია, ვისვენებ და არაფერი გამიკეთებია... – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – ჰო, მართლა, ლევანმა დამირეკა.

– ლევანმა? – ელენეს თითები აუთრთოლდა. წინა ღამით შემდგარი სატელეფონო საუბარი გაახსენდა...

***

ზარმა ჟანიც გააღვიძა. ადგომას და ტელეფონთან მისვლას აპირებდა, რომ ელენემ შეაჩერა. უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილმა არჩია, თვითონ ეპასუხა. ქმარს მხარზე დაადო ხელი და გაუღიმა:

– იყავი. მე მივალ.

– ვინ უნდა იყოს ამ დროს?

– არ ვიცი. შეიძლება, ნომერი შეეშალათ. დაიძინე. აპარატს ახლავე გავიტან ოთახიდან.

– ელენე, თუ პოლიციიდან რეკავენ, დამიძახე!

– აუცილებლად.

ელენემ დერეფანი გაიარა, ბიბლიოთეკაში შევიდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა და ყურმილი აიღო.

– გისმენთ!..

– კარგია, რომ შენ მიპასუხე. ხედავ, როგორ ხვდები, რომ მე გირეკავ?! ეტყობა, ბოლომდე მაინც ვერ დამივიწყე.

– რა გინდა? დიდხანს ვერ დაგელაპარაკები. აქ ღამეა, მეძინა.

– გეძინა? ესე იგი, სინდისი სუფთა გაქვს... იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა, შენ ადგილას მე ნამდვილად არ დამეძინებოდა.

– რა გინდა? მე არაფერ შუაში ვარ. სამწუხაროდ, ძარცვა მოხდა, ნახატი კი დაზღვეული არ იყო.

ყურმილში სიცილი გაისმა.

– გეუბნები, დამნაშავე არ ვარ-მეთქი. დაცვას ხომ ვერ დავუყენებდი. ვერც კი წარმოვიდგენდი ამას. ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტე ჩემი დაშინება. ჩემი შვილი ჩემთან არის და მე მას ვჭირდები.

– შენს შვილს ძალიან აინტერესებს, რა გახდა მამამისის სიკვდილის მიზეზი.

– მან იცის, რომ მამამისი გულის შეტევით გარდაიცვალა.

– როგორ არ გრცხვენია, ელენე? შენ გაუხეთქე ქმარს გული და ახლა ამის აღიარება არ გინდა. არა უშავს, ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, ვინც მას სიმართლეს ეტყვის.

ელენემ მკერდზე დაიდო ხელი. გული ხმაურით უცემდა, თითქოს დერეფნიდანაც ფეხის ხმა მოესმა...

– მომისმინე! გეყოფა, მე შენი არ მეშინია. მზად ვიყავი, მომეცა შენთვის ის ნახატი, იმიტომ არა, რომ დამაფრთხო შენმა მუქარამ. უბრალოდ, მინდოდა, მეჩვენებინა, რომ მათხოვარი ხარ. ჩემთვის ფული არაფერს ნიშნავს. იმ ნახატს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის და სიამოვნებით დაგიბრუნებდი სიმშვიდის სანაცვლოდ, იმის სანაცვლოდ, რომ აღარასოდეს გავიგებდი შენს ხმას.

– ელენე, მე არ ვხუმრობ. ნახატი მჭირდება! – ხმა გამკაცრდა და მრისხანე გახდა.

– ვერაფრით დაგეხმარები, – ელენე მიხვდა, რომ ერთი ნაბიჯიც არ უნდა დაეთმო, – იქნებ, საფრანგეთის პოლიციას მიმართო?

– დამცინი? არ გირჩევ, მე ცუდი გაბრაზება ვიცი.

– რა მენაღვლება, გაბრაზდი. ისე, პოლიცია დაინტერესდება ნახატის ახალი მეპატრონით.

– ნახატი მჭირდება, ელენე! – გაიმეორა ხმამ.

– გავიგე. მაგრამ, კიდევ გიმეორებ – მე ვერ დაგეხმარები-მეთქი, ვერა! აღარ დამირეკო!

– იძულებულს მხდი, ის გავაკეთო, რისი გაკეთებაც არ მინდა.

– გეყოფა. აღარ დარეკო! გაფრთხილებ, ერთი სიტყვაც რომ ჩააწვეთო ჩემს შვილს, ერთი შხამიანი სიტყვაც, ვერ გადამირჩები! ყველგან გიპოვი, სადაც უნდა იყო და სიკვდილს სანატრელს გაგიხდი.

– ოჰ, რა სიმამაცეა, რა შემართება! მაინც, რას მიზამ, მომკლავ?

– ამას მერე ნახავ! – ელენემ ყურმილი დაკიდა. მძიმედ სუნთქავდა, ნესტოებგაფართოებული და გაფითრებული. ტუჩები ოდნავ უთრთოდა. ჯიშიან ცხენს ჰგავდა, ნადირის სუნს რომ გრძნობს და გაფაციცებული ცდილობს, გამოიცნოს, სად არის ჩასაფრებული საფრთხე, რომ მერე ფლოქვებით შესდგეს მას და თავი გაუჩეჩქვოს.

საძინებელში ფეხაკრეფით დაბრუნდა.

– ვინ იყო? – ჰკითხა ჟანმა.

– ხომ გითხარი, ნომერი შეეშალათ-მეთქი. დაიძინე, საყვარელო!

– ხვალ დილით პოლიციაში უნდა მივიდე.

– რისთვის? – ელენეს ჯერ ისევ უთრთოდა თითები.

– ძალიან ნელა მუშაობენ. ვშიშობ, ნახატის პოვნას დიდად არ ჩქარობენ. თუ უკვე რომელიმე შეშლილი მილიონერი კოლექციონერის ხელშია, ვეღარც იპოვიან. დღის სინათლეს ვეღარასოდეს იხილავს, თუ რამე სასწაული არ მოხდა.

– იქნებ, ასეც ჯობდეს, – ჩაილაპარაკა ელენემ.

ჟანი გააოცა მისმა სიტყვებმა, მაგრამ ძალიან ეძინებოდა და აღარ შეკამათებია.

***

... ლევანი სახლში გვიან დაბრუნდა. თიკა საძინებელში არ დახვდა. რამდენიმეწუთიანი ძებნის შემდეგ ცოლს ბავშვის საძინებელში მიაგნო – შვილთან ჩახუტებული იწვა და მისი ხელი ლოყაზე ჰქონდა მიდებული. სენტიმენტები უცხო იყო ლევანისთვის, მაგრამ ამ სურათის დანახვამ გული აუჩუყა. შეეცოდა გასაღვიძებლად და ფეხაკრეფით აპირებდა ოთახიდან გამოსვლას, რომ ქალმა თვალები გაახილა:

– დამძინებია...

– ჰო. ძალიან საყვარლად გეძინათ დედას და შვილს, თვალი ვეღარ მოგაცილეთ.

– ჩუმად, ზუკა არ გააღვიძო. გადი და ახლავე გამოვალ. ალბათ, გშია.

– იყავი, მივხედავ ჩემს თავს.

თიკამ ფრთხილად გამოაცალა ხელი. ზუკა შეიშმუშნა, მაგრამ არ გაღვიძებია. ლევანი სამზარეულოში ყავას სვამდა. ცოლი რომ დაინახა, ყავადანს შეახო ხელი.

– დავასხა?

– არა, არ მინდა. რაღაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად.

ლევანმა ახლაღა შენიშნა ცოლის ჩამუქებული უპეები და ამღვრეული თვალები.

– ჰო, კარგად ნამდვილად არ გამოიყურები. ხომ არ გაცივდი?

– არა მგონია. გაციების სიმპტომები არ მაქვს.

– მაშინ, ალბათ, გადაიღალე. ბევრს ნერვიულობ და თავს საერთოდ არ უფრთხილდები.

– ჩემი ბრალი არ არის, რომ ვნერვიულობ. შენთვის რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ...

– მითხარი, რამე მოხდა?

– არა, არაფერი. იყავი მამაჩემთან? – თიკამ საუბრის თემა შეცვალა.

– ჰო, ვიყავი და ველაპარაკე. ისევ იმას იმეორებს, ქურდობასთან კავშირი არ მაქვსო.

– იქნებ, ასეცაა. მამაჩემი მატყუარა ნამდვილად არ არის. შეიძლება, ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ, როცა საქმე ფულს ეხება...

– პატიოსანია, არა?! – აღარ დაამთავრებინა წინადადება ლევანმა.

– მე ეგ არ მიგულისხმია, – ეწყინა თიკას, – იმის თქმა მინდოდა, რადგან თავიდანვე გითხრა მაგ ნახატის ამბავი, ესე იგი, შენი გადაგდება, საქმიდან მოტეხვა არ უფიქრია.

– შენ ასე ფიქრობ?

– ჰო, და, არ უნდა ვცდებოდე.

– რომ აღიარა, ნახატის ქურდობა ნამდვილად შევუკვეთე, მაგრამ სხვამ დამასწროო?

– მერე, რა? ეგ არ ნიშნავს იმას, რომ ფულს არ მოგვცემდა. ჩვენ გარდა სხვა ვინ ჰყავს?

– არ ვიცი, არ ვიცი... დავიბენი და, რა ვიფიქრო, ვერ ვხვდები. ნიკუშასაც ველაპარაკე პარიზში.

– მართლა? – გამოცოცხლდა თიკა, – მერე, რა გითხრა?

– ჰმ, ხომ იცი, როგორია. ვერაფერი შევატყვე საიმისო, რომ ეს ამბავი ძალიან ადარდებდეს. ისე მშვიდად მელაპარაკა, თითქოს მის მილიონებზე არ იყოს საუბარი.

– ტირილს ხომ არ დაიწყებდა! მაინც, რა გითხრა?

– რა ვიცი. პოლიცია იძიებს, ჩვენ არაფერში ვერევითო.

– მართალია. რაში უნდა ჩაერიონ, თვითონ ხომ არ დაიწყებენ გამოძიებას?!

ლევანმა შუბლზე მოისვა ხელი:

– საეჭვოდ არ გეჩვენება ეს ამბავი? რაღა იმ დღეს მოიპარეს, როცა ნიკუშა უნდა ჩასულიყო? ზუსტად წინა ღამით მოიპარეს, ან, დილით ადრე. ვითომ, უბრალო შემთხვევითობაა? მე რომ არ მჯერა ასეთი დამთხვევების?

– შენ ფიქრობ, რომ დააჩქარეს ძარცვა?

– ეჭვი მაქვს.

– ლევან, ნიკუშას გამო ძარცვას არავინ დააჩქარებდა.

– ვითომ რატომ? ნიკუშას დედამისთან შერიგებით ქურდი მიხვდა, რომ ნახატი მალევე გაიყიდებოდა. თუ ის აქამდე არ აღმოჩნდა აუქციონზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ელენე შვილს ელოდებოდა.

– საყვარელო, ეს ჩვენ ვიცით, ფრანგი ქურდები ამას ვერ მოიფიქრებდნენ. ვერ დავიჯერებ, რომ ასეთ ინფორმაციას ფლობდნენ.

ლევანს ჩაეცინა:

– თინი, მართლა ასეთი გულუბრყვილო ხარ? თუ ეს უბრალო დამთხვევა არ ყოფილა, მაშინ, იმის ეჭვიც აღარ იარსებებს, რომ ნახატის გაქრობაში ქართველის, თანაც, ვიღაც შინაურის ხელი ურევია.

თიკას სახეზე გაოცება გამოესახა:

– შენ რა მაგარი ხარ?! როგორ მიხვდი?

– ამის მიხვედრას განსაკუთრებული ნიჭი და იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება არ სჭირდება. მით უმეტეს, რომ იურიდიული განათლებაც მიღებული მაქვს. მაგრამ როგორ გავარკვიო? იცი, რა ვიფიქრე? საფრანგეთში ხომ არ გაისეირნებდი?

– მე?

– ჰო. რა მოხდა? ჩახვალ და ნიკუშას ესტუმრები, დედამისსაც დაელაპარაკები.

– მე? რა სისულელეა? გამორიცხულია! ვერსად ვერ წავალ, ამაზე აღარ იფიქრო.

– რატომ? თუ გინდა, ზუკაც წაიყვანე. ფულს მოგცემთ. გაგიჟდება ბავშვი, ევროპულ „დისნეი-ლენდს“ რომ ნახავს.

– ვერ წავალ-მეთქი, არ შემიძლია!

– საყვარელო, არაფერი არ უნდა გააკეთო განსაკუთრებული. უბრალოდ, სტუმრად მიხვალ და ერთ-ორ შეკითხვასაც დასვამ. მორჩა, სულ ეს არის.

– არ შემიძლია-მეთქი, ცუდად ვარ. თან, აღარ მინდა მაგ საქმეში გავერიო. მით უმეტეს, ნიკუშასთან შეხვედრა აღარ მინდა, დედამისზე რომ აღარაფერი ვთქვა.

– თიკა, სულ ტყუილად იტანჯავ თავს, ნიკუშა შენი ძმა არ არის.

– შენ რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული?

– დარწმუნებული ვარ. მამაშენმა მითხრა.

თიკას ტუჩები აუკანკალდა:

– მამაჩემმა გითხრა? რაო, ჩემი შვილი არ არისო?

– ერთადერთი შვილი მყავს, თინიკოო. ეს ხომ ნიშნავს შენთვის რაღაცას?

თიკა დაფიქრდა და თავი გადააქნია:

– ახლა არ გამაგიჟო! როგორ არაფერს არ ნიშნავს? იცი, რაშია საქმე? კაცი ვერასოდეს იქნება დარწმუნებული იმაში, ვისია ბავშვი. მხოლოდ დედას შეუძლია, ზუსტად ამის თქმა. ამიტომ, მარტო ელენეს თუ დავუჯერებთ. მხოლოდ მას აქვს რაღაცის დამტკიცების უფლება. გესმის, რას ვგულისხმობ?

– მაკვირვებ, თინი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გინდა, ნიკუშა შენი ძმა აღმოჩნდეს.

– არ ვიცი, მინდა ეს თუ არა, მაგრამ, ნამდვილად არ მეწყინება.

– ამას ვხვდებოდი. ესე იგი, შენ მოკავშირედ არ გამომადგები.

ქალმა თავი გადააქნია. ლევანი მოიღუშა:

– ცუდია, ძალიან, ძალიან ცუდია. ერთადერთი, შენი იმედი შეიძლებოდა, მქონოდა.

თინიკომ თითქოს ვერ გაიგონა მისი სიტყვები:

– წავალ, დავწვები. ცოტა სუსტად ვარ. შენ არ იძინებ?

– ცოტა ხანს კაბინეტში ვიქნები, სამუშაო მაქვს.

ლევანმა დაჟინებული მზერით გააცილა ცოლი და ყავის ფინჯანს ჩააშტერდა. ეჭვი ტვინს უღრღნიდა. ვერაფრით ამოიგდო თავიდან იმაზე ფიქრი, რომ ქურდობა საგანგებოდ დააჩქარეს, რომ ნიკუშას პარიზში ჩასვლამდე მოესწროთ. „გამორიცხულია, ამაში ჩვენიანის ხელი არ ერიოს. გამორიცხულია! ჰო, საგანგებოდ იჩქარეს, რა თქმა უნდა! მაგრამ, ვინ, ვინ შეუკვეთა ქურდობა და სად არის ახლა ნახატი?..“ ლევანმა სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარასთან მივიდა. კარის ჭრიალმა მოახედა – ზღურბლზე თიკა იდგა.

– ცუდად ხომ არ ხარ? – ჰკითხა, შეშფოთებულმა, – ცუდი ფერი გაქვს.

– არა, კარგად ვარ. უბრალოდ, რაღაც გამახსენდა. შენ თქვი, რომ ქურდი ფრანგი რომ ყოფილიყო, მას ნიკუშასა და დედამისის ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია არ ექნებოდაო. მე ვიცნობ ერთ ფრანგს, რომელმაც ეს ყველაფერი ჩვენზე კარგად იცის.

– ვის გულისხმობ? – მაშინვე ვერ მიხვდა ლევანი.

– ჟანს, საყვარელო, ელენეს ქმარს. დაფიქრდი და მიხვდები, რომ სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის ამ სიტყვებში. ის აქ ჩამოვიდა და ქურდს ხელ-ფეხი გაეხსნა. აბა, ნახე, როგორ კარგად ეწყობა ყველაფერი?

– შეუძლებელია! ამაზე არ მიფიქრია... ჟანი? შენ გგონია, რომ...

– ჰო, რატომაც არა? ვინ არის ასეთი, რომ მასზე ეჭვი ვერ მივიტანოთ? რა იცი, რა ამოძრავებს... კი, ბევრი ფული აქვს. გრაფია და საგვარეულო ციხე-კოშკში ცხოვრობს, მაგრამ მისი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე შენ არაფერი იცი. იქნებ, იგროკია და კაზინოში წააგო ფული? იქნებ, ელენე სწორედ მაგ ნახატის გამო შეირთო ცოლად?

– არა, არა, ეგ ვარიანტი გამორიცხე. ელენე მანამდე შეირთო ცოლად, სანამ იმ ნახატის ორიგინალობისა და ღირებულების ამბავი გაირკვეოდა. ხომ იცი, რომ ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, მამაშენმაც კი არ იცოდა. ჰო, მართლა, ხომ არ იცი, საიდან ჰქონდა მამაშენს ასეთი ძვირფასი ნახატი?

– წარმოდგენა არ მაქვს, – მხრები აიჩეჩა თიკამ, – საიდან უნდა ვიცოდე? ზურაბმა ის მანამდე გააჩუქა, სანამ მე დავიბადებოდი.

– მართალი ხარ, ეგ სულ დამავიწყდა. ჟანთან დაკავშირებით კი გავითვალისწინებ. ჭკვიანი გოგო ხარ, მე ამაზე საერთოდ არ მიფიქრია.

– ხედავ, რაღაც მეც შემძლებია! თან, არც იურიდიული განათლება მაქვს. შენ კიდევ ამბობ, მოკავშირედ არ გამომადგებიო.

– გეწყინა, საყვარელო?

– არა, მაგრამ პარიზში მაინც ვერ წავალ.

– ეს შენი ახირებაა?

– არა, მიზეზი მაქვს, სერიოზული მიზეზი, მაგრამ, ჯერ ამისი თქმის დრო არ მოსულა.

– ოჰო, მაინტრიგებ? ხომ იცი, რომ არ მიყვარს, როცა რაღაცას მიმალავ?

– არ გიმალავ, უბრალოდ, მე თვითონ მჭირდება დრო, რაღაცაში უნდა დავრწმუნდე. კარგი?

– კარგი, – ლევანი ცოლთან მივიდა და ლოყაზე აკოცა, – მაშინ, მე მომიწევს პარიზში ჩასვლა, იმიტომ, რომ მამაშენმაც უარი მითხრა – მგზავრობას ვერ ვიტანო.

– მე გეტყვი, ვინ უნდა გაუშვა.

– ვინ?

– დათო. მის ცოლს შანსი მიეცი, პარიზის მაღაზიებში იხეტიალოს და ქმარს შეუძლებელს შეაძლებინებს.

– ნათია სულელი, ჭირვეული გოგოა, თანაც – ორსული. არავითარი სურვილი არ მაქვს, იცოდეს ჩემი გეგმების შესახებ. მით უმეტეს, ნახატის თაობაზე ვერ ჩავაყენებ საქმის კურსში.

– არც არის საჭირო, მაგას საერთოდ არ ვეტყვი. უბრალოდ, „შემთხვევით“ ლაპარაკს მოვაყოლებ იმას, რომ ლევანს რაღაც საქმე აქვს პარიზში და სანდო ადამიანი სჭირდება, რომლის მოგზაურობის მთელ ხარჯებსაც თვითონ ფარავს-მეთქი. ნახავ, როგორ გააგდებს დათოს და თვითონაც უკან გაეკიდება.

– თინი, არ გვინდა, რა! ორსულია, არაფერი დაემართოს, თორემ მერე სინდისი არ მომასვენებს.

– რა უნდა დაემართოს? არაფერი აწუხებს, თავს არაჩვეულებრივად გრძნობს. პირიქით, მოუხდება კიდეც მოგზაურობა.

– არა, არა... დათო არ გამომადგება.

– პირიქით, სწორედ დათო გამოგადგება, დამიჯერე!

– კარგი, ჯერ კიდევ უნდა გადავწყვიტო. რადგან ასე მთხოვ, დათოზეც ვიფიქრებ, გპირდები. თუმცა, რატომღაც მგონია, რომ ამ საქმეში ქალი უფრო გამომადგება.

– მაგალითად?

– მაგალითად, იას გაგზავნა იქნებოდა კარგი, მაგრამ ვახოს ხვდება და ამაზე ფიქრს რომ ვიწყებ, ორივეს დახრჩობა მინდება.

– სისულელეა! – გაიცინა თიკამ.

– რა არის სისულელე?

– ის, რომ თითქოს ვახოს ხვდება ია და საყვარლები არიან. მე ამის არ მჯერა!

– რატომ არ გჯერა? ვახომ თავისი პირით მითხრა, დათოზე რომ აღარაფერი ვთქვა.

– რა გითხრა ვახომ, ის რომ ღამე იასთან დარჩა? მერე რა? ისინი მეგობრები არიან. ეს, შეიძლება, ნათიას გაუკვირდეს და კუდი გამოაბას, მე ასეთი სულელი არ ვარ. თანაც, ვახოს ვიცნობ კარგად.

– ეგ რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ ვახო ძალიან ვაჟკაცურია, საკუთარ თავს არ აკადრებდა მასთან დაწოლას. გაუგონარი, სერიოზული შეცდომა დაუშვი.

ლევანს ენიშნა ცოლის სიტყვები:

– შენ ასე გგონია?

– კი არ მგონია, ასეა. თანაც ინტუიცია მკარნახობს, რომ ეგ შეცდომა დიდ პრობლემასაც შეგიქმნის. ასე რომ, გირჩევ, მალე გაარკვიო ვახოსთან ურთიერთობა და მერე იას პარიზში გაგზავნაზეც შეიძლება ფიქრი.

– თუ ტყუილად ვწვალობთ და ნახატი რომელიმე გიჟი მილიონერის კოლექციაშია?.. – მწარედ გაეცინა ლევანს.

– ეგეც არ არის გამორიცხული. მაშინ ერთი საშუალებაღა დაგვრჩება.

– რა საშუალება?

– დავიკიდოთ, – მიუგო თიკამ ღიმილით და კარი გაიხურა.

***

... ეჭვი ყველაზე ცუდი მრჩეველია. ისეთ გადაწყვეტილებას მიგაღებინებს, მთელს შენს ცხოვრებას თავდაყირა დააყენებს. უფრო სწორად, შენ თვითონ დააყენებ თავდაყირა საკუთარი ხელით და, ვეღარც იმას შეძლებ, სხვას გადააბრალო – იმან შემიყვანა შეცდომაშიო. მაგრამ, ეჭვთან ბრძოლაც ხომ არ არის ადვილი? თუ ერთხელ გულში და გონებაში შემოგეპარა, ისე უშვებს თავის საცეცებს, სანამ მიხვდები, რა ხდება, მანამ შეგიბოჭავს ხელ-ფეხს. ლაპარაკი არ არის მხოლოდ ცოლქმრულ, ბანალურ ეჭვიანობაზე. თუმცა ესეც არ არის უმნიშვნელო და ყურს იქით გასატარებელი. ერთი სიტყვით, ეჭვი ძალიან ცუდი რამეა, იმაზე ცუდი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება, მოგეჩვენოთ. როგორ ძლიერადაც უნდა მოგქონდეთ თავი, როგორი შეუვალი და პრინციპულიც უნდა იყოთ, ეჭვი ისე გამოღრღნის თქვენს პიროვნებას, აღარაფერს დატოვებს მისგან. მერე, შეიძლება, ძალიან ბევრიც ინანოთ, მაგრამ ვეღარაფერს შეცვლით, ვეღარ ამოავსებთ იმ სიცარიელეს, რომელიც თქვენ გარშემო შექმენით.

***

ნიკუშამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დედამისის ზურგს უკან გაჩერდა. ელენემ იგრძნო მისი დაჟინებული მზერა.

– ვიცი, რომ ჩემს პასუხს ელოდები. ვიცი, მაგრამ ცოტა დრო კიდევ უნდა მომცე. ძალიან გთხოვ, შვილო, იმიტომ არა, რომ შენი მოტყუება მაქვს განზრახული. უბრალოდ, მინდა, საკუთარ თავში დავრწმუნდე. ბევრი აღარ დამჭირდება, გპირდები...

ნიკუშამ მხარზე დაადო ხელი და ოდნავ მოუჭირა... და კიდევ ერთხელ გაიფიქრა, ამ ქალის გარეშე, ნეტავი, როგორ ვცხოვრობდიო...

ბედს ვებრძვი – ესე იგი, ცოცხალი ვარ; ესე იგი, კიდევ შემიძლია, მთელ ქვეყნიერებას ავუმხედრდე და ბრძოლაში გამოვიწვიო. ბრძოლაში, რომელშიც მონაწილეობაა მთავარი და არა გამარჯვება, რადგან, ბედს შეგუებული ყოველთვის დამარცხებულია. უმოქმედობაც მარცხისკენ გადადგმული ნაბიჯია. მთავარია, ვიბრძოლო... გულზე ხელები არ დავიკრიფო და არ ვთქვა, რომ დავნებდი...

***

ნიკუშა სადისტური მოთმინებით ელოდა პასუხს. თითქმის ნანობდა, რომ დედამისს საერთოდ დაუსვა ეს შეკითხვა. შინაგან დისკომფორტს გრძნობდა და ინტუიციურად ხვდებოდა, რომ ელენეს პასუხი მათ ურთიერთობას ახალ ფაზაში შეიყვანდა. თითქოს შორიდან ზვერავდნენ ერთმანეთს, აფასებდნენ საკუთარ ძალებსა და მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს. დედა-შვილი მტრად არ მოკიდებია ერთმანეთს, მაგრამ ორივე რაღაცას ელოდა. ნიკუშას მოლოდინი სხვანაირი იყო, უფრო ზომიერი, ელენე კი აშკარად შვილის მოთმინებას სცდიდა. ყოველ შემთხვევაში, ნიკუშა დარწმუნებული იყო ამაში. მისი გონებაც მთლიანად ამაზე ფიქრით იყო დაკავებული. თბილისი, მეგობრები – მირაჟივით დაილექა მის მეხსიერებაში. იაზეც აღარ ფიქრობდა. მისი ცხოვრება თითქოს ახალი, სუფთა ფურცლიდან იწყებოდა. ნიკუშა საკუთარ თავს არ უტყდებოდა, რომ ძალიან უნდოდა, სწორედ ასე მომხდარიყო. ლევანის ზარი მოულოდნელი და ცოტა უსიამოვნოც აღმოჩნდა მისთვის. ლევანს შეწუხებული ხმა ჰქონდა:

– მართალია, რაც გავიგე? იცი, თიკა უყურებდა ტელევიზორს და შემთხვევით მოვკარით თვალი. ადრე უნდა დამერეკა, მაგრამ, ხომ იცი ჩემი მოუცლელობის ამბავი! ალბათ, ძალიან ნერვიულობ. რომ შემეძლოს, ეგრევე გადმოვფრინდებოდი. ძალიან გჭირდები?

– ჰო, ლევან, გისმენ. სურათზე მეუბნები? რა ვიცი, რომ გითხრა, თავს ვიკლავ ნერვიულობით- მეთქი, მოგატყუებ. დაიკარგა – დაიკარგა! სულ დაკარგული არ იყო? ჩემი არც არასდროს ყოფილა.

– ბიჭო, რას ამბობ? დაგავიწყდა, ეგ ნახატი რა ღირს? დედაშენის და შენი რამ გაყო! გაგიჟდი? ეგ ხომ შენი შანსი იყო! ძალიან უცნაური ვინმე ხარ. აქ ყველა ვნერვიულობთ. შენ კი – ვითომ არაფერი?! ფული რომ გჭირდება, არ იცი?

– მე სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაქვს აქ და ფულზე ვეღარ ვიფიქრებ.

– მაგაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, ბიჭო, რას მელაპარაკები? არ მითხრა, რომ ფული არ გჭირდება, თორემ გავგიჟდები. იცი, რას ვიზამ? ბიჭებს დაველაპარაკები და რომელიმე ჩამოვალთ შენთან.

– არ მინდა-მეთქი. რომელი გამომძიებლები თქვენ ხართ. აქაური პოლიცია კარგად მუშაობს და, საერთოდაც, უკვე გითხარი, ამ საქმით ჟანია დაკავებული, ელენეს ქმარი.

ყურმილში სიჩუმე გამეფდა. ლევანი რაღაცას ფიქრობდა. ნიკუშა უკვე ტელეფონის გათიშვას აპირებდა, რომ გარკვევით გაიგონა მეგობრის სიტყვები:

– შენ აქაც გაქვს პატარა პრობლემა.

– რაა?!

– ჰო. არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ, რა აზრი აქვს, მაინც გაიგებ.

– რა მოხდა? – ნიკუშას არ მოეწონა მეგობრის ტონი.

– მოკლედ, ნატუკა იყო ჩემთან... – ლევანმა სიტყვა გაწელა.

– ვინ?

– ვინ და – ნატა. ახლა არ მითხრა, არ მახსოვსო.

– როგორ არ მახსოვს, მაგის თქმას არც ვაპირებდი. შენთან იყო და მე მაქვს პრობლემა?

– ჰო, შენ გაქვს პრობლემა. გინდ დაიჯერე, გინდ ნუ დაიჯერებ, მაგრამ, ორსულად არის.

ნიკუშამ ხმამაღლა გაიცინა.

– რა გაცინებს, სერიოზულად გეუბნები! მე ასეთ თემებზე არ ვხუმრობ და არც შენ გაქვს სასაცილოდ საქმე, იმიტომ რომ, ნატუკა ბავშვის გაჩენას აპირებს.

ნიკუშამ მუშტი მომუჭა და გამეტებით მისცხო კედელს.

– გესმის, რა გითხარი? ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ ასეთი სისულელის გაკეთება არ ღირს – ვერ დავითანხმე. გეფიცები, არ მინდოდა, ეს ამბავი შენს ყურამდე მომეტანა, მით უმეტეს ახლა, როცა ისედაც გაქვს სანერვიულო...

– მოიცა, მოიცა! რას ნიშნავს – ვერ გადავათქმევინე? შენ რა, ნატუკას აბორტზე ელაპარაკებოდი? – ნიკუშა ჭარხალივით გაწითლდა.

– ჰო, აბა, რაზე უნდა მელაპარაკა? არ გადამრიო და არ მითხრა, რომ მაგ კახპასთან ბავშვი გინდა!

– ეგ შენი საქმე არ არის, ჩემი შვილის ბედს მე თვითონ გადავწყვეტ!

– საკითხავი ის არის, შენი შვილია თუ კიდევ ვიღაც სხვის, – გესლიანად ჩაურთო ლევანმა.

– არც ეგ არის შენი საქმე! – გაბრაზება დაეტყო ნიკუშას, – ჰო, არ არის შენი საქმე და როგორმე მე და ნატუკა შევთანხმდებით, რა გავაკეთოთ!

– რას ჰქვია, ჩემი საქმე არ არის! ნატუკა ვინ გაგაცნო, ხომ არ დაგავიწყდა? პასუხისმგებლობას ვერ გავექცევი.

– არავინ მოგთხოვს პასუხს, შენ მაგაზე ნუ ინერვიულებ.

ოთახში ელენე შემოვიდა. თვალის ერთი შევლებით მიხვდა, ნიკუშას დაძაბული საუბარი რომ ჰქონდა ვიღაცასთან. არაფერი უთქვამს, სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ნიკუშამ დაინახა დედა, მაგრამ საუბარი, ჩვეულებრივად, იმავე ტონში გააგრძელა:

– მოკლედ, მიეცი ჩემი ტელეფონის ნომერი და მოვრჩეთ, მე გავცემ პასუხს!

ლევანი არ ელოდა ასეთ რეაქციას.

– კარგი. მაგრამ, იცოდე, მაგარ შარში ყოფ თავს. შენ მაგას არ იცნობ. დარწმუნებული ვარ, შენს ხარჯზე აპირებს სამომავლოდ ცხოვრებას.

– მაგას მე მივხედავ. დამშვიდდი. შენ არაფერს დაგაბრალებ.

– ნიკუშა, მომისმინე! რაღაც ძალიან უცნაურად ლაპარაკობ. მე შენი მეგობარი ვარ და გული შემტკივა შენზე. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. უნდა ვიცოდე, რას აპირებ. არ გაგიჟდე და ის კახპა ცოლად არ შეირთო! რომ მცოდნოდა, ეს ჰქონდა ჩაფიქრებული, სიახლოვეს არ გაგაკარებდი!

– ლევან, ხომ გითხარი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს-მეთქი? პატარა არ ვარ და, თუ რამეს გადავწყვეტ, ეს ჩემი არჩევანი იქნება და სხვა არავისი. მიეცი ჩენი ტელეფონის ნომერი, ან მე მომეცი მისი კოორდინატები და დავუკავშირდები!

– მომისმინე, არ დაკიდო! ნიკუშ, ძალიან არ მომწონს ეს ამბავი...

– არც მე, მაგრამ შენ ვერაფრით დამეხმარები. მეტსაც გეტყვი, გიკრძალავ ჩემს შვილზე ლაპარაკს!

ელენე შეკრთა და მის მზერაში გაოცება გაკრთა. ნიკუშამ ყურმილი დაკიდა და შემოტრიალდა.

– არაფერი მკითხო, ძალიან გთხოვ! – უთხრა ელენეს.

ქალმა ხელები გაშალა:

– შენი ნებაა, არაფერს გკითხავ, მარტო იმას გეტყვი, რომ ყოველთვის შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს, აბსოლუტურად ყველაფერში. ნებისმიერ შემთხვევაში მხარს დაგიჭერ.

– ვიცი, მაგრამ, ჯერჯერობით მირჩევნია, ყველაფერი ასე დავტოვო.

ელენემ ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოლოს სძლია თავს და შვილს მიმართა:

– მე შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი.

– ჰო, გაქვს, მაგრამ, თუ ისევ არ ხარ მზად, კიდევ დავიცდი. თუმცა, გულახდილად გეტყვი, ჩემთვის ეს ადვილი არ არის.

– ვიცი.

– თუმცა, ცოტათი ეჭვიც გამიჩნდა.

– ეჭვი? რაზე?

– უამრავ რაღაცაზე ვფიქრობ, იქნებ, საერთოდ არ უნდა ჩამოვსულიყავი...

ელენემ შეშფოთებით შეხედა შვილს:

– ეს აღარ თქვა. აღარასოდეს არ თქვა. შენ ჩემი ცხოვრების ნაწილი ხარ, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ღირებული. გიყურებ და ვხვდები, რომ აქამდე მხოლოდ ვცოცხლობდი. უბრალოდ, ვსუნთქავდი და სულ ეს იყო.

– მაშინ, მითხარი და მოვრჩეთ. ეს პასუხი ბევრ რამეს შეცვლის, დიდი ლოდი მომეხსნება გულიდან.

– საღამოს გეტყვი ყველაფერს. შენს ყველა კითხვაზე გავცემ პასუხს, მაგრამ მე დარწმუნებული უნდა ვიყო იმაში, რომ ჩემს თითოეულ სიტყვას ისე გაიგებ, როგორც საჭიროა და დამიჯერებ.

ნიკუშა შეიჭმუხნა:

– შევეცდები.

– ესე იგი, ვერ მპირდები, – ელენე ტკივილით და სევდით შესცქეროდა შვილს და ნიკუშამაც ვეღარ გაუძლო:

– კარგი, კარგი, გპირდები.

ქალმა თავი გადააქნია.

– არ მინდა, კიდევ დაგკარგო. ამას ვეღარ გავუძლებ. შვილი რომ გყავდეს, მაშინ...

ნიკუშამ ხელის აქნევით შეაწყვეტინა:

– არა, არა, შვილზე ნუ ვილაპარაკებთ, არ მინდა! ძალიან გთხოვ, ვიცი, შენ ახლა რაღაც გაიგონე, მაგრამ ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას არ გირჩევ. ლევანთან რაღაც ისეთზე ვლაპარაკობდი, რაც შენ არ გეხება. ჩვენს ურთიერთობას არ ეხება. არანაირად.

– ესე იგი, ეს ლევანი იყო, – ჩაილაპარაკა ელენემ.

– ჰო. ლევანმა დარეკა. ძალიან ნერვიულობს იმ ნახატის დაკარგვის გამო.

– მართლა? – ელენე დაიძაბა.

– მე ჩამოვალ, ან ბიჭებს გამოვგზავნიო.

– უცნაურია, ძალიან უცნაური...

– რა არის უცნაური, ჩემ გამო რომ ნერვიულობს? ჩემი მეგობარია და ვუყვარვარ. სხვათა შორის, ძალიან ზრუნავდა ჩემზე მთელი ამ წლების განმავლობაში.

– ლევანი კარგი ბიჭია. მე ცუდი არაფერი მიგულისხმია. გეფიცები, ტყუილად გაღიზიანდი.

– არ ვიცი, არ ვიცი. ტყუილად არაფერი ხდება. იცი, ყველაზე ცუდი რა არის? შენ მე კომპლექსი გამიჩინე. დიდი ხანია ეჭვით ვცხოვრობ და გავწამდი.

– მერე, რატომ იწამებ თავს? უნდა მენდო. ერთხელ უნდა მენდო და ყველაფერი დამთავრდება. შენი ტანჯვა დამთავრდება. ნიკუშა, შენ ჩემს სიყვარულშიც გეპარება ეჭვი?

– არა, არ მეპარება.

– თვითონაც არ გჯერა შენი სიტყვების. – ელენე შვილთან მივიდა და თმა მოუჩეჩა. ნიკუშას თავი არ გაუწევია, ესიამოვნა დედის თითებიდან წამოსული სითბო.

***

ლევანმა ყურმილი გაბრაზებით დაახეთქა აპარატზე და მდივნის გამოსაძახებელ ღილაკს დააჭირა თითი. რამდენიმე წამში ქალმა კარი შეაღო და ზღურბლიდანვე იკითხა:

– მეძახდით, ბატონო ლევან?

– არა, ისე, გასართობად დავაჭირე ღილაკს თითი! რა სულელურ შეკითხვებს მისვამ ამ ბოლო დროს, რა უბედურებაა! სად იყავი აქამდე, ორი ნაბიჯის გადმოდგმას ამდენი დრო სჭირდება?

ქალი მიხვდა, შეფი მასზე რომ ცდილობდა ბრაზის გადმონთხევას, ამიტომ გაჩუმება არჩია. ლევანი ბობოქრობდა:

– ვერავის იმედი ვერ გექნება ადამიანს, გაგიჟება შეიძლება! რას მიყურებ! მითხარი, დღეს რამე მნიშვნელოვანი შეხვედრა ხომ არ მაქვს? ტელევიზიიდან დარეკეს, რადიოდანაც. აინტერესებთ, ხომ ვერ შეძლებთ მისვლას და გადაცემაში მონაწილეობის მიღებას.

– ვერ შევძლებ! – ბრაზით თქვა ლევანმა

– კი, მაგრამ, იქნებ ტელეფონით მაინც გაგეკეთებინათ კომენტარი, ჯერ კიდევ გუშინ შეპირდით, – მორიდებით შეახსენა მდივანმა.

– მე შენთვის რჩევა არ მითხოვია. ეტყვი, რომ ძალიან მოუცლელი ვარ, რეგიონში გავდივარ, გადაუდებელი თათბირი მაქვს – ერთი სიტყვით, რაც გინდა, ის მოიგონე, ოღონდ ამ საკითხზე, უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში აღარ შემაწუხო!

– კი, მაგრამ ბატონო ლევან...

– არავითარი „მაგრამ“! შენ ჩემი ინტერესები უნდა დაიცვა და ის გააკეთო, რაც ჩემთვის იქნება სასარგებლო. უამრავი პრობლემა მაქვს და ჟურნალისტების სულელური კითხვების პასუხებზე ნამდვილად ვეღარ ვიფიქრებ. გაიგე, რაც გითხარი?

ქალმა თავი დაუქნია.

– კიდევ რა გვაქვს? სამთავრობო სხდომა ხომ არ იგეგმება?

– ჯერჯერობით არ დაურეკავთ.

– ჰო, ვიცი მაგათი ამბავი. ბოლო წუთს გადაწყვეტენ ხოლმე. თუმცა, დღეს არაფერი მომხდარა ისეთი, რომ საყოველთაო განგაში გამოცხადდეს. შემახსენე, ხომ არაფერი მავიწყდება?

– თქვენს მოადგილესთან გქონდათ შეხვედრა, თავის კაბინეტში გელოდებათ და, კიდევ...

– სოსოს უთხარი, ამოვიდეს. კიდევ რისი თქმა გინდოდა?

– დღეს რამდენჯერმე დაგირეკათ ვიღაც გოგონამ. ვინაობა არ უთქვამს. თვითონაც მიხვდებაო.

– გოგონამ თუ ქალმა? – მოიღუშა ლევანი.

– მე დასკვნა მისი ხმის მიხედვით გამოვიტანე, ასაკი არ მიკითხავს.

– კარგი, კარგი. სოსოს შევხვდები და წავალ. არავისთან აღარ დამაკავშირო.

– თქვენმა მეუღლემ რომ დარეკოს?

– ჩემი მეუღლე მობილურზეც დამირეკავს. შენ კი დღეს ძალიან ბევრ კითხვას მისვამ. ადრე ასეთი მიუხვედრელი არ იყავი. ასე, რომ გაითვალისწინე!

მდივანმა ჩუმად გაიხურა კარი.

ლევანმა აივნის კარი გამოაღო, ცივი ჰაერი ღმად ჩაისუნთქა და ჩაფიქრდა: ჰმ, გამომივიდა ეგეც გმირი – მამობა მოუნდა. იდიოტი. ვერ ვიგებ, რატომ არის კარგი ტიპი, როცა მთელი ცხოვრება დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მაგრამ, რა გინდა, ამ ჩერჩეტ ქალებს სწორედ ასეთი მამაკაცები მოსწონთ. უფულო და ქარის წისქვილებთან მებრძოლი დონკიხოტები. ყველაფერი გააჩნდა, აბსოლუტურად ყველაფერი, რომ საუკეთესო მომავალი ჰქონოდა: თანამდებობა, ფული, გავლენა, ლამაზი ქალები... მხოლოდ თითი უნდა გაენძრია და დღეს ყველასათვის ცნობილი კაცი იქნებოდა. მაგ შტერმა კი, რა გააკეთა?! – თითის მაგივრად ხელი გაანძრია და ყველაფერი ქვიშაში აშენებული ხუხულასავით დაანგრია. ბედმა მაინც არ გაიმეტა და კიდევ მისცა შანსი, თანაც – როგორი,

მაგრამ, მაინც ღრუბლებში დაფრინავს და დედამიწაზე ჩამოსვლას არ აპირებს. იდიოტია, აბა რა არის! თუმცა, მე რა მენაღვლება, იბრძოლოს და იწვალოს ტორეადორივით, დაფნის გვირგვინს მაინც არავინ დაადგამს თავზე. დიდი-დიდი, ნატუკა ერგოს ჯილდოდ. სულელი! მგონი, განსაკუთრებული წვალება არც დასჭირდება ნატას, რომ ცოლად მოაყვანინოს თავი. ეტყობა, სულ მამამისის კვალზე წავიდა. „კეთილშობილი რაინდი“! გულმოკლული და სიყვარულში ხელმოცარული ქალების ნუგეშისმცემელი!.. ჩემი ცოლიც კი მის მხარეს არის, ესმის მისი. საინტერესოა, მე რატომ არ მესმის? ყველაფერს ჩემით მივაღწიე. არასდროს მქონია ისეთი ცხოვრება, ფეხი ფეხზე გადამედო და დავლოდებოდი, როდის მომერთმეოდა ლანგრით ბედის წყალობა. შეიძლება, მშურს ნიკუშასი, მაგრამ შური არ არის პათოლოგია, აბსოლუტურად ნორმალური გრძნობაა და ნებისმიერი ადამიანისთვის დამახასიათებელი. რატომ უნდა ვგრძნობდე სინდისის ქენჯნას მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ მშურს ნიკუშასი? მას შეუძლია, ცხოვრებას ისე უყუროს, როგორც მისმა ბატონ-პატრონმა, მაშინ, როცა არაფერს წარმოადგენს, ჯერ კენჭიც კი არ გადაუბრუნებია, მაგრამ, მაინც შეუძლია, თქვას – ფეხებზე მკიდია, ორი მილიონი რომ დავკარგეო. სად არის სამართალი, ასეთ კაცს რატომ უნდა უღიმოდეს ბედი?!“.

ლევანი კარისკენ მკვეთრმა ხმაურმა მიახედა – ზღურბლზე მისი მდივანი მთელი ღონით ცდილობდა ზორბა მამაკაცთან გამკლავებას და ვერ ახერხებდა. ვახომ სულ ადვილად მოავლო ქალს ხელი იღლიებში, ასწია და კარს იქით გადასვა. მდივანმა საცოდავად ამოიკნავლა:

– მაპატიეთ, ბატონო ლევან, ვერაფრით შევაჩერე!

– ბიჭო, როგორ იქცევი, სად გგონია შენი თავის, შენს რომელიმე კაფეში თუ საკუთარ სახლში? ან, საშვის გარეშე ვინ შემოგიშვა. სად იყო დაცვა? ვერ გადამირჩება ვერც ერთი!

– ნუ ყვირი და მდივანს უთხარი, ყავა და ერთი ჭიქა წყალი მომიტანოს. დავიღალე, – ვახომ არაფრად ჩააგდო არც ლევანის მბრძანებლური ტონი და არც მისი ბრაზიანი გამოხედვა, ნებივრად გაიშხლართა სავარძელში და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

– არ გეკითხები, შეიძლება თუ არა მოწევა, საფერფლე უკვე დავინახე. ერთი, აქეთ გადმომიდგი, შენს გაზრდას!

– ვახო, მეტისმეტი მოგდის! ეს მინისტრის კაბინეტია, გესმის? მინისტრის!

– გმადლობთ, რომ გამახსენე, თორემ აღარ მახსოვდა. გაიხარე. – დასცინა ვახომ და ჯერ კიდევ ღია კართან მდგარ მდივანზე ანიშნა: – ეტყვი, რომ კარი დახუროს და ყავა მოადუღოს, თუ, პირდაპირ დავიწყო, რატომ მოვედი?

ლევანმა მდივანს რაღაც ანიშნა, ქალმაც მაშინვე გაიხურა კარი.

– აჰა, ახლა მარტონი ვართ. მითხარი, რა დაგეტაკა, კაბინეტში რომ მომივარდი?

ვახომ დამცინავი მზერით შეათვალიერა წამოჭარხლებული მეგობარი და თითები გაატკაცუნა:

– პრინციპში, მე არც ის ღია კარი შემიშლიდა ხელს, რომ შენთვის სიფათი გამელამაზებინა. ესე იგი, გაინტერესებს რისთვის მოგივარდი კაბინეტში?

– ჰო, და, დროზე მითხარი, მეჩქარება! ცოტა დრო მაქვს.

– შენი საქმე მოიცდის. ჩემთვის დროსაც გამონახავ. მეგობრები ვართ, ბოლოს და ბოლოს.

– ვახო, სამი საათის შემდეგ სახლში ვიქნები და იქ ვილაპარაკოთ ჩვენს მეგობრობაზე.

ვახომ თავი გადააქნია:

– არა, სახლში თიკა იქნება, მე კი მასთან ვერ დაგარტყამ. შენგან განსხვავებით, იმ გოგოს პატივს ვცემ და ქმარს ცხვირწინ ვერ გავულახავ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარი ამას ასი პროცენტით იმსახურებს.

– ნუ მემუქრები! თუ ვინმე ცემას იმსახურებს ეს შენ ხარ, მაგრამ, ვხედავ გადაწყვიტე, „დამასწრო“. „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას“ პრინციპით მოქმედებ, მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს არ გამოგადგება. მეც მინდოდა შენი ნახვა.

– რას მელაპარაკები! მერე, რატომ ვერ მნახე. მეძებე და ვერ მიპოვე? ჟურნალისტს კარგად მიეცი ჩემი ბინის მისამართი?!

ლევანს გაეღიმა:

– აი, თურმე რამ გაგაგიჟა! დიდი ამბავი, ვიხუმრე. ისე, უბრალოდ, გავერთე.

– ამ ბოლო დროს იდიოტურად ერთობი! ჭორი რომ გამივრცელე, მაშინაც იხუმრე?

ლევანმა თავი ასწია. ვახოს შეკრულმა წარბმა და მის მზერაში ანთებულმა ველურმა ნაპერწკალმა მიახვედრა, რაშიც იყო საქმე.

– აჰა, გასაგებია ყველაფერი, იამ გამოგგზავნა!

ვახომ ხელები მომუშტა:

– შენს ადგილას, იას ხსენებისგან თავს შევიკავებდი, იდიოტო! ეყოფა იმ გოგოს, რაც აზარალე. სახეზე გეტყობა, რომ უკვე ყველაფერს მიხვდი. ძალიან კარგი, ბევრი ლაპარაკი აღარ მომიწევს. ახლა ადგები, წამომყვები და ჩემი თანდასწრებით მოუხდი იას ბოდიშს.

– არა!

– რა თქვი? კარგად ვერ გავიგონე!

– მე ვთქვი – არა! არ წამოვალ იასთან. არც შენთან და არც მასთან საბოდიშო არაფერი მაქვს. ნუ იბღვირები და მუშტებს ნუ მიტრიალებ! ის დრო ხომ არ გგონია, შენი ღონით რომ მაშინებდი? დიდი ხანია, გავიზარდე. რაღაც შემეშალა? დიდი რამე! ეჭვი შენ თვითონ გამიჩინე შენი სულელური სიტყვებით.

– მოიცა, მოიცა! რას ნიშნავს – ეჭვი გაგიჩინე? პირდაპირ მითხარი, რომ იეჭვიანე. ანუ, ია გიყვარს და ეგრეევე იმიტომაც გადაირიე!

– აუუ! შენ სულ ნუ გაუბერე! კი არ მიყვარს, ნიკუშას და ჩვენი ძმაკაცობის პონტში გამიტყდა. ისევე გამიტყდა, როგორც შენ. რა არის აქ გაუგებარი?

– ლევან, მე იმდენი ეშმაკობა არ მაქვს, რამდენიც შენ და არც არასდროს მქონია. მაგრამ, იმას კი ვხვდები, რომ რაღაცას თაღლითობ. იას ბოდიშს მოუხდი, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

– კარგი, დათმო ლევანმა, – მოვუხდი ბოდიშს, მაგრამ, სად გავაკეთებ ამას და როგორ – მე თავად გადავწყვეტ. ზრდასრული ადამიანი ვარ და საკუთარ საქციელზე თავად ვაგებ პასუხს, იმაზეც, თუკი რამე შემეშალა. გამკონტროლებლები და ზედამხედველები არ მჭირდება.

ვახომ თავი გადააქნია უარის ნიშნად:

– არ გამოვა ეგ ამბავი. კი არ შეგეშალა: შეურაცხყოფა მოგვაყენე, ორივეს – მეც და იასაც. შენ რა, ვერ ხვდები რაზე გელაპარაკები? ბოდიშიც ერთად უნდა მოგვიხადო!

– მორჩი, ვახო! პატარა გაუგებრობისგან ტრაგედიას ნუ ქმნი! რატომ იმას არ ამბობ, შენი ქარაფშუტობით რომ დაიწყო ეს ყველაფერი? ჯერ რესტორანში მოიყვანე ის გოგო, მერე დილაუთენია დამირეკე და მითხარი, ღამე იასთან გავატარეო. თან, ისიც დაამატე, აბა, რა მექნა, ისეთი მთვრალი ვიყავი, ჭკუა არ მომეკითხებოდაო. შენ რას იფიქრებდი, ჩემს ადგილას?

– ჯერ ერთი, შენს ადგილას მე არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებოდი და, მეორეც, მე არ მაქვს ავადმყოფური წარმოსახვა. ია ჩვენი დაა. კრეტინი ხარ, თუ წამით მაინც დაუშვი, რომ მე შემეძლო მისთვის სხვანაირად შემეხედა!

– ჰო, კარგი, დამნაშავე ვარ, ნუ ბღავი. იასაც მოვუხდი ბოდიშს და, თუ სხვანაირად ვერ მშვიდდები, შენც პატიებას გთხოვ. მოდი, ნუ ვიჩხუბებთ, ეს არავისთვის არ არის კარგი, ყველაზე მეტად კი ნიკუშას დააზარალებს.

– თუ იასთან მის ურთიერთობას გულისხმობ, შენ ის უკვე დააზარალე!

ვახომ მეგობარს შეუბღვირა:

– მეე?!

– დიახ, შენ, ის პატარა კახპა რომ მიუგზავნე! დაგავიწყდა, ია თავზე რომ წამოადგა ორივეს?

ლევანი ჩაფიქრდა და ნიკაპი მოისრისა:

– ჰო, ეგ გოგო მართლა შეიძლება პრობლემად იქცეს და უკვე ვნანობ, რომ საერთოდ გავაცანი ნიკუშას. მგონი, შეცდომა დავუშვი.

– ხედავ, მერამდენე შეცდომას უშვებ? მგონი, დროა დაფიქრდე!

– ნიკუშას ველაპარაკე. ნატუკა ფეხმძიმედ არის.

ვახომ გაიცინა, მერე უცებ ისევ სერიოზული სახე მიიღო:

– შენგან, ტო?! ვაა, მაგარ შარში გახვეულხარ. თიკამ გაიგო? აუუ, რა ამბავს დაატრიალებდა?! მეც კიდევ, მოვედი და დაგიმატე, თითქოს შენი არ გეყოფოდა! ეგ არის, რა! შევხედე, თუ არა მაგ გოგოს, ეგრევე მივხვდი, რა ჩიტიც იყო. მეც მიპირებდა შებმას, ხომ იცი! მაგრამ, ეგეთებს სუნით ვცნობ და სათოფეზე არ ვეკარები! ვაა!..

– მორჩი? – მშვიდად ჰკითხა ლევანმა, – ძალიან კარგი. ჰოდა, გეტყვი, რომ მე არაფერ შუაში ვარ, ნატუკა ბავშვს ნიკუშასგან ელოდება. ასე რომ, შარში მე კი არა, ნიკუშაა. თან, ისიც დაუმატე, რომ ჩასული არ იყო, დედამისი რომ გაძარცვეს! ერთი სიტყვით, ნიკუშას ჩვენი დახმარება სჭირდება. შენ კი მოხვედი და რაღაც სისულელის გამო მეჩხუბები!

ვახოს პატარა ბავშვივით შერცხვა და უხერხულად შეიშმუშნა:

– სულაც არ არის სისულელე, მაგრამ, რაღაცაში მართალი ხარ. ეგ ნატუკა უფრო დიდი პრობლემაა. ია გაგიჟდება, ტო! ნატამ რომ ნიკუშას ბავშვი გაუჩინოს, ვერ გადაიტანს, გეფიცები!

– არ უნდა გაიგოს. იას არაფერს ვეტყვით, მაგრამ ნიკუშა ისეთ ჰანგზე მღერის, მგონი იმ გოგოს ცოლად მოყვანა აქვს გადაწყვეტილი.

– მაგან სულ გარეკა? თუმცა, არც გამიკვირდება, ასე რომ მოიქცეს. ჩვენ როგორ უნდა დავეხმაროთ?

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

– რა ვიცი! ვიფიქრე, დათო ხომ არ გამეგზავნა მასთან. მე თვითონ არ მცალია.

– დათო რად მინდა, მე წავალ. მაგრამ, მერე რა გავაკეთო იქ?

– მითხრა, ნატუკას ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი და თავად მოვაგვარებ მასთან ურთიერთობასო. ჩემი შვილის ბედი მარტო ჩემი გადასაწყვეტიაო.

ვახომ მოწონებით დააქნია თავი:

– სწორად უთქვამს! კაცია!

– კაცია!.. – გამოაჯავრა ლევანმა, – ჰოდა, თუ კაცია, ზარდოს სხვისი ნაბიჭვარი. მე ხმას აღარ ამოვიღებ, ჩემი სათქმელი უკვე ვუთხარი.

– გადაწყვეტილებას მის მაგივრად ჩვენ ვერ მივიღებთ. მის არჩევანსაც პატივი უნდა ვცეთ.

– ძალიან კარგი. ბოლოს და ბოლოს, „გამარჯობას“ ვეტყვი რძალს, – ირონიულად ჩაიცინა ლევანმა.

– რომელ რძალს? აუუუ! ნატუკა უნდა შეირთოს ცოლად? მეტისმეტია, ტო! ცოდოა ნიკუშა!

– შენ არ თქვი, მის არჩევანს პატივი უნდა ვცეთო? ეჭვი მაქვს, რომ ნიკუშას არჩევანი სწორედ ეგ იქნება.

ვახო აწრიალდა. ლევანი მიხვდა, რომ მტკივნეული ადგილი მოუძებნა:

– ჩადი მასთან, იქნებ ცოტა აზრზე მოიყვანო. დაელაპარაკე და უთხარი, რომ მისი მთავარი საზრუნავი ახლა იმ ნახატის მოძებნა უნდა იყოს. რაღაც-რაღაცეები აუხსენი.

– რა რაღაც-რაღაცეები?

ლევანმა მაშინვე არ უპასუხა. მაგიდიდან საქაღალდე და უჯრების გასაღებების აცმა აიღო და მეგობარს ჰკითხა:

– ხომ მანქანით ხარ?

– არა, მეტროთი მოვედი, – მანქანის გასაღები დაანახვა ვახომ.

– ძალიან კარგი. მაშინ, ახლა მე მძღოლს გავუშვებ, მაგ შენს „მეტროში“ ჩავსხდებით, ჩემთან წავალთ და დანარჩენზე იქ დაგელაპარაკები. თუ ნიკუშამ ეს შანსიც გაუშვა ხელიდან, დაიღუპება. ეჭვი მეპარება, ჟანი იმაზე ოცნებობდეს, თავისზე რვა წლით უმცროს გერს დაუტოვოს მთელი ქონება. ძალიან საეჭვოა იმ ნახატის გაქრობაც და, საერთოდ, ძალიან ბევრი ეჭვი გამიჩნდა. შენ უნდა მოახერხო ამ ეჭვების გადამოწმება. თინიკოს დავურეკავ. რამეს მოგვიმზადებს.

– არ გინდა. კაფეში დავრეკავ და გამზადებულს მოვატანინებ, – შეაჩერა ვახომ და თავისთვის ჩაილაპარაკა: – მაგარი შარიანია ეს ნიკუშა. მგონი, მაგისი გაშვება არ შეიძლებოდა, არაფერი მოიწიოს. დათომ მითხრა, ვინ იცის, ჟანს მასთან დაკავშირებით რა გეგმები აქვსო და, უკვე მეც შემეპარა ეჭვი.

– სწორედ მაგაზე უდა ვილაპარაკოთ, – თავი დაუქნია ლევანმა.

***

თინიკო დაუპატიჟებელ სტუმარს აკვირდებოდა. გოგო დამფრთხალ მზერას არიდებდა და ცდილობდა გულუბრყვილო, საცოდავი მსხვერპლის როლი ბოლომდე ღირსეულად ეთამაშა:

– ძალიან ვნერვიულობ. მაპატიეთ, ასე უცერემონიოდ რომ გამოგეცხადეთ, მაგრამ, იმედი მაქვს, გამიგებთ. სხვა გამოსავალი არ მქონდა. საშინელ მდგომარეობაში ვარ. თქვენი მეუღლე დამპირდა, რომ დამეხმარებოდა, მაგრამ, აღარ დაურეკავს. მე კი დიდხანს ვეღარ დავიცდი, ხომ ხვდებით, რატომაც – ჩემმა მშობლებმა რომ ეს ამბავი გაიგონ, სახლიდან გამომაგდებენ. მამაჩემი საშინლად მკაცრი კაცია. ნიკუშა მიყვარს, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია... – ნატუკამ თვალები ხელსახოცით მოიწმინდა და თინიკო მალულად შეათვალიერა, მერე ოთახს მოავლო დაკვირვებული მზერა. ერთი შეხედვით შეაფასა ის კომფორტი და ფუფუნება, რომელიც ბინაში სუფევდა.

– ლევანს საიდან იცნობთ? – თინიკომ გულისრევა იგრძნო, მაგრამ თავს მოერია.

– ლევანი არაჩვეულებრივი ადამიანია. ისე გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი... სად გავიცანი? რა თქმა უნდა, ნიკასთან, ნიკუშამ გამაცნო.

– თქვენ დიდი ხანია, ურთიერთობა გაქვთ? მინდოდა, მეკითხა, დიდი ხანია, რაც... – თიკამ მუცელზე ანიშნა.

– ექიმმა მითხრა, რომ მესამე თვეში ვარ... ნიკუშა შემთხვევით გავიცანი, მაღაზიაში... ჩემზე გაცილებით უფროსია, მაგრამ მე არასდროს მომწონდა ჩემი ტოლი ბიჭები.

– მე შემიძლია, რამით დაგეხმაროთ?

– არა, მე მხოლოდ ბატონი ლევანის ნახვა მინდოდა. ტელეფონს არ პასუხობს, სამსახურში კი ვერ მივიდოდი, მერიდება. შეიძლება, აქ მოვუცადო?

თიკამ გაურკვევლად აიჩეჩა მხრები:

– ლევანი, შეიძლება, გვიანობამდე არ მოვიდეს.

– მე არ მეჩქარება. თუ შეიძლება, წყალი დამალევინეთ. მინერალური მირჩევნია.

თინიკოს არ ესიამოვნა სტუმრის თავხედობა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ადგა და მინერალური წყლის მოსატანად სამზარეულოში გავიდა.

ნატუკამ კმაყოფილმა მიმოიხედა:

„არაჩვეულებრივი ბინაა, სწორედ ასეთი წარმომედგინა. ყველაფერია, რაზეც შეიძლება ქალმა იოცნებოს. მართალია, მე რაღაც-რაღაცეებს შევცვლიდი. მაგალითად, ამ სამეულს. ძალიან დიდია და უხეში. ფარდებიც ცოტათი ძველმოდურია, მაგრამ მთლიანობაში მაინც კარგია. თუ პარიზში არ მომეწონა, ან ნიკუშას მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდი, უკვე ვიცი, რისთვისაც უნდა ვიბრძოლო!“..

– აი, ინებეთ. ძალიან ცივი არ არის, ორი ნატეხი ყინული ჩავაგდე.

– გმადლობთ, თქვენ ძალიან კეთილი ხართ. ბატონი ლევანის მეუღლე სწორედ ასეთი წარმომედგინა. ალბათ, ძალიან ძნელია მინისტრის ცოლობა. შვილები ჯერ არ გყავთ? რატომ?

თინიკომ პირი გააღო, რომ ამ უტიფარი, არამკითხე გოგოსთვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ შემოსასვლელში ხმაური ატყდა და თინიკო მიხვდა, რომ ლევანი დაბრუნდა. სახე ნატუკასაც გაუბრწყინდა:

– მგონი, თქვენი მეუღლე დაბრუნდა. თქვენ კი მითხარით, გვიანობამდე არ მოვაო. ალბათ, როგორ გაუკვირდება, აქ რომ დამინახავს!..

როდის ეთამაშება ცეცხლს მამაკაცი: როცა ქალის შესაძლებლობებს ჯეროვნად ვერ აფასებს ან არ აფასებს. პრინციპში, სულერთია, რომელ ვარიანტზე შევჩერდებით, იმიტომ, რომ შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია – მამაკაცი ამ ომში წაგებული რჩება...

***

ლევანს თვალთ დაუბნელდა. ჯერ იფიქრა, მეჩვენებაო, მაგრამ ვახომ რომ მრავალმნიშვნელოვნად გააწკლაპუნა ტუჩები, მიხვდა, რომ მის წინ, უფრო სწორად, მისი ცოლის წინ, სავარძელში, ნამდვილად ნატუკა იჯდა, უწყინარი კრავივით იღიმებოდა და წამწამებს მიამიტურად აფახულებდა. ლევანს წამით ჰაერი აღარ ეყო. ოდნავ გვერდზე გადაქანდა და ვახოს მხარს მიეყრდნო. ვახომაც გამამხნევებლად მოუჭირა მკლავზე ხელი.

– კარგია, რომ მოხვედი. სწორედ ახლა შენთან დარეკვას ვაპირებდი, – თინიკო ქმარს მოეხვია და ნატაზე ანიშნა, – სტუმარი გვყავს.

– ვხედავ. თუმცა, გაოცებული ვარ და ამას არც ვმალავ.

– ბატონო ლევან, მაპატიეთ. ძალიან მრცხვენია, სახლში რომ მოგადექით, მაგრამ, სხვა გზა არ მქონდა. გამოუვალ მდგომარეობაში ვარ... – დაიწყო ნატამ საცოდავი, მიკნავებული ხმით.

ლევანმა ვახოს შეხედა და ჩუმად ამოიოხრა. ვახომ მხრები აიწურა.

– თინიკო, დღეს ჩვენ სტუმრად არ მივდიოდით? – ჰკითხა ცოლს, თითქოს ნატუკას ნათქვამი არც გაეგონოს. თინიკო უხერხულად შეიშმუშნა.

– ლევან, ამ გოგონას შენთან ლაპარაკი უნდა. საქმე აქვს, – შეახსენა ქმარს.

– საქმიანი საუბრებისთვის, შეუძლია, კაბინეტში მობრძანდეს, მაგრამ, ჯერ, იქნებ, შემახსენოს თავისი ვინაობა.

ლევანს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, როცა ამას ამბობდა, რომ ვახომ თავი ვეღარ შეიკავა და ჩაეცინა, სამაგიეროდ, ფერდში მუჯლუგუნიც მიიღო მეგობრისგან და გადაწყვიტა, სიტუაცია როგორმე გაენეიტრალებინა.

– ვერ იცანი? ბიჭო, ეს ის არის, არ გახსოვს? ნიკუშას ნაშა.

თინიკოს გაეღიმა, ნატუკამ კი აღშფოთებით წამოიძახა:

– „ნაშა“?! თუმცა, თქვენ, შეგიძლიათ, ასე იფიქროთ, მაგრამ მე მიყვარს თქვენი მეგობარი, ძალიან მიყვარს და მასაც ვუყვარვარ.

ლევანმა გამანადგურებელი მზერით შეხედა გოგოს. მზად იყო, საკუთარი ხელით მიეხრჩო, მაგრამ თინიკოს იქ ყოფნა აბრკოლებდა. ისიც აშკარად სარგებლობდა ამით, განაგრძობდა სახიფათო თამაშს და თან უტიფრად შესცქეროდა თვალებში.

– ვერ გავიგე, რატომ უნდა გაირჩეს ნიკუშას სასიყვარულო ამბები ჩემს ოჯახში? – ჩაილაპარაკა შუბლშეკრულმა და ვახოს ანიშნა, დაჯექიო.

ვახო დაჯდა. ისიც ნატუკას უყურებდა, თანაც, არაკეთილმოსურნე მზერით.

– მე უკვე მოგიბოდიშეთ ამის გამო, ბატონო ლევან... საქმე ისაა, რომ თქვენ ნიკუშასთან დაკავშირებას დამპირდით, ყველაფერს გავაკეთებო, ასე მითხარით. ხომ იცით, რომ მე... მე... ბავშვს ველოდები... – ნატუკამ სიტყვებს წინასწარ მომზადებული ცრემლიც მოაყოლა და თეატრალურად ამოიოხრა. თინიკო ხან ნატას უყურებდა, ხან – ქმარს, მაგრამ, წყნარად იჯდა და მოვლენების განვითარებას ელოდა. ლევანმა იგრძნო, როგორ დაიმუხტა მის ირგვლივ ჰაერი უარყოფითად და აღარ დაელოდა, როდის აფეთქდებოდა.

– კარგი, მოგცემ ნიკუშას ტელეფონის ნომერს. მით უმეტეს, რომ მას უკვე ველაპარაკე და მითხრა, რომ თვითონ დაგელაპარაკება და გადაწყვეტილებასაც ერთად მიიღებთ.

– ნიკუშას ელაპარაკე? – გამოცოცხლდა ვახო, – ჩემთვის რომ არ გითქვამს? როგორ არის?

– ვახო, მაცალე, ჯერ ამ ქალიშვილს ველაპარაკები, – ირონია გამოურია ლევანმა ხმაში და ნატას აგდებით გადახედა. მან ვერ შენიშნა, როგორ აათამაშა თითები სავარძლის სახელურზე თიკამ. სამაგიეროდ, კარგად დაინახა ვახომ, მაგრამ, ვეღარ შეძლო, რომ ძმაკაცისთვის რამე ენიშნებინა, რადგან მიხვდა, რომ თიკამ რაღაც იეჭვა. ლევანი ისე იყო გაცოფებული, ლამის საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, რაც უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა.

– ეს ნიკუშას ტელეფონის ნომერია. პასუხი უკვე მოისმინეთ ჩემგან. თუ გნებავთ, ტაქსის გამოგიძახებთ. თქვენს მდგომარეობას ვითვალისწინებ და პატივს გცემთ.

ნატუკამ თვალები მოჭუტა:

– გმადლობთ, ტაქსის ფული მაქვს, თუმცა, თქვენგან ასეთი ზრუნვა მაინც ძალიან სასიამოვნოა და ნიკუშას აუცილებლად ვეტყვი, როგორი არაჩვეულებრივი მეგობარი ჰყავს.

– მე წავიყვან, – თქვა უცებ ვახომ, – მეც ხომ ნიკუშას მეგობარი ვარ. მანქანით ვარ და ეს ჩემთვის პრობლემა არ იქნება.

– ძალიან კარგი. მაშინ, ამ ქალიშვილს შენ გაბარებ ვახო, სახლში მიიყვანე და პატრონს ჩააბარე. მეგობრის საცოლეზე ზრუნვა ჩვენი ვალია.

ნატუკა ადგა:

– გმადლობთ, ბატონო ლევან, ტყუილად არ მქონდა თქვენი გულისხმიერების იმედი. ალბათ, ნიკუშა ჩემს პრობლემებს მოაგვარებს და თქვენი შეწუხება აღარ დამჭირდება!

ლევანი მიხვდა ნატუკას სიტყვებში შეფარულ მუქარას, უეცრად გამწარდა და ჯავრი სიგარეტზე იყარა – გაბრაზებულმა მოსრისა ხელში და პირდაპირ ხალიჩაზე დაყარა. თიკამ განცვიფრებით შეხედა ქმარს, მაგრამ საყვედურისგან თავი შეიკავა, რასაც სხვა დროს და სხვა სიტუაციაში არ გააკეთებდა. ვახომ მანქანის გასაღები შეათამაშა:

– ლევან, მივიყვან და დავბრუნდები, სალაპარაკო გვაქვს, ხომ იცი!

– ჰო.

– კაფეშიც დავრეკავ და ჩვენთვის რამეს შევუკვეთავ. თიკა, რა გინდა, რა მოვატანინო?

– ჩემთვის არაფერი. მადა არ მაქვს. დილიდან ჩაის მეტი პირში ვერაფერი ჩავიდე.

– რა უცნაურია, მეც ზუსტად ასე ვარ, – ტუჩები გაბუსხა ნატუკამ და თინიკოსკენ საკოცნელად გადაიხარა, – დიდი მადლობა, ძალიან საყვარელი ხართ!

თიკამ კარამდე მიაცილა ორივე და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. ლევანს უკვე მოესწრო ბართან მისვლაც და ჭიქის ვისკით შევსებაც, ცოლს გაუღიმა და ბოთლი დაანახვა.

– დალევ?

– არა, ხომ გითხარი, არაფერი მინდა-მეთქი.

– კარგად ხარ? – ლევანმა მზრუნველი დედასავით შეათვალიერა თიკა. მერე სცადა, მისთვის წელზე მოეხვია ხელი, მაგრამ ქალმა ამის საშუალება არ მისცა მოშორებით მდგარ სავარძელში ჩაჯდა. შეუვალი და საკმაოდ მკაცრი გამოხედვა ჰქონდა.

ლევანს შეუნიშნავი არ დარჩენია ცოლში მომხდარი ცვლილება.

– რა დაგემართა, საყვარელო, რატომ მიბრაზდები?

– არ გიბრაზდები, საიდან მოიტანე?

– როგორ არა, აშკარად სხვანაირად მიყურებ.

– მაინც, როგორ? – თიკამ თვალები მოჭუტა.

– შენ იცი, როგორც და მე ეს ძალიან არ მომწონს.

– რას მელაპარაკები! მართლა არ მოგწონს? თანაც, ძალიან, ძალიან არ მოგწონს?– მეც რომ არ მომწონს რაღაც-რაღაცეები?!

ლევანი ჯერ შეიჭმუხნა, მერე გაიცინა:

– ოღონდ, არ მითხრა, რომ იმ ტუტუც გოგოზე იეჭვიანე, არ გადამრიო! შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ და საკუთარი თვალით დაინახე, რასაც წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ნიკუშას ნაშაა. ხომ წარმოგიდგენია, რომ ნიკუშას ნაშასთან რამე მქონოდა!

თიკამ მშვიდად გაიღიმა:

– ლევან, საყვარელო, არ გეჩვენება, რომ ძალიან ბევრს ლაპარაკობ, როგორც შენ უწოდე, იმ ტუტუც გოგოზე? მე ხომ არაფერი მითქვამს, საერთოდ არაფერი.

– ჰო, მაგრამ, შეგეტყო.

– ლევან, დამშვიდდი! რატომღაც, ნერვიულობ და ძალიან გეტყობა.

– რა თქმა უნდა, ვნერვიულობ. ჯერ აქ მოსული რომ დავინახე, საშინლად გავბრაზდი. ისღა მაკლდა, ჩემი ძმაკაცების ნაშებმა იარონ ჩემს სახლში.

– ფეხმძიმე ნაშები, – სარკასტული ღიმილით შეუსწორა თიკამ. ლევანი გაფითრდა.

– აი, ხედავ? ისევ ნერვიულობ, – ნიშნის მოგებით დაუქნია თითი ცოლმა.

– ჰო, ვნერვიულობ, რა არის დასამალი? გითხარი, არ მსიამოვნებს ასეთი სიტუაციები-მეთქი. არ მსიამოვნებს რბილად ნათქვამია, ვერ ვიტან, მძულს და ვცოფდები! მეტსაც გეტყვი: დროზე რომ არ წასულიყო, ხელს მოვკიდებდი და გავაგდებდი!

– მართლა? შენ ამას შეძლებდი? საინტერესოა! ქალებზე მოძალადის როლში ძნელად წარმომიდგენიხარ, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ნაკლი გაქვს და არც სიურპრიზებია შენგან გამორიცხული.

– ამას რატომ ამბობ, რა დავაშავე? გეუბნები, მე არაფერ შუაში ვარ. ნიკუშას დავურეკავ და ისე ვეჩხუბები, დიდი ხნით დავუკარგავ გართობის ხალისს.

თინიკომ ხმამაღლა გადაიკისკისა.

– რა საყვარელი ხარ, როცა ემოციას ასე აშკარად გამოხატავ, პირდაპირ, ვგიჟდები. ლევან, მოდი, შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი, თორემ, გატყობ, ძალიან სახიფათო მიმართულებას იღებს.

– სახიფათოს – ჩემთვის? – ლევანმა სიგარეტს მოუკიდა.

თიკამ თავი დაუქნია და სიგარეტზე ანიშნა:

– იქნებ, გარეთ, აივანზე მოგეწია?

– მაგდებ? როდის იყო, სიგარეტის ბოლი გაწუხებდა?

– ახლა მაწუხებს.

ლევანმა სიგარეტი საფერფლეზე ჩააქრო:

– აჰა, აღარ მოვწევ. ოღონდ, ნუ იბღვირები და, საერთოდაც, ნუღარ გავიხსენებთ იმ ქალთან დაკავშირებულ უსიამოვნო ინციდენტს.

– რა ინციდენტზე ლაპარაკობ, ლევან? არავითარი ინციდენტი არ ყოფილა. ვერ ვხვდები, რატომ გაღიზიანდი. დიდი საქმე, გოგო თავისი პრობლემით თუ მოვიდა შენთან!

– ჰო, კარგი. არ მომეწონა, ძალიან არ მომეწონა – სულ ეს არის.

– ესე იგი, რაღაც ისეთი იცი მაგ გოგოზე.

ლევანმა ხელები გაშალა და ამოიოხრა:

– ვატყობ, ნიკუშას ეროტიკული თავგადასავალი ძალიან ძვირი მიჯდება. რა გინდა, თიკუნა, რა გაინტერესებს? მინახავს თუ არა ეს გოგო ნიკუშასთან? გპასუხობ: მინახავს! ვიცოდი, რომ ვიღაც ჰყავდა – სულ ეს არის. რატომ დავინტერესდებოდი ნიკუშას საყვარლებით?

– ჰო, ბუნებრივია, არ დაინტერესდებოდი, თუმცა...

თიკამ გამომცდელად შეხედა ქმარს. ლევანი აწრიალდა:

– თიკა, გეყოფა! ისე ნუ მიყურებ, თითქოს რაღაც დამეშავებინოს.

– თუკი არაფერი დაგიშავებია, მაშინ, სანერვიულოც არაფერია. ესე იგი, ნიკუშას შვილი ეყოლება... იამ თუ იცის ამის შესახებ?

– ეს არ არის ჩემი და შენი საქმე. ია და ნიკუშა მიხედავენ თავიანთ ურთიერთობას.

– ჩვენ კი ჩვენს ურთიერთობას უნდა მივხედოთ, ხომ მართალია?!

– რისი თქმა გინდა ამით? საღამოს ნუ გავიფუჭებთ, ძალიან გთხოვ. სამსახურიდან ადრე წამოვედი, მალე ვახოც მოვა, ცოტას ვილაპარაკებთ, გავერთობით...

– მე მგონი, უკვე საკმარისად გავერთეთ და, დროა, უფრო სერიოზულად ვილაპარაკოთ.

– გასაგებია. ეჭვიანობ. ნიკუშას დედაც!.. – გაცოფდა ლევანი.

– ნუ იგინები, ნიკუშა არაფერ შუაშია.

– აბა, მე ვარ შუაში? ხომ არ გგონია, რომ მე დავაფეხმძიმე ეს გოგო? თიკა, ეს უკვე მეტისმეტია! რამდენი ხანია, არაფერი გამოგვდის, მიუხედავად იმისა, რომ ცდას არ ვაკლებთ?!

– გამოგვივიდა, – წყნარად ჩაილაპარაკა თიკამ და ქმარს თვალებში შეხედა. ლევანი გაშრა.

– მოიცა! რა თქვი? რა გამოგვივიდაო?

– ხომ მიხვდი, რაც ვიგულისხმე, რატომღა მეკითხები?

ლევანმა თავზე იტაცა ხელები.

– რა მოხდა, არ გიხარია? – თიკას ტუჩები აუკანკალდა.

– არა, არა, საქმე მაგაში არ არის, მინდოდა, მეთქვა, დარწმუნებული ხარ-მეთქი? ისე მოულოდნელად მომახალე ეს ამბავი, რომ...

– დღეს დილით ექიმთან ვიყავი და იმანაც დამიდასტურა. ეჭვი მქონდა, მაგრამ ვერ ვიჯერებდი. მითხარი, მითხარი, რომ გიხარია, თორემ გავგიჟდები! ვერ წარმოიდგენ, როგორ ვნერვიულობდი... – თინიკო ქმარს მოეხვია, – შვილი გვეყოლება, საყვარელო...

ლევანი დამბლადაცემულივით იდგა, ისიც კი ვერ მოახერხა, ცოლისთვის ხელი მოეხვია...

***

ვახომ მხარს ზემოდან გადახედა სავარძელში ნებივრად მოკალათებულ გოგოს. ნატუკას სულაც აღარ ჰქონდა საწყალი მსხვერპლის იერი, პირიქით, მანქანა დაიძრა თუ არა, გახალისდა და რაღაც მელოდიის ღიღინს მოჰყვა.

– ცუდად აღარ ხარ? – ვეღარ მოითმინა ვახომ.

– მე მეკითხები? ცუდად არც ვყოფილვარ, – მხრები აიჩეჩა ნატუკამ, – უბრალოდ, იმ სახლში საშინელი ატმოსფეროა, დამთრგუნველი. ლევანის ცოლიც რაღაცნაირია.

ვახო შეიჭმუხნა:

– თიკა ჯიგარი გოგოა. რაღაცნაირი და „იმნაირი“ შენ ხარ.

– აბა-აბა! ძმაკაცის საცოლესთან ასეთ ლაპარაკს არ გირჩევ! – შეიფერა ნატუკამ.

– ვინ არის ჩემი ძმაკაცის საცოლე, შენ?! ნუ მაცინებ! ნიკუშა შენ ცოლად არ შეგირთავს.

– ვითომ, რატომ? – გაიფხორა გოგო, – საკმარისად ლამაზი არ ვარ?

– ეგ არაფერ შუაშია. მიზეზები ბევრია, რომელი ერთი ჩამოგითვალო...

– მართლა? მაინც?

ვახომ გადაიხარხარა:

– შენ, რა ვერ ხვდები, ვინ ხარ? თანაც ნიკუშას არ უყვარხარ. საკმარისია თუ კიდევ გინდა, დაგიმატო?

– შენ რომ არ მოგწონვარ, ეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ნიკუშასაც არ ვუყვარვარ.

– ნიკუშას სხვა ქალი უყვარს და შენ მის ფრჩხილადაც არ ღირხარ.

– საერთოდ არ მაინტერესებს, რას ფიქრობ ჩემზე. თუ გინდა, სხვანაირადაც გეტყვი: ფეხებზე მკიდიხარ, ოღონდ, მართლა.

– ვახომ ორივე ხელი ჩასჭიდა საჭეს და თავი გადააქნია:

– ჰმ, როგორ თამამად ლაპარაკობ! იცი, შენისთანებს შორიდანვე ვცნობ, ყნოსვით. ბევრი იჩალიჩე, რომ დაორსულებულიყავი? ეგ ბავშვი ხომ ნიკუშასი არ არის?

– აბა, ვისია, შენი? – დასცინა ნატუკამ.

– ერთობი, პატარავ? ჩემთან რომ ეგეთები არ მოსულა? ხომ გითხარი, შენისთანებს ყნოსვით ვცნობ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ნიკუშას ნახალკას სტენი.

– ეგ ჩემი და ნიკუშას საქმეა, მოვრიგდებით როგორმე.

– ჰმ, ეჭვი არ მეპარება, ოდნავაც არ მეპარება ეჭვი! რა გინდა, პარიზში იცხოვრო და ფუფუნებით დატკბე? იცი, რომ ანგარიშში მოტყუვდი? ნიკუშა ის კაცი არ არის, შენ რომ გგონია. არ გამოგადგება.

– ამას როგორმე მე გადავწყვეტ. ნიკუშა ჩემი მომავალი შვილის მამაა. ასე რომ, არჩევანის საშუალება არ მაქვს.

ვახომ მკვეთრად შემოატრიალა საჭე. ნატუკა გვერდზე გადაქანდა.

– ნელა, ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ!

– რა თქმა უნდა, წინ ისეთი შორს მიმავალი გეგმები გაქვს... ისე, მაინც რამდენი კაცი გყოლია, გულახდილები რომ ვიყოთ? გპირდები, ეს საუბარი ჩვენ შორის დარჩება.

– არ ვიცი, სტატისტიკას არ ვაწარმოებდი. არც იმდენი, შენ რომ გგონია. არ მითხრა, რომ ჩემზე გული შეგტკივა, თორემ სიცილით დავიხრჩობი!

– არა, რა თქმა უნდა. მე გული ჩემს მეგობარზე შემტკივა – არ მინდა, ცოლად კახპა შეირთოს. პრობლემა ის კი არ არის, რამდენ კაცთან იწექი... აი, აქედან ხარ გარყვნილი, – ვახომ საფეთქელთან მიიტანა საჩვენებელი თითი.

– შენ ჩემს გარყვნილებასთან საქმე არ გაქვს, ასე რომ, ვეცდები, დავივიწყო, როგორ მაბამდი.

– მე გაბამდი? – ვახომ ხელი ხელს შემოჰკრა, – რა თავხედი ხარ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბე! არ გამიკვირდება, ვიღაც სხვა კაცისგან რომ იყო ფეხმძიმედ.

– გითხარი, შეგიძლია, შენ მშვიდად იყო-მეთქი, – დასცინა ნატუკამ.

– ვარ კიდეც, მაგრამ, არ მინდა, ჩემი ძმაკაცი დადიოდეს გაბრიყვებული და მოტყუებული.

– მართლა? მაინც რის გაკეთებას აპირებ, არ მეტყვი?

ვახომ თავი დაუქნია:

– გეტყვი: რა თქმა უნდა, არ გავჩუმდები და ნიკუშას, იმ შტერ და გულუბრყვილო კაცს, ვეტყვი, რა საფრთხე ემუქრება ერთი შეხედვით უწყინარი, ტუჩებგაბერილი გოგოსგან.

– მე ტუჩები ბუნებრივად მაქვს ასეთი და, საერთოდ, არ გირჩევ ჩემს მტრად გადაკიდებას, თორემ, ნიკუშას ცოლი რომ გავხდები, ჩემს ქმარს შენთან შეხვედრას ავუკრძალავ.

– ჯერ გახდი ცოლი.

– დარდი ნუ გაქვს, გავხდები. ნახევარი ნაბიჯი მაკლია.

– მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენი ბავშვის ნამდვილი მამის ვინაობა დავადგინო, სანამ მაგ ნახევარ ნაბიჯს გადადგამდე, – დაჰპირდა ვახო.

ნატუკამ სიცილით აიჩეჩა მხრები:

– რა მენაღვლება, მიდი, დაადგინე, სულერთია, მაინც არაფერი გამოგივა, მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებ. მე და ნიკუშას ყველაფერი კარგად გვექნება, – ნიშნისმოგებით განაცხადა გოგომ და, თითქოს ვახოს დასარწმუნებლად, თითებიც გაატკაცუნა.

ვახომ თვალები მოჭუტა:

– რაღაცაშია საქმე. ზედმეტად თავდაჯერებული ხარ. რაღაცის იმედი გაქვს. ვიღაც გეხმარება, მაგრამ – ვინ? – აი, რა არის საინტერესო.

– სამუშაო ბევრი გაქვს, ბატონო გამომძიებელო. მიდი და ყნოსე მაძებარი ძაღლივით. იქნებ, რამე იპოვო. ამასობაში მე პარიზში გავემგზავრები და უამრავ ლამაზ ნივთს ვიყიდი ჩემთვის და ჩემი შვილისთვის.

– ეე, ნუ გაუბერე! ნიკუშას ფული არა აქვს. ასე რომ, გირჩევ, შენი მუცელი ვინმე, უფრო პერსპექტიული კანდიდატისთვის გაბერო, ნიკუშასგან ვერაფერს გამოადნობ. ჰა, ჰა, ხუთოთახიანი ბინა ვაკეში და ისიც მთლიანად არა.

– შენ მაგაზე არ შეწუხდე. ნიკუშას თუ არა აქვს ფული, დედამისს აქვს. ასე რომ, ტყუილად იღლი ენას, მაინც არაფერი გამოგივა.

– შარი ხარ, მაგრამ მე ვიცი შენნაირებთან ბრძოლის ხერხები, – თავი გადააქნია ვახომ.

– ფეხმძიმე ქალს რომ მემუქრები, არ გრცხვენია?

– თავს ნუ ისაწყლებ, შენნაირები ფეხმძიმობასაც კი საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ, თორემ, შენგან რა დედა უნდა გამოვიდეს!

– ყოველ შემთხვევაში, ჩემს შვილს ქუჩაში ნამდვილად არ დავაგდებ და იდეალურ პირობებს შევუქმნი არსებობისთვის. გავიგე, რომ ნიკუშას ძალიან კარგი დედა ჰყავს, ის ქალი გამიგებს. ჩემი შვილი ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებს.

– შეიძლება. მაგრამ შენ? შენ იმსახურებ?

– რატომაც არა. მომწყინდა აქეთ-იქით უაზროდ ხეტიალი, აღარც ბარებში გართობა მიზიდავს. დროა, ჩემი ცხოვრების სტილი მთლიანად შევცვალო.

ვახომ ამოიოხრა:

– მე მაინც ყველაფერს ვეტყვი ნიკუშას, ყველაფერს, რასაც ამ ამბავზე ვფიქრობ, საკუთარ სინდისთან რომ ვიყო მართალი.

ნატუკამ ჩაიცინა:

– შენი ნებაა. ისე კი, მგონი, ვხვდები, რატომ გაქვს ასე აკრეფილი, მაგრამ, მე ნურაფერს მისაყვედურებ. თუ გახსოვს, ერთხელ მოგეცი შანსი და არ გამოიყენე, საყვარელო!

– უზნეო ხარ! კახპა შენზე გაცილებით პატიოსანია... მაგრამ, არა უშავს, შეგიძლია, დროებით დატკბე გამარჯვებით, მხოლოდ დროებით! – ვახომ შეიგინა, გაზის სატერფულს ფეხი დააჭირა და სიჩქარეს მოუმატა...

***

ელენემ ფრთხილად შეაღო შვილის საძინებლის კარი. ნიკუშას არ ეძინა, იწვა და, თვალებდახუჭული, თავის ერთბაშად შეცვლილ ცხოვრებაზე ფიქრობდა. იგრძნო, როგორ მიუახლოვდა ვიღაც მის საწოლს, მაგრამ თვალი არ გაუხელია, ისედაც მიხვდა, ვინ იქნებოდა... ელენე სასთუმალთან ჩამოუჯდა და თმაში ნელა შეუცურა თავისი გრძელი, ლამაზი თითები.

– რატომ არ გძინავს? – ჰკითხა თვალდახუჭულმა.

– არ ვიცი, ვერ დავიძინე და შენი ნახვა მომინდა. ძალიან ვნანობ იმ წლებს, რომლებიც ორივემ დავკარგეთ და ვეღარაფრით ავინაზღაურებთ. საკუთარ თავს სულ იმას ვეკითხები, რატომ დაგვემართა ეს, რისთვის...

– მეც სწორედ მაგ კითხვაზე პასუხის მისაღებად ჩამოვედი, იმიტომ, რომ მთელი ეს წლები, მხოლოდ მაგაზე ვფიქრობდი, – ნიკუშამ თვალები გაახილა და დედას შეხედა.

– მერე, აქამდე რატომ არ მოხვედი ჩემთან? – ელენეს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– არ ვიცი. მართლა არ ვიცი.

– მე გეტყვი: იმიტომ, რომ მე მადანაშაულებდი იმაში, რაც ჩვენს ოჯახში მოხდა. თუმცა, სულ ტყუილად. ჩემთვის არასდროს არაფერი ყოფილა ოჯახზე და შენზე უფრო ძვირფასი, გეფიცები!..

– მჯერა, მაგრამ შენს ცხოვრებაში კიდევ იყო რაღაც, ჩემთვის და, ვფიქრობ, მამაჩემისთვისაც გაუგებარი.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისთვის დაიტოვოს თავისი წარსული, – ჩაილაპარაკა ელენემ.

– რა თქმა უნდა, აქვს, ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ, თუ ეს წარსული მარტო მისას კი არა, მისი საყვარელი ადამიანების მომავალსაც უარესობისკენ ცვლის, მაშინ?

– შენ მაინც ფიქრობ, რომ მამაშენის სიკვდილში მე ვარ დამნაშავე?

– ჰო, ვფიქრობ. სულ ვფიქრობ ამას და მინდა, შენ დამარწმუნო საპირისპიროში, – ნიკუშა ლოგინზე წამოჯდა და დედის ხელი მოიშორა, – მითხარი, გემუდარები... გეფიცები, მშვიდად შევხვდები ყველაზე საშინელ ამბავსაც კი.

– ზედმეტად ართულებ და ამძიმებ სიტუაციას. ჩემს წარსულში არაფერი ყოფილა ისეთი, რისიც ახლა ძალიან შემრცხვებოდა.

– მაშინ, მომიყევი. დედა, ჩვენ ისედაც ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. იმ წლებს უკან ვეღარავინ და ვეღარაფერი დაგვიბრუნებს. არ მინდა, აქედან ისე წავიდე, ვერაფერი გავარკვიო. მომეცი საშუალება, მშვიდად ვიცხოვრო, დედა! გემუდარები. ხომ ამბობ, რომ გიყვარვარ? გააკეთე ეს ჩემთვის!

ელენემ დაგუბებულ ცრემლს გზა მისცა, ნიკუშას ხმაში ისეთი სასოწარკვეთა იგრძნობოდა, რომ კინაღამ გული გაუჩერდა.

– ჩემს წარსულში არაფერია შენთვის საინტერესო, დამიჯერე. მამაშენის სიცოცხლე კი განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის.

– მე ეგ არ მიკითხავს და შენ ეს იცი. მაშინ, მითხარი, რომ მამაჩემის სიკვდილთან შენი წარსული არაფერ შუაშია; რომ რაღაც აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი მოხდა; რომ ავადმყოფი გული ჰქონდა და მისი ინფარქტი შენთვის საბედისწერო მოულოდნელობა იყო; რომ სიკვდილის წინ განსაკუთრებულზე არაფერზე გილაპარაკიათ! დედა, ხომ გესმის, რა მინდა შენგან, რას ვითხოვ? ოღონდ, შემომხედე, თვალებში შემომხედე და ისე მიპასუხე! გეფიცები, არასოდეს, არაფერს გკითხავ, საერთოდ არაფერს... დედა!..

ელენე დუმდა. ტუჩებს იკვნეტდა და ცრემლს ხელისგულით იწმენდდა. ნიკუშა მუდარით შესცქეროდა, თვალებით ემუდარებოდა, არ გაეცრუებინა მისთვის იმედი...

***

ვახომ ნატუკა სახლში მიიყვანა. დარჩენილი გზა ისე გალიეს, მისთვის აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ უბღვერდა. გოგო გადავიდა თუ არა, მანქანა მაშინვე დაიძრა. ვახოს, საერთოდ, მშვიდი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ახლა ძალიან იყო გაბრაზებული. კომპლექსები არ აწუხებდა. მისთვის სულერთი იყო, რამდენი კაცი ჰყავდა გამოცვლილი ქალს, მთავარია, მოსწონებოდა და მასთან ყოფნის სურვილი გასჩენოდა. გაპრანჭულ ქალიშვილებს დასცინოდა და არასოდეს ჰქონია იმის პრეტენზია, ცოლად აუცილებლად ქალწული შეერთო. სამი ცოლიდან მხოლოდ ერთისთვის იყო პირველი მამაკაცი, თუმცა, მათთან განქორწინების მიზეზი ეს ნამდვილად არ ყოფილა. იშვიათად ინტერესდებოდა ქალების წარსულით, მაგრამ ნატუკაში სერიოზული საფრთხე დაინახა – ეს გოგო დანახვისთანავე არ მოეწონა. ის არ იყო ჩვეულებრივი მეძავი, რომელიც ფულის გამო ყველაფერზე თანახმა იქნებოდა. ძალიან ინანა, რომ ყურადღება არ მიაქცია ნიკუშასთან მის ურთიერთობას და არ გააფრთხილა ძმაკაცი. გაცოფებულმა, უფრო

საკუთარ თავზე, ვიდრე ნიკუშაზე, ორივე ხელი გამეტებით დასცხო საჭეს და მანქანა საპირისპირო მხარეს გააქანა.

ია არ ელოდა სტუმარს. აშკარად ეძინა – საღამურზე ნაჩქარევად შემოეცვა ხალათი და გაწეწილ თმას ხელით ისწორებდა.

– რა მოხდა, ომი დაიწყო? – ჰკითხა ვახოს შეშინებულმა და ოთახში შეუძღვა. საათი დაკარგე თუ ცნობა დაგავიწყდა? – უსაყვედურა უკვე ცოტათი დამშვიდებულმა.

– კარგი, რა! როდის იყო თერთმეტ საათზე გეძინა!

– რა გინდა, ადამიანო! თავი არ უნდა დამანებოთ შენ და შენმა პარანოიით დაავადებულმა ძმაკაცებმა? მომასვენეთ, მომეცით საშუალება, საკუთარ ცხოვრებას მივხედო და საკუთარ თავზე ვიფიქრო! დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, ყველაფერს აქვს საზღვარი. რატომ არ შეგიძლიათ, დაივიწყოთ ამ სახლის გზა? მშვიდად მინდა, ვიცხოვრო, მშვიდად! რა არის ამაში გაუგებარი?

ვახო უხმოდ უსმენდა მთელ ამ მონოლოგს და ბოლოს ჰკითხა:

– დაამთავრე?

– მგონი, კი.

– კარგია. ესე იგი, ახლა შეგიძლია, მშვიდად მომისმინო. ხომ იცი, რომ შენ ჩემთვის სულერთი არ ხარ. მგონი, ერთადერთი ქალი ხარ, რომელმაც, რაც უნდა დამიშავოს, მაინც ყოველთვის მეყვარება.

– ვახო, შენ ახლა სიყვარულს მიხსნი? უნდა გამაგიჟო?

– არა, არა! მოიცადე, გეხვეწები, მათქმევინე! რა უბედურება გჭირთ ქალებს, ბოლომდე რომ არ იცით მოსმენა? მერე მცდარ დასკვნებს აკეთებთ და გულს იხეთქავთ. გოგო, და რომ მყავდეს, შენზე მეტად არ მეყვარებოდა. მართლა არ გამაგიჟო ახლა!..

იამ ამოიოხრა:

– ღმერთო, მგონი, მეც გავაფრინე. ბოდიში, საყვარელო, ბოდიში. მეც ძალიან მიყვარხარ. რატომ ვთქვი ასეთი სისულელე? ნამდვილი იდიოტი ვარ!..

– არა, შენ ძალიან კარგი ხარ, ძალიან საყვარელი... მაგრამ, შეცდომას შეცდომაზე რომ უშვებ, ფაქტია.

– რას გულისხმობ?

– ნიკუშასთან შენს ურთიერთობას.

იამ მაშინვე გაიმკაცრა სახე:

– აჰა, აი, თურმე, რატომ მოვარდი თავპირისმტვრევით. ეგ საკითხი ჩემთვის დახურულია. ნიკუშა ჩემთვის აღარ არსებობს და, ნეტავი, არც არასდროს ეარსება. ტანჯვისა და უსიამოვნების გარდა არაფერი მოუტანია ჩემთვის.

– იმიტომ, რომ შენ ხარ ამაში დამნაშავე, არა, ჩემი ძმაკაციც მაგარი კრეტინია, მაგრამ, კაცები, ხომ იცი, როგორი კრეტინები ვართ. ყველამ იცის და ამაში არაფერია დასამალი, რომ, თუ ქალმა არ მოინდომა ჩვენი შებმა, ჩვენ თავს არ ვიკლავთ ჩვენი ცხოვრების შესაცვლელად.

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ ყველა ცოლიანი ან შეყვარებული კაცი შებმულია?

– აბა რა! თანაც, ქალისგან შებმული. შენ არ შეაბამ – გამოჩნდება სხვა, ვისაც ამისი გაკეთების სურვილი გაუჩნდება და არც დაეზარება.

– შენ რაღაცის თქმა გინდა და შორიდან მივლი, თვალებზე გატყობ.

– ჰო, მინდა. ოღონდ, ჯერ უნდა ვიცოდე, ნიკუშასთან დაკავშირებით რას აპირებ?

– არაფერს, რას უნდა ვაპირებდე? ის წავიდა, მე აქ დავრჩი და, საერთოდ, მორჩა ყველაფერი.

– გაგიჟდი? ამდენი ხნის ლოდინსა და სიყვარულს წყალში ყრი?

– გადაყრილიც არის და დამთავრებულიც. ოღონდ, შენმა ძმაკაცმა გადაყარა, თქვენ კი არაფერი გააკეთეთ მის შესაჩერებლად, – იამ ნიშნისმოგებით გადააქნია თავი.

ვახომ წარბი შეიკრა:

– ასეა. მე არ გავურბივარ ჩემს წილ პასუხისმგებლობას, მაგრამ დამნაშავე შენც ხარ, ოღონდ, არ იფიქრო, გსაყვედურობდე. უბრალოდ, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ, თქვენ რომ ერთმანეთს დაშორდეთ.

იას სახე დაუსევდიანდა:

– მთელი ეს წლები დაშორებულები არ ვიყავით? ჩვენს ურთიერთობას რამე ერქვა? მე, უბრალოდ, თავს ვიტყუებდი. ახლა კი აღარ მინდა, აზრი აღარ აქვს, ხომ ხვდები?

– ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

– ვის ვებრძოლო, ნიკუშას? ცოლად რომ შემირთოს, იმიტომ? არა, ვახო, არ მინდა.

– მაშინ, დაუთმე იმ კახპას და, შვილს რომ გაუჩენს, მერე ნახავ! – ვეღარ მოითმინა ვახომ და იფეთქა.

ია გაშრა, გაფითრდა და ვახოს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო. თავისივე საქციელით დაბნეულმა ვახომ რაღაც წაიბურტყუნა.

– რა თქვი? – ხმის კანკალით ჰკითხა იამ, – ვინ გაუჩენს შვილს?!

– ჯანდაბა! მაინც წამომცდა! თუმცა, დამალვას აზრი მაინც არ აქვს. ჰო, ნატუკა ფეხმძიმედ არის და ეს ამბავი ნიკუშამ უკვე იცის.

– რას ამბობ? შენ ვინ გითხრა? – იას ატირებას აღარაფერი უკლდა.

– ეე, ია, მე და შენ ჭურში ვისხედით თურმე. ის ქალბატონი კი ლევანთან მობრძანდა და ამაყად გამოუცხადა, ნიკუშასგან შვილს ველოდებიო და ლევანმაც ნიკუშას ტელეფონის ნომერი მისცა.

– ღმერთო, ნატუკა ნიკუშასგან ბავშვს გააჩენს!.. ის გააჩენს, მე კი... მე, რომელიც მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი, ვემზადებოდი ამისთვის, შორიდან უნდა ვუყურო მათ ბედნიერებას. ღმერთო, ღმერთო!.. რატომ მოხვედი, ვახო, რატომ მითხარი ეს ამბავი? იმიტომ, რომ გული გამიხეთქო? რა უბედური ვარ და როგორი შეურაცხყოფილი!..

– ვიცი. ვხვდები, მაგრამ... – ვახომ მხარზე შეახო ხელი ატირებულ იას, მაგრამ ქალმა აირიდა მისი ხელი, გვერდზე გახტა და ისტერიულად იკივლა:

– არა, შენ ვერ მიხვდები, ვერაფრით ვერ მიხვდები, რას განვიცდი ახლა, როგორი განადგურებული და მიწასთან გასწორებული ვარ!

– გეყოფა, ნუ გამოიგლოვე საკუთარი თავი. გეუბნებოდი, მიეცი-მეთქი და გიჟდებოდი. ღირდა, შენი ქალიშვილობა ამად? ახლა იყავი და გაუფრთხილდი, არავინ მოგტაცოს! – აღარ დაინდო ვახომ.

იამ თვალები ისე ფართოდ გაახილა, რომ ვახოს შეეშინდა, ბუდეებიდან არ გადმოცვენოდა; კიდევ უფრო შეშინდა, როცა ქალს ტუჩები გაულურჯდა და სამზარეულოში გავარდა, ჭიქით წყალი მოიტანა და იას სახეზე შეასხა.

– რას აკეთებ, მომეშვი... წადი, წადი, აქედან, შენი დანახვაც აღარ მინდა!

– წავალ, ოღონდ, დამშვიდდი, ძალიან გთხოვ! თუ არ დამშვიდდები, ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ, ვერაფრის შეცვლას!

– რომ დავმშვიდდე, მაშინ კი შევძლებთ რამის გაკეთებას? ან, რა უნდა შევცვალოთ – ნატუკა უნდა ვაიძულოთ, რომ ბავშვი არ გააჩინოს თუ ძალით წავათრიოთ ექიმთან და აბორტი გავუკეთოთ? მორჩა, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა! – კიოდა ია.

– მგონი, ერთი ჭიქა წყალი კიდევ გჭირდება, – ხელი ჩაიქნია ვახომ, – ბოლოს და ბოლოს, გინდა თუ არა ნიკუშასთან ყოფნა? ოღონდ, წივილ-კივილის გარეშე. დაწყნარდი, დაფიქრდი და ისე მიპასუხე, – გინდა ნიკუშასთან ყოფნა თუ არ გინდა?

ია გაჩუმდა და ვახოს მიაშტერდა. მისმა კატეგორიულობამ გამოაფხიზლა. თითქოს ფერიც დაუბრუნდა. ვახო მიხვდა, რომ ქარიშხალის პირველმა ტალღამ გადაიარა. ამიტომ გადაწყვიტა, დრო აღარ დაეკარგა:

– ია, მომისმინე: ბავშვი ბევრს არაფერს ნიშნავს ქალისა და კაცის ურთიერთობაში. მეც მყავს შვილი, მაგრამ დედამისთან კი არ ვცხოვრობ. თან, არც ისეთი ცუდი მამა ვარ, ძალიანაც ვზრუნავ ჩემს გოგოზე. ამიტომ, ნატუკამ ბავშვი რომც გააჩინოს, ნიკუშას მაინც შენ გაჰყვები!

– შენც ისევე ხარ მოტყუებული, როგორც მე. ჩვენი სიყვარული დიდი ხნის წინ მოკვდა, მაგრამ მე ამის დაჯერება არ მინდოდა. ახლა კი დავრწმუნდი.

– აუ, თავიდან იწყებ? არ გინდა, დამიჯერე. ნიკუშას შენ უყვარხარ. ნუ მისცემ საშუალებას იმ პატარა კახპას, საბოლოოდ შეაბას. ცოლად არ უნდა მოიყვანოს. გესმის? არ უნდა მოიყვანოს ცოლად!

– მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

– შეგიძლია! ხვალვე გავაკეთებთ ვიზას და პარიზში გაგიშვებ. ფულზე არ ინერვიულო, მე მოგცემ.

– გმადლობთ, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებ! არ მინდა, სულელის როლში აღმოვჩნდე.

– წახვალ, თანაც, აუცილებლად! მეც წამოგყვები. ნიკუშას ნახავ და საბოლოოდ გაარკვევ მასთან ურთიერთობას. თუ გეტყვის, რომ აღარ უყვარხარ, მაშინ მეც დაგანებებ თავს, მაგრამ ეს არ მოხდება.

– თავის დამცირებას მაიძულებ? ნუ გამაკეთებინებ იმას, რისი გაკეთებაც არ შემიძლია და არ მინდა.

– ქალები მართლა ჭკუამოკლეები ხართ. იქ იჩენთ პრინციპულობას და სიჯიუტეს, სადაც ეს საჭირო არ არის. თავის დამცირებაზე ლაპარაკობ და ის კი გავიწყდება, რამდენი ბედნიერი წუთი გაგიტარებიათ ერთად. ნუთუ არ მოგენატრა ნიკუშასთან სიახლოვე, ან, იქნებ, აღარ გიყვარს?

იას თვალები აუცრემლიანდა:

– მიყვარს! ძალიან მიყვარს...

– მაშინ, მივდივართ. იმ კახპას უნდა დავასწროთ!

– ვახო, მე...

– გაჩუმდი! აღარაფრის გაგონება აღარ მინდა! ლევანს არაფერს ვეუბნებით. ბილეთებს ვიღებთ და მივდივართ. ცხოვრებაში ერთხელ დამიჯერე, ისე, რომ წინააღმდეგობა არ გამიწიო, კარგი?

იამ იფიქრა და თავი გაუბედავად დაუქნია.

– კარგი, გავრისკავ, მაგრამ, ვიცი, რომ ეს ძალიან ძვირად დამიჯდება.

– არა უშავს, შედეგი ამად ღირს. ახლა რომ ამის გაკეთება არ გაიძულო, საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებ...

რას ნიშნავს, როცა ბედი გამოწვევას გიგზავნის?! თუ ეს აქამდე ვერ გაიგეთ, მაშინ ვერც ვერასოდეს გაიგებთ. პრინციპში, თუ ცხოვრება სიურპრიზებს არ გიწყობთ და მშვიდად მიჰყვებით დინებას, ეს არც არის აუცილებელი, მაგრამ მზად მაინც ყველაფრისთვის უნდა იყოთ. ისე, ყოველი შემთხვევისთვის. რადგან წინასწარ არავინ იცის, რა ხუშტური წამოუვლის მის უდიდებულესობა ბედისწერას. ერთიც ვნახოთ და, ყველაზე შეუფერებელ მომენტში დაგიდოთ კვანტი?! მერე რას იზამთ? გულზე ხელებს დაიკრეფთ და დაელოდებით, როდის გადაგივლით?.. არსებას, რომელსაც „ბუნების გვირგვინობაზე“ აქვს პრეტენზია, ეს არ ეკადრება. ეს არსება ადამიანია, ყოვლისშემძლე და უსუსური – გააჩნია, რა არჩევანს გააკეთებს...

***

ლევანი ძლივს გამოერკვა ცოლის სიტყვებით მიღებული შოკისგან. პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ ბედი კიდევ ახალ გამოცდას უწყობდა. მიუხედავად იმისა, რომ თინიკოს, ბოლო დროს, დაორსულების დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა, მაინც ვერ დაიჯერებდა, რომ ეს მოხდებოდა. მართალია, თიკაც ჯანმრთელი იყო და თვითონაც, მაგრამ აკვიატებული ეჭვი, რომ შვილი არასოდეს ეყოლებოდათ, სულ თან სდევდა. თითქოს შეეჩვია კიდეც ამ აზრს. არც ჩვილის ჭყიპინის პერსპექტივა ხიბლავდა. იცოდა, რომ ოჯახის ახალი წევრი საკუთარ კანონებს დაამკვიდრებდა და ცოლ-ქმრის ურთიერთობაშიც ბევრ რამეს შეცვლიდა. ამიტომ თიკას სიტყვები მისთვის მეხის გავარდნას უდრიდა. თვითონაც ვერ გაარკვია, რა გრძნობა დაეუფლა და იყო თუ არა მასში სიხარულის ერთი ციცქნა მარცვალი მაინც...

თინიკომ ქმარს საყვედურით შეხედა.

– იცი, რა სახე გაქვს? მგონი, საერთოდ არ გაგიხარდა.

ლევანი მაშინვე გამოერკვა.

– რას ამბობ, საიდან მოიტანე? – სცადა, რაც შეიძლება, დამაჯერებელი ყოფილიყო, – რა თქმა უნდა, გამიხარდა, ამას კითხვაც არ უნდა, მაგრამ, ცოტათი დავიბენი. აღარ მჯეროდა, რომ ეს მოხდებოდა.

– ჰო, საყვარელო. ლამის მეც აღარ მჯეროდა. მაგრამ... ახლა ყველაფერი შეიცვლება, – თიკამ შუბლი ქმარს მხარზე მიადო. ლევანს შეაჟრჟოლა. პირველად ახლა გააცნობიერა, რომ, შესაძლოა, ნატაც მისგან ყოფილიყო ორსულად.

– შეუძლებელია! არა, ეს უკვე მეტისმეტია! შეიძლება, გავგიჟდე! – წამოიძახა ხმამაღლა. თიკა დაიძაბა და ქმარს შეშფოთებით მიაშტერდა. ლევანი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და მაშინვე შეეცადა მის გამოსწორებას:

– ცუდი არაფერი იფიქრო, საყვარელო. ხომ გითხარი, ძალიან მოულოდნელი იყო-მეთქი. კაცებს ცოტა გვიჭირს ასეთ სიურპრიზებთან შეგუება. ცოტა დრო მჭირდება, რომ დავმშვიდდე.

– სიურპრიზებთან?! ლევან, მე შენი ცოლი ვარ და ლაპარაკია შენს შვილზე. რა სიურპრიზზე მელაპარაკები? ჩვენ ორივეს გვინდოდა, ბავშვი გვყოლოდა. ან, იქნებ, არ არის ასე?

ლევანი მიხვდა, რომ საუბარი საშიშ ხასიათს იღებდა. თიკას ვერ გაუბრაზდებოდა იმისთვის, რომ დაფეხმძიმდა. ბოლო დროს ქალი ხშირად ლაპარაკობდა ამაზე. ლევანი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ახლა მთავარი ეს არ იყო. ჯერ თიკა უნდა დაემშვიდებინა და დაერწმუნებინა იმაში, რომ მის ორსულობაზე მეტად ამ ქვეყანაზე არაფერი გაახარებდა. მაგრამ, თინიკო ნატუკა არ იყო ქალი საკუთარი გულისცემასავით გრძნობდა, რას განიცდიდა ქმარი.

– ლევან, რა ხდება? – შესძახა ცრემლნარევი, სასოწარკვეთილი ხმით.

– თინი, რა სახე გაქვს, რა უნდა ხდებოდეს? ეეე, აბა, ცრემლები რა საჭიროა? არაფრისგან ქმნი ტრაგედიას. გეფიცები, სულ ტყუილად ნერვიულობ. გეუბნები, ახლა შენთვის ზედმეტი ემოციები მავნებელია!

– დრო გჭირდება იმისთვის, რომ გააცნობიერო შენი შვილის არსებობა? ლევან, რას მელაპარაკები, რა გინდა, ამით თქვა, რომ ჩვენ ეს დაგეგმილი არ გვქონდა და ამის გამო შოკში ხარ?

– არა, არა... – ლევანმა შუბლზე შემოირტყა ხელი, – ეგ არაფერ შუაშია! როგორ დაგიმტკიცო, რომ მიხარია?! ძალიან მიხარია, შვილი რომ გვეყოლება, მაგრამ, ჩემიც გაიგე, ერთბაშად იმდენი პრობლემა დამატყდა თავს...

– ბავშვი პრობლემა არ არის, – თიკა ისევ სლუკუნებდა.

– ჰო, რა თქმა უნდა, ბავშვი როგორ შეიძლება, პრობლემა იყოს, მით უმეტეს, თუ მას ცოლი მიჩენს, მაგრამ... – ლევანმა ამოიოხრა. გაცილებით მარტივი იქნებოდა, თინიკოსთვის ეთქვა, ცოტა ხანს ყველამ თავი დამანებეთ და მომასვენეთო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ყველაზე კარგ სიზმარშიც ვერ ინატრებდა ამას. ისევ მოფერება და უკან დახევა ამჯობინა:

– თინი, გემუდარები, გთხოვ, ახლა დამშვიდდი და მერე აღვნიშნოთ ეგ ამბავი, კარგი?

თიკას ცოტათი გამოუკეთდა გუნება:

– არ მატყუებ?

– მე? როდისმე მომიტყუებიხარ? – ლევანმა ცოლს ხელი მოჰხვია და მკერდზე მიიკრა, – რესტორანში წავალთ, ვახოსაც დავურეკავთ, დათოსაც... თუ გინდა, შენი დაქალებიც დაპატიჟე.

თიკამ თავი გააქნია.

– არავინ მჭირდება შენ მეტი. ჯერ არც არავისთვის მითქვამს, ზუკამაც არ იცის.

– მაშინ, მე, შენ და ზუკა წავიდეთ რესტორანში. მხოლოდ ჩვენ სამნი და სხვა არავინ.

ლევანი ჩაფიქრდა.

– რა მოხდა კიდევ? – თინიკომ ქმარს მკლავში მოჰკიდა ხელი და შეანჯღრია.

– ახლა გაცილებით მეტი მიზეზი გვაქვს იმისთვის, რომ ჩვენი შემოსავლის გაზრდაზე ვიზრუნოთ.

– მერე?

– ნეტავი, როგორმე გავიგო, ვინ მოიპარა ის ნახატი...

– მოდი, მოეშვი ამაზე ფიქრსა და ნერვიულობას. საიმისო არაფერი გვიჭირს, რომ ერთი ბავშვი ვერ გავზარდოთ.

– ჩემს შვილს არაფერი არ უნდა მოაკლდეს.

– ჩვენს შვილს ისედაც არაფერი მოაკლდება. ის დაწყევლილი ნახატი აქამდე არ გვქონია, მაგრამ მშივრები არ ვყოფილვართ, – შეეკამათა ქალი, – დაივიწყე-მეთქი ეგ ამბავი!

– მაოცებ, თინი, გეფიცები! ძალიან მიკვირს შენი ასეთი პოზიცია. რატომ ამბობ უარს იმაზე, რაც ფაქტობრივად, შენი საკუთრება უნდა ყოფილიყო?

– მიზეზი მაქვს.

– ოღონდ, არ მითხრა, რომ მორალური მოსაზრებებიდან გამომდინარე მიზეზია.

– შეიძლება, ასეც ყოფილიყო, მაგრამ, ამჯერად საქმე ეს არ არის. რაც ეგ ნახატი გამოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში, ყველაფერი აირია, თავდაყირა დადგა და ამან ძალიან დამღალა. მანამდე ძალიან კარგად ვცხოვრობდით. მძულს მამაჩემი, რომელმაც ამ ნახატის შესახებ გითხრა და პრობლემები გამიჩინა. ხომ შეეძლო, ჩუმად ყოფილიყო?

– მე მესმის მამაშენის.

– სამაგიეროდ, მე არ მესმის. რა უნდოდა, რატომ აურ-დაურია ყველაფერი?

– მამაშენს არ უნდა, რომ შენ ამხელა ფული დაკარგო.

– აბა, ის ურჩევნია, ქმარი დავკარგო?

ლევანს გაეღიმა:

– რა სისულელეა, საყვარელო, მე რატომ დამკარგავ, რანაირად?

– რამდენი ხანია, ამ სახლში ორი უცხო ადამიანივით ვცხოვრობთ. შენ ხომ, საერთოდ, ისე იქცევი, როგორც მდგმური.

– თინიკო, ეს უკვე ორსულის ჭირვეულობაა, ამიტომ კამათს აღარ დაგიწყებ, შევეცდები, რომ დაგამშვიდო.

– საჭირო არ არის, როგორმე მე თვითონ დავმშვიდდები, წავალ, დავიძინებ, – თინიკო წამოდგა, – რაღაცაში მაინც ხარ მართალი: მე ახლა ბავშვზე უნდა ვიფიქრო და, რაც შეიძლება, ნაკლები ვინერვიულო. ამიტომ, დღეს სტუმრების ოთახში დაიძინებ.

ლევანს უნდოდა, ცოლისთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ თიკამ ხელისკვრით ჩამოიშორა გზიდან და ოთახიდან ისე გავიდა, უკან აღარ მიუხედავს.

***

... ჟანმა ცოლს ზამთრის ბაღში მიაგნო: ელენე მოწნულ სავარძელში იჯდა და თავისი, ძალიან ლამაზი თითებით შეუბრალებლად აცლიდა ვარდს ფურცლებს. არაფრისმთქმელი მზერა უსასრულობისთვის ჰქონდა მიშტერებული. კაცმა იფიქრა, ალბათ, ჩემი შემოსვლა ვერ გაიგოო და მხარზე ნაზად მოჰკიდა ხელი.

– შენ ხარ, ჟან, დაგინახე, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ქალმა. ჟანმა ახლა სახე ჩამალა ქალის თმაში და მისი სურნელი შეისუნთქა.

– ჟან, გეყოფა! საშინლად განვიცდი ამ ყველაფერს. ნიკუშა არ გინახავს?

– არა. მეგონა, შენთან იყო და საუბრობდით.

– ვისაუბრეთ უკვე და ახლა აღარ ვიცი, საერთოდ მოინდომებს თუ არა ჩემს ნახვას, – ელენემ თავი ასწია. დაფეთებული, სასოწარკვეთილი მზერა ჰქონდა. ჟანს შეეცოდა ცოლი.

– შენ დედამისი ხარ და ეს ყველაფერს ნიშნავს.

– არა, ყველაფერს არ ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში, ნიკუშასთვის. მთელი მისი საქციელი ამას მოწმობს. რამდენი ხანი არ მეკარებოდა სიახლოვეს...

– ეგ წარსულშია. ახლა ხომ აქ არის, შენ გვერდით?!

– ჰო, მაგრამ მე მას სიმართლე ვუთხარი, – ელენეს თვალები აუცრემლდა.

ჟანი მოიღუშა:

– და არ იცი, ამ სიმართლეს როგორ მიიღებს?..

– ჰო, არ ვიცი. იძულებული გამხადა, გესმის? სხვა გზა აღარ დამიტოვა. ძალიან არ მინდოდა, ვცდილობდი, როგორმე ამერიდებინა თავიდან, მაგრამ, არ მომეშვა. ახლა რა უნდა ვქნა?.. ჟან, რა უნდა ვქნა-მეთქი?

– დამშვიდდი, ცუდი არაფერი მოხდება.

– რომ წავიდეს?

– სად?

– უკან, თბილისში რომ დაბრუნდეს და ისევ გაქრეს ჩემი ცხოვრებიდან? ჟან, ამას ვეღარ გადავიტან, გავგიჟდები!

– ნუ გეშინია, ცუდი არაფერი მოხდება. აი, ნახავ. ნიკუშას, ალბათ, დრო სჭირდება, რომ ეს ყველაფერი გადახარშოს.

– გაუჭირდება. მე ვიცი, რომ გაუჭირდება. ნიკუშას შენზე უკეთესად ვიცნობ. სულ მე მგავს. წყენას ადვილად ვერ ივიწყებს. მეშინია, რომ შურისძიებას გადაწყვეტს. რამე რომ მოუვიდეს?! – ელენეს თვალები გაუფართოვდა და ქმარს ხელზე მოებღაუჭა. ჟანმა ფრთხილად მიიკრა მისი ხელი მკერდზე:

– დამიჯერე, ნიკუშას ცუდი არაფერი დაემართება და, ძალიან კარგი, თუ შენ გგავს, სულაც არ ხარ შურისმაძიებელი.

– შენ არ იცი, – თავი გადააქნია ქალმა, – მე ღმერთს ვანდე იმისი განსჯა, მაგრამ ნიკუშა ამით არ დაკმაყოფილდება, იმიტომ, რომ მამაკაცია.

– კარგი, წავალ, ნიკუშას მოვძებნი და დაველაპარაკები. ოღონდ, უნდა დამპირდე, რომ ცოტათი მაინც დამშვიდდები.

– ეს ადვილი არ იქნება.

– უნდა დამშვიდდე! – ხმა გაიმკაცრა ჟანმა, – მე გთხოვ. ყველაფერი კარგად იქნება.

ელენემ ნაძალადევად გაიღიმა.

– აი, ასე გაცილებით უკეთესია. მალე დავბრუნდები...

***

ბურთი ნელა, ძალიან ნელა გაგორდა, ისე ნელა, თითქოს ეზარებოდა მოძრაობა და ამ სიზანტის დასადასტურებლად თუ თავისი პროტესტის გამოსახატავად, მიგორავდა დუნედ, განსაკუთრებული სიდინჯით. ნიკუშამ მეორე ბურთიც ამოიღო ბადის პატარა კალათიდან და ხელის მსუბუქი გაქნევით, ისიც აიძულა, ემოძრავა. მეორე ბურთი პირველზე გაცილებით ზანტი აღმოჩნდა, ან, ისიც ნიკუშას უწევდა ჯიბრს... ნიკუშა ორივე ხელით დაეყრდნო ბილიარდის მწვანე მაუდგადაკრულ მაგიდას და ბურთებს ჩააშტერდა. მისი ცხოვრება რაღაცით ჰგავდა ამ ბილიარდის ბურთების მოძრაობას – ანუ, არავითარი ქმედება, უფრო სწორედ, არავითარი ლოგიკა მოქმედებისა. მხოლოდ ინერცია და პროტესტის გრძნობის არქონა. არც წინააღმდეგობის გაწევის სურვილი... იქნებ, ამ დღეს ელოდა, რომ ერთბაშად გადმოეფრქვია დაგროვილი ენერგია?! თუმცა, სად აქვთ ბილიარდის ბურთებს ენერგია? ისინი მარტო მაშინ იწყებენ მოძრაობას, როცა შეეხები... ნიკუშამ ბილიარდის ბურთი ხელში აიღო და სახესთან ახლოს მიიტანა. ის საოცრად პრიალა, გლუვი და ნატიფი იყო, მაგრამ ცივი...

– ცხოვრება კეთილი არ არის. ჩვენ უნდა შევეგუოთ ამას, მაგრამ, ზოგჯერ ისეთ სიურპრიზებს გვიგზავნის, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე, – ჟანი ბილიარდის მაგიდასთან მივიდა და, რატომღაც, შავი ბურთი აიღო. ნიკუშა ისევ თავის ბურთს იყო ჩაშტერებული. – ჰო, ამ სიურპრიზებად ღირს ჩვენი ნაცრისფერი ყოველდღიურობა.

– ჟან, შენ ყველაფერი იცოდი...

– გააჩნია, ყველაფერში რას გულისხმობ.

– მაგალითად, ლევანის შესახებ. იცოდი, ვინც იყო?

– ვხვდებოდი, თუმცა, ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია და შენც ამას გირჩევ.

ნიკუშამ თავი გააქნია:

– არა, შენთვის ამის გაგება ძნელია.

– რატომ? გგონია, მე არ ვიყავი ახალგაზრდა?

– ეგ არაფერ შუაშია, ახალგაზრდობასთან ამას კავშირი არ აქვს. თანაც, მე უკვე აღარ ვარ იმ ასაკში, როცა ემოციებით სჯიან, – ნიკუშამ ბურთი მაგიდაზე გააგორა, – ეს იმაზე უარესია, ვიდრე მე წარმოვიდგენდი. ვერ ვფიქრობ, რომ ლევანი...

– არა, არა, ლევანმა, შეიძლება, საერთოდ არაფერი იცის. ნუ ფიქრობ იმაზე, რომ ის კაცი თავის წარსულს საჯაროდ გამოფენდა ოჯახის წევრების წინაშე.

– არ უნდა ჩამოვსულიყავი, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – მერჩივნა, ყველაფერი ისე დარჩენილიყო, როგორც აქამდე იყო. ნაკლებად დავიტანჯებოდი.

– ეს ახლა ამბობ ამას, მაგრამ, გაიხსენე, როგორი გააფთრებით იბრძოდი სიმართლის გასაგებად. მგონი, სიმართლე, როგორიც არ უნდა იყოს ის, მაინც ჯობია გაურკვევლობას.

– არ ვიცი. ასეთ სიმართლეს ყველაზე ცუდ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. ლევანი ყოველთვის ძმასავით მიყვარდა.

– ლევანი არაფერ შუაშია. შვილები მშობლების შეცდომებზე პასუხს არ აგებენ, მით უმეტეს სიმამრის საქციელისთვის. ნუ მოეკიდები მტრად მეგობარს, რომელმაც, შესაძლოა, საერთოდ არაფერი იცის ამის შესახებ.

ნიკუშამ ჟანს შეხედა. კაცმა გაიღიმა და მხარზე მეგობრულად მოხვია ხელი.

– ვისურვებდი, შენნაირი შვილი მყოლოდა. გინდა, ერთი პარტია ბილიარდი ვითამაშოთ? ცოტა ხნით მაინც ნუ იფიქრებ იმაზე, რაც ელენემ გითხრა. დამიჯერე, ემოცია ცუდი მრჩეველია. გადაწყვეტილება ცივი გონებით უნდა მიიღო.

ნიკუშამ თავი გააქნია:

– არ შემიძლია. კიდევ კარგა ხანს ვერ შევძლებ დამშვიდებას. ამდენი წელი მტერი ცხვირწინ მყავდა, მე კი უხილავ აჩრდილს ვეძებდი. ალბათ, როგორ იცინოდა ჩემზე. როცა ამაზე ვფიქრობ, სისხლი პირდაპირ ტვინში მასხამს და მზად ვარ, ახლავე გავიქცე აეროპორტში თბილისში გასამგზავრებლად.

– მე კი გირჩევ, დაიცადო, მით უმეტეს, თუ შურისძიებას აპირებ. მე ფრანგი ვარ. ამიტომ, მჯერა ერთი ძველი, მაგრამ ძალიან ჭკვიანური ნათქვამის: შურისძიება ის კერძია, რომელიც ცივი უნდა მიირთვა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შურისძიებაზე ფიქრი მიმაჩნია ძალიან დიდ სისულელედ.

– შურისძიება არ შეიძლება სისულელე იყოს.

– რას ამბობ! ყველაზე დიდი სისულელეა ამ ქვეყნად არსებულ სისულელეებს შორის. ბოღმა კლავს კაცობრიობას და დედამიწაზე სიხარულის გამეფების საშუალებას არ აძლევს.

– ამას იმიტომ ლაპარაკობ, რომ ჯერ არავის დაუმცირებია შენი მამაკაცური ღირსება.

– არც შენი დაუმცირებია ვინმეს. წარსული იმიტომაც არის წარსული, რომ წარსულში დარჩეს.

– არა, მე ამ წარსულმა ცხოვრება დამინგრია, ასე მარტივად არ არის საქმე!

– შენ უფლება არ უნდა მისცე არავის და არაფერს, რომ ცხოვრება დაგენგრეს, მოვლენებზე მაღლა უნდა დადგე. მართალია, ეს ადვილი არ არის, მაგრამ, თუკი მოინდომებ, შესაძლებელია.

ნიკუშამ თავი გააქნია:

– მე ვიცი, რა შემიძლია და რა – არა. ღალატი არის ის, რასაც ჭკუიდან გადავყავარ.

– გასაგებია. ღალატი საშინელებაა, მაგრამ იმისთვის, რომ ახლობელ ადამიანს ასეთი მძიმე ბრალდება წაუყენო, არგუმენტები უნდა გქონდეს, თანაც – საფუძვლიანი.

ნიკუშამ შუბლი მოისრისა. ჟანის სიტყვებში იყო ლოგიკა, ამიტომაც დაფიქრდა. ჟანმაც ამით ისარგებლა:

– უპირველესად, დედაშენს დაელაპარაკე ძალიან ნერვიულობს. მკაცრადაც ნუ განსჯი. შეეცადე, საკუთარი თავი მის ადგილას დააყენო. არც ეს იქნება ადვილი, მაგრამ, არც ცხოვრებაა ადვილი, ხომ გესმის?

ნიკუშა დუმდა ბილიარდის მაგიდის ზედაპირს ჩაშტერებული. ჟანმა შეატყო, რომ ბიჭი საკუთარ თავს ებრძოდა. ემოციები სახეზე ისე ნათლად აჩნდა, რომ კაცს შეებრალა კიდეც.

– მომისმინე, მე ვიცი საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ შენ ცოტა ხნით ამ ყველაფერზე არ იფიქრო. ეს აუცილებელია. დამშვიდდები და, როცა იგრძნობ, რომ მზად ხარ, პრობლემის მოსაგვარებლად იმოქმედო, მეც შენ გვერდით მიგულე, ყველაფერში მხარს დაგიჭერ.

– ოღონდ, რესტორანი არ შემომთავაზოთ.

ჟანს გაეღიმა:

– ასეთი ღორმუცელა გგონივარ?

ნიკუშა გაწითლდა. მიხვდა, ცუდად რომ გამოუვიდა. ჟანს მაინც რას ერჩოდა, კაცი აშკარად კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ და ზრუნავდა კიდეც მასზე.

– რა ვიცი, თქვენ არ ამბობდით, გემრიელი კერძი გონებას მავნე ფიქრებისგან წმენდსო?

– ასეც არის, მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს მეთოდი არ „იმუშავებს“. უკეთესი რაღაც მაქვს მოფიქრებული – ჩემი ცხენები უნდა გაჩვენო.

– ცხენები?

– ჰო. ამისთვის ქალაქგარეთ მოგვიწეს გასვლა. მაგრამ, დამიჯერე, ამად ღირს, რა თქმა უნდა, თუ ცხენები გიყვარს.

– მთელი ცხოვრება საკუთარ ცხენზე ვოცნებობდი, – ნიკუშას სევდიანად გაეღიმა, – ოღონდ ეს ადრე იყო, ძალიან ადრე. მამაჩემს არასდროს არაფერზე უარი არ უთქვამს, მაგრამ, რატომღაც, ცხენი არ მიყიდა.

– ალბათ, ეშინოდა, რომ ისევე დაავადდებოდი მისი სიყვარულით, როგორც ეს მე დამემართა. დედაშენსაც კი გადავდე ცხენების სიყვარული.

დედის გახსენებაზე ნიკუშას შუბლზე ორი გრძელი ღარი გაჩნდა. ჟანმა შენიშნა და ძალიან მშვიდი ხმით უთხრა:

– ელენეს შენ ძალიან უყვარხარ.

– ისიც წამოვა?

– არა. მარტო მე და შენ გავემგზავრებით ორი-სამი დღით. თუ არ მოგეწონება, უკან ხვალვე დავბრუნდებით. აბა, რას იტყვი?

– ვფიქრობ, უარის თქმის საფუძველი არ მაქვს, მაგრამ, ახლა უკვე ელენეზეც ჩავფიქრდი. როგორ უნდა იყოს აქ მარტო?

– მე დაველაპარაკები და გაგიგებს. აქ დამელოდები?

– აივანზე გავალ.

– მალე მოვალ. რაც დაგვჭირდება, ყველაფერს გზაში ვიყიდით.

***

რა სჭირდება მამაკაცს იმისთვის, რომ მისივე პატივმოყვარეობა კონფლიქტში არ მოვიდეს პიროვნულ ღირებულებებთან? ეს, ალბათ, ინდივიდუალურია, მაგრამ, ძირითადად, მაინც მატერიალური შესაძლებლობა განსაზღვრავს კაცის „მეს“. ამით მისი პასუხისმგებლობის კოეფიციენტიც შესაბამისად იცვლება. თუმცა, ისეთებიც გხვდებიან, რომელთა პასუხისმგებლობაც კარის ზღურბლს არ სცილდება, მაგრამ ასეთი მამაკაცები პოპულარობით ვერ სარგებლობენ, მით უმეტეს – ქალებში. ისე, ქალებისასაც ვერაფერს გაიგებ – ზოგიერთი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ გვერდით შარვლიანი არსება ჰყავდეს, თუნდაც პირობითად...

***

დათომ ძლივს გაახილა თვალები და ცოლს გადახედა. ნათიას ეძინა. ზარი განმეორდა. დათომ რაღაც ჩაიბურტყუნა, საბანი ნელა გადაიძრო და ჩუმად ადგა. ხელში ნათიას ხალათი მოხვდა, ის ჩაიცვა და საათს შეხედა. ისრები შუაღამის 3 საათს უჩვენებდა.

– თუ ეს ვახოა, მოვკლავ, – ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა და კარის გასაღებად გაემართა.

– ლევან? – მეგობრის დანახვამ ისე გააკვირვა, რომ დაბნეულს მისი ოთახში შეპატიჟებაც კი დაავიწყდა.

– შეიძლება, შემოვიდე?

– რა თქმა უნდა, რას მეკითხები! მაგრამ... – დათომ თვალები მოიფშვნიტა და ხალათზე დაიხედა, – ჩავიცვამ, კარგი? შენ ოთახში დამელოდე, ახლავე მოვალ.

ლევანმა ხელი ჩაიქნია და ოთახისკენ ნელი ნაბიჯით, თითქმის ფეხათრეული გაემართა. დათომ გაკვირვებულმა გახედა. ნათიამ გვერდი იცვალა, მაგრამ არ გაღვიძებია. დათომ სწრაფად ჩაიცვა ჯინსი და მაისური და ოთახის კარი ჩუმად გამოიხურა. ლევანი ხელებში თავჩარგული იჯდა, მეგობრის შემოსვლა თითქოს არც გაუგია.

– ლევან, მშვიდობაა? ისეთი სახე გაქვს... რამე ხომ არ მოხდა?

– ჰო. თინიკო ფეხმძიმედ არის.

დათოს სახე გაუნათდა და შვებით ამოისუნთქა:

– უჰ, მე კი რა არ ვიფიქრე – ღამის სამ საათზე კარგი საქმისთვის არ მოვიდოდა-მეთქი. მერე, არ გიხარია?

ლევანმა თავი გადააქნია. დათო შეცბა:

– მოიცა, თავს რატომ იქნევ, არ გაგიხარდა? ბიჭო, მოიცა, როდის გაიგე?

– ოთხი საათის წინ. შეიძლება, ხუთი საათის წინ – ამას რა მნიშვნელობა აქვს?

– მე რომ პირველად ნათიას ორსულობის ამბავი გავიგე, ისეთი შოკი მქონდა, კინაღამ სახლიდან გავიქეცი. მაგრად დავიბენი და შემეშინდა. არა უშავს, გაგივლის.

– დასალევი გაქვს რამე?

– ვისკი. ოღონდ, არ ვიცი ყინული თუ არის მაცივარში.

– არ მინდა ყინული, ჭიქები მოიტანე და ბოთლი, უნდა დავთვრე. ისე უნდა დავთვრე, რომ ვეღარაფერზე ვიფიქრო. დიდხანს ვიფიქრე, სად უნდა წავსულიყავი, ვის შეეძლო ჩემი ატანა ასეთ დროს, მაგრამ, შენზე უკეთესი კანდიდატურა ვერ მოვძებნე. მეჩვენება, რომ, ცხოვრება, სადაც არის, გამსრესს.

– არა, არა, რა სისულელეა! ამაზე ნუ ფიქრობ. ყველა მამაკაცი იბნევა, როცა ქალი ფაქტის წინაშე აყენებს, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილას დგება. გეუბნები, არც მე ვყოფილვარ უკეთეს დღეში, მაგრამ, ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი...

– შენი შემთხვევა სხვანაირია. ვეცდები, როგორმე აგიხსნა, მაგრამ, ჯერ წადი, ვისკი მოიტანე.

ლევანმა სამი ჭიქა ვისკი დალია და ერთი სიტყვაც არ უთქვამს. დათო მდუმარედ ადევნებდა თვალს. მეოთხე ჭიქაც რომ გამოსცალა და ხელი ისევ ბოთლისკენ წაიღო, დათომ დაასწრო და ცხვირწინ ააცალა:

– გეყოფა! ცოტა შეისვენე, თავს ნუ მოიკლავ, თინიკოზე იფიქრე.

– თინიკოზე რომ ვფიქრობ, იმიტომაც ვსვამ, – ჩაიღრინა ლევანმა, – შენ ვერ მიხვდები ამას. ამიტომ, ბოთლი მომეცი.

– ჯერ დამელაპარაკე, – გაჯიუტდა დათო, – მითხარი, რა მოხდა?

– ის მოხდა, რომ უკვე აღარ მეგონა, თიკა თუ როდისმე დაფეხმძიმდებოდა, გესმის? დარწმუნებული ვიყავი, რომ მის დაორსულებას ვერ შევძლებდი.

– მერე, ხომ შეძელი? მაგარია! უნდა გიხაროდეს, ტო, ძალიან უნდა გიხაროდეს! მოდი, შენი მომავალი შვილის სადღეგრძელო დავლიოთ, – დათომ ვისკი დაასხა, მაგრამ ერთბაშად რაღაც აზრმა გაუელვა:

– მოიცა, ხომ არ ფიქრობ, რომ თინიკომ შენ...

ლევანმა ხელი მაგიდის ზედაპირს დასცხო.

– ეგ არც იფიქრო! თინიკო მე არ მიღალატებს! არასოდეს! გამორიცხულია, იმიტომ რომ ვუყვარვარ. ყველაფერზე და ყველაზე მეტად, მაგრამ ეს კიდევ უფრო ამძიმებს და ართულებს სიტუაციას.

დათომ ხელები გაშალა:

– ვერაფერი გავიგე. რა გინდა, ტო...

– ახლა არ უნდა დაფეხმძიმებულიყო. სწორედ ახლა არ უნდა დავეყენებინე ამ ფაქტის წინაშე.

– მოიცა, მოიცა, მაინც ვერ გავიგე. შენ თიკას იმაზე საყვედურობ, ახლა რომ დაორსულდა? რატომ? მე ვიცი, რომ შვილი ორივეს გინდოდათ?!

– საერთოდ, ალბათ, მინდოდა შვილი, მაგრამ თინიკოს ფეხმძიმობას თავისი „გვერდითი მოვლენები“ აქვს, თანაც, უარყოფითი „გვერდითი მოვლენები“.

დათომ დალია. ჭიქა დადგა და თავი გადააქნია:

– ვცდილობ, რაღაცას მივხვდე, მაგრამ ვერ ვახერხებ. რაღაცნაირად ლაპარაკობ.

– დათო, ნატუკაც ფეხმძიმედ არის...

– ვინ არის ნატუკა? – დათომ კეფა მოიქექა, – აა, მომაგონდა! ის გოგო, ნიკუშას რომ აჩეჩებდი. ვაა! ვისგან აიკიდა? ან, ეს ამბავი შენ რატომ გადარდებს?

– ერთი ჭიქაც დალიე და მიხვდები, – ლევანმა ბოთლი გამოსცალა და ჭიქები შეავსო.

– რა არის მისახვედრი! არ მითხრა, რომ ნიკუშამ ქნა ეს საქმე! ყოჩაღ, მაშ, ნიკუშა მამა გახდება?! აუ, ია რას გაგიჟდება?!

– იას გაგიჟებას დავეძებ? შეიძლება, იმაზე ადრე მე გავგიჟდე. არადა, ჩემი ბრალია ყველაფერი. მე ავიკიდე შარი. რაში მჭირდებოდა ეგ გოგო?

დათოს ჭიქისკენ წაღებული ხელი გაუშეშდა:

– ნატუკაც შენგან არის ფეხმძიმედ? გაგიჟდი, ტო?!

– არ ვიცი, გესმის? არ ვიცი! დარწმუნებული ვიყავი, რომ ალბათობა გამორიცხული იყო, მაგრამ ახლა სერიოზული საფუძველი მაქვს, რომ ეჭვი გამიჩნდეს.

– ეე, შენ, მგონი, მართლა გჭირდება დალევა, – დათომ ბარიდან მეორე ბოთლიც გამოიღო, – რას აპირებ?

– რას უნდა ვაპირებდე? ჯერ თინიკოს უნდა მივხედო, რომ დამშვიდდეს.

– იცის? ნატუკას ამბავს ვგულისხმობ, – თვალები გაუფართოვდა დათოს.

– არა, რას ამბობ? თინიკოს რატომ ვეტყოდი. იქ სხვა პრობლემაა. როცა მითხრა თავისი ორსულობის ამბავი, ისეთი რეაქცია მქონდა, რომ სახლიდან გამომაგდო.

– რაა? წასასვლელი არ გაქვს?

– წასასვლელი როგორ არ მაქვს, მივალ სახლში, მაგრამ, ძალიან არის გაბრაზებული.

– მესმის მისი. ქალებს ამ დროს სჭირდებათ ქმრების თანადგომა. მე რომ პირი დავაღე, ნათიამ ლამის ჩანთა ჩამარტყა თავში.

ლევანმა გაიცინა.

– რა გაცინებს? – გაუკვირდა დათოს, – შენ ადგილას მე ნამდვილად არ გამეცინებოდა.

– ვიცი, რომ სასაცილოდ არ მაქვს საქმე, მაგრამ ეს ვერაფერს მშველის. შენ ის მაინც იცი, რომ შვილს საყვარელი ქალი გაგიჩენს, მე ამაშიც არ ვარ დარწმუნებული.

– ნატუკაზე თუ ამბობ მაგას, იქნებ, სულაც არ არის შენი შვილი?

– თიკას შემთხვევაშიც არ მაქვს მდგომარეობა უკეთესად. მაგრამ, ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მიუხედავად ყველაფრისა, შვილი მაინც მეყვარება – ეს ზუსტად ვიცი.

– ძალიან გეყვარება, აი, ნახავ. ჯერ არ დაბადებულა და უკვე ჭკუას ვკარგავ მასზე. თანამშრომლებმა მითხრეს, შენ ნახე, „მამას“ როცა დაგიძახებს, სულ გადაირევიო.

– ნეტავი შენ, ბედნიერი კაცი ხარ, ჩვენ შორის ყველაზე ბედნიერი. ვახოსაც არ აეწყო ცხოვრება, ნიკუშაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც არ ღირს... მე რა დღეშიც ვარ, ხედავ... მოკლედ, შენ გაგიმართლა ყველაზე მეტად და დააფასე. ნათიას გაუფრთხილდი.

დათომ არ უპასუხა, უსიტყვოდ შეავსო ორივე ჭიქა და ამოიოხრა.

– რატომ ოხრავ, არა ხარ ბედნიერი?

– ალბათ, ვარ, არ ვიცი. სიმართლე რომ გითხრა, ამაზე არ მიფიქრია.

– ამაღამ რომ აქ დავრჩე, შეიძლება? ჩვენებთანაც კი შემეძლო მისვლა, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენია, დედაჩემი რა დღეში ჩაიგდებს თავს. გადაირევა და მეც ვერაფერს ავუხსნი. ზედმეტი პრობლემები არ მჭირდება. მაშინვე თინიკოს დაურეკავს, გულიც ცუდად გაუხდება და, ერთი სიტყვით, ხვდები, ალბათ... ვერც სასტუმროში გავათევ ღამეს – ვინმემ რომ დამინახოს, მაშინვე ჟურნალისტებს დამაყენებენ თავზე...

– მესმის. რა თქმა უნდა, შეგიძლია, დარჩე. მაგრამ, მე სახლში დაბრუნებას გირჩევ, – თინიკოს სჭირდები და ახლა მასზე უნდა იფიქრო.

– გამომაგდო-მეთქი, ხომ გითხარი.

– მითხარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ სძინავს და გელოდება. წადი მასთან. ნატუკას კი, თუ გინდა, მე დაველაპარაკები.

– საჭირო არ არის, უკვე ველაპარაკე.

– მერე?

– ეს მანამდე იყო, სანამ თინიკოს ფეხმძიმობის ამბავს გავიგებდი. ვუთხარი, რომ ნიკუშას უნდა მიაკითხოს.

– დაარწმუნე? ქალებს ეგეთი რამეები არ ეშლებათ, – ეჭვით ჩაილაპარაკა დათომ.

– იმის თქმა გინდა, რომ ნატუკამ იცის, ვინ არის მისი შვილის მამა?

– წესით, უნდა იცოდეს, თუ მთლად შტერი არ არის.

– რატომ გამორიცხავ, რომ ნიკუშასგან იყოს ფეხმძიმედ?

– არაფერსაც არ გამოვრიცხავ, მხოლოდ ალბათობას ვუშვებ.

– ნატამ ნიკუშას უკვე გააგებინა ახალი ამბავი. მე თვითონაც დავურეკე და ვუთხარი.

– ჰოო?! პრობლემა მოგიგვარებია. რატომღა ნერვიულობ?

– სინდისი მქენჯნის. ნიკუშა ჩემი ძმაკაცია. ცუდად ხომ არ ვიქცევი?! ნატა მე გავაცანი. ჯერ ამაზეც მომიწევს პასუხისმგებლობის აღება.

– სისულელეა. ვიღაცისგან ხომ უნდა გაეცნო? შენ არ იქნებოდი – სხვა იქნებოდა.

– ბავშვი რომ მართლა ჩემი იყოს? – ლევანმა ამღვრეული მზერა მიაპყრო მეგობარს.

– ამას ჯერ ვერ გაიგებ. მერე კი „დეენემის“ ანალიზი დაგჭირდება.

– არა. არ მინდა! სკანდალი არ მაწყობს. მირჩევნია, ყველაფერი ასე დავტოვო. უბრალოდ, ვიღაცისთვის უნდა მომეყოლა, თორემ, გავგიჟდებოდი. ვიცი, რომ, შეიძლება, შენი იმედი მქონდეს.

დათომ თავი დაუქნია:

– ეჭვი საშინელებაა. შეძლებ, ეჭვით ცხოვრებას? კარგად დაფიქრდი. ნიკუშა თუ ბავშვზე უარს არ იტყვის და მიიღებს, მაშინ როგორ მოიქცევი?

– მაშინ, დავივიწყებ, რომ ნატუკას როდისმე ვიცნობდი, – ლევანმა ქურთუკი აიღო, – მართალი ხარ, თინიკოს ახლა ყველაზე მატად ვჭირდები და მასთან უნდა ვიყო.

***

ელენემ შიშით გაიწოდა ყურმილისკენ ხელი...

– ელენე ვარ. ვიცი, გიცანი. ვგრძნობდი, რომ დარეკავდი. რა გინდა, ახლა რას მოითხოვ ჩემგან? ნახატი გაქრა. იმედია, მე არ მადანაშაულებ ამაში. ჩემი ბრალი არ არის, რომ მოიპარეს. რატომ არ გჯერა... რატომ გგონია, რომ გატყუებ?.. ჩემს ქმარს საკმარისზე მეტი ფული აქვს, რომ ასეთი ცდუნების წინაშე არ დამდგარიყო. ყველას საკუთარი გადმოსახედიდან ნუ განსჯი. ისე, კარგია, რომ დარეკე. მინდოდა შენთან ლაპარაკი. პრობლემა მაქვს... სერიოზული პრობლემა... დღეს ჩემს შვილს ყველაფერი ვუთხარი... რატომ გაჩუმდი? ნიკუშას ყველაფერი ვუთხარი-მეთქი... ახლა უკვე იცის, ვინ ხარ. არ გეშინია? მე შენს ადგილას ასეთი დამშვიდებული ვერ ვიქნებოდი... მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე. გადაირია. მამამისი ძალიან უყვარდა, ამიტომ მის საქციელზე პასუხისმგებელი ვერ ვიქნები... რატომ არის ჩემი პრობლემა და არ არის შენი?.. მე ვნერვიულობ... მართალია, შენგან შორს არის, მაგრამ, თუ ჟანმა მისი გადარწმუნება ვერ მოახერხა, თბილისი საკმაოდ ახლოსაა აქედან... მე კიდევ გეტყვი იმას, რაც გითხარი: შენი შვილი არ არის, მაგრამ, ეს კიდევ უფრო ამძიმებს შენს მდგომარეობას და ვშიშობ, რომ ლევანსაც შეექმნება პრობლემები... მე მასზე ვდარდობ, თორემ, შენ... შენ ყველაფრის ღირსი ხარ...

ერთი ადამიანის თავისუფლება და, შესაძლოა, ბედნიერებაც, მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის თავისუფლება და, შესაძლოა, ბედნიერებაც იწყება. უფრო გასაგები რომ იყოს, ასე ვიტყვი: მხოლოდ სულელს ჰგონია, რომ თავისუფალია და, თანაც, ბედნიერი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბედნიერი ვერასოდეს იქნები ან სისულელე უნდა ინატრო. არავითარ შემთხვევაში!

სისულელე ბედნიერების პირდაპირპროპორციული არ არის, თუმცა, შეიძლება, სულელებს მაინც აქვთ პატარა უპირატესობა – მათთვის ცხოვრება შედარებით იოლია...

***

დათო ფეხაკრეფით შეიპარა ოთახში და ძალიან გაუკვირდა, როცა ლოგინში წამომჯდარი ცოლი დაინახა. ნათია ბალიშზე იდაყვით იყო დაყრდნობილი და თითქოს ელოდა, როდის შეაღებდა მისი ქმარი კარს.

– არ გძინავს? – დათო გვერდით მიუჯდა.

– სად გაუშალე?

– რა? – თვალები მიამიტურად დაახამხამა დათომ.

– სად გაუშალე-მეთქი ლოგინი ლევანს. ხომ აქ დარჩა?

– ჰო. ესე იგი, ყველაფერი გაიგონე?

– ვერ უარვყოფ. გავიგონე, იმიტომ რომ, გისმენდით. რა ვქნა, ძალიან მაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდით. ხომ იცი, ფეხმძიმობამ ცნობისმოყვარე გამხადა.

დათოს გაეცინა და ცოლს ცხვირზე მოუსვა თითი.

– ფეხმძიმობა არაფერ შუაშია, ყოველთვის ცნობისმოყვარე იყავი, შე პატარა ჭორიკანავ, შენა. აბა, რა გაიგონე?

– ყველაფერი, – თვალები მოწკურა ნათიამ და მაშინვე დაამატა, – თითქმის ყველაფერი. ფუჰ, ვისკის სურნელს აფრქვევ. ბევრი დალიეთ?

– ლევანი სვამდა.

– ლევანი სვამდა და შენ – არა? კარგი, რა... ტუჩებშიც ხომ არ გკოცნიდა?

– კარგი, ცოტა მეც დავლიე... ნათი, დავიძინოთ, რა, დაღლილები ვართ...

– არ უნდა მიგეცა დარჩენის უფლება, – ნათიამ შუბლი შეიჭმუხნა.

– რას ამბობ, ნათი?! ხომ ვერ გავაგდებ? შემეცოდა. ძალიან ნერვიულობს. მე რომ მაგის ადგილას ვიყო, გავგიჟდებოდი.

– იმედი მაქვს, მის ადგილას შენ არასოდეს იქნები, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ნათიამ, – საცოდავი თინიკო!..

– ნათი, რად გინდა ასეთი ლაპარაკი, ხომ იცი, რომ მიყვარხარ?

– ასე რომ ჰკითხო, ლევანიც გეტყვის, თიკა მიყვარსო და დაამტკიცებს კიდეც ამას ეგ იდიოტი.

– ლევანი ჩემი მეგობარია, – არ ესიამოვნა დათოს ძმაკაცის ლანძღვა.

– მერე რა, თიკაც ჩემი მეგობარია. იცი, რას იზამს, თუ გაიგო რომ, ის კახპა შვილს მისი ქმრისგან ელოდება?

დათოს სახე შეეცვალა და ხმა გაიმკაცრა:

– შენ თიკას არაფერს ეტყვი, ძალიან გთხოვ! თუ გინდა, გაფრთხილებ. იცოდე, სერიოზულად გავბრაზდები, ძალიან სერიოზულად! მე კი არავითარი სურვილი არ მაქვს, გეჩხუბო.

– თუ არ გქონდა ამის სურვილი, მაშინ ის შენი ძმაკაცი აქ არ უნდა დაგეტოვებინა.

– მიდიოდა, მაგრამ ბოლო წუთში გადაიფიქრა.

– იმიტომ, რომ ლაჩარია!

– ნათი, კარგი, რა, გვეყოფა. მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს და დავიძინოთ.

– რა თქმა უნდა, დაიძინებ. სინდისი სუფთა გაქვს და რატომ არ დაგეძინება. თიკაზე არ ფიქრობ? წარმოგიდგენია მაინც, რა დღეშია?

დათომ ამოიოხრა:

– კარგი, არ დავიძინებ, თუკი ამით თიკას რამე ეშველება. გამაგებინე, მე რა შუაში ვარ? ეს მათი ოჯახის საქმეა. თვითონ მოაგვარებენ ურთიერთობებს. ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ.

– მაშინ, აქ არ უნდა მობრძანებულიყო. რადგან მოვიდა და დარჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ჩაგვრია. ამიტომ, მე ნუ მსაყვედურობ. დიდი შანსია, თიკამ ჩემგან დამოუკიდებლად გაიგოს ყველაფერი და მე უნდა დამბრალდეს? რატომ? ვცოფდები, როცა წარმოვიდგენ, რომ იმ ვაჟბატონს კაბინეტში მშვიდად სძინავს.

– რა იცი, რომ კაბინეტში შევიყვანე?

– აბა, სხვაგან სად წაიყვანდი, რა უნდა გელაპარაკო, ჩემზე საერთოდ არ ფიქრობ!

– როგორ არ ვიფიქრე, საყვარელო, მაგრამ, გარეთ ხომ არ გავაგდებდი? ჩემი ძმაკაცია, ნათი, ძმაკაცი... მეც გამიგე!

– საზიზღარი და უზნეო ვინმეა ეგ შენი ძმაკაცი, ვერ ვიტან! თანაც, რის გაკეთებას აპირებს – თავისი ნაბიჭვარი იმ შტერ ნიკუშას უნდა შეატენოს! არა, ის კი ყველაფრის ღირსია, მაგრამ მაინც საზიზღარი, უღირსი და უსირცხვილო კაცია ეგ შენი ლევანი! ძალიან მაინტერესებს, ნიკუშაზე რატომ არ შეგტკივა გული, ის არ არის შენი ძმაკაცი?

– ვინ გითხრა, რომ არ შემტკივა, საიდან მოიტანე?

– არ შეგტკივა, დიახ, არ შეგტკივა! ყველაფერში ლევანს ეთანხმები და სულ მისი მხარე გიჭირავს. არ შეგრცხვება მაინც, ლევანის ნაბუშარი ნიკუშას რომ დაუძახებს მამას და იმასაც გაუხარდება?

დათომ ამოიოხრა:

– აუ, რა შარში გავეხვიე. ნათია, არ გინდა, ერთი მარტივი ჭეშმარიტება გაიგო? – შენ არაფერ შუაში ხარ ამ ამბავთან, საერთოდ არაფერში. ძალიან გთხოვ, დამშვიდდი და საკუთარ შვილზე იფიქრე, ასე გაცილებით აჯობებს. მით უმეტეს, რომ მაგ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამეა გაურკვეველი. სრულიად შესაძლებელია, ნიკუშასგან იყოს ფეხმძიმედ, – დათომ ხელები აიქნია და ხმამაღლა გაიცინა.

– მერე ბრაზილიური სერიალების გაუკვირდებათ. არ გრცხვენიათ მაინც, ხან ერთი რომ წვებით მასთან და ხან – მეორე?

– აუ, გეხვეწები, მორჩი, რა! ჯერ ერთი, მე არ ვწოლილვარ მასთან; მეორეც – ბოზია ის გოგო, ბოზი და, რა გიკვირს?

– ჰმ, შენი ძმაკაცის ცოლი რომ გახდება, მერე იძახე, ბოზიაო, – ნიშნი მოუგო ნათიამ.

– რომლის ცოლი გახდება? – დაიბნა დათო.

– რა ვიცი მე, რომლის? ჯერ ხომ არ არის გარკვეული, ბავშვს ვისგან ელოდება? თანაც, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? თუ გირჩევნია, ნიკუშამ შეირთოს, მაინც უცოლოა და ნაკლები უბედურება იქნება.

– ძალიან გთხოვ, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. ჯერ ლევანმა გამიბურღა ტვინი, ახლა კიდევ შენ მატკიებ თავს. თან, მეძინება და თავი დამანებე!

– კი, ბატონო, დაიძინე. მაგრამ, ვფიქრობ, თიკას უნდა ვუთხრათ, ლევანისგან დაფარულად, რა თქმა უნდა. ჩვენთვის უკეთესი იქნება, თუკი სხვისგან არ გაიგებს.

– გაგიჟდი? არც იფიქრო ამაზე. არა, არა და კიდევ ერთხელ არა! საერთოდ ნუ ჩავერევით!

– მე კი მგონია, რომ თიკას ნდობა უნდა მოვიპოვოთ. ნუ გავიწყდება, რომ არ არის ხელწამოსაკრავი ადამიანი. პირადად მე ძალიან მიყვარს.

– მეც მიყვარს, კარგი გოგოა, ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ შორს უნდა ვიყოთ ამ ყველაფრისგან, არ გვჭირდება ზედმეტი პრობლემები.

– უტვინოები ხართ კაცები და ყველანი იმას იმსახურებთ, რომ ბოზებმა შეგაბან. ლევანზე რომ ვფიქრობ, ვცოფდები. რაში სჭირდებოდა ის კახპა?

– სიმართლე რომ გითხრა, არ ვიცი. მართლა არ ვიცი. ოღონდ, ახლა მომასვენე, კარგი?

– ხვალ თიკასთან მივალ, – გადაწყვეტით თქვა ნათიამ და ბალიში შეისწორა.

დათოს ელდა ეცა:

– ეე! ამდენი ტყუილად გელაპარაკე? არსად არ წახვალ, სახლში იქნები და იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი!

– ეს ბრძანებაა?

– როგორც გინდა, ისე გაიგე! შენ იცი, შემიძლია, ყველა შენი კაპრიზი სიტყვის შეუბრუნებლად შევასრულო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უკან ვერ დავიხევ, იმიტომ, რომ ეს საქმე მეც მეხება.

– ნუ გეშინია, ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი. უბრალოდ, სიტუაციას დავზვერავ, გთხოვ, რა!.. ძალიან, ძალიან გთხოვ! ისე მაინტერესებს, ვკვდები!

– რა გაინტერესებს, რას ამბობ? ნათო, მოეშვი რა, ამ სისულელეებს. ძალიან გთხოვ, ეგრევე გაიშიფრები, დამიჯერე. თიკა შეიტყობს, რომ რაღაც „ისეთი“ იცი. მით უმეტეს, რომ ჯერ ლევანთანაც არ მოუგვარებია პრობლემა. ჩვენ ჩრდილში დავრჩეთ და ვნახოთ, რა მოხდება.

ნათიამ საყვედურით შეხედა ქმარს, მაგრამ არაფერი უთქვამს...

დილით სტუმარი ვერსად ნახა – ლევანი უთენია წასულიყო. კაბინეტში, ტყავის დივანზე, აკურატულად ეწყო დაკეცილი თეთრეული.

ნათიამ წყენით აიბზუა ტუჩი და ბრაზი ქმარზე გადმოანთხია:

– გააპარე, ხომ?

– აუუ, დილიდანვე იწყებ. ნათი, მოდი, ფულს მოგცემ, მაღაზიებში წადი, გაერთე და დაივიწყე, რა, სხვისი ოჯახის პრობლემები!

– რა გარანტია მაქვს, რომ შენც იმავეს არ გააკეთებ, თუკი მომენტი ჩაგივარდება?

– რას გავაკეთებ? ეე, ნათი როგორ არ მენდობი. რად მინდა სხვა ქალი, როცა შენ მყავხარ?

– ყველა კაცი ამას ამბობს, მაგრამ, საქმით საპირისპიროს ამტკიცებს. არც კი ვიცი, როცა სახლიდან გადიხარ, ვისთან მიდიხარ და, საერთოდ, რას აკეთებ.

დათომ ნაჩქარევად მოსვა ჩაი და ცოლს შემრიგებლურად გაუღიმა:

– საყვარელო, მე ახლა მივრბივარ და ვეცდები, მალე მოვიდე. აი, შენ ფული და, რაც მოგეწონება, იყიდე.

– ლევანთან მიდიხარ? – კართან დააწია ცოლმა.

დათომ გაურკვევლად აიქნია ხელი და კარი ხმაურით გაიხურა.

***

ლევანმა ჰოლი და სასტუმრო ოთახი მოათვალიერა. სახლში ისეთი სიჩუმე იყო, რომ, დაეჭვდა, ალბათ, თიკა სადღაც წავიდაო და საძინებელში შევიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. პერანგს რომ იკრავდა, ცოლი მაშინ დაინახა. თიკა ოთახის სიღრმეში, სავარძელში იჯდა და გულხელდაკრეფილი, გამომცდელ მზერას არ აშორებდა.

– თინი, რა კარგია, რომ სახლში ხარ, შენთან საქმე მქონდა.

– მეც მაქვს შენთან საქმე... – ქალი ადგა და ქმარს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. ლევანი შეაშფოთა მისმა გამოხედვამ.

ლევანმა თავი უხერხულად იგრძნო. მოეჩვენა, რომ ცოლმა იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე თავად წარმოედგინა. თუმცა, არც ის იყო გამორიცხული, თინიკო მასზე იმის გამო გაბრაზდა, ღამე სახლში რომ არ გაათია. ლევანისთვის ბევრად მისაღები მეორე ვარიანტი იყო და გადაწყვიტა, ცოლი ზედმეტად არ გაეღიზიანებინა. ამიტომ, სანამ რამეს ჰკითხავდა, დაასწრო და მოგონილი სიმშვიდით ჩაილაპარაკა:

– დათოსთან ვიყავი. შევუარე, ნიკუშაზე რომ გველაპარაკა. ცოტა დავლიეთ და აღარ გამომიშვა.

თიკა ჩუმად იჯდა და ერთი ჟესტითაც არ გამოუხატავს არანაირი რეაქცია. მისმა ასეთმა სიმშვიდემ ლევანი გააღიზიანა და იფეთქა:

– რა არის, ბოლოს და ბოლოს, ასეთი რა დავაშავე? მეგობართან გავათიე ღამე, საყვარელთან ხომ არა. თუ არ მენდობი, შეგიძლია, ნათიას, ან, თავად დათოს ჰკითხო!

– მე არაფერი მიკითხავს, – მხრები ოდნავ ასწია ქალმა, – რატომ ჩხუბობ? არც არაფერი მაინტერესებს. შენი ნებაა, სად გაათევ ღამეს, მაგრამ, მეც მაქვს უფლება, გთხოვო, რომ აქედან

წახვიდე. შენი ბინა რომ იყოს, არ დავიწყებდი ვაჭრობას და მე წავიდოდი. მაგრამ ბინა ჩემია. თანაც, ჩემს მდგომარეობაში საცხოვრებლის შეცვლაზე ვერ ვიფიქრებ.

ლევანმა მაშინვე ვერ გააცნობიერა ცოლის სიტყვები და, როცა მიხვდა, უარესად გადაირია.

– მაგდებ? სერიოზულად მაგდებ სახლიდან? კი მაგრამ, რატომ, რა დავაშავე?

– არ გაგდებ. უბრალოდ, გთხოვე. კარგი, მაშინ ისევ მე ავალ წყნეთში ჩვენებთან. ცოტა ხნით მაინც, სანამ შენ გადაწყვეტილებას მიიღებ.

– რა გადაწყვეტილებას, თიკა? – ხმა ჩაუწყდა კაცს.

– ჰო, გადაწყვეტილებას, თუ რა გჭირდება. უფრო სწორად, ვინ გჭირდება.

– რას ნიშნავს – ვინ მჭირდება? რად უნდა ამას გადაწყვეტილების მიღება? მე გადაწყვეტილება ექვსი წლის წინ მივიღე, როცა ცოლად შეგირთე. რა სისულელეებს მეკითხები, რა დაგემართა? ეს შენს ორსულობას უნდა დავაბრალო, თუ შენ თვითონ აღარაფერში გჭირდები? თიკა, მითხარი რა მოხდა? იმისთვის მსჯი, ფეხმძიმობის ამბავმა ცოტა რომ დამაბნია და სიხარული ისე ვერ გამოვხატე, შენ როგორც გინდოდა? დათომ მითხრა, რაღაც მსგავსი მასაც დაემართა, როცა პირველად გაიგო, რომ მამა უნდა გამხდარიყო. ესე იგი, მე არ ვარ გამონაკლისი. თიკა, შენ ხომ გჯერა, რომ მე ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი? სხვანაირად მე აქ აღარ დავბრუნდებოდი!

– მადლობა ხომ არ გადაგიხადო დაბრუნებისთვის? – ცივი ხმით ჩაილაპარაკა თიკამ.

– არა, რას ამბობ! მე წუხელვე მინდოდა მოსვლა, გეფიცები! მაგრამ, დათოს ამბავი ხომ იცი, თან, მართლა ძალიან ბევრი დავლიე.

– ბევრი დალიე, რომ შენს საქციელზე აღარ გეფიქრა? იცი, ნაკლებად მაინტერესებს, რატომ გაიქეცი და რატომ დაბრუნდი. მე მივხვდი, რომ არაფერში გჭირდები. არც ის ბავშვი გჭირდება, მე რომ გაგიჩენ. ეტყობა, შენს გეგმებში არ შედიოდა ჩემი ორსულობა. უბრალოდ, ხელს არ მიშლიდი. ალბათ ფიქრობდი, რომ ვერასოდეს დავორსულდებოდი.

– არა, თინი, არ არის ასე, ამას ნუ ამბობ. შენც მჭირდები და ბავშვიც.

ქალმა თავი გადააქნია:

– საშინელებაა, როცა ერთ დღეს აღმოაჩენ, რომ ადამიანი, რომელსაც აღმერთებდი, არარაობა ყოფილა.

– ამას ჩემზე ამბობ?

– შენზე და მამაჩემზე. მაგრამ, არა უშავს, მე ძლიერი ვარ, საკმაოდ ძლიერი ვარ იმისთვის, რომ ჩემი თავმოყვარეობა ფეხქვეშ არ გაგათელვინო. ასე რომ, მიბრძანდი, უშენოდაც გავძლებ და ბავშვსაც გავზრდი!

ლევანი მიხვდა, რომ თინიკო არ თამაშობდა. მისი ხმა მტკიცედ ჟღერდა, ჯიუტად და, თითქოს ჯიბრით მისჩერებოდა და უკან დახევას არ აპირებდა.

კაცმა იგრძნო, საქმე სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა, ადვილად ვერ მოულბობდა გულს და ვერც ორი სიტყვით გადაარწმუნებდა. უცებ ეჭვი იმაშიც შეეპარა, ხომ არ შემიყვარდაო, მაგრამ, ფიქრის დრო არ ჰქონდა. ფაქტი ის იყო, რომ სახლიდან წასვლა, ცოლთან დაშორება, მის გეგმებში არ შედიოდა.

– მე დედაჩემი არ ვარ, რომ მთელი ცხოვრება მეორეხარისხოვანი ქალის როლით დავკმაყოფილდე. ეს რომ შემძლებოდა, ერთხელ უკვე ვიყავი გათხოვილი და დავრჩებოდი მასთან. ამიტომ, მირჩევნია, წახვიდე.

– შენ მე გიყვარვარ, – ლევანი ცოლთან მივიდა და სცადა, მისთვის წელზე მოეხვია ხელი. ქალი გაუძალიანდა, მაგრამ კაცის ძლიერი ხელისგან თავის დახსნა ადვილი არ აღმოჩნდა.

– თინი, მე შენთან ყოფნა მინდა. ჩვენი შვილიც ძალიან მჭირდება, ოჯახი მჭირდება. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც თავს მშვიდად და დაცულად ვგრძნობ. უნდა დამიჯერო და ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგარწმუნო ჩემი სიტყვების

სიმართლეში. არ მინდა, ვიჩხუბოთ. არ მინდა, ერთმანეთს ეჭვით ვუყურებდეთ, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთად უნდა ვიყოთ – თანამოაზრეები და თანამზრახველები.

თინიკოს ყოყმანი დაეტყო:

– ძალიან მინდა, შენი მჯეროდეს, მაგრამ, შენ იმ ნახატზე უფრო ბევრს ფიქრობ, ვიდრე ჩვენს შვილზე.

– ვფიქრობ იმ ნახატზე, არ უარვყოფ, რადგან, ისიც ჩვენი შვილისთვის მინდა, ჩვენი მომავლისთვის, მაგრამ, შენ ჩემი ისევ არ გჯერა.

– შენს არყოფნაში დედაჩემმა დარეკა. შენთან უნდოდა ლაპარაკი, – თიკა ქმრის მხარს შუბლით მიეყრდნო.

– დედაშენს უნდოდა ჩემთან ლაპარაკი? არ ჰკითხე, რატომ?

– არ მითხრა. ისეთი არაფერიაო, მაგრამ, მომეჩვენა, რომ ნერვიულობდა. ხომ იცი, როგორია, ვერაფერს შეატყობ, ვერ მიხვდები, რა უდევს გულში.

– მძღოლს გავუგზავნი, რომ ჩვენთან მოიყვანოს. მამაშენთან შეხვედრა არ მინდა, – ლევანმა მობილური აიღო.

– რატომღაც, მგონია, რომ სწორედ მამაჩემთან დაკავშირებით უნდა შენთან ლაპარაკი.

– რამე თქვა?

თინიკომ მხრები აიჩეჩა:

– არა, არაფერი უთქვამს. ისე, ინტუიცია მკარნახობს.

– დედაშენმა ძალიან ბევრი რაღაც იცის. მთავარია, ამ რაღაცეების ჩვენთვის გამხელა მოუნდეს. შენი ამბავი უთხარი?

– არა, ვეღარ მოვასწარი. ყურმილი დამიკიდა.

ლევანმა საათზე დაიხედა:

– ჯანდაბა, მე რომ სამინისტროში ვარ წასასვლელი? მოდი, დედაშენს დაურეკე, უთხარი, ტაქსი გამოიძახოს და ჩვენთან მოვიდეს. მე კი შევეცდები, დღის განმავლობაში დრო გამოვნახო და ცოტა ხნით მაინც შემოვირბინო.

– უარი რომ მითხრას?

– არ გეტყვის. უთხარი, რომ შენც გაქვს მასთან საქმე. კარგი?

თიკამ თავი დაუქნია. ლევანმა ლოყაზე აკოცა:

– კარგია, რომ აღარ მიბრაზდები, ძალიან კარგია. ახლა მეც დავმშვიდდი.

– ბოროტად სარგებლობ იმით, რომ მიყვარხარ, – ჩაილაპარაკა ქალმა.

– არა. უბრალოდ, ვცდილობ, რაღაც-რაღაცეები დავალაგო. მაგრამ, შემიძლია რაღაც გითხრა: ამ წუთში დარწმუნებული ვარ, რომ მარტო შენ გვერდით მინდა ყოფნა, რადგან თავს არსად ისე მშვიდად არ ვგრძნობ, როგორც შენთან, – ლევანმა ცოლს სახეში შეხედა და ქალმა იგრძნო, რომ კაცი ამჯერად სიმართლეს ამბობდა...

***

ჟანი მართალი გამოდგა – ნიკუშა ცხენებით მაშინვე მოიხიბლა. ლამის ყველა და ყველაფერი გადაავიწყდა, აღფრთოვანებული შესცქეროდა მათ ჯიშიან სხეულებს და თავის ემოციას ვერ მალავდა.

– ეს მთელი სიმდიდრეა!

– ჰო, – გაიცინა ჟანმა, – კარგი ცხენები ფუფუნებაა, მაგრამ ჩემთვის ფულს ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, როცა საქმე ამ მშვენიერ, კეთილშობილ ცხოველებს ეხება. დედაშენის ცხენი ძლივს გამოვგლიჯე ხელიდან ერთ შეშლილ ამერიკელს. შეხედე და მითხარი, გინახავს კიდევ სადმე ასეთი სილამაზე?

ნიკუშამ თავი გააქნია:

– მართლა საოცრებაა. მაგრამ, ელენე მასზე ჯდება? ძალიან ფიცხი ჩანს.

ჟანმა გაიცინა:

– დედაშენი კი არა, ჯერ მასზე ვერავინ დაჯდა. მე ვცადე, მაგრამ კისერი რომ მოაბრუნა და შემომხედა, მივხვდი, დამცინოდა. გესმის? ცხენი დამცინოდა. ისეა საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებული, რომ იცის, ვერ ვაჯობებ. ამიტომ ჩემს განზრახვაზე ხელი ავიღე. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ცოტა არ შემეჩვევა და მტრად აღარ მიმიღებს.

– შეიძლება, ახლოს მივიდე და მოვეფერო?

– რა თქმა უნდა. ძალიან გონიერია, ხვდება, რას ითხოვენ მისგან. მოფერებაზე უარს არ ამბობს, მაგრამ, შეჯდომა და გაჭენება – ნურას უკაცრავად. ველურია და ამაყი.

ნიკუშა ცხენს მიუახლოვდა და ყურებს შორის თითები ფრთხილად შეახო. ცხოველი არ განძრეულა, თავიც არ მოუტრიალებია, მაგრამ ორიოდე წამში გამაფრთხილებლად ჩაიფრუტუნა და წინა ფლოქვებით მიწა მოფხოჭნა.

– შეხედე, ხომ გითხარი, ძალიან გონიერია-მეთქი. იგრძნო, რაც გაიფიქრე და გაგაფრთხილა.

ნიკუშას გაეღიმა:

– რადგან ამას თქვენც მიხვდით, ხმამაღლა ფიქრი გამომსვლია.

– მაგან მიმახვედრა – ნესტოები დაბერა და კუნთები დაჭიმა. გადარეული ვინმეა. მე, რა თქმა უნდა, შემიძლია სპეციალისტი მოვიწვიო და გავახედნინო, მაგრამ, სულ შორის ვწევ ამ დღეს. თავადაც არ ვიცი, რატომ. ეტყობა, მასში სწორედ ეს დაუმორჩილებელი სული მხიბლავს. თან, ელენემაც მთხოვა, რადგან ცხენი მისია, გადაწყვეტილება მასთან შეუთანხმებლად არ მივიღო. არადა, სწორად არ ვიქცევი – ცხენს თავის შანსს ვაკარგვინებ. აქამდე იმდენი რბოლა უნდა ჰქონდეს მოგებული...

– სიამოვნებით გავაჭენებდი, – ნიკუშამ ცხენს ჯიშიან გავაზე გადაუსვა ხელი.

– არ გირჩევ. ნახე, ნესტოები როგორ დაბერა. გეუბნები, შენს ფიქრებსა და სურვილებს ხვდება-მეთქი. წამოდი, სხვა ცხენს მოგცემ და გავაჭენოთ.. მინდა, ჩვენი საგვარეულო ტბა გაჩვენო. თუ გინდა, ვითევზაოთ კიდეც.

– ელენეზე ვფიქრობ, მარტო დარჩა და არც დამირეკა.

ჟანს გაეცინა:

– მე მირეკავს, თანაც, საკმაოდ ხშირად. შენზეა დამოკიდებული შენ თუ ხარ მზად მასთან შესახვედრად, ჩამოვა.

ნიკუშამ არ უპასუხა. მზერა ისევ ცხენზე გადაიტანა. ცხოველი მშვიდად იდგა, აღარც ნესტოებს ბერავდა და აღარც ფლოქვებს სცემდა მიწაზე. მხოლოდ თავი დაიქნია რამდენჯერმე და ისეთი ხმა გამოსცა თითქოს ნიკუშას ნიშნს უგებდა, ხომ გაჯობეო.

როცა ნიკუშამ მამინაცვლისკენ გაიხედა, დაინახა, რომ ჟანი ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა, უფრო სწორად, საჯინიბოში მომუშავე ბიჭს, რომელსაც რაღაც უთხრა და იმანაც თავი დაუქნია.

– ჩვენი გასეირნება გადაიდო. გამომძიებელია პარიზიდან, სახლში მელოდება. შენ აქ დარჩები?

– არა, წამოვალ, თუკი შეიძლება, რომ თქვენს საუბარს დავესწრო.

– რატომ არ შეიძლება, წავიდეთ. რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს ნახატთან დაკავშირებით...

გამომძიებელი – მაღალი, ხმელ-ხმელი, ორმოცდაათ წელს მიტანებული მამაკაცი – დიდ აივანზე, ჩალის მოწნულ სავარძელში იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ჟანის დანახვაზე სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე და ხელი მოწიწებით ჩამოართვა.

– მოხარული ვარ, გრაფ! მინდა, ჩემი უღრმესი პატივისცემა გამოვხატო თქვენი გვარის მიმართ და ისიც გითხრათ, რომ სრულად მაქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რასაც თქვენს ოჯახთან დაკავშირებული საქმის გამოძიება მაკისრებს. არ მინდოდა, შემეწუხებინეთ, მაგრამ, არის რამდენიმე საკითხი, რომელზეც აუცილებლად უნდა დაგლაპარაკებოდით.

– არა, არა, ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ამ ქვეყნის ისეთივე მოქალაქეები, როგორც ყველა. ამიტომ, სრული უფლება გაქვთ, მაშინ მომმართოთ კითხვით, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევთ და როცა საქმეს დასჭირდება.

გამომძიებელმა მადლიერი მზერით შეხედა ჟანს, რომელმაც სიცილი ძლივს შეიკავა. მერე ნიკუშას გახედა და ყოყმანი დაეტყო. ჟანი მიუხვდა.

– ნება მომეცით წარმოგიდგინოთ, ჩემი გერი. ჩემი მეუღლის, ელენეს ვაჟიშვილი პირველი ქორწინებიდან. ბუნებრივია, ის ჩემი ვაჟიშვილიც არის, ამიტომ, მასთან დასამალი არაფერი მაქვს. შეგიძლიათ, ყველაფერი ილაპარაკოთ. მით უმეტეს, რომ ის ნახატი ჩემი მეუღლის პირადი საკუთრებაა და არა ჩემი.

გამომძიებელმა თავი დააქნია:

– დიახ, ვიცი, თქვენმა მეუღლემ მითხრა. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ნახატის ჭეშმარტი ღირებულების შესახებ, გრაფინიასთვის მხოლოდ აქ, საფრანგეთში გახდა ცნობილი.

– დიახ, თანაც, სრულიად შემთხვევით. ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც იმპრესიონისტების გულმხურვალე თაყვანისმცემელია და მათ შემოქმედებაზე გიჟდება, დაიჟინა, ნახატი სპეციალისტისთვის გვეჩვენებინა. ისეთი არგუმენტები წარმოგვიდგინა, რომ დავმორჩილდით, – ჟანი ამ ყველაფერს სიცილით ყვებოდა, მაგრამ გამომძიებლის მკაცრ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა ის აშკარად არ იყო მხიარულების გუნებაზე.

– ამ საქმეში რამდენიმე ძალიან საეჭვო დეტალია. მე ძალიან ბევრი ვიფიქრე, ბევრი შესაძლო ვარიანტი განვიხილე, მაგრამ, თუ იმ კითხვებზე პასუხს ვერ მივიღებ, რომლებიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ საქმესთან დაკავშირებით, მაშინ, იძულებული ვიქნები, საერთოდ უარი ვთქვა და სხვას გადავაბარო.

– ო, არა, ჩვენ თქვენ მიმართ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს და არც გვექნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე საერთოდ არ გაიხსნება.

გამომძიებელმა ეჭვით გადააქნია თავი:

– გრაფ, მე ვიცი, რომ არისტოკრატები ცოტათი ახირებული ხალხი ხართ, მაგრამ, ლაპარაკია ძალიან დიდ ფულზე. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია, როგორ შეიძლება, არ იყოთ ამ საქმის გახსნით დაინტერესებული?

– თქვენ ვერ გამიგეთ. მე ვარ საქმის გახსნით დაინტერესებული, მინდოდა მეთქვა, ვართ დაინტერესებულები მეც და ჩემი მეუღლეც, მაგრამ, იმ ფაქტს, რომ ნახატი დაიკარგა, ტრაგედიად ვერ გადავაქცევთ.

გამომძიებელმა ნიკუშას გახედა:

– ეს ახალგაზრდა ფრანგულად ლაპარაკობს?

– მხოლოდ ესმის. შემიძლია, თარჯიმნის ფუნქცია შევასრულო. რა გაინტერესებთ?

– მე ვიცი, რომ ნახატი იმ დროს მოიპარეს, როცა თქვენ პარიზის ბინაში არ იმყოფებოდით.

– დიახ, არც პარიზის ბინაში და არც საფრანგეთში არ ვიმყოფებოდი. საქართველოში, ჩემს გერთან გახლდით სტუმრად და ერთად ჩამოვედით. ელენემ დამირეკა და შემატყობინა, რომ ნახატი გაქრა.

– გაქრა თუ მოიპარეს? – პასუხმა არ დააკმაყოფილა გამომძიებელი.

ჟანს გაეღიმა:

– გაქრა, მოიპარეს... რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ სურათი იყო, ახლა კი აღარ არის.

– გამოძიებისთვის აქვს მნიშვნელობა, გრაფ, თანაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა. თქვენ რომ უმნიშვნელო დეტალს ეძახით, შეიძლება სწორედ ის დეტალი გახდეს ძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამიტომ, ნუ გაბრაზდებით, თუკი მოგეჩვენებათ, რომ თქვენს პასუხებს ძალიან ვუკირკიტებ. გუშინ თქვენს მეუღლეს ვესაუბრე და მანაც დამიდასტურა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა ნახატის ღირებულებაზე და ის უბრალო ასლი ეგონა, სანამ თქვენი მეგობარი არ დაინტერესდა, მისი ორიგინალობით.

– დიახ. მეც ხომ იგივე გითხარით.

– ჰო, მაგრამ თქვენმა მეუღლემ არ დამისახელა იმ მეგობრის ვინაობა.

– და თქვენ ეს საეჭვოდ მოგეჩვენათ?

– ბუნებრივია.

– აჰ, თქვენ ხომ გამომძიებელი ხართ და დეტალები გაინტერესებთ. ჩემმა მეუღლემ იმიტომ არ გაგიმხილათ ჩემი მეგობრის ვინაობა, რომ საერთაშორისო სკანდალს მოერიდა. ის ჩემი მეგობარი, ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის ელჩია და, გარდა იმისა, რომ დიპლომატიური

ხელშეუხებლობა აქვს, საკმაოდ გავლენიანი ფიგურაც არის პოლიტიკურ წრეებში. ბუნებრივია, რომ ჩემი მეუღლე მოერიდა მისთვის დისკომფორტის შექმნას.

– გამომძიებასთან თანამშრომლობა ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია, – პირქუშად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, – მით უმეტეს, როცა საქმეში ასეთი საეჭვო გარემოებებია.. . ჟანს ღიმილი გაუქრა და ერთბაშად დასერიოზულდა:

– თქვენ უკვე მეორედ ახსენეთ „საეჭვო გარემოებები“. იქნებ გვითხრათ, რაშია საქმე? მე და ჩემს მეუღლეს ხომ არ გვადანაშაულებთ ქურდობაში?

გამომძიებელს მაგრად მოკუმულ ტუჩებზე უცნაური გრიმასა გამოესახა. ნიკუშა მოიღუშა და მამინაცვალს გადახედა, რომელიც უკვე მტრულად უყურებდა გამომძიებელს...

***

ელენეს უსიამოვნო განცდა დარჩა გამომძიებელთან საუბრის შემდეგ, არც მისი გამოხედვა მოეწონა. ძალიან უცნაურად უყურებდა – ეჭვით და, რაღაცნაირი, დაუფარავი შურით. ქალი ვერ მიხვდა, რა უნდა ეგულისხმა ამ მზერაში. ბოლოს დაასკვნა, ეტყობა, ბუნებით არის ასეთიო და სცადა, თავისი მომხიბვლელობა გამოეყენებინა, მაგრამ გამომძიებელი აშკარად შეუვალი ჩანდა. ყველაფერზე უარი თქვა – ჩაიზეც, ყავაზეც და, შუბლშეკრული, მკაცრი ტონით უსვამდა საკმაოდ დამაფიქრებელ შეკითხვებს. როცა წავიდა, ქალს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს სპეციალურად მის რაღაცაში გამოსატეხად იყო მოსული. ამის გაცნობიერებამ შეაშფოთა. ჯერ ქმართან უნდოდა დაერეკა, მერე გადაწყვიტა, ცოტა დაეცადა. „ხვალ, თუკი ჟანი დღის განმავლობაში არ დამირეკავს და არ გამოჩნდება, ჩავალ მათთან“. ამ გადაწყვეტილებამ ცოტათი დაამშვიდა. მოახლეს ჩაის მომზადება სთხოვა და აივანზე, თავის საყვარელ მოწნულ სავარძელში ჩაჯდა. მოახლემ ჩაისთან ერთად ტელეფონიც მიუტანა.

– ჟანი რეკავს?

– არა, მადამ, ვიღაც ქალია, მაგრამ, გაურკვეველ ენაზე ლაპარაკობს. ვერაფერი გამაგებინა.

ელენემ ჯერ ფინჯანი გამოართვა, ყურმილის გამორთმევას კი აყოვნებდა.

– მადამ, არ უპასუხებთ?

– დიახ, მომეცი, – ელენე უკვე მიხვდა, რომ საქართველოდან ურეკავდა ვიღაც, მაგრამ, ქალი ვინ უნდა ყოფილიყო, ამან დააეჭვა. ამიტომ ხმა საგანგებოდ გაიმკაცრა:

– გისმენთ! დიახ, მე ელენე ვარ. ნიკუშა? არა, ნიკუშა ამჟამად აქ არ იმყოფება. დიახ, ნამდვილად პარიზში დარეკეთ... გოგონა, თქვენ ვინ ხართ? არა, ვერ მივხვდი, უნდა გიცნობდეთ? აჰა, ნიკუშას საცოლე... არა, არაფერი უთქვამს. იცით, ეს თქვენი საქმეა. მე ვერ ჩავერევი. რა თქმა უნდა, ვერც ვერაფერს დაგპირდებით... რა?! – ელენეს ხელი აუკანკალდა და ლამის ჩაი დაეღვარა, – გოგონა, გთხოვთ, უნდა გამიგოთ, ჩემი შვილის საქმეში ვერ ჩავერევი. ბუნებრივია, ვეტყვი... მისი პირადი ტელეფონი? არა, იქ სადაც ის იმყოფება, ტელეფონი არ არის. პირობას გაძლევთ, რომ დაველაპარაკები... ბილეთის ფული და ვიზა?! მე უნდა გამოგიგზავნოთ? საინტერესოა... რა თქვით, ბებია გავხდები? მერე?! გოგონი, ნუ იტირებთ და ნურც ინერვიულებთ. თქვენს მდგომარეობაში ნერვიულობა ზიანის მომტანია... არა, ნიკუშასთვის მე არაფერი მითქვამს და არაფერზე გვილაპარაკია... ნატალია, ძვირფასო, მე ნებისმიერ შემთხვევაში მესმის თქვენი, მაგრამ ჩემი შვილის მაგივრად გადაწყვეტილება როგორ მივიღო?! არაფერი... რა უნდა მქონდეს თქვენი საწინააღმდეგო? მე ნიკუშას არჩევანს ნებისმიერ შემთხვევაში პატივს ვცემ და, თუკი მეტყვის, ფულსაც გამოგიგზავნით და ბილეთსაც. ხვალ, არა, არა... ხვალ შეიძლება, ვერ დაგვიკავშირდეთ. იცით, მომეცით თქვენი ტელეფონის ნომერი და ნიკუშა თვითონ დაგიკავშირდებათ....

ელენემ ყურმილი გათიშა და გაცივებული ჩაი მოსვა... „ნიკუშასა და ამ გოგოს შორის რაღაც კარგი არ უნდა ხდებოდეს. ცუდია, რომ გულახდილად ვერ ველაპარაკები. ვერც იმის უფლებას მივცემ საკუთარ თავს, იას დავურეკო და ვკითხო, რატომ დაშორდნენ ერთმანეთს ის და ნიკუშა. ბავშვი ბევრ რამეს შეცვლის... როგორ არ მინდა, ჩემმა შვილმაც ჩემი ბედი გაიზიაროს... მთელი ცხოვრება სიყვარულის უხილავ ფანტომს დავდევდი. მერე მივხვდი, რომ ის არ მიყვარდა, ვინც უნდა მყვარებოდა. თუმცა, ესეც არ არის იმხელა უბედურება იმასთან შედარებით, რაც საკუთარ თავს დავატეხე. მაგრამ, შეცდომებს ხომ ყველანი ვუშვებთ, უბრალოდ, ზოგიერთებს ერთ შეცდომაზე მთელი ცხოვრება აგებინებენ ხოლმე პასუხს. ამაშიც უნდა გაგიმართლოს. მე კი ბედმა ბოლომდე „გამწურა“. თუმცა, მისი უკმაყოფილო მაინც არ ვარ. ვერ ვიქნები, რადგან ნიკუშა მყავს და ახლა მის ბედნიერებაზე უნდა ვიფიქრო. არავის მოვატყუებინებ. საკმარისია, ამ გოგოს შევამჩნიო, რომ ჩემი შვილის გამოყენება უნდა, ყველაფერს გავაკეთებ, ნიკუშა რომ დავიცვა. ალბათ, ჰგონია, გულს ამიჩვილებს იმით, რომ ჩემს მომავალ ბებიობას ნათელ, გულის ამაჩუყებელ ფერებში დამიხატავს. არავითარ შემთხვევაში! ჯერ ჩემი შვილი მიყვარს და მხოლოდ ამის მერეა შვილიშვილი... თანაც, საკითხავია, საერთოდ არის თუ არა ფეხმძიმედ...

***

გრაფმა შეჭმუხნულ შუბლზე მოისვა ხელი. საუბარი უსიამოვნო მიმართულებას იღებდა. ნიკუშაც ნერვიულად სცემდა ბოლთას.

– როგორც მივხვდი, იმის სათქმელად ხართ აქ მოსული, რომ ნახატის გაქრობაში რაღაც წვლილი ჩემი ოჯახის წევრებს მიუძღვით.

გამომძიებელმა თავი გააქნია და სიგარეტის მოწევის ნებართვა ითხოვა. ჟანმა თანხმობის ნიშნად საფერფლე მიუჩოჩა.

– იცით, საქმე რაშია, გრაფ? თუ თქვენმა მეუღლემ არაფერი იცოდა ნახატის ჭეშმარიტ ღირებულებაზე და, დავუშვათ, ეს მართლაც ასეა, საეჭვოდ არ გეჩვენებათ, რომ თავისი ქვეყნიდან მხოლოდ ეს ნახატი წამოიღო და სხვა არაფერი?

ჟანს თვალები ჩაუმუქდა ბრაზით.

– მე არ მეჩვენება საეჭვოდ, რადგან ვიცი, რას ნიშნავს ეს ნახატი ჩემი მეუღლისთვის. ბატონო გამომძიებელო, თქვენ, შეიძლება არ იცით, მაგრამ ნივთებს, გარდა მათი ფასისა, სხვა ღირებულებაც აქვთ – არამატერიალური.

– ჰოო?! მაშინ, რატომ არის სულერთი, დაიბრუნებს თუ არა თავის საყვარელ რელიქვიას.

– ასეთი დასკვნა ელენესთან საუბრის შემდეგ გააკეთეთ? ბატონო გამომძიებელო, მე საკმაოდ მშვიდი ბუნების ადამიანი ვარ, მაგრამ, როცა საქმე ჩემი საყვარელი ადამიანების ღირსებას ეხება, საშინელება შემიძლია, ჩავიდინო.

– არა, არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ეს ჩემი სამუშაოა. სწორად გამიგეთ. ვალდებული ვარ, რაღაც-რაღაცეები ვივარაუდო. სხვანაირად, მართლა ვიქნები იძულებული, სხვას გადავაბარო ეს საქმე.

– ეს თქვენი გადასაწყვეტია. დიახ, მზად ვარ, ვითანამშრომლო თქვენთან, მაგრამ, უკვე გითხარით – მხოლოდ დასაშვებ ფარგლებში. ჩემი მეუღლე საკმარისზე მეტად განიცდის ამ ამბავს და თუ ეს თქვენ ვერ შენიშნეთ, თქვენი პრობლემაა.

– მომიტევეთ, გრაფ! მაშინ, სხვა საკითხით დავინტერესდები: ნახატი რატომ არ იყო დაზღვეული?

– ჯერ ერთი, ვერ მოვასწარით. მეორეც, ვერ ვიფიქრეთ, რომ შეიძლებოდა, ვინმეს მოეპარა. ჩვენ მის გაყიდვას არ ვაპირებდით. მართალია, როცა მისი ამბავი გახმაურდა, ბევრი გვირეკავდა და გამოთქვამდა ნახატის შეძენის სურვილს, მაგრამ ელენე ვერ ელეოდა.

– აუქციონიდანაც რამდენჯერმე მოგმართეს, ხომ მართალია?

– დიახ, სულ გვირეკავდნენ. ერთი კოლექციონერი ძალიან იყო დაინტერესებული.

– ვიცი. ჩვენ ის პიროვნება უკვე გადავამოწმეთ. მსგავს საქციელში შემჩნეული არ არის. ყველა ის კოლექციონერი, რომელიც მოპარულ ნახატებს ყიდულობს, მეტ-ნაკლებად ცნობილია ჩვენთვის. გრაფ, კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, ოღონდ, თუ შეიძლება, გულწრფელად: თქვენს მეუღლეს ბრმად ენდობით?

არაფერი ისე არ ღლის და თრგუნავს ადამიანს, როგორც გაურკვევლობა. ტყუილად კი არ უთქვამთ, გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო. „გაჟეჟილი“ – სწორედ რომ გაურკვევლობაა. „გატეხილი“ ცუდია, მაგრამ, მაინც გარკვეული მდგომარეობა. ვარიანტების ალბათობამ და რაოდენობამ, შეიძლება, ჭკუაზე შეგშალოს. ყველაზე ცუდი სიმართლეც კი უკეთესია ყველაზე ლამაზ ტყუილზე. მაგრამ, აქ უკვე არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს. ანუ, ამ შემთხვევაში, შეიძლება, დიდხანს და საფუძვლიანად ვიდავოთ, იმიტომ რომ, ზუსტად იმდენი ჭეშმარიტება არსებობს, რამდენი ადამიანიც დადის დედამიწაზე. ბევრი გეტყვით, რომ მისთვის ლამაზი ტყუილი უფრო მისაღებია, ვიდრე სიმართლე, რომელიც ზოგჯერ ყველაფერს აფუჭებს, მაგრამ, სიმართლეს ერთი ძალიან ცუდი თვისება აქვს – არ იმალება!.. ადრე თუ გვიან, ის მაინც წამოყოფს თავს და, ყველაფერი დავიწყებული რომ გგონია, სწორედ მაშინ ჩაგიკაკუნებს...

***

ჟანმა ხელსახოცი აიღო და მუხლებზე გადაიფარა. სახე ისევ მოღუშული და დაღვრემილი ჰქონდა, გამოხედვა – ფიქრიანი. ნიკუშამ თავი ვალდებულად ჩათვალა, რაღაც ეთქვა:

– ჩემი აზრით, ტყუილუბრალოდ ნერვიულობთ. მან ის თქვა, რაც უნდა ეთქვა, მეტი არაფერი.

– მე ასე არ ვფიქრობ, – ჟანმა ჩანგლის წვერით ცოტა სალათა აიღო, ცოტა ხანს უყურა და პირში ჩაიდო. ლუკმა გადაყლაპა და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო სათქმელი, – დიახ, მას ბოლომდე არ უთქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა. მე ნამდვილად დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება.

– ის გამომძიებელია, ჟან, თავის მოვალეობას ასრულებდა. პროფესია აქვს ისეთი, რომ ყველაფერს ეჭვის თვალით უნდა უყუროს. პირადად მე არ გავუღიზიანებივარ მის შეკითხვებს.

– არა, არა, აქ მთავარი შეკითხვების შინაარსი არ არის. მე მისმა ტონმა გამაღიზიანა და საგონებელში ჩამაგდო. შენ, შეიძლება, ყურადღება არ მიაქციე, მაგრამ მე ასეთი რაღაცეები არასდროს გამომპარვია.

– ის, უბრალოდ, ბოღმიანი ადამიანია და ამ ბოღმას ვერ ფარავს, მეტი არაფერი. მე ხშირად შემხვედრია ასეთები და ყოველთვის შემცოდებია ისინი, – გაეღიმა ნიკუშას.

– იცი, პრობლემა რაშია? ის, მხოლოდ დაბოღმილი ადამიანი არ არის, კანონის დამცველია და, თუკი ემოციას, ან, კიდევ უარესი – საკუთარ ბოღმას აჰყვება, მეც დამაზარალებს. პასუხისმგებლობის გრძნობა – აი, რა არის პროფესიონალისთვის უმთავრესი და მას ემოციასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. პირადად მე საკუთარი თავი ავტორიტეტად არ მიმაჩნია – ღმერთმა დამიფაროს! ჩემი საყვარელი საქმე რომ მქონდეს, იქ, ალბათ, ავტორიტეტიც ვიქნებოდი და ღმერთიც, მაგრამ ჯერ ღირებული არაფერი შემიქმნია. ცოტ-ცოტა ყველაფერი ვიცი, მაგრამ ამას ავტორიტეტთან არაფერი აქვს საერთო. თანაც პროფესიონალიზმი იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ვერაფერი ისწავლე. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იმ გამომძიებლისთვის არ შემიმჩნევია, – ჟანმა ყველი გადაიღო, – ელენეს უნდა დავურეკო, ჩამოვიდეს.

– ჰო, აჯობებს, აქ იყოს. ფიქრობ, რომ კიდევ გვესტუმრება?

– ვინ? ჩვენი „პროფესიონალი“? – დაუფარავი ზიზღით ჩაილაპარაკა ჟანმა, – აუცილებლად. დღევანდელი დღე „მოთელვა“ იყო. საჩვენებელი გამოსვლა წინ გველის.

– დედაჩემს ადანაშაულებს?

– ჯერ ასე დანამდვილებით ძნელია თქმა, მაგრამ, ვვარაუდობ, რომ არც ჩემ მიმართ უნდა იყოს ნდობით განმსჭვალული.

– ტყუილად ნერვიულობთ, მას არაფერი აქვს ამის დასადასტურებლად.

– ცრუ ბრალდებაც ძალიან ცუდია. მით უმეტეს, როცა საქმე ჩემნაირ ადამიანს ეხება. სნობი არ ვარ, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჩემი წარმოშობის წყალობით, სხვაზე ცოტათი მაინც მაღლა ვდგავარ.

– ეგ რას ნიშნავს?

– ტიტული რაღაც პრივილეგიებს მაინც მანიჭებს, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა.

– გენიალურია, – გაიცინა ნიკუშამ.

ჟანმა არ გაიზიარა მისი აღფრთოვანება.

– გენიალური კი არა, ბუნებრივია. ეს ტრადიციებისადმი პატივისცემაა. მან იცის, რომ შეიძლება, დამნაშავე ვიყო, მაგრამ, მასთან შედარებით უპირატესობა მაინც მექნება.

– არასოდეს მინახავხართ ასეთი აღელვებული და მკაცრი. არც მეგონა, საერთოდ თუ შეგეძლოთ გაბრაზება.

– ჰო, არ მიყვარს ჩემი ემოციების საჯაროდ გამომზეურება. მე ფრანგი ვარ და, ზოგჯერ, შეიძლება შევიგინო კიდეც. არც ის მაღელვებს, რას ფიქრობენ ან იტყვიან ჩემზე სხვა ადამიანები. მაგრამ, მაქვს პრინციპები, რომლებსაც არასოდეს ვუღალატებ. ვერ ვიტყვი, რომ

ამაყი არ ვარ, მაგრამ ვცხოვრობ დღევანდელი და ხვალინდელი დღით და... არავითარ შემთხვევაში – გუშინდელით. დრო ყველაზე დიდი ფუფუნებაა. უფლება არ გვაქვს, ეს ფუფუნება ქარს გავატანოთ.

– ესე იგი, დედაჩემი ჩამოვა – თითქოს თავის ფიქრებს უპასუხა ნიკუშამ. ჟანი მიხვდა, რომ ის, ფაქტობრივად, არ უსმენდა.

– ისევ არ ხარ მზად მასთან შესახვედრად?

– არ ვიცი. ვერაფრით მოვუძებნე მაგ კითხვას პასუხი. ძალიან მიჭირს. ამდენი წელი ტყუილში მაცხოვრა. ვერ შევძლებ, ვერასოდეს შევძლებ ამის დავიწყებას.

– ძალიან აზვიადებ. მოვლენებსა და ფაქტებს გამადიდებელი შუშით აკვირდები – ეს არის შენი მთავარი პრობლემა. დაუტოვე წარსული წარსულს. დღეს სხვა რეალობა გაქვს და ამ რეალობით იცხოვრე. მოინდომე და შეძლებ ამას. დრო ძალიან სწრაფად გადის. ის შენს სასარგებლოდ უნდა გამოიყენო.

ნიკუშამ ჩანგლით მაგიდაზე დააკაკუნა.

– მეც სულ ამას ვუმტკიცებ საკუთარ თავს. ვცდილობ, დავარწმუნო, რომ ახალი რეალობა მიიღოს, მაგრამ, არაფერი გამომდის. ლამის გავგიჟდე... რომ შემეძლოს, ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა.

– იცი, სხვა, უფრო სერიოზულ პრობლემაზე უნდა იფიქრო – ეს ძალიან შველის. მაგალითად, მე ახლა მარტო ნახატის ქურდობასა და ამ უზრდელი გამომძიებლის ვერსიებზე ვფიქრობ.

– სამწუხაროდ, ეს ამბავი ჩემთვის არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ გონება მთლიანად მაგაზე გადავრთო, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – ალბათ, ეგოისტი გგონივართ, მაგრამ, მერჩივნა, გარდა ნახატის დაკარგვისა, ჩემს ცხოვრებაში სხვა პრობლემა არ ყოფილიყო. იმავეს ვუსურვებდი დედაჩემს.

– ჰო, მაგრამ ნახატი ორ მილიონ დოლარზე მეტი ღირს. იმის თქმა, რომ ამ ფულის ბედი საერთოდ არ გაღელვებს, სიგიჟეა...

– შეიძლება, მაგრამ მეც მაქვს ცხოვრებაში ჩემი პრინციპები. ჩემი ძმაკაცის სიმამრის გამო დაიღუპა ადამიანი, რომელიც ყველაფერი იყო ჩემთვის და, ესეც არ არის ყველაფერი. ის და დედაჩემი... – ნიკუშას ხმა ჩაუწყდა.

ჟანი პირქუშად ჩააშტერდა დანის წვერს.

– ვიცი, არ უნდა ვამბობდე ამას. თქვენთვის განსაკუთრებით მძიმე მოსასმენია საკუთარი ცოლის წარსული, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– სულაც არა, – ჟანმა თავი ასწია. მისი ხმა მშვიდად და დამაჯერებლად ჟღერდა, – მართლა არ არის მძიმე მოსასმენი. ელენეს ცოლობა ისე ვთხოვე, მისი წარსულის შესახებ არაფერი მიკითხავს და არც არასდროს ვკითხავდი, თვითონ რომ არ მოეყოლა. არ შეიძლება, იმაზე იეჭვიანო, რაც შენ საერთოდ არ გეხება.

ნიკუშა გაწითლდა:

– მე არ ვეჭვიანობ, მე გამწარებული ვარ, გაცოფებული და თავმოყვარეობაშელახული. ჩემი ღირსება ფეხქვეშ გათელეს.

– აი, ისევ აზვიადებ, არ გინდა, დამიჯერე. იფიქრე შენს მომავალ შვილზე.

ნიკუშას სახეზე განცვიფრება გამოესახა. ჟანმა დაასწრო და სანამ რამეს ჰკითხავდა, თვითონვე განუმარტა:

– ელენემ მითხრა, რომ რაღაც ხდება.

– „რაღაც“, ოღონდ, ჯერ მეც არ ვიცი – რა. არაფერია გარკვეული.

– მერე, გაარკვიე, ამაზე კარგს ვერაფერს გააკეთებ. მეც მაქვს საქმე – ნახატთან დაკავშირებულ ამბავში უფრო აქტიურად უნდა ჩავერთო. ვერ მოვისვენებ, სანამ იმ ტუტუცს ბოდიშს არ მოვახდევინებ. ვერც კი ხვდება, რა მაკადრა.

– რაღაც მომენტში, მომეჩვენა, რომ მისი ზოგიერთი მოსაზრება ლოგიკასთან ახლოს იყო.

– საქმეც ეგაა. მეც დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება, მაგრამ, ასეთი ვარაუდები ყოველთვის შეიძლება არსებობდეს. მე კი ის კაცი არ ვარ, საკუთარი ცოლი ნახატის მოპარვაში დავადანაშაულო.

– მეც გეთანხმებით, რომ ეს აბსურდია, სასაცილომდე აბსურდი. დედაჩემი და – ქურდებთან შეკრული?! არა, ამის წარმოდგენაც კი მიჭირს. ყველაფერი შემიძლია, წარმოვიდგინო, დედაჩემმა გული ძალიან მატკინა, მომატყუა და, შეიძლება ითქვას, იმედიც გამიცრუა, მაგრამ ქურდობას ვერ დავაბრალებ, ეს უსამართლობა იქნება.

ჟანმა მუხლებზე გადაფარებული ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და წამოიძახა:

– როგორ გაბედა! მოვიდა აქ, ჩემს მამულში და შეურაცხყოფა მომაყენა! ამას ასე არ დავტოვებ!

– ჯერჯერობით, ვაცადოთ, ვნახოთ, რას გამოიძიებს.

– მე ელენეს დავურეკავ, – ჟანი ადგა, – შენ რას იზამ?

– პარკში გავისეირნებ. რომელიმე ცხენს მათხოვებთ?

– რა თქმა უნდა, რომელიც გინდა, წაიყვანე, ელენეს ცხენის გარდა. ჯერ ერთი, რომ ჩემი არ არის, მეორეც – ძალიან საშიშია.

– ვიღაც ხომ უნდა დაჯდეს?

– ვიღაც დაჯდება, მაგრამ ჯერ ამისთვის არ გვცალია... კარგი, მოგვიანებით შემოგიერთდები. პარკიდან შორს ხომ არ წახვალ?

– არა. მინდა დავათვალიერო. ძალიანაც არ გავაჭენებ. ტბამდე მივალ და იქ დაგელოდებით.

***

ლევანმა მანქანა ჭიშკართან გააჩერა.

– გადადი და მალე გამოდი, აქ დაგელოდები.

– შენც რომ გადმოხვიდე? – თიკამ უხალისოდ მოჰკიდა კარის სახელურს ხელი.

– არა, მამაშენთან შეხვედრის სურვილი არ მაქვს. დაელაპარაკე დედაშენს, ოღონდ, დიდხანს არ გააბა, კარგი?

– დედაჩემს შენთან უნდოდა ლაპარაკი.

– მაშინ, თუ იმდენად მნიშვნელოვანი რაღაც აქვს სათქმელი, რომ შენ ვერ მოიტან ჩემამდე, წამოიყვანე და სახლში ვილაპარაკოთ.

– და... მერე, ისევ უკან ამოვიყვანოთ?

– ჰო, რა მოხდა? შეუძლია, დარჩეს კიდეც ჩვენთან, რა პრობლემაა...

– ხომ იცი, რომ სხვაგან არასდროს რჩება.

– რა სხვაგან, თინი, რა – სხვაგან?! – გაღიზიანდა ლევანი, – შვილთან უნდა დარჩეს, მით უმეტეს, რომ საქმე აქვს.

– რომ არ გამომყვეს?

– აუ, უკვე თხუთმეტი წუთია, მეკამათები და დროს მაკარგვინებ. შედი, რა!

თინიკო უკმაყოფილო სახით გადავიდა მანქანიდან. ლევანმა ჩუმად შეიგინა. გინება ცოლს არ ეკუთვნოდა. ისე იყო გაცოფებული ყველაფერზე, საკუთარ უსუსურობას უფრო აგინებდა, ვიდრე ვინმე კონკრეტულს. არ აპირებდა ფიქრს იმაზე, რა საქმე ჰქონდა მის სიდედრს. თინიკო ოციოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

– აბა, რა ჰქენი?

– მოდის. მანქანაში გეტყვის თავის სათქმელს.

– რა არასერიოზული ხალხი ხართ! მანქანაში უნდა გაარჩიოთ საქმეები? წავიდეთ სახლში და იქ ვილაპარაკოთ. ვინმემ რომ დაგვინახოს, რას იფიქრებს?

– რა უნდა იფიქროს. ვისი რა საქმეა, ჩვენ მანქანაში რას გავაკეთებთ? – გაღიზიანდა თინიკო.

– შენ, იცი, რა არ გესმის? მე ჩვეულებრივი ადამიანი არ ვარ. ძალიანაც რომ მინდოდეს, შეუმჩნეველი ვერ დავრჩები. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ, როგორმე უნდა შეეგუო ამას. ორივე უნდა შევეგუოთ. ამიტომ, ახლა დედაშენი გამოვა, სამივე სახლში წავალთ და იქ მეტყვის, რა საქმე აქვს ჩემთან.

– კარგი. თუმცა, როცა დედაჩემი გეტყვის, რაც ხდება, ალბათ, თავადვე შეცვლი შენს გადაწყვეტილებას, – წყენით ჩაილაპარაკა თიკამ.

ლევანს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა ცოლისთვის, მაგრამ ჭიშკრიდან დიანა გამოვიდა, მანქანისკენ წამოვიდა და გადაიფიქრა.

დიანამ მანქანის კარი გამოაღო და დაჯდა. ლევანი ყოველთვის რაღაცნაირ მოწიწებას გრძნობდა ამ ჩუმი, მშვიდი ქალის მიმართ. დარწმუნებული იყო, რომ ქალი ოსტატურად მალავდა თავის ჭკუას. ყოველთვის, როგორც კი მის მზერას ხედავდა, უხერხულობა იპყრობდა. ახლაც უნებლიედ მოექცა ამ ქალის გავლენის ქვეშ და გაიღიმა კიდეც.

– ეტყობა, რაღაც ძალიან სერიოზული მოხდა, ქალბატონო დიანა.

– არ ვიცი, რამდენად სერიოზულია, მაგრამ, ვიფიქრე, რომ თქვენ ეს უნდა იცოდეთ.

– გისმენთ. მაგრამ, ხომ არ აჯობებდა, ჩვენთან წავსულიყავით, ასე, მანქანაში ძალიან უხერხული მეჩვენება საუბარი.

დიანამ შვილს შეხედა. მერე სიძეს ჩააშტერდა. ლევანი შეიშმუშნა:

– ქალბატონო დიანა, კარგად ხართ?

– დიახ. მაგრამ, ჯერ ხომ არ ამეხსნა სიტუაცია და მერე გადაწყვეტდით, რა აჯობებს – ჩემი სახლში დარჩენა თუ თქვენთან წამოსვლა.

ლევანს არ მოეწონა სიდედრის ტონი და უნებლიედ დაიძაბა.

***

გამომძიებელმა კიდევ ერთხელ გადაათვალიერა საქმის მასალები. საქაღალდე დახურა და კომისარს დაუდო მაგიდაზე.

– შეგიძლიათ, ჩამომაშოროთ ამ საქმეს, მაგრამ მაინც გეტყვით: მეეჭვება ნახატის დაკარგვის ამბავი, ძალიან მეეჭვება.

კომისარმა თითები გაატკაცუნა:

– მდა!.. მაინც, რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული? რა სიჯიუტეა, რომ სხვა ვერსიებზე მუშაობა არ გინდათ?

– სიჯიუტე არაფერ შუაშია. მე გუშინ არ დამიწყია საგამოძიებო უწყებაში მუშაობა. საკმაოდ ბევრი ისეთი გარემოებაა, რომ ვივარაუდო: ნახატი ოჯახის წევრებს შორის დაიკარგა.

გამომძიებელმა საფერფლიდან სიგარეტი აიღო და მოუკიდა. კომისარი მოუსვენრად აწრიალდა:

– მაგ ოჯახთან პრობლემები არ გვჭირდება. შეიძლება, არ იცი, რომ გრაფი ძალიან გავლენიანი ადამიანია. ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს ამ ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ვარაუდებით ვერაფერს დავაბრალებთ. სკანდალი თუ ატყდება, ჩვენ ნამდვილად არაფერში წაგვადგება.

– მე არ ვამბობ, რომ გრაფს ბრალი უნდა წავუყენოთ, მაგრამ, მინდა, გამოძიების შეკითხვებს უპასუხონ. სხვანაირად ეჭვი მათზე გადადის. ან მომეცით საშუალება, ის გავაკეთო, რასაც საჭიროდ მივიჩნევ, ან სხვას მიეცით ეს საქმე, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– არა, არა, ასე არ გამოვა! შენ დაიწყე საქმე და, მირჩევნია, შენვე დაასრულო. თანაც, ასეთ სპეციფიკურ საქმეზე მომუშავე გამომძიებლები ცოტა მყავს და ყველა დაკავებულია. წვრილფეხა ბაცაცებზე მომუშავეს ხომ არ ვანდობ ორ მილიონად შეფასებული ნახატის მოძებნას?!

– მესმის თქვენი, მაგრამ, ჩემიც გაიგეთ: ასე მუშაობა არ შემიძლია, არაფრით! ჩემთვის ყველა ადამიანი თანასწორია, მით უმეტეს კანონის წინაშე. ძალიან დიდ პატივს ვცემ გრაფის ტიტულებსა და წარმომავლობას, მაგრამ, მაგ ოჯახში ყველაფერი წესრიგში არ არის.

– აი, ეს უკვე ჩვენ არ გვეხება, – წარბი შეიკრა კომისარმა.

– გვეხება იმდენად, რამდენადაც ეხება თავად საქმეს, – გააპროტესტა გამომძიებელმა, – მაგრამ, თქვენც არ გინდათ, მომისმინოთ. ნახატის დაზღვევაზე არც უფიქრიათ. არ გეჩვენებათ ეს საეჭვოდ?

– შეიძლება, არ დააზღვიეს. ამ კოლექციონერებისას რას გაიგებ. ყველა ერთნაირი გიჟია.

– საქმეც ეგაა, – ნიშნისმოგებით გაიცინა გამომძიებელმა.

– რას გულისხმობ?

– იმას, რომ მაგ ოჯახში არავინ არის ძვირად ღირებული ნახატების შეგროვებით გატაცებული, არავინ! გესმით, რაშია პრობლემა?

კომისარმა მხრები აიჩეჩა:

– ვერანაირ პრობლემას მაგაში ვერ ვხედავ. მომისმინე, ჩვენ გაგვიმართლა, რომ ისინი არ არიან აგრესიულები და კატეგორიულად არ მოითხოვენ ჩვენგან ნახატის სასწრაფოდ პოვნას.

– მე ეგეც მაეჭვებს, – სიტყვა ჩაურთო გამომძიებელმა.

– დამაცადე. ეჭვების დონეზე ვერ ვიმუშავებთ. გრაფს ვერ გადავიკიდებთ. უფრო სერიოზული არგუმენტებია საჭირო, რომ გულგრილობაში დავდოთ ბრალი, რაც, შეიძლება, ნახატის დაკარგვის მიზეზი გახდა.

– ნახატი დაიკარგა და მისი პოვნით არავინაა დაინტერესებული.

– ეს ჩვენი პრობლემა არ არის, ჩვენი საქმეა დანაკარგის პოვნა.

– როგორ ვიპოვო, თუკი მოქმედების თავისუფლებას არ მანიჭებთ?

– იმოქმედე, მაგრამ – ზომიერად. გრაფთან მიხვალ და დაელაპარაკები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არგუმენტები გექნება.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა:

– პირდაპირ მითხარით, რომ არ გინდათ, ეს საქმე გამოვიძიო.

კომისარი ჭარხალივით გაწითლდა, წამოხტა და ხელების ქნევით კაბინეტში წინ და უკან სირბილს მოჰყვა:

– გადამრევ მე შენ, გადამრევ! ის გითხარი, არ გამოიძიო-მეთქი?! რატომ ცდილობ, პრობლემა შექმნა? პროფესიონალი ხარ და მშვენივრად გესმის, რას მოითხოვენ შენგან. პირდაპირ გეტყვი: გრაფი არ უნდა გავანაწყენოთ.

– მაშინაც კი, თუკი ის დამნაშავეა? – დამცინავად ჰკითხა გამომძიებელმა.

კომისარს ისევ შეეცვალა ფერი:

– ფაქტები, ფაქტები მჭირდება! ფაქტების გარეშე არაფრის მოსმენა არ მინდა. წადი და იმუშავე!

გამომძიებელი ადგა:

– მირჩევნია, სხვას გადავცე ეს საქმე. სიმართლე გითხრათ, სწორედ ამის სათქმელად მოვედი. ვგრძნობ, მართალი ვარ, მეტსაც გეტყვით – დარწმუნებული ვარ ჩემი ვარაუდების სისწორეში. ამიტომაც გამიჭირდება თქვენი მითითებების გათვალისწინება.

– ეს ულტიმატუმია?

– არა, თხოვნაა. სერიზულად გთხოვთ, სხვას მიეცით ეს საქმე.

კომისარმა კეფა მოიქექა:

– მე შემიძლია, სხვას მივცე ეს საქმე, გამოვძებნი ვიღაცას, მაგრამ, შენ პროფესიონალი ხარ, პროფესიონალები კი ასე არ იქცევიან.

– პროფესიონალმა იცის, ალღოთი გრძნობს, სად არის სუსტი რგოლი ყველაზე რთულ საქმეშიც კი. ინტუიცია ამ სფეროში ყველაზე უტყუარია, მაგრამ თქვენ არ გინდათ, ჩემს ინტუიციას ვენდო.

– მე მინდა, სერიოზულად მოჰკიდო ხელი ამ საქმეს და გააკეთო ის, რაც საჭიროა. – არავითარი გადაუმოწმებელი ინფორმაცია! შემითანხმე საქმის ყველა დეტალი. რა დროც უნდა იყოს, დამირეკე!

გამომძიებელმა სიგარეტი საფერფლეზე დასრისა:

– მინდა, საქართველოს სპეცსამსახურებს დავუკავშირდე. რაღაც დეტალების გარკვევა მსურს, მაგრამ, თქვენი დახმარების გარეშე ვერ შევძლებ.

– კარგი, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ თქვა კომისარმა, – მოგცემ მაგის საშუალებას, ოღონდ, ძალიან ფრთხილად იყავი. ყველა ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონე. ესე იგი, შენი ვერსია როგორია? – რომ ნახატი თავად გრაფმა ან მისმა ცოლმა მოიპარა?!

– არა, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ ნახატის გაუჩინარებაში ოჯახის რომელიმე წევრის ხელი ერიოს.

– მდა!.. ჯერ მაინც სხვასთან ნუ გამოთქვამ ამ ვარაუდს. ჯერ კიდევ არაფერია გარკვეული.

მე ბევრი ასეთი შედევრის მოპარვის საქმე გამომიძიებია და, ძირითადად, ერთნაირად ხდება ყველაფერი. შედევრების ქურდობები მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს – მას აუცილებლად ვიღაც ყიდულობს. როცა მძარცველი მას ვერ ყიდის, მაშინ ჩვენ ვპოულობთ. ხვდებით, რას ვგულისხმობ?

– ვხვდები. მაგრამ, ჩემი ნათქვამიც გაითვალისწინე...

***

ელენემ ჩვეულებას გადაუხვია და მამულში მანქანით არ ჩავიდა. როცა ნერვიულობდა, საჭესთან დაჯდომა უჭირდა. შიშიც ჰქონდა და, რადგან მძღოლის გამოძახების სურვილიც არ გასჩენია, სადგურში წავიდა, ჩქაროსნული საგარეუბნო მატარებლის ბილეთი აიღო, მამულამდე კი ტაქსით წავიდა. ჟანი ნიკუშას გოლფის თამაშს ასწავლიდა. ცოლის დანახვამ ძალიან გააკვირვა:

– საყვარელო, რატომ არ დამირეკე? დაგხვდებოდი. შენს მანქანას რა დაემართა? გაფუჭდა?

– არა, უბრალოდ, ძალიან მომინდა, ჩვეულებრივად, მატარებლით მემგზავრა.

ჟანი სახეში ჩააშტერდა ცოლს.

– ელენე, ყველაფერი კარგად არის? რატომ არ წამოხვედი მანქანით?

– რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად არის. საგანგაშო არაფერი მომხდარა. იმდენი ხანია, მატარებელში არ ვმჯდარვარ... ძალიან კარგად გავერთე.

ჟანმა ეჭვით გადააქნია თავი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ცოლს აცალა, სანამ თავის ოთახში ავიდოდა, ტანსაცმელს გამოიცვლიდა და დაისვენებდა. მერე მოსამსახურის პირით შეუთვალა, ბაღში, სპეციალურად მოწყობილ ფანჩატურში ჩამოსულიყო ჩაისთვის. დედას ნიკუშა მხოლოდ მიესალმა. არც ელენეს გამოუდვია თავი, მხოლოდ გაუღიმა პასუხად. ჩაიზე ჩასვლაც ნახევარი საათით დააგვიანა. ჟანი მოუთმენლად სცემდა ბოლთას და ხარბად ეწეოდა ყალიონს. ელენემ ნაზად აკოცა ქმარს და მოწნულ სავარძელში ჩაჯდა.

– ჩემი შვილი ჩვენთან ერთად არ ივახშმებს?

– ნიკუშა ბიბლიოთეკაშია, როცა დავუძახებთ, მოვა, მაგრამ, მინდა, ჯერ ჩვენ ვილაპარაკოთ.

– ნიკუშაზე?

– არა. ნიკუშა თვითონ დაგელაპარაკება და თქვენი ურთიერთობა მარტო თქვენი ურთიერთობაა. გადავწყვიტე, მე აღარ ჩავერიო.

ელენემ გაოცებით ასწია წარბები:

– ილაპარაკეთ?

ქმარმა თავი დაუქნია.

– მერე?

– რაღაც-რაღაცეებში ვეთანხმები. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ძალიან ემოციურად აღიქვამს მოვლენებს და მისი მთავარი პრობლემაც ეს არის, მაგრამ, ახლა სხვა საქმე მაქვს შენთან. ჩაი დალიე, გაგიცივდება...

– ჟან, რატომ გაქვს ასეთი ტონი, თითქოს... – ქალი გაჩუმდა.

– თითქოს რა, მითხარი, რაც გაიფიქრე, – ჩაეძია ჟანი.

– თითქოს რაღაცაში მადანაშაულებდე, – ელენეს ხმა აუთრთოლდა. ჟანი ცუდად ხდებოდა ცოლის ცრემლებზე. ყველაფერს აიტანდა და გაუძლებდა, ოღონდ ელენეს თვალებზე ცრემლი არ დაენახა.

– თუ იტირებ, ვერაფრის თქმას ვერ შევძლებ. საქმე კი, ჩემი აზრით, სერიოზულია.

– არ ვიტირებ. მგონი, ცრემლი საერთოდ აღარ მაქვს. მითხარი, რა ხდება.

– გამომძიებელი იყო ჩემთან.

– მივხვდი, რომ მოვიდოდა. მე ისე მელაპარაკა, რომ მისი მხრიდან ეს მოსალოდნელი იყო.

– შეიძლება, გავიგო, რა აინტერესებდა?

– ძირითადად, რატომ არ ვნერვიულობ იმაზე, რომ ნახატი დაიკარგა.

ჟანს გაეღიმა:

– ჰოო? პირდაპირ გკითხა, რატომ არ ნერვიულობო?

– შეიძლება, ასეც ითქვას. სიმართლეს გეტყვი: მომეჩვენა, რომ ვერ მიტანდა. ან კიდევ უარესი – მე მადანაშაულებს იმაში, რომ სურათი მოიპარეს.

– მეც ასეთი შეგრძნება გამიჩნდა.

– რომ შენ გდებს ბრალს?

– ჰო. ეჭვი აქვს, რომ დამნაშავე ჩვენი ოჯახის წევრია.

ელენე ოდნავ გაფითრდა. ჟანს მხედველობიდან არ გამოჰპარვია მასში მომხდარი ცვლილება.

– ინერვიულე? შეგაშფოთა გამომძიებლის ვარაუდმა?

– რა თქმა უნდა. ამას არც ვმალავ. ვინერვიულე და ძალიან გავბრაზდი კიდეც. საშინლად ვღიზიანდები ასეთ ტიპებზე.

– როგორ ტიპებზე?

– ყველგან რომ ყოფენ ცხვირს, იქაც კი, სადაც არაფერი ესაქმებათ. რადგან ჩვენ სკანდალი არ ავტეხეთ და კატეგორიულად არ მოვითხოვეთ, უფრო აქტიური ძებნა ეწარმოებინათ, იმიტომ გაუჩნდა ეჭვი, რომ შეიძლება, ჩვენი ოჯახის წევრები იყვნენ გარეული ამ საქმეში.

– ბუნებრივია, როცა ორ მილიონად შეფასებული ნივთი იკარგება და მისი მფლობელი ამას მშვიდად ხვდება, ეჭვი თავისთავად ჩნდება.

ელენეს სახე დაუსევდიანდა:

– ანუ, შენც იმას ფიქრობ, რასაც ის გამხმარი „სკილეტი“?

ჟანს თვალწინ გამომძიებლის ზომაზე მეტად გამხდარი ფიგურა დაუდგა და უნებლიედ გაეღიმა, მაგრამ, ელენეს სახეს რომ შეხედა, თვითონაც მაშინვე დასერიოზულდა:

– საყვარელო, მე მხოლოდ მინდოდა, გაგეგო, რა საფუძველი აქვს გამომძიებელს, რომ ასე ივარაუდოს.

– მაინც, როგორ უნდა ვიქცეოდე? მე არ ვარ ადამიანი, რომელიც თავის გრძნობებსა და ემოციებს საჯაროდ გამოჰფენს. რა ვქნა, ასეთი ვარ და როგორ გავაგებინო ეს იმ იდიოტს?

ჟანი შეიჭმუხნა.

– ელენ, მომისმინე! ლოგიკის მარცვლები ნამდვილად არის გამომძიებლის ვერსიებში და მე მინდა, დავრწმუნდე, რომ შენ არაფერს მიმალავ.

– ჟან, რა ხდება, აღარ მენდობი?

– არა, საქმე ამაში არ არის. რა თქმა უნდა, გენდობი და ისევ მინდა, რომ გენდობოდე. ამიტომაც გეკითხები: მიმალავ რამეს?

ელენემ პასუხი დააყოვნა. მისი დუმილი ჟანმა თანხმობად მიიჩნია და ნერვიულად მოსრისა სიგარეტი.

– ესე იგი, არ ვცდებოდი. ძალიან ცუდია, ელენ. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად ვერ გაგაცანი თავი. ვერ დაგანახვე, რომ ჩემი ნდობა ყველაფერში შეგიძლია. არაფერს გეკითხები. მართლა არ მაინტერესებს, რას მიმალავ – ის ნახატი ჩუმად გაყიდე და განაცხადე, რომ მოიპარეს, თუ, დამალე სადმე, ამას ჩემთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა.

– რას ამბობ, ჟან! – ელენეს სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა. ხელები კი მუდარით დაიწყო მკერდზე, – როგორ იფიქრე, რომ ნახატის ჩუმად გაყიდვას და მერე მისი მოპარვის ვერსიის შეთხზვას შევძლებდი? ან, რისთვის მჭირდებოდა ეს, ნახატი ხომ ისედაც ჩემია და შენ ვერ დამიშლიდი მის გაყიდვას.

– არ დაგიშლიდი, ელენე, არ დაგიშლიდი. მაგრამ, იქნებ შენ იფიქრე, რომ, რადგან ჩვენს ცხოვრებაში შენი შვილი გამოჩნდა, ეს ჩვენს ფინანსურ ურთიერთობაზეც აისახებოდა.

– არა, ჟან! ღმერთო ჩემო, ამას როგორ ამბობ? შენი დამსახურებაა, დღეს ნიკუშა ჩემ გვერდით, რომ არის. ამდენი წლის უნახავი შვილი შენი წყალობით ვნახე და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვიქნები ამისთვის...

– მე არ მჭირდება მადლიერება. შენი სიყვარული გაცილებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომელიც ნდობის გარეშე არ არსებობს. რატომ არ მენდობი, ელენე?

ქალმა სახე ხელისგულებში ჩამალა და ამოიოხრა. კაცმა შეკითხვა გაუმეორა, მაგრამ პასუხი ისევ ვერ მიიღო.

– გასაგებია... არა, შენ არაფერში გადანაშაულებ. სამწუხარო ის არის, რომ მთელი ეს წლები, ვატყუებდით ერთმანეთს.

– ვატყუებდით? ჟან, რას ამბობ? ჩემს სიყვარულში გეპარება ეჭვი? ამას ვეღარ გავუძლებ. ყველაფერი შეიძლება, დამაბრალო, მაგრამ ის, რომ მე გატყუებდი, მეტისმეტია. რომ არ მყვარებოდი, ცოლადაც არ გამოგყვებოდი.

– მეც ძალიან მინდა მაგისი მჯეროდეს, – სევდიანად ჩაილაპარაკა ჟანმა. ელენემ უცნაურად შეხედა. წამით მის მზერაში უცნაური სხივი გაკრთა და თითქმის მაშინვე ჩაქრა. ერთბაშად აფორიაქებული კაციც დამშვიდდა. სხვა სიტუაციაში მეტ ყურადღებას მიაქცევდა ცოლში მომხდარ ამ წამიერ ცვლილებას.

– კარგი, ნიკუშა გელოდება, – ჟანმა ფინჯანი მაგიდის სიღრმისკენ მიაჩოჩა, – ვახშამზე შევხვდებით.

– მე, ალბათ, არ ვივახშმებ, – ელენე სადღაც, კაცის მიღმა უყურებდა სივრცეს, – ჩემს ოთახში ავალ და წამოვწვები. თუ არ შეწუხდები, ნიკუშას უთხარი, რომ მოგვიანებით ვილაპარაკებთ და, კიდევ: აუცილებლად დაურეკოს თბილისში ნატას.

– შენ რატომ არ გინდა თავად უთხრა?

– ხომ გითხარი, დასვენება მჭირდება. ბევრ რამეზე უნდა ვიფიქრო, ძალიან ბევრ რამეზე.

ჟანს არ მოეწონა ცოლის სახეზე აღბეჭდილი უჩვეულო, თითქოს რაღაცის მანიშნებელი ღიმილი. გულიც უსიამოვნოდ მოეწურა. ინანა, რომ ყველაფერი უთხრა, რასაც ფიქრობდა. არ უნდა ავჩქარებულიყავიო, – ჩაილაპარაკა თავისთვის

– ელენე, მაპატიე. მგონი, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ, მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. შეიძლება ეს ჩემი ნაკლია, მაგრამ, ძალიან გვიანია, რომ შევიცვალო.

ელენემ ოდნავ დააქნია თავი. ძნელი მისახვედრი იყო, ეთანხმებოდა თუ უკმაყოფილებას გამოხატავდა... მის გამოხედვაში იყო რაღაც ისეთი, რამაც ჟანს ისევ ატკინა გული, მაგრამ, ისევ ყურადღების მიღმა დატოვა. ფანჩატურიდან ცოლზე ადრე გავიდა და ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

ნიკუშა დარწმუნებული იყო, რომ დედამისი იჩქარებდა მასთან შეხვედრას. ამიტომ, კარის ხმა მოესმა თუ არა, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ზღურბლზე სწორედ ელენეს დაინახავდა და ძალიან გაუკვირდა, ოთახში ჟანი რომ შემოვიდა.

– ხომ არ იჩხუბეთ? – ჰკითხა მაშინვე.

– არა, რა სისულელეა. უბრალოდ, ძალიან დაღლილია და, მთხოვა, გამეფრთხილებინე, რომ თქვენი საუბარი ცოტა მოგვიანებით შედგება, მაგალითად, ვახშმის შემდეგ.

– არც კი ვიცი, რა ვთქვა. – ხელები გაშალა ნიკუშამ.

– ის უნდა თქვა, რასაც ფიქრობ.

– პრობლემაც ეგაა, რომ ათას რამეზე ვფიქრობ. ჯერ ვერ გადავწყვიტე, რა უნდა გავაკეთო – აქ დავრჩე, თუ თბილისში დავბრუნდე.

– ჰო, მართლა! ელენემ მითხრა, რომ თბილისში ვინმე ნატას უნდა დაურეკო.

ნიკუშა შეიჭმუხნა:

– ნატუკა! მართალია, სულ დამავიწყდა ეგ გოგო. ეს კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც მალე უნდა მოგვარდეს.

– თუ არ ვცდები, ეგ ის გოგოა, რომელიც შენგან შვილს ელოდება.

– ჰო, ასე ამბობს თვითონ.

– შენ ფიქრობ, რომ ცრუობს?

– არ ვიცი. ასე ძალიან გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. უნდა ვნახო და ველაპარაკო. გამორიცხული არ არის, რომ მართლა ჩემგან იყოს ფეხმძიმედ. მაშინ ბევრი რამე შეიცვლება.

– თუ რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღო, ორი ვარიანტი რჩება, ან ის უნდა ჩამოვიყვანოთ აქ, ან შენ მოგიწევს წასვლა.

– ხედავ, როგორ რთულად არის ყველაფერი?

– არც ისე რთულად, – ჟანმა გამამხნევებლად დაჰკრა მხარზე ხელი გერს, – მით უმეტეს, თუ ბავშვი მართლა შენია. შვილი ყველაფერს ცვლის, ოღონდ – უკეთესობისკენ.

ნიკუშამ მამინაცვალს გამომცდელი მზერა მიაპყრო:

– რამე მოხდა? ძალიან სევდიანი სახე გაქვთ.

– მეც მაქვს პრობლემები, – სევდიანად გაიღიმა ჟანმა.

– რომლებიც თქვენი და დედაჩემის ურთიერთობას უკავშირდება. თუ, იმას ნანობთ, შვილი რომ არ იყოლიეთ?

– როგორ გითხრა, ცოტ-ცოტა ყველაფერი საბოლოოდ იმ რეალობას ქმნის, რომელშიც გიწევს ცხოვრება, მაგრამ მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, როგორც ყველა ჭეშმარიტი ფრანგი და ვიცი, რომ ხვალ ყველაფერი კარგად იქნება და... – ჟანმა სათქმელი ვეღარ დაასრულა. კაბინეტში აქოშინებული მსახური შემოვარდა ხელების ქნევით და აჭარხლებული სახით.

– მესიე ჟან! მადამი... იქ...

– რა მოხდა, ფილიპ, რა გაყვირებს, სად არის ელენი?

– საჯინიბოში! ვერაფრით ვარ გადავაფიქრებინეთ! თავისი ცხენი შეგვაკაზმვინა და მასზე აპირებს დაჯდომას. მესიე, ვშიშობ, რომ ვერ დაიმორჩილებს. აუცილებლად გადმოაგდებს, მესიე, აუცილებლად!

ჟანს სახე მოექცა და ცარცივით გათეთრდა:

– ჩქარა, უნდა მივუსწროთ, სანამ გვიან არ არის! რამე რომ დაემართოს, ამას ვერასდროს ვაპატიებ თავს... – ჟანი გარეთ გავარდა, ნიკუშამ დაგვიანებით გააცნობიერა და შეაფასა სიტუაციის სიმძიმე და მამინაცვალს უკან გამოეკიდა.

***

ლევანმა სიჩქარეს მოუმატა. მანქანა უკვე მთელი სისწრაფით მიჰქროდა.

– ცოტა ნელა, არ მინდა სიკვდილი. მით უმეტეს, ახლა! – შეშინებულმა თინიკომ ქმარს საჭეზე უტაცა ხელი.

– ხელი აიღე, თორემ, მართლა გადავცვივდებით! – მთელი ხმით უყვირა ქმარმა, – ვცოფდები, როცა ვფიქრობ, რომ შენ ეს ყველაფერი იცოდი.

– შენზე ერთი საათით ადრე გავიგე, ისიც, მხოლოდ ნაწილი. დედაჩემს ყველაფერი არ უთქვამს.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ მთელი გზა ხმა არ ამოგიღია. გასუსული იჯექი და გაოცებული სახეც კი გქონდა, როცა შეგეკითხე, რაზე უნდა დამელაპარაკოს დედაშენი-მეთქი.

– მე ვერ გეტყოდი, არ მქონდა ამის უფლება, ეს არ ყოფილა ჩემი საიდუმლო.

– ჰმ, გესმის მაინც, რას ლაპარაკობ? ხვდები, რა მოხდა?! ეს ამბავი ყველაფერს ცვლის, ყველაფერს ცვლის, თიკა...

– ვიცი და გულახდილად რომ გითხრა, ძალიან მიხარია, – თიკამ გაიღიმა.

– მგონი, გაგიჟდი! – ლევანმა ბრაზით გააღრჭიალა კბილები, – გაგიჟდი, თორემ, სრულ ჭკუაზე რომ იყო, მიხვდებოდი, რა უსიამოვნებაში გავყავით თავი, თუკი ამას უსიამოვნება შეიძლება ეწოდოს.

– მე ბედნიერი ვარ, მოგწონს ეს შენ თუ არა, – გაიმეორა თიკამ.

– არანორმალური ხარ! თუმცა, რა მიკვირს, ამისთანა მშობლების შვილი, სხვანაირი როგორ იქნებოდი! ერთი დედაშენი მეგონა ნორმალური და იმანაც ისეთი „პენალტი“ დაარტყა... არა, არა, არ შემძლებია ადამიანების ცნობა. დედაშენზე ამას როგორ ვიფიქრებდი, მაგრამ, ქალები ყველანი ერთნაირები ხართ, ერთ ნაბიჯზეც არ შეიძლება თქვენი ნდობა...

გადამწყვეტ ბრძოლაში მახ-ვილი არ დაგჭ-ირდება. არც ფარი და არც შუბი, არც აბჯ-არი და სხვა საომარი აღჭ-ურვილობა. თუ ბედისწერამ შენი გამარჯ-ვება ინება, შიშველი ხელებითაც გაუმკლავდები მოწინააღმდეგეს. მით უფრო, თუკი შენი მოწინააღმდეგე თავად ბედია... და, არასდროს თქვა, რომ, იმაში, რაც ხ-დება, ბრალი არ მიგიძღვის. დაფიქრდი და, იქნებ, გაგახ-სენდეს კიდეც, რის გამო შეგაქცია ფორტუნამ ზურგი გადამწყვეტ წამს... აა, გაგახ-სენდა?! მაშინ ნუღარ იწუწუნებ და მადლობა უთხ-არი ბედისწერას, თუკი ის მოწყალებას გაიღებს და მოგცემს კიდევ ერთ შანსს ისე, ყოველი შემთხ-ვევისთვის...

***

ლევანი სავარძელში ჩაეშვა და თავი ხელისგულებში ჩარგო. თინიკო მოშორებით დადგა და ქმარს გამომცდელი მზერა მიაპყრო. ლევანმა იგრძნო და იფეთქა:

– რას მომჩერებიხ-არ? გაინტერესებს, ვნერვიულობ თუ არა? ვნერვიულობ, ჰო, ძალიან ვნერვიულობ! ისედაც განვიცდი ამ ამბავს და, ლამის ჭკუიდან გადავიდე, როცა შენს მშვიდ, გასხ-ივოსნებულ სახ-ეს ვხედავ. არც მალავ, რომ ეს ახ-ალი ამბავი ოდნავაც არ გაღელვებს. პირიქით, გიხ-არია კიდეც.

– ჰო, – წყნარად თქვა ქალმა.

ლევანმა თავი ასწია და ხელი ხელს შემოჰ-კრა:

– ხომ გეუბნები, არ ხარ სრულ ჭკუაზე! მითხ-არი მაინც, რა გიხ-არია?

– შენ თვითონ ვერ ხვდები? აუცილებლად მე უნდა აგიხ-სნა და განგიმარტო?

– ჰო, უნდა ამიხ-სნა და განმიმარტო, თორემ, ამ ბოლო დროს, ჩემს გონებრივ შესაძლებლობებში ეჭ-ვი მეპარება, ინტუიციაც აშკარად მღალატობს.

– ლევან, როგორც იქნა, მე მარტო აღარ ვარ და, ეს არის ჩემთვის მთავარი, – თინიკომ ქმარს გაუღიმა და ლევანი საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან.

– რა?! რა თქვი? ესე იგი, აქამდე მარტო იყავი? თინიკო, დაფიქრდი, რას ამბობ!

– დავფიქრდი და იმიტომაც ვთქვი, რაც ვთქვი. მოულოდნელად, სრულიად მოულოდნელად ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა. შენ ეს არ გესმის და, ვიცი, ვერც ვერასოდეს გამიგებ. მე ამას არც გთხოვ, უბრალოდ, შეეცადე, ასეთი გაბრაზებული მაინც არ იყო.

– არ შემიძლია! შოკში ვარ და კიდევ კარგა ხანს ვერ გამოვალ ამ შოკიდან. დედაშენისგან მაინც საერთოდ არ ველოდი ამას. მაგრამ ქალები ყველანი ერთნაირები ხართ. თქვენი ნდობა როგორ შეიძლება?! თუმცა, ერთში კი გეთანხ-მებით: მამაშენმა ეს ნამდვილად დაიმსახ-ურა და რა სამწუხ-არაა, რომ მისთვის ამის თქმა არ შემიძლია!

თინიკომ წყენით შეხ-ედა ქმარს:

– დედაჩემისა და მამაჩემის ურთიერთობა შენ არ გეხ-ება!

ლევანმა ჩაიცინა:

– არ მეხ-ება? ნეტავი არ მეხ-ებოდეს. თინიკო, შენ მართლა ვერ ხვდები, ამით რამდენი რამე შეიცვლება? თუ, მე „მაბოლებ“?

– ვხვდები, მაგრამ, რეალობაც ხომ ერთია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ამას უკვე ნაკლებად აქვს მნიშვნელობა.

– მე რას განვიცდი, ამას შენთვის მნიშვნელობა არა აქვს? თინიკო, მე შენი ქმარი ვარ, ქმარი და, როცა ამბობ, რომ მთელი ცხოვრება მარტო ვიყავიო, შეურაცხ-ყოფას მაყენებ ამით.

– რატომ? ცოლქმრობა სხვა რამეა, მე ეგ არ მიგულისხ-მია. შეეცადე, სწორად გამიგო, ძალიან გთხოვ...

– როგორ უნდა გაგიგო, როცა საერთოდ არაფერზე ფიქრობ, საკუთარი შვილების მომავალზეც კი არ ფიქრობ! შენს შვილებს სჭირდებათ ასეთი დომხ-ალი?! ბავშვებს ნორმალური გარემო უნდა ჰქონდეთ. გაუძლებს მათი ფსიქიკა ამ გიჟების ექსპრომტებს? სად არის იმის გარანტია, რომ ხვალ კიდევ რაღაც სიურპრიზს არ მოგვიწყობენ?

– გიჟი – დედაჩემია? – თვალები გაუფართოვდა თიკას.

– დიახ, დედაშენი გიჟია და დღეს დავრწმუნდი ამაში. მამაშენიც რომ არ არის დაწყობილ-დალაგებული, ესეც ხომ ფაქტია.

– შენ ამას ვერ გაიგებ, იმიტომ, რომ არ იცი, რას განიცდის ქალი, რომელსაც უღალატეს, თანაც – არაერთხ-ელ.

– კარგი, რა! ნუ ცდილობ, დედაშენი გაამართლო. ჩემთვის ასეთ ქალებს გამართლება არ აქვთ!

– იმიტომ, რომ ქალების არაფერი გესმის, საერთოდ არაფერი. ისიც არ იცი, რას ნიშნავს ჩემთვის ამ სიმართლის გაგება.

– ჰმ! სიმართლე საკუთარ დედაზე, ანუ – ყველაფერი დედაჩემის შესახ-ებ, – ეს უფრო მაგარია. ამდენი წელი ჩუმად იყო და მაინცდამაინც ახ-ლა მოუნდა აღსარების თქმა.

– აბა, რა უნდა ექნა, სიცოცხ-ლის ბოლომდე, სამარემდე მიეტანა თავისი საიდუმლო? – ასლუკუნდა თინიკო.

– არ ვიცი, რა უნდა ექნა ამ თავისი საიდუმლოსთვის, მაგრამ, ფეხ-ებთან რომ აგვიფეთქა ნაღმივით – ფაქტია.

– შენ აგიფეთქა, შენ?!. ვერ ვხვდები, საერთოდ, რა კავშირში ხარ ამ ამბავთან?

– რას ნიშნავს, რა კავშირში ვარ?! – ხმას აუწია ლევანმა, – სრულ ჭკუაზე ხარ? შენ ჩემი ცოლი ხარ. ის კი, ის... აღარც კი ვიცი, იმას რა დავარქვა... ნუ სლუკუნებ, თუ ღმერთი გწამს!

თინიკო ერთბაშად გაჩუმდა. ხელისგულებით ამოიწმინდა ცრემლებით სველი თვალები და ამოისლუკუნა:

– მე ერთს მივხ-ვდი. შენ ყველა ფეხ-ებზე გკიდია, აბსოლუტურად ყველა, საკუთარი თავის გარდა. იმიტომ რომ, საკუთარი თავის გარდა არც არავინ გიყვარს. ვეჭ-ვობ, შვილსაც ვერ შეიყვარებ.

– რატომ ფიქრობ ასე? მე შენც მიყვარხ-არ, ოღონდ, ჩემებურად.

– ჰმ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გიყვარვარ.

– ეგ შენი ავადმყოფური ეჭ-ვიანობის შედეგია, მაგრამ, მეც დავიღალე იმაზე ლაპარაკით, რომ არავინ მყავს.

– ეგ რა შუაშია? ნამდვილად არ ვეჭ-ვიანობ და საერთოდ, მე ახ-ლა ჩემს ოთახ-ში შევალ, შენ კი, რამდენიმე საათის განმავლობაში არ დამელაპარაკო. მინდა, ეს ყველაფერი გადავხ-არშო. იქნებ, მართალი ხარ და მე ტყუილუბრალოდ გეკამათები.

ლევანმა ჩაიცინა და ხელები უკმაყოფილოდ აიქნია:

– შენ ყველაფერი გადახ-არშული გაქვს, უკვე შეგეტყო სახ-ეზე. გიხ-არია, ასე რომ მოხ-და და ცდილობ, მეც შემაგუო მაგ ამბავს, მაგრამ, დაიმახ-სოვრე, კარგად მომისმინე და მერე არ თქვა, რომ არ გამიფრთხ-ილებიხ-არ: ძალიან მალე დედაშენის სისულელე ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდება. აი, ნახ-ავ!

– ვითომ, რატომ? – გამომწვევად ჰკითხა თინიკომ.

– იმიტომ! – მაგიდის ზედაპირზე ხელი დაარტყა ლევანმა, – იმიტომ! შენ რომ ღრუბლებში დაფრინავ, ასეც არ არის საქმე. როცა შენი ნატვრა-ოცნება მატერიალიზმში განსხ-ეულდება, მაშინ დაიწყება, რაც დაიწყება! დამიჯ-ერე, სამხ-იარულოდ ნამდვილად აღარ გექნება საქმე!

– ვნახ-ოთ! – გამწარდა თიკა, – ეს ჩემი ცხოვრებაა. ჩემს სისხ-ლზე და ხორცზეა ლაპარაკი. თუმცა, მოვრჩეთ, ტყუილად გელაპარაკები – რისი გაგებაც არ გინდა, მაინც ვერ გაიგებ! – თიკა წამოხ-ტა და სავარძელზე ჩამომჯ-დარ ქმარს ხელით ძლიერად უბიძგა.

– გაგიჟდი? რა ხელს იკვრევინები?! მგონი, მართლა აჯ-ობებს, შენს ოთახ-ში წამოწვე და დაისვენო. რაც შეეხ-ება დედაშენის თხოვნას, ჩემი იმედი ნუ გექნებათ!

– პირადად მე არც მქონდა. ეგ დედაჩემს ჰგონიხ-არ ფრთაშესხ-მული ანგელოზი და საიმედო დასაყრდენი, თორემ, აქამდეც შესანიშნავად ვიცოდი, რაში შეიძლებოდა შენი იმედი გვქონოდა და რაში – არა.

– და, ამ ყველაფრის მერე, შენ ხარ დაჩაგრული მხარე, შენ გაქვს პრეტენზია, რომ ქმარს შენი არ ესმის?!

– არაფრის პრეტენზია არ მაქვს, გარდა ერთისა: თავი დამანებე! – თინიკო აღარ დალოდებია, რას ეტყოდა ქმარი, ოთახ-იდან უკანმოუხ-ედავად გავარდა და კარი მთელი ძალით გაიჯ-ახ-უნა. ლევანი ერთხ-ანს კიდევ სცემდა ოთახ-ში ბოლთას, მერე ბართან მივიდა და ვისკის ბოთლი გადმოიღო, ჭიქაში მუჭ-ით ჩაყარა ყინული, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა და სასმელი პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდა. „თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად გავლოთდები. ჰმ, ხედავ, სიდედრმა რა გამიჩალიჩა?! ბედი მაქვსო, მე უნდა ვთქვა. ჩემი ოჯ-ახ-ის წევრები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ცხოვრება გამიმწარონ. თინიკოს ვეჩხ-უბები და მეც არ ვიცი, უნდა გამიხ-არდეს თუ უნდა მეწყინოს ეს ამბავი. პრინციპში, გასახ-არიც არ მაქვს... ჩემს ცოლს რა ენაღვლება, ახ-ალი ნათესავი იპოვა და უხ-არია. სულელი... საინტერესოა, ის ვაჟბატონი რას იტყვის, როცა ამ ამბავს გაიგებს... რატომ არის ეს ცხოვრება ასე მოწყობილი? ვერ გაიგებ, სამართლიანია თუ უსამართლო. თავისი მაკრატლით ჭრის და ვერაფრით მიხ-ვდები, მოგიყოლებს ჭრაში თუ არა. რატომ არ მიმართლებს? სად ვუშვებ შეცდომებს, რომ ასეთი სერიოზული დარტყმა მიბრუნდება უკან? ეჭ-ვადაც არ მქონია, რომ ასეთი სერიოზული დარტყმა ისეთი უწყინარი ქალისგან წამოვიდოდა, ერთი შეხ-ედვით, ჭიასაც რომ ვერ გააღვიძებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრება გამოცდას გამოცდაზე მიწყობს.

ეგ დალოცვილი, ამდენი წელი თუ მალავდა თავის სირცხ-ვილს, ახ-ლა რაღას გამოფინა საჯ-აროდ, ვის სჭირდებოდა? – ლევანმა ბოთლს დახ-ედა თითქმის ბოლომდე იყო დაცლილი. „რამდენი დამილევია... რა გასაკვირია, ამ მდგომარეობაში რომ ვარ! მგონი, აჯ-ობებს, ყველაფერი დავიკიდო და ჩემს საქმეს მივხ-ედო. სამინისტროში იმდენი ხანია, თითი თითზე არ დამიკარებია... მაგრამ, ისეც ხომ ვერ ვიზამ, არაფერი შევიმჩნიო? ფაქტია, რომ სიმართლე ვიცი, თანაც, როგორი სიმართლე... იქნებ, ეს იმ ჩემი ტყუილის სანაცვლოდ ხდება, რომელსაც მე ვამბობ და შედეგებზე ნაკლებად ვფიქრობ? არადა, უნდა ვიფიქრო... უნდა ვიფიქრო... თუ სიმართლე მაინც ყოველთვის ამოტივტივდება ზედაპირზე, თუ ის მაინც არ იმალება და, ადრე თუ გვიან, თავს აუცილებლად წამოჰყოფს, თანაც, ყველაზე შეუფერებელ მომენტში... ჰმ, რაზე ვფიქრობ... მაგრამ, ესეც ბუნებრივია. სხვა რამეზე, უბრალოდ, ვერ ვიფიქრებ... რა ვქნა? რა ვქნა? რა ვქნა? თითქოს რა მარტივი შეკითხ-ვაა და რა ძნელად პასუხ-გასაცემი...“

***

... ერთი, ორი, სამი, ოთხი... თუ ასამდე ისე დავითვლი, რომ თვალს არ გავახ-ელ, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, ძალიან კარგად და არაფრის აღარ უნდა მეშინოდეს... ბავშვობაში ეს მეთოდი ამართლებდა. ახ-ლაც გაჭ-რის, აუცილებლად გაჭ-რის... რა სულელი ვყოფილვარ და, თანაც – ბრმა... რა საინტერესოა: თურმე, შესაძლებელი ყოფილა ბრმა სისულელე... ერთი, ორი, სამი, ოთხი... მერე რა მოდის? ხუთი, ჰო ხუთი... რა ჯანდაბა მემართება, რატომ ვერ ვითვლი? ფიქრები მებნევა ოროსანი პირველკლასელივით... უნდა დავითვალო, აუცილებლად უნდა დავითვალო... თუ ამას შევძლებ, ყველაფერი კარგად იქნება... მენატრები, დედა!..

... ოთახ-ში გამეფებული სამარისებური სიჩუმე კარის მსუბუქმა ჭრიალმა დაარღვია. ნიკუშამ თავი ასწია და ჟანს გახ-ედა. მამინაცვალი არც შერხ-ეულა, ისევ ისე იჯ-და, თავი მუხ-ლებზე ედო, ორივე ხელი კეფაზე ჰქონდა შემოწყობილი.

– ჩაი მოგიტანეთ, მესიე... – მოსამსახ-ურე ქალი უხ-ერხ-ულად გაჩერდა შუა ოთახ-ში ხელში შერჩენილი ლანგრით.

– დადეთ მაგიდაზე და გადით... ექიმი ხომ არ გამოსულა ოთახ-იდან? – თავაუწევლად ჰკითხა ჟანმა.

– არა, მესიე...

– მაშინვე დამიძახ-ეთ, გესმით? მაშინვე...

– დიახ, მესიე... რა თქმა უნდა, – ქალმა ლანგარი საწერი მაგიდის ხავერდგადაკრულ ზედაპირზე დადგა და სწრაფად გავიდა ოთახ-იდან.

ნიკუშამ თვალები დახ-უჭა და მაშინვე დედის ფერმკრთალი, თითქოს სისხ-ლისგან დაცლილი სახე დაუდგა თვალწინ...

– ჩემი ბრალია, – თქვა ჟანმა.

ნიკუშა შეკრთა. მამინაცვლის ხმაში ისეთი სასოწარკვეთა გაჟღერდა, რომ მისი სიბრალულით გული შეუქანდა.

– ჩემი ბრალია, – გაიმეორა ჟანმა, – მე ვაიძულე ამის გაკეთება. მე ვარ დამნაშავე იმაში, რაც მოხ-და. ელენეს აქამდე ერთხ-ელაც არ უცდია იმ ცხენზე შეჯ-დომა ზუსტად იცოდა, რომ გადმოაგდებდა და იმიტომ. ყველა ვაფრთხ-ილებდით.

ნიკუშა ადგა, მამინაცვალთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი:

– თავს ნუ იტანჯ-ავთ მე ვიცნობ დედაჩემს – ის გააკეთა, რაც უნდოდა. ახ-ლა მთავარია, გადარჩეს.

– არა, მე ვაიძულე ამის გაკეთება-მეთქი, – ჟანმა თავი ასწია. თვალები ჩაცვენილი, ჩამუქებული ჰქონდა, შუბლი – დანაოჭ-ებული და, ნიკუშას მოეჩვენა, რომ მამინაცვალი ამ ორიოდე საათში რამდენიმე წლით დაბერდა.

– რამე რომ დაემართოს, თავს არ ვიცოცხ-ლებ, იმ გამომძიებელს კი აუცილებლად მოვკლავ...

– ჟან, აბა, რას ამბობთ, ის რა შუაშია? თავისი ვერსიები ჰქონდა და ვერც გაამტყუნებ. ვერ ეტყვი, შენს საქმეს რატომ აკეთებო.

– ელენეს გარეშე ვერ ვიცოცხ-ლებ, – ჟანმა სახე ხელისგულებში ჩამალა, ნიკუშა მიხ-ვდა, რომ ამხ-ელა კაცი ტიროდა და თავისი ცრემლების დამალვას ცდილობდა.

– ყველაფერი კარგად იქნება, დედაჩემი გაუძლებს.

– მე, მე ვერ გავუძლებ, გავგიჟდები. ვიცი, ეს რატომაც გააკეთა – ამით მაჩვენა, როგორ ვატკინე გული, როცა უნდობლობა გამოვუცხ-ადე. რა უფლება მქონდა, ეჭ-ვი შემპარვოდა მის სიტყვებში? თუ გიყვარს და იცი, რომ მასაც უყვარხ-არ, ბოლომდე და ბრმად უნდა ენდო. მე ეს დამავიწყდა და მოვთხ-ოვე იმ კითხ-ვებზე გაეცა პასუხი, რაზეც საერთოდ არ უნდოდა ლაპარაკი. ამიტომაც დამსაჯა.

– ნუ ამბობთ ამას, ძალიან გთხოვთ. დარწმუნებული ვარ, უბრალოდ, უბედური შემთხ-ვევა მოხ-და. არ გამოვრიცხ-ავ, რომ თქვენთან საუბარმა ელენე ააღელვა და გადაწყვიტა, სტრესი ამ საშუალებით მოეხ-სნა. სწორედ ამიტომაც მოსინჯა ასე სახ-იფათოდ ძალები. ეტყობა, ადრენალინის დიდი დოზის მიღება უნდოდა.

– ეს ჩემს საქციელს არ ამართლებს და ტყუილად ცდილობ, დამამშვიდო. საჯ-ინიბოში ის ცხენიც იყო, რომელზეც ელენე ჯდება ხოლმე, მაგრამ მან სპეციალურად აირჩია რეალური ხიფათი. დამსაჯა და მე ეს სასჯ-ელი დავიმსახ-ურე.

– მგონი, ახ-ლა ელენეზე უნდა ვიფიქროთ, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ცუდი არაფერი მოხ-დება.

– ჰო, ცუდი არაფერი მოხ-დება. არა, ღმერთი ასე არ გამწირავს... ექიმი მაინც სად არის ამდენ ხანს?

– საავადმყოფოში უნდა გადაგვეყვანა, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– ამ მდგომარეობაში ასე ვერ გავრისკავდი. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ტრანსპორტირებას აიტანს.

– მოდი, ავალ. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, – ნიკუშა ადგა.

– მეც წამოვალ, – მხარი აუბა ჟანმაც. ნიკუშამ გამამხ-ნევებლად გაუღიმა მამინაცვალს და გუნებაში გაიფიქრა, რომ ასამდე მაინც ვერ დაითვალა. ამან გუნება მოუშხ-ამა, საკუთარ თავზე გაბრაზდა, ეს როგორ ვერ შევძელიო, მაგრამ, ხმამაღლა არაფერი უთქვამს. თავი ისე გააქნია, თითქოს უსიამოვნო ფიქრებისგან გათავისუფლებას ცდილობდა. ჰოლში გამოსულებმა კიბეზე ჩამომავალი ექიმი დაინახ-ეს და მისკენ გაქანდნენ.

– ექიმო... – ძლივს წარმოთქვა ჟანმა და ექიმის მოღუშულ, დასევდიანებულ სახ-ეს რომ მოჰ-კრა თვალი, თვითონაც გაფითრდა.

– ექიმო... რით დაგვამშვიდებთ? – გაღიმება სცადა ნიკუშამ.

– ვერ მოგატყუებთ და, სამწუხ-არად, ვერაფრით დაგამშვიდებთ, – ექიმი კიბის მოაჯ-ირს დაეყრდნო და ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, – დიახ, ვერ დაგამშვიდებთ. მაკვირვებს, გრაფ, თქვენი გაუფრთხ-ილებლობა!

ექიმმა ორივეს დაჟინებული მზერა შეავლო, პასუხ-ის გაცემას აყოვნებდა.

– ღვთის გულისთვის, ჟერარ! – მოთმინების ძაფი გაუწყდა ჟანს.

– ცოცხ-ალია, – თქვა ექიმმა, – ჟანმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ღიმილი სახ-ეზე უშნო გრიმასასავით შერჩა, როცა ექიმის უტყვი ჟესტი შენიშნა, – ჟერარ, რა ხდება?

– მძიმე მდგომარეობაა, მე ვიტყოდი – უმძიმესი. არ ვიცი, საერთოდ როგორ გადარჩა. ერთი ძვალიც კი არ დარჩა დაუზიანებელი. ამ ეტაპზე ტრანსპორტირებაზე ფიქრიც კი გაუფრთხ-ილებლობად მიმაჩნია. მე ახ-ლა წავალ და მალე დავბრუნდები. საავადმყოფოში ვერ გადავიყვანთ, მაგრამ, გამოკვლევა აუცილებელია. უნდა ვნახო, თავის ქალა ხომ არ არის დაზიანებული და რამდენად სერიოზულია ტრავმები. რაც შეეხ-ება ხერხ-ემალს...

ჟანმა და ნიკუშამ ერთმანეთს გადახ-ედეს, უბედურების მოლოდინმა ნიკუშას საფეთქლები აუწვა.

– ექიმო, ხერხ-ემალიო, რატომ თქვით? – ნიკუშა სიტყვებს წელავდა, – იმის ახ-სნა ხომ არ გინდათ, რომ...

– სამწუხ-არად, ჯერ ამასაც ვერ გეტყვით, ხომ გითხ-არით, აპარატურა მჭირდება... სამწუხ-არა, რომ კლინიკაში ვერ გადავიყვანთ, მაგრამ, იმას, ალბათ, შევძლებთ, ყველა საჭ-ირო პირობა აქ მაინც შევუქმნათ. გრაფ, მქონდეს თქვენი იმედი?

– რა თქმა უნდა, მაგრამ... ჟერარ, არ შეიძლება, ვნახო? – ჟანს ატირებას აღარაფერი უკლდა.

– არ გირჩევთ. ჯერ გონებაზე არ მოსულა. თანაც, ძლიერმოქმედი დამამშვიდებელი გავუკეთე, რომ დასძინებოდა და ტკივილებს არ შეეწუხ-ებინა.

– ასეთი ტკივილები აქვს? ღმერთო!..

ექიმმა გაოცებით შეხ-ედა გრაფს.

– თქვენი მეუღლე გადარეულმა ცხენმა გადმოაგდო და რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე გაისროლა. უბრალოდ, გაგიმართლათ, რომ არ გადათელა, ამის რეალური შანსიც იყო და შესაძლებლობაც. პაციენტის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მე ვიტყოდი, უმძიმესი, მაგრამ... – ექიმი გაჩუმდა და სათვალე მოიხ-სნა.

ნიკუშამ შეშფოთებით გადახ-ედა მამინაცვალს და ორივემ თითქმის ერთდროულად იკითხა:

– რა – „მაგრამ“?..

– მაგრამ ჯერ ცოცხ-ალია.

– „ჯერ“? რა საშინელი სიტყვა თქვით, ექიმო! – ნიკუშას შეაჟრჟოლა.

– ჰო, ჯერ ცოცხ-ალია, მიუხ-ედავად იმ უამრავი მოტეხ-ილობისა და დაჟეჟილობისა, რომელიც მან მიიღო.

– გადარჩება? – ნიკუშამ იგრძნო, როგორ გაუძნელდა სუნთქვა. ექიმის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი, შეიძლება, მისი სიცოცხ-ლეც კი...

– გადარჩება?! ჰო, ალბათ, თუმცა, დანამდვილებით ამას მაშინ გეტყვით, როცა თავის ქალის სურათის გადაღებას შევძლებ და დავრწმუნდები, რომ რამე გაუთვალისწინებელი გართულება არ გვემუქრება.

– მაინც, რა გართულების უნდა გვეშინოდეს?

– ტვინის შეშუპების, გრაფო, ტვინის შეშუპების. ეს ის არის, რასაც ვერაფერს ვუშველით. მაშინ თქვენი მეუღლე ან მოკვდება, ან სამუდამოდ ინვალიდი დარჩება.

ამ საშინელი განაჩენის მოსმენის შემდეგ ჟანს თვალებზე თითქოს ბინდი ჩამოეფარა, დაბარბაცდა და აუცილებლად წაიქცეოდა, ნიკუშას დროზე რომ არ შეეშველებინა ხელი.

– ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახ-ავთ, – წასჩურჩულა მამინაცვალს და გამამხ-ნევებლად გაუღიმა, მაგრამ, მარტო თვითონ იცოდა, რად უღირდა ეს ღიმილი, რომელიც მის სახ-ეზე უნიჭ-ოდ მიხ-ატულ გრიმასას უფრო ჰგავდა.

– უნდა ვნახო, – დაიკვნესა ჟანმა.

ექიმი შეიჭ-მუხ-ნა:

– არ გინდათ, ეს უაზრო სიჯ-იუტე, გრაფ, თქვენ მე ძვირფას დროს მაკარგვინებთ, უნდა ვიჩქარო. პაციენტთან ჩემი თანაშემწე დავტოვე და ის მიხ-ედავს. თუმცა, ვეჭ-ვობ, ჩემს დაბრუნებამდე გაიღვიძოს.

ექიმი წავიდა. ჟანი და ნიკუშა იქვე, კიბეზე ჩამოსხ-დნენ.

– რა მოხ-დება, თუ მხოლოდ დავხ-ედავ? ერთს დავხ-ედავ და მაშინვე უკან გამოვბრუნდები.

ნიკუშამ სიბრალულით შეხ-ედა საცოდავად მობუზულ კაცს.

– მგონი, აჯ-ობებს, ექიმს დავუჯ-ეროთ. მით უმეტეს, თუ სძინავს.

– გაიგონე, რა თქვა ექიმმა? – ინვალიდი დარჩებაო.

– არა, ასე არ უთქვამს, მხოლოდ ალბათობა დაუშვა, – ნიკუშამ ოფლით დასველებული შუბლი ხელისგულით მოიწმინდა. შეზარა იმის წარმოდგენამ, რომ, შეიძლებოდა, ექიმის ვარაუდი სინამდვილედ ქცეულიყო.

– მეორე ალბათობაც არსებობს... სიკვდილი, რომელიც ჩემი განაჩენიც იქნება.

– არა, არა, მე ასე არ ვფიქრობ, არ მინდა, ასე ვიფიქრო! ამდენი წლის შემდეგ, როგორც იქნა ვიპოვე და ღმერთი არ დაუშვებს, რომ ახ-ლა ასე სულელურად დავკარგო – ნიკუშამ მუშტი გამეტებით დაჰ-კრა მოაჯ-ირს და შეიგინა...

***

გამომძიებელმა სქელი საქაღალდე თაროზე შემოდო და უკვე კაბინეტიდან აპირებდა გასვლას, რომ კარი გაიღო და ზღურბლზე კომისარი გამოჩნდა.

– უკვე მიდიხ-არ? თუმცა, ჰო, შენი სამუშაო დღე დამთავრდა.

– დიახ, გრაფის მამულში ვაპირებ გამგზავრებას – ერთი საინტერესო დეტალი გავარკვიე და იმის გადამოწმება მინდა გრაფინიასთან.

კომისარმა მაგიდის ზედაპირზე აათამაშა თითები:

– გრაფინიას ვერ დაელაპარაკები. ყოველ შემთხ-ვევაში, უახ-ლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში, თუკი საერთოდ მოხ-ერხ-და ეს.

გამომძიებელმა კითხ-ვით სავსე მზერა მიაპყრო.

– გრაფის მამულის მეზობლად მდებარე მამული ჩემი მეგობრის საკუთრებაა. ერთი საათის წინ დამირეკა და მითხ-რა, რომ იქ რაღაც მოხ-და.

– თქვენი მეგობრის მამულში?

კომისარი გამომძიებლის მიუხ-ვედრელობამ გააღიზიანა:

– არა, რა თქმა უნდა, გრაფის მამულს ვგულისხ-მობდი. როგორც გავიგე, გრაფინია ცხენმა გადმოაგდო. ყოველ შემთხ-ვევაში, ჯერჯერობით სხვა ინფორმაცია არ მაქვს.

– ცოცხ-ალია?

კომისარმა თავი გადააქნია:

– არ ვიცი. შენ მოგიწევს ამის გარკვევა. უნდა შეამოწმო, მართლა უბედური შემთხ-ვევა მოხ-და თუ... – კომისარმა წინადადება აღარ დაასრულა, ხანმოკლე პაუზის შემდეგ კი დაამატა, – ძალიან უსიამოვნო ფაქტია, რომ ჩვენი საუბრიდან გრაფინიას დამტვრევამდე არც ისე დიდი დრო გავიდა.

– რამე კავშირს ხედავთ ამ ორ მოვლენას შორის?

– არა, არა... ისე ვთქვი, უბრალოდ. ეს მართლაც დამთხ-ვევაა და ამას ვერც ერთი ვერ უარვყოფთ.

– მამულში უნდა გავემგზავროთ?

– მე არა, შენ უნდა გაემგზავრო. მერე კი, დაგირეკავ, რომელი საათიც არ უნდა იყოს.

– გრაფთან ლაპარაკი მძიმე იქნება. წარმომიდგენია, როგორ განიცდის ამ ამბავს. ცოლი ძალიან უყვარს, – ამოიოხრა გამომძიებელმა. ამიტომაც, სიფრთხ-ილე გმართებს. იმ ნახ-ატზე საერთოდ ნურაფერს შეეკითხ-ები.

– და თუ ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან კავშირშია?

– იმის თქმა გინდა, რომ, ის, ვინც ნახ-ატი მოიპარა, ახ-ლა მისი კანონიერი მფლობელის თავიდან მოშორებას ცდილობს?

– არაფრის თქმა არ მინდა, უბრალოდ, ფაქტების შეჯ-ერებას ვცდილობ. თუმცა, თქვენც ხვდებით, რომ ეს არც ისე არარეალურია, როგორც, შეიძლება, ერთი შეხ-ედვით ჩანდეს.

– ჰო, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება. უკვე გაქვთ ინფორმაცია კოლეგებისგან?

– ჯერ არა, მაგრამ ყველაფერი ძალიან საეჭ-ვოდ ემთხ-ვევა გრაფინიას ვაჟიშვილის დედასთან და მის მეუღლესთან სტუმრობას.

– რა იცით მის შესახ-ებ?

– პრაქტიკულად არაფერი და ჩვენი კოლეგებისგან სწორედ ამ ინფორმაციის მიღებას ვცდილობ.

– თუ გრაფინია მოკვდება, მისი ერთადერთი მემკვიდრე ეს ახ-ალგაზრდა იქნება.

– მარტო გრაფინიას მემკვიდრე კი არა, გრაფის მემკვიდრეც ის იქნება, იმიტომ რომ, გრაფი და გრაფინია დიდი ხანია, კანონიერ ქორწინებაში იმყოფებიან. მართალია, გრაფს მეუღლის ვაჟიშვილი ოფიციალურად ჯერ არ უშვილებია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. რადგან გრაფს

სხვა შვილი არ ჰყავს, ეს ბიჭი, უკანონოც კი, მისი მემკვიდრე გახ-დება. როგორ უმართლებს ზოგიერთს...

– უმართლებს? – კომისარმა კეფა მოიქექა, – მდა... თუ ეს მხოლოდ გამართლებაა, მაშინ, არა უშავს, მაგრამ... თუმცა, მოდი, ვარაუდებისგან თავს შევიკავებ. გაემგზავრე მამულში და, როგორც კი რამეს გაიგებ, მაშინვე დამირეკე...

***

მოვლენათა ჯაჭ-ვი რგოლებად ებმება ერთმანეთს, ნელ-ნელა, თანდათან იღებს დასრულებულ ფორმას და წინასწარ ვერავინ იტყვის, ვისი მოქმედების თავისუფლებას შეზღუდავს. არც ისე ადვილია რგოლებს შორის ყველაზე სუსტის მოძებნა და ჯაჭ-ვის გაწყვეტა. ეს რომ გააკეთო, ან ძალიან ჭკვიანი და დაკვირვებული უნდა იყო, ან, უბრალოდ, უნდა გაგიმართლოს. მეორე ვარიანტი უფრო სავარაუდოა, მაგრამ ამას უკვე იღბალი სჭირდება...

იამ ცუდი სიზმარი ნახა, უფრო – უცნაური, თანაც, ცალკეულ ფრაგმენტებად და, ვერაფრით დაუკავშირა ერთმანეთს. საწოლიდან თავატკივებული ადგა. სამსახ-ურში წასვლის არც სურვილი ჰქონდა, არც განწყობა. სამზარეულოში თმადაუვარცხ-ნელი გაფრატუნდა და მაშინვე ყავადანი შემოდგა გაზქურაზე. სანამ კარზე ზარი რამდენჯ-ერმე არ დარეკეს, ვერ გაიგონა, ისე იყო ფიქრებში ჩაფლული. ცდილობდა, როგორმე სიზმრის დეტალები აღედგინა.

ვახო ქარიშხ-ალივით შემოიჭ-რა და მაგიდაზე პასპორტები და ბილეთები დაყარა:

– მორჩა, ყველაფერი მოვაგვარე, მივდივართ!

იამ არაფრისმთქმელი მზერა მიაპყრო, სახ-ეზე ხელი მოისვა და მხრები აიჩეჩა:

– მივდივართ? სად? რა მოაგვარე?

– მაგიჟებ! ხომ შევთანხ-მდით?! პარიზში მივფრინავთ, ხვალ, გამთენიისას; თუ გინდა – დღეს. მომზადებას მოასწრებ? ბევრი არაფერი დაგჭ-ირდება. თუმცა, ქალების ამბავი რომ ვიცი,

შეიძლება, კარადაც წამოიკიდო მხრებზე, – ვახ-ომ გაიცინა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა, – ყავა გადმოგივიდა? დამწვრის სუნია!

– სულ დამავიწყდა! – ია სამზარეულოსკენ გაიქცა და ვახ-ოც უკან მიჰ-ყვა. ყავადანი ცარიელი იყო, სამაგიეროდ, გაზქურაზე ლაპლაპებდა მუქი გუბე.

– ჯანდაბა! ახ-ლა თავიდან უნდა მოვადუღო, მაგრამ, ჯერ ეს თუ არ გავწმინდე, კიდევ უფრო საშინელი სუნი დადგება, – ნერვები აეშალა იას.

– ცოტაც და, პარიზში ისეთ ყავას დაგალევინებ, გადაირევი. ყოფილხ-არ პარიზში?

– ვახო, დამშვიდდი და ნორმალურად გამაგებინე, რა ხდება?

ვახ-ომ ხელი ხელს შემოკრა და გაიცინა:

– ვა! ეს ქალები ყველანი გიჟები ხართ, ან, მე მხვდებიან გიჟები. ქალო, რაზე გელაპარაკე ორი დღის წინ? არ მითხ-რა, რომ დაგავიწყდა, თორემ, გადავირევი!

– ჰო, ვილაპარაკეთ... მერე? – იამ ყავადანში ყავა ჩაყარა და გაზქურა აანთო.

– წყლის ჩასხ-მა დაგავიწყდა, – შეახ-სენა ვახ-ომ და ქალი დაკვირვებით შეათვალიერა, – ია, კარგად ხარ?

– მგონი, კი. რა იყო?

– რა ვიცი, უცნაურად იქცევი, სიტყვებს ჰაერზე ფანტავ... აშკარად სხვაგან ხარ ფიქრებით. ნიკუშაზე ფიქრობ? არა უშავს, მალე ნახ-ავ.

– დარწმუნებული ხარ, რომ უნდა წავიდეთ?

– ია, ჩემს ნერვებზე ნუ თამაშობ, რა, გეყოფა. ვიზები გვაქვს, ბილეთები აღებულია. მოემზადე.

– ვახო, მოიცადე... ელაპარაკე ნიკუშას?

– სალაპარაკო რა გვაქვს? არ ჯობია, პირდაპირ სიურპრიზი მოვუმზადოთ და გაუფრთხ-ილებლად მივადგეთ?

– გვაქვს კი ამის უფლება? მას თავისი ცხოვრება აქვს და, მეეჭ-ვება, ამ ცხოვრებაში ჩვენი ადგილი იყოს.

– აბა, რას ამბობ? ჩვენ მისი ცხოვრების ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი ვართ. ამიტომ, მორჩი ამ სისულელეებს. მე ახ-ლა წავალ და საღამოს შემოგივლი. თუ რამე დაგჭ-ირდება, დამირეკე. თვითმფრინავი დილის ოთხ-ის თხუთმეტ წუთზე მიფრინავს, არ უნდა დაგვაგვიანდეს.

– იქნებ, ლევანისთვის ან დათოსთვის მაინც გვეთქვა? მათაც რომ უნდოდეთ წამოსვლა?!

ვახო დაიღრიჯა:

– აუ, თუ წასვლა უნდათ, წავიდნენ. რომელი მყავს პატარა, გამყოლი რომ სჭირდებოდეს? შენ იმაზე იფიქრე, რომ ნიკუშასთან საბოლოოდ გაქვს ურთიერთობა გასარკვევი და ზედმეტი მოწმეები არაფერში გვჭირდება.

იამ შუბლი შეიკრა, ვახ-ოს უცნაურად შეხ-ედა და წამოიძახა:

– გამახ-სენდა... გამახ-სენდა...

– უკვე გვიანია, გადმოვიდა შენი ყავა, – გაიცინა ვახ-ომ, – ეტყობა, ყავას დღეს ვერ დავლევ.

იას არც გაუხ-ედავს გაზქურისკენ:

– ყავა კი არა, სიზმარი ვნახე და იმას ვგულისხ-მობდი.

ვახ-ომ წაუსტვინა.

ია მიხ-ვდა, რომ კაცი დასცინოდა.

– რა იყო, სიზმარი არ გინახ-ავს? რას უსტვენ?

– ჩემი სიზმრები, ძირითადად, ეროტიკული ხასიათის არის ხოლმე, ამიტომაც დავუსტვინე. წარმოვიდგინე, შენც თუ ასეთ სიზმრებს ხედავ... ვახ-ომ გაიცინა, მაგრამ ქალის სახ-ეზე აღბეჭ-დილმა გამომეტყველებამ უკან დაახ-ევინა.

– კარგი, რა... ხომ იცი, რომ ვხუმრობ. კარგი, რა ნახე იმ სიზმარში?

– ზუსტად არ მახ-სოვს, მაგრამ, მგონი, კარგი არაფერი. თითქოს, რაღაც გაფრთხ-ილებასავით იყო.

– ახ-ლა, არ მითხ-რა, რომ თვითმფრინავი ჩამოვარდება, – ვახ-ომ მკერდზე დაიდო ხელი, – ისედაც ცუდად ვიტან ფრენას.

– რაც გათენდა, იმის მერე ვცდილობ, აღვიდგინო ნანახი, მაგრამ არაფერი გამომდის. წეღან მოწმეები რომ ახ-სენე, მომაგონდა, რომ ძალიან ბევრი ხალხი ვნახე. შეშფოთებული ხალხი.

– ჰო? მაშინ, შეგიძლია, მშვიდად ვიყოთ, – ხელი უდარდელად აიქნია ვახ-ომ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ ევროპაში მივდივართ, სადაც შეშფოთების მეტი არაფერი იციან, – იხ-უმრა ვახ-ომ, – შეშფოთდებიან ხოლმე და – მორჩა. ზოგჯ-ერ, ცოტათი აღშფოთდებიან

კიდეც, მაგრამ მაშინვე გადაუვლით. გთხოვ, ამაზე აღარ იფიქრო. ძალიან კარგი და სასიამოვნო მგზავრობა გველის. შეგიძლია, სიზმარზე მეტად მე მენდო.

ია ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ კაცმა არაფრის თქმა აღარ აცალა:

– წავედი მე. გამგზავრებამდე იმდენი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, საიდან დავიწყო, არც კი ვიცი. არა მგონია, ლევანმა, ან დათომ დარეკონ მაგრამ, მაინც გაფრთხ-ილებ – არც ერთი სიტყვა. ჩვენი გამგზავრება საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

– ასეთი კონსპირაცია რა საჭ-იროა? გაიგონ, მერე რა!..

– რადგან ვამბობ, ესე იგი ასეა საჭ-ირო, ამას მერე აგიხ-სნი, ახ-ლა კი ის გააკეთე, რაც გითხ-არი.

***

დიდი ფიქრის შემდეგ ლევანმა, მობილური აიღო, აივანზე გავიდა და ნატუკას დაურეკა.

– საყვარელო... – ხმა გაინაზა გოგომ.

– რამდენჯ-ერ გითხ-არი, ასე არ მომმართო-მეთქი! – გაბრაზდა ლევანი.

– რა მოხ-და, ხომ არავინ გვისმენს? თუ, სახ-ლში ხარ, საყვარელ ცოლთან?

– გეყოფა, საქმეზე ვრეკავ!

– რა თქმა უნდა, შენ ხომ ასეთი საქმიანი ხარ! მითხ-არი, ამჯ-ერად ვინ უნდა შევაბა? ხომ არ გადაიფიქრე და ჩემი ორსულობის სხვა, უფრო სარფიან საქმეში გამოყენებას ხომ არ აპირებ?

– ენა დაიმოკლე და მითხ-არი, ელაპარაკე ნიკუშას?

– ჰმ, ეგ შენი ნიკუშა დედიკოს ბიჭ-ია, მისი მზრუნველი კალთის ქვეშ შემძვრალი და, ეჭ-ვი მეპარება, იქიდან ოდესმე გამოვიდეს. ვერ ველაპარაკე, სახ-ლში არ იყო, მამულში გაემგზავრა მამინაცვალთან ერთადო.

– ეგ ელენემ გითხ-რა?

– დედამისს თუ ელენე ჰქვია, მაშინ, ჰო. საშინელი ქალი იქნება. გატყლარჭ-ული მელაპარაკებოდა, ეტყობა, თავი დიდი ვინმე ჰგონია.

– არის კიდეც. ყველას კი არ შეუძლია, საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი გვარის შთამომავალს შეაყვაროს თავი და გრაფინია გახ-დეს, მაგრამ შენ ეს ნაკლებად გეხ-ება. ისეთი შტერი ხარ, იმასაც ვერ მოახ-ერხ-ებ, ელენეს მოაწონო თავი. დაიმახ-სოვრე, მასზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, მით უმეტეს, შენი და ნიკუშას ერთად ყოფნა.

– და, თუ მე გადავიფიქრე?

– რაა?! – ლევანს გონება აემღვრა, – რას ნიშნავს – გადაიფიქრე?!

– ჰო, იქნებ მე ჩემი შვილის ნამდვილ მამასთან მინდა ყოფნა – ასეთ ალბათობას გამორიცხ-ავ? თუ ასეა, ძალიან ცდები... – ლევანმა გაიგონა, როგორ ჩაიცინა გოგომ.

– ნატა, მოთმინებიდან არ გამომიყვანო!..

– თორემ, რა, მომკლავ? – სიცილს განაგრძობდა ნატა, – აი, დღეს მოვალ შენს ცოლთან და ყველაფერს გულახდილად მოვუყვები...

ამბობენ, როცა საქმე ბედთან ბრძოლას ეხება, მამაკაცები უფრო ადვილად თმობენ პოზიციებს, ვიდრე ქალები. თუმცა, ალბათ, მამაკაცები გააპროტესტებენ ამ მოსაზრებას და ეს ბუნებრივიც იქნება – მათ ხომ სამყაროს ძლიერი მეორე ნახევრის საპატიო ტიტულზე აქვთ პრეტენზია და ჰქონდეთ, ბატონო, ღმერთმა მშვიდობაშიც მოახმაროთ. თუკი ეს მათ თვითდამკვიდრებაში დაეხმარებათ, ჩვენ რა უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო! აქ პრობლემა მხოლოდ ისაა, სჭირდებათ კი, საერთოდ, კაცებს პრივილეგიები. თუკი პირველივე დაბრკოლება ბრძოლის

ჟინს გაუქრობს და ნაჭრის უსულო თოჯინად გადააქცევს, რომლითაც ყველას შეეძლება თამაში?!

***

ლევანმა მობილურს ისე მოუჭირა ხელი, რომ ძვირფასი აპარატი ლამის ხელისგულში ჩაეფშვნა. მიხვდა, რომ მოთმინების ძაფი, ის იყო, გაუწყდებოდა.

– ნატუკა, ნუ მეთამაშები! ხომ იცი, თუ დამჭირდა, ანალიზის გაკეთებაც არ გამიჭირდება და, თუკი დამტკიცდება, რომ მატყუებ, საკუთარ თავს დააბრალე. არავის ვუსურვებ იმას, რაც შენ დაგემართება!

– ნუ მემუქრები, ბატონო მინისტრო, იმის რატომ არ გეშინია, რომ შეიძლება, ვიწერდე ამ ჩვენს საუბარს?

ლევანმა კბილები გააღრჭიალა,

– რომ იწერდე? მერე, რით მაშინებ, ბოზი ვის არ ჰყოლია? თუ გგონია, რომ შენი დაორსულების გამო თანამდებობიდან მომხსნიან, ტყუილად გაქვს მაგის ილუზია. მაგრამ, ასეც რომ მოხდეს, შენ რას მიიღებ? სასახლეში ცხოვრებას მათხოვრად ყოფნა თუ გირჩევნია, მაშინ, გააკეთე, რაც გინდა, ოღონდ, მე ნუღარ დამირეკავ!

ლევანი გაჩუმდა და დაელოდა, აცადა, სანამ ნატუკა მის ნათქვამს კარგად გაიაზრებდა, მერე კი ირონიულად ჰკითხა:

– აბა, ვისგან ხარ ფეხმძიმედ?

– შენი მეგობრისგან – ეს საჭირო ვერსიაა. ისე კი, ბავშვი შენია, გეფიცები, – ნატუკას ხმა ამჯერად სხვანაირად ჟღერდა. აგრესიის და გამოწვევის გარეშე. ლევანს უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა და ამ შეგრძნებამ მუცელიც კი აატკივა.

– ნატუკა, მომისმინე! ისევ შენთვის აჯობებს, თუ დაიჯერებ, რომ ბავშვს ნიკუშასგან ელოდები.

– მე ვიცი, ეგ ვისთვისაც აჯობებს, – ჩაილაპარაკა ნატუკამ.

– ახლა, არ მითხრა, რომ სინდისი გაწუხებს.

– შენ, შეიძლება, არ დაიჯერო, მაგრამ რაღაც მსგავსს ვგრძნობ. ყოველ შემთხვევაში, საიდუმლოებები არ მიყვარს. მირჩევნია, როცა ყველაფერი „გაიასნებულია“.

– „როცა ყველაფერი გაიასნებულია!“ – თავისთვის გაიმეორა ლევანმა და მაშინვე თავისი სიდედრი გაახსენდა. სიურპრიზი, რომელიც დიანამ მოუწყო, იმდენად გამაოგნებელი და შოკის მომგვრელი იყო, რომ სრულფასოვნად აზროვნების საშუალებას არ აძლევდა. იცოდა, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, კონკრეტულად რა – ამის მოფიქრება უჭირდა. გადაწყვეტილების მიღება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეგონა. შეიძლება, მოულოდნელობის ეფექტი აღმოჩნდა ძლიერი...

– ლევან, გაითიშე? რატომ აღარ მელაპარაკები? რაზე შევთანხმდით... ლევან!

– გისმენ, არსად წავსულვარ. ნუ ყვირი!

– მაშინ, მითხარი, რა უნდა გავაკეთო. უკვე დროა, ჩემს მშობლებსაც მივაწოდო კონკრეტული ინფორმაცია, მართლა უპატრონო კი არ ვარ!

– იმდენჯერ გამიმეორე, უპატრონო არ ვარო, რომ უკვე ეჭვი მეპარება, რომ მართლაც ასეა.

– ასე ნუ მეხუმრებით, ბატონო მინისტრო, თორემ ჩემს მშობლებს მაინც აუცილებლად მოვუყვები ყველაფერს. მგონი, უფლება აქვთ, სიმართლე იცოდნენ!

ლევანი ისევ გააღიზიანა ნატუკას პრეტენზიულმა ტონმა.

– შენ მარტო ერთი სიმართლე გაქვს – შენი შვილის მამა ნიკუშაა, ახლა ის თქვი, რაც მოგესურვება, და ვისთანაც მოგესურვება.

– შენი ძვირფასი ნიკუშა ტელეფონს ახლოს არ ეკარება, გამირბის, არ უნდა ჩემთან ლაპარაკი, – აზლუქუნდა ნატუკა.

– კარგი, კარგი, ვხვდები, რაც გინდა. შეგეძლო, თავიდანვე გეთქვა. ვიზასაც გაგიკეთებ და ბილეთსაც აგიღებ, მაგრამ ნიკუშამ ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს...

– რის შესახებ არ უნდა იცოდეს ნიკუშამ არაფერი?

ლევანი ცოლის ხმაზე დაფრთხა. ერთადერთი, რაც დაბნეულმა მოიფიქრა, სწრაფად გათიშა ტელეფონი და შემობრუნდა.

– არ გძინავს? ცუდად ხომ არ ხარ?

– გინდა, რომ ცუდად ვიყო? მაგრამ ჯერ იმ კითხვაზე მიპასუხე, წეღან რომ დაგისვი. ისიც მაინტერესებს, ვის ელაპარაკებოდი.

– მეე? როდის, ახლა?

– ლევან, რა მოგივიდა? აი, ახლა, სწორედ ამ წუთას, ვიღაცას მობილურით ელაპარაკებოდი და ეუბნებოდი, პარიზში გასამგზავრებელ ბილეთს აგიღებო. მინდა, ვიცოდე, ვინ იყო!

ლევანმა ნაძალადევად გაიცინა:

– ჰოო, მარიკას ველაპარაკებოდი, ჩემს მდივანს. იმდენი ხანია, მამამისის სანახავად რუსეთში უნდა წასვლა და ვიზა ვერ აიღო. მეც სულ ვპირდები და ამ ჩვენი პრობლემების გამო, სულ მავიწყდება. ახლა დამირეკა, ცუდად ყოფილაო და შევწუხდი.

თინიკო გამომცდელად უყურებდა გაწითლებულ ქმარს და თავს აქნევდა. ლევანი დანაშაულზე წასწრებულივით აწრიალდა.

– შენ ახლა სულ ტყუილად ეჭვიანობ. დამიჯერე, მართლა მარიკას ველაპარაკებოდი.

– რატომ ნერვიულობ, საყვარელო? მე ხომ არ მითქვამს, შენს სიტყვებში ეჭვი მეპარება-მეთქი – დამცინავად ჩაილაპარაკა თინიკომ და მხრები მრავალმნიშვნელოვნად აიჩეჩა.

– ჰო, მაგრამ, ისე მიყურებ...

– როგორ გიყურებ, საყვარელო? ვითომ ჩემს მზერაში რამე განსაკუთრებულია? ვფიქრობ, რომ არა.

– თინი, ინკვიზიტორივით ნუ მომჩერებიხარ და ნუ დამცინი. ხომ იცი, ისედაც გულზე ვარ გახეთქილი!

– მერე, რატომ სკდები გულზე? – წარბი შეიკრა თინიკომ, – ის, რაც დედაჩემმა გაგვიმხილა, ჩემი ოჯახის პრობლემაა და არა შენი.

– სწორედ მაგაში ცდები, ეს ჩემი პრობლემაც არის. შეიძლება, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე შენთვის. ამაზე ფიქრმა ლამის გამაგიჟოს. ლამის ჭკუიდან შემშალოს იმან, რომ ამდენ ხანს ტყუილში ვცხოვრობდი!

– თუ ვინმე ტყუილში ცხოვრობდა, ეს მე ვარ, ლევან... – ხმას აუწია ქალმა, – ჰო, მე ვარ და, რატომღაც, მგონია, არც ახლა ვარ უკეთეს სიტუაციაში.

– მოიცა, მოიცა, ამით რისი თქმა გინდა? იმისი ხომ არა, რომ...

– დიახ. მატყუებ. მაგრამ, ისეთი უსინდისოც ვერ ხარ, რომ ეს არ შეგემჩნეს. რადგან ასე მოგწონს, მომატყუე, ოღონდ, შენ თვითონ რომ გაიხლართები საკუთარ ტყუილებში, მე ნურაფერს დამაბრალებ. კიდევ იმისი თქმა მინდოდა, რომ მე, ალბათ, პარიზში წავალ.

ლევანმა ლამის იბღავლა აღშფოთებისგან:

– არა! არავითარ შემთხვევაში!

თიკას გაეცინა:

– როგორ თუ არა, ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ არსადაც არ წახვალ. შენს მდგომარეობაში ამხელა გზაზე წინ და უკან სირბილი დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მოგიწევს, ჩემს აზრს ანგარიში გაუწიო.

– მართლა?! – ირონიულად შეიცხადა თიკამ, – ვგიჟდები, როცა მზრუნველი ქმრის როლს თამაშობ.

– მე არ ვთამაშობ, თიკა. იმიტომ რომ, ამ შემთხვევაში ვზრუნავ ჩემს თავზეც, ჩემს რეპუტაციაზეც. რატომ არ გესმის?

– იმიტომ არ მესმის, რომ ვერაფრით ვხვდები, დედაჩემის საქციელს შენს რეპუტაციასთან რა კავშირი აქვს.

– პირდაპირი, თიკა, პირდაპირი!

– ჩვენი პრობლემები შენ არ გეხება, მით უმეტეს, რომ მე ეს პრობლემადაც არ მიმაჩნია. პირიქით, თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გავიგე.

– ხედავ? ამიტომაც ვერ გავუგებთ ერთმანეთს ამ საკითხში! – ხელი უკმაყოფილოდ აიქნია ლევანმა.

– მარტო ამ საკითხში კი არა, ჩვენ კიდევ ბევრ საკითხში ვერ გავუგებთ ერთმანეთს ვერასოდეს. ეგოისტებს ძალიან არ უყვართ, როცა მათ ვინმე ეცილება საკუთრებაში, მაშინაც კი, როცა ეს სულაც არ არის მათი საკუთრება. მაგრამ, ვხვდები, რომ აღარ უნდა გელაპარაკო ამაზე. არც ვაპირებდი, შენ რომ არ დაგეწყო. მოკლედ, მეც მჭირდება ვიზა, ოღონდ, შენი მდივნისგან განსხვავებით, – თიკამ „მდივნის“ თქმისას ირონიულად ჩაიცინა, – ჰო, შენი მდივნისგან განსხვავებით, საფრანგეთის საელჩოში ვაპირებ მისვლას და, შენთან ერთად თუ შენ გარეშე – ამას მნიშვნელობა არა აქვს.

– ესე იგი, გადაწყვეტილება მიღებული გაქვს.

– ჰო, და ტყუილად ნუღარ ვიკამათებთ ამაზე.

– ხომ იცი, რომ მე არ წამოვალ?

– ჰოო? არ ვიცოდი, თუმცა, ველოდი, რომ ამას იტყოდი. არა უშავს, მარტო წავალ, არ დავიკარგები. დავურეკავ ნიკუშას და დამხვდება. ბოლოს და ბოლოს, ვალდებულიც კია, ეს გააკეთოს.

– ეს შენ გგონია ასე და, საერთოდ, ვალდებულება ფარდობითი ცნებაა. ჯერ დაურეკე და უთხარი, რატომ ჩადიხარ მასთან და, ვნახოთ, დაგხვდება თუ არა.

– შენი შეხედულებებით ნუ მსჯელობ. დარწმუნებული ვარ, ნიკუშას ძალიან გაუხარდება.

– ჰო, აბა, რა... გადაირევა, სიხარულით გააფრენს! – დასცინა ლევანმა, – რა სულელი ხარ! ნუთუ ფიქრობ, რომ ამ ასაკში ასეთი ურთიერთობების თავიდან დაწყება შესაძლებელია? ისეთი პატარაც აღარ ხარ, რომ ამისი გჯეროდეს.

– მე მაინც მჯერა, – თიკამ გაიღიმა, – მოკლედ, ყველაფერი გითხარი. რამდენიმე დღეში გავემგზავრები. ვიზის მიღებას დიდი დრო არ დასჭირდება, უბრალოდ, განცხადება უნდა დავწერო.

– შენს მდგომარეობაზე საერთოდ არ ფიქრობ?

– ფეხმძიმობა ავადმყოფობა არ არის, თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. ზუკაზე რომ ვიყავი ორსულად, მაშინაც ვმგზავრობდი თვითმფრინავით, საერთოდ, ძალიან ხშირად ვმგზავრობდი და არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

– ზუკაზე თორმეტი წლის წინ იყავი ფეხმძიმედ. განსხვავებას ვერ ხედავ, თუ არ გინდა, დაინახო?

– არ მინდა, რომ დავინახო, – ჯიუტად გაიმეორა თიკამ, – ჰო, არ მინდა და, იცი, შენ ახლა რას აკეთებ? „გაღმას შეედავეს“ პრინციპს იყენებ.

– რაო, რა თქვი?

– ჰო, გამოღმა მედავები, რომ გაღმა შეგრჩეს. მაგრამ, დამიჯერე, არ მაინტერესებს, რამდენიმე წუთის წინ ვის ელაპარაკებოდი. სხვა საზრუნავი მაქვს, მაგაზე გაცილებით მნიშვნელოვანი.

– აბა, რა... მნიშვნელოვანია. ნამდვილი მექსიკური ტელესერიალია და შენც ზუსტად ამ ტელესერიალის ერთ-ერთი გმირივით იქცევი.

– ვიცი, რომ დიდი შთაბეჭდილების არ ხარ ჩემზე, მაგრამ ნერვებს არც ამისთვის ავიშლი. ვისწავლე, როგორ „გავატარო“. გამგზავრების თარიღს გაცნობებ.

– ცდილობ, ნერვები ამიშალო? არა უშავს, ამასაც გადავიტან. იმასაც შევეგუები, მარტო რომ დავრჩი. რომ გვერდით არავინ მყავს ისეთი, ვისაც დავეყრდნობი და ვისი იმედიც შეიძლება მქონდეს.

– ნუ წუწუნებ, ძალიან სასაცილოა შენგან ამისი მოსმენა.

– ვითომ, რატომ?

– იმიტომ, რომ შენ არც დასაყრდენი გჭირდება და არც გვერდით მდგომი, – თინიკომ სევდიანად შეხედა ქმარს და ოთახში შევიდა. ლევანს ძალიან უცნაური, მანამდე უცნობი გრძნობა გაუჩნდა – საკუთარ თავთან გაუჭირდა იმის აღიარება, რომ ცოლის სიტყვებმა გული ატკინა. ყოველთვის იმას ამტკიცებდა, თინიკო არ მიყვარს, ჩემ გვერდით მის არსებობას მხოლოდ ვიტანო, მაგრამ, იასთან განცდილი ფიასკოს შემდეგ, მიხვდა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე და პირველად დაფიქრდა იმაზე, რომ, შეიძლება, შეცდომას უშვებდა. „იქნებ, ის არ იყო სიყვარული, რასაც მე ვეძახდი სიყვარულს? იქნებ, მთელი ეს წლები თავს ვიტყუებდი? მაშინ, მაგარი ბრიყვი ვყოფილვარ, თუ ვერ მივხვდი იმას, რომ საყვარელი ქალი გვერდით მყავდა. მე ვიღაც უხილავ აჩრდილს, ფანტომს დავდევდი. ვერაფერი გამიგია, რატომ ვერ ვხედავდი თიკაში პიროვნებას, რომლის სიყვარულიც შემეძლო და განსაკუთრებული არც არაფერი იყო საჭირო ამისთვის? საერთოდ არაფერი არ უნდა გამეკეთებინა, უბრალოდ, კარგად უნდა გამეხილა თვალები, ფართოდ უნდა გამეხილა და იმისთვის არ უნდა შემეწირა ჩემი ოცნებები, ვინც ამისი ღირსი არ იყო. რატომ არ ვიფიქრე იმაზე, რატომ ერთხელ მაინც არ დავფიქრდი, როგორ ვცხოვრობდი ჩემი ცოლის გარეშე? მე ხომ ერთხელაც არ მიფიქრია ამაზე. უბრალოდ, ცხოვრობდა ჩემ გვერდით ქალი, მე კი არც მიცდია, მისთვის სიყვარულით შემეხედა. ახლა რომ დავკარგო, რომ მიმატოვოს?! როგორ ვიცხოვრებ მის გარეშე? იქნებ ყველა სხვა საფიქრალი უნდა გადავდო და ამაზე უნდა ვიფიქრო?..“

***

ნიკუშამ მამინაცვალს საბილიარდოს ბარში მიაგნო. ჟანი დახლთან იჯდა, ხელში ნახევრად დაცლილი ჭიქა ეჭირა და ნელა ატრიალებდა. ნიკუშას დანახვაზე სევდიანად გაიღიმა და მეორე ხელი თავის გვერდით სკამზე დაარტყა.

– მოდი, დაჯექი. კონიაკს დალევ?

– ექიმს ელაპარაკეთ? – ნიკუშა დაჯდა.

ჟანმა გაურკვევლად გადააქნია თავი.

– ჟან, მომისმინეთ, ექიმს ელაპარაკეთ-მეთქი? დავინახე, იმ ოთახის კართან რომ იდექით. ცუდად არის საქმე?

– არ ვიცი.

– რას ნიშნავს არ იცით? რა თქვა?

– ის, რომ უნდა დაველოდოთ. ყველაფერი მის ორგანიზმზეა დამოკიდებული – აი, მისი პასუხი. ახლა შენ მითხარი, ცუდად არის საქმე თუ კარგად... – ჟანმა დახლს შეკრული მუშტი დაჰკრა და იყვირა: – მოვკლავ იმ ცხენს, სულერთია, მოვკლავ და გამომძიებელსაც ზედ მივაყოლებ! სულერთია, მაინც გავაკეთებ ამას.

ნიკუშამ ფრთხილად გამოართვა მამინაცვალს ხელიდან ჭიქა. სქელ შუშას რამდენიმე ბზარი აჩნდა. გატეხვას სასწაულით გადარჩენილი სასმისიდან მუქმა სითხემ გამოჟონა.

– დამშვიდდით, ძალიან გთხოვთ. ელენეს ახლა სჭირდებით. კარგი, დავუშვათ, მოკალით ცხენი, გამომძიებელიც ზედ მიაყოლეთ... ამით მარტო იმას მიაღწევთ, რომ დაგაპატიმრებენ. მერე, ელენეს საერთოდ ვეღარ მიხედავთ, ვეღარ იზრუნებთ მასზე. ჟან, მომისმინეთ, თუ თავს არ დავარწმუნებთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, არაფერი გამოვა. ხვდებით, რისი თქმა მინდა? უნდა შევეგუოთ, უნდა გავუძლოთ და როგორმე ერთად გადავიტანოთ ეს ამბავი.

– გავუძლოთ იმას, რომ ელენი ხეიბარი დარჩება? გამორიცხულია, მე ამას ვერასოდეს შევეგუები!

ნიკუშა გაფითრდა.

– ვინ თქვა, რომ ელენე ხეიბარი დარჩება, რას ნიშნავს ეს? მოტეხილი ხომ არაფერი აქვს?

– ხერხემალი დაუზიანდა. ამიტომ, ადგომის ძალიან მცირე შანსი აქვს. წარმოგიდგენია ელენე ინვალიდის სავარძელში? არა, მე ვერ გადავიტან ამას, ვერ გავუძლებ! მირჩევნია, მოვკვდე, მირჩევნია, ციხეში ჩავჯდე!

– მაშინ, ახლავე შეგიძლიათ, ეს გააკეთოთ, – მოიღუშა ნიკუშა. ჟანმა თავი ასწია და გაოცებით შეხედა.

– ჰო, – განუმარტა ნიკუშამ, – ასეა. გამომძიებელი აქ არის, წეღან მოვიდა. ჩემთან აქვს საქმე, მაგრამ უთქვენოდ მასთან ლაპარაკი არ მინდა. რატომღაც, მომინდა, ეგონოს, რომ ფრანგული არ ვიცი. თქვენ თარჯიმანი იქნებით. რა თქმა უნდა, თუკი პირდაპირ არ ეცემით და არ დაახრჩობთ.

ჟანი მიხვდა, რომ ნიკუშა საყვედურობდა წუთის წინ გამოჩენილი სისუსტის გამო და ერთბაშად თავადაც შერცხვა.

– იცი, რა ცუდად ვარ, როცა ვფიქრობ, რომ შეიძლება, ექიმის ვარაუდი გამართლდეს?..

– არ უნდა იფიქროთ ამაზე. არც მე არ უნდა ვიფიქრო. ეგ ექიმი ღმერთი არ არის, რომ ყველაფერი იცოდეს. სხვა ექიმებიც არიან. უფრო ჭკვიანები და უფრო კომპეტენტურები. მთავარია, ელენე ცოტა მომაგრდეს, გონზე მოვიდეს და მისი ტრანსპორტირება შესაძლებელი გახდეს. მთელ მსოფლიოს მოვატარებთ და ვუშველით. მთავარია, ამისი გვჯეროდეს.

ჟანმა სახეზე მოისვა ხელი. ცოტათი გამოცოცხლდა. ნიკუშას სიტყვებმა გამოაფხიზლა. ცოტა კონიაკი მოწრუპა და სული მოითქვა.

– ესე იგი, შენ არ გჯერა, რომ ელენე ხეიბარი დარჩება?

– არა, არ მჯერა და ვერც ვერავინ დამაჯერებს. მე ვიცნობ დედაჩემს. ვიცი, რამხელა შინაგანი ენერგია აქვს და ისიც ზუსტად ვიცი, რომ არ დანებდება, თუ... – ნიკუშა გაჩუმდა და მამინაცვალს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

– გინდა, მითხრა, რომ მე ვიქნები დამნაშავე იმაში, თუ ელენე თავის მდგომარეობას შეეგუება?

ნიკუშამ თავი დაუქნია.

– მივხვდი. მართალი ხარ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. დამარწმუნე. ახლა უკვე ვიცი, რა არის საჭირო ჩემი საყვარელი ელენეს ფეხზე დასაყენებლად. წამოდი, დაველაპარაკოთ გამომძიებელს. სად არის?

– ეზოში. გადაიფიქრეთ მისი მოკვლა? – გაეღიმა ნიკუშას.

– ჰო, იცოცხლოს, ის ცხენიც კიდევ დასჭირდება ჩემს ელენეს. იმას გავაკეთებ, რომ თვითონ გავხედნი და ჭკუას ვასწავლი ეს იქნება ჩემი საჩუქარი.

– შეიძლება, დედაჩემი ვნახო?

– ჰო. ექიმმა თქვა, კარგი იქნება, თუ მასთან ვიღაც იქნება ხოლმეო. რომ გაიღვიძებს, შეგიძლია, შეხვიდე მასთან, თუ ლაპარაკით არ დაღლი.

– მხოლოდ დავხედავ, – ნიკუშას ტვინში რაღაც აეწვა. გატეხილ ჭიქაში ჩარჩენილი კონიაკი მოსვა და მამინაცვალს მზერა მოარიდა, – ჯერ იმ ტიპს დაველაპარაკოთ...

***

... სიზმარში ყველაფერი მარტივია... იმ სიზმარში, სადაც შენი ოცნების რეალიზაცია ხდება და გრძნობ, რომ ბედნიერება არც ისეთი მიუღწეველი ყოფილა, მაგრამ, მაინც სიზმარში უმართლებს ყველას. უფრო სწორად, უნდა იცოდე, რომ გაგიმართლა, თუკი სიზმარში მაინც აიხდინე ოცნება... არავინ იცის, როდის დგება ვარდისფერი სიზმარი, ან, რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ სწორედ ის დაგესიზმროს, რაზეც ოცნებობდი და არა სხვა რამე... მაგალითად, კოშმარი: როგორ ჩაიჭერი მისაღებ გამოცდაზე, ან, ბილეთი აიღე და ხედავ, რომ განწირული ხარ. „სამიანიც“ სანატრელი გაქვს. თუ სკოლაში თავს კომფორტულად არ გრძნობდი და ყოველ მეორე ღამეს გესიზმრება, როგორ დგახარ დაფასთან, და, თან, გაკვეთილიც არ იცი, ესეც არ არის შორს კოშმარებისგან... ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ, თუ უიღბლო ხარ, სიზმარშიც არ გაგიმართლებს და, ამიტომ, ჯობია, საერთოდ არ იოცნებო...

ელენეს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ხედავდა. უფრო სწორად, ხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ დაინახავდნენ. შეიძლება, ეს ხილვა იყო, ან, უბრალოდ, სიზმარი, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, თავს საოცრად კარგად გრძნობდა. სცადა, მაგრამ ვერ გაიხსენა, ბოლოს როდის იყო ასე კარგად, ასე მსუბუქად და სხვანაირად... ჰო, სხვანაირად – თავის მდგომარეობას უკეთესი ახსნა ვერ მოუძებნა... მერე თვალის გახელა სცადა. მიხვდა, რომ შეეძლო, მაგრამ, რატომღაც, არ მოუნდა, არც იმის გაცნობიერების სურვილი ჰქონდა, რატომ იყო ასე უცნაურად კარგად და ინატრა, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ჰაეროვანი სიმსუბუქე...

– კიდევ სძინავს? ამდენ ხანს უნდა ეძინოს? ეს ნორმალურია? ექიმისთვის ხომ არ გვეკითხა?

– ექიმმა თქვა, რაც მეტს იძინებს, მისთვის უკეთესიაო. ამდენი დამამშვიდებელიც იმიტომ გაუკეთა. რომ გაიღვიძებს, ტკივილგამაყუჩებელი დასჭირდება. თანაც, არც ისე ცოტა. ამიტომ, აჯობებს, იძინოს... – ელენემ ვერ იცნო ამ კატეგორიული, პრეტენზიული ტონით ნათქვამი სიტყვების ავტორი.

ნიკუშამ მამინაცვალს გახედა და ისიც მაშინვე მიუხვდა, მომვლელი ქალისკენ შებრუნდა და რაც შეეძლო, თავაზიანად უთხრა:

– მადამ, ჩვენ შეგვიძლია, აქ ვიყოთ. თქვენთვის კი ჩაის მომზადება ვთხოვე. ქვემოთ, სასტუმრო ოთახში მოგართმევენ. ალბათ, როგორ დაიღალეთ. სამ საათზე მეტია, აქ ზიხართ გაუნძრევლად. ასკილის ჩაი და ოჯახური ნამცხვარი ძალიან მოგეწონებათ.

მომვლელი ქალი გაიბადრა და შეიფერა მიპატიჟება.

– მადლობელი ვარ, გრაფ, მაგრამ, თქვენს მეუღლეს რამე რომ დასჭირდეს?! ექიმმა მთხოვა, გვერდიდან არ მოვცილდე.

– არც მოსცილდებით. სასტუმრო ოთახი აქვეა, ერთი სართულით ქვემოთ. სულ რაღაც თვრამეტი საფეხური რა სალაპარაკოა. ელენეზე კი მე და მისი ვაჟიშვილი ვიზრუნებთ. თუ რამე დასჭირდება, მაშინვე დაგიძახებთ.

– ჰო. მაშინვე დამიძახეთ, – ქალი ადგა, – ძალიან გთხოვთ, თქვენი ინიციატივით არაფერი მოიმოქმედოთ. ხომ იცით, რომ თქვენს მეუღლეს მძიმე მდგომარეობა აქვს, შეიძლება ითქვას, უმძიმესი. ჩაის დავლევ და ახლავე ამოვალ.

ნიკუშამ დაუფარავი სიძულვილით გახედა მიმავალს.

– „შეიძლება ითქვას, უმძიმესი“, – გამოაჯავრა, როგორც კი მომვლელმა კარი გაიხურა და ელენეს საწოლს ნელა მიუახლოვდა, – კრეტინი! სხვა მომვლელი მოვიყვანოთ, ეგ ქალი ნერვებს მიშლის!

ჟანი ცოლის ფერმკრთალ, თითქოს სისხლისგან დაცლილ სახეს უყურებდა თვალმოუცილებლად.

– მალე გაიღვიძოს და დაგველაპარაკოს!.. ასე გაუნძრევლად რომ წევს, ძალიან ცუდად ვარ, – ჩაილაპარაკა და ნიკუშას საწყლად შეხედა.

– დაგველაპარაკება, ყველაფერი კარგად იქნება, – ნიკუშამ ნაზად გადაუსვა ხელი ქალს შუბლზე, დაიხარა და ტუჩებით შეეხო...

– გამომძიებლის სიტყვებში უჩვეულო არაფერი შეგინიშნავს? – ჰკითხა ჟანმა მოულოდნელად.

ნიკუშამ მხრები აიჩეჩა:

– როგორ გითხრათ. საერთოდ, ძალიან უსიამოვნო ტიპია. ვერც იმას ვხვდები, რატომ არ წყვეტს ძიებას. ჩვენ ხომ არ ვთხოვთ, სურათი აუცილებლად მოძებნოს?

– საქმე ისაა, რომ ასეთ შედეგრებზე სახელმწიფოც იღებს პასუხისმგებლობის რაღაც ნაწილს და ასე, მარტივად საქმე არ დაიხურება. ხვდები, ხომ, რა არის მიზეზი? მას თავისი სამუშაო აქვს და ამ სამუშაოზე თავის უფროსობასთან არის პასუხისმგებელი. ჩვენ რას ვფიქრობთ ამაზე, მისთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა.

– ამიტომაც ცდილობს, დამნაშავე ჩვენ შორის ეძებოს?

– არ ვიცი, რას ცდილობს, მაგრამ, თუ ამას ცივი გონებით შევხედავთ, ეჭვის საფუძველი მას ნამდვილად აქვს. როცა რამდენიმემილიონიან ნივთს იპარავენ და მისი დამკარგავი ოჯახი არც ისე მონდომებულია ამ საქმის გამოძიებით, უნდობლობა მათ მიმართ ბუნებრივად ჩნდება. თან, შენი ჩამოსვლაც ძალიან ცუდად დაემთხვა ამ ყველაფერს.

– მე მოვიპარე ნახატი? რანაირად, ან, რისთვის მჭირდებოდა?

ჟანმა თავი გააქნია:

– არა, აქ ეჭვი ჩემზე უფრო ჩნდება, ან... – გრაფი გაჩუმდა და ცოლისკენ გაიხედა. ნიკუშა უთქმელადაც მიხვდა, რას გულისხმობდა მამინაცვალი.

– რა აბსურდია... – გაეცინა ნიკუშას.

– არც ისეთი აბსურდია. დედის ეგოისტურ სიყვარულს შვილისადმი უარესის გაკეთება შეუძლია. გამომძიებელი არ გვიცნობს, არ იცის ჩვენი ურთიერთობების შესახებ. ამიტომ, სრული საფუძველი აქვს, ივარაუდოს, რომ, შესაძლებელია, ნახატი თავად ელენემ გადამალა... შენთვის.

– ეს ასე არ არის! თქვენ ხომ არ გჯერათ ამის?.. მითხარით, ხომ ხვდებით, რომ ეს სისულელეა, დიდი სისულელე?..

– იცი, ახლა მარტო ელენეს ჯანმრთელობაზე ვფიქრობ და გეტყვი, რომ სისულელეა ეს ყველაფერი, მით უფრო, იმ პრობლემასთან შედარებით, რაც ჩვენ შეგვექმნა. მაგრამ, სხვა სიტუაციაში, მით უმეტეს, გამომძიებლის ადგილზე რომ ვიყო, არ ვიცი, რას გიპასუხებდი. მართლა არ ვიცი.

ნიკუშამ გაოცებულმა შეხედა მამინაცვალს.

– მე ეგ მილიონები არაფრად მიღირს, – ჩაილაპარაკა ბოღმით.

– არც მე, მაგრამ, გამომძიებლისთვის და ნებისმიერი სხვა, უბრალო მოკვდავისთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია.

– აბა, რა ვქნათ?

– არაფერი. არაფერი არ უნდა ვქნათ. სიმართლე, თუკი ის საერთოდ არსებობს, ერთადერთმა ადამიანმა შეიძლება, იცოდეს და ეს ელენეა.

– მე არ მჯერა, რომ დედაჩემს შეეძლო ამის გაკეთება.

– არ ვიცი, ჩემო კარგო. მე ობიექტური ვერ ვიქნები ელენეს საქციელის შეფასებაში. ვერანაირად ვერ ვიქნები ობიექტური. იმიტომ, რომ ელენე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. თუმცა...

ნიკუშა მამინაცვალს მიაშტერდა და უცებ რაღაცას მიხვდა:

– სანამ ელენე ცხენზე დაჯდებოდა, თქვენ ამაზე ლაპარაკობდით? იმიტომაც იდანაშაულებთ თავს მომხდარში, არა?

– არა, არა! მე მისთვის ბრალი არ წამიყენებია! ან, რა უფლება მქონდა? მხოლოდ ის ვუთხარი, რომ არ მინდოდა, ჩემგან რაიმე დაფარული ჰქონოდა და ძალიან მეწყინებოდა, თუკი ამ რეალობის წინაშე დავდგებოდი.

– და ამის შემდეგ დედაჩემმა თავის მოკვლა გადაწყვიტა... – ნიკუშას სახეზე სასოწარკვეთილება აღებეჭდა.

– არა, არა, ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვიტა და, ამიტომ, ასეთ საშინელ დასკვნას ნუ გავაკეთებთ. ძალიან გთხოვ, თორემ, მდგომარეობიდან კიდევ არ ვარ გამოსული.

– ძალიან ბევრი საიდუმლო დაგროვდა. გაურკვევლობა სულ თან მდევს და სულს მიხუთავს... მამაჩემის სიკვდილი მხოლოდ დასაწყისი იყო. მეგონა, გაურკვევლობის ჯაჭვი მაშინ გავხსენი, მაგრამ, ვცდებოდი. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მაშინ დაშვებული შეცდომის ნაყოფს ახლა ვიმკი. ალბათ, ამიტომ, ყოველთვის ჯობია, თუნდაც ყველაზე მწარე სიმართლე იცოდე და თავი არ მოიტყუო.

– გეთანხმები, ეს უდავოდ ასეა, თუმცა, მოდი, ელენეს გამოჯანმრთელებას დაველოდოთ. დამიჯერე, სიმართლე მეც ძალიან მაინტერესებს, ძალიან, მაგრამ ახლა ელენეს კარგად ყოფნაზე უნდა ვიფიქროთ...

ჟანმა ნიკუშას მხარზე დაადო ხელი და მოუჭირა. ნიკუშა მიხვდა, რომ ამ კაცის იმედი ყოველთვის შეიძლებოდა, ჰქონოდა. იმ სიყვარულის დაუნახაობა, რომელიც გრაფს ელენეს მიმართ ჰქონდა, სიბრმავეზე გაცილებით მეტი იყო. ამ სიყვარულისთვის ღირდა სიცოცხლე... ნიკუშას უცებ ია გაახსენდა და გრაფის შეშურდა. მასაც შეეძლო, ასე ჰყვარებოდა და საყვარელი ქალის სასთუმალთან ჩამომჯდარს, მისი, ლამაზი თითები საათობით სჭეროდა ხელში... იმას, რომ ასე არ მოხდა, ვერავის დააბრალებდა... ნიკუშას არასდროს დაუსვამს საკუთარი თავისთვის შეკითხვა, ვინ იყო დამნაშავე იმაში, რომ ისე არ აეწყო მისი ცხოვრება, როგორც მას უოცნებია. თითქოს თავიდან ყველაფერი გარკვეული და დღესავით ნათელი იყო: – ყველა დეტალი შეთანხმებული; ნათელ ფერებში დახატული მომავალი; ყველა ნაბიჯი – გათვლილი, გაანგარიშებული და, საფიქრალიც თითქოს აღარაფერი იყო, მაგრამ... – ნიკუშამ თავი გადააქნია, თითქოს აბეზარი ფიქრების მოშორება უნდოდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ღმერთმა იცის, კიდევ რა სიურპრიზი მელოდება“...

***

თინიკომ ჩანთა შეკრა და საწოლზე ჩამოჯდა.

– მორჩა, მგონი, არაფერი მრჩება. ფული ბარათზეა, თუ რამე გაუთვალისწინებელი დამჭირდა, ვიყიდი.

დიანამ სევდიანად შეხედა შვილს:

– დარწმუნებული ხარ, რომ სწორად იქცევი?

– ჰო, სხვანაირად ვეღარც წარმომიდგენია. მან ეს უნდა იცოდეს. მე თვითონაც ვეღარ ვიცხოვრებ ისე, თითქოს არაფერი მომხდარა. ვგრძნობ, რომ ვჭირდებით ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, მე ის ნამდვილად მჭირდება.

– ვხვდები, მაგრამ, შენ სჭირდები იმას? იქნებ, ღირს, ჯერ კარგად დაფიქრდე ამაზე?

– ლევანმაც ეს მითხრა, მაგრამ მე ჩემს შინაგან ხმას, ჩემს ინტუიციას ვენდობი და, რატომღაც, მისი უფრო მჯერა.

დიანამ ცრემლიანი თვალები ხელისგულებით მოიწმინდა.

– მაპატიე, შვილო!..

თინიკო შეკრთა, ჩანთას თავი ანება და დედას მოეხვია.

– რას ამბობ, დე, რისთვის მთხოვ პატიებას, შენ არაფერი დაგიშავებია!..

– იმედი გაგიცრუეთ, შენც, ლევანსაც...

– არა, არა, მე ასე არ ვფიქრობ. შენ შეგეძლო, ისე მოქცეულიყავი, როგორც საჭიროდ მიგაჩნდა და, თუ შეცდომა დაუშვი, მსაჯულად ვერც მე გამოვდგები და ვერც ჩემი ქმარი. ჩვენ მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე შეგვიძლია ვაგოთ პასუხი. მე იმასაც ვხვდები, რამ გაიძულა ამის გაკეთება და, მინდა გითხრა, რომ შენი ქმარი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

– ძალიან მატკინა, თინი... საქმე მარტო ღალატში არ არის. როცა მამაკაცისთვის უბრალო საოჯახო ნივთს მეტი ფასი აქვს, ვიდრე ქალს, რომლის გვერდითაც ცხოვრობს და რომელსაც თავის ცოლს ეძახის, ის ნაძირალაა. თუმცა არ ვიცი, იმის შემდეგ, რაც თავად ჩავიდინე, მაქვს კი ამის თქმის უფლება? მაგრამ, ახლა ის მაინც ვიცი, რომ არაფრით ზურაბზე უკეთესი არ ვარ, ჩვენ დავიმსახურეთ ერთმანეთი.

თინიკოს გული ატკინა დედის სიტყვებმა.

– შენ მაინც დედაჩემი ხარ, ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის ყველაფერს გაგიგებ. გულახდილად გეტყვი, ძალიან მიხარია, რომ სწორედ ასე მოხდა. გეფიცები. შინაგანად თითქოს მზად ვიყავი ამისთვის.

– მე მისი რეაქციის განაჩენივით მეშინია.

– რა სისულელეა, არავითარი განაჩენი არ იქნება. ბოღმა, თუ ის საერთოდ არსებობდა, დიდი ხანია, გაქრა. დავრჩით მარტო მე და ის – ყველაზე ახლობელი ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს. ერთადერთი, რაზეც, შეიძლება, გული დამწყდეს, ის არის, რომ ბევრი დრო დავკარგეთ. მაგრამ, არა უშავს, წინ მთელი ცხოვრება გვაქვს. მე ჩემი სიყვარულით ვეცდები, ეს დანაკლისი შევივსო და მასაც შევუვსო.

დიანას ყოყმანი დაეტყო.

– რა იყო, დედა, კიდევ გაქვს რამე სათქმელი? კიდევ ხომ არ მოხდა რამე, რაც გამგზავრებამდე უნდა ვიცოდე?

– კარგი იქნებოდა, ლევანიც წამოსულიყო. მეშინია, მარტოს რომ გიშვებ.

თინიკოს გაეცინა:

– პატარა ხომ არ ვარ? არ დავიკარგები!

– ფეხმძიმედ ხარ. უცებ ცუდად რომ გახდე?

– მთავარია, იქამდე ჩავიდე და მერე ნიკუშა მომხედავს. მით უმეტეს, როცა სიმართლეს ვეტყვი.

– სწორედ მაგის მეშინია! – წამოსცდა ქალს.

– ვერ გავიგე, რისი გეშინია?

– იმის, რომ, შეიძლება, ნიკუშამ არ დაიჯეროს ეს ამბავი.

თინიკო საწოლზე დაეშვა და ხელები უღონოდ ჩამოეკიდა.

– რატომ არ უნდა დაიჯეროს, რა ინტერესი მაქვს, რომ ასეთი ტყუილი ვთქვა... მაგრამ, მოიცადე, მგონი, ვხვდები, რაც იგულისხმე...

ნუთუ ცხოვრება იმაზე რთული და მოულოდნელობით სავსეა, ვიდრე ჩვენ გვგონია... ფაქტია, რომ ბედისწერა ხშირად ერთობა ჩვენით. შეიძლება, ადამიანებმაც მისგან ვისწავლეთ ერთმანეთის გრძნობებზე თამაში... ყოველ შემთხვევაში, ბუმერანგის ეფექტი აშკარად სახეზეა... ყველაფერი, რასაც კი გასცემ სიძულვილი იქნება ეს თუ სიყვარული, უკან აუცილებლად ბრუნდება, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, სრულად მიიღებ იმას, რაც გაეცი... ამ მარტივი მიზეზის გამო, აღარ უნდა ჰკითხო საკუთარ თავს, რა ხდება და რისთვისო. თუ კარგად დაფიქრდები (პრინციპში, ზოგჯერ კარგად დაფიქრებაც არ არის აუცილებელი), მიხვდები, რისთვისაც...

***

ელენემ ოდნავ შეარხია ქუთუთოები. მის სასთუმალთან ჩამომჯდარი ნიკუშა, რომელიც თვალს არ აშორებდა დედის გაფითრებულ სახეს, შეკრთა და ქალს ჩააშტერდა. ფანჯარასთან მდგარი სავარძლიდან ჟანიც წამოდგა.

– ხომ არ გაიღვიძა?

– არ ვიცი. მგონი, იღვიძებს. ექიმს ხომ არ დავურეკოთ?

ჟანმა თავი გააქნია:

– ჯერ დაველოდოთ. ექთანი ხომ არის, თუ ტკივილები დაეწყება, გამაყუჩებელს გაუკეთებს. ექიმი ისედაც მოვა. დამპირდა, შემოვივლიო.

ჟანი და ნიკუშა ისევ მძინარე ქალს მიაშტერდნენ. ელენეს თითქოს ისევ ეძინა.

– არ დაიღალეთ? მთელი დღეა, აქ ხარ. იქნებ, ქვემოთ ჩასულიყავით და გეჭამათ, – უთხრა ნიკუშამ მამინაცვალს.

– შენც ზუსტად ჩემსავით ხარ. არც შენ არ გიჭამია არაფერი.

– ორივე ერთად ვერ ჩავალთ, მორიგეობით თუ მოვახერხებთ ელენეს დატოვებას. არ მინდა, თვალს რომ გაახელს, მასთან არც ერთი არ ვიყოთ.

– მარტო არ იქნება. არ მინდა ჭამა, გავუძლებ.

ნიკუშამ მამინაცვლის დაღლილ, განაწამებ სახეს შეხედა და შეეცოდა.

– ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ მომხდარზე აღარ უნდა ვიფიქროთ. ელენეზეც ცუდად იმოქმედებს. რომ გაიღვიძებს და დაგინახავს, მაშინვე მიხვდება, რასაც განიცდი. სინდისი რომ გაწუხებს, სახეზე გაწერია. სულ რომ არ გინდოდეს, მაინც შეამჩნევ.

– ვხვდები და მესმის, რატომაც მეუბნები ამას, მაგრამ, რა ვქნა, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ. ჩემი შინაგანი ხმა ყოველ წუთში მახსენებს, რომ ელენე მე მივიყვანე თვითმკვლელობამდე.

– მე არ მჯერა, რომ ელენეს თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. უბრალოდ, ბედი გამოსცადა, ეს კი ერთი და იგივე არ არის.

– ჰო, ჩავთვალოთ, რომ „რუსული რულეტკა“ ითამაშა, მაგრამ, რისთვის, უფრო სწორად – ვისთვის? ჩემთვის უნდოდა დაენახვებინა, რომ მასთან ურთიერთობაში შეცდომა დავუშვი.

ნიკუშა დაფიქრდა. მისი მზერა ისევ საწოლში გაუნძრევლად მწოლიარე ქალისკენ იყო მიმართული და ისევ მოეჩვენა, რომ ელენემ თვალის გახელა სცადა.

– იქნებ, საკუთარი თავისთვის უნდოდა, რამე დაემტკიცებინა... – ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის.

– რა? რას ამბობ? საკუთარი თავისთვის უნდოდა, რომ რამე დაემტკიცებინა? – ჟანმა ეჭვით შეხედა გერს.

– არ მინდა, იმაზე ვიფიქრო, რომ ელენემ თავი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმიტომ დააყენა, რომ საკუთარ თავთან ჭიდილი მოსწყინდა. ამას მირჩევნია, ისევ მე ვიყო მომხდარში დამნაშავე.

– ამ კითხვაზე პასუხს მარტო ელენე გაგვცემს. ჩვენც სხვა გზა აღარ გვრჩება, უნდა დაველოდოთ. იმედი მაქვს, ძალიან დიდხანს არ მოგვიწევს ცდა.

ჟანმა ამოიოხრა:

– იცი, არ მინდა, რომ ის ნახატი გამოჩნდეს. რაც მისი ავტორთან იდენტურობის ამბავი გაირკვა, მას მერე უსიამოვნებებმაც იმატა. მაგ ნახატს რაღაც ბედისწერა სდევს თან. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ, ფაქტია, ელენე უცნაურად იყო მიჯაჭვული ნახატზე. გამომძიებელმა რომ მკითხა, მარტო მაშინ დავფიქრდი, რომ მართლაც არაფერი, საერთოდ არაფერი წამოუღია ელენეს თავისი ნივთებიდან, როცა მე გამომყვა, მხოლოდ ნახატი და შენი სურათი. მაშინ მეტისმეტად ვიყავი შეყვარებული, რომ ასეთი „წვრილმანებისთვის“ რამე მნიშვნელობა მიმენიჭებინა, მაგრამ ახლა...

– მე არ მჯერა, რომ ნივთებს თავისი ენერგეტიკა აქვს და, რომ შესაძლებელია, მათ ადამიანების ბედი შეცვალონ. საერთოდ, არც მახსოვს, როგორ აღმოჩნდა ეგ ნახატი ჩვენს ოჯახში. მე მგონი, სულ იყო, – მხრები აიწურა ნიკუშამ და აშკარად რაღაცაზე ჩაფიქრდა.

– გაგაღიზიანე ჩემი უადგილო შეკითხვით და უსიამოვნო მოგონებები გაგიღვიძე?

– არა, უბრალოდ, ვცდილობ, გავიხსენო, რა ვიცი მაგ ნახატის შესახებ, მაგრამ, ბევრი არაფერი მაგონდება. ზუსტად მახსოვს და, ახლაც კი თითქმის ვხედავ, სად ეკიდა. ის ადგილი მერე ისეთი ცარიელი იყო, რომ ძალიან დიდხანს ვერაფრით ვეგუებოდი, მაგრამ, საიდან გაჩნდა ჩვენს ოჯახში, მართლა არ ვიცი. ეტყობა, არასდროს დავინტერესებულვარ. არც მამაჩემი ყოფილა გატაცებული ხელოვნების ნიმუშების შეგროვებით და, რამდენადაც ვიცი, არც ელენე.

– ელენეს რაც შეეხება, მე არასდროს შემინიშნავს, რომელიმე ძვირად ღირებული ნახატის შეძენით დაინტერესებულიყოს. აუქციონებზე მარტო იმიტომ დავდიოდით, რომ, იმ საზოგადოებაში, რომელსაც მე ვეკუთვნი, ასეა მიღებული. ზოგჯერ ვალდებულიც კი ხარ, ასეთ თავყრილობებზე მიხვიდე.

– ესე იგი, ნახატს დედაჩემისთვის სხვა ღირებულება ჰქონდა და არა მატერიალური, – ნიკუშამ შუბლი მოისრისა.

– ვფიქრობ, რომ ასეა. თუმცა, ეს ჩვენს სიტუაციას ოდნავაც ვერ შველის. არ უნდა მეცადა, ელენესგან იმაზე მეტი გამეგო, რისი გამხელაც მას თავად უნდოდა. კარგი, ჩავალ ქვემოთ და მაგარ ყავას დავლევ.

ნიკუშა მარტო დარჩა. უნებლიედ, ნახატზე ფიქრი აეკვიატა. მართლა არასდროს დაინტერესებულა, როდის ან როგორ აღმოჩნდა ის კედელზე. ახსოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი არც მამამისისთვის ყოფილა.

„თუ მამაჩემმა აჩუქა და ამიტომაც იყო მისთვის ძვირფასი... იქნებ, მამაჩემმა კი არა, იმან... არა, ამაზე ფიქრი არ მინდა. არ ღირს... მაშინ, ვეღარ შევძლებ მარტო ელენეს ფეხზე დადგომით ვიყო დაინტერესებული. ყველაფერი დანარჩენი წვრილმანია ამასთან შედარებით. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე...“

ელენემ თვალები გაახილა. ნიკუშამ ძლივს შეიკავა თავი, რომ სიხარულისგან არ ეყვირა. დედის ხელი ხელისგულში მოიქცია და ნელა მიიტანა ტუჩებთან. ელენემ გაიღიმა და ჩაიჩურჩულა:

– ნიკუშა, საყვარელო... უკვე მოხვედი სკოლიდან? რატომ დაიგვიანე?.. ხომ არ იჩხუბე, დედიკო!.. ასეთი ოფლიანი რატომ ხარ... ისევ ირბინე? გინდა, მამაშენს ვუთხრა? დამპირდი, რომ ასე აღარ მოიქცევი, დედიკო... ახლავე ავდგები და გასადილებ. კატლეტები მოგიმზადე, შენ რომ გიყვარს...

ნიკუშამ გაჭირვებით გადაყლაპა ყელში გაჩრილი ცრემლი და უდიდესი ძალისხმევის ფასად სცადა, შეენარჩუნებინა სიმშვიდე. დედამისის სიტყვები შოკის მომგვრელი და გამაოგნებელი იყო, მაგრამ, მაინც სცადა, ყველაფერი დროებითი აუცილებლობისთვის მიეწერა, რაც დაცემისას მიღებული ტრავმით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. თუმცა ამან მაინც ძალიან

მძიმედ იმოქმედა. გრძნობდა, როგორ უცემდა გული, ესმოდა კიდეც მისი გამალებული ბაგაბუგი...

– ნიკუშა... ავდგები, კარგი? ცოტას დავისვენებ და მოგხედავ...

– არა, დე, იწექი... დაისვენე. მე თვითონ ვისადილებ.

– ჰო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ. ჩემი დიდი და ჭკვიანი ბიჭი... შენი იმედი მაქვს...

ელენემ თვალები ისევ დახუჭა და თითქმის მაშინვე ჩაეძინა. ნიკუშამ სახეზე აიფარა ხელები და ჩუმად აქვითინდა.

***

თინიკო ნერვიულად ათამაშებდა ჩანთის ელვა-შესაკრავს, ტუჩებს იკვნეტდა და დედის ნათქვამზე ფიქრობდა.

– არა. მან ეს არ უნდა იფიქროს. მე ხომ არაფერს ვთხოვ, აბსოლუტურად არაფერს.

– მართალია, შენ არ სთხოვ, მაგრამ, შესაძლოა, იმან სხვანაირად იფიქროს. თანაც, იქ რომ ჩადიხარ, ფაქტები ძალიან ცუდად ემთხვევა ყველაფერს.

– შეიძლება, ემთხვევა, მაგრამ, ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, დედა, შემთხვევით მოხდა!

– ყველას არ სჯერა ასეთი შემთხვევების, მით უმეტეს, როცა საქმე ამხელა ფულს ეხება, – მწუხარებით ჩაილაპარაკა დიანამ.

– დედაშენი სიმართლეს ამბობს, – ოთახში ლევანი ისე მოულოდნელად გამოჩნდა, რომ თინიკომ გაბრაზებაც ვერ მოასწრო. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი, სულ აქ ხომ არ იყო და ჩუმად ხომ არ გვისმენდაო.

– მე შენი აზრი უკვე მოვისმინე რამდენიმე დღის წინ და აღარ მაინტერესებს, – დაუფარავი აგრესიით მიმართა ქმარს და ისევ დიანას მიუბრუნდა, – რა ვქნა, დედა, გადაწყვეტილება უკვე მივიღე და აღარ შევცვლი. მოხდეს, რაც მოსახდენია, ყოველ შემთხვევაში, ჩემსას მაინც ვეცდები.

– ხედავთ? – შეწუხებული სახით მიმართა ლევანმა სიდედრს, – ისე იქცევა, თითქოს მისი მტერი ვიყო. რამდენიმე დღეა, უფრო სწორად, იმის მერე, რაც ეს ამბავი გაიგო, ნორმალურად აღარც კი მელაპარაკება.

– დამნაშავე მე ვარ. გულახდილობისთვის ძალიან ცუდი დრო შევარჩიე, – თქვა დიანამ.

– თავს ნუ იდანაშაულებ, დედა, – ხმა გაიმკაცრა თიკამ, – ლევანს და მე დიდი ხანია, პრობლემები გვაქვს. უბრალოდ, ამაზე არ ვლაპარაკობდით.

ლევანმა ნაძალადევად გაიცინა.

– აბა, რას ამბობ, საყვარელო? დედაშენს ეგონება, რომ ჩვენ შორის რაღაც უთანხმოებაა და ყოველდღე ვჩხუბობთ.

თიკამ დაუფარავი ირონიით შეხედა ქმარს და ჩაიცინა. ლევანი გაწითლდა და უხერხულად შეიშმუშნა. დიანა შეწუხდა.

– ბავშვებო, არ მინდა, ჩემ გამო უსიამოვნებები გქონდეთ. ნეტავი, საერთოდ არაფერი მეთქვა, კიდევ შემენახა ჩემი საიდუმლო, ისე, როგორც აქამდე ვინახავდი, მაგრამ, ვიფიქრე, რომ...

– ძალიან არასწორად იფიქრეთ და, სხვათა შორის, საერთოდ არ გაითვალისწინეთ, ჩვენ რა რეაქცია გვექნებოდა ამაზე, – ვეღარ მოითმინა ლევანმა.

– დედაჩემს წესიერად ელაპარაკე! – გაბრაზდა თიკა, – ძალიან კარგი ქნა, რომ ყველაფერი გაგვიმხილა.

– ჰო, რა თქმა უნდა. თვითონ მოიხსნა გულიდან ლოდი და ჩვენ აგვკიდა... კარგია, რატომაც არა?! ასე გაცილებით მარტივიც არის და შეგიძლიათ, მომხდარზე ხელებიც დაიბანოთ. იმაზე მაინც თუ გიფიქრიათ, თუ წარმოგიდგენიათ მაინც, თქვენს მეუღლეს რა რეაქცია ექნება, ამას რომ გაიგებს?

– მამაჩემს გულისხმობ? – გაოცებით იკითხა თიკამ.

– დიახ. ეგრეთ წოდებულ მამაშენს. რას მიყურებ? იქნებ უკვე აღარ არის მამაშენი? ან, იქნებ, მიგაჩნია, რომ ეს კაცი უკვე აღარ არის სათვალავში ჩასაგდები?

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ და, საერთოდ, ხომ შევთანხმდით, რომ ჩემი ოჯახის საქმეებზე არ ვილაპარაკებდით?

– არაფერზე არ შევთანხმებულვართ და ნუ დაგავიწყდება, რომ მე შენი ქმარი ვარ. არსადაც არ გაგიშვებ. უფრო სწორად, მარტოს არსად გაგიშვებ, მეც წამოვალ!

თინიკომ ჩანთის შესაკრავს თავი ანება და ლევანს ბრაზით შეხედა:

– გეყოფა! მე დღეს გამთენიისას მივემგზავრები, უფრო სწორად, ხვალ გამთენიისას. ბილეთის აღებასაც ვერ მოასწრებ.

– ჩემთვის ეგ პრობლემა არ არის. უკვე დავრეკე აეროპორტში და ბილეთს იქვე დამახვედრებენ. ასე რომ, ჩემთვისაც მოგიწევს ჩანთის ჩალაგება.

დიანამ შვებით ამოისუნთქა:

– რა კარგია. გმადლობ, შვილო. ახლა იმედიანად ვიქნები. ძალიან ვნერვიულობდი, მარტო რომ მიდიოდა.

– არ მინდა, რომ წამოვიდეს, – თქვა მოულოდნელად თიკამ. ნირწამხდარმა ლევანმა სიდედრს შეხედა და ხელები გაშალა.

– აჰა, ისევ... უკვე აღარ ვიცი, რა გავაკეთო. თინიკო, დედაშენს მაინც უთხარი, რა გინდა, რას მოითხოვ ჩემგან? ყველა საქმე გადავდე, ფაქტობრივად, გამოვიპარე და, არ ვიცი, ეს საქციელი რად დამიჯდება. შენ კი მაინც უკმაყოფილო ხარ.

– მე მსხვერპლი არ მჭირდება. მით უმეტეს, შენგან. როგორმე გზასაც გავიგნებ და საქმესაც გავაკეთებ!

– ესე იგი, არ გინდა, რომ წამოვიდე?

– არა!

– რატომ, თინი, რატომ არ გინდა?

– იმიტომ, რომ, ვიცი, ამას რაც მოჰყვება: გაჩნდებიან ჟურნალისტები, წამოვა უაზრო შეკითხვების კორიანტელი და ნერვები ორივეს მოგვეშლება. გაცილებით ჯობია, მარტო გავემგზავრო.

ლევანმა სიდედრს გადახედა:

– არა, შეხედეთ ერთი! ვერ ვიგებ, რისთვის მეჯიუტება ასე.

დიანა ადგა.

– აჯობებს, მე სახლში წავიდე, უჩემოდ უფრო მშვიდად დაილაპარაკებთ და გადაწყვეტილებასაც უჩემოდ მიიღებთ. არ მინდა, თქვენს საქმეში ჩავერიო.

ლევანს უნდოდა ეთქვა, თქვენ უკვე ჩაერიეთ, თანაც, საკმაოდ ცუდადო, მაგრამ ცოლთან სიტუაციის გამწვავებას მოერიდა. თუმცა, დიანაზე ძალიან იყო გაბრაზებული.

– დედა, არ წახვიდე! ზუკა შენ უნდა დაგიტოვო. ბავშვი მარტო ვერ იქნება. მალე მოვა, გაკვეთილზეა ესპანურის მასწავლებელთან და ტაქსით გაგიშვებთ ორივეს.

– მე თვითონ წავიყვან. ისე, ხომ არ გირჩევნიათ, აქ იყოთ ბავშვთან ერთად?

– არა, ზურაბს არ უყვარს, როცა სხვაგან ვრჩები.

ლევანმა ჩაიღიმა. „არ უყვარს, როცა სხვაგან რჩება, – გაიმეორა გუნებაში და ლამის ხმამაღლა გადაიხარხარა, რა მაგარია, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მკაცრი ქმარი, რომელსაც მთელი ოჯახი მუჭში ჰყავს მოქცეული. სინამდვილეში კი...“

– სამზარეულოში ვიქნები. რამეს მოგიმზადებთ. ხომ ივახშმებთ?

დიანა ოთახიდან ისე გავიდა, პასუხს არ დალოდებია. ლევანმა ცოტა მოიცადა და რომ დარწმუნდა, სიდედრი მის ნათქვამს ვერ გაიგონებდა, თიკას ჰკითხა:

– შენ, რა, მართლა არ გინდა, რომ წამოვიდე?

თინიკომ არ უპასუხა. ჩანთას დაეჯაჯგურა, რომ საწოლიდან იატაკზე დაედო, კაცმა სწრაფად შეაშველა ხელი.

– აბა, რას აკეთებ, თინიკო? შენ გეუბნები, რატომ იქცევი ასე? შენ გამო ყველა საქმე გადავდე და მოგყვები, მართლა.

– მერე, რატომ? მე გთხოვე? რამდენადაც მახსოვს, არ მითხოვია...

– თინი, ვფიქრობდი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება უშენოდ და შემეშინდა.

თინიკომ გაიცინა:

– გეყოფა, სულერთია, გულს ვერ მომილბობ.

– ეგ არაფერში მჭირდება. ის გითხარი, რაც გავიფიქრე და რასაც ვგრძნობ. შენი უფლებაა, არ დამიჯერო.

– დაგიჯერებდი, შენ რომ ჩემი ცოტათი მაინც გესმოდეს.

– მესმის და მაგას „დედისერთების სინდრომი“ ჰქვია. მართალია, ყველა დედისერთას არ აწუხებს ის ფაქტი, რომ მარტოა, მაგრამ შენნაირებიც გამოერევიან ხოლმე. ამიტომ არ მიკვირს, დედაშენის „აღიარებითმა ჩვენებამ“ ასე რომ გაგახარა, მაგრამ მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს და ძალიან მინდა, იმ მეორე მხარესაც დახედო. თინი, გთხოვ...

თინიკო ჩუმად უსმენდა ქმარს. მის თითოეულ სიტყვას წონიდა და ნელ-ნელა ყოყმანი დაეტყო. ლევანს იმედი მიეცა, რომ ცოლის დარწმუნებას შეძლებდა და იმავე პათოსით განაგრძო.

– ერთი წუთით დაფიქრდი და შეეცადე, შენ ადგილას სხვა ადამიანი წარმოიდგინო, ნებისმიერი სხვა და შენ უცხო თვალით განსაჯე. რას იტყოდი? მითხარი, ოღონდ გულახდილად, ძალიან გთხოვ.

– ალბათ, არ მომეწონებოდა, – უხალისოდ ჩაილაპარაკა თინამ.

– რა არ მოგეწონებოდა? – ჩააცივდა ლევანი.

– არ მომეწონებოდა „ახალგამოჩეკილი“ ნათესავების სიახლოვე, მაგრამ, ლევან...

– მოიცა, შენ უკვე თქვი მთავარი. ახლა, ისე მოიქეცი, როგორც შენი გული გიკარნახებს. ოღონდ, მარტო ვერ გაგიშვებ შევთანხმდეთ ამაზე. თან, მინდა, მოგამზადო იმისთვის, რომ, შესაძლებელია, ნიკუშამ იმედი გაგიცრუოს.

– ნიკუშა ყველაფერს სწორად გაიგებს, – უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად თქვა თინიკომ.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასეც იქნება, მაგრამ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შენ კი ახლა ყველაზე მეტად შვილზე უნდა იფიქრო, ჩვენს შვილზე.

– ჰო. მართალი ხარ. ჯანდაბა... იმ ნახატზე საერთოდ არ მიფიქრია, არც ფულზე. შენ ხომ მაინც იცი, რომ ფული არაფერში მჭირდება, ჩემიც საკმარისზე მეტი მაქვს.

– ვიცი, მაგრამ, შენ ერთი, პატარა და თითქოს უმნიშვნელო დეტალი გავიწყდება.

თინიკომ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო ქმარს. ლევანმა თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია. თინიკო შეწუხდა.

– მითხარი, რას გულისხმობ, რა დეტალი დამავიწყდა?

– მამაშენის ფაქტორი...

– მამაჩემის ფაქტორი?

– ჰო. ბატონი ზურაბი. მართალია, დაბერდა და ბრჭყალებიც ისე აღარ უჭრის, როგორც უწინ, მაგრამ, იმდენს მაინც შეძლებს, შენ და დედაშენი მშრალზე დაგტოვოთ, ჩემთვის სრულიად გასაგები და ბუნებრივი მიზეზების გამო.

– ზურაბს უფლება არ აქვს, ურთიერთობა დამიშალოს ან ამიკრძალოს ჩემს ყველაზე ახლობელ ადამიანთან.

– აჯობებს, ზურაბმა დიდხანს არ გაიგოს სიმართლე, თორემ, რისი უფლებაც აქვს, დაგანახვებს.

– ეს უსამართლობაა! – აღშფოთდა თინიკო

– გეთანხმები, მაგრამ, თვითონ ცხოვრებაა უსამართლო. ამიტომ, დედაშენი გააფრთხილე, მეტისმეტი გულახდილობა ნუ მოუნდება, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ქუჩაში, ღია ცისქვეშ აღმოჩნდეს.

– არც ისეა საქმე, როგორც შენ ამბობ. დედაჩემი მისი კანონიერი ცოლია. ასე ვერ მოიქცევა.

– შენ მაინც გააფრთხილე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. შენთვისაც ასე აჯობებს და იმ ადამიანისთვისაც, ამ თქვენი ახალი ამბით მალე შოკში რომ ჩააგდებთ.

– მე ფული არ მაინტერესებს, – გაიმეორა თინიკომ.

– ეს ნიკუშას აუხსენი. მე ვიცი, იმიტომ, რომ გიცნობ, იმან კი მხოლოდ ახლა უნდა გაგიცნოს.

– ნიკუშას გაუხარდება ეს ამბავი... დარწმუნებული ვარ, – თავი ჯიუტად დააქნია თინიკომ.

– სხვა რა გზა გაქვს. შენ მაინც დარწმუნებული უნდა იყო, თორემ, როგორ გინდა, მიხვიდე კაცთან და უთხრა, – გამარჯობა, მე შენი და ვარ! ჩემთან რომ ასე მოვიდეს ვინმე...

– რას იზამ? ჰო, რას იზამ? გარეთ გააგდებ?!

– ძალიან რბილად, რომ ვთქვა, სწორედ ასე მოვიქცევი. თუმცა, ზუსტად არ ვიცი, იმ მომენტში რა ჭკუაზე დავდგები. არ გამოვრიცხავ, რომ კიბეზეც დავაგორო. ამას ისიც დაუმატე, რა ურთიერთობა ჰქონდა მამიკო ზურაბს დედამისთან და...

თინიკომ მოიწყინა.

– მშობლების შეცდომებზე შვილებმა პასუხი არ უნდა აგონ, ასე არ შეიძლება.

– ჰო, არ შეიძლება. მაგრამ, რეალურად, სწორედ შვილები აგებენ ხოლმე პასუხს. ასე რომ, შეეგუე იმ აზრს, რომ, შესაძლებელია, ნიკუშამ ზურგი შეგაქციოს. მიუხედავად იმისა, რომ

ვიცნობ და ვიცი, საკმაოდ ჩვილი გული აქვს, მაგრამ, შენს სიტუაციას ძალიან ამძიმებს ნახატის ამბავი.

– ჯანდაბა! ეგ ნახატი ჩვენი ბედისწერასავით არის. ხომ დაიკარგა?!

– ჰო, და, უამრავი ეჭვიც გააჩინა, მაგრამ რადგან უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, გავემგზავროთ, მოხდეს, რაც მოსახდენია. ბოლოს და ბოლოს, თუკი არ მიგვიღებს, ის მაინც ჩემი ცოლის ძმაა და ამ ფაქტს ვერც მე გავექცევი, ვერც ნიკუშა. ოჰ, დიანა, დიანა, მაგარი სიურპრიზი მოგვიწყვე!..

– გეხვეწები, დედაჩემზე ცუდი არაფერი თქვა, ისედაც მკვდარია ქალი...

– ო, აბა?! მე კი მეგონა, სულაც არ აწუხებს სინდისი მომხდარის გამო.

– ლევან! – ცრემლნარევი ტონით შესძახა თინიკომ.

– ჰო, კარგი, ჩუმად ვარ. რა უფლება მაქს, სხვა ადამიანის მორალსა და ზნეობაზე ვიმსჯელო! იცი, ახლა რა ვქნათ? – ლევანმა ცოლს მხარზე მოხვია ხელი და მკერდზე მიიკრა, სამზარეულოში გავიდეთ და ვნახოთ, დედიკომ რა მოგვიმზადა. ჩემი პატარა, საწყალი გოგო... როგორ დამეჩაგრა...

– ლევან, არ გინდა, თორემ ავბღავლდები... წარმოიდგინე, ამდენი წელი ძმა მყავდა და არ ვიცოდი. თანაც, რაც შენი ცოლი ვარ, სულ ჩემ ცხვირწინ ტრიალებს.

– აბა, მეც მაგაზე ვფიქრობ, რაც ეს ამბავი გავიგე, ჩემს თავს ვეკითხები, სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი. უკვე მეშინია, კიდევ რამე ისეთი არ გაირკვეს, რაც საერთოდ გულს გამიხეთქავს...

თინიკო ლოყით მხარზე მიეხუტა ქმარს, მერე ორივე ხელი წელზე შემოხვია და სახე მის მკერდში ჩამალა. ლევანს შიგნით რაღაც გაულღვა, ცოლს თვითონაც მაგრად მოჰხვია ხელი და საკუთარი თავის შერცხვა იმ გულგრილობის გამო, რითაც არაერთხელ აუტირებია თინიკო... „მასზე ძალიან, ალბათ, არასოდეს არავის ვეყვარები. ბავშვივით მენდობა და სჯერა ჩემი. თუ ამ ერთგულებასა და მორჩილებას ვერ დავინახავ, ბრმა და სულელზე სულელი

ვიქნები. ბრმა გულით მაინც ხედავს და, შეიძლება, ამიტომაც, ბრმები არასდროს ცდებიან ადამიანებში. ამ ქალს ვუყვარვარ და ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ ეს დიდი გრძნობა ქარს არ გავატანო. მარტო დარჩენის შიში კარგი მრჩეველი ყოფილა. თინიკო და ჩემი შვილი ყოველთვის ჩემ გვერდით იქნებიან. ამ ორ არსებას არაფრით არ დავთმობ. თუნდაც ყველაზე დიდი და წარმოუდგენელი ტყუილის თქმა დამჭირდეს“...

– რაზე ფიქრობ? – წასჩურჩულა თინიკომ და ტუჩები ყურზე მიადო. ლევანს შეაჟრჟოლა.

– იმაზე, რომ მერჩივნა, დედაშენი სამზარეულოში კი არა, სადმე უფრო შორს ყოფილიყო, ძალიან შორს, მაშინ ისე მოგეფერებოდი, როგორც არასოდეს მოგფერებივარ.

თინიკომ ბედნიერებისგან გაიცინა.

– არ ვიცი, რა არის ამ ცვლილების მიზეზი, მაგრამ, ფაქტია, რომ მე ის ძალიან, ძალიან მომწონს... – ქალმა მეტი ვერაფრის თქმა მოასწრო. ლევანის ტუჩებმა არ მისცა ამის საშუალება, მისი ტუჩები მოძებნა და სიტყვები კოცნით ჩაახშო...

***

ზურაბი გრძნობდა, რომ მის მიერ აგურ-აგურ ნაშენებ იმპერიას საძირკველი შეერყა და მალე თავზე დაემხობოდა. სიტუაციის მართვის სადავეებიც ხელიდან ეცლებოდა. მის სახლში რაღაც უცნაური ხდებოდა და ის ამას ახსნას ვერ უძებნიდა. ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსში იყო. ყოველთვის იცოდა, რას აკეთებდა, რით სუნთქავდა მისი ცოლ-შვილი. მოსწონდა, თვალშისაცემი პატივისცემითა და რიდით რომ ეპყრობოდნენ. თავს ყველაფრის ბატონ-პატრონად გრძნობდა და ეს თავდაჯერებულობას ჰმატებდა. დარწმუნებული იყო, რომ ვერც ცოლი და ვერც შვილი მის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ. როცა თინიკო პირველად გათხოვდა, ზურაბმა ერთი შეხედვით შეაფასა სიძე და საშინლად არ მოეწონა. იმაში, რომ თიკა თავის პირველ მეუღლეს დაშორდა, ლომის წილი ზურაბს მიუძღვოდა. „მაგას მარტო ჩემი ფული აინტერესებს!“ – ბობოქრობდა ცოლთან, – „დარწმუნებულია, რომ არხეინად წამოგორებული, თავის დამპალ ვენებში გაუშვებს ჩემს ტანჯვით ნაშოვნ ქონებას და ამაში ხელს არავინ შეუშლის, მაგრამ, ვერ მივართვი! დავანახვებ, რომ ანგარიშში მოტყუვდა. დავაჭერინებ და ციხეში, ნარზე ამოვალპობ. იდიოტი! ერთი თიკამ იმშობიაროს! არ მინდა, ბავშვი ზედმეტად ვანერვიულო, მერე მე ვიც!..“ მალე თინიკოს ქმარი ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის დაიჭირეს და სასჯელი კანონის მთელი სიმკაცრით მიუსაჯეს, ყოვლისშემძლე სიმამრის ხელშეწყობით, რა თქმა უნდა. „უსამართლოდ“

დაპატიმრებულმა და დასჯილმა, ცოლისა და ახალდაბადებული შვილის ნახვა არ მოინდომა. ნაწყენი იყო, საყვარელმა ქალმა ასე როგორ გამიმეტაო და, ამ წყენის დავიწყებას, ისევ ოჯახის დავიწყება არჩია. თინიკომ ცოტა ინერვიულა (ბევრი რომ არ ენერვიულა, ზურაბმა ყველაფერი გააკეთა ამისთვის), მერე ევროპა მოიარა, დარწმუნდა, რომ ცუდი ქმრის ყოლას ისევ უქმრობა და ზურაბისნაირი მამის ფრთის ქვეშ უდარდელად ცხოვრება ჯობდა და, გადაწყვიტა, ყველაფერი თავიდან დაეწყო... ლევანითაც არ აღფრთოვანებულა ბატონი ზურაბი. როცა შვილის ახალი რჩეული ნახა, თავისი აღშფოთება ცოლს დაატეხა თავზე რისხვად:

– „გამაგებინე, ერთი, სად პოულობს შენი შვილი ასეთ მათხოვრებს? ის უსაქმური ძლივს მოვიშორე თავიდან და ახლა ეს მომითრია! მადლობა ღმერთს, რომ ეს ნარკომანი მაინც არ არის, ესეც შეღავათია. თუ „წვრთნას“ დაემორჩილა, კაცად ვაქცევ. ჯანდაბა, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი როგორ უნდა იყოს? ისე, ალღო ჰქონია, რას ერჩი“!..

ზურაბი მალე მიხვდა, რომ ახალ სიძეს იმაზე მეტი ალღო ჰქონდა, ვიდრე წარმოიდგენდა. მალე სიძე-სიმამრი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. უკან დახევას არც ერთი არ აპირებდა, თუმცა, ზურაბი გარემოებამ აიძულა, ჩრდილში გადასულიყო. მაგრამ, იმის გაფიქრება, რომ მხოლოდ სიძის დამსახურებით შერჩა და ეპატია რაღაც-რაღაცეები, აცოფებდა. “ლაწირაკი. მაგისი ბრალია, რომ აღარც ცოლი მემორჩილება და აღარც შვილი, ორივე ჩემს წინააღმდეგ აამხედრა! დიანა მაინც როგორ ბედავს, ჩემგან დამალული ჰქონდეს რამე და ის აკეთოს, რაც მოუნდება?! ახლაც ისე წავიდა, არაფერი უთქვამს და სად დაწანწალებს, არც ვიცი. მობილურიც არ წაუღია, რომ ზედმეტი შეკითხვებით არ შევაწუხო. დარწმუნებული ვარ, საყვარელ სიძე-ქალიშვილს ესტუმრა“, გაღიზიანებული ზურაბი ბოლთას სცემდა ოთახში და გალიაში გამომწყვდეული ლომივით ბდღვინავდა. მერე სავარძელში ჩაჯდა და, ის იყო, თავის საყვარელ სიგარას მოუკიდა, რომ დიანამაც შემოაღო კარი.

– არ მოწიო, შენთვის არ შეიძლება, – თქვა მშვიდად, როცა ქმრის ხელში სიგარა დაინახა და ჩანთა იქვე, კომოდზე დადო.

ზურაბი უარესად გააგიჟა მისმა სიმშვიდემ.

– სად ბრძანდებოდი, ქალბატონო? გაიღებ მოწყალებას და მეტყვი, თუ ჩემით უნდა მივხვდე?

– შენთვის რამე მნიშვნელობა აქვს? დავუშვათ, თიკასთან ვიყავი.

ზურაბს ნერვებმა უმტყუნა და იყვირა.

– დავუშვათ კი არა, სად იყავი-მეთქი! თუ შეგნებულად ცდილობ, ჭკუიდან გადამიყვანო?

– ნუ ღრიალებ, ზუკა მოდის და არ შეაშინო ბავშვი.

შვილიშვილის ხსენებაზე ზურაბი დაცხრა. სეხნია შვილიშვილი ერთადერთი ნათელი სხივი იყო მის ცხოვრებაში და ერთადერთი არსება, ვინც მართლა უყვარდა.

– ოჰო, მოწყალება გაიღეს და გამოგატანეს? – ირონიით სცადა ამ ამბით გამოწვეული სიხარულის დაფარვა, – რა მოხდა, ჩემი უსინდისო ქალიშვილი სინდისმა შეაწუხა?

– მასზე ასე ნუ ლაპარაკობ! თინიკო უსინდისო არ არის.

– აბა, რა არის? ამდენი ამაგი წყალში გადამიყარა! ქმარი ურჩევნია მშობელ მამას! იმისი სჯერა და ჩემი არა. ვინ გაამართლებს? მხოლოდ შენ, დედამისი.

– თიკა ორსულად არის, ხმადაბლა ჩაილაპარაკა დიანამ. ზურაბს არც სიხარული გამოუხატავს, არც რაიმე მსგავსი ემოცია.

– ნუთუ შენთვის სულერთია? შენს შვილიშვილზე გელაპარაკები.

– მე უკვე მყავს შვილიშვილი, რომელიც ჩემს გვარს ატარებს და ჩემი გენის გამგრძელებელი იქნება. იქნებ ამ ბავშვმა მაინც გამიმართლოს, თორემ, გარს მარტო უმადურები მახვევია. წარმომიდგენია, ლევანი ჩემ მიმართ როგორი სიძულვილით გაზრდის თავის ლაწირაკს! რა გასაკვირია, რომ არ მაინტერესებს მისი ნაბიჭვარი.

– ნამდვილი ურჩხული ხარ! – აღმოხდა ქალს. – ფრთხილად იყავი, საკუთარ შხამში არ დაიხრჩო.

ზურაბმა გაიცინა და ოთახში შემოსული შვილიშვილის შესახვედრად გაშალა ხელები.

– მოდი, ბაბუ, მოდი, გენაცვალე! როგორ მომენატრე, ბაბუ. ხვალ სანადიროდ წავიდეთ. ხომ დარჩები?

– დავრჩები. სახლში მაინც არავინ არის. დედაჩემს არც კი უთქვამს, როდის აპირებენ ის და ლევანი საფრანგეთიდან დაბრუნებას. ისევ მომატყუეს და არ წამიყვანეს. მე მაღლა ავალ, კარგი?

ზურაბს სახე მოექცა. შვილიშვილის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და ცოლს ბოროტად შეხედა:

– ლევანი და თინიკო საფრანგეთში გაემგზავრნენ და ეს არ მითხარი?

– ჰო, მიდიან. ლევანს რაღაც საქმე აქვს და თინიკოც მიჰყავს.

– ცრუობ! ძალიან კარგად იცი, რისთვისაც მიდიან. ხომ ვამბობდი, იმ ნახატის გაქრობაში მაგ ნაბიჭვრის ხელი ურევია-მეთქი! ჩვენი გველის წიწილიც ყველანაირად ეხმარება. მაგრამ შენ, შენ რა ინტერესი გაქვს?

– ტყუილად ბობოქრობ. შენი უბედურება ის არის, რომ ყველაფერს შენი გადმოსახედიდან აფასებ. თიკასა და ლევანის გამგზავრებას ნახატთან კავშირი არა აქვს, შეგიძლია, დამიჯერო.

– შენ დაგიჯერო? დავუჯერო ქალს, რომელიც მთელი ცხოვრება მუთაქასავით უსარგებლო ტვირთად მკიდია ზურგზე და ნერვებს მიჭამს, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ? ერთი რამე გევალებოდა, ერთადერთი – შვილი გაგეზარდა ნორმალურად და ესეც ვერ შეძელი. მამის სიყვარულიც კი ვერ ასწავლე, სხვა რამეზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჯერ იმ ნარკომანს გადაეკიდა, ლევანზე ხომ ლაპარაკიც არ მინდა... მოღალატე!..

– ლევანი ძალიან კარგი ბიჭია. შენ რა უფლება გაქვს, ადამიანის დადებითზე, ან უარყოფითზე ილაპარაკო?

ზურაბი ცოლს აღარ უსმენდა, წამოხტა და გადარეულივით სცემდა ოთახში ბოლთას.

– დავუშვათ, მართლა ლევანმა მოაპარვინა ის ნახატი, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? – ჰკითხა დიანამ.

– ბატის ტვინი რომ არ გედოს მაგ თავში და სულ ცოტათი მაინც რომ აზროვნებდე, მიხვდებოდი, რომ მე ჩემს შვილიშვილზე ვზრუნავ. ჩვენს შვილიშვილზე, რომელსაც საყვარელი მამინაცვალი მშრალზე დასვამს, ერთ ლარსაც კი არ მისცემს. მით უმეტეს, ახლა, როცა საკუთარი შვილი გაუჩნდება. ზუკას ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს, რასაც ლევანი ვერასოდეს შეეგუება.

დიანა ქმარს მიაშტერდა და მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა:

– ასეთი დარწმუნებულიც ნუ იქნები სისხლის თაობაზე, საყვარელო...

ადამიანები უცნაურად ვცდილობთ, კომფორტი შევუქმნათ საკუთარ თავს. მაგალითად, ვიჯერებთ იმას, რისი დაჯერებაც ჩვენ თავად გვსურს და ჯიუტად არ ვაღიარებთ რეალობას, მაშინაც კი, როცა ის პირდაპირ სახეში მოგვჩერებია. შეიძლება, გვგონია, რომ ასე ცხოვრება გაცილებით მარტივია, მაგრამ, გვავიწყდება, რომ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დგება ჟამი გამოფხიზლებისა და დაგვიანებით აღქმული რეალობა კიდევ უფრო მწარე და მტკივნეულია. მიუხედავად იმისა, რომ ესეც ვიცით, მაინც სირაქლემის პოზაში ყოფნა გვირჩევნია – ასე უფრო მარტივია!..

***

დიანა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ქმარი აუცილებლად მოსთხოვდა, აეხსნა, რას გულისხმობდა სიტყვებში „სისხლის თაობაზე ასეთი დარწმუნებული ნუ იქნებიო“, მაგრამ ზურაბმა ყურადღება არ მიაქცია ორაზროვნად ნათქვამ ფრაზას. მან ან კარგად ვერ გაიგონა ცოლის სიტყვები, ან მათში მიმალულ ჭეშმარიტ არსს ვერ ჩასწვდა. ყოველ შემთხვევაში, ქალისთვის არაფერი უკითხავს, მხოლოდ ხელი აუქნია და ზიზღით ჩაილაპარაკა:

– კარგი, წადი! ყოველთვის ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა, შენი იმედი მქონოდა, არასდროს და არაფერში! ელემენტარული თანადგომაც კი არ შეგიძლია!

– იქნებ, შენ არ იმსახურებ ამ „ელემენტარულ თანადგომას“?! – გამოაჯავრა ცოლმა, – ნურასოდეს მოითხოვ იმას, რისი მიცემაც თავად არ შეგიძლია.

ზურაბი დაიჭყანა:

– არ გინდა. განსაკუთრებული ჭკუით არასდროს გამოირჩეოდი. მგონი, არც გქონდა ამის პრეტენზია. ამდენი წელია, ჩემი ცოლი ხარ და ყოველთვის უცხო იყავი, ჩემზე გული არასდროს შეგტკიოდა. სამაგიეროდ, კმაყოფილი სახითა და ღირსებით სარგებლობდი ყველა იმ სიკეთით, რომლებსაც მე გიქმნიდი.

– ნუ მაყვედრი „სიკეთეებს“, თითსაც არ გაანძრევდი ჩემთვის, მამაჩემი რომ არა და, კიდევ, საკუთარი პატივმოყვარეობა და სხვებზე უკეთესობის დამტკიცების სურვილი. იცი, რა კარგად გიცნობ?! თვითონ არ იცნობ საკუთარ თავს ისე, როგორც მე.

– მერე, რატომ ერთხელაც არაფერი გითქვამს?

– რა უნდა მეთქვა, შენ ხომ ეს არაფერში არ გჭირდებოდა?! ერთხელაც არ გიკითხავს ჩემი აზრი.

– იმიტომ, რომ, ვფიქრობდი, ჩრდილში ყოფნა გერჩივნა.

– მე?! ჰმ! – ქალმა გაიცინა, – საინტერესოა, საიდან გააკეთე ასეთი დასკვნა, რის საფუძველზე. თუმცა, შენ ხომ ყოველთვის საკუთარი პრინციპებითა და მოსაზრებებით ხელმძღვანელობდი. არ გაინტერესებდა სინამდვილეში რას ფიქრობდნენ ან რას განიცდიდნენ სხვები. მაგალითად, შენ ისიც კი არ იცი, რომ მე იმ ქალის შესახებ ყოველთვის ყველაფერი ვიცოდი.

ზურაბმა თავი ასწია. დიანას სერიოზული სახე ჰქონდა და თავიც ისე ეჭირა, კაცი დაიბნა.

– რომელ ქალს გულისხმობ?

– ეტყობა, უნდა დაგიკონკრეტო – შენ ხომ ქალების ნაკლებობას არასდროს უჩიოდი, მაგრამ ის ერთი ყოველთვის სხვებზე გამორჩეული გყავდა. ნუთუ მართლა გიყვარდა, ნუთუ შენ სიყვარული შეგიძლია?

ზურაბმა აკანკალებული ხელით სიგარას მოუკიდა:

– რა თქმა უნდა, შემიძლია, ამაში ეჭვი რატომ გეპარება?

– იმიტომ, რომ არ შემიმჩნევია, ვინმესთვის ზედმეტად დახარჯულიყავი.

– უსამართლო ნუ ხარ. ჩემს შვილზე და, მით უმეტეს, შვილიშვილზე ვგიჟდები. შვილი არ იმსახურებდა თურმე ამას, მაგრამ, ძალიან გვიან მივხვდი. იქნებ, ზუკამ მაინც არ გადამიყაროს წყალში ამაგი.

დიანამ გაიცინა.

– რა გაცინებს?

– შენ ხარ სასაცილო. ძალიან კარგად მიხვდი, რომელ ქალსაც ვგულისხმობდი, მაგრამ შეგნებულად შეცვალე საუბრის თემა. იცი? ამდენი წელი ვდუმდი, მაგრამ, ახლა მინდა, ყველაფერი მოგახალო, ეს ჩემი შურისძიება იქნება.

– შურისძიება რისთვის?

– იმისთვის, რომ ადამიანად არასდროს მიგაჩნდი. თითქოს ვარსებობდი და არც ვარსებობდი. შენს ლოგინში ვიწექი და მაინც სიცარიელე ვიყავი.

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! – ვეღარ მოითმინა კაცმა.

– ეს სისულელე კი არა, რეალობაა. ჩემ გვერდით იწექი და მაინც იმ ქალზე ფიქრობდი. იმაზე ოცნებობდი, მე კი ცრემლებად ვიღვრებოდი.

– დიანა, გეყოფა! ეს რა აბსურდია?!

– აბსურდია? იცი, რამდენჯერ დაგიძახია ჩემთვის მისი სახელი? „ელენე, ელენე“!.. თანაც ქორწინების პირველ დღეებში.

ზურაბი შესამჩნევად გაფითრდა:

– შენ რა იცი ელენეს შესახებ?

– ვიცი. იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. ნანახიც მყავს და მაშინვე მივხვდი, რომ ის იყო. შენი სახის გამომეტყველებით მივხვდი. ალბათ, მართლა სულელი გეგონე. დარწმუნებული იყავი, რომ ვერაფერს ვხვდებოდი. ძალიან შეცდი, ძვირფასო. შენ წარმოდგენა არ გაქვს, რისი ჩადენა შეუძლია შეურაცხყოფილ ქალს, თუნდაც ყველაზე მშვიდსა და მოკრძალებულს. მამაკაცების უმრავლესობამ არ იცის ეს და ამიტომაც უშვებენ საბედისწერო შეცდომებს.

– დიანა, ახლა უკვე მაშინებ. სერიოზულად გეუბნები, გაჩუმდი, ძალიან გთხოვ. წადი, ბავშვს მიხედე, რძე დაალევინე ან ჩაი მიუტანე... მოკლედ, სულერთია, ოღონდ გაჩუმდი.

– ვერ გავჩუმდები. ძლივს გავბედე და ახლა ვეღარ გავჩუმდები. დამიჯერე, დუმილი გაცილებით ძნელი იყო. ახლა არც მეშინია და არც ის მადარდებს, რა იქნება იმის მერე, როცა ყველაფერს გეტყვი.

ზურაბმა ხელები გაშალა და სასოწარკვეთით ამოიოხრა:

– კარგი, მითხარი, რისი თქმა გინდა.

დიანამ ქმარს გამომწვევად შეხედა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მკაფიოდ წარმოთქვა:

– თინიკო შენი შვილი არ არის.

ზურაბი გაშრა. გაშტერდა და ერთხანს ასე იყო. მერე კი ისტერიკული სიცილი აუტყდა.

– ტყუილად იცინი. არ ვხუმრობ, თინიკო შენი შვილი არ არის, – გაიმეორა დიანამ და გულზე ხელები დაიკრიფა. ზურაბი მიხვდა, რომ ცოლი მართალს ამბობდა. უფრო ინტუიციამ უკარნახა, რომ მის სიტყვებში ეჭვი არ უნდა შეპარვოდა.

– შენ, მგონი, გაგიჟდი, – აღმოხდა გაოგნებულს, – იცი, კი მაინც, რას ამბობ?

– ვიცი. თინიკო შენი შვილი არ არის. მამამისი...

– გაჩუმდი, არაფერი თქვა! – შეჰყვირა ზურაბმა, – მგონი, უკვე ვხვდები, რაც უნდა მითხრა, ვისი ვინაობაც უნდა დაასახელო, მაგრამ მე არ მჯერა ამის, არ მჯერა!

– შენი ნებაა, ნუ დაიჯერებ, მაგრამ ისიც იცოდე, რომ მე არასდროს ვტყუი. აქამდე იმიტომ ვდუმდი, რომ არ მინდოდა, თინიკოს პრობლემები შექმნოდა. ახლა მას პატრონი ჰყავს და ვერაფერს დაუშავებ. თანაც, არც ისეთი ურჩხული მგონიხარ...

– დიანა, გაჩუმდი! გაჩუმდი, თორემ, ჩემს საქციელზე პასუხს ვეღარ ვაგებ. შენ მე მატყუებ, უსინდისოდ მატყუებ და ცდილობ, გამამწარო. ჩემს ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხე, მაგრამ არაფერი გამოგივა, შენს ანკესზე არ წამოვეგები, სასაცილო ხარ, დიანა. ისე, შენგან უკეთესს არაფერს ველოდი. ჩემზე შურის საძიებლად იაფფასიანი, ბანალური მეთოდი აირჩიე.

– მე სიმართლე გითხარი. ახლა უკვე შენი ნებაა...

ზურაბმა გააფთრებით მოსრისა ხელში სიგარა, კედელს მიანარცხა და მთელი ხმით იბღავლა:

– მძულხარ! დიანა... მძულხარ!..

***

დაუჯერებლობის დამაჯერებლობაზე ვსაუბრობდით, თუ პირიქით – დამაჯერებლის არდაჯერებაზე. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ ადამიანებს აშკარად გვაქვს თვითგანადგურების იშვიათი ნიჭი. მატლსაც კი შეუძლია, მოკვეთილი სხეული აღიდგინოს და გააგრძელოს ცხოვრება. ადამიანები კი ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად მივილტვით იქით, საითაც გზა აღარ არის და პირდაპირ უფსკრულში ვიჩეხებით. დიახ, ხშირად კისერსაც ვიტეხთ და მერე ვცდილობთ, საკუთარი უგუნურება ვიღაც სხვას დავაბრალოთ. ზუსტად იმას, ვინც ჩვენს შეჩერებას ცდილობდა. რა არის ეს, შინაგანი სიჯიუტე და უაზრო მსხვერპლშეწირვა თუ ადამიანური სიბრიყვე? ორივე შემთხვევაში წაგებულები ისევ ჩვენ ვრჩებით და ცუდი ის არის, რომ, ჭკუა წლებმაც კი ვერ გვასწავლა.

***

ლევანმა საბაჟოს თანამშრომელს პასპორტები გადააწოდა და ცოლს წელზე მოხვია ხელი:

– კარგი გოგო ხარ, რომ მიხვდი, რატომაც არის აუცილებელი ჩვენი ერთად ყოფნა.

თინიკომ არ უპასუხა, მხოლოდ შეხედა და ნაძალადევად გაუღიმა. ლევანი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, ვერ მიმხვდარიყო ცოლის მოჩვენებით მორჩილებას, მაგრამ ეს სიტუაციაც აწყობდა. ამიტომ თამაში განაგრძო. ცოლთან თუნდაც დროებით დამთბარი ურთიერთობა სულის მოთქმის შანსს აძლევდა და ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა. მისი ყურადღება მამაკაცის ზორბა ფიგურამ მიიქცია, რომელიც ძალიან ნაცნობად მოეჩვენა, მაგრამ თვალებს მაინც არ დაუჯერა, სანამ თინიკომ არ წამოიძახა:

– ეს ხომ ვახოა! კი, ნამდვილად ვახოა. თანაც მარტო არ არის. ესე იგი, ის რაც ნათიამ მითხრა, მართალი ყოფილა!

ლევანი შემობრუნდა და მისი მზერა იას მზერას „შეხვდა“, მოულოდნელობის ეფექტი ისეთი ძლიერი იყო, რომ ემოციები ვეღარ შეიკავა:

– ვახო?! ია?! არ მითხრათ, რომ თქვენც ჩვენი რეისით მოდიხართ. ვახო, ეს რა, საქორწინო მოგზაურობაა?

ვახომ თინიკოს ლოყაზე აკოცა და მეგობარს შეუტია:

– იდიოტური ხუმრობაა. ჩვენ ნიკუშასთან მივდივართ, უფრო სწორად, ია მიდის, მე კი ვაცილებ.

– აცილებ და საპასპორტო შემოწმება გაიარე? რამდენ ხანს უნდა მატყუო, ბიჭო! გეყოს ვაჟკაცობა და აღიარე სიმართლე, – ბოღმით ჩაილაპარაკა ლევანმა.

ვახო ჭარხალივით გაწითლდა.

– ისე ნუ იზამ, რომ აქვე, შენი ცოლის თვალწინ დაგისისხლიანო ეგ ცხვირ-პირი, კრეტინო! სისულელე ვქენი, რომ ეს უფრო ადრე არ გავაკეთე.

– თუ ღმერთი გწამს, ნუ იმუქრები! არ მეშინია და არც ჩხუბზე დავიხევ უკან, არ არის პრობლემა! – გაიქაჩა ლევანი და თიკაც ჩამოეკიდა მკლავზე.

– გაგიჟდით? ისღა გაკლიათ, ასე საჯაროდ შეასკდეთ ერთმანეთს! ლევან, არ გესმის? ათასი თვალი გიყურებს. გინდა, ერთ საათში ყველა არხის ტელეკამერა აქ იყოს? თანაც ჩასხდომა იწყება. გავფრინდეთ და იქ გაარკვიეთ, თუკი რამე გაქვთ გასარკვევი!

– მე?! – ვახომ ზიზღით მობრიცა ტუჩები, – მე უკვე ყველაფერი გავარკვიე. შენ გცემ, თინიკო, პატივს, თორემ, შენი იდიოტი ქმარი რასაც იმსახურებს, კარგად ვიცი. მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ! დიდი იმედი მაქვს, რომ პარიზში მაინც არ შევხვდებით ერთმანეთს!

თინიკომ ჩუმად მდგარ იას გახედა:

– ვეჭვობ, რომ იმედი უნდა გაგიცრუო – ჩვენ, მგონი, ერთი გზა გვაქვს, ბოლომდე.

– რა?! თქვენც ნიკუშასთან მიდიხართ?

თინიკომ თავი დაუქნია.

– რატომ? – ჰკითხა ვახომ.

– საამისოდ სერიოზული მიზეზი მაქვს, მაგრამ, ნუ მკითხავ, რა მიზეზია, ახლა მაინც ვერაფერს გეტყვი. თუმცა, აუცილებლად დადგება დღე, როცა ყველა ყველაფერს გაიგებს.

ვახომ ხმამაღლა ამოიოხრა:

– აუ, გადამრია ამ საიდუმლოებებმა. მალე ისე „გავჭედავ“, ვეღარაფერი მიშველის. თიკა, შენ ნიკუშას დედის მისამართიც გეცოდინება.

– მათ სახლში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ, არ არის პრობლემა, დავურეკავთ და გვეტყვიან.

– არა, მე სიურპრიზის მოწყობა მინდოდა მისთვის, თორემ თბილისიდან დავურეკავდი.

– ეი, თოვლის ბაბუავ, იმიტომაც მიგყავს ეგ „სნეგუროჩკა“ თან? ჯერ იქნებ, გეკითხა, მოეწონება თუ არა იმ კაცს შენი სიურპრიზი. არ იცი, რომ ნიკუშას თითქმის ჰყავს ცოლი? – ლევანმა ბოროტად ჩაიცინა და იას ნიშნისმოგებით გადახედა, – ყოველ შემთხვევაში, მამა ნამდვილად მალე გახდება, ამის გარანტიას მე გაძლევ. ამიტომ, ერთი რჩევა მინდა, მოგცე: სანამ ვინმესთვის ისეთი სიურპრიზის მოწყობას დააპირებ, რომელიც მის პირად ცხოვრებას თავდაყირა დააყენებს, წინასწარ ნებართვას თუ არ აიღებ, ის მაინც იკითხე, რა გუნებაზე დააყენებს იმ ადამიანს შენი „სიკეთე“.

იამ ვახოს სახელოზე დაქაჩა:

– ხომ გეუბნებოდი, ჩემი წამოსვლა არ ღირს-მეთქი! არ უნდა დამეჯერებინა შენთვის.

– სისულელეა, ამას რას უსმენ, ვერ ხედავ? ყველანაირად ცდილობს, მოთმინება დამაკარგვინოს. ერთი ჩავიდეთ ნიკუშასთან და მერე მე ვიცი.

– ჰმ, ნიკუშა მოკავშირედ არ გამოგადგება. მით უმეტეს, ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ, მოვლენებს წინ არ გავუსწრებ.

თინიკომ ქმარს მკლავზე მოკიდა ხელი და აიძულა უკან დაეხია:

– ხომ გითხარი, კინკლაობას მორჩით-მეთქი. ისე, მგონი მართლა უნდა დაგვერეკა ნიკუშასთან. როგორია, ერთბაშად ამდენი ხალხი რომ მივადგებით!

– არა უშავს, არ უჭირთ. გვიმასპინძლებენ როგორმე, – გაეცინა ვახოს.

ლევანმა წყრომით გადახედა მეგობარს და აუცილებლად ერთ-ორ „ტკბილ“ სიტყვას კიდევ იტყოდა, რომ არა ცოლის გამაფრთხილებელი, მსუბუქი მუჯლუგუნი ფერდში, რამაც განზრახვაზე ხელი ააღებინა.

ია კი ისევ ლევანის ნათქვამზე ფიქრობდა და უკვე თვითმფრინავში მყოფმა, ვახოს ჩუმად ჩაულაპარაკა:

– ხედავ? ყველამ იცის ბავშვის ამბავი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის გოგო მართლა ნიკუშასგან არის ფეხმძიმედ. გეუბნები, მე ტყუილად მოვდივარ-მეთქი. ნერვიულობა შემრჩება და თავს გავიწამებ, შენც უსიამოვნებას შეგამთხვევ. ლევანის ირონია ხომ, საერთოდ, ბოლოს მომიღებს.

– მაგაზე ნუ ფიქრობ. ერთი კიდევ თქვას რამე და ნახავ, რა დღეშიც ჩავაგდებ. რაც შეეხება ბავშვს, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. გული მიგრძნობს, რომ არც მთლად ასეა საქმე. არ ინანებ, რომ დამიჯერე.

იამ თავი სავარძლის საზურგეზე დადო და მოპირდაპირე რიგში მჯდომ ცოლ-ქმარს გახედა. თინიკო ქმრის მხარზე იყო მიყრდნობილი და ლევანი გაცხარებული რაღაცას უხსნიდა.

– ჰმ, ერთი შეხედე, მოსიყვარულე წყვილი! ლევანი მაინც, შესანიშნავად თამაშობს იდეალური ქმრის როლს, მაგრამ, მის ცოლზე ახია. ვერასდროს ვიტანდი ბედის ნებიერა, გაფუფუნებულ ქალბატონებს, რომლებსაც ყველაფერი აქვთ, მაგრამ მაინც ცხოვრებით უკმაყოფილო,

შეწუხებული და წამებული ქალის პოზა უჭირავთ. დარწმუნებული ვარ, იმ პირველ ქმარსაც თავისი ფხუკიანობის გამო გაშორდებოდა. ალბათ, ვერ აიტანა, თავისი ფულიანი მამიკოს ფონზე, მისი მწირი შემოსავალი. ლევანიც ხომ იმიტომ უნდა, რომ მინისტრია. ამ ტიპის ქალებს ყველა ნაბიჯი წინასწარ აქვთ გათვლილი.

ვახომ თავი გააქნია:

– არა, თიკა ასეთი არ არის. ძალიან კარგი გოგოა და ზოგჯერ მიკვირს კიდეც, ლევანთან საერთო ენას როგორ პოულობს. ნამდვილი იდიოტია.

იას გაეცინა:

– ხომ არ გავიწყდება, საკუთარ ძმაკაცზე რომ ლაპარაკობ? რამდენი წელია, ერთად ხართ...

– ჰო?! მაგაზე არც მიფიქრია, – ვახო სერიოზულად დაფიქრდა და უცებ სიცილი აუტყდა, – ეტყობა, მეც იდიოტი ვარ, ოღონდ, ცოტათი, მაგრამ, თიკაზე რაც გითხარი, შეგიძლია, მენდო. მაგარი გოგოა. მართლა. მამამისს საერთოდ არ ჰგავს და არც ის კომპლექსები და ამბიციები აწუხებს, შენ რომ წეღან ლაპარაკობდი. უფრო ახლოს გაიცნობ და დარწმუნდები. ლევანში კი მართლა შევცდი...

იას გაახსენდა, როგორი გააფთრებით ცდილობდა ლევანი მისი გულის დაპყრობას და თავი უხერხულად იგრძნო. ამ არასასიამოვნო ურთიერთობაში რაღაც წვლილი მასაც მიუძღოდა და ახლა იმ მომენტების გამო შერცხვა, როცა თავს სისუსტის უფლება მისცა და კინაღამ დაჰყვა კაცის ვნებას. მაშინ ვეღარ იტყოდა, მე ჩემი სიმართლე მაქვს და არავის წინაშე არ ვარ ვალდებულიო. ლევანს ცოლი ჰყავდა და ეს სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ კაცის პირველივე მცდელობაზე, კარი ცხვირწინ უხეშად მიეკეტა. უფრო მეტიც – გარკვევით და მკაცრად ეთქვა, თავისი სათქმელი, წესიერებაზე მიეთითებინა და ეთქვა, რომ მამაკაცი, რომელსაც ცოლი ჰყავს, სხვა ქალს ერთგულების ფიცს არ უნდა აძლევდეს. იას მაშინ ამაზე არ უფიქრია. ერთი მომენტი, თითქმის დაუშვა კიდეც ლევანთან სიახლოვე, ნიკუშას ჯიბრით. ჰმ, ჯიბრით! რა უგუნურებაა ჯიბრით რაღაცის კეთება და, საერთოდ, ცხოვრება... იას შერცხვა და სიწითლე რომ დაეფარა, შეწუხებულმა ჩაილაპარაკა:

– როგორ ცხელა, ვენტილაცია არ ჩართეს?

– წვენი დალიე, ცივია, შესთავაზა ვახომ და თმაზე მზრუნველად გადაუსვა ხელი. იას გული აუჩუყდა.

– რა კარგია, რომ შენ მყავხარ.

– კარგი, რა, მე ვინ ვარ. შენ ნიკუშა გყავს და მე დაგეხმარები იმაში, რომ ყოველთვის გყავდეს...

ლევანმა ცოლის ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა:

– ხომ კარგად ხარ, საყვარელო?

თინიკომ თავი დაუქნია.

– ფერი კარგი გაქვს. წვენს ხომ დალევ? – გააგრძელა ლევანმა.

– იცი, როცა ჩემზე ასე ზრუნავ, მოუსვენრობა მიპყრობს – ძალიან არაბუნებრივად მეჩვენება. კარგად ვარ და მეტისმეტი ნუ მოგივა.

ლევანი აწრიალდა:

– ძალიან ცუდია, რომ ეს ორიც მოდის. ვახოზე ისე ვბრაზობ, რომ შემეძლოს, საკუთარი ხელით ჩავაგდებდი თვითმფრინავიდან.

– რას ერჩი? სრული უფლება აქვთ, სადაც უნდათ, იქ გაემგზავრონ. მე ისიც მიკვირს, ია აქამდე რას ელოდებოდა. თუ გიყვარს, უნდა იბრძოლო კიდეც შენი სიყვარულისთვის, – თქვა თინიკომ. ლევანმა ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო ცოლს:

– შენც შეგიძლია, იბრძოლო შენი სიყვარულისთვის, ანუ ჩემთვის?

თინიკომ მხრები აიჩეჩა:

– ჰო, რატომ გიკვირს? უბრალოდ, ცოტა მიკვირს, ასეთი დარწმუნებული რომ ხარ.

– რას გულისხმობ?

– დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ შენ ხარ ის, ვისი სიყვარულის გამოც ვიბრძოლებ?

– რა თქმა უნდა, მე ვარ, ამაში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება. შენ მე გიყვარვარ, თიკა.

– რა ბედნიერი ვიქნებოდი, მეც რომ შემძლებოდა იგივე, მეთქვა, სევდიანად ჩაილაპარაკა ქალმა. ლევანმა ისევ მიიტანა მისი ხელი ტუჩებთან:

– შენთვის სიტყვებია მთავარი? აუცილებლად სიყვარული უნდა აგიხსნა?

– კარგი იქნებოდა, თუმცა, მთელი ეს წლები, ამის გარეშეც ვიცხოვრე შენს გვერდით.

– შენ ჩემთვის განსაკუთრებული ხარ, თიკა.

თინიკომ ხელი გამოსტაცა:

– ეგ არ ნიშნავს იმას, რომ გიყვარვარ!

– მე ვფიქრობ, რომ ეს სიყვარულზე მეტია. შეიძლება, მთელი ცხოვრება ვიღაც გიყვარდეს და, ერთ დღესაც, მიხვდე, რომ არაფერი მასში განსაკუთრებული არ ყოფილა. ამიტომაც გეუბნები: ის, რასაც მე შენ მიმართ ვგრძნობ, სიყვარულზე გაცილებით მეტია. კიდევ, იმას გეტყვი, რომ, არ ვისურვებდი, თუნდაც ერთი დღე გამეტარებინა შენ გარეშე.

თინიკომ გაიღიმა:

– აი, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს! მალე ჩავფრინდებით?

– დაახლოებით ორ საათში. დაიღალე?

– არა, უბრალოდ, რაც უფრო ვუახლოვდები ჩემს ძმას, მით უფრო მიმძიმდება გული და შიშიც კი მიპყრობს. მართლა რომ არ მიმიღოს, მერე რა ვქნა?

– ნიკუშა თქვი, რა, თორემ ეგ „ძმა“ ყურს მჭრის. თუ არ მიგიღებს, ეს მისი პრობლემა იქნება, მაგრამ, ნიკუშა სულელი არ არის. ასე რომ, შეგიძლია, მშვიდად იყო. შენთვის ზედმეტი მღელვარება არ შეიძლება.

– სიმართლე რომ გითხრა, დედაჩემზეც ძალიან ვნერვიულობ. ჩვენგან ისე წავიდა, მეშინია, მამაჩემსაც არ უთხრას სიმართლე. ხომ იცი ზურაბის ხასიათი, არ აპატიებს და, რამე უბედურება არ დატრიალდეს.

– ანუ, ზურაბმა დედაშენი ეჭვიანობის გამო არ მოკლას? თიკა, მერწმუნე, ბატონ ზურაბს ისე უყვარს საკუთარი თავი, რომ არაფრის გამო არ ჩაიდენს ისეთ საქციელს, რაც მის კომფორტულ არსებობას შეუშლის ხელს. არც მოკლავს და არც სცემს. ისე, შეიძლება, მემკვიდრეობის გარეშე დაგტოვოს.

– მაგას ვერ გააკეთებს – ყველაფერი დედაჩემის სახელზეა.

ლევანი აშკარად გაახარა ცოლის სიტყვებმა:

– მართლა? ყველაფერი? სულ ყველაფერი?

– რამდენადაც ვიცი, თითქმის მთელი ქონება დედაჩემზე გააფორმა. თბილისის სახლი ისედაც მისი იყო. ბაბუაჩემმა აჩუქა.

– ძალიან კარგი. ესე იგი, ამ მხრივაც შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, – ჩაილაპარაკა კმაყოფილმა.

– რა თქვი?

– არაფერი, საყვარელო. რომ ჩავალთ, დედაშენს დავურეკოთ-მეთქი. ზუკას ამბავიც ხომ უნდა გავიგოთ. ისე, ნეტავი წამოგვეყვანა.

– არა, ახლა დედაჩემთან უკეთესად იქნება. მე ხომ არ ვიცი, როგორ შეეგუება იმ ამბავს, რომ ბიძა ჰყავს.

– მართალი ხარ. მორჩება თუ არა ეს ამბები, აუცილებლად სადმე წავიყვან, სადაც თვითონ მოინდომებს, – მზრუნველი ტონით წარმოთქვა ლევანმა და ცოლს ალერსიანად ჩახედა თვალებში, – იცი, ნელ-ნელა ვგრძნობ სიხარულს იმის გამო, რომ მამა გავხდები. აი, ნახავ, მსოფლიოში საუკეთესო მამა ვიქნები!

თინიკომ გაიღიმა:

– კარგი, ჩვენს შვილს გაუმართლა. ახლა, მთავარია, ბიძა გავიცნოთ!

***

ნატუკა მიხვდა, რომ მოატყუეს, ლევანმა არ დაურეკა. არც სამსახურში იყო და მობილურსაც არ პასუხობდა. რამდენჯერმე მის სახლთან მივიდა, მაგრამ ზარის დარეკვა არ უცდია, შორიდან ზვერავდა. საკუთარ გულუბრყვილობაზე გაცოფებული, სიმწრით იკვნეტდა ტუჩებს და ილანძღებოდა: „ლენჩი ვარ და ჩერჩეტი! მაგრამ, სად წამივა? ძვირად დავუსვამ ჩემს გასულელებას. ახლა გაძვრა და ჰგონია, რომ თავი ქუდში აქვს. ის კი არ იცის, რომ საფლავში ჩავყვები და ჩემს კუთვნილს მაინც მივიღებ. რა ჯანდაბად და თავში სახლელად მინდა ეს ბავშვი! დედად არ გამოვდგები – სად შემიძლია პამპერსებითა და ბოთლებით სირბილი, ღამეების თენებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?! ლევანმა გამაბრიყვა. ფული უნდა ამეღო და ბავშვი მომეშორებინა, მაგრამ, ახლა უკვე გვიან არის. სულელი ვარ, ნამდვილი სულელი, ჩემი გამოყენების უფლება რომ მივეცი. შურისძიების იარაღად ვჭირდებოდი, მაგრამ, არა უშავს. კიდევ ინანებს, ჯეროვნად რომ არ დააფასა ჩემი შესაძლებლობები“... ნატუკამ ბევრი იფიქრა და ლევანს პირდაპირ სამინისტროში მიადგა. მდივანმა ბრაზით შეათვალიერა „არაჟურნალისტურად“ შეღებილი მეტიჩარა გოგო და მოკლედ მიახალა.

– მინისტრი არ არის და რამდენიმე დღე, არც იქნება! ნატუკამ წყენით გააწკლაპუნა ტუჩები: – როგორ შეიძლება, ინტერვიუს დამპირდა თავის ცოლთან ერთად. კარგი, მაშინ, მის მეუღლეს შევაწუხებო... – ვერ შეაწუხებ, იმიტომ, რომ ერთად გაემგზავრნენ პარიზში, სწორედ მე ავუღე ბილეთები, – კმაყოფილი სახით მოუჭრა მდივანმა.

ნატუკამ მდივნის მისამართით რაღაც უცენზურო ჩაიბურტყუნა და კაბინეტიდან უკანმოუხედავად გავარდნილმა, კარი გამეტებით გაიჯახუნა...

მეგობრის საყვარლის დანახვაზე დათოს ელდა ეცა. ზღურბლზე დადგა, რომ გოგოსთვის ბინაში შესვლის საშუალება არ მიეცა:

– აქ რა გინდა, ჩემი მისამართი ვინ მოგცა?

– გიკვირს? აბა, რა მექნა? შენი ძმაკაცები უსინდისოდ ამეთესნენ, მე კი ბილეთის ფული არ მაქვს. ამიტომაც მოგადექი. შენც ხომ მაგათიანი ხარ. გამოდის, რაღაც პასუხისმგებლობა შენც გაკისრია.

– მოცა, მოიცა! რა პასუხისმგებლობა, ვინ ძმაკაცები აითესნენ, შენ ხომ არ გაგიჟდი! რას მთხოვ, რა საერთო მაქვს შენთან?

– კარგი, უფრო გასაგებად აგიხსნი: მე და შენ გვაქვს საერთო. უფრო სწორად ორი საერთო ნიკუშა და ლევანი. ერთმაც მომატყუა და მეორემაც. არადა, ორსულად ვარ, ბავშვს კი მამა სჭირდება.

– მერე, მე რა შუაში ვარ, ან, ორივე როგორ იქნება შენი ბავშვის მამა?

– მაგას შენ არავინ გეკითხება. მოკლედ გეტყვი: ფული მჭირდება, პარიზში გასამგზავრებელი ფული. რაც მალე მომცემ, მით მალე მომიშორებ თავიდან. ვიცი, რომ ძალიან ეჭვიანი ცოლი გყავს. მე კი ჭკუა არ დამიშლის, ვუთხრა, რომ ბავშვს შენგან ველოდები. აბა, რას იტყვი?

გოგოს უტიფრობამ დათო ისე აღაშფოთა, რომ სუნთქვაც კი შეეკრა. ნატუკა რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და მასზე საკმაოდ უარყოფითი შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდა. გოგოს

ეტყობოდა, ყველაფერზე რომ იყო წამსვლელი, მაგრამ ასეთ სითავხედეს მაინც ვერაფრით წარმოიდგენდა.

– ჩემი მისამართი ვინ მოგცა-მეთქი!

– ნუ ყვირი, თორემ შენი ცოლი გამოვა. რა სასაცილო ვინმე ხარ. ეს არის ახლა მთავარი? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მომცა მისამართი, შენთვის რა შეღავათია? კარგი, გეტყვი: ნიკუშას მეზობელმა, გოგიჩამ მითხრა, სადაც ცხოვრობ.

– და, რა გინდა? – დათომ პირი დააღო და ისე ჩაისუნთქა ჰაერი.

– რას ნიშნავს რა მინდა. – წარბი შეიკრა ნატუკამ, – ამდენი რისთვის ვილაპარაკე? ხომ აგიხსენი, ფეხმძიმედ ვარ და ფული მჭირდება, რომ...

– დათო, ვის ელაპარაკები, ვინმე მოვიდა?

ნათია ქმარს დაეჯაჯგურა. თითქმის ძალით გასწია გვერდზე და ნატუკა დაინახა.

– ეს ვინ არის?

ნატუკამ დათოს გამომწვევად გაუქნია სახესთან ხელი:

– ეი, რას გაშტერდი, შენი ცოლი კითხულობს, მე ვინ ვარ. ეტყვი, თუ მე ავუხსნა?

– დათო, გამაგებინე, რა ხდება? ახლავე უნდა ვიცოდე, ეს გოგო ვინ არის, თორემ გავგიჟდები! – ხმას აუწია ნათიამ. ნატუკამაც მხარი აუბა დამცინავი ტონითა და დაუფარავი ირონიით:

– დათუნი, რატომ ანერვიულებ ფეხმძიმე ცოლს? არ იცი, რომ ფეხმძიმე ქალების ნერვიულობა არ შეიძლება?! ნუ ბრაზობ, საყვარელო, ეგ მუცელი გვერდზე გაწიე და დამშვიდდი. შენი ქმარი ახლავე იზრუნებს იმაზე, რომ არც ერთმა არ ვინერვიულოთ.

დათო გონს მოვიდა და ცოლს ხელი მოჰხვია.

– ნათი, არაფერი არ ხდება. ეს ლევანის, არა, ნიკუშას... მოკლედ, მათი ნაცნობია და პარიზში გასამგზავრებელი ფული უნდა მივცე, ბილეთის ფული. ლევანმა დამიტოვა და დამავიწყდა.

ნათიამ დაუპატიჟებელი სტუმარი თვალის ერთი შევლებით შეაფასა:

– ესე, იგი ეს შენ ხარ. გამოდის, მაინც ლევანის ყოფილხარ. საწყალი თიკა. გაგიმართლა, რომ ჩემი ქმრის საყვარელი არ ხარ, თორემ, აქედან ვერ გამასწრებდი.

– დაწყნარდი, შენი ქმარი ჩემს გემოვნებაში არანაირად არ ჯდება, თანაც, ჩემი პრინციპია, ისტერიჩკების ქმრებს ახლოს არ გავეკარო. დათო ფულს მომცემს და წავალ.

დათომ ცოტა ხანს კიდევ ითრია ფეხი. ფიქრობდა, შეიძლებოდა თუ არა ორი მამლაყინწასავით შემართული ქალის ერთმანეთის პირისპირ მარტო დატოვება. ბოლოს ისევ ცოლი დაანამუსა:

– ნათი, შენი იმედი მაქვს, იცოდე!

ცოლმა თავი დაუქნია. დათო შევიდა. ნატუკამ ნათიას დაჟინებული მზერა იგრძნო და ენის მოჩლექით ჰკითხა:

– რა იყო, პატარავ, გინდა, რამე მკითხო?..

მოდი, ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რამდენჯერ გაგვჩენია სხვის კალთაში თავის ჩარგვის და ხმამაღლა, გულიანად ტირილის სურვილი. ამაში არაბუნებრივი არაფერია, მთავარია, კალთა არ აგერიოთ და ის მართლაც სხვისი არ აღმოჩნდეს... ბედნიერებისთვის ბევრი არაფერია საჭირო, თუმცა, ადვილიც არ არის, იმიტომ რომ, ძალიან ხშირად, სწორედ „სხვისი“ და „ჩვენი“ კალთა გვერევა ერთმანეთში...

***

ნიკუშა ხელებში თავჩარგული იჯდა და თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა. როცა ყველაფრის გაანალიზებას ცდილობდა, მხოლოდ ერთში ეთანხმებოდა საკუთარ თავს – უსიამოვნებებს მაგნიტივით იზიდავდა. შეიძლება, ეს უშუალოდ მისი ბრალიც არ იყო, მაგრამ, თითქოს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს, რატომღაც ყოველთვის უიღბლობა სდევდა თან. შურისა და „ავი თვალის“ არ სწამდა, რომ ეფიქრა, ჩემი ბედნიერება ვიღაცას შეშურდა და გამთვალაო. უსიამოვნებების კასკადს უფრო შეცდომებს უკავშირებდა – მშობლის და იქნებ თავის მიერ დაშვებულ შეცდომებს. ყველაზე დიდი შეცდომა ელენესთან ასეთი ხანგრძლივი განშორება და გაუცხოება იყო. უაზრო სიჯიუტე ძალიან ძვირად დაუჯდა, მაგრამ ახლა სინანული გვიან იყო, ძალიან გვიან და, იმ გაუცხოებას, რომელიც წლებმა დედა-შვილს შორის გააჩინა, ვერაფერს უშველიდა... ისევ დრო იყო საჭირო რაღაცის სასიკეთოდ შესაცვლელად, დრო, რომელიც, შესაძლოა, აღარც კი ჰქონდა...

ნიკუშამ თავი ასწია და კაბინეტში შემოსული ჟანი დაინახა. მამინაცვალი ექიმს მოუძღოდა. სავარძელთან მიაცილა და ბარისკენ გაიშვირა ხელი.

– რამეს ხომ არ დალევთ?

– სიამოვნებით. კონიაკზე უარს არ ვიტყოდი, – თავი დაუქნია ექიმმა. ნიკუშამ ვეღარ მოითმინა:

– როგორ არის საქმე? დედაჩემის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა?

– გაუმჯობესებას ამას ვერ დავარქმევ, მაგრამ, პაციენტის ახლანდელი მდგომარეობა იმედს იძლევა, რომ უკეთესობა იქნება.

ნიკუშამ ნირწამხდარმა გადახედა ჟანს.

– ექიმი ამბობს, რომ ახლა ელენეს გამოჯანმრთელების შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.

– ჰმ, ნამდვილად ძალიან დავმშვიდდი, – სევდიანი ღიმილით გადააქნია თავი ნიკუშამ, – ვერაფერს იტყვი, დიდი ნუგეშია, – ჩაილაპარაკა ქართულად.

ექიმმა ცნობისმოყვარედ შეხედა, სათვალე მოიხსნა, პიჯაკის კალთით გაწმინდა და ჟანს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– ახალგაზრდა ჩემით უკმაყოფილოა? ჩემს პროფესიონალიზმში ეჭვი ეპარება? არა, მე არაფერს გაძალებთ. შეგიძლიათ, ჩემი კოლეგებიც მოვიწვიოთ. მე თვითონ გირჩევთ რამდენიმე მათგანს. თუმცა, ტრანსპორტირების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. პაციენტი გონს მოვიდა და უნდა დავიცადოთ.

– მე თქვენ გენდობით. უბრალოდ, ნიკუშა ძალიან ნერვიულობს. მეხსიერების მოშლაც ძალიან გვაშფოთებს. ეს რატომღა დაემართა?

ექიმმა კონიაკი მოსვა და ხელები გაშალა.

– არაფერი არ არის ამაში გასაოცარი. პირიქით რომ მომხდარიყო, მე ის უფრო გამიკვირდებოდა.

– ჰო, მაგრამ... – ჟანმა შეკამათება სცადა, მაგრამ ექიმმა მაშინვე გააპროტესტა:

– მე ყველაფერი მესმის, თუმცა მედიცინაში ემოციებით არაფერი კეთდება. გეუბნებთ, უნდა დაველოდოთ-მეთქი.

ნიკუშამ თავზე იტაცა ხელები:

– რაღა ახლა, რაღა მაინცდამაინც ახლა!

– ახალგაზრდავ, მე გირჩევთ, დამშვიდდეთ. ასეთი განერვიულებული მხოლოდ ხელს შეუშლით დედათქვენის გამოჯანმრთელებას. გთხოვთ, პაციენტს არაფერი უთხრათ ისეთი, რაც მის აღელვებას ან გაღიზიანებას გამოიწვევს, ეგონოს თავი წარსულ დროში, არ არის ტრაგედია. ამ ეტაპზე მთავარი მისი კომფორტული ყოფნაა, რომელიც ერთად უნდა უზრუნველვყოთ.

– მესმის, ექიმო. ჩვენც ვხვდებით ამას, მაგრამ სულ ასე რომ დარჩეს? მეხსიერება რომ არ დაუბრუნდეს? – აფორიაქდა ნიკუშა.

– ვერ მოგატყუებთ, ყველაფერია მოსალოდნელი. იმის გარანტიას, რომ ასე არ მოხდება, ვერავინ მოგცემთ, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ამნეზია დროებითია. აი, ხერხემალი კი სერიოზულად მაშფოთებს. ასეა თუ ისე, ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია.

– ეს ლოდინი გამაგიჟებს და ჭკუიდან შემშლის! – ნიკუშა წამოხტა და ოთახში, წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

ექიმმა შეშფოთებით მოუჭირა მკლავზე ხელი ჟანს.

– ეს ყმაწვილი როგორმე უნდა დავამშვიდოთ. ჟან, რამე მოუხერხეთ!

– ვიცი, ჟერარ, მაგრამ დედა-შვილს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს და ამიტომაც მისი დამშვიდება გამიჭირდება.

– არ ვიცი, არ ვიცი... – თავი გადააქნია ექიმმა, – მაშინ, ასეთი გაღიზიანებული პაციენტთან ნუ შევა. ამის პირობას მომცემთ?

ჟანმა ყოყმანით დაუქნია თავი:

– ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

– ჰო, ასე აჯობებს. ურჩიეთ, მთელ დღეს სახლში ნუ იჯდება.

– კარგი. ჩვენთან ერთად არ ისადილებთ?

– სიამოვნებით მივიღებ თქვენს წინადადებას. სადილის მერე კი გრაფინიას კიდევ ერთხელ მოვინახულებ.

გრაფმა ზარი დარეკა და რამდენიმე წუთში კაბინეტში მსახურთუფროსი შემოვიდა.

– სადილი მზად არის? უთხარი, ჭურჭელი ერთი პერსონისთვის კიდევ დაამატონ – ექიმიც ჩვენთან ერთად ისადილებს.

– ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე სერვიზის დამატება მოგვიწევს – თქვენთან მოვდიოდი, რომ მეთქვა: სტუმრები გყავთ! უფრო სწორად, ახალგაზრდა მესიეს კითხულობენ.

ნიკუშას სახეზე გაკვირვება გამოესახა:

– მე? ჩემთან არიან?

– დიახ, მესიე. ჰიდ ჰოლში შემოვიყვანე.

ჟანიც აწრიალდა:

– წავიდეთ, ნიკი, წავიდეთ. ექიმო, ხომ არ გეწყინებათ, ცოტა ხანს რომ დაგტოვოთ? სულ რამდენიმე წუთით, მერე კი სასადილო ოთახში მიგიპატიჟებთ.

– რა თქმა უნდა... მე ამ შესანიშნავი კონიაკით შევიქცევ თავს, ჩემზე ნუ ინერვიულებთ.

ნიკუშას აღარ გაუგონია ექიმის სიტყვები, გულაძგერებული მირბოდა ჰოლისკენ.

ლევანმა ფეხი უფრო მოხერხებულად გადაიდო ფეხზე და ვრცელი დარბაზი შეათვალიერა.

– ნამდვილი სასახლეა, არა? – აღტაცებით ჩაილაპარაკა იამ და ვახოს ისე საცოდავად გახედა, რომ ლევანის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია, როგორ ნერვიულობდა ქალი.

– დაგაფრთხო სიმდიდრემ, ჩემო საყვარელო? მიხვდი, რომ ტყუილად იფრინე ამდენი? ვახოს სთხოვე, წაგიყვანოს და ეიფელის კოშკი მაინც განახოს... ეგ მაინც შეგრჩება.

ვახო წამოენთო.

– ენა გააჩუმე და ჩემს მოთმინებას ნუ სცდი, თორემ, რასაც დაგპირდი, აგისრულებ!

– ნუ იმუქრები. მაინც, რას იზამ, ჩხუბს დამიწყებ და მუშტებით მომვარდები? არ გირჩევ. არ არის აუცილებელი, ყველას დაანახვო, როგორი ველური ხარ.

თინიკომ ქმარს მხარზე მოკიდა ხელი.

– მორჩით, ბავშვებივით ნუ იქცევით! რას ჰგავს ეს? სად არის ნიკუშა აქამდე?

– ვერ ხედავ, რამხელა სახლია?! ორ წუთში ვერ მოირბენს. თუმცა, შეხედე, მოდის... – ვახო წამოხტა და ნიკუშასკენ გაქანდა:

– როგორ მოგვენატრე, ბიჭო...

ნიკუშა გაშტერებული იდგა და თავი სიზმარში ეგონა...

***

ეჭვი ცუდი მრჩეველია და ტყუილად არ უთქვამთ ჩვენზე ჭკვიანებს, შურისძიება ის კერძია, რომელიც ცივი უნდა მიირთვაო, მაგრამ შურისძიებაზე ლაპარაკი იქ, სადაც მაინც ორი ერთმანეთისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი არკვევს უპირატესობას, ზედმეტია. თუმცა, ეჭვი მაინც ახერხებს, თავისი ბოროტი საქმე გააკეთოს და ხანძარი თუ არა, სულ პატარა კოცონი მაინც ააგიზგიზოსო.

***

დათომ ცოლის სახეზე ამოიკითხა, რაც ელოდა და თავდაცვისთვის მოემზადა.

– ვიცი, რასაც მეტყვი და, არ გინდა, დამიჯერე, საყვარელო, ემოციებს არ აჰყვე. ამ გოგოსთან საერთო არაფერი მაქვს, გეფიცები! ხომ ნახე, წავიდა. მიიღო, რაც უნდოდა და წავიდა.

– ასე მარტივად? – ნათიამ სახელოები დაიკაპიწა და შუა ოთახში მდგარმა სასაცილო პოზა მიიღო.

დათოს გაეცინა:

– რომ იცოდე, რა საყვარელი ხარ!

– აბა, აბა, ნუ ცდილობ, გული ამიჩვილო და ამით ის რისხვა აიცილო თავიდან, რომელსაც სამართლიანად იმსახურებ.

– ნათი, მორჩი, რა, ამ ტყუილუბრალო ჭირვეულობას!

– მე კი არ ვჭირვეულობ, გაბრაზებული ვარ. ძალიან გაბრაზებული და ახლავე მოვითხოვ, განმიმარტო, ასე რატომ მოიქეცი.

– როგორ მოვიქეცი, ნათი, რას ამბობ? ფული მივეცი. ხომ გითხარი, ლევანმა მთხოვა-მეთქი. სხვათა შორის, სულაც არ მსიამოვნებს ლევანი მაგ გოგოს ამდენის უფლებას რომ აძლევს, მაგრამ ჩემი საქმე არ არის.

– მაგას არც ვგულისხმობდი.

– აბა, რას გულისხმობდი?

– იმას, რომ უფლება მიეცი, ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინა.

– მე?! ნათი, კარგი რა! ეს ისეთი უსაფუძვლო და უსამართლო ბრალდებაა, პასუხის გაცემა არასერიოზულად მიმაჩნია.

– კარგად გამოძვერი, მაგრამ, არ გამოგივა. რატომ არაფერი უთხარი იმ ბოზს? – ხმას აუწია ნათიამ.

– მე რა უნდა მეთქვა, მორალს ხომ არ წავუკითხავდი?! – განცვიფრდა დათო, – ვერ გამიგია, ჩემგან რა გინდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, კიდევ დიდხანს უნდა მიშლიდე ნერვებს შენი უსაფუძვლო ეჭვიანობით? ნატუკასთან მე საერთო არაფერი მაქვს და, ნეტავი, არც სხვებს ჰქონოდათ, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის.

– მე ნუ მრევ, ძალიან გთხოვ, რომ მახსენდება, როგორ უტიფრად მელაპარაკებოდა, ვცოფდები. თუმცა, რატომ მიკვირს, ყველა ბოზი ერთნაირია.

დათო ცოლთან მივიდა და სცადა მოხვეოდა, მაგრამ ნათიამ ორივე ხელით უბიძგა და გვერდზე გახტა.

– ნელა, გოგო, რას აკეთებ? – იყვირა შეშინებულმა დათომ, – ნუ მომაკვლევინებ, იმ საცოდავ გოგოს.

– საცოდავი ის კი არა, თქვენ ხართ, ყველანი – შენც და შენი ძმაკაცებიც. აი, ნახავ, თინიკოს ყველაფერს თუ არ ვეტყვი!

დათოს სახე წამოუჭარხლდა ბრაზისგან.

– აბა, მორჩი ახლა! საკმარისად ვითმინე შენი ისტერიკები, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს! არავის არაფერს არ ეტყვი. გესმის? ნატუკა შენი პრობლემა არ არის, ლევანი და ნიკუშა როგორმე მიხედავენ!

– მაინც, რომლისგან არის ფეხმძიმედ, თუ ორივემ ერთად მოახერხა?

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ მე არ მეპარება ეჭვი ჩემს მამობაში, – გახუმრება სცადა დათომ, მაგრამ ნათია ასე ადვილად დამშვიდებას არ აპირებდა.

– მიდი, მიდი, იმასხრე, რა გენაღვლება! კიდევ რა სიურპრიზს უნდა ველოდო, შენი გარყვნილი მეგობრებისგან. ნეტავი, ხვალ რომლის ნაშა მომადგება კარზე! საინტერესოა, შენ რატომ გიგზავნიან, რა, მამაშა ხარ?

– ნათო, წამოდი, ჩაი დავლიოთ, რამე კარგ ფილმს ვუყურეთ და ეს ამბავი დავივიწყოთ. მით უმეტეს, რომ განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა.

– შენთვის არ მომხდარა, თორემ, აბა, მე მკითხე? ვიღაც ბოზი, თანაც ფეხმძიმე, სახლში მომივარდა, შეურაცხყოფა მომაყენა, ჩემმა ქმარმა კი მშვიდად უყურა ამ ყველაფერს.

– შენი ფანტაზიის პატრონი, სცენარებს უნდა წერდე, – ამოიოხრა დათომ და ხელები სინანულით გაშალა იმის ნიშნად, რა ვქნა, შენთან ვერაფერი გავაწყვეო.

– დავწერ კიდეც, როცა გაგეყრები. ბავშვს გავაჩენ და საკუთარ ცხოვრებას მივხედავ.

– ე, ახლა უკვე მეტისმეტი მოგდის! რას ნიშნავს, გამეყრები და საკუთარ ცხოვრებას მიხედავ! ვინ გიშვებს? ჩემ გარეშე არაფერი მოხდება, კარგად დაიმახსოვრე. მე შენი ქმარი ვარ და ვიქნები კიდეც მთელი ცხოვრების განმავლობაში.

– და... მერეც, ხომ?! – გაცხარდა ნათია. შენი საკუთრება კი არ ვარ. ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩავთვლი. ახლავე წავიდოდი, მაგრამ... – დათომ ცოლს სიტყვა აღარ დაამთავრებინა. ორივე ხელი მოხვია და თავით მკერდზე მიიკრა.

– გაჩუმდი, შე სულელო, შენა, როგორ გგონია, ჩემს საყვარელ ცოლს საშუალებას მივცემ, მიმატოვოს? თანაც, იმ დროს, როცა მუცლით ჩემი სისხლის და ხორცის ნაწილს ატარებს? რა თქმა უნდა, ჩემი საკუთრება ხარ. ეჭვი ნურასოდეს შეგეპარება ამაში, მაგრამ, ისიც იცოდე, რომ მესაკუთრის უფლებას ბოროტად არასოდეს გამოვიყენებ.

– და... არასოდეს გაეკარები ისეთებს, როგორც ის ნატუკაა? – გული აუჩუყდა ნათიას. ქმარს ორივე ხელით მოებღაუჭა და ასლუკუნდა.

– ტირილი და ცრემლები არ გვინდა, თორემ, ჩვენი პატარაც იტირებს. სულელო, რად მინდა ნატუკა ან სხვა ვინმე, როცა შენ მყავხარ.

ნათიამ ეჭვით ახედა ქმარს:

– მაგ სიტყვების უნდა მჯეროდეს?

– რა თქმა უნდა, საყვარელო, რა თქმა უნდა! დაივიწყე, რა, ეგ ჩერჩეტი გოგო. მე ახლა ის უფრო მაინტერესებს, ლევანმა რატომ არაფერი მითხრა. სად უნდა წასულიყო, რომ ჩემთვის არ ეთქვა.

– მაგალითად, მივლინებაში. რა, ყველაფერს შენ გითანხმებს? მისი პირადი მდივანი ხარ? საქმიანი კაცია, მინისტრი. ალბათ, სადმე გაგზავნეს და წავიდა.

– არა, – თავი გადააქნია დათომ, – რადგან ნატუკამ ჩემთან მოსვლა გაბედა, ესე იგი, ლევანმა უცებ გადაწყვიტა გამგზავრება. გესმის, რას ვგულისხმობ? და თინიკოც თან წაიყვანა.

– მერე, რა გიკვირს? თავისი ცოლია და წაიყვანს. აბა, შენ რომ დამპირდი და არ წამიყვანე, ასე კი არ არის.

– სად არ წაგიყვანე, საყვარელო?

– სად და პარიზში. ჯვარიც იქ უნდა დაგვეწერა. მატყუარა! – განაწყენებული ნათია ქმარს მოშორდა.

– ხომ მიმყავდი, საყვარელო, მაგრამ, დედაშენმა გაიგიჟა თავი და მეც შემეშინდა. რამე რომ მოგსვლოდა? მაგრამ, აუცილებლად წაგიყვან. გეფიცები.

– როდის?

– აი, რომ იმშობიარებ.

– ხომ გითხარი, მატყუარა ხარ-მეთქი. მერე სადღა წავალთ. ბავშვს ხომ ვერ დავტოვებთ, – ტუჩები საყვარლად გაბუსხა ნათიამ. სხვა დროს დათო აუცილებლად წამოეგებოდა ამ ანკესზე, მაგრამ ახლა ლევანის გაუჩინარებაზე ფიქრობდა და ცოლი აშკარად უშლიდა ხელს.

– წადი, რა, ჩაიდანი ჩართე, – დათომ მობილური მოიმარჯვა.

– სულ არ გაინტერესებს, მე რას ვფიქრობ და განვიცდი, – ეწყინა ნათიას.

– მაინტერესებს, მაგრამ ახლა ის უფრო მაინტერესებს, ეს ჩემი ძმაკაცები ასე ერთიანად სად აორთქლდნენ. არც ერთი არ პასუხობს.

– რომელიმე კუნძულზე გაიპარებოდნენ, რომ იქ ორგია მოაწყონ.

– კარგი, რა, ნათი, ნუ სულელობ. აშკარად რაღაც ხდება. ვის დავურეკო, რომ რამე გავიგო?

– თქვენს საერთო დაქალს. შეიძლება, იმან იცოდეს რამე. მანდაც ისეთი ინტრიგაა, ვეღარაფერი გავიგე.

– იას დავურეკავ, აუცილებლად. კარგი გოგო ხარ, რომ გამახსენე.

– აბა, რა, კარგი ვარ. წავალ, ჩაიდანს ჩავრთავ. დიდხანს არ მალოდინო, იცოდე.

დათო სამზარეულოში ისეთი სახით შევიდა ნათია მაშინვე მიხვდა, რომ მისმა ქმარმა ბევრი ვერაფერი გაიგო. ცოტათი შეეცოდა, მაგრამ მაინც უსაყვედურა:

– გაცივდა ჩაი.

– აღარ მშია, – ჩაილაპარაკა დათომ და ჩამოჯდა?

– ასეთი რა მოხდა, შიმშილობას რომ აცხადებ? – დაინტერესდა ნათია.

– ია და ვახო პარიზში გაფრენილან.

– ვინ გითხრა?

– რა ვიცი, იას ნათესავი ვარ და სახლში მე დამტოვაო. დარწმუნებული ვარ, ლევანი და თიკაც იქ იქნებიან, ნიკუშასთან.

– შენ მოგტეხეს? ჰა, ჰა, ჰა! აი, რას გეუბნებოდი? მარტო საკუთარი თავის იმედი შეიძლება გქონდეს ცხოვრებაში და, ცოლის, რა თქმა უნდა.

დათომ თავი გადააქნია:

– ვერ ვიჯერებ, რომ ასე მომექცნენ. აშკარად რაღაც მოხდა. იმედი მაქვს, ამიხსნიან თავიანთი საქციელის მიზეზს.

– ჰო, სხვა რაღა გაქვს სათქმელი, მაგრამ, ნუ ინერვიულებ. იცი, რა ქენი? დარეკე ნიკუშასთან, ნომერი ხომ გაქვს?

– არა.

– რა არა?! – მხრები აიჩეჩა ნათიამ.

– არ მაქვს ნომერი. უნდა დაველოდო, სხვა გზა არ დამრჩა, – დათომ ხელი ჩაიქნია. ისეთი გულმოკლული ჩანდა, რომ ნათიამ დაზოგა. ლოყით მხარზე მიეხუტა და აკოცა. დათომ ხელი მოხვია და ამოიოხრა.

***

როცა ვერ ამბობ იმას, რაც გულში გაქვს და რისი თქმაც სინამდვილეში ყველაზე ძალიან გინდა, ერთი გზა რჩება – უნდა ითამაშო. ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია, მაგრამ, გააჩნია, ვის თვალწინ გიწევს თამაში. თუ შენ წინ „იგროკია“, ან ადამიანი, რომელსაც უყვარხარ და კარგად გიცნობს, დიდხანს ვერ გაქაჩავ – ის ძალიან სწრაფად მიხვდება, რომ მთავარი სათქმელი წინ გაქვს. შეიძლება, ამოიკითხოს კიდეც შენ მიერ საგულდაგულოდ მიმალული.

***

თინიკომ პირველმა შეაფასა სიტუაცია

– აქ რაღაც არის მომხდარი, – წასჩურჩულა ქმარს და სახელოზე შეუმჩნევლად მოქაჩა.

ლევანი ნიკუშას ელაპარაკებოდა და ცოლის სიტყვები არ გაუგონია.

– გიკვირს, ალბათ, რომ ასე ერთიანად მოგადექით ყველანი. მარტო დათო გვაკლია. ძალიან ვჩქარობდით და მისთვის თქმა ვეღარ მოვასწარით. თან ხომ იცი, ნათიასთვის მგზავრობა და მით უმეტეს, მისი აქ ყოფნა, საერთოდ არ იქნებოდა გამართლებული.

– კი, მაგრამ, როგორ გაიგეთ, საიდან? –ნიკუშამ გაოცებით შეათვალიერა მეგობრები.

თინიკომ ისევ დაქაჩა ქმარს. ლევანმა ისევ არ მიაქცია ყურადღება. დიდად ვერც ნიკუშას შეკითხვის აზრს ჩასწვდა. დარწმუნებიული იყო, მეგობარს ის აინტერესებდა, როგორ გაიგეს ამ ციხესიმაგრის მისამართი.

– ე, რა რჩება გაუგებარი. ჩვენთვის ეგ პრობლემა იქნებოდა? – შეიფერა და ვახოს ნიშნისმოგებით გადახედა.

– ია, ბიჭებო, თქვენ არ იცით, როგორ მჭირდებოდით. თინიკო, მადლობ, რომ შენც აქ ხარ.

– ჰო, ჩამოვედით. რა უნდოდა ამის გაკეთებას, მით უმეტეს, ჩემთვის – აიღე ბილეთი და მორჩა. ეს ქალბატონი კი ძალით წამოვათრიე. – ვახომ იას შეხედა. – ისეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას მიწევდა... თქვი, ხომ მაგრები ვართ?

– მაგრები? მაგრები კი, არა... ნიკუშამ ხელები გაშალა – ადამიანებო, ვინ გითხრათ, ვინ?

– რას ჩაიხვიე, ვინ გვითხრა და ჩიტმა მოგვიტანა ამბავი – ხმამაღლა გაიცინა ლევანმა.

თინიკომ ვეღარ მოითმინა.

– ნიკუშა, კარგად ხარ? მართლა კარგად ხარ?

ლევანმა ცოლს შეხედა და საჩვენებელი თითით საფეთქელზე მიიკაკუნა.

– ცუდად მყოფს ჰგავს ახლა ეს?

საუბარში ჟანი ჩაერთო. ის სათითაოდ მივიდა ბიჭებთან და ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს მადლობას ეუბნებოდა თანაგრძნობისთვის.

– კარგი მეგობრები გყავს ნიკოლა... ძალიან კარგი. გმადლობ, ბიჭებო, რომ არ დაიზარეთ და მისთვის ასეთ მძიმე პერიოდში, აქ ხართ. მე ვერც კი გავბედავდი, დამერეკა.

ნიკუშამ ნათქვამი უთარგმნა. ლევანმა და ვახომ ერთმანეთს გადახედეს და თითქმის ერთდროულად იკითხეს.

– რა მძიმე წუთებზე ლაპარაკობს.

– ხომ გითხარით, რაღაც არის მომხდარი-მეთქი – შეჰყვირა თინიკომ.

– აბა, ვიცითო? – დაიბნა ნიკუშა.

– რა უნდა ვიცოდეთ. – თქვა იამ და ნიკუშას შეშინებული მიაჩერდა.

– დედაჩემის ამბავი.

– დედაშენს რამე მოუვიდა? – ისე ერთხმად შესძახა ოთხივემ, რომ დარბაზის კედლებმა ექო გამოსცეს.

– ცხენიდან გადმოვარდა და დაიმტვრა. უკვე მესამე დღეა. ძალიან ცუდად არის...

– ამას სერიოზულად ამბობ? გაშტერდა ვახო – რას ნიშნავს გადმოვარდა. რანაირად?

– გრძელი ამბავია. გაუხედნავ ცხენზე შეჯდა ისე, რომ ჩვენთვის არაფერი უთქვამს. იცოდა, ჟანი ამის ნებას არ მისცემდა. მდგომარეობა მძიმეა. სწორედ ახლა გვეუბნებოდა ექიმი, შანსები 50 50-ზეაო.

– რისი შანსებიო ბიჭო?

– ნიკუშ, ხომ ცოცხალია? – ყოყმანით ჰკითხა თიკამ.

– ცოცხალია. დილით თითქოს გონზეც მოვიდა, მაგრამ არაფერი ახსოვს. უფრო სწორად ახსოვს, მაგრამ მარტო ის, რაც წარსულში მოხდა. რეალობას არის მოწყვეტილი.

ვახომ თავზე იტაცა ხელები.

– აუ, რა საშინელებაა.

– ნიკუშ, კიდევ რა შეიძლება მოხდეს, რას ამბობს ექიმი? – თინიკომ იგრძნო, რომ ნიკუშა რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა.

– ექიმი ამბობს, რომ მეხსიერება შეიძლება აღუდგეს, მაგრამ უფრო საშიში მისი დაზიანებული ხერხემალია – ნიკუშა გაჩუმდა.

– ანუ, შეიძლება ინვალიდი დარჩეს? – იკითხა ლევანმა.

– მე არ მინდა ამის დაჯერება, ვერ წარმომიდგენია ელენე ინვალიდის სავარძელში. ნეტავ საერთოდ არ ჩამოვსულიყავი, – ნიკუშას ატირებას აღარაფერი აკლდა, – ელენეს რომ რამე დაემართოს, სულ მარტო დავრჩები, ისედაც ამდენი წელი დავკარგე ჩემი უაზრო სისულელით.

საუბრის გაგრძელება ისევ ლევანმა შეძლო:

– არაფერი მოუვა და არც მარტო დარჩები. იმ დაკარგულ წლებსაც აინაზღაურებთ. კიდევ დიდხანს იქნებით ერთად. ჩვენ კი მართლა არაფერი ვიცოდით... – ნიკუშამ გაიღიმა.

– ესე იგი, ისე ჩამოხვედით, სტუმრად... მე კი ვიფიქრე, რომ...

– ახლა უკვე ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, რისთვის ჩამოვედით, – ყველას დაასწრო თიკამ, – მთავარია, რომ აქ ვართ, შენ გვერდით. ბიჭებო, ხომ მართალს ვამბობ? – თინიკომ, რატომღაც, ვახოს შეხედა.

– ჰო, აბა რა, – მხარი აუბა ვახომ, – და ვიქნებით, სანამ ეს საჭირო იქნება.

ჟანმა ნიკუშას რაღაც უთხრა.

– ახლა თქვენს ოთახებს გიჩვენებენ. ცოტას მოწესრიგდებით და სასადილო ოთახში ჩამოხვალთ. საუბარი მერე გავაგრძელოთ. თიკა მართალია, მთავარი ის არის, რომ აქ ხართ, ჩემ გვერდით. ძალიან მიხარია, თითქოს იმედიც მომეცა.

ლევანმა მათთვის განკუთვნილი ოთახი მოათვალიერა.

– რა მაგარი სახლია, არა?! – უთხრა ცოლს, რომელიც ფანჯარასთან იდგა და სასახლის წინ გადაშლილ ხასხასა მწვანე მოლს გასცქეროდა. – დიდი შანსია, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი ნიკუშას დარჩეს, ანუ, შენს ძმას. არ გიხარია? ალბათ რა მაგარი განცდაა, როცა იცი, რომ შენს ძმას, თუნდაც ნახევარძმას საკუთარი საგვარეულო ციხე-კოშკი აქვს.

თინიკო შემობრუნდა და ქმარს საყვედურით შეხედა:

– როგორ შეგიძლია ასეთ დროს ასეთი ლაპარაკი? ზოგჯერ მეჩვენება, რომ ემოციები საერთოდ არ გაქვს.

ლევანმა მხრები აიჩეჩა.

– ემოციები რა შუაშია? უბრალოდ, მე სიტუაციის დრამატიზება არ მიყვარს და ცხოვრებასაც რეალურად ვუყურებ. რატომ უნდა ვიგლოვოთ წინასწარ? ცოცხალია ის ქალი, ექიმსაც უთქვამს, შანსი აქვსო. კარგად იქნება.

– იმას, შეიძლება, აქვს შანსი, მაგრამ, მე? მე მაქვს? – სევდიანად ჩაილაპარაკა თიკამ, მე ახლა ნიკუშას ვეღარაფერს ვეტყვი. ჩვენი საუბარი გაურკვეველი ვადით გადაიდო და, ვეჭვობ, რომ დიდი ხნით, თუკი, საერთოდ შევძლებ მისთვის სიმართლის თქმას.

– აბა, რას ამბობ! სწორედ ახლა გაქვს საუკეთესი მომენტი, რომ ნიკუშას თქვენი დაძმობის ამბავი გაუმხილო. ხომ ხედავ, სიმარტოვეს როგორ განიცდის. შენს ადგილას მე დღესვე ვეტყოდი.

– არ შემიძლია, – თავი გააქნია თიკამ, – თანაც, შეიძლება, არ დამიჯეროს.

– რატომ? – გაიკვირვა ლევანმა.

– შეიძლება, იფიქროს, რომ ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდება გვერდით ახლობელი ადამიანი, მომენტით ვსარგებლობ და ვატყუებ.

ლევანი შეიჭმუხნა:

– რა სისულელეა! შენ რატომ უნდა გჭირდებოდეს ტყუილის თქმა?

– სწორედ იმისთვის, რაზეც წეღან მელაპარაკებოდი: ციხესიმაგრე, მოსალოდნელი მემკვიდრეობა, სახლი პარიზის საუკეთესო უბანში...

ლევანს გაეცინა.

– შენზე მაგას არ იფიქრებს მარტივი მიზეზის გამო – შენ ისედაც ყველაფერი გაქვს. არანაირად არ ჰგავხარ ქონებაზე მონადირეს. გირჩევ, დროს ნუ დაკარგავ და სადილის მერე ნიკუშას დაელაპარაკე.

ოღონდ, მოწმეების გარეშე. განსაკუთრებით იმ ორს მოერიდე – ვახოს და იას ვგულისხმობ. ქვეყანას ნუ მოვდებთ ამ ამბავს.

– ისინი ჩვენი მეგობრები არიან, ჩვენი უახლოესი მეგობრები.

– ჯერ ერთი, ისინი ჩემი მეგობრები არიან. მეორეც – მეგობრობა ერთია, ოჯახი – მეორე. ჯერჯერობით მაინც, ისევ შენთვის და ნიკუშასთვის აჯობებს, თუკი ყველას არ ეცოდინება ამ ნათესაობის ამბავი. დედაშენზეც იფიქრე. ნუ მოსჭრი თავს ამ სიბერეში.

– როცა იქნება ამ ამბავს მაინც ყველა გაიგებს. მით უმეტეს, თუ ნიკუშა დაიჯერებს. მერე არ მოეჭრება დედაჩემს თავი?!

ლევანმა ამოიოხრა:

– არ შეგიძლია არ მეკამათო და ჩემი რჩევა გაითვალისწინო? ალბათ, ვიცი, რასაც ვამბობ.

– რა თქმა უნდა, შენ ყოველთვის ყველაფერი სხვაზე უკეთ იცი. – დაუფარავი ირონიით ჩაილაპარაკა თიკამ.

– შენ სხვა ხარ? ხომ იცი, რომ შენზე ნაკლებად არ განვიცდი ამ ამბავს?

– ვიცი და, ისიც ვიცი, რატომაც. შენ იმ ნახატის ბედი გადარდებს, იმ ორი მილიონის...

ლევანს სახეზე შეურაცხყოფა გამოესახა:

– გამოდის, ტყუილად წამოგყოლივარ, მაინც არ გჯერა ჩემი. ძალიან მტკენ გულს მაგ შენი უნდობლობით!

თინიკო მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა. ბოლო დღეების განმავლობაში ლევანი სულ ცდილობდა, მისთვის ერთგულება დაემტკიცებინა.

– კარგი, – თქვა ყოყმანით, – სადილის მერე დაველაპარაკები ნიკუშას, მაგრამ, გეფიცები, მართლა არ ვიცი, ეს როგორ უნდა გავაკეთო.

– სიმართლის თქმა ადვილია. თუ გინდა მეც შენ გვერდით ვიქნები მაგ დროს.

თინიკომ თავი გააქნია:

– არა, მაშინ სულ დავიბნევი.

– როგორც გინდა, მაგრამ აუცილებლად დაელაპარაკე. ახლა კი წამოდი, ქვემოთ ჩავიდეთ, ალბათ, უკვე გველოდებიან.

იამ ვახოს ოთახის კარზე დააკაკუნა.

– შემოდი! – გამოსძახა ვახომ და იას დანახვაზე გაეცინა.

– რა იყო, რა სახე გაქვს? მართალია, მომავალი დედამთილი ცუდად გყავს, მაგრამ, რძლები ადვილად იტანენ ასეთ რაღაცეებს.

– სულ მასხრობის გუნებაზე როგორ ხარ?! მე ლამის ნერვიულობით მოვკვდე.

– რაღა განერვიულებს? უკვე აქ ხარ, ნიკუშასაც, ისე სჭირდები, როგორც არასდროს. გაბედულად! ახლა რომ შენი შანსი ხელიდან გაუშვა, ვეღარ გადამირჩები.

– როგორ გგონია, ნიკუშას ახლა სიყვარულზე სალაპარაკოდ სცხელა?!

– სცხელა, სცხელა. ძალიან მინდა, ელენეც კარგად იყოს, მაგრამ მთავარი მაინც თქვენი ურთიერთობაა. დროს ნუ დაკარგავ, იმოქმედე, სანამ ის კახპა, თავისი გაბერილი მუცლით, თავზე წამოგდგომია...

სჭირდებათ, თუ არა ადამიანებს ერთმანეთი? ყველა დაუფიქრებლად, გიპასუხებთ რა თქმა უნდაო. მაგრამ, ცოტა დაფიქრებაც საკმარისია რომ თემა სადავო გახდეს. პრობლემა ისაა, რომ სწორედ ადამიანები უქმნიან ერთმანეთს ყველაზე დიდ და სერიოზულ პრობლემებს, თანაც ისე, დარწმუნებულნი არიან, ამას ბედისწერა აკეთებს ჩვენს ნაცვლადო. რა ქნან, არ სჯერათ. იმიტომ, რომ ფიქრი ეზარებათ?! ნურას უკაცრავად! მიზეზი სხვაა – სხვაზე გადაბრალება ურჩევნიათ. ამ შემთხვევაში, ბედზე წუწუნი უფრო ადვილია და უსაფრთხო – შეგეკამათება თუ რა! თუმცა, გაბრაზება მაინც იცის და, როცა ბედი ბრაზობს, ის დაგვცინის კიდეც. ყველაზე მწარე და ძნელად მოსათმენი კი სწორედ ბედის დაცინვაა.

***

სადილმა, ფაქტობრივად, ჩუმად ჩაიარა. ყველა ერიდებოდა, რამე ზედმეტი ეთქვა, თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული. თუმცა სიმშვიდე არც ერთს არ ეტყობოდა. ცალ-ცალკე ყველა წრიალებდა და სახეც შეწუხებული ჰქონდათ. ია ვახოსაც არიდებდა მზერას და ნიკუშასაც; თინიკო ცდილობდა, ქმრისკენ არ გაეხედა; ჟანი ხმადაბლა ელაპარაკებოდა ექიმს, მაგრამ მის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია დიდ სასადილო ოთახში შექმნილი გარემო. ჰაერიც თითქოს უარყოფითად დაიმუხტა და დაიძაბა. როცა დესერტი და ყავა მოიტანეს და სუფრის წევრებმა აივანზე, მოწნულ სავარძლებში გადაინაცვლეს, ლევანმა დრო იხელთა და ცოლს წასჩურჩულა:

– ახლა კარგი დროა. მომენტი ხელიდან არ გაუშვა, თორემ, ამ შანსს დაკარგავ. ისე, ვატყობ, იაც რაღაცის თქმას აპირებს. შეხედე, როგორ იყურება. აშკარად ჩანს, რომ, უნდა, ნიკუშა დაიმარტოხელოს. იცოდე, ამის საშუალება არ მისცე!

– ლევან, მომეშვი. ხომ ხედავ, რომ ისედაც ვნერვიულობ? არ შემიძლია, ახლა ვერ ვეტყვი!

– აბა, როდის ეტყვი?

– როცა ელენე კარგად იქნება. ახლა არ შემიძლია და რა ვუყო! ენა დამებმება და ვერც გავაგებინებ, რა მინდა.

– თინიკო, ნუ ბავშვობ! ელენე როდის იქნება კარგად, ჯერ არავინ იცის. ძვირფას დროს კარგავ. გეუბნები, იას შეხედე-მეთქი, – ლევანმა ცოლი აიძულა, იასკენ გაეხედა.

– რას გადამეკიდე, იამ რა უნდა უთხრას ისეთი? დარწმუნებული ვარ, მაგან მაინც იცის, რომ ნიკუშასთან ნათესაური არაფერი აკავშირებს.

– ასე დარწმუნებული ნუ იქნები, – ლევანმა ცოლს ყავის ფინჯანი გამოართვა, – გეუბნები, დროა-მეთქი!

– ლევან, თავი დამანებე, ძალიან გთხოვ!

– არავითარ შემთხვევაში! ახლა ადგები და მიხვალ. გელოდები!

თინიკომ უკმაყოფილოდ შეხედა ქმარს და მერე ნიკუშასკენ გაექცა მზერა. ნიკუშა იას უყურებდა და თითქოს უღიმოდა კიდეც. თინიკო შეყოყმანდა, მხრიდან ქმრის ხელი მოიშორა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– მირჩევნია, ცოტა დავიცადო.

– კარგი. მაშინ მე ვეტყვი.

– არა, ძალიან გთხოვ!

– რა სისულელეა. გატყობ, სიტყვის მთქმელი არ ხარ... ნიკუშა! შეიძლება ერთი წუთით?..

თინიკომ პროტესტის გამოხატვაც ვეღარ მოასწრო, ლევანმა ისე დააყენა თავზე ნიკუშა და ცოლს გამაფრთხილებლად გაუღიმა.

ნიკუშამ თინიკოს გვერდით მდგარი სავარძელი გამოსწია და დაჯდა:

– მიხარია, რომ ჩამოხვედი. რომ იტყვიან, სულზე მომისწარი.

– ჰო, ეტყობა, თინიკოს გული უგრძნობდა.

ნიკუშას მზერაში გაოცება გაკრთა. ლევანმა მაშინვე დაიჭირა ეს მომენტი და შანსი ხელიდან აღარ გაუშვა,

– აბა, რა! ხომ იცი, ქალებს როგორი ინტუიცია აქვთ, მით უმეტეს, როცა ახლობელ ადამიანს უჭირს.

– ლევან, თინიკოს ხმაში მუდარა გაისმა, მაგრამ მისი ქმარი გაჩუმებას არ აპირებდა.

– ნიკუშ, მოკლედ გეტყვი: ჩვენ აქ შემთხვევით არ ჩამოვსულვართ. იცი შენ ჩემი ამბავი. დროს ვგულისხმობ, რომელიც, ფაქტობრივად, არ მაქვს. მაგრამ, თინიკოს მარტო ვერ გამოვუშვებდი. მის მდგომარეობაში, ჯობდა, ფრენაზე საერთოდაც უარი ეთქვა, მაგრამ, წამოსვლაც ვერ დავუშალე.

– ლევან, საკმარისია! – ვეღარ მოითმინა თინიკომ.

ნიკუშამ დაბნეულმა შეათვალიერა ორივე:

– არაფერი მესმის...

– ჰო, დაგაბნიეთ. ვიცი, მეტის თქმის უფლება არ მაქვს, დანარჩენს თიკა მოგიყვება. თინი, ნუღარ ალოდინებ, ცოდოა, ისედაც ნერვიულობს.

ლევანმა ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა და უკვე გაცივებული ყავა მოსვა. თინიკოს სხვა გამოსავალი აღარ ქონდა – ახლა უკვე ნიკუშა არ დაანებებდა თავს, მაგრამ ქალი მაინც ყოყმანობდა.

– ნიკუშ, იქნებ პარკში გაისეირნოთ, აქ ცოტა უჭირს, – წააშველა ლევანმა და მისი ეს სიტყვები გადამწყვეტი აღმოჩნდა. ნიკუშა გამოერკვა:

– ჰო, რა თქმა უნდა! წამოდი, თიკა.

ლევანმა პარკისკენ მიმავალ წყვილს თავდაჯერებული, გამარჯვებული კაცის ღიმილით გახედა, სავარძელში უფრო მოხერხებულად მოეწყო და სიგარეტს მოუკიდა.

– ეს რას ნიშნავს? – ჰკითხა ვახომ და საავდროდ მოიქუფრა.

– ვერ გავიგე?! – ჩაიცინა ლევანმა.

– რა ვერ გაიგე, ბიჭო! – ვახომ ხმას აუწია, მაგრამ იამ მაშინვე მკლავში სტაცა ხელი:

– შენ შემოგევლე, ოღონდ არ იჩხუბოთ. სირცხვილია, ექიმი და ჟანი აქეთ იხედებიან. რას იფიქრებს ეს ხალხი!

– ამდენი რომ არ ესმის შენს ძვირფას ძმაკაცს, იაკო, საყვარელო?! ჯერ იყო და, თბილისშივე გადაირია. მერე მთელი გზა მიბღვერდა ბუღასავით. გავიგე, რომ ცოფდები, აქ რომ მხედავ, მაგრამ, სიტუაციასთან შეგუება მოგიწევს. ნიკუშა ისეთივე ძმაკაცია ჩემი, როგორიც შენი.

აი, მაგის გამოა, ცხვირპირს რომ არ გილურჯებ ცემით. ვიცი, რაც ჩაიფიქრე, მაგრამ, არაფერი გამოგივა. აქ შენი გეგმების ჩასაშლელად ჩამოვედი. იას არ დაგაჩაგვრინებ, არც შენ და არც არავის სხვას.

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

– მერე, ვინ აპირებს ჩვენი საყვარელი იაკოს დაჩაგვრას. მე?! რანაირად? ვახო, შენ სერიოზული პრობლემები გაქვს. იფიქრე ამაზე.

– მე ვიცი, პრობლემები ვისაც აქვს. მაგრამ, უკვე გითხარი – არ გაგაკეთებინებ იმას, რისი გაკეთებაც გინდა, არ გამოვა ეგ თამაში. თინიკოსაც რომ სვრი ამ სიბინძურეში, ეგ კიდევ უფრო მაცოფებს. ასე როგორ დაკარგე სინდისი?

– რას ბოდავ, შენ მართლა ხომ არ აურიე, თინიკოსგან რაღა გინდა?

– ის მინდა, რომ მაგასაც ატყუებ. საკუთარ კეთილდღეობას ყველას და ყველაფერს სწირავ. შენი ჩასვრილი საქმე, ნიკუშას გინდა, შეტენო, თანაც, ცოლის ხელით, ეს უზნეობის საზღვარსაც სცილდება. მე თინიკოს ინტერესებსაც დავიცავ, მეცოდება ეგ გოგო შენს ხელში. ნამდვილად მეტს იმსახურებს!

– ეი, ზნეობის დამცველო, ერთი მეც მომისმინე! ხომ ხედავ, არ გაგაწყვეტინე – მაინტერესებდა, რას იტყოდი. რა ჩასვრილი საქმეო, ან ვის რას „ვტენი“, არ შეგიძლია გასაგებად ილაპარაკო? რას ბჟუტურებ და ბოდავ. რას მერჩი. ერთი შემთხვევა შემახსენე ისეთი, შენთვის მეწყენინებინოს. გაგიჟდი, თუ რა დაგემართა?

– სრულ ჭკუაზე ვარ. შემთხვევას კი რამდენსაც გინდა, იმდენს გავიხსენებ, მაგრამ, აზრი არა აქვს და, რადგან არ გესმის, პირდაპირ გეტყვი: ის გოგო, ნატუკა, შენგან არის ფეხმძიმედ! – ვახომ თვალებში შეხედა ლევანს და ისიც წამოხტა.

იამ ხელები გაასავსავა:

– გეყოფათ, არ გამაგიჟოთ! ვახო, ახლავე გაჩუმდი! ლევან, შენც დაჯექი! ჩემი ბრალია. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, არ ვუნდივარ ამ კაცს და რას ვეძალები!

– ია, შენ ნუ ერევი! – წარბი შეიკრა ვახომ.

– რას ნიშნავს ნუ ვერევი! რისთვის წამომიყვანე? – იას თვალები აუცრემლდა.

– რისთვის წამოგიყვანა? – დაინტერესდა ლევანი.

– ნიკუშასთან უნდა შეგარიგო, ვიცი, რომ ჩუმად ისევ უყვარხარ და ამ კახპას არ მოვატყუებინებ. დაწმუნებული ვარ, ლევანისაგან არის ფეხმძიმედ და არა ნიკუშასგანო.

– ია, არ გინდა, ანგარიშს ნუ აბარებ!

– რატომ? განაგრძე ია. ძალიან საინტერესოა! – ლევანმა ნაძალადევი ღიმილით აათამაშა ხელში ძვირფასი სანთებელა.

– ისე ნუ იქცევი, თითქოს პირველად ისმენდე საკუთარი გეგმის ამბავს, მიამიტი კაცის როლი არ გიხდება. მე მაინც ვერ მომატყუებ, იმდენი წელია, გიცნობ. თუმცა, შენს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოახერხე და გამაოცე. თინიკოსაც ყველაფერს ვეტყვი, დარწმუნებული ბრძანდებოდე.

– ჩემს ცოლს თავი დაანებე და ჩემი ოჯახის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფ, მით უმეტეს, რომ წარმოდგენა არ გაქვს, რა ხდება. თვალებს ნუ მიბრიალებ! დაჯექი და გეტყვი, რატომაც ჩამოვედით მე და თიკო. ჯერ არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ, ვატყობ, სხვანაირად შენგან თავს ვერ დავიხსნი. მე ჯანდაბას, მაგრამ, ვერ დავუშვებ, თინიკო ანერვიულო და გამიგიჟო.

– მე უნდა გაგიგიჟო?

– დიახ. ია რომ უკვე გადარიე, ვხედავ.

– ბიჭებო, გეყოფათ, სირცხვილია, – იამ ჯერ ვახოს შეხედა მუდარით და მერე ლევანისკენ გაიწოდა ხელები.

– ია, შენ ნუ ერევი-მეთქი! ვახომ ძალიან შორს შეტოპა და ჭკუა უნდა ვასწავლო!

– წესიერად მელაპარაკე, თორემ, გაგახსენებ, ვის ასწავლიდნენ ხოლმე ჭკუას არცთუ შორეულ წარსულში. ხომ არ გგონია, შენი მინისტრობა შემაშინებს? არც ბატონი გრაფის მომერიდება და ერთი კარგად დაგნაყავ.

– შენ ყოველთვის მუშტებზე იყურებოდი. პრობლემა რომ სხვა გზით მოაგვარო, ამისთვის გონება არ გყოფნის.

– რას მელაპარაკები? შენ ხომ გყოფნის გონება, ობობასავით ქსელი რომ გააბა. ახლა რაღა მოიგონე? შენ ხომ ინტრიგების დიდოსტატი ხარ. მთავრობაშიც, ეტყობა, მაგისთვის გაჩერებენ.

– რა უნდა გითხრა. სულ გააფრინე. გეუბნები, ჩვენს აქ ჩამოსვლას, არანაირი კავშირი არა აქვს ნატუკას ორსულობასთან.

– როგორ არა, შენ თუ დაგიჯერე! – ირონიულად ჩაიცინა ვახომ.

– გირჩევნია, დამიჯერო, თორემ, მერე შეგრცხვება.

– გადავიტან როგორმე.

– როგორ არ გრცხვენიათ! არ შეგიძლიათ, ერთმანეთი არ გალანძღოთ და ისე ილაპარაკოთ? მაგრამ, ყველანი ერთნაირები ხართ. მე არ ვიცი, რას ელაპარაკება თიკა ნიკუშას, მაგრამ, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ მე აქ არ უნდა ჩამოვსულიყავი, არ არის აქ ჩემი ადგილი. თქვენ რაც გინდათ ის ქენით, მე კი აეროპორტში წამიყვანეთ, ან ტაქსი გამომიძახეთ და გზას თავად გავიგნებ.

– ია, არ გინდა, ცოტა ხნით ეზოში გაისეირნო? ათი წუთიც არ დამჭირდება, რომ ამ ვაჟბატონთან ურთიერთობა გავარკვიო. რადგან მე წამოგიყვანე, შენზე პასუხისმგებლობაც მე ავიღე და ამიტომ ფეხს ვერ მოიცვლი აქედან! – შეუბღვირა ვახომ გაწიწმატებულ ქალს.

– ათი წუთი ბევრია, – დასცინა ლევანმა, – ჩვენი ურთიერთობა უკვე გარკვეულია. ამ ბოლო დროს ცუდად დაგჩემდა, სულ სხვის საქმეში ეჩრები.

– აბა, შენსავით სხვისი მილიონების მითვისებაზე ხომ არ ვიჩალიჩებ!

– იდიოტი ხარ! – გამოსცრა ლევანმა.

– მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? „იდიოტო“ და, მორჩა?! რატომ არ მეუბნები რომ არ გინდა, მოწმე გყავდეს, ვინმე ნახოს, ამ საწყალ ნიკუშას როგორ გაასულელებ? იმ გოგოსთან რომანიც ხომ შენ გაუჩალიჩე?

– ვახო, ახლა მოკეტე, თორემ ჩემი მოთმინების ფიალა უკვე აივსო. აივსო და გადმოვიდა კიდეც. გეუბნები, შეგრცხვება შენი სიტყვების. ცოტა ხანს მაცადე, და გეტყვი, ვინ არის ჩემთვის ნიკუშა.

ვახომ წაუსტვინა:

– არ მითხრა, ერთი დედის შვილები ვართო, თორემ, მაშინ კი ზუსტად ვიტყვი, რომ საბოლოოდ გაუბერე.

– მე არა, მაგრამ... – ლევანმა სიგარეტს მოუკიდა.

– ხომ გეუბნები, ახალ-ახალ ინტრიგებს ხლართავ-მეთქი. ია, ახლა მოისმენ ნიკუშასა და ლევანის შესაძლო სისხლით ნათესაობის უახლეს ვერსიას.

– მოკეტე, რა, თორემ არაფერს ვიტყვი.

– ვერ იტყვი. იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი გაქვს, აბსოლუტურად არაფერი. რამდენი წელია, ვმეგობრობთ? ძალიან, ძალიან ბევრი, ხომ? და, ამდენ ხანს მალავდი, არა?! ეგ ზღაპრები, შენს მოადგილეებს მოუყევი. ხომ გყავს? – მე ნუ მაბოლებ!..

ლევანმა ხელი ჩაიქნია და იას მიუბრუნდა:

– ამას ვერაფერს ვაგებინებ და, შენ მაინც მომისმინე.

იამ თავი გააქნია:

– არაფრის მოსმენა არ მინდა, მარტო ერთი სურვილი მაქვს როგორმე ტაქსი გამოვიძახო და აეროპორტამდე მივაღწიო. აღარ მაინტერესებს არც თქვენი და არც ნიკუშას ამბავი. მირჩევნია, საერთოდ აღარფერი ვიცოდე თქვენ შესახებ. წავალ და, შევეცდები, სამუდამოდ დაგივიწყოთ. იმ დღეს ვწყევლი, როცა პირველად გაგიცანით. შიზოფრენიით დაავადებული ოთხი მამრი და მათზე ჩამოკიდებული მაზოხისტი მდედრი... საშინელებაა!

– ია, გეყოფა! აქ ისტერიკას ნუ მოაწყობ, შენ მაინც ხომ შეგიძლია, გაჩუმდე და მომისმინო? – ლევანმა იას მაჯაში მოჰკიდა ხელი და მსუბუქად შეაჯანჯღარა.

– თავი დამანებე! – მისგან თავის დახსნა სცადა იამ. ვახოც მაშინვე გაიქაჩა მის საშველად, მაგრამ ლევანმა თავადვე გაუშვა ხელი და სინანულით ჩაილაპარაკა: ასეთი რა დაგვემართა, რომ ერთმანეთის ნდობა დავკარგეთ? ნუ გეშინია, არ შეგჭამ!..

– საკუთარ თავს ჰკითხე. – ვახომ მხარზე მოხვია იას ხელი – შენ დაგემართა რაღაც და მე გეტყვი, რაც.

– ორი მილიონი აღარ ახსენო, თორემ, ეგ იქნება ის ბოლო წვეთი, ჩემი მოთმინების ფიალას რომ აკლია...

– ნუ მაშინებ. არც სულელი არ ვარ და არც ბრმა. კარგად ვხედავ, რაც იმ ნახატის ამბავი გაიგე, იმის მერე შეიცვალე. იმასაც კი ვეჭვობ, რომ შენ ნიკუშაზე გაცილებით ადრე იცოდი, დედამისს მილიონებად ღირებული ნახატი რომ ჰქონდა.

ლევანმა ამოიოხრა:

– სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. გავჩუმდები და დაველოდები, პარკიდან როდის დაბრუნდებიან. არ მინდა, ისეთი შეცდომა დავუშვა, რომელსაც მერე ვეღარ გამოვასწორებ.

– შენ უკვე იმდენი შეცდომა დაუშვი, რომ ამ ერთსაც გადაიტან როგორმე, – ვახო გაჩუმებას არ აპირებდა, მაგრამ ლევანმა უპასუხოდ დატოვა მისი გამოწვევა. სიგარეტს მოუკიდა და ნელი ნაბიჯით გრაფისკენ გაემართა, რომელმაც ექიმი გააცილა და უკან ბრუნდებოდა. ვახომ იას გამამხნევებლად გაუღიმა:

– შენ არ იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება!

– ჰმ, შენ თავადაც არ გჯერა მაგ სიტყვების.

– რატომაც არა, მჯერა! – იხტიბარი არ გაიტეხა ვახომ, – ლევანს რას უსმენ, დაბოღმილია და აღარ იცის, ვისზე გადმოანთხიოს თავისი ბოღმა. ხუმრობა ხომ არ არის, ორი მილიონი ეცლება ბიჭს ხელიდან!

იამ თავი გადააქნია:

– რაღაც არ მჯერა მაგის. რა შუაშია ლევანი მაგ ფულთან? ისე, ლევანმა მართალი თქვა. რაღაც დაგვემართა, რაღაც ძალიან ცუდი. მეგონა, ჩვენ ეს საშინელება არასოდეს დაგვემართებოდა.

– რას გულისხმობ?

– იცი, რასაც ვგულისხმობ – ჩვენს მეგობრობას. ცოტაღა გვაკლია, რომ ერთმანეთის მოსისხლე მტრებად ვიქცეთ.

– ამას ნუ ამბობ. ვეჩხუბები ლევანს, მაგრამ, არ მძულს, პირქუშად ჩაილაპარაკა ვახომ.

– გეტყობა! ლამის დახოცეთ ერთმანეთი. მე რომ არ ვყოფილიყავი და გრაფის არ მოგრიდებოდათ, ყელში სწვდებოდით ერთმანეთს.

– არც ასეა საქმე. უბრალოდ, ურთიერთობა უნდა გაგვერკვია.

– მერე, გაარკვიეთ? ვახო, თავს ნუ იტყუებ, რა, მეც ნუ მატყუებ. სანამ დროა, აეროპორტში წავიდეთ და თბილისში დავბრუნდეთ.

– სანამ შენ ნიკუშას არ დაელაპარაკები, აქედან არსად წავალთ.

– ნიკუშას მე არ ვჭირდები. უკვე ელაპარაკება თიკა.

– რა შუაშია თიკა? ფეხებზე მკიდია, რაზე ლაპარაკობენ. შენ სხვა რამე გაქვს სათქმელი და მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

იამ წყენით შეხედა მეგობარს.

– რა გინდა ჩემგან? – ჰკითხა საცოდავად, იცი, როგორ დავიღალე? თან, დავიტანჯე კიდეც. ძალიან მინდა, ეს ყველაფერი მალე დამთავრდეს. წამიყვანე, რა, აქედან, ძალიან გთხოვ!

– არა! – მკაცრად მოუჭრა ვახომ.

– რა გინდა ჩემგან? – წაისლუკუნა იამ.

– შენი ბედნიერება, სხვა რა უნდა მინდოდეს! – გაუღიმა ვახომ და ლოყაზე აკოცა.

ლევანი ცდილობდა ხმისთვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა. იცოდა, გრაფი არ იყო ის ადამიანი, ვისთან თამაშიც შეიძლებოდა ან ადვილად გამოუვიდოდა. ამიტომ, ყველა სიტყვას წონიდა:

– რა საშინელებაა! კიდევ ვერ ვხვდები, ეს როგორ უნდა მომხდარიყო! დარწმუნებული ვარ, პირველად არ იჯდა ცხენზე.

გრაფმა თავი დაუქნია:

– არა, რა თქმა უნდა! ელენე არაჩვეულებრივი მხედარია, არასდროს მეშინოდა მისი ცხენით სეირნობის, მაგრამ, გაუხედნავ ცხენზე შეჯდა.

ლევანმა გაოცებით გაშალა ხელები:

– შეეშალა?

– არა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ელენე ფეხზე არ ადგება.

ლევანი შეყოყმანდა:

– რა შანსები აქვს?

– ამას დანამდვილებით ექიმიც ვერ ამბობს, უნდა დაველოდოთ.

– ჰო, მესმის... წარმომიდგენია, როგორ განიცდით. ელენე ჩემთვისაც ძალიან ძვირფასი ადამიანია, იმაზე მეტად ძვირფასიც კი, ვიდრე წარმოგიდგენიათ. მალე მიხვდებით, ამას რატომაც ვამბობ.

გრაფმა ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო და ლევანმა სწრაფად დაუმატა:

– მე ახლა ყველაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნიკუშა ყველაფერს აგიხსნით. რაღაც ისეთი გაირკვა, რომ ბევრი რამე შეიცვლება. მაგრამ, მე არ მაქვს უფლება, სხვისი საიდუმლო გავამხილო. – მერე ცოტა შეყოყმანდა და მორიდებით განაგრძო, – ალბათ,

ახლა ამისთვის შეუფერებელი დროა, მაგრამ, არ შემიძლია, არ გკითხოთ: თქვენს ბინაში მომხდარ ძარცვას ელენეს დამტვრევასთან ხომ არ აქვს კავშირი?

გრაფს სახეზე ჩრდილმა გადაუარა:

– რა კავშირი უნდა ჰქონდეს? თანაც, „ძარცვა“ ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, მხოლოდ ერთი ნახატი დაიკარგა.

– ნახატი, რომელიც ორი მილიონი დოლარი ღირს...

– სიმართლე გითხრათ, მე მისი ღირებულება არასოდეს მაინტერესებდა.

– მჯერა, მაგრამ, ამით ხომ თავად ფაქტი არ იცვლება. ალბათ, გამოძიებას უკვე აქვს რაღაც ვერსია.

– ლევან, ძალიან დიდ პატივს გცემთ, როგორც ნიკუშას მეგობარს, მაგრამ, ამ თემაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. ამ ეტაპზე საერთოდ არ მაინტერესებს იმ ნახატის ბედი და გამომძიებელსაც სწორედ ეს ვუთხარი. ჩემი ცოლი იმ მილიონებზე გაცილებით მეტი მიღირს და, სანამ ის კარგად არ იქნება, კიდევ ერთი ძარცვაც რომ მოხდეს, მაინც არ ვინაღვლებ. თქვენი მეუღლე ნიკუშას გაჰყვა?

– დიახ. ხომ გითხარით, მნიშვნელოვან საკითხზე უნდა დაილაპარაკონ, – წყენით თქვა ლევანმა.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა გრაფმა, – მე მაშინვე მივხვდი, რომ აქ რაღაც მნიშვნელოვანი ამბის გამო ჩამოხვედით. თქვენის ნებართვით, დაგტოვებთ. ელენესთან უნდა ავიდე და ვნახო, როგორ არის. დროდადრო გონზე მოდის და, უმჯობესია, თუ ასეთ წუთებში მის გვერდით მე ვიქნები. ჩემი მსახურთუფროსი თქვენს განკარგულებაშია. თუ რამე დაგჭირდებათ, მას უთხარით. თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში, – გრაფმა თავაზიანად დაუკრა თავი ლევანს და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

ლევანი ერთხანს თავდახრილი იდგა და რაღაცას ფიქრობდა, მერე ჩაეცინა:

– კარგი ამბავია... ეს რა საინტერესო რაღაც გავიგე... ქალბატონი ელენე არც ისეთი სულელია, გაუხედნავ ცხენზე შემჯდარიყო. თავსაც არ მოიკლავდა. ასეთ ქალებს აშკარად არ აქვთ სუიციდისკენ მიდრეკილება. მით უმეტეს ახლა, როცა შვილიც გვერდით ჰყავდა, თვითმკვლელობაზე რატომ უნდა ეფიქრა? აქ რაღაც ისე არ არის. ბატონი გრაფიც ძალიან საეჭვოდ აფორიაქდა, როცა დაკარგულ ნახატზე დავუწყე ლაპარაკი. იქნებ, სწორედ ის ხდება, რაც ერთხელ ვახოს შემთხვევით წამოსცდა – გვარიშვილობისა და დახვეწილი მანერების მიღმა, შეიძლება, მკვლელი იმალებოდეს. რატომ უნდა გამოვრიცხო, რომ ბატონი ჟანის თავაზიანობა მხოლოდ ნიღაბია და მეტი არაფერი?! ახალგაზრდა მამინაცვალი და თითქმის მისი ასაკის გერი, თანაც – ერთადერთი მემკვიდრე... სასახლე ბევრს არაფერს ნიშნავს. უნდა გავიგო, ბატონი გრაფი აზარტული თამაშებით ხომ არ არის გატაცებული... არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. გამომძიებლის ნახვასაც რომ შევძლებდე, კარგი იქნებოდა. ექიმთან დალაპარაკების საშუალება კი კიდევ მექნება... ისიც საინტერესოა, საავადმყოფოში რატომ არ გადაიყვანეს და ასეთ სერიოზულ პაციენტს სახლში რატომ მკურნალობენ. მგონი, ნიკუშას მეც სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო.

ნიკუშა ხელისგულებში თავჩარგული იჯდა:

– არ მჯერა, ვერაფრით დავიჯერებ... ეს, ეს... შეუძლებელია!..

– მე ვიცი, რას განიცდი ახლა. იმიტომ, რომ მეც დიდხანს ვერ გამოვედი შოკიდან. დამიჯერე, იმაზეც ბევრი ვიფიქრე, საერთოდ უნდა მეთქვა თუ არა შენთვის ეს ამბავი... მერე ლევანმა დამარწმუნა, რომ უფლება არ მქონდა, დამემალა და წამოვედით... – თიკამ გაუბედავად შეახო მხარზე ხელი.

– ნიკუშ, იცი? შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ, შენ მიმართ ყოველთვის მქონდა განსაკუთრებული გრძნობა, რომელსაც ახსნას ვერ ვუძებნიდი... გახსოვს, ერთხელ მოვედი კიდეც შენთან.

– მახსოვს. სიმართლე გითხრა, მაშინ მაგრად დამაბნიე და დამაფიქრე. უკვე იცოდი?

– არა, მაგრამ ვიცოდი მამაჩემისა და დედაშენის ურთიერთობის ამბავი. მაპატიე, რა. ვიცი, რომ შენთვის ამის მოსმენა ძალიან ძნელია, მაგრამ, არც ჩემთვის არის ადვილი, მით უმეტეს – ახლა.

ნიკუშამ ორივე ხელი თმაში იტაცა და დაიგმინა.

– თიკა, გემუდარები, ცოტა ხანს გაჩუმდი! ეს ყველაფერი როგორმე უნდა გადავხარშო. შენ წარმოდგენა არ გაქვს, რამდენი ხანია, მინდა იმ ადამიანის ვინაობის გაგება, ვინც ჩემი ოჯახი დაანგრია – ჩემი ცხოვრებაც ხომ ამის მერე დადგა თავდაყირა.

– ამას ნუ ამბობ. ჩვენი მშობლების წარსულმა ჩვენს ცხოვრებაზე გავლენა არ უნდა იქონიოს.

ნიკუშას მწარედ გაეცინა:

– გჯერა იმის, რასაც ამბობ? სწორედ ეგ წარსული განსაზღვრავს ჩვენს დღევანდელობას. ვერ ხვდები თუ არ გინდა, მიხვდე? წარსულისგან გათავისუფლება ან გაქცევა შეუძლებელია. მე ეს ვცადე, ბევრჯერ ვცადე, მაგრამ, ჩემი მცდელობა ყოველ ჯერზე მარცხით დასრულდა. როცა ოდნავ დავმშვიდდი და ვთქვი, რომ ცხოვრებას ახალი ფურცლიდან დავიწყებდი, ბედმა ისევ დამცინა: ახლა გავიგე, რომ და მყოლია, რომ ჩემი საუკეთესო ძმაკაცი ჩემი სიძეა... მისი სიმამრი კი, დედაჩემის საყვარელი... ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ვერ გაუძლებდა ამ ყველაფერს და ვერც მე გავუძლებ...

თინიკო გვერდით მიუჯდა ნიკუშას და თავი მხარზე დაადო:

– ყოველთვის მინდოდა, ძმა მყოლოდა...

– თიკა, არ გინდა! ხომ გითხარი, ეს ყველაფერი ჯერ უნდა გადავხარშო-მეთქი!..

– შენ ჩემზე გაცილებით უკეთ გაქვს საქმე. ის მაინც იცი, რომ მამაშენი ნამდვილად მამაშენი იყო, დედაშენი კი – ნამდვილად დედაშენი. მე კი მამაჩემის გაცნობაც ვერ მოვასწარი. სამწუხაროდ, ვერც ვერასოდეს გავიცნობ. მომიყევი, როგორი იყო...

– არ შემიძლია. არც მინდა. ბატონი ზურაბი, რომელთან ერთადაც ჭიქა ამიწევია, რომელსაც პატივს ვცემდი, როგორც ჩემი ძმაკაცის სიმამრს... ეს ბატონი ზურაბი, ყოველთვის მეგობრულად რომ მიღიმოდა... მან ხომ ყოველთვის იცოდა, ვინ იყო მამაჩემის ინფარქტის

მიზეზი?! რომ იცოდე, როგორ მძულს... დედაჩემი კი... დედაჩემი... – ნიკუშამ სიტყვა ვეღარ დაასრულა.

თიკა ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე ხამადაბლა ჩაილაპარაკა:

– შენ რომ დედაშენზე ხარ გაბრაზებული და იმ სიყვარულს ვერ პატიობ, რაც მას გათხოვებამდე ჰქონდა, მაშინ, მე რაღა უნდა ვთქვა დედაჩემზე, ცხოვრების თითქმის ნახევარი ტყუილში რომ გამატარებინა?! წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა. სიყვარულით ჩადენილი ცოდვის პატიება კიდევ შეიძლება, მაგრამ, დედაჩემის შემთხვევაში, მე ამის თქმაც არ შემიძლია. ვერაფრით გავამართლებ, თუმცა, მაინც არ შემიძლია, განვიკითხო. ყველა ადამიანს აქვს არჩევნის უფლება, ყველა თავად არის პასუხისმგებელი საკუთარ საქციელზე.

– მათმა არჩევანმა მე ცხოვრება დამინგრია. – ნიკუშამ სახე ორივე ხელით მოისრისა და თინიკოს შეხედა, – შენი ნაამბობი ბოლო წვეთი იყო. აქამდე მხოლოდ დედაჩემზე ვიყავი გაბრაზებული, მაგრამ, ახლა ისიც არ ვიცი, ის უფროა დამნაშავე თუ მამაჩემი!

– მამაჩვენი ნიკუშა, მამაჩვენი და, ნუ დავუწყებთ ძებნას დამნაშავეს, დამიჯერე, არ ღირს. მათმა „დანაშაულმა“ ჩვენ ერთმანეთი გვაპოვნინა და ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ყველას ყველაფერი ვაპატიო.

– მე რომ იგივეს თქმა არ შემიძლია?! ბოღმა მიპყრობს და ვერაფრით ვთავისუფლდები მისგან. ვერც ჩვენი დაძმობა წარმომიდგენია.

– რატომ? რატომ ვერ წარმოგიდგენია? – თინიკოს ხმა აუთრთოლდა. .

ნიკუშამ თავი გააქნია:

– არ ვიცი, შეიძლება, ძალიან ეგოისტი ვარ. შეიძლება – სულელი, მაგრამ, რასაც ამწუთში ვგრძნობ, ის არის, რომ მთელ სამყაროზე ვარ გაბრაზებული.

– ჩემზეც? – თიკამ ხელისგულებით მოიწმინდა ცრემლით სველი ღაწვები.

ნიკუშამ არ უპასუხა.

– გასაგებია... არ უნდა მომეყოლა. ჩემს ინტუიციას არ უღალატია. ბოღმით ცხოვრება ძალიან ძნელია, გაგიჭირდება, მით უმეტეს – მარტოს. მე შენგან არაფერს ვითხოვ, აბსოლუტურად არაფერს.

– ეგ რა შუაშია? ნიკუშამ უხერხულობა იგრძნო.

– ალბათ, შუაშია. დედაჩემმა გამაფრთხილა, რომ შენ შენებურ ახსნას მოუძებნიდი ამ ამბავს. ის ნახატი ხომ მამაჩემმა აჩუქა დედაშენს.

ნიკუშამ თავი ასწია.

– ჰო, ზურაბმა აჩუქა, დედაჩემმა მითხრა. ალბათ, ერთად გატარებული დღეების მოსაგონრად.

– თინიკო, ძალიან გთხოვ, გაჩუმდი, თავი მისკდება! ღმერთო, რა დავაშავე, ეს ჯოჯოხეთი აღარ უნდა დამთავრდეს?

– ჩვენ შეგვიძლია, დავამთავროთ.

– რანაირად?

– ამ ტრაგიკომედიის მთავარი გმირებიდან სამი ჯერ ისევ ცოცხალია და მათ ყველაფერი ახსოვთ.

– დედაჩემი ამ ეტაპზე გამონაკლისია, თუმცა, ამით ბევრი არაფერი იცვლება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მალე დაუბრუნდება საღად აზროვნების უნარი და ისიც გაიგებს, რომ ქმარმა უღალატა. ბატონმა ზურაბმა იცის?

– არ ვიცი, არ მგონია. ვეჭვობ, დედაჩემს გამბედაობა ჰყოფნოდა სიმართლის მოსაყოლად. ყოველთვის ძალიან ჩუმი და მორიდებული იყო.

– ჰმ, რა უცნაური კდემამოსილებაა! იმისთვის ხომ ეყო გამბედაობა, უცხო კაცს ლოგინში ჩასწოლოდა და მისგან შვილი გაეჩინა?

– დედაჩემზე ასე ნუ ლაპარაკობ! გაამწარა და სამაგიერო გადაუხადა. მითხრა, მთელი ცხოვრება ის ქალი უყვარდა და მე ამას ყოველთვის ვგრძნობდიო.

– შურისძიების სურვილი დაღუპავს კაცობრიობას. ერთი მსხვერპლი მე ვარ.

– ნუ მაფიქრებინებ, რომ მართლა ეგოისტი ხარ. მე კი, რაც ეს ამბავი გავიგე, მას შემდეგ ბედნიერი დავდივარ. შენგან მართლა არაფერს ვითხოვ და არც არაფერს მოვითხოვ. ის ნახატიც არაფერში მჭირდება.

– თიკა, რას ამბობ, რა შუაშია ნახატი? ის მეც არაფერში მჭირდება. მით უმეტეს, რომ მოიპარეს და არავინ იცის, იპოვიან თუ არა. მაგრამ, გულახდილად გეტყვი, ეს ამბავი ფეხებზე მკიდია. არც ის მაინტერესებს, ვინ მოიპარა.

– სამაგიეროდ, მე მაინტერესებს და რაღაც ვერსიაც მაქვს! – ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკუშა შემოტრიალდა და ლევანი დაინახა, – ჰო, მაქვს ვერსია და ვერ მოვითმენდი, შენთვის რომ არ მეთქვა. შეიძლება, ამაზე დედაშენის სიცოცხლეც იყოს დამოკიდებული, – თქვა ლევანმა და მათ გვერდით, სკამზე ჩამოჯდა.

ჩვენ იმის გვჯერა, რისიც გვინდა, რომ გვჯეროდეს – ეს ადამიანის მოთხოვნილებაა, სხვანაირად ძალიან გაუჭირდებოდა. თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებს, ისიც კი დაიჯეროს, რისი დაჯერებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თქვენ გგონიათ, ტყუილ-მართალს ვერ არჩევს? სულაც არა, მაგრამ, ხომ გითხარით, თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებს-მეთქი...

***

თინიკომ განცვიფრებული მზერა მიაპყრო ქმარს. ლევანს სახე უბრწყინავდა და თვალები არაბუნებრივად უელავდა. ხელებსაც ისე იქნევდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაეკეთებინოს. ნიკუშაც დააბნია მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ. ლევანმა ხელები გაშალა:

– რა გაოცებულები მიყურებთ. ვიცი, რომ საუბარი ჯერ არ დაგიმთავრებიათ და ჩემი დანახვაც დიდად არ გიხარიათ, მაგრამ ის, რაც მე უნდა გითხრათ, ძალიან მნიშვნელოვანია. ურთიერთობას მერეც გაარკვევთ – ერთი საათით ადრე, ერთი საათით გვიან ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

– ხომ გთხოვე, ჩვენს საუბარში არ ჩარეულიყავი! – თინიკოს დიდი ყურადღება არ მიუქცევია ქმრის სიტყვებისთვის. მისმა დანახვამ უფრო გააბრაზა, – წადი, დაგვტოვე კიდევ ცოტა ხნით!

– თინი, არ გესმის? შეიძლება, სწორედ ახლა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდეს. ნიკუშა, მე დედაშენს ვგულისხმობ.

– იცი, რას გეტყვი? გეყოფა. ახლა რაღა მოიგონე? – გაცხარდა თინიკო.

– მოიცადე. რას ამბობ, აბა, გაიმეორე!

– დედაშენს, შეიძლება, საფრთხე ემუქრებოდეს, სერიოზულ საფრთხეს ვგულისხმობ, სასიკვდილო საფრთხეს...

– ვიცი, რომ დედაჩემი ჯერ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ, ექიმს არ უთქვამს, რომ, შეიძლება, მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას.

– ექიმის მოსაზრება, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაშია. ნიკუშა, ჯერ კარგად მომისმინე, ჩუმად მომისმინე და შეკითხვები არ დამისვა.

ნიკუშამ უკმაყოფილო სახით აიჩეჩა მხრები და თინიკოს შეხედა:

– ცოლ-ქმარმა პირი შეკარით? ეს რას ნიშნავს, რა გინდათ ჩემგან?

– ლევან, ხომ გეუბნებოდი, საუბრისთვის შესაფერისი დრო არ არის-მეთქი, – წყენით ჩაილაპარაკა თინიკომ, – იქნებ, საერთოდ არაფერი არ უნდა მეთქვა.

– რას ნიშნავს, არ უნდა გეთქვა? თქვენ და და ძმა ხართ ეს არის ფაქტი, რომელსაც ვეღარსად წაუხვალთ. ისიც ფაქტია, რომ ჟანს ელენეს მოკვლა უნდა...

ლევანმა ბოლო ფრაზა ხმამაღლა და სწრაფად წარმოთქვა. ეფექტიც ისეთი იყო, როგორსაც ელოდა. ნიკუშა ჯერ გაშტერდა, მერე გაეღიმა, საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა და მიიკაკუნა.

– სულ აურიე, ხომ? ეს სისულელე საიდან მოიტანე?

– სისულელე არ არის. ახლავე ყველაფერს აგიხსნი და ნახავ, რომ საკმაოდ ბევრი არგუმენტი მაქვს, ეს რომ ვივარაუდო. ოღონდ, უნდა მომისმინო, მშვიდად უნდა მომისმინო და არ შემეკამათო. გახსოვდეს, ამაზე დედაშენის სიცოცხლეა დამოკიდებული.

– ლევან, ახლა ნამდვილად არ ვარ იმის განწყობაზე, შენი აბსურდული ბრალდებები ვისმინო, ძალიან გთხოვ, თავი დამანებე!

ლევანმა ჯიუტად გააქნია თავი:

– არავითარ შემთხვევაში! ამას ვერ ვიზამ, ელენეს სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. მოვა დრო და მადლობას მეტყვი ამისთვის.

– თინიკო, შენი ქმარი გაგიჟდა, – ახლა თიკას მიუბრუნდა ნიკუშა, – თუ მართლა ჩემი და ხარ და გული შეგტკივა ჩემზე, როგორმე გააჩუმე, თორემ მართლა გავგიჟდები!

– ლევან, რა დაგემართა? – უსაყვედურა თინიკომ ქმარს, – ვიცით, რომ ელენე მძიმე მდგომარეობაშია, ნიკუშა ისედაც საშინლად ნერვიულობს ამას. იმის თქმა კი, რომ ჟანს თავისი ცოლის სიკვდილი უნდა, ბოდვას უფრო ჰგავს.

– ბოდვას, არა? ჰმ, როგორი გულუბრყვილოები ხართ. ეტყობა, ეს თვისება გადამდებია. მაშინ, მიპასუხეთ რომელიმემ, რატომ იყო ელენეს ცხენი გაუხედნავი? სხვათა შორის, ჟანმა ეს თვითონ მითხრა.

– ჰო, ელენე გაუხედნავ ცხენზე დაჯდა და გადმოვარდა. ცხენმა გადმოაგდო. ეს მაშინვე ვიცოდი. მეტი სათქმელი არაფერი გაქვს?

ლევანმა გამომცდელი მზერა მიაპყრო მეგობარს:

– ესე იგი, თავიდანვე იცოდი... საინტერესოა, მერე, არ გაგიჩნდა შეკითხვა, რატომ იყო ის ცხენი გაუხედნავი? შემთხვევითობა რომ არ იქნებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ალბათ, ელენეს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა საფრთხე ელოდა.

– ტყუილად ხარ დარწმუნებული, სულ ტყუილად. ელენემ ძალიან კარგად იცოდა, რასაც წარმოადგენდა ის ცხენი. მისი იყო, ჟანმა აჩუქა და იცოდა კიდეც, გასახედნი რომ იყო.

ლევანმა ხელი ხელს შემოჰკრა:

– აი, ასეც ვიცოდი! ხომ ვგრძნობდი! არა, ინტუიცია არასდროს მღალატობდა. ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება, რომ შენი მამინაცვალი ბინძურ თამაშს თამაშობს.

– არაფერსაც არ თამაშობს, მოეშვი ჩემს მამინაცვალს, ისევ შენთვის აჯობებს. ჟანი არაჩვეულებრივი ადამიანია და, რა უნდა მოხდეს, რომ მასში ეჭვი შემეპაროს! მოდი, რა, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, – მოიღუშა ნიკუშა, – მართლა არ მინდა, იმიტომ, რომ მაინც არ მოგისმენ. საშინლად ვღიზიანდები, როცა ასეთი თავდაჯერებული ტონით ცდილობ აბსურდის დამტკიცებას.

– არ არის აბსურდი! უბრალოდ, შენ ახლა საღად არ აზროვნებ, უფრო სწორად, ვერ აზროვნებ. იმიტომ კი არა, რომ არ გინდა, ემოცია გიშლის ხელს. ცოტათი დამშვიდდი და მომისმინე.

ნიკუშამ მუდარით შეხედა თინიკოს:

– უთხარი რა, ამ შენს ქმარს, მომეშვას. არ შემიძლია, ვიჯდე და მის ნაბოდვარს ვუსმინო, მით უმეტეს, მშვიდად. მართლა არ შემიძლია, ნერვები არ მყოფნის. შევიდეს ჩემს მდგომარეობაში. ერთბაშად იმდენი რაღაც დამატყდა თავზე, ლამის ჭკუიდან შევიშალო...

თინიკომ თანაგრძნობით მოუჭირა მხარზე ხელი და ქმარს საყვედურით შეხედა:

– შენც, რა დაგემართა, ცოტა ხანს მაინც გაჩუმდი, ძალიან გთხოვ!

– არ შემიძლია. ახლა კი ჯიუტობს, მაგრამ მერე მადლობას მეტყვის.

– ახლა გეტყვი მადლობას, ოღონდაც თავი დამანებე, – შეუბღვირა ნიკუშამ, – ჟანი ძალიან მიყვარს. მან უკვე დაამტკიცა, რომ დედაჩემი მისთვის ყველაფერია, ამიტომ, არაფრის მოსმენა აღარ მინდა.

– ყოველთვის ჯიუტი იყავი და ამიტომაც ხარ ახლა ასე! – მიახალა ლევანმა.

– ნერვებს ნუ მიშლი, არ გირჩევ! – ნიკუშა ერთიანად გაწითლდა.

– გეუბნები, ბევრი რამ ძალიან უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს. მეც ვფიქრობდი, რომ შემთხვევით მოხდა, მაგრამ, ასეთი შემთხვევითობაც არ შეიძლება. ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ მე სხვა თვალით ვხედავ ამ ყველაფერს.

– შეიძლება, მაგრამ, მაინც არ მჯერა და არ მინდა, შენი ვარაუდები ვისმინო. ჯერ თიკას ნათქვამიც ვერ გადავხარშე.

– რა გადახარშვა მაგას უნდა! არ გიხარია? შენი ნათესავი ვარ, თან, როგორი ნათესავი – დის ქმარი! პირადად მე, მართლა მიხარია. თინიკომაც რისთვის იფრინა ამდენი, თანაც მის მდგომარეობაში! სხვათა შორის, მე არ ვურჩევდი, მაგრამ ვერაფრით გადავაფიქრებინე. იცი, რამდენი ვინერვიულე? ხომ იცი, როგორ ველოდებოდით ბავშვს.

ნიკუშა მაშინვე ვერ მიხვდა, რა თქვა ლევანმა და როცა მისი სიტყვების აზრს ჩასწვდა, შეცბუნებულმა შეხედა თიკას.

– ესე იგი, მალე ბიძაც გავხდები? ღმერთო, მომეცი ძალა, ამ ყველაფერს გავუძლო! ჯერ ის ვერ მომინელებია უცებ და რომ გამომიჩნდა და ახლა იმასაც უნდა შევეგუო, რომ დისშვილი მეყოლება.

თიკას სახე დაუსევდიანდა:

– მე ახლა შენ ძალიან მაწყენინე. იქნებ, ფიქრობ, იმიტომ მინდოდა ეს ამბავი გცოდნოდა, რომ რაღაცას მოველი? მატერიალურ ფაქტორს ვგულისხმობ. მაშინ, იცოდე, რომ არაფერი მჭირდება შენგან, აბსოლუტურად არაფერი, ლევანი კი მეუბნებოდა, რომ, შეიძლებოდა, სწორედ ეს გეფიქრა ჩემზე, მაგრამ, მე მაინც არ დავუჯერე. უფრო სწორად, ვერ დავუჯერე.

– ლევანი, ისევ ლევანი! – ნიკუშა წამოხტა და აღშფოთებული ხელების ქნევას მოჰყვა, – რა შუაშია ლევანი, როცა ჩემი ისედაც არეული ცხოვრება კიდევ უფრო მეტად აირია? რატომ არ შეგიძლია ეს გაიგო, ნუთუ ასე ძნელია?

– არ არის ძნელი, მაგრამ, არც ჩემი ცხოვრებაა დალაგებული, – ხმაში ცრემლი გამოერია თინიკოს, – გული მტკივა, რომ მე მადანაშაულებ იმაში, რაც ჩემზე არანაირად არ არის დამოკიდებული. ჩემს მდგომარეობაში ვინღა შევა?

ნიკუშამ ამოიოხრა:

– ღმერთო, ეს რა დღეში ვარ? მალე, ალბათ, ჭკუიდან შევიშლები!

– მე კი გირჩევ, რომ დამშვიდდე. შენს მდგომარეობაში ეს საუკეთესო გამოსავალია.

– დავუშვათ, დავმშვიდდი და დავფიქრდი... – ნიკუშამ ლევანს ხელი გაუშვირა, – სიგარეტი გექნება.

ლევანს სახე გაუბრწყინდა:

– აი, ეს უკვე სხვანაირი ლაპარაკია, გაცილებით სერიოზული. ვატყობ, აზრზე მოდიხარ. მესმის, რომ გიჭირს – ეს ბუნებრივია. მეც არ ვიქნებოდი კარგ დღეში, უცებ და რომ გამომჩენოდა, თანაც, ჩემი ძმაკაცის ცოლი, მაგრამ, თუ ამ „მედალს“ მეორე მხრიდანაც შევხედავთ, აშკარად გაგიმართლა, რომ თინიკოა შენი და და არა ვინმე სხვა.

– აშკარად დიდი შეღავათია. კიდევ კარგი, რომ შემახსენე, გულზე მომეშვა, – ირონიულად ჩაილაპარაკა ნიკუშამ. თინიკოს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი ირონია და გულდაწყვეტილმა წარმოთქვა:

– ვატყობ, ჩემი დობა შენ არაფერში გჭირდება და არც დაგჭირდება. ლევან, იქნებ წამიყვანო აეროპორტში. ერთ წუთსაც აღარ დავრჩები აქ.

ლევანმა თავი გადააქნია:

– აუ, ნიკუშ... იცოდე, რომ სერიოზულ შეცდომას უშვებ, ძალიან მალე ინანებ ამას.

ნიკუშამ ბალახის ღერო მოწყვიტა და კბილებშუა მოიქცია, თითებით კი სიგარეტს სრესდა. ლევანმა ფეხი აითრია, თიკამ მხარზე მოქაჩა.

– წავიდეთ, რაღას დგახარ? მართლა ერთი სული მაქვს, როდის მოვშორდები აქაურობას.

– მოიცადეთ, დღეს მაინც ხომ ვერ გაემგზავრებით, – ყოყმანით დაიწყო ნიკუშამ, – ღამეს აეროპორტში ხომ არ გაათევთ. დარჩით და, თუ გინდა, მერე კიდევ დავილაპარაკოთ.

– რა აზრი აქვს, – თინიკომ თმაზე გადაისვა ხელი, – უკვე ყველაფერი გავარკვიეთ. ყოველ შემთხვევაში, მე რაც მაინტერესებდა, უკვე ვიცი. სამწუხაროა, ვერ გეტყვი, რომ იმედი არ გამიცრუე. არ ვიქნებოდი ცუდი და.

– თინიკო, შენ მე არასწორად გამიგე.

– პირიქით, ძალიან სწორად გაგიგე. ამაზე სწორად ვერც ვერაფერს მეტყოდი.

– არ გინდა, რა! მე არ მითქვამს, რომ შენთან ურთიერთობა არაფერში მჭირდება. უბრალოდ, დრო მჭირდება, რომ ეს ყველაფერი გადავხარშო.

– ვერ ხვდები, რომ სწორედ ეგ დრო არ გაქვს? დაფიქრდი, ნიკუშ, თუ ჩემი ეჭვები მართალია, მაშინ საფრთხე მარტო დედაშენს კი არა, შენც გემუქრება. შეიგნე, რომ ერთადერთი მემკვიდრე ხარ. არ არის ისე მარტივად საქმე, როგორც შენ უყურებ. რაღა დროს შენი ვარდისფერი სათვალეა, ბიჭო, რაღა დროს? დამთავრდა ეგ პერიოდი. ეს ცხოვრება ბრძოლაა, თანაც, სამკვდრო-სასიცოცხლო. პატარა ხომ არ ხარ, ამაზე რომ მალაპარაკებ?

– მე ვარ ერთადერთი მემკვიდრე?

ლევანმა წაუსტვინა:

– ახლა გაიგე? დიახ, შენ ხარ ერთადერთი მემკვიდრე. აბა, მითხარი, შენს მამინაცვალს შვილი ჰყავს?

– მგონი, არა. არ დავინტერესებულვარ.

– მე ვიცი, რომ არ ჰყავს. თბილისში რომ იყო, მაშინ წამოსცდა, სუფრაზე. შენ, ალბათ, ყურადღება არ მიაქციე, მაგრამ მე, რაც ის ნახატი დაიკარგა, სულ ამაზე ვფიქრობ.

– ოღონდ, ახლა არ მითხრა, რომ ის უბადრუკი ნახატიც ჟანმა მოიპარა.

– რატომ არ უშვებ ამ ვარიანტს? გეუბნები, არავის ნდობა არ შეიძლება, საკუთარი თავისაც კი. მითხარი, რა ვერსია აქვს გამომძიებელს?

ნიკუშა შეყოყმანდა.

– მითხარი, მითხარი... – წააქეზა ლევანმა, – ვეჭვობ, რაღაც ისეთი ხდება, რაც ჩემს მოსაზრებებს ადასტურებს. მითხარი, რა ვერსიას ამუშავებს გამომძიებელი და მერე ვნახოთ, ვის მხარეს იქნება სიმართლე.

– გამომძიებელი ფიქრობს, რომ... – ნიკუშამ შუბლი მოისრისა, – არ მინდა ამაზე ლაპარაკი მაშინ, როცა დედაჩემი შეიძლება საერთოდ ვერ ადგეს ინვალიდის სავარძლიდან.

– მით უმეტეს, უნდა მოგვისმინო. ნიკუშა, თინიკო შენი დაა, უყვარხარ და შენზე შესტკივა გული, მგონი, უფრო მეტად ვიდრე ჩემზე, გეფიცები... ჩვენს მეგობრობაზე აღარ ვლაპარაკობ. როგორ გგონია, ეჭვი ისე გამიჩნდა, არაფრიდან? ორი მილიონი არ არის ცოტა, მაგრამ, ამაშიც არ არის საქმე... ჟანი და ელენე ოფიციალური ცოლ-ქმარი ხომ არიან?

– რა თქმა უნდა. სხვანაირად, საფრანგეთში როგორ წამოიყვანდა?

– ხედავ, როგორ შეიკრა წრე? ელენეს შენ გარდა არავინ ჰყავს. თუ მას რამე დაემართება, ერთადერთ მემკვიდრედ ვინ რჩება? – შენ. როგორ გგონია, უნდა ფრანგ გრაფს, დიდგვაროვანს და საგვარეულო ციხე-დარბაზების პატრონს, ერთადერთ მემკვიდრედ შენ ჰყავდე?

– თინიკო, ლევანს რომ ვუსმენ, თავი საშინელ სიზმარში მგონია.

– შეგიძლია, არ მომისმინო, მაგრამ, ფრთხილად იყავი, ეს საშინელი კოშმარი რეალობად არ გექცეს. ექიმს რატომ არ ეკითხები, ასეთი მძიმე პაციენტი კლინიკაში რატომ არ გადაჰყავს?

– იმიტომ, რომ ელენეს ტრანსპორტირება ჯერ არ შეიძლება.

ლევანმა ცინიკურად მოჭუტა თვალები:

– და, შენ გჯერა ამის? როგორი მიამიტი ხარ! ეს ექიმი გრაფის მეგობარია, იმას იტყვის, რასაც შენი მამინაცვალი ჩასჩურჩულებს. შენ აქ მარტო ხარ, სულ მარტო. ჩვენ შენ გჭირდებით, ნიკუშა, მართლა გჭირდებით... რომ გავემგზავროთ კიდეც, შენზე დარდი არ მოგვასვენებს.

– ჟანს დედაჩემის ცხენიდან ჩამოვარდნასთან კავშირი არ აქვს, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– ჰო, რა თქმა უნდა, ხელი ნამდვილად არ უკრავს და არც ცხენისთვის გადაურტყამს მათრახი, მაგრამ ეს ცოფიანი, გადარეული ცხენი რისთვის უყიდა, ხომ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, ელენე აუცილებლად შეჯდებოდა მასზე?!

– გაუხედნავი ცხენის ყიდვა დანაშაული არ არის, – ნიკუშამ ისევ სცადა მამინაცვლის დაცვა, – ელენეს სულ აფრთხილებდნენ, რომ ამ ცხენზე არ უნდა დამჯდარიყო, მაგრამ დედაჩემი საშინლად ჯიუტია.

– თუ ღმერთი გწამს... ეგ ზღაპარია... შენ იცი, რომ დედაშენი საშინლად ჯიუტია... მეც ვიცი და, რა თქმა უნდა, იცის ჟანმაც. ახლა შენ თავად განსაჯე.

ნიკუშამ ტუჩზე მაგრად იკბინა და სიგარეტის ნამწვი ხეს მიასრისა. ლევანი მიხვდა, რომ მისი ძმაკაცი საკუთარ თავს ებრძოდა.

– მე არაფერს ვამტკიცებ. აბსოლუტურად არაფერს, უბრალოდ, მინდა, ისეთი შეცდომა არ დავუშვათ, რომელსაც ვეღარ გამოვასწორებთ.

– სად არის ახლა ჟანი? – ნიკუშას ხმაში შეშფოთება იგრძნობოდა.

– მე რომ აქეთ მოვდიოდი, ელენესთან ადიოდა ოთახში. მითხრა, მარტო ვერ დავტოვებო.

– მეც იქ უნდა ვიყო, აუცილებლად! თქვენ კი აქ იქნებით, ჩემ გვერდით. არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებთ. თინიკო, მაპატიე, თუ ჩემი სიცივით გული გატკინე. გამიჭირდა ამ სიახლესთან შეგუება. ისეთი ამბავი მითხარი, მიკვირს, ჭკუაზე როგორ ვარ. შენმა ქმარმაც არ დამაკლო ხელი და, გეფიცები, თავს საშინლად ვგრძნობ, თორემ, როგორ შეიძლება, ნორმალურ ადამიანს არ გაუხარდეს შენნაირი და...

– ის ნახატი... ხვდები, ხომ, რომელ ნახატზე გელაპარაკები? დედაშენს მამაჩემმა აჩუქა... უფრო სწორად, ზურაბმა.

ნიკუშა ჯერ გაფითრდა, მერე ჭარხალივით გაწითლდა.

– ნუ მახსენებ მაგათ ამბავს, თორემ მართლა შევიშლები. რომ წარმოვიდგენ, რა კავშირები არსებობს ჩვენ ორ ოჯახს შორის და როგორ აღმოვჩნდით ჩვენ ოთხი სინდისზე ხელაღებული ადამიანების მსხვერპლი, ვცოფდები!

– ეს მათი ცხოვრება იყო და ისინი არიან პასუხისმგებლები, ჩვენ არ გვაქვს უფლება, განვსაჯოთ. დავივიწყოთ ის, რაც ცუდია ამ ყველაფერში და ვიფიქროთ იმაზე, რაც კარგია – რომ ერთმანეთი ვიპოვეთ.

– ჰო, კარგი. წავიდეთ ახლა, ვეღარ ვისვენებ. ელენე უნდა ვნახო.

– კიდევ ერთი პატარა პრობლემა, – ჩაერთო ლევანი, – ჩვენ ახლა რა ვქნათ, ვუთხრათ ახალი ამბავი ვახოს და იას? ჰო, მართლა, ეგენი რაღამ ჩამოიყვანა, ხომ არ იცი?

ნიკუშამ მხრები აიწურა:

– არ ვიცი. ია... როგორი დამნაშავე ვარ მაგ გოგოსთან, როგორი!.. მთელი ცხოვრება გავუფუჭე. მაგან მაინც რა დამიშავა, რას ვერჩოდი?

ლევანი აწრიალდა:

– მოდი, ცოტა ხნით იაზე ნუ იფიქრებ, ამდენ ხანს გელოდა და ცოტას კიდევ მოიცდის. არ არის პრობლემა, მაგრამ, რა არის, იცი? ბიჭო, ის საქმეც მოსაგვარებელია. პრინციპში, გამოვეპარე, რა... ნატუკას. ნატუკას ხსენებაზე ნიკა შეიჭმუხნა. ლევანმა კი შეწუხებული სახით განაგრძო: – აღარ ვიცი, რა ვუყო. მაძალებდა, ბილეთი ამიღე და გამიშვი ნიკუშასთან, ამ მუცლით ჩემს მშობლებთან ვეღარ გამოვჩნდებიო.

– აი, სწორედ ნატუკა მაკლდა სრული ბედნიერებისთვის, – ამოიხვნეშა ნიკუშამ, – ახლა მაგაზე ნამდვილად ვეღარ ვიფიქრებ, მით უმეტეს, არ ვარ დარწმუნებული, რომ მართლა ჩემგან არის ორსულად.

– ჰო, მესმის შენი. ნატუკასნაირ გოგოებს ხშირად აქვთ შანსი, რომ ერთდროულად რამდენიმე მამაკაცს დააბრალონ თავიანთი შვილის მამობა, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა ლევანმა, ისე რომ ცოლისკენ არ გაუხედავს.

– ჯანდაბა, ზუსტად ვიცი, ეგ გოგო ხვალ თავის ტკივილად მექცევა, მაგრამ, დღეს ელენეა ჩემი საზრუნავი. ვახოს კი ვუთხრათ ჩემი და თინიკოს ამბავი, რა მოხდა მერე? როცა იქნება, მაინც გაიგებენ. როდემდე დავმალოთ?

– სულ დავმალოთ-მეთქი, ამას არ ვამბობ, მაგრამ, მოდი, დღეს არ ვუთხრათ.

– რატომ? – გაუკვირდა ნიკუშას?

– სწორედ იმიტომ, რომ ჯერ ელენეა ჩვენი პრობლემა.

– კარგი. ნურაფერს ვიტყვით. თინიკო რას ფიქრობს ამაზე?

თინიკომ გაიღიმა:

– თქვენ როგორც გადაწყვეტთ. თუ არ უნდა ვთქვათ, არ ვიტყვით.

***

ვახომ კიბეებზე ჩაირბინა და შემაღლებული ხელოვნური გორაკიდან პარკს გადახედა.

– რას უყურებ? – გასძახა იამ.

– მესამე საათი დაიწყო, ის სამეული კი ჯერ არ ჩანს. არ გაინტერესებს, სად არიან და რას აკეთებენ?

– თუ გინდა, გულახდილი ვიყო, გეტყვი, რომ არ მაინტერესებს. წასვლა მინდა და, თუ შენ არ წამომყვები, მარტო წავალ.

– ფეხს ვერ მოიცვლი! მე არ გეხუმრები, არსად წახვალ. ჯერ რაღაც-რაღაცეები უნდა მოვაგვაროთ.

– ნიკუშასთან ლაპარაკი არ მინდა, იმიტომ რომ არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა.

ვახომ ხელი ხელს შემოჰკრა:

– გადამრევს ეს ქალი! სიყვარულის ახსნაც მე გასწავლო? უბრალოდ, მიდი და უთხარი, – ნიკუშა, მე აქ შენთვის ჩამოვედი, მიყვარხარ და მინდა, სულ შენ გვერდით ვიყო! – არ უნდა ამას, ბევრი ფანტაზია და რომანტიკა. აღარ ხართ თქვენ იმ ასაკში, რომ შეყვარებულობანა ითამაშოთ.

– ჩვენ ეგ პერიოდი არც გვქონია, – სევდიანად ჩაილაპარაკა იამ, – იცი, მგონი, არც არასდროს ვყვარებივარ.

– ე, ახლა ნუ აურიე!.. – ყასიდად გაბრაზდა ვახო, – შენ მასწავლი, უყვარხარ თუ არა? იცი, რამდენი საღამო გაგვიტარებია ამაზე ლაპარაკში? ახლა, ნუ მომაყოლებ, რა... შენ მე დამიჯერე, არ წააგებ... ან, იქნებ არ გიყვარს და არ გინდა მასთან ყოფნა? თუ ასეა, მითხარი და ახლავე წავალთ აქედან!

ია შეყოყმანდა.

– ნუ წითლდები მორცხვი პატარძალივით... პატარა კი აღარ ხარ. გეუბნები, თუ ახლა არ იმარჯვებ, დაკარგავ ამ კაცს, თანაც, სამუდამოდ.

– შენ ხომ იცი, რომ მე ბრძოლა არ შემიძლია, არ მაქვს მაგისი უნარი და არც არასდროს მქონია, თორემ, ახლა მისი ცოლი ვიქნებოდი.

ვახომ თავი დაუქნია:

– მართალია. ამიტომაც ვარ აქ, შენ გვერდით. ჩემზე უკეთეს „წამჯიკებელს“ ვერც იპოვი... მაგრამ, რა ჯანდაბას აკეთებენ ისინი პარკში ამდენ ხანს?

– ლაპარაკობენ.

– ლაპარაკობენ? ამდენი ხანი? კი მაგრამ, რაზე? ვახშმის დრო მოვიდა. ეს გრაფიც თითქოს მიწამ ჩაყლაპაო... მაგარ მასპინძლობას გვიწევენ, ვერაფერს იტყვი.

– მგონი, ცოლთან ავიდა...

– წესით, იქ ახლა შენ უნდა იყო, მომავალი დედამთილია, რაც არ უნდა იყოს... – იხუმრა ვახომ, მაგრამ, იას სახეს რომ შეხედა, მაშინვე შეწყვიტა სიცილი, – ჰო, კარგი, რა მოხდა მერე. ცოტა გავხალისდეთ, თორემ თავი პანაშვიდზე მგონია... არადა, ჯერ ცოცხალია ეს ქალი, ხომ არ ვიტირებთ წინასწარ.

– გეყოფა, ვინმემ არ გაიგონოს!

– ვინ უნდა გაიგონოს. მარტონი ვართ. მგონი, ყველას დავავიწყდით, ხომ იცი!

– ასეთ სულელურ და უხერხულ სიტუაციაში ჯერ არ ვყოფილვარ. თავს ზედმეტად ვგრძნობ.

– მოიცა, მგონი გამოჩნდნენ. აჰა, ერთი შეხედე, ნიკუშას რა სახე აქვს. დარწმუნებული ვარ, ლევანმა უკვე მოასწრო და მოშხამა. შემომაკვდება ეს უბედური!

– კიდევ რომ იჩხუბოთ, მართლა წავალ, არ ვხუმრობ, – დაემუქრა ია, მაგრამ ვახოს მისი სიტყვები არ გაუგია. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ნიკუშასთან შესახვედრად...

***

ფსიქოლოგები მსჯელობენ და დღემდე ვერ შეთანხმებულან, ვის უფრო ძლიერი სიყვარული შეუძლია – მამაკაცს თუ ქალს. პირადად მე დარწმუნებული ვარ, სქესი აქ არაფერ შუაშია. მართალია, ქალები კაცებზე გაცილებით ემოციურები ვართ, მაგრამ სიყვარულს მარტო ემოციები არ ასაზრდოებს, ყველაფერი მაინც გულზეა დამოკიდებული. სულ მაინტერესებდა, განსხვავდება შეყვარებული ადამიანის გული იმ ადამიანის გულისგან, რომელსაც არასოდეს ჰყვარებია, თუ არა. რატომღაც, მგონია, რომ განსხვავდება. შეიძლება, უფრო მუქი ფერის არის, ან, ზომითაა დიდი... თუმცა, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ. ფსიქოლოგია სხვა საქმეა. რაც უნდა იყოს, მეცნიერებაა და მეცნიერებას, შეიძლება, ენდოს კაცი. მაგრამ, როცა გული აქტიურობს, როცა ის კარნახს იწყებს, გონება დუმს და, შესაბამისად, მთელი მსოფლიოს მეცნიერული მიღწევებიც ფეხებზე გკიდია...

ვერავინ ვერასოდეს იტყვის, რომელ ასაკშია სიყვარული ყველაზე ძლიერი. მაგრამ, ფაქტია, რომ ასაკის მატებასთან ერთად ის სულ უფრო მეტად ღირებული და მშვიდი ხდება. ბობოქარი ვნებების გარეშე მოდის და აღარსად მიდის. შეიძლება იმიტომ, რომ ამ დროს უკვე იცი ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი...

***

ჟანმა ფრთხილად მოკიდა ცოლს ხელზე ხელი და ნელა მიიტანა ტუჩებთან... მისი მკრთალი, მიმქრალი სახის დანახვაზე გული შეეკუმშა, საკუთარ თავს ვერ პატიობდა იმას, რომ ელენე ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ეს რომ ვერ ადგეს... მართლა რომ ვერ წამოდგეს ლოგინიდან, მერე რა უნდა ვქნა, როგორ უნდა ვიცხოვრო ელენეს გარეშე? ვერაფრით შევეგუები იმას, რომ, აი, ასე იწვეს და მხოლოდ თვალებს ახელდეს... ნიკუშამ თქვა, რომ ცოტა ხნით გონზე მოვიდა და მაშინაც ვერაფერი გაიხსენა. რომელიმე კლინიკაში ხომ არ გადავიყვანო... მაგრამ, კიდევ უფრო რომ დაუმძიმდეს მდგომარეობა?! – ჟანი ისევ შეეხო ტუჩებით ცოლის თითებს... – ყველაფერი რა კარგად იყო...“

ელენემ წამწამები შეარხია და ამოიოხრა. ჟანი მაშინვე წამოხტა:

– ელენ... საყვარელო...

ქალმა ოდნავ შეარხია ტუჩები...

– რას ამბობ, საყვარელო, გინდა, რაღაც მთხოვო? რომ არ მესმის? ელენე... შეეცადე უფრო გარკვევით წარმოეთქვა... გესმის ჩემი, საყვარელო?..

ნიკუშა ოთახში იმ მომენტში შევიდა, როცა საწოლთან დახრილ ჟანს ცოლის შუბლზე ედო ხელი და რაღაცას ეჩურჩულებოდა.

– რა ხდება? – ნიკუშა ერთი ნახტომით საწოლთან გაჩნდა და მამინაცვალს უხეშად ჰკრა ხელი.

ჟანმა გაოცებით შეხედა:

– ნიკოლა, რა მოგივიდა, მორბოდი?

– ჰო, უცებ მომეჩვენა, რომ... – ნიკუშა დარწმუნდა, ელენეს არანაირი საშიშროება რომ არ ელოდა და ცოტათი შერცხვა თავის საქციელის.

– მესმის შენი. მეც ძალიან ვნერვიულობ. მეც მეშინია იმის, რომ ვერ გამოკეთდება, ძალიან მეშინია.

– მაშინ, გადავიყვანოთ კლინიკაში, – ნიკუშას ლევანის სიტყვები გაახსენდა.

– მეც მაგას ვფიქრობდი, მაგრამ, უფრო ცუდად რომ გახდეს?! ვერ ვიღებ პასუხისმგებლობას. რა ვქნა, ამ შემთხვევაში ძალიან სუსტი ვარ.

– ექიმია ვალდებული, თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა.

– ექიმიც თავს იკავებს. მოდი, კიდევ დავიცადოთ, ორი-სამი დღე მაინც. მეგობრები სად არიან?

– ბიბლიოთეკაში.

– სირცხვილია, ძალიან უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული.

– რა ვქნა, მე აქ უნდა ვიყო, – მკაცრად თქვა ნიკუშამ და მამინაცვალს გამომცდელად შეხედა.

– ელენესთან მე ვიქნები, შენ ჩადი შენს მეგობრებთან.

– არა, დედაჩემს მე ვჭირდები! – ჯიუტად გაიმეორა ნიკუშამ.

– კარგი, მე ჩავალ მათთან. ვახშმის განკარგულებაც არ მიმიცია. ამ ოჯახში სტუმრებს სხვანაირად იღებენ.

ელენემ ისევ შეარხია ტუჩები.

– რაღაცის თქმა უნდა, – დაიძაბა ნიკუშა და დედას სახეში ჩააშტერდა.

– ჰო, წეღანაც, მგონი, რაღაც თქვა, მაგრამ, ვერ გავიგონე. ნეტავი, ჩვენი თუ ესმის...

– უნდა ესმოდეს. მე დაველაპარაკები, – ნიკუშა ელენესკენ დაიხარა და ტუჩები თითქმის ყურზე მიადო.

– დედა, დედიკო... ეს მე ვარ.... შენი ნიკა ვარ, ნიკუშა და ძალიან, ძალიან მიყვარხარ... გეფიცები... იმდენი ხანია, შენთვის ამის თქმა მინდა... იმდენი ხანია... შენ, ალბათ, ფიქრობდი, რომ მთელი ეს წლები არ მახსოვდი... ან ცოტათი მაინც ნაკლებად მიყვარდი... დედიკო... დედა, შენ არ იცი, როგორ მენატრებოდი... სულ გხედავდი სიზმარში და ბედნიერი ვიღვიძებდი...

ჟანი გაფითრდა.

– მე გავალ, – ჩაილაპარაკა და პასუხს აღარ დალოდებია, უჩუმრად გაიხურა კარი.

ნიკუშა საწოლის წინ მუხლებზე დადგა, შუბლით დედის ხელისგულს დაეყრდნო და ჩუმად ატირდა. ტიროდა და გრძნობდა, რომ თავისი ცრემლების კი არ რცხვენოდა, უხაროდა. იმასაც მიხვდა, რომ ძალიან აკლდა სწორედ ეს ცრემლები. მთელი ეს წლები ერთხელაც ვერ შეძლო ვინმესთან ასე მოეოხებინა გული, აბღავლებულიყო და ცრემლებისთვის გაეტანებინა მთელი ის ნაღველი, რომელიც დაუგროვდა და მძიმე ლოდად აწვა გულზე... რამდენ ხანს ტიროდა, არ ახსოვს... მერე იგრძნო, როგორ შეირხა თითები მისი შუბლის ქვეშ. ცრემლით სველი სახე მუშტებით მოიწმინდა... ელენემ თვალები გაახილა და შვილს უკვე აზრიანი მზერა მიაპყრო.

– დედა... დედიკო...

– ნიკუშა... ჩემო სიხარულო... შენ აქ ხარ... ჩემ გვერდით... რა ბედნიერებაა!

– ჰო, დედა, აქ ვარ... შენ როგორ ხარ?

– არ ვიცი.. რაღაც დამემართა... მთელი სხეული ისე მაქვს დამძიმებული... ვცდილობ, ფეხები გავანძრიო, მაგრამ ვერ ვახერხებ... დიდხანს მეძინა?

– დედა... მომისმინე, ოღონდ არ ინერვიულო, ძალიან გთხოვ... ყველაფერი კარგად იქნება, ძალიან კარგად... ხომ გჯერა ჩემი... მითხარი, ხომ გჯერა?..

ელენემ თვალები დახუჭა და გაახილა თანხმობის ნიშნად.

ნიკუშას გაუხარდა.

– ძალიან კარგი, ახლავე გეტყვი და შენც არ ინერვიულებ... დედა, ჯერჯერობით შენ მოძრაობა არ შეგიძლია, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. ექიმმა თქვა, რომ...

ელენემ გაჭირვებით ასწია ხელი და შვილს თმაზე გადაუსვა.

– მესმოდა, როგორ ტიროდი... მაპატიე, შვილო... მე არ ვარ შენი ცრემლების ღირსი... ძალიან გატკინე გული, მაგრამ, არ იფიქრო, რომ შენზე ძალიან როდისმე ვინმე მყვარებია.

– არა, დე, არ ვფიქრობ ამას... მეც მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მოვასწრებთ, დაკარგული დრო ავინაზღაუროთ...

– ჰო, მაგრამ მე შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი...

– ახლა არაფრის მოსმენა არ მინდა, ჯერ კარგად უნდა გახდე... შენ ცხენიდან გადმოვარდი, დედა... გესმის? ცხენიდან გადმოვარდი და ხერხემალი გაქვს დაზიანებული... ჯერ ვერ ადგები... დედა...

ნიკუშა უცებ მიხვდა, რომ ელენე აღარ უსმენდა...

***

ვახომ ჭიქა ვისკით შეავსო და ბართან მჯდარ ლევანს გამომწვევად დაუდგა წინ.

– მიაღწიე, არა, შენსას? – ჰკითხა დაუფარავი აგრესიით.

– არ ვიცი, რას გულისხმობ და გეხვეწები, ნუ იბღვირები, იმ ოჯახს ეცი პატივი, რომელმაც კარი გაგიღო. გრაფი ღირსეული პიროვნებაა და, მგონი, მეტი თავშეკავება გვმართებს.

– ერთი ამას უყურე, ჭკუასაც რომ მარიგებს! – აღშფოთდა ვახო, – იცი, შენ ვინ ხარ? „მამაშა“, რომელიც ცდილობს, თავისი კახპა ისე გაასაღოს, რომ სარგებელი თავადაც ნახოს.

– ენა დაიმოკლე! თინიკოს ვერ ხედავ აქ? ვინ არის „მამაშა“, რას ბოდავ? ნუ ცდი ჩემს მოთმინებას, უკვე საბოლოოდ გაფრთხილებ, თორემ, ყველაფერს აქვს საზღვარი. ამდენი შეურაცხყოფის ატანას აღარ ვაპირებ. ისე, თუ სიმართლე გინდა, „მამაშა“ სწორედ შენ ხარ. არა?! მაშინ, მითხარი, ია რისთვის ჩამოიყვანე?

ვახო ჯერ გაშტერდა, მერე ხელი ერთბაშად გაიქნია და ვისკი სახეში შეასხა ლევანს. თინიკომ შეჰყვირა და ქმარს ჩამოეფარა.

– ვახო, ახლავე შეწყვიტე, ძალიან გთხოვ, გემუდარები! ჩვენ გვეცით პატივი, მე და იას! – შენ რომ გცემ პატივს, კიდევ იმიტომ ვითმენ შენი ქმრის უზნეობას. მითხრას, რას ელაპარაკებოდა ნიკუშას!

– ეს შენ არ გეხება.

– როგორ არა, სწორედაც რომ მეხება. რატომ ჩამოხვედი, ბატონო მინისტრო? ძმაკაცზე დარდმა შეგაწუხა? თინიკო, იცი, შენი ქმრის ყველაზე დიდი თავის ტკივილი რა არის? არ იცი? მე გეტყვი – ორი მილიონის დარდი აქვს. იმ დაკარგული ნახატის პოვნა უნდა და, ცუდი ის არის, რომ შენც ჩაგითრია ამ თამაშში.

– არ არის მართალი, – წყნარად წარმოთქვა თიკამ და ქმარს მიუბრუნდა, – იცოდე, ხელი არ შემიშალო, არც გამაჩერო. ვახო, მე გეტყვი, რისთვის ჩამოვედით აქ... საქმე იმაშია, რომ ნიკუშა ჩემი ძმაა!

იამ განცვიფრებისგან და მოულოდნელობისგან წამოიკივლა. ვახომ გაიცინა.

– „მაბოლებთ“, არა? პირი შეკარით, ხომ, ცოლ-ქმარმა?! ყოჩაღ! ეს ტყუილი როგორღა მოიგონეთ? მართლაც მაგრები ყოფილხართ. მაგრამ, მე ორი წლის ბავშვი არ ვარ ეს ბლეფი რომ გადავყლაპო.

– ნიკუშა ჩემი ძმაა და, მზად ვარ, ის ბავშვი დავიფიცო, რომელსაც მუცლით ვატარებ. აქ ჩამოსვლა ჩემი ინიციატივა და სურვილი იყო. ლევანმა მხოლოდ ჩემი მეგზურობა იკისრა – არ გამომიშვა მარტო.

– თიკა, გაჩუმდი, რას უხსნი ამ იდიოტს, რას გავაკეთებ, სად წავალ და რისთვის? – იფეთქა ლევანმა.

– ხომ გთხოვე, არ გამაჩერო-მეთქი! ამ ცირკს ბოლო უნდა მოვუღო, სანამ ერთმანეთი დაგიხოცავთ. აი, ასე! ახლა უკვე იცით სიმართლე... ჰო, მე და ნიკუშა და-ძმა ვართ. ყველაფერი ხდება, ჩემო ვახო და, მოგწონს ეს თუ არა, ფაქტთან შეგუება მოგიწევს...

გამოწვევა მიღებულია. ბრძოლა ადვილი არ იქნება... ნურც იმით მოვიტყუებთ თავს, რომ ის მალე დამთავრდება. ჩვეულებრივ, ასეთი ბრძოლები სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება ხოლმე... მთავარია, ტორეადორად არ დაიბადო... თუ მატადორად პრინციპში, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. რადგან ბედმა ამოგირჩია და თეთრი ხელთათმანიც მოგიგდო, უკან დასახევი გზა მოჭრილია. ისღა დაგრჩენია, ჩაება მასთან ჭიდილში და ყველაფერი გააკეთო იმისთვის, რომ წაგების შემთხვევაშიც კი ღირსება შეინარჩუნო. და თუ ამას შეძლებ, მერე ბედიც გამოიჩენს მოწყალებას და, იქნებ, მოგცეს შანსი, არენა გამარჯვებულმა, დაფნის გვირგვინით და ყვავილებით შემკობილმა, თაყვანისმცემლების გამაყრუებელი აპლოდისმენტების გრიალში დატოვო...

***

ნიკუშა ყველაზე გადამწყვეტ მომენტში შევიდა ოთახში. ცარცივით თეთრი იყო და თვალები ავადმყოფურად უბრწყინავდა. მის დანახვაზე აქოჩრილი ლევანი და ვახო მაშინვე ჩაცხრნენ. ია ისევ თინიკოს უყურებდა გაშტერებული და ცდილობდა, მისი სიტყვებისთვის ლოგიკური ახსნა მოეძებნა. ვერაფრით გააცნობიერა, რანაირად შეიძლებოდა ამ ორ, ერთი შეხედვით, სრულიად უცხო ადამიანებს შორის, მსგავსი ნათესაური კავშირი ყოფილიყო. „ნიკუშა თინიკოს ძმაა?! კი მაგრამ, რანაირად, როგორ?.. შეიძლება, გავგიჟდე ამ დომხალში. როგორ გინდა, გაარკვიო, ვინ ვისგან გააჩინა? მაინც, რა ბედი მაქვს ამისთანა, რომ ამდენ არანორმალურს, ყველას ერთად გადავეკიდე? მე მჭირს ასეთი უბედურება თუ ქვეყანა გადაირია და ვერ მივხვდი? როგორ უნდა დავიჯერო მათი დაძმობა? იქნებ, ეს ყველაფერი ლევანმა მოიგონა? მისგან უკვე აღარაფერი გამიკვირდება. დიდოსტატია ინტრიგების ხლართვის. ვახო მართალია, როცა ამბობს, რომ თანამდებობამ ძალიან შეცვალა... პრინციპში, ის ყოველთვისაც ასეთი იყო, უბრალოდ, ასპარეზი არ ჰქონდა, თავისი სისაძაგლე და ბუნება სრულად გამოევლინა... ყველა საშუალებას იყენებს მიზნის მისაღწევად და, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზს მოგვიწყობს!.. ამ ნიკუშას გაბრიყვებასაც ხომ ბევრი არაფერი უნდა... დებილია და ყოველთვის დებილი იყო... სანამ მიხვდება, რა ბადეში გაახვია ლევანმა, ბევრსაც დაკარგავს. ჰმ, ცოლისძმაა და ახლა ბევრი რამის უფლება აქვს, ბევრიც ეკითხება. „გაიპრავა“ ბიჭმა ცხვირის მის საქმეებში ჩაყოფის უფლება! ერთი შეხედე, როგორი თვითკმაყოფილი იერი აქვს. მიაღწია, ეტყობა, თავისას!..“

– ელენე გონზე მოვიდა... – ნიკუშა სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ვახოს ანიშნა, ვისკი ჩამომისხიო.

– აქამდე, რა, უგონოდ იყო? – მიამიტურად იკითხა ვახომ და ნიკუშას ვისკიანი ჭიქა მიაჩეჩა.

ლევანმა ირონიულად ჩაიცინა და თინიკოს გადაულაპარაკა:

– ეს „აქ“ არ არის, ხომ ხვდები? ან ჩემი ცემის სურვილით ისეა შეპყრობილი, რომ, გარშემო რა ხდება, ვეღარც ამჩნევს.

– თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, – უკმაყოფილოდ უსაყვედურა ცოლმა, – არც შენ დააკელი ხელი. ახლა მაინც გაჩუმდით, ელენე გონზე მოსულა და, ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. ნიკუშას შეშფოთებული სახე არ მომწონს.

– მაგას სულ ასეთი სახე აქვს და არც მიკვირს. ერთბაშად იმდენი რამე დაატყდა თავს, მაგის ადგილას მეც არ მექნებოდა ბედნიერი ადამიანის გამომეტყველება.

– გაჩუმდი, ლევან! შენი ცინიზმი ნელ-ნელა აუტანელი ხდება. მეც კი მეშლება ნერვები!

– აბა, რას ამბობ, საყვარელო, ცინიზმი რა შუაშია! აბსოლუტურად გულწრფელად და სერიოზულად ვამბობ: ნიკუშას ხვედრს ნამდვილად არ ვინატრებდი. მთელი ამ წლების განმავლობაში დედის ღალატთან შეგუება უჭირდა და, უცებ, აღმოაჩინა, რომ არც მამამისს დაუკლია ხელი. მე რომ უცებ და გამომიჩნდეს, შეიძლება, ჭკუიდანაც შევიშალო.

– ეჭვიც არ მეპარება, თუ შენი ეგოისტური ბუნებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა თიკამ. ლევანმა წყენა ვერ დამალა:

– თინი, კარგი რა, შენ ხომ ჩემი მოკავშირე ხარ, მე კი – შენი. ასე არ არის?

– მაგ სისულელეების ლაპარაკს, აჯობებს, ნიკუშას ვკითხოთ, რა მოხდა.

– შენ ჰკითხე, მისი და ხარ, – წააქეზა ლევანმა ღიმილით.

– რა საზიზღარი ხარ, მაგრამ, ახლა შენთან ჩხუბის დრო არ არის.

– მართლაც არ არის. მიდი, დაელაპარაკე ნიკუშას. რაღას უცდი, მიდი!

თინიკო ნიკუშას მიუახლოვდა:

– დედაშენი ხომ კარგად არის? ნიკუშ, შენ თქვი, რომ ელენე გონზე მოვიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საშიშროებამ გაიარა?

– არა, ამას არ ნიშნავს. თუმცა, არ ვიცი... მართლა არაფერი არ ვიცი. ჟანი უნდა მოვძებნო, სასწრაფოდ...

– ჟანი? შენი მამინაცვალი? აქ არ შემოსულა. რა მოხდა, ნიკუშ?

– ხომ გითხარი, ჯერ არაფერი ვიცი. კი, გონზეც მოვიდა და დალაგებულადაც ლაპარაკობს, მაგრამ... – ნიკუშამ ისე უცნაურად შეხედა თიკას, ქალი შეცბა.

– მაგრამ – რა?.. ასე რატომ მიყურებ?..

– დედაჩემმა რაღაც ისეთი მითხრა... თუმცა, შენთან, ალბათ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი, ჯერ ჟანი უნდა ვიპოვო.

– რა ხდება? – მოსაუბრეებს მიუახლოვდა ვახოც.

– დედაჩემს ყველაფერი ახსოვს. იმისი შიში, რომ გონებაც დაუზიანდა დაცემის დროს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, უკვე მელაპარაკა.

– მერე, არ გიხარია? – ვახომ მხარზე დაჰკრა ხელი მეგობარს, – მაგარი ამბავია!

ნიკუშა რაღაცაზე ჩაფიქრდა. ვახომ დრო იხელთა, იასთან მივიდა და მხარი მსუბუქად წაჰკრა:

– ახლაა კარგი დრო. მიდი, დაელაპარაკე!

– არ შემიძლია, – ჩაიჩურჩულა იამ.

– გინდა, გადამრიო? მოიცა, მე ვეტყვი!

– არა, რა, ვახო... ახლა არა. ცოტა კიდევ დავიცადოთ.

– იცადე, იცადე და ნახავ, რაც მოხდება. გაითვალისწინე და დაიმახსოვრე: მეტი შანსი აღარ გექნება!

– ნუ მაშინებ, ნურც მემუქრები...

– ია, დაელაპარაკე, თორემ ინანებ! – ვახომ ლევანს გახედა, – ნახე, როგორ ჰყავს ამ ცოლ-ქმარს ჩაჭერილი... დარწმუნებული ვარ, რაღაც სერიოზული აქვთ ჩაფიქრებული. ნიკუშას მდგომარეობით ისარგებლებენ.

– და... რას გააკეთებენ? ვახო, ნუ იძაბები და მეც ნუ მძაბავ, რა!..

– რას გააკეთებენ და მე გეტყვი – იმ კახპას შერთავენ... ბავშვს გააჩენინებენ და მერე, როცა ის ბავშვი ყველაფრის მემკვიდრე გახდება, ლევანი თავის მამობას დაადასტურებს.

– ნუ აფრენ, თინიკო ამას არ დაეთანხმება!

– მე გეუბნები, რა იქნება. თინიკო და ყოფილა მისი... ვერ ხედავ, როგორ აურ-დაურიეს ყველაფერი?! ჯერ ეგეც გასარკვევია, რა და-ძმობაზეა ლაპარაკი.

– რა არის გასარკვევი, ასეთ ტყუილს როგორ იტყოდა? – გაიოცა იამ. ვახომ გულგრილად აიჩეჩა მხრები:

– ვითომ ხელს რა შეუშლიდა? ხომ გითხარი, ამათგან აღარაფერი გამიკვირდება-მეთქი!

– ჰო, მაგრამ, ასეთი ტყუილი მეტისმეტია. მართალია, ჯერ ვერაფრით მივმხვდარვარ, რანაირად შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, მაგრამ, ინტუიცია მკარნახობს, რომ სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს.

– ჰმ, გაიგე ახლა შენ, ვინ ვისთან იწვა!..

– ჩუ, გაჩუმდი, არ გაიგონონ, სირცხვილია!

– ჩემგან არის სირცხვილი? რას მეუბნები!.. რამეს ვიგონებ თუ რა... თავად არ აღიარეს ფაქტი?

– ჰო, მაგრამ, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ჩვენ მაინც არ გვაქვს უფლება, მათ ცხოვრებაში ჩავერიოთ. ისეთი უნდა მივიღოთ რეალობა, როგორიც არის.

ვახომ ია თავიდან ფეხებამდე აათვალიერა და თავი გადააქნია.

– რა იყო? – ჰკითხა იამ, – არ ვარ მართალი?

– მართალი როგორ არ ხარ, საყვარელო, მაგრამ, ახლა მოდი და დაელაპარაკე მაგ შენს ახალგამომცხვარ მულს. თუ ძმაზე გული მართლა შესტკივა, მხარში უნდა დაგიდგეს. შენზე უკეთეს რძალს ხომ ვერც ინატრებს.

– გეყოფა! ნუ დამცინი!

– მე კი არა, შენ დამცინი. ამხელა გზაზე ჩამოვედით და რისთვის, ამათი დანათესავება რომ ვიზეიმოთ?!

– თქვენ მანდ რას ჩურჩულებთ? – ლევანმა ნიკა თინიკოს „დაუტოვა“ და ვახოს და იას ეჭვიანი მზერა შეავლო.

– ანგარიში შენ უნდა ჩაგაბაროთ? – შეუღრინა ვახომ.

ლევანს არ სწყენია, შემრიგებლურად გაუღიმა და ხელი გაუწოდა დაზავების ნიშნად:

– კარგი, ჰო, ნუ იბერები! დროა, მოვრჩეთ ამ უაზრო კინკლაობას. ჩვენ ხომ მაინც ერთნი ვართ ყველანი და ეს ყოველთვის ასე იქნება.

– როგორ უნდა გენდო, როცა ყოველ ნაბიჯზე იტყუები?

ლევანმა ხელები გაშალა:

– ეს უკვე რაღაც მანიას ჰგას. თუ არ გინდა, ჩემი გჯეროდეს, შენი ნებაა, მაგრამ მატყუარას მაინც ნუ მეძახი, უხერხულია.

– ჰო, აბა, რა... უხერხულია. მინისტრი ხარ, სხვა თუ არაფერი, – დასცინა ვახომ.

ლევანი დაიჭყანა:

– ე, გეყოფა. გეუბნები, უნდა დავზავდეთ-მეთქი, ასე აჯობებს!

– ვისთვის აჯობებს, შენთვის?

– ყველასთვის, ჩემო ვახტანგ, ყველასთვის. თუ სულ ცოტათი მაინც დაფიქრდები, ეგრევე მიხვდები.

– ლევან, იცი, როგორი ტონი გაქვს? თითქოს უკვე შენ იყო აქაურობის ბატონ-პატრონი. მე არ ვარ დარწმუნებული იმაში, რაც შენმა ცოლმა მითხრა, მაგრამ, ასეც რომ იყოს, მაინც არ გაქვს უფლება, ზემოდან მიყურო!

– ვახო, შენ უკვე რაღაცეები გეჩვენება და, აჯობებს, თუ მეტს აღარ დალევ.

– ნუ დამცინი... არ გინდა-მეთქი ეგ ირონია. იცოდე, გაფრთხილებ: თუ ის პატარა კახპა აქ დავინახე, შენივე მეთოდებით გაგისწორდები, ანუ, თინიკოს ვეტყვი, რასაც ამ ყველაფერზე ვფიქრობ.

ლევანი გაწითლდა:

– ჭორიკანა დედაკაცივით ნუ იქცევი და ნუ მაშანტაჟებ. არ გეკადრება ამხელა კაცს, მით უმეტეს შენ!

– ჰო?! მაშ, შენი აზრით, გაშანტაჟებ... ახლა, არ მითხრა, რომ ნატუკასთან არ წოლილხარ!

– ეგ არაფერს ნიშნავს!

– მე თინიკოს მაგას ვეტყვი და ის თავად გადაწყვეტს, ნიშნავს რამეს თუ არა.

– შენი აზრით, კაცები ასე იქცევიან?

– არა, ასე არ იქცევიან, მაგრამ, რაღაც გამოცდილება მეც შევიძინე შენთან ურთიერთობით და მივხვდი, რომ ყველას ისე უნდა მოექცე, როგორც იმსახურებს.

– ისევ შეურაცხყოფას მაყენებ, მაგრამ, არა უშავს, მაინც ვერ ამიყოლიებ, იმიტომ, რომ ახლა ამის დრო არ არის. პასუხს მერე გაგცემ.

ვახომ ხმა აღარ გასცა, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. ლევანი ისევ ცოლთან მივიდა, მაგრამ ის უკვე გადიოდა ოთახიდან ნიკუშასთან ერთად და ქმრისკენ არც კი მოუხედავს – ლევანს, ფაქტობრივად, ცხვირწინ მოუხურეს კარი. ვახოს ხარხარი აუტყდა და იას ლევანზე ანიშნა:

– ერთი შეხედე, მგონი, ცოლსაც აღარ სჭირდება. ნახე, კარი, როგორ მოუხურეს?! ლევანჩიკ, რაო, ზედმეტი ხარო? აი, სადამდე მიჰყავს ადამიანი მატრაკვეცობას! რა გინდა, მოეშვი ახლა მაგ ხალხს, და-ძმამ იქნებ რა უნდა უთხრას ერთმანეთს?

ლევანმა არაფრად ჩააგდო ვახოს აშკარა გამოწვევა, მაგრამ, სახეზე ემჩნეოდა, რომ ნერვები გვარიანად ჰქონდა მოშლილი. როცა გავიდა, იამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– რა გინდა, რატომ იწვევ, არ დაიღალე ჩხუბით? მე მაგრად მომწყინდა და უკვე საშინლად მაღიზიანებს ეს თქვენი უაზრო ორთაბრძოლა. იცოდეთ მაინც, რისთვის იბრძვით!

– ამ შენს საყვარელ ძმაკაცს უნდა, რომ მებრძოდეს და რა ვუყო, კაპიტულაციას ხომ არ გამოვუცხადებ? ხომ იცი, ასე ადვილად პოზიციებს არ ვთმობ!

– თუ სულ თქვენ მეყოლებით გასაშველებელი, მაშინ დრო არ დამრჩება იმისთვის, რომ ნიკუშას დაველაპარაკო, – წაიეშმაკა იამ, მაგრამ ვახო მაშინვე მიუხვდა.

– შენ ოღონდ დაელაპარაკე და, თუ გინდა, იმ იდიოტ ლევანს ახლავე დავუზავდები. მაგრამ, მთელი დღეა, გიყურებ და წინ ნახევარი ნაბიჯითაც კი ვერ წაიწიე. ვატყობ, ესეც ჩემი გასაკეთებელი გახდება.

– არ მინდა, გესმის შენ? არ მინდა!.. როგორმე თავად ვიზრუნებ საკუთარ ბედნიერებაზე.

– გატყობ, როგორც იზრუნებ. შენ უკვე ოცი წელია ზრუნავ და საშველი ვერ დააყენე!

– ვახო, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, ძალიან გთხოვ!..

– ჰო, კარგი, ჩუმად ვარ. მაგრამ, იცოდე, თვალს არ მოგაშორებ, არც გასაქანს მოგცემ. არ მოვისვენებ, სანამ ამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან: ან ასე უნდა მორჩეს ეს ამბავი, ან ისე. საკუთარი თავი მაინც არ გეცოდება? თუ უარს გეტყვის, ის მაინც გეცოდინება, რომ მასზე აღარ იფიქრო. გაურკვევლობას მე ყველაფერი მირჩევნია და, რატომღაც, მგონია, რომ შენც ასე ხარ.

ია გაჩუმდა. წამწამებზე ცრემლი დაეკიდა და ლოყაზე ჩამოუგორდა. ვახო შეწუხდა:

– რა გატირებს, გოგო?

– ესე იგი, იცი, რომ ნიკუშას არ ვუყვარვარ?

– მე გითხარი, არ უყვარხარ-მეთქი? საიდან მოიტანე ეს სისულელე?

– ვგრძნობ, რომ ასეა.

– არაფერსაც არ გრძნობ, ნერვებმა არ უნდა გიმტყუნოს. ბევრი აღარ დარჩა, ცოტა კიდევ უნდა მოითმინო. ვისკის დაგისხამ, შველის.

იამ ვისკი მოსვა და ამოიოხრა.

– რა კარგი ცხოვრება მექნებოდა, დედაჩემს თუნდაც მეზობელ უბანში მდებარე სკოლაში რომ მივეყვანე, რა შარს გადავრჩებოდი?!

– მაგას ნუ იტყვი, ჩემო იაკო, იქნებ, უარეს შარს ხარ გადარჩენილი!

– ვითომ? რაღაც ეჭვი მეპარება.

ვახომ მხარზე მოხვია ხელი და ქალი მიიხუტა:

– აბა, რა! ჩვენნაირები ბევრნი აღარ არიან. სულ თითზე ჩამოსათვლელები დავრჩით...

– ვინ დარჩით თითზე ჩამოსათვლელები? – მექანიკურად ჰკითხა იამ.

– როგორ თუ ვინ?! – ჩვენ, ბედთან მებრძოლი მატადორები... ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ცხოვრება კორიდას ჰგავს და, რაც უფრო მონდომებით აუფრიალებ ბედისწერას, მით მეტი შანსი გაქვს, ხელი მოგაჭამოს, მაგრამ, მთელი მუღამიც მაგაშია...

იამ ჭიქაში ჩარჩენილ მუქად მოლივლივე სითხეს გაუშტერა მზერა და მოწყენილმა ჩაილაპარაკა:

– ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ, იმას კი მივხვდი, რომ მაგრად აფრენ.

– მარტო მე ვაფრენ თუ დანარჩენებიც?

– არა, ყველანი ერთად აფრენთ და, ყველაზე ცუდი ის არის, რომ თქვენი სიგიჟე გადამდები აღმოჩნდა, მეც გადმომედო.

– ე, იაკო, იაკო... შენ ვერასოდეს მიხვდები, რა ხიბლია ბედთან თამაში, განსაკუთრებით, როცა ხვდები, რომ მოგების შანსები ნაკლებად გაქვს, – ვახომ სიგარეტს მოუკიდა, – ნეტავი, ამ სახლში ეწევიან?

... თინიკო ტუჩებს იკვნეტდა. აივნის შორეულ კუთხეში, განმარტოებით მდგარ სავარძელში ისხდნენ ის და ნიკუშა. თინიკო ხვდებოდა, რომ რაღაც აუცილებლად უნდა ეთქვა, მაგრამ სათქმელს თავს ვერ აბამდა. ნიკუშაც ჩუმად ეწეოდა სიგარეტს. ბოლოს სიჩუმე აუტანელი გახდა.

– ასე ძალიან ნუ განიცდი, ძალიან გთხოვ... – დაიწყო თიკამ.

ნიკუშამ ხელი ჩაიქნია:

– მგონი, ემოციებისგან საერთოდ დავიცალე და ვეღარაფერზე ვნერვიულობ. უფრო სწორად, აღარ ვიცი, რაზე ვინერვიულო. რჩევა მჭირდება, მაგრამ, ვისგან უნდა მივიღო ეს რჩევა ან ვის უნდა ვკითხო, ეგეც არ ვიცი. წეღან ვფიქრობდი, რომ ჟანისთვის უნდა მომეყოლა ყველაფერი, ახლა კი ეჭვი მეპარება, რამდენად სწორია ეს არჩევანი.

– იცი, მეც ვფიქრობ, რომ ჟანს ჯერ არაფერი არ უნდა უთხრა, ისევ ელენეს გამო. წარმოიდგინე, როგორი უხერხული სიტუაცია შეიქმნება. თვითონ უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. ხვდები? ეს მათი საქმეა, მხოლოდ მათი.

– არა, ჩემო კარგო. თინი, ძალიან რთული სიტუაციაა, მართლა. გამოძიება არ გაჩერებულა, დღეს არ მოსულა ის გამომძიებელი, თორემ, ისე სულ აქ გვიზის და უამრავ კითხვას გვისვამს, ეტყობა, რაღაცას ისიც ეჭვიანობს. ჩვენზე ადრე და ჩვენგან დამოუკიდებლად რომ გაარკვიოს სიმართლე? მერე უარესი არ იქნება?

– ასე ადვილია ადამიანის სულში ხელის ფათური? ელენემ გითხრა, ეს რატომ გააკეთა?

– არა. მითხრა, გამოუვალი სიტუაცია მქონდა და როდისმე ყველაფერს აგიხსნიო.

– ხედავ? ხომ გეუბნები, არ არის ადვილი-მეთქი. თანაც, ელენეს ახლა ძალიან უჭირს.

– მეც მიჭირს. მართლა, დედას გეფიცები! – ნიკუშას გულის სიღრმიდან წამოსული ეს სიტყვები თინიკოსთვის ის წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც მისი ფიალა ბოლომდე აავსო. ვეღარ აჯობა ემოციას, ნიკუშას ჩაეხუტა და ასლუკუნდა:

– როგორ განვიცდი შენს ამბავს, რომ იცოდე! მართლა ძალიან მიყვარხარ და მარტო ის მინდა, რომ ბედნიერი იყო, ძალიან ბედნიერი!

– ეჭვი მეპარება, რომ შენი სურვილი ოდესმე იქცევა რეალობად, – ნიკუშამ თავადაც მოხვია ხელები ქალს და ლოყით მხარზე მიიხუტა.

– ნელ-ნელა ვხვდები, რომ კარგია, და რომ გამომიჩნდა.

თინიკოს სიხარულით გაეცინა:

– აბა, რა... ძალიან მაგარია. ჯერ სად ხარ. ნახავ, როგორ ვიზრუნებ შენზე!

– მეც ვიზრუნებ. ეს მძიმე პერიოდიც გაივლის, ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, აუცილებლად გაივლის. ახლა ვინ არის ელენესთან?

– არ ვიცი. მე რომ გამოვედი, იძინებდა. ძალიან განიცდიდა, რაც ვუთხარი. რა სულელი ვარ, როგორ ვერ შევძელი, მენუგეშებინა! მაგრამ, ძალიან დავიბენი. ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ვეღარ შევძელი, ემოციისთვის მეჯობნა.

– ეგ ნახატი რაღა ბედისწერად იქცა! საერთოდ, რატომ გამოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში? ისეთი შეგრძნება მაქვს, რაც კი ცუდი მომხდარა, ყველაფერი მაგას უკავშირდება.

– მეც იგივე განცდა მაქვს.

თინიკო შეყოყმანდა, ცოტაოდენი ფიქრის მერე კი ხმადაბლა წარმოთქვა:

– იცი, ვინ მისცა ეგ ნახატი ელენეს?

– წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება, მამაჩემმაც უყიდა, ან თვითონ შეიძინა, სანამ ჩვენს ოთახში ეკიდა, არასოდეს დავინტერესებულვარ მისი წარმომავლობით. მერე კი... თუმცა, ყოველთვის მიკვირდა, რატომ წამოიღო დედაჩემმა მაინცდამაინც ეს ნახატი, მაშინ, როცა სხვა, გაცილებით ღირებული ნივთები სახლში დატოვა.

– ეგ ნახატი მამაჩემმა აჩუქა.

ნიკუშამ გვიან გაიაზრა თინიკოს სიტყვები

– რა თქვი? ვინ აჩუქა?!

– მამაჩემმა, – ნელა გაიმეორა თინიკომ.

– იქნებ, დააკონკრეტო, რომელ მამას გულისხმობ?

– ზურაბმა აჩუქა. ვიცი, როგორი რეაქციაც გექნება, ზუსტად ვიცი და უფლებაც არ მაქვს, გაგამტყუნო, მაგრამ აჯობებს, იცოდე.

– შენ ეგ საიდან იცი?

– ლევანმა მითხრა.

– ლევანმა? შენმა ქმარმა? სერიოზულად ამბობ?

– ჰო, რა იყო?

– ეს უცნაურად არ გეჩვენება?

თიკამ მხრები აიჩეჩა:

– რა ვიცი. არა, რა იყო?

– ვერ ხვდები? – ნიკუშამ ხელები მომუშტა, – ეს, იცი, რას ნიშნავს? ლევანმა დიდი ხნის წინ იცოდა ზურაბისა და ელენეს სიყვარულის ამბავი. შემომაკვდება ეგ იდიოტი! – ნიკუშა წამოსახტომად შეიმართა. თინიკო მკლავზე ჩაებღაუჭა.

– მოიცადე, არა, ასე არ არის, შეუძლებელია, ლევანს ეს ამბავი დიდი ხნის წინ სცოდნოდა და ჩემთვის არაფერი ეთქვა. ეტყობა, ისე, შემთხვევით გაიგო.

– შემთხვევით გაიგო?! რა ცუდად იცნობ შენს ქმარს! ლევანი შემთხვევით არაფერს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, რაღაც სისაძაგლე ჰქონდათ ჩაფიქრებული შენს ძვირფას მამიკოსა და მეუღლეს. ზუსტად ერთმანეთის შესაფერისები არიან! ორი ნაძირალა გაურიგდა ერთმანეთს, მაგრამ რაზე? ახლავე ვნახავ ლევანს და მოვთხოვ, ყველაფერზე გამცეს პასუხი!..

– მოიცადე, ძალიან გთხოვ! ლევანი არ არის ცუდი ადამიანი. კი, რაღაც უარყოფითი თვისებები აქვს, მაგრამ ვინ არის უნაკლო?!

– არა, თიკა, შენ ვერ ხვდები. ჩემმა საუკეთესო ძმაკაცმა, ადამიანმა, რომელსაც არასდროს არაფერს ვუმალავდი, რომლის იმედიც ყოველთვის ყველაფერში მქონდა, ზურგსუკან ინტრიგის ხლართები გამიბა და ისეთი რაღაც დამიმალა, რასაც ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

– იქნებ, იმიტომაც არ გითხრა.

– რომ მამაშენს არ მივვარდნოდი და საკუთარი ხელებით არ მომეხრჩო?! ნუ ამართლებ, თიკა, თვითონ მითხრას, რატომ მიმალავდა სიმართლეს და თავი იმართლოს, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია!

– ნიკუშა, გთხოვ, ცოტა დამშვიდდი!..

– ვერ დავმშვიდდები. როგორ უნდა დავმშვიდდე, როცა ჩემ გარშემო ერთმანეთზე უარეს სახეებს ვხედავ? თურმე, არავის ნდობა არ შეიძლება... არა, ლევანს ვერ ვაპატიებ, ამდენ ხანს თვალში ნაცარს რომ მაყრიდა...

თინიკომ კიდევ ერთხელ სცადა ბედი:

– მოდი, მე და შენ ვიმსჯელოთ და შევარჩიოთ სავარაუდო ვარიანტი, რატომ შეიძლებოდა, ლევანს ეს ამბავი შენთვის დაემალა. რატომღაც, მგონია, რომ ეს ცუდი მოსაზრებით არ გაუკეთებია.

– თინიკო, დედაშენმა რომ გითხრა, თურმე, მამაჩემთან წოლილა და მისგან დარჩენილა ორსულად, რა განცდა გქონდა? – ჰკითხა მოულოდნელად ნიკუშამ. თიკა დაიბნა და ერთბაშად ვერაფერი უპასუხა. ნიკუშამ კითხვა გაუმეორა:

– ძალიან გთხოვ, გულახდილი იყავი.

– გულახდილად გეტყვი, საშინელი განცდა მქონდა, კარგა ხანს ვერ გამოვედი შოკიდან.

– ხედავ? ახლა უკეთესად მიხვდები, მე რას განვიცდი. დედაჩემის რომანმა მამაჩემის სიცოცხლე შეიწირა და მე არ ვიცოდი, ვისთან სიყვარულობანას გადააყოლა დედაჩემმა ოჯახის კეთილდღეობა. რამდენი წელი უშედეგოდ ვცდილობდი, ეს გამეგო; რამდენი წელი არ ველაპარაკებოდი დედაჩემს და თითქმის მძულდა კიდეც. შენ არ იცი, რას ნიშნავს, როცა საკუთარი დედა ერთდროულად გიყვარს და გძულს კიდეც. საშინელებაა, დამიჯერე! ჩემი არსება, მთელი ეს წლები, რამდენიმე ნაწილად იყო გაგლეჯილი... ჩემი ძმაკაცი კი ამ ყველაფერს ხედავდა, შეეძლო ჩემი მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია საამისოდ. კიდევ უარესი – ხშირად მპატიჟებდა იმ ნაძირალასთან სახლში და კაცურკაცობისა და მეგობრობის სადღეგრძელოებსაც კი მასმევდა. იცი, რომ ამის გამო სასიკვდილოდ არ ინდობენ კაცები ერთმანეთს? გაოგნებული ვარ მისი უსინდისობით და არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებ!..

ნიკუშამ თიკას ხელი უხეშად მოიშორა და ლევანის მოსაძებნად გაქანდა...

***

როცა ყველაფერი ირევა... ანუ, როცა გგონია, რომ შენი ცხოვრება ჩვეული კალაპოტიდან გადმოვიდა და შენს პატარა ბედნიერებას წალეკვით ემუქრება, შეიძლება, სასოწარკვეთილმა ხავსს დაუწყო ძებნა მოსაბღაუჭებლად და ამ დროს ნაკლებად ფიქრობ, საიმედოა თუ არა ეს ხავსი, რომელსაც ეპოტინები. იქნებ, ხელიც გაგეშვას და უფსკრულში გადაიჩეხო. თუმცა, ადამიანს უჭირს იმის მიხვედრა, რა არის მისთვის გამოსავალი, იქნებ, სწორედ იმ უფსკრულში ჯობდეს... თუკი, რა თქმა უნდა, კისერს არ მოიტეხ...

***

ლევანს მობილურის ზარმა აივნის კართან მოუსწრო. ჯიბიდან აპარატი ბუზღუნით ამოიღო. ნომერი არ ეცნო, იმას კი მიხვდა, რომ ვიღაც საქართველოდან ურეკავდა.

– გისმენთ... ვინ ხარ? დათო?! ჰო, დავით, რაო, რამ შეგაწუხა? არ გაგაგებინე, იმიტომ რომ ვალდებული არ ვარ, ყველა ნაბიჯი შენთან შევათანხმო, თანაც, ძალიან მოულოდნელად წამოვედით. ჰო, თიკაც აქ არის... მოიცა, რას ნიშნავს ეგ ჩემთვის წამგებიანი ვარიანტია?.. დათო, რა სისულელეებს ლაპარაკობ, არ გინდა, ადამიანური ენით ამიხსნა, რა ხდება, რა არის ჩემთვის წამგებიანი? მოიცა, ვინ გამოფრინდა? შენ ხომ არ გაგიჟებულხარ!.. რას ნიშნავს, რა უნდა გექნა?! ყველაფერი უნდა გექნა, გესმის? ყველაფერი და მაგ გოგოსთვის საშუალება არ უნდა მიგეცა, თავისი გაეტანა!.. არა, შენ ნამდვილად შეიშალე!.. როგორ ფიქრობ, ისეთი

სულელი ვარ, რომ მაგ ქუჩის ქალს რაღაცას დავპირდი და შენ არ გაგაფრთხილე?.. მეგონა, უფრო ჭკვიანი იყავი... გლანძღავ? გლანძღავ კი არა, ახლოს რომ იყო, ცხვირპირს დაგინაყავდი! დიახ, გცემდი და ხელიც არ ამიკანკალდებოდა!.. ეგ ქალი რომ აქ დამადგეს, იცი, რა მოხდება?!. წარმოდგენაც კი მიჭირს!.. ბიჭო, შენ ახლა მოკეტე! რას ნიშნავს, ნიკუშა შევამზადო? წარმოდგენა არ გაქვს, აქ რა ხდება, ნამდვილი საგიჟეთია! არ ვაპირებ, ახსნა-განმარტებები მოგცე, საერთოდ აღარ მინდა, რამე გითხრა! იდიოტი ხარ და ამას უკვე არაფერი ეშველება...

***

დათომ მობილური სავარძელზე მიაგდო და შეიგინა.

– რა გითხრა? – ცნობისმოყვარეობამ სძლია ნათიას.

– კარგი არაფერი, გადაირია და გამითიშა.

– რაო?!

– ნათი, გეხვეწები, ისედაც უკვე საკმარისად მომეშალა ნერვები და შენ ნუღარ დამიმატებ.

ნათიამ ტუჩები გაბუსხა:

– ნეტავი, მე რა შუაში ვარ, უბრალოდ, გკითხე. რატომ მიყვირი, რა დავაშავე?!

დათომ თავზე იტაცა ხელები:

– სულელი ვარ, სულელი! არ უნდა მიმეცა ფული იმ ვიღაც ნატუკასთვის, ახლა ლევანი მე დამაბრალებს ყველაფერს!

– შენ დაგაბრალებს? კი მაგრამ, რატომ?

– იმიტომ, რომ იდიოტი ვარ. ლევანი მართალია, ჭკუა ვერ ვისწავლე ამხელა კაცმა. გარეთ უნდა გამეგდო და კარიც ცხვირწინ მიმეკეტა! ახლა რა უნდა ვქნა?

ნათიამ მხრები აიჩეჩა:

– ნეტავი, შენ რა გადარდებს, ლევანი თავად არის დამნაშავე, ეგ კახპა რომ გადაიკიდა. ყოფილიყო თავისთვის და პრობლემებიც არ შეექმნებოდა!

დათოს თავმოყვარეობაზე ძალიან იმოქმედა ლევანთან საუბარმა. ისედაც გრძნობდა, რომ წინდაუხედაობა გამოიჩინა, მაგრამ, მეგობრის პირიდან მოსმენილმა საყვედურებმა პატივმოყვარეობა შეულახა.

– ნათია, გაჩუმდი!

– სულ ტყუილად ნერვიულობ. კიდევ გიმეორებ, შენმა მეგობარმა პრობლემა თვითონ შექმნა. კახპასთან რომ საქმე არ უნდა დაეჭირა, ამხელა კაცმა არ იცოდა? ჰოდა, ახლა თვითონ მიხედოს.

– არა, მეც ვარ დამნაშავე, არ უნდა გამეშვა ნატუკა, არ უნდა მიმეცა ფული. ახლა, გამოვიდა, რომ მე ლევანის ოჯახს საფრთხე შევუქმენი. თიკასთან ურთიერთობა რომ გაუფუჭდეს, საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ.

– ამაზე ადრე უნდა გეფიქრა. ისე კი, არაფერი იმალება. თიკა სულელი არ არის და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაიგებდა ქმრის ღალატის ამბავს.

– გაეგო, მაგრამ ჩემგან არა. განსხვავებას ვერ ხედავ?

– შენ არაფერ შუაში ხარ-მეთქი, გეუბნები. ლევანს რომ ამ ამბის გახმაურება არ ნდომოდა, ძალიან კარგად მოახერხებდა მაგ ნატუკას თავიდან მოშორებას, ეგეთი გულუბრყვილოც ნუ გგონია.

– შენ ჯერ კიდევ არ იცი ყველაფერი.

– სამაგიეროდ, ბევრ რამეს ვხვდები. შენთან ცხოვრებამ და შენს ძმაკაცთან ურთიერთობამ ბევრი რამე მასწავლა – უკვე ვიცი, რომ ერთ ნაბიჯზეც არ შეიძლება თქვენი ნდობა.

– ჩემი შეიძლება, – შეეკამათა დათო.

– არა, არც შენი შეიძლება, მათგან ბევრი არაფრით განსხვავდები.

– ნათია, ვერ ატყობ, რომ ჩვენი საუბარი საშიშ ხასიათს იღებს? დიდი შანსი გვაქვს, რომ არაფრის გამო მაგრად ვიჩხუბოთ.

– ეგ შენ ფიქრობ, რომ არაფრის გამო, თორემ, მიზეზი გვაქვს. ახლა რომ ამბობ, რატომ კარი ცხვირწინ არ მივუხურეო... კარგად შესცი‌ცინებდი ყურებჩამოყრილი, ერთი სიტყვაც არ გითქვამს ჩემს დასაცავად, შეურაცხყოფას რომ მაყენებდა. შენც ხომ არ იწექი მასთან?

– გეყოფა, ნათია, ეს უკვე მეტისმეტია, შენი ფანტაზიები ჭკუიდან შემშლის! – დათო ადგა და სკამზე გადაკიდებული პიჯაკი აიღო.

– სად მიდიხარ? – შიშნარევი ტონით ჰკითხა ნათიამ.

– სამსახურში. სად უნდა მივდიოდე?

– მაგალითად, ბილეთების საყიდლად. ჩვენ რატომღა უნდა გამოვაკლდეთ დანარჩენებს? შენ და ლევანიც ბარემ ბოლომდე გაარკვევდით ურთიერთობას.

– გასარკვევი არაფერია, მე ჩემი სათქმელი ვუთხარი. შეიძლება, შეცდომა დავუშვი... შეიძლება კი არა, ნამდვილად დავუშვი... მაგრამ, ეს განზრახ არ ჩამიდენია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იქ კიდევ რაღაც ხდება.

– მაინც, რა?

– საქმეც ეგაა, რომ არ მითხრა ლევანმა. მარტო ის თქვა, ეგღა აკლდა ამ არეულ სიტუაციასო.

– ჰო, რა თქმა უნდა, იქნება სიტუაცია არეული, სულაც არ მიკვირს. ნიკუშას გონზე მოსვლა და პარიზის ქუჩებში გასეირნებაც არ აცალეს, ყველა ერთად დაატყდა თავს. ახლა ნატუკაც ჩავა და შენ მერე ნახე ამბავი.

– მაგის წარმოდგენაც კი მიჭირს, – მოიღუშა დათო, – მართალი ხარ. დიდი ამბავი ატყდება და რაც უფრო შორს ვიქნები ამ ყველაფრისგან, მით უკეთესია.

– ჰო, მაგრამ... – შეკამათება სცადა ცოლმა.

– არავითარი „მაგრამ“, არაფრის მოსმენა აღარ მინდა. მიდი, ჩაიცვი, სამსახურში შევივლი და მერე სადმე გავისეირნოთ. აღარ ვიფიქრებ ჩემს უთავბოლო ძმაკაცებსა და მათ პრობლემებზე...

***

მუშტი ისეთი ძლიერი იყო, რომ ლევანი მიწაზე გაიშხლართა. სანამ გონზე მოსვლას და იმის გაცნობიერებას მოასწრებდა, რა მოხდა ნიკუშამ მეორე მუშტი უკვე წაქცეულს მიაყოლა, თან მთელი ხმით ყვიროდა.

– ნაძირალა და არამზადა ხარ! სულ ერთია, არ შეგარჩენ, ამდენ ხანს რომ მაბრიყვებდი! რა გეგონა, ყველაფერი ასე იოლად შეგრჩებოდა? სულში ჩამაფურთხე! ყველაფერი სიბინძურეში ამოსვარე! ჩვენს მეგობრობასაც ბოლო მოუღე და ყველაფერ კარგსაც, რაც საერთოდ იყო ჩვენ შორის!.. მოგკლავ!

– ნიკუშა, გაჩერდი, გეხვეწები, თავი დაანებე! – აქოშინებული და ატირებული თინიკო უშედეგოდ ცდილობდა ტუჩგახეთქილი ლევანისგან ნიკუშას მოცილებას. ხმაურზე შეგროვილი მსახურები გაოცებულები უყურებდნენ მათთვის უჩვეულო სცენას. სასოწარკვეთილი თინიკო ვახოს დასაძახებლად გაიქცა...

***

იამ ჭიქა დადგა და გაიზმორა.

– მართლა მაგარი ყოფილა... მშვენივრად გამომიკეთა გუნება... აი, თურმე, რატომ სვამთ ამდენს კაცები. კიდევ დამისხი.

ვახომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, ბოთლი დახლიდან სწრაფად აიღო და საგულდაგულოდ ჩაბღუჯა:

– მეტს აღარ დალევ, გეყოფა! უკვე საკმარისზე მეტი დალიე. დათვრები და შენი მოვლის თავი ნამდვილად არ მაქვს. თანაც, საქმე გაქვს მოსაგვარებელი, ხომ არ დაგავიწყდა?

– ნასვამი უკეთესად მოვაგვარებ, სითამამე უკვე მომემატა.

– ნასვამი – შეიძლება, მაგრამ, მთვრალი ხარ-მეთქი, უკვე. ამდენი სითამამეც არ გჭირდება.

– ოჰ, შენ რატომ იღებ გადაწყვეტილებებს ჩემ მაგივრად, ვინ გეკითხება? ეს რა ცუდი რაღაც დაგჩემდა. მე ვიცი, რამდენი უნდა დავლიო და რა მჭირდება, – ხმას აუწია იამ და ფეხები ჭირვეული ბაშვივით დააბაკუნა, – მომეცი ბოთლი!

მაგრამ ვახო აღარ უსმენდა, ბოთლი მექანიკურად მიაჩეჩა ხელში და აივანზე გასასვლელი შემინული კარისკენ გაემართა.

– არაფერი გაგიგონია?

იამ მხრები აიჩეჩა და ბოთლიდან ვისკი ჭიქაში ჩაასხა: – არა!

– როგორ არ გესმის, მგონი, ვიღაც ყვირის.

– აუ, თუ ახლა ელენეს რამე დაემართა და ჟანი დასტირის, დაგვერხა! ფრანგებმა შეცხადება იციან?

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, – გაბრაზდა ვახო, – და, მოეშვი მაგ ბოთლს, სანამ სულ გამოშტერებულხარ. გეუბნები, ვიღაც ყვიროდა-მეთქი და, თუ არ მეშლება, თინიკოს ხმას ჰგავდა.

– მე არაფერი გამიგონია, – ჯიუტად გაიმეორა იამ და ვისკი მოწრუპა, – უჰ, მაგარია!.. რას გეტყვი, იცი?! ამას ახლა დავცლი და ნიკუშას მოსაძებნად წავალ – ყველაფერი უნდა ვუთხრა, რასაც მასზე ვფიქრობ.

– აუ, ეს დათვრა! რა შარი ავიკიდე! – ვახომ ბარისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და თინიკომაც შემოაღო კარი შეშლილი სახით:

– მიშველე, ვახო... ნიკუშას ლევანის მოკვლა უნდა... ჩქარა, გამომყევი, სანამ უბედურება არ მომხდარა!

სრული ქაოსი მაშინ იწყება, როცა მტყუან-მართლის გარჩევას იწყებ. პრობლემა ის არ არის, რომ ყველას საკუთარი სიმართლე აქვს. უბრალოდ, როცა ამ რთულ და უმადურ საქმეს მოჰკიდებ ხელს, თვალებზე თითქოს ბინდი გეკვრება და გონებაც ისე ვეღარ მუშაობს. ერთი სიტყვით, იბნევი და დიდი შანსი გაქვს, ტყუილი მართალში აგერიოს, ან – პირიქით... ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ვქნათ, დავანებოთ სიმართლის ძებნას თავი და დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის, თუ, მაინც შევერკინოთ ბედს, იმ იმედით, რომ გაგვიმართლებს?

***

თინიკომ სპირტში დასველებული დოლბანდი გაწურა და ქმარს გახეთქილ წარბზე დაადო. ლევანმა დაიღმუვლა და შეიგინა. მოშორებით მდგარი სავარძლიდან ნიკუშა მაშინვე გამოეპასუხა:

– იცოდე, მესმის და, შემიძლია, კიდევ დაგიმატო, თორემ, უკმარისობის შეგრძნება დამრჩა.

– მერე, მიდი, რაღას უცდი! ოღონდ, ამჯერად თავის დაცვით აღარ შემოვიფარგლები და ბოლომდე მოგაწვები. თუ ძალის დემონსტრირება გინდა, არც მე დაგრჩები ვალში! აღარ დაგრჩები ვალში! – გესმის, რას ვამბობ?

– ნუ მემუქრები! უკვე გნახე, რა ბიჭიც ხარ და შენს ცოლს უთხარი მადლობა, რომ არ მოგკალი, თორემ, სიამოვნებით მიგახრჩობდი. ხელები ახლაც მექავება, – ნიკუშამ ვახოს მკვლავებიდან გაითავისუფლა თავი და უხეშად შეუყვირა:

– შენ კიდევ, რაღას დამდგომიხარ თავზე. გიჟი კი არ ვარ, ხელებს რომ მიჭერ!

– რა ვიცი, რომ არ მომესწრო, კლავდი და... – გაბრაზდა ვახოც, – ვიცი, რომ საამისო მიზეზი გექნება, მაგრამ მკვლელობას ნუ ჩაიდენ, არ ღირს, დამიჯერე!

– შენც გეყოფა, ცეცხლზე ნავთს ნუ ასხამ! – ლევანი ვახოსკენ შებრუნდა და კიდევ რაღაც ჩაიბურტყუნა მისი მისამართით – გასიებული, ცხვირზე მიბჯენილი ტუჩი არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ გარკვევით ელაპარაკა.

– ნუ ბლუკუნებ, თუ ღმერთი გწამს და ნუ შექმენით ჩემგან მტრის ხატი! მიზეზი ყველას ყველაფრისთვის გვაქვს. თუ არ გვაქვს, მოვინდომებთ და ვიპოვით, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის!

– აბა, რა არის მთავარი! ის, რომ მთელი ეს წლები სულში მაფურთხებდი? – ისევ იფეთქა ოდნავ დამშვიდებულმა ნიკუშამ და წამოხტა, მაგრამ ვახო სწრაფადვე სწვდა მკლავში და ძალით დასვა სკამზე.

– ეე, ახლა უკვე გავბრაზდი! გეყოფათ, ბოლოს და ბოლოს. იჩხუბეთ და მოვრჩეთ! უკვე შეიძლება, ადამიანურად გავარკვიოთ ურთიერთობა. თუ გინდათ, მე ორივეს მოგისმენთ და გეტყვით, ვინ არის თქვენ შორის მართალი. თუმცა, ინტუიცია მკარნახობს, რომ დამნაშავე შენ უნდა იყო, საყვარელო, – მიმართა ვახომ ლევანს დამცინავი ღიმილით. ლევანმა უხეშად მოიშორა ცოლის ხელი და ჭრილობაზე დაფარული დოლბანდი მოისროლა.

– რას შვრები, ლევან? ისევ სისხლი წამოგივა! – შეშფოთდა თინიკო.

– ჯანდაბას, წამომივიდეს, ფეხებზე მკიდია! შენ მიდი, ჩვენი ბარგი მოატანინე, მოვშორდეთ აქაურობას. ნერვები მეშლება, საერთოდ რომ დავკარგე დრო და ჩამოვედი...

– ვერსადაც ვერ წახვალ, – ჩაიღრინა ნიკუშამ, – ფეხს ვერ მოიცვლი აქედან, სანამ ბოლომდე არ გავარკვევთ ყველაფერს.

– გასარკვევი აღარაფერია. მე ვხვდები, რაშიც არის საქმე – თინიკოს ნათქვამმა გაგაგიჟა. შეგეშინდა, რომ მოცილე გამოგიჩნდა.

– რა მოცილე, რის მოცილე, შენ ხომ არ გაგიჟდი? საკუთარი თავიდან გამომდინარე ნუ მსჯელობ, მე შენნაირი არ ვარ!

– ვითომ? ძალიან კი გინდა, ყველას დაგვიმტკიცო, რომ განსაკუთრებული ხარ, მთელი ცხოვრება ამას აკეთებდი, მაგრამ მე მაინც ვერ მომატყუებ, უკვე ძალიან კარგად გიცნობ! იმაზე კარგადაც კი, ვიდრე შენ წარმოგიდგენია...

– რა გინდა მაგითი თქვა?

– ის, რაც უკვე ვთქვი. ზუსტად ვიცი ყველაფერი. არ მჭირდება, გელაპარაკო და ისე გავარკვიო, გულში რა გიდევს. ერთი დაბოღმილი კაცი ხარ, ცხოვრებაზე გამწარებული! თუმცა, ან ცხოვრებას რას ერჩი, ეგეც გაუგებარია. ყველაფერი მოგცა, რისი მოცემაც შეიძლებოდა, რა მისი ბრალია, თუ ვერ გამოიყენე?!

– ლევან, ისე ნუ იზამ, რომ, ვინანო, რატომ არ მოვკალი-მეთქი!

– კარგი რა, მოკვლა რომ გდომოდა, ვახოს მოსვლას არ დაელოდებოდი, მუშტიც კი არ დაგირტყამს გამეტებით, მხოლოდ წარბი გამიხეთქე!

ნიკუშამ გაიცინა:

– სარკეს მოგიტან და ჩაიხედე, რას ჰგავხარ. მაგრამ, მგონი, ვახო მართალია, შენი მოკვლით ბევრი არაფერი შეიცვლება. ჯერ სხვა მყავს მოსაკლავი.

– ვინ, ჩემი სიმამრი ხომ არა? – ახლა ლევანმა დასცინა, – თუმცა, როგორ დამავიწყდა, ჩემი ნამდვილი და ჭეშმარიტი სიმამრი მკვდარია. ვის მოკვლას აპირებ?

– მოიცა, მოიცა... – ვახომ ორივე ხელი მუხლებზე დაირტყა და აივანზე წინ და უკან სირბილს მოჰყვა, თან ხმამაღლა მსჯელობდა, – ესე იგი, რა გამოდის, სიძე-ცოლისძმამ სცემეთ ერთმანეთს? ასეა? რა დომხალია, ვერაფერი გავიგე! მოდი, ცოტა ხნით მტრობა დაივიწყეთ და ჯერ გამარკვიეთ, ვინ ვისი ძმა, და, შვილი და მამაა, თორემ, ჩემი აზროვნება მაგდენს ვერ გაქაჩავს.

– ვახო, ახლა მაგაზე ლაპარაკის დრო არ არის!

– აბა, როდის არის? არ მოგეშვებით, სანამ ყველაფერს არ მეტყვით. აი, იაც მოდის და ჟანიც ვიღაც კაცთან ერთად. რას ჰგავხართ ან ერთი, ან მეორე...

ნიკუშამ იქით გაიხედა, საითკენაც ვახო უთითებდა და შეიგინა:

– ამის დედაც! გამომძიებელიღა მაკლდა...

– რა გამომძიებელი, ტო, ვინ გამოიძახა! მეგობრებმა იჩხუბეს, რას რეკავდით პოლიციაში, მართლა გაგიჟდით, ტო?! – გადაირია ვახო.

– აუ, ვახო, შენ მაინც მოკეტე და ცოტა ტვინი გაანძრიე! გამომძიებელი აქ იმიტომ კი არ არის, რომ მე და ლევანმა ვიჩხუბეთ, ეგ იმ ნახატის დაკარგვის საქმეს იძიებს, მაგრამ ახლა ძალიან შეუფერებელი დრო შეარჩია აქ მოსასვლელად, ნამდვილად არ მაქვს მაგასთან ლაპარაკის თავი. მით უმეტეს, რომ უკვე ხუთჯერ მაინც დამკითხა.

– ჰოდა, აუცილებლად ახლა უნდა დაგვეჩეჩქვა ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი?!

– რა გინდა, უთხრა! სახეზე გვაწერია, რაც აქ ცოტა ხნის წინ მოხდა, – ლევანმა გამომძიებლისკენ გაიხედა.

– მართალია, ძალიან ცუდად გამოიყურებით, – თქვა თინიკომაც, – ადრე მაინც დაგვენახა, რამენაირად აარიდებდით თავს მასთან შეხვედრას. ახლა რაღა უნდა ქნათ, დაგინახათ...

– რა მაგისი საქმეა, მე და ჩემმა ძმაკაცმა რაზე ვიჩხუბეთ? ეს საფრანგეთის პოლიციას ნამდვილად არ ეხება, – ბრაზით ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– გამომძიებელს და პოლიციას ბევრი რამე ეხება და, რომც არ ეხებოდეს, აუცილებლად „შეიხებს“, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ უცხო თვალით აქ ბევრი რამ არის საეჭვო, – ლევანმა ისევ დაიდო ცოლის მიწოდებული დოლბანდი სახეზე.

– პირადად ჩემთვის, ყველა კითხვას გაეცა პასუხი, – თქვა ნიკუშამ, – ყველა კითხვას, გარდა ერთისა: რატომ გამიმეტა ასე ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, რა დავუშავე?

– გეყოფა, თავს ნუ ისაწყლებ! თუ ვინმემ არ გაგიმეტა და ბოლომდე გიერთგულა, ეს მე ვარ.

– გაჩუმდი მაინც! სინდისი რომ არ გაქვს, ვიცი, მაგრამ, იქნებ, ჭკუა მაინც გეყოს. როგრ მეუბნები, გიერთგულეო! – კბილები გააღრჭიალა ნიკუშამ.

– აბა, ახლა მართლა მორჩით! მოვიდა ის კაცი და ცოტა თავი შეიკავეთ, სანამ ორივე დაუპატიმრებიხართ! – მკაცრად თქვა თინიკომ და წყრომით გადააქნია თავი, – სამარცხვინოდ მოიქეცით ორივე, მართლა სამარცხვინოდ!..

გამომძიებელმა თვალის ერთი შევლებით შეაფასა სიტუაცია: ორი ახალგაზრდა ქალი, ერთი – აშკარად ნამტირალევი, ჩაწითლებული თვალებით და გაფითრებული სახით... მეორე – დამფრთხალი მზერით... სამი უცხოელი მამაკაცი ანთებული თვალებით, მეომრის გამოხედვით... ორ მათგანს აშკარად ემჩნევა ცემის კვალი...

– ბატონო ჟან, შეიძლება, ამიხსნათ, ეს თქვენი სტუმრები ასე უცნაურად რატომ გამოიყურებიან? ხომ არ მეშლება, ხომ ნამდვილად თქვენი სტუმრები არიან?

– დიახ, ნიკოლს ესტუმრნენ მეგობრები, – უხალისოდ წარმოთქვა ჟანმა და უხერხულად შეიშმუშნა.

– მეგობრები?.. საინტერესოა, ძალიან საინტერესო... უცნაური მეგობრობა სცოდნიათ საქართველოში.

ჟანმა გამომძიებლის ნათქვამი გადათარგმნა.

– ჰო, აი, ასეთი მეგობრობა ვიცით, დიახ, – გაღიზიანდა ნიკუშა, – უთხარით მაგას, ჟან, რომ ეს მას არ ეხება და არც იმ საქმესთან აქვს რამე კავშირი, რომელსაც ეგ იძიებს. ბიჭებმა რაღაც გავარკვიეთ ერთმანეთში – სულ ეს არის.

– მეტისმეტი მოგსვლიათ. ჭკუას არ გარიგებთ, მაგრამ, შეგეძლოთ, ეგ „რაღაც“ სხვანაირად გაგერკვიათ ერთმანეთში, – ჟანს წყენა არ დაუმალავს.

– არ გამოვიდა სხვანაირად, თორემ მუშტების ქნევა ჩემი სტიქია არ არის, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – რა უნდა, ამჯერად რისთვის შეწუხდა ბატონი გამომძიებელი?

– რაღაც დეტალები აქვს დასაზუსტებელი და შენთან და შენს მეგობრებთან უნდა გასაუბრება.

– ჩემთან ისაუბროს, მაგრამ ჩემს მეგობრებს თავი დაანებოს. ხომ უთხარით, რომ მათ ამ საქმესთან კავშირი არ აქვთ? – ხმას აუწია ნიკუშამ და გამომძიებელს ბრაზით გახედა.

ჟანი გერთან მივიდა და მისკენ დაიხარა:

– ძალიან გთხოვ, ცოტა თავი შეიკავე. მეც ვიცი ის, რაც შენ დღეს დილით ელენემ გითხრა. ჰო, მეც მითხრა და ახლა, მით უმეტეს, ფრთხილად უნდა ვიყოთ. წინდახედულობა გვმართებს, თორემ, პრობლემას შევიქმნით და, რაც ყველაზე ცუდია, ელენესაც შევუქმნით. ამიტომ გთხოვ, თავს ძალა დაატანე და მშვიდად, დაკვირვებით უპასუხე მის შეკითხვებს. ეს საქმე როგორმე უმტკივნეულოდ უნდა დავამთავროთ, თანაც, რაც შეიძლება მალე.

ნიკუშაზე დამამშვიდებლად იმოქმედა მამინაცვლის ტონმა, რომელსაც კატეგორიულობა არ აკლდა, მაგრამ მაინც არ სცილდებოდა დელიკატურობისა და ზრდილობის ფარგლებს. ნიკუშამ უკან დაიხია:

– ეგ თავს მაინც არ დაგვანებებს.

– აუცილებლად დაგვანებებს. მე ვიძლევი ამის გარანტიას.

– რანაირად? საქმეს დახურავს? მეეჭვება, ისეთი „იდეინი“ ჩანს, ვერ შეძლებთ, დაიყოლიოთ, რომ შეგვეშვას.

– არაფერს არ ვეცდები. ამ ქვეყანას თავისი კანონები აქვს: სურათი დაზღვეული არ არის. ის, ვისაც ეკუთვნოდა, არავის უჩივის და არც ნახატის სასწრაფოდ დაბრუნებას მოითხოვს. ერთადერთი პრობლემა იმ ორგანიზაციასთან შეგვექმნება, რომელმაც საკუთარ მისიად ხელოვნების ნიმუშების გადარჩენა დაისახა, მაგრამ ამას საგამოძიებო უწყებებთან კავშირი არ აქვს.

– ანუ, საქმე ისედაც დაიხურება, თავისით?

– რა თქმა უნდა! სწორედ ამის თქმა მინდოდა. ამიტომ, სიმშვიდე ყველაზე მომგებიანი ვარიანტია ჩვენს შემთხვევაში.

ნიკუშა შეიჭმუხნა:

– რატომ აქამდე არ მითხარით, რომ ელენემ თქვენც გაგიმხილათ თავისი საიდუმლო? – ჰკითხა მამინაცვალს ცუდად დაფარული წყენით.

– ვაპირებდი, მაგრამ, რაღაც გარემოებებმა შემიშალა ხელი. შენ ფიქრობ, რომ დედაშენს ჩემთვის ეს ამბავი არ უნდა ეთქვა?

– არ ვიცი, ახლა ვერაფერს ვფიქრობ, აბსოლუტურად ვერაფერს.

– ჰო. მესმის. ვხედავ, რომ შენ რაღაც სხვა პრობლემაც გაქვს, შენი მეგობრები რომ აქ მარტო შენს სანახავად არ ჩამოვიდოდნენ, არც ამას სჭირდება დიდი მიხვედრილობა. შენი ნებაა, თუ

არ გინდა, ნურაფერს ამიხსნი. თუმცა, მიმაჩნია, რომ ჩვენ შორის გულახდილობა ორივესთვის მომგებიანი იქნება, ძალიან მომგებიანი.

– შეიძლება, მაგრამ, გეთანხმებით, რომ ჯერ ჩვენი მთავარი პრობლემა ეს აყლაყუდა გამომძიებელია. უთხარით, რომ მზად ვარ, მის შეკითხვებს ვუპასუხო.

ჟანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჩალურჯებულ ტუჩზე ნელა შეახო თითი.

– ფიცხი ხალხი ხართ ქართველები, ფრანგებზე გაცილებით ფიცხი. ღირდა მაინც თქვენი ჩხუბის მიზეზად?

– ღირდა, – ამოიოხრა ნიკუშამ, – დარწმუნებული ვარ, თქვენც ზუსტად ჩემსავით მოიქცეოდით.

– მჯერა, მაგრამ მერე ვილაპარაკოთ ამაზე, თუკი, რა თქმა უნდა, კიდევ გექნება სურვილი.

გამომძიებელმა გამომცდელი, ეჭვიანი მზერით „დაზვერა“ სიტუაცია და ნელი, გამოზომილი ნაბიჯით გაჰყვა უკან ნიკუშას პარკის შუაგულში აღმართული თეთრი ფანჩატურისკენ.

– სერიოზული მეგობრები გყოლიათ, – უთხრა ნიკუშას და სიგარეტის მოწევის ნებართვა ითხოვა.

– ჩემს მეგობრებზე თუ უნდა მკითხოთ რამე, მგონი, ჟანმა გასაგებად აგიხსნათ. ისინი აქ დედაჩემის გამო და ჩემს სანახავად ჩამოვიდნენ. ნახატის დაკარგვასთან კავშირი არ აქვთ, არანაირი კავშირი, გესმით, რისი თქმა მინდა?

– მესმის, რა თქმა უნდა, – გამომძიებელმა აუღელვებლად მოუკიდა სიგარეტს.

ნიკუშას ერთი სული ჰქონდა, გამომძიებლისთვის მკვახედ და მოურიდებლად ეპასუხა და ეგრძნობინებინა, როგორ არ სიამოვნებდა მისი არამკითხე მოამბეობა, მაგრამ ჟანის თხოვნა ახსოვდა და იმასაც გრძნობდა, რომ მამინაცვალი ბევრ რამეში იყო მართალი. მისი და ლევანის დალურჯებულ-დასისხლიანებული სახეები ეჭვის საფუძველს შეუიარაღებელი

თვალით დაკვირვების გარეშეც ქმნიდა. არაფერი იქნებოდა იმაში გასაკვირი, თუკი ეს აყლაყუდა ფრანგი უნდობლობით განიმსჭვალებოდა მისი სიტყვების მიმართ. ამიტომ, ტყავში უნდა გამძვრალიყო და იმაზე გაცილებით ზრდილობიანად და გულწრფელად უნდა მოსჩვენებოდა, ვიდრე ამისი სურვილი ჰქონდა. ნაძალადევად გაუღიმა და თავი ისე გააქნია, თითქოს ვერ მიხვდა მის ორაზროვნად ნათქვამ სიტყვებს.

– კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

– რამდენიმე ფაქტის გადამოწმება მინდოდა. მაგრამ, მანამდე რომ დავინტერესდე და გკითხოთ, ტუჩი ასე სად დაიშავეთ, ძალიან ცნობისმოყვარე ხომ არ გეგონებით?

– ჩემი ტუჩი? ისეთი არაფერია. მეჩქარება და იქნებ ცოტა დავუჩქაროთ? ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. ხომ ნახეთ, რომ სტუმრები გვყავს, რომ აღარაფერი ვთქვათ დედაჩემზე, რომელიც მუდმივად ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

– დიახ, ვიცი, რომ დედათქვენი ჯერ ისევ არასახარბიელო მდგომარეობაშია. ექიმსაც ველაპარაკე და თქვენს მამინაცვალსაც. თუმცა, გონზე უკვე მოსულა.

ნიკუშამ ერთბაშად არ უპასუხა და მექანიკურად წაივლო ხელი შესიებულ ტუჩზე. გამომძიებელმა მისი დუმილით ისარგებლა და განაგრძო:

– მე დიდი გამოცდილება მაქვს და ზუსტად შემიძლია, ვთქვა, რა დაემართა თქვენს ტუჩს ან თქვენი სტუმრის წარბს, მაგრამ, რადგან ნახატის მოპარვის საქმეს ვიძიებ და არა მეგობრული შელაპარაკების მიზეზს, ამიტომ, თავს შევიკავებ და ამ ეტაპზე არ დავინტერესდები, რა მოხდა თქვენსა და თქვენს სტუმარს შორის.

– რას ნიშნავს – „ამ ეტაპზე“, ამით რისი თქმა გინდათ?

– გულახდილად ვილაპარაკოთ? – კითხვაზე კითხვითვე მიუგო გამომძიებელმა.

– აქამდე ჩემს მოტყუებას ცდილობდით? – გაუღიმა ნიკუშამ.

– კარგია, რომ ხუმრობთ. მიყვარს, როცა ესმით იუმორი. ასეთ ადამიანებთან საერთო ენას ადვილად გამოვნახავ, ხოლმე.

– ჩემთან დამეგობრებას ხომ არ აპირებთ, მესიე გამომძიებელო?

გამომძიებელმა თავი გადააქნია უარყოფის ნიშნად, თუმცა სახიდან ღიმილი არ მოსცილებია.

– სიამოვნებით დაგიმეგობრდებოდით, მაგრამ, ეს მთლად უსაფრთხო არ უნდა იყოს, ამიტომ, თავს შევიკავებ და მხოლოდ საქმიანი ურთიერთობით დავკმაყოფილდები. სათქმელსაც მოკლედ გეტყვით.

– ძალიან დამავალებთ! – მოუჭრა ნიკუშამ და აივნისკენ გაიხედა.

– მაშ ასე, მე მინდა, რომ ჩემი მოკვლევის შედეგები გაგაცნოთ, დარწმუნებული ვარ, დაგაინტერესებთ.

ნიკუშამ მექანიკურად დაუქნია თავი.

– უკეთესი იქნება, თუკი უფრო ყურადღებით მომისმენთ. არ მიყვარს, როცა ნათქვამს ვიმეორებ. მით უფრო, რომ თქვენ ასე გეჩქარებათ.

ნიკუშას არ მოეწონა გამომძიებლის შეცვლილი ტონი.

– ყურადღებით გისმენთ, მესიე, – თქვა და კისრის ძარღვები დაეჭიმა დაძაბულობისგან.

ჟანს ჰქონდა იშვიათი ნიჭი, გამოეცნო ადამიანების გულისნადები და მათი ფიქრებიც ამოეკითხა. თუმცა, არც იმის უნარს იყო მოკლებული, ეს ყველაფერი კარგად დაემალა გულუბრყვილობის ნიღაბქვეშ. მაგრამ, ლევანსაც შეეძლო, სწრაფად აეღო ალღო სიტუაციისთვის. მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება, ცოლისკენ შებრუნდა და, ისე, რომ ჟანს გაეგონა, თქვა:

– თინი, მართლა მინდა, რომ აქედან წავიდეთ. ვნანობ, რომ საერთოდ წამოვედით, არ ღირდა! დედაშენისთვის უნდა დაგვეჯერებინა...

– ლევან, რას ამბობ? – გაუკვირდა თიკას, – სად უნდა წავიდეთ, ნიკუშას ასე დაშორდები? მე არ მინდა, რომ ჩემი ძმა და ქმარი ერთმანეთის მტრებად დარჩნენ!

– ჰო, – მაშინვე გამოეპასუხა ვახო, – საქმეც ეგაა, რომ შენმა ქმარმა მტერი და მოყვარე არ იცის. თუ, პირიქით, იცის და სწორედ მოყვარეს ერჩის? რა მაგარია! ცოლისძმას მოყვარეს ეძახიან, ხომ?! – მიუბრუნდა იას.

ქალმა შეუმჩნევლად დაჰქაჩა სახელოზე:

– გაჩუმდი, ვერ ხედავ, რომ ადამიანის ფერი აღარ ადევს? უკვე შემეცოდა.

– არაფერი მოუვა, ნუ დარდობ. ეგეთები ასე ადვილად არ ნებდებიან.

– ისევ ჩხუბი რომ დაიწყოთ, გავგიჟდები. ამ ადამიანის ძალიან მრცხვენია, ალბათ, ნორმალურები არ ვგონივართ.

– ოჰ, არც ფრანგები არიან დალაგებულები, – უდარდელად აიქნია ხელი ვახომ. იამ ისევ დაჰქაჩა სახელოზე.

ლევანმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სავარძლიდან წამოდგომას აპირებდა. ჟანმა გაიღიმა:

– მე გირჩევთ, მეუღლეს დაუჯეროთ. ვხდავ, რომ წასვლა თქვენ გინდათ და არა მას. გაუგებრობა, რომელიც თქვენსა და ნიკოლას შორის წარმოიშვა, უნდა მოგვარდეს.

– გეთანხმებით, მაგრამ მას ეს არ უნდა. არ ვიცი, რა არის ამის ნამდვილი მიზეზი. ველარ ვიგებ, თინიკოსთან ნათესაობის გაგებამ გააგიჟა, თუ ელენეს ავადმყოფობამ. შეიძლება, ორივემ ერთად. ნახატის დაკარგვასაც თუ გავიხსენებთ... გამომძიებელიც, ალბათ, მაგ საკითხზე მოვიდა. ან, იქნებ, ელენეს შემთხვევას იძიებს?

ჟანს ისევ გაეღიმა:

– რა გაინტერესებთ, ლევან?

– მე? მე რა მაინტერესებს?

– დიახ, ვხედავ, რაღაც გაქვთ სათქმელი, რაღაც გაწვალებთ. მითხარით, ნუ მოგერიდებათ!

– კარგი, გეტყვით: მე იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდოდა, ჩემი სიხარული ნიკუშასთვის გამეზიარებინა. წარმოდგენა არ მქონდა, აქ რა მოხდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს ელენეს საქციელი, რას უნდა მივაწეროთ? თქვენ რა ახსნას უძებნით მის საქციელს?

– რა ახსნა უნდა მოვუძებნო, ცხენიდან ჩამოვარდა.

– გაუხედნავი ცხენიდანო, ხომ ასეა?

– ასეა. მერე რა?

– არაფერი, ეტყობა, გამომძიებელსაც საეჭვოდ მოეჩვენა ეს პატარა დეტალი.

– რა გინდათ, ლევან? რომ თავი გავიმართლო, მომხდარში ბრალი არ მიმიძღვის-მეთქი? ამას არ ვიზამ, იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ ვცნობ – არ უნდა დამეშვა, რომ ელენე იმ ცხენზე დამჯდარიყო. მით უმეტეს, ვგრძნობდი, რომ ამას გააკეთებდა.

თინიკომ თავი ასწია და გაოცებით შეხედა ჟანს.

– გიკვირთ, ამას რომ ვამბობ? საქმე ინტუიციაშია. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მე და ელენემ რაღაცაზე ვილაპარაკეთ და მე არ მოვინდომე, მისთვის გამეგო. შემეძლო, გამეგო და არ მოვინდომე – ეს არის ის, რასაც საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ. მე დამავიწყდა, რომ

უფლება არ გაქვს, არ გაუგო ადამიანს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარს და დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. ახლა ცოტა ხნით დაგტოვებთ და მალე დავბრუნდები.

ჟანი რომ წავიდა, თინიკომ ქმარს ჩუმად ჰკითხა:

– გაიგე, რა თქვა?

– დიახ, – ნიშნის მოგებით დაუქნია თავი ლევანმა, აბა, მე რას ვამბობდი, რომ მეცით შენ და შენი ძმა? არა, რა, მაგარი ვარ! ელენე არ დაჯდებოდა იმ ცხენზე, თუ ეცოდინებოდა, რომ გადმოაგდებდა. ამან უჩალიჩა. ვერასდროს ვერ ვიტანდი ასეთ მეტისმეტად დადებით ტიპებს, ყოველთვის უსიამოვნო განწყობა მეუფლებოდა. უნაკლო ადამიანი გინახავთ სადმე? ეს რატომღა უნდა ყოფილიყო გამონაკლისი?!

ლევანის მოზეიმე ხმამ ვახო გააღიზიანა:

– ყველას შენი საზომით ნუ ზომავ, ბიჭო! მე ვერ დავიჯერებ, რომ ამ კაცს თავისი ცოლის სიკვდილი უნდოდა.

– შენ რას დაიჯერებ და რას არა, ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. შენი აზრი არც არავის აინტერესებს. თანაც, მე ჩემს ცოლს ველაპარაკები და შენ ნუ ერევი!

– ნუ ვერევი რა პასუხია, რას ნიშნავს, ნუ ვერევი? შენი ოჯახის საქმეში თუ ჩავერევი, შენიშვნა მაშინ მომეცი. გირჩევ, შენი მოსაზრება-ჰიპოთეზებისგან თავი შეიკავო. მით უმეტეს, სანამ გამომძიებელია აქ. გეყოფა ინტრიგების ხლართვა!

– ბეცი ხარ, ისევე, როგორც შენი ძმაკაცი. არ გესმით, რომ, როცა სასწორის პინაზე ამხელა ფული დევს, შეიძლება ანგელოზიც, ეშმაკად იქცეს.

– მე კიდევ იმას გირჩევ, მოკეტო, სანამ ახლა ჩემგან მოგხვედრია და იმაზე მიპასუხო, რით გადარიე ასე ნიკუშა, რომ შენი მოკვლა უნდოდა.

– არ ვარ ვალდებული, შენს შეკითხვებს ვუპასუხო.

– მოგიწევს, იმიტომ, რომ ეს ამბავი აქ უნდა გაირკვეს და დამთავრდეს. არ გესმის შენ, ბატონო მინისტრო? ისე ნუ იზამ, თბილისში რომ ჩახვალ, სამინისტროში ვეღარ გამოჩნდე, თანაც – დიდი ხნით.

– ჰმ, ტერორში ვარ, რა!.. – ჩაიცინა ლევანმა და ხელები გაშალა.

– თავს ნუ ისაწყლებ, გირჩევნია, კითხვაზე პასუხი გამცე.

– არაფერი არ მითქვამს-მეთქი, ნადირო, არაფერი!

– აბა, გაგიჟდა და გეცა?

– ჰო, შეიძლება. წადი და თვითონ მას ჰკითხე!

– ის არ ეყოფა, გამომძიებელი რომ უსვამს კითხვებს და ახლა მეც დავემატო? თინიკო, ვიცი, შენ მაინც არ მეტყვი ტყუილს. მითხარი, რა მოხდა, თორემ, მომკლა ცნობისმოყვარეობამ. – ახლა თინიკოს შეეხვეწა ვახო.

– დიდი და ძველი ამბავია, ჩვენს ოჯახებს ეხება, – უხალისოდ ჩაილაპარაკა თინიკომ, – ნიკუშა ძალიან ემოციურად მიუდგა ამ ამბავს და იმიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა.

– აჰა, გასაგებია. თუმცა, ვერაფერიც ვერ გავიგე. მაშინ, ის მითხარი, შენ რანაირად ხარ ნიკუშას და. ოღონდ, არ გეწყინოს, კარგი?

– ვახო, დაანებე თინიკოს თავი. ვერ ხვდები, რომ მეტისმეტი მოგდის? – გაცხარდა ლევანი, – თუ უნდა, გეტყვის. ან, რა შენი საქმეა! სიტყვაზე არ გვენდობი? და-ძმაა და მორჩა!

– ლევან, მე მკითხეს და პასუხსაც მე გავცემ, – ხმა გაიმკაცრა თინიკომ, – დამღალა საიდუმლოებებმა. ვახო და ია, დასამალი არაფერია – მე და ნიკუშას ერთი მამა გვყავდა.

ვახო გაშრა. მერე წაუსტვინა:

– აუ! გადავირევი!.. ესე იგი, ელენე ქმარს მამაშენთან ღალატობდა? საწყალი ნიკუშა! ახლა უკვე ვხვდები რაღაცეებს!

– ვერაფერსაც ვერ ხვდები! დედამისმა უღალატა ქმარს ნიკუშას მამასთან, – ლევანმა ნიშნისმოგებით დააქნია თავი თიკასკენ. – იმაზე რთულად არის საქმე, ვიდრე წარმოგიდგენია. ელენესა და ბატონ ზურაბსაც უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ, ნიკუშა მამამისის შვილია. ამაში, შეგიძლია, ეჭვი არ შეიტანო!

– მოიცა, მოიცა... დამაცადე, დავფიქრდე. ასეთ რამეებში მაგრად „ვჭედავ“, ვერასდროს ვუყურებდი სერიალებს.

– შენ ხუმრობ და, რეალობა მართლაც ასეთია.

თინიკოს სახე დაუსევდიანდა:

– რეალობა, რომელსაც ვერაფრით წარმოვიდგენდი: მე ნიკუშას და ვარ და, ეტყობა, ბედისწერა იყო, ლევანს რომ გავყევი ცოლად.

ვახომ გაოგნებულ იას გადახედა:

– ყველაფერი გაიგონე?

– ჰო, ოღონდ ჯერ ბოლომდე ვერ გავაცნობიერე. მეგონა, ცხოვრებაში ასეთი რაღაცეები არ ხდებოდა. რანაირად ცხოვრობდით ისე, რომ სიმართლე არ იცოდით?

– დედაჩემი დიდხანს მალავდა ამას, – თქვა თინიკომ, – ისიც არ ვიცი, საერთოდ რატომ გადაწყვიტა, გაემხილა ამდენი წლის ამბავი. იქნებ, საერთოდ ჯობდა, არაფერი ეთქვა და საფლავში ჩაეტანა თავისი საიდუმლო?!

– არა, სიმართლე მაინც ყოველთვის პოულობს გზას. ისე, ამდენ ხანს რატომ გიმალავდა?

– ალბათ ისევ, ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ, ასეა თუ ისე, მაგრად გამირთულა ცხოვრება.

– მარტო შენ კი არა, ნიკუშასაც გაურთულა, – დაფიქრებით თქვა იამ, – საწყალი, ერთბაშად რამდენი უბედურება დაატყდა თავს. ძალიან მეცოდება...

ჟანი შორიდან ადევნებდა თვალს გამომძიებლისა და ნიკუშას საუბარს.

გამომძიებელმა ჩაახველა:

– აი, ასეთია საქმის ვითარება. უკვე ყველაფერი გითხარით...

– და შეურაცხყოფაც მომაყენეთ...

– მე ასე არ ვფიქრობ. ჭკვიანი ადამიანი ჩანხართ და, აბა, მითხარით, ვის შეეძლო მოეპარა ნახატი?

– მე გამომძიებელი არ ვარ და ამ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

– დიახ, გამომძიებელი არ ხართ და, შეიძლება, ჩემი დასკვნები თქვენთვის არაფრის მთქმელია, მაგრამ, მე შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ის ნახატი ამ ოჯახის ფარგლებს არ გასცდენია.

ნიკუშამ ნაძალადევად გაიცინა:

– რა სისულელეა! ძალიან გამამხიარულეთ, ბატონო გამომძიებელო!

– ვიცი, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ. თქვენ ყველაფრის უფლება გაქვთ. იმიტომ, რომ ოფიციალურად ბრალდებას ვერ წამოგიყენებთ.

– მართლა? ძალიან ნუგეშის მომცემი ინფორმაციაა!

– ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, გააწყვეტინა გამომძიებელმა, – ვერ წაგიყენებთ ორი მიზეზის გამო. ერთი, რომ ნივთმტკიცებულებები არ მაქვს და, მეორე – ჯერ ზუსტად არ ვიცი, კონკრეტულად რომელმა თქვენგანმა მოიპარა: დედათქვენმა, თქვენ თუ გრაფმა. სამივეს ერთნაირი შანსები გქონდათ, თითქმის ერთნაირი. ასე რომ...

– ბატონო გამომძიებელო, ვალდებული არ ვარ თქვენი შეურაცხყოფები ვისმინო, ეს უკვე მეტისმეტია! ახლავე ჩემს მამინაცვალს დავუძახებ და ორივეს ერთად გვითხარით ის, რაც ახლა მე მითხარით.

ნიკუშა შემობრუნდა და ჟანს ხელი დაუქნია.

– გეტყობათ, კარგი ურთიერთობა გაქვთ მამინაცვალთან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გაიცანით.

– დიახ. თქვენ ეს გიკვირთ?

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა:

– მე პროფესია მაქვს ისეთი, რომ რაღაც-რაღაცეები არ უნდა დავიჯერო. თუმცა, რადგან ასე ღიზიანდებით, დაველოდები სანამ გრაფი მოგვიახლოვდება.

ჟანმა იცოდა, რაზე შეიძლებოდა ესაუბრათ გამომძიებელსა და ნიკუშას, მაგრამ მაინც გაოცებული და ცოტათი დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა, როცა გამომძიებელმა მათი საუბრის მთავარი დეტალები გაუმხილა.

– იცით, ჩემო ძვირფასო, მე თქვენს პროფესიონალიზმში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება. ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, როცა საქმე ხელოვნების ნიმუშს ეხება, მაგრამ, მე უკვე დავრეკე დეპარტამენტში და ამ საქმის დახურვა მოვითხოვე.

გამომძიებელი გაშრა:

– რა ბრძანეთ?

ნიკუშამ გამარჯვებული კაცის იერი შეიფერა. ჟანმა თავი დააქნია:

– ძალიან მეუხერხულება, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ, ალბათ, თქვენი უფროსებიც დაგირეკავენ და გეტყვიან, რომ თქვენი მისია ამოწურულია.

– კი მაგრამ, რანაირად? მე მხოლოდ ახლა მივადექი მთავარს. სიმართლე ხომ უნდა გაირკვეს და დამნაშავე დაისაჯოს?

– მესიე გამომძიებელო, ჩვენ უკვე ვიცით სიმართლე და სხვა სიმართლე არ გვაინტერესებს. დამნაშავე კი, უბრალოდ, არ არსებობს.

გამომძიებელმა სიმწრით გაატკაცუნა თითები – არ უნდოდა, ეღიარებინა, რომ დამარცხდა.

– მე მაფრთხილებდნენ, რომ ძალიან გავლენიანი ნაცნობები გყავდათ.

– მართლა? მერე რატომ არ დაუჯერეთ და არ გაითვალისწინეთ?

– მე პროფესიონალი ვარ. პროფესიონალიზმი კი, მეგობრობას არ ითვალისწინებს.

– მე მესმის თქვენი. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ, ძალიან დიდ პატივსაც გცემთ სწორედ მაგ თქვენი პროფესიონალიზმის გამო.

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მე ვივარაუდე. ერთადერთი, რაც გასარკვევი დამრჩა: რომელს აფარებთ ხელს, გრაფ, ცოლს თუ მის ვაჟიშვილს?

ნიკუშა გაწითლდა და პირიც კი დააღო, რომ თავხედობისთვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ ჟანმა ამის საშუალება არ მისცა, დაასწრო და მშვიდი ღიმილით წარმოთქვა:

– ძალიან დიდ პატივისცემას ვგრძნობ თქვენს მიმართ, ბატონო, გამომძიებელო, ამიტომ, აჯობებს, თქვენი ეს შეკითვა პასუხგაუცემელი დარჩეს, დამიჯერეთ!..

– სხვა რა გზა მაქვს. იმედს ვიტოვებ, რომ არ ინანებთ მაინც თქვენს დიდსულოვნებას!

– დიდსულოვნება არაფერ შუაშია. თავიდანვე გითხარით, რომ ის ნახატი ჩემი არასდროს ყოფილა. ელენეს კი, სრული უფლება ჰქონდა, მას ისე მოჰქცეოდა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა.

გამომძიებელმა ჩაიცინა:

– ახლა კიდევ უფრო გასაგები გახდა ყველაფერი. ნახვამდის, გრაფო! მეუღლის სწრაფად გამოჯანმრთელებას გისურვებთ. ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ის თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

– მშვიდობით! თქვენ ძალიან ძალიან ბევრს მიაღწევთ ასეთი მიხვედრილობის წყალობით.

გამომძიებელი წავიდა და მალე მისი გამხდარი, აწოწილი ფიგურა თვალს მიეფარა.

– ის დარწმუნებულია, რომ ნახატი ელენემ დამალა, – თქვა ნიკუშამ და მამინაცვალს უკმაყოფილოდ შეხედა.

– ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ის აქ აღარ მოვა, აღარასოდეს. მაგრამ ჩვენი პრობლემები ამით არ მთავრდება...

თუ ჩვენი მოწინააღმდეგე მხოლოდ ბედისწერაა და მხოლოდ ის გვიგზავნის გამოწვევას, მაშინ რატომ ვებრძვით ადამიანები ერთმანეთს, რას ვერჩით და რას ვემართლებით? ხომ არ აჯობებდა, ყველანი გავერთიანებულიყავით ბედისწერის წინააღმდეგ, დავპირისპირებოდით მას და გამარჯვებაც ერთად გვეზეიმა? მაგრამ, ადამიანები ან ვერ ხვდებიან, ვინ არის მათი ჭეშმარიტი მტერი, ან, ამის აღიარება, უბრალოდ, არ სურთ, რადგან შენს მსგავსთან ბრძოლა გაცილებით ადვილია. სულ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, კორიდის არენაზე ყველა ხარი რომ გაერთიანებულიყო მატადორების წინააღმდეგ... ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, მაინც სცადეთ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავმომწონე მატადორები ცუდ დღეში აღმოჩნდებოდნენ და საფრთხე სეირის საყურებლად შეგროვილ ხალხსაც დაემუქრებოდა, მაგრამ, ხარი მაინც ხარია... ადამიანებს კი ზოგჯერ ხარებივით არ გვყოფნის ჭკუა... ერთნი ერთმანეთს უპირისპირდებიან, დანარჩენები კი სიამოვნებით უყურებენ სეირს...

***

ყველანი სასადილო ოთახში შეიკრიბნენ. ქალები უზარმაზარი ბუხრის გვერდით მდგარ დიდ სავარძლებში ისხდნენ. არც ერთს არ ეტყობოდა ლაპარაკის ხალისი: თიკა საკუთარ თითებს ისე ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავდა; იას მზერა ნიკუშასკენ იყო მიმართული; ოთახში გამეფებულ სიჩუმეს ჭურჭლის წკარუნი და ჩუმი შრიალი არღვევდა. მოსამსახურე ქალი სუფრას შლიდა; ჟანი დაძაბული სახით ეწეოდა სიგარას. ნიკუშამ ვახოსა და ლევანს შეხედა:

– მგონი, რაღაც უნდა გადავწყვიტოთ... – თქვა ხმადაბლა.

ლევანმა თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა და უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ვახო გაცხარდა:

– თავს ნუ აკანტურებ, ბიჭო... მართალია ეს კაცი, რაღაც უნდა გადაწყდეს. აბა, რა ვქნათ, წყალს და ქარს გავატანოთ ჩვენი ამდენი წლის მეგობრობა?

– მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა, – ლევანმა ნიკუშას შეხედა, – თუ გინდა, დღესვე გავემგზავრებით, შენ მარტო გვითხარი.

– არც ვიცი, რა ვთქვა. არ მინდა, რომ გაემგზავროთ, მაგრამ...

– ვერც ჩვენი დარჩენის მიზეზს ხედავ, ხომ მართალია? – ჩაიცინა ლევანმა, – გასაგებია, დილით წავალთ.

– არაფერიც არ არის გასაგები, – განაწყენდა ნიკუშა, – ისევ ნუ ცდილობ, სიტუაციის არევას. ელენეს თინიკოსთან უნდა საუბარი და საერთოდ, რადგან აქ ხართ, აჯობებს, ყველაფერი ბოლომდე გაირკვეს.

– ვეთანხმები ნიკუშას, – თქვა ვახომ, – ყველაფერი ბოლომდე უნდა გაირკვეს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, ყოველთვის და ყველაფერში. კიდევ არის ერთი საკითხი, რასაც ისე ვერ დავტოვებ, – ვახომ იასკენ გაიხედა, – ნიკუშ, მომისმინე, მარტო ლაპარაკით არაფერი გამოდის, აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეთ.

– უჰ, განაცხადა ბიჭმა! – დასცინა ლევანმა, – აქტიური მოქმედებისკენ რომ მოგვიწოდებ, იქნებ, ისიც გვითხრა, რა გავაკეთოთ – ოღონდ ის არა, რაც უკვე გააკეთეთ და შედეგი ორივეს სახეზე გაწერიათ. გაფრთხილებთ, თუ კიდევ ეცდებით პრობლემების მუშტით მოგვარებას, ორივეს ისე მიგბეგვავთ, ტვინიდან გამოგიფერთხავთ მაგ სისულელეებს.

– მუშტით გარკვევას აღარ ვაპირებთ, მაგრამ მე არ ვიცი, რა პრობლემებზეა საერთოდ ლაპარაკი, – თქვა ლევანმა, – მე აქ არც საჩხუბრად ჩამოვსულვარ და არც რამე სარგებლის მისაღებად. გულწრფელად გამიხარდა, როცა ჩვენი ნათესაობის ამბავი გავიგე და თინიკომაც ვეღარ გაძლო, ნიკუშა რომ არ ენახა. მესმის, რომ ჩვენს ასაკში ძნელია, ვინმე დად ან ძმად მიიღო, მით უმეტეს, თუკი მანამდე ამის შესახებ წარმოდგენა არ გქონდა, მაგრამ, ამით რეალობა ხომ არ იცვლება?!

– შენ იმიტომ არ მოგხვედრია, რომ თინიკოსი და ჩემი დაძმობის ამბავი გაამხილე, – პირქუშად ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – ისე, მართალი ხარ. მეც ვერ ვხვდები, რა პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. იმ ამბავს, რატომაც გცემე, მაინც ვერ დავივიწყებ, გამორიცხულია. შეურაცხყოფა მომაყენე და ამას ვერ გაპატიებ. არც იოცნებო. არ გაპატიებ, მით უმეტეს, შენ, ჩემს მეგობარს, რომლის იმედიც ყოველთვის მქონდა!

– იქნებ, მეც მითხრათ, რა შეურაცხყოფაზეა ლაპარაკი, თორემ, რა პონტია, ჩემ გარეშე რომ არკვევთ ურთიერთობას, მაშინ, როცა მე აქ ვზივარ! – გაბრაზდა ვახო.

ნიკუშამ ლევანს გადახედა:

– მგონი, უფლება აქვს, იცოდეს, არა?!

– რა თქმა უნდა, მაქვს, მაგას კითხვა რად უნდა? – გაიბადრა ვახო, – აბა, მიდი, მითხარით, რაშია საქმე. რატომ ეცით ერთმანეთს უხეირო მამლებივით?

– ვახო, ცოტა წესიერად ილაპარაკე! მეტისმეტი ნუ მოგივა, – გააფრთხილა ლევანმა, – რა უბედურებაა ეს სულელური შედარებები.

– შენ, საერთოდ, ვალში ხარ ჩემთან და გირჩევ, ეს არ დაივიწყო – რომ არ მომესწრო, უარესად იქნებოდი დაბეგვილ-დაჟეჟილი, თუ საერთოდ დაგტოვებდა ცოცხალს.

– არ არის საჭირო სიტუაციის დამძიმება. ჩხუბი ადრეც მოგვსვლია. ცეცხლზე ნავთს ნუ დაასხამ, თუ გინდა, რომ მართლა დაგვეხმარო.

– კარგი, მინდა და დაგეხმარებით კიდეც. მითხარი, რა მოხდა.

ლევანმა და ნიკუშამ ერთმანეთს გადახედეს.

– ჰა, დროზე შეთანხმდით, რომელი მოყვება, – ვახო მიხვდა, რომ ორივე აყოვნებდა საუბრის დაწყებას.

– შენ იტყვი, თუ მე ვთქვა, როგორ მაფურთხებდი სულში მთელი ეს წლები?!

– რაო?! სულში მაფურთხებდიო? რა პონტია, გადავირევი.. ამისთანა რა ჩაიდინე, ბიჭო... – ხელები გაშალა ვახომ და ლევანს შეუბღვირა.

– დამშვიდდი, განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, ჭორიკანა არ ვარ და არ ვთქვი ის, რაც არ უნდა მეთქვა. ნიკუშა კი ფიქრობს, რომ არაკაცურად მოვიქეცი. მაინტერესებს, თვითონ როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას.

– მოვიდოდი და პირდაპირ გეტყოდი. დიახ, გულახდილად გეტყოდი ყველაფერს, – მტკიცედ თქვა ნიკუშამ, – შეიძლება, ამას ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, შეიძლება, დამეკარგე კიდეც, მაგრამ ტყუილს მაინც არ გეტყოდი, არავითარ შემთხვევაში არ გეტყოდი!

– შენ არ ხარ ჩემს ადგილას და ამას იმიტომ ამბობ. ვერ ავტეხდი სკანდალს სხვისი ცხოვრების გაქექვით. რატომ უნდა დამებეზღებინა ან საკუთარი თავი ან სხვა ვინმე წარსულის ზედაპირზე ამოტივტივებით?!

– მაგ წარსულმა, შენ რომ ზედაპირზე ამოტივტივება დაგეზარა, მე ცხოვრება დამინგრია და კიდევ დიდხანს გამიმწარებს სიცოცხლეს!

– ვაჰ, მეტყვით თუ კიდევ დიდხანს მომიწევს თქვენი აბდა-უბდა ლაპარაკის მოსმენა? გავგიჟდი უკვე! ჩემით მაინც ვერ მივხვდები, ხომ იცით...

– მისახვედრი ბევრი არაფერია. ლევან, უთხარი შენს მეგობარს, ვინ არის შენი სიმამრი.

– ჩემი სიმამრი? რომელი გაინტერესებთ, იქნებ დამიკონკრეტოთ, თორემ დავიბენი. ერთი, ბიოლოგიური სიმამრი მამაშენია. მეორე – ბატონი ზურაბი, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბიოლოგიურ სიმამრად მიმაჩნდა. ახლა რა ვქნა? მითხარით, დამეხმარეთ... ვის მოვთხოვო პასუხი. მკვდარს?

– თავს ნუ ისაწყლებ და ნურც იმას ცდილობ, შეგიბრალოთ, არ ხარ ასეთი მიამიტი, – ნიკუშას გაეღიმა და ვახოს მიუბრუნდა, – ხედავ, როგორ ცდილობს უდანაშაულოდ მოგვაჩვენოს თავი? იმდენს იზამს, ისევ ავფეთქდები და გადავირევი...

– მოიცა, მოიცა... მგონი, მივხვდი... ბატონი ზურაბი გადის საქმეში? აჰა, ცოტა რომ დამეხმაროთ, სიტუაციაც გაიასნდება.

– დედაჩემი ზურაბის საყვარელი იყო, – ხმადაბლა, უხალისოდ ჩაილაპარაკა ნიკუშამ და მაშინვე წამოენთო, – ამან კი, იცოდა ეს ყველაფერი, იცოდა და არაფერი მითხრა. ახლა თქვი, არ უნდა მეცემა?

ვახომ წაუსტვინა:

– ბიჭო, შენ სულ გაგიჟებულხარ. მართლა იცოდი და არაფერი თქვი? მთელი ეს წლები, ეს რომ „ლომკაში“ იყო და გიჟდებოდა, შენ შენთვის კაიფობდი? ვა, მართლა საცემი ყოფილხარ, ტო!..

– ახლა გეყოფა! – გაცხარდა ლევანიც, – ჰო, რაც თიკა ჩემი ცოლია, სულ ვიცი და ნიკუშას ნერვებზე შეგნებულად ვთამაშობდი. ეგ კი არა, მანამდეც ვიცოდი. მე ხომ ყოველთვის ყველაფერი ვიცი...

– ნუ ყვირი, ტო... რა დღეში ხარ?! მაინც ვერ გაიმართლებ თავს. უნდა გეთქვა, ტო... რანაირად იყავი ჩუმად, ვერ ვხვდები...

– არც ისე მარტივად არის საქმე, შენ რომ გგონია. ცოტა ტვინი გაანძრიე! დაფიქრდი და მიხვდები, რომ ვერაფერს ვიტყოდი. ამ ნაღმს ვერ ავაფეთქებდი. სწორედ იმიტომ ვერ აფეთქებდი, რომ ამას ასეთი „ლომკა“ ჰქონდა. აბა, თქვი, შენ იქნებოდი გარანტი, რომ ზურაბს არ მოკლავდა?

– რომელი მკვლელი მე ვარ?

– გაჩუმდი, რა, ნიკუშ... თითქოს არ გიცნობდე! ზუსტად ვიცი, რომ უზარმაზარ პრობლემას შექმნიდი.

– ახლა? ახლა რომ მოვკლა?

– ახლა აღარ მოკლავ... – ლევანმა ცოლისკენ გაიხედა, – თიკა დაძაბული იყურებოდა მოსაუბრეებისკენ. სავარძლის სახელურებზე ჩაფრენილი თითები უკანკალებდა.

– რატომ, რატომ აღარ მოვკლავ? – ისევ ჰკითხა ნიკუშამ, – დავმშვიდდი თუ შევიცვალე? ისევ ის ნიკუშა ვარ, ჩემო ძვირფასო და ტკბილო, ისევ ემოციებით ვხელმძღვანელობ...

– ჰო, მაგრამ ახლა მედლის მეორე მხარეც გამოჩნდა, – ჩაეღიმა ლევანს და ნიკუშა გაფითრდა, – დედაშენის შეცდომას, თუკი ამას შეცდომა ერქვა, მამაშენისაც დაემატა: მამაშენმა უკვე

გაუსწორა ანგარიში ზურაბს შენ მაგივრად და სამაგიეროც გადაუხადა. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ზურაბი გაცილებით დაზარალდა.

– ზურაბს შენი დასაცავი არაფერი სჭირს. მის ადვოკატად არ გამოდგები.

– არც ვაპირებ. უბრალოდ, მინდა, ყველას დაგანახვოთ რეალობა. არ არის ისე, თქვენ რომ გგონიათ. დარწმუნებული ვარ, არც ერთი არ ამოიღებდით ხმას.

თინიკო ადგა და ქმართან მივიდა:

– შეიძლება, რაღაც ვთქვა? ნიკუშ, მეც ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში ვარ, როგორშიც შენ, მაგრამ აგრესია დედაჩემის მიმართ არ მაქვს. სხვათა შორის, არც მამაშენის, უფრო სწორად, არც მამაჩვენის მიმართ. აზრი არ აქვს და იმიტომ. რას შევცვლით? – ვერაფერს, აბსოლუტურად ვერაფერს!

– შენ ქალი ხარ, თიკა და, შეგიძლია, უფრო „ლაითად“ შეხედო ამ ყველაფერს.

– ქალობა არაფერ შუაშია. დედაშენსაც ისეთი არაფერი ჩაუდენია, რისი პატიებაც არ შეიძლება. დედაჩემმა კი მთელი ცხოვრება უცხო კაცისთვის მაძახებინა „მამა“. შენ ვერც წარმოიდგენ, როგორი საზიზღარი განცდა მეუფლება, როცა ამას ვაცნობიერებ. არავის ვუსურვებ, იგივე განიცადოს, რაც მე დედაჩემის აღიარებით განვიცადე, – თიკამ ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა.

ვახომ თავზე იტაცა ხელები.

– ახლა გავგიჟდები... არა, რა ტყუილი მაგარი ცუდი პონტია. თავიდანვე უნდა გაიასნდეს ყველაფერი.

ჟანმა სიგარა საფერფლეზე დადო და მოსაუბრეებთან მივიდა.

– მე მაინც ყველაფერი მესმის... ვერ ვიტყვი, რომ ყველა სიტყვა გავიგე, მაგრამ ადრეც რაღაცეებს ვხვდებოდი. ნიკუშა, მოდი, ამ ამბავს სხვა კუთხით შევხედოთ... შენც, თინა...

თქვენი მშობლების წარსულში დაშვებულმა შეცდომებმა თქვენ ერთმანეთი გაპოვნინათ, უკვე ერთმანეთი გყავთ. ამაზე დიდი ბედნიერება შეიძლება, იყოს რამე?

– მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობდი, – ჩაილაპარაკა თიკამ, – რაც ეს ამბავი გავიგე, ბედნიერი დავდივარ და სიცოცხლე მიხარია.

– ამაშია საქმე... – გაიღიმა ჟანმა, – დაივიწყეთ წარსული და ყველაფერი კარგად იქნება.

– კარგად არაფერი არ იქნება, სანამ ზურაბს თვალებში არ ჩავხედავ, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ნიკუშამ და ხელი მომუშტა.

– ნიკუშა, ძალიან გთხოვ, – თიკას ცრემლნარევ ხმაში მუდარა გაკრთა, – მე დედაშენთან უნდა ავიდე. ვნერვიულობ, ძალიან ვნერვიულობ... ნუ იქნები ეგოისტი. ჩვენ უკვე ერთი ოჯახი ვართ, იფიქრე ამაზე.

– როგორ, მამაშენს არაფერი ვუთხრა? სულ არაფერი? არ შემიძლია, თიკა... მაშინ, თბილისში აღარ უნდა ჩამოვიდე, სულ აქ უნდა დავრჩე...

– ზურაბს ისიც ეყოფა, მთელი ცხოვრება იმ ადამიანის შვილს რომ ზრდის, ვინც სძულდა და ვისაც ებრძოდა. წარმომიდგენია, რა დაემართება, თუ სიმართლეს გაიგებს.

– შენ ფიქრობ, რომ დედაშენს ჯერ მისთვის არაფერი უთქვამს?

თინიკომ ისევ მოიწმინდა ცრემლი და თავი გააქნია.

– ეჭვი მეპარება. დიანამ გამაოცა, მაგრამ ზურაბს არაფერს ეტყვის. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ მე თბილისში არ დავბრუნდები. დამელოდება, რა ამბავს ჩავუტანო. დარწმუნებული იყო, რომ არ მიმიღებდი.

– დაურეკე და უთხარი, რომ შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– ვერ ვურეკავ. რაღაც მიშლის ხელს. თუმცა, მართალი ხარ, უნდა დავურეკო. ოღონდ, ჯერ ორივე დამპირდით, რომ აღარ იჩხუბებთ. თქვენ ორივე ძვირფასი ხართ ჩემთვის: ერთი ქმარია, მეორე – ძმა და ვერც ერთის მხარეზე ვერ დავდგები. არ დამაყენოთ არჩევანის წინაშე, ძალიან გთხოვთ!

– თიკა მართალია. ნუ ანერვიულებთ ამ ფეხმძიმე გოგოს! წარსული წარსულია და მორჩით ამაზე ლაპარაკს! ხომ ხედავთ, არ გეუბნებით, დაივიწყეთ-მეთქი, უბრალოდ, საერთოდ, ნუღარ ილაპარაკებთ ამაზე, – ვახომ ჯერ ლევანს დაარტყა მხარზე ხელი, მერე ნიკუშას, – კარგი, რა, ბიჭებო, ჩვენ მაინც ერთი გუნდი ვართ, ერთად უნდა ვიყოთ, ყოველთვის! აი, იაც ამას ფიქრობს. ია, მოდი შენც ჩვენთან!

ია არც განძრეულა.

– ია, არ გესმის? მე გეძახი, მოდი ჩვენთან! ნიკუშასაც უნდა, რომ მოხვიდე. ნიკუშ, მითხარი, რომ გაგიხარდა, იაც რომ ჩამოვიყვანე. გულახდილად მითხარი, გაგიხარდა, ხომ?

– ძალიან, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ ისე, რომ იასკენ არ გაუხედავს. ვახოს მისი გულგრილობა შეუმჩნეველი არ დარჩენია და უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა:

– რადგან ეს საღამო ურთიერთობების გარკვევას მივუძღვენით, მინდა, კიდევ ერთი საკითხი გავარკვიოთ.

– ვახო, გაფრთხილებ, სიტყვა აღარ თქვა მეტი! – წამოხტა ია, – რა უფლება გაქვს, ჩემს ცხოვრებაში რომ ერევი?

– მაქვს უფლება და ახლავე დაგიმტკიცებ ამას.

– აქ რაღაც ხდება, მგონი, მეორე სერია იწყება, – ჩაულაპარაკა ლევანმა ცოლს, – და უკვე ვიცი, ის რასაც მიეძღვნება.

– არ შეგიძლია, გაჩუმდე? აი, ეს უკვე ნამდვილად არ არის შენი საქმე, – უკმაყოფილოდ მიუგო თინიკომ, – მე ია ძალიან მომწონს.

– ჰო? ახლა მოგწონს? გახსოვს, რომ ეჭვიანობდი? – ჩასჩურჩულა ლევანმა. ცოლმა პასუხად მაგრად უჩქმიტა გვერდში. ლევანმა ყრუდ დაიღმუვლა, ხმამაღლა კი თქვა:

– გავჩუმდი. პრინციპში, ვახოს მე ვეთანხმები. რადგან დავიწყეთ, ბარემ მივყვეთ ბოლომდე.

– არავითარ შემთხვევაში! – ხმას აუმაღლა იამ, – სანამ ისტერიკაში ჩავვარდნილვარ, შეწყვიტე ეს პროვოკაცია. ვახო, ისე ნუ იზამ, რომ გავიქცე აქედან!

– ია, მოდი აქ, – ნიკუშა თვითონ ადგა, იას მაჯაში ხელი მოჰკიდა და თავისკენ შეაბრუნა, – მე შენთან დამნაშავე ვარ, მაგრამ გპირდები, აუცილებლად გამოვასწორებ ყველაფერს. ორმაგად აგინაზღაურებ ყველაფერს, რაც დაგაკელი. შეგიძლია, არაფერი მითხრა. ისედაც ყველაფერი ვიცი. ისიც იცოდე, რომ შენი აქ ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის...

ია აკანკალებული უსმენდა. თავდახრილი და გაწითლებული...

ვახომ ხელი ხელს შემოჰკრა.

– ქორწილიც გვიჭამია! ძლივს ერთი კარგი ამბავი, მერე, რა ამბავი...

– გაჩუმდი, რა... – ლევანმა შუბლზე მოისვა ხელი, – ან ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე, თავი ამტკივდა.

– მიხარია და ვხმაურობ... ოღონდ, ეს ქალი გავათხოვო და შენ მერე ნახე ჩემი ბღავილ-ღრიალი.

– ვახო, გეყოფა, ნუ მომჭერი თავი. ჯერ ცოტა ადრეა ამაზე ლაპარაკი, – გააპროტესტა იამაც.

– ჰო, ცოტა ადრეა. ჯერ ელენე უნდა გამოჯანმრთელდეს. ასე რომ, ქორწილი უნდა გადავდოთ. მაგრამ, ჩემო ნიკუშ, რა არის, იცი? მე ამისი უკან წამყვანი არ ვარ, არავითარ შემთხვევაში.

– ვახო!

– ვახო, რა ვახო! არ წაგიყვან და მორჩა. დაგტოვებ აქ და მიხედეთ ერთმანეთს, როგორც გინდათ... მაგრამ კიდევ ერთი პრობლემაა და რაც მალე მოვაგვარებთ ამას, მით უკეთესი. მომშივდა, ეს სუფრა კი ძალიან მადისაღმძვრელად გამოიყურება. როდის ვივახშმებთ?

– ო, ეს უკვე ჩემი ბრალია. ძალიან გავერთე, – შეწუხდა ჟანი, მობრძანდით, გთხოვთ. ლუსიენ, შემოიტანეთ კერძები. ლუსიენ, რაშია საქმე?!

მსახური ჟანთან დაიხარა და რაღაც ხმადაბლა ჩაულაპარაკა,

– კიდევ ერთი სტუმარი გვყავს. თქვენი მეგობარია, თბილისიდან, – ცოტა გაოცებულმა თქვა ჟანმა და ლევანი ცარცივით გათეთრდა.

– ჩვენი მეგობარი? ვაჰ! – შესძახა ვახომ, – ახლა თუ დათოც ჩამოვიდა, გადავირევი! ოღონდ მართლა!

– სტუმარი ქალბატონია... – დაამატა ჟანმა. ლევანმა კბილები გააღრჭიალა და თავისთვის ჩუმად შეიგინა.

– რა ხდება, ლევან? – თინიკოს შეუმჩნეველი არ დარჩა ქმრის მღელვარება.

– არაფერი. ოღონდ, შენ არ ინერვიულო.

– მე რატომ უნდა ვინერვიულო? – თინიკომ გამომცდელი მზერა მიაპყრო ქმარს, – ლევან, მითხარი, ვინ ჩამოვიდა?

– არ ვიცი, თინიკო. არაფერი არ ვიცი, ან, საიდან უნდა ვიცოდე? აქ ვზივარ, შენ გვერდით.

– აბა, ასე რატომ აღელდი?

– მე ავღელდი? საიდან მოიტანე?

– ლევან, სიურპრიზებს ვერ ვიტან, ხომ იცი?

– თიკა, გემუდარები, დაწყნარდი. ახლავე გავალ ჰოლში და ვნახავ, ვინ ჩამოვიდა, – ლევანმა ნაბიჯიც გადადგა კარისკენ, მაგრამ თინიკომ არ გაუშვა.

– მასპინძელი შენ არ ხარ. დაწყნარდი.

– ბიჭო, ნეტავ ვინ ჩამოვიდა, – დაინტერესდა ვახოც, – შენ როგორ გგონია, ვინ უნდა იყოს?

– ალბათ, დათოა, ქალის კაბაში, – უხეიროდ იხუმრა ლევანმა და იგრძნო როგორ მოუდუნდა მუხლები.

– ლუსიენ, მოიწვიე სტუმარი, – სთხოვა ჟანმა მსახურს. იქ შეკრებილთა გაოცებულმა სახეებმა მიახვედრა, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა.

***

ზურაბმა ამოიოხრა, მერე სკამი ხმაურით გადადგა, ბოლოს ფეხიც მიარტყა და შეიგინა. დიანა მშვიდად სვამდა ყავას და არც კი გაუხედავს ქმრისკენ. კაცს მოთმინების ძაფი გაუწყდა.

– ბოლოს და ბოლოს, მომაქცევ თუ არა ყურადღებას?

– რა გინდა?

– რა მინდა?! შენ რა გინდა? რამდენიმე დღეა, პირში წყალი გაქვს ჩაგუბებული და ისე დადიხარ, თითქოს შენ წინაშე რამე დანაშაული ჩამედინოს. წესით, მე უნდა ვიყო

გაბრაზებული – დედა-შვილმა შეთქმულება მომიწყვეთ და, რა სიურპრიზს უნდა ველოდო თქვენგან, წარმოდგენა არ მაქვს.

– მთავარი სიურპრიზი წინ გაქვს, – ისეთივე სიმშვიდით წარმოთქვა ქალმა, თუმცა, არ მგონია, ძალიან გაგაოცო.

– დიანა, უკვე ძალიან დავიღალე. თუ რამე გაქვს სათქმელი, მითხარი ბარემ და მოისვენე.

– გითხრა?! დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ამის მოსმენა?! მზად ხარ იმისთვის, რომ რაღაც ისეთი გაიგო, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდი? დაფიქრდი, სანამ მიპასუხებ!

– დიანა, შენ ხომ არ გაგიჟდი? რა სისულელე აიჩემე, რას ვერ წარმოვიდგენ, რა იცი იმისთანა, რაც მე ჯერ არ ვიცი? გამაგებინე ბოლოს და ბოლოს. თინიკოს სჭირს რამე? ხომ არ ეყრება იმ თავის უჯიშო ქმარს?

– ლევანი უჯიშო არ არის და თიკაც ძალიან უყვარს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. საქმე მათ ურთიერთობას არ ეხება.

– აბა, ჩვენს ურთიერთობას ეხება? რაღა დროს ჩვენი ეგეთებია, დიანა, ეს ყველაფერი ადრე იყო, დიდი ხანია, ქალებისკენ აღარ ვიყურები, სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები მაქვს მოსაგვარებელი.

– შენ მე ყოველთვის მღალატობდი... – დიანამ ფინჯანი ლამბაქზე დადგა. თაროდან სიგარეტი ჩამოიღო და მოუკიდა.

– სიგარეტს დიდი ხანია, ეწევი? რაღაც, არ შემინიშნავს აქამდე.

– შენ კიდევ ბევრ რამეს ვერ ამჩნევ, ძალიან ბევრ რამეს. აქამდეც ვერ ამჩნევდი და, იცი, რატომ? – იმიტომ, რომ არასდროს იხედებოდი საკუთარი ცხვირის მიღმა.

– დიანა, საშიში თამაში წამოიწყე. კარგად ვერ ვხვდები, რისი მიღწევა გინდა, მაგრამ კარგად რომ არ დამთავრდება ეს ყველაფერი, ამას ვგრძნობ.

– ხომ არ გეშინია საყვარელო?! – მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ქალმა.

– მე? რა სისულელეა. რისი უნდა მეშინოდეს?

– რა ვიცი, მაგალითად, იმის, რაც შენს ქვეცნობიერში დევს და ზოგჯერ გახსენებს, რომ არც ისეთი სუპერგმირი ხარ, როგორადაც თავი მოგაქვს.

– დიანა, ძალიან გინდა, რომ ნერვები მომიშალო? მაშინ, უკვე გამოგივიდა, მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ახლა, ამდენი წლის შემდეგ? რაღაც არ მახსოვს, როდისმე თუნდაც ერთხელ სკანდალი მოგეწყოს იმის გამო, რომ გიღალატე.

დიანამ თვალები მოჭუტა და ისე გაიღიმა, ზურაბს კანი დაუბუსუსდა:

– დიანა, გეყოფა...

– მეყოფა? მე ხომ ჯერ არაფერი მითქვამს. შენ თვითონ დაიწყე ამაზე ლაპარაკი და უნდა გიპასუხო. ხომ უნდა გიპასუხო? მითხარი, ხომ გინდა?

– დიანა, ახლა მარტო ის მინდა, რომ გაჩუმდე და თავი დამანებო. მართლა არ მინდა მეტი არაფერი. ჰო, კიდევ, უნდა დამშვიდდე აუცილებლად.

– მე მშვიდად ვარ, საყვარელო, აქ თუ ვინმე ღელავს და ნერვიულობს, ეს შენ ხარ. მაშ, რატომ არასოდეს მომიწყვია შენთვის სკანდალი, შენ თვითონ რას ფიქრობ ამაზე?

ზურაბმა ამოიოხრა:

– თავს მომაკვლევინებ, მე შენ...

– ჰო? და შენ შეგიძლია აიღო იარაღი, მიიდო შუბლთან და სასხლეტს თითი გამოჰკრა? არ მჯერა, შენ ამას არასოდეს იზამ. შენნაირები თავს არ იკლავენ. ამიტომაც ვარ ასე მშვიდად.

– იცი, რას გეტყვი? შენ ყოველთვის ასეთი იყავი – ცივსისხლიანი და უემოციო.

– ეგ შენ გგონია ასე. საერთოდ არ მიცნობ, საყვარელო. არ მოინდომე, ახლოს გაგეცანი და ეს შენი პრობლემაა. ბოლომდე უცხო დავრჩი შენთვის.

– სისულელეა-მეთქი ეს ყველაფერი. ხომ არ დაგავიწყდა, შვილი რომ გვყავს? თინიკომ ჩევნ სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთთან, თუმცა, იმედი კი გამიცრუა. სულ შენ გგავს, ჩემი არაფერი სცხია.

– ამაში გასაკვირი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შენ არ ხარ მამამისი.

ზურაბმა ჯერ იფიქრა, შეიძლება, მომესმა, ან რაღაც კარგად ვერ გავიგონეო და ცოლს ჩაეკითხა:

– დიანა, შენ თქვი, რომ მე მამამისი არ ვარ, თუ, მე მაქვს სმენასთან დაკავშირებული პრობლემა?

– არა, ყველაფერი სწორად გაიგე – შენ არ ხარ მამამისი.

ზურაბმა გაოცებით შეხედა ცოლს და მერე სიცილი აუტყდა. იცინოდა ხმამაღლა და დიდხანს, ისე, რომ ცრემლიც კი წამოუვიდა. ქალმა აცადა სანამ ისტერიკა გაუვლიდა. მერე სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დაასრისა და გაიღიმა:

– შენს ადგილას მე არ გამეცინებოდა.

– დიანა, შენ ახლა ხუმრობ. ხუმრობ, ხომ?!

– არა. არ ვხუმრობ. თინიკო შენი შვილი არ არის.

– ჰა-ჰა-ჰა!.. მაგას არასოდეს დავიჯერებ!

– შენი ნებაა, მაგრამ, მოგიწევს დაჯერება. იმიტომ რომ, ეს მე თინიკოს უკვე ვუთხარი.

ზურაბი გაშტერდა და სახეზე ნელ-ნელა გამოესახა შიში და სასოწარკვეთა.

– შენ ხუმრობ, დიანა! მითხარი, რომ ხუმრობ, მითხარი!..

– არასდროს ვყოფილვარ ისეთი სერიოზული, როგორიც ახლა. ეს ჩემი შურისძიება იყო. უნდა ვაღიარო, რომ იმაზე კარგად გამომივიდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. ისტერიკის მოწყობა ყველას შეუძლია, მაგრამ, რა მერე, ამით ვერავის ვერაფერს დააკლებ, მხოლოდ საკუთარ გულს შემოასკდები. მაგრამ, დაწვე კაცთან, რომელიც შენს ქმარს ყველაზე მეტად სძულს – ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. იმიტომ გითხარი, ცუდად მიცნობ-მეთქი.

– დიანა, არა... არა!..

– არა? რა უცნაურია. მეგონა, არასდროს გაინტერესებდა ჩემი ცხოვრება, რას ვფიქრობ, რითი ვსუნთქავ, ვისთან ვწვები... შენ ხომ მისი ცოლი გიყვარდა, მაგრამ, უარი თქვი მასზე, კარიერა და მატერიალური კეთილდღეობა არჩიე. მაგრამ, ვერ დაკმაყოფილდი მიღწეულით და ცოლი, ანუ მე, ის ქალი, რომლის საშუალებითაც ყველა შენი ოცნება აისრულე, გვერდზე მიაგდე უსარგებლო ნივთივით. მე არ ვივიწყებ წყენას და არც ვპატიობ – ახლა მაინც იცოდე ეს!

ზურაბმა იგრძნო, როგორ დაიძრა სიცივე, როგორ მიაღწია გულამდე და როგორ მოაქცია თავის ყინულის მარწუხებში.

– დიანა, მითხარი, რომ მატყუებ, მითხარი, რომ ცუდად მეხუმრები და ასე მიხდი სამაგიეროს იმისთვის, რაც წარსულში იყო... თინიკო ჩემი შვილია. ჩემი!

– არა, არ არის შენი შვილი, სიმართლე ეს არის. ძალიან დიდი ხანი ველოდი იმ დროს, როცა ამას პირში მოგახლიდი. წარმოიდგინე, რა მოთმინება უნდა მქონოდა, რომ შესაფერისი

მომენტის მოლოდინში წლები მომეთმინა, მაგრამ მე მეყო ნერვები. ახლა შენც იცი და თინიკომაც. ყველაფერი იცით.

– შე გველო... გველო... –კაცი უკვე ხრიალებდა.

დიანას ტუჩებზე ზიზღი გამოესახა:

– რომ იცოდე, როგორ მძულხარ და როგორი ბედნიერი ვარ, ასეთ განადგურებულს რომ გხედავ. შურისძიება ტკბილი ყოფილა. ძალიან ტკბილი. ეს წუთები ნამდვილად ღირდა ლოდინად... – დიანა, ცუდად ვარ, მოვკვდები... ამას ვერ გადავიტან... თინიკო, ჩემი თინი... იმ არარაობისგან დაორსულდი და არაფერი მითხარი... შენ ვერც კი ხვდები, რა გააკეთე ამით...

– როგორ ვერ ვხვდები! ხომ გითხარი, ყველაფერი ჩემი ინიციატივით და სურვილით მოხდა-მეთქი. შენ კიდევ, ისტერიკა არ მოგიწყვიაო... რად მინდოდა ისტერიკა, რატომ უნდა გამემართა სცენები, როცა ასეთი ნაღმი მქონდა?! რომ იცოდე, რა სასაცილო ხარ და როგორი საცოდავი! სად გაქრა შენი ამპარტავნება და დიდებულება? ახლა მაინც ხომ ხედავ, რომ მარტო ფული არაფერს წყვეტს. არსებობს რაღაც, რასაც ფულით ვერასოდეს იყიდი. მიმოიხედე ირგვლივ, ერთი ადამიანიც არ გყავს ისეთი, რომელსაც შენზე გული შესტკივა. მარტო ხარ, სულ მარტო შენს ამბიციასთან ერთად და სიცოცხლის ბოლომდე მარტო დარჩები!..

ზურაბმა დაჭრილი დათვივით დაიღმუვლა და კარს ეცა. დიანამ ხმამაღლა გაიცინა. მერე გაიგონა როგორ გაჯახუნდა კაბინეტის მძიმე მუხის კარი და რაღაც ყრუ შრიალიც მოესმა. შინაგანმა ხმამ უკარნახა, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, იდგა, მზერა ერთ წერტილზე ჰქონდა მიშტერებული და სახეზე უცნაური გრიმასა აღბეჭდვოდა. არც მაშინ გადაუდგამს ნაბიჯი, როცა გასროლის ხმა გაიგონა, მხოლოდ თვალები დახუჭა და თვალზე მომდგარ ცრემლს გზა მისცა.

არავინ იცის, რა დრო გავა მანამდე, სანამ ყველაფერი თავის ადგილას დადგება, ნელ-ნელა წარსულს ჩაჰბარდება და, მისი საკუთრება გახდება ის, რაც დღეს სულს გვიფორიაქებს და ნერვებს მშვილდის ლარივით გვიჭიმავს. ძირითადად, სულ ასე, მოზიდული მშვილდებივით ვართ... განურჩევლად ყველანი, დიდი, თუ პატარა. იმ უმნიშვნელო განსხვავებით, რომ გამოხატვის საშუალებები გვაქვს სხვადასხვა. ზოგი უფრო აშკარად და მოურიდებლად გამოვხატავთ, ზოგიც, ვცდილობთ, მრისხანება მორჩილებით შევინიღბოთ... მაგრამ ამას

მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ხომ ის არის, როგორმე იმ მომენტამდე მივაღწიოთ, როცა ყველაფერი თავის ადგილას დადგება, თანაც, რაც შეიძლება მცირე დანაკარგებით...

***

თინიკო მთელი ხმით ტიროდა, გულამოსკვნილი, ყოველგვარი მორიდების გარეშე. ცრემლი შეუჩერებლად მოსდიოდა და გარშემო ვეღარავის და ვეღარაფერს ხედავდა. არც არაფრის დანახვა არ უნდოდა... თითქოს დრო გაჩერდა. ყველაზე შეუფერებელ მომენტში გაჩერდა... ლევანი სავარძელში იჯდა, სახეზე ხელისგულები ჰქონდა აფარებული და ცოლის ტირილს უსმენდა. კარზე ჯერ მორიდებული კაკუნი გაისმა, მერე მსუბუქად გაიჭრიალა და ზღურბლზე ნიკუშა გამოჩნდა, უკან ია მოსდევდა შეშფოთებული სახით. ნიკუშამ თინიკოს შეხედა და ლევანთან მივიდა:

– რაღაც ქენი, არ შეიძლება მისი ასეთი ნერვიულობა. ჟანი ფიქრობს, რომ ექიმს უნდა დავურეკოთ.

ლევანმა შუბლი მოისრისა და შეიჭმუხნა:

– ექიმი? მგონი, კარგი აზრია. მეშინია, ისტერიკა არ დაემართოს. არაფერი ესმის, შეუჩერებლად ტირის.

– ამისთანა რა უნდა მომხდარიყო, დედამისს ასეთი რა უნდა ეთქვა, – იამ სიბრალულით შეხედა აქვითინებულ თინიკოს, რომელიც უკვე მთელი ტანით კანკალებდა.

ნიკუშამ ვეღარ მოითმინა:

– არა, ამისი ყურება აღარ შემიძლია, რაღაც უნდა ვქნათ!

– რა ვქნათ? ველაპარაკები და არ ესმის. ახლოს არ მიკარებს... ვზივარ და ვფიქრობ, რა მოვუხერხო.

– ახლა ამას ჩვენი ლაპარაკი არ ესმის? – შიშნარევი გაოცებით იკითხა იამ.

ლევანმა ირონიულად ახედა.

– ყრუ კი არ არის. რა თქმა უნდა, ესმის, მაგრამ პასუხს არ გვცემს და ცდილობს, ჩვენი აქ ყოფნა არ შეიმჩნიოს.

– რატომ? – ისევ მიამიტი ბავშვივით იკითხა იამ. ლევანმა ამოიოხრა:

– თუ შეიძლება, გაჩუმდი, ისედაც დაწყვეტაზე მაქვს ნერვები. ხომ არ უნდა გავგიჟდე!

– ია, ჩადი და ჟანს სთხოვე, ექიმს დაურეკოს, – სთხოვა ნიკუშამ.

ია მიხვდა:

– გინდათ, რომ წავიდე? კარგი. წავალ, მაგრამ იცოდეთ, ამას ახლა ჩემზე უკეთესად ვერავინ გაუგებს.

ნიკუშამ და ლევანმა ერთმანეთს გადახედეს და თითქმის ერთდროულად იკითხეს.

– ვითომ, შენ რატომ?

– იმიტომ, რომ ქალი ვარ. რა არის ამაში გასაოცარი?!

– ქალი, კაცი – ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ წესიერად არც კი იცნობ.

– არც ამას აქვს მნიშვნელობა.

– ია, გთხოვ, ჩადი ქვემოთ და გააკეთე ის, რაც გითხარი.

იამ ფეხი აითრია. ლევანმა მკლავში მოჰკიდა ხელი და გვერდზე გაიყვანა:

– შენს ადგილას მე იქ ვიქნებოდი და არა აქ.

– მაინც, რატომ?

– იმიტომ და, შენც კარგად ხვდები, რასაც ვგულისხმობ. თვალი არ უნდა მოაშორო იმას, – ლევანმა მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი, – ია, ხომ გინდა, რომ ნიკუშასთან დარჩე?

იამ შუბლზე მოისვა ხელი და ლევანს ავად შეხედა:

– შენი ცოლი ცუდად არის. გირჩევნია, მიხედო. არ გირჩევ, ჩემი და ნიკუშას ურთიერთობაში ცხვირის ჩაყოფას, ეს არ არის შენი საქმე!

– მე შენკენ ვარ, სულელო... მაინც, როგორი ჩერჩეტები ხართ ეს ქალები! როგორ გგონია, რისთვის ჩამოვიდა?

– ვინ?

– ია, თავს ნუ გამოიშტერებ. ვინ და – ის გოგო, ახლა ქვემოთ, სასტუმრო ოთახში რომ ზის და ჩაის მიირთმევს.

– მაგაზე მერე დაგელაპარაკები. გამიმართლა, რომ ეს ამბავი მოხდა და ჯერ მაგისთვის ვერავინ მოიცალა. დარწმუნებული ვარ, ამ მოულოდნელ ვიზიტში შენი ხელი ურევია.

– ლევან, რას ჩურჩულებთ, რა ამბავია? მოდი, აქ!.. – თიკა გაჩუმდა.

ლევანმა იას ზურგი შეაქცია. ნიკუშამ თიკას ხელები თავის ხელისგულებში მოაქცია და ნელა დაუწყო სრესა. ქალი აღარ ტიროდა, მაგრამ მისი მზერა ისევ ისეთი არაფრისმთქმელი და ცივი იყო. თვალებიც თითქოს შუშის ჰქონდა და მასში მხოლოდ საკუთარ თავს თუ დაინახავდი.

– ვფიქრობ, ექიმის გარეშე არაფერი გამოვა. რადგან ია ჯიუტად არ იცვლის ფეხს, მე ჩავალ. ესღა გვაკლდა! ეს რაღაც წყევლასავით იქცა. რა უნდა მომხდარიყო. არ შეგიძლია, თბილისში დარეკო, შენს სიდედრთან?

– ვრეკავ, მაგრამ ტელეფონს არ ეკარება. იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ, შეიძლება, ზუკას მოუვიდა რამე.

– რაა?! – შეჰყვირა ნიკუშამ.

– ჰო, ასეა. ზუკა ბებიამისთან გვყავს დატოვებული. თინიკოს რეაქცია ამ ეჭვის საფუძველს მაძლევს. მაგრამ, არ მინდა, ვიფიქრო, ხომ გესმის... – ლევანმა ცოლს შეხედა, – გული მიკვდება, ასეთს რომ ვხედავ. რომ არ ვიცნობდე, ვიტყოდი, თამაშობს-მეთქი. იცი, პირველად, მგონი, ახლა მივხვდი, რას ნიშნავს თიკა ჩემთვის. რა საშინელებაა, როცა აღმოაჩენ, რომ სრული იდიოტი ყოფილხარ.

– აი, ამაში კი გეთანხმები, – ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა იამ, – კაცებს ძირითადად ეს უბედურება გჭირთ – არ აფასებთ იმას, რაც გაქვთ. მერე ისეთს გადააწყდებით, ახლა დაბლა რომ გელოდებათ ორივეს, ბოლოს კი სინანული გკლავთ, ისიც იმიტომ, რომ ხვდებით, თქვენი სისულელით დაკარგეთ ადამიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გიერთგულებდათ. ანუ, ისევ თქვენი ეგოიზმიდან გამომდინარეობს ეგ თქვენი ფსევდო-სინანული.

– ია, ეს ლექცია სხვა დროს და სხვა სიტუაციაში წაგვიკითხე, კარგი? – შეწუხებულმა სთხოვა ნიკუშამ, – ისედაც სუნთქვა მეკვრის, როცა ვიხსენებ, რომ უნდა ჩავიდე და იმ არსებას დაველაპარაკო?! – სამწუხაროდ, ამას ვერ გაექცევი. იცი, როგორ ვმწარდები, ასეთი ვალდებულების წინაშე რომ დავდექი. უფრო სწორად, დამაყენეთ. შენ დამაყენე, ნიკუშა!

– ია, ოღონდ ახლა არ დამიწყო... გთხოვ. მეც ვხვდები, რომ დამნაშავე ვარ და ნუღარ დამიმატებ. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოახერხა ჩამოსვლა.

იამ ლევანს გახედა, რომელმაც აშკარად არ შეიმჩნია მისი მზერა, ცოლს მხარზე დაადო ხელი და ისე ამოიოხრა, თითქოს თიკას გარდა, სხვა არაფერი აწუხებდა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, ვიცი-მეთქი, ოღონდ, ახლა არ ვიტყვი, რაღაც-რაღაცეებს ანგარიშს გავუწევ. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში.

– მოკლედ, შენ ახლა ჩადი, მეც მალე ჩამოვალ, კარგი?

ია უსიტყვოდ შეტრიალდა კარისკენ.

– დარჩები მარტო? – ჰკითხა ნიკუშამ ლევანს, – მე მალე ამოვალ.

– რა თქმა უნდა, ოღონდ, ექიმი მალე მოვიდეს, რაც შეიძლება მალე.

ვახო გაბრაზებული, შეკრული წარბით ათვალიერებდა მის წინ უტიფარი სახით ჩამოსკუპებულ გოგოს, რომელიც კმაყოფილი სახით წრუპავდა წვენს და, ინტერიერით მოხიბლული, ენის წკლაპუნით გამოხატავდა აღფრთოვანებას. ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდა:

– ერთი მომხედე! ჰო, შენ გეუბნები... ჯერ შენი სახელი შემახსენე... არ გესმის? შენ გელაპარაკები...

– მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. მგონი, არც კი გიცნობთ წესიერად, – ქედმაღლურად განაცხადა ნატუკამ და წამობერილ მუცელზე ამაყად დაიდო ხელი.

ვახომ ჩაიცინა:

– ჩემთან ეგ არ გაგივა! ტყუილუბრალოდ ცდილობ, თავი პატიოსნად მომაჩვენო ან შემაცოდო, არ გამოვა, ცუნცულ, არა! იმიტომ, რომ ბევრი მინახავს შენისთანა და კიდევ უარესი. უკვე ვიცი, რომ მთელი პროგრამა გექნება მომზადებული.

– არ მაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ და კიდევ უფრო არ მაინტერესებს რა იცით. მე თქვენთან არ ჩამოვსულვარ, არც კი ვიცოდი, აქ თუ იქნებოდით.

– რას მეუბნები?! – ყასიდად შეიცხადა ვახომ, – ეს ჩემი მეგობრის სახლია. არ იცოდი? პირველად ახლა გაიგონე, ხომ?

ნატუკამ მხრები აიჩეჩა:

– არა, პირველად არ გავიგე. ვიცოდი, მაგრამ, მე ცოტა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ვარ ნიკუშასთვის, ვიდრე თქვენ, მისი მეგობრები.

– ვა, ეს რაღაც ახალია. მაინც, რატომ?

– იმიტომ, – ნიშნის მოგებით შეუბრუნა სიტყვა ნატუკამ და ისევ მუცელი გამობზიკა.

– ჰა, ჰა, ჰა! – გადაიხარხარა ვახომ, – ვაიმე, ცუნცულ, რა მიამიტი ხარ, თუ ფიქრობ, რომ მაგას ვინმე დაგიჯერებს. პირადად მე ერთი წუთითაც არ დავუშვებ იმას, რომ შენ ფეხმძიმედ რომელიმე ჩემი მეგობრისგან ხარ.

– მე რომ ეგ ფეხებზე მკიდია?!

– ვიცი, შენ ხომ „მაგარი“ გოგო ხარ! მაგრამ აქ სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ ვერ იბლატავო.

– წესიერად მელაპარაკე, ისევ შენთვის აჯობებს! – აიმრიზა გოგო.

– ვაიმე, როგორ შემეშინდა!.. – მკერდზე გაშლილი ხელისგული მიიდო ვახომ, – ისე შემეშინდა, რომ სული მძვრება პირდაპირ. გოგო, მე საერთოდ მშვიდი ბუნება მაქვს, მაგრამ, ზოგჯერ, აი აქ... – ვახომ შუბლზე მიიკაკუნა საჩვენებელი თითი, – მეჭედება და როცა მეჭედება, მერე ძალიან, ძალიან საშიში ვხდები.

– ნუ მემუქრები, მე შენთან საქმე არ მაქვს. ისე ნუ იზამ, ნიკუშას ცოლი რომ გავხდები, ჩემს სახლში ფეხი ვეღარ დადგა.

ვახომ დაუფარავი ირონიით შეხედა და გადაიხარხარა.

– იცინე, შენი ნებაა, მაგრამ მალე ჩემი სიცილის ჯერი დადგება. ზუსტად ვიცი, რომ ასე იქნება.

– მაგიჟებს შენი თავდაჯერებულობა... მიყვარს პრინციპული, მიზანდასახული ადამიანები და, შეიძლება, მე და შენ დავმეგობრდეთ კიდეც, თუკი, რა თქმა უნდა, არ გამაბრაზებ.

– რა უნდა გავაკეთო, რომ არ გამიბრაზდე? – ნატუკამ თვალები მოწკურა.

– ახლავე აგიხსნი, – ვახომ თითები გაატკაცუნა, – დიდი არაფერია, უბრალოდ, სიმართლე უნდა მითხრა.

– სიმართლე? რა სიმართლე? – მიამიტურად აახამხამა წამწამები ნატუკამ.

– ვერ მიხვდი, ხომ, შე საწყალო... – დასცინა ვახომ, – რა გაეწყობა, ცუნცულ... ვეცდები, მარტივად აგიხსნა: წარმოიდგინე, რომ უცებ მე აღმოვჩნდი ის ადამიანი, რომელსაც შეგიძლია, შენი ყველა საიდუმლო გაუმხილო. ხომ ეტყოდი, ვინ არის შენი ბავშვის მამა?

– რა თქმა უნდა.

– ჰოდა, მითხარი.

– რა პრობლემაა – ჩემი ბავშვის მამა არის ნიკუშა, შენი მეგობარი. არ მეგონა, თუ არ იცოდი.

– ეგ ვერსია ნაცნობია ჩემთვის. მე სხვა რამე გკითხე: ვინ არის შენი შვილის მამა, ნამდვილ მამაზე გეკითხები, ნამდვილზე! აქ ჩვენ მეტი არავინ არის და ეს საიდუმლოც ჩემთან დარჩება.

– რა საიდუმლოზე ლაპარაკობ? – მხრები აიჩეჩა ნატუკამ, – მე არაფერს ვმალავ. სხვა მამა ჩემს შვილს არ ეყოლება, ნიკუშასგან ვარ ფეხმძიმედ – სიმართლე ეს არის.

– და აქ მაგ სიმართლის სათქმელად ჩამოხვედი?

– ჰო. უფრო სწორად, ჩამოვედი იმიტომ, რომ მომავალ ქმართან ახლოს ვიყო – ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალისთვის ეს ბუნებრივი სურვილია.

– ჰოდა, მაგ შენს მდგომარეობას უთხარი მადლობა, ბუნებრივი სურვილის კარნახით, მხრებში ხელი რომ არ მოგკიდე და მაგრად არ შეგანჯღრიე. შენისთანებზე ეს მეთოდი წამალივით მოქმედებს. როგორც ვატყობ, ცრუპენტელა ბრძანდები, ცუნცულ... არ მომწონს ეს... ძალიან არ მომწონს... ვიჩხუბოთ? იცოდე, გაუთვალისწინებელ და არასასიამოვნო პრობლემებს შეიქმნი.

– ბატონო ვახტანგ, რა გნებავთ ჩემგან? – ხმა გაიმკაცრა ნატამ, – ხომ გითხარით, მე თქვენთან საქმე არ მაქვს-მეთქი!

– სამაგიეროდ, მე მაქვს შენთან საქმე, ცუნცულ... მოკლედ გეტყვი – მე პირდაპირი კაცი ვარ და პირდაპირ მიყვარს თქმა: შენ ნიკუშასგან არ ხარ ფეხმძიმედ.

ნატუკამ ჩაიცინა.

– რა გაცინებს?

– ის, რომ ფუჭი სიტყვებით თავგზას ვერ ამირევთ. ვიცი, რომ ნიკუშას მეგობრებს გულზე არ გეხატებით, მაგრამ ეს ამბავი ყველაზე ნაკლებად მადარდებს. ნიკუშა მე დამიჯერებს და არა თქვენ.

– ასეთი დარწმუნებულიც ნუ იქნები. მე ტყუილუბრალოდ ლაპარაკი არ მიყვარს. რადგან ვთქვი, ესე იგი, შევძლებ, ჩემი სიტყვების სისწორეში ნიკუშაც დავარწმუნო. ასე რომ, მაგ სიჯიუტით მარტო იმას მიაღწევ, რომ ძალიან, ძალიან გამაბრაზებ და აღარაფერი გიშველის.

– ისევ მემუქრებით, ბატონო ვახტანგ!

– ღმერთმა დამიფაროს, ქალს დავემუქრო, მით უმეტეს – ფეხმძიმე ქალს. თანაც, ასეთ პატარასა და სულელს... მაგრამ, იცი, რაშია საქმე?! მე ერთი ისეთი რაღაც ვიცი, რასაც აღარაფერი ეშველება, იმიტომ, რომ გარდაუვალი რეალობაა.

ნატუკამ ამოიხვნეშა:

– ძალიან დამღალეთ და დამტანჯეთ. თქვით, რისი თქმა გინდათ და დავამთავროთ ამით.

– ხომ გითხარი უკვე: შენ არ ხარ ნიკუშასგან ფეხმძიმედ. უფრო სწორად, ვერ იქნები ფეხმძიმედ მისგან, შეუძლებლის შესაძლებლობაში ვერ დამარწმუნებ. ნატუკა დაიძაბა, ფინჯანი პატარა მაგიდაზე დადგა და სავარძლის სახელურებს ხელები ისე მაგრად მოუჭირა, რომ თითის წვერები გაუწითლდა.

– გაიგე, ცუნცულ?.. მე ისეთი რამე ვიცი... იმისთანა... იმისთანა, რომ თვითონ ნიკუშასაც კი არ აქვს წარმოდგენა. მე ვიცი და კიდევ ერთმა ადამიანმა.

– ვინ? – მექანიკურად წამოსცდა ნატუკას.

– დაინტერესდი, ჩიტუნიავ? მაგრამ, შეგიძლია, სიტყვაზე მენდო. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის მეორე? მე ვიცი და შენ.

– მატყუებ.

– ხომ გითხარი, შეგიძლია, სიტყვაზე მენდო-მეთქი.

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ ნიკუშა უშვილოა?

– ყოჩაღ! არც ისეთი უტვინო ყოფილხარ, როგორიც ჩანხარ, – ირონიულად მოუწონა ვახომ, – ახლა ხვდები, რომ ჩემთან მეგობრობა უფრო მომგებიანია შენთვის?

– რატომ უნდა დაგიჯერო? – თვალები მოჭუტა ნატუკამ და ერთიანად გაფითრდა.

– იმიტომ, რომ სიმართლეა, ცუნცულ... სიმართლე!

– ნიკუშას რომ არაფერი უთქვამს?

– ეე... ახლა ნუ დაიბნევი, რა, ცუნცულ... ნიკუშამ არ იცის-მეთქი, წარმოდგენაც კი არ აქვს. წარსულში მომხდარი გაუთვალისწინებელი შემთხვევის შედეგია. არ შემეძლო ნიკუშასთვის ეს მეთქვა, მაგრამ, იძულებული ვარ, გავამჟღავნო საიდუმლო. ცუნცულ, მიდი, გადამიშალე გული. ქვის კი არ ვარ, საკმაოდ მესმის ქალების და შენს მდგომარეობასაც გავითვალისწინებ. მესმის, რომ ნიკუშა შენი შვილისთვის საუკეთესო ვარიანტია. მაგრამ, უსამართლობა იქნება, ცოლად მარტო იმის გამო შეგირთოს, რომ შენს ნაბიჭვარს კარგი და მზრუნველი მამა სჭირდება. თანაც, უკვე დიდი ხანია, სხვა ქალი უყვარს.

ნატუკა ჩუმად უსმენდა. გონებაში წონიდა მის თითოეულ სიტყვას და დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობდა. ვახო მიხვდა, რომ გოგოში ეჭვი გააღვივა.

– ნატუკა გქვია, ხომ? ჰოდა, ჩემო ნატუკა, თუ მე ნიკუშას გავუმხელ, რა პრობლემა აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მორჩა – შენი ვერსია მისი შესაძლო მამობის შესახებ, თოვლივით დადნება.

– რა გინდა, ჩემგან? – ნატუკას ხმა გაებზარა. ვახო უკვე გამარჯვებას ზეიმობდა.

– ხვდები, ხომ, რომ ჩემთან ჩხუბს მეგობრობა გირჩევნია? რა მინდა შენგან? ჰო, სწორედ ეს არის კითხვა, რომელიც არც ერთს არ გვაძლევს მოსვენებას. პრინციპში, განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვ – მაინტერესებს, მამა ვინ არის. ვაჰ, იქნებ, მივდივარ და ცხვირ-პირს ვულამაზებ?! მე კარგი მეგობრობა ვიცი.

– ვის გაულამაზებ ცხვირ-პირს? – ნატუკას გაბუსხული ტუჩები აუთრთოლდა.

– იმ ტიპს. არ უნდა, თავი მამად აღიაროს? ჰო, არიან ეგეთი ნაბიჭვრებიც, მაგრამ, რა არის, იცი? ბავშვისთვის „ლიპა“ მამას ისევ „ნატურალური“ ჯობია, დამიჯერე!..

ნატუკამ თავი ასწია. ლოყაზე ცრემლი ლაქასავით ემჩნეოდა.

– კარგი. გეტყვი სიმართლეს და შენ მიხვდები, რატომ არის ყველასთვის უკეთესი, თუ ამ ბავშვის მამად ნიკუშას დავასახელებ.

– სიმართლე ყოველთვის ყველაფერზე უკეთესია, სიმართლეს ალტერნატივა არ აქვს. მითხარი!

ნატუკა ისევ ყოყმანობდა. ვახო მასთან მივიდა და სახე ტუჩებთან მიუტანა.

– გელოდები. დრო გადის და ყოველ წუთს შეიძლება, ოთახში ნიკუშა ან ლევანი შემოვიდეს.

– ლევანის ცოლი ცუდად არის? რა დაემართა? – ნატუკა მექანიკური, მომართული თოჯინასავით ლაპარაკობდა.

– ტელეფონით ცუდი ამბავი გააგებინეს. ოღონდ, არ მკითხო, რა ამბავია, მაინც არ ვიცი.

– და... ასე იმოქმედა?

ვახომ ამოიხვნეშა:

– ჰო, იმოქმედა. მაგას მერე გავიგებ. ბიჭები ჩამოვლენ და მეტყვიან რაღაცას, ან მე ავალ... მაგრამ ახლა თიკაზე კი არა, შენზე ვლაპარაკობთ და შენს მომავალ შვილზე.

– ვახო, – ნატუკას „ბატონობით“ აღარ მიუმართავს...

– ჰო, მიდი, გაბედე!.. – გაამხნევა ვახომ.

– არ მინდა, თიკა უარესად გახდეს. შენც ხომ არ გინდა?

– ეგ რა შუაშია?

– დაფიქრდი და მიხვდები, რომ შუაშია. თუკი ისეთი შტერი არ ხარ, როგორიც ჩანხარ, – ნატუკა თავის მუცელს ჩააშტერდა.

– ვინ? ლევანი? ასეც ვიცოდი! ვიცოდი, რა!.. ოხ, ეგ ნაბიჭვარი, ეგა! ნიკუშასთვის თავისი „ნაჩალიჩარის“ თავზე მოხვევის იდეაც თვითონ ხომ არ მოგაწოდა? თუმცა, შენი თქმა რად მინდა, ისედაც ვიცი, რომ ეგრე იქნებოდა! საწყალი თიკა...

– ვერ ვიტყვი, რომ ვკვდები თინიკოზე დარდით, მაგრამ ჩემი მიზეზით რომ რამე დაემართოს, არ მინდა. სიკვდილს არავის ვუსურვებ, – ჩაიფლშუკუნა ნატუკამ.

– როგორი სიკეთეა შენი მხრიდან...

– არ არის საჭირო ეგ ირონია. შენ და შენი მეგობრები ზემოდან მიყურებთ და ისე არ მაფასებთ, როგორც საჭიროა. ამით მხოლოდ საკუთარ თავს უქმნით პრობლემებს. სიმართლე უკვე იცი, ახლა რა ვქნათ?

– ჰო... გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იქნება, მაგრამ, უნდა მივიღოთ, ტყუილის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

– მაშინ, მე პასუხს არაფერზე ვაგებ, – ნატუკამ ისე შეხედა, ვახოს უსიამოვნო განცდა დაეუფლა.

– ოჰ, ლევან, მოსაკლავი ხარ, შენი... – თქვა და შეიგინა.

– კარგია, რომ ახლა ლევანის უშვილობაზე არ იწყებ ლაპარაკს.

ვახომ თავი გააქნია.

– თიკა ფეხმძიმედ არის. თანაც, შენი სიტყვების სისწორეში ამჯერად უკვე აღარ მეპარება ეჭვი.

– თიკა ფეხმძიმედ არის? ლევანის ცოლი ბავშვს ელოდება? თავისი ქმრისგან ელოდება?

– ჰო, აბა, ვისგან ელოდება. რა სისულელეს მეკითხები, გააფრინე?

– ნაძირალა! – გამოსცრა ნატუკამ.

– ლევანი, ხომ? გეთანხმები, ნაძირალაა და ამას ახლავე ვეტყვი. შენ კი ძალიან შეცდი, ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობაზე რომ დათანხმდი.

– მე სხვა გამოსავალი არ მქონდა და არ გინდა საყვედურები.

– არ გსაყვედურობ, არც იმისი სურვილი მაქვს, შენს ცხოვრებაში ჩავერიო, ჭკუა დაგარიგო და თითი დაგიქნიო, მაგრამ ნიკუშას მოტყუების უფლებას ვერ მოგცემ, გამორიცხულია.

– მაშ, რა ვქნათ? მე გამოსავალს ვერ ვპოულობ. ამ მუცლით, უქმროდ თბილისში ვერ დავბრუნდები, ქუჩაში აღმოვჩნდები, ჩემი მშობლები სახლიდან გამომაგდებენ.

– შენს მშობლებს ადრე უნდა გამოეგდე სახლიდან. რაც შეეხება გამოსავალს, ლევანი იპოვის, თავს გაიხეთქავს და იპოვის...

ჟანისთვის მოულონდელი არ ყოფილა სასტუმრო ოთახში, სამგზავრო ჩანთით ხელში მდგარი გოგონას დანახვა. მისმა შემრგვალებულმა მუცელმა ყველა კითხვას გასცა პასუხი, მაგრამ ნიკუშასთან საუბარი მაინც შეკითხვით დაიწყო.

– ნიკი, მე რასაც ვფიქრობ, ის არის თუ კიდევ მოხდა რამე გაუთვალისწინებელი? – ჰკითხა, როგორც კი ნიკუშა პირველი სართულის ჰოლში გამოჩნდა.

– თიკას ექიმი სჭირდება, უნდა დავურეკოთ.

– მე ეგ არ მიკითხავს, თუმცა ექიმს ახლავე დავურეკავ. ეს გოგო, ახლახან რომ ჩამოვიდა, ვინ არის?

ნიკუშამ ამოიოხრა:

– როგორ გითხრათ... რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს...

– ჰო? ეტყობა, იმ შეხვედრებზე დრო ტყუილუბრალოდ არ დაგიკარგავს.

ნიკუშა გაწითლდა:

– არც კი ვიცი, ეს როგორ მოხდა.

ჟანმა თანაგრძნობით დაუქნია თავი:

– მჯერა. მამაკაცების უმრავლესობა იშვიათად ფიქრობს შედეგებზე. ახლა რის გაკეთებას აპირებ? თუ ის შენგან არის ფეხმძიმედ და ამაში დარწმუნებული ხარ, პასუხისმგებლობას ვერ გაექცევი.

– არც გავურბივარ, უბრალოდ, ის მიკვირს, აქ რომ მომადგა. ვერც იმას დავმალავ, რომ მისი ასეთი სითამამე ძალიან მაბრაზებს.

– ახლა ყველაზე ნაკლებად ამაზე უნდა იფიქრო. შენ ისიც გადასაწყვეტი გაქვს, იმ მეორეს რას ეტყვი.

– იას? ღმერთო, ია როგორ დამავიწყდა... – ნიკუშამ თავზე შემოირტყა ხელი, – ეტყობა, ერთად ყოფნა არ გვიწერია. ამას უკვე აღარ მაპატიებს, იმედიც კი არ მაქვს. უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ სამუდამოდ დავკარგე.

– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შენი შვილის დედის ცოლად მოყვანას აპირებ?

– არა, ნატუკას ცოლად ვერ მოვიყვან. მაგრამ, იმიტომ არა, რომ კომპლექსები მაწუხებს. ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, არ შემიძლია, ცოლად მყავდეს ქალი, რომელიც ჩემს ძმაკაცთან წვებოდა. ეს წარსულის გამეორებას ჰგავს და ძალიან არ მინდა, მეც მამაჩემივით მოვიქცე.

ჟანმა თანაგრძნობით დაუქნია თავი:

– ჰო, მესმის შენი, კარგად მესმის და გეთანხმები კიდეც, მაგრამ ბავშვს არაფერი დაუშავებია.

– ბავშვზე უარს არ ვიტყვი, გვარს მივცემ და ვიზრუნებ მასზე. თუმცა, მერჩივნა, ჩემს შვილს უკეთესი დედა ჰყოლოდა.

– ხომ არ გინდა, ჯერ მე დაველაპარაკო?

– ვის, ნატუკას? არა. არ არის საჭირო. თქვენ ექიმს დაურეკეთ. თიკას მდგომარეობა მაფიქრებს. ჯერ ისიც ვერ გავარკვიეთ, რა მოხდა. ფიქრიც კი არ მინდა იმაზე, რომ შეიძლებოდა, ბავშვს დამართნოდა რამე.

– ბავშვს?

– ჰო. თინიკოს შვილს. ჩემს დისშვილს. რა უცნაურია, ერთბაშად იმდენი ახლობელი ადამიანი გამომიჩნდა, დედაჩემზე ვეღარც კი ვდარდობ.

– ელენესთან ახლა ვიყავი. სძინავს. მგონი უკეთესად არის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა.

– ვერ ვიჯერებ, რომ ვეღარასოდეს გაივლის, ვერ ვუშვებ ამას. შეიძლება, ვცდები, მაგრამ გული სხვას მეუბნება – რომ ელენე მალე კარგად გახდება და ყველაფერი მოგვარდება.

– კარგია, თუ ამის გჯერა. რწმენა ბევრს ნიშნავს. მეც არ ვფიქრობ იმაზე, რომ ელენე ინვალიდის სავარძელში ჩაჯდება – ჩემი შეცდომისთვის ეს მეტისმეტად მაღალი საზღაურია.

– თავს ტყუილად იდანაშაულებთ. ვფიქრობ, ელენემ თავისი საქციელით ყველა ჩვენგანზე იძია შური.

– არა, არა... ამას ნუ ამბობ. ელენეს არ შეუძლია შურისძიება, მან ეს მხოლოდ საკუთარ თავს გაუკეთა, მხოლოდ საკუთარ თავს. ვერ მოინელა სურათის ამბავი, ის, რომ თავისი საქციელით უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენა. ის ნახატი წარსულის გამოძახილია, რომელმაც ჩვენი რეალობა შეცვალა.

– ჰო, ალბათ, ეგეც არის. მაგრამ, მე ყველაფერი არ გავაკეთე მის შესაჩერებლად, უნებლიეთ ვუბიძგე კიდეც თვითმკვლელობისკენ.

– ელენეს თავის მოკვლა არ უცდია. ამაზე ფიქრიც არ მინდა!

– მართალი ხარ, არ უნდა ვიფიქროთ, უნდა ვიმოქმედოთ. მე ახლა ექიმთან დავრეკავ. პასუხისმგებლობას ვგრძნობ ლევანის ცოლის წინაშე!

– მე კი ნატუკას დაველაპარაკები. მაგრამ, გულახდილად გეტყვით – წარმოდგენა არ მაქვს, რაზე უნდა ველაპარაკო.

– არაფერს დაჰპირდე, უბრალოდ, უთხარი, რისი მიცემა შეგიძლია.

– ასე მოვიქცევი. გმადლობ რჩევისთვის, – ნიკუშამ გაიღიმა.

ჟანმა მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი:

– ჩვენ ერთი ოჯახი ვართ – ეს არასოდეს დაგავიწყდეს!

...ნატუკა ტუჩების კვნეტით ადევნებდა თვალს ვახოს, რომელიც ბოლთას სცემდა ოთახში და მთელი ყურადღება კარისკენ ჰქონდა გადატანილი.

– თუ შეიძლება, დაჯექი! უკვე თავბრუ დამეხვა და გული მერევა, – ვეღარ მოითმინა ნატუკამ.

– შენს ადგილას, მე ჩუმად ყოფნას ვარჩევდი, – შეუბღვირა ვახომ, – ისეთი დომხალი მოაწყვე, ერთბაშად რამდენიმე ადამიანი დაზარალდება.

– ჰო?! კარგი, რა... პატარა გოგოს მაგის უნარი მაქვს, რომ თქვენისთანა „ბაბნიკები“ გავაბრიყვო? თუ სიმართლე გინდა, ყველაფერი შენი ძმაკაცის ბრალია. დიახ, და ასეთი თვალებით ნუ მიყურებ, სინდისი სუფთა მაქვს!

– ჰმ, რა დრო დადგა, კახპები სუფთა სინდისზე ალაპარაკდნენ! ხომ გთხოვე, გაჩუმდი-მეთქი?

– არ გავჩუმდები და შეურაცხყოფის მოყენებაც არ არის საჭირო. მე კახპა არ ვარ და თუ ნიკუშასთანაც ვიწექი, მხოლოდ იმიტომ, რომ ლევანმა მოინდომა ასე!

ვახო შედგა:

– რა თქვი?

– ჰო, აბა, შენ რა გეგონა, შენს ძმაკაცზე დავფეთდი და გადავირიე? საერთოდ არაფერში მჭირდებოდა, არაფერში! ლევანმა მთხოვა და მეც დავთანხმდი.

– გთხოვა და დათანხმდი, არა?! კიდევ რამდენ კაცთან იწექი ასეთი „თხოვნით“? თუმცა, რა სისულელეს გეკითხები. პირადად მე, ფეხებზე მკიდია შენი საყვარლების რაოდენობა. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, ის არის, ლევანს რა განზრახვა ჰქონდა.

ნატუკამ მხრები აიჩეჩა:

– პრინციპში, რატომ არ უნდა გითხრა ყველაფერი, რაღა აზრი აქვს დამალვას?

– მართალი ხარ, არაფრის დამალვას აღარ აქვს აზრი. მიდი, მოყევი ყველაფერი!

– ოღონდ, ნუ იბღვირები, კარგი? მშიშარა არ ვარ, მაგრამ, მაინც არ მსიამოვნებს შენი შეკრული წარბებისა და დაბღვერილი სახის ყურება.

– თემას ნუ გადაუხვიე! ესე იგი, ლევანმა გითხრა, ნიკუშას ლოგინში ჩაუწექიო?

– ჰო. რა იყო, გიკვირს?

– არა, შენგან არ მიკვირს, მაგრამ, ვერ ვხვდები, ლევანს რა უნდოდა, რისი მიღების იმედი ჰქონდა?

– თუ არ ვცდები, ორ მილიონზე იყო საუბარი და მეც მპირდებოდა გარკვეულ თანხას.

– რა ორი მილიონი? – ვახომ პირი დააღო გაოცებისგან.

– აბა, რა გითხრა. მე ეგ ნაკლებად მაინტერესებდა. მომისმენ თუ არა? ლევანის საყვარელი ვიყავი... ჰო... მერე, რა მოხდა. თავისუფალი ადამიანი ვარ და იმასთან დავწვები, ვისთანაც მინდა. ფულიც მიყვარს, არ უარვყოფ. უარი რატომ უნდა მეთქვა?

– ეგ ყველაფერი არ მაინტერესებს. წესიერად გამაგებინე, რა მილიონების იმედი ჰქონდა იმ იდიოტ ლევანს?

– ხომ გითხარი, წესიერად არ მიკითხავს-მეთქი. მგონი, რაღაც ნახატზე იყო ლაპარაკი, რომელიც ნიკუშას დედას აქვს. ლევანი მეუბნებოდა, ადრე ჩემი სიმამრის საკუთრება იყო და სრული უფლება მაქვს, მის დასაბრუნებლად ყველა საშუალება გამოვიყენოო.

– ნაბიჭვარი! – ვახომ იფეთქა, – ნაბიჭვარი!.. მოვკლავ მაგ უბედურს!.. დაფეხმძიმებაც მისი იდეა იყო?

ნატუკამ თავი გადააქნია.

– არა, ეს ისე გამოვიდა, თავისთავად... ლევანი ჯერ კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ, მერე მითხრა, რომ ჩემთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუ ნიკუშას დავარწმუნებდი, რომ მისგან ვიყავი ფეხმძიმედ – ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ მოგეცა და იდიოტი იქნები, თუ ხელიდან გაუშვებო. მეც ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი.

– ოჰ, შენი!.. – გამოსცრა ვახომ.

– ნუ იგინები. გითხარი, შენი ძმაკაცის იდეა იყო-მეთქი, თორემ, მე ლევანისთვის ფულის გამორთმევასა და ბავშვის მოცილებას ვაპირებდი. დედობა ჩემი იდეაფიქსი არასდროს ყოფილა.

– ფეხებზე მკიდია შენი ბინძური სულის ქვენა გრძნობები, ლევანი კი, ნამდვილად ვერ გადამირჩება!..

ვინ თქვა, რომ საუკეთესო თავდაცვა – თავდასხმაა?! ეს ყოველთვის ასე არ არის. გააჩნია, თავდამსხმელსაც და თავდაცვის, ანუ მოგერიების ფორმასაც. ყვირილით რომ ვერაფერს დაამტკიცებ, ეს პატარა ბავშვმაც იცის, მაგრამ მაინც ყვირის. ყვირის იმიტომ, რომ უფროსებს თავი მოაბეზროს და ამით მიიღოს ის, რისი მიღებაც იმ მომენტში უნდა. ზოგჯერ უფროსებიც ვგავართ ბავშვებს, უფრო სწორად, ვცდილობთ, დავემსგავსოთ, რომ ვიღაცამ მეტისმეტად სერიოზულად არ აღიქვას ჩვენი დანაშაული, რომლის სიმძიმე სრულად გვაქვს გაცნობიერებული. სწორედ ამ დროს, გარეშე თვალისთვის, მათთვის, ვისთვისაც ჩვენი საქციელი აღარ არის გაოცების საბაბი, ნათელი ხდება ერთი უბრალო ჭეშმარიტება: შენ დამნაშავე ხარ! სირაქლემასავით ქვიშაში თავჩაყოფილებს კი გვავიწყდება, რომ გვიჩანს ის, რისი დაფარვაც უპირველესად უნდა გვეცადა: ჩვენი სასირცხვო ადგილი...

***

ლევანი გაოცებით ჩააშტერდა ცოლს:

– რა თქვი? მართლა თქვი თუ მომესმა?

– არ მინდა ექიმი, კარგად ვარ, – თინიკოს წეღანდელი ისტერიკის კვალიც აღარ ეტყობოდა. ნამტირალევ თვალებს ისევ შერჩენოდა სიწითლე, მაგრამ მზერა საღი და მშვიდი ჰქონდა.

– არ მჭირდება ექიმი, კარგად ვარ, – გაიმეორა მკაფიოდ და ქმარს მიაშტერდა.

– თინიკო, ახლა უკვე მაშინებ. წეღან ისტერიკა არ გქონდა? გელაპარაკებოდით და ჩვენი არც ერთი სიტყვა არ გესმოდა.

– ყველაფერი მესმოდა.

– რაა?!

– ჰო, ყველაფერი მესმოდა, ყველა სიტყვა. თუ გინდა, გეტყვი, რაზე ლაპარაკობდით. აქ ნიკუშა და ია იყვნენ და ეგონათ, რომ ჭკუიდან შევიშალე, ხომ ასეა?

– თინიკო, საყვარელო!..

– საყვარელო... – გაიმეორა ქალმა, – საყვარელო... ზოგჯერ ეს სიტყვა ისე გულისამრევად ჟღერს... მირჩევნია, ასე აღარასოდეს დამიძახო...

ლევანმა ამოიოხრა. ცოლს მხრებში მოჰკიდა ხელი და თავისკენ შეაბრუნა.

– აბა, ახლა მითხარი, რა მოხდა.

– მოხდა ის, რომ შენ მე კიდევ ერთხელ მომატყუე.

– რას ამბობ, არაფერი მესმის!

– არ გესმის, იმიტომ, რომ არ გინდა, გაიგო. არადა ეს ხომ ისეთი მარტივია!..

– თინიკო, გამაგებინე, რას ამბობ! შენ თბილისიდან დაგირეკეს და უცებ გაითიშე.

თიკამ თავი გააქნია:

– არა, არ გავთიშულვარ.

– აბა, ის ტირილი და არაადეკვატური საქციელი რა იყო, გულები რომ დაგვიხეთქე?

– ყურადღების გადატანის მცდელობა.

ლევანი წამოხტა და ხელების მკვეთრი ქნევით ოთახში წინ და უკან სირბილს მოჰყვა. თინიკომ აცადა, უსიტყვოდ ადევნებდა თვალს მისი ემოციების ამოფრქვევას.

– გინდა, რომ ჭკუიდან შემშალო! ეს გინდა, ხომ? გეკითხები, ეს გინდა? თიკა, მომისმინე: მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუკას შეემთხვა რამე და გადარეულივით ვრეკავდი თბილისში, დედაშენი კი არ მპასუხობდა. მერე მამაშენის მობილურზეც ვცადე... შენ კი ამ დროს ერთობოდი?

– მე არ ვერთობოდი.

– არ ერთობოდი? შენს საქციელს სხვა რამე ერქვა? თინიკო, შენ მაინც უნდა ხვდებოდე, როგორი მძიმე პერიოდი მაქვს ახლა. უკვე რამდენი დღეა, სამინისტრო უპატრონოდ მაქვს მიგდებული. კიდევ კარგი, რომ „პირველს“ ჩემთვის არ სცალია და არავის გავახსენდი, თორემ, მერე გენახა ჩემი საცოდაობა! ამას ვინ ჩივის, აქ ისე არაა ყველაფერი, დროა, ბილეთს ვიღებდეთ და უკანმოუხედავად გავრბოდეთ თბილისში. ნახატის ამბავმა საერთოდ გადამრია! ელენემ ეს როგორ გააკეთა? ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ, თუ თვითონ მოახდენდა ძარცვის იმიტაციას... მოკლედ, მე ახლა აეროპორტში დავრეკავ, გავიგებ პირველი რეისი რომელ საათზეა და მივდივართ.

– შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი, – დაეთანხმა თიკა, – დარეკე და შეუკვეთე ბილეთები.

– ესე იგი, მეთანხმები.

– გეთანხმები იმაში, რომ შენს მდგომარეობაში ეს საუკეთესო გამოსავალია. აქ მართლა აღარაფერი გესაქმება, მაგრამ, შენთან ერთად არ წამოვალ.

ლევანი გაშეშდა:

– მოიცა, რას ნიშნავს, არ წამოხვალ, აბა, რას იზამ?!

– აქ დავრჩები, ჩემს ძმასთან.

– რომელ ძმასთან, შენ ხომ არ შეიშალე?

– არა, სრულ ჭკუაზე ვარ. ნიკუშა ჩემი ძმაა და, როგორც მივხვდი, ჩემი ერთადერთი უახლოესი ნათესავი. მხოლოდ მას შემიძლია, ვენდო და დავეყრდნო.

ლევანი გაფითრდა:

– ეს რას ნიშნავს?.. გამოდის, მე არაფერი ვყოფილვარ? რას წარმოვადგენ შენთვის იმის მერე, რაც მითხარი?

– ეგ უკვე შენი პრობლემაა, საყვარელო, მიზეზსაც თავად მიხვდი. ნუ გექნება იმის იმედი, რომ კიდევ ერთხელ შეძლებ ჩემს მოტყუებას. პრინციპში, ვერც აქამდე ახერხებდი, რადგან მე თვითონ ვიტყუებდი თავს, რასაც აღარ გავაკეთებ.

– თიკა, – ლევანი ცოლთან მივიდა და მისი ხელები ხელისგულებში მოიქცია. ქალი არ გასძალიანებია. ამან კაცს სითამამე შეჰმატა და იმედი დაუბრუნა, – თიკა, ჩემო საყვარელო...

– ხომ გითხარი, საყვარელს ნუ მეძახი-მეთქი.

– კი, მაგრამ, რატომ, რატომ...

– იმიტომ, რომ შენი საყვარელი ქვემოთ ზის, სასტუმრო ოთახში და გელოდება.

ლევანი ამას არ ელოდა, თინიკოს სიტყვები მისთვის თოფის გავარდნასავით გაისმა.

ნიკუშამ ოთახში ფეხი მაშინ შედგა, როცა მის მეგობარს გაწითლებული ნატუკასთვის მაჯაში ჰქონდა ხელი ჩავლებული და ანჯღრევდა. გოგო წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ გაბრაზება არ ეტყობოდა. ეს უკვე ბედთან შეგუების წინ უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა.

– რა ხდება, ვახო? დაანებე მაგ გოგოს თავი, რას ერჩი? ვერ ხედავ, რომ ფეხმძიმედ არის?

– ვხედავ, ამის არდანახვა შეუძლებელია. ისე, საგანგებოდ ჩამობრძანდა, რომ შენთვის დაენახვებინა, როგორი სულელი ხარ.

– ვახო, – ნიკუშა შეიჭმუხნა, – ძალიან მიყვარხარ და ძალიან დიდ პატივს ვცემ იმას, რომ ყოველთვის გვერდში მიდგახარ, მაგრამ, არის მომენტები, როცა, უბრალოდ, განზე უნდა გადგე და მე მაცადო.

– შენ ამას იმიტომ ამბობ, რომ სიმართლე არ იცი. მერე მადლობას მეტყვი, შეცდომის დაშვების საშუალება რომ არ მოგეცი.

– ძალიან დავიღალე ამდენი რჩევა-დარიგებით. მადლობას ახლავე გეტყვი, ოღონდ, პირდაპირ და ბევრი ლაპარაკის გარეშე ამიხსენი, რა შეცდომაზე ლაპარაკობ?

ვახომ ნატუკას ხელი გაუშვა და ნიკუშას მისკენ მიუთითა:

– აი, ეს გეტყვის ჩემზე უკეთ და ბევრი ლაპარაკის გარეშე.

– მე და ნატუკას ისედაც გვაქვს სალაპარაკო. თუ ამას გულისხმობდი, მაშინ, მით უმეტეს, არ მესმის შენი მხრიდან ასეთი აქტიურობა.

– ნატუკა აგიხსნის, – მოუჭრა პირქუშად ვახომ და გოგოს გამაფრთხილებლად გადახედა: – არ დაგავიწყდეს, რაზე შევთანხმდით!

– ვიცი და საჭირო აღარ არის შემახსენო, –აიმრიზა ნატუკა, – ვერ ვიტან, როცა ჩემს თავისუფლებას ვინმე ზღუდავს. ამ დროს „ატკატს“ ვიძლევი ხოლმე.

– მე გაგაფრთხილე და ახლა შენი გადასაწყვეტია, „ატკატს“ მისცემ, თუ სხვა რამეს. – ჩაიცინა ვახომ.

ნიკუშამ აღშფოთება ვერ დამალა:

– თუ არ მეტყვით, რა ხდება, ძალიან მაგრად გავბრაზდები.

ნატუკამ ამოიოხრა:

– მერჩივნა, შენს მეგობარს თავად ეთქვა, მაგრამ, რადგან სხვა გზა აღარ დამიტოვეთ, ვიტყვი, ოღონდ, აქ არა, სხვა ოთახში, ან, გარეთ გავიდეთ.

ნიკუშამ აივნის კარი გააღო:

– კარგი, გავიდეთ. აი, გამოვედით. მითხარი, რისი თქმა გინდოდა.

ნატუკა შეყოყმანდა.

– შეიძლება დავჯდე? წყალსაც დავლევდი.

ნიკუშამ თავი გადააქნია:

– ვხედავ, სათქმელს სპეციალურად აჭიანურებ, ცდილობ, მოთმინება დამაკარგვინო. მოგიტანენ წყალსაც, მაგრამ მერე არ თქვა, რომ გშია.

– ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალისგან ეს გასაკვირი იქნება? – თავი მოისაწყლა გოგომ.

– გასაკვირი არ იქნება, მაგრამ, მაინც გირჩევ, ნუ გამოცდი ჩემს მოთმინებას, ისედაც დაწყვეტაზე მაქვს ნერვები.

– მე მესმის შენი. არ ვიცოდი, დედაშენს რა შეემთხვა, თორემ, შეიძლება, წამოსვლა გადამედო. მაგრამ, მეც არ ვარ კარგ დღეში. ხომ ხედავ, რა სერიოზული პრობლემა შემექმნა. მეტს ვეღარ დავიცდიდი.

– ეგ პრობლემა საკუთარ თავს თვითონვე შეუქმენი. მართალია, მეც ვარ შუაში, მაგრამ, ჩემთვის არაფერი გიკითხავს, ისე დამაყენე ფაქტის წინაშე. გულახდილად გეტყვი, ბევრი მამაკაცი ჩემს ადგილას აუცილებლად შეიტანდა ეჭვს შენს უანგარო სურვილში, რომ მაინცდამაინც მე ვიყო ბავშვის მამა. შეიძლება, ამ ფაქტის დამადასტურებელი ნივთმტკიცებები მოეთხოვა, მაგრამ მე არ მიყვარს, როცა კაცი ცდილობს, პასუხისმგებლობას გაექცეს. შენს სინდისზე იყოს მართალს ამბობ, თუ ტყუილს, ამიტომაც არაფერს გკითხავ. პირდაპირ გეტყვი, მზად ვარ, ბავშვს გვარი მივცე და ვიზრუნო მასზე. ყოველგვარი ზედმეტი საუბრებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე გავაკეთებ ამას. იმასაც დაგპირდები, რომ ყურადღებიანი და მზრუნველი მამა ვიქნები ჩემი შვილისთვის. შენ ხომ გჯერა, რომ ის ჩემი შვილია?

ნატუკამ არ უპასუხა, ჩუმად წრუპავდა წყალს და ცდილობდა, მისთვის თვალებში არ შეეხედა.

– მაგრამ... ცოლად ვერ შეგირთავ, გამორიცხულია.

გოგომ თავი ასწია. თვალებში ცრემლები უელავდა.

– ჩემი წარსულის გამო ხარ ასეთი კატეგორიული? ვერ წარმოგიდგენია, რომ, შესაძლებელია, შენს ცოლს შენამდე სხვა მამაკაცებიც ჰყოლოდა?

ნიკუშამ უარყოფის ნიშნად ხელები გაიქნია:

– ეგ არაფერ შუაშია. არც ის არ ნიშნავს არაფერს, რომ არ მიყვარხარ და ჩვენი ურთიერთობა შენი ინიციატივით დაიწყო. აუცილებლად ვიცხოვრებდი ერთ ჭერქვეშ, ჩემი შვილის დედასთან და შევეცდებოდი, მისთვის გამეგო. იქნებ, გამოგვსვლოდა კიდეც ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ შენგან რადიკალურად განსხვავებული ტიპის ქალები მომწონდა ყოველთვის... ერთი სიტყვით, აუცილებლად გავრისკავდი. ვგიჟდები ბავშვებზე და, შვილის გამო, მისი ბედნიერებისთვის, რაღაც მსხვერპლს აუცილებლად გავიღებდი, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია, სხვა ქალი მიყვარს, ძალიან მიყვარს და მის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

– ია, ხომ?

– ჰო, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. შენ მასზე არ უნდა დაიბოღმო, ის არაფერ შუაშია და იმიტომ. იამ ძალიან ბევრი მაპატია და ძალიან დიდხანს მელოდა. ახლა რომ შენ შეგირთო ცოლად, იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა. ძალიან მინდა, რომ გესმოდეს ჩემი. თან, რატომღაც, მგონია, რომ შენ ჩემი ცოლობა არ გინდა.

ნატუკამ გაიღიმა:

– მართალი ხარ, გათხოვება საერთოდ არ შედიოდა ჩემს გეგმებში. საკუთარ თავს ძალიან კარგად ვიცნობ და ზუსტად ვიცი, ჩემგან კარგი ცოლი და დედა რომ არ დადგება. მაგრამ, არც ისეთი წყალწაღებული ვარ, შენს ძმაკაცებს რომ ვგონივარ. რაღაც ადამიანური მეც მაქვს შერჩენილი და ამას ახლავე დაგიმტკიცებ: ამ ბავშვის მამა შენ არ ხარ!

ნიკუშამ დაეჭვებით შეხედა:

– ხუმრობ თუ, გინდა, გამომცადო?

– არა, არ ვხუმრობ. პირიქით, ისეთი სერიოზული ვარ, როგორც არასდროს. მომისმინე და დაიჯერე, რასაც ვიტყვი, თორემ ვეჭვობ, კიდევ ვიყო გულახდილობის გუნებაზე.

– მოიცა, ასე არ გამოვა. შენ აქ იმისთვის ჩამოხვედი, რომ ჩემთვის გეთქვა, მშვიდად იყავი, ჩემი მომავალი შვილის მამა შენ არ ხარო? და, დარწმუნებული ხარ, რომ ამას დავიჯერებ?

ნატუკამ თავი გააქნია:

– ჯერ ბოლომდე მათქმევინე. მაგისთვის არ ჩამოვსულვარ, მართალი ხარ. პირიქით, სულ სხვა გეგმები მქონდა: ერთმა ადამიანმა დამარწმუნა, რომ საუკეთესო ვარიანტი ჩემი მომავლისთვის, შენზე გათხოვება იქნებოდა.

ნიკუშამ კბილები გააღრჭიალა:

– ჰოო?! შეიძლება, გავიგო, ვინ არის ის ადამიანი, შენზე ასე ძალიან რომ შესტკივა გული?

– მაგას მოგვიანებით გეტყვი. იმ რჩევის შემდეგ მეც ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ მართლაც არ იქნებოდა ურიგო, ჩემი მომავალი იმ ადამიანისთვის დამეკავშირებინა, რომელსაც ყველაფერი აქვს, უზრუნველად რომ გვაცხოვროს მეც და ჩემი შვილიც.

– აი, მანდ ცოტა შეგეშალა, – გესლიანად ჩაურთო ნიკუშამ.

– ხომ გთხოვე, არ შემაწყვეტინო-მეთქი. მე ვცდილობ, გულახდილი ვიყო.

– გმადლობთ და ვაფასებ.

– არ მინდა მადლობა. უბრალოდ მომისმინე. ვერ გეტყვი, რომ აქ ჩამოსვლის შემდეგ სინდისმა შემაწუხა...

– ჰო, სინდისმა რომ შეგაწუხოს, მინიმუმ, ის უნდა გქონდეს, – გაღიზიანდა ნიკუშა. იცოდე, თუ არ მეტყვი, ვინ მოგაწოდა, ჩემი „შებმის“ იდეა, იმას გავაკეთებ, რისი გაკეთებაც არ მინდა. ძალიან ცუდი აზრი მაქვს ყველა იმ მამაკაცზე, რომელიც ქალზე ძალადობს, მაგრამ, მოგკიდებ ხელს და გარეთ გაგიძახებ!

– ნუ ღელავ, ამისი გაკეთება არ დაგჭირდება. მე თვითონ წავალ, როგორც კი ყველაფერს გავარკვევ და ყველა იმას მიიღებს, რაც დაიმსახურა.

– მე კი მარტო ერთი რამე მაინტერესებს. შენი კეთილისმყოფელის ვინაობა.

– აუცილებლად გეტყვი, რადგან ახლა ასეთი მითითება მაქვს: ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა.

– ეგ ვიცი. ლევანმა სადღაც დამპატიჟა და გადაწყვიტა, რომ ნაშებიც აუცილებლად დაგვჭირდებოდა.

– ნაშები არა, მარტო ერთი ნაშა და ისიც, მხოლოდ შენთვის. თუმცა, რამდენად გჭირდებოდა – ეს სხვა საუბრის თემაა. მაგრამ, ფაქტი ის არის, რომ მეც არაფერში მჭირდებოდი. შენ არ ხარ ის ტიპი, რომელზეც შეიძლება გავგიჟდე. მით უმეტეს, რომ მაშინ ფულიც არ გქონდა.

– მოიცა, ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმა ადამიანმა მთხოვა შენთან დაახლოება. უფრო სწორად, დამავალა და მეც დავთანხმდი. ოღონდ, არ მკითხო, რატომო – გადამიხადა და იმიტომ, მე კი ფული ძალიან მიყვარს.

ნიკუშას სული შეეხუთა:

– ნატუკა, ეს ადამიანი... მე მას ვიცნობ?.. – ხომ მიხვდი უკვე, რატომ მეკითხები?

ნიკუშამ მაისურის საყელო ჩამოიწია და დაიგმინა:

– ეს... ეს... ლევანი იყო?..

– ხომ გითხარი, მიხვდი-მეთქი. ლევანმა მთხოვა, დაგახლოვებოდი, სულ გვერდით გყოლოდი და დედაშენთან შემერიგებინე.

– კი მაგრამ, რატომ... რატომ...

– ისეთ მიხვედრილობას იჩენ, თუ ცოტას კიდევ დაფიქრდები, მაგასაც აუცილებლად მიხვდები, – ხმაში ირონია გამოურია ნატუკამ.

ნიკუშამ თავზე იტაცა ხელები.

– თუ ყველაფრის მიზეზი ფულია, მე გავგიჟდები და მოვკლავ მაგ უბედურს!

– ჰო, მგონი, მართლა მოკლავ, როცა გაიგებ, რომ ფეხმძიმედაც მისგან ვარ.

– შეუძლებელია! – აღმოხდა ნიკუშას.

– ძალიანაც შესაძლებელია და არ გეგონოს, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ხომ გაინტერესებდა, საიდან მომივიდა იდეა, ჩემი მომავალი შვილის მამად შენ დამესახელებინე? ჰოდა, იცოდე: ლევანმა მიკარნახა. მისი ცოლი, მგონი, შენი დაა, არა?! საწყალი, უარესად გახდება, როცა ამ ამბავს გაიგებს.

– ლევან! – მთელი ხმით იბღავლა ნიკუშამ და აივნის კარი ისე შეანგრია, მინებმა ზანზარი დაიწყო. ვახო გვიან მოეგო გონს და მისი შეჩერება ვეღარ შეძლო. ლევანი თვალის დახამხამებაში მოსწყდა ადგილს და მეორე სართულის კიბისკენ გაიქცა.

ვახო აივანზე გავარდა:

– გოგო, ამისთანა რა უთხარი?

ნატუკამ მშვიდად აიწურა მხრები:

– სიმართლე. განა ეს არ გინდოდა?

– რა სიმართლე, გადარეულივით შემოვარდა და გაიქცა!..

– ალბათ, ლევანის მოკვლას აპირებს. მე ნურაფერს დამაბრალებ, ეს შენ გინდოდა. უნდა გეფიქრა, როგორ შეხვდებოდა შენი ემოციური ძმაკაცი ამ სიმართლეს, მაგრამ, ყველა კაცი ასეთია, მათთვის მთავარია, ყველას დაუმტკიცონ, რომ თვითონ მაგრები არიან და შეცდომებს არ უშვებენ, მაგრამ, ასე რომ არ არის?! სამწუხარო იქნება, თუ ლევანი მოკვდება. რაც უნდა იყოს, ის ჩემი შვილის მამაა...

ვახო აღარ უსმენდა. გარბოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, როგორმე დროზე მიესწრო და არ დაეშვა, რომ ბიჭებს ერთმანეთისთვის რამე დაეშავებინათ. ნატუკამ დამცინავი მზერით გახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ეს შენ გინდოდა, თქვენ ყველას გინდოდათ... მაგრამ, იქნებ ეს ჩემი პატარა, უნებლიე შურისძიებაა მამაკაცთა მოდგმის მიმართ?!

***

ლევანი ცოლს გაოგნებული და გაშტერებული უყურებდა. თიკა აშკარად არ ტყუოდა, მის ნათქვამში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო.

– ზურაბმა თავი მოიკლა? და ეს დედაშენმა გითხრა? არა, ვერ დავიჯერებ! ზურაბი ამას არ გააკეთებდა! ამისთანა რა უთხრა დედაშენმა?

– ალბათ, სიმართლე ჩემ შესახებ.

– და ზურაბმა ეს ვერ აიტანა?

– გიკვირს? მე – არა. მას ყოველთვის დიდი დოზით ჰქონდა პატივმოყვარეობა. რა თქმა უნდა, ვერ აიტანდა ვერაგობას იმ ქალისგან, რომელსაც მთელი ცხოვრება არარაობად თვლიდა და მიაჩნდა, რომ მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ მისი ჭირვეულობები ეთმინა უსიტყვოდ. წარმომიდგენია, რა განიცადა, როცა დედაჩემი ამას ეუბნებოდა.

თინიკომ ქმარს შეხედა და განაგრძო: – შენ კიდევ კარგად არ იცნობდი ზურაბს. მე ვგრძნობდი, შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ის ამას გააკეთებდა.

– დედაშენმა ყველაფერი გააკეთა მისთვის ბოლოს მოსაღებად და გამოუვიდა კიდეც.

– მე ვამართლებ დედაჩემს... მას მთელი ცხოვრება ღალატობდნენ, არაფრად აგდებდნენ. არ მიკვირს, რომ შურისძიება გადაწყვიტა. მამაკაცებს წარმოდგენა არ გაქვთ, როგორი საშიშია ქალი, როცა მის ქალურ ღირსებას ფეხებზე იკიდებენ.

ლევანმა თინიკოს მზერაში ისეთი რაღაც დაინახა, რომ გული უსიამოვნოდ მოეწურა. ცუდმა წინათგრძნობამ საფეთქლები აუწვა...

– ესე იგი, დღესვე უნდა დავბრუნდეთ, მიზეზი გვქონია.

– უკვე გითხარი, რომ მხოლოდ შენ დაბრუნდები. მე ჩემს ძმასთან ერთად კიდევ ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

– იმის თქმა გინდა, რომ მამაშენის დაკრძალვას არ დაესწრები? თიკა, ასე არ შეიძლება...

– ჩემი გადასაწყვეტია, რა შეიძლება და რა – არა, – ცივად ჩაილაპარაკა ქალმა, – მე ეს უკვე ტრადიციად მექცა – არ დავესწრო მამის დაკრძალვას.

– თინიკო, საყვარელო, წარმოუდგენელ რაღაცას ამბობ...

– შენ ტყუილად ღელავ. ჩემი პრობლემები ჩემი პრობლემებია და შენ არ უნდა შეწუხდე.

– აბა, რას ამბობ?! მე შენი ქმარი ვარ და შენი მომავალი შვილის მამა...

– ჰოო?! და შენ ფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ჩემი ბედი განაგო? მაშინ, იმას რას უპირებ, ქვემოთ, სასტუმრო ოთახში რომ ზის და გელოდება?

– ვის გულისხმობ? არაფერი მესმის... – მართლა ვერ მიხვდა ლევანი.

– ვის და იმ გოგოს, რომლის შვილის მამაც აქ ზის და ცდილობს, დამარწმუნოს, რომ მასთან საერთო არაფერი აქვს.

– ნატუკაზე ამბობ ამას?

თინიკომ თავი დაუქნია.

– არა, საყვარელო, ეს როგორ იფიქრე?! მე მასთან...

– გაჩუმდი, არც ერთი სიტყვა აღარ თქვა ამასთან დაკავშირებით! მე დავინახე, როგორ შეხედე, როცა ის შემოვიდა და ამ მზერით ყველაფერი იყო ნათქვამი. ახლა რა უნდა თქვა ისეთი, რომ საპირისპიროში დამარწმუნო. თუ გინდა, შენდამი სულ ცოტა პატივისცემა კიდევ შემრჩეს, აღარაფერი თქვა, რადგან ყოველი სიტყვა კიდევ უფრო დაამძიმებს შენს სიტუაციას.

– შანსს არ მიტოვებ, რომ თავი გავიმართლო?

– ეგ ყველაზე დიდი საშინელება იქნება და...

თინიკომ სათქმელი ვეღარ დაასრულა, რადგან ვიღაცამ კარი ისეთი ძალით შემოგლიჯა, რომ კედელს მიახეთქა. ზღურბლზე ნიკუშა იდგა შეშლილი სახით, ამღვრეული მზერა ლევანს მიაპყრო და აკანკალებული ხელი მისკენ გაიშვირა:

– ახლა უკვე ვეღარ გადამირჩები, ყველაფერზე გაგებინებ პასუხს! თიკა, შენ არაფერი მკითხო და არც ჩაერიო. უმჯობესი იქნება, სულ წახვიდე აქედან!

თინიკომ ქმარს დანანებით შეხედა:

– ჩემთან ნამდვილად აღარ მოგიწევს თავის მართლება. მეცოდები...

– თიკა, არ გახვიდე!

– ნიკუშა, დამშვიდდი!

– დავმშვიდდე? ამას შენ მეუბნები? შენ?.. მითხარი, რომ მოსაკლავი არ ხარ და შეგეშვები.

– მაგას ვერ იტყვის, – ჩაურთო თიკამ, – ხომ ხედავ, როგორ გაფითრდა. სათქმელი აღარაფერი აქვს, მაგრამ, მოკვლა გამოსავალი არ არის.

– აჰა, ესე იგი, ჩემ წინააღმდეგ შეკარით ერთმანეთს? ძალიან კარგი, მაგრამ, იცოდეთ, ადვილად არ დაგნებდებით. არც ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ. შეიძლება, მე ნაძირალა ვარ, მაგრამ, არც თქვენ ხართ ანგელოზები.

– მოკეტე! – ზიზღით შეიჭმუხნა ნიკუშა, – თინიკო მართალია. მგონი, არ ღირს შენზე ხელის გასვრა. არ მინდა, თინიკოს გული უარესად ვატკინო, თუმცა, ვხედავ, უჩემოდაც ყველაფერი იცის. თინი, შენ არ ინერვიულო, მე ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები და ყველაფერში შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს.

ლევანმა დრო იხელთა, აივნის კართან გაძვრა, გამოაღო და იყვირა.

– იცოდე, არ მომეკარო, თორემ, გადავხტები!

ნიკუშამ გადააფურთხა:

– ფუჰ, შენ ვინ ყოფილხარ?! უნდა მოვიდე, მოგკიდო ფეხებში ხელი და კისრით გადაგიშვა ქვემოთ, მაგრამ ამას არ გავაკეთებ, რომ საკუთარ თავს არ მივაყენო შეურაცხყოფა. კაცი რომ იყო, გცემდი.

– დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მუშტით გამისწორე ანგარიში. მაშინ კაცი არ ვიყავი?

– მაშინ ჯერ კიდევ მეგონა, რომ იყავი კაცი. ახლა დავრწმუნდი, რომ ერთი სულმოკლე და სულმდაბალი, საცოდავი არარაობა ხარ, ჭიაყელა, რომლის გასასრესად ფეხსაც არ გავისვრი.

– მშვენიერია, მშვენიერი... შენც ეთანხმები, საყვარელო? – ცოლს მიუბრუნდა ლევანი, – შენთვისაც საცოდავი არარაობა ვარ?

თინიკომ არ უპასუხა. ნიკუშასთან მივიდა და მკლავზე მოჰკიდა ხელი:

– წავიდეთ, მართლა არ გადახტეს.

– ვინ, ეს?! რა გულუბრყვილო ხარ, თინი! შენი ქმრისნაირები არ არიან დაბადებულები თავგანწირვისთვის. მსხვერპლის გაღება მათთვის უცხოა. ეგ თავს არათუ არ მოიკლავს, უმნიშვნელო ზიანსაც არ მიაყენებს, დამიჯერე!

– ამას ნუ იტყვი. თუ მამაჩემმა გააკეთა ეს, შეიძლება, ლევანშიც მოხდეს რაღაც ისეთი, რაც „შარიკს“ გადაუტრიალებს.

ნიკუშა მაშინვე ვერ ჩასწვდა თინიკოს სიტყვების არსს, მერე ნელ-ნელა გააცნობიერა და გაოგნებულმა წამოიძახა:

– ზურაბმა თავი მოიკლა? თინიკო, თბილისიდან ეს ამბავი გაგაგებინეს? ეს სიმართლეა?

– ჰო, სიმართლეა. დედაჩემმა დარეკა, ტყვია იკრა შუბლშიო. მორჩა, ნიკუშ, დასრულდა... ის, ვისზეც შურისძიებას აპირებდი, აღარ არსებობს. აღარ არსებობს ის ადამიანი, რომელიც მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ გაძლევდა. ახლა უკვე შეგიძლია, გათავისუფლდე იმაზე დარდისგან, რომ შენი შეურაცხმყოფელი სადღაც სიცოცხლით ტკბება. ზურაბი აღარ არის, საკუთარ თავს თვითონ გაუსწორა ანგარიში.

ლევანი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და სახე ხელისგულებში ჩამალა.

– მოისვენე? ახლა ერთი მტრით ნაკლები გყავს! – დაუყვირა ლევანმა, რომელსაც ცალი ფეხი ისევ აივნის მოაჯირზე ჰქონდა შემოდებული.

– შენ მოკეტე! – იფეთქა ნიკუშამ, მაგრამ მაშინვე დაცხრა და თინიკოს სევდიანად შეხედა, – ვერ ვიტყვი, რომ გამიხარდა და არც ის ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას, რომელსაც ახლა განვიცდი.

– ჰო, მესმის შენი და ყველაფერს ვხვდები. არ ჩავიდეთ? ვფიქრობ, ჩვენ ყველამ უნდა ვილაპარაკოთ. მერე კი ელენეს ვნახავ. ის ახლა ორივეს საზრუნავია.

– მამ... მინდოდა მეთქვა, ზურაბის დაკრძალვაზე არ ჩახვალ?

თინიკომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია:

– არა. აზრი არ აქვს, დედაჩემი ყველაფერს მოაგვარებს.

– კარგი. მაშინ ქვემოთ ჩავიდეთ... – ნიკუშამ მხარზე მოხვია ხელი თიკას.

– მოიცა, მე რაღას მიპირებთ?! – საცოდავად ამოიკნავლა ლევანმა და ვახოს სიხარულით მიაძახა:

– მოდი დროზე, თორემ ნიკუშას ჩემი აივნიდან გადაგდება უნდა!

ვახომ თვალის ერთი შევლებით შეაფასა სიტუაცია და გაიღიმა:

– რაღაც არ ეტყობა, ეგ უნდოდეს... თინიკო, შენ, ალბათ, უკვე ყველაფერი იცი.

თინიკომ თავი დაუქნია. მის ნაცვლად კი ნიკუშამ უპასუხა:

– მიხვდა. ლევანს რომ ჰგონია, ისეც არ არის საქმე. ძალიან ჭკვიანი ცოლი ჰყავდა და არ დააფასა.

– ცოტა ხნით ჩემს ცოლთან დამტოვეთ!

– ბიჭო, შენ კიდევ ულტიმატუმს გვიყენებ? ვერ გაიგე, რა გითხარი, მოკეტე-მეთქი? ძალიან გინდა, მოთმინების ძაფი გამიწყდეს? ის გირჩევნია, იმ გოგოს დაელაპარაკო და გაარკვიოთ თქვენი ურთიერთობა!

– რა ურთიერთობა? ჩვენ არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს!

– ჰმ, ბავშვს კი შენგან ელოდება და... მოკლედ, მე ეს ამბავი აღარ მაინტერესებს. გინდა ეჩხუბე, გინდა შეურიგდი და ცოლადაც შეირთე, მაგრამ, ორივე წადით ამ სახლიდან!

– განქორწინებას უპრობლემოდ მოგცემ, ბედნიერებაში ხელს არ შეგიშლი, – მშვიდად დაამატა თიკამ.

ლევანი ლამის მეორე ფეხითაც შეხტა მოაჯირზე:

– კი მაგრამ, მე? მე აღარაფერს მეკითხები? თიკა, მე არავინ მჭირდება შენ გარდა, მიყვარხარ, თიკა!..

– ეგ უკვე შენი პრობლემაა...

– თიკა, გადავხტები! – განწირული ხმით იბღავლა ლევანმა და აივნის მოაჯირზე შეხტა. ნიკუშამ მექანიკურად გადადგა აივნისკენ ნაბიჯი...

***

ჟანმა სავარძელში პატარა ბალიში ჩადო და თინიკოს ისე შესთავაზა დაჯდომა, ქალმა გაუღიმა მადლობის ნიშნად, მოხერხებულად მოიკალათა და მისთვის განკუთვნილი ფინჯანი თავისკენ მიიჩოჩა.

– მიყვარს ბალახების ჩაი, ძალიან მშველის.

– ესე იგი, მაინც მიდიხარ, გადაწყვეტილებას არ შეცვლი? – ჰკითხა ნიკუშამ, რომელსაც იასთვის წელზე ჰქონდა ხელი შემოხვეული და მასზე მიხუტებული მშვიდად იღიმებოდა.

– ჰო, თქვენ გამოგყვებით, ბილეთი ჩემთვისაც შეუკვეთე...

– თინი, მერჩივნა, აქ გემშობიარა... და, საერთოდ, აქ შენი სახლია.

– ვიცი, ნიკუშ, მაგრამ, არ შემიძლია. ეს ხუთი თვე ტანჯვა იყო ჩემთვის. რა ვქნა, მიყვარს, ძალიან მიყვარს და ვიცი, რომ ამ გრძნობას ვერაფერს მოვუხერხებ. თანაც, ახლა ძალიან ვჭირდები. ხომ იცი, ნატუკამ ბავშვი მიუგდო და ვიღაც ზანგთან ერთად გადაიკარგა. შენ გაქვს უფლება, არ აპატიო, მაგრამ, მე მოვალე ვარ, მის გვერდით ვიყო.

– ლევანი ამას არ იმსახურებს.

– ერთ შანსს ყველა იმსახურებს, მით უმეტეს, ის ადამიანი, რომელიც მიყვარს. ასე მგონია, ლევანმა ჭკუა ისწავლა.

– მაგისთანები ჭკუას ვერასოდეს სწავლობენ. თუ არა, აგერ, ჟანს ჰკითხე.

ჟანმა ჩაის მორევა შეწყვიტა, კოვზი დადო და თიკას თანაგრძნობით შეხედა:

– მე მესმის შენი. როცა ადამიანი გიყვარს, პატიება-არპატიების საკითხი იმდენად უმნიშვნელოა, ერთი კი არა, ბევრი შანსი უნდა მისცე, რაც შეიძლება ბევრი, რომ არ დაკარგო.

თინიკოს გაეცინა და ნიკუშას ნიშნისმოგებით გადახედა.

– ახლა რაღას იტყვი, შეუკვეთავ ბილეთს?

– ნიკუშამ ხელი ჩაიქნია.

– უკვე შეკვეთილი მქონდა... ჟან, თქვენ რას იზამთ?

– მე პასუხი მივიღე კლინიკიდან და ორ დღეში ელენეს შვეიცარიაში გადავიყვან. მეუბნებიან, რომ ორ-სამ თვეში დამოუკიდებლად სიარულს შეძლებსო. მერე კი ვნახოთ... ან თქვენ ჩამოხვალთ აქ, ან ელენეს ჩამოვიყვან თბილისში.

– კიდევ ერთი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, – ნიკუშამ მაგიდის ზედაპირზე აათამაშა თითები, – ნახატს რა ვუყოთ?

ჟანმა მხრები აიწურა:

– ეს შენი, ელენესი და თიკას გადასაწყვეტია. თუ გინდათ, გაყიდეთ.

– მე ვფიქრობ, არ უნდა გავყიდოთ. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ელენე საბოლოოდ არ გამოჯანმრთელდება რაც უნდა იყოს, ნახატი მაინც მისი საკუთრებაა.

– მეეჭვება, დედაჩემი ოდესმე მაგას შეელიოს, – გაეცინა ნიკუშას.

– მის ადგილას, მეც ვერ შეველეოდი, – თქვა თიკამ და, მომრგვალებულ მუცელზე ნაზად დაისვა ხელი.

დასასრული.

.:მეტი წიგნები:.

© 2008-2016 4Love.Ge fb.com/www.4love.ge